Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com



Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

45

იბეჭდება
საბჭოთა კავშირის
კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСИЗМА-ЛЕНИНИЗМА ПРИ ЦК КПСС

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ИЗДАТЕЛЬСТВО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
МОСКВА. 1967

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1974

ვ. ი. ლენინი

ტომი

45

1920 წლის ნოემბერი — 1923 წლის მარტი

3 К
Ц 433

0112 — 253
Л————————2—74
М 601 (08)—74

წინასიტყვაობა

ორმოცდამეხუთე ტომში შესული წერილები, ბარათები, დეპეშები და ტელეფონოგრამები დაწერილია 1920 წლის ნოემბრიდან 1923 წლის მარტამდე. ისინი ლენინის იმ ნაწარმოებებს მოსდევენ, რომლებიც ამ გამოცემის 31 — 33, 35 — 36 ტომებშია შესული, და მნიშვნელოვნად ავსებენ მათ.

დოკუმენტები მოიცავენ საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრების ახალ ისტორიულ პერიოდს — მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის პერიოდს, რომელიც დადგა უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და შინაგანი კონტრრევოლუციის განადგურების შემდეგ.

სოციალისტური მშენებლობა მიმდინარეობდა სამეურნეო ნგრევის, სურსათისა და სათბობის ნაკლებობის პირობებში. რთული იყო საერთაშორისო ვითარებაც. იმპერიალისტები ყოველნაირად ცდილობდნენ გაეძნელებინათ საბჭოთა ხალხის ბრძოლა ნგრევასთან და ურთიერთობის დამყარება სხვა სახელმწიფოებთან. სერიოზული საშინაო და საგარეო პოლიტიკური სიძნელეების ამ ვითარებაში ვ. ი. ლენინი უდიდეს მუშაობას ეწევა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, სოციალისტური მშენებლობის, საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობის დარგში, განსაზღვრავს «საომარ კომუნიზმიდან» ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის გზებს, ხელმძღვანელობს ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებისათვის პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებათა გატარებას.

მთელ რიგ წერილებში ცხადყოფილია დიდად საყურადღებო დებულებანი ახალი ეკონომიური პოლიტიკის არსისა და მნიშვნელობის შესახებ. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას უნდა განვიხილავდეთ სოციალისტური მშენებლობის საერთო ამოცანებსა და პერსპექტივებთან განუყრელ კავშირში, «გოელროს» გეგმის შუქზე, გეგმისა, რომელიც ნავარაუდევი იყო ახალი საზოგადოების ეკონომიური საძირკვლის შესაქმნელად: «ახალი ეკონომიური პოლიტიკა არ ცვლის ერთიან სახელმწიფო სამეურნეო გეგმას და არ გამოდის მისი ფარგლებიდან, არამედ ცვლის მისი განხორციელებისადმი **მიდგომას**» (ტომი 35, გვ. 566).

ახალი ეკონომიური პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი პრინციპის, საბჭოთა ხელისუფლების საფუძვლის უზრუნველყოფა. სოციალიზმის წარმატებით მშენებლობა შეუძლებელი იყო, თუ მასში არ ჩაებმებოდა მთელი მშრომელი გლეხობა. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემუშავებისას ვ. ი. ლენინი სახავდა ქალაქისა და სოფლის კავშირის კონკრეტულ ფორმებს, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღდგენისა და სოციალისტური საზოგადოების საძირკვლის აშენების გზებს.

ამ რთული ამოცანის გადაწყვეტას ვ. ი. ლენინი შეუდგა ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიური ვითარების ყოველმხრივი ანალიზის, გლეხური მეურნეობის მდგომარეობის ღრმად გაცნობის შედეგად. ტომში ასახულია ვ. ი. ლენინის საუბრები გლეხებთან ი. ა. ჩეკუნოვთან, ა. რ. შაპოშნიკოვთან, ნაჩვენებია ვ. ი. ლენინის ზრუნვა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. მაგალითად, ი. ა. ტეოდოროვიჩისადმი წერილში ვ. ი. ლენინს გვალვასთან ბრძოლა დიდ საერთო-სახელმწიფოებრივ ამოცანად მიაჩნია (იხ. ეს ტომი, გვ 116—117). მისი ინიციატივით მიღებულ იქნა შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება, რომელშიც გვალვასთან ბრძოლა აღიარებული იყო «ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო

ცხოვრებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საქმედ და ამ მიმართულებით დასახული ღონისძიებანი — საბრძოლო მნიშვნელობის მქონე ღონისძიებებად».

ტომში შეტანილი დოკუმენტები აშუქებენ ვ. ი. ლენინის, პარტიისა და მთავრობის საქმიანობას მრეწველობისა და ტრანსპორტის აღდგენის, დონბასის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფის, მეტალურგიის განვითარების დარგში და სხვ. ისინი აგრეთვე გვიჩვენებენ, თუ როგორ ზრუნავდა ვ. ი. ლენინი «გოელროს» გეგმის განხორციელებისათვის და უშუალოდ მუშაობდა კაშირის, ვოლხოვის და სხვა ელექტროსადგურების მშენებლობის საკითხებზე. ბევრ დეპეშაში, ბარათებში ლენინი იძლევა მითითებებს საბჭოთა ელექტრიფიკაციის პირმშოთა საჭირო მასალებით, მოწყობილობით, სურსათით უზრუნველყოფის შესახებ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წელს ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანა იყო მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის ნორმალური ეკონომიური ურთიერთობის, საქონელგაცვლის მოწესრიგება. ტომში შეტანილი დოკუმენტები გვიჩვენებენ ვ. ი. ლენინის როლს საშინაო და საგარეო ვაჭრობის განვითარებაში და ამ ბაზაზე მყარი საფინანსო-ფულადი სისტემის შექმნის ამოცანათა განხორციელებაში. «ამას პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ მივუდგეთ — ეს არის მთავარი, უმთავრესი, ძირეული»,—წერდა იგი. ესაა ერთადერთი გზა ნეპის გადაქცევისა «სოციალიზმის **ბაზად**, — ბაზად რომელსაც ვერ სძლევს, გლეხურ ქვეყანაში, მსოფლიოს ვერავითარი ძალა» (გვ. 535 — 578).

ლენინი იძლეოდა კონკრეტულ მითითებებს ვაჭრობის გაშლის ღონისძიებათა შესახებ, მოითხოვდა ცნობებს ბრუნვის ზრდაზე განსაკუთრებით სოფლად, სიხარულით ხვდებოდა კოოპერაციის წარმატებებს. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა საფინანსო პოლიტიკის საკითხებს, სახელმწიფოში საქონლის რაოდენობის რეგულარული აღრიცხვის საჭიროებას, თვალს ადევნებდა ოქროს მარაგის მდგომარეობას, მოითხოვდა მის მომჭირნეობით ხარჯვას.

მოუსავლიანობის შედეგად 1921 წელს შიმშილობდა მილიონობით ადამიანი, განსაკუთრებით ვოლგისპირეთის რაიონებში. შიმშილობასთან ბრძოლის ორგანიზაცია საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანა იყო. ტომის დოკუმენტებში აისახა პარტიისა და მთავრობის ძირითადი ღონისძიებანი შინაგანი სასურსათო რესურსების მობილიზაციისა და სწორი განაწილებისა, პურზე გასაცვლელი სასაქონლო ფონდის შექმნის, მოსავლიანი გუბერნიებიდან სურსათის მოზიდვის გაუმჯობესებისა და საზღვარგარეთ პროდუქტების შესყიდვის საქმეში.

საბჭოთა მთავრობა გადაჭრით ილაშქრებდა მსოფლიო იმპერიალიზმის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ შიმშილობა გამოეყენებინა საბჭოების რესპუბლიკაზე პოლიტიკური ზეგავლენის მოსახდენად. წერილებში ნაჩვენებია, როგორ ამხილებდა ვ. ი. ლენინი იმპერიალისტების მანევრებს. «აქ უაღრესად რთული თამაშია. ამერიკის, ჰუვერისა და ერთა ლიგის საბჭოს ფლიდობა უსაზღვროა»,—წერდა ვ. ი. ლენინი პოლიტბიუროს წევრებისათვის განკუთვნილ წერილში (გვ. 270).

ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას უთმობდა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა მასების მოძრაობას, რომლის მიზანი იყო დახმარების გაწევა დამშეულთათვის რუსეთში.

მასალების დიდი ჯგუფი მიძღვნილია სათბობის მწვავე კრიზისის დაძლევისადმი. ვ. ი. ლენინი სათავეში ჩაუდგა შრომისა და თავდაცვის საბჭოს სათბობის კომისიას, რომელმაც მიიღო მთელი რიგი გადაუდებელი ზომები ქვანახშირისა და ნავთობის ამოღების, ტორფის ჰიდრავლიკური ამოღებისა და შეშის დამზადების გასადიდებლად.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლამ მოითხოვა სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნა, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის ზუსტად განხორციელება, დაგეგმვის გაუმჯობესება, ადგილების ინიციატივის განვითარება, საწარმოთა უფლებების გაფართოება, მატერიალური სტიმულირების, სამეურნეო ანგარიშის დანერგვა, საწარმოთა რენ-

ტაბელობის უზრუნველყოფა. ყველა ამ საკითხს ლენინის წერილებში დიდი ადგილი უჭირავს.

ტომის დოკუმენტები მოწმობენ, რომ ვ. ი. ლენინი უდიდეს ყურადღებას აქცევდა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებების მუშაობის ორგანიზაციასა და სტილს, სახელმწიფო აპარატის სრულყოფას, მის შემცირებასა და გაიაფებას, მთელი მისი მუშაობის მეცნიერულ საფუძველზე დაყენებას. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა აეწყოთ ბრძოლა ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ და წარემართათ იგი «საქმიანად, სამხედრო ხელოვნების ყველა წესის მიხედვით». ლენინი წინადადებას იძლეოდა გამოუსწორებელი ბიუროკრატების მიმართ გამოეყენებინათ სასტიკი ადმინისტრაციული სასჯელი, მოეხსნათ ისინი თანამდებობიდან, მიეცათ სამართალში. იგი არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მთავარია ადამიანები, პრაქტიკული გამოცდილების შემოწმება, და არა დაწესებულებანი.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის ზუსტად განხორციელებას, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დაცვას და ამავე დროს პირად პასუხისმგებლობას დავალებული საქმისათვის. ვ. ი. ლენინს არასოდეს არ მიუღია ერთპიროვნული გადაწყვეტილებანი ისეთ საკითხებზე, რომლებიც კოლექტიურად უნდა ყოფილიყო განხილული, ყველა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხზე ეთათბირებოდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს, სახალხო კომისრებს და სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს.

საბჭოთა და სამეურნეო აპარატის გარდაქმნის პროგრამა ვ. ი. ლენინმა დასახა «შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესში ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებებისადმი». ტომში იბეჭდება მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიც ცხადყოფენ, რა გულმოდგინედ ამზადებდა ვ. ი. ლენინი «შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესს», რისთვისაც განაწესის პროექტი ფართო განხილვისათვის გამოიტანა.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა

კადრების სწორად შერჩევასა და განაწილებას. ამას მკაფიოდ მოწმობს ვ. ი. ლენინის 1921 წლის 24 დეკემბრის წერილი ე. მ. იაროსლავსკისადმი მიწათმოქმედების სახალხო კომისრის პოსტზე წამოყენებული კანდიდატურის გამო. ვ. ი. ლენინი მას სთხოვდა გაეგო, რა აზრისა იყვნენ ამ ამხანაგის შესახებ და აინტერესებდა: «ასაკი? გამოცდილება? გლეხობის მხრივ პატივისცემა? მეურნეობის ცოდნა? სიმტკიცე? გონიერება? ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი?» (გვ. 498 — 499). ვ. ი. ლენინი აფასებდა ენერგიულ, მცოდნე, ინიციატივიან მუშაკებს. იგი სასტიკად გმობდა «ადმინისტრატორობას», მბრძანებლობის მეთოდებს, უხეშობას ამხანაგების, ხელქვეითების მიმართ, იბრძოდა ფორმალიზმის, საქმის გაჭიანურების, უწესრიგობის, მოუფიქრებლობის და ზედმეტი აჩქარების წინააღმდეგ.

ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის პროგრამის განხორციელება მიმდინარეობდა კომუნისტური პარტიის მწვავე ბრძოლაში ყველა ჯურის ოპოზიციონერებთან, რომლებიც ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ პარტიული რიგების დარაზმულობისათვის. ვ. ი. ლენინი ილაშქრებდა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა დაემახინჯებინა ან საეჭვო გაეხადა პარტიის მიერ დასახული გზის სისწორე. მას საჭიროდ მიაჩნდა მტკიცე წინააღმდეგობა გაეწია ბურჟუაზიული იდეოლოგებისათვის, მემარჯვენე სოციალისტებისა და მენშევიკებისათვის, რომლებიც ამახინჯებდნენ რკპ (ბ)-ის ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, აგრეთვე «მემარცხენე» ოპორტუნისტებისათვის, რომლებსაც არასწორად ესმოდათ ახალი ეკონომიური პოლიტიკა, კერძოდ «სახელმწიფო კაპიტალიზმის» ადგილი მუშათა კლასის დიქტატურის პირობებში. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ «სახელმწიფო კაპიტალიზმი იმ სახელმწიფოში, სადაც პროლეტარული ხელისუფლებაა, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ როგორც შეზღუდული დროითაც, გავრცელების სფეროთიც, თავისი გამოყენების პირობებითაც, მასზე ზედამხედველობის წესითაც და ა. შ.» (გვ. 533).

ტომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ მასალებს, რომლებსაც ვ. ი. ლენინი განიხილავდა საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის ამოცანებთან განუყრელ კავშირში. იგი ყურადღებას აქცევდა იმას, რომ საჭირო იყო საგამომგონებლო საქმიანობის კოორდინაცია მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, წინადადებას იძლეოდა მოწესრიგებულიყო მიღებულ გამოგონებათა განხილვა და აღრიცხვა. ერთობ საინტერესოა ტომში გამოქვეყნებული წერილი «სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების გამოგონებათა განყოფილებას», რომლითაც ვ. ი. ლენინმა ამ დაწესებულებას დაუსახა მთელი რიგი კონკრეტული ამოცანები მუშაობის ორგანიზაციის დარგში (გვ. 5 — 6). დოკუმენტები გვიჩვენებენ, თუ რა ენერგიულად უჭერდა მხარს ვ. ი. ლენინი ყოველ სამეცნიერო აღმოჩენას და ტექნიკურ სრულყოფას, რომელთა პრაქტიკაში დანერგვა შრომის ნაყოფიერების ზრდის მძლავრ ფაქტორად მიაჩნდა. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ ორგანიზებული ყოფილიყო სწორი ინფორმაცია საზღვარგარეთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა შესახებ და ჩვენს ქვეყანაში ყოველივე იმ საუკეთესოს გამოყენება, რასაც საზღვარგარეთის ტექნიკური გამოცდილება იძლეოდა.

ტომში შეტანილი წერილებისა და ბარათების ნაწილი მიძღვნილია განათლების სახალხო კომისარიატის, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებისადმი, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და კულტურული მშენებლობის სხვა პრობლემებისადმი (მხატვრულ ფასეულობათა დაცვის, თანამედროვე რუსული ენის ლექსიკონის, სასწავლო ატლასის გამოცემის საკითხებისადმი). ვ. ი. ლენინი მხარს უჭერდა რეალისტურ მიმართულებას ხელოვნებაში, აფრთხილებდა შემოქმედებითს მუშაკებს. ფუტურიზმმა არ გაგიტაცოთო. მ. ნ. პოკროვსკისადმი ერთ-ერთ წერილში ვ. ი. ლენინი წერდა: «გთხოვთ დაგვეხმაროთ ფუ-

ტურიზმთან და სხვა მისთანებთან ბრძოლაში... ვერ გამოვნახავთ საიმედო ანტიფუტურისტებს?» (გვ. 123 — 124).

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდში, კაპიტალისტური ელემენტების ერთგვარი ზრდის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა პარტიის იდეოლოგიურ, პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას, მარქსიზმის პროპაგანდას, გადამწყვეტ ბრძოლას ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ. დიდი მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის მითითებებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების შესახებ. იგი წინადადებას იძლეოდა შეეგროვებინათ მარქსიზმის ფუძემდებელთა ყველა გამოქვეყნებული ნაწარმოები და დოკუმენტების ფოტოპირები, რაც საფუძვლად დაედო კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ინსტიტუტის შექმნას, რედაქციას უკეთებდა მათი რჩეული წერილების კრებულს, გააკეთა ისტორიული მეცნიერებისათვის დიდმნიშვნელოვანი პრინციპული შენიშვნები ბელა კუნის ბროშურაზე «რევოლუციიდან რევოლუციისაკენ» (გვ. 26).

სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა განხორციელება განუყრელად დაკავშირებულია ეროვნული საკითხის სწორ გადაწყვეტასთან. მიწერ-მოწერა გვიჩვენებს, თუ როგორ ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელების საქმეს. ეროვნულ რესპუბლიკათა კომუნისტებს ვ. ი. ლენინი ურჩევდა გაეთვალისწინებინათ ადგილობრივი პირობები და თავისებურებანი სოციალიზმის მშენებლობაში ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარების დროს. აღნიშნავდა რა საბჭოთა აღმოსავლეთში ეროვნული საკითხის სწორად გადაჭრის უდიდეს მნიშვნელობას, ვ. ი. ლენინი წერდა: «ეს მსოფლიო საკითხია, გადაუჭარბებლად რომ ვთქვათ, მსოფლიო საკითხი. აქ არქიწინდახედული უნდა ვიყოთ. ეს თავს იჩენს ინდოეთში, აღმოსავლეთში, აქ ხუმრობა არ შეიძლება, აქ 1000-მაგად ფრთხილი უნდა ვიყოთ» (გვ. 333). მთელ რიგ დოკუმენტებში ასახულია ვ. ი. ლენინის ზრუნვა საბჭოების ქვეყნის ყველა ხალხზე, მათს შეკავშირებაზე, მეგობრობასა და თანამშრომლობაზე, მისი

გადამწყვეტი ბრძოლა დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

ამ ტომში შესულ დოკუმენტებში დიდი ადგილი უჭირავს საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის საკითხებს: საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მუშაობას, გენუის კონფერენციისათვის მომზადებას, სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთდამოკიდებულების დამყარებას, კაპიტალისტური სამყაროს სახელმწიფოებთან საბჭოთა რესპუბლიკის ვაჭრობის გაფართოებას, კონცესიების შესახებ მოლაპარაკებას. დოკუმენტები ასახავენ, თუ რა მტკიცედ იბრძოდა სამშვიდობო საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის საბჭოთა მთავრობა, რომელიც ხელმძღვანელობდა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებით და ცდილობდა დაემყარებინა საქმიანი ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან. ტომის მთელი რიგი დოკუმენტები გვიჩვენებენ, რა გადაჭრით იცავდა ვ. ი. ლენინი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას. ლენინი გაფრთხილებას იძლეოდა, რომ შესაძლებელია უცხოელ იმპერიალისტთა ახალი სამხედრო ინტერვენცია საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ანგარიშს უწევდა რა ასეთ საშიშროებას, იგი 1921 წლის ოქტომბერში გ. ვ. ჩიჩერინს სწერდა, რომ «აქ ხელს ვერაფრით შეუშლი, გარდა თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისა» (გვ. 409).

ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას უთმობდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. სახელმწიფოთა შორის ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზე დამყარებული კარგი დამოკიდებულების მაგალითი იყო საბჭოთა რუსეთს, ავღანეთს, ირანსა და თურქეთს შორის 1921 წელს დადებული ხელშეკრულებანი მშვიდობისა და მეგობრობის შესახებ.

ტომში არის ჯგუფი წერილებისა, რომლებიც მიძღვნილია საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის საკითხებისადმი. დოკუმენტები გვიჩვენებენ, როგორ თანმიმდევრულად, უდრეკად იბრძოდა ვ. ი. ლენინი კომუნისტური

პარტიების განმტკიცებისათვის, მათი რიგების მონოლითურობისათვის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპის განხორციელებისათვის. მთელ რიგ წერილებსა და ბარათებში გამოთქმულია დიდმნიშვნელოვანი დებულებები კომინტერნისა და პროფინტერნის საქმიანობის შესახებ.

დოკუმენტების დიდი ნაწილი ბიოგრაფიულ მასალას შეიცავს; ბევრი წერილი და ბარათი გვიჩვენებს ვ. ი. ლენინის უაღრეს თავმდაბლობას, მის გულითად ზრუნვას ამხანაგებზე, პარტიისა და სახელმწიფოს მუშაკების, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მოღვაწეების ცხოვრების პირობებსა და ჯანმრთელობაზე.

ორმოცდამეხუთე ტომით მთავრდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემის დამატებითი ტომების გამოქვეყნება.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი

1920 წლის ნოემბერი—დეკემბერი

I

ს. პ. სერედას

6. XI. 1920 წ.

ამხ. სერედა!

მიხელსონის პატარა სტატიები რომ გამომიგზავნეთ, უაღრესად მნიშვნელოვნად მიმაჩნია !.

საჭიროა:

1) ახლავე მოათავსოთ ისინი (სტილის გასწორების, ერთ სტატიად შეერთებისა და რედაქტირების შემდეგ) «ი ზ ვ ე ს ტ ი ა ს ა» და «პ რ ა ვ დ ა შ ი».

2) დაურთოთ **თქვენი** ბოლოსიტყვაობა: დასკვნები (პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი).

3) მოკლე ამონაწერი მისცეთ რუსეთის დეპეშათა სააგენტოს რუსეთში დასაგზავნად.

4) ყოველივე ეს აუცილებლად უნდა შეიტანოთ α) თქვენს დაბეჭდილ მოხსენებაში საბჭოების ყრილობისათვის 20. XII. β) თქვენს სიტყვიერ მოხსენებაში (დედაარსი და **პრაქტიკული** დასკვნები).

ყოველივე ეს წინასწარ უნდა მოამზადოთ და სპეცებს **დროზე** შეასრულებინოთ ყველა მოსამზადებელი სამუშაო თქვენი მოხსენებებისათვის.

კომ. სალმით
ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

2

სახალხო კომისართა მცირე საბჭოს

მ ც ი რ ე ს ა ბ ჭ ო ს:

ბრიუხანოვი თანახმა არ არის.

ასეთი რამეების დეკრეტირება **არ** შეიძლება, თუ ყოველი ცალკე შემთხვევისათვის ბრიუხანოვის ზუსტი **წერილობითი** თანხმობა არ იქნა [2].

ლ ე ნ ი ნ ი

6/XI

დაწერილია 1920 წლის 6 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

3

დეპეშა სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

შ ი ფ რ ი თ
პ ი რ დ ა პ ი რ ი მ ა ვ თ უ ლ ი თ

სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს
პირი ტროცკის

ეს არის შევიტყვე, რომ ვრანგელისათვის წინადადება მიგიციათ დაგვნებდეს [3]. ფრიად მაკვირვებს პირობების უზომო დამთმობლობა. თუ მოწინააღმდეგე მათ მიიღებს, რეალურად უნდა უზრუნველყოთ, რომ აიღოთ ფლოტი და არ გაუშვათ არც ერთი გემი; ხოლო თუ მოწინააღმდეგე ამ პირობებს არ

მიიღებს, ჩემი აზრით, საჭირო არ არის მათი კვლავ გამეორება და ულმობლად უნდა გაუსწორდეთ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 12 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ე. მ. სკლიანსკის ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

4

ნ. პ. ბრიუხანოვს, პ. ი. პოპოვს, ვ. ა. ავანესოვს, მ. ფ. ვლადიმირსკის*

ამხ. ამხ. ბრიუხანოვს
პოპოვს
ავანესოვს
ვლადიმირსკის

ხომ არ შეიძლება, რომ მუშათა მომარაგების ნორმების რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს საკითხში შემოღებულ იქნეს ასეთი წესი:

1) დაწესდეს ნომრობით ნორმების რაოდენობის minimum-ი, მაგალითად:

ნორმა № 1 ჩვეულებრივი, minimum-ი
« № 2 რამდენადმე მეტი, ამდენი და ამდენი
« № 3
. . . . . .

და ა. შ. № 10-მდე, ყველაზე მაღალი ნორმა, თუ ნორმების მთელი რიცხვი შეიძლება შეიზღუდოს ათი ნორმით.

2) განისაზღვროს **ყოველთვიურად**, თუ მომხმარებელთა

---

* წერილის ზედა კუთხეში ვ. ი. ლენინი სწერს მდივანს: «გადაბეჭდეთ მანქანაზე და მომეცით ხელმოსაწერად». რ ე დ.

(მუშების ან მოსამსახურეების პლუს ოჯახის წევრების) რა რიცხვი იღებს **თითოეული ნორმის მიხედვით**.

ამის გაკეთება რომ მოხერხდეს, ზუსტად გვეცოდინებოდა, თუ რამდენი ნორმაა: ეს ერთი.

მე-2, ადვილად გადავიყვანდით ცალკეულ ჯგუფებს ერთი ნორმიდან მეორეში.

მე-3, ყოველთვის გვეცოდინებოდა, თუ რამდენი **მიეცა ნამდვილად** და მუშათა რა რიცხვს.

12/XI.

ლენინი

დაწერილია 1920 წლის 12 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

5

მ. ი. კალინინს

ამხ. კალინინ! გიგზავნით ციმბირის კონცესიების შესახებ დადგენილებათა პროექტებს, რომლებმაც კომისია გაიარეს (ეს პროექტები **სახკომსაბჭოს** მიერ დასამტკიცებლად გაიგზავნება, ალბათ, მომავალ კვირაში [4]). აქ ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის დამუშავებული საკითხი სწორედ **სასურსათო კონცესიების** შესახებ.

მიეძალეთ ამ საკითხს იმის მიხედვით, რაზეც დღეს გვქონდა ლაპარაკი.

ლენინი

12/XI.

დაწერილია 1920 წლის 12 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

6

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ტყავის მრეწველობის მთავარ სამმართველოს

ტყავის მრეწველობის მთავარ სამმართველოს

გთხოვთ დაუყოვნებლივ მაცნობოთ თქვენი დასკვნა სალანჩე ტყავის სუროგატის ბარიშნიკოვისეულ გამოგონებაზე, აგრეთვე საქმის მსვლელობა იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოგონება სასარგებლოდ სცანით [5].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

დაწერილია 1920 წლის 12 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

7

* სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების გამოგონებათა განყოფილებას

გთხოვთ მიპასუხოთ შემდეგ კითხვებზე:

1. რამდენი განცხადება განიხილეთ გამოგონებათა შესახებ განყოფილების შექმნის დროიდან და რამდენია ამჟამად განუხილავი.

2. რამდენია 1) აღიარებული სასარგებლოდ, 2) განხორციელებული (დაასახელეთ უმთავრესები).

3. თითოეული გამოგონების განხილვის წესი და ვადა და საქმის შემდგომი წარმართვა.

4. შეიძლება თუ არა, რომ რომელიმე დაწესებულებამ რაიმე გამოგონება განახორციელოს სამეცნიერო-ტექნიკური

---

* აქ და შემდგომ ასეთი ვარსკვლავით აღნიშნულია სათაურები, რომლებიც მოცემულია წყაროს მიხედვით. რ ე დ.

განყოფილების გამოგონებათა განყოფილების მიერ დასკვნის მიუცემლად.

5. ცნობილია თუ არა სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების გამოგონებათა განყოფილებისათვის.

ა) სალანჩე ტყავის სუროგატის ბარიშნიკოვისეული გამოგონება, და თუ ცნობილია, რა მსვლელობა მიეცა ამ საქმეს,

ბ) გამოგონება *

ვინ უდგას სათავეში გამოგონებათა განყოფილებას? [6]

13/XI—20 წ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

8

რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს

ვიღებ ნ. კ-ს** თითქმის ყველა შესწორებას და შემომაქვს კიდევ ერთი დამატება: დაემატოს **პოლიტიკურ**-საგანმანათლებლო და **სამეცნიერო**-საგანმანათლებლო მუშაობის შ ე ე რ თ ე ბ ი ს შესახებ. ამ შესწორებებითა და დამატებებით **შეიძლება მიღებულ** იქნეს ზინოვიევის [7] პროექტი.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 14 ნოემბერს

პირველად არასრულად დაიბეჭდა 1958 წელს ჟურნალში «ვოპროსი ისტორიი კპსს», № 1
მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* მანქანაზე დაბეჭდილი პირი, როგორც ჩანს, ნაკლულია. რ ე დ.

** ნ. კ. კრუპსკაიას. რ ე დ.

9

ა. მ. ანიქსტს

ამხანაგ ანიქსტს

ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. კოროლიოვის განცხადების გამო, რომ არ შესრულებულა შრომისა და თავდაცვის საბჭოს 5—X—20 წ. დადგენილება [8], აგრეთვე იმის გამო, რომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს შეუჩერებლივ მუშაობდეს ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიის საფეიქრო ფაბრიკები, რომლებსაც შეუძლიათ ნახევარ წელიწადში მოგვცენ **2,88** მლნ 60-არშინიანი ნ ა ჭ ე რ ი, ე. ი. 172,8 მლნ არშინი,—გავალებთ ხვალვე, 16—XI—20 წ., თქვენი თავმჯდომარეობით მოაწყოთ თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ ამხანაგები კოროლიოვი და წარმომადგენლები:

შესაბამისად თითოეული უწყების საკითხებზე

სურსათის სახალხო კომისარიატისაგან
სათბობის მთავარი სამმართველოსაგან
ნავთობის მთავარი სამმართველოსაგან
ტორფის მთავარი სამმართველოსაგან
სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან
ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან
გზათა სახალხო კომისარიატისაგან

ივანოვო-ვოზნესენსკის საგუბერნიო აღმასკომის მიერ აღძრულ სხვადასხვა საკითხებზე, რათა გამომუშავებულ იქნეს ზ უ ს ტ ი დადგენილებები და წარმომედგინოს ხელმოსაწერად ან წარდგენილ იქნეს შრომისა და თავდაცვის საბჭოში ოთხშაბათს, 17 — XI — 20 წ., ზუსტად საღამოს 6 საათზე [9].

15 — XI — 20 წ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ა. მ. ანიქსტის წიგნში: «მოგონებანი ვლადიმერ ილიას ძეს შესახებ», მოსკოვი

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

10

ს. პ. სერედას და ნ. პ. ბრიუხანოვს [10]

16. XI. 1920 წ.

კალუგის გუბერნიის მოსალსკის მაზრიდან.

1) ჯერ ცოცხალ პირუტყვს ართმევდნენ — ამან გლეხთა უკიდურესი უკმაყოფილება გამოიწვიაო. იმასაც კი ამბობდნენ, «გვძარცვავენო».

შემდეგ (1920 წ. X-ში) იმაზე გადავიდნენ, რომ ართმევდნენ არა ცოცხალ პირუტყვს, არამედ ხორცსო (13 გირვანქას ძროხაზე, 26 გირვანქას ღორზე, 7 გირვანქას ცხვარზე და ა. შ.). გლეხები ძალიან კმაყოფილი იყვნენ ასეთი ცვლილებით.

ახლა ისევ ცოცხალი პირუტყვის გამორთმევა დაიწყეს: გლეხები კვლავ უკმაყოფილონი და გაბოროტებული არიან.

2) სილკოვსკის თემი, ყოფილი ბარიატინსკის (და შემდეგ გერმანელის, რაღაც შალარტის მსგავსის) მამული, ალბათ, 1000 დესეტინაზე მეტია.

მთლიანად გადასცეს საბჭოთა მეურნეობას, მიწა დაუმუშავებელია, ხაზინას კი მილიონებს ართმევენო, 1920 წელს 5 დესეტინაზე მეტი არ მოუხნავთო. დარჩა 10 ცხენი (იყო 100-მდე), ძროხა 30-40 (იყო 200). არავინ თავს არ იწუხებს. ავეჯი დაიტაცეს და ა. შ.

გარშემო მცხოვრებ გლეხებს ძ ა ლ ი ა ნ ესაჭიროებათ მიწა და ძალიან ჩივიან, რომ არ აძლევენ არც მდელოებს, არც მიწას.

(ნიკ. სიმონის ძე ბოდიაკოვი, ს ი ლ კ ო ვ ს კ ი ს თემი, კალუგის გუბერნიის მოსალსკის მაზრის სოფელი ფ ი ლ ი პ კ ო ვ ო).

ვთხოვ ამხანაგებს ბრიუხანოვსა და სერედას შეუკვეთონ ცნობა და მომცენ არა უგვიანეს **ორი** დღისა.

შეიძლება დაკმაყოფილება? ან რა იწვევს დაბრკოლებას?!!

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

11

ვ. ა. ავანესოვს

ამხ. ავანესოვ!

ამხ. ჩუცკაევი თანახმაა, გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს ი ს ს ა ხ ი თ, მისცეს აქ 36 მილიონი ფულის ნიშნები (ასიგნებულიდან) ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს ნიჟნი ნოვგოროდის რადიოლაბორატორიისათვის *.

გთხოვთ ნება დართოთ, ვინაიდან საქმე, ჩემი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი და სასწრაფოა.

თუ თანახმა არა ხართ, დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ დამირეკეთ.

ლ ე ნ ი ნ ი

17/XI.

დაწერილია 1920 წლის 17 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* ნიჟნი ნოვგოროდის რადიოლაბორატორიაზე იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, დოკუმენტები 236, 264; ტომი 44, დოკუმენტები 519, 520 და ეს ტომი, დოკუმენტი 132. რ ე დ.

12

*ტელეფონოგრამა ა. მ. ლიუბოვიჩს

მეტად გაოცებული და აღშფოთებული ვარ, რომ, მიუხედავად ჩვენი გუშინდელი ლაპარაკისა ტელეფონით, თქვენ 17/XI არ შეგიტანიათ შრომისა და თავდაცვის საბჭოში საკითხი ნიჟნი ნოვგოროდის რადიოსადგურის შესახებ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 17 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება მ. ი. გლიასერის ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

13

გ. ვ. ჩიჩერინს

ამხ. ჩიჩერინ! ცნობები ინგლისიდან, განსაკუთრებით კრასინისაგან (და გაზეთების ამონაწერები), და სპეციალურად ცნობა, რომ ამერიკა მაშინვე შეუერთდება (რუსეთისა და ინგლისის სავაჭრო შეთანხმებას), აყენებენ როგორც მორიგსა და უაღრესად მნიშვნელოვანს ინგლისთან სავაჭრო შეთანხმების საკითხს [12].

თუ საკითხი დგას peace or war*, იგი უნდა დაუკავშირდეს ბათუმსა და საქართველოს [13].

შემდეგ ვალების საკითხი **უაღრესად ზუსტად** უნდა გაირკვეს, რომ გადახდა არ დაგვაკისრონ.

სავაჭრო შეთანხმება თუ იქნება, ვ ი ნ უნდა მოაწეროს მას ს ა ბ ო ლ ო ო დ ხელი? მარტო კრასინმა? თუ სახკომსაბჭომ?

---

* — მშვიდობა თუ ომი. რ ე დ.

ეს საკითხი ძალიან სწრაფად უნდა მომზადდეს **ყველა**მის ნაწილში.

19/XI.

კომ. სალმით ლენინი

დაწერილია 1920 წლის 19 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

14

დავალებები მდივანს [14]

1

გამოითხოვეთ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოდან მოხსენება მოსკოვის გუბერნიის ვოლოკოლამსკის მაზრის იაროპოლეცის თემის (თუ იაროპოლეცის რაიონის) ელექტრიფიკაციის შესახებ [15].

მთავარია სპილენძი.

ინჟინერი **რინგო,** მოსკოვის გუბერნიის ელექტროგანყოფილების გამგე, იმის მომხრეა, რომ ამუშავდეს ადგილობრივი ელექტროსაარმატურო ქარხნები (ვიშნიაკოვისა და შამშინისა, მაგალითად, მოსკოვში), ნედლეული კი, სხვათა შორის, არის **სამხედრო ოლქის რაიონული განყოფილების** საწყობში (მოსკოვის გუბერნიის საარტილერიო საწყობი, მოსკოვიდან 9 ვერსზე: მილიონობით ფუთი სპილენძია, რომელიც ომის დროს სხვადასხვა ადგილებიდან, განსაკუთრებით პოლონეთიდან იყო მოზიდული).

(რინგოს შესახებ გაიკითხეთ)

(1) დახმარება გაუწიეთ ელექტრიფიკაციას

(2) სახალხო განათლება

(3) მესელეობა.

2

შეინახეთ **საიდუმლოდ** და გამახსენეთ, როცა ჩემთან იქნება კირილინი იაროპოლეციდან (ვოლოკოლამსკის მაზრა).

დაწერილია: 1-ლი 1920 წლის
19 ნოემბერს
მგ-2 — 1920 წლის 20 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

15

ა. მ. ანიძსტს

20/XI — 20 წ.

ამხ. ანიქსტს

გთხოვთ ხვალვე მოაწყოთ თათბირი შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენლებთან:

საწარმოო ტანსაცმლის
ქვანახშირის მთავარი სამმართველოს
და «ჩუსოს»* და მთავარტანსაცმლის

დონბასის[16] მომარაგების შესახებ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების შეუსრულებლობის მიზეზთა გამოსაკვლევად (ტროცკის 20/XI — 20 № 69/5 დეპეშის თანახმად) და დავალების საჩქაროდ შესრულებისათვის სასწრაფო ზომების მისაღებად[17].

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით

---

* «ჩუსოსნაბარმ»—თავდაცვის საბჭოს საგანგებო რწმუნებული წითელი არმიისა და ფლოტის მომარაგების დარგში. რედ.

16

მცირე სახკომსაბჭოს [18]

მ ც ი რ ე ს ა ბ ჭ ო ს

ჩემი აზრით, უნდა დაემატოს მუხლი (ან შენიშვნა):

§ 4-ში აღნიშნული წესები უნდა შემუშავდეს **ამა და ამ** (მოკლე) ვადაში და მოხსენდეს მცირე სახკომსაბჭოს.

NB:
(1) პოლიტცოდნა
(2) და კომუნისტური პროპაგანდა

NB:
შეტანილ უნდა იქნეს
კურსში.
როგორი კონტროლი.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის ნოემბერში,
20-ის შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

17

სახელმწიფო გამომცემლობას

გთხოვთ **აუცილებლად** გამოსცეთ ვადაზე და **მ ა ზ ი ნ ვ ე** მაცნობოთ [19].

26/XI. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 26 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

18

გ. ვ. ჩიჩერინს

ამხ. ჩიჩერინ! ხაზგასმული სრულიად დაუშვებელია[20]. [illegible] ვალდებულია ზ უ ს ტ ა დ გაატაროს **გადაწყვეტილება** სახკომსაბჭოსი, **რომელმაც გააუქმა** გრომანის კომისია. [illegible] ცენტრალურ კომიტეტში არ გაგიპროტესტებიათ ეს გადაწყვეტილება. 7. IX-ის გადაწყვეტილება, და თხზავთ [illegible] «უთანხმოებებს» (სად? ვისი? რას ნიშნავს «უთანხმოებები», როცა არის **სავალდებულო** გადაწყვეტილება? თქვენ [illegible]). როგორ შეუძლია საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს იმედი ჰქონდეს «აამოქმედოს» სახკომსაბჭოს [illegible]. ეს წარმოუდგენელია. ეს ქაოსი და დეზორგანიზაციაა. სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებებს აფერხებთ თქვენ, [illegible] აბსოლუტურად დაუშვებელია.

29/XI. ლ ე ნ ი ნ ი

[illegible] 1920 წლის 29 ნოემბერს

[illegible] დაიბეჭდა 1965 წელს
[illegible] ლენინის თხზულებათა
[illegible] კრებულში, ტომი 52

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

19

ა. ვ. ლუნაჩარსკის

[illegible] ამხანაგებს ლიტკენსს, სოლოვიოვს, კრესტინსკის

29/XI.

ამხ. ლუნაჩარსკი! გუშინ დაწვრილებით ვესაუბრეთ ამხ. ლიტკენსს. ჩემი აზრით, მისი და ამხ. სოლოვიოვის პროექტები [illegible] [illegible]ია[21]. გადაწყვეტს, რა თქმა უნდა, ცეკა. ჩემი წინადადები [illegible] [illegible]ზრებანი ასეთია:

1) შეიქმნას სახკომის თანაშემწის თანამდებობა და მ თ ე-ლ ი ადმინისტრირება მას გადაეცეს.

2) «საორგანიზაციო სექტორი» გარდაიქმნას «საორგანიზაციო ცენტრად» (რომელსაც ეყოლება გამგე — კოლეგიის წევრი). ეს ცენტრი განაგებს ყ ვ ე ლ ა სექტორის ადმინისტრაციულ, საორგანიზაციო, მომარაგებისა და სხვ. ამგვარ ნაწილს.

3) პროფესიული განათლების მთავარი სამმართველო მოისპოს და იგი შეუერთდეს მ ე-2 ს ა ფ ე ხ ურ ი ს ს კ ო ლ ა ს შემდეგი **პირობით:** (α) მე-2 საფეხურის სკოლებში გადიდდეს საერთო-საგანმანათლებლო და პოლიტიკური საგნები და (β) **უზრუნველყოფილ** იქნეს, შეძლებისამებრ, პროფესიულ-ტექნიკური განათლებიდან პოლიტექნიკურ განათლებაზე გადასვლა.

4) სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო გამოცოცხლდეს და მოწესრიგდეს, როგორც ყველა სამეცნიერო-პედაგოგიური საკითხის განხილვის ორგანო.

შემადგენლობა = კოლეგიის ყველა წევრი + საუკეთესო **სპეციები**, თუნდაც ბურჟუაზიულნი.

5) სექტორები ასეთი შეიქმნას: (1) სკოლამდელი; (2) 1-ლი საფეხურის სკოლისა; (3) მე-2 საფეხურის სკოლისა (= პროფგანათლების მთავარი სამმართველო); (4) სკოლისგარეშე (= პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო); (5) უმაღლესი სკოლა; (6) სამხატვრო.

6) სამხატვრო სექტორი დატოვებულ იქნეს როგორც ერთიანი სექტორი, ამ სექტორის ყველა ცენტრალურ და ხელმძღვანელ დაწესებულებაში დაყენებულ იქნენ «პ ო ლ ი ტ-კ ო მ ე ბ ი» კ ო მ უ ნ ი ს ტ ე ბ ი ს ა გ ა ნ.

29/XI. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 29 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

18

ბ. ვ. ჩიჩერინს

ამხ. ჩიჩერინ! ხაზგასმული სრულიად დაუშვებელია[20]. სახკომი ვალდებულია ზუსტად გაატაროს **გადაწყვეტილება** სახკომსაბჭოსი, **რომელმაც გააუქმა** გრომანის კომისია. თქვენ ცენტრალურ კომიტეტში არ გაგიპროტესტებიათ ეს გადაწყვეტილება, 7. IX-ის გადაწყვეტილება, და თხზავთ რაღაც «უთანხმოებებს» (სად? ვისი? რას ნიშნავს «უთანხმოებანი», როცა არის **სავალდებულო** გადაწყვეტილება? თქვენვე ქმნით). როგორ შეუძლია საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს იმედი ჰქონდეს «აამოქმედოს» სახკომსაბჭოს საწინააღმდეგოდ, ეს წარმოუდგენელია. ეს ქაოსი და დეზორგანიზაციაა. სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებებს აფერხებთ თქვენ, და ეს აბსოლუტურად დაუშვებელია.

29/XI. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 29 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

19

ა. ვ. ლუნაჩარსკის

პირები ამხანაგებს ლიტკენსს, სოლოვიოვს, კრესტინსკის

29/XI.

ამხ. ლუნაჩარსკი! გუშინ დაწვრილებით ვესაუბრეთ ამხ. ლიტკენსს. ჩემი აზრით, მისი და ამხ. სოლოვიოვის პროექტები ხელოვნურია[21]. გადაწყვეტს, რა თქმა უნდა, ცეკა. ჩემი წინასწარი მოსაზრებანი ასეთია:

1) შეიქმნას სახკომის თანაშემწის თანამდებობა და მ თ ე-ლ ი ადმინისტრირება მას გადაეცეს.

2) «საორგანიზაციო სექტორი» გარდაიქმნას «საორგანიზაციო ცენტრად» (რომელსაც ეყოლება გამგე — კოლეგიის წევრი). ეს ცენტრი განაგებს ყ ვ ე ლ ა სექტორის ადმინისტრაციულ, საორგანიზაციო, მომარაგებისა და სხვ. ამგვარ საწილს.

3) პროფესიული განათლების მთავარი სამმართველო მოისპოს და იგი შეუერთდეს მ ე-2 ს ა ფ ე ხ ურ ი ს ს კ ო ლ ა ს შემდეგი **პირობით:** (α) მე-2 საფეხურის სკოლებში გადიდდეს საერთო-საგანმანათლებლო და პოლიტიკური საგნები და (β) უზრუნველყოფილ იქნეს, შეძლებისამებრ, პროფესიულ-ტექნიკური განათლებიდან პოლიტექნიკურ განათლებაზე გადასვლა.

4) სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო გამოცოცხლდეს და მოწესრიგდეს, როგორც ყველა სამეცნიერო-პედაგოგიური საკითხის განხილვის ორგანო.

შემადგენლობა = კოლეგიის ყველა წევრი + საუკეთესო **სპეცები,** თუნდაც ბურჟუაზიულნი.

5) სექტორები ასეთი შეიქმნას: (1) სკოლამდელი; (2) 1-ლი საფეხურის სკოლისა; (3) მე-2 საფეხურის სკოლისა (= პროფგანათლების მთავარი სამმართველო); (4) სკოლისგარეშე (= პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო); (5) უმაღლესი სკოლა; (6) სამხატვრო.

6) სამხატვრო სექტორი დატოვებულ იქნეს როგორც ერთიანი სექტორი, ამ სექტორის ყველა ცენტრალურ და ხელმძღვანელ დაწესებულებაში დაყენებულ იქნენ «პ ო ლ ი ტ-კ ო მ ე ბ ი» კ ო მ უ ნ ი ს ტ ე ბ ი ს ა გ ა ნ.

29/XI. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 29 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

20

ს. ე. ჩუცკაევს

ამხ. ჩუცკაევს

ფულადი გადასახადების გაუქმების კომისიას [22]

უფრო მეტად უნდა დაუფიქრდეთ (და უფრო დეტალურად შეისწავლოთ საკანონმდო ფაქტები) გარდამავალი ეპოქის პირობებს.

ფულიდან უფულო პროდუქტგაცვლაზე გადასვლა უდავოა.

ეს გადასვლა წარმატებით რომ დამთავრდეს, საჭიროა განხორციელდეს პროდუქტგაცვლა (არა) საქონელგაცვლა).

სანამ არ ძალგვიძს განვახორციელოთ საქონელგაცვლა, ე. ი. ვაძლიოთ გლეხობას სამრეწველო პროდუქტები, — მანამდე გლეხობა **იძულებულია** რჩებოდეს სასაქონლო (მაშასადამე, ფულადი) ბრუნვის ნამსხვრევებზე, მის სუროგატზე.

სუროგატის (ფულის) გაუქმება, სანამ გლეხობისათვის ჯერ არ მიგვიცია ის, რაც ზედმეტს ხდის სუროგატის საჭიროებას, **ეკონომიურად** არასწორია.

ეს **ძლიერ** სერიოზულად უნდა მოვიფიქროთ.

ლენინი

30/XI.

დაწერილია 1920 წლის 30 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალ «ვესტნიკ ფინანსოვის» № 1-ში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

21

ნ. პ. ბრიუხანოვს

30. XI. 1920 წ.

ამხ. ბრიუხანოვს

გთხოვთ მაცნობოთ, მიიღეთ თუ არა პოლიტბიუროს დადგენილება სურსათით ბაქოს 100%-იანი ნორმით მომარაგების შესახებ და აზერბაიჯანში სასურსათო პოლიტიკის ცვლილებათა შესახებ[23] და რა განკარგულებები მიეცით ამ დადგენილებასთან დაკავშირებით ამხ. ფრუმკინს (გთხოვთ გამომიგზავნოთ ფრუმკინისადმი თქვენი დეპეშის პირი)*.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელიც შევსებული და ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

22

ა. მ. ამოსოვს

ამხ. ამოსოვს

გუშინ საღამოს, თქვენ შემდეგ, მითხრეს, სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ თავისი

* სიტყვები «და აზერბაიჯანში სასურსათო პოლიტიკის ცვლილებათა შესახებ», «ფრუმკინისადმი თქვენი» დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

გადაწყვეტილება გამოიტანაო[24]. ჩემი რჩევაა დაემორჩილოთ ამას და მთელი ყურადღება მიაპყროთ მზრუნველობით შესრულებას (სწრაფად, მტკიცედ. ყრილობის მომზადე.).

ეს მხოლოდ რჩევაა.

ხოლო თუ თქვენ ყველანი მაინც არა ხართ თანახმა, რჩება ერთი გზა — სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება ცეკაში (პოლიტბიუროში ან პლენუმში).

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1920 წლის 12 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება
მანუსკრიპტზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

23

ა. დ. ციურუპას

14. XII. 1920 წ.

ამხ. ციურუპა!

მე უკვე მქონდა შემთხვევა სახკომსაბჭოში მიმეთითებინა, რომ რამდენადმე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საქმე სასურსათო კომიტეტის განაწილების განყოფილებაში: რიგიანად ვერ გამოუანგარიშებიათ, **რამდენი** გვაქვს განაწილების ნორმა და რამდენი ადამიანი იღებს თითოეული ნორმის მიხედვით.

ამას უნდა მივაღწიოთ.

რა თქმა უნდა, მიზნობრივი მომარაგების დარღვევა არ შეიძლება. მუშები პირველ ადგილზე უნდა იდგნენ.

შესაძლებლად ხომ ვერ მიიჩნევთ შეიქმნას კომისია სასურსათო კომიტეტის შიგნით, რათა აღნიშნული მხრივ გაუმჯობესდეს საქმე? თუ კომისია არის, მიეცეს მას ასეთი დავალება. კომისიაში შეყვანილ იქნენ მომეტებულად მუშები (პროფკავშირებისაგან), რომლებსაც უმუშავიათ სასურსათო კომიტეტში (ან შეძლებისამებრ იმ მუშებისაგან, რომლებსაც ადგილებზეც აქვთ სასურსათო მუშაობის ერთგვარი გამოცდილება).

ეს წერილი აჩვენეთ ამხ. კრესტინსკის. თუ იგი მოგვცემს თავის (და პოლიტბიუროს სხვა წევრთა) თანხმობას, მაშინ გადავაქციოთ ეს ცეკას დირექტივად.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

24

ა. დ. ციურუპას

ძვირფასო ამხ. ციურუპა!

პლენუმის გადაწყვეტილება სვიდერსკით დიდი ხნისა და ხანგრძლივი უკმაყოფილების შედეგია[25].

მუშათა განცხადებამ დ ა, რ ა ც მ თ ა ვ ა რ ი ა, პ რ ო ფ კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ს მ ი ე რ მ ი ს მ ა მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ა მ მოთმინების ფიალა აავსო.

პირადად მე არ შემეძლო არ მეცნო მუშათა სურვილი სწორად და მათი სურვილის დაკმაყოფილება პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ უ თ უ ო დ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ.

მესმის, რომ თქვენთვის ეს მტკივნეულია. მაგრამ პოლიტიკური ინტერესი (ისევე როგორც პარტიის გადაწყვეტილე-

ბა) უთუოდ მოითხოვს დამორჩილებას. სვიდერსკის საუცხოოდ გამოიყენებთ ისეც, რომ იგი კოლეგიის წევრი არ იყოს. გამუშურებას ხელი უნდა მოჰკიდოთ; მესმის, რომ მუშაობით დატვირთული ხართ და მთელი ყურადღება ვერ დაუთმეთ გამუშურების საკითხს. მესმის, რომ ათასნაირი საქმეებისა და ავადმყოფობის გამო შეუძლებელი იყო ყურადღებით გედევნებინათ თვალი პარტიულ-პოლიტიკური მხარისთვისაც.

რა არის აქ გასაკვირველი?

ნუ ნერვიულობთ. მტკივნეული უნდა გადაიტანოთ. დაემორჩილოთ ცეკას გადაწყვეტილებას და განახორციელოთ იგი.

მოსვლა არ შემიძლია: სხდომა მიმდინარეობს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 14 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

25

მ. ი. ფრუმკინს

14. XII. 1920 წ.

ამხ. ფრუმკინ!

გწერთ კოლეგიიდან თქვენი (და სვიდერსკის) გარიცხვის გამო. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ასეთი წევრების შესახებ, ჩემი აზრით, პედანტურად უნდა გატარებულიყო — ცეკამ ასეც გადაწყვიტა[26]. პოლიტიკური პირობები მოითხოვს უაღრეს სიფრთხილეს ამ საკითხში, ისევე როგორც გამუშურების საკითხში. იმედი მაქვს, სავსებით მიხვდებით, რომ ეს პოლიტიკური მოსაზრებანი, რომლებიც ცეკამ მოიწონა, არავითარ

შენთხვევაში არ უნდა იქნეს და არც შეიძლება იქნეს გაგებული (თუმცა იყო ამის ჭორიკანული ცდები) პირადი უნდობლობის, პირადი უნარის შეუფასებლობის და სხვ. თვალსაზრისით.

კოლეგიის ახალი უთქვენო შემადგენლობა უნდა მიიღოთ, როგორც პოლიტიკური აუცილებლობა, და მ უ შ ა ო ბ ი თ მ ი ა ღ წ ი ო თ (პირადად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენთვისაც და სვიდერსკისთვისაც ეს არა მარტო ადვილი იქნება, არამედ თქვენი მუშაობის განგრძობით ეს თავისთავად გაკეთდება) — მუშაობით მიაღწიოთ იმას, რომ გაქარწყლდეს უნდობლობა და ეჭვები (რომ არა გსურთ «გამუშურება», არა გსურთ უფრო მეტი დემოკრატიზმი და ა. შ.). ოფიციალური მაღალი წოდების (კოლეგიის წევრი) უქონლად გააკეთოთ ისე, რომ მ უ შ ა ო ბ ა მ გააქარწყლოს ყველა ცილისწამება, მუშათა და პროფკავშირთა ყველა შიში: ეს არის არსი. ვიმეორებ, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ და სვიდერსკი ამას გაიგებთ და ადვილად შეძლებთ. ეს და **მხოლოდ** ეს არის საქმის არსი.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

..]

26

გ. ვ. ჩიჩერინს

14/XII.

ამხ. ჩიჩერინ! გუშინ ჩემთან იყო ტერ-გაბრიელიანი და იმანაც ილაპარაკა რბევის მრისხანე საშიშროებაზე.

(1) 600 000 სომეხი ლტოლვილი იღუპებაო.

(2) უყარსოდ ბაქოს საფრთხე მოელისო [27].

ჩემი აზრით, საჭიროა გამოკყოთ № (1) № (2)-საგან და **ყოველნაირად** დაუეხმაროთ № (1)-ში.

თქვენი აზრი? და რას აკეთებთ № (1)-თან დაკავშირებით?

კომ. სალამით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 14 დეკემბერს
პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

27

დეპეშა 1-ლი შრომითი არმიის საბჭოს, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ურალის საოლქო ბიუროს, ეკატერინბურგის საგუბერნიო აღმასკომს, ურალის უნივერსიტეტს

ეკატერინბურგი, 1-ლი შრომითი არმიის საბჭოს,
რკპ ცენტრალური კომიტეტის საოლქო ბიუროს,
საგუბერნიო აღმასკომს, ურალის უნივერსიტეტს

გიბრძანებთ დაუყოვნებლივ გაათავისუფლოთ ურალის უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი შენობა და მომავალში თვითნებურად არ დაარღვიოთ უნივერსიტეტის მუშაობა. გაფრთხილებთ, რომ დამნაშავენი სამართალში იქნებიან მიცემული.

17/XII—20 წ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

28

დიდი თეატრის კომენდანტს[28]

წინადადებას გაძლევთ არ დააბრკოლოთ და არ შეწყვიტოთ მხატვარ როდიონოვის, ინჟინერ სმირნოვისა და მონტიორების მუშაობა, რომლებიც ჩემი დავალებით დიდი თეატრის შენობაში საბჭოების VIII ყრილობისათვის[29] ამზადებენ ელექტრიფიკაციის რუკებს. მუშაობას დაამთავრებენ კვირას. არამც და არამც არ გაყაროთ ისინი *.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1920 წლის 18 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელიც შევსებული და ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

29

სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობას

გთხოვთ ეს რუკა ჩამოკიდოთ აქაც და მცირე საბჭოს შენობაშიც და დაურიგოთ (დანარჩენი ეგზემპლარები) მოსკოვის მუშათა კლუბებს[30], წინასწარ სთხოვოთ ნ. პ. გორბუნოვს, ხომ არ შეიძლება ამავე რუკაზე **დამატებით დაიხატოს** თუნდაც **მწვანე** ხაზებითა და მწვანე შტრიხებით ახლანდელი საზღვრები:

---

* უკანასკნელი ორი ფრაზა დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რედ

(α) დასავლეთის «ფრონტი» (ფინეთი, ესტლანდია, ლატვია, პოლონეთი, რუმინეთი)

(β) ყირიმი

(γ) საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი

(δ) შუა აზია, ბუხარა

(ε) შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა

(ξ) შორეული აღმოსავლეთის საზღვრები

ეს არის და ეს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წლის 21 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

30

დეპეშა ლ. ბ. კრასინსა და ნ. ა. კლიშკოს

კ რ ა ს ი ნ ს ა და კლიშკოს:

ძალიან გთხოვენ იყიდოთ და ჩამოიტანოთ პოპულარული სახელმძღვანელოები პრაქტიკულ ელექტროტექნიკაში — ინგლისური და ამერიკული, სრული კომპლექტი. თხოვნას მხარს ვუჭერ.

ლ ე ნ ი ნ ი*

დაწერილია 1920 წლის 31 დეკემბერს
გაგზავნილია ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* ქვემოთ ვ. ი. ლენინს მიუწერია: «ამხ. ჩიჩერინ! ძალიან გთხოვთ ეს დეპეშა გაგზავნოთ დღესვე, 31/XII. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი». რ ე დ.

31

ნ. პ. ბრიუხანოვს*

31. XII. 1920 წ.

ამხ. ბრიუხანოვს

ამხ. ნარიმანოვი აყენებს სასწრაფო საკითხს, რომ აუცილებლად საჭიროა მიეცეს აზერბაიჯანს მანუფაქტურა გარკვეული რაოდენობით.

გთხოვთ ამის თაობაზე ხვალ მოიწვიოთ თათბირი, რომელზეც იქნებიან ამხანაგები ნარიმანოვი, რიკოვი და სტალინი.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

32

ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს

მიიღეთ სემაშკოს ბრძანება? [31]

ძალიან გთხოვთ მთელი ძალ-ღონე დაძაბოთ ამის შესასრულებლად და ყოველკვირეულად მაცნობოთ ფაქტობრივი შედეგები, **რა გაკეთდა.**

დაწერილია 1920 წლის დეკემბერში

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* ბარათის ზედა ნაწილში ვ. ი. ლენინს, როგორც ჩანს, შემდგომ მიუწერია: «ბრიუხანოვი შეუთანხმდა ნარიმანოვს». რ ე დ.

33

ე. მ. სკლიანსკის

საჭიროა **სამართალში** მისცეთ (მაგალითის საჩვენებლად) ხმების გავრცელებისათვის 1—2 პირი[32].

დაწერილია 1920 წელს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

34

ბელა კუნის ბროშურის გამო[33]

ბროშურაში კარგია ავტორის **რევოლუციურ** რწმენათა სიმტკიცე, რევოლუციისადმი მისი ურყევი რწმენა. კარგია შენიშვნები პარტიის შესახებ, როგორი უნდა იყოს იგი. კარგია სოციალ-დემოკრატების კრიტიკა.

მაგრამ **უდიდესი** ნაკლია, რომ სრულებით არ არის ფაქტები. ამის გამო ბროშურა სუსტია. 55 გვერდიდან 40 უნდა შეევსო ზუსტი ფაქტებით (უნგრეთის ს.-დ. პარტიისა და **რევოლუციის**, აგრეთვე კონტრრევოლუციის ისტორია) — მოეცა ფაქტების კონსპექტი და დაეტოვებინა 15 გვერდი შეფასება.

თუ ამნაირად არ გადაკეთდა, ბროშურა მეტად სუსტია, უვარგისია მოსახმარად.

დაწერილია 1920 წელს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის **თხზულებათა** მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება **ხელნაწერის** მიხედვით

35

ე. მ. სკლიანსკის

ერთი დღეც არ უნდა მისცე მოსვენება (სულ ტყავი უნდა გააძრო) მთავარსარდალსა * და ფრუნზეს **, რომ მ ო ს პ ო ნ და შ ე ი პ ყ რ ო ნ ანტონოვი და მახნო.

დაწერილია 1920 წლის დამლევს — 1921 წლის დასაწყისში

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* რსფსრ შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალი.—ს. ს. კამენევი. რ ე დ.

** მ. ვ. ფრუნზე, რომელიც ვრანგელის განადგურების შემდეგ უკრაინისა და ყირიმის ჯარების სარდლად დაინიშნა, ხელმძღვანელობდა მახნოს ბანდებისა და სხვა ბანდიტური ჯგუფების ლიკვიდაციას უკრაინაში. რ ე დ.

1921 წ.

36

ნ. პ. გორბუნოვს

ერთხელ კიდევ ამხ. ნ. პ. გორბუნოვს

ამხ. გორბუნოვ! დაუკავშირდით სემაშკოსა და მ. ნ. პოკროვსკის. **სასკანდალო** საქმეა. **საჭიროა** ორივესთან შეთანხმებით შეადგინოთ ჩემი **პასუხის** პროექტი და გამომიგზავნოთ [34].

2/I. 1921. ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

37

ბ. ვ. ჩიჩერინს

ამხ. ჩიჩერინ!

ჩემი აზრით, 30-ც ბევრია. იოფე ხომ დაგვპირდა. **ოქროს არ მივცემთ,** არამედ მხოლოდ კონცესიებსო.

ჩემი აზრით, 30-ც არ უნდა მივცეთ [35].

ლენინი

დაწერილია 1921 წლის იანვარში,
არა უადრეს 3-ისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

38

გ. ვ. ჩიჩერინს

ამხ. ჩიჩერინ!

პრინციპულად, რა თქმა უნდა, დასაშვებია. მაგრამ ღირს კი? არა მგონია. პრაქტიკულად ნულია. ნულის გულისათვის ბელა კუნისა და ამხანაგების «განაწყენება» არა ღირს. ვგონებ, უფრო ხელსაყრელია **მხოლოდ** მძევლების გაცვლა სახალხო კომისრებზე [36].

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის იანვარში,
არა უადრეს 4-ისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში. ტომი 52

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

39

ნ. პ. გორბუნოვს

ამხ. **გორბუნოვ!** ესენი ყველანი სოფელ მოდენოვოდან არიან (იხ. მეორე მხარე). განიხილეთ და დ ა ე ხ მ ა რ ე თ მ ა თ. გვთხოვენ შევუმციროთ გაწერა (იხ. მეორე მხარე). შეეკითხეთ სურსათის სახალხო კომისარიატს და მითხარით [37].

ამხანაგო, ვისაც ველაპარაკე,
შრომის სათემო კომიტეტის წევრი
პ ე ტ რ ე კ ო ზ ლ ო ვ ი ა*

* მთელი ბარათი დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ მისთვის გაგზავნილი წერილის კონვერტზე. ამის ქვემოთ მოყვანილი ტექსტი დაწერილია კონვერტის მეორე მხარეზე. რ ე დ.

მ ო დ ე ნ ო ვ ი

მოსკოვის გუბერნიის **ვერეის** მაზრის ბოგოროდსკის თემის სოფელი მ ო დ ე ნ ო ვ ი.

გაწერა შეასრულეს

თივისა	**2000 — 200**	
ნამჯისა	200 — 200	
საგაზაფხულო ნამჯისა	110 — —	
პურისა	**244 — 43**	ნ ე ბ ა ყ ო ფ ლ ო ბ ი თ **ჩ ა ა ბ ა რ ე ს...**
შვრიისა	540 — 19	
კარტოფილისა	115 (დაახლ.) — 115	
ქათმებისა	მთლიანად	
კვერცხისა	მთლიანად	
ხორცისა	78 ფუთი — 78 ფუთი	

თხოვნაა: შევუმციროთ თივისა და პურის გაწერა (გვეშინია რაზმებისა).

დაწერილია 1921 წლის 6 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

40

ნ. პ. გორბუნოვს

ამხ. გორბუნოვ!

საჭიროა

1) ათარგმნინოთ გერმანულად (კ ა რ გ ა დ),

2) შეამოწმოთ (სემაშკოსთან და მ. ნ. პოკროვსკისთან ან მათი მ ე შ ვ ე ო ბ ი თ) ხომ არ შეიძლება დაემატოს,

რომ პავლოვი არ თხოულობდა წასვლას (სწორია თუ არა, რომ მას წასვლა არ უნდოდა?),

რომ მას მიეცა ასეთი და ასეთი შეღავათები.

იმის გამო, რომ ჩემი წერილი შეიძლება გამოაქვეყნონ, **ძალიან სასურველია** დაემატოს ეს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. დამიბრუნეთ ყ ვ ე ლ ა ეს დოკუმენტი.

დაწერილია 1921 წლის 6 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

41

ნ. პ. გორბუნოვს

12/I. 1921.

ამხ. **გორბუნოვ! ძალიან** გთხოვთ ახლავე დაურეკოთ საგუბერნიო (მოსკოვის) სახალხო მეურნეობის საბჭოს, ელექტროგანყოფილებას, და ყოველნაირად დააჩქაროთ ეს საქმე, მ ი ი ყ ვ ა ნ ო თ ბ ო ლ ო მ დ ე, განახორციელოთ. ყოველი შეფერხების შესახებ შემატყობინეთ.

ლ ე ნ ი ნ ი

ჩემდათავად ვურთავ ინჟინრის (საბჭოთა მეურნეობა «გორკაში») გაანგარიშებას იმის შესახებ, რაც საჭიროა.

თუ ეს არ არის მოსკოვის სახალხო მეურნეობის საგუბერნიო საბჭოში (ელექტროგანყოფილებაში), გ ა უ გ ზ ა ვ ნ ე თ მ ა თ პ ი რ ი.

იქნებ შეგემოწმებინათ: მოთხოვნა მეტისმეტი ხომ არ არის? [38].

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

42

ტელეფონოგრამა
ა. ვ. ლუნაჩარსკისა და ე. ა. ლიტკენსს

გთხოვთ ტელეფონოგრამით დამიდასტუროთ, რომ განათლების პარტმუშაკების ამასწინანდელი თათბირის რეზოლუციები, ის რეზოლუციები, რომლებიც ეხება სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციას, არ ხორციელდება, ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, ვიდრე ეს რეზოლუციები პარტიის ცენტრალურ კომიტეტში არ იქნება განხილული [39].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 14 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მ. ი. გლიასერის
ხელით დაწერილი
პირის მიხედვით

43

ნ. პ. გორბუნოვს

ამხ. გორბუნოვს!

1) რაც შეეხება თქვენს ბარათს სამდივნოს შესახებ. მოვილაპარაკოთ, როცა გნახავთ. მანამდე ნუ დაიწყებთ.

2) ვურთავ შ კ ლ ო ვ ს კ ა ი ა ს წერილს. გთხოვთ: წაიკითხოთ და დაურეკოთ ცეკას (მდივნებს) და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომ **ვთხოვ შეასრულონ მისი** თხოვნა. მე ვიცნობ ამ ოჯახს, იგი ახლა რუსეთში **ვერ გაძ**ლებს [40].

3) გორკაში ელექტროგანათების შესახებ*: ჩემთან შემოვიდა განცხადება კიდევ ს ო ფ ე ლ ს ი ა ნ ო ვ ი დ ა ნ (თქვენ თუ გადმოგიგზავნეს?). ვისაც ეხება, მოინახულოს, **თუმცა შორს არის. მთელ საქმეს თუ** აჩქარებთ?

4) გთხოვთ შეიტყოთ, ოღონდ **არაფერი** წამოიწყოთ, სანამ ერთმანეთს არ შევხვდებით, კეთდება **სადმე თუ არა** (ცეკა, **რუსეთის** დეპეშათა **სააგენტო, სახალხო** კომისარიატები და ა. შ.)

α) სისტემატური ამონაჭრები გაზეთებიდან,

β) ამონაჭრების დაწებება ცნობებისათვის სისტემის მიხედვით.

თუ კეთდება, ნახეთ რ ო გ ო რ და მითხარით.

თუ არა, მოვილაპარაკოთ, როცა შევხვდებით ამ საქმის დაყენების თაობაზე.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 18 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

44

დ. ზ. შკლოვსკაიას **

ძვირფასო დ. ზ.! საესებით მესმის თქვენი. ი მ თ ა ვ ი თ ვ ე, თქვენს ქმართან რომ ვსაუბრობდი, ვუთხარი: ხომ არა

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 41. რ ე დ.

** წერილის კონვერტზე ვ. ი. ლენინს წაუწერია: «შერემეტიევის შესახვევი, № 3, ბინა 69. ამხ. **დ. ზ. შკლოვსკაიას** (ჩაბარდეს ხელწერილით) (ლენინისაგან)». რ ე დ.

ჯობს საზღვარგარეთ წახვიდეთ-მეთქი, რადგან აშკარად ვხედავდი, რომ ჩვენში (განსაკუთრებით მოსკოვში) **ვერ გაძლებდით.** ძალიან მიკვირს, რომ მან არ მოინდომა ელიარებინა ეს ცხადი ჭეშმარიტება.

ამჟამად მოსკოვში არა ვარ[41]. მივწერე გორბუნოვს (ძალიან კარგი კაცია), რომ ვთხოვ ჩემი სახელით მოელაპარაკოს ცეკასაც და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატსაც თქვენი თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე*. თუ საჭირო იქნება, მოელაპარაკეთ გორბუნოვს (ტელეფონს ვურთავ) **მოურიდებლად:** ძალიან კარგი კაცია.

დიდი მოკითხვა მთელ ოჯახს და ბავშვებს განსაკუთრებით.

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 18 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

45

ნ. პ. გორბუნოვს

ამხ. ნ. პ. გორბუნოვ!

გთხოვთ რაც შეიძლება დაკვირვებით[42] წაიკითხოთ ამხ. ეიდუკის მასალები და ესაუბროთ მას,

რათა მასთან ერთად შეეცადოთ ჩამოაყალიბოთ პრაქტიკული წინადადებანი.

უთხარით ამხ. ეიდუკს, რომ უაღრესად მაინტერესებს ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი და ძალიან ვწუხვარ, რომ ახლა არ შემიძლია თვითონ მოვკიდო ხელი.

---

* იხ. წინა დოკუმენტი. რედ.

მაგრამ რაკი იქნება პრაქტიკული წინადადებები, ხელს მოვკიდებ.

2) მცირე საბჭოს საქმეები დანიშნულებისამებრ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 18 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

46

«პრავდის» რედაქციას [43]

ვთხოვ რედაქციას მოათავსოს რუძუტაკის თეზისები, რომლებიც პროფკავშირთა სრულიად რუსეთის V კონფერენციამ 1920 წ. 2—6 ნოემბერს მიიღო; ისინი მეტად საჭიროა როგორც მასალა დისკუსიისათვის. ვუმატებ კიდევ მასალას ამ თეზისების წარმოშობის გამო პარტწრეებში ატეხილი დავის შესახებ.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 19 იანვარს

დაიბეჭდა 1921 წლის 21 იანვარს გაზეთ «პრავდის» № 13-ში

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

47

* ვლადიკავკაზის რკინიგზის სადგურ პროლეტარსკაიას მუშებს, ხელოსნებს, მოსამსახურეებსა და კომუჯრედს

20. I. 1921 წ.

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენ მიერ გამოგზავნილი ამხანაგების ლავრიკის, მალიკოვისა და ბიკოვის საშუალებით დიდი სიამოვნებით შევი-

ტყვე. თუ როგორ მოგიწყვიათ საჩუქრის გამოგზავნა ქალაქ მოსკოვის მშრომელებისათვის. თქვენი საერთო კრების განაწესის თანახმად თქვენი დელეგატებისაგან მივიღე თქვენ მიერ გამოგზავნილი ტვირთის — 2002 ფუთი ხორბლის, 1869 ფუთი და 29 გირვანქა ქერის და 35 ფუთი ფქვილის ფაქტურა № 243, აგრეთვე დაწვრილებითი წერილობითი მოხსენება იმაზე, თუ შაბათობის წესით როგორ აწარმოეთ მარილის დამზადება, საერთოდ თქვენს შაბათობებზე და თქვენს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაზე.

განკარგულება იმის შესახებ, რომ ტვირთი, რომელიც გზაში ჩარჩა არა თქვენ მიერ გამოგზავნილი ამხანაგების მიზეზით, მიტანილ იქნეს სურსათის სახალხო კომისარიატის მისამართით, გაცემულია, და თქვენ მიერ გამოგზავნილი მთელი სურსათი გადაეცემათ ქალაქ მოსკოვის მუშებს.

გირჩევთ დიდი ყურადღება მიაქციოთ კულტურულ-საგანმანათლებლო და სასკოლო საქმეს. ყველა სიძნელეს, რომლებიც გელობებათ, იმედი მაქვს დასძლევთ შეთანხმებული ერთობლივი ძალებით.

განსაკუთრებით დამაინტერესა თქვენ მიერ წამოწყებულმა კომუნისტურმა სოფლის მეურნეობამ. ამჟამად რესპუბლიკის წინაშე მდგომი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სოფლის მეურნეობის განვითარება და აღმავლობა. გამახარა ცნობამ, რომ წელს შეძლებთ დაამუშაოთ 2200 დესეტინა სახნავი და 25 დესეტინა ბოსტანი. უნდა იზრუნოთ იმისათვის, რომ თქვენი სოფლის მეურნეობა სწორად იყოს ორგანიზებული, ისე, როგორც აგრონომიული მეცნიერება გვასწავლის, რისთვისაც გირჩევთ თქვენს საქმეში მცოდნე აგრონომი ჩააბათ*.

განსაკუთრებით გთხოვთ კომუნაში მუშაობა ისე დააყენოთ, რომ გარშემო მცხოვრებ გლეხებს ეხმარებოდეთ და მათთან საუკეთესო ურთიერთობა გქონდეთ. უამისოდ და საქმიანი პრაქტიკული, სამეურნეო წარმატების უქონლად კო-

---

* მომდევნო ტექსტი დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

მუნების იმედი არა მაქვს და ცოტა კიდევაც მეშინია კომუ-ნებისა.

გიგზავნით ყველას ჩემს ამხანაგურ სალამს.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

ძალიან ვწუხვარ, რომ პირადად ვერ მიგიღეთ და იძულებული ვიყავი თქვენი მიღება ამხ. ნ. პ. გორბუნოვისათვის მეთხოვა.

პირველად დაიბეჭდა 1927 წლის 21 იანვარს გაზეთ «მოლოტოვის» (დონის როსტოვი) № 1641-ში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელიც შევსებული და ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

48

ნ. პ. გორბუნოვს

ამხ. გორბუნოვ!

დღეს მიღებულია დადგენილება, რომ თქვენ თვალი ადევნოთ სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებას [44].

ეს საქმე სწორად უნდა მოაწყოთ: მუდამ გქონდეთ საქაღალდე ან ცხრილი შ ე უ ს რ უ ლ ებ ელ ი დადგენილებებისა ან ისეთებისა, რომლებსაც მუდმივი თვალყურის დევნება (შესრულების მხრივ) ესაჭიროებათ.

25/1.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 25 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

49

ა. ი. რიკოვს

ამხ. რიკოვ! წინადადებას გაძლევთ გადადგომა არ მიიღოთ და **აუკრძალოთ** «შეწყვიტოს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება». ლარინი თავმჯდომარედ არ გამოდგება. ეს დამტკიცებულ იქნეს დღეს ცენტრალური კომიტეტის მეშვეობით[45].

26. I. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 26 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

50

ნ. პ. გორბუნოვს[46]

ამხ. გორბუნოვ! ავტორს ვიცნობ 20 წელზე მეტია. უაღრესად თავდადებული რევოლუციონერია. მისი ერთი და (თუ ორი?) ჩვენთან მუშაობს, როგორც ყველა ამბობს, შესანიშნავად და თავდადებულად. ვფიქრობ, სავსებით ღირსია, რომ დავეხმაროთ. ძალიან გთხოვთ, ნუ გაუწყრებით მისი ნერვების გამო (ადამიანი დ ა ტ ა ნ ჯ უ ლ ი ა) და ყოველნაირად **დ ა ე ხ მ ა რ ე თ.**

26/I. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 26 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

51

სორმოვოს ქარხანას

სორმოვოს ქარხანა ამზადებს მუხლუხა ამწეს ჰიდროტორფისათვის, მაგრამ მისი დამზადება მეტად ნელა მიმდინარეობს. ვინაიდან აუცილებელია ამ ამწის გამოცდა მომავალი ზაფხულის სეზონის განმავლობაში, გთხოვთ მთელი ძალღონე მოახმაროთ იმას, რომ ეს ამწე საესებით დამთავრდეს აპრილში, რათა მაისის დამდეგს შეიძლებოდეს მისი მიტანა «ელექტროპერედაჩაში», სადაც მას ყოველმხრივ გამოცდიან, რომ ყველა საჭირო გაუმჯობესების გამორკვევის შემდეგ ამ ნიმუშის მიხედვით შესაძლებელი იყოს ამწეების მასობრივად დამზადების დაწყება[47].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 26 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

52

ვ. პ. მილიუტინს

27. I. 21 წ.

ამხ. მილიუტინს

გთხოვთ მაცნობოთ, რა გააკეთეთ იმისათვის, რომ საზღვარგარეთ გამოქვეყნებულიყო დეკრეტი კონცესიების შესახებ[48], როდის იყო მიცემული ცნობა და სახელდობრ რა ცნობა გადაეცა საზღვარგარეთ. წინადადებას გაძლევთ, რომ

იმის დასამთავრებლად, რაც ამ მხრივ ჯერ კიდევ არ გაკეთებულა, გამოიყენოთ ამხ. კოპი, რომელიც მოსკოვშია.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

P. S. გთხოვთ გამაცნოთ საზღვარგარეთ გაგზავნილი დეპეშების ან წერილების ზუსტი პირები და შემატყობინოთ მათი გაგზავნის დრო.

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს წიგნში «სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები». მოსკოვი, ტ. III

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

53

ნ. პ. გორბუნოვს

ამხ. გორბუნოვ! ამ პროექტის შესახებ ეს არის ახლა გელაპარაკეთ ტელეფონით. გთხოვთ: დააჩქარეთ მ თ ე ლ ი ეს საქმე და მთელი მრავალრიცხოვანი პროექტები ისე, რომ, ვთქვათ, შაბათს უკვე წავიდეს მცირე სახკომსაბჭოში[49].

$\frac{27}{I}$ 1921. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

54

ნ. პ. გორბუნოვს

მამულში, ამბობენ, დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ 30 დესეტინა სახნავია, 130 — ტყე. სარატოვის საგუბერნიო აღმასკომი, ამ-

ბობენ, თანახმაა. ვფიქრობ, საკითხი პირდაპირ მცირე საბჭოში გავატაროთ და მცირე საბჭომ გაგზავნოს შ ე კ ი თ ხ ვ ა და მოაწყოს ადგილზე გამოკვლევა [30].

27/I. 1921. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

55

მ. ნ. პოკროვსკის, ე. ა. ლიტკენსს, ო. ი. შმიდტს

28. I. 1921 წ.

1) ამხ. მ. ნ. პოკროვსკის
2) ამხ. ე. ა. ლიტკენსს
3) ამხ. ო. ი. შმიდტს

გთხოვთ დღეს საღამოს 8 საათისათვის გამომიგზავნოთ:

1) არსებული ნ ა ბ ე ჭ დ ი მასალები (ანგარიშების, სტატიების, ბროშურების სახით და სხვ.) მ ო ქ მ ე დ ი კანონების (რეზოლუციების, ინსტრუქციების) ტექსტით.

1-ლი
და მე-2 საფეხურის სკოლების შესახებ

2) იგივე — ტექნიკური სკოლების შესახებ

3) « — სახელოსნო » »

4) დაბალი, საშუალო სკოლების, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების რიცხვის შესახებ;

5) სხვადასხვა საფეხურებისა და ტიპების მოქმედი და დახურული ან უმოქმედო სკოლებისა და სასწავლებლების რიცხვის შესახებ;

6) გარდა ამისა, თუ ნაბეჭდი მასალები არ არის — და თუ

არ შეიძლება იმ გაზეთებისა ან ჟურნალების №№-ის მითითება, სადაც დაბეჭდილია ეს მასალები, — გთხოვთ გამომიგზავნოთ დაუბეჭდავი მონაცემები აღნიშნულ საკითხებზე, თუ ეს მონაცემები არსებობს[51].

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

56

მ. ა. კრუჩინსკის *

31. I. 1921 წ.

ამხ. კრუჩინსკი!

თქვენი მოხსენებები მიწსახკომის შესახებ მივიღე[52]. წავიკითხე. ცეკისტებს მოვახსენე.

ოსინსკის დანიშვნით, ჩვენ, ცეკამ, გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო. ოსინსკი გუშინ ჩემთან იყო და მაცნობა, რომ მუშაობაში ჩააბამს კიდევ მთელ რიგ ამხანაგებს აღგილებიდან, გლეხებს.

რატომ ხართ უკმაყოფილო ოსინსკით? საბჭოების VIII ყრილობის მთელი რკპ ფრაქცია მას დიდად აფასებდა თესლის კამპანიისათვის.

რომელი კომუნისტი მუშაკები არიან მუშაობით უკმაყოფილო და რატომ?

გთხოვთ კონკრეტულ მითითებებსა და წინადადებებს. ჩვენ ცეკაში მიგვაჩნია, რომ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც კი **ახლა**

* წერილის კონვერტზე ვ. ი. ლენინს დაუწერია: «სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრს მიხ. კრუჩინსკის (ხელწერილით) (ლენინისაგან)». რ ე დ.

შესაძლებელია: ჩვენ **ველით** მიწსახკომის ახალი კოლეგიის მუშაობის შედეგებს და ვფიქრობთ, რომ ეს შედეგები კარგი იქნება.

კომ. სალმით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

57

ნ. პ. გორბუნოვს

ამხ. გორბუნოვ!

კარგი იქნებოდა შეგეგროვებინათ ცნობები და გამოგერკვიათ, ხომ არ შეიძლება აქ რაიმე გაკეთდეს სამთო საქმისათვის დასახმარებლად. ზედმეტი ჩამოეცალოს? [53]

31/I. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 31 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1927 წლის 21 იანვარს გაზეთ «პრავდის» № 17-ში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

58

მ. ი. ფრუმკინს*

1/II — 1921.

ამხ. ფრუმკინ! ჩვენ სულ უფრო მეტ ცნობებს ვიღებთ (გარედანაც და შიგნიდანაც) სურსათის სახალხო კომისარია-

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 62. რ ე დ.

6) არის თუ არა იმის კატალოგი, რაც უკვე შეგროვებულია აქ?

7) ვაგროვებთ თუ არა მარქსისა და ენგელსის წერილებს (ან პირებს), თუ ეს განუხორციელებელია?

კომ. სალმით ლენინი

დაწერილია 1921 წლის 2 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

61

ა. ბ. გოიხბარგს

ამხ. გოიხბარგ!

სახალხო კომისრების მოხსენების საკითხზე თქვენ (მცირე საბჭომ) უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოთ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესრულებას[56].

ამჟამად უაღრესად საჭირბოროტო საკითხია ბინები მოსკოვში. დანიშნეთ შემოწმება, ამასთან მცირე საბჭოს კვირაში ორჯერ უნდა მოახსენონ: რამდენი სახლი, ბინა, ოთახია მოცემული (10 სახლი ხომ უნდა მოგვცენ).

განაწილებაც შეამოწმეთ.

მოსკოვის მოსახლეობა ძლიერ მატულობს მოსამსახურეთა რიცხვის ზრდის გამო. ეს უნდა შემოწმდეს; დადგენილება ხომ არ მივიღოთ.

სახალხო კომისარიატს, რომელიც მოსამსახურეთა რიცხვს მცირე საბჭოს ნებადაურთველად ზრდის, რამდენიმე სასჯელი უნდა დაედოს (აეკრძალოს გადიდება თუნდაც ერთით).

შეადგინეთ იმ სახალხო კომისარიატების სია, რომლებიც ვალდებული არიან ყოველკვირეულად ამცირებდნენ მოსამ-

სახურეთა რიცხვს (სამხედრო სახალხო კომისარიატი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, გზათა სახალხო კომისარიატი და ზოგიერთი სხვა). დანარჩენებს გადიდება შეუძლიათ მხოლოდ მცირე საბჭოს ნებართვით.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 2 თებერვალს

პირველად არასრულად დაიბეჭდა 1957 წლის 16 იანვარს გაზეთ «სოვეტსკაია როსიის» № 13-ში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

სრულად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის X X X V I კრებულში

62

ვ. ნ. მანცევს

ამხ. მანცევ!

უკრაინაში უმსგავსობა ხდება.

პოლიტბიუროს დირექტივა (მოშორებულ იქნენ ხარკოვიდან პეშეხონოვი და პ ე შ ე ხ ო ნ ო ვ ე ლ ე ბ ი) იფუშება.

უკრაინის ცეკისტების ნაწილი პეშეხონოვსა და პეშეხონოველებს თავს ატყუებინებს.

ეს ცხადია. ხოლო ჩვენ თავს მეტს აღარ მოვატყუებინებთ.

თქვენი პ ი რ ა დ ი პასუხისმგებლობით გავალებთ (პოლიტბიუროსთან მოსკოვში საიდუმლო და პირდაპირი და აკურატული კავშირის პირობით):

(1) დააწესოთ პეშეხონოვისადმი ს რ უ ლ ი მეთვალყურეობა;

(2) გამოგზავნოთ შედეგები;

(3) იგივე — ყველა პეშეხონოველისადმი, მათი სია;

(4) მიაღწიოთ პეშეხონოვის დაუყოვნებლივ გადაყენებასა და მოსკოვში გამოგზავნას.

უკრაინის ცეკა სრულიად მოდუნებულია. ვნახოთ, შეძლებთ თუ ვერა თქვენ შეასრულოთ ისე, როგორც საჭიროა.

კომ. სალმით ლენინი

3/II. 1921.

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

63

ე. ზ. სკლიანსკის

6. II. 1921 წ.

ამხ. სკლიანსკი!

გამომიგზავნეთ სარატოვის საგუბერნიო სამხედრო კომისრის დეპეშა, რომელზეც მთავარსარდლის მიერ გაცემული «პასუხი» დღეს მივიღე თქვენგან.

პასუხი სულელურია და ადგილ-ადგილ უწიგნურიც.

ფორმალური ბიუროკრატიული პასუხია საქმის ნაცვლად: საჭიროა ბანდიტიზმის მოსპობა და არა ფორმალური პასუხების გზავნა.

კვირაში ორჯერ მომაწოდონ ბანდიტიზმთან ბრძოლის მოკლე, სულ მოკლე შედეგები.

და ჩააგონეთ საველე შტაბს, რომ საჭიროა მუშაობა და არა ფორმალური პასუხების წერა.

ვინ არის ეს «შტაბის სამხედრო კომისარი» ილიუშინი, რა სტაჟი აქვს?

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა არასრულად 1938 წელს ჟურნალ «ბოლშევიკის» № 2-ში

სრულად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

64

ა. ვ. ლუნაჩარსკის

14. 11. 1921 წ.

ამხ. ლუნაჩარსკის
პირები ამხ. პოკროვსკის
და ამხ. ლიტკენსს

გთხოვთ მომიტანოთ სია პედაგოგებისა, რომლებსაც აქვთ საფუძვლიანი პრაქტიკული გამოცდილება (ა) ზოგადპედაგოგიურ მუშაობაში საერთოდ; (ბ) პროფესიულ-ტექნიკურ განათლებაში — ამასთან მოკლედ მიაწერეთ მათი ლიტერატურული შრომები და საბჭოთა მუშაობის სტაჟი.

ეს უკვე **არაერთხელ** გთხოვეთ. გაჭიანურებას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

P. S. კერძოდ, გთხოვთ ცნობებს სერგი პავლეს ძის, პიტერის ყოფილი ტენიშევის სასწავლებლის დირექტორის შესახებ.

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

65

დეპეშა მე-11 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს[57]

ცეკა მზადაა ნება დართოს მე-11 არმიას აქტიურად დაეხმაროს აჯანყებას საქართველოში და დაიკავოს თბილისი საერთაშორისო ნორმების დაცვით და იმ პირობით, რომ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყველა წევრი ყველა მონაცემის სერიოზული განხილვის შემდეგ წარმატების გარანტიას მოგვცემს[58]. გაფრთხილებთ, რომ უპუროდ ვზივართ ტრანსპორტის გამო, ამიტომ არც ერთ მატარებელს და არც ერთ ვაგონს არ მოგცემთ. იძულებული ვართ კავკასიიდან ვზიდოთ მხოლოდ პური და ნავთობი. მოვითხოვთ დაუყოვნებლივ პასუხს პირდაპირი მავთულით მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყველა წევრის, აგრეთვე სმილგას, გიტისის, ტრიფონოვისა და ფრუმკინის ხელმოწერით. ყველა ამ პირთა დეპეშებზე ჩვენი პასუხის მიღებამდე გადამწყვეტი არაფერი წამოიწყოთ*.

14/II.

დაწერილია 1921 წლის 14 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

66

დეპეშა მე-11 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს[59]

ცეკას მიაჩნია, რომ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ოპერაციები ნეიტრალური ზონის აჯანყებულთა ად-

* შემდეგ ვ. ი. ლენინს დაუწერია: «ცეკას დავალებით კრესტინსკი». დეპეშის ქვემო ნაწილში ვ. ი. ლენინს გაუკეთებია მინაწერი, როგორც ჩანს, მდივნის მისამართით: «არა, ჯობს შეინახოთ უაღრესად საიდუმლოდ 2—3 თვით». რ ე დ.

გილობრივი დაცვაა თეთრგვარდიელთა მხრივ მოსალოდნელი განადგურებისაგან.[60] ანგარიში გაუწიეთ თქვენი ოპერაციის ამ პოლიტიკურ ხასიათს ყველა თქვენს საჯარო გამოსვლაში. რა თქმა უნდა, ჩვენ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსაგან მოველით ენერგიულ და სწრაფ მოქმედებას, რომელიც იმასაც კი არ მოერიდება, რომ თბილისი აიღოს, თუ ეს საჭირო იქნა სამხედრო მოსაზრებებით ნეიტრალური ზონის ნამდვილი დაცვისათვის ახალი თაედასხმისაგან. იმედი გვაქვს, რომ თქვენ მთელი სერიოზულობით გაითვალისწინეთ ჩვენი გაფრთხილებანი. შეგვატყობინეთ ამბავი ყოველ-დღე *.

დაწერილია 1921 წლის 15 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

67

ა. გ. გოიხბარგს

მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს
ამხ. გოიხბარგს

ამასთან ერთად გიგზავნით:

1) მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის მუშათა ფაკულტეტის კომ. უჯრედის 9/II-ის საერთო კრების ოქმის ამონაწერს.

2) უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის მუშათა ფაკულტეტის კომისრის 10/II-ის მოხსენებით ბარათს.

3) გზათა ინჟინრების ინსტიტუტის, პეტროვსკო-რაზუ-

* შემდეგ ვ. ი. ლენინს დაუწერია: «ცეკას დაავალებით კრესტინსკი». რ ე დ.

მოვსკოეს სასოფლო-სამეურნეო აკადემიის კომ. უჯრედების პრეზიდიუმების და მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის მუშათა ფაკულტეტის კომ. უჯრედის ბიუროს ა. წ. 23/I-ის გაერთიანებული სხდომის ოქმის ამონაწერს.

4) სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს კულტგანყოფილების ინსტრუქტორის ა. წ. 28/I-ის მოხსენებითი ბარათის პირს.

წინადადებას ვაძლევ მცირე სახკომსაბჭოს სპეციალურად მოჰკიდოს ხელი მუშათა ფაკულტეტების საკითხს, ყოველმხრივ განიხილოს იგი და მიაღწიოს მუშათა ფაკულტეტების მდგომარეობის მაქსიმალურად გაუმჯობესებას [61].

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 15 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

68

რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს

ლიტკენსს ორგბიუროში შეაქვს აკადემიური ცენტრის (განსახკომის) [62] კანდიდატების შემადგენლობა. გთხოვთ გადაიტანოთ პოლიტბიუროში.

15/II.

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 15 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

69

ნ. ნ. კრესტინსკის [63]

1

სტატია არ მინახავს, მაგრამ კამენევის იმედი მაქვს (ს ა ზ ი ა ნ ო ს არ მირჩევდა) და ხმას ვაძლევ იმას, რომ **ხვალ დაიბეჭდოს.**

ლ ე ნ ი ნ ი

2

მაშინ საჭიროა მხოლოდ მოითხოვოთ

1) შენიშვნა, რომ ავტორი ან ავტორები წერენ როგორც **კერძო** ლიტერატორები და არა როგორც თანამდებობის პირები;

2) შენიშვნა, რომ სტატია სადისკუსიოა.

დაწერილია 1921 წლის 16 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

70

ნ. ი. მურალოვს

ამხ. მურალოვ! ამხ. კრჟიჟანოვსკი უაღრესად აღფრთოვანებულია მუშა-კომუნისტ ე ს ი ნ ი თ, რომელსაც თურმე თქვენც იცნობთ. კრჟიჟანოვსკის სიტყვით, გამოჩენილი მუშაა, მონტიორი, უაღრესად სასარგებლო (სასარგებლო აღმოჩნდა

რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომისიის მუშაობაში). ამიტომ კრჟიჟანოვსკი ძალიან გვირჩევს, რომ იგი არჩეულ იქნეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული საერთო საგეგმო კომისიის წევრად.

ამ კომისიაში, ჩემი აზრით, უნდა იყვნენ სპეცები, საერთო წესის მიხედვით. გამონაკლისის სახით—მუშა.

ამის შესახებ ვუთხარი ოსინსკის და მინდა თქვენი აზრი ვიცოდე. ძალიან გთხოვთ გამომიგზავნოთ **(ამავე შიკრიკის ხელით)** სულ მოკლე ბარათი, სადაც დაწვრილებით იქნება მოცემული თქვენი აზრი ესინის, მისი სტატის, მისი როგორც პიროვნების ღირებულების შესახებ და სხვ.[64].

კომ. სალმით ლენინი

დაწერილია 1921 წლის 18 თებერვალს

პირველად ნაწილობრივ დაიბეჭდა 1957 წლის 22 აპრილს გაზეთ «კომსომოლსკაია პრავდის» № 96-ში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სრულად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

71

ვ. რ. მენჟინსკის

18. II. 1921 წ.

ამხ. მენჟინსკი!

საუკეთესოდ გიხასიათებთ ამის მომტანს ამხ. ეინო რახიას, რომელსაც ვიცნობ ოქტომბრის რევოლუციამდელი დროიდან, როგორც უაღრესად თავდადებულ ფინელ ბოლშევიკს. ახლა

იგი ფინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია.

მას საჭიროდ მიაჩნია პირადად მოგელაპარაკოთ მთელ რიგ უაღრესად კონსპირაციულ საკითხებზე. გთხოვთ სავსებით ენდოთ და აღმოუჩინოთ ყოველგვარი დახმარება.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

72

გ. ვ. ჩიჩერინს

ამხ. ჩიჩერინ! მე არ ვშუამდგომლობ, რომ მაღალი პოსტები მიეცეს ამხ. შკლოვსკის. თქვენ მას იცნობთ საგარეო საქმეთა კომისარიატში მუშაობით.

მაგრამ გთხოვთ დააჩქაროთ მისი წასვლა საზღვარგარეთ, რადგან მის ცოლს ეშინია, რომ ბავშვები აქ ვერ გაძლებენ. მე მთელ ოჯახს ვიცნობ საზღვარგარეთიდან და ვფიქრობ, რომ ეს შიში საფუძვლიანია. ეს ოჯახი ჩვენს პირობებს ვერ აიტანს. საჭიროა ისინი საზღვარგარეთ გავგზავნოთ.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის თებერვალში,
არა უადრეს 21-ისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

73

დეპეშა ი. ნ. სმირნოვს

თქვენი დეპეშების საპასუხოდ გიგზავნით სკლიანსკის[65] ამ ცნობას. გთხოვთ უფრო ხშირად მაცნობოთ ბანდების ამბები, სასურსათო მუშაობისა და პურის გამოგზავნის ამბავი.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 21 ან 22 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

74

* ამხანაგებს ი. მ. გუბკინს, ა. ი. ცეკჩინსკის, ი. ნ. სტრიჟოვს, ნ. ნ. სმირნოვს[66]

23. II. 1921 წ.

ნავთობის ჭაბურღილების გაწყლოვანებისა და ამის გამო მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ ნავთობის მთავარ სამმართველოში მიტანილ მოხსენებებთან დაკავშირებით გთხოვთ გამომიგზავნოთ დღეს, თუ შესაძლებელია, თქვენ ხელთ არსებული მასალები (წიგნები, ჟურნალები, მოხსენებები და სხვ.) იმ საზღვარგარეთული კანონებისა ან ადგილობრივი დებულებების საკითხზე, რომლებიც ნავთობმრეწველს სჯიან ჭაბურღილების დაუხურავად დატოვებისათვის, ტამპონაჟის გაუკეთებლობისათვის, მისი არარაციონალურობისათვის და ა. შ.

ან თვით კანონები, ან, თუ ისინი ხელთ არა გაქვთ, მითითება სათანადო წიგნებზე თუ ჟურნალების სტატიებსა და საცნობარო გამოცემებზე, რომ შემეძლოს ისინი ბიბლიოთეკებიდან გამოვიტანო.

გთხოვთ მიპასუხოთ დღეს ტელეფონით.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

75

დეპეშა ქ. გ. რაკოვსკის *

შიფრით რაკოვსკის

ხარკოვი, რაკოვსკის. თქვენს № 672-ზე

ცენტრის უკიდურესად მძიმე სასურსათო მდგომარეობის გამო ვფიქრობ: სამი მეოთხედი წამოღებულ იქნეს აქ, მეოთხედი დარჩეთ უკრაინის ქალაქებსა და მუშებს; გლეხებს კი რადაც უნდა დაჯდეს ავუნაზღაუროთ შესაძლო ოდენობით, თუ არაფერი გვაქვს, ვიყიდოთ საზღვარგარეთ ოქროთი ან ნავთობით. თუ ამას არ ეთანხმებით, შესთავაზეთ გლეხებს კიდევ დათმობა, მაგრამ გახსოვდეთ, რომ უკიდურესი და პირდაპირ საშიში სასურსათო კრიზისი გვაქვს [67].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 24 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* დოკუმენტის ზემო ნაწილში ვ. ი. ლენინს წაუწერია, შემდეგ კი გადაუხაზავს: «ამხ. ციურუპა! როგორია თქვენი აზრი პასუხის ჩემი პროექტის შესახებ? 24/II. ლ ე ნ ი ნ ი». რ ე დ.

76

ნ. ა. სემაშკოს

28. II. 1921 წ.

ამხ. სემაშკოს

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძევ!

ჩემთან არის ამხ. ივანე ათანასეს ძე ჩეკუნოვი, ძალიან საინტერესო მშრომელი გლეხი, რომელიც თავისებურად უწევს პროპაგანდას კომუნიზმის საფუძვლებს[68].

მას დაუკარგავს სათვალე, უვარგისში 15 000 მან. გადაუხდია! ვერ დაეხმარებით, რომ იშოვოს კარგი სათვალე?

გეხვეწებით, დაეხმარეთ და სთხოვეთ თქვენს მდივანს მაცნობოს, მოხერხდა რამე თუ ვერა.

თქვენი ლენინი

პირველად არასრულად დაიბეჭდა
1924 წლის 30 იანვარს გაზეთ
«ლენინგრადსკაია პრავდის» № 23-ში

სრულად დაიბეჭდა 1925 წლის 21 იანვარს
გაზეთ «იზვესტიას» № 17-ში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

77

ა. დ. ციურუპას

ამხ. ციურუპა! თქვენი ციფრებიდან ჩანს, რომ 1. II-ისათვის არის 40,3 სასურსათო + 5,4 ბურღულისა = 45,7[69].

ალბათ, 1. III-ისათვის იქნება დაახლოებით 48.

1. IV-ისათვის, ალბათ, იქნება არანაკლებ 50-ისა.

1. IV — 1. IX, ეს 5 თვეა. 50:5=10.

ამ დაახლოებითი გაანგარიშებიდან ჩანს, რომ რუსეთისათვის, რსფს რესპუბლიკისათვის (უკრაინის გარეშე), სავსებით შესაძლებელია გაუქმდეს სასურსათო გაწერა 15. III-დან ან 1. IV-დან და 1. IX-მდე ან 15. VIII-მდე გ ა მ ო ი ც ა დ ო ს **ახალი რეჟიმი.**

თქვენი აზრი?

დაწერილია 1921 წლის თებერვალში

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

78

ნ. ოსინსკის

1. III. 1921 წ.

ამხ. ოსინსკი!

გუშინ ვინახულე ივანე ათანასეს ძე ჩეკუნოვი. თურმე ის უკვე ყოფილა ჩემთან 1919 წელს მშრომელი გლეხების ყრილობის საკითხზე. ახლა იგი ამბობს: ჯობს ს ა ო ლ ქ ო ე ბ ი თ დავიწყოთო.

კომუნისტებს თანაუგრძნობს, მაგრამ პარტიაში არ შედის, რადგან ეკლესიაში დადის, ქრისტიანია (უარვყოფ რელიგიურ წესებს, მაგრამ მორწმუნე ვარო).

აუმჯობესებს მეურნეობას. შემოუვლია ნიჟნი ნოვგოროდისა და სიმბირსკის გუბერნიები. გლეხებს საბჭოთა ხელისუფლებისადმი ნდობა დაეკარგათო. ვეკითხები, შეიძლება თუ არა გადასახადით გამოვასწოროთ-მეთქი? ფიქრობს, რომ შეიძლება. თავის მაზრაში, მუშების დახმარებით, მიაღწია იმას, რომ ცუდი საბჭოთა ხელისუფლება კარგით შეცვალა.

აი ასეთ ადამიანებს **რაც ძალა და ღონე გვაქვს** უნდა ჩავეჭიდოთ გლეხთა **მასების** ნდობის აღსადგენად. ეს **ძირითადი**

პოლიტიკური ამოცანაა, ამასთანავე გადაუდებელიც. ძალიან **გთხოვთ: მეტისმეტად ნუ გაგიტაცებთ «აპარატული»** თვალსაზრისი, ზედმეტად ნუ იღელვებთ მის გამო. მ ე ტ ი ყურადღება მიაქციეთ გლეხობისადმი პოლიტიკურ დამოკიდებულებას.

ჩემი აზრით, ახლავე უნდა «მოვიზიდოთ», ე. ი. ჩავაბათ, ჩ ვ ე ნ თ ა ნ მუშაობაში ჩეკუნოვი. როგორ გავაკეთოთ ეს? უნდა მოვიფიქროთ. იქნებ ახლავე შევქმნათ (უფრო სწორად, დავიწყოთ შექმნა) «მშრომელი გლეხობის საბჭო», ან «უ პ ა რ ტ ი ო გ ლ ე ხ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო» (აცცმა რომ თქვას, ეს უკანასკნელი სახელწოდება უფრო ფრთხილია, რათა დაშვებულ არ იქნენ ისინი, ვისაც ჩეკუნოვი «მოსისინეებს» უწოდებს, ე. ი. პირდაპირი კულაკები და საბჭოთა ხელისუფლების მტრები). ახლავე დაინიშნოს ჩეკუნოვი მიწსახკომის რწმუნებულად ამგვარი დაწესებულების ჩამოყალიბების (ან მოემზადების) დარგში. ახლავე დაეკისროს მას სასწრაფოდ ჩავიდეს სიმბირსკის გუბერნიაში (ჩვენ გვესაჭიროება მრჩეველი და შუამავალი **ჭარბი** პურის მქონე გუბერნიიდან, ჯობს **ორი შუამავალი** იყოს) და მიეცეს დავალება: ჩამოგვიყვანე აქ სიმბირსკის გუბერნიიდან (იქ ნაცნობები ჰყავს) უ პ ა რ ტ ი ო გ ლ ე ხ ი, ხნიერი, რუსი, მიწის მუშა, მ შ რ ო მ ე ლ ი გ ლ ე ხ ე ბ ი ს და მ უ შ ე ბ ი ს მ ო მ ხ რ ე, არა «მოსისინე». მოვნახოთ კიდევ ერთი. ჯობს სამეული: ჩეკუნოვი + სიმბირსკელი + კიდევ ერთი უპურო გუბერნიიდან. «ხნიერთა» ამ სამეულს (ძალიან კარგი იქნება, რომ ყველანი თ ა ნ უპარტიოები იყვნენ და **თ ა ნ** ქრისტიანები) მაშინვე გადავაქცევთ ან კოლეგიის წევრებად **სათათბირო** ხმით, ან «უპარტიო გლეხთა საბჭოს» ბირთვად, ან მსგავს კორპორაციად.

ეს უნდა გაკეთდეს სწრაფად, ახლავე (იგი ზეგ აპირებს წასვლას).

რკინა უნდა გამოჭედო, სანამ ცხელია. მიპასუხეთ.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

79

ლ. დ. ტროცკის

ამხ. ტროცკი.

გიგზავნით ცნობად [70]. ძალიან საინტერესო ამბებია. ჩემი აზრით, უკრაინელი კომუნისტები მართალი **არ** არიან. ფაქტებიდან გადასახადის საწინააღმდეგო დასკვნა კი არ გამოდის, არამედ ის, რომ გავაძლიეროთ სამხედრო ღონისძიებანი მახნოსა და მის მსგავსთა **ს რ უ ლ ი** განადგურებისათვის.

ل ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 3 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი **პირის** მიხედვით

80

მცირე სახკომსაბჭოს

ჩემი აზრით, ნება უნდა დავრთოთ შემოიტანონ **მეტი** რაოდენობით [71].

მეტისმეტად გეშინიათ სპეკულაციისა.

თუ თითო-თითოდ გადაცვლიან პურზე, განა ეს დიდი უბედურებაა? გლეხები მიიღებენ ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს. უნდა გვეშინოდეს **მ ა ს ო ბ რ ი ვ ი** სპეკულაციისა, **არ** შეიძლება დავუშვათ სპეკულაციის **პ რ ო ფ ე ს ი ა დ** გახდაც. მაგრამ ღატაკ რუსეთში **შემოზიდვა** უნდა წავახალისოთ, და არა გავაძნელოთ.

გთხოვთ გადასინჯოთ.

3/III. 1921.

ل ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

81

*რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს

3. III. 1921 წ.

ამასთანავე გიგზავნით სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ფრაქციის ბიუროს 1921 წ. 3. III სხდომის ოქმს (№ 55) და წინადადებას გაძლევთ:

1)) პუნქტი **«ზ» გააუქმოთ** (რადგან ამ დღეებში უნდა შედგეს პარტიული ყრილობა და საჭიროა იქ განვიხილოთ ეს და ანალოგიური საკითხები),

2)) პუნქტ **«ნ»**-ის შესახებ

დაადგინოთ:

„გაეგზავნოს პარტიულ ყრილობას»[72].

საჭიროდ მიმაჩნია გადაწყდეს ეს **ტელეფონით,** ვინაიდან უდავოდ ცხადია ის, რომ არ შეიძლება გადაწყვეტილებათა გამოტანა პარტიულ ყრილობამდე და პარტიული ყრილობის უკითხავად. ცხადია, რომ პანიკის ტყუილუბრალოდ გავრცელებას ვერ დავუშვებთ.

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

82

მ. ნ. პოკროვსკის[73]

ძალიან მეეჭვება და ვფიქრობ, რომ უმჯობესია გადავცეთ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. (კიდევ უნდა გაირკვეს, რა კათედრებზე ან საგნებში?)

დაწერილია 1921 წლის მარტში, არა უადრეს 4-ისა

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

83
ლ. ბ. კამენევს

5. III. 1921 წ.

ლ. ბ.!

ჩემი აზრით, ამის გამო საჭიროა მოსკოვის კომიტეტის (საიდუმლო?) ცირკულარი ცილისმწამებელთა წინააღმდეგ, რომლებიც არ მიდიან საკონტროლო კომისიაში და «კრიტიკის» სახით ცილისმწამებლურ ბრალდებებს გვიყენებენ[74].

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

84
გ. ვ. ჩიჩერინსა და ლ. მ. კარახანს[75]

ამხანაგებს ჩიჩერინსა და კარახანს

გთხოვთ მაცნობოთ თქვენი აზრი და დამიბრუნოთ ორივე დოკუმენტი[76]. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ყურადღებას მივაპყრობ იმას, რომ მის მიერ სახკომსაბჭოს დადგენილებისათვის **გვერდის ავლა** («პარალელური» აპარატის ან ს ხ ვ ა სახელწოდების კომისიის გზით ან საბაბით) ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ დ ა უ შ ვ ე ბ ე ლ ი ა. ვეჭვობ, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი **სინამდვილეში** გ ვ ე რ დ ს უ ვ ლ ი ს სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებას. გაფრთხილებთ. გთხოვთ **უზუსტესად** გამოთქვათ თქვენი აზრი, მიუკიბავ-მოუკიბავად, მიუჩქმალავად.

7/III. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 7 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

85

ა. დ. ციურუპას

ამხ. ციურუპა! ჩვენს კომისიას[77], ალბათ, დღეს საღამოს შევკრებთ (დღისით, ვახსნის შემდეგ[78], საეჭვოა, რომ მოვასწროთ, თუმცა შეეცდებით).

საკითხის სიმძიმის ცენტრია «ბ რ უ ნ ვ ა», თავისუფალი სამეურნეო ბრუნვა გლეხობისათვის.

თქვენ ამას საკმაოდ ვერ ჩასწვდომიხართ, რაკიღა ეკამათებოდით რაკოვსკის (ვერ მოვასწარი შეგსიტყვებოდით). მთელი არსი ის არის, რომ უნარი გვქონდეს დავძრათ ბ რ უ ნ ვ ა, გაცვლა-გამოცვლა (საზღვარგარეთ გატანაც სამხრეთიდან და ქ ა რ ხ ნ ე ბ თ ა ნ გ ა ც ვ ლ ა-გ ა მ ო ც ვ ლ ა ც). უამისოდ მარცხი მოგვივა.

NB **იფიქრეთ ამაზე** და **მონახეთ ფორმულა**, რომ ეს ჩავუმატოთ.

NB 2) ახლავე შეუკვეთეთ ციფრები: რამდენი **მივეცით პური** 1921 წლის იანვარში და 1921 წლის **თებერვალში** (თუ მთელი თებერვლისა არ არის, თებერვლის $^1/_3$-სა ან $^2/_3$-ში). რამდენია შემოზიდული, სულ რამდენია.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 8 მარტს

პირველად დაიბეჭდა არასრულად
1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

სრულად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

86

ბ. ვ. ჩიჩერინს

ამხ. ჩიჩერინ!

მეტად შეშფოთებული ვარ იმით, რომ თურქები აჭიანურებენ ბათუმის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას, დროს იგებენ, სანამ მათი ჯარები ბათუმისაკენ მიდიან. ასეთი გაჭიანურების საშუალება არ უნდა მივცეთ. განიხილეთ ასეთი ღონისძიება: თქვენ ნახევარი საათით შეწყვეტთ თქვენს კონფერენციას ჩემთან ლაპარაკისათვის, ხოლო სტალინი ამ დროს გულახდილად მოელაპარაკება თურქეთის დელეგაციას, რათა გაირკვეს საქმე და დღესვე მიყვანილ იქნეს ბოლომდე [79].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 9 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

87

ლ. ბ. კამენევსა და ი. ბ. სტალინს

კამენევსა და სტალინს

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ძერჟინსკის ცნობებს ციმბირის შესახებ. იმის საშიშროება, რომ ჩვენები ვერ მორიგდებიან ციმბირელ გლეხებთან, მეტისმეტად დიდი და მრისხანეა. ჩუცკაევი ყველა თავისი კარგი თვისების მიუხედავად უეჭველად სუსტია, სრულიად არ იცნობს სამხედრო საქმეს,

და ოდნავი გამწვავებისას იქ შეიძლება კატასტროფის საფრთხე გაჩნდეს. ვფიქრობ, უნდა განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, რომ ციმბირში ზაფხულის დამდეგს მაინც გაიგზავნოს ივ. ნ. სმირნოვი. ის, რა თქმა უნდა, მეტად დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევს, მაგრამ თუ ვერ გამოვსახავთ სხვა კანდიდატს, რომელსაც ეცოდინება ციმბირიც და სამხედრო საქმეც და შეეძლება დანამდვილებით არ დაიბნეს ძნელ ვითარებაში, ვფიქრობ, მაშინ აბსოლუტურად აუცილებელი იქნება გაიგზავნოს სმირნოვი [80].

9/III. 1921. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ლ. ა. ფოტიევას ჩანაწერის მიხედვით

88

ა. ი. რიკოვს

10. III. 1921 წ.

ამხ. რიკოვს

პირი ამხ. ციურუპასა და ამხ. რაკოვსკის

გთხოვთ ისარგებლოთ იმით, რომ ამხ. რაკოვსკი მოსკოვშია, და მასთან და ამხ. ციურუპასთან ერთად მოაწყოთ თათბირი საკითხზე, არის თუ არა შესაძლებელი და რა გზით, რომ პრაქტიკულად დავაინტერესოთ, ერთი მხრივ, გლეხები, ხოლო, მეორე ხხრივ, შინამრეწველები და საფაბრიკო-საქარხნო მოსახლეობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაცვლით (სახელმწიფოებრივად რაც შეიძლება უფრო ორგანიზებულად) მრეწველობის პროდუქტებზე. ამ თათბირის მოწყობა საჭიროა ძალიან სასწრაფოდ.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

89

ა. გ. გოიხბარგს

მცირე საბჭოს

ამხ. გოიხბარგ! წაიკითხეთ საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლის ეს წერილი და განსაკუთრებით ის, რაც ხაზგასმულია (გვ. 3).

საჭიროა ახლავე

1) გავატაროთ გაგზავნის **აკრძალვა** (მცირე საბჭოს ნებადაურთველად), ხოლო ნებართვა გავცეთ უდიდესი სიფრთხილით[81].

2) შესრულება შევამოწმოთ **სისტემატურად**.

12/III. ლენინი

დაწერილია 1921 წლის 12 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

90

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს

წინადადება შემომაქვს: ძირითადად მოწონებულ იქნეს მოლაპარაკება და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დაევალოს განაგრძოს იგი[82], მაგრამ ისე, რომ (1) საბოლოოდ არ გადაწყვიტოს პოლიტბიუროსთან შეუთანხმებლად (რომელსაც უნდა შეეძლოს თავისუფლად **უარის** თქმა);

(2) რომ ეცადოს ასეთი სესხი დადოს უკეთესი პირობებით სხვა (იტალიელ) შემომთავაზებელთან.

ლენინი 13/III.

დაწერილია 1921 წლის 13 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

91

ნ. ა. სემაშკოს

ამხ. სემაშკო!

(1) ძალიან გთხოვთ დანიშნოთ სპეციალური პირი (ჯობს საზელოვანი ექიმი, რომელიც იცნობს **უცხოეთს** და რომელსაც **იცნობენ უცხოეთში**) საზღვარგარეთ, გერმანიაში (ციურუპას, კრესტინსკის, ოსინსკის, კურაევის, გორკის, კოროლენკოს და სხვების) გასაგზავნად. საჭიროა მოხერხებულად გაიკითხოთ, სთხოვოთ, აგიტაცია გაუწიოთ, მისწეროთ გერმანიაში, დაეხმაროთ ავადმყოფებს და ა. შ.

გაკეთდეს უაღრესად აკურატულად
(გულდასმით).

(2) გაგზავნოთ **საუკეთესო** ექიმი ნ. ი. ბუხარინის ჯანმრთელობის (კერძოდ, გულის) გამოსაკვლევად და შედეგი მაცნობოთ.

ლენინი

დაწერილია 1921 წლის მარტში,
არა უადრეს 16-ისა

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

92

ვაშინგტონ ვანდერლიპს

მოსკოვი. 1921 წ. 17 მარტი.

მისტერ ვაშინგტონ ბ. ვანდერლიპს

მოწყალეო ხელმწიფევ,

გმადლობთ თქვენი ამა თვის 14-ის თავაზიანი წერილისათვის. მოხარული ვარ შევიტყო, რომ პრეზიდენტი ჰარდინგი კეთილმოსურნეობით ეკიდება ჩვენს ვაჭრობას ამერიკასთან. თქვენ იცით, რა მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენს მომავალ საქმიან ურთიერთობას ამერიკასთან. საგსებით შეგნებული გვაქვს ის როლი, რომელსაც ამ მხრივ ასრულებს თქვენი სინდიკატი, აგრეთვე თქვენი პირადი ღონისძიებების დიდი მნიშვნელობა[83]. თქვენი ახალი წინადადებანი მეტად საინტერესოა, და მე წინადადება მივეცი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მალ-მალე მომახსენოს ხოლმე, თუ როგორ მიმდინარეობს მოლაპარაკება. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ უდიდესი ყურადღებით მოვეკიდებით ყოველ გონივრულ წინადადებას *. ჩვენი მეცადინეობა მიმართულია, უმთავრესად, წარმოებისა და ვაჭრობისაკენ, და თქვენი დახმარება ჩვენთვის მეტად ძვირფასია.

თუ გექნებათ საჩივარი რომელიმე თანამდებობის პირზე, გთხოვთ გამოუგზავნოთ იგი სათანადო სახალხო კომისარიატს, რომელიც გამოიძიებს ამ საქმეს და მომახსენებს, თუ ეს საჭირო იქნება. მე უკვე გავეცი განკარგულება სპეციალური გამოძიების შესახებ იმ პირის მიმართ, რომელსაც თქვენს წერილში იხსენიებთ.

კომუნისტური პარტიის ყრილობამ იმდენი დრო და ძალღონე წამართვა, რომ ახლა ერთობ დავიღალე და ავად ვარ.

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 94. რ ე დ.

გთხოვთ მომიტევოთ, რომ ახლა არ შემიძლია პირადად გინახულოთ. ამხანაგ ჩიჩერინს ვთხოვ გესაუბროთ უახლოეს დროში.

გისურვებთ წარმატებას, ვრჩები თქვენი ერთგული

ვლ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით თარგმანი ინგლისურიდან

93

ა. ა. იოფეს

17. III. 1921 წ.

ძვირფასო ამხ. იოფე! დიდი გულისტკივილით წავიკითხე თქვენი 15/III-ის მეტად აღელვებული წერილი[84]. ვხედავ, რომ სავსებით კანონიერი საფუძველი გაქვთ იყოთ უკმაყოფილო და აღშფოთებულიც კი, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ცდებით ამის მიზეზების ძიებაში.

ჯერ ერთი, თქვენ ცდებით, როცა იმეორებთ (არაერთხელ), რომ «ცეკა მე ვარ». ამის დაწერა შეიძლება მხოლოდ დიდი ნერვული გაღიზიანებისა და გადაღლის მდგომარეობაში. ძველმა ცეკამ (1919—1920) მძლია ერთ-ერთ გიგანტურად მნიშვნელოვან საკითხში, რაც თქვენ დისკუსიიდან იცით[85]. ორგანიზაციულ და პერსონალურ საკითხებში უამრავია შემთხვევა, როცა უმცირესობაში ვყოფილვარ. ამის მაგალითები თქვენ თვითონ ბევრჯერ გინახავთ, როცა ცენტრალური კომიტეტის წევრი იყავით.

მაშ რატომ ნერვიულობთ ისე, რომ წერთ **სრულიად შეუწყნარებელ, სრულიად შეუწყნარებელ** ფრაზას, თითქოს ცეკა მე ვიყო. ეს გადაღლილობის ბრალია.

მეორე, არც თქვენით უკმაყოფილების ნასახი, არც თქვენ-

დამი უნდობლობა არა მაქვს. არა აქვთ ცეკისტებსაც, რამდენადაც მე მათ ვიცნობ, მილაპარაკია მათთან, ვხედავდი მათ დამოკიდებულებას თქვენდამი.

მაშ როგორ ავხსნათ საქმე? იმით, რომ ბედი აქეთ-იქით გისროდათ. ეს ბევრი მუშაკისათვის შემინიშნავს. მაგალითი სტალინია. რა თქმა უნდა, ის თავს არავის დააჩაგვრინებდა. მაგრამ «ბედმა» სამნახევარი წლის განმავლობაში ერთხელაც არ აცალა ყოფილიყო არც მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარი, არც ეროვნებათა სახალხო კომისარი. ეს ფაქტია.

თქვენც, ისევე როგორც საკმაოდ ბევრ უპირველეს მუშაკს, ბედი აქეთ-იქით გისროდათ. თქვენ ერთ-ერთი პირველი და საუკეთესო დიპლომატი ხართ. დიპლომატია ჩვენში დროგამოშვებით მუშაობდა. შუალედებში თქვენ «გსინჯავდნენ» (მუშგლეხინი), არ გაძლევდნენ დროს საქმე ბოლომდე მიგეყვანათ. ეს არის დანაშაული (უბედურება?) მთელი ცეკასი, რომელიც ბევრს ასე აქეთ-იქით ისროდა. დინჯად თუ დაუფიქრდებით, დაინახავთ, რომ ეს სიმართლეა.

სრულიად რუსეთის ცაკში რომ არ იყავით არჩეული? ტროცკის მაინც შეეკითხეთ, რამდენჯერ მერყეობდა ცეკას პრინციპული აზრები და გადაწყვეტილებანი ამის შესახებ! ბევრჯერ! «დემოკრატიზმი» გვაიძულებდა მაქსიმალურად განგვეახლებინა.

(ახალი ცეკა მხოლოდ გუშინ ჩამოყალიბდა და ერთბაშად ვერ «ააწყობს მუშაობას» [86]).

ჩემი პირადი აზრი, საკუთარი გულახდილი, ასეთია: (1) თქვენ სერიოზული დასვენება გჭირდებათ. თქვენთვის საზიანოა ნერვების აშლა. ჩვენ უაღრესად გვჭირდება გამოცდილი, ძველი, ნაცადი მუშაკები. სერიოზულად დაისვენეთ. მოიფიქრეთ, ხომ არა ჯობს საზღვარგარეთ, სანატორიუმში წასვლა. ჩვენში არ ვარგა. საკუთარ უნდა განიკურნოთ. (2) თქვენ იყავით და რჩებით ერთ-ერთ უპირველეს და საუკეთესო დიპლომატად და პოლიტიკოსად. თურქეთი?

თურქესტანი? იოლად წავალთ უთქვენოდ? რუმინეთი? ვაი-თუ იოლად ვერ წავიდეთ. ვფიქრობ, რომ ვერ წავალთ იოლად.

დაისვენეთ. შემდეგ ჩამოდით მოსკოვში. მოვილაპარაკოთ.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

94

რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს [87]

საესებით ვუჭერ მხარს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაევალოს ჩიჩერინს მოამზადოს მიმართვის პროექტი და გაატაროს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის **ამავე** სესიაზე.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 18 ან 19 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1961 წელს წიგნში «ლენინის იდეები ცოცხლობენ და იმარჯვებენ», მოსკოვი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

95

დეპეშა ლ. ბ. კრასინს *

შიფრით

კ რ ა ს ი ნ ს

პარტყრილობამ მოიწონა გროზნოსა და ბაქოში კონცესიების გაცემის ის ხაზი, რომელსაც მე ვიცავდი [88]. დააჩქარეთ

* დოკუმენტის ზემო ნაწილში ვ. ი. ლენინს მიუწერია: «ამხ. ჩიჩერინ! გთხოვთ გაგზავნოთ შიფრით, შეძლებისამებრ დღესვე. 19/III ლ ე ნ ი ნ ი». რ ე დ.

მოლაპარაკება ამ კონცესიების, აგრეთვე ყველა სხვა კონცესიის შესახებ. უფრო ხშირად მომაწოდეთ ინფორმაცია.

ლ ე ნ ი ნ ი *

დაწერილია 1921 წლის 19 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

96
მოწმობა ა. რ. შაპოშნიკოვს

მიეცა ეს მოწმობა უფის გუბერნიის უფის მაზრის ბულგაკოვის თემის სოფელ ბეკეტოვოს გლეხს ალექსი რომანის ძე შ ა პ ო შ ნ ი კ ო ვ ს იმაზე, რომ იგი ჩემ მიერ გამოძახებული იყო მოსკოვში საუბრისა და რჩევისათვის დიდმნიშვნელოვან საქმეზე, რომელიც გლეხურ მეურნეობას ეხება[89].

მის მიერ მოცემულ განმარტებებსა და პასუხებში მოქალაქე ა. რ. შ ა პ ო შ ნ ი კ ო ვ მ ა გამოიჩინა საქმისადმი კეთილსინდისიერი და პატიოსანი დამოკიდებულება.

წინადადება ეძლევა რსფს რესპუბლიკის ყველა საბჭოთა ხელისუფალს ყოველნაირად შეუწყოს ხელი მოქალაქე ა. რ. შ ა პ ო შ ნ ი კ ო ვ ს, რომ დაუბრუნდეს საცხოვრებელ ადგილას მშვიდობიან შრომას.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)**

დაწერილია 1921 წლის 22 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1941 წელს ჟურნალ «ბოლშევიკის» № 9-ში

იბეჭდება ქანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

---

* დეპეშას ხელს აწერს აგრეთვე გ. ვ. ჩიჩერინი. რ ე დ.

** მოწმობას ხელს აწერს აგრეთვე სახკომსაბჭოს მდივანი ლ. ა. ფოტიევა. რ ე დ.

97
ვ. ნ. კაიუროვს *

24. III. 1921 წ.

ძვირფასო ამხანაგო კაიუროვ!

მივიღე თქვენი 1. III. 21-ის წერილი გადასახადის შესახებ.

სწორედ ამ ხნის განმავლობაში (სანამ თქვენი წერილი მოდიოდა) პარტიის X ყრილობაზეც და სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტშიც გადასახადის საკითხი უკვე გატარდა. რა თქმა უნდა, იცით გაზეთებიდან.

ხანდახან მომწერეთ დაკვირვებები ადგილებიდან. როგორ ხვდებიან გადასახადს ციმბირელი გლეხები? როგორია მათი სხვა მოთხოვნები და განწყობილება? რა ამბებია მუშებში?

გისურვებთ ყოველივე კარგს! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

98
ლ. ბ. კამენევს

24. III. 1921 წ.

ამხ. კამენევ!

ბადაიჩი ** ძალიან მთხოვს დავეხმარო მოსკოვის სამომხმარებლო კომუნისათვის ყოფ. იაკუნჩიკოვის მამულისა და ხოდინკის ხუტორის გადაცემის საქმეში.

---

* ამ წერილის კონვერტზე ვ. ი. ლენინის წარწერაა: «ამხ. ვ. კაიუროვს. კოლჩუგინოს რკინიგზის ახალმშენებლობა. ქალაქი ტომსკი (ლენინისაგან)». რ ე დ.

** ა. ე. ბ ა დ ა ე ვ ი. რ ე დ.

მოსკოვთან ახლოაო. მოსკოველთათვის ბოსტნები და ფერმა გაშენდებაო.

საგუბერნიო სამიწათმოქმედო განყოფილება თვითმმართველობისათვის აიღებსო.

ბადაიჩი იმოწმებს პიტერელთა კარგ გამოცდილებას, როცა ფერმა სანიმუშოდ მოაწყვეს.

პრინციპულად: ქალაქის დაინტერესებამ გავლენა უნდა მოახდინოს «გულმოდგინებაზე». პრინციპულად ბადაევი მართალია.

შეიძლებოდა ასეც: ეს მივცეთ ბადაიჩს, ხოლო საგუბერნიო სამიწათმოქმედო განყოფილებას მივცეთ ფორმალური განკარგულება: არ უნდა ჩამორჩე შენი საბჭოთა მეურნეობებით. და შემოდგომაზე შევადაროთ.

ლენინი

P. S. საერთოდ მებოსტნეობის კამპანიას მიეძალეთ. ხომ არ დავაყენოთ შრომისა და თავდაცვის საბჭოში? ზეგავლენის მოსახდენად?

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

99

ა. დ. ციურუპას

ამხ. ციურუპა! მივიღე თქვენი ბარათი ვადის გადადების შესახებ (გამოყენების კომისიის შემადგენლობა) [90]. მეტად ვწუხვარ, რომ **გვიან** მაძლევთ (სხდომის დღეს). მთელი კვირის დაკარგვაზე თანახმა არა ვარ.

კანდიდატები: კრიცმანი, სმირნოვი, გოლცმანი.
თქვენი კანდიდატები, ე. ი. თქვენი სია?

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 25 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

100

ა. ი. რიკოვს

26. III. 1921 წ.

ამხ. რიკოვ!

მოგაგონებთ, რომ გუშინ ტელეფონით დამპირდით: ნავთობის მთავარ სამმართველოს თქვენთვის **მოკლე** ცნობას შევუკვეთავ ნავთობის ცისტერნების შესახებო (ნავთობის ვარგისი ცისტერნების შეჯანებული რიცხვი რკინიგზების მთელ ქსელზე მ ი ნ უ ს ცისტერნები, საჭიროების გამო დაკავებულ სხვა რკინიგზებზე, მაგალითად, ვოლგიდან მოსკოვისაკენ, გარდა სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინიგზებისა. სხვაობა—რამდენი ცისტერნით შ ე გ ვ ი ძ ლ ი ა და უ ნ დ ა ვზიდოთ ნავთობი გროზნოდან (და ბაქოდან) მოსკოვში. ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე-ში რ ა მ დ ე ნ ს გ ა დ მ ო ა ქ ვ ს).

კარგი იქნებოდა (მაგრამ სავალდებულო არ არის) დაგერთოთ პროექტი შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა ნავთობის ცისტერნების სრული და სწორი გამოყენების შესახებ[91].

როდის გამომიგზავნით?

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

101
ა. დ. ციურუპას

ამხ. ციურუპა! ხვალ დღის 12 საათისათვის მესაჭიროება შემდეგი ცნობები:

1) მოსახლეობისათვის მიცემული პურის (და პურფურაჟის) რაოდენობა.

	სამი სვეტი		
	სასურს. პური	კარტოფილი	საფურაჟე ძარცვალი
1919 — 1920			
1920 — 1921 თვეების მიხედვით			

2) **შეგროვებული** (სურსათის კომიტეტის მიერ) პურის რაოდენობა:

მარტოოდენ გაწერით დასაფქვავად	**ჯამი** 1920 — 1921 (თვეების არსებული რიცხვებისათვის)

3) იმ გუბერნიების რიცხვი (და მათთვის გაწერა), რომლებმაც შეასრულეს გაწერა (1920—1921)

ამა და ამ თვისათვის 100%-ით
— « — « 75%-ით

უთხარით სენინს ან იმას, ვინც თქვენთან ამას განაგებს, რომ თუ 12 საათისათვის არ მივიღებ პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილს, ჩავსვამ.

ლენინი

P. S. კიდევ ორი რამ:

1) ხომ არ ყოფილა პურის კიდევ სხვა შეგროვება «მომსახურებისათვის», გარდა «მინდისა»?

2) ხომ არ არის ცნობები **მარილის გამო (პურში)** «თავისუფალი» ფასის შესახებ და სხვ.? (ხომ გახსოვთ, დიდი ხანია გთხოვეთ ეს.)

დაწერილია 1921 წლის 27 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

102

ფ. ე. ძერჟინსკის

27. III. 1921 წ.

ამხ. ძერჟინსკი!

გთხოვთ მოიწეროთ ან დაავალოთ თქვენს მდივანს მომწეროს **მ ო კ ლ ე დ** (10—20 სტრიქონი) ჩექმების დასამზადებელი 400 (ნაცვლად 1000-ისა) ფუთი ნივთების (ამასთან ცუდად, არასწორად შერჩეული ნივთების) უხეიროდ ყიდვის ამბავი.

ეს შესაჭიროება მითითებისათვის: როგორ და რას ერიდონ. როგორ აირიდონ **ა მ გ ვ ა რ ი** შეცდომები[92].

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

103

ე. ა. პრეობრაჟენსკის

27/III.

ამხ. პრეობრაჟენსკი!

ამბობენ, **რომ «კოოპერატორთა» წრეებს, რომლებსაც სათავეში უდგანან პროკოპოვიჩი**, კუსკოვა და კომპ., უნდათ შემოსთავაზონ მთავრობას:

> ჩვენ აღგიდგენთ ვალუტას, თუ ნებას დაგვრთავთ გამოვუშვათ ბონები ჩვენი (კოოპერატიეების) სასაქონლო ფონდის უზრუნველყოფით.

ეს სასაცილოა, რადგან უდრის კაპიტალისტების წინადადებას: ჩვენ აღგიდგენთ ვალუტას, თუ თქვენ მოგვცემთ სასაქონლო ფონდს.

მაგრამ ეს არა მარტო სასაცილოა, არამედ საქმის არსსაც ხაზგასმით აღნიშნავს: ჩვენ **სწორედ ახლა**, ნატურალური გადასახადისა და გაცვლის (პურზე) შემოღების მომენტში, სისტემატურად უნდა დავიწყოთ ვალუტის «გაჯანსაღების» მზადება, რისთვისაც უნდა გამოვუშვათ ბონები **საქონლის** (სასაქონლო ფონდის, პურის ფონდისა და სხვ.) **უზრუნველყოფით.**

ამის დაყოვნება არ შეიძლება. ეს უნდა მოვიფიქროთ და მოვამზადოთ და დავიწყოთ ვერცხლის საკითხის გადაწყვეტის დ ა უ ლ ო დ ნ ე ლ ა დ.

დააყენეთ თუ არა ეს საკითხი თქვენი კომისიისათვის და მასში ?[93].

მომწერეთ ორიოდე სიტყვა ხვალ (28) დილის 11 საათისათვის.

თქვენ დაგნიშნავთ **ფინანსთა სახალხო კომისარიატის** კოლეგიის წევრად. ეს დროს ა რ წაგართმევთ, მაგრამ დ ა გ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ თ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან[94].

ყურადღება მიაქციეთ **ფალკნერს** (იმ ქალის* ძმას). უფრო ხომ არ დაგვიახლოვდება იგი ჩვენ და საქმეს?

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 27 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* ვ. ნ. სმიტ-ფალკნერი, ს. ა. ფალკნერის და. რ ე დ.

104
ა. ი. რიკოვს

ამხ. რიკოვ!

გადავათვალიერე თქვენი მასალები საკონცესიო ხელშეკრულების შესახებ და დიდად აღშფოთებული ვარ[95].

ეს საბოტაჟია ან დოსერისა და კომპ. იდიოტობა!

უამრავია უსარგებლო და სასაცილო წვრილმანი (ცეცხლის დანთების აკრძალვა და სხვ.), ხოლო გ ა მ ო ყ ო ფ ი ლ ი ა რ ა რ ი ს ს ე რ ი ო ზ უ ლ ი.

სერიოზული ჩაძირულია ბიუროკრატიულ ნაგავში.

არა ჩანს **თავი**, რომელიც ფიქრობდეს.

რას აკეთებს ლომოვი?

თქვენ ჩაშალეთ სახკომსაბჭოს გადაწყვეტილება 2/II. 1921)[96], რომლის მიხედვითაც სამი კვირის ვადაში უნდა შემუშავებულიყო **მთავარი პრინციპები!!**

რადაც უნდა დაჯდეს საჭიროა ხვალ (ე. ი. 28/III) შემუშავებულ იქნეს ეს პრინციპები, ამასთან ისე მოკლედ, როგ ტ ე ლ ე გ რ ა ფ ი თ გაეგზავნოს კრასინს.

წ ი ნ ა ს წ ა რ მე უნდა მაჩვენოთ.

ვურთავ შავად, ნაჩქარევად დაწერილ ჩ ე მ ს პროექტს: ვეხები მნიშვნელოვანსა და სადავოს[97]. დანარჩენი, ჩემი აზრით, ნაკლებ მნიშვნელოვანი ან უდავოა.

შეწყვიტეთ საბოტაჟი და **რიგიანად** დასძარით საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში ცეკაში ვიომებ.

ვინა გყავთ «საკონცესიო კომისიაში»? მისი შემადგენლობა: მიპასუხეთ ხვალ 11 საათამდე.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 27 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

105
ლ. დ. ტროცკის

ამხ. ტროცკი!

გადახედეთ ამას (საინტერესოა) და დამიბრუნეთ[98]. დღესვე დაველაპარაკები ხარკოვს.

მაგრამ ის, რაც კონცესიებს შეეხება, განა სასაცილო არ არის?

«პატრიოტიზმი» ბაქოურიც და დონბასურიც.

დონბასის $^1/_4$-ის (+ კრივოი როგის) მიცემა კონცესიონერებისათვის კი უაღრესად სასურველია.

თქვენი აზრი?

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 28—29 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

106
ა. ი. ემშანოვს *

გზათა სახალხო კომისარიატი

გზათა სახალხო კომისარს

29. III. 1921 წ.

ამხ. ემშანოვ!

გთხოვთ მაცნობოთ, თქვენთან გზათა სახალხო კომისარიატში ვინ განაგებს ცისტერნების (ნავთობისათვის) განაწილებას ქსელში და რკინიგზებით ნავთობის მიზიდვას.

---

* დოკუმენტის ზემო ნაწილში ვ. ი. ლენინს დაუწერია: «დაბეჭდეთ მანქანაზე 3 ცალად, მოვაწერ ხელს და გაგზავნეთ». რ ე დ.

1) ვინ აგებს ამისათვის პასუხს?

2) სახელდობრ რა გააკეთა სახალხო კომისარიატმა ამ საკითხზე შრომისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილების (15 ან 17. XII. 1920) [99] შესასრულებლად?

3) როდის და ვინ მიიღო, — აგრეთვე როდის და ვინ გააუქმა განკარგულება სხვადასხვა გზებისათვის ნავთობის ცისტერნების მიწერის შესახებ?

4) როგორია ამჟამად ცისტერნების განაწილება ქსელში?

თუ ისეთია, როგორიც აღნიშნულია თქვენი «ცნობა-მოხსენების» (უთარიღო ქაღალდის) (მივიღე 29. III) 1-ლი ცხრილის უკანასკნელ სვეტში («სინამდვილეში არის» **რომელი რიცხვისათვის?**), მაშინ როგორ უნდა აიხსნას, რომ 8 გზაზეა (183+161+22+88+9+493+1405+194=) **2555** ცისტერნა, თუმცა «ჩასხმის დავალებანი» ამ გზებზე არ არის?

5) ხომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ უფრო სრული მონაცემები, გვაქვს თუ არა ცისტერნები და სად მუშაობენ ეს ცისტერნები, ამასთან რკინიგზები გაჰყოთ 3 ჯგუფად და ჯამი* მოგცეთ 3 ჯგუფის შესახებ:

(ა) (1) რკინიგზები, რომლებიც ნავთობს ეზიდებოდნენ ვოლგიდან.

(ბ) (2) « « » » კავკასიიდან (გროზნო და ბაქო)

(გ) (3) რკინიგზები, რომლებსაც არ გადაჰქონდათ ნავთობი?

6) რატომ არის, რომ ნავთობმატარებლების სიჩქარედ მიღებულია 6 ვერსი საათში? არის თუ არა ტექნიკური დაბრკოლებები (და როგორი) მაქსიმალური (ვთქვათ, სამხედრო მატარებლების) სიჩქარის მიღწევისათვის? როგორი იყო

* რამდენი ნავთობია გადაზიდული? თვეების მიხედვით? ცისტერნების რიცხვი?

ჩვენში ომამდელი სიჩქარე? სინამდვილეში რა სიჩქარე გვაქვს ჩვენ, 1920, მინიმალური და მაქსიმალური?

გთხოვთ მაცნობოთ, აღნიშნულიდან რომელი ცნობები შეგიძლიათ წარმომიდგინოთ დაუყოვნებლივ და რომელი—რაც შეიძლება მოკლე ვადებში (სახელდობრ რა ვადებში?)?

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1931 წლის 21 იანვარს გაზეთ «ზა ინდუსტრიალიზაციუ»-ს № 21-ში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

107

ბარათი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს გ. კ. ორჯონიკიძისადმი დეპეშის პროექტით

წინადადებას გაძლევთ მიპასუხოთ შიფრით **პირდაპირი მავთულით**

ორჯონიკიძეს

ჩვენ მივიღეთ ნარიმანოვის, ბუნიათ-ზადეს და სერებროვსკის სასოწარკვეთილი დეპეშა. ისინი სამართლიანად აღნიშნავენ, რომ სრულიად შეუძლებელია მეთერთმეტე არმიის დაბრუნება დამშეულ და გაძარცულ აზერბაიჯანში. მიიღეთ უაღრესად ენერგიული ზომები, რათა ეს არმია დატოვებულ იქნეს საქართველოში და რადაც უნდა დაჯდეს დააჩქარეთ

პურის ჩამოტანა უცხოეთიდან საქართველოს კონცესიებზე, მარგანეცზე და სხვ. გაცვლით. სწრაფად მიპასუხეთ.

პოლიტბიუროს დავალებით ლ ე ნ ი ნ ი

პოლიტბიუროს წევრთა ხმები

მომხრე **წ*ნააღმდეგი**

ლ ე ნ ი ნ ი*

დაწერილია 1921 წლის 29 მარტს

პირველად დაიბეჭდა არასრულად 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

108

დეპეშა ბ. კ. ორჯონიკიძეს

შიფრით

ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე ს

ძალიან გთხოვთ უაღრესად სერიოზული ყურადღება მიაქციოთ გუშინ აღძრულ საკითხს არმიისა და საქართველოს კონცესიების შესახებ. საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ზოგიერთი კონცესია დადო. მთელი ძალ-ღონით უნდა ეცადოთ განაახლოთ ეს ძველი კონცესიები, რაც შეიძლება მალე და ყოველნაირად შეეცადოთ, რომ დაიდოს ახლები, რათა კონცესიების სანაცვლოდ სურსათი ვიშოვოთ. აჩვენეთ ეს საქართველოს რევკომს და სასწრაფოდ მაცნობეთ მათი პასუხი.

ლ ე ნ ი ნ ი

30/III.

დაწერილია 1921 წლის 30 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* მომხრეებად ხელი მოაწერეს აგრეთვე: მ. ი. კალინინმა, ლ. ბ. კამენევმა, ვ. მ. მოლოტოვმა; თავი შეიკავა ლ. დ. ტროცკიმ. რ ე დ.

109

ტელეფონოგრამა
გ. ი. პეტროვსკისა და მ. ვ. ფრუნზეს

ტ ე ლ ე ფ ო ნ ო გ რ ა მ ა **ხარკოვში**
პეტროვსკისა და ფრუნზეს

პიატაკოვი ძალიან მთხოვს ხელი შევუწყო იმას, რომ სერგეი სირცოვი ოდესიდან დონბასში მივცეთ მდივნად. პიატაკოვი უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ბრალად სდებს, რომ მას არა სურს მისცეს სირცოვი მხოლოდ ფრაქციულობის შიშით, ვინაიდან სირცოვი ტროცკისტიაო. პიატაკოვი აცხადებს, რომ თვითონაც და სირცოვიც პირობას იძლევიან არ აწარმოონ ფრაქციული პოლიტიკა. სირცოვს არ ვიცნობ, გთხოვთ შეაგროვოთ ყველა ცნობა და მიპასუხოთ.

30/III. 1921. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

110

გ. ვ. ჩიჩერინს

ამხ. ჩიჩერინ!

სავსებით გეთანხმებით[100]. შეადგინეთ ან დაავალეთ შეადგინონ ასეთი ცირკულარის პ რ ო ე ქ ტ ი (ხომ არ შეიძლება მასში ჩართოთ ნარიმანოვის მთელი სიტყვა ან თუნდაც

ურჩიოთ მისი გამოყენება — ეს უარესია, ვიდრე მთელი სიტყვის ჩართვა).

შეიტანეთ ცეკაში.

ეს აუცილებელია.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 31 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

111

დეპეშა ლ. ბ. კრასინს

შიფრით

კ რ ა ს ი ნ ს

მეც ვშიშობ, რომ ტყუილუბრალოდ შევჭამთ ან ვაჭრობაში წავაგებთ მთელ ჩვენს მცირე ოქროს ფონდს. ყაირათიანობისათვის თქვენ აგებთ პასუხს. მუშებისა და გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესება აბსოლუტურად აუცილებელია. პურზე გასაცვლელად სწრაფად უნდა მივიღოთ უცხოეთიდან საქონლის გარკვეული ფონდი; ეს პოლიტიკურად აუცილებელია; შეეწყეთ ამას და უფრო ხშირად მაცნობეთ ხოლმე.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის მარტში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

112

ა. პ. სერებროვსკის

2. IV. 1921 წ.

ამხ. სერებროვსკი!

გიგზავნით ზოგიერთ მასალას ნავთობის კონცესიების შესახებ. მინდოდა ეს ამხ. კამინსკისათვის გამომეტანებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, მძიმე ავადმყოფობის გამო საჭირო გახდა მისი აქ მკურნალობა.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბაქოელმა ამხანაგებმა შეითვისონ ს წ ო რ ი (და X პარტყრილობის მიერ მოწონებული, ე. ი. პარტიის წევრებისათვის ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო) შეხედულება კონცესიებზე. უაღრესად სასურველია ბაქოს 1/4 (იქნებ 2/4-იც) მიეცეთ კონცესიონერებს (იმ პირობით, რომ დაგვეხმარონ უცხოეთიდან სურსათითაც და მოწყობილობითაც იმაზე მეტი ოდენობით, რაც საჭიროა კონცესიონერისათვის*). მ ხ ო ლ ო დ მაშინ არის იმედი, რომ დანარჩენი 3/4-ით (ან 2/4-ით) დ ა ვ ე წ ე ვ ი თ (ხოლო შემდეგ კიდევაც გავუსწრებთ) თანამედროვე მოწინავე კაპიტალიზმს. ყოველი სხვანაირი შეხედულება გახლავთ უაღრესად მავნე «კუდით ქვას ვასროლინებთ», «თვითონ გავართმევთ თავს» და სხვა მისთანა სისულელე, რომელიც მით უფრო საშიშია, რაც უფრო ხშირად აფარებს თავს «წმინდა კომუნისტური» მოკაზმულობას.

თუ თქვენთან ბაქოში კიდევ არის კვალი (თუნდაც ძალიან მცირე) ამ უაღრესად მავნე შეხედულებებისა და ცრურწმენებისა (მუშებსა და ინტელიგენტებში), მაშინვე მომწერეთ: კისრულობთ თუ არა თვითონ ძირიანად აღმოფხვრათ ეს ცრურწმენები და მიაღწიოთ ყრილობის გადაწყვეტილების

* კრასინმა საკონცესიო პირობათა მისთვის გაგზავნილი პროექტების საპასუხოდ გუშინ მიდეპეშა: «ძირითადად მისაღებია». კრასინს კი ეს საქმე კომუნისტური ბროშურებიდან როდი აქვს შ ე ს წ ა ვ ლ ი ლ ი!

უაღრესად ლოიალურ განხორციელებას (კონცესიების სასარგებლოდ), თუ ჩემი დახმარება გესაჭიროებათ. კარგად შეიგნეთ და ყველას შეაგნებინეთ: «კონცესიები უაღრესად სასურველია. არაფერია კომუნიზმისათვის იმაზე უფრო მავნე და დამღუპველი, ვიდრე კომუნისტური ბაქიაობა—თვითონ გავართმევთ თავსო».

ახლა, როცა გვაქვს ბათუმი, მთელი ძალებით უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება სწრაფად გადავცვალოთ საზღვარგარეთ ნავთობი და ნავთი მოწყობილობაზე.

ამისათვის გარკვეული დამოუკიდებლობა ესაჭიროება ბაქოს რაიონს. თუ იგი არა გაქვთ, ზუსტად გვიდეპეშეთ, ჩვენ მას მოგცემთ [101].

ჩამოაყალიბეთ ზუსტი წინადადებანი — გზავნეთ ისინი შრომისა და თავდაცვის საბჭოში ტელეგრაფითა და ფოსტით. საჭიროა საოლქო სამეურნეო ცენტრი, რომელიც პასუხს უნდა აგებდეს ბაქოსათვის + ბათუმისათვის და ა. შ. და რომელიც საქმეს გაუძღვება დამოუკიდებლად, სწრაფად, გაუჭიანურებლად.

ჩვენ აქედან ვერ დაგეხმარებით, თვითონაც ღარიბები ვართ. თქვენ უნდა დაგვეხმაროთ იმით, რომ ყოველივე საჭირო იყიდოთ საზღვარგარეთ ნავთობზე და მის პროდუქტებზე გადაცვლის საშუალებით.

ველი პასუხს: ტელეგრაფით მოკლედ («2/IV-ის წერილი მივიღე, კონცესიების შესახებ ცრურწმენები არის, ძნელად (ან ადვილად) დასაძლევია; რაც შეეხება უცხოეთთან საქონელგაცვლასა და საოლქო ცენტრს, გავაკეთებთ ან ვაკეთებთ ამასა და ამას»), ხოლო დაწვრილებით ფოსტით.

შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან სწორი ურთიერთობა აუცილებლად საჭიროა. ეს მთავარია.

კიდევ ერთი კითხვა: სწორად აყენებენ თუ არა ბაქოში საკითხს ნავთობის შესახებ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა

მხარეების შეთანხმების თვალსაზრისით? მხარე ხომ უმდიდ-
რესია: ტყეები, ნაყოფიერი (რწყვის პირობებში) მიწა და სხვ.
ვქაჩავთ წყალს (ნავთობთან ერთად) და ამ წყალს არ ვიყე-
ნებთ რწყვისათვის, რაც მოგვცემდა თივის, ბრინჯის, ბამბის
გიგანტურ მოსავალს? არ ვიყენებთ «ნორდს» ქარის ძრავები-
სათვის? მაგრამ მთავარია, რა თქმა უნდა, სურსათი, რწყვა.
განა შეიძლება ნავთობმრეწველობის განვითარება, თუ არ
განვავითარეთ რწყვა და მიწათმოქმედება ბაქოს გარშემო?
ფიქრობს თუ არა ვინმე და მუშაობს თუ არა ვინმე ამაზე
როგორც საჭიროა? როგორ არის რწყვის ინგლისური გეგმის
საქმე?

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

გაიგზავნა ბაქოში

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

113

ვ. ვ. შმიდტს, ლ. დ. ტროცკის, ა. დ. ციურუპას, ა. ი. რიკოვს, მ. პ. ტომსკის, ა. გ. შლიაპნიკოვს

2. IV. 1921 წ.

ამხ. შმიდტს, შრომის სახალხო კომისარიატი

ტროცკის, სამხედრო სახალხო კომისარიატი
ციურუპას, სურსათის სახალხო კომისარიატი
რიკოვს, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო
ტომსკის, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა
ცენტრალური საბჭო

ამხ. შლიაპნიკოვს, როგორც ამ წინადადების ინიციატორს

გთხოვთ მოიწვიოთ დასახელებულ სახალხო კომისართა
(+სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბ-

ჭოს თავმჯდომარე) ან მათ მიერ საგანგებოდ რწმუნებულ პირთა თათბირი

ფაბრიკა-ქარხნების გაჯანსაღების საკითხზე მჭამელებისა და იმ მუშათა (გლეხებიდან, მობილიზებული არმიელებიდან და სხვ.) რაოდენობის შემცირების გზით, რომლებიც უნაყოფოდ ირიცხებიან ქარხანაში; გარკვეული დროის მანძილზე სურსათი თითოეულ საწარმოს უნდა დაეტოვოს წინანდელი ოდენობით შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად.

თათბირის მუშაობის დამთავრების ვადა მოკლე უნდა იყოს, სახელდობრ: სასურველია სამშაბათს, 5/IV. 1921, დილით (12 საათისათვის) შეტანილ იქნეს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში.

მოწვევა ევალება ამხ. შმიდტს [102].

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

114

დეპეშა გ. კ. ორჯონიკიძეს

შიფრით

ორჯონიკიძეს

თქვენი პასუხი არასრული და ბუნდოვანია [103]. გთხოვთ შეიტყოთ დაწვრილებით საქართველოს რევკომისაგან. პირველი, დაუდასტურა თუ არა საქართველოს საბჭოთა მთავრობამ იტალიელებს კონცესია ტყვარჩელის მაღაროებზე, როდის, როგორია პირობები, მაცნობეთ მოკლედ ტელეგრაფით, უფრო დაწვრილებით წერილით. მეორე, ჭიათურის მარგა-

ნეცის მაღაროების შესახებ: გადაიყვანეს თუ არა მესაკუთრე გერმანელები მოიჯარეთა ან კონცესიონერთა მდგომარეობაზე, როდის, რა პირობებით. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ამ და ასეთ საკითხებზე გადაწყვეტილებანი ძალიან სწრაფი იყოს. ამას გიგანტური მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვისაც და რუსეთისთვისაც, ვინაიდან კონცესიები, განსაკუთრებით იტალიასთან და გერმანიასთან, ისევე როგორც საქონლის გაცვლა ნავთობზე, უთუოდ დიდი მასშტაბითაა საჭირო ამ ქვეყნებთან, შემდეგ კი სხვებთანაც.

გთხოვთ მაცნობოთ ხოლმე საქართველოს რევკომის ღონისძიებათა ამბები.

5/IV. 1921.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

115

ა. ი. რიკოვს

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმი, ამხ. რიკოვს

გთხოვთ სასწრაფო წესით გადაწყვიტოთ ჰიდროტორფის შემდეგი საკითხები:

1. იმ ქარხნებისათვის ნატურპრემიების მიცემისა, რომლებიც ამზადებენ ჰიდროტორფის მოწყობილობას (იხ. ჰიდროტორფის 26/III-ის წერილი № 1252 სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი);

2. ჰიდროტორფისათვის იმ უფლების მინიჭებისა, რომ სადგურ «ელექტროპერედაჩასთან» ჰიდროტორფის მეურნეობისათვის მოსამზადებელი სამუშაოები აწარმოოს საიჯარო წესით, როგორც ეს უკვე ნებადართულია შრომისა და თავ-

დაცვის საბჭოს მიერ სადგურ «ელექტროპერედაჩისათვის» (იხ. ჰიდროტორფის 31/III-ის წერილი № 1329 სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი);

3. ჰიდროტორფის საჩივრისა, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პასუხისმგებელი თანამშრომლების სურსათით მომარაგების კომისიის 22/III-ის დადგენილებით იმ 100 ულუფიდან, რომლებიც ჰიდროტორფს სურსათის სახალხო კომისარიატმა ჰიდროტორფის პასუხისმგებელი თანამშრომლებისათვის მისცა, ჩამოჭრილ იქნა 27 ულუფა (იხ. ჰიდროტორფის 31/III-ის წერილი № 1347 სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი);

იმ ანგარიშით, რომ, თუ საჭირო იქნება, შეიძლებოდეს მათი შეტანა შრომისა და თავდაცვის საბჭოს 6 აპრილის სხდომაზე [104].

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 5 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

116

ა. ი. რიკოვს

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,

ამხ. რიკოვს

პირი: საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს

პირი: საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს

პირი: სრულიად რუსეთის საგანგებო
კომისიას
პირი: ტორფის მრეწველობის მთავარ
სამმართველოს

ამხ. რადჩენკო გვთხოვს:

1) გაფორმდეს ტორფის მრეწველობის მთავარი სამმართველოდან 10 თანამშრომლის მივლინება (ამხანაგ რადჩენკოსა და ამხანაგ სმილგას თავდებობით) ფინეთში, შვეიცარიაში, დანიასა და კანადაში ტორფმოპოვების საქმის დაყენების გაცნობის მიზნით;

2) გამოიყოს ამისათვის ფულის საჭირო თანხა;

3) გაგზავნა მოეწყოს ისე, რომ 1 მაისისათვის წავიდეს სამი კაცი, ხოლო დანარჩენები — 1 ივნისისათვის.

გთხოვთ ეს საქმე დააჩქაროთ, მაგრამ ტორფის მრეწველობის მთავარ სამმართველოს დაავალეთ მივლინების დამთავრების შემდეგ წარმოადგინოს დაწვრილებითი ანგარიში შესრულებული მუშაობის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

P. S. მეტად საჭიროა, რომ ძლიერ დაჩქარდეს ეს საქმე და აუცილებლად მეცნობოს ფაქტობრივი შესრულება.

ლენინი*

დაწერილია 1921 წლის 6 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება მანქანაზე
დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შევსებული და
ხელმოწერილია
ვ. ი. ლენინის მიერ

* პოსტსკრიპტუმი დაწერილი ვ. ი. ლენინის ხელით. რედ.

117

ა. მ. ლეჟავას

საგარეო ვაჭრობის სახალხო
კომისარიატი, ამხ. ლეჟავას
პირი: ტორფის მრეწველობის მთავარ
სამმართველოს

დაუდასტურეთ ჩვენს წარმომადგენლებს ფინეთში, შვეციაში, დანიაში, გერმანიაში, ინგლისში დავალება, რომ დაუყოვნებლივ შეისყიდონ არსებული უახლესი* ლიტერატურა ტორფის საქმეზე, აგრეთვე ლიტერატურა, რომელიც ახლა გამოდის, და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საშუალებით გამოგზავნონ იგი მხოლოდ და მხოლოდ ტორფის მრეწველობის მთავარი სამმართველოს მისამართებით.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 6 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1963 წლის 24 ნოემბერს გაზეთ «პრავდის» № 328-ში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელიც შევსებული და ხელმოწერილია
ვ. ი. ლენინის მიერ

118

დ. ი. ულიანოვს

დიმიტრი ილიას-ძე **ულიანოვს**

გუბკინი (ნავთობის მრეწველობის მთავარი სამმართველო) და ლომოვი (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი) მთხოვენ მხარი დავუჭირო მათ თხოვნას, რასაც კიდევაც ვაკეთებ:

---

* სიტყვა «უახლესი» ჩაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

დაეხმარე გეოლოგ მ უ შ კ ე ტ ო ვ ს (პეტროგრადის საბთო ინსტიტუტის დირექტორს) დედამიწის ჩამოყვანაში ყირიმიდან, სადაც იგი დიდ გაჭირვებას განიცდის.

თუ საჭიროა, მიდეპეშე, და აქედან კიდევ გავგზავნი ისეთ დეპეშას, როგორიც საჭიროა.

სალამი! ვ. ულ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1921 წლის 6 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

119

ლ. ბ. კამენევს

ამხ. კამენევ! გიგზავნით ცნობად. მე არ წამიკითხავს [105].

NB: **ძ ა ლ ი ა ნ** ავჩქარდით, ტყუილად ავჩქარდით, რომ შემოვიღეთ კანონი, რომლის თანახმადაც გასაცვლელად გაიცემა ნატურალური პრემია ფაბრიკების პროდუქტის სახით [106]. დაიხსომეთ ჩემი სიტყვა: ა ქ აჩქარება საზიანოა და სიკეთეს არ მოიტანს.

ამ ღონისძიების ყველა და ყოველგვარი **გ ა დ ა დ ე ბ ა** და **შ ე ზ ღ უ დ ვ ა კ ი დ ე ვ** შეიძლება და **უნდა** გატარდეს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან ინანებთ და (ყველაზე მეტად თქვენ, რადგან მუშები «მოტყუებისათვის» **თქვენ** წყევლა-კრულვას შემოგითვლიან).

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის აპრილში, 6-ის შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

120

დეპეშა ვ. ვ. ვოროვსკის

შიფრით

ვოროვსკის

მე მომიხდება იტალიელი სოციალისტების საქმეებში გარკვევა, წაკითხვის დრო კი ვერ გამომინახავს. გთხოვთ გასცეთ განკარგულება შეარჩიონ ყველა პარტიის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების დედნები, განსაკუთრებით ტურატელთა შესახებ, და გამომიგზავნონ მაისის შუა რიცხვებამდე. შეამოწმეთ პირადად.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 8 აპრილს
გაიგზავნა რომში

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

121

დ ე პ ე შ ა

იაკუტიის ლარიბთა კონფერენციას [107]

იაკუტსკი. ლარიბთა კონფერენციის პრეზიდიუმს

ამხანაგმა ლენინმა დამავალა გადმოვცე მისი სალამი თქვენს კონფერენციას. ამხანაგი ლენინი იმედს გამოთქვამს, რომ მეფის უღლისაგან [დახსნილი] **დ ა ხ ს ნ ი ლ ნ ი** იაკუტიის [ლარიბი მოსახლეობა] **მ შ რ ო მ ე ლ ი მ ა ს ე ბ ი,**

[რომელიც თავისუფლდება] **რომლებიც თავისუფლდებიან** ტოიონების კაბალისაგან, [გაიღვიძებს] **გაიღვიძებენ** და რუსი მუშებისა და გლეხების დახმარებით [გავა] **გავლენ** [კომუნიზმის] **თვით მშრომელთა ხელისუფლების სრული განმტკიცების** გზაზე.

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის წევრი ამოსოვი*

ვეთანხმები აღნიშნულ შესწორებებს.

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 9 ან 10 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
მ. კ. ამოსოვის ხელით დაწერილი
და ვ. ი. ლენინის მიერ
შესწორებული და შევსებული
ტექსტის მიხედვით

122

ვ. მ. მოლოტოვს

ამხ. მოლოტოვს. თუ მეხსიერება არა მღალატობს, გაზეთებში დაბეჭდილია ცენტრალური კომიტეტის წერილი თუ ცირკულარი 1 მაისის შესახებ, და იქ ნათქვამია: ვამხილოთ რელიგიის **სიცრუე** თუ რაღაც ამის მაგვარი.

ეს არ შეიძლება. ეს უტაქტობაა. სწორედ აღდგომის გამო რეკომენდებულ უნდა იქნეს სხვა რამ.

---

* ქვემოთ დეპეშაზე ლ. ა. ფოტიევას ხელით გაკეთებული იყო წარწერა, რომელიც ვ. ი. ლენინს წაუშლია: «ამოსოვი გთხოვთ ნება დართოთ ვაგზავნოს ეს დეპეშა». რედ.

** ვ. ი. ლენინის მიერ შესწორებული და ჩასატებული სიტყვები აწყობილია შავი შრიფტით. რედ.

არა ვამხილოთ სიცრუე,

არავედ უთუოდ ვერიდოთ რელიგიის ყოველგვარ შეურაცხყოფას.

უნდა გამოვცეთ დამატებითი წერილი ან ცირკულარი[108]. თუ სამდივნო თანახმა არ არის, გაიტანეთ პოლიტბიუროზე.

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 9 და 21 აპრილს შუა

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

123

ლ. ბ. კამენევს

14/IV.

ამხ. კამენევ! ამბობენ, რომ მუშები 3—4 თვის შემდეგ მოითხოვენ თავისუფალი ვაჭრობის გაუქმებას. არ გვინდა, რომ ფუნთუშებს ბიუროკრატები ჭამდნენო.

საჭირო ხომ არ იქნება წინასწარ მივიღოთ ზომები:

1) ახლავე რამდენადაც შეგვიძლია მივეძალოთ დასასვენებელ სახლებს. ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში **გავზარდოთ მათი რიცხვი.** შემდეგ «დამსვენებლებს» ხანდახან, რიგრიგობით, «ფუნთუშებიც» ვუყიდოთ.

2) მოვისაზროთ ბავშვებისათვის ან «დასაჯილდოებლებისათვის» საჩუქრების ყიდვის სხვანაირი რიგი.

მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია პირველი. მომწერეთ თქვენი აზრი და რა კეთდება.

3) ივანოვო-ვოზნესენსკში უნდა შეექმნათ სვერდ-

ლ ო ვ ი ს უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი 1000 — 1500 კაცისათვის. არ დაგავიწყდეთ.

Salut! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 14 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

124

გ. ლ. პიატაკოვს

14/IV.

ამხ. პიატაკოვ!

გოგზავნით (ს ა ი დ უ მ ლ ო დ და სულაც არა პრესისათვის) მასალებს კონცესიების შესახებ. ეს პასუხია თქვენს კითხვებზე.

დაინახავთ, როგორ ვეწევით საკონცესიო პოლიტიკას.

რაც შეეხება დონბასს, **ველით** თქვენი მუშაობის შედეგებს. პლუს 10% მე მესმოდა **600** მილიონის, როგორც პროგრამის [109], გ ა დ ა მ ე ტ ე ბ ი თ, და არა... წინას «გადამეტებით»!

«პური რომ მომცა, მაშინ მე...» როგორ არა გრცხვენიათ ამ შაბლონის გამეორება? რა თქმა უნდა, თქვენ რომ მ ო გ ც ა თ...

არა, გაისარჯეთ და თ ვ ი თ ო ნ იშოვეთ ყველაფერი: მარილიც და **მარილზე** პურიც და სხვ.

ინიციატივა, თაოსნობა, ადგილობრივი ბრუნვა, და არა მათხოვრობა: რომ მომცა... გრცხვენოდეთ!

Salut! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 14 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

125

ვ. ფ. ვლადიმირსკის

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის
მოადგილეს
ამხ. ვლადიმირსკის

ამასთან გიგზავნით თხოვნას, რომელიც ჩემს სახელზე გამოუგზავნიათ კალუგის გუბერნიის პერემიშლის მაზრის ზაბოროვის თემის სოფელ გოლოვნიკის მოქალაქეებს და იმავე თემის სოფელ ზაბოროვსკაია სლობოდას განაჩენს.

წინადადებას გაძლევთ გამოიძიოთ მთელი საქმე, გაარკვიოთ მდგომარეობა ადგილზე, პასუხისგებაში მისცეთ დამნაშავენი, მიიღოთ ზომები სამსახურიდან უვარგისი პირების დათხოვნისათვის და მიაღწიოთ იმას, რომ რეალური დახმარება გაეწიოს აღნიშნული სოფლის გლეხებს [110].

შედეგი მაცნობეთ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის ამხ. გორბუნოვის მეშვეობით.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 14 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1939 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

126

დეპეშა მ. ი. ფრუმკინსა და ა. გ. ბელობოროდოვს

პირდაპირი მავთულით

როსტოვი, სურსათის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს

ფრუმკინს. შრომითი არმიის საბჭო, ბელობოროდოვს

მიუხედავად თქვენი № 4960/რ-ისა, ცენტრში კვლავ მოდის ცნობები სხვადასხვა წყაროებიდან: თბილისიდან ორჯონიკიძისაგან, ბაქოდან აზერბაიჯანის სურსათის სახალხო კომისარ ბუსაბეკოვისაგან, რომ საკმაო ზომებს არ იღებენ ბაქოს უზრუნველსაყოფად სურსათით, რასაც შემდგომ შეიძლება გართულებები მოჰყვეს. დასვით ეს საკითხი შრომითი არმიის საბჭოს მიერ სპეციალური განხილვისათვის. გადამწყვეტი ზომები მიიღეთ ბაქოს, და ამავე დროს საქართველოსა და სომხეთის მომარაგებისათვის და № 293-ის თანახმად რეგულარულად აცნობეთ ხოლმე ცენტრს ფაქტობრივი მომარაგების ზომების შესახებ. დაუყოვნებლივ მიპასუხეთ დეპეშით *.

1921 წლის 15 აპრილი.
შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შევსებული
და ხელმოწერილია
ვ. ი. ლენინის მიერ

* უკანასკნელი ფრაზა დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

127

ა. დ. ციურუპას [111]

ამხ. ციურუპა! ჩემი აზრით, მის გაკიცხვა უნდა გამოეცხადოს. ამაოდ წუწუნებს და თავს იმართლებს. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებამდე უნდა დაგვლაპარაკებოდა პირდაპირი მავთულით (და მაშინვე გამოქვეყნების შემდეგ, მარტში, და არა აპრილში). საჭირო იყო არა წუწუნი, არამედ დროზე ეთხოვა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული დადგენილება. ბრიყვი წუწუნა ქალაჩუსაა.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 15 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

128

ვ. მ. მოლოტოვს

ამხ. მოლოტოვ! ეს წუთია შევიტყვე რიკოვისაგან, რომ პროფესორებმა (მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისამ) ჯერ არ იციან გადაწყვეტილება (გუშინდელი) [112].

ეს უმსგავსობაა, საშინელი დაგვიანებაა. ვაყენებ საკითხს პოლიტბიუროზე ცენტრალური კომიტეტის აპარატის შესახებ. ღმერთმანი, ასეარ შეიძლება.

გუშინ მზად იყო ლუნაჩარსკის განცხადების პროექტი [113]. სავალდებულო იყო გუშინვე გამოგექვეყნებინათ.

საჭიროა, რომ ახლავე გასცეთ განკარგულება ყველაფერი გაკეთდეს და ყველაფერი **შემოწმდეს**, შესრულებულია თუ არა?

საჭიროა შეამოწმოთ და დააჩქაროთ.

ღაგვიანება დაუშვებელია.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 15 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

129

კლარა ცეტკინსა და პაულ ლევის*

16. 4. 1921.

ამხანაგებო ცეტკინა და ლევი!

ძვირფასო მეგობრებო! დიდად გმადლობთ თქვენი წერილებისათვის. სამწუხაროდ, უკანასკნელ კვირათა განმავლობაში ისე დაკავებული და ისე დაქანცული ვიყავი, რომ თითქმის სრულებით არა მქონდა შესაძლებლობა მეკითხა გერმანული პრესა. ვნახე მხოლოდ ლია წერილი [114] და იგი მიმაჩნია საკვებით სწორ ტაქტიკად (მე დავგმე საწინააღმდეგო აზრი ჩვენი «მემარცხენეებისა». რომლებიც ამ წერილის წინააღმდეგი იყვნენ). რაც შეეხება ამასწინანდელ საგაფიცვო მოძრაობასა და გამოსვლებს გერმანიაში, ამის შესახებ აბსო-

* წერილის პირზე ე. ი. ლენინს შემდეგი აღნიშვნები გაუკეთებია: «ჩემი პასუხი ლევისა და ცეტკინას 16/4 1921», «შეინახეთ არქივში. გადაიღეთ კიდეე 2—3 პირი», «**დამიბრუნეთ**», «მივიღე 17/V—1921». რ ე დ.

ლუტურად არაფერი წამიკითხავს[115]. სავსებით მჯერა, რომ აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი იცავდა სულელურ, მეტად მემარცხენე ტაქტიკას — დაუყოვნებლივ გამოვიდეთ, «რომ რუსებს დავეხმაროთო»: ეს წარმომადგენელი ძალიან ხშირად არის ხოლმე მეტისმეტად მემარცხენე[116]. ჩემი აზრით, ასეთ შემთხვევებში თქვენ კი არ უნდა უთმობდეთ, არამედ პროტესტს აცხადებდეთ და დაუყოვნებლივ ოფიციალურად აყენებდეთ საკითხს აღმასრულებელი ბიუროს პლენუმზე.

სერატის მიმართ თქვენი ტაქტიკა მცდარად მიმაჩნია. სერატის ყოველგვარი დაცვა ან თუნდაც ნახევრად დაცვა შეცდომა იყო. მერე ცენტრალური კომიტეტიდან გასვლა!!?? ეს, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე დიდი შეცდომაა! ჩვენ თუ შემწყნარებლურად მოვეკიდებით ისეთ წესებს, რომ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი წევრები დაიწყებენ იქიდან გასვლას, როცა უმცირესობაში რჩებიან, მაშინ კომუნისტური პარტიების განვითარება და გაჯანსაღება არასოდეს არ მოხდება ნორმალურად[117]. გასვლის მაგივრად უკეთესი იქნებოდა რამდენჯერმე განგეხილათ სადავო საკითხი აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად. ახლა ამხ. ლევის უნდა დაწეროს ბროშურა, ე. ი. გააღრმავოს წინააღმდეგობა! რა საჭიროა ყოველივე ეს?? ჩემი რწმენით, ეს დიდი შეცდომაა[118].

რატომ არ მოვიცადოთ? პირველ ივნისს აქ კონგრესია[119]. რატომ არ განვიხილოთ პრივატულად აქ, კონგრესამდე? საჯარო პოლემიკის გაუმართავად, გაუსვლელად, უთანხმოებათა შესახებ ბროშურების გამოუცემლად? ჩვენ ისე ცოტა გვყავს ნაცადი ძალები, რომ მე მართლაც აღშფოთებული ვარ იმით, რომ ამხანაგები აცხადებენ გავდივართო და ა. შ. საჭიროა გაკეთდეს ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია, და ზოგი რამ — შეუძლებელი, მაგრამ რადაც უნდა დაჯდეს თავიდან ავიცილოთ გასვლა და წინააღმდეგობათა გამწვავება.

ჩვენი მდგომარეობა თებერვალსა და მარტში მძიმე იყო. გლეხური ქვეყანაა. გლეხური მეურნეობა მოსახლეობის გი-

გახტური უმრავლესობაა. მერყეობს. გაჩანაგებულია, უკმაყოფილოა. მაგრამ არ უნდა ვიყოთ ზედმეტად პესიმისტურნი. ჩვენ დროზე წავედით დათმობებზე. და დარწმუნებული ვარ, რომ გავიმარჯვებთ.

გულითადი სალამი და საუკეთესო სურვილები.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს ჟურნალ «პრობლემი მირა ი სოციალიზმა»-ს № 2-ში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით, რომელსაც აქვს ვ. ი. ლენინის მიერ გაკეთებული შენიშვნები

თარგმანი გერმანულიდან

130

ვ. მ. მოლოტოვს [120]

ამხ. მ ო ლ ო ტ ო ვ ს: წაიკითხოს პოლიტბიუროს ყველა წევრმა. საჭიროა დააყენოთ პოლიტბიუროში. ჩემი აზრით, ვაცნობოთ მ ა თ წესდება, მოვითხოვოთ მ ა თ ი შესწორებანი. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

17/IV. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 17 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

131

დეპეშა გ. კ. ორჯონიკიძეს

მიღებული ცნობების მიხედვით, საქართველოში დარჩენილია საქართველოს სახელმწიფო ბანკი კვალიფიციურ მო-

სამსახურეთა მთელი შტატით და უცხოეთის წარმომადგენლობათა ანაბრებით. თუ ეს სწორია, საჭიროა შევინარჩუნოთ ბანკი როგორც კრედიტის აპარატი საგარეო ვაჭრობისათვის და, შეიძლება, გადავაქციოთ იგი მთელი ამიერკავკასიის ბანკად ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიურ გაერთიანებასთან დაკავშირებით, რის პროექტიც მუშავდება.

საზღვარგარეთ გააფთრებულ აგიტაციას ეწევიან რსფს რესპუბლიკის წინააღმდეგ საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მარტოვი, წერეთელი და სხვები. საჭიროა, რომ საქართველოს რევკომმა დაიწყოს სერიოზული კონტრაგიტაცია, რომელშიც უნდა აღინიშნოს, ჯერ ერთი, რსფს რესპუბლიკის მშვიდობისმყოფლური როლი, მეორე — საქართველოს მუშათა და გლეხთა და არმიელთა მასების აქტიური და ინიციატივიანი როლი, მასებისა, რომლებმაც დაამხვეს საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობა, და, მესამე, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა მთავრობების როლი, რომლებმაც მხარი დაუჭირეს როგორც სომეხ და თათარ, ისე ქართველ აჯანყებულებს თვითდაცვის მიზნით, საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობის აგრესიული ნაბიჯების წინააღმდეგ, იმ მთავრობისა, რომელმაც თბილისში ჩამოაყალიბა აზერბაიჯანისა და სომხეთის ბურჟუაზიული მთავრობები სომხეთსა და აზერბაიჯანში საბჭოთა რეჟიმის შიგნიდან ასაფეთქებლად.

გულმოდგინედ აგროვეთ მასალები საქართველოს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ და თან ჩამოიტანეთ მოსკოვში პლენუმზე.

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 18 აპრილს
გაიგზავნა ერევანში

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ნ. ს. ალილუევას
ხელით დაწერილი
პირის მიხედვით

132

ბარათი ნ. პ. ბორბუნოვს და შენიშვნები ა. მ. ნიკოლაევის წერილზე

ამხ. ბორბუნოვ! დაეხმარეთ გაუმჯობესებაში და, როცა X-მდე მიიყვანენ, მითხარით.

ლ ე ნ ი ნ ი

...გამოგონებულია ახალი ფოტოელემენტი, რომელიც გამაძლიერებელ ნათურასთან შეერთებით შესაძლებლობას იძლევა გარკვეულ (20 — 30 მეტრ) მანძილზე აღნიშნოს რადიო (მერყევი) ენერგიის გამოყოფა. საგნისაკენ (შავი ან თეთრი საგნისაკენ) მიმართული რუპორი ამ ფოტოელემენტის მოქმედებისას მიმღები რადიოსადგურის საშუალებით გადასცემს გამოსახულებას ეკრანზე. ხელსაწყოს გაუმჯობესებით შეიძლება მიღწეულ იქნეს შემდეგი შედეგები: 1) დავინახოთ ეკრანზე რადიოტელეფონთან მოლაპარაკე ადამიანის მოძრავი გამოსახულება; 2) ასახულ იქნეს ეკრანზე მოწინააღმდეგის მოძრავი ესკადრა ასობით ვერსის მანძილზე.

... გამოგონება გააკეთა რ უ ს მ ა ინჟინერმა მიხეილ ალექსანდრეს ძე ბონჩ-ბრუევიჩმა.

ამხანაგური სალამით. ა. ნ ი კ ო ლ ა ე ვ ი

დაწერილია 1921 წლის 18 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

133

ი. ბ. სტალინს [121]

ამხ. სტალინ!

მე ფომინის წინააღმდეგი ვარ. არ შეიძლება «რუსულად». საჭიროა «ქართულად».

შევიტანოთ პოლიტბიუროში.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 18 ან 19 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

134
ე. ა. პრეობრაჟენსკის

19/IV.

ამხ. პრეობრაჟენსკი!

ზოგიერთი თქვენი შენიშვნიდან დღეს ჩანდა, რომ თქვენ პროფესორების შესახებ პოლიტბიუროს გადაწყვეტილება შეცდომად მიგაჩნიათ [122].

ვშიშობ, რომ აქ გაუგებრობაა. ვშიშობ, რომ გადაწყვეტილება ზუსტად არ გესმით.

კალინიკოვი (მგონი, ასეა) რომ რეაქციონერია, თანახმა ვარ. უდავოა, არიან იქ გამოუსწორებელი კადეტებიც. მაგრამ ისინი ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ უნდა ამხილოთ. და ამხილოთ კონკრეტული საბაბით. მიეცით ასეთი დავალება კოზმინს (მაგრამ იგი არცთუ ძალიან გონიერია: მასთან სიფრთხილე გმართებთ): ამხილე ზუსტი ფაქტით, ქცევით, განცხადებით. მაშინ ჩავსვამთ ერთი თვით, ერთი წლით. ჭკუას ისწავლის.

ასევე უნდა მოექცეთ გამოუსწორებელ კადეტს.

ასევე უნდა მოიქცეთ, თუ კლასობრივმა მტრებმა ცილი დასწამეს ივნატოვს (? მგონი, ასეა? მე მას არ ვიცნობ).

მოამზადეთ მასალა, შეამოწმეთ, ამხილეთ და დაგმეთ ყ ვ ე ლ ა ს წ ი ნ ა შ ე, სანიმუშოდ დასაჯეთ.

სამხედრო სპეცს ღალატზე იჭერენ. მაგრამ სამხედრო სპეცები ყველანი მოზიდული არიან და მუშაობენ. ლუნაჩარსკი და პოკროვსკი ვერ «ი ჭ ე რ ე ნ» თავიანთ სპეცებს და, თავიანთ თავზე რომ მოსდით გული, ტყუილად იყრიან ჯავრს ყველაზე.

ეს არის პოკროვსკის შეცდომა. ხოლო უთანხმოება მე და თქვენ შორის, ალბათ, არც ისე ბევრია.

განათლების სახალხო კომისარიატში ყველაზე ცუდი ის არის, რომ არა აქვთ სისტემა, თავდაჭერა; მათი კომუჯრედებიც უმსგავსოდ არიან «თავგასული».

სპეცების «დაჭერისა» და დასჯის, კომუჯრედების დაჭერისა და სწავლების ხერხების გამომუშავება განათლების სახალხო კომისარიატში დღემდე არ უსწავლიათ.

კომ. სალმით ლენინი

დაწერილია 1921 წლის 19 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

135

ნ. ა. სემაშკოს

19. IV. 1921 წ.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, ამხ. სემაშკოს,
ხოლო თუ იგი წასულია, იმას,
ვინც მის თანამდებობას ასრულებს

გთხოვთ მაცნობოთ, იყო თუ არა მოსკოვში უკანასკნელ ხანებში (და განსაკუთრებით უკანასკნელ დღეებში) ქოლერის ან სხვა გადამდებ სნეულებათა შემთხვევები;

რამდენი (თუ იყო);

რამდენად გაძლიერდა წინანდელთან შედარებით;

ქალაქის სანიტარული დასუფთავების რა ზომები და რა სხვა სანიტარული ღონისძიებანი იყო დადგენილი (თუ იყო ასეთი დადგენილებანი) და რომლებია მიღებული.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

136

ე. იაროსლავსკის [123]

ჩემი აზრით, ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ ორივე სასარგებლოა, რადგან ისინი დაიცავენ მარქსიზმს (თუ დაიწყებენ აგიტაციას მენშევიზმის სასარგებლოდ, ჩვენ მათ დავიჭერთ: თ ვ ა ლ ი უ ნ დ ა ვ ა დ ე ვ ნ ო თ).

კარგი იქნებოდა ორივე ჩაგვება ფილოსოფიის **უალრესად დაწვრილებითი პროგრამისა** (და ლექციების **კონსპექტის)** და ფილოსოფიის დარგში **გამოცემათა** გეგმის გამომუშავებაში.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის აპრილში,
არა **უადრეს 20-ისა**

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის X X კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

137

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს და სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს
სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას

მატყობინებენ, რომ ქიმიკოს-გამომგონებლის გრიგოლ სიმონის ძე პ ე ტ რ ო ვ ი ს წასვლას საზღვარგარეთ დაბრკოლებებს უქმნიან.

პეტროვს აქვს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1921 წლის 29/III-ის № 1554 (ა) 012 მანდატი, რომელსაც ხელს აწერს ვოიკოვი.

არის გამოგონებათა საქმეების შემფასებელი კომისიის 1921 წ. 9/II-ის დადგენილება პეტროვისათვის პრემიის მიცემის შესახებ 15 000 000 მანეთის რაოდენობით და სხვ. (მიხაილოვსკის ხელმოწერით).

ვთხოვ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს და სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას გასცენ განკარგულება საზღვარგარეთ დაუყოვნებლივ გაშვების შესახებ. თუ ამას რაიმე ეღობება წინ, გთხოვთ დაუყოვნებლივ მაცნობოთ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 22 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

138

ნ. ლ. შპეჭტოროვს, პ. ლ. ვოიკოვს, ა. ზ. გოლცმანს, ლ. ნ. კრიცმანს, ვ. გ. გრომანს

ვუცხადებ სასტიკ საყვედურს და ვაფრთხილებ, რომ გამეორების შემთხვევაში დამნაშავენი მიცემული იქნებიან სამართალში:

ამხანაგებს შპეჭტოროვს (სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატი), ვოიკოვს (საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი), გოლცმანს (სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო) იმის გამო, რომ 23 აპრილს დილის 10 საათზე არ გამოცხადდნენ შრომისა და თავდაცვის საბჭოს კომისიის სხდომაზე, მაშინ როცა კომისიის შესახებ მათ ეცნობათ 22/IV-ს საღამოს 10 საათამდე პირადად ან სახ-

კომსაბჭოს სამდივნოს ტელეფონით, აგრეთვე ამხ. კრიცმანს, რომელსაც შეტყობინება ამხ. გოლცმანის მეშვეობით გადაეცა,

და გრომანს — სატრანსპორტო-მატერიალური განყოფილების თავმჯდომარეს, იმის გამო, რომ მის განყოფილებაში შემოღებული არ არის მორიგეობა, რის წყალობითაც შეუძლებელი აღმოჩნდა შეგვეტყობინებინა მისთვის, რომ დანიშნულია კომისიის სხდომა.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 23 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

139

მ. თ. ვლადიმირსკის, ა. მ. ლეჟავას, ვ. პ. მილიუტინს

23. IV. 1921 წ.

ამხანაგებს ვლადიმირსკის, შინსახკომის მოადგილეს
ლეჟავას, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის
მოადგილეს
და მილიუტინს, სახალხო მეურნეობის უმაღლესი
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს

გიგზავნით ორ პროექტს, რომლებიც შემოიტანა კარელიის შრომითი კომუნის აღმასკომმა, და გთხოვთ კარელიის

ბრონშტეინი კომუნის აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. გიულინგის მონაწილეობით მოიწვიოთ თათბირი ამ პროექტების შესწავლისა და შეთანხმებისათვის, ამასთან გამოიძახოთ სხვა დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლები იმ ანგარიშით, რომ ორივე პროექტი საბოლოო სახით შეტანილ იქნეს სახკომსაბჭოში სამშაბათს 1921 წლის 26. IV.

ძირითადად სავსებით ვუჭერ მხარს ორივე პროექტს [124].

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

140

გ. ე. ზინოვიევს

24. IV.

ამხ. ზინოვიევს

რადგან «რუსეთის ატლასის» «სასინჯი ეგზემპლარი» სრულიად არადამაკმაყოფილებელია (თუმცა მრავალი თვე იმუშავეს), გთხოვთ დამისახელოთ მუშაობისათვის პასუხისმგებელი ყველა პირი, რომლებიც ეწეოდნენ მუშაობას წინათ და ეწევიან ახლა. აი ნაკლოვანებათა მოკლე ნუსხა.

გუშინ მომიტანეს «რუსეთის ატლასი» — «სასინჯი ეგზემპლარი». (1-ლი სახელმწიფო კარტოგრაფიული საწარმო, ყოფილი ილინისა).

«რუსეთის ატლასი» შეიძლება და უნდა გახდეს სასწავლო ატლასი.

მაგრამ ამისათვის საჭიროა ზოგიერთი შესწორება და დამატებანი, რადგან სასინჯი ეგზემპლარი სრულიად არადამაკმაყოფილებელია.

ჩამოვთვალი უმთავრეს ნაკლოვანებებს, რომლებიც უთუოდ გასასწორებელია.

1. არ არის ტექსტი «გამომცემლისაგან» (წინათ იყო). შედგენილ უნდა იქნეს ასეთი ტექსტი: «რკინიგზების» ნიმუშის მიხედვით არის შედგენილი ეს ს

აღებულია, ე. ი. დატოვებულია, ძველი: № X — მოსკოვი, № XII — ყირიმი და სხვ.!! ნუმერაცია ახალი უნდა იყოს.

7. № XIV-ში სრულად არ არის არც თათრეთის რესპუბლიკა, არც ბაშკირეთის რესპუბლიკა. უნდა იყოს სრულად. ასევე ყველა ავტონომიური ოლქი. მოცემული უნდა იყოს, უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ავტონომიური ოლქების ეროვნული შემადგენლობა (განმარტებითს ტექსტში).

8. ძველებიდან გამოტოვებულია რუკები:

სარატოვი და გარშემო მდებარე გუბერნიები

სიმბირსკი, პენზა და გარშემო მდებარე გუბერნიები

დონის როსტოვი და გარშემო მდებარე გუბერნიები

სმოლენსკი და გარშემო მდებარე გუბერნიები (ბელორუსია)

მარჯვენა ნაპირის უკრაინა

კავკასია (ყველა ახალი რესპუბლიკის საზღვრების აუცილებელი აღნიშვნით).

ატლასი სრული უნდა იყოს. ყველა გუბერნია. არასრული ატლასი არაფრად არ ვარგა, ხოლო სასინჯი ეგზემპლარი უმსგავსობაა, ისე არასრულია.

9. დამატებათა ნაცვლად (შავი შრიფტით) დაბლა და გვერდით: მანძილი რკინიგზით (ეს ძველიდან არის აღებული) — უნდა იყოს ჰოკლე მანძილები არა მარტო რკინიგზებით.

10. დაემატოს: რუკა ელექტრიფიკაციის გეგმით (წიგნიდან «ელექტრიფიკაციის გეგმა. წარდგენილი საბჭოების VIII ყრილობაზე»).

11. უმაღლესი სასწავლებლებისა (უნივერსიტეტები და სხვა) და საგანმანათლებლო დაწესებულებების რუკა გუბერნიების მიხედვით (თუნდაც ცნობები, რომლებიც ახლა უკვე გვაქვს). დაემატოს.

12. დაემატოს: რადიოსადგურების რუკა.

13. ისტორიული რუკები (ორი ახალი ბოლოში) არ ვარგა. არასრულია. შიგ შეცდომებია. ამ ორის მაგიერ საჭიროა:

(ა) ერთი ასეთივე ფორმატისა: საბჭოთა რუსეთის ისტორიული რუკა.

ფრონტების ხაზები თარიღების მიხედვით (მაგალითად:

V. 1918; XII. 1918; V ან VI. 1919; XI ან XII. 1919; I და XI. 1920) აღნიშვნით: ესა და ეს ფრონტები ამა და ამ დროს.

მთელი რსფს რესპუბლიკისა და ყველა მეზობელი რესპუბლიკის (რომლებიც იმპერიაში იყვნენ) სახელმწიფო საზღვარი.

(ბ) მთელი რსფს რესპუბლიკის რუკა ციმბირით თუნდაც მცირე ფორმატისა, ერთ რუკაზე*.

24. IV. 1921. ნ. ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

141

ი. ა. ტეოდოროვიჩს [125]

25. IV. 1921 წ.

ამხ. ტეოდოროვიჩს

{ პირები: სურსათის სახალხო კომისარიატი, ბრიუხანოვს
« სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მილიუტინს

გვალვასთან ბრძოლის ღონისძიებათა საკითხის უკიდურესად გადაუდებლობის გამო გთხოვთ დაუყოვნებლივ მოიწვი-

* სასწაველო ატლასის გამოცემის საკითხზე იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, დოკუმენტი 283; ტომი 44, დოკუმენტები 650, 673; მე-5 გამოც., ტომი 52, დოკუმენტი 410; ეს ტომი, დოკუმენტი 223; ლენინის XX კრებული, გვ. 321—322; ლენინის XXXVI კრებული, გვ. 120 — 121, 315, 399 — 400. რედ.

ოთ დაინტერესებული სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთა თათბირი იმ ანგარიშით, რომ დეკრეტის პროექტი, დამუშავებული და შეთანხმებული სახით, შეიძლებოდეს შეტანილ იქნეს შრომისა და თავდაცვის საბჭოში არა უგვიანეს ოთხშაბათისა, 27. IV. 1921.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

142

ი. ს. განეცკის

25. IV. 1921.

ამხ. განეცკი! თქვენთან რიგაში ჩემი ორი მდივანი მოდის:

1) ანა პეტრეს ასული კიზასი და

2) ნატალია სტეფანეს ასული ლეპეშინსკაია.

ორივეს ვიცნობ მუშაობით უკვე რამდენიმე წელია. მათი ერთგულება გასაოცარია. სამუშაო კატორღული მაქვს: არც დასვენება, არც დღესასწაული. მოიქანცნენ. უნდა დავასვენოთ. გთხოვთ წინასწარ მისცეთ ხელფასი (რაც შეიძლება მეტი) და შემდეგ მუშაობა აღარ მოჰკითხოთ. დაე იმკურნალონ, დაისვენონ, **მოიკეთონ.**

სალამი! თქვენი ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1924 წლის
13 თებერვალს გაზეთ «პრავდის»
№ 35-ში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

143
ნ. პ. ბრიუხანოვს, ლ. ნ. კრიცმანს, ფ. პ. ტომსკის, ა. ი. პოტიაევს

26. IV. 1921 წ.

ამხანაგებს ბრიუხანოვს
კრიცმანს
ტომსკის ან მის მოადგილეს
(ანდრეევს?)

პოტიაევს

იმის გამო, რომ თევზჭერის კამპანიისათვის დახმარების საკითხი გადაუდებელია, გთხოვთ დღესვე, და შეძლებისამებრ დაუყოვნებლივ, მოიწვიოთ თათბირი ამხ. პოტიაევის (თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველო) წინადადებათა განსახილველად და მისი მონაწილეობით. თათბირის შემადგენლობა: სურსათის სახალხო კომისარიატი, გამოყენების კომისია, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო და ამხ. პოტიაევი. სახკომსაბჭოს მოხსენდეს დღეს [126].

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

144
ნ. პ. გორბუნოვს

26. IV. 1921 წ.

ამხ. გორბუნოვ!

უნდა მოგცეთ გაფრთხილება ჩვენს კანცელარიაში უკიდურესი უწესრიგობის გამო. თანდართული ტელეფონოგრამიდან ჩანს, რომ

გამოგზავნილია 24/IV. (საათი?),
მიღებულია 25. IV. 11 ს. 25 წ.
(ე. ი. ტელეფონოგრამა მოდიოდა 11 საათს!).

მე მივიღე
26/IV. 12 ს.

უკიდურესი უმსგავსობაა!

წინადადებას გაძლევთ ახლავე ზუსტად და სრულად გამოიძიოთ, გამოარკვიოთ დამნაშავეები და მომცეთ მასალა. უნდა გადაისინჯოს და ხელახლა დადგენილ იქნეს კანცელარიის მუშაობის განაწესი.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

145

ა. მ. ლეჟავას

ამხ. ლეჟავა!

საქართველო უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც რუსეთის საგარეო ვაჭრობის საფარი. ეს მოხერხებულია იტალიისთვისაც, გერმანიისთვისაც, **ამერიკისთვისაც.**

1) გამონახეთ **ჭკვიანი** კაცი, რომ იქ გავგზავნოთ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისაგან. რაც შეიძლება სწრაფად!

2) ამის შესახებ უფრო დაწვრილებით მოელაპარაკეთ სტალინს. დღესვე.

3) მომწერეთ ორიოდე სიტყვა, შედეგები.

საჭიროა ბათუმის გზით საგარეო ვაჭრობის გეგმა (და ფონდი).

საგარეო ვაჭრობის გეგმა არა გაქვთ. ტყუილუბრალოდ ჰყრით და ნებას აძლევთ გადაყარონ. ვიომებ თქვენთან.

სურსათისა და სათბობისათვის 1921 წელს. **არც ერთი**

გროში მეტი. აი თქვენ ხაზი. შეადგინეთ გეგმა ამ ხაზის მიხედვით, და ნუ აჰყვებით «დაწოლასა» და «გაელენას».

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის აპრილში,
28-ზე ადრე

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

146

ლ. დ. ტროცკის

30/IV.

ამხ. ტროცკი!

წავიკითხე შატუნოვსკის ბროშურა «თეთრი ნახშირი და რევოლუციური პიტერი» [127].

ძალიან სუსტია. დ ე კ ლ ა მ ა ც ი ა ა და მეტი არაფერი. საქმისა ნ ა ტ ა მ ა ლ ი ა რ ა რ ი ს.

ერთადერთი საქმიანი სიტყვებია: გვ. 15:

«გამოჩენილი ჰიდრავლიკოსი სპეცების აზრით, რვა თვე საკმარისია ამ დიადი საგმირო საქმის რეალური ნაყოფისათვის».

ვინ არის ეს სპეცი? ასეთები არ არიან (მე შევეკითხე კრჟიჟანოვსკის: ასეთები არ არიან). შატუნოვსკიმ ხელი მოჰკიდა წერას იმაზე, რაც არ იცის (კრჟიჟანოვსკიმ ასე შეაფასა). გ ა რ დ ა ამ ც ა რ ი ე ლ ი შენიშვნისა nil* მთელ ბროშურაში.

---

*— ა რ ა ფ ე რ ი ა. რ ე დ.

დაე შატუნოვსკიმ დაამტკიცოს და მოგვცეს საქმიანი წინადადებანი. თორემ ლაყბობა ლაყბობად რჩება.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1921 წლის 30 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

147

გ. ე. ზინოვიევს [128]

ამხ. ზინოვიევ! ტროცკი, როგორც აქედან ჩანს, შარის გუნებაზეა. შატუნოვსკის ბროშურა ლაყბობაა. დამიბრუნეთ ეს შენიშვნით, რა **გადაწყვეტილებანი** და გეგმები გაქვთ ამ საკითხზე [129].

3/V. ლენინი

დაწერილია 1921 წლის 3 მაისს გაიგზავნა პეტროგრადში

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

148

გ. ე. ზინოვიევს

ამხ. ზინოვიევ!

მე მაცნობეს,

1) რომ მოქანდაკე გინცბურგს, რომელიც პლეხანოვის ბიუსტს ამზადებს, ესაჭიროება მასალები, თიხა და სხვ;

2) რომ პლეხანოვისა და ზასულიჩის საფლავები უყურადღებოდაა მიტოვებული.

არ შეიძლება ორივე პუნქტზე გაიცეს ბრძანება მიხედონ, დააჩქარონ, შეამოწმონ? [130]

Salut!

5/V. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 5 მაისს
გაიგზავნა პეტროგრადში

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

149

დეპეშა კ. ე. ვოროშილოვს*

შ ი ფ რ ი თ

ვ ო რ ო შ ი ლ ო ვ ს

გთხოვთ მისცეთ განკარგულება ცხენოსანთა არმიის მეთაურთა შემადგენლობას და სპეციალურად შეამოწმოთ, რომ ცხენოსანთა არმიის გადასვლის დროს ყოველგვარი დახმარება ეწეოდეს სურსათის ადგილობრივ ორგანოებს, რადგან მოსკოვს ესაჭიროება საგანგებო და სასწრაფო დახმარება პურით [131].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 5 მაისს
გაიგზავნა ეკატერინოსლავში

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* დეპეშის ზემო ნაწილში ვ. ი. ლენინს მიუწერია: «ამხ. სკლიანსკი! გთხოვთ გასცეთ განკარგულება გაგზავნონ შიფრით და დამიბრუნონ. 5/V. ლ ე ნ ი ნ». რ ე დ.

150

ა. ვ. ლუნაჩარსკის

როგორ არა გრცხვენიათ, რომ ხმა მიეცით მაიაკოვსკის «150 000 000»-ის გამოცემას 5000 ეგზემპლარად?

აბდაუბდაა, სისულელე, აშკარა სისულელე და პრეტენ-ციოზულობა [132].

ჩემი აზრით, ასეთი რამეები შეიძლება დაიბეჭდოს 10-დან მხოლოდ 1 და არა უმეტეს 1500 ეგზემპლარისა ბიბლიოთეკებისა და ახირებულთათვის.

ხოლო ლუნაჩარსკი გაიწკეპლოს ფუტურიზმისათვის.

6/V.

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 6 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1957 წელს ჟურნალ «კომუნისტის» № 18-ში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

151

მ. ნ. პოკროვსკის

ამხ. პოკროვსკი! კვლავ და კვლავ გთხოვთ დაგვეხმაროთ ფუტურიზმთან და სხვა მისთანებთან ბრძოლაში.

1) ლუნაჩარსკის კოლეგიაში გაუტარებია (ვაგლახ!) მაია-კოვსკის «150 000 000»-ის დაბეჭდვა.

არ შეიძლება ეს აღვკვეთოთ? საჭიროა ეს აღვკვეთოთ. შევთანხმდეთ, რომ სულ ბევრი წელიწადში ორჯერ ვბეჭდოთ ეს ფუტურისტები **და არა უმეტეს 1500 ეგზემპლარისა.**

2) კისელისი, რომელიც, ამბობენ მხატვარი «რეა-

ლ ი ს ტ ი ა», ლუნაჩარსკიმ კვლავ განდევნა და პირდაპირაც და **არაპირდაპირაც** ფუტურისტი გაიყვანაო.

ვერ გამოვნახავთ საიმედო **ანტ**ifუტურისტებს?

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 6 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1957 წელს ჟურნალ «კომუნისტის» № 18-ში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

152

ი. გ. ალექსანდროვს

გამონახეთ «ალგემბის»[133] ადგილობრივ გამომკვლევ კომისიაში სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარმომადგენელი ინჟინერი არა მარტო საიმედო, არამედ **პრაქტიკოსიც,**

რომ კარგად აწონ-დაწონოს **მთავარი:**

მახალების შენახვა (სხვადასხვა პირობებში)

α) შეწყდეს მშენებლობა,

β) » არა ერთბაშად, არამედ შემოდგომისათვის,

γ) გადაყვანილ იქნეს დამკვრელურიდან ორდინარულზე,

δ) მშენებლობა დამთავრდეს, მაგრამ რ ე ლ ს ე ბ ი ა რ დ ა ი გ ო ს და ა. შ.

დაწერილია 1921 წლის 6 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

153

ვ. ვ. ჩიჩერინს

ამხ. ჩიჩერინ!

ჩემი აზრით, ეს უნდა დაიბეჭდოს, მაგრამ **მხოლოდ** აუცილებელი კომენტარით, რომელიც ძალიან ოსტატური უნდა იყოს, თორემ ჩვენი რედაქტორები სისულელეებს ჩაიდენენ. ან დაწერეთ ასეთი აუცილებელი კომენტარი, ან დაავალეთ ვინმეს, ოღონდ თქვენი ცენზურა იყოს [134].

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 6 და 10 მაისს შუა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

154

ვ. ა. სმოლიანინოვს

ამხ. სმოლიანინოვ! თქვენს ყურადღებას მივაპყრობ ბელიაკოვის სტატიას (ამ დღეებში იყო «იზვესტიაში»? თუ «ეკონომიჩესკაია ჟიზნში»?) ნაროფომინსკის მანუფაქტურის შესახებ [135]. შეაგროვეთ მთელი წინანდელი პოლემიკა ამის თაობაზე. **დაუკვირდით. შეისწავლეთ** მონაცემები. მითხარით შედეგი.

საქმე, მგონი, დიდმნიშვნელოვანია.

სალამი! ლენინი

დაწერილია 1921 წლის მაისში, 6-ის შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

155

ლ. ბ. კრასინს

ამხ. კრასინ! განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ. კლიშკო მოლაყბე ხომ არ არის? დიპლომატს უნდა შეეძლოს დუმდეს და ლაპარაკობდეს ისე, რომ არაფერი არა თქვას. შეუძლია კლიშკოს? ესმის თუ არა ეს? [136]

9/V. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 9 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

156

ლ. ბ. კრასინს

საცემი ხართ.

1) დააგვიანეთ პურის შეკვეთა. მდგომარეობა უაღრესად ცუდი გვაქვს.

2) ვერ გამოიყენეთ ყველა წყარო (შვეცია და სხვ. თუნდაც მ ც ი რ ე რაოდენობისათვის).

3) არა გვაქვს ზუსტი ინფორმაცია: რა შეიძლება ვიშოვოთ ა ხ ლ ო ს თუნდაც ძალიან ძვირად და ძალიან ცოტა.

გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ მიხედეთ ყოველივე ამას სახალხო კომისარიატში [137].

დაწერილია არა უგვიანეს 1921 წლის 10 მაისისა

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

157
დეპეშა
საბჭოთა მთავრობის დელეგაციას

შიფრით

საბჭოთა მთავრობის დელეგაციას, ლონდონი

დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოთ ორ მილიონ ფუთ პურზე თქვენთვის მოცემული განწესის შესრულება. უახლოესი თუნდაც მცირე პარტიები შეისყიდეთ სადაც გინდოდეთ, ფასი ნუ შეგაფერხებთ. შეგიძლიათ ამ განწესის ანგარიშში იყიდოთ ყოველგვარი სხვა საკვები პროდუქტები და კონსერვები. არ შეიძლება რაიმე სწრაფად მივიღოთ კანადიდან? შეგიძლიათ გადაიხადოთ ზომიერი პრემია ბალტიის ნავსადგურებში სწრაფად მოტანისათვის. 10 მაისი [138].

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ლ ე ნ ი ნ ი*

დაწერილია 1921 წლის 10 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

158

დავალება სახკომსაბჭოს მდივანს [139]

შეიტანეთ სახკომსაბჭოს დღის წესრიგში, პირი ახლავე გაუგზავნეთ ბრიუხანოვს (თუ ჯერ კიდევ არა აქვს) **ან მიეცით მას საღამომდე ეს ეგზემპლარი**, რომ დასკვნა მოგვცეს.

* დეპეშას ხელს აწერს აგრეთვე საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი ლ. ბ. კრასინი. რ ე დ.

სხვები უნდა გავძარცვოთ, ამათ კი მივცეთ, რასაც გვთხოვენ.

10/V. ლენინი

დაწერილია 1921 წლის 10 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

159

ვ. მ. მოლოტოვს

ამხ. მოლოტოვ!

როდისმე ხომ არ დამდგარა საკითხი იმის შესახებ, რომ რკპ წევრთა შემადგენლობიდან გამოიყოს

ისეთი ნაწილი, რომელიც არ მონაწილეობს მართვაში, არ უჭირავს არც არავითარი სამეთაურო, არც მართვის, არც საერთოდ სახელმწიფო, არც პროფესიული. არც კოოპერაციული, არავითარი პოსტები,

ე. ი. რკპ წევრთა ისეთი ნაწილი, რომელიც ეწევა მხოლოდ და მხოლოდ იდეურ მუშაობას, აგიტაციასა და პროპაგანდას ყოველგვარი ადმინისტრაციული პოსტების **გარეშე.**

არ შეიძლება ეს გაკეთდეს? ხომ არ უნდა გავაკეთოთ ეს?

თორემ პარტია ძალიან ბევრს კარგავს ჩვენი მართვის აპარატის მ..... სისაძაგლის გამო. გამოვყოთ კენჭისყრისას თუ **ცალკე ჩავთვალოთ** კენჭისყრა? [140]

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 10 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ვ. მ. მოლოტოვის წიგნში «პარტია და ლენინური გაწვევა», მოსკოვი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

160
ნ. პ. ბრიუხანოვს

11/V.

ამხ. ბრიუხანოვ! გიგზავნით დაშიფრულ დეპეშას[141]. ყურადღებით წაიკითხეთ, ჩაინიშნეთ თქვენთვის ციფრები და დამიბრუნეთ.

საჭიროა, რომ თქვენ შეადგინოთ საზღვარგარეთული პროდუქტების გამოყენების, ე. ი. განაწილების ზუსტი გეგმა 15. V — 15. VI.

პირველ რიგში ს.-პეტერბურგი და მოსკოვი.

გადაათვალიერეთ ეს გეგმა ახალ მნიშვნელოვან შესყიდვათა შესახებ მიღებული ყოველი დეპეშის შემდეგ.

გამომიგზავნეთ პირველი ასეთი გეგმა.

თევზი **ასე და ასე.**

ლობიო (საქმე გადაწყვიტეთ?) **ასე და ასე.**

ხორბალი ასე და ასე.

მოიფიქრეთ, ხომ არ შეიძლება რაიმე **პრესაში** გამოვაქვეყნოთ, რომ დავამშვიდოთ.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 11 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

161
დ. ი. კურსკის

სრ. ს ა ი დ უ მ ლ ო დ

იუსტიციის სახალხო კომისარიატი,
ამხ. კურსკის

[illegible]

წითელი არმიისა და ფლოტის მომარაგების საგანგებო რწმუნებულისაგან შრომისა და თავდაცვის საბჭოში მივიღეთ ა. წ. 10/V-ის შუამდგომლობა № 8086, რომელიც დართულია

პირის სახით და რომელშიც გამომჟღავნებულია სრულიად საიდუმლო ცნობები არმიის რიცხობრივი შემადგენლობის შესახებ. შუამდგომლობა უფრო წესიერი რედაქციით რომ ყოფილიყო შედგენილი, შეიძლებოდა არმიის რიცხობრივი შემადგენლობის შესახებ ცნობების მოყვანის თავიდან აცილება. გარდა ამისა, წერილი მოვიდა არა საიდუმლო პაკეტით და გამოგზავნილია არა შიკრიკის ხელით, არამედ ფოსტით. ამის გამო იგი გახსნეს საქმეთა მმართველობის შემოსული ქაღალდების ჟურნალში გასატარებლად და შეიძლებოდა გამჟღავნებულიყო ფოსტამტში გავლის დროს.

გთხოვთ გამოიძიოთ ეს საქმე [142].

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 12 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

162

მ. ი. კალინინს

სავსებით ვუჭერ მხარს ოსინსკის პროექტს და გთხოვთ მოამზადოთ თქვენი დასკვნა შაბათისათვის პოლიტბიუროში, რათა გავატაროთ იგი სამშაბათის სახკომსაბჭოში და ოთხშაბათის სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში [143].

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის მაისში, 14-ზე ადრე

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

163

ე. ა. ლიტკენსს

ამხ. ლიტკენსს

17/V. 1921.

პრესის გავრცელების ცენტრალურ სააგენტო'ში «ახალი ცოცხის» დანიშვნის გამო[144]. უნდა ვისარგებლოთ მომენტით და დავაწესოთ ზუსტი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა:

1) უაღრესად ზუსტად დავაწესოთ წერილობით, რისთვის აგებენ პასუხს პრესის გავრცელების ცენტრალური სააგენტოს უფროსი და საგუბერნიო სააგენტოების უფროსები,

2) იგივე საბიბლიოთეკო ქსელის მიმართ:

(ა) საერთო სახელმწიფო (საჯარო და რუმიანცევისა)

(ბ) საგუბერნიო

(გ) სამაზრო

(დ) სათემო ბიბლიოთეკები (თუ ადრე არ არის? თუ არ გადაგიწყვეტიათ ჯერჯერობით სამაზროებს დასჯერდეთ)...

3) საჭიროა, რომ თქვენ (და ჩვენ) აბსოლუტური სიზუსტით ვიცოდეთ, ვინ ჩავსვათ (**როგორც** პრესის გავრცელების ცენტრალური სააგენტოდან, **ისე** საბიბლიოთეკო ქსელიდან; აუცილებლად ორივე დაწესებულებიდან), თუ ყოველი საბჭოთა წიგნის გამოსვლიდან ერთი თვის (2 კვირის? 6 კვირის?) შემდეგ იგი არ იქნება **თითოეულ ბიბლიოთეკაში**. გამომიგზავნეთ ამის შესახებ **მოკლე** ცნობა.

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

164

ვ. ვ. ფრუნზეს

ამხ. ფრუნზეს

პირები ამხანაგებს პეტროვსკისა და რაკოვსკის და უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს [145].

18/V. 1921 წ.

ამხ. ბუხარინი ამბობს, სამხრეთში საუცხოო მოსავალიაო.

ახლა მთელი საბჭოთა ხელისუფლების მთავარი საკითხი, ჩვენი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია შევაგროვოთ უკრაინაში 200—300 მილიონი ფუთი.

ამისათვის მთავარია მარილი. სულ მთლად წამოვიღოთ, ჯარის საშმაგი კორდონი შემოვარტყათ მოპოვების ყველა ადგილს, არც ერთი გირვანქა არ გავუშვათ, არავის მოვაპარვინოთ.

ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.

საქმე საშხედრო ყაიდაზე დააყენეთ. დანიშნეთ ზუსტად პასუხისმგებელი პირები ყოველი ოპერაციისათვის. გადმომეცით მათი სია (ყველაფერი მთავარმარილის მეშვეობით).

თქვენ მარილის მთავარსარდალი ხართ.

თქვენ აგებთ პასუხს ყველაფრისათვის [146].

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად არასრულად დაიბეჭდა 1926 წელს ი. კ. ეროშკინისა და ა. თ. ხავინის წიგნში «სსრ კავშირის მარილის მრეწველობა და მარილით ვაჭრობა», მოსკოვი — ლენინგრადი

სრულად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტ. 52

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

165

ვ. მ. მოლოტოვს [147]

ამხ. მოლოტოვ!

საჩივრის გამო

ბრიუხანოვს წინადადებას ვაძლევ გაგზავნოს დღეს დეპეშა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა და ცეკას მდივნის ხელმოწერით:

1) სასტიკი საყვედური მეთაურებს (საგუბერნიო აღმასკომების თავმჯდომარეებსა და სხვ.),

2) მუქარა: მივცემთ სამართალში,

3) **ახლავე** მიცემულ იქნენ სამართალში, ვინც პასუხისმგებელია იმისათვის, რომ მისცა **ადგილებს** ცენტრის დაკმაყოფილებამდე.

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 19 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

166

დეპეშა ა. პ. სერებროვსკის

ტელეგრაფით

ბაქო, აზნეფტეკომი

ან თბილისი და სერებროვსკის ადგილსამყოფელის მიხედვით.

19. V. 1921 წ.

წავიკითხე თქვენი ენაწასწრებული დეპეშა სერგოსადმი[148]. გვაცნობეთ უფრო მოკლედ, უფრო ზუსტად, რამდენ ტან-

საცმელსა და პურს შოულობთ ბაქოს მუშებისათვის. სისულელეა მუშების რიცხვის გადიდება, სანამ მათი უფრო მცირე რიცხვი უზრუნველყოფილი არ არის ტანსაცმლითა და პურით.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

167

ვ. პ. ნოგინსა დ ნ. პ. ბრიუხანოვს

1) საფეიქრო მრეწველობის მთავარი სამმართველო
ამხ. ნოგინ!

2) სურსათის სახალხო კომისარიატი
ამხ. ბრიუხანოვ!

19/V.

რაკოვსკიმ დამირეკა და შემომჩივლა, დაპირებულ მანუფაქტურას ა რ ი ძ ლ ე ვ ი ა ნ ო. ნიკოლაევში კი გლეხები ხალისით იძლევიან პურს მანუფაქტურაშიო. გთხოვთ, გარდა იმისა, რომ ოფიციალურად შეეკითხებით, დაუყოვნებლივ ტელეფონით შეკრიბოთ ყველა ცნობა და დააჩქაროთ, ხოლო მე გამომიგზავნოთ სახელები, როგორც სურსათის სახალხო კომისარიატის, ისე საფეიქრო მრეწველობის მთავარი სამმართველოს პასუხისმგებელი პირებისა. ვინ აგებს პასუხს მანუფაქტურის გაგზავნისათვის? სამარცხვინო და დანაშაულებრივი დაყოვნებაა[149].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 19 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

168

ვ. ა. სმოლიანინოვს

დავალება სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველის თანაშემწეს

ამხ. სმოლიანინოვს

1) კავშირი გქონდეთ საოლქო ეკონომიურ თათბირებთან და მათგან შემოსული დეპეშების, მასალებისა და ოქმების მიხედვით თვალყური ადევნეთ მათ მუშაობას, ამასთან პერიოდულად აცნობეთ შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს მათი მუშაობის შედეგები და მათ მიერ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დავალებათა შესრულების ამბავი, აგრეთვე ამხ. ლ ე ნ ი ნ ი ს ნებართვით ან სათანადო სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით აძლიეთ მათ განმარტებები და მითითებები წამოჭრილ საკითხებზე.

2) გადაათვალიერეთ საგუბერნიო ეკონომიური თათბირების ოქმები და მასალები შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებებისა და საერთო დირექტივების შესრულების შემოწმების თვალსაზრისით; დაწვრილებით ადევნეთ თვალყური უმნიშვნელოვანესი ტიპობრივი საგუბერნიო ეკონომიური თათბირების მუშაობას, რომელთა სია დასამტკიცებლად წარუდგინეთ ამხ. ლ ე ნ ი ნ ს.

3) იყავით ეკონომიური სახალხო კომისარიატების კოლეგიის, სახელმწიფო საგეგმო კომისიის* და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით შექმნილი საგეგმო კომისიების მუშაობის კურსში.

4) გაზეთების, ეკონომიური და სტატისტიკური ორგანოების ანგარიშებისა და სპეციალური გამოცემების მიხედვით თვალყური ადევნეთ ქვეყნის ეკონომიურ და სამეურნეო ცხოვრებას.

---

* სიტყვები «სახელმწიფო საგეგმო კომისიის» დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

5) თვალყური ადევნეთ შრომისა და თავდაცვის საბჭოს უმნიშვნელოვანეს დადგენილებათა და დავალებათა ფაქტობრივ შესრულებას და მოახსენეთ ეს ამხ. ლ ე ნ ი ნ ს.

6) შეასრულეთ შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის და სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის სპეციალური დავალებანი ეკონომიურ, სამეურნეო და საწარმოო საკითხებზე.

7) მოამზადეთ არასაკმაოდ მომზადებული ეკონომიური, სამეურნეო და საწარმოო საკითხები, რომლებიც შეაქვთ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დღის წესრიგში.

8) ინიციატივის წესით, ამხ. ლენინის თანხმობით, მოამზადეთ და სათანადო სახალხო კომისარიატების მეშვეობით ან უშუალოდ შრომისა და თავდაცვის საბჭოში აღძარით საკითხები, რომლებიც შესწავლილი მასალებიდან გამომდინარეობს.

ამხ. ს მ ო ლ ი ა ნ ი ნ ო ვ ს შესაძლებლობა რომ მიეცეს შეასრულოს ეს დავალებანი, ეკონომიური საოლქო საბჭოებისა და საგუბერნიო თათბირების მთელი კორესპონდენცია, როგორც ტელეგრაფით, ისე ფოსტით მიღებული, უნდა მიდიოდეს ამხ. ს მ ო ლ ი ა ნ ი ნ ო ვ თ ა ნ, რომელიც ყოველივე საჭიროს მოახსენებს ამხ. ლ ე ნ ი ნ ს.

სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მდივანი საოლქო საბჭოებთან და საგუბერნიო თათბირებთან მიწერ-მოწერას ასრულებს მხოლოდ ამხ. ს მ ო ლ ი ა ნ ი ნ ო ვ თ ა ნ შეთანხმებით, გარდა ცნობებისა სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებათა შესახებ, რასაც ასრულებს უშუალოდ სამდივნო. შრომისა და თავდაცვის საბჭოს დღის წესრიგი შრომისა და თავდაცვის საბჭოს წევრებს ეგზავნებათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას გაეცნობა ამხ. ს მ ო ლ ი ა ნ ი ნ ო ვ ი.

სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს
თავმჯდ. ვ. ულ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)*

---

* დოკუმენტს ხელს აწერს აგრეთვე სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ნ. პ. გორბუნოვი. რ ე დ.

დამატებულია * § 3-ში: «სახელმწიფო საგეგმო კომისიის».

ემატება § 9: «რეგულარულად ეთათბირეთ «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» რედაქტორს, რომ რაც შეიძლება სრულად იყოს შეთანხმებული ამ ორგანოს მუშაობა შრომისა და თავდაცვის საბჭოს მუშაობასთან».

19/V. 1921. შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.
ვ. ულიანოვი (ლენინი)

NB: მივცეთ ამის შესახებ მოკლე შენიშვნა **«ეკონომიჩესკაია ჟიზნში»**.

ლენინი

პირველად არასრულად დაიბეჭდა
1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

სრულად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შესწორებული,
შევსებული და ხელმოწერილია
ვ. ი. ლენინის მიერ

169

*სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

2 თებერვალს № 785/უპ.-ით გორბუნოვის მეშვეობით** გამოგიგზავნეთ ამხ. კოტლიაროვის წერილი, რომელშიც იგი წინადადებას იძლევა, დიდ ქალაქებში უმოქმედოდ მდგომი ამწე მანქანები მთელი მათი მოწყობილობით გამოყე-

---

* სიტყვიდან «დამატებულია» ტექსტი ბოლომდე დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რედ.

** სიტყვები «გორბუნოვის მეშვეობით» დაწერილია ნ. პ. გორბუნოვის ხელით. რედ.

ნებულ იქნეს სამთო სარეწებისათვის. წერილს შემდეგი რეზოლუცია წავაწერე:

«შეგროვებულ უნდა იქნეს ცნობები და გამოირკვეს, ხომ არ შეიძლება აქ გაკეთდეს რაიმე სამთო საქმის დასახმარებლად. ჩამოერთვათ ყველაფერი, რაც ზედმეტია». ამ დავალებით, როგორც ეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში არსებული დოკუმენტებიდან ჩანს, მუშაობდა 5 კომისია:

1) თათბირი «პროდრასმეტთან» დონბასისათვის ლიფტების მოწყობილობის გამოყენების შესახებ (11 თებერვალს).

2) სპეციალური კომისია ლიფტების გამოკვლევისათვის სახლებში (მუშაობდა 23 თებერვლამდე).

3) სპეციალისტთა ტექნიკური თათბირი ლითონების ტექნიკურ განყოფილებასთან (დაახლოებით 22—24 მარტს).

4) თათბირი ქვანახშირის მრეწველობის მაღაროთა საჭიროებისათვის ქალაქ მოსკოვისა და სხვა დიდი ქალაქების ამწე მანქანების გამოყენების საკითხზე ქვანახშირის მთავარი სამმართველოს სამთო-ტექნიკურ განყოფილებაში (16 აპრილს) და, ბოლოს,

5) ცენტრალური საწარმოო კომისიის 22 აპრილის სხდომა, ოქმი 321, ბ. 238.

უკვე № 3 კომისიამ ცხადყო, რომ ლიფტების მოწყობილობა უთუოდ შეიძლება ნაწილობრივ გამოყენებულ იქნეს სამთო მრეწველობისათვის. მაგრამ დღემდე პრაქტიკულად სრულებით არაფერი გაკეთებულა; საქმე ჭიანურდება დაუსრულებლად დიდხანს და უმიზნოდ.

წინადადებას გაძლევთ შეიტანოთ საკითხი შრომისა და თავდაცვის საბჭოში 25 მაისს დაახლოებით ასეთი შინაარსის დადგენილების პროექტით:

«დაევალოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შინსახკომთან შეთანხმებით გამოიყენოს მოსკოვის, პეტროგრადისა და სხვა დიდი ქალაქების ამწე მანქანების ნაწილები, რომლებიც გამოსადეგია სამთო მრეწველობისათვის, სახელდობრ: ჯალამბრები, დოლები, ბაგირები.

პარალელურად დაყენებულ იქნეს საჭირო ცდები ამწე

მანქანების მოწყობილობის გამოყენების დარგში თანახმად იმ თათბირის ოქმისა, რომელიც ლითონების განყოფილების ტექნიკურ განყოფილებასთან გაიმართა 1921 წლის 24 მარტს, და ეს ცდები, მათი დიდი მნიშვნელობის გამო, მიჩნეულ იქნეს დამკვრელურ ცდებად».

ვუმატებ* (ა) დაინიშნოს პასუხისმგებელი პირი.

(ბ) დაისაჯონ გაჭიანურებისათვის (მარტიდან მაისამდე).

მოხსენება ნ. პ. გორბუნოვს [150].

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 20 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შევსებული
და ხელმოწერილია
ვ. ი. ლენინის მიერ

170

ი. ი. რადჩენკოს

ტორფის მრეწველობის მთავარი სამმართველო

ივ. ივ. რადჩენკოს

ლენინისაგან

ამხ. რადჩენკო!

აი, ნიმუში იმისა, როგორ არღვევთ ჩემს რჩევას.

ქაღალდები შატურკის შესახებ გამოგზავნეს 14/IV, უაღ-

* ტექსტი სიტყვიდან «ვუმატებ» სიტყვებამდე «მოხსენება ნ. პ. გორბუნოვს» დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

რესად დიდი მოცულობისა. ცალკე ამოწერილ მკაფიო წინადადებათა წარმოუდგენლად.

მე არ მეცალა, წაკითხვა არ შემეძლო; ამწნილებდნენ 23/V-მდე.

თქვენ კი დუმხართ!

ეს უმსგავსობაა!

უნდა დაგერთოთ ორი ქაღალდი:

ა) ვთხოვთ «პოლიტბიუროს» * დახუროს, რადგან სრულიად უვარგისია (5 სტრიქონი). დოკუმენტები ლენინს გადაეცა-თქო.

ბ) გთხოვთ ხელი მოაწეროთ დეპეშას (ან ტელეფონოგრამას): რატომ არ იძლევით 2 (4) ქვაბს, აგვიხსენით მიზეზები, ნუ დაუშვებთ გაჭიანურებას. ლ ე ნ ი ნ ი.

შემდეგ **ორივე ამ** ქაღალდის პირები ფოტიევასათვის უნდა მიგეცათ, რომ გაეხსენებინა ჩემთვის.

მაშინ გამოგვიდოდათ საქმე, და მეც, ალბათ, 15 ან 16/IV-ს ხელს მოვაწერდი.

ამიერიდან **მხოლოდ ასე გააკეთეთ**.

ხუთ-ხუთსტრიქონიანი 2—3 ქაღალდის დართვა ფოტიევასათვის პირებითურთ ძნელი არ არის. საქმიანი დასკვნები თვითონ უნდა გააკეთოთ და არა მე მაიძულოთ ათობით ფურცლებიდან ხუთი სტრიქონი საქმიანი დასკვნები ვაკეთო.

წაუკითხეთ ესე ვინტერს და გამომიგზავნეთ თქვენი და მისი ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი, რომ თქვენ ორივემ ეს მითითებანი გ ა ი გ ე თ და შ ე ს ა ს რ უ ლ ე ბ ლ ა დ მ ი ი ღ ე თ.

23/V. 1921. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* «პოლიტბიურო» — სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სამაბრო ორგანოები, ამ შემთხვევაში იგულისხმება შატურის მშენებლობის საგანგებო კომისია. რ ე დ.

171

ბარათი ლ. ა. ფოტიევას
და დავალება ვ. ა. სმოლიანინოვს

ამხ. ფ ო ტ ი ე ვ ა!

შატურკის საქმეში (№ 3 ყდაში) თქვენ აშკარად დამნაშავე ხართ.

მიღებულია $\frac{14}{IV}$.

დღეს არის $\frac{23}{V}$.

თქვენ დაამწნილეთ იგი, არ გაგვახსენეთ არც მე, არც სმოლიანინოვს.

ასე არ შეიძლება.

არ შეიძლება დამწნილება. ან თვითონ უნდა წაიკითხოთ, ან წააკითხოთ სმოლიანინოვს ან გორბუნოვს.

ახლა გადაეცით სმოლიანინოვს და ჩემს ბლანკზე დაუწერეთ დავალება:

(α) ახლავე შეამოწმოს, არის თუ არა რამე გაკეთებული (ტელეფონით).

(β) თუ არ არის, ახლავე დაძრას ფორმალურად და საქმიანი ქაღალდები მომცეს ხელმოსაწერად.

აა) «პოლიტბიუროს» მოსპობა,

ბბ) გაიცეს 2 (—4?) ქვაბი (?) და ა. შ. [151].

23. V. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 23 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

172

რ. ე. კლასონს

ამხ. კლასონ!

მივიღე და წავიკითხე თქვენი 1921 წ. 20/V-ის ქაღალდი[152]. თქვენთან შეხვედრას უახლოეს დროში ალბათ ვერ შევძლებ, რადგან ძალიან მოუცლელი ვარ.

1—2 კვირის შემდეგ მოაგონეთ ფოტიევას, სახკომსაბჭოს მდივანს.

არსებითად: გამაოცა თქვენმა წერილმა. ასეთი საჩივრები ჩვეულებრივია მუშებისაგან, რომლებმაც არ იციან ბრძოლა საქმის გაჭიანურებასთან. მაგრამ თქვენ? სტარკოვი? რატომ არც თქვენ, არც სტარკოვმა დროზე არ მომწერეთ? რატომ სტარკოვმა, რომელიც თვეობით ზის გერმანიაში, ერთხელაც არ მომწერა?? ჩემი აზრით, ამისათვის მას სასჯელი უნდა დაედოს.

რატომ ისიც და თქვენც მხოლოდ «წუწუნებდით» და არ შემოგვთავაზეთ ზუსტი ცვლილებანი: სახკომსაბჭომ (ან საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა, ან სხვა ვინმემ) ესა და ეს დაადგინოსო. (არ მოეთხოვოს ყველა ქარხანას და ა. შ.).

მთელი საკითხი ახლა ამოწურულია, ხომ ასეა?

(უკვე გადაწყვიტა ტორფის მრეწველობის მთავარმა სამმართველომ?)

სალმით ლენინი

დაწერილია 1921 წლის 24 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბ. ი. ბოკიის *

24. V. 1921 წ.

ამხ. ბოკი!

მივიღე თქვენი ტელეფონოგრამა. სრულიად არა ვარ კმაყოფილი [153].

ასე არ შეიძლება.

დაწვრილებით უნდა გამოიძიოთ საქმე და მომცეთ ზუსტი ცნობები და არა ასეთი «შეხედულება და რაღაც»: «გაზვიადებულია»... «ქურდობის სრული შეწყვეტა შეუძლებელია» (??!!)

ეს უმსგავსობაა და არა მოხსენება.

1) დამისახელეთ ყ ვ ე ლ ა პასუხისმგებელი პირი;
2) აწერეთ საქმის ორგანიზაცია;
3) ჩამოთვალეთ ქ უ რ დ ო ბ ა ნ ი;
   ყველაფერი, ზუსტად;
   დრო; თანხა.
4) რამდენია **ყველა** მომუშავე?
   (დაახლოებით მათი შემადგენლობა? სტაჟი? და ა. შ.).
5) სახელდობრ რა ზომებს იღებენ იქ დატაცებათა შესაწყვეტად?
   ზუსტად აღინიშნოს ზომები.
6) როდის იყო იქ გასამართლება და სასჯელის გამოტანა (IV. 1920?)? დიდი გასამართლების ყველა შემთხვევა? დასჯილთა შედეგები?
   მაცნობეთ ამის მიღება და შ ე ს რ უ ლ ე ბ ი ს ვადა [154].

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* წერილს აქვს ვ. ი. ლენინის წარწერა: «ფოტიევას: გაგზავნეთ საიდუმლოდ, ჯერ გადაიღეთ პირი». რ ე დ.

174

დაგალება მდივანს

NB

1) მიეცით წასაკითხავად სმოლიანინოვს [155].

2) გაიგეთ, რა სარეწები და საწარმოები და მოსამსახურეებია (რამდენი? და სად?) ამ მაზრაში.

3) შეიტანეთ სახკომსაბჭოს ან შრომისა და თავდაცვის საბჭოს დღის წესრიგში ცენტრალური კომიტეტის 10. V. 1921-ის რეზოლუციასთან დაკავშირებით [156].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 24 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

175

ვ. ვ. მოლოტოვს

ამხ. მოლოტოვ! ჩემი ორი მდივანი ქალი (კიზასი და ლეპეშინსკაია) მკურნალობენ და ისვენებენ რიგაში. განეცკიმ **ჩემი თხოვნით** ისინი ზღვის სანაპიროზე მოაწყო*. ეს უნდა გაფორმდეს. როგორ? ჩემი წინადადებაა **ორგბიურომ** მიიღოს გადაწყვეტილება: 1) ან დაევალოს განეცკის მოაწყოს ხოლმე დასასვენებლად რიგაში (და საერთოდ ლატვიაში) ო რ გ ბ ი უ რ ო ს მიერ აქედან გაგზავნილნი ან 2) დაევალოს **განეცკის შექმნას ლატვიაში ერთი-ორი** დასასვენებელი სახ-

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 142. რ ე დ.

ლი, გაიგზავნონ იქ ორგბიუროს მეშვეობით, მოთავსებულ იქნენ იქ 1/2 მუშები, 1/2 საბჭოთა მოსამსახურეები. **მ ე ო რ ე ჯ ო ბ ს.**

თქვენი აზრი?

დაწერილია 1921 წლის მაისში,
არა უგვიანეს 25-ისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

176

ნ. პ. ბრიუხანოვს *

ამხ. ბრიუხანოვ!

როგორც ჩანს, სურსათის სახალხო კომისარიატში დისციპლინა სუსტდება და ძალიან მნიშვნელოვნადაც.

ეს აბსოლუტურად დაუშვებელია.

საჭიროა მთელი ძალების დაძაბვა, ისიც ახლავე, თორემ შიმშილს თავს ვერ დავაღწევთ.

1) სურსათის სახალხო კომისარიატმა **გუბერნიებსა** და **მაზრებში** უნდა დააწესოს პასუხისმგებელი პირები, რომ ვიცოდეთ, ვ ი ნ ჩ ა ვ ს ვ ა თ (1) სამაზრო სურსათის კომიტეტის თავმჯდომარე? 2) სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე? 3) მაზრის სამხედრო კომისარი?? საჭიროა სულ ცოტა 3 პასუხისმგებელი პირი).

2) არც ერთი დარღვევა (ადგილებისათვის აღებულია იქიდან, რაც დანიშნულია ცენტრისათვის) არ იქნეს დატოვებული დამნაშავეთა დ ა უ პ ა ტ ი მ რ ე ბ ლ ა დ (სრულიად

* წერილის ზემო ნაწილში ვ. ი. ლენინს მიუწერია: «გადაიწეროს ბლანკზე 2 ეგზემპლარად». რ ე დ.

რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით).

თქვენ წერილ გრძელ ქაღალდებს საჩივრებით[157], უფრო სწორად: წ უ წ უ ნ ი თ. ნაცვლად საქმიანი წინადადებებისა:

«დაევალოს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დააპატიმროს ეს და ეს პირები განკარგულებათა შეუსრულებლობისათვის, რასაც ცენტრის შიშშილობა მოჰყვა».

ეს როგორი წინადადებანი უნდა შეჰქონდეს პოლიტბიუროში სურსათის სახალხო კომისარიატს.

3) ახლავე დაწყებულ იქნეს ანალოგიური კამპანია ადგილობრივი საგუბერნიო სურსათის კომიტეტების თავმჯდომარეებისა და სხვა ამგვართა ულმობელი დაპატიმრებისა უდარდელობისათვის, მოუმზადებლობისათვის და ა. შ.

სურსათის სახალხო კომისარიატი პასუხისმგებელი იქნება აპარატის მოუმზადებლობისა და მოუქნელობისათვის.

დაწერილია 1921 წლის 25 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

177

ა. ბ. ხალატოვს

26/V. 1921.

ამხ. ხალატოვ!

დიდი სინანულით უნდა აღვნიშნო, რომ საქმეები სურსათის სახალხო კომისარიატის განაწილების სამმართველოში არ გაუმჯობესებულა.

ციფრების იგივე ქაოსია.

დაუმუშავებელი ციფრები დაგუფლებიათ და არა პირიქით.

თქვენ მე მომეცით ციფრების გროვა, დაუმუშავებელი ნედლეულის გროვები.

დღეს კი მოდიან მოსკოველები და გაყვირიან: გაუმჯობესების ნატამალიც არ არისო.

ვეძახი ბრიუხანოვსა და სვიდერსკის. მათ მოიყვანეს ვიშინსკი. მან მომცა ციფრები:

8 დღეში (18—25. V) მოსკოვს მიეცა 165 ვაგონი (უშვრიოდ).

165 : 8 = 20 5/8. მოსკოველები ამბობენ: რეგულარულად 18-ც არა გვაქვსო.

შემდეგ: ხუთი დღისათვის, 26—31, იქნება (ამბობს ვიშინსკი) 90 პური + 08 შვრია. მოსკოველები ამბობენ: შვრია დღეში 1000 [ფუთზე] მეტი არ შეგვიძლიაო!!!

!! მაშასადამე, საქმით გამოდის **გაუარესება:**
26—31. V
წინააღმდეგ 18 — 25. V !!!

!! გაუარესებაა ნაცვლად თქვენ მიერ დაპირებული გაუმჯობესებისა:
იყო 20 5/8 პური,
იქნება **18 პური** + 1 (?) შვრია (?) 158.

კიდევ და კიდევ გთხოვთ: non multa sed multum*. რაც შეიძლება ნაკლები იყოს ციფრები, მაგრამ უფრო საქმიანი.

უკეთესი ხომ არ იქნება ავიღოთ მარტო პური? მხოლოდ და მხოლოდ. მაგრამ უშვრიოდ. მაგრამ ზუსტად: მოსკოვს დღეში. ამას მიაქციეთ მთავარი ყურადღება.

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — ცოტაში ბევრია. რედ.

178

*დირექტივები «ალგემბის» კომისიას

(მეხსიერებით აღდგენილი) [139]

28. V. 1921 წ.

შემოწმდეს მაქსიმალური სიზუსტით,

სახელდობრ რამდენი სამუშაოა შესრულებული (რომელი ნაწილია შესრულებული);

სახელდობრ რამდენი მასალა, რელსები და სხვ., სურსათი და სხვ. არის მიტანილი ადგილზე; სად არის; ამ მასალებისა და ყველა მიტანილი ნივთის შენახვის პირობები; ამ მასალის, რელსების და ყოველივე დანარჩენის უდანაკარგოდ, დაუტანებლად ან მინიმალური დანაკარგებით უკან წაღების პირობები, კონკრეტული შესაძლებლობანი; შესაძლებელი და მოსალოდნელი დანაკარგების ოდენობა;

ფაქტობრივი მდგომარეობის ეს დაწერილებითი, ადგილზე გაკეთებული, ზუსტად შემოწმებული გამორკვევა ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ამ ამოცანის გადაჭრის საფუძველზე, ზუსტი მონაცემებით ხელში, შედგენილ უნდა იქნეს დასკვნა საკითხის მთელი არსის მიხედვით: ხომ არ შევწყვიტოთ (თუ ჰო, როგორ? რა ვადებში? და სხვ.) «ალგემბის» აგება? თუ არ უნდა შევწყვიტოთ? და სხვ. და ა. შ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

179

ტელეფონოგრამა კ. ბ. რადეკსა და გ. ე. ზინოვიევს

ტელეფონით

რ ა დ ე კ ს ა

და ზ ი ნ ო ვ ი ე ვ ს

28/V. საღ. 7 ს. 50 წ.

ეს არის მივიღე ბერლინიდან **ც ე ტ კ ი ნ ა ს** ხელმოწერილი დეპეშა ასეთი ტექსტით:

«პარტიის ცეკა სხვადასხვა საბაბით უარს ამბობს წამოსვლის ნება დართოს დელეგატებს ბრასსა და ანა ჰაიერს, რომლებსაც ოპოზიციის რწმუნებანი აქვთ. ამიტომ მე უარს ვამბობ წამოსვლაზე, სანამ გარანტირებული არ იქნება ჩემი თანამოაზრეების გამომგზავრება».

ვთხოვ რადეკსა და ზინოვიევს ტელეფონით მაცნობონ თავიანთი აზრი: ხომ არა ჯობს ეურჩიოთ ცენტრალურ კომიტეტს დათანხმდეს ბრასისა და ანა ჰაიერის წამოსვლაზე? ან იქნებ ჯობდეს ყველა და მეც სრულიად გავჩუმდეთ? [160]

28/V.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 28 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

180

ა. ო. ალსკის

29/V. 1921 წ.

ამხ. ალსკი! თქვენს ყურადღებას მივაპყრობ ამ მოხსენებას. იგი წარმომიდგინა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიაში მომუშავე ამხანაგმა, რომელიც ამხ. ძერჟინსკისთან შეთანხმებით სპეციალური რწმუნებით აღჭურვე. უაღრესად საიმედო კომუნისტებისაგან იმ ცნობის მიღების შემდეგ, რომ რსფსრ ფასეულობათა სახელმწიფო საცავში ყველაფერი რიგზე არ არის, დავნიშნე გამოკვლევა, რომლის შედეგიც ეს მოხსენებაა [161].

ამხ. ბოკის ცნობა ამას სავსებით ადასტურებს.

თქვენს ყურადღებას უაღრესად სერიოზულად მივაპყრობ ამას.

პირველ რიგში თქვენ, შემდეგ ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრთა **მთელმა** შემადგენლობამ, ხოლო ამხ. ბაშამ სპეციალურად, ფასეულობათა სახელმწიფო საცავს ათჯერ მეტი მუშაობა უნდა დაუთმოთ. ფასეულობათა სახელმწიფო საცავში თუ სულ მალე არ გარდაიქმნა საქმე ისე, რომ **სავსებით გამოირიცხოს** დატაცებათა შესაძლებლობა, ხოლო ამასთან ერთად დაჩქარდეს მთელი მუშაობა და გადიდდეს მისი მასშტაბი, სახალხო კომისრის მოადგილე და ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის **ყველა** წევრი მიცემული იქნებიან არა მარტო პარტიულ, არამედ აგრეთვე სისხლის სამართლის პასუხისგებაშიც.

ფასეულობათა სახელმწიფო საცავის მუშაობის დაყოვნებისა (ზამთარში მუშაობა უფრო ძნელია, ზამთრამდე **ბევრი რამ** უნდა გაკეთდეს) და საცავში მომხდარ დატაცებათა გამო რესპუბლიკას **გიგანტური** დანაკარგები **აქვს**, ვინაიდან სწორედ ახლა, მძიმე დღეებში, **სწრაფად** უნდა მივიღოთ ფასეულობათა *maximum*-ი უცხოეთთან საქონელგაცვლისათვის.

ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა:

1) მოეწყოს სწორი და ხშირი თათბირები ბოკისთან ფასეულობათა სახელმწიფო საცავის უსწრაფესი რეორგანიზაციისათვის;

2) დაცვა და ზედამხედველობა მიყვანილ იქნეს სრულყოფამდე (განსაკუთრებული ტიხრები; ხის ტიხრები; კარადები ან ტიხრები გადაცმისათვის; უეცარი ჩხრეკა; ორმაგ და სამმაგ უეცარ შემოწმებათა სისტემა სისხლის სამართლის საძიებო ხელოვნების ყველა წესის მიხედვით და სხვ. და ა. შ.);

3) საჭიროების შემთხვევაში მოსკოვის ათობით და **ასობით** პასუხისმგებელი და უთუოდ პატიოსანი კომუნისტი მიზიდულ უნდა იქნეს, რომ მონაწილეობა მიიღონ (ვთქვათ თვეში ან 2 თვეში ერთხელ) უეცარ, დღისა და ღამის, რევიზიებში. ინსტრუქცია მომუშავეთათვისაც **და რევიზორებისთვისაც** უაღრესად დეტალური უნდა იყოს;

4) ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის უკლებლივ **ყველა** წევრი ვალდებულია თვეში ერთხელ მაინც უეცრად, დღისითაც და ღამითაც **პირადად** გააკეთოს ფასეულობათა სახელმწიფო საცავის რევიზია მუშაობის ადგილას და ყველგან, სადაც შეიძლება დატაცება იყოს. სახალხო კომისრის მოადგილე ვალდებულია პირადად განაგოს ამ რევიზიების საიდუმლო ჟურნალი.

ამ ქაღალდის **საიდუმლო** ხასიათის გამო გთხოვთ დაუყოვნებლივ **დამიბრუნოთ** იგი, რათა **აქვე** ხელი მოაწეროს ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის **ყველა** წევრმა პირადად.

29/V. სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

(P. S. თუ ჩუცკაევი ჯერ არ წასულა, იმანაც წაიკითხოს: მას ცოტა ბრალი როდი მიუძღვის!)

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

181

ი. ხ. ლუტოვინოვს

30/V.

ამხ. ლუტოვინოვ!

წავიკითხე თქვენი 20/V-ის წერილი და მეტად ნაღვლიანი შთაბეჭდილება დამრჩა. მოველოდი, რომ ბერლინში მას შემდეგ, რაც ცოტას დაისვენებს, ავადმყოფობისაგან განიკურნება, «გარედან» შეხედავს (გარედან უფრო ჩანს) და დაუფიქრდება, მკაფიო და ზუსტ დასკვნამდე მივა-მეთქი. აქ თქვენ უკმაყოფილების «განწყობილება» გემჩნეოდათ. განწყობილება... რაღაც თითქმის ბრმა, შეუცნობელი, მოუფიქრებელი. ველოდინა, აი ახლა განწყობილების ნაცვლად მკაფიო და ზუსტი დასკვნები იქნება-მეთქი. ვფიქრობდი, ამ დასკვნებზე შესაძლოა სხვადასხვა აზრისაც ვიყოთ, მაგრამ «ოპოზიციის» ერთ-ერთი «ფუძემდებლის» (როგორც თქვენს თავს თვითონ აღიარებთ წერილში) ზუსტი და მკაფიო დასკვნები მაინც იქნება-მეთქი.

ნაღვლიანი შთაბეჭდილება თქვენმა წერილმა იმიტომ მოახდინა, რომ არ არის არც მკაფიობა, არც სიზუსტე, არის ისევ მხოლოდ ბნელი განწყობილება და ამას ზედ ემატება «ძლიერი სიტყვები».

არ შეიძლება ასე.

ფაქტები — თქვენ თვითონ იხსენებთ ამას — ჯიუტი რამ არის. აბა ერთი შეხედეთ, როგორია თქვენ მიერ მოხსენიებული ფაქტები. ჩამოვთვლი **ყველა** თქვენს **ფაქტობრივ** მითითებას:

1) რკინიგზელთა ცენტრალური კომიტეტი შედგენილია «ძველი ბიუროკრატებისაგან».

განა ეს ფაქტია? სახელები? მე არავის, გარდა რუძუტაკისა, არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ ამ კომიტეტს მზრუნველობით ადგენდნენ. შეცდომები შეიძლება ყოფილიყო. ისინი

უნდა გამოსწორდეს. ამისათვის კი საჭიროა ჯერ მათი ზუსტად აღნიშვნა, რომ ადგილი არა ჰქონდეს ბნელ განწყობილებას (და ხშირად ჭ ო რ ს, ამ სიბნელეში რომ იმალება: ქორს უყვარს სიბნელე და დაუსახელებლობა).

სახელები თქვენ არ გითქვამთ. ფაქტები არ არის.

რუძუტაკი? რით ვერ არის მუშაკი? «ფიზიკურად გაცვეთილია»? აბა მონახეთ ჩვენში გაუცვეთელები. მას თურქესტანიდან დავაბრუნებთ, როგორც კი იოფესა და სოკოლნიკოვს მოვარჩენთ.

აბა რაში ხედავთ ჩვენს «ფრაქციულ ტენდენციურობას»? იმაში, რომ რკინიგზელთა ცენტრალური კომიტეტის სათავეში პარტყრილობის უმრავლესობის მომხრეს აყენებენ? ეს, თქვენი აზრით, «ფრაქციულობაა»? თუ ასეა, გთხოვთ ამიხსნათ, რა უნდა გვესმოდეს ფრაქციულობად და რა პარტიულობად.

«პარტიულობად» ხომ არ გამოაცხადებთ იმას, რომ ყოფილი «მუშათა ოპოზიციის» ბელადმა მელითონეთა ყრილობაზე ამ დღეებში შეიტანა ცენტრალური კომიტეტის სია, რომელშიც რკპ 22 წევრიდან 19 ყოფილი «მუშათა ოპოზიციის» მომხრეა?[162] თუ ეს «ფრაქციული ტენდენციურობა» არ არის, ფრაქციის აღორძინება არ არის, მაშინ თქვენ როგორღაც სულ თავისებურად ხმარობთ ფრაქციულობის ცნებას, როგორღაც არაჩვეულებრივად, როგორღაც არაადამიანურადაც კი.

2) სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს სათავეშია «ფიზიკურად გაცვეთილი ადამიანი». ე. ი. ტომსკი? მისი შეცვლა უნდოდათ მდივნების სამეულით, ახლა კი სულ მოიშორეს. ისე რომ თქვენი გასროლა ფრაქციულობის წინააღმდეგ თქვენვე მოგიბრუნდათ. აი ეს უკვე ფ ა ქ ტ ი ა.

3) ბერლინის მისიის უმსგავსობათა წინააღმდეგ ბრძოლაში თქვენ «გააფთრებით გეწინააღმდეგებათ მოსკოვი, თვით ილიჩიც კი».

უკაცრავად, ეს მონაჭორია.

თქვენ აქებ-ადიდებდით სტომონიაკოვს, რომელსაც კრა-

სინი იცავდა. ძველ მისიას სათავეში კოპი ედგა. კოპი მოიშორეს, სტომონიაკოვი დარჩა.

რა არის ეს? «გააფთრებით გეწინააღმდეგებათ მოსკოვი»?

თუ გააფთრებით ცრუობთ მოსკოვის შესახებ?

«ფაქტების» თვალსაზრისით, ამ მაგარი სიტყვებიდან რომელი უფრო ახლოა სიმართლესთან? ჰა?

უმსგავსობანი იყო ბერლინის მისიაში, მოსკოვი (და კრასინი) ხელს კი არ გიშლიდნენ, წინააღმდეგობას კი არ გიწევდნენ, არამედ დაგეხმარნენ მათთან ბრძოლაში, გააძლიერეს რა თქვენ მიერ უაღრესად ნაქებ-ნადიდები სტომონიაკოვის ძალაუფლება.

4) მე აქ (ბერლინში) მთელი რიგი «უაღრესად თავხედი არამზადები და ქურდები აღმოვაჩინე», მოსკოვი კი მათ არა ხსნისო.

სახელები? არც ერთი.

ფაქტია თუ ჭორი?

თუ არ იცით, როგორ ეგზავნება საჩივრები ცენტრალურ კომიტეტს? ორგბიუროს? პოლიტბიუროს? ცენტრალური კომიტეტის პლენუმს?

არც ერთი საჩივარი თქვენგან არც პოლიტბიუროში, არც პლენუმში **არ ყოფილა.** აი ეს ფაქტია.

(ფრჩხილებში: მე და თქვენ გვქონდა უთანხმოება შკლოვსკის გამო. მაგრამ იგი არ შეგიტანიათ პოლიტბიუროში [163]. შკლოვსკის მე რევოლუციამდე წლობით ვიცნობდი ბოლშევიკად. როგორც პატიოსანი ადამიანი, იგი დაეხმარებოდა ბრძოლას «არამზადებთან და ქურდებთან». ხოლო თქვენ **აფერხებდით** შკლოვსკის წასვლას ბერლინში, თუმცა აქ ის ვერ იმუშავებს, თავის ადგილზე არ არის).

5) გრეებინი. აი მის შესახებ, და **მ ხ ო ლ ო დ** მის შესახებ, წავიკითხე გუშინ თქვენი და სტომონიაკოვის პროტესტი, ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილი. განვიხილავთ მას პირველ სხდომაზე [164].

გრეებინის გამო უთანხმოება გვქონდა ცენტრალურ კომიტეტში. ზოგი ამბობდა: სულაც მოვიშოროთ, რადგან მოტყუ-

ეს შეუძლია როგორც გამომცემელსო. სხვები ამბობდნენ: როგორც გამომცემელი უფრო იაფად გამოსცემსო. ჯობს მოგვატყუოს 10 000-ით, მაგრამ გამოსცეს უფრო იაფად და უკეთესად.

ავირჩიეთ კომისია თანასწორად ორივე ელფერიდან. მე არ შევსულვარ კომისიაში, რადგან «მიკერძოებას» ვიჩენ (ზოგი ვინმეს აზრით) გორკისადმი, რომელიც გრეებინის დამცველია.

კომისიამ საქმე ერთხმად გადაწყვიტა. ზუსტად არ მახსოვს, როგორ გადაწყვიტა: მგონი — ვიყიდოთ ხოლმე გრეებინისაგან, თუ უფრო იაფი იქნებაო.

მაშასადამე, თქვენი დასკვნა: «ხელმძღვანელობდნენ არა საბელმწიფოებრივი მოსაზრებებით», არამედ გორკის დამშვიდებითო, — პირდაპირ ტყუილია. თქვენ კი წერთ: «დარწმუნებული ვარ»!!! თუ ადამიანები «რწმენას» იქმნიან მანამ, სანამ შეამოწმებდნენ ფაქტებს, რომელთა შემოწმება ძნელი არ არის, რა ეწოდება ამას?

6) ლომონოსოვი ბრწყინვალე სპეციალისტია, მაგრამ «კრასინმა იგი ამხილა უაღრესად დანაშაულებრივ სავაჭრო გარიგებებში».

მართალი არ არის. კრასინს ლომონოსოვი დანაშაულში რომ ემხილებინა, ლომონოსოვი დათხოვნილი და სამართალში მიცემული იქნებოდა. ყური მოჰკარით რაღაცას და... მისგან ჭორი გამოაცხვეთ.

კრასინი გვწერდა მე და ცენტრალურ კომიტეტს: ლომონოსოვი ბრწყინვალე სპეციალისტია, მაგრამ ვაჭრობაში ნაკლებად გამოსადეგია და შეცდომებს უშვებდაო. როცა აქ ჩამოვიდა, ლომონოსოვს შეხვდა და დოკუმენტები გაარჩია, კრასინს არათუ დანაშაულზე არა უთქვამს რა, არამედ შეცდომებზეც არაფერი უთქვამს.

აირჩიეთ: დაიწყებთ სერიოზულად საქმეს საკონტროლო კომისიაში (ან სადაც გინდათ) ლომონოსოვის დანაშაულთა შესახებ, თუ უკან წაიღებთ დაუფიქრებლად ხელწამოკრულ ჭორს?

7) «აქ საბჭოთა კანყოფილებაში ნიშნავენ ასეთ, მაგალ., ვიგინდარებს: წარსულში — ფაბრიკანტი, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებამ მთელი ბეწვეული წაართვა, ახლა კი მას გზავნიან ამ ბეწვეულის გასაყიდად. ერთი მიბრძანეთ, რა გამოვა აქედან?»

ასე წერთ თქვენ. აბა, როგორ არ დანაღვლიანდები. მთელი ოპოზიციის ფუძემდებელი და ასე კი მსჯელობს!

ეს იგივეა, უმეცარმა გლეხმა რომ თქვას: «მეფის ათას გენერალს ჩამოართვეს მიწები და ჩინები, ეს გენერლები კი წითელ არმიას მიუყენეს»! დიახ, ჩვენთან, ალბათ, ათასზე მეტი კაცი, მეფის დროს გენერალი და მემამულე რომ იყო, მსახურობს უმნიშვნელოვანეს პოსტებზე წითელ არმიაში. და ამ არმიამ გაიმარჯვა.

უმეცარ გლეხს ღმერთი აპატიებს. მაგრამ თქვენ?

თუ ი ც ი თ ვინ არის «ვიგინდარა», როგორ შეგიძლიათ თქვენ, საბჭოთა ხელისუფლების თანამდებობის პირს, არ ახსენოთ მისი ს ა ხ ე ლ ი? არ აღძრათ მ ა ვ ა ნ ი ს საქმე?

ხოლო თუ არ იცით სახელი, მაშასადამე, ეს ისევ სმენია? ისევ ჭორია?

მე სათითაოდ გავიხსენე პირდაპირ ყველაფერი, რაც კი წააგავს, თუნდაც ოდნავ წააგავს თქვენს წერილში აღნიშნულ ფაქტებს. ნული, ნული და ნული.

რომ არ გიცნობდეთ, ისეთი წერილის მიღებისას, როგორიც თქვენია, ვიტყოდი:

ეს ან ნერვებდაავადებული კაცია, რომელიც ისტერიულად ებღაუჭება აქა-იქა ჭორებს და არ შეუძლია იფიქროს, იმსჯელოს, შეამოწმოს;

ან განუვითარებლობისა და უმეცრების გამო უმწეო ადამიანია, რომელიც ჭორის მსხვერპლი გამხდარა;

ან გადაცმული მენშევიკია, რომელიც შეგნებულად თესავს ჭორს.

მაგრამ რაკი გიცნობთ, გეუბნებით, რომ თქვენი წერილი შესანიშნავი «ადამიანური დოკუმენტია», რომელიც გვიჩვენებს, თუ «ოპოზიციის ფუძემდებელს» როგორ იტაცებს სურ-

ვილი რადაც უნდა დაუჯდეს ითამაშოს ოპოზიციობანა და გაიძახოდეს, სრულიად უადგილოდ, პროტექციონიზმზე, ჩაკომისრებულებზე, სისტემაზე და სხვ.

«საქმე ხომ პირები კი არა, თვით სისტემაა. ახლა ვაყენებ საკითხს, პროლეტარიატია თუ განმაგნიტებული დეკლასირებული წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია», — წერთ თქვენ.

ეს სასაცილოა. აი სწორედ თქვენი წერილია საუცხოო ადამიანური დოკუმენტი, რომელიც ავტორს გვიჩვენებს როგორც განმაგნიტებული წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ნიმუშს. ვინაიდან პროფესიით პროლეტარებიდან არაერთხელ გამოსულან ცხოვრებაში განმაგნიტებული წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტები თავიანთი ნამდვილი კლასობრივი როლის მიხედვით.

განმაგნიტებული წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტი წუწუნებს, ჩივის, იბნევა უმსგავსობისა და ბოროტების ყოველი გამოვლინების წინაშე, კარგავს თავდაჭერილობას, იმეორებს ყოველგვარ ჭორს, წელებზე ფეხს იდგამს, რომ რაღაც უთავბოლო თქვას «სისტემის» შესახებ.

პროლეტარი (არა თავისი ყოფილი პროფესიით, არამედ თავისი ნამდვილი კლასობრივი როლით) ბოროტებას რომ ხედავს, საქმიანად ჰკიდებს ხელს ბრძოლას: აშკარად და ოფიციალურად უჭერს მხარს კარგი მუშაკის ივანეს კანდიდატურას, წინადადებას იძლევა შეიცვალოს ცუდი პეტრე, აღძრავს საქმეს — და მიჰყავს იგი ენერგიულად, მტკიცედ, ბოლომდე — ვიგინდარა სიდორის წინააღმდეგ, ტიტეს პროტექციონისტული გამოხდომის წინააღმდეგ, მირონის უაღრესად დანაშაულებრივი გარიგების წინააღმდეგ, გამოიმუშავებს (მას შემდეგ, რაც 2 — 3 თვეში შეისწავლის ახალ სამუშაოს და პრაქტიკულად გაეცნობა ახალ გარემოს) საქმიან, პრაქტიკულ წინადადებებს: შემოღებულ იქნეს კომისრების ან პოლიტკომების ასეთი და ასეთი სისტემა, ამნაირად შეიცვალოს წესები აი აქ, მივლინებულ იქნეს ამდენი და ამდენი ნამდვილი კომუნისტი (ასეთი და ასეთი სტაჟით) ამა და ამ ადგილებში.

აი ასეთ პროლეტარებს მაშინაც კი, როდესაც დაკარგული ჰქონდათ თავიანთი პროლეტარული პროფესია, უნარი შესწევდათ ეშენებინათ წითელი არმია და გაემარჯვათ მასთან ერთად (მიუხედავად ათასი გამცემლისა და ვიგინდარისა, რომლებიც ათასობით იყვნენ და დარჩნენ სამხედრო სპეცებსა და სამხედრო ბიუროკრატებს შორის).

აი ასეთი პროლეტარები არასოდეს დაეშვებიან იმ განმაგნიტებული წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტის კლასობრივ როლამდე, რომელიც უმწეოდ აწყდება აქეთ-იქით, ფარხმალსა ყრის ჭორის წინაშე და აქა-იქა ჭორებს «სისტემას» უწოდებს.

აი თქვენ ჩემი გულახდილი პასუხი. დროდადრო მაინც გიპასუხებთ სრულად — ზოგჯერ ამას ერთ საათსაც ვერ ვახმარ.

ძველი მეგობრობის გულისათვის გეტყვით: ნერვებს უნდა უმკურნალოთ. მაშინ მოვა მსჯელობა და არა განწყობილება.

ამხანაგური სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 30 მაისს

პირველად არასრულად დაიბეჭდა 1957 წელს ჟურნალ «ვოპროსი ისტორიი» კპსს»-ის № 2-ში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სრულად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

182

ე. მ. სკლიანსკის

30. V. 1921 წ.

ამხ. სკლიანსკი!

არმიის სამეურნეო გამოყენების საკითხისათვის. ამის დაგიწყება ერთი წუთითაც არ შეიძლება.

უნდა მოვიფიქროთ, მოვამზადოთ, შევიმუშაოთ ასეთი გამოყენების სისტემატური გეგმა და განუხრელად გავატაროთ იგი.

განსაკუთრებით უნდა წამოვწიოთ წინ ამ საკითხის ორი მხარე:

1) მიმდინარე, ყველაზე გადაუდებელი სამეურნეო სამუშაოები (მარილის დაცვა და ამოღება; სათბობის სამუშაოები და სხვ.);

2) მუშაობა მეურნეობის საერთო სახელმწიფო გეგმის განხორციელების დარგში მთელი რიგი წლებისათვის. ელექტრიფიკაციის გეგმა, რომელიც ნავარაუდევია (სამუშაოთა პირველი რიგი) 10 წლისათვის, მოითხოვს 370 მილიონ სამუშაო დღეს. წელიწადში ეს თითო არმიელზე იძლევა (37:1,6)=24 სამუშაო დღეს, ე. ი. თ ვ ე შ ი ო რ დ ღ ე ს.

რა თქმა უნდა, არმიის განლაგების პირობები, სამუშაო ადგილებში გადაყვანა და სხვ. და სხვ. აუარებელ სიძნელეს შექმნის, მაგრამ მაინც არმიას შეუძლია და მოვალეც არის (ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ს ა მ ხ ე დ რ ო ს წ ა ვ ლ ე ბ ი ს დ ა ხ მ ა რ ე ბ ი თ) უდიდესი დახმარება გაუწიოს ელექტრიფიკაციის საქმეს. ეს დიადი საქმე უნდა შევაყვაროთ არმიას — იდეურადაც, ორგანიზაციულადაც, მეურნეობრივადაც — და ვიმუშაოთ ამ საქმეზე სისტემატურად.

გთხოვთ ეს საკითხი დააყენოთ რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოში და გამოაცხადოთ ეს წერილი. მოხარული ვიქნებოდი მომესმინა რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრთა მოსაზრებანი ან მქონდეს თუნდაც მათი მოკლე დასკვნები ამ საკითხზე [165].

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

183

ტელეფონოგრამა ნ. პ. ბრიუხანოვს [166]

30/V — 21 წ.

სურსათის სახალხო კომისარიატი, ამხ. ბრიუხანოვს,
პირი ამხ. სკოლიანსკოვს

საჭიროა დააჩქაროთ ტომრების გაგზავნა უკრაინის სურსათის სახალხო კომისრიატ ამხ. ვლადიმიროვისათვის, აგრეთვე საქონლის გაგზავნა უკრაინის საქონელგაცვლის ფონდისათვის. თქვენი შემდგომი განკარგულებები გთხოვთ მაცნობოთ*. ზუსტად მაცნობეთ დღესვე და ყოველდღიურად მაცნობეთ ხოლმე ფორმალურად და წერილობით, სახელდობრ რა ეტაპზეა დაჭტობრივად. ბრიუხანოვს ეკისრება პირადი პასუხისმგებლობა. დაინიშნონ დეტალური ღონისძიებებისათვის პასუხისმგებელი ადამიანები.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შევსებული
და ხელმოწერილია
ვ. ი. ლენინის მიერ

184

ტელეფონოგრამა
ი. ს. უნშლიხტს, ვ. ვ. ფომინს, ნ. პ. ბრიუხანოვს

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია — ამხ. უნშლიხტს
გზათა სახალხო კომისარიატი — ამხ. ფომინს და
სურსათის სახალხო კომისარიატი — ამხ. ბრიუხანოვს

* მთელი მომდევნო ტექსტი დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

დააწესეთ უსასტიკესი ზედამხედველობა მანუფაქტურის უსწრაფესად მიწოდებაზე მოსკოვიდან ხარკოვამდე უკრაინაში საქონელგაცვლისათვის.

გაეცით განკარგულება რკინიგზის ხაზით. უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია. მაცნობეთ შესრულება *.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ. ლ ე ნ ი ნ

დაწერილია 1921 წლის 31 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელიც შევსებული და ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

185

გ. კ. კოროლიოვს [167]

პასუხისმგებელი მიმომსვლელი მუშაკების შესახებ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებაა.

მაშასადამე, სადავო არ არის.

(პირადად მე სავსებით ვეთანხმები მას.)

პირადად თქვენ, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა მიმოდიოდეთ.

1) ცენტრალური კომიტეტის აპარატი უნდა გავაძლიეროთ და დ ა ვ უ ა ხ ლ ო ო თ ადგილებს.

2) გუბერნიაში თქვენ უნდა შეგცვალონ თქვენმა თანაშემწეებმა. უნდა ვაწინაურებდეთ ახალგაზრდებს.

3) თქვენ შეძლებთ (და მოვალეც იქნებით) პ ი რ ა დ ა დ უფრო ხშირად შეიაროთ ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნია-

* სიტყვები «მაცნობეთ შესრულება» დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

ში და ამოწმებდეთ, ეხმარებოდეთ, ორგბიუროსთან შეთანხმებით აწინაურებდეთ კანდიდატებს და სხვ.

4) აუცილებელი არ არის თეორეტიკოსი იყოთ. საკმარისია იყოთ პ ა რ ტ ი ე ლ ი. თქვენ სამეურნეო მუშაკი ხართ. ჩვენ კი სწორედ [გვესაჭიროება], რომ სამეურნეო მუშაკები (ცეკადან) წინ სწევდნენ ადგილებს, ამოწმებდნენ, ინსტრუქციებს აძლევდნენ.

დაწერილია 1921 წლის 31 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალ «პროფექტორის» № 2-ში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

186

ბ. დ. ციურუპას

სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტი, სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ციურუპას

პირები: სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტის თავმჯდ. ამხ. საფრონოვს

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდ. ამხ. ბოგდანოვს

გთხოვთ მაცნობოთ, რაც შეიძლება მოკლე ბარათით, მიეცით თუ არა და როდის ზუსტი დირექტივები კაშირკის სასწრაფოდ დამთავრების შესახებ (პოლიტბიუროს გადაწყვეტილების თანახმად) [168]. სახელდობრ ვის?

სახელდობრ პირადად ვინ აგებს ადგილზე პასუხს ვადაზე შესრულებისათვის?

საჭირო ხომ არ არის ცენტრიდან საგანგებოდ შეხსენება ან გაფსაკუთრებული ზომები იმისათვის, რომ წესიერად იყოს შესრულებული?

(მე პირადად ვნახე, რომ «ჩამოსაკიდებელი» ბოძები კაშირის გზაზე სადაცაა წაიქცევა. ცუდი ნამუშევარია. ეს სიკვდილის შემთხვევებს ხომ არ გამოიწვევს? [169])

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 31 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

187

*ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს

პირი: შრომისა და თავდაცვის საბჭოს სამდივნოს

31/V.

ვადასტურებ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის მითითებებს, რომლებიც ტელეფონით მიეცა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრს ამხ. ნიკოლაევს, და წინადადებას გაძლევთ ოთხშაბათს, 1 ივნისს, შრომისა და თავდაცვის საბჭოში გააკეთოთ მოხსენება პირველი რიგის რადიოტელეფონის მშენებლობის კალენდარული პროგრამის შესახებ (ე. ი. საგუბერნიო და სამაზრო ცენტრებში რადიოტელეფონის მიმღებთა დაყენება 2000 ვერსი რადიუსის ფართობზე მოსკოვის გარშემო) და ამავე დღისათვის დღის წესრიგში შეიტანოთ ყველა საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია სარადიოტელეფონო მშენებლობასთან, სახელდობრ: ყოფ. ანოსოვის სახელოსნოს გადაცემა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში, რადიოტელეფონის დარვის საპუშაოთა მოშარაგების შესახებ ფულის ნიშნებით უშუალოდ ცენტრიდან და ა. შ.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს წინადადება ეძლევა ზუსტად აღნიშნოს პირი, რომელიც პერსონალურად აგებს პასუხს სარადიოტელეფონო მუნიციპალობის მთელი იმ პროგრამის ვადაზე შესრულებისათვის, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება შრომისა და თავდაცვის საბჭოს[170].

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 31 მაისს

პირველად არასრულად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

სრულად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს, ვ. ი. ლენინი

188

ი. ტ. სმილგას

31. V. 1921 წ.

ამხ. სმილგა!

მომავალ ზამთრის სეზონში მოსკოვში შეშის კრიზისის შესაძლებლობის საკითხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს პირველი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია. არ შეიძლება მოსკოვმა 1921 — 1922 წლებში მიიღოს იმაზე ნაკლები სათბობი, ვიდრე 1920 — 1921 წლებში იყო.

რადაც უნდა დაჯდეს.

საჭიროა 1) ამისათვის პასუხისმგებლობა სპეციალურად დაეკისროს დანიშვნაკის;

2) მთელი ეს ამოცანა დეტალურად გაიყოს შემადგენელ

ნაწილებად და თითოეული ნაწილი დაეკისროს სპეციალურ, ზუსტად აღნიშნულ **პირს;**

3) სპეციალურად გაძლიერდეს მუშაკებით «მოსკვოტოპი» (იქნებ გოლდბერგი აიყვანოთ? შემდეგ საქმეში ჩააბამთ, თუნდაც გარკვეული დროით, რადჩენკოს და ა. შ.).

4) პირადად თქვენ აუცილებლად მოაწყვეთ, არაერთგზისი სპეციალური, განსაკუთრებული შემოწმება, რევიზია, განახორციელეთ უაღრესად მკაცრი ზომები.

აუცილებლად წარმოიდგინეთ მთელი ასეთი სასწრაფო სამუშაოებისა და ზემოქმედების ზუსტი პროგრამა და მაცნობეთ, როდის.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

189

ა. მ. ,ლეჟავასა და ა. ი. რიკოვს*

ამხანაგებს **ლეჟავასა** და **რიკოვს**

როგორც ჩანს, აქ ჩვენთან (და **საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში)** უწესრიგობაა.

ხომ უნდა იყოს ჩანაწერი: რა არის მოთხოვნილი? როდის? ვის მიერ? ვინ მოიწონა მოთხოვნა?

გამოდის, რომ ჩანაწერები არ არის. სრული ქაოსია. დრო გადის.

სასწრაფოდ საჭიროა ექსკავატორები.

---

* წერილის მარცხენა ნაწილში ვ. ი. ლენინს გაუკეთებია შენიშვნა: «[ექსკავატორების საკითხი]». რ ე დ.

რატომ არ არის შეკვეთილი გერმანიაში?
ამერიკაში?
შვეიცარიაში?
ვისგან არის რ ე ი ნ ე? [171]

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უადრეს 1921 წლის
მაისისა

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

190

ლ. ბ. კრასინს

შ ი ფ რ ი თ

კრასინს

ყოველგვარი სესხები მეტად გვესაჭიროება, ვინაიდან ახლა მთავარია მივიღოთ, ამასთან დაუყოვნებლივ, სასაქონლო ფონდი გლეხებთან პურზე გადასაცვლელად. ამ უშუალო მიზანს ახლა უნდა დაექვემდებაროს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მთელი პოლიტიკა.

მიპასუხეთ ამაზე.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წელს ივნისზე ადრე
პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

191

ე. მ. სკლიანსკის

როგორა აქვს საქმე ტუხაჩევსკის?
ჯერ კიდევ ვერ დაიჭირა ანტონოვი? [172]
ძალას ატანთ თუ არა?
როდის არის მოხსენება პოლიტბიუროში?

დაწერილია 1921 წლის მაისში —
ივლისის პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

192

ვ. მ. მოლოტოვს [173]

ამხ. მ ო ლ ო ტ ო ვ ს

გიგზავნით წერილს, რომელიც ამხ. ვასილიევმა მომწერა, და გთხოვთ:

1) ან დააყენოთ ორგბიუროში შემოწმება (ცეკას იმ დავალების შესრულებისა, რომ მოთავდეს ანტონოვის საქმე), ან ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ აწარმოოს ეს შემოწმება დოკუმენტების გაცნობის გზით და ამხ. სკლიანსკის ან კიდევ ვინმეს გამოძახებით;

2) თანდართული **საიდუმლოდ** და **პირადად** გაეგზავნოს ამხ. სკლიანსკის, რათა მან წაიკითხოს და დამიბრუნოს, ამასთან დასძინოს (თქვენთვის; პირი მე), ზემოქმედების რა ზომები მიიღო [174].

1/VI. 1921.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

193

გ. მ. კრჟიჟანოვსკის*

სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი

ამხანაგ კრჟიჟანოვსკის

არის მითითება, რომ შრომისა და თავდაცვის საბჭო, როცა სხვადასხვაგვარ ნაწილობრივ დავალებებს აძლევს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ყოველთვის სწორად არ ანაწილებს ამ დავალებებს ცალკეულ სახალხო კომისარიატებთან არსებული საგეგმო კომისიების ფუნქციების თვალსაზრისით.

ამის გამო, აგრეთვე საერთოდ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მთელი მუშაობის უფრო მიზანშეწონილად დაყენების მიზნით აუცილებელი ხდება შემოღებულ იქნეს სახელმწიფო საგეგმო კომისიის ყველა წევრის მიმდინარე მუშაობისა და პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის ყველა წევრი, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საგანგებოდ წესდება ამ კომისიის პრეზიდიუმის დადგენილებებით, იღებს პრეზიდიუმისაგან დავალებებს სისტემატურად შეისწავლოს მთელი მასალები, რომლებიც ეხება გარკვეული სამეურნეო ფუნქციების შესრულებას გეგმიანი რაციონალობისა და გეგმების ნამდვილად შესრულების თვალსაზრისით (მაგალითად, სათბობის ეკონომია; მისი მოზიდვა; არასაკმაო დატვირთვა რკინიგზებზე; არასაჭირო საწარმოთა დახურვა; სურსათის განაწილება მისი მომჭირნეობის და შრომის ნაყოფიერების გადიდების თვალსაზრისით და სხვ. და ა. შ.).

ერთი და იგივე დავალება შეიძლება მიეცეს ორ და მეტ წევრს, თუ საქმის ინტერესები მოითხოვს გეგმის შესწავლა-

* არსებობს ამ დოკუმენტის მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტი, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი. რ ე დ.

ია და შემოწმებას სხვადასხვა თვალსაზრისით ან სხვადასხვა მეთოდებით.

ასეთი სისტემის დროს შრომისა და თავდაცვის საბჭო ყერძო დავალებებით ნაკლებად ჩამოაშორებს ხოლმე მთელ სახელმწიფო საგეგმო კომისიას საერთო მუშაობას და, გარდა ამისა, მიღწეული იქნება სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობის მეტი ნაყოფიერება და დამყარდება მის წევრთა უფრო ზუსტი პასუხისმგებლობა.

გთხოვთ დააყენოთ ეს წინადადება პრეზიდიუმის განსახილველად და მაცნობოთ მისი გადაწყვეტილება [175].

დაწერილია 1921 წლის 2 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1939 წელს ჟურნალ «კრასნი არხივის» № 5-ში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

194

ტელეფონოგრამა ი. ს. უნშლიხტს [176]

პირი

სასწრაფოდ. საიდუმლოდ

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის
თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. უნშლიხტს

შეკრიბეთ ცნობები და არა უგვიანეს ხვალინდელი დღისა მაცნობეთ ზუსტი და ამომწურავი პასუხი შემდეგ კითხვებზე:

1) მართალია თუ არა, რომ პეტროგრადში 27 მაისს დააპატიმრეს: პროფ. პ. ა. შ ჩ ო ო ტ ე ვ ი ჩ ი (ელექტროტექნიკური ინსტიტუტი), პროფ. ნ. ნ. მ ა რ ტ ი ნ ო ვ ი ჩ ი (უნივერსიტეტი და აღმოსავლეთის ინსტიტუტი), პროფ. შ ჩ ე რ ბ ა (უნივერსიტეტი, შედარებითი ენათმეცნიერების პროფ.), პროფ. ბ. ს. მ ა რ ტ ი ნ ო ვ ი (უნივერსიტეტი, სამოქალაქო სამართლის პროფ.), უფროსი ზოოლოგი ა. კ. მ ო რ დ ვ ი ლ კ ო (მეცნიერებათა აკადემია), პროფ. ტ ი ხ ა ნ ო ვ ი ს

ცოლი (სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტი), პროფ. ბ. ე. ვორობიოვი (I პოლიტექნიკური ინსტიტუტი).

2) მართალია თუ არა, რომ პროფ. პანტელეი ანტონის ძე შჩურკევიჩი უკვე მეხუთედ დაპატიმრეს, ხოლო პროფ. ბორის ევდოკიმეს ძე ვორობიოვი — მესამედ.

3) რა არის დაპატიმრების მიზეზი და აღკვეთის ზომად რატომ მაინცდამაინც დაპატიმრებაა არჩეული — ისინი ხომ არ გაიქცევიან.

4) სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია, საგუბერნიო საგანგებო კომისიები ან სხვა საგანგებო კომისიები აძლევენ თუ არა მანდატებს არა პერსონალური დაპატიმრებისათვის, არამედ «მიხედულობისამებრ» დაპატიმრებებისათვის, ხოლო თუ აძლევენ, სახელდობრ რომელ თანამშრომლებს (პასუხისმგებლობის ხარისხი, თანამდებობა, პოლიტიკური სიმწიფე).

ხალხთა კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 2 იენისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

195

ა. ო. ალსკის

3. VI. 1921 წ.

ამხ. ალსკი!

მინდა დავეხმარო ამხანაგ გასტევს, შრომის ინსტიტუტის გამგეს.

მას დამატებით საყიდელი აქვს 0,5 მილიონისა ოქროთი. ეს, რა თქმა უნდა, ახლა არ შეგვიძლია. ხომ არ შეიძლება

კერძასიიაში თუნდაც ზოგი რაიმის ყიდვა რომანოვების ფულით?

მოიფიქრეთ, უფრო ზუსტად გაიგეთ და ეცადეთ მოუხერხოთ გარკვეული თანხა. ამგვარ დაწესებულებას ჩვენ ასე თუ ისე, ძნელი მდგომარეობაც რომ გექონდეს, უნდა დავეხმაროთ [177].

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალ «ორგანიზაცია ტრუდას» № 1-ში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

196

ვ. მ. მოლოტოვს

ამხ. მოლოტოვ!

გთხოვთ გადასინჯოთ შკლოვსკის თანდართული წერილი.

აკი არის ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს გადაწყვეტილება — ხომ მართალია? წერილობითი და ფორმალური (პოლიტბიურო) — «საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში სამუშაოდ ბერლინში».

ამ გადაწყვეტილებას ს ა ბ ო ტ ა ჟ ს უ წ ე ვ ს ლუტოვინოვი, ახლა კი სტომონიაკოვიც. რატომ? ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ვხვდები: ლუტოვინოვი ლენინს ბრალად სდებს «პროტექციონიზმს» შკლოვსკის მიმართ (!!). ზოგი ვინმე უკმაყოფილოა, რომ ორგბიუროს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შკლოვსკი საზღვარგარეთ არ გაეშვათ, პოლიტბიუროს გაუუქმა [178].

შეიქმნა ინტრიგების უხამსი ქსელი. შკლოვსკი აბსოლუტურად გამოუსადეგარია რუსეთში. მისი ოჯახი (წვრილშვილი, ავადმყოფი ცოლი) ვ ე რ შეეგუა რუსეთს. აქ წვალების მეტი არაფერი აქვთ. უთუოდ პატიოსანი ადამიანია, ბოლშე-

ვიკი პირველი (1905) რევოლუციიდან, პირადად ვიცნობდით მას მე, ზინოვიევი, შვეიცარიაში მყოფი ყველა ბოლშევიკი. ჩიჩერინი კმაყოფილია მისი მუშაობით საზღვარგარეთ. აგრეთვე კრასინიც.

ლუტოვინოვის საბოტაჟი (ახლა სტომონიაკოვისაც) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების პირდაპირ აღმაშფოთებელი ჩაშლაა. უკმაყოფილო ხართ? გაასაჩივრეთ პლენუმში ან ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში, ეს თქვენი წმიდა უფლებაა. მათ კი არ გაასაჩივრეს, არამედ ფარულად შლიან და შკლოვსკის ისეთ დღეს აყრიან, რომ ლამის თვითმკვლელობა აფიქრებინონ. არ უნდათ შეიგნონ, რომ გამოუდით საზიზღარი, უპატიოსნო, მალული დევნა ადამიანისა.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში ყველგან ქურდები არიან; კოპმა აშკარად მოამრავლა ქურდები. როგორც ჩანს, საჭირო იქნება კოპი მოვიშოროთ. მით უფრო უნდა ვაფასებდეთ ენისა და ვაჭრობის მცოდნე პატიოსან ადამიანებს.

გთხოვთ ან ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს მეშვეობით (ან — შესაძლოა უფრო მოხერხებული იყოს? — გაუგზავნოთ სოლცს ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში) სერიოზულად ჩაგონოთ (იქნებ წერილობით ჯობდეს?) სტომონიაკოვს: თავი დანებებ საბოტაჟს, თორემ საქმეს პარტიიდან გარიცხვამდე მიიყვან-თქო. ბოდიში მოიხადოს შკლოვსკის წინაშე და თავი დანებოს საბოტაჟს.

მომწერეთ ორიოდე სიტყვა.

კომ. სალმით ლენინი

დაწერილია 1921 წლის ივნისში,
არა უადრეს 4-ისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

197

მ. ი. ფრუმკინს

5/VI.

ამხ. ფრუმკინ!

სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკონომიური საბჭოსათვის ფონდის მიცემასთან დაკავშირებული უცნაური ისტორიის გამო ბრალსა გდებთ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატსაც (უმსგავსობაა!) და **თქვენც** [179]. თქვენ მხოლოდ წუწუნებდით, ვალდებული კი იყავით ჯერ კიდევ აპრილში შემოგეტანათ ზუსტი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ნ ი შრომისა და თავდაცვის საბჭოში: 1) ოქროს გაგზავნის კალენდარული პროგრამა ასეთია; 2) მატყლისა ასეთია და ა. შ.

თქვენ კი აპრილიდან ივნისამდე წუწუნს მოუნდით.

საჭიროა ახლა მოათავოთ გაუკეთებელი.

ოთხშაბათისათვის შრომისა და თავდაცვის საბჭოში შემოიტანეთ (შემიძლია დავნიშნო კომისია ხვალ, 6/VI, — იგი შეიძლება დაინიშნოს სახალხო კომისრების შეთანხმებით) დ ე ტ ა ლ უ რ ღონისძიებათა უზუსტესად დამუშავებული კალენდარული პროგრამა.

ამაზევე შეუთანხმდით ხინჩუკს (მგონი, იგი იცნობს ვაჭრობას. სურსათის სახალხო კომისარიატში **არავინ** იცნობს).

დაუყოვნებლივ მომწერეთ, დებთ თუ არა ახლა პირობას, რომ **გონივრულად** გააკეთებთ და სახელდობრ რას.

შეძლებთ თუ ვერა ს ა ქ მ ი ა ნ ა დ დააყენოთ ვაჭრობა კონსტანტინოპოლთან? თუ კვლავ წააწყდებით «ანკონას» [180]? სპეკულანტებს, არამზადებს (და ბანკროტებს: კონსტანტინოპოლში ისინი უ ა მ რ ა ვ ი ა) და მხოლოდ შეირცხვენთ თავს და შეარცხვენთ სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკონომიური საბჭოს მთელ «საქონელგაცვლის ოპერაციას»?

სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკონომიური საბჭო უ ფ რ ო

მეტ ინიციატივას უნდა იჩენდეს, მაგრამ პასუხსაც მეტს უნდა აგებდეს.

(თუ თქვენ ისევ იქ აღარ მიდიხართ, პირდაპირ მაეთულოან გამოუძახეთ ბელობოროდოვს ან კაგანოვიჩს და უთხარით ყველაფერი, რასაც თქვენ გწერთ; მიაღწიეთ, ბოლოს და ბოლოს, **შედეგსა** და საქმით შემოწმებას).

საშხრეთ-აღმოსავლეთის ეკონომიური საბჭო კი არ უნდა წუწუნებდეს, არამედ დროზე შემოჰქონდეს შრომისა და თავდაცვის საბჭოში საქმიანი წინადადებანი და არ აგვიანებდეს მათი შესრულებისადმი თვალყურის დევნებას[181].

ველი წერილს. კომ. სალმით ლენინი

დაწერილია 1921 წლის 5 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

198

ა. მ. ლეჟავას

5/VI.

ამხ. ლეჟავა!

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქმე ძალიან ცუდად არის.

სანამ თქვენ ავად იყავით, კრასინმა ერთხელ კიდევ სინჯა თავისი სუსტი მხარე: ძალიან დიდია მისი თავდაჯერებულობა, რომელიც ზოგჯერ თითქმის ავანტიურიზმამდე მიდის.

«მე ვერაფერს დამაკლებენ, მე ყველაფერი გამომიდისო». აქვს მას ასეთი თვისება.

და მიუხედავად მისი «იღბლიანობისა» და მოხერხებუ-

ლობისა, უნარისა და ოსტატობისა, თავდებად ვერ დავუდგები, რომ როდისმე ამის გამო დიდ სკანდალს არ გადააწყდება და ერთი ამბით არ წავა.

ასე არ შეიძლება. კრასინი იყო აქ, ნახა, რომ ავად იყავით, და არაფერი გაუკეთებია.

დატოვა მარტო ვოიკოვი, რომელიც აშკარად უვარგისია, უფრო სწორად: თავს ვერ ართმევს საქმეს.

შრომისა და თავდაცვის საბჭოში 3/VI-ს თითქმის კრახამდე მივიდა საქმე. შრომისა და თავდაცვის საბჭომ 1921 წ. 25/III-ს დაადგინა, რომ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ვალდებულია სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკონომიურ საბჭოს გადასცეს 7 მილიონი ოქროთი 15/IV-სათვის.

არაფერია გაკეთებული. ვოიკოვი იმოწმებს ვითომდა კრასინისაგან გაგონილ განცხადებებს, რომ კონსტანტინოპოლთან ვაჭრობა არ შეიძლება; იქ თაღლითები არიანო.

თუ კრასინმა ეს თქვა, კრასინი ამისათვის როდისმე სამართალში იქნება მიცემული. კრასინი ვალდებული იყო ან ზუსტად განეხორციელებინა შრომისა და თავდაცვის საბჭოს 25/III-ის დადგენილება, ან ცეკაში წინადადება შეეტანა შრომისა და თავდაცვის საბჭოს ამ დადგენილების გაუქმების შესახებ, ან დაეკმაყოფილებინა სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკონომიური საბჭო სხვანაირად, არა კონსტანტინოპოლის მეშვეობით (ეს № 3 «იღბლიანობის» იმედით).

კრასინი არ აკეთებს არც ერთს, არც მეორეს, არც მესამეს, რითაც არღვევს კანონს და ფუშავს მთელ მუშაობას. ასე არ შეიძლება.

გთხოვთ:

1) ამის პირი (ან დედანი) გაუგზავნოთ კრასინს,

2) პირადად მოელაპარაკოთ ფრუმკინსა და ხინჩუკს,

3) პირადად შეამოწმოთ შრომისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულება, ვოიკოვზე იმედის დაუმყარებლად,

4) სერიოზულად იფიქროთ ვოიკოვის შეცვლაზე ტარატუტათი ან პაიკესით, ან კიდევ ვისითაც გინდათ, საქმიანი და **გულმოდგინე** ადამიანით.

რაც შეეხება სერებროვსკისა და ბაქოს, ახლა ძალიან ვშიშობ, რომ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი გაიმეორებს სამხრეთ-აღმოსავლეთის ამბავს.

ამას კი უკვე არაფრის გულისათვის აღარ მოვითმენ.

წინადადებას გაძლევთ სერებროვსკისა და რაბინოვიჩს გაუგზავნოთ შემდეგი დეპეშა ჩემი სახელით. თქვენი მოსაზრებები ან შესწორებები გთხოვთ დაუყოვნებლივ მაცნობოთ.

«ბაქო, სერებროვსკის, პირები რაბინოვიჩსა და ორჯონიკიძეს, ბაქო ან თბილისი.

მეტად შეშფოთებული ვარ ხელშეკრულებით, რომელიც სერებროვსკის დაუდვია «სოსიფროსსთან», და გაოცებული ვარ იმით, რომ ამის შესახებ რაბინოვიჩმა მაცნობა, სამწუხაროდ, უკომენტარებოდ და პრაქტიკულ წინადადებათა დაურთველად, თვითონ სერებროვსკის კი არ უცნობებია[182]. ხელშეკრულება უცნაურია. სად არის გარანტიები, რომ «სოსიფროსსი» არ მოგვატყუებს? როგორ შეიძლებოდა მისთვის მონოპოლიის მიცემა. მე სულაც არა ვარ წინააღმდეგი აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობის კომიტეტისა და აზერბაიჯანის ნავთობის კომიტეტის პირდაპირი ვაჭრობისა კონსტანტინოპოლთან, მზადა ვარ მხარი დავუჭირო ბაქოს ავტონომიას მნიშვნელოვან ფარგლებში, მაგრამ საჭიროა გარანტიები. გთხოვთ დაუყოვნებლივ მიპასუხოთ გამოგზავნილია თუ არა საიმედო შიკრიკის ხელით ყოველივე იმის ზუსტი აღწერა, რაც სერებროვსკის კონსტანტინოპოლში უყიდია; სახელდობრ როდის არის გამოგზავნილი და დაწვრილებითი ცნობები ხელშეკრულების შესახებ, და როდის. სერებროვსკის ვავალებ ყოველი შიკრიკის ხელით გამოგზავნოს წერილი, ტელეგრაფით მაცნობოს შიკრიკის სახელი და წამოსვლის დრო. სახელდობრ რა შეკვეთა აქვს ახლა მიცემული «სოსიფროსს». სამივე ად-

რესატი ვალდებულია მიპასუხოს ტელეგრაფით[183], რაც საიდუმლოა, შიფრით*.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ. ლენინი».

გაქვთ ცნობები სამერისაგან? რა ხდება იქ? გიგზავნით თუ არა იგი ანგარიშებს? ხშირად? დაწვრილებითს თუ მოკლეს? მომწერეთ.

კომ. სალმით ლენინი

დაწერილია 1921 წლის 5 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

199

ი. ი. რადჩენკოს

5. VI. 1921.

ამხ. რადჩენკო! კრიჭაში ნუ ჩაუდგებით ჰიდროტორფს. ეს საქმე კანონმა ცნო როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე[184].

ტორფის მთავარი სამმართველო ვალდებულია ამ კანონს ახორციელებდეს არა შიშით, არამედ სინდისით.

გამოგონება დიადია. გამოგონებლებთან, ისინი ცოტას კიდევაც რომ ჭირვეულობდნენ, უნდა შეგვეძლოს დავიჭიროთ საქმე.

მე კი ჯერ ჭირვეულობას ვერ ვხედავ.

კირპიჩნიკოვი გამომგონებელია. იგი უნდა გავუშვათ და გავგზავნოთ. საწინააღმდეგო ზოსაზრებანი შეიძლება იყოს

* სიტყვებისათვის «რაც საიდუმლოა, შიფრით» ვ. ი. ლენინს ხაზი გაუსვამს და დაუწერია: «(ხაზგასმული დაშიფროს)». რედ.

მხოლოდ პოლიტიკის გამო: თუ ასეთები გაქვთ, მაცნობეთ **საიდუმლოდ**.

თუ არა გაქვთ, აუცილებლად გაგზავნეთ კირპიჩნიკოვი.

მე ჩინებულად ვიცნობ და დიდად ვაფასებ თქვენს დამსახურებას ტორფის მთავარი სამმართველოს საქმიანობაში. თქვენ იგი სანიმუშოდ დააყენეთ. ძალიან გთხოვთ: **ნუ ჩაიდენთ შეცდომას**, კრიჭაში ნუ ჩაუდგებით ჰიდროტორფს.

სალამი! ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

200

რ. ე. კლასონს

5/VI. 1921.

ამხ. კლასონ!

გთხოვთ მაცნობოთ (და აცნობოთ სმოლიანინოვს, როცა მე არა ვარ ან **არა** მცალია) **ზუსტი** წინადადებანი ჰიდროტორფისათვის დახმარების შესახებ.

ცოტა თქვენცა ხართ დამნაშავე იმაში, რომ 1921 წელი დაკარგულია.

ფრთხილად იყავით, არ გამოგეპაროთ 1922.

რატომ არ მიეცით გერმანიაში პრემია 10—50 ათასი მან. **ოქროთი** გაუწყლოების საშუალების გამოგონებისათვის? ჩვენ ხომ თქვენს წასვლამდე ვილაპარაკეთ ამის შესახებ!

იმიტომ ხომ არა, რომ ფული არ იყო (წინასწარ უნდა შე-

მოგეტანათ საკითხი შრომისა და თავდაცვის საბჭოში)? ან იმიტომ, რომ ამგვარი პრემიებისათვის ძალიან ბევრია საჭირო? რამდენი? თუ სხვა მიზეზით? არ შეიძლება ახლა სანოტარო წესით გერმანიაშიც, კანადაშიც და ამერიკაშიც დავპირდეთ ასეთ და მსგავს პრემიებს?

სალამი! ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

201

ა. მ. ლეჟავას [185]

სასწრაფოდ!

ამხ. ლეჟავა!

გთხოვთ დაუმატოთ სიტყვა უთუოდ («მე სულაც არა ვარ **უთუოდ** წინააღმდეგი აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობის კომიტეტის პირდაპირი ვაჭრობისა კონსტანტინოპოლთან» და ა. შ.) და გაგზავნოთ ამ დამატებით.

ველი თქვენს წერილს (P. S. ეს კიდევ რაღა ხელშეკრულებაა 35 მილიონი ფრანკისა როსტოვში?)

კომ. სალმით ლენინი

დაწერილია 1921 წლის 6 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

202

ი. ი. რადჩენკოს

(საიდუმლოდ)

ტორფის მრეწველობის მთავარი სამმართველო,

ამხ. **რადჩენკოს**

7/VI.

ძვირფასო ივანე ივანეს-ძევ!

სავსებით მესმის, რომ გული გტკივათ, როცა ხედავთ, არასაბჭოთა ადამიანებმა — შეიძლება, ნაწილობრივ საბჭოთა ხელისუფლების მტრებმაც კი — თავიანთი გამოგონება როგორ გამოიყენეს გამდიდრების მიზნით. ძალიან მჯერა თქვენი, რომ ასეთია კირპიჩნიკოვი. რა თქმა უნდა, არც კლასონია ჩვენი მომხრე.

მაგრამ საქმის არსიც სწორედ ის არის, რომ, რა კანონიერიც უნდა იყოს აღშფოთების თქვენი გრძნობა, არ დაუშვათ შეცდომა, არ აჰყვეთ მას.

გამომგონებლები **უცხო ადამიანები** არიან, მაგრამ უნდა გამოვიყენოთ ისინი. ჯობს მათ საშუალება ჰქონდეთ წაგვგლიჯონ, გამდიდრდნენ, აგვაწაპნონ, — ოღონდ **ჩვენი** საქმეც წასწიონ წინ, საქმე, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რსფს რესპუბლიკისათვის.

მოდით, უფრო დაწვრილებით მოვიფიქროთ ამ ადამიანებისათვის მისაცემი **დავალებები**. იქნებ ასეთი გეგმა შევიმუშაოთ:

1) კირპიჩნიკოვს ნება დავრთოთ წავიდეს ზუსტად განსაზღვრულ დავალებათა შესრულების პირობით; შედგენილ იქნეს მათი სია.

2) მასთან ერთად გავგზავნოთ პოლიტიკურად საიმედო ორი-სამი ადამიანი (მუშა, ჩვენი ინჟინერი და სხვ.) როგორც თავისებური «კომისრები». მივცეთ მათ ზუსტი ინსტრუქცია.

დავამტკიცოთ 1 § და 2 § კრჟიჟანოვსკისთან შეთანხმებით.

3) ჩვენში, რუსეთში, შეიქმნას განსაკუთრებული ცენტრი, შეკვეთილ იქნეს საუკეთესო მანქანები ჰიდროტორფისათვის, ამ განსაკუთრებულ მანქანებთან დაყენებულ იქნეს ეს განსაკუთრებული ცენტრი, ე. ი. განსაკუთრებული საწარმო, და მას დაევალოს **თავისებურად** წასწიოს წინ ეს საქმე.

გამონახავთ ამისათვის ადამიანებს?

4) ტორფის მრეწველობის მთავარი სამმართველოს სახელით კანადასა და გერმანიაში გაიცეს პრემიები (10 — 30 ათასი მანეთი ოქროთი) ტორფის გაუწყლოების საუკეთესო ხერხებისათვის და საჰიდროტორფე მანქანების საუკეთესო ნიმუშებისათვის და სხვ.

თქვენი ლენინი

P. S. უცნაურად მეჩვენება, რომ კლასონმა არ გასცა პრემიები გერმანიაში, თუმცა ჩვენ ვილაპარაკეთ მასთან ამის შესახებ. ხომ არ ამუხრუჭებს? ხომ არ გაკეთდეს ეს პირდაპირ ტორფის მრეწველობის მთავარი სამმართველოს მეშვეობით? ამისათვის ფული არ უნდა დაგვენანოს.

დაწერილია 1921 წლის 7 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

203

პ. ი. სტუჩკას [186]

ამხ. სტუჩკას (**საიდუმლოდ**)

7/VI.

ამხ. სტუჩკა!

თქვენი თხოვნა შევასრულე და დღესვე მივწერე ჩიჩერინს, რომ უფრო ძლიერი ზემოქმედება მოახდინოს ლატვიის მთავ-

რობაზე და გაუგზავნოს დეპეშა განეცაის, რომ მე ვთხოვ აუცილებლად მიიღოს მტკიცე ზომები და გადაარჩინოს მუშები.

დიდი მოკითხვა და მოლოცვა ლატვიაში კომუნისტური მოძრაობის წარმატებების გამო!

თქვენი ლენინი

დაწერილია 1921 წლის 7 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

204

ვ. მ. მოლოტოვს

ამხ. მოლოტოვ!

1) პაიკესის შესახებ, გეთაყვათ, გაუგზავნეთ ჩამოტარებით ორგბიუროსა და პოლიტბიუროს ყველა წევრს. ინახულეთ პაიკესი პირადად 1/4 საათით. ჩემი აზრით, იგი გამოდგებოდა დიდ სამეურნეო სამუშაოზე (არა უნივერსიტეტში). თუ აქ არ გამოგვადგება, ხომ არ გავუცვალოთ იგი ვინმეზე ციმბირში ი. ნ. სმირნოვს?
2) მ. ზ. მანუილსკის არ ვიცნობ. თავს ვიკავებ. გირჩევთ **შეეკითხოთ ივანოვო-ვოზნესენსკელებს** და შეიტყოთ სახალხო კომისრებისაგან.
3) რაც შეეხება პეტროგრადის ნავსადგურის გადაცემას კონცესიით, საკითხი გადაწყვეტილია სახკომსაბჭოში (უჩემოდ) მხოლოდ პრინციპში და **გადაცემულია კომისიაში** [187]. ამ კომისიაში **უნდა** იბრძოლონ ჩიჩერინმაც და ძერჟინსკიმაც.

მისწერეთ მათ (და **ზინოვიევს**) ამის შესახებ.

კომისიიდან ერთხელ კიდევ წავა **სახკომსაბჭოში.** მაშასადამე, ჯერ ადრეა პოლიტბიუროში გადატანა: ჩიჩერინი და ძერჟინსკი ტყუილად ჩქარობენ, სერიოზულად არა სწვდებიან საქმეს ჩვეულებრივი, საბჭოთა, წესით.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 7 ივნისის შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

205

ი. მ. იუროვსკის

ამხ. ი. მ. იუროვსკის

(მისამართი — ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს ს ა გ ა ნ გ ებ ო კ ო მ ი ს ი ა ან ფინანსთა სახალხო კომისარიატი)

ამხ. იუროვსკი!

თქვენი 2/VI-ის წერილი მივიღე, მდივნის შეცდომის გამო, მხოლოდ დღეს, 10/VI-ს [188].

იმოქმედეთ ყველა დაწესებულების (განსაკუთრებით ცენტრალური კომიტეტის) საშუალებით, ამასთან შეიტანეთ ზუსტი წინადადებები საქმის საუკეთესოდ დაყენების შესახებ.

თქვენ მონაწილე ხართ. პასუხსაც თქვენვე აგებთ.

ცუდად არის საქმე — გამოასწორეთ, შეიტანეთ ფორმალური წინადადებანი.

სულაც არ არის საკმარისი ის, რაც თქვენ უკვე მითხარით [189].

კომ. სალმით ლენინი

დაწერილია 1921 წლის 10 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

206

ვ. მ. მოლოტოვს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსათვის

11/VI.

ამხ. მოლოტოვ!

მე და პარტიის ცენტრის ყველა მუშაკი ვიცნობდით სურენ სპანდარიანს 1908 — 1909 წლებში. იგი მეტად ძვირფასი და თვალსაჩინო მუშაკი იყო. მას უნდა იცნობდეს სტასოვა,—ალბათ კავკასიელებიც (შეიძლება, ენუქიძეც). სურენის მამა პარიზში 1910 — 1911 წლებში სურენის თხოვნით ჩვენგან დახმარებას იღებდა*.

ვთავაზობ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს:

1) გადაათარგმნინოს თანდართული წერილი [190];

2) შეეკითხოს სტასოვასა და ენუქიძეს და სხვებს, რომლებიც იცნობდნენ სურენსა და მის მამას (თუ დამატებით შეკითხვას სამდივნო საჭიროდ მიიჩნევს); შეეკითხოს თბილისში გაგზავნის შესახებ;

---

* იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 43, დოკუმენტი 237. რედ.

3) დაევალოს ბ ა გ ო ც კ ი ს (წითელი ჯვარი?) შვეიცარიაში ან კ ლ ი შ კ ო ს ლონდონში წერილობით დაუკავშირდნენ სურენის მამას და დაეხმარონ მას, როგორც თვალსაჩინო რევოლუციონერის მამას, ფულით [191].

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 11 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის ოხზულებათა ტომ-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

207

გ. ე. ზინოვიევს

ამხ. ზინოვიევს

11/VI.

ს ა ს წ რ ა ფ ო დ

ამხ. ზინოვიევ!

ეს არის წავიკითხე კუუსინენის თეზისები და 1/2 სტატია (რეფერატი).

დავუბრუნე შენიშვნებიანად [192].

უთუოდ და დაბეჯითებით მოვითხოვ, რომ რეფერატი მისცენ მას და **მხოლოდ** მას ((ე. ი. არა ბელა კუნს)) აუცილებლად ამ კონგრესზე.

აუცილებელია.

მცოდნეა და **მ ო ა ზ რ ო ვ ნ ე** (was sehr selten ist unter den Revolutionären*).

---

* — რაც ძალიან იშვიათია რევოლუციონერებს შორის. რ ე დ.

აუცილებლად ახლავე უნდა გამონახოთ **ერთი** გერმანელი, ნამდვილი, და მკაცრად უბრძანოთ

ახლავე შეასწოროს ენა,

უკარნახოს მემანქანეს შესწორებული ტექსტი.

ხოლო კონგრესზე მან კუუსინენის მაგივრად წაიკითხოს მისი სტატია-რეფერატი (კუუსინენს წინადადება მიეცით მეორე ნახევარი 3 დღეში დაამთავროს).

გერმანელი კარგად წაიკითხავს. უაღრესად სასარგებლო იქნება [193].

საკითხი **დაუნებული** იქნება: და ეს სავსებით, სავსებით საკმარისია დასაწყისისათვის.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ლევისადმი ჩემი წერილის პირი თქვენ ჩემთვის არ დაგიბრუნებიათ [194]. **აუცილებლად დამიბრუნეთ.** არ შეგირიგდებით, თუ არ დამიბრუნებთ.

დაწერილია 1921 წლის 11 ივნისს
გაიგზავნა პეტროგრადში

პირველად არასრულად დაიბეჭდა
1931 წლის 4 ოქტომბერს გაზეთ
«პრავდის» № 274-ში

სრულად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

208

ნ. პ. გორბუნოვს

ამხ. გორბუნოვ! იმასთან დაკავშირებით, რომ დაიხურა არასაჭირო დაწესებულებანი და წარმოება თავმოყრილ იქნა უმსხვილეს საწარმოებში, კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ი მ ო მ ა რ ა გ ე ბ ი ს (საწარმოთა სურსათით მომარაგების) შესახებ სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტის საქმე დამწნილდა.

ეს პროექტი ლარინმა და გოლცმანმა (სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო) შეიტანეს პოლიტბიუროში. პოლიტბიურომ 10/V-ს დაადგინა: გადამუშავდეს და შეტანილ იქნეს **სახკომსაბჭოში** [195].

პროფკავშირთა ყრილობამაც იგივე დაადგინა [196].

და დაამწნილეს!

დაურეკეთ ლარინსა და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს, აიღეთ პოლიტბიუროს 10/V-ის გადაწყვეტილების ტექსტი და დააჩქარეთ ეს საქმე მაქსიმალურად. ვშიშობ, რომ სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს შეცვლის გამო ეს საქმე მიაფუჩეჩეს.

აუცილებელია მისი დაჩქარებით დაძვრა.

დამირეკეთ თქვენი მეცადინეობისა და დაზვერვის შედეგი ხვალვე, ორშაბათს, 13/VI-ს.

სალამი! ლენინი

დაწერილია 1921 წლის 12 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

209

ი. ლარინს [197]

დაემატოს:

|| სავალდებულო პრემიები სათბობის ეკონომიისა და სურსათის ეკონომიისათვის.

დაწერილია 1921 წლის 14 და 18 ივნისს შუა

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

210

ვილჰელმ კიონენს, ავგუსტ ტალჰაიმერს, პაულ ფრიოლიხს

16/VI. ამხანაგებს
კიონენს,
ტალჰაიმერს,
ფრიოლიხს

პატივცემულო ამხანაგებო!

მივიღე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი თქვენი წერილის პირი. დიდად გმადლობთ. ჩემი პასუხი გუშინ გაცნობეთ სიტყვიერად. ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რათა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მე გადაჭრით მიმაქვს უკან ჩემი უხეში და უდიერი გამოთქმები და ამით წერილობითი ფორმით ვიმეორებ ჩემს სიტყვიერ თხოვნას—მომიტევეთ[198].

კომუნისტური სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 16 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

211

პ. ა. ბოგდანოვს

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს
თავმჯდომარეს ამხ. ბოგდანოვს
პირი სახელმწიფო ნაგებობათა კომისიის
თავმჯდომარეს ამხ. ს ა ფ რ ო ნ ო ვ ს

1921 წ. 16 ივნისი

ვინტერმა გამომიგზავნა წერილი, რომელშიც აღნიშნავს, რომ საჭიროა მიღებულ იქნეს მთელი რიგი გ ა ნ ს ა კ უ თ-

რ ე ბ უ ლ ი ზ ო მ ე ბ ი, რათა პოლიტბიუროს დირექტივა კაშირკის სასწრაფოდ დამთავრების შესახებ აკურატულად შესრულდეს. ამ წერილის პირი გამოგეგზავნათ. წინადადებას გაძლევთ საკითხი სასწრაფოდ განიხილოთ, სათანადო ზომები მიიღოთ, რაც საჭირო იქნება, დაუყოვნებლივ შეიტანოთ შრომისა და თავდაცვის საბჭოში. გამოგზავნეთ არა უგვიანეს 1921 წ. 22./VI-ისა სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის ამხ. გორბუნოვის მეშვეობით ზუსტი ცნობა იმის შესახებ, თუ რა არის გაკეთებული თითოეული პუნქტის მიხედვით.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1961 წელს ჟურნალ «ისტორიჩესკი არხივ»-ის № 5-ში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

212

დეპეშა გ. კ. ორჯონიკიძეს [199]

გაეგზავნოს ახლავე პირდაპირი მავთულით

ბაქო

ორ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე ს

სერებროვსკის არ უნდა სწყინდეს ჩემი დეპეშის კილო: ბაქოს ბედი მაწუხებდა. სერებროვსკი უძვირფასეს მუშაკად მიმაჩნია. მოვითხოვ თქვენგან ხშირ და ზუსტ ინფორმაციას ბაქოში ნავთობის საქმის გაუმჯობესებისათვის გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ, აგრეთვე საგარეო ვაჭრობის ოპერაციების შედეგების შესახებ. ეს დეპეშა სერებროვსკის აჩვენეთ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 18 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

213

ვ. მ. მოლოტოვს

მოლოტოვს

მე სავსებით **ვუმერ მხარს**. ეს ფორმალურად უნდა გაკეთდეს: ჩაიწეროს ოქმში პოლიტბიუროს გადაწყვეტილება[200].

18/VI. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 18 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

214

ე. მ. სკლიანსკის

19/VI.

ამხ. სკლიანსკი! გთხოვთ მოავლინოთ ჩვენთან სამდივნოში თქვენი მოსამსახურე ლიდია დიმიტრის ასული გრიბანოვა. ჩვენი სამდივნოს პერსონალის ნაწილი ადგილებზე წაიყვანეს. გამოცდილი და ერთგული მუშაკები უნდა დავაწინაუროთ. იმედი მაქვს, თანახმა იქნებით გრიბანოვას ასეთ დაწინაურებაზე, **რომლის** მუშაობის გამოცდილებით ჩვენთან ყველა კმაყოფილია.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 19 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

215
პროექტი დეპეშისა საბჭოთა სავაჭრო დელეგაციისადმი ლონდონში [201]

განვმარტავთ თქვენი 20. VI-ის წერილის პუნქტების მიხედვით:

1) თანახმა ვართ გავცეთ კონცესიით ოთხივე საწარმო (კიშტიმი, ეკიბასტუზი, რიდერი, ტანალიკი). 2) მისასვლელ რკინიგზებს კონცესიაში ვითვალისწინებთ; მაგისტრალებზე კონცესიონერის ინტერესების გარკვეული ფორმით უზრუნველყოფას მივიღებთ. 3) ვადის შესახებ ევაჭრეთ. 4) საბჭოთა ფულის გარკვეულ თანხას მივცემთ; ევაჭრეთ. 5) წილობრივ ანარიცხზე ევაჭრეთ. ნავთობი კანონი როდია [202]. 6) ხელშეუხებლობის გარანტიებზე თანახმა ვართ.

არ გავცემთ კონცესიებს, თუ არ დათანხმდებიან გვაძლიონ თავიანთთვის ჩამოტანილი სურსათისა და მოწყობილობის 50 — 100%, გარანტირებული ანაზღაურებით.

დაწერილია 1921 წლის 20 ივნისსა
და 2 ივლისს შუა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

216
ა. ო. ალსკის

ამხ. ალსკი! მიღებულია თუ არა ფასეულობათა სახელმწიფო საცავის მუშაობის დაჩქარებისა და გაძლიერების ზომები?

კომუნისტების მობილიზაციისა? [203]

შედეგი: რამდენი თვის შემდეგ და სახელდობრ რა იქნება გაკეთებული? **თქვენ** იქნებით დამნაშავე, თუ საკითხი «გაიჩხირება», რადგან ასეთ შემთხვევაში თქვენ

სწრაფად უნდა გაასაჩივროთ, მიიყვანოთ **უმაღლეს ინსტანციამდე,** ე. ი. **პოლიტბიუროამდე.**

მაგრამ სწრაფად.

უნდა ისარგებლოთ **ზაფხულით,** თქვენ კი გაგეპარებათ **ზაფხული:** გაფრთხილებთ, რომ პასუხისმგებლობა მთლიანად თქვენ დაგეკისრებათ. დააჩქარეთ და უჩივლეთ ჩემთან (შრომისა და თავდაცვის საბჭოს) და პოლიტბიუროში, თუ მე კომპეტენტური არა ვარ.

დაწერილია 1921 წლის ივნისში,
21-ზე ადრე

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

217
ი. ა. ტეოდოროვიჩს

21/VI.

ამხ. ტეოდოროვიჩ!

ახლა ხორცის გადასახადი გატარებულია[204].

დროულად ხომ არ ჩათვლით ახლა ყოველნაირად დააჩქაროთ სახორცე მეცხოველეობის განვითარება **საგარეუბნო** საბჭოთა მეურნეობებში, ინდუსტრიულ (ე. ი. ინდუსტრიულ მუშებზე მიწერილ) საბჭოთა მეურნეობებში, არმიაში და სხვ. და ა. შ.

თქვენ ერთხელ თქვით, სპეცებს შესაძლებლად მიაჩნიათ **მებოცვრეობისა** და **მეღორეობის** განვითარებაო (არა პურის **პროდუქტების** ხარჯზე). რატომ **არ** შეიძლება მთელი **რიგი ზომები** დავაკანონოთ ახლავე ამ თვალსაზრისით.

მომწერეთ ორიოდე სიტყვა.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1921 წლის 21 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

218

ლ. კ. მარტენსს

22. VI. 1921 წ.

ამხ. მარტენს!

უნდა გისაყვედურო იმისათვის, რომ არასწორად გადაგზავნეთ ქაღალდები რუსეთში არსებულ ამერიკელთა კოლონიების შესახებ [205].

ეს ქაღალდები მხოლოდ 20/VI-ს წავიკითხე. საჭირო იყო ბუხარინის მეშვეობით კი არ გადაგეცათ, არამედ რიგიანად ჩამოგეყალიბებინათ პრაქტიკული წინადადებები 20-ოდე სტრიქონით და გაგეგზავნათ შრომისა და თავდაცვის საბჭოში, პირი — პირადად ჩემთვის მოკლე წერილთან ერთად.

დაგვიანება მოხდა საქმისათვის არასწორი მიმართულების მიცემის გამო.

არსებითად. მე — მომხრე ვარ, თუ ამერიკელი მუშები და კოლონისტები საერთოდ თან ჩამოიტანენ ხოლმე:

1) ორი წლის სურსათს (თქვენ იწერებით, ეს ხდებოდაო; მაშასადამე, შესაძლებელია);

2) ტანსაცმელს იმავე ვადისათვის;

3) შრომის იარაღებს.

1-ლი (და მე-2) ყველაზე მნიშვნელოვანია. 200 დოლარს ნაკლები მნიშვნელობა აქვს. თუ იქნება 1-ლი, მე თანახმა ვარ ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ დ ა ვ უ ჭ ი რ ო მ ხ ა რ ი.

რათა დავაჩქაროთ, ახლავე მოამზადეთ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების პროექტი და დღეს (თუ მოასწრებთ 3 საათამდე), დღესვე შეიტანეთ შრომისა და თავდაცვის საბჭოში, 6 საათზე—გადავწყვეტთ; თუ დაიგვიანებთ, მაინც შეიტანეთ შრომისა და თავდაცვის საბჭოში 6 საათზე, შეკქმნით კომისიას და გადავწყვეტთ პარასკევს, 24/VI-ს.

დადგენილების პროექტი: 1) პირობები — სამი ზემოთ მოყვანილი, 2) განაგებთ (თქვენ + 1 ამერიკელი მუშა + 1 შრომის სახალხო კომისარიატიდან?), 3) ჩვენ ვეხმარებით (ვაძლევთ მიწას, ტყეს, მაღაროებსა და სხვ.), 4) ფინანსური ურთიერთობა ასეთი და ასეთია.

გთხოვთ პასუხი გამოატანოთ ამის მომტანს.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

P. S. ამ წერილის დაწერის შემდეგ დავინახე, რომ საკითხი დღეს დგას შრომისა და თავდაცვის საბჭოს დღის წესრიგში. გთხოვთ დაამუშაოთ ჩემ მიერ მითითებული პუნქტები [206].

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

219

Მ. Ვ. ᲠᲘᲙᲣᲜᲝᲕᲘᲡ

ამხ. რიკუნოვ!

წავიკითხე თქვენი წერილი და გეთანხმებით **თითქმის ყველაფერში** აბსოლუტურად [207].

უაღრესად სწორი ხართ ვაჭრების მოზიდვის შესახებ.

ვუგზავნი ცენტრალური კომიტეტის წევრებს.

შეუტიეთ უფრო ძლიერად.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 22 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

220
მცირე სახკომსაბჭოს [208]

მცირე საბჭოს

გთხოვთ **სასწრაფოდ** განიხილოთ. მათ უნდა დავეხმაროთ და ფულიც აუცილებლად მიეცეთ.

არის პოლიტბიუროს დირექტივა 1921 წელს აუცილებლად დამთავრდეს კაშირა. უნდა **ამოწმებდეთ შესრულებას.**

22/VI. ლენინი

დაწერილია 1921 წლის 22 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

221
გ. ი. ბოკის

25/VI. 21.

მივიღე თქვენი 23/VI-ის მოხსენება [209].

რადაც უნდა დაჯდეს, საქმე ბოლომდე უნდა იქნეს მიყვანილი და ისიც ზაფხულში. გუშინ ბაშამ თქვენი სურვილების ნაწილი შეიტანა სახკომსაბჭოში და მათ, შეთანხმების შემდეგ, მიიღებენ [210].

შეადგინეთ საჭირო რეფორმების ზუსტი, შეძლებისამებრ, **კალენდარული** პროგრამა. გამომიგზავნეთ მე (მანამდე შეუთანხმდით მის შესახებ ბაშას ან ალსკის, უკეთესია ორივეს) და კვირაში ერთხელ შემატყობინეთ როგორ მიმდინარეობს მისი შესრულება.

კომ. სალმით ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ლ. ა. ფოტიევას ხელით დაწერილი პირის მიხედვით

222
ფ. ი. ფრუმკინს

25/VI.

ამხ. ფრუმკინ!

წავიკითხე თქვენი წინადადებები. თანახმა ვარ. დღეს შევიტანოთ პოლიტბიუროში[211]. მხოლოდ გთხოვთ შეიმუშაოთ დამატება: «დაევალოს პატარა კომისიას, ლეკავა, ხინჩუკი, ფრუმკინი + ?? დაუყოვნებლივ შეიმუშაოს ამ თანხის (100) დაფარვის გეგმა განსაკუთრებული საექსპორტო ფონდით — ნედლეულით, ტყითა და სხვ. და ეს დაფარვა უაღრესად ზუსტად შესრულდეს, ყოველკვირეულად ანგარიშის ჩაბარებით. ეწოდოს: სასწრაფო ხარჯის განსაკუთრებული დაფარვა».

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 25 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

223
ვ. დ. კაისაროვსა და ი. ი. იონოვს

პეტროგრადი

1) კ ო მ ი ს ი ი ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ს კ ა ი ს ა რ ო ვ ს,
2) ი ო ნ ო ვ ს

25/VI. 1921 წ.

სასწავლო ატლასის გამო

მივიღე მასალები ატლასის შესახებ. თვალი გადავავლე და შევიტანე მცირე დამატებები (ტექსტში წითელი მელნით).

გთხოვთ გამომიგზავნოთ:

1) მუშაობის კალენდარული პროგრამა (არა უკეთესი პირობების—«თუ» მოგვცემენ ამასა და ამას—არამედ ახლანდელის მიხედვით); განსაკუთრებით: როდის გაათავებენ მუშაობას.

2) სამუშაოს განაწილება კომისიის წევრებს შორის.

3) ტექსტი და რუკები, როცა მზად იქნება, დასაბეჭდად მათი გადაცემის წინ.

4) დასკვნა იმ საკითხზე, არის თუ არა სასურველი და შესაძლებელი (რა მიზეზით — კითხვებზე დადებითი და უარყოფითი პასუხის შემთხვევაში) ამ მუშაობაში ანუჩინისა და ბორზოვის ჩაბმა.

5) დასკვნა იმის შესახებ, ხომ არ იკისრებენ კომისიის წევრები ან მისი თავმჯდომარე გააკეთონ დამატებითი სამუშაო, რომელზეც ნათქვამია პავლოვიჩისადმი ჩემი წერილის თანდართულ პირში. პავლოვიჩმა არ იკისრა. მე შევუკვეთე ერთ ამხანაგს გერმანიაში, მაგრამ პასუხი ჯერ არა მაქვს*. კარგი იქნებოდა, კომისიას რომ გაეკეთებინა[212].

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

224

გ. მ. კრჟიჟანოვსკის

გ. მ.!

რომ არ დამავიწყდეს:

ელექტროსადგურის შესახებ. საჭიროა მოსკოვის კომიტეტთან ან მის კომისიასთან ერთად + მოსკოვის

* იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, დოკუმენტი 284; მე-5 გამოც., ტომი 52, დოკუმენტი 410. რედ.

საგანგებო კომისია შეადგინოთ კალენდარული პროგრამა მენშევიკებისაგან სრული გაწმენდისა 1921 წ. 1. XII-ისათვის ან სხვა ასეთივე ვადისათვის.

სახელმწიფო საგეგმო კომისიამ კი — სამუშაოთა **პრაქტიკული** პროგრამა:

α) მიმდინარე გეგმების პრაქტიკული შემოწმება (ესა და ეს, ასე და ასე);

β) დაწესებულებათა რიცხვის შემცირება (აგრეთვე სამუშაოთა ვადები);

γ) იგივე — მოსამსახურეთა რიცხვისა და სხვ.

ზუსტი და პრაქტიკული პროგრამა.

სალამი! ლენინი

დაწერილია 1921 წლის 25 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1931 წლის 21 იანვარს გაზეთ «პრავდის» № 21-ში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

225

დამალება მდივანს[213]

25/VI. საღ. 11 ს.

ეს საქმე გაძლიერებით წაწეულ უნდა იქნეს წინ მარტენსის, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, მეშვეობით.

მითხარით ორშაბათს.

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 25 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 52

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

226
დეპეშა სამარყანდელ კომუნისტებს [214]

სამარყანდი, გუბპარტკომი, შ ა ფ რ ა ნ ს კ ი ს

მადლობას მოვახსენებ მეგობრების ჯგუფს მოსალმებისათვის. ახლა მთავარია დაუყოვნებლივ გაუმჯობესდეს მუშათა და გლეხთა მდგომარეობა. ადგილებზე მყოფი მუშაკების ენერგიასა და უნარზე ახლა დამოკიდებულია ყველაფერი: სასურსათო გადასახადი, მრეწველობისა და მიწათმოქმედების მიმოქცევის განვითარება, წვრილი მრეწველობის განვითარება. კაპიტალიზმი ჩვენთვის საშიში არ არის, რამდენადაც პროლეტარიატს მტკიცედ უჭირავს ხელში ძალაუფლება, ტრანსპორტი და მსხვილი მრეწველობა და თავისი კონტროლით შეძლებს წარმართოს იგი სახელმწიფო კაპიტალიზმის კალაპოტით. ამ პირობებში კაპიტალიზმი დაგვეხმარება ბიუროკრატიზმთან და წვრილი წარმოების დაქსაქსულობასთან ბრძოლაში. ჩ ვ ე ნ ვ ი ც ი თ, რ ა გ ვ ი ნ დ ა, ა მ ი ტ ო მ გ ა ვ ი მ ა რ ჯ ვ ე ბ თ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 27 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

227
თურქესტანის რესპუბლიკის სახკომსაბჭოსა და სურსათის სახალხო კომისარიატს

ამხ. ბადაევმა, რომელიც ეს არის დაბრუნდა თქვენს მხარეში მოგზაურობიდან, ცოტა რამ მიამბო იმის შესახებ, თუ

რა კარგად შეხვდნენ ადგილობრივი ამხანაგები მას და როგორ მხურვალედ მოეკიდნენ მოსკოველი და პიტერელი მუშების საქმეს.

ძალიან გთხოვთ გადასცეთ ჩემგან ყველა ადგილობრივ ამხანაგს დიდი მადლობა და თხოვნა კვლავაც უაღრესად ენერგიული და ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ სურსათით დედაქალაქების მუშებს.

მდგომარეობა მძიმეა. საჭიროა ყოველმხრივი დახმარება. დარწმუნებული ვარ, რომ შესაძლებელს გააკეთებთ.

გითვლით კომუნისტურ სალამს.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 27 ივნისს

დაიბეჭდა 1921 წლის 24 აგვისტოს გაზეთ «იზვესტია პოლნომოჩნოგო პრედსტავიტელსტვა რსფსრ ვ ხორეზმსკოი სოვეტსკოი რესპუბლიკეს» № 20-ში

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

228

ლ. ბ. მარტენს[215]

ამხ. მარტენს!

გთხოვთ სრული და გადამწყვეტი დახმარება გაუწიოთ ამერიკელ მუშებს № 36 სამკერვალო ფაბრიკის ორგანიზაციაში.

აღმოფხვერით საქმის მთელი გაჭიანურება საჭირო მასალების, განსაკუთრებით მილების, მათი არმატურის (სამკაპების, ქუროებისა და სხვ.) და ელექტროგაყვანილობის მილებაში.

ხელი შეუწყვეთ იმას, რომ მუშათა კოლექტივმა მიიღოს

საცხოვრებელი, რაც გადაწყვეტილ უნდა იქნეს საბინაო განყოფილების მხრივ სრულიად გაუჭიანურებლად.

ფაბრიკის დამთავრებას და უსწრაფესად ამუშავებას უნდა მივაღწიოთ რაც შეიძლება მალე. მთელ საქმეში გამოვლენილია დაუშვებელი დაუდევრობა და ბიუროკრატიზმი.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

დაწერილია 1921 წლის 27 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
ხანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

229

* ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს

27. VI.

თან ვურთავ ამხ. ბრიუხანოვის ტელეფონოგრამას თევზის შესახებ დეპეშების თაობაზე.

თქვენს ყურადღებას მივაპყრობ თევზჭერის საქმის უალრეს მნიშვნელობას და ამ საქმის შესახებ დეპეშების სწრაფად გადაცემას[216].

დაბეჯითებით გაძლევთ წინადადებას, გააკეთოთ შესაძლებლობის მაქსიმუმი და შეუთანხმდეთ ბრიუხანოვს.

მაცნობეთ ამის შესახებ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი
(ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 27 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ლ. ა. ფოტიევას
ხელით დაწერილი
პირის მიხედვით

230
ბ. ს. სტომონიაკოვს

30. VI. 1921 წ.

ამხ. სტომონიაკოვ!

იცნობდეთ ამ ბარათის მომტანს, ამხ. გიორგი დიმიტრის ძე

ციურუპას,

ჩვენთვის **უაღრესად** მნიშვნელოვანი კაშირის ელექტროსადგურის მშენებელს.

მას უნდა დავეხმაროთ რჩევითა და სხვ., განსაკუთრებით ფულით, რომ **სწრაფად** მოაგვაროს ბერლინში საჭირო შეკვეთის მიცემა, გადაიხადოს მისი ღირებულება და შეასრულებინოს სრულიად გაუჭიანურებლად.

გთხოვთ ყოველნაირად დაეხმაროთ.

ხომ არ შეიძლება კრასინი დეპეშით დავიჭიროთ ბერლინში, გზად მომავალი (ლონდონიდან მოსკოვში).

კომ. სალმით ლენინი

გაიგზავნა ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

231
ბ. ფ. კრეიფანოვსკის [217]

2/VII.

ბ. ფ.!

კარგად ვერ გამოვიდა.

«პირველი წაკითხვის» საერთო შთაბეჭდილება:

გვერდი 1: «ბევრი» ხედავს «აშკარა» გადახრას...
(რატომ უნდა ვაღიაროთ, რომ მოსაყვედურე «ბევრია»? ერთბაშად არასწორი კილო და «სვლა»... მტრების სასარგებლოდ).

გვ. 2
«სახალხო კომისარიატების საერთო რეორგანიზაცია, რომელიც აუცილებლად დაკავშირებულია»...
(«აუცილებლად»? ძალიანაც არაა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ, ვინაიდან არავითარი ს ა ე რ თ ო რეორგანიზაცია **არა** ხდება. და გამოვიდა, რომ ავტორი მკითხველს მიუთითებს იმ «საერთოზე», **რომელიც არ არის**).

გვ. 3
ძირითადის გამოყოფა, კონცენტრაცია მსხვილ საწარმოებში და ა. შ. . . .
«მაგრამ საკმარისია ჩავუფიქრდეთ, რათა დავინახოთ, რომ ნ ა Ხ Ე Რ-ნ ა Ხ Ე Რ შეუძლებელია»... «წუწკობაა». (დაუსაბუთებელია. სწორედ მხოლოდ ნ ა Ხ Ე Რ-ნ ა Ხ Ე Რ შეიძლება. უნდა დავიწყოთ მცირედან, Ე Რ Თ Ი შემთხვევიდან).

გვ. 4 . . . დაუშვებელია უკიდურესობანი
(უდავოა, მაგრამ აკადემიურია)
ოსადჩი საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში
(უკვე ორჯერ არის დასახელებული)
«სახელმწიფო საგეგმო კომისიის **წ Ე Ვ Რ ᲔᲑ Ს გ Ა Ნ Უ-წ Ყ Ვ ᲔᲢ ᲚᲘ Ვ** უხდებათ (მარტო ოსადჩი)? შავი სამუშაოს შესრულება»...

35—1=34

გვ. 5 . . .
სათბობი... ლარინი (რა საჭიროა, მისი ციტირება, თანაც ერთი ციფრის მ Ო Უ Ყ Ვ Ა Ნ Ლ Ა Დ? მტრის წასაქეზებლად! ან უნდა ვდუმდეთ მასზე და ჩვენი მუშაობის შესახებ ვლაპარაკობდეთ არა ლარინის სიტყვებით, არამედ

საკუთარი სიტყვებით და ფაქტებით, ან თავს ვესხმოდეთ მას. სხვანაირი ტაქტიკა = აუცილებელი დამარცხება).

გვ. 6 «სასწრაფოდ შედგენილია მუშაკთა ჯგუფი შიმშილთან საბრძოლველად»
(? ეს სულაც არ არის სახელმწიფო საგეგმო კომისიის საქმე!)

გვ. 7

გვ. 8 შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მითითებანი

(? რომელი? მკითხველმა არ იცის)
«ვსპ+ოტკ»?

გზათა სახალხო კომისარიატი... **«ალბათ, არ დააყოვნებს თავი იჩინოს»** (ხაზგასმული სიტყვებიც მტრების სასარგებლოა). ნეოპიხანოვი...

(მერე რა გააკეთა მან? არც ერთი გარკვეული სიტყვა. თუნდაც ერთი მაგალითი. რით დაგვეხმარა? მომჭირნეობა გასწია? შუცდომა გამოამქღავნა? დაგვეხმარა მის თავიდან აცილებაში? სახელდობრ რაში?)

8 — 9: . . . «დ ა ვ ა ლ ე ბ ე ბ ი»...

დავალებები ყველას ისე მობეზრდა, რომ მათზე ჯობს ხმას ნუ ამოვიღებთ. დავალება ყველას აუარებელი აქვს.

საერთო, საყოველთაო, ყოვლისმომცველი დავალებები, რომლებიც ა შ კ ა რ ა დ არ იქნება შესრულებული.

კარგად ვერ გამოვიდა ან სულაც არ გამოვიდა. ჯობს ჯერჯერობით გავჩუმდეთ პრესაში. ხოლო მოხსენებისათვის შრომისა და თავდაცვის საბჭოში

(α) წამოვწიოთ მკაფიოდ რაღაც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ მ ი ღ წ ე უ ლ ი, თუნდაც 3 — 4 მაგალითი, პატარა, მაგრამ

ზუსტი, ფაქტობრივი, მიღწეული და არა დავალებები, კონკრეტულად განხორციელებული და არა ზოგადი და ნავარაუდევი.
რა გააკეთა რამზინმა პიტერში?
» » ნეოპიხანოვმა მოსკოვში?
სტრუმილინმა
პოპოვმა
და სხვ.

(β) დაურიგდათ თუ არა სამუშაო ცალკეულ წევრებს? როდის? რამდენს 35-დან?

(γ) სახალხო კომისარიატების 10 კომისიიდან ურთიერთობა ს წ ო რ ი ა ე რ თ თ ა ნ (? **სათბობის** კომისიასთან).
რით გამოიხატა ეს?
რეალური რა არის მიღწეული გეგმაში 1921-ის მეორე ნახევრისათვის?
სათბობის ეკონომია?
დასკვნა: ჩატარდეს შემდგომი შ ე ე რ თ ე ბ ა 10-თან, დაძლეულ იქნეს ჩამორჩენილობა 9-ისა, რომლებიც ა რ ა ფ ე რ ს აკეთებენ?

(δ) გეგმის **მომზადება** 1921-ის მეორე ნახევრისათვის?
მიწსახკომი (მოსავალი?) ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო?
მიმდინარე სექცია
სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო

აი, ჩემი აზრით, დაახლოებით როგორ უნდა აიგოს მასალა შრომისა და თავდაცვის საბჭოში მოხსენებისათვის.

საერთო და ნაკრები გეგმა, როგორც ჩანს, იქნება არა უადრეს 1921 წლის შემოდგომისა, და მისი მიცემა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა, სანამ დაახლოებით გამოირკვეოდეს მოსავალი.

ასე იყოს. (მაგრამ მოსავალი ერთია, ხოლო რ ე ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი გადასახადისა და მ ი ღ ე ბ უ ლ ი პურის რაოდენობა სხვაა. ამ რაოდენობას გაიგებთ 1922 წელს, post factum).

მაშასადამე, სულ ერთია უნდა დაემყაროთ **პირობითს მინიმუმებს.**

ნაწილობრივი გეგმები გაკეთებულია (სათბობი?); 1/2-ად გაკეთებულია (გზათა სახალხო კომისარიატი?). აქ, მგონი, შეიძლება მივცეთ რაღაც ფაქტობრივი.

1/4-ით გაკეთებულია? მჭამელთა რიცხვი? (ეს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს საქმეა და არა სახელმწიფო საგეგმო კომისიისა. ყველანი **თავიანთ** საქმეშაოს გადააკისრებენ სახელმწიფო საგეგმო კომისიას. მან ამის ნება არ უნდა მისცეს).

მთავარი კი მაინც რჩება: დაუყოვნებლივ, ახლავე, ნაჭერ-ნაჭერ აღმოიფხვრას აშკარად არარაციონალური, სახელმწიფო მეურნეობის გეგმის აშკარად საწინააღმდეგო.

(დაიხუროს ესა და ეს დაწესებულება ამა და ამ დარგში...)
ესა და ეს რკინიგზა დაიხუროს, ნახევრად დაიხუროს...
აშენდეს სათბობის ესა და ეს...
დასახელებულ იქნეს ის ტყის მასივი, რომელიც, რამზინის მიხედვით, მოგვცემს ყოველგვარ ალგემბაზე მეტს და მიეცეს გეგმა: გაიჩეხოს იგი ასე და ასე, მიზიდულ იქნეს ასე და ასე...

1000 კარგი ქარხნიდან ამუშავებულ იქნეს 10 ამა და ამ რიცხვისათვის, 50 ამა და ამ რიცხვისათვის და სხვ., თუნდაც 100-მდე ან 200-მდე.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1921 წლის 2 ივლისს
პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

232

ი. ს. უნშლიხტს [218]

ამხ. უნშლიხტ! პიტერის შესახებ ცუდ ამბებს იტყობინებიან. ესერები ძალიან დაგვაწვნენო, ხოლო პიტერის ჩეკამ

ესერებზე არაფერი იცისო! ისინი ახლები არიან, შესანიშნავად კონსპირირებულნი, და თავიანთი აგენტურა ჰყავთო.

მეორე კრონშტადტი არ გამოგვრჩეს მხედველობიდანო.

მეტი ყურადღება მიაქციეთ, გეთაყვა, და დ ღ ე ს ვ ე მომწერეთ.

ხომ არ გაეგზავნოთ აქედან პიტერში გამოცდილი ჩეკისტები?

ამბობენ, ესერების გლეხებს ესერები პიტერში გზავნიანო? თქვენი ცნობები და თქვენი გეგმები [219].

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 4 და 7 ივლისს შუა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ი. ს. უნშლიხტის მოგონებების მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით

233

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს [220]

წინადადება შემომაქვს დაამტკიცოთ ტელეფონით და დაუმატოთ: ამასთან დაევალოთ შეისყიდონ შესაძლო მაქსიმუმი ხორბლისაც და ბრინჯისაც.

5/VII.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 5 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

234
ვ. მ. მოლოტოვს

7. VII. 1921 წ.

ამხ. მოლოტოვს

უნშლიხტთან ლაპარაკის მიხედვით წინადადება შემომაქვს ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინოს:

დაევალოს ამხ. მ ე ნ ჟ ი ნ ს კ ი ს დაუყოვნებლივ აიღოს შვებულება და დაისვენოს, სანამ ე ქ ი მ ე ბ ი არ მისცემენ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ მოწმობას ჯანმრთელობის შესახებ. მანამდე ჩამოვიდეს კვირაში სულ ბევრი 2 — 3-ჯერ 2 — 3 საათით.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1954 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

235
ა. ი. რიკოვსა და ვ. მ. მოლოტოვს

რ ი კ ო ვ ს ა და მ ო ლ ო ტ ო ვ ს

საშინლად მეშინია გადასმისა. მეხონოშინი ყოვლად უვარგისია ცენტრში მუშაობისათვის.

ვეჭვობ, რომ ბაბკინი, ავანესოვი «გამოკვლევებით» ამლაშებენ. ჩემი აზრით, თქვენმა კომისიამ 3 ს ა ა თ შ ი უ ნ დ ა დ ა ა მ თ ა ვ რ ო ს:

ბრიუხანოვსაც

პოტიაევსაც

და-ტუქს-ვა **(ზრდილობიანად)**: თუ ერთხელ კიდევ გ ი-ჩ ხ უ ბ ი ა თ, ორივეს გაგრეკავთ და ჩაგსვამთ [221].

ეს არის და ეს.

დაწერილია 1921 წლის 7 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

236

კომინტერნის III კონგრესის ტაქტიკის საკითხთა კომისიის სხდომის მონაწილეებს

ამხანაგ ზინოვიევს თხოვნით, რომ აცნობოს
გუშინდელი კომისიის წევრებს შემდეგი:

პატივცემულო ამხანაგებო!

მე მაცნობეს, რომ კომისიაში უნგრელი კომუნისტების — უფრო სწორად, ზოგიერთი მათგანის — წინააღმდეგ წარმოთქმულმა ჩემმა გუშინდელმა სიტყვებმა უკმაყოფილება გამოიწვია[222]. ამიტომ ვჩქაროობ წერილობით გაცნობოთ: როცა მე თვითონ ემიგრანტი ვიყავი (15 წელზე მეტი), რამდენჯერმე მეკავა «მეტად მემარცხენე» პოზიცია (როგორც ახლა ვხედავ) 1917 წლის აგვისტოში მეც ემიგრანტი ვიყავი და ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მეტად «მემარცხენე» წინადადება შევიტანე, რომელიც, საბედნიეროდ, გადაჭრით უარყოფილ იქნა[223]. ბუნებრივია, რომ ემიგრანტები ხშირად «მეტად მემარცხენე» პოზიციებზე დგანან. მე არც წინათ და არც ახლა ფიქრადაც არ მომსვლია მესაყვედურა ეს ისეთი საუცხოო, ერთგული, მტკიცე და დამსახურებული რევოლუციონერებისათვის, როგორიც არიან უნგრელი ემიგრანტები, რომლებსაც დიდ პატივს ვცემთ ჩვენ ყველანი, მთელი კომუნისტური ინტერნაციონალი.

კომუნისტური სალმით ლ ე ნ ი ნ ი

7/VII. 1921.

პირველად არასრულად დაიბეჭდა
გერმანულ ენაზე 1924 წლის
27 იანვარს გაზეთ «Vorwärts»-ის
(Reichenberg-ი) № 23-ში

რუსულ ენაზე პირველად არასრულად
დაიბეჭდა 1924 წელს წიგნში «ლენინი
უცხოეთის პრესის მიხედვით»

სრულად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

237
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს

ამხ. მოლოტოვს

ვთხოვ ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს ან სამდივნოს (დაადასტუროს პოლიტბიურომ ტელეფონით) ნება დამრთოს ექიმ გეტიეს დასკვნის თანახმად ერთი თვით წავიდე შვებულებაში იმ პირობით, რომ კვირაში 2—3-ჯერ ჩამოვიდე ხოლმე 2—3 საათით პოლიტბიუროს, სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომებზე. შვებულების დაწყების ვადას (ამ დღეებში) ვაცნობებ ამხ. მოლოტოვს [224].

ლენინი

8/VII.

დაწერილია 1921 წლის 8 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

238
გ. ე. ზინოვიევს
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის [225]

ამხ. ზინოვიევ!

ჩემი აზრით, უნდა დავთანხმდეთ **გამონაკლისის სახით**, ამასთან ზუსტად დავთქვათ ეს გამონაკლისი. გთხოვთ **ახლავე ტელეფონით** გაატაროთ პოლიტბიუროში.

ლენინი

დაწერილია 1921 წლის ივლისში, არა უადრეს 9-ისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

239

ი. ტ. სმილგას

ამხ. სმილგა! პროექტი წავიკითხე. ვურთავ ჩემს შესწორებებს [226].

დაბეჭითებით გირჩევთ:

1) არ მისცეთ მსვლელობა **თქვენი** სახელით (რაზე უნდა აიტკიოთ აუტკივარი თავი? რაზე უნდა გააძნელოთ ყველასა და თითოეულის შესაძლო **ერთხმივობა?)**.

2) მსვლელობა მიეცით მხოლოდ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმის** სახელით.

ცენტრალურ კომიტეტში შეიტანს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდ. ბოგდანოვი.

3) კიდევ რჩევა: შეუთანხმდით კრჟიჟანოვსკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ პუნქტის რედაქციის თაობაზე (თქვენი რედაქცია სწორი არ არის; მე მას არ მივიღებ).

ძირითადად ძალიან ადვილია შეთანხმება და მაშინ მსვლელობა მიეცით ორი პრეზიდიუმის სახელით: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი + სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი.

გთხოვთ მიპასუხოთ $\frac{11}{VII}$-ს.

კომ. სალმით ლენინი

P. S. იქნებ ჯობდეს აჩვენოთ კიდევ სურსათის სახალხო კომისარიატს და მუშგლეხინს და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს?

მოიფიქრეთ და მიპასუხეთ $\frac{11}{VII}$-ს.

დაწერილია 1921 წლის 10 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

240

გ. მ. კრჟიჟანოვსკის

ამხ. კრჟიჟანოვსკის

10/VII.

(ს ა ი დ უ მ ლ ო დ)

გ. მ. წაიკითხეთ, გეთაყვა, რაც შეიძლება მალე. შეადარეთ ეს პროექტი ჩემს შესწორებებს (ფანქრით).

მომწერეთ თქვენი აზრი.

ამოვშალე §§ სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ. იქნებ შეცვალოთ ისინი ერთი პარაგრაფით: საჭიროა დაჩქარდეს, გაძლიერდეს, გაინტენსიურდეს სახელდობრ ამა და ამ მიმართულებით-თქო.

იქნებ მაშინ თეზისები წავიდეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის + სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის ხელმოწერით?

დამიბრუნეთ და რაც შეიძლება მალე მიპასუხეთ.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 10 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

241

ნ. პ. ბრიუხანოვს, ა. მ. ლეჟავასა და ვ. ა. ავანესოვს

გთხოვთ ეს პროექტი ჯერჯერობით არავის აჩვენოთ, წაიკითხეთ იგი შეძლებისამებრ დაუყოვნებლივ, რაც შეიძლება

გულდასმით და დამირეკეთ ან (თუ ტელეფონთან ვერ გამოძიძახებთ) მომწერეთ დღესვე 2 სიტყვა: მისაღებია თქვენთვის? რა შესწორებებს შეიტანდით (ძალიან მოკლედ)?

უაღრესად დიდმნიშვნელოვნად მიმაჩნია გატარდეს ეს სწრაფად და ერთხმად.

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 11 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

242

ი. ტ. სმილგას

ამხ. სმილგა! ჩემი აზრით, თქვენ შეიძლება საესებით დაგაკმაყოფილოთ კრჟიჟანოვსკის ტექსტმა. ძალიან გირჩევთ დღესვე (დღეს ხომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იქნება?) შეიტანოთ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში პროექტი (ჩემი შესწორებებით, ე. ი. სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ §-ის გამოკლებით), **საფუძვლად მაინც მიიღოთ** კრჟიჟანოვსკის ტექსტი და იმასთან ერთად გამომიგზავნოთ.

ლენინი

11/VII.

დაწერილია 1921 წლის 11 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

. . . იბეჭდება. . ხელნაწერის მიხედვით

243

ვ. ვ. ვოლოტოვს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის [227]

მე ორივე წინადადების მოვხრე ვარ.

1) ახლავე იქნეს დაწყებული პეტერში ქვასახშირისა და სურსათის შეზიდვა; ახლავე მოეწეროს ხელი.

2) დავეთანხმოთ ნანსენის პირობას: ერთ კაცს ის გამოგზავნის.

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 11 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

244

ვ. ა. სმოლიანინოვს [228]

1

ამხ. სმოლიანინოვ! **ძალიან ვშიშობ, რომ** ლეონავას ოპტიმიზმი **უსაფუძვლოა.** მოითხოვეთ **ფაქტები,** შეამოწმეთ ისინი. **შეამოწმეთ** პირადად და **ორჯერ. შემდეგ** პირდაპირი მავთულით ელაპარაკეთ ჩუცკაევსა და ივანე ნიკიტას ძე სმირნოვს. თუ ყველაფერი ეს არ გაკეთდა, **ვერ** დავიჯერებ, რომ საქმე **უზრუნველყოფილია.**

ლენინი

11/VII.

დაწერილია 1921 წლის 11 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

2

ამხ. სმოლიანინოვ! საქმე განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი და **სასწრაფოა.** თქვენ აგებთ პასუხს შესრულებისათვის. მიეძალეთ ყოველნაირად. კრასინი აქ იქნება 13/VII-ს. შეიტანეთ შრომისა და თავდაცვის საბჭოში 13/VII-ისათვის.

11/VII.

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 11 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

245

ნ. ა. სემაშკოს [229]

ჩემო კარგო სემაშკო! ნუ ჭირვეულობ, ძვირფასო! კვაკერებს თქვენ დაგიტოვებთ. მხოლოდ თქვენ. ნუ ეჭვიანობთ, თითქოს კუსკოვას უპირატესობას ვანიჭებდეთ.

დირექტივა გვაქვს დღეს პოლიტბიუროში: ზუსტად უვნებელყოთ კუსკოვა. თქვენ «კომუნისტების უჯრედში» ხართ და ფხიზლად იყავით, **ეს მტკიცედ დაიცავით.**

კუსკოვას გამოვართმევთ სახელს, ხელმოწერას, ორიოდე ვაგონს იმათსას, ვინც მას (და **მისთანებს)** თანაუგრძნობს. მეტი **ა-რა-ფე-რი.**

ამის გაკეთება, ღმერთმანი, ძნელი არ არის!

დაწერილია 1921 წლის 12 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

246

ა. ა. კოროსტელევს

მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის წევრს

ამხანაგ კოროსტელევს

13/VII.

ამხ. კოროსტელევ!

რატომ აქამდე არ დაძარით საქმე, რომელზეც შევთანხმდით? [230] ლ. ბ. კამენევი ამბობს: თქვენ გადაგიდვიათ მოხსენება მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს პრეზიდიუმში.

შეფერხება აქ რით არის გამოწვეული?

რაიმე განსაკუთრებული მიზეზებით? თუ იმით, რომ თქვენ აზრი შეიცვალეთ? თუ ვერ შეუთანხმდით ვინმეს?

ძალიან გთხოვთ რაც შეიძლება მალე მიპასუხოთ ამ კითხვებზე და, თუ საჭიროა, ტელეფონითაც დამელაპარაკოთ. საქმე არქიმნიშვნელოვანი და არქისასწრაფოა.

კომუნისტური სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 13 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

247

ლ. ა. ფოტიევას [231]

ამხ. ფოტიევა!

1) **სასწრაფოდ** მონახეთ ავტორი, მიიღეთ, . დაამშვიდეთ, უთხარით, რომ ავად ვარ, მაგრამ მის საქმეს დავეძრავ.

2) მისი წერილი რამდენიმე ცალად გადააბეჭდვინეთ მანქანაზე

1 მოლოტოვს

1 სოლცს, ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში.

3) მოლოტოვისათვის წერილის გაგზავნისას ჩემგან დაუმატეთ: ჩემი წინადადებაა, დონზე გაიგზავნოს საკონტროლო კომისია, რომელშიც შეევლენ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი + 10 (ან 20) სვერდლოველი (ავტორი თან წაიყვანონ) და **ადგილზევე დახვრიტონ** ისინი, ვინც მხილებული იქნება ძარცვაში.

13/VII.

ლ ე ნ ი ნ ი

«წერილი» 1921 წლის 13 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

248

მ. მ. ბოროდინს

ამხანაგ ბოროდინს

ძვირფასო ამხანაგო!

ხომ არ შეგიძლიათ მიშოვოთ მასალები, რომლებიც ეხება ამერიკის მუშურ-გლეხური, ან მუშურ-ფერმერული, კავშირის მესამე პარტიას, ან არაპარტიზანთა პარტიას, მის საქმიანობას ჩრდილოეთ დაკოტის შტატში, რომელიც ამ პარტიის ხელშია [232], მინდა მქონდეს ცოტა. მაგრამ ყველაზე მნიშვნე-

ლოვანი დოკუმენტები, რომლებიც ეხება ამ პარტიასა და მის საქმიანობას ჩრდილოეთ დაკოტაში, უფრო კარგი კი იქნებოდა ამ დოკუმენტებს გარდა მქონოდა თქვენი მოკლე ბარათი ამ საკითხზე. თუ ეს თქვენთვის ძნელი არ იქნება, გთხოვთ რაც შეიძლება მალე მომწეროთ, შეგიძლიათ თუ არა ეს შემისრულოთ და როდის.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი ლენინი

დაწერილია 1921 წლის 13 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

249

ბ. ლ. შკლოვსკის

ამხ. შკლოვსკი!

ველაპარაკე სტომონიაკოვსაც და კრასინსაც. ვურთავ კრასინის ბარათს. დამპირდა, რომ გინახულებთ. ლუტოვინოვმა «პატიოსანი სიტყვა» მომცა, რომ «მიუდგომლად» მოგეკიდებათ. რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე. ვადასტურებ, რაც პირადად გითხარით: ბერლინში უნდა «დაიწყოთ თავიდან» და **საქმეებით მოიპოვოთ** მდგომარეობა. ასე იყო პარტიის **რამდენიმე** ძველი წევრის საქმე 1917 წლის შემდეგ. დიდი მოკითხვა თქვენ და მთელ ოჯახს!

ლენინი

დაწერილია 1921 წლის
13 და 19 ივლისს შუა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

250

ა. ა. კოროსტელევს [233]

ამხ. კ ო რ ო ს ტ ე ლ ე ვ ს

რა თქმა უნდა, მთელი საქმე ის არის, რომ ს ა წ ა რ მ ო ე ბ ს დ ა ვ ე ხ მ ა რ ო თ. თქვენ მართალი ხართ. ა ხ ლ ა ვ ე დავიწყოთ ცალკეული საწარმოების გადაყვანა კოლექტიურ მომარაგებაზე. ლ. ბ. კამენევიც და მეც ამის მომხრენი ვართ. გავიყვანოთ შ რ ო მ ი ს ა და თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო შ ი სია, რომელსაც თ ქ ვ ე ნ მომცემთ. მოსკოვის პრეზიდიუმთან შეთანხმებით (ან მოსკოველი მუშების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, თუ ისინი გაჯიუტდებიან). პასუხი, გეთაყვა, შიკრიკის ხელით გამომიგზავნეთ.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 15 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

251

ფ. ე. ძერჟინსკის, ი. ს. უნშლიხტს

ძერჟინსკის, გზათა სახალხო კომისარიატი
უნშლიხტს, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია

თქვენს ყურადღებას მივაპყრობ ჩემ მიერ მიღებულ შემდეგ დეპეშას[234]. გთხოვთ მიიღოთ ბრძოლის ყველაზე ენერგიული ზომები და მაცნობოთ, სახელდობრ რა გააკეთეთ და რა წესით ამოწმებთ, რომ მიღებული ზომები ნამდვილია.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 15 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

252

* დამატება წერილისა ფრანსის შესახებ

ფრანსს ძალიან აინტერესებს, ხომ არ არის უკანასკნელი დეკრეტები თარგმნილი ინგლისურ ენაზე?

(გადასახადები, თავისუფალი ვაჭრობა, საწარმოთა იჯარა და სხვ.)

ამას ვერ მოუხერხებთ?

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის ივლისში,
არა უადრეს 15-ისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

253

ბ. ვ. ჩიჩერინს

ამხ. ჩიჩერინ! როტშტეინი ბაქოს უჩივის. რა გადაწყვიტეთ? საჭირო ხომ არ იქნება გავატაროთ ცენტრალურ კომიტეტში, რათა ორჯონიკიძე (ცენტრალური კომიტეტის წევრი) შებოჭილი იყოს.

მიეცით მოლოტოვს ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მზა პ რ ო ე ქ ტ ი (ტექსტი), გავატარებთ ტელეფონით [235].

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 16 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

254
დავალება მდივანს

გთხოვთ მიშოვოთ ჩეხიის კომუნისტური პარტიის გაზეთ «რუდე პრავოს» («წითელი უფლება»)[236] კომპლექტი, რომელიც ეხება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის 1921 წ. მაისის ყრილობას[237] (მიმართეთ აქსელროდს ან ჩეხოსლოვაკიის დელეგატს შმერალს).

იმავეს გთხოვთ გერმანული გაზეთის «ფორვერტსის» შესახებ, რომელიც გამოდის რაიხენბერგში ჩეხოსლოვაკიაში. (შეეკითხეთ აქსელროდს ან კრაიბიხს, ჩეხოსლოვაკიის გერმანული კომუნისტური პარტიის დელეგატს.)

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის ივლისში, 17-ზე ადრე

პირველად დაიბეჭდა 1958 წლის ოქტომბერში ჟურნალ «პრობლემი მირა ი სოციალიზმა»-ს № 2-ში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით

255
ტელეფონოგრამა გ. დ. ციურუპას

სახელმწიფო ნაგებობათა კომისია, გ. დ. ციურუპას

გთხოვთ ისარგებლოთ იმით, რომ სტომონიაკოვი და კრასინი მოსკოვში იმყოფებიან, და საბოლოოდ შეუთანხმდეთ მათ იმის შესყიდვაზე ბერლინში, რაც კაშირის მშენებლობის დასამთავრებლად, აგრეთვე შეკვეთების გადასახდელად გვაკლია. გთხოვთ მოკლედ მაცნობოთ, ამ მხრივ ყველაფერი მოწესრიგებულია თუ არა და როდის უნდა მოვიდეს შეკვეთილი საგნები.

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 17 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით

256

ტელეფონოგრამა ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვს

ივ. ივ. სკვორცოვ-სტეპანოვს

გთხოვთ მაცნობოთ, როგორ მიიწევს წინ და როდის დამთავრდება თქვენგან შეპირებული ნაშრომი, რომლის შესახებ უკანასკნელი შეხვედრისას ვილაპარაკეთ [238].

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 17 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით

257

* როგოჟსკ-სიმონოვოს დეპუტატთა საბჭოს პრეზიდიუმს

ამხანაგებს კ. უხანოვსა და ნ. ბორისოვს

17/VII.

ძვირფასო ამხანაგებო!

დიდად გმადლობთ წიგნის [239] გამოგზავნისა და მეგობრული წერილისათვის. წიგნი ინტერესით წავიკითხე. უეჭველია, საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციის ისტორიისათვის მას მნიშვნელობა ექნება.

რაიეკონომსაბჭოების შესახებ გიგზავნით ახლახან გამოქვეყნებულ კანონს და «განაწესს». იმედი მაქვს, რომ წინასწარ ჩააბამთ საქმეში სტატისტიკოსს, მისცემთ მასალას, შეამოწმებთ მის ნამუშევარს, თვითონ შეავსებთ მას (და კიდევ

დაუმატებთ ზოგიერთი ადგილობრივი როგოჟსკ-სიმონოვოელი ამხანაგის ნარკვევებს, თუ მოხალისეები აღმოჩნდებიან) და შემოდგომაზე დაბეჭდავთ ანგარიშს თქვენი რაიონის დეპუტატთა საბჭოს ადგილობრივი ეკონომიური მუშაობის შინაარსისა და შედეგების შესახებ. იმედი მაქვს, რომ ამ საქმეში ინიციატივას გამოიჩენთ და რომ თქვენი რაიონი ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდება ადგილობრივი სამეურნეო მშენებლობის განვითარების საქმეში.

ერთხელ კიდევ გმადლობთ და გითვლით კომუნისტურ სალამს.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 17 იელისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

258

დეპეშა სიმბირსკის საბჭოების სამაზრო ყრილობას

სიმბირსკი

სიმბირსკის მაზრის საბჭოების XII სამაზრო ყრილობას

გაცნობებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება იღებს უაღრესად სასწრაფო და გადამწყვეტ ზომებს მოუსავლიანობისაგან დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად. ყველგან გამოცხადებულია გამოსაღების შეგროვება. სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 12/VII-ს მოწოდებით მიმართა რუსეთის მთელ მოსახლეობას ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს დამშეულთ. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეიქმნა დამშეულთა დამხმარე სპეციალური კომიტეტი. ასეთივე კომიტეტი შეიქმნა საზღვარგარეთიდან პურით დახმარების მისაღებად. ამ დღეებში თქვენთან წამოვლენ სრულიად რუსეთის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულები. ვაკეთებთ ყველაფერს, რაც შესაძლებელია.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 18 ან 19 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ლ. ა. ფოტიევას ჩანაწერის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

259

ტელეფონოგრამა მ. ი. კალინინისა და ლ. ბ. კამენევს

კალინინმა მაცნობა, რომ წარმოიშვა იდეა ყოველი ფუთი აღებული პურიდან საგანგებოდ შეგროვდეს თითო გირვანქა ვოლგისპირეთის დამშეულთა დასახმარებლად. გთხოვთ მაცნობოთ, დაყენებულია თუ არა ეს საკითხი და როდის აპირებთ გაატაროთ იგი სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში[240]. ჩემი აზრით, საჭიროა: 1) გატარდეს ეს დაუყოვნებლივ, 2) უაღრესად სასწრაფოდ მოთხოვილ იქნეს, რომ თითოეულმა მაზრამ გაგზავნოს ვოლგისპირეთში რამდენიმე ვაგონი პური და ამ პურს აუცილებლად თან ახლდეს ორი-სამი ადგილობრივი გლეხი, რომლებიც უნდა დარწმუნდნენ, თუ რაოდენ დიდია უბედურება, და უამბონ ამის შესახებ თავიანთ ადგილობრივ გლეხებს, 3) უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ დაწესდეს ორდენის ან საპატიო ჯვრის მაგვარი რამ ვოლგისპირეთში დამშეულთათვის გაძლიერებული დახმარების გაწევის აღსანიშნავად.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

ნაკარნახევია ტელეფონით 1921 წლის 19 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით

260

დავალება მდივანს და ბარათი ლ. ბ. ლევინს

იმ ექიმს, რომელმაც თვალი უნდა ადევნოს ამხ. ბელა კუნის მკურნალობას (გაიგზავნოს ამხ. ზინოვიევის მისამართით საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით იმ სანატორიუმში, სადაც იგი იმყოფება და სადაც ჩავა ამხ. ბელა კუნი):

გთხოვთ მოკლედ მაცნობოთ, როგორია ამხ. ბელა კუნის ჯანმრთელობის მდგომარეობა, აგრეთვე რამდენი ხანია საჭირო მკურნალობისათვის და რა მკურნალობას ვარაუდობთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 19 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით

261

ტელეფონოგრამა ბ. ს. სტომონიაკოვს *

შეკვეთებს კაშირის ელექტროსადგურისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. არის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება, რომ უთუოდ საჭიროა დაჩქარდეს ეს საქმე, რათა 12 ათასი კილოვატი სიმძლავრის სადგურის ამუშავება შეიძლებოდეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის დეკემბრისა. თქვენ წასვლამდე რაც შეიძლება ზუსტად შეიტყვეთ ამ შეკვეთების ამბავი და, ბერლინში რომ ჩახვალთ, ყველა ზომა

* ამ ტელეფონოგრამის პროექტი იხ. ლენინის XX კრებულში, გვ. 214—215. რ ე დ.

მიიღეთ შესრულების დასაჩქარებლად და მისი სიზუსტის შესამოწმებლად. ამისათვის პასუხისმგებლობას პირადად თქვენ გაკისრებთ. გთხოვთ დეპეშით მაცნობოთ ბერლინიდან, რა ზომებს იღებთ, სახელდობრ როდის იქნება მზად ყველაფერი, რაც შეკვეთილია, და სახელდობრ როდის იქნება ჩამოტანილი მოსკოვში.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 20 ივლისს
გაიგზავნა ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ლ. ა. ფოტიევას
ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

262

ქვანახშირის მრეწველობის მთავარ სამმართველოს

ქვანახშირის მრეწველობის მთავარი სამმართველო,
სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო

გთხოვთ დაუგვიანებლად მაცნობოთ, რა მდგომარეობაში დონბასისათვის საზღვარგარეთ საყელავი მანქანების შესყიდვის საქმე.

როგორც ამხ. სმოლიანინოვმა მაცნობა, ამხ. გრიგორიევთან ტელეფონით ლაპარაკიდან გამოურკვევია, რომ ქვანახშირის მრეწველობის მთავარ სამმართველოს რაზდენადმე ეეჭვება დამტკიცებული იყოს ქვანახშირის მოპოვებისას საყელავი მანქანების ფართოდ გამოყენების მიზანშეწონილობა ან, ყოველ შემთხვევაში, გაზვიადებული არ იყოს ის საწარმოო ეფექტი, რომელსაც ამხ. პიატაკოვი საყელავი მანქანების გამოყენებით მოელის.

გთხოვთ საკმაებით ზუსტად და გარკვეულად მაცნობოთ, რამდენად მიზანშეწონილად მიაჩნია ქვანახშირის მრეწველო-

ბის მთავარ სამმართველოს საყელავი მანქანების გამოყენება-დონბასში ქვანახშირის მოპოვებისას, და ის გავლენა ამოღების გადიდებაზე, რომელიც შეიძლება მოახდინოს მათმა გამოყენებამ წარმოებაში.

აგრეთვე მაცნობეთ, სად შეიძლება და სად ჯობს საყელავი მანქანების ყიდვა — გერმანიაში თუ ინგლისში და რამდენად მალე შეიძლება ამის განხორციელება.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 20 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

263
ვ. ი. ფრუმკინს

ფ რ უ მ კ ი ნ ს

20/VII.

თქვენი წერილი წავიკითხე 20/VII-ს.

გეთანხმებით, რომ არ შეიძლება ნება დაერთოს კოოპერაციას **გაზარდოს** სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები. მაგრამ აქ თქვენ უნდა შემოიტანოთ სავსებით პრაქტიკული, **კონკრეტული** წინადადებანი, იგივე - ხორცის შესახები ხელშეკრულების თაობაზეც. თვალი ადევნეთ კოოპერაციის მუშაობის შედეგებს და მოგვაწოდეთ კონკრეტული წინადადებანი

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 20 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

264
რიჭარდ მიულერსა და ჰაინრიხ მალცანს

20/VII. 1921.

ამხანაგებს რიჰ. მიულერსა
და ჰ. მალცანს

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენი 18/VII-ის წერილის წაკითხვა მხოლოდ დღეს შევძელი[241]. მე მხოლოდ ერთხელ და ისიც ძალიან მცირე ხანს ველაპარაკე ამხ. ჰეკერტს თქვენ მიერ დასმულ საკითხზე. როცა მან მკითხა, საკითხს თქვენ როგორ ეკიდებითო, ვუპასუხე, ძალიან ნაკლებად ვარ ინფორმირებული, რომ შემეძლოს ამაზე მსჯელობა; რომ გარიცხულნი, რა თქმა უნდა, როგორღაც ორგანიზებული უნდა იქნენ და რომ ამ აზრით ჰეკერტის წინადადება სწორად მეჩვენება-მეთქი.

მეტი არაფერი.

რას წარმოადგენენ «კავშირები», რა უტოქტობანი ჩაიდინეს ცალკეულმა კომუნისტებმა (რომლებმაც სოციალ-გამცემლებს გაუადვილეს გარიცხვა), მე არ ვიცი.

კონგრესის მიერ მიღებული რეზოლუციიდან (რომელიც თქვენ გამომიგზავნეთ) ვხედავ, რომ კავშირებს არ იწონებენ («მცირე მნიშვნელობა აქვთ», «ბუნდოვანნი არიან», «არევ-დარევა შეაქვთ»). პრაქტიკული ლოზუნგი: «არ შეიძლება მუშათა ახალი ჯგუფების გამოგლეჯა ცენტრალიზებული თავისუფალი კავშირებიდან».

რა შეიძლება ითქვას ამის წინააღმდეგ?

ამასთან თქვენ თვითონ იმედი გაქვთ ხელში აიღოთ კავშირები.

თქვენს წერილს გავუგზავნი ამხანაგებს ლოზოვსკისა და ზინოვიევს, რომ სრული ინფორმაცია მივიღო.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

265
ი. ს. ლობაჩოვს, ა. ი. რიკოვს

ამხ. ლობაჩოვს
მუშათა მომარაგების კომისიას
ამხ. რიკოვს

ჩიჩერინი ჩივის, უცხოელებს სახელმწიფო შომარაგებას ართმევენო. იგი მტკიცედ ადგას იმ აზრს, რომ ეს სრულიად შეუძლებელია. მისი მოსაზრებები სერიოზული მგონია. გთხოვთ განიხილოთ, სასურველი ხომ არ იქნება გარკვეული რაოდენობით ვყიდულობდეთ საზღვარგარეთ სურსათს უცხოელებისათვის, რომლებიც ჩამოდიან, და ვახდევინებდეთ მათ იმდენს, რაც სავსებით დაფარავს ჩვენს ხარჯებს.

უფრო მეტად ჩივის ჩიჩერინი იმას, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლებს 100 ულუფა წაართვეს. ვფიქრობ, ეს ულუფები მართლაც უნდა დავუტოვოთ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს.

გთხოვთ მაცნობოთ თქვენი დასკვნა.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 20 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ძანქახაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

266
გ. ვ. ჩიჩერინს

ა მ ხ. ჩიჩერინს

ეს არის წავიკითხე სახკომსაბჭოს გუშინდელი გადაწყვეტილება პეტროგრადის ნავსადგურის საქმის გამო. ტექსტიდან ჩანს, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულია და ხელშეკრულე-

ბის გამომუშავება დაევალა განსაკუთრებულ კომისიას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია და პეტროგრადის საბჭო. შეიტანეთ თქვენი კონკრეტული წინადადება და ეცადეთ დაიცვათ იგი ამ კომისიაში [242].

ლ ე ნ ი ნ.

დაწერილია 1921 წლის 20 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

267

ი. მ. სტეკლოვს, მ. ი. ულიანოვას, ვ. ა. კარპინსკის, გ. ი. კრუმინს

21 — VII — 21 წ.

«იზვესტია ვციკ»-ის რედაქცია — ამხ. სტეკლოვს
«პრავდის» » — ამხ. ულიანოვას
«ბედნოტას» » — ამხ. კარპინსკის
«ეკონომიჩესკაია ჟიზნის» — ამხ. კრუმინს
პირი ამხ. სმოლიანინოვს

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ 1 — VII — 1921 წლის № 44 «მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულს» — «ადგილობრივი ეკონომიური თათბირების, მათი ანგარიშგებისა და სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესით ხელმძღვანელობის შესახებ» (სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება).

საჭიროა მოთავსდეს რამდენიმე სტატია, რომლებშიც აღნიშნული და დაწვრილებით განმარტებული იქნება სრულიად

რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ამ დადგენილების მნიშვნელობა, განსაკუთრებით ხაზი გაესვას იმას, რომ დაუშვებელია ანგარიშგებისათვის რაიმე აპარატების შექმნა, ვინაიდან ერთადერთ აპარატად კანონი აცხადებს საგუბერნიო და სამაზრო სტატისტიკურ ბიუროებს.

დაწვრილებით აიწეროს პრინციპული მნიშვნელობა ადგილობრივი ეკონომიური თათბირებისა და ანგარიშგებისა, რომელიც საყოველთაო ცნობისათვის ქვეყნდება როგორც საერთოდ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარებისათვის, ისე სწორი სამეურნეო მშენებლობისათვის.

განსაკუთრებით ხაზი გაესვას საკითხს საქონელგაცვლის შესახებ, შემდეგ ადგილობრივი სამეურნეო ინიციატივის განვითარების შესახებ, ბიუროკრატიზმთან ბრძოლისა და სამეურნეო მშენებლობის საქმეში უპარტიოთა ჩაბმის შესახებ.

«როსტა»-ს ვთხოვ ამ თემაზე გაგზავნოს ორი-სამი მოკლე დეპეშა, რათა დაუყოვნებლივ ეუწყოს ყველა საგუბერნიო და სამაზრო ქალაქს, და სთხოვოს გადაბეჭდონ ყველა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა გაზეთში.

ვთხოვ მოსკოვის გაზეთების რედაქციებს გამომიგზავნონ ან იმ სტატიების ამონაჭრები, რომლებიც ამ თხოვნის თანახმად დაიბეჭდება, ან ცალკეული ნომრები, სადაც განსაკუთრებით იქნება ხაზგასმული ამ თემაზე გამოქვეყნებული სტატიები.

ამხ. სმოლიანინოვს ვავალებ თვალი ადევნოს ამის შესრულებას და მაცნობოს, ამასთან კიდევ რა საკითხები შეიძლება წამოიჭრას.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა
არასრულად 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

სრულად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

268
ტელეფონოგრამა ა. ი. რიკოვს

გაეგზავნოს რ ი კ ო ვ ს შემდეგი ტელეფონოგრამა:
(*პირი* სმოლიანინოვს)

თქვენი გადაწყვეტილება, რომ სურსათის სახალხო კომისარიატს დაევალოს მოაწყოს განსაკუთრებული დუქანი (საწყობი) უცხოელთა და კომინტერნში ჩამოსულთათვის პროდუქტების (და სხვა ნივთების) მისაყიდად, სავსებით სწორად მიმაჩნია. წინადადებას გაძლევთ გაატაროთ შ რ ო მ ი ს ა და თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო შ ი და ყოველნაირად **დაჩქაროთ**[243]. დუქანი უნდა იყოს ზუსტად კომერციული და ჰქონდეს ერთპიროვნული მმართველობა. დუქანში ყიდვა შეეძლებათ მხოლოდ პირადი სასურსათო წიგნაკებით მარტო უცხოეთიდან ჩამოსულებს, რომლებსაც ექნებათ განსაკუთრებული პირადობის მოწმობები. სმოლიანინოვს ვავალებ განსაკუთრებით ადევნოს თვალი ამ საქმეს.

ლ ე ნ ი ნ ი

22/VII.

დაწერილია 1921 წლის 22 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

269
ვ. ფ. ბაჟანოვს, ს. ა. გეცოვს

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო,
ქვანახშირის მრეწველობის მთავარი სამმართველო,
ამხ. ბაჟანოვს ან გეცოვს

გთხოვთ მიიღოთ ყველა გადამწყვეტი ზომა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საყელავი მანქანების უსწრაფესად ყიდვა საზღვარგარეთ. ნამზადის დასაჩქარებლად და ყიდ-

ვასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გამოსარკვევად ისარგებლეთ იმით, რომ მოსკოვშია ამხ. სტომონიაკოვი — გერმანიაში წარგზავნილი საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული.

მანქანების ნამზადისა და ყიდვის დაჩქარებისათვის თქვენ მიერ მიღებული ყველა ზომის შესახებ გთხოვთ მაცნობოთ ამხ. სმოლიანინოვის მეშვეობით.

სახკომსაბჭოს თავმჯდ.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 22 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1957 წელს ჟურნალ «სოციალისტიჩესკი ტრუდ»-ის № 10-ში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

270

მ. ა. კრუჩინსკის

23/VII. 1921.

ამხ. მიხ. კრუჩინსკი! მივიღე თქვენი წერილი ყველა დოკუმენტითურთ მიწსახკომის ცხენთმშენებლობისა და მეცხენეობის მთავარი სამმართველოს შესახებ [244].

ძალიან ვწუხვარ, რომ, ბრალს სდებთ რა სხვებს ისტერიულობაში, სწორედ თქვენ თვითონ (თავაზიანად რომ ვთქვათ) ისტერიული ხართ. გთხოვთ მომავალში უფრო თავშეკავებულად და **უფრო მოფიქრებულად** მომწეროთ ხოლმე.

კომ. სალმით

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 23 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

271

შენიშვნები ინზიდან მიღებულ დეპეშაზე და გარათი ნ. პ. ბრიუხანოვს, ვ. ა. ავანესოვს, ვ. მ. მოლოტოვს

× ...სამარის, სიმბირსკის გუბერნიების გლეხები დიდ სურვილს გამოთქვამენ იმუშაონ პურ-მოსავლიანი გუბერნიების მოსავლის ამღებ რაზმებში, გამოდიან სასურსათო გადასახადის აკრეფის ინსპექტორ - აგიტატორებად პურ-მოსავლიან გუბერნიებში. სასურველი იქნებოდა ეს საკითხი სასწრაფოდ გადაწყვეტილიყო. აცნობეთ ამის შესახებ სამარას, სიმბირსკს...

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კომისიის თავმჯდ. ბ ე ლ კ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 24 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

ბრიუხანოვს, ავანესოვსა და მოლოტოვს

გთხოვთ ხაზგასმული (× ×) უმნიშვნელოვანეს საკითხზე მოაწყოთ პატარა თათბირი:

ბრიუხანოვი + ავანესოვი + მოლოტოვი და **მაშინვე გაატაროთ შრომისა და თავდაცვის საბჭოში.**

ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

საჭიროა და სასარგებლო.

24/VII. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

272

ა. ი. პოტიაევს, ვ. ა. ავანესოვს

ამხ. პოტიაევს

(და ამხ. ავანესოვს)

ამხ. პოტიაევ! თქვენ ეს, რა თქმა უნდა, უკვე წაიკითხეთ? [245] გადაათვალიერეთ ჩემი შენიშვნები და დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ (დღესვე) გაუგზავნეთ ავანესოვს.

თქვენ უნდა მოაწყოთ მოკლე თათბირი ივანესოვთან ორშაბათსა და სამშაბათს, დაჰკითხოთ დამნაშავეები ((ნეპრიახინი და რომელიღაც ცენტრალური მუშაკთაგანი სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოში)), აიძულოთ ისინი (ორივე დამნაშავე) მოგცეს მოკლე წერილობითი ჩვენებანი და შეიტანოთ შრომისა და თავდაცვის საბჭოში ოთხშაბათს 27/VII-ს.

1) მკაცრი საყვედური და, ჩემი აზრით, **პირადი პატიმრობა** ნეპრიახინსა და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოში მომუშავე დამნაშავეს საქმის გაჭიანურებისა და უთაურობისათვის და **შრომისა და თავდაცვის საბჭოს** ბრძანების **დარღვევისათვის**.

2) მთელი რიგი **ზუსტი**, საქმიანი, პრაქტიკული წინადადებები თევზის გამოზიდვის დაჩქარებისა და ასტრახანის რაიონში **საშემოდგომო თევზჭერის წარმატებისათვის**.

24/VII.

კომ. სალმით ლენინი

დაწერილია 1921 წლის 24 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

273

ა. ი. პოტიაევს

ამხ. პოტიაევ!

მორჩით თუ არა კინკლაობას სურსათის სახალხო კომისარიატთან? საჭიროა წაიშალოს მთელი მისი კვალი.

მომწერეთ ამის შესახებ.

ბაბკინის მოხსენებას გიგზავნით შენიშვნებითა და წინადადებებით.

იმედი მაქვს, ბაბკინთან ურთიერთობა არ გაუფუჭებია ამ კინკლაობას?

საჭიროა ოთხშაბათს შ რ ო მ ი ს ა და თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო შ ი გაატაროთ მთელი რიგი ზუსტი და სასწრაფო ზომები საშემოდგომო თევზჭერისათვის.

თუ სხვანაირად არ ხერხდება, ზოგი რამ საზღვარგარეთ იყიდეთ.

დამირეკეთ სამშაბათს ან ოთხშაბათს დილით — შეიძლება ჩემი კაბინეტიდან.

საზღვარგარეთ ხიზილალის გაყიდვის საქმე როგორღა არის?

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

24/VII.

დაწერილია 1921 წლის 24 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

274

ნ. პ. ბრიუხანოვს

ამხ. ბრიუხანოვ!

ხომ სავსებით წესიერი ურთიერთობა დაამყარეთ პოტიაევთან? კ ი ნ კ ლ ა ო ბ ი ს კვალი თუ წაშალეთ? ეს აუცილებელია.

ყოფილ კინკლაობაში ბრალსა გდებთ არა თქვენ, არამედ ვიღაცას (?ვის?) სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიიდან. არ ვიცი, ვინ არის მთავარი. თქვენ, ჩემი აზრით, დამნაშავე ხართ მხოლოდ სისუსტეში: მოკინკლავე უნდა მოგენახათ და სასტიკად და საჯაროდ გაგეწკეპლათ, ჩემთან კი ხელმოსა-

წერად მოგეტანათ ქაღალდი მისთვის საყვედურის გამოცხადების შესახებ. არის ვიღაც მოკინკლავე სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიაში!

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 24 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

275

ი. პ. ბაბკინს

ამხ. ბაბკინ!

მივიღე და წავიკითხე თქვენი ქაღალდები.

საქმიანი წინადადებები თევზის გამოზიდვისა და საშემოდგომო თევზჭერის წარმატების შესახებ მიეცით ა ხ ლ ა ვ ე (25/VII) ავანესოვს შრომისა და თავდაცვის საბჭოში შესატანად (და პ ო ტ ი ა ე ვ ს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში).

შვებულებას მოგცემთ, თუ ექიმი იტყვის და დაწერს, რომ არ შეიძლება შვებულების გადადება ზამთრამდე. თუ არადა ზამთარში.

გირჩევთ პოტიაევს პ ი რ ა დ ა დ მოელაპარაკოთ და გაუფანტოთ ეჭვი თქვენი «კონკურენციის» შესახებ. თ უ თ ქ ვ ე ნ მ ო ი ნ დ ო მ ე ბ თ, ყველაფერი მოწესრიგდება.

«ადგილობრივ» მუშაკთაგან სახელდობრ რომელია უკმაყოფილო პოტიაევით? რატომ? როდის და სად განაცხადეს ამის შესახებ?

არა მჯერა: მარტო კინკლაობაა; ჩვენ მას მოვაწესრიგებთ.

24/VII.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 24 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

276
ა. ი. რიკოვს

საიდუმლოდ

ამხ. რიკოვს (დამიბრუნეთ)

ამხ. რიკოვ! ჩემი აზრით, უნდა დატუქსოთ ბაბკინი და დატოვოთ სამუშაოზე (რაკი იგი თანახმაა, რომ პოტიაევი იყოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, მაშასადამე, ყველაფერი მხოლოდ კინკლაობა და ჭორია).

კ ა რ გ ექიმს გამოართვით ქაღალდი ბაბკინის ავადმყოფობის შესახებ: თუ შესაძლებელია, შვებულება გადავუდოთ ზამთრამდე; თუ გადადება არ შეიძლება, მიეცით შვებულება ახლა, მაგრამ **დაავალეთ** სერიოზულად იმკურნალოს.

მის საქმიან წინადადებებზე ცალკე ვწერ პოტიაევსა და ავანესოვს * შრომისა და თავდაცვის საბჭოში დასაყენებლად 27/VII-ს.

24/VII.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 24 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს ლენინის XX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

277
ნ. ოსინსკის

ამხ. ოსინსკის

(ვთხოვ წაკითხვის შემდეგ გადასცეს ამხ. ტეოდოროვიჩ-საც)

ავტორი — ამხ. ფოფანოვა, მიწსახკომის კოლეგიის წევრი იყო.

---

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 272. რ ე დ.

ამ პოსტზე მას არ ვასახელებ.

ეს არის პარტიული ამხანაგი, უაღრესად გამოცდილი ჯ ე რ კ ი დ ე ვ 1917 წლის ოქტომბრამდე.

აგრონომია.

ჩემი აზრით, მისი გამოყენება უთუოდ საჭიროა: გამოიძახეთ, მოელაპარაკეთ, მოიფიქრეთ, ან ადგილობრივ სამუშაოზე, ან საინსპექტორო სამუშაოზე.

პარტიული ამხანაგებიდან აგრონომები ისე ცოტაა, ხოლო ეს წრე (აგრონომები) ისეთი «უცხოა», რომ ორივე ხელით უნდა ჩავეჭიდოთ პარტიულ ადამიანს ამ წრისადმი მეთვალყურეობისათვის, მისი შემოწმებისათვის, ა მ წ რ ი ს ჩვენთან მ ო ზ ი დ ვ ი ს ა თ ვ ი ს.

მომწერეთ ორიოდე სიტყვა, როცა გადაწყვეტთ, რას აპირებთ.

ლ ე ნ ი ნ ი

P. S. წერილი დაუბრუნეთ ფოფანოვას.

დაწერილია 1921 წლის ივლისში,
24-ის შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

278

ტელეფონოგრამა ნ. ლ. მეშჩერიაკოვს [246]

ჩიჩერინის წერილიდან შეეიტყვე, რომ მოგიმზადებიათ ბროშურა თუ მთელი რიგი სტატიები საქართველოს საკითხზე [247]. გამოიყენეთ თუ არა მენშეევიკების 1919 წლის კონფერენციის რეზოლუცია, რომელიც დაუშვებლად ცნობს ქარ-

თველი მენშევიკების ბლოკს ანტანტასთან და გმობს ამ ბლოკს?

თუ ეს რეზოლუცია არა გაქვთ, შემიძლია გიშოვოთ.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 25 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით

279

ბ. ვ. ჩიჩერინს

ამხ. ჩიჩერინ! საჭიროა ო რ გ ბ ი უ რ ო შ ი გაატაროთ (პოლიტბიუროს დასტურით) დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ ასეთი დადგენილება:

1) დაევალოს მეშჩერიაკოვს დააჩქაროს;

2) დ ა ი ნ ი შ ნ ო ს **პასუხისმგებელი პირი,** რომელმაც პასუხი უნდა აგოს ს წ რ ა ფ ა დ დაბეჭდვისათვის;

3) დირექტივა პრესას;

4) დავალება შეინმანს დ ა ა ჩ ქ ა რ ო ს;

5) იგივე — **ენუქიძეს ყველა** ამ საკითხში.

25/VII.

კომ. საღმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 25 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

280

ტელეფონოგრამა მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმს

მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმს
ძირები სოროკინს, საგუბერნიო სტატისტიკურ ბიუროს,
სახალხო მეურნეობის საგუბერნიო საბჭოს
და საგუბერნიო პროფსაბჭოს

1. სოროკინის მიერ ჩემთვის დღეს წარმოდგენილი ცნობები 30%-ის შემცირების შესახებ ძალიან დიდ ეჭვს იწვევს, რომ სწორი იყოს [248].

2. ასეთსავე ეჭვს იწვევს შემცირების ჩატარების სისწორე იმ თვალსაზრისით, რომ შემცირებულია არა ის ჯგუფები, რომლებიც უნდა შემცირებულიყო. უნდა შემცირებულიყო ის საწარმოები და დაწესებულებები, რომლებიც არ არიან აბსოლუტურად აუცილებელი.

3. სოროკინის მიერ იმის დამოწმება, თითქოს არ იყოს ცნობები იმ საწარმოთა და დაწესებულებათა ჯგუფების შესახებ, რომლებიც აბსოლუტურად აუცილებელი არ არის, ცხადყოფს, რომ მეტად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საქმე საგუბერნიო სტატისტიკურ ბიუროში, საგუბერნიო პროფსაბჭოსა და სახალხო მეურნეობის საგუბერნიო საბჭოში.

გთხოვთ წარმოადგინოთ ზუსტი მონაცემები და ზუსტი განმარტება სახკომსაბჭოს ხვალინდელი სხდომისათვის (26. VII. 21 წ.).

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 25 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით

281
ტელეფონოგრამა ვ. ვ. მოლოტოვს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის

ამხ. მოლოტოვს

დაშნაკების შესახებ შეთანხმების პროექტის საკითხზე, რომლის პარაფირება მოახდინა იოფემ რიგაში[249], მე სავსებით ვეთანხმები ჩიჩერინის დასაბუთებას და წინადადებას გაძლევთ ეს შეთანხმება მტკიცედ და დაუყოვნებლივ იქნეს უარყოფილი. წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ ტელეფონით გაატაროთ ასეთი დადგენილება: «დაშნაკების შესახებ შეთანხმების პროექტი, რომელსაც ხელი მოაწერეს იოფემ და სხვა ამხანაგებმა რიგაში, გადაჭრით და დაუყოვნებლივ იქნეს უარყოფილი».

ჩიჩერინის მოსაზრება, რომ ასეთი შეთანხმება არა მარტო სწორი არ არის, არამედ ჩვენთვის საშიშიც კია, ჩემი აზრით, უთუოდ მართებულია.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 25 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

282
ტელეფონოგრამა ლ. ბ. კრასინს

ამხ. კრასინს
პირი ამხ. ჩიჩერინს

კლიშკოს თქვენი მისამართით 21-ს გამოუგზავნია დეპეშა, რომ რუსეთს არსებითი დახმარება შეიძლება გაეწიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა მთავრობისადმი ინგლისის

მთავრობის წრეების დამოკიდებულება მეტად თუ ნაკლებად სასიკეთო იქნება[250]. ძალიან ვშიშობ, რომ კლიშკო ამ საკითხს არასწორად აყენებს და დაუშვებელ დაპირებებსა თუ განცხადებებში იბამს თავს. ჩვენ არავითარი საქმე არა გვაქვს ინგლისის მთავრობის წრეებთან. საჭიროა დაიტუქსოს კლიშკო, რომ უფრო ჭკვიანად ეჭიროს თავი.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 25 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
მახქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით

283

გ. ვ. ჩიჩერინს[251]

ამხ. ჩიჩერინ!

1) თუ ლუნაჩარსკი + კრასინი **მომხრენი** იყვნენ, ყველაფერი მ ა თ თ ვ ი ს უნდა აგეკიდათ.

2) რატომ გტვირთავენ თ ქ ვ ე ნ ამ წვრილმანებით? გორბუნოვი ან მისი მ ო ა დ გ ი ლ ე სადღა არიან? ეს ხომ **ი მ ა თ ი ს ა ქ მ ე ა!!**

3) მიღებულია (ამ დღეებში) დეკრეტი: შეიქმნას დუქანი (საწყობი) უცხოელებისათვის. გორბუნოვმა (ან მისმა მოადგილემ) ამას და ბ ი ნ ე ბ ს (+ **კ რ ა ს ი ნ ი**) უნდა მოაკიდოს ხელი.

კომ. საღმით ლ ე ნ ი ნ ი

25/VII.

დაწერილია 1921 წლის 25 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

284

მ. მ. ბოროდინს

ამხ. ბოროდინს

ამხ. ბოროდინ! თქვენი ბარათი ძალიან საინტერესოა. ჩემი აზრით, საბოლოოდ უნდა დაამუშაოთ იგი (როგორც თქვენ თვითონვე ვარაუდობთ) სტატიად «კ ო მ უ ნ ი ს ტ ი ჩ ე ს კ ი ინ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ა თ ვ ი ს» ან ბროშურად.

შეაგროვეთ მთელი მასალა. ამოაგდეთ პოლემიკა კომუნისტების წინააღმდეგ. გააკეთეთ არა პოლემიკური, არამედ ახსნა-განმარტებითი — უაღრესად სასარგებლო რამ იქნება *.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

26/VII.

დაწერილია 1921 წლის 26 იულისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

285

ტელეფონოგრამა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს

ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს

ვთხოვ სამრეწველო სტატისტიკის განყოფილების გამგეს უმოკლეს ვადაში მომაწოდოს შემდეგი ცნობები:

1) რა ცნობები მოდის და რამდენად ხშირად სამრეწველო მიმდინარე სტატისტიკის განყოფილებაში;

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 248. რ ე დ.

2) რამდენი მსხვილი საწარმოდან;

3) პროცენტი (თუნდაც დაახლოებით) სწორად შემოსული ანგარიშებისა და მოკლე ცნობებისა;

4) რომელი უკანასკნელი თვეებისაა დამაკმაყოფილებელი ცნობები;

5) რამდენ ხანში შემიძლია მივიღო სულ მოკლედ შენაჯამები უკანასკნელი ცნობები, რომლებიც ეხება მრეწველობის მხოლოდ მთავარ დარგებს;

6) გამოჰყოფთ თუ არა განსაკუთრებით ღიდ საწარმოებს, რომლებიც ესოდენ ცოტა გვაქვს, და თუ გამოჰყოფთ, რამდენია ისინი და როგორია ცნობები მათ შესახებ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.
ვ. ულიანოვი (ლენინი)

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 28 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით

286

გ. ე. ზინოვიევს

28/VII. 1921.

ამხ. ზინოვიევ!

ჩემი გუშინდელი საუბარი ცეტკინასთან მისი გამგზავრების წინ ზოგიერთი მისი განცხადების გამო ისე დიდმნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ საჭიროა იგი თქვენ გაცნობოთ.

მას უნდა ორი პირობა წაუყენოს ლევის:

1) ჩააბაროს პარლამენტის დეპუტატის მანდატი;

2) დახუროს თავისი ორგანო («სოვეტა»[252] თუ «ნაშ პუტ»,

როგორც ახლა, მგონი, ეწოდება მას) ლოიალური განცხადებით კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის გადაწყვეტილებათა შესახებ.

შემდეგ, იგი შიშობს, ლევის რომელიმე მეგობარმა არ განიზრახოს გამოცემა როზა ლუქსემბურგის ხელნაწერისა ბოლშევიკების წინააღმდეგ (ეს ხელნაწერი მას, მგონი, საპატიმროში დაუწერია 1918 წელს). თუ ვინმე ამას გააკეთებს, მას განზრახული აქვს განაცხადოს პრესაში, რომ საგსებით დარწმუნებულია ასეთი საქციელის არალოიალობაში. მე ყველაზე უკეთ ვიცნობდი როზა ლუქსემბურგს და დარწმუნებული ვარ, თვითონვე ცნო თავისი ეს შეხედულებანი მცდარად, საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ აღიარა, რომ არასაკმაოდ იყო გარკვეული საქმეშიო.

გარდა ამისა, ლეო იოგიჰესმა, როზა ლუქსემბურგის უახლოესმა მეგობარმა, სიკვდილამდე ორი დღით ადრე დაწვრილებითი საუბრის დროს უთხრა ცეტკინას როზა ლუქსემბურგის ამ ხელნაწერის შესახებ, როზა ლუქსემბურგმა თვითონვე ცნო მისი მცდარობაო [253]. ცეტკინას უნდოდა, ჩემი თხოვნით, მოეწერა ეს თქვენთვის.

თუ მოგწერათ, გთხოვთ გამომიგზავნოთ მისი წერილი.

საინტერესოა კიდევ, რომ, როგორც ის ამბობს, გერმანიაში ფართოდ მიმდინარეობს ყველა მუშის (როგორც SDP, ისე USP-Leute) გაერთიანება Lohnabbau-სა და სხვების წინააღმდეგ ბრძოლაში. რა თქმა უნდა, ცეტკინა **სავსებით მართალი** იყო, როცა ამბობდა, რომ კომუნისტებმა მხარი უნდა დაუჭირონ ასეთ გაერთიანებას კაპიტალისტებთან საბრძოლველად. თუ «მემარცხენეები» წინააღმდეგი იქნებიან, ისინი გონს უნდა მოვიყვანოთო.

კომ. სალმით ლენინი

ზინოვიევს

P. S. ლოზოვსკიმ უკვე გამოსცა პროფინტერნის კონგრესის რეზოლუციები. ბარაქალა!

თ ქ ვ ე ნ კი?? დანიშნეთ რედაქციისათვის **პასუხისმგებელი პირი** და დაავალეთ ლ ო ზ ო ვ ს კ ი ს გამოსცეს კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის რეზოლუციები.

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

287

ლ. ბ. კრასინს[254]

(ს ა ი დ უ მ ლ ო დ)
(დააბრუნეთ)

კრასინს

ჩემი აზრით:

შეიქმნას პატარა კომისია გეგმის დაწვრილებით შემუშავებისათვის. ძ ი რ ი თ ა დ ა დ მ ო წ ო ნ ე ბ უ ლ ი ქ ნ ე ს. უფრო ზუსტად განისაზღვროს სესხის თანხა, ვადები და **ნედლეულითა და ხეტყით** ანაზღაურების პირობები (პირველ წელიწადს **ჩვენი** ოქროთი: 30 მილიონი მანეთი ოქროთი; შეიძლება ორ წელიწადსაც 30 — 30 მილიონი მანეთი ოქროთი). წელიწადში 10%-ის დ ა ფ ა რ ვ ი თ? ბევრი ხომ არ არის?

Etwa:
კრასინი.
ალსკი,
+
?ავანესოვი?
თუ
ტროცკი?

28/VII.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 28 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

288

ვ. მ. მოლოტოვს
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის [255]

ამხ. მოლოტოვ! საჭიროა სასწრაფოდ შეეკითხოთ **ტროცკის** და პოლიტბიუროს სხვა წევრებს. მე მზადა ვარ დავეთანხმო იმ პირობით, თუ გამომუშავებული იქნება **ზუსტი** პირობები და **გადაიწევა** მომენტი.

29/VII. ლენინი

დაწერილია 1921 წლის 29 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

289

ვ. მ. მოლოტოვს

ამხ. მოლოტოვ! მე მოგწერეთ, რომ საჭიროა დაისაჯოს ბადაევი (ჩაშალა შრომისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილება; მოსკოველებმა შეასრულეს) *. თქვენ არ მიპასუხეთ.

ასეთი რამეები სწრაფად უნდა გადაწყდეს ხოლმე.

კამენევი და ზინოვიევი თანახმანი არიან. დაწერეთ პოლიტბიუროს გადაწყვეტილების ოქმი სრულიად რუსეთის ცაკ-ის პრეზიდიუმში გასატარებლად: «შრომისა

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 53, დოკუმენტი 94. რედ.

და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილების (ულუ-ფების 30%-ით შემცირების შესახებ) შეუსრულებლობისათ-ვის — რაც მოსკოველებმა შეასრულეს — **დაპატიმრებულ** იქნენ 1 კვირადღით ამხ. ბადაევი + მისი **2 უახლოესი თანა-შემწე**».

მაშინ იქნება «კონტროლი»!!

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უადრეს
1921 წლის 29 ივლისისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

290

ვ. ა. სმოლიანინოვს [256]

ამხ. სმოლიანინოვ!

გთხოვთ მოელაპარაკოთ პოტიაევს და ავანესოვს. იხილე ქვემოთ პუნქტი **1** ნეპრიახინის შესახებ *.

რატომ არ შეიტანეთ **შრომისა და თავდაცვის საბჭოში?**

სანამ ნეპრიახინი მოსკოვშია, არ შეიძლებოდა საქმის დამ-წნილება. არ შეიძლება ასეთი რამეების დატოვება დაუსჯე-ლად.

ეს დოყლაპიობაა და არა ეკონომიური მუშაობისადმი ხელმძღვანელობა.

30/VII.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 30 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის XX კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 272. რ ე დ.

291

ტელეფონოგრამა ნ. ნ. ვაშკოვს

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს
ელექტროგანყოფილება, ამხ. ვაშკოვს

პირი ამხ. კრჟიჟანოვსკის

უდიდეს მადლობას მოგახსენებთ 10 /VII-ის «ეკონომიჩესკაია ჟიზნში» მოთავსებული სტატიისათვის «რუსეთის ელექტრიფიკაცია» [257].

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ასეთი ცნობები დროდადრო იბეჭდებოდეს «ეკონომიჩესკაია ჟიზნშიც» და საერთოდ პრესაშიც. გთხოვთ გამომიგზავნოთ, თუ გაქვთ, შემდეგი დამატებითი ცნობები: 1) 1920 წლისათვის თქვენს ცხრილში სადგურების სიმძლავრე ნაჩვენებია 7670 კილოვატი. შედის თუ არა ამ რიცხვში შატურკის 5 ათასი?

2) თქვენს სტატიაში ნაჩვენებია, რომ ტულის ჯგუფმა 20 წელს მოგვცა 3000 კილოვატი. ეს შედიოდა თუ არა ცხრილში, თუ ამგვარი ცნობები ცხრილში არ შეაქვთ?

3) ხომ არ შეიძლება ცალკე გამოიყოს უფრო დიდი სადგურები, რომლებსაც მართლაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ, მაგალითად, ისეთები, სადაც კილოვატების რიცხვია 1000, ან ისეთი ოდენობისანი, რომ შეიძლებოდეს ცნობილ იქნენ დიდ და სამრეწველო მნიშვნელობის მქონე ელექტროსადგურებად?

4) 1921 წლის რამდენი თვის ცნობები გაქვთ იმ ცხრილებიდან, რომლებშიც საერთოდ 1921 წელია ნაჩვენები?

5) ხომ არა გაქვთ რაიმე დაწვრილებითი ცნობები შტეროვკის, ივანოვო-ვოზნესენსკის, ნიჟნი ნოვგოროდისა და ჩელიაბინსკის სადგურების ორგანიზაციის დაწყების შესახებ?

6) სტატიაში ნათქვამია, რომ რამდენიმე დიდი სადგურის კომბინაციით შეიძლებოდა მოსკოვს 10 ათასი კილოვატი მი-

ეღო. გთხოვთ მაცნობოთ, მართლაც მიიღო თუ არა, სახელდობრ რამდენი და როდის?

7) ხომ არ შეიძლება მომაწოდოთ ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობა ბოლშევოს რაიონის სადგურზე, მიტიშჩის ახლოს რომ არის, და დეტსკოე-სელოს სადგურზე, რომელიც პეტროგრადს ამარაგებს, და უფრო ზუსტად იმის შესახებ, თუ რა დროისათვის არის ნავარაუდევი დამთავრება?

გთხოვთ აგრეთვე მაცნობოთ, ხომ არ შეიძლება ვისარგებლოთ მომავალი ელექტროტექნიკური ყრილობით, რომელიც ოქტომბერში გაიმართება[258], რათა შევაგროვოთ უფრო ზუსტი და სრული ცნობები ყველა არსებული ელექტროსადგურის შესახებ, მაზრებსა და გუბერნიებში მათი განაწილების, დაარსების დროის შესახებ, იმის შესახებ, თუ რამდენი სადგურია გამოყენებული ელექტრობისა და ელექტრიფიკაციის სწავლებისათვის და ა. შ.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 1 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

292

გ. ი. მიასნიკოვს

1/VIII.

ამხ. მიასნიკოვ!

მხოლოდ დღეს წავიკითხე - - ისიც ერთი თვალის გადაყლებით - - თქვენი სტატია, რომელიც ბუხარინმა გადმომცა.

მინდოდა მოგლაპარაკებოდით. იმედი მაქვს, რომ ამ დღეებში მოსკოვს ჩამოვალ და საუბრისათვის 1/2 საათს გამოვნახავ.

სტატიის დასაწყისი კარგია. საქმიანია.

დასკვნებში კი არაერთი აშკარა უსწორობაა.

შესაძლოა გაუგებრობაც არის: თქვენ, მგონი, სტატიაში **ბოლომდე არ გითქვამთ** ის, რაც ბოლომდე უთხარით ნ. ი. ბუხარინს. «ბეჭდვითი სიტყვის რა თავისუფლება» გინდათ? კანონის მიხედვით? ესერი და მენშევიკი მუშებისთვისაც? ახლა? სტატიაში ბუნდოვანია[259].

მომწერეთ ორიოდე სიტყვა.

კომ. სალმით ლენინი

დაწერილია 1921 წლის 1 ავგისტოს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

293

ლ. კ. მარტენსს

მარტენსს

მივიღე დეპეშა რიგიდან იმის შესახებ, რომ ნიუ-იორკის «გოლოს როსიის»[260] სიტყვით, ივლისის პირველ რიცხვებში ნიუ-იორკში გამართულა საბჭოთა რუსეთისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის შეერთებული შტატებისა და კანადის საზოგადოებათა ყრილობა[261].

ყრილობამ, ამ ცნობის მიხედვით, მისასალმებელი დეპეშა გამოუგზავნა მარტენსსა და სახალხო კომისრებს და ამ დეპეშაში განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს დაუყოვნებლივ შეუდგეს ტექნიკური რაზმების შექმნას საბჭოთა რუსეთში გამოსაგზავნად.

ვფიქრობ, მართებული იქნება გავუგზავნო მათ ასეთი დეპეშა:

«ნიუ-იორკის» «გოლოს როსიის» განცხადებიდან შევიტყვე თქვენი ყრილობის და საბჭოთა რუსეთისადმი მისი მისასალმებელი დეპეშის ამბავი. სახკომსაბჭოს სახელით მოგახსენებთ ჩვენს მხურვალე მადლობას.

პირადად ჩემგან დავძენ: შეერთებული შტატებისა და კანადის ტექნიკური დახმარება ფრიად გვესაჭიროება. თუ რაზმები გამოგზავნილი იქნებიან დასახლების, ფაბრიკისა და სხვ. ადგილის შერჩევის შესახებ წინასწარ შეუთანხმებლად, საჭიროა რაზმი მომარაგებულ იქნეს ორი წლის საკმარისი სურსათით, ტანსაცმლითა და სხვ. საჭიროა, რომ თითოეული რაზმი მომზადებული იყოს მუშაობისათვის, ერთდროულად როგორც სამიწათმოქმედო, ისე სამრეწველო მუშაობისათვის. სასურველია გამოგზავნილ იქნენ ჯერ დელეგატები, რათა ჩვენში ადგილზე დაათვალიერონ მიწის ნაკვეთები დასასახლებლად, ტყის ნაკვეთები, მაღაროები, ფაბრიკები და ა. შ. იჯარით ასაღებად».

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

საჭიროა მარტენსისა და შრომის სახალხო კომისრის ხელმოწერა, სასურველია კიდევ ბოგდანოვისა და ჩიჩერინის ხელმოწერაც.

დაწერილია 1921 წლის 2 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

294

* ტელეფონოგრამა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველის მოადგილეს

მივიღე თქვენი 29 ივლისის № 7772 ცნობა. გთხოვთ გამომიგზავნოთ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში არსებული ცნობები 1920 წლისა (და თუ არის, 1921 წ. ნაწილი-

სა) ძალიან მოკლედ, სახელდობრ.: 1) რამდენ გუბერნიას მოიცავს ცნობები და რა დროისათვის; 2) ნაკეთობათა გამომუშავების შედეგები; 3) სათბობის მოხმარების შედეგები.

მარტო ეს სამი ციფრი და მრეწველობის მხოლოდ უმთავრესი დარგების მიხედვით (მაგალ., საფეიქრო, მეტალურგიული, ქაღალდის მრეწველობის მთავარი საამქართველო, ელექტროტექნიკური, მარილი, რეზინი).

თუ არის საერთო ჯამები, გამოყავით მთავარი საამქართველოების ცნობები და პირდაპირ ქარხნებიდან მიღებული ცნობები.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 2 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით

295

ბ. ვ. ჩიჩერინს

3. VIII. 1921 წ.

ამხ. ჩიჩერინს

ვინ არის ეგ იონოვი?

როგორ ბედავს იგი მენშევიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების წამოყენებას? [262].

აქ ძალიან ცუდი რაღაც მჟღავნდება ან იწყებს გამოვჟღავნებას.

თქვენი აზრი?

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

296

მ. ი. ფრუმკინს

4/VIII.

ამხ. ფრუმკინ!

ახლა, როგორც ჩანს, მთელი საქმე ის არის, რომ სწრაფად აიკრიფოს სასურსათო გადასახადი.

საჭირო ხომ არ იქნება დამატებით გავაკეთოთ კიდევ რაიმე ამგვარი:

1) გავაძლიეროთ სამხედრო ნაწილები (მოსკ. გუბერნიაში გამოიყოთ ამისათვის კურსანტების ½) *, ე. ი. მივავლინოთ ისინი სასურსათო სამუშაოზე?

2) — იგივე, განსაკუთრებით მოსკოვისა და მის მეზობელ გუბერნიებში?

3) **ვკვებოთ ეს ნაწილები** (და ქვერაზმები, რომლებსაც ახლა, მგონი, როგორღაც სხვანაირად უწოდებენ: «სასურსათო გადასახადის აკრეფის ხელშემწყობ მილიციას» თუ რაღაც ამგვარს?) **ადგილობრივი გლეხების ხარჯზე ორ-ორი გირვანქით დღეში? სამ-სამი გირვანქით დღეში?**

ეს არ გინდათ, ამისთვის გლეხებმა? მაშინ მაღლე მოგვეცით პურის გადასახადი. როგორც კი მოვიცემთ 50—75%-ს, დავიწყებთ გაყვანას!

4) დავადგინოთ (ან, იქნებ, «დადგენილების» ნაცვლად გავატაროთ ცდის სახით და ნიმუშისათვის მოსკოვის გუბერნიაში);

დაუყოვნებლივ სამაგალითოდ და უაღრესად მკაცრად დავსაჯოთ თითო თემიდან ათ-ათი უმდიდრესი გლეხ, სასურსათო გადასახადის გასტუმრების თუნდაც ოდნავი დაგვიანებისათვის ან სასურსათო გადასახადის უხილოდ შეტანისათვის;

---

* ფრჩხილებში ჩასმული ტექსტი ვ. ი. ლენინს მიუწერია ალბეებზე. რედ.

— — — იგივე — **სამაგალითოდ** დაისაჯოს 1 თემი მაზრაში, ან გუბერნიაში 2 — 3, სასურსათო გადასახადის **უხალისოდ** შეტანისათვის?

5) მიეცეს **პრემია** გადასახადის (პურის) 100%-ის აკრეფისათვის 2 — 3 კვირაში. პრემია რით? **ოქროსა და ვერცხლის** ნივთებით. ავიღოთ ფასეულობათა სახელმწიფო საცავში.

6) სასურსათო გადასახადის ასაკრეფად **მოსკოვის** გუბერნიაში მოვახდინოთ მობილიზაცია პარტიის ყველაზე პასუხისმგებელ წევრთა კიდევ 2 — 3 ასეულისა თუნდაც თავდასხმებისათვის (შემოწმებისათვის, დაჩქარებისათვის) ორ-ორი დღით კვირაში?

კომ. სალმით ლენინი

P. S. გწერთ თქვენ და არა ბრიუხანოვს, რადგან იმედი მაქვს, რომ იგი უკვე წავიდა დასასვენებლად. თუ არ წასულა, წაუკითხეთ, რა თქმა უნდა, იმასაც.

დაწერილია 1921 წლის 4 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

297

ტელეფონოგრამა ვ. ა. სმოლიანინოვს

სმოლიანინოვს

თანდართული დეპეშის გაგზავნის წინააღმდეგ[263] ამხ. ჩიჩერინის დაწვრილებითი და ფორმალური პროტესტის გამო გთხოვთ მოაწყოთ დამატებითი თათბირი ასეთი შემადგენლობით: ამხ. მარტენსი, ამ საკითხს გაცნობილი წარმომადგენელი შრომის სახალხო კომისარიატისა და ამ საკითხს აგრეთვე გაც-

ნობილი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა. სულ თქვენიანად 4 კაცი.

გთხოვთ ამ თათბირზე განიხილოთ საწინააღმდეგო მოსაზრებანი ჩიჩერინისა და განსაკუთრებით იმას მიაქციოთ ყურადღება, რომ დეპეშა მოითხოვს 2 წლის სურსათის თან ჩამოტანას.

ვფიქრობ, კიდევ თუ დაემატება ერთი ფრაზა, რომელშიც აღნიშნული იქნება რუსეთში არსებულ სიძნელეებთან და გაჭირვებასთან ბრძოლა და ის რომ, საჭირო არ არიან ადამიანები, რომლებსაც უნარი არ შესწევთ გადაიტანონ ეს გაჭირვება, დეპეშას მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეუძლია. სულ მოკლე წერილობითი გადაწყვეტილება გთხოვთ გამომიგზავნოთ ხვალ საღამომდე მაინც.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 4 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

298

ტელეფონოგრამა ვ. მ. მოლოტოვს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის

ამხ. მოლოტოვს

ჩიჩერინისაგან მივიღე პროექტი თეზისებისა, რომლებიც ეხება პოლიტიკას ბუხარაში. პროექტი შეთანხმებულია თურქკომისიასთან და ბუხარას წარგზავნილ ჩვენს წარმომადგე-

ნელთან [264], ხმას ვაძლევ იმას, რომ ეს თეზისები დაუყოვნებლივ დამტკიცდეს, პოლიტბიუროს ყველა წევრი გამოკითხულ იქნეს ტელეფონით.

ლენინი

საკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 4 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

299

რადიოგრამა ყველა საგუბერნიო და სამაზრო ეკონომიურ თათბირს

ყველა საგუბერნიო და სამაზრო ეკონომიურ თათბირს

«ცენტროპეჩატი» ადგილებზე გზავნის კანონთა № 44 კრებულს, რომელიც შეიცავს «შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესს». «განაწესი» პირველ რიგში განკუთვნილია საგუბერნიო, სამაზრო, რაიონული და სათემო ეკონომთათბირებისათვის. უაღრესად კატეგორიულ წინადადებას გაძლევთ სპეციალურად და უმკაცრესად მიადევნოთ თვალი იმას, რომ «შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესი» მიიღოს სათემო, რაიონულმა ეკონომთათბირმა; იქ, სადაც ასეთები არ არის, სათემო აღმასკომმა. სათემო აღმასკომების მიერ «განაწესის» მიღებისათვის პირად პერსონალურ პასუხისმგებლობას ვაკისრებ საგუბერნიო ეკონომთათბირებისა და სამაზრო ეკონომთათბირების თავმჯდომარეებსა და მდივნებს. მიგითითებთ, რომ აბსოლუტურად აუცილებელია «შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესი» დაყვანილ იქნეს თვით თემამდე და სოფლამდე, რათა

გლეხობის ფართო მასებს შესაძლებლობა მიეცეთ გაეცნონ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უკანასკნელ დადგენილებას. საგუბერნიო ეკონომთათბირებს წინადადება ეძლევათ მიიღონ ზომები სამაზრო ეკონომთათბირებისათვის, «ცენტროპეჩატის» საგუბერნიო და სამაზრო განყოფილებებისათვის დეპეშების დასაგზავნად.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ. ლ ე ნ ი ნ

დაწერილია 1921 წლის აგვისტოში,
არა უადრეს 4 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით

300

ტელეფონოგრამა ლ. ბ. კრასინს

ამხ. კრასინს

მივიღე პირი ძერჟინსკისადმი თქვენი წერილისა გემების აგების შესახებ. გეთანხმებით, რომ საზღვაო ხომალდების აგება ჩვენთვის ახლა საჭირო არ არის. ვფიქრობ, ამასვე გვიდასტურებს სამხედრო მოსაზრებანი. უთუოდ საჭიროა გავაძლიეროთ ჩასასხმელი ხომალდების აგება ნავთობის ფლოტისათვის, განსაკუთრებით კასპიის ზღვისა და ვოლგის ნავთობის ფლოტისათვის. გთხოვთ:

1) ამ საკითხზე მოითხოვოთ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ოფიციალური დასკვნა;

2) ზუსტი გადაწყვეტილება განამტკიცოთ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, გზათა სახალხო კომისარია-

ტის ოფიციალური თათბირით, და თუ კიდევ არის დაინტერესებული უწყება, მისი თათბირითაც.

ლენინი

1

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 5 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

301
ა. ი. პოტიაევს

ამხანაგ პოტიაევს

საშინლად გლანძღავთ წუწუნისა და არასაქმიანი დამოკიდებულებისათვის. მეისნერის შესახებ ფორმალურად, წერილობით უნდა შეჰკითხოდით ბრიუხანოვს, ხოლო თუ იგი თანახმა არ იქნებოდა, (მისი პასუხის პირი) შეგეტანათ შრომისა და თავდაცვის საბჭოში.

ნუღარ დააყოვნებთ: სწორედ ამის გამო იზრდება ჭორები, რომლებსაც თქვენ აჰყოლიხართ. წუწუნს კი არ უნდა უნდებოდეთ, თქვენს უფლებებს უნდა იყენებდეთ. ხვალ რომ წირ მედოს თქვენი ოფიციალური ტელეფონოგრამა მეისნერის შესახებ.

პარტიული თხოვნა ოფიციალურად შეიტანეთ ორგბიუროში და რაც შეიძლება მალე. მე ეს არ მეხება. შეგიძლიათ გაასაჩივროთ პოლიტბიუროში. «გეგმა» ჯერ არ წამიკითხავს. მომიმზადეთ 2 გვერდზე ნ. მ. კნიპოვიჩისა და მეისნერის უთანხმოებანი [265].

კომ. სალმით ლენინი

5 — VIII — 21 წ.

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

302
დეპეშა ნ. მ. კნიპოვიჩს

საიდუმლოდ

ნიკოლოზ მიხეილის ძე კ ნ ი პ ო ვ ი ჩ ს
(დიდი კოზიხინის შესახვევი, სახლი 8)

ძალიან ვწუხვარ, რომ ავადმყოფობის გამო ვერ გესაუბრეთ, როცა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან იყავით. ჩემი თხოვნაა მომწეროთ მოკლედ: 1) როგორ აფასებთ მეისნერს ა) კეთილსინდისიერების თვალსაზრისით, ბ) პოლიტიკური პოზიციიდან, გ) საქმის ცოდნის, დ) ადმინისტრაციული უნარის მხრივ და 2) თქვენი უთანხმოებანი თევზის მრეწველობის მთავარ სამმართველოსთან, 3) თქვენი წინადადებანი, თუ გაქვთ ასეთები, თევზჭერის საქმეში დეცენტრალიზაციისა და მურმანზე ამ საქმის მდგომარეობის შესახებ.

სალმით ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 5 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

303
ნ. პ. გორბუნოვს

ამ საქმეს აწარმოებდით ძალიან ცუდად, არაფორმალურად, ზანტად, არა სამხედრო ყაიდაზე [266].

მომავალში **უფრო ფორმალურად** მოგვეკიდებით.

დაწერილია 1921 წლის 5 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

304

ვ. ა. სმოლიანინოვს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს წევრებს [267]

სასწრაფოდ

ამხ. **სმოლიანინოვს**

გთხოვთ წაიკითხოთ ჩემი წერილი უკანა მხარეზე და გაატაროთ **შრომისა და თავდაცვის საბჭოში** (სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნით) **მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ ი** სისწრაფით 2 — 4 დღეში.

5/IX.

ლ ე ნ ი ნ ი

N B:

სწრაფად რომ გატარდეს, ასე მოიქეცით:

1) გადაიღეთ 2 — 3 პირი, ერთი ახლავე გაუგზავნეთ კრეიჟანოვსკის და სთხოვეთ მოგვცეს დასკვნა ს ა მ შ ა ბ ა თ ი ს ა თ ვ ი ს;

2) **შრომისა და თავდაცვის საბჭოს** წევრებს დაუგზავნეთ ახლავე და თვალი მიადევნეთ, რომ სწრაფად წაიკითხონ და თავიანთი შენიშვნები გააკეთონ აქვე, დაუყოვნებლივ;

3) ტელეფონით გამოჰკითხეთ შ რ ო მ ი ს ა და თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო ს წევრებს, თანახმა არიან თუ არა წინასწარი ძიების ადგილები ჩააბარონ კომისიას: კრასინი+ავანესოვი + ბოგდანოვი (ან მისი განსაკუთრებული რწმუნებული).

ლ ე ნ ი ნ ი

ჩემი აზრით, გეგმა სწორია და საჭიროა მისი დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ დამტკიცება. იქნებ სასურველი იყოს რამდენიმე დაზუსტება და დამატება, მაგალითად:

1) საბრუნავი კაპიტალი ოქროთი მიეცეს, მაგრამ მხოლოდ ჩვენი 1921 წლის ექსპორტის ამონაგებიდან, თანაც ამავე ჯგუფს დაევალოს დააჩქაროს ამ ექსპორტის რეალიზაცია;

2) მოცემული ჯგუფისათვის «იჯარის» რაიონი განისაზღვროს უფრო ზუსტად, აღებულ იქნეს უპირატესად ან თუნდაც მხოლოდ და მხოლოდ ყველაზე შორეული ჩრდილოეთი (ეს უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის, რადგან აგვაცილებს იქ სურსათის გაგზავნას; ეს უფრო ხელსაყრელია პოლიტიკურად, ვინაიდან შეღავათიანი პირობები მუშებისათვის — 50 კაპიკამდე **ოქროთი!!** — ნაკლებ შურსა და შეტაკებებს გამოიწვევს სხვა მუშებში);

3) **უფრო ზუსტად** განისაზღვროს ჯგუფის **ვალდებულებანი:** შეასრულოს არა < * ასეთი და ასეთი პროგრამისა (საწარმოოც და საექსპორტოც 1922 და განსაკუთრებით 1923 წლებში);

4) დაევალოს «ჯგუფს» ეცადოს დაიცვას ელექტრიფიკაციის ინტერესები (ელექტროსადგურებისათვის რაც შეიძლება მეტი საზღვარგარეთული ხაწილების ყიდვა, ნახერხის გამოყენება და ა. შ.) — რუსეთის სათბობით მომარაგების ინტერესები (სათბობის შტოები; მოსკოვში სათბობის, შეშის მოზიდვის გადიდება **და ა. შ.**);

5) მიეცეს ჯგუფს, რასაც იგი თხოულობს ფინანსური და მატერიალური დამოუკიდებლობის დარგში.

5/VIII. 1921. ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* არა < — არანაკლებ. რედ.

305

ლაპარაკი პირდაპირი მავთულით მ. კ. ვლადიმიროვთან 1921 წ. 6 აგვისტოს

(მოსკოვი — ხარკოვი)

ვ ლ ა დ ი მ ი რ ო ვ ი: უკრაინის მარჯვენა სანაპიროზე მაღალი განაკვეთები დავაწესეთ. ეს დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ვიღებთ შემდეგ ზომებს: სათემო ეკონომიურ თათბირებს ვიზიდავთ სოფლისათვის საინტერესო მთელი რიგი საკითხების განსახილველად გაჩაღებულ მუშაობაში. მაგრამ ამავე დროს ჩვენ წინაშე დგება მარილის საკითხი, რადგან მხედველობაში ვიღებთ, რომ ამჟამად მარილი ძალიან გვესაჭიროება. საკითხი მდგომარეობს შემდეგში: მივცეთ თუ არა მარილი მიუხედავად იმისა, შეიტანეს გადასახადი თუ არა (ეს ოფიციალურად), სინამდვილეში კი პირველ რიგში მივცემთ იმ თემებს, რომლებიც წარმატებით შეუდგნენ გადასახადი' შეტანას, ამასთან სწორად მიმაჩნია, რომ ახლა უკვე ეყიდდეთ ნაღდი ფულის ნიშნებზე. გთხოვთ თქვენს დასკვნას.

ლ ე ნ ი ნ ი: პ ი რ ვ ე ლ ი: მე ვირჩევთ მარილი გაყიდოს მხოლოდ და მხოლოდ პურზე და არავითარ შემთხვევაში ფულის ნიშნებზე.

მ ე ო რ ე: მარილი მიჰყიდოთ მხოლოდ იმ თემებს, სოფლებსა და ცალკეულ მეურნეობებს, რომლებმაც შეიტანეს გადასახადის სულ მცირე $^1/_4$ ან $^1/_2$.

მ ე ს ა მ ე: ვფიქრობ, რომ გადასახადის წარმატებით ასაკრეფად საჭიროა სამხედრო ნაწილები, რათა დაეხმარონ აკრეფას, იმ პირობით, რომ ეს სამხედრო ნაწილები გაძლიერებულ კმაყოფას მიიღებენ ადგილობრივი გლეხების ხარჯზე, სანამ გადასახადი გასტუმრებული არ იქნება.

მ ე ო თ ხ ე: გთხოვთ მაცნობოთ, როგორია დონბასის სასურსათო მდგომარეობა, რამდენად უზრუნველყოფილია იგი და რა ხნით.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ო ვ ი: პირველ ორ საკითხში ვიცავ იმავე პოზიციას. სამხედრო ძალის შესახებ გთხოვთ მოელაპარაკოთ ფრუნზეს, რომელიც მოსკოვში წამოვიდა.

რაც შეეხება დონბასს, მისთვის გვაქვს ოთხი მარშრუტი. ვიღებთ ზომებს ორთქლმავლების საშოვნელად. ვფიქრობ, რომ 12-მდე მაინც მოხერხდება რეგულარული შემოტანის დაწყება.

ლ ე ნ ი ნ ი: საკმარისი არ არის პირველი პოზიციის დაცვა. საჭიროა გქონდეთ ცენტრალური კომიტეტის ფორმალური გადაწყვეტილება. თუ არ შეგიძლიათ მიიღოთ იგი თქვენი ცენტრალური კომიტეტისაგან, უნდა გაატაროთ აქაური ცენტრალური კომიტეტის საშუალებით. იგივე უნდა ითქვას სამხედრო ძალის გამოყენების წესების თაობაზე.

დონბასის შესახებ კვირაში ორჯერ მიგზავნეთ ძალიან მოკლე ზუსტი ცნობები არსებული სურსათის რაოდენობის შესახებ.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ო ვ ი: ვფიქრობ, რომ უმჯობესია ეს საკითხი გადაწყვიტოთ რაკოვსკისთან და ფრუნზესთან ერთად, რომლებიც მოსკოვში წამოვიღნენ. ჩემი აზრი ცნობილია.

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში	იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტის მიხედვით

306

მ. პ. ტომსკის [268]

7/VIII.

ამხ. ტომსკი!

დიდად გმადლობთ ძალიან ნათელი წერილისათვის.

რა თქმა უნდა, თქვენ მართალი ხართ, რომ «9 მლნ ცხვარი» ჩვენთვის (მოსკოვისათვის) ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა [269]. რადაც უნდა დაჯდეს, იშოვეთ! და მ ა შ ი ნ ვ ე შ რ ო მ ი ს ა და თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო შ ი გამოგვიგზავნეთ მათი მიღების კალენდარული პროგრამა.

იგივე პურის შესახებ.

ამხ. საფაროვთან თქვენი უთანხმოების მოწესრიგების ცდისათვის ვგზავნით ამხ. იოფეს.

ვფიქრობ, რომ შ ე ი ძ ლ ე ბ ა და ს ა ჭ ი რ ო ც ა რ ი ს შეხამებულ იქნეს ორივე ტენდენცია:

1) პური და ხორცი მოსკოვს **პირველ** რიგში;

2) არაერთი დათმობა (ამისათვის) და პრემიები «ვაჭრებს»;

3) უთუოდ ახალი ეკონომიური პოლიტიკა (X ყრილობა, V. 1921-ის კონფერენცია და ა. შ.);

4) აუცილებლად მუსლიმანთა ღარიბკომები და

5) მუსლიმან ღარიბ-ღატაკთადმი ყურადღებიანი, ფრთხილი დამოკიდებულება, არაერთი დათმობით შეიძლება და საჭიროა შევახამოთ და განვამტკიცოთ ბრძნული, ფრთხილი ხაზი, რომელიც დაიცავს ჩვენი «მსოფლიო პოლიტიკის» ინტერესებს მთელ აღმოსავლეთში.

კომ. სალმით ლენინი

P. S. ცენტრალური კომიტეტი ალბათ დაეთანხმება თქვენს თხოვნას $^1/_2$ წლის შესახებ. მოველაპარაკოთ რუძუტაკს.

დაწერილია 1921 წლის 7 აგვისტოს
გაგზავნილია ტაშკენტში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

307
მცირე სახკომსაბჭოს [270]

1

ჩვენი სახლები **საზიზღრად** დასვრილია. კანონი არაფრად ვარგა. საჭიროა 10-ჯერ **უფრო ზუსტად** და **უფრო სრულად** მითითებულ იქნენ **პასუხისმგებელი** პირები (ერთი კი არა, ბევრი, რიგის მიხედვით) და **ულმობლად** ჩაისვან საპყრობილეში.

დაწერილია 1921 წლის 8 და 11
აგვისტოს შუა

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

2.

თანახმა არა ვარ, თუ არ დ ა ვ უ მ ა ტ ე თ:

1) გარდა გამგისა, პასუხს აგებს მისი «მოადგილე». უნდა იყოს მოადგილე;

2) მათ გარდა პასუხს აგებს მცხოვრებლებისაგან შემდგარი **საკონტროლო კომისია.** უნდა იყოს ასეთი კომისია. არანაკლებ 3 კაცისა, რომლებიც **ყოველთვის ადგილზე უნდა იყონ,** ან **მათი მოადგილეები.**

3) ყველა ეს პირი პასუხს აგებს სასამართლოშიც და **ადმინისტრაციულადაც.**

11/VIII.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 11 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის ძიხედვით

3

ეს საკმარისი არ არის.

კიდევ უნდა დაემატოს:

1) მცხოვრებთა პასუხისმგებლობა გამგისა და მისი «მოადგილის» აურჩევლობისათვის;

2) — — იგივე საკონტროლო კომისიის აურჩევლობისათვის;

3) გამგეც, მოადგილეც, საკონტროლო კომისიაც მოვალენი არიან თვალი ადევნონ, რომ **ყოველდღე** იყოს პასუხისმგებელი მორიგე (ან თვითონ გამგე, ან მოადგილე, ან საკონტროლო კომისიის წევრი)

გარდა ს ა გ ა ნ გ ე ბ ო დ დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა (მეეზოვე და სხვ.), **თ უ** ასეთები ა რ ი ა ნ;

4) მცხოვრებთა პასუხისმგებლობა 10-ბინიანზე ნაკლებ სახლებში.

როგორ დაწესდეს მცხოვრებთა პასუხისმგებლობა? საჭიროა ამის მოფიქრება და საშუალების გამონახვა.

19/VIII.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 19 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

308

ბ. ი. ბოკის

9. VIII. 1921 წ.

ამხ. ბოკი!

შ ე ლ ე ხ ე ს ზ ე (იაკობ სავლეს ძეზე) წერილში თქვენ ამბობთ: «მისთვის ზრუნავენ», თ ვ ი თ ლენინიც კი», და ითხოვთ «ნებართვას არავითარი ყურადღება არ მიაქციოთ ყოველგვარ შუამდგომლობებსა და ზეგავლენას სახელმწიფო ფასეულობათა საცავის საქმეზე» [271].

არ შემიძლია ამის ნება დაგრთოთ.

ჩემ მიერ გამოგზავნილი შ ე კ ი თ ხ ვ ა **არ** არის **არც** «ზრუნვა», არც «ზეგავლენა», არც «შუამდგომლობა».

მე მოვალე ვარ შეგეკითხოთ, რაკი მიმითითებენ, სისწორე ს ა ე ჭ ვ ო ა ო.

თქვენ მოვალე ხართ **არსებითად** მიპასუხოთ: «დასაბუთებანი ან სამხილები სერიოზულია, **ესენი და ესენი**, მე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ვ ა რ განთავისუფლებისა, წინააღმდეგი ვარ შ ე რ ბ ი ლ ე ბ ი ს ა» და სხვ. და ა. შ.

სწორედ ასე **არსებითად** უნდა მიპასუხოთ.

შუამდგომლობა და «ზრუნვა» შეგიძლიათ **უარყოთ**; «ზეგავლენა» **უკანონო** მოქმედებაა. მაგრამ, ვიმეორებ, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის შეკითხვას რომ ურევთ შუამდგომლობაში, ზრუნვასა თუ ზეგავლენაში, ეს **შეცდომაა.**

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

309

ა. მ. გორკის

9/VIII. 1921 წ.

ალექსი მაქსიმეს ძევ!

თქვენი წერილი გადავუგზავნე ლ. ბ. კამენევს [272].

ისე დავიღალე, რომ არაფერი არ შემიძლია.

თქვენ თურმე სისხლს ახველებთ, და არსად არ მიდიხართ! ეს, ღმერთმანი, უსინდისობაც არის და არარაციონალობაც.

ევროპაში კარგ სანატორიუმში კიდევაც იმკურნალებთ და სამჯერ მეტ საქმესაც გააკეთებთ.

ღმერთმანი.

ჩვენში კი არც მკურნალობაა, არც საქმე — მარტო ფუსფუსია. **ამაო ფუსფუსი.**

წადით, გამოჯანმრთელდით. ნუ ჯიუტობთ, გთხოვთ.

თქვენი ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალ «რუსკი სოვრემენიკში», № 1

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

310

ვ. მ. მოლოტოვს რაკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის

11/VIII.

ამხ. მოლოტოვ!

აბსოლუტურად აუცილებელია პოლიტბიურომ დანიშნოს საგანგებო კომისია:

კამენევი

ტროცკი

მოლოტოვი (იმ უფლებით, რომ ჩიჩერინმა შეცვალოს ხოლმე), რათა ყოველდღიურად გადაიჭრას ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია დამშეულთათვის ამერიკისა და ერთა ლიგის დახმარებასთან.

აქ უაღრესად რთული თამაშია. ამერიკის, ჰუვერისა და ერთა ლიგის საბჭოს ფლიდობა უსაზღვროა.

საჭიროა დაისაჯოს ჰუვერი, ს ა ჯ ა რ ო დ გაეწნას ს ი ლ ა, რომ **მთელი მსოფლიო** ხედავდეს, ერთა ლიგის საბჭოსაც აგრეთვე.

ამის გაკეთება **ძალიან ძნელია**, გაკეთება კი **საჭიროა**.

მე ვერა ვმუშაობ. აბსოლუტურად საჭიროა ტროცკის დახმარება, მას ასეთი რამეების უნარი აქვს (დიპლომატიური გამოცდილებაც და სამხედრო და პოლიტიკური ალღოც).

გთხოვთ ა ხ ლ ა ვ ე კენჭი უყაროთ პოლიტბიუროში ტელეფონით.

ჩემი ეს ბარათი ყ ვ ე ლ ა ს აჩვენეთ და ხმები მოაგროვეთ.

ლ ე ნ ი ნ ი

ნიმუშად აღებულ უნდა იქნენ გერმანიისა და ნორვეგიის მთავრობები.

სხვაგვარი მიდგომა უარყოფილ იქნეს ყველასათვის ცხადი მიზეზით და ხმამაღლა ითქვას მთელი მსოფლიოს გასაგონად.

ფარული ინტერვენციონისტები უნდა დ ა ვ ი ჭ ი რ ო თ (უნშლიხტი დავიხმაროთ).

დახმარების კომისიის * აპარატი გავაძლიეროთ (თუ ძალები არ არის, 2 თვით ვ თ ხ ო ვ ო თ სამხედროებს).

უახლოეს დღეებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოლეგიური მუშაობა, ვინაიდან ამ უ ძ ნ ე ლ ე ს ი საქმისათვის პოლიტიკური პასუხისმგებლობა **მეტად დიდია.**

ლ ე ნ ი ნ ი

P. S. საჭიროა დახვეწილი მანევრები. არაერთი განსაკუთრებით მკაცრი ზომა. ჰუვერი და ბრაუნი თავხედები და მატყუარები არიან.

პირობები უაღრესად მკაცრი დავუყენოთ: საშინაო საქმეებში მცირეოდენი ჩარევისათვის — გასახლება და დაპატიმრება.

დაწერილია 1921 წლის 11 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

311

გ. ე. ზინოვიევს

ზინოვიევს, პირი რადეკს

ხომ არ შეიძლება სულ მცირე რაოდენობით შეარჩიოთ და გამომიგზავნოთ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები და სტატიები, რომლებიც საფრანგეთის პარტიაში მომხდარ უკანასკნელ

* იგულისხმება სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული დამშეულთა დახმარების ცენტრალური კომისია. რ ე დ.

ამბებს ეხება და დაკავშირებულია პარტიის დამოკიდებულებასთან რევოლუციური სინდიკალისტებისადმი.

იგივე რომის ამბების შესახებ, როცა ყველა პარტიის მუშები გაერთიანდნენ კომუნისტების გარშემო ფაშისტების საწინააღმდეგო დემონსტრაციად მიმდინარე წლის ივლისში.

ლ ე ნ ი ნ ი

11/VIII.

დაწერილია 1921 წლის 11 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

312

კ. ა. ბოგდანოვს

ბოგდანოვს, პირი სმოლიანინოვს

მე საჭიროდ მიმაჩნია, რომ უკლებლივ ყველა მოიჯარეზე (კერძო პირები, ამხანაგობები, საბჭოთა დაწესებულებები და სხვ. და ა. შ.) გავრცელდეს ანგარიშგების კანონი «შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესისა» და ანგარიშგების შესახებ საერთო წესების შესაბამისად. გთხოვთ შეამოწმოთ, არის თუ არა ამის შესახებ ზუსტი მითითება, და, თუ არ არის, დაუყოვნებლივ გაატაროთ შრომისა და თავდაცვის საბჭოს მეშვეობით.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 11 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

313

ტელეფონოგრამა პ. ა. ბოგდანოვს

ბოგდანოვს, პირი კურსკის მოადგილეს

სკფ (შვეიცის ბურთულსაკისარების კომპანია) დიდად მაეჭვებს. საკმაოდ გადმოცემულია თუ არა საქმის იურიდიული მხარე, ე. ი. დაცულია თუ არა ჩვენი ინტერესი.

ეს ინტერესი მოითხოვს ოდნავაც არ დავუშვათ იმ პრინციპის შესუსტება, რომ ჩვენ ვართ ყველა ნაციონალიზებული საწარმოსა და საწყობის მესაკუთრეები. ყოფილი მესაკუთრეების ხელში ეს საწარმოები და საწყობები შეიძლება გადავიდეს მხოლოდ იმ გზით, რომ ისინი ამ საწყობებს ფორმალურად შეისყიდიან ჩვენგან. ჩვენ შეგვიძლია ზოგჯერ დათმობაზე წავიდეთ, ეს საწარმოები და საწყობები იაფად გადავცეთ, მაგრამ საკუთრების ჩვენს უფლებაზე უარს არასოდეს არ ვიტყვით.

გთხოვთ განსაკუთრებული ყურადღებით შეამოწმოთ ეს საქმე აღნიშნული თვალსაზრისით. განსაკუთრებით გთხოვთ შემოწმება მოახდინოთ იუსტიციის სახალხო კომისარიატში, სადაც ამ საქმეს პირადად იცნობდა და აწარმოებდა კურსკი, და საჭიროა ან მონახოთ კურსკი, ან იუსტიციის სახალხო კომისარიატში იპოვოთ კაცი, რომელსაც კურსკიზე ნაკლებად არ ეცოდინება ეს საქმე.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 11 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

314
ვ. ვ. ვოლოტოვს [273]

ამხ. მოლოტოვს

მე **წინააღმდეგი ვარ.**

არ შეიძლება ასე ხშირად რევიზიონიასას თამაში; ლუტოვინოვი დაკავებულია მარტოოდენ რევიზიით. შლიაპნიკოვი არ გამოდგება.

11/VIII.

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 11 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

315
დეპეშა რკპ(ბ) პერმის საგუბერნიო კომიტეტს *

პერმი, რკპ საგუბერნიო კომიტეტს

გთხოვთ საგუბერნიო კომიტეტის სხდომაზე წაიკითხოთ მიასნიკოვის ორივე სტატია და ჩემი საპასუხო წერილი მისდამი [274]. ასევე მოიქეცით მოტოვილიხის რაიკომში. მიასნიკოვს ვთხოვ გადააღებინოს ჩემი საპასუხო წერილის ორი პირი, ერთი ჩემთვის, მეორე საგუბერნიო კომიტეტისათვის.

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 12 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* ხელნაწერზეა ვ. ი. ლენინის შენიშვნა: «გაგზავნილია ტელეფონით 12/VIII». **რედ.**

316
გ. ვ. ჩიჩერინს და ლ. ბ. კამენევს

იმის გამო, რომ არამზადა ამერიკელ ვაჭრუკანებს უნდათ თვალის ასახვევად შექმნან აზრი, თითქოს ჩვენ შეგვიძლია ვიკადროთ ვისიმე მოტყუება,

წინადადებას გაძლევთ ახლავე ტელეგრაფით ფორმალურად შესთავაზოთ მათ მთავრობის სახელით კამენევისა და ჩიჩერინის (ხოლო თუ საჭიროა, ჩემი და კალინინის) ხელმოწერით

შემდეგი:

ჩვენ ნიუ-იორკის ბანკში შევიტანთ დეპოზიტს — ისეთ თანხას ოქროთი, რომელიც შეადგენს იმის 120%-ს, რასაც ისინი თვის განმავლობაში იძლევიან მილიონი მშიერი ბავშვისა და ავადმყოფისათვის. მაგრამ მაშინ ჩვენი პირობა ასეთი იქნება, რომ ესოდენ სრული მატერიალური გარანტიის გამო ამერიკელები ოდნავაც არ დაუშვებენ არა მარტო პოლიტიკურ ჩარევას, არამედ ადმინისტრაციულსაც და არაფერზე არ განაცხადებენ პრეტენზიას. ე. ი. მაშინ ძალას კარგავს ხელშეკრულების ყველა პუნქტი, რომლებიც მათ თუნდაც მხოლოდ ადმინისტრაციული ჩარევის უფლების ნასახს მაინც აძლევდა. ხოლო შემოწმებას აწარმოებენ პარიტეტული კომისიები (ჩვენი მთავრობისაგან და მათგან) აღგილებზე [275].

ამ წინადადებით ჩვენ ცარიელზე დავსვამთ ვაჭრუკანებს და მერმე კი თავს მოვჭრით მთელი მსოფლიოს წინაშე.

უნდა გვახსოვდეს, რომ სოფლად ჩვენში საერთოდ არ არის და არც არასოდეს ყოფილა არავითარი ულუფები. ამ მხრივ შეცდომა რომ არ დაუშვათ, გირჩევთ, როცა ამ საკითხზე თათბირი გექნებათ, მოიწვიოთ ვინმე სურსათის სახალხო კომისარიატისაგან.

13/VIII — 21 წ.

ლ ე ნ ი ნ ი

	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით, რომელიც შედარებულია მანქანაზე გადაბეჭდილ პირთან
პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში	

317

ფ. ა. როტშტეინს

13/VIII.

პატივცემულო ამხ. როტშტეინ!

მხოლოდ გუშინ მივიღე თქვენი 17/VII-ის წერილი.

თქვენს ფრთხილ პოლიტიკას სპარსეთში, ვგონებ, სავსებით ვეთანხმები. «მეორე მხარისათვის» არ მომისმენია, მაგრამ ვფიქრობ, რომ თქვენი ძირითადი მოსაზრებების უარყოფა არ შეიძლება.

ხომ არ დაწერდით ნაშრომს სპარსეთზე, რომ ყველამ ვისწავლოთ ესოდენ საინტერესო და ჩვენთვის ესოდენ უცნობი სიუჟეტი?

აღმოსავლეთში მუშაობის ხ ა ზ ი ს გამომუშავებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

მეტს აღარა გწერთ, რადგან ახალ ამბებს გაზეთებიდან შეიტყობთ, მე კი ახლა შვებულებაში ვარ: მეტად დავიღალე და ვმკურნალობ.

ბელგოვი, იმედია, უკვე თქვენთან არის.

მე მას გამოვატანე წერილი, სადაც გწერდით ალექსანდრე ალექსანდრეს ძე და ბარბარე ალექსანდრეს ასულ არმანდებზე, რომლებიც მასთან ერთად წამოვიდნენ და რომლებზეც ძალიან ვზრუნავ. იმედი მაქვს, ისინი სპარსეთში სასარგებლო იქნებიან საქმისათვის, და თქვენ წუთით დაუთმეთ მათ ყურადღება.

მაგრად გართმევთ ხელს და დიდ მოკითხვას გითვლით.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 13 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

318

ა. ს. კისელიოვს [276]

მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს

აქ სასჯელის შესუსტება ხომ არ არის?
საჭიროა შეიტანოთ დიდ სახკომსაბჭოში და შეამოწმოთ.
შეიძლება სასჯელის მხოლოდ **გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ა.**

ლ ე ნ ი ნ ი

13/VIII.

დაწერილია 1921 წლის 13 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

319

ა. მ. ლეჟავას

ლეჟავას

რატომ არის შეჩერებული ნორვეგიის თევზის გადაცვლა რუსეთის პროდუქტებზე? [277].

14/8.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 14 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

320

გ. მ. კრჟიჟანოვსკის

16/VIII.

გ. მ.! გთხოვთ ყოველივე ეს დამიბრუნოთ და ორიოდე სიტყვით გამოთქვათ თქვენი შეხედულება.

ჩემი აზრით, ვაშკოვის პასუხი არადამაკმაყოფილებელია [278].

ხომ არ გავუგზავნოთ დეპეშა შრომისა და თავდაცვის საბჭოს სახელით:

ყველა **საგუბერნიო აღმასკომს** ელექტროგანყოფილებებისათვის და ა. შ.

აუცილებლად და დაუყოვნებლივ დანიშნეთ 2—3 პასუხისმგებელი პირი, რათა მათ ელექტროტექნიკოსების ყრილობას 1921 წ. X-ში წარუდგინონ ელექტროსადგურების სრული სტატისტიკა მათი დაარსების დროის, კილოვატების რიცხვის, სათბობის, მოხმარების, მათთან ლექციების ან კითხვის მოწყობის შესახებ მონაცემებით და სხვა.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ. ლენინი

ვფიქრობ, გავუგზავნოთ? *

თქვენი ლენინი

დაწერილია 1921 წლის 16 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 327. რედ.

321

«იზვესტიის», «პრავდის» რედაქციებს და ვ. ნ. იპატიევს

«იზვესტიისა» და «პრავდის» რედაქციებს და ამხ. იპატიევს

გაზეთებში «იზვესტიასა» და «პრავდაში» ამ დღეებში იყო შენიშვნა ყარა-ბულაზის გამოუყენებელი სიმდიდრეების შესახებ [279]. ჩემი თხოვნაა, თუ შეიძლება, გადაეცით ავტორს ან აცნობეთ გაზეთის საშუალებით, რომ ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მქონდეს დაწვრილებითი ცნობები როგორც იმის შესახებ, ტექნიკურად რამდენად მომზადებულია ავტორი ამ საკითხისათვის, ასევე ისიც, თუ რამდენ ხანს სწავლობდა იგი საკითხს ადგილზე.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 17 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

322

მ. ი. ფრუმკინს, ვ. ა. ავანესოვს და ი. ბ. სტალინს

ამხანაგებს ფრუმკინს, ავანესოვსა და სტალინს

წავიკითხე მარილის შესახებ დეკრეტის თქვენი პროექტი. გაკვირვებული ვარ იმ პუნქტების სიმრავლით, რომლებიც, ჩემი აზრით, უკვე არის მოქმედ კანონმდებლობაში, უსარგებლო გამეორებაა და არ შედის შრომისა და თავდაცვის საბჭოს

კომპეტენციაში. თუ არა ვცდები, ერთადერთი ახალი და პრაქტიკულად სასარგებლო პუნქტია მარილით დაჯილდოების აკრძალვა. ჩემი აზრით, პროექტს ესაჭიროება ზუსტი შედარება იუსტიციის სახალხო კომისარიატის მოქმედ კანონებთან და გადამუშავება. მარილით დაჯილდოების აკრძალვა, ჩემი რჩევაა, გაატაროთ დაუყოვნებლივ ცალკე დადგენილებით შრომისა და თავდაცვის საბჭოში [280]. მაგრამ, ვფიქრობ, ყველაზე მთავარია ის, რაც პროექტში არ არის, სახელდობრ არაერთი დაუყოვნებლივი პრაქტიკული ზომა მარილის უფრო მკაცრად დაცვისათვის სახელმწიფოს ხელში და მუშების, მოსამსახურეების, ქალაქის მცხოვრებლებისა და საერთოდ მთელი მოსახლეობისათვის მარილის ყველა და ყოველგვარი მიცემის მაქსიმალური ოდენობით შესამცირებლად. ეს უკანასკნელი ზომა უნდა განხორციელდეს ყოველ შემთხვევაში მიმდინარე შემოდგომაზე და ზამთრის დასაწყისში უაღრესად ფართოდ, რადგან სხვანაირად ჩვენ ვერ მივიღებთ გლეხებისაგან პურს მარილში.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 17 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

323

დეპეშა პ. ლ. ლაპინსკის

ბერლინი, ლაპინსკის

მაცნობეთ, როგორ მიდის მუშაობა იმ დავალების შესასრულებლად, თქვენ რომ იკისრეთ ატლასის გამოცემისა და ამ ატლასისათვის იმპერიალიზმის შესწავლის საქმეში. ზუსტად

მაცნობეთ, როდის გამოგზავნით მუშაობის გეგმას და სამუშაოს შესრულების ვადა.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 17 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

324

ტელეფონოგრამა მდივანს

ხომ ვერ გამოარკვევთ, შეიძლება თუ არა მოინახოს სრული გერმანული თარგმანი რეფერატისა, რომელიც ჩეხოსლოვაკიის პარტიის 1921 წ. გაზაფხულის კონგრესზე წაიკითხა შმერალმა. ეს თარგმანი ამხ. აქსელროდს მივეცი კონგრესის დროს. აღმოჩნდა, რომ რეფერატს აკლია პირველი ნაწილი მორალური კრიზისის შესახებ პარაგრაფამდე. ეს თარგმანი ამხ. კრაიბიხმა მომცა. გთხოვთ გამოარკვიოთ, ხომ არ შეიძლება თარგმანის იმ ნაწილის პოვნა, რომელიც აკლია [281].

ხომ არ ყოფილა რომელიმე უცხო ენაზე გამოცემული რუსეთში ან საზღვარგარეთ ჩემი ბროშურა სასურსათო გადასახადის შესახებ? თუ არის, გთხოვთ გამომიგზავნოთ თითო ცალი.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით 1921 წლის 17 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს ჟურნალში «პრობლემი მირა ი სოციალიზმა», № 2

იბეჭდება მ. ი. გლიასერის ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით

325

დეპეშა მ. კ. ვლადიმიროვს

უკრაინის სურსათის კომისარიატი, ვლადიმიროვს
პირი სიმფეროპოლში უკრაინის ცენტრალურ საკურორტო
სამმართველოს,
სურსათის საოლქო კომიტეტს

ყირიმის ჯანმრთელობის კერის ავადმყოფთა სასურსათო მდგომარეობა, სიმფეროპოლიდან მიღებული ცნობის თანახმად, მეტისმეტად მძიმეა, განსაკუთრებით პურის მხრივ. დახმარების გაწევა მხოლოდ უკრაინას შეუძლია. გამონახეთ შესაძლებლობა რაც შეიძლება სწრაფად გაუგზავნოთ სიმფეროპოლში უკრაინის ცენტრალურ საკურორტო სამმართველოს ათი ვაგონი ხორბლეული, ნაწილი ფქვილად, ორი ვაგონი ფურაჟი. მიღებული ზომების შესახებ გვაცნობეთ ბრიუხანოვსა და მე.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

დაწერილია 1921 წლის 17 აგვისტოს
გაგზავნილია ხარკოვში

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს», № 2

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით

326

ტელეფონოგრამა ნ. პ. ბრიუხანოვს

ბრიუხანოვს (დანართი ვლადიმიროვისადმი
დეპეშის პირისა)

საჭიროა ყირიმში ავადმყოფთა რაოდენობა შეიზღუდოს სავსებით უზრუნველყოფილი სურსათის შესაბამისად. როგორც ჩანს, სამედიცინო ხელისუფალნი ამას ანგარიშს არ

უწევენ, მაგრამ სურსათის სახალხო კომისარიატმა მათი რაოდენობა აუცილებლად სასტიკად უნდა შეკვეცოს.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 17 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ლ. ა. ფოტიევას
ჩანაწერის მიხედვით

327
დეპეშა საგუბერნიო აღმასკომებს ელექტროგანყოფილებებისათვის

ყველა საგუბერნიო აღმასკომს ელექტროგანყოფილებებისათვის

წინადადებას გაძლევთ დააკისროთ იმ პირებს, რომლებიც დელეგატებად იგზავნებიან ელექტროტექნიკოსთა მომავალ ყრილობაზე ოქტომბერში, წარუდგინონ ყრილობას სტატისტიკური ცნობები ელექტროსადგურების დაარსების დროის, დაწესებული კილოვატების რიცხვის, კილოვატსაათების წლიური გაცემის, სათბობის ხარჯვის, სადგურებთან მოწყობილი კურსების მუშაობის შეწყვეტის მიზეზების, პერსონალის მიერ ელექტრიფიკაციაში წაკითხული ლექციების რიცხვის შესახებ. სასწრაფოდ შესრულებისათვის და უკლებლივ ყველა სადგურის შესახებ ცნობების სრული შეგროვებისათვის პასუხისმგებლობა დაუყოვნებლივ დაეკისროს დასახელებით თითოეულ დელეგატს ან საგუბერნიო აღმასკომის მიერ სპეციალურად დანიშნულ პირებს.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ. ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 18 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ჟურნალში «ელექტრიფიკაცია», № 4

იბეჭდება
გ. მ. კრჟიჟანოვსკისა და
ლ. ა. ფოტიევას
ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

328

პ. ი. პოპოვს

ამხ. პოპოვ!

არ შემიძლია მივიღო თქვენი გადადგომა.

ჩემი მითითებანი, როგორც თქვენთვის, რა თქმა უნდა, ცნობილია, შეგიძლიათ გაასაჩივროთ, მაგრამ გასაჩივრება არ აჩერებს შესრულების აუცილებლობას. გთხოვთ გამომიგზავნოთ მოკლე ნუსხა იმისა, თუ რას აკეთებთ ჩემი მითითებების თანახმად, ვადების აღნიშვნით (რა თქმა უნდა, დაახლოებით აქედან — აქამდე).

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)

P. S. შვებულება ავადმყოფობის გამო, რა თქმა უნდა, შეიძლება და საჭიროც არის აიღოთ, რომ განიკურნოთ. მაგრამ მაშინ მომწერეთ ცალკე მე ან, თუ დაჩქარება გინდათ, ფოტიევას, ის წამიკითხავს ტელეფონით (შვებულებაზე და მოადგილეზე). საჭიროა დროებით ფორმალურად დაინიშნოს მოადგილე.

P. P. S. დავძენ, რომ თქვენი წერილი მეტად პოლემიკურია. მე პოლემიკის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ იგი ცალკე უნდა გამოიყოს. თქვენ დავობთ იმის წინააღმდეგ, რაც არ მითქვამს და რასაც არა ვფიქრობ. დავობთ ისე, თითქოს მე უარვყოფდე იმის სარგებლობას, რაც გაკეთებულია, და სხვ. მაგრამ ეს არც მითქვამს და ამას არცა ვფიქრობ.

იმის შესახებ, რის გაკეთებასაც წამოიწყებთ, გთხოვთ მაცნობოთ ჩემი 4 ივნისისა* და 16 აგვისტოს** წერილების პუნქტების მიხედვით (მაგალითად: «ყოველთვიური მოკლე ცნობები მრეწველობის შესახებ წარმოდგენილი იქნება ამ...

* წერილი ნაპოვნი არ არის. რედ.

** იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 12 — 15. რედ.

და ამ ვადიდან», სურსათის განაწილების შესახებ ამა და ამ დროს და სხვ.).

დაწერილია 1921 წლის 20 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

329
ტელეფონოგრამა გ. მ. კრჟიჟანოვსკის

ამხ. კრჟიჟანოვსკის

თქვენს განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობ საკითხს ლესლი ურკარტის (კიშტიმის ქარხნის და სხვა მრავალრიცხოვანი სპილენძის მაღაროების) კონცესიის შესახებ.

ამ კონცესიის პირობები უნდა შეისწავლონ და ხელშეკრულება მოამზადონ კრასინმა და ბოგდანოვმა თქვენთან ერთად. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქმის ისე დაყენებას, რომ კონცესიონერმა, რომელსაც სურს მიიღოს რუსეთის თითქმის ყველა სპილენძის მაღარო, ჯერ ერთი, უზრუნველყოს ჩვენთვის წილობრივი ანარიცხი და ის, რომ რაც შეიძლება მალე მივიღოთ იგი, და მეორე, რომ ჩვენ შესაძლებლობა გვქონდეს კონცესიონერისაგან მივიღოთ საჭირო მოწყობილობა საქმის განვითარებისათვის ჩვენს საკუთარ მაღაროებში. გთხოვთ, როცა საქმეს შეისწავლით, მაცნობოთ, რამდენად გარანტირებულია, თქვენი აზრით, ორივე პირობა და საერთოდ როგორია ნავარაუდევი კონცესიის მნიშვნელობა რუსეთის მომარაგებისა და, კერძოდ, ელექტრიფიკაციის განვითარების თვალსაზრისით.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 22 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

330

ბ. მ. კრჟიჟანოვსკის

ბ. მ.! დამიბრუნეთ ეს, გეთაყვა, წაკითხვისთანავე [282].

შესაძლოა, ნაწილობრივ მე ვარ დამნაშავე, ეს ისტერიკა მეტისმეტი სიმკაცრით რომ გამოვიწვიე.

მაგრამ არსებითად მართალი ვარ და კვლავ დაჟინებით მოვითხოვ, გადადგომა არ მივიღე.

როგორ ფიქრობთ, ყველა ეს ზომა სახელმწიფო საგეგმო კომისიის საშუალებით ხომ არ გავატაროთ და ცალკე დავამტკიცოთ შრომისა და თავდაცვის საბჭოში?

(წაიკითხეთ ჩემი 1921 წ. 4. VI-ის წერილი პოპოვისადმი; იქ ჩამოთვლილია 8 საკითხი).

განსაკუთრებით: სურსათის განაწილების ანალიზი; სათბობი, მისი მომჭირნეობა და სხვ.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამუშაოთა ზუსტი გეგმა.

თქვენი აზრი?

ლენინი

22/VIII.

P. S. დამირეკეთ, როცა წაიკითხავთ. ჩვენ ზუსტად უნდა შევთანხმდეთ ამაზე. დაწვრილებით და ზუსტად.

ლენინი

P. P. S. პოპოვის წერილს ნურავის აჩვენებთ.

დაწერილია 1921 წლის 22 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

331

ტელეფონოგრამა გ. ე. ზინოვიევს

ამხანაგ ზინოვიევს

1. ხომ არ შეიძლება მომინახოთ და გამომიგზავნოთ ჩემი წინასიტყვაობა იმპერიალიზმის შესახებ ჩემი წიგნის გერმანული გამოცემისათვის? * ეს წინასიტყვაობა პეტროგრადში გავგზავნე ერთი წლის წინათ. და იგი, როგორც ჩანს, სადღაც მიიკარგა.

2. ძალიან ვღელავ, საკმაოდ რელიეფურად და მკაფიოდ თუა წარმოდგენილი საზღვარგარეთის მუშათა პრესაში საერთოდ და კომუნისტურ პრესაში განსაკუთრებით ჩვენი ლოზუნგი რუსეთის დასახმარებლად შემოწირულებათა შეგროვებისა მხოლოდ უშუალოდ ჩვენი მისამართით, ე. ი. არა მთავრობათა საშუალებით.

შაბათს რიგაში ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას ამერიკის ვაჭრობის მინისტრ ჰუვერთან (ამაზე ჯერ ნუ დაბეჭდავთ), და ჰარდინგი ამერიკელ ხალხს მოუწოდებს ყველა შემოწირულება ჰუვერის საშუალებით გამოგზავნონ.

ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმას, რომ კომინტერნი ჯერჯერობით არ გამოსულიყო ამერიკის მთავრობის წინააღმდეგ და წამოეყენებინა გარკვეული ლოზუნგი, რომ მუშები თავიანთ შემოწირულებებს მხოლოდ და მხოლოდ პირდაპირი მისამართით უგზავნიდნენ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებს საზღვარგარეთ.

ვინაიდან ყველა და ყოველგვარი შემოწირულება, რომლებიც ბურჟუაზიულ მთავრობათა საშუალებით გვეგზავნება, რაიმე პირობებით აუცილებლად გვბოჭავს პირდაპირ ან არაპირდაპირ, მეტად თუ ნაკლებად, მაშინ როცა მუშები, უეჭ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 229 — 384. რ ე დ.

ველია, დათანხმდებოდნენ, რომ შემოწირულებანი გვიგზავნონ ყოველგვარი პირობის დაუთქმელად, ამ განსხვავებას კი ჩვენთვის გიგანტური მნიშვნელობა აქვს.

თუ შეიძლება შევამოწმოთ, აღიქვეს თუ არა კომინტერნმაც და პროფესიულმა პრესამაც, რომელიც ჩვენ თანაგვიგრძნობს, რომ აუცილებელია შემოწირულებანი იგზავნებოდეს საბჭოთა მთავრობის მისამართით ყოველგვარი პირობების დაუთქმელად და იმისათვის ფართო პროპაგანდის გაუწევლად, რომ ყველა მუშამ ერთი დღის ხელფასი გადარიცხოს რუსეთში შიმშილისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 22 აგვისტოს

იბეჭდება პირველად,
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

332

წერილი ი. ტ. სმილგას და დავალება მდივანს

ფ რ ი ა დ ს ა ს წ რ ა ფ ო დ

22. VIII. 21.

ამხანაგო სმილგა!

ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა დონბასში, ე. ი. დონბასის აღსადგენად გაწეულ მთელ მუშაობაში, ის არის, რომ ჯეროვნად არ არის შეთანხმებული ადგილობრივი მუშაობა — სამრეწველო, სამიწათმოქმედო და სავაჭრო მუშაობა.

მგონი იყო რაღაც უთანხმოებანი, ერთი მხრივ, პიატაკოვ-

სა და რუხიმოვიჩს შორის, მეორე მხრივ, პიატაკოვსა და ადგილობრივ პროფკავშირებს შორის.

უაღრესად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ თქვენ არ დასჯერდეთ წმინდა სამრეწველო საკითხებს, რომლებიც მხოლოდ ქვანახშირის საქმეს ეხება, არამედ ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ საჭიროა აღმოიფხვრას ზემოაღნიშნული უთანხმოებანი.

რადაც უნდა დაჯდეს, საჭიროა მიაღწიოთ იმას, რომ დონეცკის გუბერნიის საგუბერნიო ეკონომიური თათბირი ძალიან დაძაბულად და სავსებით ერთსულოვნად მუშაობდეს.

განსაკუთრებული ზომები უნდა მიიღოთ, რომ პიატაკოვმაც და მთელმა მისმა აპარატმაც თავიანთი ძალები მოახმაროს ადგილობრივი მიწათმოქმედების აღმავლობას და გლეხებთან, აგრეთვე ტაგანროგის საშუალებით საზღვარგარეთთან საქონელგაცვლას. კერძოდ, ყურადღება მიაქციეთ ისეთ ღონისძიებებს, როგორიც არის ადგილობრივი მიწათმოქმედების აღმავლობა, რისთვისაც შემოიღეთ რწყვა მდინარე დონეცის რაბების გამოყენების გზით. ასეთი გეგმა, რომელიც ფრიად პრაქტიკული ჩანს, წამოყენებულია სახელმწიფო საგეგმო კომისიაში.

საერთოდ სრულიად არასწორია, რომ ქვანახშირის მრეწველობის გაშგეობას ჰგონია, თითქოს მას კავშირი არ ჰქონდეს დონეცკის გუბერნიის მიწათმოქმედებასთან.

დარწმუნებული ვარ, შრომითი არმიის ძალები, რომლებიც დონეცკის გუბერნიაშია, აგრეთვე ადგილობრივი მეშახტეებისა და ქვანახშირის მრეწველობის გამგეობის მთელი ძალები გადაყვანილ რომ იქნენ დონეცკის გუბერნიის მუშაკებთან ერთობლივ მუშაობაზე, შეიძლებოდა მიგვეღწია არა მარტო იმისათვის, რომ უსწრაფესად აგვეკრიფა სასურსათო გადასახადი, არამედ უეჭველად მეტი რაოდენობითაც შეგვეძინა სურსათი სწორად დაყენებული საქონელგაცვლის, როგორც შარილზე საქონელგაცვლის, ისე ქვანახშირზე პურის საქონელგაცვლის გზით.

დაველოდები თქვენგან: ჯერ ერთი, დეპეშას მოკლე ცნობით იმის შესახებ, რომ მიიღეთ ეს წერილი და ყოველივე შესაძლოს გააკეთებთ აღნიშნული მიმართულებით, მეორე, დაწვრილებითს ცნობას კონსტიტუირების შესახებ და თქვენი ჩასვლის შემდეგ დონეცკის გუბერნიის საგუბერნიო ეკონომიური თათბირის მუშაობის შესახებ.

რაც შეეხება საყელავ მანქანებს, რომლებზეც პიატაკოვი იწერებოდა, მე მაქვს სპეციალისტების ზუსტი და დაწვრილებითი პასუხი, რომ დონბასში მთელი რიგი მიზეზების გამო იმ საყელავ მანქანებსაც კი ვერ ამუშავებენ, რომლებიც იქ უკვე აქვთ, და რომ ახალი საყელავი მანქანების ყიდვა სრულიად არარაციონალურია, ვინაიდან ეს მანქანები განწირული იქნება იმისათვის, რომ გამოუყენებლად იდგეს.

გთხოვთ დაწვრილებით შეისწავლოთ ეს საკითხი ნამდვილი სპეციალისტების დახმარებით, რომლებმაც სავსებით კარგად იციან ეს საქმე.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

წერილი გაუგზავნეთ ბახმუტში საგუბერნიო აღმასკომს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს რწმუნებულ სმილგასათვის გადასაცემად. სმილგა ბახმუტში უნდა იყოს 1921 წ. 27 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე. გაგზავნეთ სამხედრო უწყების საშუალებით განსაკუთრებით სასწრაფო შიკრიკის ხელით, პირადი ხელმოწერით. ჩაბარდეს, თუ სმილგა ბახმუტში ჯერ კიდევ არ არის, საგუბერნიო აღმასკომის მეშვეობით.

ტელეფონით დაუკავშირდით სტალინს, ხომ არ გაუგზავნის იგი წერილს რუხიმოვიჩს. სტალინს წააკითხეთ ამ წერილის პირი, და თუ იგი მისწერს რუხიმოვიჩს წერილს, გაგზავნეთ ერთად ა რ ა უ გ ვ ი ა ნ ე ს ხ ვ ა ლ ი ნ დ ე ლ ი დ ღ ი ს ა.

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

333

ტელეფონოგრამა გ. მ. კრჟიჟანოვსკის და დავალება მდივანს

ფრიად სასწრაფოდ

ამხანაგ კრჟიჟანოვსკის
სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი

აუცილებლად მჭირდება კრასინის წასვლამდე ხელთ მქონდეს ყველა იმ სამუშაოთა ძალიან მოკლე ნარკვევი, რომლებსაც სახელმწიფო საგეგმო კომისია აწარმოებს იმ სამეურნეო სამუშაოთა საკითხზე, რაც საჭიროა მიწათმოქმედების აღმავლობისათვის შიმშილობისაგან დაზარალებულ გუბერნიებში.

გთხოვთ შეუკვეთოთ ჩემთვის ეს ნარკვევი, ისე რომ მზად იყოს ორ-სამ დღეში.

გთხოვთ იქონიოთ მხედველობაში, რომ უნდა დასჯერდეთ ძალიან მოკლე, რამდენიმე სტრიქონისაგან შემდგარ ცნობებს ყველა სახის ნავარაუდევ სამუშაოთა შესახებ, ამასთან დაახლოებით იყოს განსაზღვრული სამუშაოთა ოდენობა და ღირებულება.

გთხოვთ მიპასუხოთ, როდის მომაწვდით ამ ცნობას.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

სასწრაფოდ გაგზავნეთ და ტელეფონით შეამოწმეთ, როდის მიიღო კრჟიჟანოვსკიმ.

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 23 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

334

ვ. მ. მოლოტოვს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის

ამხანაგ მოლოტოვს

ამხ. ტროცკის იმ წინადადების გამო, რომელიც ეხება მის მიერ აღნიშნული პირების წასვლას საზღვარზე, გაცნობებთ, რომ საკუთარი ვუპერ მხარს ამ წინადადებას[283]. ჩემი აზრით, მრავალი გარემოება ნამდვილად მოითხოვს მიღებულ იქნეს ამ დარგში უაღრესად ენერგიული ზომები, რომლებიც წარმოუდგენელია ამგვარი გამგზავრების განუხორციელებლად.

გთხოვთ ჩემი ხმა «დადებითად» ჩათვალოთ

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 23 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

335

ტელეფონოგრამა
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს

23 — VIII — 21

ტროცკის
კამენევს
სტალინს
მოლოტოვს
ზინოვიევს

ზინოვიევის წინადადების შესახებ — შენიშვნა მიეცეს სტეკლოვს, რომ უტაქტოა მისი სტატია «მემარცხენეობის შე-

სახეს»[284] — ვფიქრობ, ამის გაკეთება ახლა საჭირო არ არის.

მე მგონია, საკმარისი იყო სოლცის შენიშვნა «პრავდაში» ამის გამო. უეჭველია სტეკლოვი სწორ დასკვნას გააკეთებს ამ შენიშვნის გამოქვეყნებიდან, და ამიტომ პოლიტბიუროს ჩარევა ამჟამად ნაადრევი იქნებოდა.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

336

შენიშვნა ნ. ნ. იაკოვლევის წერილზე და გარათი ი. ს. უნშლიხტს[285]

გეოლოგიის ინსტიტუტის პროფესორია. მას პირადად იცნობდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული 1890-იან წლებში როგორც პატიოსან და რევოლუციურად განწყობილ ადამიანს. მისი ვაჟიშვილი კომუნისტია.

ამხ. უნშლიხტ!

გთხოვთ შეამოწმებინოთ. აშკარად ეტყობა, რომ მეცნიერები უნდა გამოვუშვათ.

საპროპელი ჩვენი მეურნეობისათვის მეტად საჭირო რამ არის.

23/VIII.

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 23 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

337
ბარათი ლ. ა. ფოტიევას და წერილი მატიას რაკოშის, კ. ბ. რადეკს, ი. ს. უნშლიხტს, ბ. ი. რეინშტეინს [286]

ფოტიევას: გთხოვთ დაურეკოთ რ ა კ ო შ ი ს (კომუნისტური ინტერნაციონალის მდივანი) და შეიტყოთ, არის თუ არა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის წერილობითი გადაწყვეტილება? თვითონ მიადევნეთ თვალი ამას; თუ საჭიროა, ქვემომოყვანილის პირები გაუგზავნეთ რ ა კ ო შ ი ს, რ ა დ ე კ ს, უ ნ შ ლ ი ხ ტ ს, რ ე ი ნ შ ტ ე ი ნ ს, ვისაც დასჭირდება.

23/VIII.

ლ ე ნ ი ნ ი

მივიღე ინგლისური წერილი **ადოლფ ს. კ ა რ მ ი ს ა გ ა ნ** («დრეზდენი», ოთახი № 37), რომელიც მწარედ ჩივის, ჰეიეუდმა ცილი დამწამა ფრაქციული მტრობის გამო და დამასმინა როგორც ჯაშუშიო. კომისიამ (კომინტერნისა) გამამართლა. მაგრამ, თუმცა ციხიდან გამათავისუფლეს, რუსეთიდან არ მიშვებენ, წერილები წამართვეს და სხვ. და ა. შ.

მიცნობენ ბორის რეინშტეინიც, შვედი ჩილბუმიც (Kilbum), ფინელი კომუნისტი ალენ ვალენიუსიც (Allan Wallenius), ბევრი სხვაც.

შეერთებული შტატების სოციალისტური მ უ შ ა თ ა პარტიის დელეგატი ვარო.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 23 აგვისტოს

პირველად არასრულად დაიბეჭდა
1958 წელს წიგნში «ვ. ი. ლენინი.
სოციალისტური კანონიერების შესახებ
(1917 — 1922 წწ.)»

სრულად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

338

ი. ბ. სტალინს და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრს

ამხ. სტალინ! ნანსენის უაღრესად კადნიერი წინადადება (დაინიშნოს კადეტი დახმარების კომიტეტიდანო)[287], ამ «კუკიშების» ქცევა და თანდართული დეპეშა ცხადზე უცხადესად გვიჩვენებს, რომ შევცდით. ან თუ აქამდე არა ვცდებოდით, ახლა სასტიკად შევცდებით, თუ დავიგვიანეთ.

თქვენ იცით, რომ რიკოვი წასვლამდე ცოტა ადრე მოვიდა ჩემთან და მითხრა, ვინმე რუნოვმა, ჩვენმა კაცმა, მიამბო იმ კრების შესახებ, რომელზეც პროკოპოვიჩს მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვები წარმოუთქვამსო. ეს კრება მოუწყვია პროკოპოვიჩს, რომელიც დამშეულთა დახმარების კომიტეტს ამოფარებია.

რაღას უნდა ველოდეთ ახლა? განა შესაძლებელია ვითმინოთ მათი აშკარა მ ზ ა დ ე ბ ა?

აბსოლუტურად შეუძლებელია.

წინადადებას გაძლევთ: დღესვე, პარასკევს, 26/8, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით დაშალოთ «კუკიში» — მოტივი: მათგან უარის თქმა მუშაობაზე, მათი რეზოლუცია. დ ა ი ნ ი შ ნ ო ს ფულის მისაღებად და ლიკვიდაციისათვის ერთი ჩ ე კ ი ს ტ ი.

პროკოპოვიჩი დღესვე დაპატიმრებულ იქნეს და ბრალდებად წავუყენოთ მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვის წარმოთქმა (კრებაზე, სადაც რუნოვი იყო) და პატიმრობაში იყოს სამიოდე თვე, სანამ გ ულ დ ა ს მ ი თ გამოვიკვლევდეთ ამ კრებას.

«კუკიშის» დანარჩენი წევრები კი ახლავე, დღესვე, გასახლებულ იქნენ მოსკოვიდან, თითო-თითოდ დაიგზავნონ სამაზრო ქალაქებში, შეძლებისამებრ ისეთებში, სადაც რკინიგზა არ არის, ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ი ს ქ ვ ე შ.

ღმერთმანი, კიდევ ლოდინი უდიდესი შეცდომა იქნება.

სანამ ნანსენი წავიდოდეს, საქმე გაკეთდება; ნანსენს წაყენებული ექნება აშკარა «ულტიმატუმი». თამაშს **(ცეცხლთან)** ბოლო მოეღება.

ხვალვე დავბეჭდოთ ხუთსტრიქონიანი მოკლე, მშრალი «მთავრობის ცნობა»: დაშლილია, რადგან მუშაობა არა სურს [288].

გაზეთებს მივცეთ დირექტივა: ხვალვე დაიწყონ «კუკიშეჭის» ასნაირად აგდება სასაცილოდ. ბატონიშვილები, თეთრგვარდიელები არიან, უნდოდათ საზღვარგარეთ გაესეირნათ, არ უნდოდათ ადგილებზე წასულიყვნენ. კალინინი წავიდა, კადეტებს კი «არ შეჰფერით». მთელი ძალით დაუწყონ დაცინვა და დევნა კვირაში ერთხელ მაინც ორი თვის განმავლობაში.

მტკივანი კბილი ერთბაშად ამოღებული იქნება და ყოველმხრივ დიდი სარგებლობით.

მერყეობა საჭირო არ არის. გირჩევთ დღესვე მოათავოთ ეს პოლიტბიუროში.

უცხოელები დაიწყებენ ჩამოსვლას, საჭიროა «გაიწმინდოს» მოსკოვი «კუკიშებისაგან» და **შეწყდეს** მათი თამაში (ცეცხლთან). აჩვენეთ ეს პოლიტბიუროს წევრებს.

26/8.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 26 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

339

ბჭუპენდრანათ დატას [289]

ძვირფასო ამხანაგო დატა, წავიკითხე თქვენი თეზისები. ნუ ვიდავებთ საზოგადოებრივ კლასებზე. ვფიქრობ, უნდა მივდიოთ ჩემს თეზისებს კოლონიურ საკითხზე. შეაგროვეთ სტა-

ტისტიკური მონაცემები გლეხთა კავშირებზე, თუ ასეთები არსებობენ ინდოეთში.

თქვენი . . .

ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 26 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1952 წელს წიგნში *Bhupendranath Datta «Dialectics of Land-economics of India». Calcutta*

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით თარგმანი ინგლისურიდან

340

მცირე სახკომსაბჭოს [290]

ამხ. კისელიოვს ან მის მოადგილეს მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პოსტზე

1921 წ. 27 აგვისტო.

ამხ. კისელიოვ!

მრავალი განცხადება გვიჩვენებს, რომ გადასახდელები! შემოღება (მომსახურებისათვის და სხვ.) ხშირად აუტანელ მდგომარეობაში აყენებს მ უ შ ე ბ ს.

საჭიროა არჩეულ იქნეს კომისია:

1) 2 პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოსაგან

2) თითო წარმომადგენელი პეტროგრადისა და მოსკოვის დეპუტატთა საბჭოებისაგან

3) სახკომსაბჭოს 2 წევრი

4) მცირე საბჭოს თავმჯდომარე (ამხ. კისელიოვი) — თავმჯდომარედ.

კომისიას დაევალება:

ყოველმხრივ მოამზადოს საკითხი (და სათანადო დეკრეტები) იმის შესახებ, რომ გადასახდელთა შემოღება შეთანხმებული იყოს მუშათა ხელფასთან და საერთოდ მათს მდგომა-

რეობასთან (გამონაკლისები მუშებისათვის და სხვ. ან რაიმე ამის მსგავსი, გადასახდელთა შემოღების ვადები და პირობები და ა. შ.).

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

P. S. ყველა ეს საკითხი გატარდეს მ ხ ო ლ ო დ დიდ სახკომსაბჭოში.

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

341

* მ ც ი რ ე სახკომსაბჭოს

27. VIII. 1921 წ.

ვგზავნი მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს პრეზიდიუმის რეზოლუციას და ვთხოვ მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარესაც და ყველა წევრსაც, გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ა მ ხ. გ ო ი ხ ბ ა რ გ ს როგორც იურისტს, უაღრესი ყურადღება მიაქციონ იმას, რომ საჭიროა დეკრეტების ტექსტი მ ო მ ზ ა დ დ ე ს უ ფ რ ო ფ რ თ ხ ი ლ ა დ, გ უ ლ დ ა ს მ ი თ დ ა მ ო ფ ი ქ რ ე ბ უ ლ ა დ.

დაუსრულებელი შესწორებები შეუწყნარებელია.

ჩემი შთაბეჭდილებაც ისეთია, რომ მცირე სახკომსაბჭოს არაერთი დეკრეტი უკანასკნელ ხანებში ნაჩქარევია.

საჭიროა უსერიოზულესი ზომები მივიღოთ ამ უწესრიგობის წინააღმდეგ, რათა არ გამოვიწვიოთ მოსახლეობის უარესი პროტესტები და ცენტრალურ კომიტეტში საკითხის დაყენება მცირე სახკომსაბჭოს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

342

* რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს

29. VIII. 1921 წ.

ვთხოვთ დაავალოთ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. კრჟიჟანოვსკის კრასინთან ერთად წავიდეს რიგაში, რათა იქ სანატორიუმში ან კერძო ბინაში დაყოს 1 თვე სამკურნალოდ და დასასვენებლად.

ძალიან გთხოვთ დღეს გაატაროთ ეს, ვინაიდან მე როგორც შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე დავრწმუნდი, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე თითქმის წელში გაწყდა. მისი რემონტი **საჭიროა** და **გადაუდებლად** საჭიროა.

ორგბიუროს გადაწყვეტილების მიუღებლად ვერაფერს მივაღწევთ [291].

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

343

დეპეშა ვ. ნ. კაიუროვს [292]

პარტიის წმენდის შესახებ თქვენს მოსაზრებებს გადავცემ პარტიის წმენდის ცენტრალურ კომისიას. ჩემი აზრია, რომ პარტიის წმენდის პირველი სერიოზული გამოცდილება მოგვცემს არაერთ პრაქტიკულ მითითებას, რომლებსაც შემდგომ გამოვიყენებთ მიღების პირობების გამოსამუშავებლად. რო-

ცა საკმაო მასალებს შეაგროვებთ, გამომიგზავნეთ თქვენი მოსაზრებანი წერილობით. ყველაფერს, რაც თქვენ მაცნობეთ სამეურნეო მუშაობის პირობების შესახებ, განვიხილავ მთელ აქ არსებულ მასალებთან დაკავშირებით. საკითხი ციმბირიდან თქვენი გამოწვევის შესახებ, როგორც ჩანს, გადაიდება პარტიის წმენდის სამუშაოთა დამთავრებამდე.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 30 აგვისტოს
გაგზავნილია ნოვონიკოლაევსკში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ჟურნალში
«პროლეტარსკაია რევოლუცია», № 3

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით

344

ვ. მ. მოლოტოვს
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის

ამხ. მოლოტოვს

ვეთანხმები ბრიუხანოვს.

წინადადება შემომაქვს კენჭი ვუყაროთ: შევაჩეროთ კომისიის მუშაობა [293]. ეს კომისიობანას თამაშია.

30/8.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 30 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

345

რ. ე. კლასონს

ჰიდროტორფი, სადოვნიკი 11
ინჟინერ რობერტ ედუარდის ძე კლასონს
პირები: სმოლიანინოვს, ი. ი. რადჩენკოს,
სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმს, კრასინს

მივიღე და წავიკითხე თქვენი 31 აგვისტოს ცნობა, რომლითაც მატყობინებთ, რომ საქარხნო გზით ტორფის გაუწყლოების საკითხი სრულიად უდავოდ გაქვთ გადაწყვეტილი. თუ ეს ამბავი სავსებით შეეფერება სინამდვილეს, მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საჭიროა დაუყოვნებლივ შემოწმდეს ან ტექნიკური ექსპერტიზა მოეწყოს და მაშინ გადაიჭრას საკითხი იმის შესახებ, რომ მოგეცეთ სურსათი და უცხოეთის ვალუტა, რომლებსაც თქვენ ითხოვთ. უნდა გვაცნობოთ, სახელდობრ რამდენს თხოულობთ სურსათსა და უცხოეთის ვალუტას.

თქვენი ცნობა, რომ უფლებები, რომლებიც სახკომსაბჭომ მოგანიჭათ, დიდი ხანია გაუქმებულიაო, მაკვირვებს, რადგან არავის შეეძლო მათი გაუქმება.

გთხოვთ მოაწყოთ თათბირი ამხ. რადჩენკოს, სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარმომადგენლის, სმოლიანინოვისა და კრასინის მონაწილეობით [294]. ვინაიდან კრასინი 7 სექტემბერს მიემგზავრება, სასურველია დამთავრდეს მის წასვლამდე. დავალებები თათბირს: მიიღოს ზომები თქვენი ცნობის შესამოწმებლად და განსაზღვროს გასაცემი სურსათისა და უცხოეთის ვალუტის რაოდენობა, აგრეთვე გაცემის პირობები.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 31 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

346
ვ. ვ. ადორატსკის

ამხ. ადორატსკი!

ლავრენტიევას[295] განცხადება გადავუგზავნე სმოლიანინოვს (ცვლის გორბუნოვს როგორც სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველს) მ ი ს ა მ ა რ თ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ გ ა ს ა გ ზ ა ვ ნ ა დ.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ მე ამ და ამგვარ საქმეებში ვერეოდე: და მთელი დახმარება, რომლის გაწევაც შეგიძლიათ მთხოვნელებისათვის, უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ გაუწიოთ მათ «ი უ რ ი დ ი უ ლ ი» დახმარება, ე. ი ა ს წ ა ვ ლ ო თ (და დაეხმაროთ) მათ **ომონ თავიანთი უფლებებისათვის** ყველა იმ წესის მიხედვით, რომლებიც რსფს რესპუბლიკაში არსებობს უ ფ ლ ე ბ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს კანონიერი ო მ ი ს საწარმოებლად.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 31 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

347
ვ. მ. მოლოტოვს
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის[296]

კისინისა და ბრიუხანოვის დასაბუთებანი სწორად მიმაჩნია. ხმას ვაძლევ მათ. არ შეიძლება დაისვას ცეკაში, სანამ დასმული არ იქნება სახკომსაბჭოში.

31/8.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 31 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

348

ბარათი ვ. ა. სმოლიანინოვს და ტელეფონოგრამა პ. ა. ბოგდანოვს

ამხ. სმოლიანინოვ!

გთხოვთ გაუგზავნოთ პ. ბოგდანოვს (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდ.) ხარკოვში შემდეგი ტელეფონოგრამა:

ხარკოვი
სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს
თავმჯდ. ბოგდანოვს
პირი ჩუბარს

კაკტინი «ეკონომიჩესკაია ჟიზნში» აღწერს საშინელ და ტაცებას და უმსგავსო უყაირათობას, მომხდარს კრივოი როგის აუზში. მიაქციეთ ყურადღება, უფრო ზუსტად გამოარკვიეთ პერსონალურად პასუხისმგებელი პირები.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ. ლენინი

1/IX.

დაწერილია 1921 წლის 1 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXII! ტომებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

349

ვ. ა. სმოლიანინოვს [297]

ამხ. სმოლიანინოვ! საჭიროა ეს საკითხი მომზადდეს **შრომისა და თავდაცვის საბჭოში** დასაყენებლად (ვინ არის ბოგდანოვის მოადგილე? საფრონოვი? მას უნდა შეუთანხმოთ).

გაურკვეველია, **მხოლოდ** საუკეთესო ფაბრიკებია გამოყო-

ფილი? ფაბრიკების **რიცხვი** ისე თუა შემცირებული, როგორც საჭიროა?

თუ «მოთხოვნილება» გაანგარიშებულია უღიმღამო და უიმედო ფაბრიკების გ რ ო ვ ა ზ ე?

ეს საკითხი და სხვა საკითხები **უფრო ზუსტად უნდა გაირკვეს.**

1/IX.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 1 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

350

ვ. ა. სმოლიანინოვს [298]

ამხ. სმოლიანინოვ!

საჭიროა: (1) გამოარკვიოთ, შეასრულეს თუ არა ქართველმა ამხანაგებმა პირობა (ხომ იყო ასეთი? პარტიული?) არ დაედოთ კონცესიები, თუ ჩვენი თანხმობა არ იქნებოდა?

(2) შეისწავლოთ, არსებითად ხელსაყრელია თუ არა ამ ხელშეკრულების პირობები (კერძოდ, ვინ არის სუპერარბიტრი?). ამისათვის ცენტრალური კომიტეტის საშუალებით დაინიშნოს 1 — 3 ექსპერტი და დაევალოს მათ მოგვცენ წერილობითი დასკვნა.

გააკეთეთ (ცენტრალური კომიტეტის საშუალებით) პირველიც და მეორეც.

ლ ე ნ ი ნ ი

1/IX.

დაწერილია 1921 წლის 1 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

351

გარათი ა. ს. ენუქიძეს
და წერილი სპარსელ შინამრეწველებს [299]

ამხ. ენუქიძე! გიგზავნით დასტურს, რომელსაც მთხოვდნენ. იქნებ თქვენ იცოდეთ, ვის და როგორ გავუგზავნოთ იგი.

1/IX. ლ ე ნ ი ნ ი

ძვირფასო ამხანაგებო! ვადასტურებ, რომ მივიღე საჩუქარი სპარსელი შინამრეწველებისაგან და მათ გულითად მადლობასა და დიდ მოკითხვას ვუთვლი.

1/IX. 1921. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

352

გ. ვ. ჩიჩერინს [300]

ეს სკობელევი უნდა **«შეიკვეცოს»**. ნულანსის დანიშვნა თავხედობაა.

1/IX. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 1 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები ბ. ო. გრაფტიოს წერილზე და დავალებები ნ. პ. გორბუნოვს

NB ...თუ დრო გექნებათ, აქედან (განცხადებიდან. რ ე დ.) შეგეძლებათ დაინახოთ, რა ბიუროკრატიული, უპასუხისმგებლო არეულ-დარეულობის, ხოლო ზოგჯერ თითქოს განზრახი წინააღმდეგობის წარმოუდგენელ პირობებში გვიხდება ვოლხოვის ჰიდროელექტრული ძალოვანი დანადგარის განხორციელების საქმის წარმოება, რომელიც თქვენ წამოიწყეთ ამხ. სმიდოვიჩის საშუალებით სამი წლის წინათ.

NB ...ძალიან მიმძიმს წაკაროვათ ძვირფასი დრო, მაგრამ ამას მაბედვინებს მხოლოდ სუში ღრმა რწმენა, რომ ვოლხოვის დანადგარი უნდა განხორციელდეს რადაც უნდა დაჯდეს. რაც შეიძლება მალე.

სასწრაფოდ

ამხ. **გორბუნოვ!** იკისრეთ (ან გადაეცით სმოლიანინოვს მასთან შეთანხმებით) ეს საქმე.

ვოლხოვმშენის მთავარი ინჟინრის ამხ. გრაფტიოს განცხადება და მოხსენება (25/8-ისა) ამყლავნებს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ან პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს, ან შ რ ო მ ი ს ა და თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო ს, ან ერთად აღებული ყველა ამ დაწესებულების **დანაშაულსაც** (საქმის გაჭიანურებას) და არაერთ შეცდომასაც.

ამიტომ წინადადებას გაძლევთ:

(1) დაუყოვნებლივ დაავალოთ ჩემი სახელით იუსტიციის სახალხო კომისარიატს გამოიძიოს საქმის გაჭიანურება და ს ა მ ა რ თ ა ლ ში მ ი ს ც ე ს დ ა მ ნ ა შ ა ვ ე ნ ი. ერთი კვირის ვადაში შეიტანოთ შ რ ო მ ი ს ა და თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო შ ი.

(2) მოაწყოთ თათბირი (მოიწვიეთ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო + პეტროგრადის დეპუტატთა საბჭო + სახელმწიფო საგეგმო კომისია და სხვა დაინტერესებული

უწყებანი), რათა ერთი კვირის ვადაში გამომუშავებულ იქნეს პროექტი შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა სამუშაოთა დაჩქარების და სწორად დაყენების ღონისძიებათა შესახებ[301] (იქნებ სელის ტრესტის ტიპის მიხედვით გრაფტიოს უფლებათა გაფართოებით?).

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

გამომიგზავნეთ ცნობა შესრულების შესახებ.

ლენინი

2/IX.

დაწერილია 1921 წლის 2 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

354

შენიშვნები ნ. ნ. კრესტინსკის მოხსენებით ბარათზე და დავალებები ნ. პ. გორბუნოვს

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს

...ცენტრალური და ადგილობრივი ფინორგანოებისათვის დაკისრებულ მოვალეობათა განხორციელების გზაზე უკანასკნელ ხანს ვხედებით განსაკუთრებით ხელშემშლელ დაბრკოლებებს, უმთავრესად კი იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოებს მთლად მივიწყებიათ კონსტიტუციის მითითებანი ხარჯთაღრიცხვების შედგენისა და მათ თანახმად ხარჯების წარმოების შესახებ, NB რაც მეტისმეტად საზიანო გავლენას ახდენს ბიუჯეტის საერთო მდგომარეობაზე და რასაც განსაკუთრებული არევ-დარევა შეაქვს ფულის მიმოქცევის სისტემაში.

საილუსტრაციოდ საკმარისი იქნება მოვიხსენიოთ აქ შემდეგი გარემოებანი: 1) ზოგიერთ რაიონში მუშებს ხელფასი ეძლევათ არა სატარიფო განაკვეთების მიხედვით, არამედ თავისუფალი ბაზრის ფასების მიხედვით, ამასთან იგი ხანდახან ადის 700 ათას მანეთამდე დღეში კაცზე (ვოლგისპირა რაიონი, დასავლეთი და აღმოსავლეთი გუბერნიები); 2) მსახიობებს და მუშაკებს საბჭოთა თეატრებში გასამრჯელოს აძლევენ არა სატარიფო განაკვეთების მიხედვით, არამედ დამატებებით ამ უკანასკნელთა მრავალი ასეული პროცენტის ოდენობით (ამასთან განსახკომის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით თეატრების შესანახად ნაანგარიშეია დაიხარჯოს 29 მილიარდი, ხოლო უმაღლესი სასწავლებლებისათვის — 17 მილიარდი); 3) საბჭოთა დაწესებულებებისა და საწარმოების მიერ მათთვის საჭირო საგნების შესყიდვა თავისუფალ ბაზარზე და, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის ფასებით ჩვეულებრივი, თითქოს წესად ქცეული მოვლენა გახდა...

უმსგავსობაა!!

საკასო დაწესებულებებისაგან ფულის ნიშნების მოთხოვნათა უსისტემობის უახლოესი დადასტურება შეიძლება იყოს საბჭოთა დაწესებულებების მიერ მოსკოვშიც ეი შეთვისებული პრაქტიკა, რომლის თანახმად მოსკოვის საბჭოს ორგანოები ისწრაფვიან, რომ მოსკოვის ფინგანს მათთვის ფულის ნიშნები დღეში ჰქონდეს სამ-სამი მილიარდი მანეთისა, ე. ი. თვეში 75 მილიარდი მანეთისა, მაშინ როცა ფინანსთა სახალხო კომისარიატის სებიუჯეტო განყოფილების და ცენტრალური სალაროს მონაცემების მიხედვით მოსკოვის საფინანსო განყოფილებისათვის კრედიტები ღღემდე გახსნილია მხოლოდ 188 მილიარდი მანეთისა, ე. ი. საშუალოდ არა უმეტეს 27 — 30 მილიარდი მანეთისა თვეში...

როგორღა «შეითვისეს» უფინსახკომოდ?

ამბ. **გ ო რ ბ უ ნ ო ვ!** ჩემი სახელით გაგზავნეთ ასეთი ქაღალდი: **ფინანსთა სახალხო კომისარიატს + მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატს + მცირე სახკომსაბჭოს** თავმჯდომარეს.

ვავალებ ფინანსთა და მუშგლეხინის სახალხო კომისრებს (ან მათს მოადგილეებს) დაუყოვნებლივ მოიწვიონ თათბირი მ ც ი რ ე ს ა ხ კ ო მ ს ა ბ ჭ ო ს თავმჯდომარის და სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის გორბუნოვის მონაწილეობით, რა-

თა შეიმუშაონ და ერთი კვირის ვადაში სახკომსაბჭოში შეიტანონ დადგენილებათა პროექტები კანონის აქ აღნიშნულ დარღვევათა წინააღმდეგ საბრძოლველად. მუშგლეხინის ყურადღებას მივაპყრობ მეთვალყურეობის გაუწევლობას.

როგორ შეიძლებოდა ამ ქაღალდში აღნიშნულ უმსგავსობათა მოთმენა აქამდე? კერძოდ, განსახკომს რომ გადახარჯვა აქვს თეატრებზე?

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

2/IX.

ამხ. **გ ო რ ბ უ ნ ო ვ!** თვალი მიადევნეთ, რომ აკურატულად და დროზე შესრულდეს. თუ გინდათ, თქვენს მაგივრად სმოლიანინოვი დააყენეთ ანდა დატოვეთ სამის თათბირი.

ლ ე ნ ი ნ ი

2/IX.

დაწერილია 1921 წლის 2 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა არასრულად 1928 წელს ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სრულად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 53

355

ნ. პ. გორბუნოვს

ამხ. გორბუნოვ!

დღეს გაზეთებში ვკითხულობ, რომ ყაზანში გამოუცდიათ (რასაც შესანიშნავი შედეგი მოჰყოლია) რ უ პ ო რ ი, რომელიც აძლიერებს ტელეფონს და ელაპარაკება თ ა ვ მ ო ყ რ ი ლ ხ ა ლ ხ ს.

შეამოწმეთ ოსტრიაკოვის საშუალებით. თუ სიმართლეა,

უნდა დაიდგას მოსკოვსა და პიტერში, და ბარემ შეამოწმეთ მთელი მათი მუშაობა.

მომცენ მოკლე წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ანგარიში:

1) მათი მუშაობის კალენდარული პროგრამა;

2) იგივე — მოლაპარაკე სატელეფონო სადგურისა 2000 ვერსზე მოსკოვში.

როდის იქნება მზად.

3) იგივე — მიმღებები. **რამდენი** მზადდება.

4) იგივე — რუპორები.

სალამი!

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია ორა უგვიანეს
1921 წლის 2 სექტემბრისა

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

356

ბარათი ნ. პ. ბრიუხანოვს და დეპეშა ხ. გ. პესტუნს [302]

ამხ. ბრიუხანოვ! დღეს დეპეშას ვუგზავნი პესტუნს; მისი პირი გამოართვით გლიასერს. თუ კიდევ საჭიროა დირექტივა ცეკასაგან, გამომიგზავნეთ დირექტივის მთელი ტექსტის **პროექტი.**

ეს დაუბრუნეთ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველს.

3/IX.

ლ ე ნ ი ნ ი

გომელი, საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეს
პესტუნს

წინადადებას გაძლევთ უზუსტესად შეასრულოთ ხოლმე სვიდერსკისა და რესკეს დირექტივები. მე მაქვს ცნობები,

რომ თქვენ ცენტრალური ხელისუფლების წესები არაერთხელ დაგირღვევიათ სურსათის სახალხო კომისარიატის სამუშაოთა დარგში. გაფრთხილებთ, რომ პასუხს გაგებინებთ პირადად თქვენ, თუ დადასტურდება ცენტრის დადგენილებებისა და წესების თუნდაც ერთი დარღვევა და თუ წესიერად და შეთანხმებულად არ იმუშავებთ რესკესთან ერთად. მიპასუხეთ ორიოდე სიტყვით დეპეშით და დაწვრილებით წერილით.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 3 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

357

ბარათი ვ. ა. სმოლიანინოვს და წერილი ნ. მ. კნიპოვიჩს

ვ. ა. სმოლიანინოვს

ამხ. სმოლიანინოვ!

წაიკითხეთ ეს და შეინახეთ უ ა ღ რ ე ს ა დ ს ა ი დ უ მ ლ ო დ, ნურავის აჩვენებთ [303].

ნ. მ. კნიპოვიჩი არა მარტო 1-ლი რანგის სამეცნიერო ძალაა, არამედ უთუოდ პატიოსანი ადამიანიც არის.

საჭიროა დროდადრო შეამოწმოთ ხოლმე თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველო, როგორ მიდის იქ საქმეები.

ნ. მ. კნიპოვიჩს მისი შვილის ბორის ნ. კნიპოვიჩის მეშვეობით (რომელიც ცხოვრობს აქ, მოსკოვში, მ ი წ ს ა ხ კ ო მ შ ი) გაუგზავნეთ შემდეგი ჩემი წერილი ბლანკზე (გადაიბეჭდოს მანქანაზე):

ნ. ვ. კნიპოვიჩს

პატივცემულო ნიკოლოზ მიხეილის ძევ! დიდად გმადლობთ 6/VIII-ს დაწერილებითი წერილისათვის. თქვენ, რა თქმა უნდა, თვალს ადევნებთ თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს მუშაობას. ძალიან გთხოვთ დროდადრო გამომიგზავნოთ ხოლმე შენიშვნები მისი მუშაობის მსვლელობაზე და პრაქტიკული წინადადებანი, თუ რაიმე მიზეზის გამო მათ «ამუხრუჭებენ» თევზის მრეწველობის მთავარ სამმართველოში.

გულწრფელი პატივისცემით ლ ე ნ ი ნ ი

3/IX. 1921 წ.

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

358
ვ. ა. სმოლიანინოვს

სმოლიანინოვს

აქ იმყოფება ბერლინიდან ჩამოსული ლაპინსკი (იპოვნეთ რადეკის მეშვეობით), რომელმაც იკისრა ერთი ჩემი დავალების შესრულება, რაც ეხება სასწავლო ატლასის შედგენას, განსაკუთრებით თანამედროვე იმპერიალიზმის შესასწავლად. გთხოვთ ესაუბროთ მას, გამოარკვიოთ, როგორ მიდის მისი მუშაობა (დამთავრების ვადები და სხვ.), ეს მუშაობა შეუთანხმოთ იმას, რაც კეთდება პიტერის კომისიაში კაისაროვის თავმჯდომარეობით, და შეადაროთ ქაღალდებს, რომლებიც სამდივნოშია.

ლ ე ნ ი ნ ი

3 — IX — 21 წ.

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

359
ბარათი მდივანს

§ 21.

ხელს არ ვაწერ.

ნაადრევია კრებულის დაბეჭდვა[304].

ჯერ დაიბეჭდოს გაზეთებში **მოკლე** ცნობა, მითითებანი: სად მოიძებნოს? რა არის მნიშვნელოვანი? და სხვ.

სამჯერ გაუკეთდეს რედაქცია კრებულს თვის განმავლობაში, 3 — 30. IX, და **მხოლოდ შემდეგ** დამტკიცდეს გამოსაცემად.

ლენინი

3/IX.

დაწერილია 1921 წლის 3 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

360
ნ. პ. გორბუნოვსა და ვ. ა. სმოლიანინოვს[305]

გორბუნოვსა და სმოლიანინოვს

ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:

1) მოვთხოვოთ ბელორუსიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს **ზუსტი** ანგარიშები;

2) გამოვიყენოთ მათი გამოცდილება რსფს რესპუბლიკის მთელი **ცენტროსოიუზისათვის;**

3) მივიღოთ ზომები, რომ შემცირდეს უსაქონლობა ბელორუსიის ფარგლებს გარეთაც.

მოეთათბირეთ კისინს, მიიღეთ ზომები და მაცნობეთ.

ლენინი

3/IX.

დაწერილია 1921 წლის 3 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

361

ნ. პ. გორბუნოვს [306]

ამხ. გორბუნოვ!

გაგზავნეთ შეკითხვა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიაში.

ტიხვინსკი «შემთხვევით» **რ ო დ ი ა** დაპატიმრებული: ქიმია და კონტრრევოლუცია ერთმანეთს არ გამორიცხავს.

ლ ე ნ ი ნ ი

3/IX.

დაწერილია 1921 წლის 3 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

362

* კომინტერნის აღმასკომის მდივანს

ჩვენთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გვქონდეს ზუსტი ცნობები, თუ როგორ მიმდინარეობს საზღვარგარეთელ მუშათა შემოწირულების შეგროვება რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად, და რომ ამ ცნობებს რეგულარულად ვიღებდეთ. ამის შესახებ პოლიტბიურომ გუშინ გამოიტანა დადგენილება *, რომელიც გამოგეგზავნათ. ვგონებ, საჭიროა დაინიშნოს პასუხისმგებელი პირები თითოეული ქვეყნისათვის, ან ქვეყნების ჯგუფისათვის, რათა ამ პირებმა თვალი ადევნონ სხვადასხვა პარტიების მუშათა პრესას და ამოიწერონ ზუსტი ციფრები, ამასთან, რა თქმა უნდა, იკმარონ მხოლოდ:

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 379 — 380. რ ე დ.

1) შემოწირულების შეგროვების შედეგები; 2) იმ ვალუტის ზუსტი აღნიშვნა, რომლითაც შეტანილია შემოწირულება; 3) იმ ვადის აღნიშვნა, თუ როდის არის შეგროვებული შემოწირულება; 4) იმ გაზეთების სახელწოდება, რომლებიდანაც აღებულია ცნობები, და იმ პარტიის ან ორგანიზაციის სახელწოდება, რომლებიც შემოწირულებას აგროვებდნენ.

საჭიროა ცალკე გამოიყოს პარტიების ან პროფკავშირების დადგენილებანი ერთი დღის ხელფასის გადარიცხვის შესახებ.

ძალიან გთხოვთ მიპასუხოთ, სახელდობრ რა გააკეთა აღმასკომმა და როდის უნდა მოველოდეთ პირველი შენაჯამები, ცნობების მიღებას.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 3 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ბ. ი. გლიასერის
ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

363

ვ. ი. ლენინი. ბ. ბ. ბოლოტოვს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის

ამხ. ბოლოტოვ!

საჭიროა კიდევ:

1) **არქისასტიკი** საყვედურით ლაგამი ამოვდოთ მელნიჩანსკის და პროფესიულ კავშირთა მოსკოვის საგუბერნიო საბჭოს (სკვორცოვ-სტეპანოვისა და ლიტკენსის გასამართლება). უკიდურესი თავხედობა და უსირცხვილობაა!! მე მოვითხოვ საყვედურს, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს **პოლიტბიუროს** სახელით [307];

2) გაუქმდეს **სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის** გადაწყვეტილება თეატრე-

ბისათვის 1 **მ ლ რ დ.** (მილიარდის) მიცემის შესახებ. **განსახ-კომის გვერდის ავლით!!** ეს კანონიერი არ არის. ეს უაღრესი უმსგავსობაა. მოვითხოვ გაუქმებას პ ო ლ ი ტ ბ ი უ რ ო ს საშუალებით.

ლ ე ნ ი ნ ი

4/IX.

დაწერილია 1921 წლის 4 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

364
ვ. ა. სმოლიანინოვს [308]

ამხ. სმოლიანინოვ!

ს ა ქ ო ნ ე ლ გ ა ც ვ ლ ი ს საკითხი **უმნიშვნელოვანესი** საკითხია. გავალებთ **პირველ რიგში** მას მიადევნოთ თვალი.

კერძოდ:

1) იპოვოთ № 97 «პროდოვოლსტვენაია გაზეტა» და **დაურთოთ** ამ საქმეს;

2) წინადადება მისცეთ **ცენტროსოიუზს შეავსოს** ხინჩუკის **ეს** მონაცემები და **დ ა ბ ე ჭ დ ო ს** ისინი;

3) გამომიგზავნოთ დაბეჭდილი, დააჩქაროთ ბეჭდვა;

4) **«ეკონომიჩესკაია ჟიზნში»** მოათავსოთ შენიშვნა, ყოველნაირად წაახალისოთ **შეგროვება** და გამოქვეყნება **ფაქტობრივი** ცნობებისა საქონელგაცვლის შესახებ (**რამდენია**, ან **რამდენად** ესა და ეს?).

ლ ე ნ ი ნ ი

4/IX.

დაწერილია 1921 წლის 4 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

365

ბარათი ვ. მ. მოლოტოვს და დავალება მდივანს [309]

სასწრაფოდ

ამხ. **მ ო ლ ო ტ ო ვ ს:** ვინაიდან ეს საკითხი **უაღრესად** მნიშვნელოვანია და (იმედი მაქვს) უდავოა, წინადადებას გაძლევთ წასაკითხავად გაუგზავნოთ **პოლიტბიუროს** ყველა წევრს და დაამტკიცოთ ტელეფონით (ჩემი შესწორებები ჩაითვალოს მიღებულად, თუ სადავოდ **ა რ** გახდიან **ა რ ც** ცენტრალური კომიტეტის წევრები, არც კომისიის წევრები, თუ სადავოდ გახდიან, გირჩევთ მიიღოთ ამ შესწორებათა **შეუტანლად**, ოღონდ ნუ **გ ა ვ ი ა ნ უ რ დ ე ბ ა**). სავალდებულოა აგრეთვე გატარდეს **პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალურ საბჭოში** და გამოქვეყნდეს **სახკომსაბჭოს** სახელით, ამასთან **ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ** აღინიშნოს: მოწონებულია როგორც **პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს,** ისე **რკპ ცენტრალური კომიტეტის** მიერ.

ამ თეზისებს ორშაბათს 5/IX ვუგზავნი პიტერში **ო ბ ო რ ი ნ ს** და ვთხოვ შემატყობინოს თავისი **აზრი ტელეფონით.** დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გვქონდეს პიტერელი პროფკავშირული მუშაკების აზრი (იმედი მაქვს, თანხმობაც).

ამხ. მოლოტოვს: საჭიროა მოითხოვოთ ამ **80 კაცის სახელობითი** სია და შეინახოთ **ცენტრალური კომიტეტის** არქივში ამ თათბირის **თარიღთან** ერთად.

ლ ე ნ ი ნ ი

4/IX.

სასწრაფოდ მოლოტოვს ლეპეშინსკაიას მიერ შესწორებათა ჩაწერის შემდეგ.

ლ ე ნ ი ნ ი

4/IX.

დაწერილია 1921 წლის 4 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

366

დეპეშა ციმბირის რევკომს [310]

ციმბირის რევკომი, ომსკი

წინადადებას გაძლევთ სასწრაფოდ მიიღოთ ზომები, რათა ადგილობრივმა ხელისუფლებმა არ შეაჩერონ ომსკში იამალის ექსპედიცია, ყოველნაირად შეუწყონ ხელი მის გამგზავრებას მუშაობის ადგილებზე საბრძოლო წესით. შესრულება მიდეპეშეთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 4 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტის მიხედვით

367

* ცენტრალური კომიტეტი, სტატისტიკური განყოფილების გამგეს ნ. ი. სოლოვიოვს [311]

5/IX.

ამხ. სოლოვიოვ! ხომ არ შეიძლება გამოჰყოთ უფრო დაწვრილებითი მონაცემები ს ა ბ ჭ ო თ ა თანამდებობებზე კომუნისტების განაწილების შესახებ (გარდა წითელი არმიისა):

სახალხო კომისარიატი,

განყოფილება,

ქვეგანყოფილება

და ა. შ.

და უფრო დაწვრილებით მუშაობის ხასიათი და გვარეობა

თუნდაც მოსკოვსა (ყველაზე მთავარია ის, რომ მოსკოვი უნდა გამოიყოს მაზრისაგან, თუ ეს შესაძლებელია; მოსკოვი მთავარი ცენტრია) და პიტერში.

ჩემი შთაბეჭდილება ასეთია: რკპ წევრების სტატისტიკა შეიცავს ძალიან ბევრ წვრილმანს, რომლებიც «ჩვეულებრივია» ყოველგვარ სტატისტიკაში, მაგრამ უმნიშვნელოა. ჩვენთვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს დაწვრილებითს ცნობებს **საბჭოთა** თანამდებობებზე განაწილების შესახებ.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 5 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

368

ა. ო. ალსკის [312]

საიდუმლოდ

5/IX.

ამხ. ალსკი!

გულდასმით უნდა ადევნოთ თვალი ოქროს ფონდის ხარჯვას.

ხომ არ შეიძლება ასე გაკეთოთ:

დაავალეთ შეადგინონ ცხრილი.

ოქროს ფონდი	**არის**	აქედან განაწილებულია (= დადგენილია # გაიცეს)	განაწილებისაგან თავისუფალია
7. XI. 1917-ისათვის			
7. XI. 1918			
» » 1919			
7. XI. 20			
1. I. 21			
1. VII. 21			
ან 1. IX (7. IX) 21			

ერთი სიტყვით, ცხრილი სრული სიცხადით უნდა გვიჩვენებდეს ხარჯების თანხასაც და **თავისუფალ ნაღდსაც** (ამა და ამ რიცხვისათვის).

ცხრილი შევადგინოთ ისე, რომ ჰორიზონტალური სვეტები გრძელდებოდეს (მ ი მ დ ი ნ ა რ ე ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა) თვეების მიხედვით. ეს მოძრავი ცხრილი, რომელიც რეგულარულად უნდა ივსებოდეს, აწარმოეთ თქვენთან, ფინანსთა სახალხო კომისარიატში.

მე გამომიგზავნეთ მისი პირი 1. IX. 1921-სათვის, ხოლო შემდეგ გზავნეთ ყოველკვირეული დამატებანი (მიმდინარე ხარჯები).

საერთო ჯამი უნდა შეიცავდეს **მ თ ე ლ** ოქროს **სრულიად** უკლებლივ.

გთხოვთ მაცნობოთ, როდის შეგეძლებათ გამოგზავნოთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

იქნებ, აქ საჭირო გახდეს 2 — 3 ვერტიკალური სვეტის დამატება: რუსეთიდან უკვე გაგზავნილია, ე. ი. გადახდილია. ან კიდევ, შეიძლება, — უარი ეთქვა გადახდაზე ან შემცირებულია და ა. შ.

დაწერილია 1921 წლის 5 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

369
ი. ი. ვიშნიაკს [313]

«მცირე პარიზი», ოთახი 5

პატივცემულო ამხანაგო!

დიდად გმადლობთ ცნობებისათვის ლალაიანცის შესახებ. ძალიან ვწუხვარ, რომ იგი რკპ რიგებს გარეთ აღმოჩნდა.

თუ შეიძლება, გთხოვთ უფრო დაწვრილებით მომწეროთ, რატომ არის იგი პარტიის გარეთ, როდის გავიდა პარტიიდან, როგორ ცხოვრობდა კოლჩაკის დროს ციმბირში და სხვა.

რადგან თქვენ ფიქრობთ, რომ სასარგებლოა ჩავაბათ იგი საბჭოთა მუშაობაში, ამიტომ გთხოვთ მომწეროთ აგრეთვე. მიგაჩნიათ თუ არა, რომ მან სამუშაო უნდა ეძებოს ირკუტსკში, ანდა იქნებ შესაძლებელი და მიზანშეწონილი იყოს სამუშაო ეძებოს სხვაგან, ვთქვათ, მოსკოვში.

კომუნისტური სალმით ლ ე ნ ი ნ.

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 5 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

370

გ. ვ. ჩიჩერინს

5/IX.

ამხ. ჩიჩერინ!

ბერზინის აზრი ინგლისის მუშათა მოძრაობის დაქვეითების შესახებ სათვალავში ჩასაგდები არ არის[314]. ბერზინმა ბევრი არა იცის რა და ყოველთვის «პესიმისტურადაა» განწყობილი.

ძალიან მაწუხებს, რომ მისი ბაგაჟი გაუჩხრეკიათ. ვფიქრობ, რომ ჩვენ უაღრესად **მკაცრად** უნდა ვიყენებდეთ წესს «თვალი თვალისა წილ» ინგლისის წარმომადგენლებისადმი. პედანტურად: ასევე **ცუდად** და ოდნავ უარესადაც ვიგდებდეთ აბუჩად. კეთდება ეს თუ არა?

შემდეგ, რაც შეეხება «ჰუვერელებს»[315], მთელი ძალით უნდა ვადევნოთ თვალი (ს ა გ ა რ ე ო ს ა ქ მ ე თ ა ს ა ხ ა ლ ხ ო კ ო მ ი ს ა რ ი ა ტ მ ა პრესისა და შეიძლება ზოგიერთი «ნაცნობის» საშუალებით); ხოლო მათგან უარესები (ვიღაც Lowrie?) «ჩავავლოთ» და დავიჭიროთ, რომ აურზაური ავუტეხოთ.

აქ საჭიროა სასტიკი, **შეუპოვარი** ომი.

ყველა ჩვენმა საზღვარგარეთელმა წარმომადგენელმა თუ იცის, რომ ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი მუშათა მიერ შეგროვებას (დამშეულთა დასახმარებლად) პ ი რ დ ა პ ი რ ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს? ამის შესახებ გაუგზავნეთ დეპეშა (ცირკულარული) მოთხოვნით: ყოველ დეპეშაში შიფრით უნდა გვაცნობონ: «ინგლისის (საფრანგეთის, შვეიცარიისა და ა. შ.) მუშებში შეგროვდა 2 კვირაში ამდენი და ამდენი».

მხოლოდ პირდაპირ ჩვენი მისამართით შეგროვებული.

საჭიროა გვაცნობონ ეს სწრაფად, ზუსტად, რეგულარულად.

კამპანია «ნანსენის სასარგებლოდ» და «ნანსენის წინააღმდეგ»[316] ნათლად გვიჩვენებს (თქვენ გამოგზავნეთ უაღრესად საინტერესო ამონაწერები «Daily Chronicle»-დან), რომ ნულანსს უნდა ვუპასუხოთ უაღრესად მკვეთრი უარით: ვუთხრათ უარი a limine *. მაშინ და მხოლოდ მაშინ მოვიგებთ, ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანთ «pro ნანსენელ» ელემენტებს და ბ ო ლ ო ს მ ო ვ უ ღ ე ბ თ ანტინანსენელთა თამაშს.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 5 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* — კარებშივე, ერთბაშად. რ ე დ.

371

ა. ო. ალსკის

ამხ. ალსკი!

მე გთხოვეთ ცნობები მხოლოდ აგვისტოდან *. გთხოვთ ამიერიდან:

1) აწარმოოთ ოქროს ფონდის ხარჯებისა და გაცემის განსაკუთრებული ჩაწერა ზუსტი ქრონოლოგიური წესით (რა თქმა უნდა, გარდა დაჯგუფებებისა სახალხო კომისარიატების მიხედვით ან დანიშნულების საგნების მიხედვით, თუ ასეთი დაჯგუფებები საჭიროა);

2) აუცილებლად გამოჰყოთ საერთო დადგენილებით მთელი თანხიდან (მაგალითად, სურსათისათვის ასიგნებული 100 მილიონიდან) დანიშნული ხარჯვის ნაწილები. დამატებითი ხარჯვისაგან, რომელიც გათვალისწინებული არ ყოფილა არავითარი საერთო დადგენილებით.

ამ წესების დაუცველად გამოგვიგვათ არა ანგარიში, არამედ ქაოსი, რომელშიც თქვენ თვითონ დაიბნევით. შემდეგი მითითებებისათვის დაველოდები პასუხს, რომელიც ხვალ უნდა გამომიგზავნოთ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 7 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 368. რ ე დ.

372

ა. მ. ნიკოლაევს

სრულიად საიდუმლოდ

ამხ. ნიკოლაევს
ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი

წინადადებას გაძლევთ სასწრაფო წესით დანიშნოთ რადიოს 3 სპეციალისტისაგან შემდგარი კომისია იმ შედეგებას საბოლოოდ გამოსაცდელად, რომლებიც მიღწეულია თქვენთვის ცნობილ ლაბორატორიაში სოფ. ბოგოროდსკოეში[317].

სასურველია, რომ კომისიის შემადგენლობაში იყოს ერთი პასუხისმგებელი კომუნისტი.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 7 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

373

ზ. ე. ზინოვიევს

ამხანაგო ზინოვიევ!

მივიღე განსახკომის რვა პროექტი[318], რომლებიც თქვენ გამომიგზავნეთ. ვერასგზით ვერ დაგეთანხმებით, რომ ეს საქმე არ უნდა დავაჩქაროთ და რომ პროექტებში რაიმე არასწო-

რი იყოს. ვშიშობ, რომ ყურადღებით არ წაგიკითხავთ. სკოლების მიმართ კომერციული პრინციპის გამოყენება პროექტებში არ არის. არის მხოლოდ ის, რომ ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით გლეხებს, მონაწილეობა მივაღებინოთ სკოლების მოვლა-პატრონობაში. ჩემი აზრით, ეს აბსოლუტურად სწორია, უთუოდ სასწრაფოდ საჭიროა. რა თქმა უნდა, ცალკეულ ნაწილებში შეიძლება საჭირო იყოს შესწორებები, რომლებიც შეტანილი იქნება პროექტის განხილვის დროს, მაგრამ, ვიმეორებ, ძირითადად ისინი აბსოლუტურად სწორია. მარტო მერვე პროექტში შეიძლება იპოვოთ კომერციული პრინციპის მსგავსი რამ, სახელდობრ ის უფლება, რომ მოეწყოს და იჯარით იქნეს აღებული საწარმოები განსახკომის დაწესებულებათა მოსამარაგებლად. მაგრამ ეს პროექტიც. სწორედ ის, რომლისთვისაც არ გაგისვამთ ხაზი, სავსებით მართებულად მიმაჩნია, რადგან ასეთი ზომების მიუღებლად სკოლების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესება და მასწავლებელთა შიმშილობის შემცირება შეუძლებელია. სრულებით არ მესმის, რაში ხედავთ თქვენ, რომ შესუსტდება პრინციპი ჩვენს ხელში სკოლების შენარჩუნებისა. მე ასეთი ვერაფერი ვნახე თქვენ მიერ ხაზგასმულ პუნქტებში, ვერც მერვე პროექტში საერთოდ. გლეხებს უნდა ვართმევდეთ სულ უფრო მეტსა და მეტს ადგილობრივი სკოლების მოვლა-პატრონობისათვის.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 8 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ლ. ა. ფოტიევას
ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

374

ტელეფონოგრამა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

ფ რ ი ა დ ს ა ს წ რ ა ფ ო დ

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს,
პირი ფინანსთა სახალხო კომისარიატს, მუშგლეხინის
სახალხო კომისარიატს და ინჟინერ გრაფტიოს
(ბინის ტელეფონი 1-72-49.
პოვარსკაია, 22, ბინა 3)

ვოლხოვის მშენებლობა, გრაფტიოს ცნობით, სურსათით უზრუნველყოფილია სექტემბერ-დეკემბრისათვის, მაგრამ მუშაობა შეჩერებულია ფულის ნიშნების უქონლობის გამო. სახელმწიფო ნაგებობათა მთავარი კომისია ვოლხოვის მშენებლობას სექტემბრისათვის აძლევს სულ 125 მილიონს, მაშინ როცა, გრაფტიოს სიტყვით, საჭიროა ერთ მილიარდზე მეტი.

წინადადებას გაძლევთ უზრუნველყოთ ვოლხოვის მშენებლობა საჭირო რაოდენობის ფულის ნიშნებით სამუშაოთა წარმოების დაჩქარების უზრუნველსაყოფად სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 30 მაისისა და 5 ნოემბრის დადგენილების თანახმად მიცემული ულუფების რაოდენობის შესაბამისად.

შემატყობინეთ შესრულება არა უგვიანეს 10 სექტემბრისა.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. (ლ ე ნ ი ნ ი)

1921 წ. 8 სექტემბერი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

375

ნ. პ. გორბუნოვს [319]

ამხ. ნ. პ. გორბუნოვ!

უპასუხეთ მას:

(1) იურიდიულ პასუხს მალე გამოგიგზავნით-თქო (ფორმულირება უნდა გაუკეთდეს, შემოწმდეს კურსკის, ჩიჩერინის, გოიხბარგის თანხმობით, ძალიან გულდასმით შემოწმდეს, იქნებ გამოიყენოთ ვლადიმირსკიც);

(2) **ატლასისათვის** შეტანილ იქნეს ყველა ეს რესპუბლიკა: მეზობელი, მეგობრული და სხვა ამგვარი ზოგადი ფორმულა (ატლასისათვის, სტატისტიკისათვის და გეოგრაფიისათვის).

9/IX. ლენინი

დაწერილია 1921 წლის 9 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

376

ნ. პ. გორბუნოვს [320]

უნარი უნდა გვქონდეს **ვიჭერდეთ** და ვსჯიდეთ საქმის **არა** განზრახ გაჭიანურებას, ვინაიდან «განზრახ» გაჭიანურებას ვერასოდეს დაიჭერ.

11/IX. ლენინი

დაწერილია 1921 წლის 11 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

377

* ნ. პ. გორბუნოვს [321]

დ ი დ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ა

1) მისწერეთ ქაღალდი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს; მომეცით ხელმოსაწერად;

2) შეადგინეთ შესრულების შემოწმების გეგმა (კალენდარული პროგრამა);

3) იგივე — შეკვეთების შესახებ გერმანიაში.

11/IX.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 11 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

378

* ნ. პ. გორბუნოვს [322]

საქმე უაღრესად მნიშვნელოვანია. გავალებთ **თვალყური ადევნოთ** შესრულებას და მომახსენოთ თვეში 2-ჯერ.

11/IX.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 11 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

379

დეპეშა ყველა საოლქო და საგუბერნიო ეკონომიურ თათბირს [323]

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
მრეწველობის ყველა განყოფილებისა და დარგისათვის,
პირი ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს

სამეურნეო მშენებლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ამჟამად უთუოდ ყველაზე საჭირბოროტო ამოცანაა იმ დაწესებულებათა და საწარმოთა რიცხვის შემცირება, რომლებიც სახელმწიფო მომარაგებაზე იმყოფებიან. სახელმწიფო მომარაგებაზე დატოვებულ უნდა იქნეს ყველაზე დიდი. საუკეთესოდ მოწყობილი და აღჭურვილი საწარმოების, ფაბრიკების, ქარხნების, მაღაროების მხოლოდ მინიმუმი, ამასთან ზუსტად შემოწმდეს არსებული რესურსები. გავალებთ დაუყოვნებლივ ერთხელ კიდევ მოახდინოთ ასეთი შემოწმება და ერთხელ კიდევ შეამციროთ სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფ საწარმოთა რიცხვი; იმ საწარმოთა სია, რომლებსაც სახმომარაგებაზე ტოვებთ, ახლავე შეადგინეთ და ამა წლის პირველი ოქტომბრისათვის გამოგზავნეთ შრომისა და თავდაცვის საბჭოში.

შესრულებისათვის პირადად აგებს პასუხს ეკონომსაბჭოებისა და განსაკუთრებით საგუბერნიო სტატისტიკური ბიუროების ყველა წევრი. საწარმოთა რიცხვის არასაკმაოდ გულმოდგინედ შემცირებისათვის პასუხისგებაში მივცემ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ. ლ ე ნ ი ნ ი

1921 წ. 12 სექტემბერი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით,
რომელიც შეჯერებულია
მანქანაზე გადაბეჭდილ
ვ. ი. ლენინის მიერ
ხელმოწერილ ტექსტთან

380

* სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ელექტროგანყოფილებას

პირი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

წინადადება გეძლევათ სავსებით ზუსტად, მშენებლობის მიერ დადგენილი ვადების მაქსიმალური შესრულებით, მოამარაგოთ კაშირის მშენებლობა საჭირო ელექტროტექნიკური მასალით.

კატეგორიულად მოვითხოვ, რომ კაშირის მშენებლობის მომარაგებაში არ იქნეს დაშვებული არავითარი შეფერხება, რასაც შეიძლება მოჰყვეს სამუშაოს შეუსრულებლობა დადგენილ ვადებში.

ცნობები მომარაგების მსვლელობის შესახებ გაეგზავნოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს, ამხ. სმოლიანინოვს.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 12 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

381

ს. ს. დანილოვს [324]

12. IX.

ამხ. დანილოვ!

«კლასის შიგნითაც» და ს ხ ვ ა კლასების მ შ რ ო მ ე ლ ე ბ ი ს თ ვ ი ს ა ც «ურთიერთდახმარების» გრძნობისა და სხვ. განვითარება უთუოდ **აუცილებელია.**

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 12 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება მდივნის
ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

382

ა. ვ. ლუნაჩარსკის

ლუნაჩარსკის
პირი ლიტკენსს

12. IX. 1921.

სკოლების მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 9/IX-ის კანონის § 10 განსახკომს ავალებს გამოსცეს ინსტრუქციები.

უაღრესი სიფრთხილეა საჭირო § 6-ის მიმართ (დასასრული, გადაცვლის უფლება) [325]. აუცილებლად სრული ანგარიშგებით ვადაზე; დაწვრილებითი წესები; წინააღმდეგ შემთხვევაში — ციხე ქურდობისათვის.

შეუთანხმეთ იუსტიციის სახალხო კომისარიატს და ხელმოწერის წინ მაჩვენეთ.

იგივე § 8 — გადასახდელი ბიბლიოთეკებისა და კლუბებისათვის.

უაღრესად ფრთხილად; არ შეიძლება ბიბლიოთეკებითა და კლუბებით სარგებლობის გაძნელება. მაჩვენეთ, სანამ ხელს მოაწერდეთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინ)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

383

ა. ა. იოფეს

13. IX. 1921 წ.

ამხ. იოფე!

პოლიტბიუროს დღევანდელი გადაწყვეტილება, როგორც ხედავთ (მას აქვე ვურთავ), უდიდესი ზომით აკმაყოფილებს თქვენს 9/IX-ის დეპეშას [326].

ძალიან გთხოვთ გამომიგზავნოთ უფრო დაწვრილებითი წერილობითი მოხსენება.

გარდა ამისა, პირადად მე, კარგად **რომ გავერკვე საკითხში**, გთხოვთ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოთ (თქვენს მოხსენებაში ან მოხსენების ცალკე დამატებაში) «რუსულ» (ველიკორუსულ ანუ კოლონიზატორულ) გადაჭარბებათაგან ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესების დაცვის საკითხს.

ადგილობრივ მცხოვრებთა დამოკიდებულება საფაროვისადმი? **ფაქტები**, ფაქტები და ფაქტები.

თვითონ ადგილობრივი მცხოვრებნი (საფაროვის მომხრენი)? სახელები? სტაჟი? ავტორიტეტი? (ფაქტები, ფაქტები...).

შეძლებენ თავის დაცვას? ნამდვილად? ისეთი მარჯვე, მტკიცე და ჯიუტი ადამიანის წინააღმდეგაც, როგორიც ტომსკია?

რამდენია ასეთი?

«ღარიბთა კავშირი» (საფაროვის მიერ შექმნილი?) — მისი შემადგენლობა? მნიშვნელობა? ძალა? როლი? ნუთუ მართალია, რომ **«ძალდატანებით»** შლიდნენ ფენებად ადგილობრივ მცხოვრებლებს?

ბამბა? მისი ბედი? ნუთუ მართალია, რომ ბამბას საფაროვი ღუპავს? **ფაქტები, ფაქტები.**

ფრონტები ფერგანაში? ბასმაჩობა? მისი დამოკიდებულება ტომსკისა და საფაროვის «ხაზისადმი»? ფაქტები და თურქმენეთის ცაკის ზუსტი გადაწყვეტილებანი ბასმაჩობის შესახებ? ფაქტები, რაში და როდის ვერ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს **ამ საკითხში** ტომსკი და საფაროვი ან მათი მომხრეები? (სათანადო გადაწყვეტილებათა ამონაწერები, რათა ზუსტად ჩანდეს, სახელდობრ როდის, სახელდობრ რაში ვერ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს ფორმალურად.)

ამ საკითხში ერთგვარი უთანხმოებანია ცეკას შიგნით.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გვქონდეს ზუსტი ინფორმაცია.

პირადად მე **ძალიან** ეჭვი მაქვს, რომ «ტომსკის ხაზს» (იქნებ, უფრო სწორად, პეტერსის ხაზს? ან პრავდინის ხაზს?

ლ ა ნ. **შემდ.**) ახასიათებს ველიკორუსული შოვინიზმი ან, **უფრო სწორად, გ ა დ ა ხ რ ა** ამ მხარეზე.

მთელი ჩვენი Weltpolitik-ისათვის * მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ **მ ო ვ ი პ ო ვ ო თ** ადგილობრივ მცხოვრებთა ნდობა; სამგზის და ოთხგზის მოვიპოვოთ; **დავამტკიცოთ,** რომ ჩვენ იმპერიალისტები **ა რ ა** ვართ, რომ ჩვენ ვერ შევიწყნარებთ **გადახრას** ამ მხარეზე.

ეს მსოფლიო საკითხია, გადაუჭარბებლად რომ ვთქვათ, მსოფლიო საკითხი.

აქ არქიწინდახედული უნდა ვიყოთ.

ეს თავს იჩენს ინდოეთში, აღმოსავლეთში, აქ ხუმრობა არ შეიძლება, აქ 1000-მაგად ფრთხილი უნდა ვიყოთ.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად წაწილობრივ დაიბეჭდა
1956 წელს № 193 «პრავდაში»

სრულად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის X X XVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

384
ე. მ. სკლიანსკის

13. IX. 1921 წ.

ამხ. სკლიანსკი!

გთხოვთ რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს სამუშაოთა შესახებ წარმომიდგინოთ ცნობები, რომლებიც ეხება ჩემს 30 მაისის წერილს და რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს პასუხს, ერთი კვირის ვადაში მასალის შეკვეთის თაობაზე [327].

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის X X XVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* — მსოფლიო პოლიტიკისათვის. რ ე დ.

385
ნ. ა. სემაშკოს [328]

13. IX. 1921 წ.

ამხ. სემაშკო!

სულ უფრო ხშირად მომდის ამბები, რომ მეტისმეტად უმსგავსო მდგომარეობაა ჩვენს კურორტებზე ყირიმსა და კავკასიაში: მექრთამეობა, პრივილეგიები ბურჟუებს და აღმაშფოთებელი დამოკიდებულება მუშებისადმი, ხოლო, რაც მთავარია, სრული უწესრიგობა მკურნალობაში და, რაც ყველაზე მთავარია, სრული მოუმარაგებლობა სურსათით.

გთხოვთ წარმომიდგინოთ ზუსტი ცნობები, რომლებიც ხელთა გაქვთ, დაუყოვნებლივ.

ხოლო შემდეგ — შემოწმების წესების შესახებ უფრო დაწვრილებით: რამდენი კურორტი (რამდენიდან?) იძლევა სწორ ანგარიშებს (სურსათის რაოდენობა — ავადმყოფთა ამა და აქ რიცხვზე? პერსონალზე და სხვ.) — აბაზანების (ტალახის აბაზანების) რიცხვი და სხვ.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

386
* სახკომსაბჭოს კანცელარიის მმართველობას [329]

პირი ნ. პ. გორბუნოვს

13. IX. 1921 წ.

გუშინ ვნახე, რომ სასწრაფო დოკუმენტი, რომელიც ფოტიევას ლ. ბ. კამენევისათვის მივეცი, თურმე წასულა «ჩვეულებრივი», ე. ი. იდიოტური გზით და რამდენიმე საათით დაი-

გვიანა, ხოლო მე რომ მეორედ არ ჩავრეულიყავი, დღეებს დაიგვიანებდა.

კანცელარიის ასეთი მუშაობა დაუშვებელია, და, თუნდაც ერთხელ კიდევ რომ თავი იჩინოს ასეთმა უაღრესად ტიპურმა გაჭიანურებამ და მუშაობის გაფუჭებამ, მივმართავ სასტიკ სასჯელს და პერსონალს შევცვლი. გიბრძანებთ:

1) ყოველი დოკუმენტი თუ პაკეტი, რომელსაც მე ვიძლევი გასაგზავნად, შეამოწმოს **პირადად** მორიგე მდივანმა (რომელსაც უნდა ჰყავდეს შემცვლელი, თუ სადმე წავიდა, და რომელიც უნდა უთანხმდებოდეს დღედაღამეობით მორიგე ტელეფონისტებს შეცვლის შესახებ);

2) გაკეთებულია თუ არა ყ ვ ე ლ ა წარწერა (საკუთარ ხელში; სასწრაფოდ; კონვერტზე ხელმოწერით და სხვ.):

3) მაშინვე გადაეცა თუ არა შიკრიკს;

4) აუცილებლად შ ე ა მ ო წ მ ო ს ტ ე ლ ე ფ ო ნ ი თ ადრესატთან;

5) მ ი ჩ ვ ე ნ ო ს დაბრუნებული ხელმოწერილი კონვერტი;

6) იგივე წესები ნამდვილად შეასრულონ ჯიხურში მყოფმა ტელეფონისტებმაც, თუ დაეალებები ექნებათ იმ საათებში, როცა მდივანი არ არის.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

387

ნ. პ. გორბუნოვს

ამხ. გორბუნოვ!

გთხოვთ დამნაშავენი დასაჯოთ: თუ პირველი შემთხვევაა, გამოეცხადოს საყვედური; თუ მეორეა ან არის დამამძიმებე-

ლი გარემოებანი, მაშინ გაფრთხილებთ, რომ დათხოვნილი იქნებიან, თუ მეტ აკურატობას არ გამოიჩენენ.

დააწესეთ შემოწმება: ერთხელ 100 შემთხვევიდან ან 1 დღე 15-დან და ა. შ.

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 13 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

388

ნ. ოსინსკის

მიწსახკომი, ამხ. ოსინსკის

გთხოვთ სასწრაფოდ მაცნობოთ, როგორ არის დაყენებული თესლის განაწილების საქმე დამშეულ გუბერნიებში, ამასთან აღნიშნოთ:

1) მოსახლეობაში თესლის განაწილების პრინციპები (ყველას ეძლევა თუ მხოლოდ იმათ, ვისაც მიწა მომზადებული აქვს დასათესად, შემოღებულია თუ არა და როგორ ხდება მოხნული ფართობის შემოწმება და სხვ.

2) მიწსახკომის ორგანოების ფაქტობრივი მონაწილეობა სათესლე ტვირთების მიღებაში, მათს შენახვაში, რკინიგზის სადგურებიდან ადგილებზე მიტანაში, თესლის დახარისხებაში და, თუ არის ცნობები, რა ტემპით მუშაობენ მიღების ცენტრალური პუნქტებიდან ადგილებზე თესლის მისატანად.

3) მოწყობილია თუ არა და როგორ თესლის გაცემის აღრიცხვა (ადგენენ თუ არა სიებს, სახელდობრ ვის — პერსონალურად, თუ რომელ კოლექტივს — ეძლევა თესლი, რა რაოდენობით).

4) დაწესებულია თუ არა იმის კონტროლი, რომ თესლი

ნამდვილად მოხმარდეს თესვას და არა სასურსათო საჭიროებას.

თესლის სწორად განაწილების საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

მიუხედავად ამისა, თუ ვიმსჯელებთ კ. მიასკოვის შენიშვნის მიხედვით «საგაზაფხულო და საშემოდგომო თესვის კამპანიები», რომელიც მოთავსებულია № 202 «იზვესტია ვციკ»-ში, და ზოგიერთი სხვა ცნობის მიხედვით, აქ ყველაფერი რიგზე როდია.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

დაწერილია 1921 წლის 14 სექტემბერს.

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

389

გ. ვ. ჩიჩერინს [330]

ამხ. ჩიჩერინ!

ჩემი აზრით, უნდა გადავაჩვიოთ ამ მანერას. ხომ არ შეიძლება ასე გადავაჩვიოთ: ვუპასუხოთ ფორმალურად და წერილობით «ნოტის» დამოწმებით. მაშინ მიხვდებიან, რომ ჩვენ დავუწყებთ (მალე) **საჯაროდ** გამასხარავებასა და gifler *-ს ხელმოუწერელი ნოტებისათვის.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — სილის **გაწვნა. გაწკეპლვა. რ ე დ.**

390

ნ. პ. გორბუნოვს

17. IX. 1921.

ამხ. გორბუნოვ!

თურმე კურსკი და ჩერლიუნჩაკევიჩი ისე წასულან, რომ ფორმალურად არ ჩაუბარებიათ თავიანთი საქმე — სახელდობრ: მცირე სახკომსაბჭოს ოქმების ხელმოწერა. ეს უდიდესი უკანონობაა. ახლავე აღადგინეთ წესრიგი: ა) შეადგინეთ ოქმი, ბ) ტელეგრაფით მოსთხოვეთ პასუხი კურსკისა და ჩერლიუნჩაკევიჩს, გ) დანიშნეთ და დაიწყეთ **საქმე** კურსკისა და ჩერლიუნჩაკევიჩის მიერ თავიანთი მოვალეობის დარღვევის შესახებ.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით, რომელიც შედარებულია მანქანაზე გადაბეჭდილ პირთან

391

ქ. ბ. რაკოვსკის

ხარკოვი, ამხ. რაკოვსკის, პირი ამხ. ვლადიმიროვს

რსფსრ სურსათის სახალხო კომისარიატმა ფულის ნიშნებით გადმოგიგზავნათ 20 მილიარდი მანეთი, აქედან 10 — კიევს, 10 — ხარკოვს პურისა და პირუტყვის საყიდლად. ნავარაუდევია უახლოეს ხანში უკრაინის ფულის ნორმის გადამეტებით სისტემატურად გამოგეგზავნოთ ხოლმე ფულადი სახსრები თვეში 50 მილიარდამდე, რომლის სპეციალური დანიშნულება იქნება პურის შესყიდვა. რკპ ცენტრალური კომიტეტი წინადადებას გაძლევთ: 1) მტკიცედ დაჯავშნოთ ეს გამოგზაგ-

ნილი თანხები აღნიშნული მიზნისათვის ფინსახკომის ყველა ორგანოს პირადი პასუხისმგებლობით, 2) დაავალოთ სასურსათო ორგანოებს გაგზავნილი სახსრები უკრაინის სურსათის სახალხო კომისარიატისა და სურსათის საგუბერნიო კომისრების პასუხისმგებლობით ხარჯონ მხოლოდ და მხოლოდ პურისა და პირუტყვის შესასყიდად. რკპ ცენტრალური კომიტეტი წინადადებას გაძლევთ რეგისტრაციაში გაატაროთ რსფსრ სახკომსაბჭოს 23 აგვისტოს დეკრეტი და მას დაურთოთ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დამატება მარილზე მონოპოლიის შესახებ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 19 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

392

კირსანოვის სამაზრო ეკონომიურ თათბირს [331]

პირი ტამბოვის საგუბერნიო აღმასკომს

პატივცემულო ამხანაგებო!

ვუერთებ ჩემს მადლობას ანგარიშის სხვებზე ადრე გამოგზავნისათვის და გეახოვთ მომავალშიც სანიმუშო იყოთ ანგარიშგების დარგში.

19/IX.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 19 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

393

ნ. პ. ბრიუხანოვს [332]

თუ ბრიუხანოვი არ არის, ფრუმკინს
(პირი ნ. პ. გორბუნოვს)

19. IX. 1921.

ამხ. ბრიუხანოვ!

დღეს ხელი მოვაწერე დეპეშას მოსკოვისათვის 1,2 ‰ ფუთი თივის შესახებ.

ვფიქრობ, სწორი არ არის, რომ ყველა ამგვარი დეპეშა ხელმოსაწერად მე მეძლეოდეს. საჭიროა — იქნებ თანდათანობით, მაგრამ მაინც საჭიროა გადავდიოდეთ და **გადავიდეთ** იმაზე, რომ ვასწავლოთ ადამიანებს (მათ შორის საგუბერნიო აღმასკომებს) ჩემ ხელმოუწერლადაც ასრულებდნენ - ნორმალურად ასრულებდნენ და არა მარტო ექსტრაორდინარულად ასრულებდნენ.

გაგზავნეთ 2—3 დეპეშა საბრძოლო ბრძანების წესით, თვალი მიადევნეთ, არ შეასრულებენ — მკაცრად დავსაჯოთ და სასჯელი შევამოწმოთ.

გთხოვთ მაცნობოთ ადგილობრივი დაწესებულებების **ნორმალურ** დისციპლინაზე გადაყვანის ზუსტი გეგმა (და კალენდარული პროგრამა).

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

394

ე. ზ. ვოლკოვს

ამხ. ვოლკოვ!

19. IX. 1921.

წავიკითხე თქვენი წერილი[333]. თქვენ ცდებით. ჩვენი პოლიტიკა კი არ ჩაშლის საფრანგეთთან ურთიერთობას (სავაჭრო ურთიერთობას), არამედ დააჩქარებს მას.

ჩვენ უკვე მოვიგეთ, საფრანგეთი ინტერვენციის გეგმებს რომ ჩამოვაშორეთ, და უფრო მეტს მოვიგებთ.

ჩვენ გვაქვს საფრანგეთთან სავაჭრო მოლაპარაკების გზა.

კომ. სალამით ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

395

ვ. ვ. კუიბიშევს

19. IX. 1921 წ.

ამხ. კუიბიშევ!
ჩემთან ახლა იყვნენ
რუტგერსი,
კალვერტი
და ჰეივუდი,
ამერიკის მუშათა კოლონიის იმ ჯგუფის წარმომადგენლები, რომელსაც სურს აიღოს ნადეჟდინოს ქარხანა და რამდენიმე საწარმო კუზნეცკის აუზში[334].

ისინი გვთხოვენ, რომ მათი წარმომადგენელი (თარჯიმნიანად) პირადად იყოს შრომისა და თავდაცვის საბჭოში პარასკევს. ვფიქრობ, ამის ნება უნდა დავრთოთ.

მერმე თქვენს ყურადღებას მივაპყრობ და გთხოვთ აცნობოთ კომისიისა და ქვეკომისიების ყველა წევრს შეძ-ლეგი:

(1) ნადეჟდინოს ქარხანა, მათი აზრით, ეკონომიურადაც და ტექნიკურადაც დაკავშირებულია საწარმოთა ჯგუფთან კუზნეცკის აუზში, რადგან იგი მოგვცემს ტრაქტორებს მათი სამიწათმოქმედო მეურნეობებისათვის; ტრაქტორებსა და ყოველგვარ სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღებს გლეხებისათვის; აწარმოებს მანქანების შეკეთებას მათი ჯგუფის საწარმოებისათვის კუზნეცკის აუზში, ციმბირთან დამაკავშირებელი წყლის ტრანსპორტის მოწყობილობას და სხვ.

(2) კუზნეცკის აუზში ისინი იღებენ 12 000 დესეტინა მიწას და **რამდენიმე** საწარმოს, რადგან სურთ შექმნან დიდი და დასრულებული ეკონომიური ერთეული.

(3) ისინი გვთხოვენ **სულ** 300 000 დოლარს ფულად. სხვა აზრი შეცდომაა.

(4) გარდა ამისა, უნდათ პური და ტანსაცმელი, რათა **ახლავე** უფრო სწრაფად დაძრან საჭირო სამშენებლო სამუშაოები. ამ ზამთარსვე უნდა დავიწყოთ, რომ 1922 წლის გაზაფხულისათვის მოვასწროთ გაკეთებაო.

(5) ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ შექმნიან თავიანთი მუშათა ჯგუფის მტკიცე ადმინისტრაციას; ხოლო მთელ ჯგუფს (3000 — 6000 მუშას) შეარჩევენ საუკეთესო მუშებიდან, მეტწილად ახალგაზრდებსა და უცოლოებს, რომლებსაც პრაქტიკულად აქვთ შესწავლილი სათანადო წარმოება, უცხოურიათ რუსეთის მსგავს კლიმატურ პირობებში (კანადა ან შეერთებული შტატების ჩრდილოეთი ნაწილი).

(6) მათ უნდათ, რომ უშუალოდ იყვნენ დამოკიდებული შრომისა და თავდაცვის საბჭოზე. მუშათა

ასოციაციისაგან შედგენილი ავტონომიური სახელმწიფო ტრესტის მსგავსი რამ.

სხვათა შორის. ისინი ამბობენ, რომ აქ «ემიგრანტთა სახლში» 200 ამერიკელი ტყის მუშა ცხოვრობს. მეტ წილს სამუშაო არა აქვს. მუშაობა ენატრებათო. მათგან 30 **ახლავე** გაგზავნეთ ნადეჟდინოს ქარხანაში და 15 კუზნეცკის აუზში, მიეცით სრული აღჭურვილობა და საჭმელი, და ისინი ა ხ ლ ა ვ ე შეუდგებიან ხის ბარაკების მშენებლობასო. (მერე კი ორასივე წავა). ძალიან გვთხოვენ დავაჩქაროთ მათი გაგზავნა.

ამბობენ, რომ გერბეკს (? ზუსტად ვერ გავიგე ინგლისური გამოთქმა), ურალის ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი უ რ ო შ ი რომ არის, სიტყვიერად მიუცია მათთვის თ ა ნ ხ მ ო ბ ა მათს გეგმაზე, ხოლო ციმბირელებს (ციმბირის სამრეწველო ბიურო)— წერილობით.

რუსულად მოლაპარაკე მუშებს აიყვანენ 10 — 15%-ს შეუძლიათ მეტიც აიყვანონ.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ყოველივე ეს.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბ. ჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

396

ი. ი. მიროშნიკოვს

ამხ. მიროშნიკოვს

პირი ამხ. გორბუნოვს

მაცნობეს, რომ ლიფტი არ იმოქმედებს 20, 21 და 22 სექტემბერს.

ეს უდიდესი უმსგავსობაა. არიან გულით ავადმყოფი ადამიანები, რომლებისთვისაც ასვლა მავნე და საშიშია. ათასჯერ

დამივალებია თვალყური ედევნებინათ ლიფტისათვის, დავნიშნე პასუხისმგებელი პირი.

გიცხადებთ სასტიკ საყვედურს, გავალებთ გაარკვიოთ, ვის მიუძღვის ბრალი დროზე გაუფრთხილებლობაში; ერთხელ კიდევ მაცნობეთ პასუხისმგებელი პირების სია და მათ მიმართ სასჯელის რა ზომებია მიღებული.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1921 წლის 19 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

397

ნ. ბ. გორბუნოვს

20. IX. 1921 წ.

ამხ. გორბუნოვ!

გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რომ შემიგროვონ 'მემდეგი ლიტერატურა:

1) ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი რუსულად ელექტრიფიკაციის შესახებ გ ა რ დ ა წიგნისა «ელექტრიფიკაციის გეგმა».

კრჟიჟანოვსკისა და რამზინის მოხსენებები პიტერში. — კუშნერის ბროშურა. — სხვა ბროშურები ელექტრიფიკაციის შესახებ — ვ ლ ა დ ი მ ი რ ი ს საგუბერნიო აღმასკომის გამოცემა ელექტრიფიკაციის შესახებ **და სხვა ადგილობრივი გამოცემები.**

2) გერმანულად ახალი ლიტერატურა (1915 — 1921) სხვადასხვა ქვეყნებში ელექტრიფიკაციის მდგომარეობისა და მისი

ამოცანების შესახებ და სხვ. (კრჟიჟანოვსკისა და სხვათა საშუალებით).

ყველაფერი ეს მიშოვნეთ 1 — 2 კვირაში 2 თვის ვადით ივ. ივ. სკვორცოვისათვის (სტეპანოვისათვის) [335].

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

398

ვ. ვ. ადორატსკის

ამხ. ადორატსკი!

ხომ ვერ დამეხმარებოდით შემდეგი 2 რამის პოვნაში:

1) ენგელსის იმ სტატიისა (თუ ადგილისა ბროშურიდან? თუ წერილისა?), სადაც იგი 1648 და 1789 წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით ამბობს, რომ, როგორც ჩანს, არის კანონი, რომელიც რევოლუციისაგან მოითხოვს წავიდეს უ ფ რ ო წ ი ნ, ვ ი დ რ ე მ ა ს ძ ა ლ უ ძ ს, ნაკლებ მნიშვნელოვან გარდაქმნათა განსამტკიცებლად?

მახსოვს, რომ ეს დაბეჭდილი იყო ჩვენს საზღვარგარეთის ბოლშევიკურ გაზეთში («პროლეტარი»?) 1908 — 1912 წლების ეპოქაში, მაგრამ მახსოვს ბუნდოვნად [336];

2) ენგელსის 12. IV. 1853-ის წერილისა ვაიდემაიერისადმი. დიდი მადლობელი ვიქნები დახმარებისათვის.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 20 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

399

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს

ცენტრალური კომიტეტის **საორგანიზაციო ბიუროს**

პირადად ვიცნობ ამხ. შაპოვალოვს ძალიან დიდი ხანია, გადასახლებიდან მე-19 საუკუნის დამლევს და ემიგრაციიდან მე-20 საუკუნის დამდეგს. ვადასტურებ, რომ სავსებით ერთგული და პატიოსანია, საუკეთესოთაგანი ძველ პარტიულ გვარდიაში. ამიტომ ჩემ მოვალეობად მიმაჩნია მხარი დავუჭირო მის თხოვნას, რომ შესაძლებლობა მიეცეს წავიდეს საზღვარგარეთ სამკურნალოდ და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში სამუშაოდ.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

22/IX.

დაწერილია 1921 წლის 22 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს ჟურნალში «ეროვნული ისტორია კპსს», № 2

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

400

ვ. ა. ავანესოვს

მუშგლეხინი, ამხ. ავანესოვს

კაშირმშენის მომარაგებაში საქმის გაჭიანურების შესახებ

ამასთან გიგზავნით კაშირმშენის სამ მომართვას. შრომისა და თავდაცვის საბჭოში ყოველდღე შემოდის კაშირმშენის საჩივრები, რომ ჭიანურდება და ფერხდება სურსათით მომარაგე-

ბის საქმე. კაშირმშენის მშენებელთა ენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილი პირდაპირი დანიშნულების ნაცვლად სურსათით მომარაგების მიღებისათვის ბრძოლას ხმარდება. ამას ბოლო უნდა მოეღოს. იმ განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, რომელშიც ჩაყენებულია კაშირმშენი, ეს სავსებით შესაძლებელია, ჩვენი სასურსათო მდგომარეობის პირობებშიც კი.

წინადადებას გაძლევთ დანიშნოთ პასუხისმგებელი მუშაკი, დაავალოთ მას სასწრაფოდ გამოიძიოს კაშირმშენის მომარაგების მიმდინარეობა და წესი და ვისი მიზეზით ხდება საქმის გაჭიანურება, პასუხისგებაში მიცემულ იქნენ დამნაშავენი და, თუ საჭირო გახდება, გამომუშავებულ იქნეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების პროექტი, რომელიც მოაწესრიგებს კაშირმშენის მომარაგების საქმეს [337].

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

დაწერილია 1921 წლის 23 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

401

დ. ბ. რიაზანოვს

ამხ. რიაზანოვ! მე ძ ა ლ ი ა ნ ვუჭერ მხარს ამხ. ადორატსკის თხოვნას, ადორატსკისა, რომელმაც საკმაოდ დიდი და სასარგებლო მუშაობა გასწია [338]. მარქსისა და ენგელსის **ყველა** წერილის შეგროვებას დიდი მნიშვნელობა აქვს, და თქვენ ამას სხვებზე უკეთესად გააკეთებთ.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ

დაწერილია 1921 წლის 23 სექტემბერს
გაგზავნილია ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

402

ჰიდროტორფისათვის საზღვარგარეთული შეკვეთების გაცემის ბერლინის დროებითი კომისიის წევრებს [339]

გთხოვთ განსაკუთრებით აკურატულად შეასრულოთ, რათა 1922 წ. 1. II-ისათვის მზად იყოს ბერლინში და აუცილებლად 1922 წ. 1. III-ისათვის ყველაფერი იყოს მოსკოვში. ანგარიშები იყოს მოკლე, მაგრამ აკურატული, ყოველთვიური. ტექნიკური შემოწმებისათვის პასუხისმგებელია კომისია. თუ საჭიროა, მივცემთ პრემიებს. ხელიდან არ გაუშვათ, როგორც უკვე არაერთხელ მოგსვლიათ ამ საქმეში.

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 24 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

403

ბ. ე. ზინოვიევს

ამხ. ზინოვიევს

პირი: რადეკს
» რაკოშის
» «პრავდის» მდივანს

24. IX. 1921 წ.

«პრავდაში» დაიწყეს ცნობების ბეჭდვა უცხოელი მუშების მიერ რუსეთის დამშეულთათვის დახმარების შეგროვების შესახებ [340].

ჩვენ გვჭირდება არა ასეთი ცნობები. რადგან ეს მ ო თ ხ რ ო ბ ა გამოდის. «მოთხრობებისათვის» კი ჩვენ ქაღალდი არა გვაქვს, დრო არა გვაქვს ვიკითხოთ ისინი. ეს სრულებით არ არის საჭირო.

საჭიროა ძალიან მოკლე ცხრილები თვეში 2-ჯერ შემდეგი ნიმუშის მიხედვით:

გერმანია — 10 მლნ	მარკა =	დაახლოებით (	) ოქროს მანეთს
ავსტრია — 10 „	კრონა =	დაახლოებით (	) ოქროს მანეთს
სულ — — — —		დაახლოებით (	) ოქროს მანეთი

ეს იქნება 20 — 30 სტრიქონი თვეში 2-ჯერ.

ბევრი არ არის.

ასე და მხოლოდ ასე გვესაჭიროება. ჯ ა მ ი ო ქ რ ო ს მ ა ნ ე თ ო ბ ი თ. ძალიან გთხოვთ გააჭიროთ ეს და მიპასუხოთ.

კომ სალმით ვ. ულ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

404

დეპეშა ნ. ნ. ნარიმანოვს

შიფრით

26/IX. 1921.

ბაქო

ნ ა რ ი მ ა ნ ო ვ ს

არავითარ შემთხვევაში არ დადოთ ხელშეკრულება საგარეო ვაჭრობის შესახებ არც გერმანელებთან, არც სხვა ვინ-

მესთან, თუ არ გექნებათ საგარეო ვაჭრობის საოლქო კომიტეტის თანხმობა და რკპ ცეკას სანქცია. მიპასუხეთ ტელეგრაფით მიღებისა და შესრულების შესახებ, შემდეგ კი ყველაფერი დაწვრილებით მაცნობეთ წერილით.

ლ ე ნ ი ნ ი *

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

405

კ. ბ. რადეკს

ამხ. რადეკ!

დიდად გმადლობთ გამოგზავნილი მასალებისათვის. გიბრუნებთ მათ. ჩემს აზრს ვერ გეტყვით, რადგან საქმე ჩემთვის ნათელი არ არის: ის, რასაც თქვენ ხაზი გაუსვით და რაც მე წავიკითხე, სრულებითაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ აზრი გამოვთქვა.

სხვათა შორის. ჯენარი თუ ნახოთ, მადლობა გადაეცით მისი 1921 წ. 18. IX-ის წერილისათვის «კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის ამხანაგ წევრებს».

ნათელი, ზუსტი და დამაჯერებელია ბ ო ლ ო მ დ ე.

სერატი შეშჩანური უფზობისა და პოლიტიკანური თაღლითობის ნარევია. თუ ჯენარი და სხვა ამხანაგები, — რა თქმა უნდა, თქვენ და ზინოვიევი მათ რიცხვში, — სასარგებლოდ მიიჩნევდით, რომ ესე გავიმეორო პრესაში, ა მ ა ს ხ ა ლ ი ს ი თ გ ა ვ ა კ ე თ ე ბ. მაშინ ჯენარიმ გამომიგზავნოს

* ამას მოსდევს ი. ბ. სტალინის ხელმოწერა, დაწერილი ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

«Avanti!»-ში დაბეჭდილი სერატის სტატიის დ ე დ ა ნ ი, და მე მივწერ 20 სტრიქონს პრესისათვის წერილის სახით. მაგრამ ვეჭვობ, რომ ღირდეს ამის გაკეთება.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 26 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

406

პროექტი დეპეშისა შეშის გამოზიდვის სამკვირეულის მოწყობის შესახებ და დავალება მდივანს [341]

ყველა სამხარეო, საგუბერნიო და სამაზრო ეკონომიურ საბჭოს,
პარტიის საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებს,
საგუბერნიო და სამაზრო აღმასკომებს, ხე-ტყის დამზადებისა და რკინიგზების მოწყობილობის საგუბერნიო კომიტეტებს
და რკინიგზების ყველა უფროსს

ტყიდან შეშის გამოზიდვის სეზონი მთავრდება. 2 — 3 კვირის შემდეგ შემოდგომის ტალახი და უგზოობა შეწყვეტს დამზადებული სათბობის გამოტანას ტყიდან, სანამ სამარხილე გზა გაიმართებოდეს. იმ შეშის რაოდენობა კი, რომელიც ამჟამად რკინიგზის ხაზთან არის მიზიდული და სატყეო მრეწველობის მთავარი კომიტეტის გეგმით გაზიდულ უნდა იქნეს ზიდვის დარჩენილი მოკლე პერიოდის განმავლობაში, სრულებით ვერ უზრუნველყოფს ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობას. იქმნება ყველაზე მნიშვნელოვანი რკინიგზის ხაზების სრული გაჩერების საფრთხე.

ტრანსპორტის შესაძლო კატასტროფის თავიდან აცილებისათვის შრომისა და თავდაცვის საბჭო გიბრძანებთ 1 ოქტომბრიდან გამოაცხადოთ სათბობის გამოზიდვის სამკვირეული, ამ პერიოდისათვის მოახდინოთ მთელი ძალებისა და საშუალებების მობილიზაცია სათბობის გამოსაზიდავად რკინიგზის ხაზებთან, ეს მუშაობა თავისი დიდი მნიშვნელობის მიხედვით გაუთანაბროთ სასურსათო გადასახადის აკრეფას.

დაუყოვნებლივ მოიწვიეთ ეკონომთათბირის სხდომა რკინიგზების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რათა მიღებულ იქნეს ყველა ზომა დადგენილი ნორმების გადამეტებით შეშის მაქსიმალური გამოზიდვის მისაღწევად, ეცადეთ გამოზიდვა ერთიორად გაადიდოთ მოცემულ ნორმებთან შედარებით, სასურსათო ფურაჟის ხარჯვა ზუსტად აწარმოოთ ამასთან ერთად დაგზავნილ განწესთა მიხედვით, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვათ გადახრა განწესებიდან. მიღებულ ღონისძიებათა შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ შრომისა და თავდაცვის საბჭოს.

ყველაზე კატასტროფულ მდგომარეობაში არიან ყაზანის, ჩრდილო-დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის, კიევ-ვორონეჟის, ნიკოლაევის და ციმბირის რკინიგზები. ამიტომ იმ გუბერნიებში, რომლებზეც გადის ეს უმნიშვნელოვანესი რკინიგზის ხაზები, დაძაბულ უნდა იქნეს მთელი ენერგია, მთელი ძალები და საშუალებები მაქსიმალური შედეგების მისაღწევად.

ენერგიული შესრულებისათვის პერსონალურად პასუხისმგებლებად ცხადდებიან საგუბერნიო აღმასკომების თავმჯდომარეები, საგუბერნიო სატყეო კომიტეტების თავმჯდომარეები და საგუბერნიო საგანგებო კომისიების თავმჯდომარეები საბჭოთა და პარტიული წესით.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.

ვ. ულიანოვი (ლენინი) *

---

* დეპეშას ხელს აწერენ აგრეთვე სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ი. კალინინი და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. მ. მოლოტოვი. რ ე დ.

წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ შეათანხმოთ ტელეფონით, რათა ხვალ, 28. IX, მოასწროთ ტელეფონითვე გააცაროთ პოლიტბიუროშიც და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმშიც.

ლ ე ნ ი ნ ი

27/IX.

დაწერილია 1921 წლის 27 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელიც შევსებული და ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

407

გ. კ. ორჯონიკიძეს

28. IX. 1921 წ.

ამხ. ორჯონიკიძე!

გთხოვთ **შეუთანხმდეთ** ამხ. კრუმინს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს ორგანოს «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» რედაქტორს. იმის შესახებ, რომ კავკასიიდან იგზავნებოდეს კორესპონდენციები:

ა) მუდმივი

ბ) არამუდმივი, **განსაკუთრებით** მუშებისა და გლეხებისა.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.

ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

408

გ. ე. ზინოვიევს

ამხ. ზინოვიევ! ჩვენ სამმა (მოლოტოვმა, სტალინმა და მე), როგორც ცენტრალური კომიტეტის მიერ არჩეულმა კომისიამ, განვიხილეთ თქვენი წერილი.

მაინც არ შეგვიძლია დაგეთანხმოთ.

მოსკოვში იყო მსხვილი პრინციპული უთანხმოებანი, იყო «მუშათა ოპოზიცია», რომელიც პარტიის ყრილობამ დაგმო «გადახრისათვის», არა მარტო მოსკოვის, არამედ საერთო-რუსული «გადახრისათვის». ამ გადახრის გრძელი ისტორიით.

პიტერში არ არის არავითარი პრინციპული უთანხმოებანი, არ არის გადახრისაკენ გადახრაც კი. არა აქვს ეს არც კომაროვს, არც უგლანოვს, რომლებიც რკპ X ყრილობაზე, აგრეთვე მელითონეთა ყრილობაზე უაღრესად საიმედონი იყვნენ. არ შეეძლოთ ამ ამხანაგებს ასე უცებ აღმოჩენილიყვნენ გადახრაში. ჩვენ ვერ ვხედავთ ამის დამამტკიცებელი ფაქტების ნასახსაც კი.

არის უმრავლესობის კანონიერი სურვილი იყოს უმრავლესობა და შეცვალოს ის ჯგუფი, რომლის მეშვეობითაც თქვენ სხვა ჯგუფს «განაგებდით». ადამიანები გაიზარდნენ, და უკვე ამიტომ მათი სურვილი კანონიერია.

საჭირო არ არის მათ გადახრისაკენ ვუბიძგებდეთ «პრინციპულ უთანხმოებათა» შესახებ ლაპარაკით. საჭიროა ფრთხილად განვახორციელოთ ი დ ე უ რ ი ხელმძღვანელობა ს ა ვ ს ე ბ ი თ ვაცალოთ ახალ უმრავლესობას იყოს უმრავლესობა და მ ა რ თ ო ს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, თუ მოინდომებთ, სავსებით მიაღწევთ ასეთ მიზანს, ხოლო «ძველ ჯგუფს» დაეხმარებით გადავიდეს სხვა ქალაქში და განახლდეს.

ლ ე ნ ი ნ ი *

დაწერილია 1921 წლის 29 სექტემბერს
გაგზავნილია პეტროგრადში

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* დოკუმენტს ხელს აწერენ აგრეთვე ი. ბ. სტალინი და ვ. მ. მოლოტოვი. რ ე დ.

409

ნ. პ. გორბუნოვს

29. IX. 1921 წ.

ამხ. გორბუნოვ!

თანდართულ დოკუმენტებში გადმოცემული საქმის დიდი მნიშვნელობა უეჭველია.

სამიწათმოქმედო მეურნეობათა მთავარი სამმართველოს მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობების სანიმუშო მუშაობა, ჩემი აზრით, სავსებით გამოარკვია და დაამტკიცა ჩვენმა პრესამ. ბელიაკოვის სტატიებმა «იზვესტიაში», სოსნოვსკისამ «პრავდაში» და მთელმა რიგმა სხვა სტატიებმა და ცნობებმა. საქმის სათავეში მდგომ ამხ. რუნოვის საუკეთესო მუშაობაზე იუწყება ამხ. მურალოვიც, კომპეტენტური ადამიანი. ნამდვილად პროლეტარული მიწათმოქმედების ამ წარმატებითი მშენებლობის პრინციპული მნიშვნელობა უდიდესია.

პრაქტიკული მნიშვნელობა, თუ უ ფ რ ო დ ი დ ი არა. ნაკლები როდია.

ამიტომ გთხოვთ ფრიად სასწრაფოდ მოამზადოთ ეს საქმე დღევანდელი მცირე სახკომსაბჭოსათვის (ფულის ნიშნები) და ხვალინდელი შ რ ო მ ი ს ა და თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო ს ა თ ვ ი ს (დააყენეთ დღის წესრიგში, ტელეფონით შეაგროვეთ საჭირო ცნობები და სხვ.) [342].

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

P. S. თუ სხვანაირად არ შეიძლება, უნდა მივცეთ, რასაც გვთხოვენ **(მაქსიმალური თანხით)** ს ე ს ხ ა დ ე რ თ ი წ ლ ი თ. ამ ადამიანებმა 1000-ჯერ დაიმსახურეს ნდობა.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

410

ნ. პ. გორბუნოვს

29. IX. 1921 წ.

ამხ. გორბუნოვ!

უნდა გამოვარკვიოთ ყარა-ბუღაზის საქმე. თუ ძალიან დაკავებული ხართ, შეიძლება გადაიდოს რამდენიმე ღღით, მაგრამ არა უმეტეს.

ლაცისი 29. IX-ის «პრავდაში» კვლავ იმეორებს «ოქროს ფსკერს»[343]. სახკომსაბჭოს სამდივნოში აიღეთ ჩემი ამასწინანდელი მიწერ-მოწერა * პროფესორ იპატიევთან (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს კოლეგიის წევრთან), ჩვენი ქიმიური მრეწველობის სპეციალისტსა და მეთაურთან.

მან მიპასუხა: ახლა ამუშავება არ შეიძლებაო.

მარილის მრეწველობის მთავარი სამმართველო ცდება, თუ ვინ?

ავიღოთ მარილის მრეწველობის მთავარი სამმართველოს მონაცემები და დავუჯეროთ მათს სოლიდურობას, თუ როგორმე სხვანაირად მოვიქცეთ?

გაეცანით და მითხარით.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 321. რ ე დ.

411

ნ. პ. გორბუნოვს

30. IX. 1921 წ.

ამხ. გორბუნოვ!

მე გავუგზავნე (მგონი, სმოლიანინოვის საშუალებით) დეპეშა ყველა საგუბერნიო ელექტროგანყოფილებას* იმის შესახებ, რომ სრულიად რუსეთის ელექტროტექნიკოსთა ყრილობის დელეგატებისათვის აუცილებლად გამოეტანებინათ სტატისტიკური ცნობები რუსეთის ყველა ელექტროსადგურის შესახებ.

აუცილებლად იპოვეთ პირი და, სანამ ელექტროტექნიკოსთა ყრილობას სხდომები აქვს, არქიჩაციებით და დოკუმენტურად შეამოწმეთ შესრულება.

უნდა მივაღწიოთ შესრულებას, რადგან საკითხს აქვს როგორც უდიდესი სამეურნეო, ისე პოლიტიკური მნიშვნელობა.

თუ საჭიროა, ყრილობის დელეგატებში გავავრცელოთ საანკეტო ფურცელი და არ გავუშვათ ისინი, ვინც არ შეავსებს.

მივაღწიოთ შესრულებას და შეტყობინებას და უაღრესად უნდობლად შევამოწმოთ!

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 327. რედ.

412

დავალება ნ. პ. გორბუნოვს და წერილი კ. ხ. დანიშევსკის, ვ. მ. მოლოტოვსა და ა. ს. კისელიოვს

30. IX. 1921 წ.

ამხ. გორბუნოვ!

გთხოვთ ამ წერილის პირები გაუგზავნოთ

1) ამხ. დანიშევსკის (მთავარი სატყეო კომიტეტი)

და 2) ამხ. მოლოტოვს, ცენტრალური კომიტეტის მდივანს

3) ამხ. კისელიოვს, მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს.

ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა 15 პასუხისმგებელი მუშაკი გაგზავნოს სათბობის (უფრო სწორად, შეშის) სამუშაოს სამკვირეულზე *.

ძალიან ვთხოვ ამხანაგებს, რომლებიც ხელს ჰკიდებენ ამ მეტად მნიშვნელოვან სამუშაოს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შემდეგ გარემოებებს:

1) იმის შემოწმებას, თუ როგორ არის დაყენებული ადგილებზე ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა (შეშის დამზადების, გამოზიდვისა და სადგურებთან მიზიდვის საქმეში).

საქმე ცუდად არის. შ რ ო მ ი ს ა და თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო ამას ხედავს, მაგრამ არ იცის, როგორ უშველოს. ამხანაგებს, რომლებიც ქ ვ ე მ ო დ ა ნ ადგილზე ადევნებენ თვალყურს, შეუძლიათ ძალიან უშველონ საქმეს, თუ საქმეს ადგილზე გულმოდგინედ შ ე ი ს წ ა ვ ლ ი ა ნ.

2) ქურდობის ხერხებს.

შეშის მოპარვა ძლიერ არის განვითარებული (ეს გასაგებიცაა გაპარტახებულ, ცივ, გლეხურ ქვეყანაში). ბიუროკრატები და მოიჯარეები ძალიან ხშირად ხელს აფარებენ ქურდობას და «არტისტულად» ატარებენ მას.

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 406. რ ე დ.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოტყუების ხერხების შესწავლას ქვემოდან (წიგნებში ჩანაწერებით, ხელწერილებითა და სხვ.) უფრო დაწვრილებით. შრომისა და თავდაცვის საბჭოს ეს მეტისმეტად ესაჭიროება.

ძალიან ვთხოვ მიმავალ ყველა 15 ამხანაგს, წაიკითხონ ეს და მოგწერონ 2 სიტყვა; თუ საჭიროა, უარს ნუ იტყვიან ზედმეტ კვირას დარჩნენ ადგილზე საქმის დაწვრილებით შესწავლისათვის [344].

კომ. სალმით შრომისა და თავდაცვის საბჭოს
თავმჯდ. ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

413

* სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

გთხოვთ მომცეთ ცნობები, რამდენია თითოეულ მთავარ სამმართველოში ჯგუფი, ტრესტი და გაერთიანება, აგრეთვე ავტონომიური საწარმო.

ჩამოთვალეთ ყველა გაერთიანების, ჯგუფის სახელწოდება, აღნიშნეთ თითოეულ ჯგუფში შემავალ საწარმოთა რიცხვი და რამდენი ინჟინერი და ტექნიკოსი მუშაობს თითოეულ:

ა) მთავარ სამმართველოში, ჯგუფში, ტრესტსა და გაერთიანებაში (თითოეულში ცალ-ცალკე);

ბ) საწარმოებში (ყველაში ერთად).

ცნობები გამოგზავნეთ არა უგვიანეს ა. წ. 2 ოქტომბრისა.

თუ ჯგუფები, ტრესტები და გაერთიანებები საბოლოოდ არ არის დასახული, გამოგზავნეთ საავარაუდო სია.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 30 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

414

უცხოური ლიტერატურის კომიტეტს [345]

უცხოური ლიტერატურის კომიტეტს

როგორც უცხოური ლიტერატურის კომიტეტის მოხსენებიდან ჩანს, ამ კომიტეტს არსებითად ჯერ კიდევ ვერაფრის გაკეთება ვერ მოუსწრია.

მთავარი ამოცანა, რაც უცხოური ლიტერატურის კომიტეტმა უნდა დაისახოს, — ეს არის მიაღწიოს იმას, რომ მოსკოვის, პეტროგრადის და რესპუბლიკის მსხვილი ქალაქების სპეციალურ ბიბლიოთეკებში თავმოყრილ იქნეს თითო ეგზემპლარი 1914 — 1921 წლების ყველა საზღვარგარეთული უახლესი ტექნიკური და სამეცნიერო (ქიმია, ფიზიკა, ელექტროტექნიკა, მედიცინა, სტატისტიკა, ეკონომიკა და სხვ.) ჟურნალი და წიგნი და მოგვარდეს ყველა პერიოდული გამოცემის რეგულარულად მიღება. უცხოური ლიტერატურის კომიტეტის მთელ მუშაობას მე შევაფასებ პირველ რიგში ამ დავალების რეალურად შესრულების თვალსაზრისით.

სხვათა შორის:

ა) მოხსენებაში აღნიშნულია, რომ უცხოური ლიტერატურის კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება ყველა კრედიტი ყველა უწყებიდან გადატანილ იქნეს მის ანგარიშზე. შესრუ-

ლებულია თუ არა ეს დადგენილება? რამდენი კრედიტია მიღებული თითოეული უწყებიდან?

ბ) ანგარიშის მე-3 გვერდზე ნათქვამია: «სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის ყუთებში აღმოჩნდებოდა ხოლმე ბევრი ისეთი წიგნი, რომლებიც სრულიად არ წარმოადგენენ რაიმე საყურადღებოს ან შესანიშნავს — ბელეტრისტიკა და მდიდრული მხატვრული, ძვირად ღირებული გამოცემები. რომლებიც არავინ იცის ვისთვის არის ნაყიდი (კერძო პირებისათვის) პირადი მომსახურების წესით».

ეს უმაგალითო უმსგავსობა და დანაშაულია, რა გააკეთა უცხოური ლიტერატურის კომიტეტმა დამნაშავეთა დასასჯელად? დაუყოვნებლივ მაცნობეთ დამნაშავეთა გვარები და როგორ დაისაჯნენ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 30 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ფასქსიმილეზე გადაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

415

პ. ა. კრასიკოვს

იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილეს
ამხ. კრასიკოვს

3 სექტემბერს ამხ. კურსკის, მის მოადგილეს და კოლეგიის ყველა წევრს * გავუგზავნე № 809 წერილი, რომლითაც

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, დოკუმენტი 299. რ ე დ.

დავავალე აუცილებლად ამ შემოდგომაზე და 1921 — 22 წლების ზამთარში გაეტანათ სასამართლოზე მოსკოვში 4 — 5 საქმე იქ მომხდარი საქმის გაჭიანურების შესახებ, შეერჩიათ უფრო «მკაფიო» შემთხვევები და თითოეული სასამართლო გადაექციათ პოლიტიკურ საქმედ.

ახლა გიგზავნით დამშეულთა დახმარების ცენტროსოიუზის განსაკუთრებული კომისიის თავმჯდომარის ამხ. ხინჩუკის მოხსენებით ბარათს, რომელშიც ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ ცენტროსოიუზის დავალება თესლის დამზადების შესახებ ჩაიშალა მხოლოდ იმის გამო, რომ ცენტრალურმა დაწესებულებებმა საქმე გააჭიანურეს. ეს საქმე საკმაოდ «მკაფიოა». წინადადებას გაძლევთ დაიწყოთ გამოძიება. გამოძიების შედეგების შესახებ ყოველკვირეულად მაცნობეთ წერილობით ამხ. გორბუნოვის მეშვეობით.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

P. S. კომისიის შემადგენლობის (ან ცალკეული პირის) შესახებ, რომელსაც თქვენ დანიშნავთ (უფრო სწორად, ივარაუდებთ დანიშნოთ) გამოსაძიებლად, გთხოვთ წინასწარ შეუთანხმდეთ ამხ. გორბუნოვს[346].

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 30 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შეესებული
და ხელმოწერილია
ვ. ი. ლენინის მიერ

416
დავალება ნ. პ. გორბუნოვს და წერილი ვ. ვ. კუიბიშევს

30. IX. 1921 წ.

ამხ. გორბუნოვ!

ძალიან გთხოვთ ქვემოთ მოყვანილი წერილი გაუგზავნოთ ამხ. კ უ ი ბ ი შ ე ვ ს (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი) და შეუთანხმდეთ მას, მისცეთ ჩვენი სტენოგრაფისტი ქალი, რომ შეეძლოს ტელეფონით უკარნახოს.

ამხ. კუიბიშევ!

გუშინ შ რ ო მ ი ს ა და თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო შ ი[347] თქვენ ნახეთ, როგორ აყენებდა რუტგერსი ბრალდებებს ჩვენ წინააღმდეგ, ყველაზე მეტად კი თქვენ წინააღმდეგ. ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმეა. უეჭველია ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო გახმაურებას მიიღებს. ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება გულდასმით ჩ ა ი წ ე რ ო ს ხ ო ლ მ ე საქმის მსვლელობა, რომ შემდეგ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ი ყ ო ს ჭორები და დამახინჯებები.

ძალიან გთხოვთ ჩაწეროთ ან ჩვენს სტენოგრაფისტ ქალს უკარნახოთ (ეს ნაკლებად მოგაცდენთ თქვენს სამუშაოს) საქმის მთელი მსვლელობა, სპეციალურად ის, რაც ტელეფონით მითხარით რუტგერსის წარმოუდგენელ ქცევაზე, მის მიერ პირობების სწრაფად შეცვლაზე და სხვ.

ამას, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით არავის ვაჩვენებთ. მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის საჭიროა ახლავე მოვიმარაგოთ.

საქმე დაყენებულია ცეკაშიც. მოგვიხდება ზუსტი და სრული ინფორმაცია მივცეთ ცეკასაც და პროფინტერნსაც. ამხ. გორბუნოვი გამოგიყოფთ ტელეფონისტ ქალს და სხვ.

კომუნისტური სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

417

ბ. მ. კრჟიჟანოვსკის

კ რ ჟ ი ჟ ა ნ ო ვ ს კ ი ს

არ დაგავიწყდეთ:

1) ელექტროტექნიკოსთა ყრილობაზე გაატაროთ (პირდაპირ ან **ავტორიტეტული** კომისიის საშუალებით) შესწორებები და დამატებები «ელექტრიფიკაციის გეგმისათვის» მის საბოლოოდ დასამტკიცებლად.

2) სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ მიმდინარე წლის გ ე გ მ ე ბ ი ს (პირველ რიგში ძ ი რ ი თ ა დ ი გეგმების) შ ე მ უ შ ა ვ ე ბ ი ს კალენდარული პროგრამა.

(არის ლ ა შ ქ რ ო ბ ა სახელმწიფო საგეგმო კომისიის წინააღმდეგ იმის გამო, რომ სინამდვილეში მას არ უნდა გეგმები და არ იცის შემუშავება.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის სექტემბრის
ბოლოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

418

ლ. დ. ტროცკის

გოდება ფულის უქონლობის შესახებ საყოველთაო, უნივერსალურია. შეიძლება წელში გავწყდეთ. ყველგან ადგილებზე გამალებით (ასე ამბობენ) ჰყიდიან ყველაფერს, გასაყიდად გამოაქვთ ყოველივე შესაძლებელი და შეუძლებელი.

გოდებენ ყველანი და ყოველი მხრიდან. როგორ და რა გავაკეთოთ კიდევ, არ ვიცი. იქნებ პირადად მიხვიდეთ პრეობრაჟენსკის კომისიაში [348] ან მოელაპარაკოთ მას?

პატარა მაგალითი: რუხიმოვიჩი ოქტომბერში მოგვცემს 5 მლნ. ფუთამდე ქვანახშირს დონბასელი წვრილი მოიჯარეებისაგან. როგორ გადავიხადოთ? სად არის ფული?

ვიგვიანებთ. ვაჭრობის ტალღა ჩვენზე ძლიერია. საფინანსო კომისია და ჩვენ ყველანი ვიგვიანებთ. თქვენა ბარათი თამასუქების შესახებ ახლა გადავუგზავნე ამხ. პრეობრაჟენსკის.

დაწერილია 1921 წლის სექტემბერში

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

419

ვ. მ. მოლოტოვს

ამხ. მოლოტოვ!

ხვალ პოლიტბიუროში უნდა დაისვას კარტოფილზე გადასახადის გადიდების შესახებ სახკომსაბჭოს 6/IX-ის დადგენილების გაუქმების საკითხი (ფრუმკინის გამოძახებით) [349].

ლენინი

როგორ შეუთანხმდით სტალინს პიტერის შესახებ? *

დაწერილია 1921 წლის 2 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 408. რედ.

420

ნ. პ. გორბუნოვს

3. X. 1921 წ.

ამხ. გორბუნოვ!

გთხოვთ აცნობოთ ამხ. რადჩენკოს, რომ ძალიან მაშინებს უსწორობა ამ საქმეში: როგორ შეძლია ხელი მოვაწერო **ტექნიკურ** დასკვნებს? საჭიროა გაიგზავნოს უწყებათა შესათანხმებლად და **დაჩქარდეს** გატარება მცირე სახკომსაბჭოში ან **შრომისა და თავდაცვის საბჭოში.** მე ყოველნაირად დავეხმარები, რომ დაჩქარდეს [350].

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

421

ზეკითხვა თესვის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ

ცირკულარულად

დეპეშა

სიმბირსკი, ასტრახანი, ცარიცინი, სარატოვი, სამარა, უფა, ურალსკი, ვიატკა

საგუბერნიო თესვის კომიტეტებს: მარქსშტადტი, ჩებოქსარი, კრასნოკოკშაისკი, ასტრახანი, იჟევსკი

საოლქო თესვის კომიტეტებს: ყაზანი, ორენბურგი, სტერლიტამაკი

მიწსახკომს

უკანასკნელ თვეში თქვენ შეწყვიტეთ ყოველგვარი ინფორმაცია თესვის კამპანიის მიმდინარეობის, შიმშილობასთან ბრძოლის შესახებ. მიწსახკომს, რომელიც ამჟამად მუშაობს უმთავრესად მოუსავლიანობის შედეგების ლიკვიდაციაზე, უფრო მეტად, ვიდრე წინა თვეებში, ესაჭიროება რეგულარული, რაც შეიძლება სრული ინფორმაცია თქვენი საქმიანობის,

გუბერნიის სოფლის მეურნეობის ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ. ამიტომ, კატეგორიულად ვადასტურებ რა წინათ მოცემულ განკარგულებებს ინფორმაციის ვადების შესახებ, წინადადებას გაძლევთ ჯეროვან სიმაღლეზე დააყენოთ საინფორმაციო აპარატი და საბრძოლო ბრძანების წესით ამ დეპეშის მიღების მომენტიდან ორმოცდარვა საათის ვადაში გამოგზავნოთ დეპეშით შემდეგი ცნობები: 1) საშემოდგომო ნათესის დამტკიცებული ფართობი; 2) საშემოდგომოდ დათესილი ფართობის რაოდენობა; 3) მზრალად მოხნული დესეტინების რაოდენობა; 4) საქონელგაცვლის გზით ცენტრიდან განწესებით მიღებული თესლის რაოდენობა; 5) ფაქტობრივად განაწილებული თესლის რაოდენობა; 6) განაწილების წესი; 7) რა ზომებია მიღებული მეცხოველეობის გადასარჩენად, მიღწეული შედეგები; 8) მკვდარი ინვენტარის გადასარჩენად მიღებული ზომები, მიღწეული შედეგები; 9) დასახული საზოგადოებრივი სამუშაოები, მათი ჩატარება; 10) სამოსახლოდ გადაყვანის მდგომარეობა; 11) სასოფლო კომიტეტების მდგომარეობა, მათი მონაწილეობა საერთო მუშაობაში. დეპეშის შემდეგ გამოგზავნეთ შიკრიკი სრული მოხსენებით. გუბერნიებში, რომლებიც ვადაზე არ გამოგზავნიან პასუხს, პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს დისციპლინარული სასჯელი დაედებათ.

მეექვსე საკითხიდან მეთერთმეტემდე ტელეგრაფით გამოგზავნეთ ხოლმე ძალიან მოკლე პასუხი ან წერილობითი პასუხის გამოგზავნის ზუსტი თარიღი [351].

თავდაცვის საბჭოს თავმჯდ. ლ ე ნ ი ნ *

დაწერილია 1921 წლის 4 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შევსებული
და ხელმოწერილია
ვ. ი. ლენინის მიერ

---

* დეპეშას ხელს აწერს აგრეთვე მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე ნ. ოსინსკი. რ ე დ.

422
ა. ს. კისელიოვს

მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს
ამხ. კისელიოვს

ა. პ. სმირნოვის ბარათის გამო მოგწერეთ *, რომ სპირტისათვის კარტოფილის ყოველგვარი ხარჯვის გადაჭრით წინააღმდეგი ვარ, და აღვნიშნე, რომ სპირტი შეიძლება კეთდებოდეს და უნდა კეთდებოდეს ტორფიდან.

ახლა გამოირკვა, რომ ტორფიდან სპირტის წარმოების საკითხი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. წესი საქარხნო მასშტაბით შემოწმებული არ არის და ეკონომიურად გაურკვეველია (არ არის ზუსტად შემოწმებული კალკულაცია და არ არის მონაცემები მისი ზუსტად შედგენისათვის). ამიტომ ჯერ კიდევ არ შეიძლება ლაპარაკი ტორფიდან სპირტის მასობრივად წარმოების შესახებ.

მიიღეთ ყველა ზომა, რომ ყოველნაირად დაჩქარდეს ამუშავება საცდელი ქარხნისა ტორფიდან სპირტის დასამზადებლად — ყოფილი გივარტოვსკის საფუარის ქარხანა მოსკოვში.

რაც შეეხება სმირნოვის წინადადებას იმის შესახებ, რომ გლეხებს კარტოფილის ღირებულება სპირტით გადავუხადოთ, მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ. თუ სმირნოვი დაჟინებით მოითხოვს, შეიტანოს საკითხი ცენტრალურ კომიტეტში.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 5 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 53, დოკუმენტი 295. რედ.

423

განკარგულება აკადემიური ცენტრის სამეცნიერო დაწესებულებათა სამმართველოს წერილზე [352]

მოამარაგეთ ექსპედიცია რვა კაცის ტანსაცმლით.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

5/X. 21 წ.

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ნ. პ. გორბუნოვის ხელით დაწერილი და ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი ტექსტის მიხედვით

424

ტელეფონოგრამა გზათა სახალხო კომისარიატს

გზათა სახალხო კომისარიატს

გიბრძანებთ ორი დღის ვადაში გადაწყვიტოთ საკითხ-ოკის ხიდზე კაშირა — მოსკოვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის შესახებ [353].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ -

დაწერილია 1921 წლის 6 ან 7 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

425

* არალის ზღვა. ჩრდილოეთ სანაპიროს მებადურთა და მუშათა გუბერნიის საგჭო [354]

არალის ზღვის ამხანაგ მუშებს, მებადურებს

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენამდე, რა თქმა უნდა, უკვე მოაღწევდა ცნობა უდიდესი უბედურების — არნახული შიმშილობის შესახებ, რომელიც თავს დაატყდა მთელ ვოლგისპირეთსა და ურალისპირეთის ნაწილს. ასტრახანის გუბერნიით დაწყებული და თათრეთის რესპუბლიკითა და პერმის გუბერნიით დამთავრებული, გვალვამ ყველგან თითქმის მთლად გადაახმო პურიცა და ბალახიც. მილიონობით ადამიანი — მშრომელი გლეხები და მუშები, მილიონობით პირუტყვი განწირულია დასაღუპავად და უკვე იღუპება.

რუსებსა და მუსლიმანებს, ბინადრებსა და მომთაბარეებს — ყველას ერთნაირად ელის საშინელი სიკვდილი, თუ მათ არ დაეხმარებიან თავიანთი ამხანაგები — მუშები, მშრომელი გლეხები, მწყემსები და მებადურები უფრო მშვიდობით გადარჩენილი ადგილებიდან. რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლება თავის მხრივ იჩქარის დახმარება გაუწიოს დამშეულებს, მან უკვე გაუგზავნა მათ სასწრაფო წესით 12 მილიონ ფუთზე მეტი პური საშემოდგომო თესლად, ახლა უგზავნის სურსათს, აწყობს სასადილოებს და სხვ. მაგრამ ყოველივე ეს ცოტაა. უბედურება ისე დიდია, საბჭოთა რესპუბლიკა ისე გაპარტახებულია მეფის ომისა და თეთრგვარდიელებისაგან, რომ სახელმწიფო სახსრებით მომავალ მოსავლამდე ძლივ-ძლივობით შეიძლება გამოიკვებოს გაჭირვებულთა სულ ბევრი $^1/_4$ ნაწილი.

მდიდარ-კაპიტალისტთა დახმარების იმედიც არ შეიძლება გვქონდეს. კაპიტალისტებმა, რომლებიც ახლა განაგებენ მსოფ-

ლიოს ისეთ უძლიერეს სახელმწიფოებს, როგორიცაა ინგლისი, ამერიკა, საფრანგეთი, მართალია, გამოგვიცხადეს, გვსურს დავეხმაროთ თქვენს დამშეულ გლეხებსო. მაგრამ ისეთი პირობები წამოაყენეს, რომ ჩვენი მუშურ-გლეხური რესპუბლიკის მთელი ძალაუფლება მათს ხელში გადავა. გასაგებია. ვის უნახავს, რომ მუშა ადამიანის სისხლისმსმელი, კაპიტალისტი და მევახშე, მას უანგაროდ ეხმარებოდეს. მშრომელი ადამიანის შიმშილით კაპიტალისტების კლასი მუდამ სარგებლობდა, რომ იგი სულით ხორცამდე დაემონებინა. ჩვენი შიმშილითაც ახლა უნდათ ისარგებლონ, რათა მოსპონ სისხლით მოპოვებული ჩვენი თავისუფლება, სამარადისოდ გამოგლიჯონ ხელიდან ძალაუფლება მუშებსა და გლეხებს და კვლავ თავზე დაასვან მათ მეფე, მემამულე, მეპატრონე, უბნის ბოქაული და მოხელე.

ყაზანელი, უფელი, სამარელი და ასტრახანელი დამშეულნი მთელ იმედს ამყარებენ მათსავით მშრომელ, დაკოჟრებულხელებიან იმ ადამიანთა დიად პროლეტარულ სოლიდარობაზე (თანხმობაზე), რომლებიც საკუთარი ოფლით შოულობენ თავიანთ სარჩოს, არავის სწოვენ სისხლს. თქვენ არალის ზღვაში საკმაოდ ბევრ თევზს იჭერთ, და თითქმის გაუჭირვებლად წახვალთ იოლად. გამოჰყავით თქვენი ნაშოვარი თევზის ნაწილი შიმშილისაგან დასიებული მოხუცებისათვის, 8 მილიონი ღონემიხდილი მშრომელისათვის, რომლებმაც მშიერი კუჭით თითქმის მთელი წელიწადი მძიმე ჯაფა უნდა გაწიონ მიწის დასამუშავებლად, ბოლოს, — 7 000 000 ბავშვისათვის, რომლებიც ყველაზე უწინ შეიძლება დაიღუპონ.

უხვად გაიღეთ შესაწირავი, ძვირფასო ამხანაგებო, არალელო მებადურებო და მუშებო! თქვენ გააკეთებთ არა მარტო ადამიანის სინდისის საქმეს, არამედ განამტკიცებთ მუშათა რევოლუციის საქმეს. ვინაიდან მთელ მსოფლიოს, უწინარეს ყოვლისა კი ყველა მშრომელს აჩვენებთ, რომ ურყევია ძლიერება მუშური საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელიც აგებულია ერთმანეთს მეტად დიდი მანძილით დაშორებული ადგილების პროლეტართა უფართოეს ურთიერთდახმარებაზე.

დაე მთელი მუშათა კლასი, როგორც ერთი კაცი, აღდგეს, რათა მძიმე ჭრილობა მოუშუშოს ეოლგისპირეთს, ხოლო ნაყოფიერი ეოლგისპირეთი მომავალ წლებში თავის მხრივ სამაგიეროს მოგვიზღავს თავისი პურით. მხოლოდ ამ გზით შევინარჩუნებთ საბჭოთა ხელისუფლებას და დავიცავთ მოპოვებულ თავისუფლებას მთელი მსოფლიოს კაპიტალისტთა ყველა ავკაცური ხელყოფისაგან.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 7 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

426

ბ. ა. კრასიკოვს

8/X.

ამხ. კრასიკოვ!

საორგანიზაციო ბიურომ გუშინ შეაჩერა საქმე (მოსკოვის დისციპლინარული სასამართლოსი) და გადასცა იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

ახლა საჭიროა, რომ თქვენ ორშაბათს დღისით მომცეთ თქვენი დასკვნა.

გირჩევთ:

(α) მოკლედ პრესაში (ვის უნდა შეუკვეთოთ?), დაწყებული საქმით: მაიაკოვსკი versus * სკვორცოვი **;

* — წინააღმდეგ. რედ.

** — იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 363. რედ.

(β) აუცილებლად საკანონმდებლო წესით დაზუსტდეს ან შეიცვალოს კანონი. ცნობა ამის შესახებ ორშაბათს.

ხომ არ შეიძლება სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან ერთად?

ველი პასუხს *. ლენინი

დაწერილია 1921 წლის 8 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

427

გ. მ. კრჟიჟანოვსკის [355]

გ. მ.!

თუ მოიწონებთ, დამიბრუნეთ, გადავაწერინებ და გავუგზავნი (ვის? თქვენ?). ვყოყმანობ, ღირს კი საერთოდ? ზედმეტი «პარადი» ხომ არ გამოდის? არგებს თუ არა საქმეს?

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 8 ან 9 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 53, დოკუმენტი 413. რედ.

428

დეპეშა ა. ი. პოტიაევს და ბარათი მდივანს

(შემოწმდეს მისამართი მეისნერთან «გლავრიბაში».)

ა ს ტ რ ა ხ ა ნ ი

«გლავრიბას» თავმჯდ. პ ო ტ ი ა ე ვ ს

9. X. 1921 წ.

მივიღე თქვენი 21/9-ის წერილი[356]. ახალი წესები დაიბეჭდინეთ ასტრახანშიც და მოსკოვშიც. წინადადებანი მეკასრეობის შესახებ უდეპეშეთ შრომისა და თავდაცვის საბჭოს.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ. ლ ე ნ ი ნ ი

ვუპასუხე დეპეშით 9/X-ს.

შემოწმდეს პოტიაევის პასუხი და შეტანილ იქნეს **შრომისა და თავდაცვის საბჭოში.**

ლ ე ნ ი ნ ი

9/X.

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

429

* დეპეშა

ყველა საგუბერნიო აღმასკომს, პარტიის საგუბერნიო კომიტეტებს, საგუბერნიო პროფსაბჭოებს, შრომის საგუბერნიო კომიტეტებს

1921 წლის 10 ოქტომბერი.

გასულ მაის-ივლისში გამწვავებული სასურსათო მდგომარეობის გავლენით დონბასში ათიათასობით მუშამ მიატოვა შახტები და გაიფანტა, ნაწილობრივ აუზის ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებით ბევრი გაიქცა მნგრეველი, რომელთა რიცხვი 16 ათასიდან 10 ათასამდე შემცირდა აგვისტოში, აგრეთვე საქვაბე მეურნეობის კვალიფიციური მუშები. ახლა დონბასში

შექმნილია მყარი სასურსათო მდგომარეობა, სახელდობრ: შეტანილია პურის სამი თვის მარაგი, რომელიც გადიდდება. წინადადება გეძლევათ განავითაროთ ფართო აგიტაცია იმისათვის, რომ სამადნეებში დაბრუნდნენ მიწისქვეშა მუშები, რომლებმაც დონბასი დატოვეს, სახელდობრ: მნგრეველები, მემარხილეები, მებიგეები, მბურღავები, გამყვანები, გამომგორებლები, აგრეთვე მექვაბეები და მემანქანეები. სხვა მუშები, გარდა აღნიშნული კატეგორიებისა, არ გაგზავნოთ. აგიტაციის დროს განუმარტეთ: 1) სრული უზრუნველყოფა პურით, 2) შრომის ანაზღაურების ახალი წესების შემოღება — სურსათითა და ფულით — შრომის ნაყოფიერების მიხედვით, ამასთან სურსათისა და ფულის გათანაბრებითი გაცემის გაუქმება; 3) მუშების დაბრუნებაზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია წარმატება სასურსათო კამპანიისა უკრაინაში, რაც ფერხდება იმით, რომ გვაკლია სათბობი სურსათის გადასაზიდავად.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი*

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

430

დეპეშა ბელორუსიის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს

ბელორუსია, სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს
პირი ეკონომთათბირს

ტეუმინის მოხსენება,[357] წარდგენილი საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში, არ უპასუხებს შრომისა და თავდაცვის საბჭოს შეკითხვას, ვინაიდან ციფრობრივ მასალას არ იძლევა. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის 8 სექტემბრის

* დეპეშას ხელს აწერს აგრეთვე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. მ. მოლოტოვი. რ ე დ.

01090, 14 სექტემბრის 01134, 19 სექტემბრის 01161, 1 ოქტომბრის 01204, 5 ოქტომბრის 01220 დეპეშებზე ბელორუსიის ეკონომთათბირი გზავნის ან ფორმალურ, ან არადამაკმაყოფილებელ პასუხს. გთხოვთ დაუყოვნებლივ მოითხოვოთ ეკონომთათბირში ყველა აღნიშნული ნომერი, გამოიძიოთ საქმე, სამართალში მიცეთ ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვის საქმის გაჭიანურებასა და საბოტაჟში. მოთხოვნილი ანგარიში, რომელსაც ხელს მოაწერს ეკონომთათბირის თავმჯდომარე, დაუყოვნებლივ უნდა გამოიგზავნოს. ტელეგრაფით გვაცნობეთ დეპეშის მიღებისა და შესრულების ამბავი.

10 ოქტომბერი

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის
10 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

431

ვ. მ. მოლოტოვს
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის

მივიღე პოლიტბიუროს დამთავრების შემდეგ. გთხოვთ საჩქაროდ დაუგზავნოთ პოლიტბიუროს ყველა წევრს ჩამოტარებით წერილობითი კენჭისყრისათვის.

10/X.

ამხ. მოლოტოვ!

მე შევუთანხმდი ამხ. უნშლიხტს, რომ შეაჩერონ ნაზვანოვისათვის გამოტანილი განაჩენის სისრულეში მოყვანა და საკითხი გადამაქვს პოლიტბიუროში.

ნაზვანოვის შესახებ 1921 წლის ზაფხულში მქონდა მიღებული წერილი კრასინისაგან (ჯერ კიდევ ნაზვანოვის დაპატიმრებამდე). კრასინი მთხოვდა, მუშაობაში მოვიზიდოთ ეს მეტად დასაფასებელი ინჟინერიო.

კრჟიჟანოვსკი მიამბობდა, რომ იგი იცნობდა ნაზვანოვს და არაერთხელ ცხარე კამათი ჰქონია მასთან 1917 წლის 25. X-ის შემდეგ და კინაღამ ბინიდანაც გაუგდია ანტისაბჭოთა შეხედულებების გამო. 1921 წლის გაზაფხულზე თუ ზაფხულში კი გარდატეხა შევამჩნიე და სახელმწიფო საგეგმო კომისიაში სამუშაოზე ავიყვანეო.

შემდეგ ჩემთან იყო ორი ამხანაგი შაქრის მრეწველობის მუშათა ცენტრალური კომიტეტიდან და ჩემი კითხვის პასუხად დადებითი აზრი გამოთქვეს ნაზვანოვის შესახებ. ეს აზრი მათ წერილობითაც დაადასტურეს. ზემოაღნიშნულის საფუძველზე მე საკითხი შემაქვს პოლიტბიუროში.

წინადადება შემომაქვს: თუ საჭიროა, მოიძებნოს კრასინის წერილი და ორი მუშის წერილობითი აზრი. მე მოვძებნი, თუ პოლიტბიურო დაადგენს, ორივე ამ დოკუმენტს.

ჩემი მხრივ წინადადებას ვიძლევი: გაუქმდეს პეტროგრადის საგუბერნიო საგანგებო კომისიის განაჩენი და შეუფარდდეს აგრანოვის მიერ წამოყენებული განაჩენი (არის აქ საქმეში), ე. ი. 2 წელი პირობითი განთავისუფლების დაშვებით[358].

კომ. სალმით ლენინი

დაწერილია 1921 წლის
10 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

432
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს [359]

საქმე უაღრესად მნიშვნელოვნად და საჩქაროდ მიმაჩნია, ვინაიდან სესხის დადება იტალიასთან, რომელიც არ მოითხოვს ძველი ვალების ცნობას, შეიძლება მოასწავებდეს ფინანსური ბლოკადის გარღვევას.

წინადადება შემომაქვს პოლიტბიურომ შექმნას საიდუმლო კომისია **ახლავე მოკლე** (2 — 4 დღის) ვადით. თუნდაც ასეთი შემადგენლობით: ლიტვინოვი, შეინმანი, რადჩენკო, კრესტინსკი (იმ უფლებით, რომ იგი შეცვალოს ფინსახკომის კოლეგიის სხვა წევრმა), ბოგდანოვი (ასეთივე უფლებით).

გარანტია შეიძლება იყოს: ხე-ტყე (კონცესია ჩრდილოეთში); ნავთობი უხტაზე; ნავთობი ემბაზე; სპილენძის სამადნეები და სხვ.

11/X.

ლ ე ნ ი ნ ი

(დავალება (2 — 4 დღე)
კომისიას: **სპეციალურად**
იტალიის წინადადება და შემდეგ
გარანტიების **ზოგადი** საფუძვლები.)

დაწერილია 1921 წლის 11 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

433
ბარათი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს [360]

საჩქაროდ! წინადადება შემომაქვს ან ახლავე ვუყაროთ კენჭი წერილობით, ან შევკრიბოთ პოლიტბიურო ნახევარი საათით.

წინადადება შემომაქვს: დავეთანხმოთ მ ა რ ხ ლ ე ვ ს კ ი-
ს ა და პ ა ი კ ე ს ს (ვინ დაირენში, ვინ ჩიტაში, გადაწყვიტოს ჩიჩერინმა).

კონფერენციაზე ვაშინგტონში იაროსლავსკი არ გამოდგება. მეშჩერიაკოვი — **არცთუ ძალიან.** წინადადება შემომაქვს: დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს და ორგბიუროს კ ი დ ე ვ ეძებონ (24 საათს) კანდიდატები.

11/X.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 11 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

434

მ. ლ. რუხიმოვიჩს [361]

11/X.

ამხ. რუხიმოვიჩ!

წავიკითხე თქვენი მოხსენება და საშინლად გაგინებთ.

მოხსენება შედგენილია დაუდევრად. რატომ არ შეიძლებოდა თუნდაც აქ, მოსკოვში (თუ დონბასში არა გცალიათ), 2—3 საათი დაგეხარჯათ მოხსენების ს ა ბ ო ლ ო ო დ დ ა-
მ უ შ ა ვ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს?

საბოლოოდ დაუმუშავებელი და ბუნდოვანია.

საჭირო ცხრილი არ არის, ციფრებით კი მოხსენება მეტისმეტად დატვირთულია.

საჭიროა მოკლე ცხრილი: ფასი ფქვილით თუ ოქროს მანეთობით და ა. შ.

1000 ფუთი ქვანახშირი ნეტო სამადნეში, თუ სადგურზე და ა. შ.

ომამდე . . . — — —

ახლა ქვანახშირის მრეწველობის ცენტრალურ გამგეობაში არის — — — — —

(დიდი სამადნეები).

მათ კი თქვენ მიერ ნაჩვენები პირობით აქვთ (კოლექტიური მომარაგების მთელი პროგრამის სრული წარმატება?) — —

პატარა შახტებში მოიჯარესთან — — — — —

ასეთ ცხრილშია მთელი არსი!

თქვენ კი სწორედ ამის მოცემა ვერ შესძელით.

მთელი თქვენი ცხრილები უნდა ყოფილიყო განსაკუთრებულ თავში, როგორც მთავარი და ძირითადი ცხრილის დეტალიზაცია და უზუსტესი დადასტურება.

შემდეგ. ნათლად არ არის ნათქვამი: ამა და ამ ავტორიტეტებს (სახელები, მათი სტაჟი, წოდება?) წვრილი შახტები მავნედ მ ი ა ჩ ნ ი ა თ.

ესენი და ესენი (სახელები და სხვ.) ამის წინააღმდეგი არიან.

ეს დიდმნიშვნელოვანია, აქ კი მიფუჩეჩებულია.

მე-3. დასკვნა? უნდა ავიღოთ ის, რაც სადავოა.

წვრილი შახტების იჯარით გაცემა?

ეს **ახლა** უდავოა.

თქვენთან მიფუჩეჩებული და ბუნდოვანია, რაღა რჩება ა ხ ლ ა სადავო!

ალბათ,

ის:

1) საჭიროა თუ არა ახლავე არაერთი (ა მ ა და ა მ? **დასახელება**) მსხვილი შახტის **რემონტი** და სარემონტოდ მათი გაჩერება მათი დავალების გადატანით წვრილ შახტებზე?

2) გაიცეს იჯარით ს ა შ უ ა ლ ო შახტებიც?

3) — — და სახელდობრ დონეცკის ეკონომიური თათბირის მ ე შ ვ ე ო ბ ი თ?

ცხადად არ არის ნათქვამი. მეც და ყველამ, ვინც მოხსენე-

ბას კითხულობს, საბოლოოდ უნდა დავამუშაოთ იგი თქვენ მაგივრად.

ასე სწორ საქმესაც კი ფუშავენ!

სიცხადისათვის საჭირო იყო მოგეცათ თქვენი გეგმა: სარემონტოდ დაიხუროს ესა და ეს. 900 მილიონი 2 წელიწადში (ან რამდენი?) მოვიპოვოთ წვრილ შახტებში და ა. შ.

კომ. სალმით ლენინი

დაწერილია 1921 წლის 11 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

435

მ. ლ. რუხიმოვიჩს

12/X.

ამხ. რუხიმოვიჩ!

სტალინმა მითხრა, რომ თქვენ ძალიან განაწყენებული ხართ ჩემი წერილით *.

ტყუილად გწყენიათ. ფიქრადაც არა მქონია მეწყენინებინა.

ვილანძღებოდი, ვინაიდან თქვენი იდეები სერიოზულად მივიჩნიე. მე თვითონ დავურეკე გუშინ ამაზე რამზინსაც (პირველხარისხოვანი და უაღრესად კეთილსინდისიერი მეცნიერია) და სმილგასაც. სმილგა დამპირდა მოიწვიოს კომისია: ბაჟანოვი + რამზინი + თქვენ.

უნდა შეგეძლოთ იბრძოლოთ და არა მეტისმეტად თავმდაბლობდეთ, როგორც თქვენ.

---

* იხ. წინა დოკუმენტი. რედ.

ჩემი წერილი თქვენდამი **არავისთვის** არ მიჩვენებია.

რაც შეიძლება უკეთ მოემზადეთ კომისიისათვის და, თუ ჩაგაფლავებენ, შემომიტანეთ ზუსტი და ნათელი «განსაკუთრებული აზრი» [362].

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 12 ოქტომბერს
პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

436

ვ. ვ. კუიბიშევს [363]

12. X. 1921 წ.

ამხ. კუიბიშევ!

გთხოვთ, რუტგერსის საქმეზე მასალის დამატებით, განმიმარტოთ კიდევ:

1) ყველა ლაპარაკობს 300 000 დოლარზე, როგორც ჩვენ! ხარჯზე.

მაგრამ § 4 ა) ამბობს:

«საბჭოთა მთავრობა გაიღებს 100 დოლარს ყ ო ვ ე ლ გ ა დ მ ო ს ა ხ ლ ე ბ უ ლ მ უ შ ა ზ ე».

ხოლო § 5-ის ა) და ბ) მუხლების მიხედვით გადმოსახლდება 2800 + 3000 = 5800.

ხომ არ გამოვა ჩვენი ხარჯი 600 000 დ ო ლ ა რ ი?

ან დაემატოს ნათლად: ას-ას დოლარს *3 0 0 0* კაცზე ნადექ-დინოს ქარხნისათვის და მეტი არაფერი?

2) რატომ არ არის წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი განცხადება სამივესი, რუტგერსისაც, ჰეივუდისაც, კალვერტისაც, რომ ისინი

ხელს აწერენ იმ «ხელწერილს», რომელიც საქმეს ერთვის?

გთხოვთ დღეს შეუკვეთოთ ეს და აუცილებლად ინგლისურ ენაზე.

3) § 8-ის ბოლო (ჩვენი ვალდებულება-დავაბრუნოთ ხარჯები) საჭიროა უფრო ზუსტად ჩამოყალიბდეს განსაკუთრებულ §-ში: «საბჭოთა მთავრობა ვალდებულებას კისრულობს, დააბრუნოს ხარჯები მხოლოდ ამა და ამ შემთხვევებში და მხოლოდ ამა და ამ საწყისებზე».

4) ულტიმატურია თუ არა რუტგერსის და სხვ. შესწორებანი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული ტექსტის მიმართ?

გთხოვთ გამომიგზავნოთ თქვენი პასუხი (+ ინგლისური ხელწერილი) და დააბრუნოთ ეს წერილი მოლოტოვის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის, სახელზე ხვალ, ხუთშაბათს, 13/X-ს.

კომ. სალმით ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

437

დეპეშა ყველა სატყეო კომიტეტისა და საგუბერნიო საგანგებო კომისიისადმი

ყველა საგუბერნიო, რაიონულ, საოლქო და სარკინიგზო სატყეო კომიტეტს, ყველა საგუბერნიო საგანგებო კომისიას (პირები სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას და მუშგლეხინს, ამხ. ავანესოვს)

მიუხედავად სატყეო მრეწველობის ცენტრალური სამმართველოს განუწყვეტელი შეხსენებებისა სატყეო კომიტეტები კვლავ აფერხებენ ანგარიშგებას თავიანთი მუშაობის მიმდინა-

რეობის შესახებ ან გზავნიან მას არა ფორმების მიხედვით ანდა არასრული სახით. საჭიროა ბოლოს და ბოლოს შევივნოთ, რომ შეშისა და მატერიალური ფონდის შევსების შესახებ ზუსტი ცნობების უქონლობა აძნელებს ცენტრის საგეგმო-განმანაწილებელ მუშაობას და მძიმე გავლენას ახდენს სახალხო მეურნეობის ყველა დარგზე, ვინაიდან შეშა მთელი სახელმწიფო მრეწველობისა და რკინიგზების მთელი მუშაობის საფუძველია, ხოლო ხის მასალა, ქვეყნის მწვავე შინაგან საჭიროებათა დაკმაყოფილების გარდა, წარმოადგენს რეალურ ბაზისს საგარეო საქონელგაცვლისათვის, ურომლისოდაც შეუძლებელია რესპუბლიკის ეკონომიური აღორძინება. ამით ყველა სატყეო კომიტეტს კატეგორიული წინადადება ეძლევა დაუყოვნებლივ მოაწესრიგონ ანგარიშგება შეშის, ხის ნახშირის, ხის მასალის დამზადების, გამოზიდვის, ჩაბარების შესახებ; ყველა საგუბერნიო საგანგებო კომისიამ თვალყური ადევნოს სატყეო მრეწველობის ცენტრალური სამმართველოს მიერ დაწესებული ვადებისა და ფორმების ზუსტად შესრულებას. ყველა სატყეო კომიტეტის თავმჯდომარეთა პირადი პასუხისმგებლობით მოვითხოვ ზუსტ, სწრაფ პასუხს იმათი სახელების უკლებლივ ჩამოთვლით, ვინც პასუხისმგებელია ანგარიშების წარმოდგენისათვის პერსონალურად [364].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ *

დაწერილია 1921 წლის 13 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შევსებული
და ხელმოწერილია
ვ. ი. ლენინის მიერ

---

* დეპეშას ხელს აწერენ აგრეთვე სათბობის მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი ვ. ა. ტრიფონოვი და სატყეო მრეწველობის ცენტრალური სამმართველოს უფროსი კ. ხ. დანიშევსკი. რ ე დ.

438

ნ. პ. გორბუნოვს

13. X. 1921 წ.

ამხ. გორბუნოვ!

1) ბროშურა უნდა დაუბრუნდეს ავტორს (ჩაიწერეთ ბროშურის სათაური და სად მსახურობს ავტორი) [365].

2) ვეცადოთ მოვძებნოთ, რომელ ბიბლიოთეკებშია ეს წიგნი.

3) მივწეროთ ინჟინერ ნ. ს. ვეტჩინკინს, ხომ ვერ შეძლებდა მოეთავსებინა ამ საკითხზე სტატია «ეკონომიჩესკაია ჟიზნში» ან «იზვესტიაში».

დაიწეროს პატარა ბროშურა საზღვარგარეთის ახალი (1914 — 1921) ლიტერატურიდან დასკვნების დამატებით.

4) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წინადადება მიეცეს:

(ა) შემოიღოს ჩვენში არსებული საგზაო მანქანების სწორი აღრიცხვა სამხედრო უწყებასთან შეთანხმებით;

(ბ) გამოყოს ამ მანქანების აღრიცხვისა და გამოყენებისათვის პასუხისმგებელი პირები (ალბათ, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტში უნდა იყოს ეს პასუხისმგებელი პირები?);

(გ) განიხილოს საკითხი, ხომ არ არის საჭირო, რომ თუნდაც მცირე რაოდენობა ტრაქტორებისა დავაყენოთ ამ სამუშაოზე და ვაწარმოოთ იგი სისტემატურად.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

439

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებს

ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრის საყურადღებოდ

რეინშტეინმა ვუშინ შემატყობინა, რომ ამერიკელი მილიონერი ჰ ა მ ე რ ი, წარმოშობით რუსი (საპყრობილეში ზის, ბრალად ედება აბორტის უკანონოდ გაკეთება: სინამდვილეში კომუნიზმისათვის შურისძიებაა), მ ი ლ ი ო ნ ფ უ თ პ უ რ ს აძლევს ურალის მუშებს ძალიან შეღავათიან პირობებში (5%) და საკომისიოდ მიიღებს ურ ა ლ ი ს ძ ვ ი რ ფ ა ს ქ ვ ე ბ ს ამერიკაში გასაყიდად.

რუსეთში იმყოფება ამ ჰამერის შვილი (და კომპანიონი), ექიმი, რომელმაც სემაშკოს საჩუქრად ჩამოუტანა 60 000 დოლარის ქირურგიული ინსტრუმენტები. ეს შვილი ურალში იყო მარტენსთან და გადაწყვიტა დაგვეხმაროს ურალის მრეწველობის აღდგენაში.

მოხსენებას მალე ოფიციალურად გააკეთებს მ ა რ ტ ე ნ ს ი.

ლ ე ნ ი ნ ი

14/X.

დაწერილია 1921 წლის 14 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

440

ბ. ვ. ჩიჩერინს [366]

ამხ. ჩიჩერინ! მეეჭვება, რომ სხვა სახკომატმა მოითმინოს ეს. ჩემი აზრით, ბრალი მიუძღვის საქმეთა მმართველ პ. პ. გორბუნოვს. იგი მოვალეა შეიმუშაოს და პოლიტბიურო-

ში გაატაროს ზუსტი დებულება მოსკოვის კომიტეტის უფლებათა შესახებ და იმის შესახებ, რომ მოსკოვის კომიტეტს უფლება არა აქვს თქვენი თანხმობის უქონლად ხსნიდეს («ხსნიდეს» სიტყვის ფართო მნიშვნელობით) ადამიანებს.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის ოქტომბერში,
არა უადრეს 14 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

441

ლ. კ. მარტენსს

15/X.

ამხ. მარტენს!

ხომ არ შეიძლება ჰ ა მ ე რ ი (მის შესახებ რეინშტეინი მელაპარაკა *) დავითანხმოთ, რომ

მ ა ნ იკისროს რუტგერსის ჯგუფის დაფინანსება ურალის გადასარჩენად ამ ჯგუფის შემადგენლობის **გაუმჯობესებით?** ვთქვათ, **4 საქმიანი** ამერიკელის დამატებით?

რაც შეიძლება მალე მიპასუხეთ ამაზე.

მე-2. ხომ არ შეიძლება დავაინტერესოთ ჰამერი ურალის ელექტრიფიკაციის გეგმით, რომ ჰამერმა მოგვცეს არა მარტო პური, არამედ ელექტრომოწყობილობაც (სესხად, რა თქმა უნდა).

---

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 439. რ ე დ.

რუტგერსის გეგმა უნდა გ ა ვ ა ს წ ო რ ო თ (მოახერხეთ გააკეთოთ ეს ჰამერის მეშვეობით) და არა უბრალოდ უკუ-ვაგდოთ [367].

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 15 ოქტომბერს
პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

442

ნ. ა. უგლანოვს

15. X.

ამხ. უგლანოვ! გიგზავნით ამას თქვენ და კომაროვს ს ა ი-დ უ მ ლ ო დ.

მხედველობაში იქონიეთ, რომ ეს საკითხი დასმულია კა-მენევ + ორჯონიკიძე + ზალუცკის კომისიის **ჩამოსვლამდე** და მისგან **დამოუკიდებლად.** პეტროგრადის საგუბერნიო საგან-გებო კომისია უვარგისია, ვერ დგას ამოცანის სიმაღლეზე, ჭკვიანი არ არის. უნდა მოვნახოთ უკეთესები [368].

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 15 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

443

გ. ვ. ჩიჩერინს

16. X.

ამხ. ჩიჩერინ!

მე არ გეთანხმებით მდგომარეობის შეფასებაში და იმ ნაბიჯებზე, რომლებსაც თქვენ გვთავაზობთ[369]. კომინტერნის აღმასკომიდან ჩემი და ტროცკის გამოსვლის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება.

ვალების შესახებ საკმარისია განუცხადოთ კრასინს.

ურკარტი აღარ გვეთანხმება ჯერჯერობით %-ის სიდიდეში: იძლეოდა საერთო წარმოების 5%-ს, ჩვენი კომისია მოითხოვდა 10%-ს.

ინგლისელებსა და ფრანგებს უნდათ გაგვძარცვონ. ამას არ დავუშვებთ. ამით გამოწვეულ მათს «უკმაყოფილებას» ყურადღებას არ მივაქცევთ.

ერთი კონცესია არის: ტყეები კავკასიაში. გერმანელებთან სავაჭრო დაახლოება მიმდინარეობს. იტალიასთან იწყება: იგი სესხს გვთავაზობს. საჭიროა ეს საქმე დავაჩქაროთ და მთელი ძალ-ღონით წავწიოთ წინ.

არმსტრონგს დავუდეთ ხელშეკრულება ქვაბების შესახებ. ნორვეგიასთან ხელშეკრულება გვაქვს.

«მკვეთრი შებრუნებაა» მხოლოდ ინგლისისა და საფრანგეთისა, და, ჩემი აზრით, საჭიროა არც არაფერი დავუთმოთ და არც რაიმე ნაბიჯი გადავდგათ. Hoover რეალური პლუსია.

კომ. სალმით ლენინი

დაწერილია 1921 წლის 16 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

444

ბ. მ. კრჟიჟანოვსკის

პირი ამხ. ოსინსკის,
პირი ამხ. ივანესოვს

შრომისა და თავდაცვის საბჭოს ყველა წევრისათვის, გადაეცით «ჩამოტარებითი», რათა ყველამ წაიკითხოს და ხელი მოაწეროს, რომ წაიკითხა

17/X. 1921 წ.

ამხ. კრჟიჟანოვსკი!

თქვენს ყურადღებას მივაპყრობ «პრავდის» № 231-ში (14. X. 1921) გამოქვეყნებულ ამხ. რაკოვსკის სტატიას «შიმშილი და სიმინდი».

ამ სტატიასთან დაკავშირებით უეჭველად მიმაჩნია, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო სექციის დ ა ს კ ვ ნ ა სიმინდის საკითხზე (13. IX. 1921; ამხ. სერედას ხელმოწერით) საკმარისი არ არის.

სიმინდის (და ლობიოს) უპირატესობანი ბევრი მხრივ, ეტყობა, დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა. რაკი ეს ასეა, უნდა მივიღოთ უფრო სწრაფი და უფრო ენერგიული ზომები. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თესლი საჭიროა ჩვეულებრივზე **10 — 15-ჯერ** ნაკლები.

ეს თითქოს გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ ი მოსაზრებაა.

ახლავე უნდა დავადგინოთ, რომ მ თ ე ლ ვოლგისპირეთში მ თ ე ლ ი ს ა გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ო ფართობის უკლებლივ დათესვისათვის საჭირო სიმინდი მთლიანად შესყიდულ იქნეს დროულად, რათა დაითესოს 1922 წლის გაზაფხულზე.

მიზნის მისაღწევად საჭიროა ამასთან ერთად:

1) შევიმუშაოთ არაერთი ძალიან ზუსტი და ძალიან სა-

ფუძვლიანად მოფიქრებული ღონისძიება სიმინდის პროპაგანდისა და იმისათვის, რომ გლეხებს **ვასწავლოთ** სიმინდის კულტურა ახლანდელ მცირე საშუალებათა პირობებში;

2) სასწრაფოდ განვიხილოთ, შეიძლება თუ არა გამოინახოს პრაქტიკული საშუალებები და გზები იმისათვის, რომ გლეხური მეურნეობის, **ყოფა-ცხოვრებისა და ჩვევების არსებულ** პირობებში შემოვიღოთ ადამიანთა საჭმელად სიმინდი (შდრ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ბარათის გვ. 35).

გთხოვთ დაუყოვნებლივ განიხილოთ სასოფლო-სამეურნეო სექციაში და პრეზიდიუმში ეს საკითხები, ამასთან აუცილებლად გაითვალისწინოთ ყველა ელფერი აზრებისა სიმინდის შესახებ.

მოხსენდეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს პარასკევს, 21. X. 1921 [370].

შრომისა და თავდაცვის საბჭოს
თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1930 წლის 15 აპრილს გაზეთ «პრავდაში», № 104

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

445

ნ. ნ. კრესტინსკის

პირი ამხ. პრეობრაჟენსკის

17. X. 1921 წ.

ამხ. კრესტინსკი!

მინდა ვიცოდე თქვენი აზრი, ხომ არ არის დრო მოვახდინოთ ორგვარი გაანგარიშებანი:

ჯერ ერთი, ჩვენი ვალუტის აღდგენის გეგმა (სრულიად

დაუზუსტებელი და ზოგადი, მთლად მიახლოებითი). ვთქვათ: ასეთ და ასეთ პირობებში, ამდენი და ამდენი წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნებოდა ასეთი და ასეთი ზომების თანამიმდევრულად გამოყენებით განხორციელებულიყო ესა და ეს.

შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა თქვენ (და საფინანსო საკითხების კომისიას) ასეთი გაანგარიშება, თუ ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ თუნდაც დაახლოებით მსგავსი გაანგარიშება ნაადრევი და შეუძლებელია?

მე-2, ხომ არ შეიძლება ოქროზე გადავიყვანოთ ჩვენი ს ა გ ა ს ა ვ ლ ო ბიუჯეტი და შევადაროთ (მ თ ა ვ ა რ ი რუბრიკების მიხედვით — და, ეგება, უწყებებისა და ოლქების, გუბერნიების, დედაქალაქების და სხვ. მიხედვით, რამდენადაც შესაძლებელია) ო მ ა მ დ ე ლ ციფრებს.

უნდა შევუდგეთ, და რაც შეიძლება მალე, იმას, რომ ასეთი ან მსგავსი გაანგარიშების გზით დავიწყოთ მთლად თავმინებებული, ყოვლად შეუსაბამო, სტიქიურად, უსისტემოდ გაბერილი ჩვენი ბიუჯეტის რეფორმა.

გთხოვთ მაცნობოთ თქვენი დასკვნა ამ საკითხზე და—თუ თქვენ ამის საწინააღმდეგო განსაკუთრებული მოსაზრებები არა გაქვთ — დააყენოთ იგი საფინანსო კომისიის წინაშე.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
წიგნში «დიდი ბელადი»

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

446

პ. ი. პოპოვს

ამხ. პოპოვ!

მივიღე მოსახლეობის სტატისტიკური ცხრილები რსფს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ დანაყოფთა მიხედვით.

1) გთხოვთ პრესაში დააზუსტოთ (ნათქვამი არ არის, მაგ., რა გვაქვს 1920 წლის 28 აგვისტოს აღწერის მიხედვით).

2) ავტონომიური ოლქები და რესპუბლიკები (კარელიის შრომითი კომუნა, ბაშკირეთის, თათრეთისა და ა. შ.) გამოჰ-ყოთ გუბერნიების სიიდან და ცალკე დააყენოთ, შეათანხმოთ (ეჭვის შემთხვევაში) შინსახკომთან და იუსტსახკომთან.

3) შეაჯამოთ მსხვილი დანაყოფები, გაიმეოროთ ისინი

დაახლოებით ასე	ევროპის რუსეთი, საკუთრივ რსფსრ; ავტონომიური რესპუბლიკები უკრაინის სსრ, თურქესტანის, კავკასიის რესპუბლიკა, შორეული აღმოსავლეთისა და ა. შ.

4) ერთხელ კიდევ შეამოწმოთ, აღებულია თუ არა 1914-ის და 1897-ის **იგივე** ტერიტორიები, მაგ., ბაშკირეთის რესპუბ-ლიკა

1920	1 268 132
1914	357 700 (?? აშკარა შეცდომაა)

5) დაუმატოთ მოკლე ტექსტი (შინსახკომის ბროშურის თანახმად) ცვლილებათა შესახებ (მაზრებისა და თემების შე-მადგენლობაში) გუბერნიებსა და ოლქებში.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.
ვ. ულიანოვი (ლენინი)

P. S. სასურველია კიდევ დაუმატოთ: გამოეყვნენ რსფს რესპუბლიკას წინანდელ რუსეთის იმპერიაში შემავალი ს ა-ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ ი, ფართობი, მოსახლეობა 1897-ში და 1914-ში (თუ არის), თ უ ე ს ძ ნ ე ლ ი ა რ ი ქ ნ ე ბ ა.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.
ვ. ულიანოვი (ლენინი)

P. P. S. ხომ არ შეიძლება აგრეთვე დაემატოს მაზრების, თემების, ქალაქების, სოფლების რიცხვი (1914—1915-ის წელიწდეულის მსგავსად).

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.
ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1921 წლის 17 ოქტომპერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი **პირის მიხედვით**

447

გ. მ. კრჟიჟანოვსკის

17/X.

გ. მ.!

გიგზავნით საიდუმლოდ.

წაიკითხეთ და დამიბრუნეთ დღესვე ან ხვალ დილით მაინც.

ავტორი[371] ნაწილობრივ მართალია: ბ ო ლ ო ს მე შევცვლი დავალებას სახელმწიფო საგეგმო კომისიისადმი (მიწსახკომს დაევალება).

მოიფიქრეთ იმის საშუალება, რომ შეათანხმოთ და **დააზუსტოთ** სახელმწიფო საგეგმო კომისიის ამოცანები და მომეცით თქვენი გეგმა (პროექტი დადგენილებისა სახელმწიფო საგეგმო კომისიის და საგეგმო კომისიების გამიჯვნის შესახებ) **წერილობით.**

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 17 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება **ხელნაწერის მიხედვით**

448
წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ბარათი ვ. მ. მიხაილოვს[372]

პოლიტბიუროს წევრებს

წინადადება შემომაქვს, ჩემი მხრივ, დავეთანხმოთ ჩიჩერინს.

18/X. ლენინი

18/X.

ამხ. მიხაილოვ!

წინადადებას ვიძლეული თანდართული გაუგზავნოთ პოლიტბიუროს ყველა წევრს ჩამოტარებით, ე. ი. რომ თითოეულმა წაიკითხოს, აღნიშვნა გააკეთოს და გადაუგზავნოს შემდეგს (ან თქვენ).

თუ არავინ მოითხოვს პოლიტბიუროში განხილვას, მაშინ უმრავლესობის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა ჩაიწეროს ოქმში.

კომ. სალმით ლენინი

დაწერილია 1921 წლის 18 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

449
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს

პოლიტბიუროს ყველა წევრს

ხაზგასმული წინადადების წინააღმდეგი ვარ[373]. ასეთი ნაბიჯები მხოლოდ ჩვენი სისუსტის შთაბეჭდილებას გამოიწვევენ; როგორც ყოველთვის მომხდარა ასეთ შემთხვევაში,

მოწინააღმდეგე გათავხედდება. საკმარისად მიმაჩნია კრასინის ინტერვიუ და პოლემიკა პრესაში. ვთხოვ ამხანაგ მიხაილოვს გამოართვას ამხ. ჩიჩერინს მისთვის გაგზავნილი ჩემი წინა ბარათი ამ საკითხზე და ისიც დაუგზავნოთ პოლიტბიუროს წევრებს*.

18/X.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 18 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

450

* სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

წინადადებას გაძლევთ სასწრაფოდ გამომიგზავნოთ ცნობები და მასალები ივანოვო-ვოზნესენსკის რაიონული ელექტროსადგურის აგების შესახებ (რუბის ტბაზე) [374].

1) დებულება ივანოვო-ვოზნესენსკის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის შესახებ ან ამ სადგურის მშენებლობის შესახებ.

2) შემუშავებული და დამტკიცებულია თუ არა ამ სადგურის აგების პროექტები, პროექტის ძირითადი მონაცემები: სიმძლავრე, ტიპი და ა. შ.

3) როგორ არის ორგანიზებული სამშენებლო სამმართველო; კანტორათა რიცხვი; მათი ადგილსამყოფელი; ურთიერთდამოკიდებულება ერთმანეთთან და ცენტრთან; უშუალოდ ვის ექვემდებარება მშენებლობა აქ, ცენტრში; რა ურთიერთობა აქვთ მშენებლობის ორგანოებს ივანოვო-ვოზნესენსკის საგუბერნიო საბჭოთა დაწესებულებებთან; მშენებ-

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 443. რ ე დ.

ლობაში მთავარი პასუხისმგებელი პირების გვარები, თანამდებობა და სტაჟი; ვინ არის უშუალოდ პასუხისმგებელი მთელი საქმისათვის აქ, ცენტრში.

4) მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი მშენებლობის სამმართველოში და მშენებლობაზე 1 მაისისათვის და 1 ოქტომბრისათვის მშენებლობის ყველა ცენტრალური და ადგილობრივი კანტორის შტატებითურთ (მოსკოვი, ივანოვო-ვოზნესენსკი, ტეიკოვო, რუბის ტბა); ცალკე — რამდენია:

მშენებელი და სხვა მუშები:

ა) კვალიფიციური,

ბ) არაკვალიფიციური;

კანტორის შრომის მოსამსახურენი;

ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი:

ა) ინჟინრები,

ბ) სხვა ტექნიკოსები.

5) რა ამოცანები აქვს დასახული სამშენებლო სამმართველოს, მშენებლობის პროგრამა 1921 და 1922 წლებისათვის; ამ ორი წლის კალენდარული პროგრამა და მისი შესრულება.

6) რა მდგომარეობაში იყო სამშენებლო სამუშაოები 1921 წლის 1 ოქტომბრისათვის; რეალურად რა გაკეთდა მშენებლობის დაწყებიდან.

7) როგორ არის უზრუნველყოფილი მშენებლობა 1921 და 1922 წლებისათვის:

სურსათით,

სამშენებლო და ტექნიკური მასალებით და მუშახელით

და ა. შ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 19 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით, რომელსაც
ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

451
ლ. ბ. მარტენსს

ამხ. მარტენს!

თუ ჰამერის გეგმა, მისცეს ურალს 1 მილიონი ფუთი, სერიოზულია (თქვენი წერილიდან კი ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თქვენ მიერ რეინშტეინის სიტყვების წერილობით დადასტურება გვაიძულებს გეგმა სერიოზულად მივიჩნიოთ და არა ფუჭ ლაყბობად), მაშინ თქვენ უნდა ეცადოთ მისცეთ ყველაფერს ხელშეკრულების ან კ ო ნ ც ე ს ი ი ს ზუსტი იურიდიული სახე*.

თუნდაც ფიქციური, მაგრამ კ ო ნ ც ე ს ი ა (ასბესტი ან ურალის სხვა ფასეულობანი ან რაც გინდათ). ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანია ვაჩვენოთ და დავბეჭდოთ (შემდეგ, როცა შ ე ს რ უ ლ ე ბ ა დ ა ი წ ყ ე ბ ა), რომ ამერიკელები დ ა თ ა ნ ხ მ დ ნ ე ნ **კონცესიებზე.** პოლიტიკურად დიდმნიშვნელოვანია. მიპასუხეთ.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 19 ოქტომბერს

პირველად დაბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

452
წერილი ი. ი. რადჩენკოს და გარათი ფ. ვ. ლენგნიკს

19. X. 1921 წ.

ამხ. რადჩენკო!

რეკომენდაციას ვაძლევ ამის მომტანს, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ე მ ე ლ ი ა ნ ო ვ ს. გთხოვთ მიავლინოთ იგი

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 473; იხ. აგრეთვე თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 53, დოკუმენტი 511. რ ე დ.

1/2 წ ლ ი თ ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ, რომ დაისვენოს პიტერის კატორღისაგან და გამოიცვალოს საქმე.

მე პირადად ძალიან კარგად ვიცნობ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძეს და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ამხანაგი, აბსოლუტურად პატიოსანი, უერთგულესი კომუნისტი, უდიდესი ცხოვრებისეული, საქარხნო და პარტიული გამოცდილების მქონე, შეიძლება გამოვიყენოთ და უნდა გამოვიყენოთ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საზღვარგარეთელ მოხელეთა ქურდობისა და საბოტაჟის ავგიოსის თავლების გასაწმენდად. გთხოვთ დამირეკოთ დღეს.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

ამხ. ლენგნიკ!

გთხოვთ წაიკითხოთ ეს წერილი და დამირეკოთ (წერილს შემდეგ ვაჩვენებთ ივ. ივ. რადჩენკოსაც). ძალიან გთხოვთ სწრაფად დაუნიშნოთ ემელიანოვს შესაფერისი მივლინება

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა არასრულად
1934 წელს წიგნში «ლენინი
სამეურნეო ფრონტზე»

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

453

* მოსკოვის რევტრიბუნალს

მოსკოვის საგანგებო კომისიის კოლეგიის დადგენილებით თქვენ გადმოგეცათ საქმე სურსათის სახალხო კომისარიატში საქმის გაჭიანურების შესახებ (იაკობ სტეფანეს ძე არტიუხოვის საქმე) [375].

გთხოვთ უმოკლეს ვადაში განიხილოთ ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე და განაჩენი მაცნობოთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

P. S. უაღრესად მნიშვნელოვანია — როგორც პარტიული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით — განსაკუთრებით საბჭოების VIII ყრილობის გადაწყვეტილების შესასრულებლად[376], რომ გასამართლება საქმის გაჭიანურების გამო რაც შეიძლება ზეიმური, აღ მ ზ რ დ ე ლ ო ბ ი თ ი იყოს და განაჩენი საკმაოდ შთამბეჭდავი.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 20 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შევსებულია
მდივნის ხელით

454

ი. ბ. სტალინს

ამხ. სტალინ! გადაათვალიერეთ, გეთაყვა, და, თუ შეიძლება, ჰკითხეთ ზოგიერთ ძველ პარტიელს, შესაძლოა, სომხებს. მე ვიცნობდი ლ ა ლ ა ი ა ნ ც ს **1890-იანი** წლებიდან როგორც მარქსისტს და შემდეგ ბოლშევიკს. უეჭველია, ერთგული რევოლუციონერია, რ ო მ ე ლ ი ც უ ნ დ ა გ ა მ ო ვ ი ყ ე ნ ო თ, მ ი უ ზ ე დ ა ვ ა დ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი უ თ ა ნ ხ მ ო ე ბ ი ს ა[377].

20/X.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 20 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

455

ვ. ა. სმოლიანინოვს [378]

ამხ. სმოლიანინოვ!

საჭიროა რაც შეიძლება წინ წავწიოთ ბამბის საკითხი კავკასიაში, აზერბაიჯანსა (მუღანის ველი) და სომხეთში.

ეთხარით რიკოვს და თვალყური ადევნეთ, რომ სახბანკმა სესხი რაც შეიძლება მეტი და რაც შეიძლება ხელსაყრელად მისცეს.

კომ. სალამით ლენინი

დაწერილია 1921 წლის 21 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

456

ვ. ი. ჩუბარს და ქ. გ. რაკოვსკის

ჩუბარსა და რაკოვსკის

დღეს შრომისა და თავდაცვის საბჭომ უკრაინიდან პურის გამოტანის შესახებ მოხსენების გამო დაადგინა, რომ, ვინაიდან თქვენ იკისრეთ თქვენი საშუალებებით დატვირთოთ პური ცენტრისათვის და ვინაიდან იგი ძლივს აღწევს დადგენილი ნორმის მეოთხედ ნაწილს, თუ სამი დღის განმავლობაში ძირიანად არ გაუმჯობესდა საქმე, იძულებული ვიქნებით დავნიშნოთ ჩვენი რწმუნებული უკრაინაში. შრომისა და

თავდაცვის საბჭო გთხოვთ დაუყოვნებლივ გვიპასუხოთ შრომისა და თავდაცვის საბჭოს ამ დეპეშაზე*.

21/X—21 წ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს
თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ხარკოვში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ლ. ა. ფოტიევას
ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

457

ა. ო. ალსკის

საიდუმლოდ

21. X.

ამხ. ალსკი!

გამომიგზავნეთ ცნობები ფულის ნიშნების სათადარიგო, ხელშეუხებელი ფონდის შესახებ:

(1) ყოველთვიურად, სანამ ეს ფონდი 1 ტრილიონზე < არ არის,

(2) თვეში 2-ჯერ, თუ $^1/_2$ ტრილიონზე < არ არის,

(3) ყოველკვირეულად, თუ $^1/_4$ ტრილიონზე < არ არის,

(4) ყოველდღიურად, თუ ნაკლებია.

---

* ფურცლის მარჯვენა ზედა კუთხეში ლ. ა. ფოტიევას ხელით მიწერილია: «ამხ. გარტმანს. საჭიროა დაუყოვნებლივ გაგზავნოთ და თვალყური ადევნოთ პასუხის მიღებას». რ ე დ.

აგრეთვე მაცნობეთ ხელშეუხებელი ფონდის **ხარჯვის წესი** (ვისა აქვს ხარჯვის უფლება? რა ფორმალობათა დაცვით? და ა. შ.).

მოიფიქრეთ და მაცნობეთ უაღრესად საიდუმლოდ, დალუქულ და გაკერილ კონვერტში, **პირადად**, საკუთარ ხელში ლენინს ალსკისაგან [379].

—

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 21 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

458

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს [380]

ამხ. მიხაილოვს. **ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს**

ივ. ივ. სკვორცოვის (სტეპანოვის) თხოვნის გამო გთხოვთ გააუქმოთ მისი მივლინება და გაგზავნოთ იგი ამ მივლინების ნაცვლად ერთ-ერთ მოსკოვის ახლომდებარე საბჭოთა მეურნეობაში, რძით გამოსაკვებად, რომ იგი სხვა საქმეებისაგან თავისუფალი იყოს და 1—1½ თვეში დაამთავროს დაწყებული ლიტერატურული სამუშაო. (საბჭოთა მეურნეობა გამონახეთ მოსკოვის სათანადო ორგანოს მეშვეობით).

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 21 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში», №10

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

459
ა. ა. ნოვიცკის

ამხ. ნოვიცკი!

უფრო ნათელი იქნება, ალბათ, ასე:

(+)

გრაფა 3: ფაქტობრივი ნაღდი
 დ ა გ ა ვ ზ ა ვ ნ ი ლ ი (—)
 მაშინ დ ა ბ ლ ა ი ქ ნ ე ბ ა ციფრი:
 დ ა რ ჩ ა ნ ა ღ დ ი
 +

ხოლო გვერდით
გრაფები 6 და 6 bis ვის, სად,
 როდის, ვისი დადგენილებაა.

შემდეგ
ასიგნობანი 4+8+9
 მე-10 მე-4-ში ზემოდან
და შ ე მ დ ე გ
 ნ ა ღ დ ი მ ი ნ უ ს ასიგნობანი,
 ე. ი. **მე-ნ გრაფა**

ასეთი ცხრილები (როგორც ისინი, რომლებსაც თქვენ მიგზავნით) უაღრესად საიდუმლო უნდა იყოს *.

ამიტომ, ვფიქრობ, ისინი უნდა დაამზადოთ **მხოლოდ** 2 ეგზ. (თქვენ+მე პოლიტბიუროსათვის) მანქანაზე გადაუბეჭდავად.

დაემატოს კიდევ გრაფა: წ ი ნ ა ს წ ა რ გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ი ა ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს მ ი ე რ, შეიძლება სათაურით:

წინასწარ გადაწყვეტილია
ამხ. მოლოტოვის ცნობის მიხედვით:
 როდის გადაწყდა წინასწარ,
 რამდენი,
 მიზანი.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

* იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 457. რ ე დ.

P. S. დამიბრუნეთ თქვენი ჩანანიშნებითურთ ეს და დანართები.

დაწერილია 1921 წლის ოქტომბერში,
22 რიცხვამდე

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

460

ა. ა. ნოვიცკის

საიდუმლოდ

ამხ. ნოვიცკი!

დაუმატეთ თქვენს ნაკრებ ცნობებს ოქროს ფონდის შესახებ გრაფა: წინასწარ გადაწყვეტილია პოლიტბიუროს მიერ, მაგრამ ჯერ კიდევ არ გატარებულა საბჭოთა წესით და არ გაგზავნილა; შეუთანხმდით ამხ. მიხაილოვს, ცენტრალური კომიტეტის მდივანს, თქვენ მიერ ამ ცნობების მიღების შესახებ და პირადად ჩაწერეთ ხოლმე ისინი ნაკრებ ცნობებში.

22/X.

უაღრესად საიდუმლოდ

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 22 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

461

ლ. ბ. სოსნოვსკის [381]

22/X.

ამხ. სოსნოვსკი!

მივიღე თქვენი წერილი ეჟოვის შესახებ.

ძალიან მეეჭვება, რომ ჩვენ შეგვეძლოს მივცეთ 1—1½ ათასი მუშა და მოსამსახურე,

1¼—1½ მილიონი მანეთი (საბჭოთა) თვეში.

არა მგონია.

ვფიქრობ: შევიმუშაოთ პ რ ე მ ი ე ბ ი საწყობის სწრაფად განტვირთვისათვის საწარმოო დაწესებულებაში (სახელმწიფო ქარხნები, სახელმწიფო ფაბრიკები, საბჭოთა მეურნეობები და ა. შ.).

დანარჩენი თქვენი განზრახვები უნდა აამოქმედოს ეჟოვმა (მე კი პირი).

ზუსტი და მოკლე პროექტია.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 22 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

462

დეპეშა ყველა საოლქო და საგუბერნიო ეკონომთათბირს

ყველა საოლქო და საგუბერნიო ეკონომთათბირს.
განსაკუთრებული კომიტეტი, ხარკოვი

ვინაიდან არის შემთხვევები, როცა საოლქო და საგუბერნიო ეკონომიურ ორგანოებს სათბობის მთავარი კომიტეტის

განაწილების იმ გეგმებსა და ცალკეულ განკარგულებებში, რომლებიც სათბობის მთავარ კომიტეტთან არსებული სათბობის გეგმის ცენტრალური კომისიის დადგენილებებს ემყარება, თვითნებურად შეაქვთ ცვლილებანი, რაც იწვევს სათბობით მომარაგების დარგში მუშაობის გეგმაშეწონილობის ძირფესვიან დეზორგანიზებას, წინადადება გეძლევათ ამიერიდან არავითარ შემთხვევაში არ დაუშვათ ასეთი თვითნებური ცვლილებანი. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ეს ცვლილებანი აუცილებელია, წინასწარ შეუთანხმოთ საკითხი სათბობის მთავარ კომიტეტს ან შეიტანოთ შრომისა და თავდაცვის საბჭოში. ამის შესრულება პირადი პასუხისმგებლობით ეკისრება ეკონომიური თათბირის თავმჯდომარეს. მიღება და შესრულება გვაცნობეთ[382].

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 22 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელიც შევსებული და ხელმოწერილია ვ. ი. ლენინის მიერ

463

დ. ი. კურსკის

22/X.

ამხ. კურსკი!

ამასთან გიგზავნით მასალებს ს კ ფ-ის კონცესიაზე (ხელშეკრულება და სხვა მასალები ბოგდანოვთან არის).

თქვენ ამ საქმეს იცნობთ.

გთხოვთ დამიბრუნოთ თქვენი შეფასებითურთ.

გახსოვთ: თქვენ წინააღმდეგი იყავით **საწყობის გამო.**

ხომ არ შეიძლება გავაკეთოთ ასე: გამოვნახოთ **ორი** გარიგების ფორმა (შესაფერი, მოხერხებული): ერთი გარიგებით სკფ **ი ყ ი დ ი ს** ჩვენგან მთელ საწყობს. (საკუთრების უფლების აღიარება **ჩვენია:** ხომ ამაშია არსი.)

მეორით ჩვენ მათგან ვიყიდით იმ თანხის საგნებს, რაც ხელშეკრულებაშია.

საბოლოო ანგარიშით ჩ ვ ე ნ მათ ვუხდით ამ თანხას *.

შეიძლება თუ არა **სხვანაირად** უზრუნველვყოთ ჩვენი ინტერესები? მეეჭვება.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 22 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

464

მონიშვნები მოხსენებითს ბარათზე და წერილი ბ. ვ. ჩიჩერინს

ამხ. ჩიჩერინ!

იხ. წერილი,

ვვ. 4

და უკანა მხარე.

ლ ე ნ ი ნ ი

1921 წლის 22 ოქტომბერი

დიდად პატივცემულო ვლადიმერ ილიას ძევ!

ურკარტის განცხადებებისა და კამპანიის შესახებ ამხ. კრასინის დღევანდელი დაშიფრული წერილიდან, რომელმაც ჩვენამდე ნაწილობრივ მოაღწია, ჩანს, რომ საქმე უფრო სერიოზულია და არ შეიძლება აიხსნებოდეს მარტო ბლეფით კონცესიებისაგან 5% ანარი-

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 471. რ ე დ.

ცხის მიღების მისაღწევად. როგორც ეტყობა, ჩვენს ახალ კურსზე გული გაუტყდათ. ბუნებრივია, რომ ასეთი რთული ისტორიული კომბინაციის შექმნისას, როგორიც არის დასავლეთევროპელი კაპიტალისტებისათვის კონცესიების მიცემა ბოლშევიკური მთავრობის დროს, ამ კომბინაციების მოგვარება ერთბაშად და შეუფერხებლად არ ხდება. მაგრამ მით უმეტეს უნდა ვზრუნავდეთ იმისათვის, რომ ეს დაბრკოლებები გადავლახოთ. პირადად, მე
? სრულებით არ ვიცი ჩვენი პოლიტიკის რა ზამბარებმა გამოიწვიეს
? აგვისტოს დამლევს ერთგვარი შემობრუნება ჩვენს კურსში. ასე,
? რომ სრულებით არა ვარ კომპეტენტური, რათა აზრი გამოვთქვა,
აუცილებელი იყო თუ არა ეს შემობრუნება...

ამბ. ჩიჩერინ! აგვისტოში «ჩვენს კურსში შემობრუნების» (იხ. გვ. 1) ნასახიც არ ყოფილა. თაღლითების დაპატიმრებაზე, შეთქმულთა დახვრეტაზე და კონცესიონერების უზომოდ ხარბ წინადადებათა უარყოფაზე ჩვენ ხელი არასოდეს აგვიღია და არც ავიღებთ.

ვალების საკითხზე გირჩევთ პოლიტბიუროში გაატაროთ კომისიის დანიშვნა (თქვენი კანდიდატები?) გრომანისა და გოიხბარგის კომისიების მუშაობის მდგომარეობის შესამოწმებლად.

პირადად მე ვერაფერს ვხედავ «კრასინის ფაქტებში» და ა. შ., ურკარტის შანტაჟის მეტს.

ინტერვენციას გაზაფხულზე წ ა მ ო ი წ ყ ე ბ ე ნ, თუ შეძლეს **აიძულონ** პოლონეთი: აქ ხელს ვერაფრით შეუშლი, გარდა თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისა.

მიხალსკი წერს ინგლისის ახალ შემობრუნებათა შესახებ. რა არის აქ მთავარი? თქვენი აზრი? ის ხომ არა, რომ ეშინიათ ვაშინგტონისა და უნდათ საფრანგეთის «გული მოიგონ» და რუსეთი დააშინონ?

ჩვენთვის **უაღრესად მნიშვნელოვანია** შეთანხმებანი და კონცესიები ა მ ე რ ი კ ე ლ ე ბ თ ა ნ: ჰუვერთან გვაქვს რ ა ღ ა ც (არამცირედი). **ჰამერთან** თითქმის გვაქვს. **Amruss** მოდის[383].

უნდა გავაკეთოთ ყველაფერი (თქვენ განსაკუთრებით),

რომ მოვსპოთ **ყველა** უთანხმოება (სამწუხარო და მავნე) ლიტვინოვსა და მარტენსს შორის *.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 22 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 53

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

465

ი. ბ. სტალინს [384]

ამხ. სტალინ!

გაანგარიშება გაზვიადებული მეჩვენება. მაგრამ, უნდა გამოვტყდე, ვერ ვიცნობ ორგბიუროს «საგანმანაწილებლო» მუშაობის ოდენობას. დასაბუთება, ჩემი აზრით, სწორია. შევკვეცოთ «განაცხადი» პირველ რიგში არასამეურნეო სახკომატების მიმართ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის
22 და 31 ოქტომბერს შუა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

466

ბარათი ბ. ვ. ჩიჩერინს და შენიშვნები ვალების ცნობის შესახებ საბჭოთა მთავრობის განცხადების პროექტზე [385]

24 ოქტომბერი.

ამხ. ჩიჩერინ! გიგზავნით ჩემს შესწორებებს და გთხოვთ დამიბრუნოთ თქვენი შეფასებითურთ.

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც.. ტომი 53, დოკუმენტი 424. რ ე დ.

№ 1) ჩვენ 150 მლნ კი არა ვართ, არამედ **130**, შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის ჩათვლით.

№ 2) კი არ «დავუთმოთ», არამედ გავაკეთოთ ა რ ა ე რ თ ი დ ა თ მ ო ბ ა.

№ 3) **მ თ ა ვ ა რ ი:** უნდა ვთქვათ **ო ს ტ ა ტ უ რ ა დ ა ც** და ზუსტადაც **ჩვენს** პრეტენზიებზე მათდამი.

კომუნისტური სალმით ლ ე ნ ი ნ ი

განცხადების პროექტი

სახელმწიფოთა წარმომადგენლების ბრიუსელის კონფერენციამ, დასავლეთ ევროპის გაზეთების ცნობებით, დამშეულთადმი დასახმარებლად რუსეთის მთავრობისათვის კრედიტების მიცემის პირობად წამოაყენა რუსეთის წინანდელ მთავრობათა ვალების ცნობა. ამ კონფერენციის დადგენილებათა შესახებ რუსეთის მთავრობისათვის დღემდე არაფერი უცნობებიათ. მაგრამ რუსეთის მთავრობას მაშინ, როცა ხალხის მასები დამშეული არიან, არ სურს ანგარიში გაუწიოს დახვეწილ დიპლომატიურ ეტიკეტს და თავის აუცილებელ მოვალეობად მიაჩნია დაუყოვნებლივ განაცხადოს, თუ როგორ ეკიდება ბრიუსელის გადაწყვეტილებებს. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა ლოიდ ჯორჯმა 16 აგვისტოს ბრიტანეთის პარლამენტში წარმოთქმულ თავის სიტყვაში ჯოჯოხეთური განზრახვა უწოდა იმ წინადადებას, რომ რუსეთში დაწყებული შიმშილობა გამოიყენონ და აიძულონ იგი ცნოს მეფის მთავრობის ვალები. მიუხედავად ამისა, ბრიუსელის კონფერენციამ, რომელსაც ძალიან კარგად მოეხსენება, რომ რუსეთში დიდი შიმშილობის გამო საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია საკუთარი ძალებით გადაარჩინოს დაღუპვას უბედურებაში ჩავარდნილი მოსახლეობა, რუსეთისათვის იმ კრედიტების მისაცემად, რომელთა მიუღებლად დამშეულთათვის სერიოზული დახმარების აღმოჩენა შეუძლებელია, ის პირობა წამოაყენა, რომ საბჭოთა მთავრობამ ძველი ვალები ცნოს.

მიაპყრობს რა ბრიუსელის კონფერენციის ამ მოქმედებას ყველა ქვეყნის მშრომელი მასებისა და ყველა იმ მოქალაქის ყურადღებას, რომელთათვის ძვირფასია კაცთმოყვარეობის მოსაზრებანი, რუსეთის მთავრობა ამავე დროს აცხადებს, რომ წინადადება — ცნობილ იქნეს გარკვეულ პირობებში ძველი ვალები, ამჟამად შეესაბამება მის საკუთარ განზრახვებს. თავისი არსებობის დასაწყისიდანვე საბჭოთა მთავრობა თავისი პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიზნად სახავდა ეკონომიურ თანამშრომლობას სხვა სახელმწიფოებთან. იგი ყოველთვის აცხადებდა, რომ მზად იყო საკმაო მოგება მიეცა უცხოელი კაპიტალისტებისათვის, რომლებიც

დაეხმარებოდნენ მას **რუსეთის** ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავებაში და მისი სამეურნეო აპარატის აღდგენაში. ამჟამად იგი აღნიშნავს, რომ როგორც ამერიკის **შეერთებული** შტატების პრეზიდენტის, ისე დიდი ბრიტანეთის მინისტრების ოფიციალურ განცხადებებში მუდამ გამოითქმის ის აზრი, რომ მსოფლიო ომის დამთავრებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი მშვიდობა, ხალხის მასების გაჭირვება სულ უფრო მწვავე ხდება, დიდდება სახელმწიფო ვალები და იზრდება ნგრევა.

№ 1 130

სავსებით ცხადია, რომ ფიქრიც არ შეიძლება სრული მშვიდობის დამყარებაზე ურუსეთოდ, რომელსაც 150-მილიონიანი მოსახლეობა ჰყავს, რომ არ შეიძლება დაძლეულ იქნეს ნგრევა, თუ რუსეთში დატოვებულ იქნა ნანგრევები, და რომ რუსეთსა და დანარჩენ სამყაროს შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, რომელიც პირველხარისხოვანი მსოფლიო საკითხია, არ შეიძლება გადაიჭრას საბჭოთა მთავრობასთან შეუთანხმებლად. ყველა სახელმწიფოსა და ყველა ხალხის ხანგრძლივი ინტერესებისა და მუდმივ საჭიროებათა თვალსაზრისით, რუსეთის სამეურნეო აღდგენა პირველხარისხოვანი აუცილებლობაა არა მარტო მისთვის, არამედ მათთვისაც. სხვა ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთმოქმედების უქონლად რუსეთის ეკონომიური აღორძინების ამოცანა უაღრესად გაძნელებული გამოდის, და მისი შესრულება გაცილებით უფრო გრძელი პერიოდით უნდა გაჭიანურდეს.

მუშურ-გლეხურ მთავრობას ყოველ სხვა მთავრობაზე უკეთ შეუძლია შეასრულოს ეს ამოცანა. კაპიტალისტთა ცალკეული ჯგუფების კერძოანგარებითი ინტერესები ვერ უშლიან მას ხელს სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის მუშაობაში. მუშურ-გლეხური ხელისუფლება უშუალოდ ხელმძღვანელობს ხალხის უაღრესად ფართო მასების ინტერესებით. რომლებიც არსებითად მოასწავებენ მთლიანად საზოგადოების ინტერესებს. მიზნად ისახავს რა რუსეთის მთელი მშრომელი ხალხის ინტერესების დაკმაყოფილებას, მუშურ-გლეხური ხელისუფლება, რომელიც ძლევამოსილად გამოვიდა სამოქალაქო ომის გაუგონარ განსაცდელთაგან, შესაძლებლობას უქმნის კერძო ინიციატივასა და კაპიტალს ითანამშრომლონ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებასთან რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავებაში. საბჭოთა მთავრობამ აღადგინა კერძო ვაჭრობა, წვრილ საწარმოთა კერძო საკუთრება, მსხვილ საწარმოთა კონცესიებისა და იჯარის უფლება.

საბჭოთა ხელისუფლება უცხოეთის კაპიტალს აძლევს მოგების საკმარის ნაწილს მისი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, რათა მიიზიდოს იგი რუსეთში ეკონომიურ მუშაობაში მონაწილეობისათვის. ამ გზას რომ ადგას, საბჭოთა მთავრობა ესწრაფვის ეკონომიურ შეთანხმებებს ყველა სახელმწიფოსთან, რისთვისაც, საბოლოო ანგარიშით, აუცილებელია საბოლოო ზავის დადება რუსეთსა და სხვა სახელმწიფოებს შორის. ისა-

ხავს რა ამ ამოცანას, საბჭოთა ხელისუფლება სხვა სახელმწიფოების მხრივ ხვდება მეფის მთავრობის ძველი ვალების ცნობის მოთხოვნას.

საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ მისი მტკიცე რწმენით არც ერთი ხალხი არ არის მოვალე გადაიხადოს იმ ბორკილების ღირებულება, რომლებსაც იგი თვითონ ატარებდა საუკუნეთა განმავლობაში. მაგრამ თავის შეურყეველ მისწრაფებაში — მიაღწიოს სრულ შეთანხმებას სხვა სახელმწიფოებთან, რუსეთის მთავრობა მზად არის დათმოს ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში. იგი ამით აგრეთვე აკმაყოფილებს რუსეთის სახელმწიფო სესხების იმ მრავალრიცხოვან წვრილ მფლობელთა სურვილებს, განსაკუთრებით საფრანგეთში, რომლებისთვისაც მის მიერ მეფის ვალების ცნობა არსებით ინტერესს წარმოადგენს. გამოდის რა ამ მოსაზრებებიდან, რუსეთის მთავრობა აცხადებს, რომ იგი მზად არის ცნოს და იკისროს ვალდებულებანი სხვა სახელმწიფოებისა და მათი მოქალაქეების წინაშე მეფის მთავრობის მიერ 1914 წლამდე აღებული სახელმწიფო სესხების გამო, თუ მას მიეცემა შეღავათიანი პირობები, რომლებიც მისთვის უზრუნველყოფს ამ ვალდებულებათა შესრულების პრაქტიკულ შესაძლებლობას.

№ 2
გააკეთოს არაერთი უღრესად არსებითი დათმობანი

თავისთავად იგულისხმება, რომ ამ აღიარების აუცილებელი პირობაა ამავე დროს დიდ სახელმწიფოთა ვალდებულება უთუოდ მოუღონ ბოლო ყოველგვარ მოქმედებას, რომელიც ემუქრება საბჭოთა რესპუბლიკების უშიშროებას და მათი საზღვრების ხელშეუხებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბჭოთა რესპუბლიკას შეუძლია იკისროს ეს ვალდებულებანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დიდი სახელმწიფოები დადებენ მასთან საბოლოო საყოველთაო ზავს და თუ მის მთავრობას ცნობენ სხვა სახელმწიფოები.

ამ მიზნით რუსეთის მთავრობა წინადადებას იძლევა უახლოეს ხანში მოწვეულ იქნეს საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც შეუდგებოდა ზემოთ დასახულ ამოცანებზე მუშაობას, განიხილავდა სხვა სახელმწიფოების ∨ და რუსეთის მთავრობის ∧ ორმხრივ მოთხოვნებს და შეიმუშავებდა მათ შორის საბოლოო საზავო ხელშეკრულებას. მხოლოდ ამ კონფერენციის მოწვევის შემდეგ შეიძლება მიღწეულ იქნეს საყოველთაო დამშვიდება. ამ უკანასკნელს ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიაღწევს ვაშინგტონის კონფერენცია, რომლის დადგე-

№ 3
ურთიერთ პრეტენზიებს
∨ ერთმანეთისადმი
∧ სხვა სახელმწიფოებისადმი

ნილებებსაც არ ცნობს რუსეთის რესპუბლიკა, რომელიც მიწვეული არ ყოფილა ამ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად.

საბჭოთა მთავრობის არსებობის მეოთხე წლისთავზე, რაც რამდენიმე დღეში შესრულდება, ყველა იძულებული იქნება აღნიშნოს, რომ მრავალრიცხოვანი გარეშე და შინაგანი მტრების ღონისძიებებმა მხოლოდ განამტკიცა რუსეთში მუშურ-გლეხური ხელისუფლება, როგორც რუსეთის მშრომელი მასების ინტერესებისა და მისი დამოუკიდებლობის ჭეშმარიტი დამცველი და წარმომადგენელი. საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ახალი ინტერვენციონისტური ზრახვები, რომელთა არსებობაზეც მიგვითითებს ანტანტის ქვეყნების პრესის ხელმძღვანელი ორგანოების მრავალი განცხადება, კიდევ უფრო განამტკიცებს რუსეთის მშრომელი მასების განუყრელ კავშირს მათი ნების წარმომადგენელ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებასთან, მაგრამ ამ ზრახვების განხორციელების ცდის შეუძლია კიდევ უფრო გაადიდოს მშრომელი მასების ტანჯვა და გადასწიოს რუსეთის საბოლოო სამეურნეო აღდგენის მომენტი, ამით კი ლახვარი ჩასცეს ყველა სხვა ხალხის სამეურნეო ინტერესებსაც.

ის წინადადება, რომლითაც გამოდის რუსეთის მთავრობა, იმის საუკეთესო დადასტურებაა, რომ იგი ესწრაფვის ყველა სახელმწიფოსთან მშვიდობას და მათთან ისეთი ეკონომიური ურთიერთობის მოგვარებას, რომელსაც არაფერი დაარღვევს. ამ წინადადების განხორციელება ყველა სახელმწიფოს და ხალხის ინტერესებს შეესაბამება.

რუსეთის მთავრობა მტკიცე იმედს გამოთქვამს, რომ მისი წინადადების შედეგად უახლოეს მომავალში მიღწეული იქნება საბოლოო მოწესრიგება ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობისა რუსეთსა და სხვა სახელმწიფოებს შორის.

დაწერილია 1921 წლის 24 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება:
ვ. ი. ლენინის
ბარათი და შენიშვნები —
ხელნაწერის მიხედვით,
განცხადების პროექტი —
მანქანაზე გადაბეჭდილი
ეგზემპლარის მიხედვით

467

ბ. ვ. ჩიჩერინს [386]

ამხ. ჩიჩერინ!

ჩემი აზრით, არ შეიძლება, არ ღირს, რომ მთავრობამ უარყოს ესოდენ სულელური ხმები. გამოვაქვეყნოთ პრესაში და სასტიკად დავცინოთ იმათ, ვისაც სჯერა ეს ხმები და ვინც ავრცელებს მათ. ეს ურკარტებისა და კერზონების შანტაჟია: უნდათ ასეთი ხმებით გააძნელონ ახლა ხელშეკრულებანი. აშკარა შანტაჟია.

24/X. კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 24 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის ძიხედვით

468

ი. ბ. სტალინს

ამხ. სტალინ!

გთხოვთ წაიკითხოთ და მისცეთ ამხ. მიხაილოვს.

დაბეჭითებით ვაძლევ რეკომენდაციას ამის მომტანს, ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ა ლ ე ქ ს ე ე ვ ს.

მე მას ვიცნობ **1902** წლიდან, ლონდონიდან, სადაც ერთად ვმუშაობდით «ი ს კ რ ა ში».

ძალიან განათლებული მარქსისტია, ბოლშევიკი და თავისი მოვალეობის შესრულებაში შესანიშნავად კეთილსინდისიერი ამხანაგი.

ათი წელიწადი ვადაკარგული იყო ციმბირში და სურს კვლავ გამოაღწიოს ცენტრში. უნდა დავეხმაროთ გადმოსახლდეს ცენტრში, ვინაიდან ათწლობით ციმბირში ჯდომა მეტისმეტია; მეტისმეტზე უარესია.

საჭირო იქნება ციმბირში იგი შევცვალოთ ვინმე აბსოლუტურად საიმედო, პატიოსანი, ძველი პარტიელით: უმსგავსობასა და **ს ი ს უ ლ ე ლ ე ს** «კომუნისტები» ციმბირში **უ ა მ რ ა ვ ს** სჩადიან[387].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 25 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

469

* სასურველი ლიტერატურა (გერმანიის გამოცემები)

I. შემდეგ პოლიტიკურ მიმართულებათა ყველა პარტიისა და თათბირის ბროშურები და ოქმები:

1) კომუნისტები,
2) Kommunistische Arbeiter Partei Deutschlands*,
3) ანარქისტები და სინდიკალისტები,
4) Partei-დან დამოუკიდებელნი (მემარცხენენი და მემარჯვენენი).

II. «Clartée»-ს[388] ჯგუფის მიმართულების რომანები და მოთხრობები (Latzko-ს მსგავსი და ა. შ.) — პაციფისტურ-კრიტიკული, შეფასება იმპერიალისტური ომისა, დასკვნები და ა. შ.

* — გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია. რ ე დ.

III. თანამედროვეობის ეკონომიკა: ომის შედეგები, მეურნეობის აღდგენა, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ომისშემდგომი ამოცანები და ა. შ. (განსაკუთრებით ბროშურები, წიგნები, ოქმები).

IV. **აბონემენტის წესით** გამოიწერეთ რამდენიმე ეგზემპლარი
კომინტერნისათვის,
4 — 6 საუნივერსიტეტო
და სხვა ბიბლიოთეკებისათვის
და ა. შ.

«Rote Fahne»*
KAPD**
«Hamburger Volkszeitung»***,
ყველა დარგის ახალი წიგნების სია
და ა. შ.

25/X.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 25 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

470
ნ. პ. გორბუნოვს [389]

ამხ. გორბუნოვ!

ნ. მ. კნიპოვიჩი ერთობ გამოჩენილი მეცნიერი და უეჭველად კეთილსინდისიერი, იშვიათი კეთილსინდისიერების ადამიანია. ამიტომ სრული ნდობით უნდა მოვეკიდოთ და მისი წინადადება დაუყოვნებლივ მივიღოთ. გაატარეთ მცირე სახკომსაბჭოში სწრა-

* — «წითელი დროშა». რ ე დ.
** — Kommunistische Arbeiter Partei Deutschlands. რ ე დ.
*** — «ჰამბურგის სახალხო გაზეთი». რ ე დ.

ფ ა დ და მითხარით, თუნდაც ოდნავი შეფერხება რომ იქ-ნეს.

26/X. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 26 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის X X X V კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

471

რაკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს

პოლიტბიუროს წევრებს

ამხანაგ კ უ რ ს კ ი ს დასკვნა ერთადერთ სწორ დასკვნად მიმაჩნია. წინადადება შემომაქვს გავატაროთ იგი სახკომსაბ-ჭოს **დამატებითი** დადგენილებით [390].

26/X.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 **წლის 26 ოქტომბერს**

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის X X X V I კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

472

ვ. ა. ტ რ ი ფ ო ნ ო ვ ს

ამხ. ტრიფონოვ! მე ახლა რაციონალურად არ მიმაჩნია გაზეთის გეგმა. სათბობის მთავარმა სამმართველომ **ახლა ამაზე როდი** უნდა იმუშაოს [391].

26/X. ამხ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 26 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის X X X V I კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

473
ლ. კ. მარტენსს

პირი ამხ. ბოგდანოვს

27. X. 1921 წ.

ამხ. მარტენს!

მივიღე ორივე ხელშეკრულება[392]. გიბრუნებთ.

რატომ არ არის დამატებითი პუნქტები, რომლებიც მე მაჩვენეს (პროექტში) რეინშტეინმა და ჰამერმა?

რაც შეიძლება მალე უნდა დაამთავროთ რედაქტირება და გაატაროთ.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ჩვენ მიერ ჩვენი პირობების გულმოდგინედ ფაქტობრივ შესრულებას.

არ დავენდოთ ბრძანებებს!

სამშაგი შემოწმება თუ არ იქნა, ჩვენთან ყველაფერს გააუუქებენ და რიგიანად ვერას გააკეთებენ.

საზრიანი ხელმარჯვე კაცი უნდა დავნიშნოთ როგორც პირადი პასუხისმგებელი და ვამოწმებდეთ.

ჩვენ ძალიან უნდა ვუელიდეთ კონცესიონერებს: ეს ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც უაღრესად მნიშვნელოვანია.

მაცნობეთ, სახელდობრ რა ზომებს იღებთ თქვენ ან სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)

P. S. ცალკე უსდა გამოვარკვიოთ, გამოვაქვეყნოთ თუ არა?

ბევრი რამ მეტყველებს იმის სასარგებლოდ, რომ ჩვენთვის დიდად მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება ფართოდ გამოვაქვეყნოთ ცნობები ამ კონცესიისა და ხელშეკრულების შესახებ.

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

474

ი. ი. რადჩენკოს

27. X. 1921 წ.

ამხ. რადჩენკო!

ამხ. მარტენსმა გამომიგზავნა ამერიკის კომპანიასთან (მ: მერი და მიშელი) დადებული ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერთ თქვენ.

მე მგონია, რომ ამ ხელშეკრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც ვაჭრობის დასაწყისს.

აბსოლუტურად აუცილებელია, რომ თქვენ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ყურადღება მიაქციოთ ჩ ვ ე ნ ი ვალდებულებების ფაქტობრივ შესრულებას.

დარწმუნებული ვარ, რომ, გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ზეგავლენა და ზედამხედველობა თუ არ იქნა, ა რ ა ფ ე რ ი გაკეთდება. მიიღეთ სამმაგი სიფრთხილისა და შესრულების შ ე მ ო წ მ ე ბ ი ს ზომები.

მაცნობეთ, ვის ნიშნავთ პასუხისმგებელ შემსრულებლად; რა საქონელს ამზადებთ; განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებით თუ არა არტისტულ და სახელმწიფო დაკვის საქონელს და ა. შ.

თვეში 2-3-ჯერ გამომიგზავნეთ ანგარიში: რა ჩამოიტანეს ნავსადგურში.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

P. S. 25. XII. 1921 ჩამოსელა პეტროგრადში? გვიან არ არის?

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

475

ბარათი ვ. მ. მიხაილოვს ლ. ბ. კრასინისადმი დეპეშის პროექტით [393]

28/X.

ამხ. მიხაილოვ! გთხოვთ **საჩქაროდ** დაუგზავნოთ პოლიტბიუროს წევრებს (თუ მოიწონებენ, შეათანხმოთ ბოგდანოვთან და ჩიჩერინთან და გაგზავნოთ დღესვე).

ვცნობ რა გიგანტური მნიშვნელობის საქმედ, რომ კრასინმა მოასწროს ვაშინგტონის კონფერენციამდე წავიდეს ამერიკაში;

— ვცნობ რა არანაკლებ მნიშვნელოვნად იმას, რომ დავაინტერესოთ ამერიკის კაპიტალი ჩვენი ნავთობით, წინადადება შემომაქვს დღესვე ვუპასუხოთ კრასინს შემდეგი დეპეშით (რა თქმა უნდა, შიფრით):

«თანახმა ვართ გავიღოთ ასი ათასამდე დოლარი ფაუნდეიშნ კომპანის ძიების ასანაზღაურებლად იმ პირობით, რომ ძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი მუშაკები და სპეცები და მოგვაწოდებენ ძიების მთელ დაწვრილებით ცნობებს. გიგანტური მნიშვნელობის საქმედ მიგვაჩნია მოვიზიდოთ ამერიკის კაპიტალი გროზნოში პარაფინგამოსაყოფი ქარხნისა და ნავთობსადენის ასაგებად. გთხოვთ დაძრათ ეს საქმე მაქსიმალური სისწრაფითა და ენერგიით, ვინაიდან თქვენს გამგზავრებას ვაშინგტონის კონფერენციის დაწყებამდე განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს».

ლენინი

დაწერილია 1921 წლის 28 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

476

ე. ა. პრეობრაჟენსკის

28/X.

ამხ. პრეობრაჟენსკი!

წაიკითხეთ და დამიბრუნეთ[394].

თქვენს ოპტიმიზმს — როგორც ვხედავ — სულ უფრო ხშირად აბათილებენ ფაქტები.

საჭიროა რადაც უნდა დაჯდეს შეიმუშაოთ:

1) კალენდარული პროგრამა და

2) გეგმიანი გაანგარიშება:

(α) მუშათა ასეთ და ასეთ მინიმუმს ასეთი და ასეთი ნორმით ამდენი და ამდენი მილიარდი;

(β) ვალები ამდენი და ამდენი;

(γ) დავფარავთ ამა და ამ დროს, ასეთი და ასეთი რიგით.

მაგრამ, **გარდა ამისა,** ჩვენი ფულის რეფორმის **მ თ ე ლ ი ტ ე მ პ ი ძ ი რ ფ ე ს ვ ი ა ნ ა დ** უნდა შეიცვალოს.

Periculum in mora*.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 28 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

477

მ. ვ. რიკუნოვს

28/X.

ამხ. რიკუნოვ!

თქვენი პაკეტები რომ მივიღე, გუშინდელი და დღევანდელი[395], უნდა მიგითითოთ, რომ საქმეს არასწორად აწარმოებთ.

---

* — საშიშროება დაყოვნებაა. რ ე დ.

ყველა ასეთი საკითხი უნდა შეათანხმოთ სახალხო კომისართან (ახლა რადჩენკოსთან).

კოლეგიის ცალკეული წევრების მიერ საქმის დაქსაქსულად წარმოება არასწორია არა მარტო კონსტიტუციის მიხედვით, არამედ საქმის არსითაც, იწვევს საქმის გაჭიანურებასა და ქაოსს.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 28 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

478

დავალება მდივანს და ტელეფონოგრამა ნ. პ. ბრიუხანოვს

გადაეცეს ტელეფონოგრამა ბრიუხანოვს

მე მატყობინებენ, რომ ორიოლისა და ტულის გუბერნიებში შესამჩნევად იოლად და სწრაფად მიმდინარეობს სასურსათო გადასახადის შემოსვლა. პრეობრაჟენსკი, რომელიც ორიოლის გუბერნიაში იყო, ირწმუნება, რომ სამ კვირაში შემოიტანენ მთელ სასურსათო გადასახადსო. გთხოვთ მაცნობოთ რამდენიმე სიტყვით, როგორია თქვენი ცნობები და რამდენად ხშირად მოგდით დეპეშები სასურსათო გადასახადის აკრეფის შესახებ. სანიმუშო გუბერნიები თუ მაზრები განსაკუთრებით უნდა დავაჯილდოოთ.

რა ზომებს იღებთ მარილის მარაგის კონცენტრაციისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ მარილი იყიდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ პურზე რსფს რესპუბლიკაშიც და უკრაინაშიც.

საჭირო ხომ არ არის აგრეთვე შევზღუდოთ მარილის გაცემა ქალაქებში, რათა გავაძნელოთ ანარქიული საქონელგაცვლა მარილზე.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 31 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

479

ბ. დ. ციურუპას

კაშირის მშენებლობის მთავარ ინჟინერს
ამხ. ც ი უ რ უ პ ა ს

შვეციიდან ტრანსფორმატორებისა და სატრანსფორმატორო ზეთის სრულიად დაუყოვნებლად მიღებაში საკმაო წინდახედულობა ვერ იქნა გამოჩენილი.

შეუწყნარებელია, რომ საზღვარგარეთული მოწყობილობა, როგორც ვიშნიაკი ამბობს, მოსკოვის საბაჟოში «ეყაროს».

თქვენ ბრალი მიგიძღვით, რომ არ მიიღეთ ზომები, რომლებიც ნამდვილად უზრუნველყოფდა მოწყობილობის სწრაფად მიღებას (თვალყური უნდა გედევნებინათ რეველის მიერ ზუსტი სპეციფიკაციისა და მისამართების მიღებისათვის).

თქვენი განმარტება სპეციფიკაციაში მითითებაა «კაშირის სადგურისათვისო», აშკარად არასწორი აღმოჩნდა, ხოლო სპეციალურად საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს არ დაკავშირებიხართ.

საჭიროა ამიერიდან მიიღოთ ზომები, ზუსტად, ყველა ინსტანციის მიხედვით უჩვენოთ მისამართები, მიმართულება, დასახოთ პერსონალურად პასუხისმგებელი პირები.

თქვენ მიერ მიღებული ზომები აცნობეთ ამხ. სმოლიანინოვს [396].

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 2 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

480

ე. ა. პრეობრაჟენსკის [397]

1

მომეცით ციფრი:

1) **რამდენჯერ** გაადიდებს **თქვენი** დენომინაცია ემისიას?

2) რატომ არ გავაუარესოთ (შემდეგ) ქაღალდის ფულის ხარისხი მისი თვითლიკვიდაციის დასაჩქარებლად?

2

თქვენი მოსაზრებანი 1:50 000 მოდულის წინააღმდეგ:
1) მუშა ვიიღებს 25 000 მან. = 1/4 მანეთს!!

2) ოქრო არაპროპორციულად ეღირება.

ხოლო 10 000-ის დროს?

1) მუშა მიიღებს 25 000 მან.=$2^1/_2$ მანეთს.

სრულიად რუსეთის ცაკ-ის წევრები იღებენ 27 000 = =2 მან. 70 კაპ. თვეში,

2) ოქრო?

ხომ არ განისაზღვრება თქვენი მოსაზრების ა რ ს ი იმით, რომ უნდა შევინარჩუნოთ კიდევ ერსი «უკანდახევის» შესაძლებლობა, როცა ჩვენ ქაღალდებს ოქროსთან კ ა ვ ა-თ ა ნ ა ბ რ ე ბ თ (ერთი, ორი წლის შემდეგ და სხვ.) ო ღ ო ნ დ მანეთის კურსის **განმტკიცების** შემდეგ?

ახლა კი

ა) ემისია საჭიროა

ბ) 1:10 000=ფრთხილად **სინჯვაა,** «ნიადაგის მოსინჯვა».

3

1) სიმონ ენუქიძეს გამოუვიდა:

დაახლოებით ერთნაირი რაოდენობის ქაღალდი (13 და 12 ათასი ფუთი) იძლევა $4^1/_2$ ათას მილიარდ ძველ მანეთს, ახალს კი 457 მილიონს, ე. ი. აგრეთვე $4^1/_2$ ათას მილიარდ ძველს.

ასეა თუ არა ეს?

და რა გამოვიდა?

2) უფრო ხელსაყრელი ხომ არ იქნება ცუდი ქაღალდი მივცეთ, რათა უ ფ რ ო მ ა ლ ე მოხდეს გამოშვებული ფულის **თვითლიკვიდაცია?**

დაწერილია 1921 წლის 3 ნოემბრამდე

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

481

მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს

ამხ. მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს

3. XI. 1921 წ.

ამხ. ლიტვინოვი მეხვეწება გთხოვოთ განიხილოთ დღეს შეთანხმება მონგოლეთის მთავრობასთან [398].
მომწერეთ, გეთაყვა, შეძლებთ თუ ვერა.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

482

არმანდ ჰამერს

3. XI. 1921 წ.

ძვირფასო მისტერ ჰამერ!

ამხანაგმა რეინშტეინმა შემატყობინა, რომ თქვენ ამ საღამოს მოსკოვიდან მიემგზავრებით. ძალიან სამწუხაროა, რომ არა მცალია—ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ვარ. უაღრესად ვწუხვარ, რომ ვერ შევძლებ ერთხელ კიდევ შეგხვდეთ და მოგესალმოთ.

გადაეცით, თუ შეიძლება, ჩემი სალამი მამათქვენს, ჯიმ ლარკინს, რუტენბერგსა და ფერგიუსონს, ყველა ამ შესანიშნავ ამხანაგს, ახლა ამერიკის საპყრობილეებში რომ სხედან. ყველას გადაეცით ჩემი უაღრესად მხურვალე თანაგრძნობა და საუკეთესო სურვილები.

ერთხელ კიდევ დიდზე დიდი მოკითხვა თქვენ და თქვენს

მეგობრებს ჩვენი მუშებისათვის ფქვილის გამოგზავნასთან დაკავშირებით და თქვენს კონცესიასთან დაკავშირებით. ეს წამოწყება ფრიად მნიშვნელოვანია. ვიმედოვნებ, რომ მას უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

საუკეთესო სურვილებით
გულწრფელად თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. გთხოვთ მომიტევოთ, მეტად ცუდი ინგლისურით რომ ვწერ.

პირველად დაიბეჭდა რუსულ
და ინგლისურ (ფაქსიმილე) ენებზე
1926 წლის 21 იანვარს
«კრასნაია გაზეტაში», № 17

იბეჭდება
ხელნაწერის
ფოტოპირის მიხედვით
თარგმანი ინგლისურიდან

483

დ. ი. კურსკის

იუსტიციის სახალხო კომისარიატი, ამხ. კ უ რ ს კ ი ს

ჩემს 3 სექტემბრის № 809 წერილში თქვენი პირადი პასუხისმგებლობით დაგაკისრეთ მთელი რიგი დავალებანი და გთხოვეთ რეგულარულად შეგეტყობინებინათ მათი შესრულება*.

გთხოვთ მაცნობოთ, როგორ არის შესრულებული შემდეგი ამოცანები:

1) ცენტრალური კომიტეტის მეშვეობით მოსამართლეთა შეგულიანება, რომ უფრო სასტიკად დასაჯონ საქმის გამჭიანურებლები;

2) მოსკოვის სახალხო მოსამართლეთა, ტრიბუნალების წევრთა და სხვ. თათბირის მოწყობა საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის წ ა რ მ ა ტ ე ბ ი თ ი ზომების შესამუშავებლად;

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, დოკუმენტი 299. რ ე დ.

3) ამ შემოდგომაზე და 1921 — 1922 წწ. ზამთარში მოსკოვში აუცილებლად მოეწყოს მოსკოველ საქმის გამჭიანურებელთა 4 — 6 გასამართლება, შერჩეულ იქნეს რაც შეიძლება «მკაფიო» შემთხვევები და თითოეული გასამართლებიდან გაკეთდეს პოლიტიკური საქმე;

4) მოინახოს თუნდაც 2 — 3 ჭკვიანი «ექსპერტი» გაჭიანურების საქმეებზე რაც შეიძლება ავ და რაც შეიძლება ყოჩაღ კომუნისტთაგან (მოვიზიდოთ სოსნოვსკი), რათა ვისწავლოთ საქმის გამჭიანურებელთა დევნა;

5) გამოიცეს კარგი, აზრიანი, არაბიუროკრატიული წერილი (იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულარი) საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის შესახებ [399].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

დაწერილია 1921 წლის 4 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1927 წლის 6 თებერვალს გაზეთებში: «პრავდა» № 30 და «იზვესტია» № 30

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

484

ა. ო. ალსკის

ამხ. ალსკი! გიგზავნით შვედჩიკოვის ამ თხოვნას.

ქაღალდის მრეწველობა მ თ ე ლ ი წ ლ ი თ დაიღუპება, თუ **ახლა** არ ამოვწიეთ. მთელი ძალები უნდა დავძაბოთ.

მიპასუხეთ, რას აკეთებთ. ხომ არ დავნიშნო სასწრაფო კომისია? [400]

5/XI. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 5 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

485

პ. ა. ბოგდანოვს

ამხ. ბ ო გ დ ა ნ ო ვ ს

პირები ამხანაგებს ხინჩუკსა და რადჩენკოს

ამხ. ბოგდანოვ!

«შტეინბერგის» «კონცესიას» (ტყავის ნედლეულის შესყიდვა პლუს საზღვარგარეთიდან საქონელგაცვლის ფონდის შემოტანა) განიხილავენ, როგორც გუშინ შრომისა და თავდაცვის საბჭოში ამბობდნენ, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამოყენების კომისიაში [401].

მაგრამ ეს, კაცმა რომ თქვას, არ არის ჩვეულებრივი კონცესია, და მის განხილვაში საჭიროა მოვიზიდოთ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატიც და «ცენტროსოიუზიც» (მით უმეტეს, რომ ხინჩუკმა გუშინ განაცხადა, შტეინბერგს ვიცნობ როგორც უარყოფით კაცსო).

აუცილებლად მიიზიდეთ განხილვაში ხინჩუკი და თანაც მოვიფიქროთ დებულება «ამგვარი» «კონცესიების» განმხილველი კომისიების რამდენადმე სხვა შემადგენლობის შესახებ [402].

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.
ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1921 წლის 5 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

486

ნ. პ. გორბუნოვს

ამხ. გორბუნოვ!

ხომ არ დავნიშნოთ კომისია:

1) პოკროვსკი

2) ხალატოვი

3) ნოვიცკი, ამასთან მოხსენება გააკეთონ ორშაბათ საღამოს მცირე სახკომსაბჭოში, სამშაბათს * დიდ სახკომსაბჭოში?

დაურეკეთ მათ და მითხარით [403].

5/XI. ლენინი

დაწერილია 1921 წლის 5 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

487

ბარათი პ. პ. გორბუნოვს და დეპეშა ლ. ბ. კრასინს

ამხ. გორბუნოვ! გთხოვთ გაუგზავნოთ შიფრით კრასინს.

თქვენი 1. X-ის დეპეშა თითქმის ისტერიულია. თქვენ დაგავიწყდათ, რომ ლესლი ურკარტისადმი ერთბაშად დათმობის წინადადებას თქვენც კი არ აყენებდით, პოლიტბიუროს გადაწყვეტილება კი ძალიან მოფიქრებულია და უარი არ არის. ხოლო «ფაუნდეიშნ კომპანის» შესახებ თქვენ

* იგულისხმება 7 და 8 ნოემბერი. რედ.

29. X-ს გამოგეგზავნათ სრული თანხმობა და დავალება იჩქაროთ. უნდა ვიზრუნოთ ჩვენ შორის დეპეშების უფრო სწრაფად გაცვლაზე: საგარეო ვაჭრობის აპარატი საერთოდ ვერ არის რიგიანი.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 7 ნოემბერს
გაგზავნილია ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

488

ლ. ბ. კამენევს [404]

საიდუმლოდ

ამხ. კამენევ!

ჩემი აზრით, ჩიჩერინი მართალი არ არის. პირობად წამოვაყენოთ, რომ პური მისდიოდეს **მ ხ ო ლ ო დ** ჩვენს დამშეულ გლეხებს; უ ნ დ ა დ ა ვ ე თ ა ნ ხ მ ო თ. სახკომსაბჭოში ჩვენ 5/XI გადავწყვიტეთ მივცეთ ოქრო მხოლოდ 9 მ ი ლ ი ო ნ ი ფ უ თ ი ს ა თ ვ ი ს (33—15=18. 18:2=9[405]). უნდა დავეხმაროთ ყოველნაირად, თუნდაც ინგლისური ხარახურისათვის.

უშიშროებას კი პირობითად გავითვალისწინებთ.

7/XI. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 7 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

489

«ცენტროპეჩატს», სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, მიწსახკომის, გზათა სახალხო კომისარიატის, სურსათის სახალხო კომისარიატის საგამომცემლო განყოფილებებს [406]

ვავალებ ამხ. სმოლიანინოვს შეკრიბოს კომისია, რომელშიც შევლენ: «ცენტროპეჩატი» და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, მიწსახკომის, გზათა სახალხო კომისარიატისა და სურსათის სახალხო კომისარიატის საგამომცემლო განყოფილებანი. კომისიამ შეიმუშაოს გამოცემის ადგილებზე მიტანის მოწესრიგების პრაქტიკული ღონისძიებანი და დასამტკიცებლად შეიტანოს შრომისა და თავდაცვის საბჭოში.

გთხოვთ დანიშნოთ პასუხისმგებელი პირები.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 8 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

490

ვ. ა. სმოლიანინოვს

ამხ. სმოლიანინოვ! გიგზავნით ცნობებს [407]. ხომ არ შეიძლება დაევალოს ვინმეს (სტრუმილინს?) თვეში ორჯერ

მოგვაწოდოს შეჯამებული მონაცემები დონბასში წარმოების ზრდის შესახებ?

9/XI. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 9 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

491

ვ. ა. სმოლიანინოვს

ამხ. სმოლიანინოვ!

დახედეთ და დაუბრუნეთ ავანესოვს.

პირველი დიაგრამა (დონეცკის ქვანახშირის დატვირთვა) უნდა მივიჩნიოთ იმ დიაგრამების ნიმუშად, რომლებსაც შრომისა და თავდაცვის საბჭოსათვის ვადგენთ. *

ოღონდ:

1. ყველა დიაგრამა საქაღალდეში უნდა იყოს მოთავსებული და არა შეხვეული,
2. ამიტომ დიაგრამები ნაკლები ზომისა უნდა იყოს,
3. ხაზების რიცხვი დიაგრამაზე არა > 3 **.

9. XI. 21 წ.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 399—400 და მე-5 გამოც., ტომი 44, გვ. 467—469. რ ე დ.

** — არა უმეტეს სამისა. რ ე დ.

492

ნ. პ. გორბუნოვს

10. XI. 1921 წ.

ამხ. ნ. პ. გორბუნოვს

ბრიანსკის ქარხნის მუშებმა და მოსამსახურეებმა დაამზადეს 7 ელექტროგუთანი. 1922 წლის 1-ლ I-მდე დაამზადებენ 20-ს.

ამასთან სიძნელეები წარმოუდგენლად დიდი იყო.

ამიტომ საჭიროა განსაკუთრებით დავაჯილდოოთ 70-მდე მუშა-მოსამსახურე. ამას ადასტურებს ბრიანსკის ქარხნის დირექტორი ამხ. ჟელტოვი.

გთხოვთ დააყენოთ საკითხი ხვალ შრომისა და თავდაცვის საბჭოში, ამხ. ჟელტოვთან ერთად განიხილოთ დაჯილდოების სახეები (შრომის დროშის ორდენი; ფულადი და ნატურალური ანაზღაურება) [408].

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

493

ი. ი. რადჩენკოს

ამხ. რადჩენკო!

ეს ძველი პარტიული ამხანაგია.

ასეთი ადამიანები უთუოდ სასარგებლო იქნებიან საზღვარგარეთ არაკეთილსინდისიერ ელემენტებთან საბრძოლველად.

იგი ვაჭარი არ არის, მაგრამ, კომერციაში გამოცდილი ადამიანების მითითებით, სარგებლობას მოიტანს როგორც კეთილსინდისიერი ადამიანი, სარგებლობას უეჭველად.

გთხოვთ დანიშნოთ [409].

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 10 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

494

ი. ს. უნშლიხტს

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. უ ნ შ ლ ი ხ ტ ს

პირი მცირე სახკომსაბჭოს

გავალებთ მოიწვიოთ თათბირი თქვენი თავმჯდომარეობით **საგარეო ვაჭრობის**, შინაგან საქმეთა, სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრების შემადგენლობით კონტრაბანდასთან ბრძოლის საკითხის სასწრაფოდ განსახილველად.

მოხსენება მცირე სახკომსაბჭოში უნდა გააკეთოთ თქვენ ერთი კვირის ვადაში [410].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

დაწერილია 1921 წლის 10 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

495

* სახელგამს

დღეს მივიღე თქვენ მიერ 50 ათას ეგზემპლარად გამოცემული ჩემი სტატია «ოქტომბრის რევოლუციის მეოთხე წლისთავისათვის»*. გთხოვთ მომავალში მკითხოთ ხოლმე, საჭიროა თუ არა გამოშვებულ იქნეს ცალკე გამოცემად და რამდენ ეგზემპლარად.

თანდართული სტატია გთხოვთ გამოსცეთ 5 ათას ეგზემპლარად [411].

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 10 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

496

ნ. პ. გორბუნოვს

12. XI. 1921 წ.

ამხ. გორბუნოვ!

გთხოვთ წაიკითხოთ დანართი და გაუგზავნოთ ამხ. ალსკის, რათა გაეცნონ ის და ფინსახკომის კოლეგიის წევრები, შემდეგ კი ამხ. კამენევს, იმ კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც ალბათ უნდა შეეხოს ამ საკითხს [412].

ჩებოტარიოვს ვიცნობდი 80-იანი წლებიდან ჯერ კიდევ ალექსანდრე ილიას ძე ულიანოვის, ჩემი უფროსი ძმის, რომელიც 1887 წელს ჩამოახრჩვეს, საქმესთან დაკავშირებით.

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 37 — 48. რედ.

ჩებოტარიოვი უეჭველად პატიოსანი კაცია. პოლიტიკურად პირველი რევოლუციის ეპოქაში და მის შემდეგ კადეტი იყო. მაგრამ არა აქტიური. ვფიქრობ, რომ მის კეთილსინდისიერებას შეიძლება დავენდოთ და უნდა დავენდოთ. ახლა, ვგონებ, პოლიტიკურად იგი ახლოა «სმენა ვეხ»-თან[413].

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

497

* დეკეშა ყველა ეკონომთათბირს [414]

პირი სტატბიუროს

შრომისა და თავდაცვის საბჭოში ანგარიშების წარმოდგენის კანონით დადგენილი ვადები — 15 ოქტომბერი — 1 ნოემბერი — თქვენ დაარღვიეთ. თქვენი ანგარიშები შრომისა და თავდაცვის საბჭოში არ შემოსულა. გაძლევთ მითითებას არააკურატულობის, დაყოვნების გამო და მოვითხოვ, რომ დანიშნულ ვადაზე დროულად გამოგზავნოთ. დაუყოვნებლივ აცნობეთ შრომისა და თავდაცვის საბჭოს სახელები, გვარები და სამსახურებრივი მდგომარეობა იმ პირებისა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ანგარიშების დროულად შედგენისა და გამოგზავნისათვის. ასეთივე განკარგულება გადაეცით მაზრებს [415].

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.
ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 12 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

498

ნ. ი. ბუხარინს [416]

ამხ. ბუხარინ! წაიკითხეთ, გეთაყვა. რაც შეიძლება მეტი უნდა ვბეჭდოთ (სწორედ ამ სტატიისდა მიუხედავად, თუმცა იგი, ვგონებ, ცუდი არ უნდა იყოს) ინდოელი ამხანაგების ნაწერები, რომ წავახალისოთ ისინი და რაც შეიძლება მეტი ცნობები შევკრიბოთ ინდოეთსა და მის რევოლუციურ მოძრაობაზე.

14/XI. ლენინი

დაწერილია 1921 წლის 14 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

499

პარტიული და სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ [417]

ბარათები ვ. მ. მოლოტოვს

1

ამხ. მოლოტოვ! როგორ დგას ეს საქმე?

§§ 4 და 5, ჩემი აზრით, **მავნეა**.

დამიბრუნეთ, გეთაყვა, ეს და ორიოდე სიტყვით მომწერეთ თქვენი აზრი.

ლენინი

14/XI.

დაწერილია 1921 წლის 14 ნოემბერს

2

19. XI. 1921 წ.

ამხ. მოლოტოვ!

ეს საკითხი პოლიტბიუროში გადამაქვს.

საერთოდ სწორი არ არის ასეთი საკითხების ორგბიუროში გადაწყვეტა: ეს **წ მ ი ნ დ ა** პოლიტიკური, მთლიანად პოლიტიკური საკითხია.

და იგი სხვანაირად უნდა გადავწყვიტოთ.

გთხოვთ შეუკვეთოთ მდივანს 1 ფურცელზე ძ ვ ე ლ ი და ა ხ ა ლ ი რედაქცია.

(1) ჩემი აზრით, უნდა გავაუქმოთ § 1.

(2) — გავაძლიეროთ კომუნისტების ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო პასუხისმგებლობა.

(3) პარტკომის «განსჯანი» დავუშვათ მ ხ ო ლ ო დ ცენტრში მიმართვით **და ცენტრალური საკონტროლო კომისიის შემოწმებით.**

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

500

ა. ვ. ლუნაჩარსკის

15/XI.

ამხ. ლუნაჩარსკი!

ძალიან მინდა შევასრულო ამხ. ზინოვიევის თხოვნა და გავლანძღო სერატი[418].

ხომ არ შეგიძლიათ დამეხმაროთ?

დახმარება შეიძლება ორნაირი იყოს:

1) მომცეთ თქვენი ბროშურის ხელნაწერი (16. XI-ს, როგორც თქვენ ამბობდით? თუ როცა გადაწერთ, უფრო გვიან?) [419],

2) მომცეთ 2 — 3 ორიგინალური დოკუმენტი იტალიურად, რომ რაც შეიძლება უკეთ «დავიმუხტო». დოკუმენტები ყველაზე მჭევრმეტყველურთაგან.

სხვათა შორის, სერატიმ, ვგონებ, ჰკითხა ლაცარის: «თქვენ მოგატყუეს?» «ვინ არის მატყუარა?». ხომ არა გაქვთ ამ კითხვის ო რ ი გ ი ნ ა ლ ი?

P. S. დანართი დამიბრუნეთ.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 15 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

501

ვ. ი. სამარინს [420]

15. XI. 1921 წ.

ამხ. სამარინ!

აბსოლუტურად პატიოსანი და ყირიმში ნამყოფი პირები მატყობინებენ, რომ ღ ვ ი ნ ო ს ი პ ა რ ა ვ ს **ყ ვ ე ლ ა.** უკიდურესი უმსგავსობა, ქრთამები და ლოთობაა. თქვენ პ ა ს უ ხ ს ა გ ე ბ თ მიუკერძოებელი და სრული შემოწმებისათვის. ჰო: საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს შორის სადავო საკითხია, ღვინო საზღვარგარეთ გავყიდოთ (მე ვფიქრობ, რომ საზღვარგარეთ უნდა გავყიდოთ და მალე), თუ საავადმ-

ყოფოებისათვის დავიტოვოთო, თქვენ ს წ რ ა ფ ა დ უნდა შეკრიბოთ მთელი მასალა ამ საკითხზე. თუ რაიმე სასწრაფოდ გახდეს საჭირო, პირდაპირ მე მიდეპეშეთ. ძალიან მოკლე დეპეშებს ველი ყოველკვირეულად.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

502

ი. ს. უნშლიხტს

ამხ. უნშლიხტ! რაკი მიცემული იყო ამერიკაში გამგზავრების ნებართვა, ჩანს, დაბრკოლება არ ყოფილა? გთხოვთ გასცეთ განკარგულება (და დანიშნონ პასუხისმგებელი პირი: მ დ ი ვ ა ნ ი) მისცენ **ახლავე**, სრულიად დაუბრკოლებლივ, ყოველგვარი ფორმალობის გარეშე [421].

15/XI. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 15 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

503

ლ. კ. მარტენსს

სასწრაფოდ

ამხ. მ ა რ ტ ე ნ ს ს

ამხ. მარტენს! აუცილებლად შეატყობინეთ პიტერსა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს. **ს ა მ მ ა გ ი** შე-

მოწმება თუ არ მოეწყო, არაფერი არ იქნება მზად და შევრცხვებით.

შრომისა და თავდაცვის საბჭოში და მცირე სახკომსაბჭოში დააყენეთ საკითხი მომზადების ზომების შესახებ [422].

17/XI. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 17 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

504

რეკომენდაცია ნ. ა. ემელიანოვს

19. XI. 1921 წ.

ამხანაგებს სტომონიაკოვს, ლუტოვინოვს, კრასინს, ვოროვსკის, კერჟენცევს, ლომონოსოვს, ლიტვინოვს და სხვ

დაბეჯითებით ვაძლევ რეკომენდაციას ამის წარმომდგენს ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ემელიანოვს. პირადად ვიცნობ მას 1917 წლის ივლისიდან, როგორც ერთ-ერთ საუკეთესოს პიტერის ძველ პარტიულ გვარდიაში. გთხოვთ გაუწიოთ მას სრულზე სრული ნდობა და ყოველნაირად შეუწყოთ ხელი. მეტად, მეტად დიდმნიშვნელოვნად მიმაჩნია რაც შეიძლება უფრო დავაახლოოთ ივი საგარეო ვაჭრობის საქმეებს, ვინაიდან საზღვარგარეთ საგარეო ვაჭრობის მოსამსახურეთა შორის ჩვენ გვაკლია გამოცდილი პარტიული ადამიანები. ეს ერთი. ხოლო მეორე, მე მაქვს მთელი რიგი დოკუმენტები, რომ საზღვარგარეთელ მუშებს ხშირად სწყინთ, რომ რსფს რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალ-

ხო კომისარიატი არ ეძებს მათთან დაახლოების გზებს *. და ამ მხრივ ემელიანოვის როლი ძალიან დიდი უნდა იყოს.

ძალიან ვთხოვ იმ ადრესატებს, რომლებიც ვაიცნობენ ამხ. ემელიანოვს, მომწერონ.

კომ. სალმით ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

505

დ. ი. კურსკის

19. XI. 1921 წ.

ამხ. კურსკი!

კრასინი ძალიან შიშობს, რომ გრომანის კომისიის ნამუშევრები (ინტერვენციისაგან ჩვენი ზარალის ოდენობა) შეკვეცილია გოიხბარგის მიერ.

ამხ. გოიხბარგი, ვგონებ, ავად არის.

ამიტომ საჭიროა **გულმოდგინედ** შევამოწმოთ.

(1) სავსებით კარგად არის თუ არა დაცული ეს ნამუშევრები?

(2) როგორია მათი ჯამი?

(3) ვინ აგებს პასუხს მთლიანობისა და დაცულობისათვის?

(4) ხომ არ არის საჭირო დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი დ ა მ უ შ ა ვ ე ბ ა?

(5) ვის დავავალოთ ეს?

* იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 45. რ ე დ.

შეამოწმეთ პირადად და მიპასუხეთ, გეთაყვა, დაუყოვნებლივ [423].

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

506

ვ. მ. მოლოტოვს
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის

19. XI. 1921 წ.

ამხ. მოლოტოვ!

ამხ. ტეოდოროვიჩმა დღეს მომიტანა თხოვნა თავისი გადადგომის შესახებ. მე უარი ვუთხარი.

ჩემთვის ცხადია, რომ მას უნდა აიცილოს ოსინსკისთან შესაძლო კონფლიქტებისა და უთანხმოების ოდიუმი *.

მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საქმე სახალხო კომისარიატისათვის დიდად სასარგებლოდ მოგვარდება.

გთხოვთ ჩამოტარებით გააცნოთ პოლიტბიუროს წევრებს იმის გამოსარკვევად, იზიარებენ თუ არა ისინი ჩემს უარს ტეოდოროვიჩის გადადგომაზე [424].

კომ. სალმით ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* ვ. ი. ლენინი აქ ხმარობს ლათინურ სიტყვას «odium»-ს, რომელიც ამ კონტექსტში ნიშნავს «ლაქას», «უსიამოვნებას». რ ე დ.

507

* ნ. პ. გორბუნოვს

19. XI. 1921 წ.

ამხ. გორბუნოვ!

არქიარასწორია თქვენი მხრივ, რომ ესოდენ დიდმნიშვნელოვან ქაღალდს მაძლევთ 17/XI-ს (!!), ამასთან ასეთი უშინაარსო ბარათის თანხლებით.

საჭირო იყო შრომისა და თავდაცვის საბჭოში შეგეტანათ!

თქვენ აგებთ პასუხს, თუ ავანესოვის გამგზავრების გამო დაშვებულ იქნა შეცდომა და თუ არც თქვენ, არც სმოლიანინოვი დროზე არ დაუკავშირდით არც ივანე ნიკიტას ძე სმირნოვს (ადვილია: იგი პიტერშია), არც ჩუცკაევს. თქვენა ხართ დამნაშავე.

რატომ ვიღაც კრასინსკი ცდილობს, თქვენ და სმოლიანინოვი კი არაფერს აკეთებთ?? [425].

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

508

ი. ბ. სტალინს

ამხ. სტალინ! ხომ არ გამომიგზავნით ჩიჩერინისადმი თქვენი პასუხის პირს? ჩემი აზრით, იგი მართალია [426].

20/XI. ლენინი

დაწერილია 1921 წლის 20 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

509

ვ. მ. მოლოტოვს, ქ. გ. რაკოვსკის, ი. ი. შვარცს, გ. ლ. პიატაკოვს, მ. ლ. რუხიმოვიჩს

21. XI. 1921 წ.

ამხ. მოლოტოვს
ამხ. რაკოვსკის
ამხ. «სემიონს» (შვარცს) სამთამადნო მუშათა სრულიად რუსეთის კავშირის ცენტრალური კომიტეტიდან
ამხ. პიატაკოვს
ამხ. რუხიმოვიჩს } დონბასში

პატივცემულო ამხანაგო!

ამასთან გიგზავნით ამხ. რემეიკოს ბროშურას[427].

საკმარისია გადაათვალიერო გვერდნახევარი (13 და 14), რომ დაინახო საქმის არსი: ბრძოლა და კინკლაობა დონბასში.

რუხიმოვიჩთან პიატაკოვის ბრძოლასა თუ უთანხმოებას ემატება კიდევ რემეიკოს (და მის მიერ მე-14 გვერდზე დასახელებული ამხანაგების) უთანხმოება პიატაკოვთან და კალინინთან.

მეტად საშიშია ეს უთანხმოება და განხეთქილება დონბასში, ჩვენს ციხე-სიმაგრეში.

გთხოვთ გადაათვალიეროთ ბროშურა (ან, რაც სავსებით საკმარისია, ორი გვერდი, მე-13 და მე-14) და მომწეროთ თუნდაც 2 სიტყვა, რა ზომები შეიძლება მივიღოთ (და უნდა მივიღოთ) დონბასში უთანხმოებისა და შეხლა-შემოხლის აღმოსაფხვრელად[428].

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

30. ტ. 45

510

რეკომენდაცია ი. ს. განეცკის [429]

ამხ. განეცკის ვიცნობ 1903 წლიდან, როცა იგი პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელი იყო ჩვენი პარტიის ყრილობაზე. შემდეგ მუდამ ვიცნობდი მას როგორც პოლონელ ცეკისტს. ახლოს ვხედავდი 1912 — 1914 წლებში, როცა ერთად ვცხოვრობდით კრაკოვში. ამხ. განეცკი იქიდან არაერთხელ გამგზავრებულა პოლონეთში არალეგალურ სამუშაოზე, ასრულებდა ცეკისტურ სამუშაოს ემიგრაციაშიც და რუსეთშიც. სავსებით ვაძლევ მას რეკომენდაციას პარტიაში.

რკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი) 21. XI. 1921.

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

511

რეზოლუცია მოსკოვის საწარმოო სამმართველოს მიმართვაზე «მოსტექსტილისადმი» [430]

ძალიან საეჭვოა!

ამხ. უნშლიხტმა **შემოწმებისათვის** უნდა დანიშნოს ა რ ქ ი ს ა ი მ ე დ ო, **პირადად** მისთვის ცნობილი კაცი. ეს ოსტატური ძარცვაა. ხომ არ ხდება ყველგან?

21/XI. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 21 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

512

ს. ს. პილიავსკის

22/XI.

ამხ. პილიავსკი!

გამომიგზავნეთ, გეთაყვა, მოკლე წერილობითი ცნობა, ანტანტის რამდენი ვალები გვიანგარიშა თქვენმა კომისიამ[4] შემდეგი თანრიგებისა.

ა) სავსებით დამტკიცებული, დეტალურად დასაბუთებული;

ბ) { ნაკლებად დეტალურად;
გ) { ნაკლებად დამამტკიცებლად დასაბუთებული

დ ა ა. შ.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 22 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

513

ვ. მ. მოლოტოვს

ამხ. მოლოტოვ! გთხოვთ დაუნიშნოთ ამ ხ. კისელიოვს, მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, შვებულება და მკურნალობა, ექიმების მითითებით, სულ მცირე 2 თვით.

სემაშკომ მოიწვია კონსილიუმი (მათ შორის მინორი), რომელმაც ცნო უკიდურესი დაქანცვა და სხვ. და სხვ.

ამასთან გიგზავნით მოწმობას.

---

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 505. რ ე დ.

სანატორიუმი უნდა მოვუნახოთ ექიმების დანიშნულებისამებრ: შეიძლება ჩამოვართვათ და კიდევაც უნდა ჩამოვართვათ სემაშკოს წერილობითი ვალდებულება[431].

22/XI. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 22 ნოემბერს.

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

514

ი. ბ. სტალინს და ი. ს. უნშლიხტს

22. XI. 1921 წ.

ამხ. სტალინს და ამხ. უნშლიხტს

თანდართული მასალები ამხ. კისელიოვმა გადმომცა[432], ი რა უმსგავსოდ ეწევიან ჩვენთან იჯარით გაცემას.

აღწერილობა ფ ი ქ ც ი უ რ ი ა, როგორც ეს ან სულაც არ არის.

უამრავ უძვირფასეს საქონელს — ქსოვილებს, მანქანებს, თასმებსა და სხვ. და სხვ. — იპარავენ მოიჯარეები, მიმღებნი, ჩამბარებლები. ერთხელ უკვე მივწერე ამის შესახებ უნშლიხტს.

საჭირო ხომ არ არის მოვიწვიოთ ა რ ქ ი ს ა ი მ ე დ ო ადამიანთა ს ა ი დ უ მ ლ ო თათბირი ბრძოლის ღონისძიებებზე?

(ა) რამდენიმე შემთხვევის დაჭერა და დახვრეტა;

(ბ) დამატებითი ინსტრუქციის შემუშავება;

(გ) იგივე შემოწმების ღონისძიებებზე და ა. შ.[433]

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

515

სახკომსაბჭოს ეკონომიურ კომისიას

23. XI. 1921 წ.

ლ. ბ. კამენევს

პირი ამხ. ხინჩუკს

გუშინ სახკომსაბჭომ თქვენს კომისიას გადმოსცა საკითხი შტეინბერგთან ხელშეკრულების შესახებ[434]. დღეს «იზვესტიაში» გორსკი ანგარიშობს, რომ შტეინბერგი 100 000 კილო სახარინზე მოიგებს 194 **მილიარდ** საბჭოთა მანეთს (მ:ს კი დაუჯდება კილო 600 000 მან., ე. ი. მთელი 100 000 კილო დაუჯდება 60 000 მილიონი—6 0 მ ი ლ ი ა რ დ ი; მაშასადამე, მოგების % 194 : 60 = 323 %).

თუ გორსკის გაანგარიშება სწორია, მაშინ მოგება გიგანტურია. ვგონებ, რსფს რესპუბლიკას წილი აქვს ზემოგებიდან. თუ ზემოგებად ჩავთვლით მოგებას 250%-ს ზევით?

ხომ არ შეიძლება

(1) შევეკითხოთ, რომ ჩვენ გვექნეს საგანგებო წილი ზემოგებიდან, ზემოგებად რომ ჩავთვალოთ 100 ან 200%?

(2) ცალკე უზრუნველყოთ თავი იმ შესაძლებლობით, რომ ვ ა ს წ ა ვ ლ ო თ ჩვენს ადამიანებს (განსაკუთრებით «ცენტროსოიუზში») ვაჭრობის ხერხები და ორგანიზაცია?

(3) ცალკე უზრუნველყოთ თავი იმ შესაძლებლობით, რომ რაც შეიძლება ჭალე გავწყვიტოთ ხელშეკრულება, რ ო ც ა ჩვენ, სულელები, ვისწავლით ჭკუიანი ადამიანებისაგან.

ჩემი აზრით, ასჯერ რომ შევეკაჭრებით და ასჯერ შევამოწმებთ, ხელშეკრულება მაინც უ ნ დ ა დავდოთ, ვინაიდან

სწავლებისათვის სულელებმა მაღალი ფასი უ ნ დ ა გადაიხადონ.

გთხოვთ მომწეროთ თქვენი აზრი.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

516

* სახელმწიფო საგეგმო კომისიას

გთხოვთ დააყენოთ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში საკითხები:

1. ივანოვო-ვოზნესენსკის რაიონული ელექტროსადგურის (რუბის ტბაზე) აშენებისა და ამუშავების დაჩქარების შესახებ და

2. ტორფის მთავარი კომიტეტის 1922 წლის პროგრამაში რუბის ტორფიანი ჭაობების დამუშავების შეტანის ან იმის შესახებ, რომ ეს დამუშავება სადგურის მშენებლობას გადაეცეს.

იმასთან დაკავშირებით, რომ მატერიალური რესურსები გვაქვს, საჭიროა 1922 წლისათვის ახლავე დავადგინოთ და დავამტკიცოთ ივანოვო-ვოზნესენსკის სადგურის მშენებლობისა და ტორფის სამუშაოთა პროგრამა და რიგითობა.

სასურველად მიმაჩნია ამ საკითხის განხილვაში მოვიზიდოთ, გარდა ცენტრალური დაინტერესებული უწყებებისა (გამოყენების კომისიისა, სახელმწიფო ნაგებობათა მთავარი კომიტეტისა, ტორფის მთავარი კომიტეტისა *), ივანოვო-

* შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული მატერიალური რესურსების გამოყენების კომისია; სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სახელმწიფო ნაგებობათა მთავარი კომიტეტი; სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ტორფის მთავარი კომიტეტი. რ ე დ.

ვოზნესენსკის საგუბერნიო ეკონომიური თათბირის წარმომადგენელიც, აგრეთვე მშენებლობის მთავარი ინჟინერი[435].

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

საერთოდ უნდა დავაჩქაროთ სახელმწიფო ელექტრომშენებლობის 1922 წლის გეგმის შემუშავება იმ ანგარიშით, რომ იგი მზად იყოს საბჭოების ყრილობისათვის[436].

დაწერილია 1921 წლის 23 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

517

ვ. მ. მოლოტოვს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის

ამხ. მოლოტოვ!

გიგზავნით პოლიტბიუროს წევრების საყურადღებოდ. შეიტანეთ, გეთაყვა, დღის წესრიგში.

23/XI. ლენინი

ჩემი პასუხი:

ამხ. ოკულოვ! ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ გიგზავნით რეკომენდაციას, რომელსაც თქვენ მთხოვთ. ხალისით გავაკე-

თებდი ამას, პირად რეკომენდაციას რომ ეხებოდეს საქმე. მაგრამ საქმე ამას როდი ეხება. ეს პოლიტიკური საკითხია, და მას პოლიტბიუროს ვუგზავნი [437].

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

23/XI.

დაწერილია 1921 წლის 23 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

518

* კრემლის კომენდანტს

26. XI. 1921 წ.

პირი ამხ. ნ. პ. გორბუნოვს

ერთხელ კიდევ აღმოჩნდა, რომ ჩემთან მომსვლელებს გუშაგები აკავებენ *.

დღეს ამხ. სოკოლნიკოვი, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, დაახლოებით 10 წუთს დაუკავებიათ, ჩემთან რომ მოდიოდა.

ალბათ, გუშაგი მართალი იყო, სოკოლნიკოვს ტელეფონთან რომ არ უშვებდა, ვინაიდან ეს, ამბობენ, «შინაგანი კავშირის» ტელეფონი იყო. მაგრამ ამბობენ, რომ არის მ ე ო რ ე ტელეფონი, და გუშაგს მასთან უნდა მიეშვა! ყოველ შემთხვევაში მე უკვე არაერთხელ მომითხოვია კრემლის კომენდანტისათვის და ერთხელ კიდევ მოვითხოვ, რომ შეიქმნას ისეთი წესი, რომლის დროსაც ჩ ე მ თ ა ნ მ ო მ ა ვ ა ლ თ,

* იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 54. რ ე დ

თუნდაც არავითარი საშვი არ ჰქონდეთ, შესაძლებლობა მიეცეთ, ოდნავ შეუფერხებლად **დაურეკონ** კრემლის კარიდანაც და სახკომსაბჭოს შესასვლელიდანაც ჩემს სამდივნოს და III სართულის კომუტატორის ტელეფონისტ ქალებს.

მიგითითებთ, რომ ჩემს მოთხოვნებს თქვენ დაუდევრად ეკიდებით. ერთხელ კიდევ გაძლევთ წინადადებას ახლავე შეიმუშაოთ ყველა საჭირო ზომა, დადგათ, საჭიროების შემთხვევაში, 2 დამატებითი ტელეფონი მომსვლელთათვის (1 კრემლის კარში, 1 სახკომსაბჭოს შესასვლელში) და მიპასუხოთ დაუყოვნებლივ. შეიმუშავეთ განსაკუთრებული ინსტრუქცია ჩემთან მომსვლელთათვის[438].

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

519

გ. მ. კრჟიჟანოვსკის

1

26. XI. 1921 წ.

გ. მ.!

რა არის დღეს «პრავდაში» ჩეიკოს აღმოჩენაზე?[439]

მორიგი ჭორია? ხოლო თუ სერიოზულია, რატომ უნდა ებეჭდავდეთ მანძილიდან აფეთქებათა შესახებ? მომწერეთ ორიოდე სიტყვა; იქნებ საჭიროა შეეკითხოთ ხარკოვს ან გამოვიძახოთ ჩეიკო, ანდა რომელიმე სპეცი ტელეფონით ელაპარაკოს ხარკოვს?

თქვენი ლენინი

2

26/XI.

გ. მ.! ველაპარაკე ჩუბარს. თურმე მან იცის ამ აღმოჩენის შესახებ და ამბობს, ჩვენმა სპეციებმა და პროფესორებმა განიხილეს და სერიოზულად მიიჩნიესო. შემიძლია მასალებიც გამოვგზავნო და თვითონ გამომგონებელიცო.

უნდა გადავწყვიტოთ, გამოვიწეროთ თუ არა აქ მასალები ან თვითონ გამომგონებელი; ხომ არ გავგზავნოთ ნიჟნში ბონჩ-ბრუევიჩთან? [440].

მოიფიქრეთ და მომწერეთ ან მე, ან ნ. პ. გორბუნოვს, რომელსაც დავავალებ თვალყური ადევნოს შესრულებასა და შემოწმებას.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 26 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1925 წლის 21 იანვარს გაზეთ «ეკონომიჩესკაია ჟიზნში», № 17

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

520

ნ. პ. გორბუნოვს

ამხ. გორბუნოვ! თვალყური ადევნეთ ამ საქმეს. გ. მ. კრჟიჟანოვსკის გაუგზავნეთ შიკრიკი და მიიღეთ ჩემი ბარათები ხარკოვში მომხდარ «აღმოჩენასა» და ჩუბარის აზრზე*.

27/XI. ლ ე ნ ი ნ ი

(P. S. გამომგონებელი აქ უნდა გამოვიწეროთ; ვაჩვენოთ ლაზარევს; ჩავიყვანოთ ნიჟნში და ა. შ.).

დაწერილია 1921 წლის 27 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* იხ. წინა დოკუმენტი. რ ე დ

521

* მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს

ვთხოვ მცირე სახკომსაბჭოს აუცილებლად დღეს განიხილოს და საბოლოოდ გადაწყვიტოს საკითხი ბერლინში გამოფენის მოსაწყობად 70 მილიონი მანეთის სასწრაფოდ გაცემის შესახებ. მომხსენებლად ვნიშნავ ამხ. ნ. პ. გორბუნოვს [441].

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის 28 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

522

ლ. ბ. კამენევს

ამხ. კამენევ! მე თქვენთან უფრო ახლოს ვარ, ვიდრე ძერჟინსკისთან. გირჩევთ არ დათმოთ და შეიტანოთ პოლიტბიუროში. მაშინ დავიცავთ მაქსიმუმთაგან maximum-ს. იუსტიციის სახალხო კომისარიატს დავაკისრებთ კიდევ პასუხისმგებლობას იმისათვის, რომ პოლიტბიუროს (ან სახკომსაბჭოს) **არ შეატყობინა** სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის დეფექტები და უმართებულობანი [442].

29/XI. ლენინი

დაწერილია 1921 წლის 29 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, **ტომი 54**

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

523

ლ. დ. ტროცკის

ამხ. ტროცკი! მიიღეთ, გეთაყვა, ცნობად თანდართული და დამიბრუნეთ (ისევე როგორც ეს ბარათიც) — კიდევ ზოგ ვინმეს გავუგზავნი [113].

Ad 1*. რაღაშია «სიფრთხილე»?? სინამდვილეში ჯერ კიდევ არაფერი არ არის. მარტო ლაპარაკია. სამწუხაროდ, გ ე რ მ ა ნ ე ლ ე ბ ი **მეტისმეტად** «ფრთხილი» არიან. აქ ჩიჩერინი მართალი არ არის.

Ad 3. . . მე ვფიქრობ, ეს ჭორია, საჭიროა დავუსვათ გარტვიგს (და სხვა გერმანელებს) პირდაპირი და ზუსტი კითხვა: რა გინდათ ჩვენგან? ხელშეკრულება **უინგლისოდ?** სიამოვნებით! მოგვეცით ჩქარა **პროექტი**, და ჩვენ ხელს მოვაწერთ.

დღემდე გერმანელების მხრივ მხოლოდ სიტყვები გვესმის.

კრასინი დიპლომატიის გამო **მ ო ვ ა ლ ე ი ყ ო** არ გაემჟღავნებინა საიდუმლოება სტინესისათვის და თავაზიანობაც კი გამოეჩინა მასთან.

30/XI. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 30 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — 1 პუნქტისათვის. რ ე დ.

524

ა. დ. მეტელევს

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის სახლების ვამგეს

ამხ. მ ე ტ ე ლ ე ვ ს

გთხოვთ აუცილებლად მისცეთ ოთახი საბჭოების 1-ლ სახლში ამხ. ც ე ც ი ლ ი ა ს ა მ უ ე ლ ი ს ა ს უ ლ ბ ო ბ რ ო ვ ს კ ა ი ა ს, რომელსაც კარგად ვიცნობ როგორც ძველ პარტიულ მუშაკს. იგი ახლა ყოვლად უვარგის პირობებში ცხოვრობს, და ექიმები მოითხოვენ დაუყოვნებლივ გადავიყვანოთ საბჭოების ერთ-ერთ სახლში.

აცნობეთ ჩემს სამდივნოს შესრულება [444].

ხალხთ კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

P. S. მე ბობროვსკაიას ვიცნობ 1905-წლამდელი ეპოქიდან და ვიცი, რომ მას შეუძლია მეტისმეტ გაჭირვებაში იყოს და ხმა არ ამოიღოს. ამიტომ მას სწრაფად უნდა დავეხმაროთ*.

დაწერილია 1921 წლის 30 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა არასრულად
1924 წელს ჟურნალ
«პროლეტარსკაია რევოლუციაში», № 3

მთლიანად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შევსებული და
ხელმოწერილია
ვ. ი. ლენინის მიერ

---

* პოსტსკრიპტუმი დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

525

ა. ა. ბ ე ლ ო ვ ს

30/XI.

ამხ. ბელოვ! იდეაში გეთანხმებით.

დასძარით ეს საქმე პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ, ე. ი. მოგვეცით დადგენილების პროექტი (იქნებ ასე ჯობდეს: ჯ ე რ შეარჩიეთ პ ი რ ე ბ ი, ხოლო შემდეგ შეადგინეთ დადგენილების პროექტი).

პარტიიდან წასვლა, ჩემი აზრით, საჭირო არ არის. მ ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ვ ა რ.

უნივერსალურ მაღაზიაში თქვენ უნდა დარჩეთ და მუშაობა სანიმუშოდ გაშალოთ [445].

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

P. S. მცირე საბჭოდან განთავისუფლების თაობაზე მოგვეცით კისელიოვის აზრი.

დაწერილია 1921 წლის 30 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

526

ბ. მ. კ რ ჟ ი ჟ ა ნ ო ვ ს კ ი ს

ბ. მ.!

ჩემთან იყო კრიცმანი.

ამასთან გიგზავნით მის და ჩემს შენიშვნებს მისი გეგმის შესახებ.

წაიკითხეთ და დამიბრუნეთ, გეთაყვა, 2 სიტყვით დაურთეთ თქვენი აზრი.

მე მაწუხებს საკითხის ორი (განსაკუთრებით) მხარე:

(1) შეიძლება თუ არა გადაეცეს **გამოყენების კომისია** სახელმწიფო საგეგმო კომისიას არა მთლიანად, არამედ ნაწილი?

თუ არ შეიძლება, მთლიანად გადაცემისას ხომ არ არის შესაძლებელი მისი აპარატის შემცირება?

(2) ხომ არ გაიზრდება სინამდვილეში ს ა ხ ა ლ ხ ო კ ო კ ო მ ი ს ა რ ი ა ტ ე ბ ი ს უ კ ო ნ ტ რ ო ლ ო ბ ა გამოყენების კომისიის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში გადაცემისას?

(რა ზომები მივიღოთ ამის წინააღმდეგ? რა გარანტიებია ამის წინააღმდეგ? ა ნ გ ა რ ე ბ ი თ ი ხომ არ არის ცუდი მნიშვნელობით, რომ გამოყენების კომისიის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში გადაცემის გეგმას იცავენ უწყებები?)

30/XI. ლ ე ნ ი ნ ი

კიდევ: ხომ არ შეიძლება არ შევაერთოთ (ასე თუ ისე) პროდუქტების განაწილება ფულის ნიშნების განაწილებასთან? [446]

დაწერილია 1921 წლის 30 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

527

წერილი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს

2/XII.

პოლიტბიუროს წევრებს

ახლა მთლიანად რომ წავიკითხე პლატფორმა «ჩვენ — კოლექტივისტები» (ვპერიოდელები, ბოგდანოველები, პროლეტკულტელები და ა. შ.) [447], მე საბოლოოდ მივდივარ იმ

დასკვნამდე, რომ უთუოდ გვარგებდა და საჭიროა დ ა ვ ბ ე ჭ დ ო თ იგი 2—3 ათას ეგზემპლარ ბროშურად **უაღრესად დაწვრილებითი** კრიტიკით, დავუმატოთ სტატია ბოგდანოვის პოლიტიკურ გამოსვლებზე 1917 წელს და ა. შ.

წისადადება შემომაქვს შევუკვეთოთ ეს ბროშურა **რამ-დენიმე ავტორს**, რედაქტორი ბუხარინი იყოს, ვივანდოთ მას დაურიგოს სხვადასხვა ავტორებს, 2 კვირაში ვიიღოს მათ ხელნაწერები და **ანაწყობში აჩვენოს პოლიტბიუროს.** (ეს **საზღვარგარეთსაც** სჭირდება).

1) ცეკას ცირკულარები პროლეტკულტების შესახებ.

2) «ჩვენ — კოლექტივისტები».

3) ბუხარინის სტატია «პ რ ა ვ დ ი დ ა ნ».

4) **კ ი დ ე ვ რ ა მ დ ე ნ ი მ ე ს ტ ა ტ ი ა,** რომლებიც პლატფორმას გაარჩევენ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 2 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის X X X V I კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

528

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს

ს ა გ ა რ ე ო ვ ა ჭ რ ო ბ ი ს ს ა ხ ა ლ ხ ო კ ო მ ი ს ა რ ი ა ტ ი პირი ამხ. პ ი ა ტ ა კ ო ვ ს — ცნობად

წინადადებას გაძლევთ გამოიწეროთ დონეცკის აუზის ქვანახშირის მრეწველობის ცენტრალური გამგეობისათვის კატალოგები უცხოეთის — გერმანიის, ამერიკის, ინგლისის— ფირმებისა, რომლებიც გვაწვდიან:

ა) საერთოდ სამადნეების მოწყობილობას,
ბ) მავთულის ბაგირებს,
გ) ტუმბოებს,
დ) ელექტროტექნიკურ მასალებს,
ე) საყელავ შანქანებს, კონვეიერებს და სხვ.,
ვ) ხელსაწყო-იარაღებს,
ზ) ლითონის საკეთობებს საერთოდ და მავთულს განსაკუთრებით.

შესრულების შესახებ გთხოვთ გამოუგზავნოთ ცნობა სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველს ამხ. გ ო რ ბ უ ნ ო ვ ს.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

დაწერილია 1921 წლის 2 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება შანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

529

უცხოეთის ლიტერატურის კომიტეტს [448]

უ ც ხ ო ე თ ი ს ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი
პირი ამხ. პ ი ა ტ ა კ ო ვ ს —

ცნობისათვის და უცხოეთის ლიტერატურის კომიტეტთან იმ საკითხის შეთანხმებისათვის, რომ ლიტერატურის გამოსაწერი კრედიტი ოქროთი გაიცეს.

წინადადებას გაძლევთ დონეცკის აუზის ქვანახშირის პრეწველობის ცენტრალური გამგეობისათვის და მის ხარჯზე

1. სასწრაფოდ გამოიწეროთ გერმანიის, ინგლისისა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ყველა სამთო ჟურნალის 1917 — 1921 წლების კომპლექტები;

2. რეგულარულად გამოიწეროთ და უგზავნოთ ცენტრალურ გამგეობას:

ა) ყველა სამთო ჟურნალი, რომლებიც გამოდის გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე;

ბ) ახალგამოსული ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნები სამთო საქმეზე;

გ) ჟურნალი «The Economist» [449].

შესრულების შესახებ გთხოვთ გამოუგზავნოთ ცნობა სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველს ამხ. გ ო რ ბ უ ნ ო ვ ს.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

დაწერილია 1921 წლის 2 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

530

ლ. ბ. კამენევს

ამხ. კამენევ! ეს გუშინ მომცა ხინჩუკმა [450]. ნახეთ და აჩვენეთ «ერთიანი ეკონომიური კომისიის» [451] ყველა წევრს.

ვგონებ, საქმე იზრდება? ხომ არ გვიკარნახებს ვინმე რაც შეიძლება **სასტიკად** შემოწმების ხერხებს?

2/XII. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. გთხოვთ გადაუგზავნოთ აგრეთვე პოლიტბიუროს ყველა წევრს.

დაწერილია 1921 წლის 2 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

531

ვ. ა. სმოლიანინოვს [452]

ამხ. სმოლიანინოვ! **გთხოვთ** გადაათვალიეროთ ხოლმე და შეკრიბოთ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი «ცენტროსოიუზის» შესახებ.

უნდა შევიმუშაოთ **რამდენიმე** გრაფიკი მათი თვიური ანგარიშებისათვის ((აგრეთვე **სუმ-ისა**=სახელმწიფო უნივერსალური მაღაზიისა)).

დაახლოებით:	(1) ბრუნვა	ნაყიდია	პროდუქტების
	(2) გუბერნიებისაქიხედკით	გაყიდულია	მთავარი ჯგუფების მიხედვით.
	(3) ანგარიშგებაში არააკურატული გუბერნიების %.		
აუცილებლად	(4) არააკურატული გუბერნიები შავ დაფაზე		

და **იბეჭდებოდეს** მათი სია და ა. შ.

2 XII. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. მომეცით შ რ ო მ ი ს ა და თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო შ ი ეს ცხრილები.

იფიქრეთ, ხომ არ შეიძლება მათგან გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნა ნედლეულის დამზადებასა და **სახეებზე.**

დაწერილია 1921 წლის 2 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

532

წერილი «ცოცხალი კავშირის» გამოყენების შესახებ [453]

ამხანაგებს ენუქიძეს, კარპინსკის, ძერჟინსკის, ზალუცკის, მიხაილოვს, მოლოტოვს

ძვირფასო ამხანაგო!

საჩივრებისა და განცხადებების სახკომსაბჭოს მისაღების პრაქტიკიდან გამოირკვა, რომ განსაკუთრებით სერიოზულ და

სასწრაფო შემთხვევებში სასარგებლოა გამოვიყენოთ «ცოცხალი კავშირი», ე. ი. პირადად მიმართვა ცალკეული პარტიული ამხანაგისადმი, რომლებსაც ადგილებზე საკმაოდ გავლენიანი მდგომარეობა უჭირავთ. ამით ვაღწევთ იმ გაჭიანურების შემცირებას, რომელიც გარდაუვალია ჩვეულებრივი საუწყებო გზის დროს, და საერთოდ საჭირო ზემოქმედება ძლიერდება.

ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს სარატოვის გუბერნიის ელანსკის (ახალ) მაზრაში საბჭოთა ხელისუფლებასთან და პარტიასთან მიტმასნილი კულაკური «ბუდის» ტერორიზმის საქმე. 10 დღის ვადაში მოხერხდა მიგვეღო სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ვოლგისპირეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლისაგან, რომელსაც მსგავსი «ამხანაგური» წესით შევეკითხეთ, საპასუხო დეპეშა, «დამნაშავეთა გამოსარკვევად ყველა ზომა მიღებულიაო». ასეთია შედეგები სხვა შემთხვევებშიც.

მაგრამ ამ მეთოდის გამოყენების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკმაოდ გვეცოდინება ადგილებზე პასუხისმგებელ მუშაკთა ნამდვილი შემადგენლობა. ამიტომ გთხოვთ — სასწრაფოდ შეადგინოთ და გამოგზავნოთ სახკომსაბჭოს მისაღების მისამართით, ვოზდვიჟენკა, 4, შესაბამისი სიები კარგი სტატის მქონე საიმედო ამხანაგებისა, რომლებიც, თქვენი აზრით, განსაკუთრებით გამოსადეგი არიან მსგავსი «ზემოქმედებისათვის», აღმასკომების, საგუბერნიო საგანგებო კომისიების და ა. შ. წევრთაგან, გუბერნიაზე 1 — 2.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)

P. S. საჭიროა ასეთი ამხანაგების კეთილსინდისიერების საკუთებით სრული გარანტია, სახელდობრ: რაც შეიძლება უფრო დაწვრილებითი სტატი, პარტიული და საბჭოთა, და

რამდენიმე ძველი პარტიელის პირადი თავდებობა უეჭველი პატიოსნებისათვის.

3/XII. — 21 წ.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი ეგზემპლარის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

533

ა. ი. რიკოვს

3/XII.

ძვირფასო ალექსი ივანეს ძევ!

მაშ ასე, თქვენი გამგზავრების საქმე გადაწყვეტილია. პოლიტბიუროში გატარებულია[454]. თქვენ მოვალე ხართ დარჩეთ მეორე ოპერაციამდე და სრულ განკურნებამდე. მე ვნახე ციურუპა და მოვისმინე მისი აზრი — ჩინებული — გერმანელებთან მკურნალობაზე. ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ **სავსებით** გაგკურნავენ (მე ვნახე ექიმთა ანგარიში თქვენზე), თუ ოდნავ გამოიჩენთ მოთმინებას. — — — — — — — გიგზავნით დადგენილებას ციურუპას შესახებ და თქვენი და მისი სამუშაოს დაყენების გეგმის ჩემს მონახაზს[455].

1-ლმა და მე-2 მოადგილეებმა, როგორც ამ გეგმიდან დაინახავთ, უნდა განავითარონ ახალი მუშაობა. ჩვენ გადავწყვიტეთ ჯერჯერობით, ვიდრე თქვენ არ ჩამოხვალთ და ვიდრე ციურუპას მიმართ ცდას არ მოვახდენთ, არ გა-

დავაქციოთ ეს გეგმა დადგენილებად. ჯერ გამოვცადოთ და შევამოწმოთ პრაქტიკით. მომწერეთ თქვენი აზრი.

აბა ჯერჯერობით, ნახვამდის — იმკურნალეთ სერიოზულად.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 3 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

534

* პარტიის შემოწმებისა და წმენდის მოსკოვის საგუბერნიო კომისიას

დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ ჩემი თხოვნა — გაგეცნოთ ჩემთვის საქმე პარტიიდან ამხანაგ შ ა პ ი რ ო ს გარიცხვის შესახებ იმის საბაბი გახდა, რომ გაუქმებულიყო მისი საქმის გარჩევა მოსკოვის საგუბერნიო კომისიაში, რაც დანიშნული იყო დღეისათვის, 3. XII-სათვის, 18 საათზე. ეს გაუგებრობისა და შეცდომის შედეგია, ვინაიდან ყველაზე მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, საქმის გარჩევის სისწრაფე.

საქმის არსის გამო, მე ვშუამდგომლობ პარტიის შემოწმებისა და წმენდის მოსკოვის საგუბერნიო კომისიის წინაშე მხედველობაში მიიღოს ჩემი შემდეგი მოსაზრებანი.

1) რამდენიმე წლის განმავლობაში მე მრავალჯერ გამიგონია ნ. კ. კრუპსკაიასაგან, რომ შაპირო იშვიათი კეთილსინდისიერების მუშაკია, მაგრამ იგი არ უყვართ მ ო მ თ ხ ო ვ ნ ე ლ ო ბ ი ს გამო. ამიტომ წმენდის დასაწყისშივე მე გავაფრთხილე ნ. კ. კრუპსკაია, რომ ყურადღება უნდა მიექცეს ამასთან დაკავშირებული ინტრიგის შესაძლებლობასა და მოსალოდნელობას.

2) ჩემი სტატია პრესაში იმის შესახებ, რომ რკპ-ში შესული მენშევიკები და ბუნდისტები საიმედო არ არიან, ხში-

რად იმ აზრით ესმოდათ, რომ ისინი ყველანი უნდა გაირიცხონ*. ამიტომ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ თითოეული შემთხვევის ინდივიდუალური გარჩევა აუცილებლად მიმაჩნდა და მიმაჩნია, და ამის დასადასტურებლად ვიმოწმებ, მაგალითად, ყოფილ მენშევიკ ჩირკინს, რომელიც რკპ-ში შევიდა გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე შაპირო, და რომლის მერყეობაზეც ზუსტი ფაქტები იყო და არა ხმები და არა ჭორები. მიუხედავად ამისა ჩირკინის საქმის ყოველმხრივ გარჩევის შემდეგ მე დავეთანხმე უკრაინელ ამხანაგებს, რომლებიც მას იცავდნენ, იმაში, რომ საჭირო იყო ჩირკინის დატოვება პარტიაში.

3) შაპიროს განცხადებაზე არის ამხანაგ ა. ენუქიძის 1921 წლის 3. IX-ის წარწერა: «ყოველივე იმას, რაც აქ აღნიშნულია ამხანაგ შაპიროს მიერ 1917 წლის პერიოდზე სავსებით ვადასტურებ».

ხოლო ის, რაც ამხანაგ შაპიროს მიერ აღნიშნულია ამ პერიოდზე, უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ადასტურებს იმას, რომ მენშევიკმა შაპირომ ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე დაიწყო გამოსვლა მენშევიკების წინააღმდეგ.

ჩემს კითხვაზე, რომლითაც სპეციალურად მივმართე ამხ. ენუქიძეს შაპიროს შესახებ, ამხ. ენუქიძემ დღეს მიპასუხა, რომ იგი მასთან ერთად მუშაობდა 1917 წლის აპრილიდან აგვისტომდე ძველი, მენშევიკური სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საფრონტო კომისიაში. ამ პერიოდში ახლო გაეცნო რა ამხანაგ შაპიროს, ამხანაგმა ენუქიძემ განმიცხადა, რომ სრულებით არ ეპარება ეჭვი ამხანაგ შაპიროს გულწრფელობაში და რომ იგი, ენუქიძე, უთუოდ დაუჭერდა მხარს ამხანაგ შაპიროს დატოვებას პარტიაში.

ამხ. ენუქიძემ დამიმატა ასეთი დამახასიათებელი ფაქტი,

---

* იგულისხმება სტატია «პარტიის წმენდის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 24 — 26). რ ე დ.

რომ 1917 წლის ივნისის დღეების შემდეგ, როცა ბოლშევიკებს გააფთრებით დევნიდნენ. შაპირო კრებაზე ისე იცავდა ბოლშევიკებს, რომ მენშევიკების ცეკას წევრი, ვაინშტეინი, თითქმის მუშტებით მიიწევდა შაპიროზე.

უნდა ითქვას, რომ ამხ. ენუქიძე, პარტიის წევრი 1898 წლიდან, ეკუთვნის იმ ძველ პარტიულ გვარდიას, სწორედ რომელიც, კაცმა რომ თქვას, უნდა ამოწმებდეს და წმენდდეს ჩვენს პარტიას. ყოველი ჩვენება ამ ძველი გვარდიის რიგებიდან, ჩემი ღრმა რწმენით, სამმაგი ყურადღების ღირსია. ამიტომ მე უთუოდ არასწორი მგონია, რომ რაიონულ კომისიას ამხანაგი ენუქიძე არ დაუბარებია და ამხ. შაპირო ისე გარიცხა. მე ვშუამდგომლობ მოსკოვის საგუბერნიო კომისიის წინაშე დაიბაროს ამხ. ენუქიძე, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი, შაპიროს საქმეზე.

4) ამხ. შაპიროს განცხადებიდან ჩანს, რომ იგი ავტორია აგრარულ საკითხზე 1907 წელს მ. შანინის ფსევდონიმით გამოსული ბროშურისა. როგორც ამხ. შაპირო აღნიშნავს, მე ეს ბროშურა გავარჩიე ჩემს წიგნში: «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში» (მე-2 გამოც., პეტროგრადი. 1919, გვ. 84 და შემდეგ)*. ვაკრიტიკებდი რა შანინს არაერთი მენშევიკური შეცდომისათვის, მე უკვე მაშინ. ათ წელიწადზე მეტი ხნის წინათ, აღვნიშნავდი მის განსხვავებას მენშევიკებისაგან. მაგალითად, ხსენებული წიგნის 85-ე გვერდზე აღვნიშნავდი, რომ შანინი, «ცხადია, საუკეთესო განზრახვებით, იცავს კონფისკაციას გამოსყიდვის საწინააღმდეგოდ» **

ეს ძალიან არსებითი პუნქტია, რომელიც ამტკიცებს, რომ ათ წელიწადზე მეტი ხნის წინათ ამხ. შაპირო მენშევიკებისაგან გამოირჩეოდა რევოლუციურობასთან სიახლოვით.

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 13, გვ. 265 — 540. რედ.

** იხ. იქვე, გვ. 355. რედ.

5) ჩემი შიში, რომ პარტიის წმენდამ შეიძლება ზოგ ვინმეს საბაბი მისცეს ინტრიგისათვის ამხ. შაპიროს წინააღმ-ღეგ. — შიში, რომელიც მე ნ. კ. კრუპსკაიას გავუზიარე ბევრად უფრო აღრე ქ. მოსკოვში წმენდის დაწყებამდე.—და-დასტურებას პოულობს შემდეგი გარემოებით. რაიონულმა კომისიამ გარიცხა შაპირო ისე, რომ არ დაუბარებია ენუქიძე, არ დაუსახელებია არავინ იმათგან, ვინც ახლოს იცნობს შაპიროს მუშაობას და შეუძლია მოიყვანოს მისი არასაიმედოობის ფაქტები. კომისია შაპიროს უწოდებს «არამტკიცესა და მერყევს» თუნდაც მცირეოდენი დამამტკიცებელი საბუთის მოუყვანლად, თუნდაც ოდნავ კონკრეტული რამის მიუთითებლად. უნებურად გებადება აზრი, რომ ვისიმე სრულიად არამიუკერძოებელ აზრს (მაგალითად, თანამოსამსახურეთაგან), ვთქვათ, ასეთს, აქაოდა ეს კაცი «ჩვენი არ არის» ან «უცხოაო», შეიძლებოდა ამაში როლი ეთამაშა.

ამავე დროს კი პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველოს უ ჯ რ ე დ მ ა ე რ თ ხ მ ა დ დაუჭირა მხარი შაპიროს (როგორც შევიტყვე, უჯრედის წევრის ამხ. ანა ივანეს ასულ მეშჩერიაკოვასაგან, რომელიც ამ კრებას დაესწრო და რომელსაც მე პირადად ვიცნობ როგორც პარტიის ძველ წევრს ჯერ კიდევ ემიგრაციის დროიდან). შაპირო განაგებდა პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველოს ერთ განყოფილებას ექვსი განყოფილებიდან: მაშასადამე, მისი ხელქვეითი პირები უჯრედის კრებაზე პატარა უმცირესობას შეადგენენ. არავინ ისე ახლოს არ ხედავდა ამხ. შაპიროს ყოველდღიურ მუშაობას, როგორც მისი დაწესებულების უჯრედი. თუ ეს უჯრედი ერთხმად უჭერს მხარს შაპიროს, ასეთი ხმის მიცემა, ვგონებ, ძალიან დიდ დამამტკიცებელ საბუთად უნდა იქნეს მიჩნეული. იმის შესაძლებლობა, რომ შაპირო მსხვერპლი გახდა ინტრიგისა, რომელმაც ხმა გაავრცელა, აქაოდა ეს კაცი «ჩვენი არ არისო», როცა არ არსებობდა ამის თუნდაც ოდნავ დამამტკიცებელი საბუთი და როცა პ ი რ დ ა პ ი რ არ გამოსულა პარტიის თუნდაც ერთი წევრი, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა ახლოს ენახა ამხ.

შაპირო მუშაობაში, ეს შესაძლებლობა მე ფრიად სარწმუნოდ მეჩვენება.

აღნიშნულის საფუძველზე მე ვშუამდგომლობ პარტიის შემოწმებისა და წმენდის მოსკოვის საგუბერნიო კომისიის წინაშე დაიბაროს ამხ. ენუქიძე, მიიღოს მხედველობაში ჩემი მოსაზრებანი და შეამოწმოს, სახელდობრ ვინ ლაპარაკობდა ან გამოდიოდა შაპიროს წინააღმდეგ, ხომ არ არის აქ ინტრიგა.

მე ვშუამდგომლობ აგრეთვე იმის შესახებ, რომ მომცეთ ამ საქმეზე მოსკოვის საგუბერნიო კომისიის გადაწყვეტილების პირი [456].

3. XII. 1921.

რკპ წევრი ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

535

* ნ. პ. ბორგუნოვს

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება, ვინაიდან წერილის ავტორი აბსოლუტურად კეთილსინდისიერი კაცია.

გთხოვთ შეამოწმოთ უაღრესად გულმოდგინედ გამოცდის **დაჩქარება**, მისი **სერიოზულობა** და სწრაფი **დახმარება** გამომგონებლისადმი.

მე კი დამირეკეთ **სოფელში** შედეგი დაახლოებით 13/XII-ს, არა უგვიანეს [457].

ლ ე ნ ი ნ ი

კრჟიჟანოვსკი მას იცნობს (თუმცა არ იცნობს მის გამოგონებას). ელაპარაკეთ კრჟიჟანოვსკისაც.

დაწერილია 1921 წლის 5 დეკემბერს
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

536

წერილი საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, ფინსახკომს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, განსახკომს

1921 წლის 5 დეკემბერი

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი	— ამხ. ლეჟავას
ფინსახკომი	— ამხ. ალსკის
სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო	— ამხ. ბოგდანოვს
განსახკომი	— ამხ. ლიტკენსს

ამხ. ვოევოდინს

მოსკოვში ჩამოვიდა იტალიის კინემატოგრაფიული ფირმის ჩიტო-ჩინემას რწმუნებული, კომუნისტი ამხ. კაროტი, რომელთანაც ჩვენი წარმომადგენლობა იტალიაში წინასწარ მოლაპარაკებას აწარმოებდა რუსეთში ფილმების გადაღებასა და ყიდვაზე და იტალიაში ამ ფილმების ექსპლუატაციაზე კონცესიის შესახებ.

ამხ. კაროტისთან მოლაპარაკების ბაზა შეიძლება იყოს ხელშეკრულების პროექტი, რომელიც მას აქვს და რომელიც ფართო ასპარეზს ტოვებს მასში საჭირო ცვლილებების შეტანისათვის.

როგორც იტალიას წარგზავნილი საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული იუწყება, ფირმა ჩიტო-ჩინემა იტალიის სოლიდური კინემატოგრაფიული საწარმოა, რომელსაც იტალიის გამნაღდებელი ბანკი აფინანსებს და რომელზეც ცნობა უნდა იყოს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საფინანსო-საანგარიშო სამმართველოში.

ეს საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვან **და სასწრაფო** საქმედ მიმაჩნია.

გავალებთ დაუყოვნებლივ შექმნათ თათბირი ამხ. კარო-

ტის წინადადების განსახილველად, მთელი საქმის გამოსარკვევად და შრომისა და თავდაცვის საბჭოს შესაბამისი დადგენილების შესამუშავებლად.

თათბირის მოწვევა და ოთხშაბათს, 7 დეკემბერს, შრომისა და თავდაცვის საბჭოში მოხსენება ევალება ამხ. ვოროვოდინს.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ეგზემპლარის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

537

* ამხანაგებს ბალისტერსა და კარს [458]

5/XII. 1921.

ძვირფასო ამხანაგებო!

გიგზავნით ჩემს წიგნს შეერთებულ შტატებში მიწათმოქმედების განვითარების შესახებ.

უაღრესად დავალებული ვიქნებოდი, თუ შემეძლებოდა მქონოდა ამხანაგ კარის აზრი იმ შემთხვევაში, თუ იგი შეძლებს ჩემი წიგნის წაკითხვას ინგლისელი ან გერმანელი თარჯიმნის დახმარებით.

მინდა აგრეთვე მივიღო ამხ. ბალისტერისაგან, თუ შესაძლებელია, მოსახლეობის 1920 წლის აღწერის ოფიციალური გამოცემები (ჩემს წიგნში მე ანალიზი გავუკეთე ორ აღწერას: 1900 და 1910).

რომელიმე გამომცემელი თუ მოინდომებდა გამოეცა ჩემი წიგნი ინგლისურად შეერთებულ შტატებში, ჩემი სურვილი იქნებოდა დამეწერა პატარა წინასიტყვაობა.

გულწრფელად თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი ინგლისურიდან

538

ვ. მ. მოლოტოვს
და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრს

ამხ. მოლოტოვს თხოვნით, რომ გადაუგზავნოს პოლიტბიუროს ყველა წევრს.

საჭიროა (1) შევიტყოთ, ვინ არის «კურუნირი»?

კუშნერი ხომ არა, ავტორი ბროშურისა ელექტრიფიკაციის შესახებ?

(2) საჭიროა გავაძლიეროთ ყურადღება მიასნიკოვის აგიტაციისადმი და თვეში **2-ჯერ** მოვახსენოთ პოლიტბიუროს მასზე და მისი აგიტაციის შესახებ.

(3) საჭიროა სპეციალურად გ ა ნ ვ ი ხ ი ლ ო თ პოლიტბიუროში, როგორ გ ა მ ო ვ ე ხ მ ა უ რ ო თ ამ წერილს [459].

5/XII. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 5 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

539

ვ. მ. მოლოტოვს
და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრს

5. XII. 1921 წ.

ამხ. მოლოტოვ!

ორლოვი (ავტორი მშვენიერი წიგნისა სურსათის სახალხო კომისარიატის სასურსათო მუშაობის შესახებ) ორიგინალური თხოვნით მიმართავს ცეკას.

მე მხარს ვუჭერ.

ციურუპაც (იცნობს ორლოვს პირადად; მე ვიცნობ წიგნის მიხედვით) მხარს უჭერს.

უნდა შევეკითხოთ პოლიტბიუროს წევრებს.

თუ ისინი **წინააღმდეგი არ არიან**, უნდა გაეგზავნოს კრესტინსკის დეპეშა: «ცეკამ მოიწონა ორლოვის გეგმები მისი წიგნის თაობაზე» [460].

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

540

ა. მ. ლეჟავას

ამხ. ლ ე ჟ ა ვ ა!

ერთ-ერთ გაზეთში ამ დღეებში (ვგონებ «პრავდაში») მე ვნახე შენიშვნა საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის ბრუნვის შესახებ (ყირიმში) 20 000 000 ოქროს მანეთის ოდენობით [461].

საიდან არის ეს?

დაყენებული გაქვთ თუ არა ბრუნვის ადგილობრივი ანგარიშგება, ყიდვასა და გაყიდვაზე, შემდეგ კი პროდუქტების მთავარ ჯგუფებზე გაყოფით?

მიპასუხეთ, გეთაყვა, ნ. პ. გორბუნოვის სახელზე და მაცნობეთ რაც შეიძლება ზუსტად, როგორ არის დაყენებული ანგარიშგების საქმე.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1921 წლის დეკემბერში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

541

დეპეშა მ. ხ. პოლიაკოვს

6. XII. 1921.

სიმფეროპოლი
ყირიმის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს
პოლიაკოვს

გთხოვთ ხელი შეუწყოთ ალექსი ანდრიას ძე პრეობრაჟენსკის, ძველ რევოლუციონერს, რომელსაც პირადად ვიცნობ ოთხმოცდაათიანი წლებიდან და რომელიც ცუდ პირობებშია. მისამართი: იალტა, რაიონული სანიტარულ-საკურორტო სამმართველო [462].

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

542
ა. მ. გორკის

6. XII.

ძვირფასო ა. მ.!

დიდ ბოდიშს ვიხდი, ნაჩქარევად რომ გწერთ. საშინლად დავიღალე. უძილობა მაქვს. მივდივარ სამკურნალოდ.

მთხოვენ მოგწეროთ: ხომ ვერ მისწერთ **ბერნარდ შოუს,** რომ იგი ჩავიდეს ამერიკაში, და **უელსს,** რომელიც ახლა ამერიკაშიაო, რომ ორივემ იკისროს ჩვენთვის ხელი შეუწყონ შეგროვებას დამშეულთა დასახმარებლად?

კარგი იქნება, რომ თქვენ მისწერდეთ.

დამშეულებს მაშინ მეტი შეხვდებათ.

შიმშილობა კი ძლიერია [463].

დაისვენეთ და იმკურნალეთ რაც შეიძლება უკეთ*.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 6 დეკემბერს
გაიგზავნა ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

543
* ნ. პ. გორბუნოვს

როცა ჩამოვა თქვენ მიერ ხარკოვიდან გამოწერილი გამომგონებელი (გვარად, ვგონებ ჩ ე ი კ ო), უნდა მოსთხო-

---

* კონვერტს ვ. ი. ლენინმა დააწერა: «პ. პ. გორბუნოვს თხოვნით, რომ გაგზავნოს **ბ ე რ ლ ი ნ შ ი ალექსი მაქსიმეს ძე გორკისათვის** (ლენინისაგან) {კონვერტი დამიბრუნეთ გორკის ხელწერილით}». კონვერტის უკანა მხარეზე არის ა. მ. გორკის ხელწერილი: «მივიღე 24.XII-ს **მ. გორკი».** რ ე დ.

ვოთ მას ზუსტი ფორმალური წერილობითი აზრი გაზეთ «პრავდაში» აღნიშნულ ყველა პუნქტზე, ამასთან ეს აზრი უნდა იყოს 1) ლაზარევისა ან მოსკოვის თუ პიტერის სხვა დიდი მეცნიერისა, 2) ბონჩ-ბრუევიჩისა და ნიჟნი ნოვგოროდის რადიოლაბორატორიის სხვა სპეციალისტისა [464].

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 7 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

544

ი. ი. მეჟლაუკს [465]

მ ე ჟ ლ ა უ კ ს

პირი გაეგზავნოს ამხ. გორბუნოვს

ამხ. მეჟლაუკ, მე შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველს დავავალებ შეამოწმოს იმის შესრულება, რასაც თქვენ დაგპირდნენ. შემოწმების შედეგს გაცნობებენ წერილობით ან როცა ყრილობაზე ჩამოხვალთ. ვშიშობ, რაიმე უკიდურესობაში არ გადავარდეთ, განსაკუთრებით ცალკეული პირებისათვის უზომოდ მაღალი განაკვეთების საკითხში. მაცნობეთ, სადამდე აღწევს ამ მხრივ, ხოლო შესაძლოა ზოგიერთი სხვა მიმართულებითაც, თქვენი გატაცება.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 9 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

545

ვ. მ. მოლოტოვს
რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის

ამხ. მ ო ლ ო ტ ო ვ ს პოლიტბიუროს წევრებისათვის
ჩამოსატარებლად

კრესტინსკი მწერს, რომ გორკი რიგიდან გაემგზავრა სულ უფულოდ და იმედს ამყარებს თავისი წიგნების გამოცემისათვის სტომონიაკოვისაგან საავტორო ჰონორარის მიღებაზე. კრესტინსკი ფიქრობს, რომ საჭიროა შევიყვანოთ გორკი იმ ამხანაგების რიცხვში, რომლებიც საზღვარგარეთ მკურნალობენ პარტიის ან საბჭოს ხარჯზე. მოგმართავთ გაატაროთ პოლიტბიუროში, რომ წინადადება მიეცეს კრესტინსკის შეიყვანოს გორკი ასეთი ამხანაგების რიცხვში და შეამოწმოთ, რომ იგი სავსებით უზრუნველყოფილი იყოს მკურნალობისათვის საჭირო თანხით [466].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 12 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

546

ნ. ოსინსკის [467]

ამხ. ოსინსკი!

წავიკითხე და ხელახლა მთელი ყურადღებით გადავიკითხე თქვენი წერილი. გადაჭრით წინააღმდეგი ვარ და ვერ

შევიტან პოლიტბიუროში. რა თქმა უნდა, უდავოდ უფლება გაქვთ გამოიტანოთ პლენუმზე.

ნატამალი, პირდაპირ ნატამალიც კი არა გაქვთ სწორედ საქმიანი და ორგანიზაციული მოსაზრებებისა.

თქვენ შეცდომა დაუშვით, დაჟინებით რომ მოითხოვეთ მურალოვის მოშორება, «ინტრიგას» რომ ხედავდით იქ, სადაც მისი ნატამალიც არ ყოფილა. მაგრამ მიწსახკომისნაირ სახალხო კომისარიატს რომ უძღვებოდე ამგვარ ჯოჯოხეთურად ძნელ პირობებში, «ინტრიგა» ან «საპირისპირო» კი არ უნდა დაინახო სხვანაირად მოაზროვნეებსა ან იმათში, ვინც სხვანაირად უდგება საქმეს, არამედ უნდა დააფასო დამოუკიდებელი ადამიანები. საჭიროა საქმეში გამოვცადოთ სამეული: თქვენ + გლეხი (ჯერ კიდევ არ ვიცით, ვინ და როგორი იქნება) + ტეოდოროვიჩი. ნუ ვიჩქარებთ ამ სამეულის გადაკეთებას მის დაბადებამდე. თქვენი უპირველესი გავლენა უზრუნველყოფილია კანონითაც და ბევრი სხვა რამითაც.

მესიაცევი მე მინახავს შრომისა და თავდაცვის საბჭოში და სახკომსაბჭოში, მაგრამ იშვიათად. არავინ არ უშლის მას დაგვესწროს (და მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში), როცა არც თქვენა ხართ, არც ტეოდოროვიჩი. ამის გაფორმება ორ წუთში შეიძლება.

მაგრამ პოლიტბიუროს გადაწყვეტილების შეცვლას აზრი არა აქვს. ეს გადაწყვეტილება უნდა გამოვცადოთ; იგი ორგანიზაციულად სწორია.

კომ. სალმით ლენინი

დაწერილია 1921 წლის 14 და 18
დეკემბერს შუა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ლ. ა. ფოტიევას
ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

547
ლ. ბ. კამენევს

ამხ. კამენევ! გიგზავნით ოსინსკის და ტეოდოროვიჩის მიერ ჩემთვის გამოგზავნილ წერილებს, რაზედაც დღეს ვილაპარაკეთ.

ოსინსკის «საქმიან» მოსაზრებათა ნატამალიც არ გააჩნია. მარტო ნერვიულობა და იმ შეცდომის გამეორება, მურალოვი რომ გააგდო.

გადაჭრით წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ საკითხი კიდევ შეტანილ იქნეს პოლიტბიუროში, რასაც კიდევაც ვწერ ოსინსკის. პლენუმზე გამოიტანოს, თუ უნდა. ეს მისი უფლებაა [468].

აჩვენეთ ეს მასალები და ჩემი ეს წერილი, გეთაყვა, სტალინსა და ზინოვიევს და დამიბრუნეთ.

Salut! ლენინი

P. S. მე წავუკითხე ტეოდოროვიჩს არა მთელი წერილი ოსინსკისა, არამედ მხოლოდ პრაქტიკული ნაწილი, რომელიც მოხაზულია წითელი მელნით.

დაწერილია 1921 წლის
14 და 18 დეკემბერს შუა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

548
ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის

ამხანაგ მოლოტოვს

გთხოვთ გამიგრძელოთ შვებულება, თანახმად ექიმის დასკვნისა 2 კვირის ვადით (მკურნალობის მსვლელობის მიხედვით) [469].

მე ვიქნები ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, ზოგიერთ საკითხზე მაინც [470].

საბჭოების ყრილობაზე გავაკეთებ მოკლე მოხსენებას, თანახმად პოლიტბიუროს გადაწყვეტილებისა [471].

16. XII—21 წ.

ნაკარნახევია ტელეფონით

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

549

ე. ა. ლიტკენსს

ამხ. ლ ი ტ კ ე ნ ს ს

პირები ამხ. ბ ო გ დ ა ნ ო ვ ს და ამხ. ლ ე ქ ა ვ ა ს

იმ პროექტებთან დაკავშირებით, რომლებსაც ამხ. ვოევოდინი და ამხ. ლექავა აყენებენ, გავალებთ შექმნათ კომისია თქვენი თავმჯდომარეობით და ასეთი შემადგენლობით: ამხ. ბოგდანოვი შეცვლის უფლებით, ამხ. ლექავა შეცვლის უფლებით და ამხ. ვოევოდინი — რუსეთში კინოსაქმის ორგანიზაციის საკითხის განსახილველად [472].

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1921 წლის 16 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
წიგნში: გ. ბოლტიანსკი.
«ლენინი და კინო».
მოსკოვი—ლენინგრადი

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

550

* ნ. პ. გორბუნოვს

გთხოვთ წაიკითხოთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ და ყოველნაირად ეცადოთ შეასრულოთ (ალბათ, მცირე საბჭოს მეშვეობით).

თუ სიძნელეები შეგხვდეთ, **გამაფრთხილეთ** [473].

17/XII. ლენინი

დაწერილია 1921 წლის 17 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

551

ი. ბ. სტალინს

ამხ. სტალინ!

მიაქციეთ ყურადღება კრასინის ამ ცნობას (თან ერთვის), რომელიც ჩემი აზრით სიმართლეს ჰგავს და ფრიად მნიშვნელოვანია [474]. საჭიროა ორჯონიკიძის ჩამოსვლისთანავე მოვაწყოთ თათბირი ჩიჩერინთან ამ საკითხზე და შევიმუშაოთ რამდენიმე წინადადება პოლიტბიუროში გასატარებლად.

17/XII—21 წ. ლენინი

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

552

შეკითხვები სახალხო კომისარიატებს საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობაზე სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახკომსაბჭოს ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებით [475]

სულ მოკლე ცნობები (2—3 ციფრი) და იმდენად ზუსტი (ან შენიშვნით, თუ რამდენად უახლოვდება სინამდვილეს), რომ ღირდეს შევიტანო ჩემს სიტყვაში საბჭოების ყრილობაზე?	გთხოვთ მომცეთ **სულ მოკლე პასუხები 1, maximum 2 გვერდზე**

1. **ამხ. ჩიჩერინს** (ან, თუ მას არ შეუძლია, ლიტვინოვს) და **ამხ. რადეკს.**

საკმარისი იქნება თუ არა, რსფს რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის დახასიათებისას ითქვას, რომ პოლონეთისა და რუმინეთის მხრიდან გვემუქრება მხოლოდ მათი სამხედრო პარტია და არა მთელი იქ გაბატონებული კლასები?

— რომ 4 სახელმწიფოს (ინგლისის, შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და იაპონიის) კავშირი, რომელიც დაიდო ვაშინგტონის კონფერენციაზე, ჯერ ერთი, უალრესად არამტკიცეა, ისევე როგორც ყველა იმპერიალისტური კავშირი; მე-2, მტრულია ყველა დანარჩენი ხალხის მიმართ?

ხომ არ დავუმატოთ ამას რაიმე?

შეიძლება თუ არა მოვუთხროთ იმ გეგმის შესახებ, რომ რუსეთი და გერმანია მიიწვიონ მე-2 კონფერენციაზე 1922 წლის აპრილში [476]? რა წყარო დავიმოწმოთ? რამდენად სარწმუნოდ ან შესაძლებლად ჩავთვალოთ ეს?

2. **ამხ. ჩიჩერინს** (ლიტვინოვს)

შეიძლება თუ არა დავახასიათოთ ევროპის სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელშეკრულებათა რიცხვის გადიდებით 1921 წელს ჩვენ მიერ მიღწეული პროგრესი? თუკი არ შეიძლება, მაშინ ჩამოვთვალოთ ისინი (1920 წელს მხოლოდ ინგლისთან, 1921 წელს ამათთან და ამათთან).

თუ არა, მაშინ ხომ არ შეიძლება დავახასიათოთ ამ მხრივ მიღწეული პროგრესი სხვა მონაცემებით, გარდა სავაჭრო ბრუნვის სიდიდისა (რაზედაც საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს შევეკითხები)?

3. **ამხ. ლეჟავას**

ხომ არ შეიძლება საზღვარგარეთთან ვაჭრობის განვითარების მხრივ 1921 წელს ჩვენ მიერ მიღწეული პროგრესი დავახასიათოთ ორი-სამი თუნდაც უაღრესად ხელაღებითი და მიახლოებითი ციფრით? მაგალითად, შესყიდვა და შეკვეთა 1920 წელს — დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ ასეთი და ასეთი თანხა; 1921 წელს ამდენ თვეში—დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ ასეთი, სულ კი იქნება, ა ლ ბ ა თ, **ასეთ თანხამდე?**

ხომ არ შეიძლება ამ მხრივ გერმანია გამოიყოს?

ხომ არ შეიძლება მომცეთ 2 — 3 შეჯამებული ციფრი საზღვარგარეთ ჩვენი გატანის ოდენობის შესახებ 1921 წელს 1920 წელთან შედარებით?

4. **ამხ. ფომინს**

ხომ არ შეგიძლიათ მაცნობოთ ზუსტი ან დაახლოებითი ციფრები, რამდენი ახალი ორთქლმავალი (და ვაგონი? და ცისტერნა?) არის ჩამოტანილი 1921 წელს საზღვარგარეთიდან? 1920 წელთან შედარებით? სხვა პროდუქტები ტრანსპორტისათვის?

იგივე: შეკვეთილია 1921 წელს ასეთი და ასეთი თანხისა?

ხომ არ შემიძლია საბჭოების ყრილობაზე მოხსენებაში მოვიყვანო ფაქტები ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ 1921 წელს 1920 წელთან შედარებით სულ მოკლე ფორმით, ყველაზე არსებითი (ერთი გვერდი)?

5. **ამხ. ტროცკის**

ხომ არ შეიძლება თქვენს თეზისებში და თქვენს მოხსენებაში დავუმატოთ არმიის სამეურნეო მუშაობის შესახებ? შრომის არმიების საბჭოებთან[477] მემკვიდრეობის დაურღვევლობის შესახებ? და საერთოდ იმ დავალების თანახმად, რომელიც ფორმულირებულია არ ვიცი ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის ერთ-ერთი პლენუმის, არ ვიცი პოლიტბიუროს 1921 წლის შემოდგომის ერთ-ერთი სხდომის გადაწყვეტილებაში[478]?

6. **ამხ. ხინჩუკს**

ხომ არ შეგიძლიათ შეავსოთ «ცენტროსოიუზის» ბრუნვის განვითარების ის ციფრები, რომლებიც თქვენ მომეცით (1 მილიონი; სამი და 6 მილიონი ოქროთი 1921 წლის აგვისტოს, სექტემბრისა და ოქტომბრისათვის)*, ჯერ ერთი, მიახლოებითი ციფრებით ნოემბრისათვის? მე-2, პურის შესყიდვის ციფრით? მე-3, იმ საგუბერნიო კავშირების რიცხვის ციფრით, რომლებმაც ანგარიშები წარმოადგინეს მათი მთელი რიცხვიდან? მე-4, კიდევ რაიმე მთლად მოკლე შემაჯამებელი ცნობებით, რომლებიც შემეძლებოდა მომეყვანა მოხსენებაში საბჭოების ყრილობაზე?

7. **ამხ. ოსინსკის**

ხომ არ შეგიძლიათ მომცეთ ჩემი მოხსენებისათვის საბჭოების ყრილობაზე 2—3 შემაჯამებელი ციფრი, ჯერ ერთი, იმაზე, თუ როგორ შევასრულეთ 1921 წლის შემოდგომისათვის თესლით გლეხების მომარაგების ამოცანა; მე-2, რაიმე სხვა ხელშესახებ შედეგებსა და წარმატებებზე, რომლებმაც უკვე იჩინა თავი 1921 წელს?

8. **ამხ. სმილგას** (ან ტრიფონოვს)

ხომ არ შეიძლება მაცნობოთ, საბჭოების ყრილობაზე ჩემს მოხსენებაში ჩასართავად, სულ მოკლე ციფრები სათბობზე:

---

* იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 530. რ ე დ.

დონბასზე მაქვს პიატაკოვის ცნობა. ხომ არ შეიძლება 1920 და 1921-ის შედეგები?

იგივე ნავთობზე?

იგივე ტორფზე?

იგივე შუშაზე 1920 და 1921 წლებისათვის?

9. **ამხ. ბოგდანოვს**

გთხოვთ მომაწოდოთ ჩემი მოხსენებისათვის საბჭოების ყრილობაზე სულ მოკლე (არაუმეტეს $1/2$ — 1 გვერდისა თითო პუნქტზე) ცნობები

მეტალურგიაზე 1921 წლისათვის 1920 წელთან შედარებით?

«იუგოსტალზე»?

რუტგენსისა და მისი ჯგუფის წამოწყების მნიშვნელობასა და პერსპექტივებზე?

ურალისადმი დახმარებაზე (ჰამერის კონცესიები)

საფეიქრო მრეწველობაზე?

«გლავზემხოზის» მუშაობის ზოგიერთ შედეგზე?

(ამოცანა: სულ მოკლე, საჩვენებელი ციფრები, რომლებიც შეიძლება დავასახელო მოხსენებაში, რომ ილუსტრირებული იყოს მდგომარეობის მთელი სიმძიმეც და გაუმჯობესების პატარა ნიშნებიც).

10. **ამხ. გორბუნოვს!**

ელექტრიფიკაციის შესახებ

ლევის სტატიის ბოლო [479]

ელექტროსადგურების რიცხვისა და ძალის განვითარება 1918, 1919, 1920 და 1921 წლებში.

კაშირკისა და უტკინის ყურეს მნიშვნელობა და მათი მომავალი გახსნა 1922 წლის გაზაფხულზე.

იგივე ვოლხოვმშენზე [480].

11. **ამხანაგებს ლუნაჩარსკის, პოკროვსკის, ლიტკენსს**

გთხოვთ მომაწოდოთ, ჩემი მოხსენებისათვის საბჭოების ყრილობაზე, მოკლე მონაცემები, რომლებითაც შეიძლებოდა თვალსაჩინოდ დახასიათებულიყო ცოდნის წყურვილის, სწავ-

ლისადმი მისწრაფების ზრდა, პროგრესი ამ საქმეში (სულ ბევრი 2 — 3 ციფრი სტუდენტების რიცხვზე, ბიბლიოთეკების რიცხვზე და სხვა მისთ.; ყველაზე რელიეფური).

12. **რადჩენკოს: ჰიდროტორფზე**: რა არის შეკვეთილი გერმანიაში? მოსალოდნელია 1922 წლისათვის?

დაწერილია 1921 წლის 17 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

553

ნ. პ. ბრიუხანოვს

სურსათის სახალხო კომისარიატი, ამხ. ბ რ ი უ ხ ა ნ ო ვ ს

გთხოვთ მოიცალეთ სულ მოკლე პასუხი, ერთი ან ბევრი-ბევრი ორი გვერდი, ზოგიერთ კითხვაზე იმისათვის, რომ შემეძლოს უფრო ზუსტად დავალაგო საბჭოების ყრილობაზე ჩემი მოხსენების შესაბამისი ადგილები და ჩავურთო. ზოგიერთი ყველაზე საგულისხმო ციფრი.

რა შემაჯამებელ ცნობებს მიიჩნევდით სასარგებლოდ, რომ მოვიყვანო მოხსენებაში საბჭოების ყრილობაზე? სასურსათო გადასახადის შედეგებზე? ნახნავის დამალვაზე? თუ ყველაზე არსებით, მორიგ ამოცანებზე ამ დარგში?

კარგი იქნები, რომ შეიძლებოდეს, მოკლედ და თვალნათლივ გეჩვენოთ ის შემსუბუქება, რაც გლეხებს სასურსათო გადასახადმა მოუტანა გაწერასთან შედარებით.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 17 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

554

ლ. ბ. კამენევს

ამხ. კ ა მ ე ნ ე ვ!

გიგზავნით ამ წერილს, რომ ჩვენი უკანასკნელი საუბარი შევავსო. ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ აუცილებლად მიმაჩნია, რომ რაც შეიძლება მეტი ცეკისტი გაეცნოს მომავალ ყრილობაზე პირადად იაკოვენკოს [48]. გადაუგზავნეთ ეს წერილი, გეთაყვა, პირველ რიგში ორგბიუროს ყველა წევრს, შემდეგ კი გააცანით სხვა ცეკისტებს. სთხოვეთ მოლოტოვს, როცა ამ წერილს წაიკითხავს, დამირეკოს.

17/XII — 21 წ. ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

555

პ. ა. ზალუცკის და ა. ა. სოლცს

ამხ. ზალუცკის და ამხ. სოლცს

მივიღე ცნობა, რომ პარტიიდან გაურიცხავთ ნადეჟდა სერგის ასული ალილუევა. პირადად მე მინახავს მისი მუშაობა როგორც მდივნისა სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობაში, ე. ი. ჩემთან ძალიან ახლოს. მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ალილუევების მთელ ოჯახს, ე. ი. მამას, დედას და ორ ქალიშვილს, ვიცნობ ოქტომბრის რევოლუციამდელი

პერიოდიდან. კერძოდ, ივლისის დღეების დროს, როცა მე და ზინოვიევს დამალვა გვიხდებოდა და საფრთხე ძალიან დიდი იყო, სწორედ ეს ოჯახი მმალავდა, და ოთხივე, სარგებლობდნენ რა მაშინდელ ბოლშევიკ-პარტიელთა სრული ნდობით, არა მარტო გვმალავდნენ ჩვენ ორივეს, არამედ მრავალგვარ კონსპირაციულ სამსახურსაც გვიწევდნენ,
რომლისოდაც ჩვენ თავს ვერ დავაღწევდით კერენსკის ჯაშუშებს. ძალიან ადვილი შესაძლებელია, რომ, ნადეჟდა სერგის ასულ ალილუევას ახალგაზრდობის გამო, ეს გარემოება მხედველობიდან გამორჩა კომისიას. მე აგრეთვე არ ვიცი, ჰქონდა თუ არა კომისიას შესაძლებლობა ნადეჟდა სერგის ასულ ალილუევას საქმის განხილვისას შეეჯერებინა ცნობები მისი მამის შესახებ, რომელიც ასრულებდა სხვადასხვა ფუნქციებს პარტიისათვის ხელის შესაწყობად რევოლუციამდე ბევრად ადრე და, როგორც მე გამიგია, სერიოზულ სამსახურს უწევდა არალეგალურ ბოლშევიკებს ცარიზმის დროს.

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვაცნობო ეს გარემოებანი პარტიის წმენდის ცენტრალურ კომისიას [482].

1921 წლის 20 დეკემბერი, 20 საათი. ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

556

პ. ა. ზალუცკის და ა. ა. სოლცს

ამხ. ზ ა ლ უ ც კ ი ს და ამხ. ს ო ლ ც ს

მე მომმართა ამხ. კასპაროვა-პოპოვამ (მისამართი: საბჭოების მე-3 სახლი, ბინა 63, ტელ. 58—97). იგი მწერს, რომ

მთლად სასოწარკვეთილია პარტიიდან გარიცხვის გამო და მთხოვს ვიშუამდგომლო პარტიის წმენდის ცენტრალური კომისიის წინაშე მისი საქმის საფუძვლიანი შემოწმების შესახებ, ამასთან იმოწმებს თავის ძმას სლავა კასპაროვს და თავის ქმარს პოპოვს, რომელიც ამხ. სვერდლოვმა შორეულ აღმოსავლეთში გაგზავნა და იქ დაიღუპა. იგი წერს, რომ თავის ძმასთან ერთად 14 წლის ასაკიდან დაინტერესდა პარტიით და შედიოდა მოსწავლეთა წრეებში, ხოლო 17-ისა რომ შეიქნა, შევიდა პარტიაში და ეწეოდა წმინდა ტექნიკურ მუშაობას.

მე პირადად არ ვიცნობ ამ კასპაროვას ან დამავიწყდა იგი, მაგრამ მის ძმას ძალიან კარგად ვიცნობდი საზღვარგარეთ, სადაც იგი ემიგრაციაში იყო 1905 წლის პირველი რევოლუციის შემდეგ, შედიოდა ბოლშევიკურ ორგანიზაციაში, სარგებლობდა ყველა იმ ბოლშევიკის დამსახურებული პატივისცემით, რომლებთანაც შეხვედრა მე მიხდებოდა და რომლებიც კასპაროვის მუშაობას ხედავდნენ. ეს კასპაროვი გარდაიცვალა შვეიცარიაში 1917 წლის რევოლუციამდე (იგი გატეხა ემიგრანტული ცხოვრების მძიმე პირობებმა).

მე ვეცდები შევკრიბო ცნობები იმაზე, თუ ვინ შეიძლება უფრო ახლოს იცნობდეს კასპაროვის დას.

ჩემი მხრივ, ვთხოვ პარტიის წმენდის ცენტრალურ კომისიას შეამოწმოს ამხ. კასპაროვას პარტიიდან გარიცხვის საქმე [483].

1921 წლის 20 დეკემბერი, 20 საათი. ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

557

«იზვესტია ვციკ»-ის რედაქციას

«იზვესტიას» რედაქცია
რედაქტორს ამხ. სტეკლოვს
და ა. ბელიაკოვს

20 დეკემბრის «იზვესტიაში» მოთავსებულია ა. ბელიაკოვის სტატია «რკინიგზის ტრანსპორტის გამოცოცხლების ახალი გზები» [484]. ძალიან ვთხოვ სტატიის ავტორს მაცნობოს რაც შეიძლება ზუსტად სახანადო გამოცემათა ჩვენებით:

1) რა წყაროდან არის აღებული ცნობები იმის შესახებ, რომ საზღვარგარეთ საერთოდ გამოსცადეს და ბრწყინვალე შედეგები აჩვენა რკინიგზის ლოკომოტივის ნაცვლად ჩვეულებრივი, ოდნავ გადაკეთებული სატვირთო ავტომობილის გამოყენებამ.

2) იგივე იმის შესახებ, რომ ამერიკაში ასეთი სატვირთო ავტომობილებით მომსახურებას უწევდნენ მისადგომ გზებს.

3) იმის შესახებ, რომ ომის დროს ასეთ სატვირთო ავტომანქანებს წარმატებით იყენებდნენ ამერიკის არმიაში (ამაზე ცნობები უნდა იყოს, თუ გამოყენებას წარმატება ჰქონდა, როგორც ამერიკულ, ისე ფრანგულ და ინგლისურ პრესაში).

4) იმის შესახებ, რომ ლონდონში მოაწყვეს გამოცდა რუს ინჟინერ კუზნეცოვის იდეის მიხედვით, რამაც დაამტკიცა, რომ 30-ცხენისძალიანი სატვირთო ავტომობილი თავისუფლად ეწეოდა 9 — 10 ვაგონისაგან შემდგარ მატარებელს საათში 20 ვერსის სიჩქარით [485].

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 21 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

558

ვ. მ. მოლოტოვს

ამხ. მ ო ლ ო ტ ო ვ!

მე ვფიქრობ, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ დავთანხმდეთ და, საიმედო რომ იყოს, ამის შესახებ დეპეშა გავგზავნოთ როგორც კრასინის მეშვეობით, ისე ბერლინისა და ქრისტიანიის მეშვეობითაც, ამასთან არა შიფრით, არამედ კლენიის მეშვეობითაც, ამასთან არა შიფრით, არამედ კლერით.

ანაზღაურებისა და კონტროლის პირობები იმ დეპეშის მიხედვით, რომელიც წამიკითხეს, ჩემთვის სავსებით ნათელი არ არის. თუ ვადა 26 რიცხვია, იქნებ კიდევ შეიძლება მოვახერხოთ შემოწმება და გარკვევა, მაგრამ ასეთი შემთხვევა არამც და არამც არ უნდა გავუშვათ ხელიდან. განსაკუთრებით საჭირო იქნებოდა უზრუნველგვეყო იმის შესაძლებლობა, რომ ეს პური დაიხარჯოს არა მარტო დამშეულთა დასახმარებლად, არამედ საგაზაფხულო თესვისთვისაც [486].

ძალიან ვთხოვ მოლოტოვსა და კამენევს ამ საღამოსვე დამირეკონ.

21/XII—21 წ. ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

559

ტელეფონოგრამა ვ. მ. მოლოტოვს და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრს

ამხ. მ ო ლ ო ტ ო ვ ს და პოლიტბიუროს ყველა წევრს

1. გთხოვთ დააჩქაროთ პოლიტბიუროს ყველა წევრის გაცნობა ტეოდოროვიჩის იმ ცნობასთან ციმბირელ გლეხ იაკოვენკოს შესახებ, რომელიც მე გამოგიგზავნეთ *.

2. იგივე ეიდუკის დღევანდელი ბარათის თაობაზე ამერიკის მთავრობის იმ წინადადების შესახებ, რომ მოგვცენ 20 მილიონი დოლარის პური იმ პირობით, თუ ჩვენ დავხარჯავთ 10 მილიონ დოლარს [487].

1921 წლის 22 დეკემბერი. ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

560

გ. ი. სოკოლნიკოვს [488]

ამხ. სოკოლნიკოვ!

ვიგზავნით **ს ა ი დ უ მ ლ ო დ** [489].

მე ვფიქრობ, რომ საფაროვი **(ნაწილობრივ მაინც)** მართალია.

---

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 554. რ ე დ.

ძალიან გთხოვთ გამოიკვლიოთ ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ, რომ კინკლაობას, შფოთსა და შურისძიებას არ გააფუჭებინოთ მუშაობა თურქესტანში.

მომწერეთ 2 სიტყვა [490].

22. XII. სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 22 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

561

ლ. ბ. კამენევს

სოკოლნიკოვის ბროშურა «სახელმწიფო კაპიტალიზმი და ახალი საფინანსო პოლიტიკა» ძალიან კარგად დაწერილად მიმაჩნია. ვფიქრობ, თქვენ ყველა ღონისძიება უნდა წარმართოთ იქითკენ, რომ მაქსიმალური სისწრაფით მოახდინოთ ჩვენი უმაღლესი ეკონომიური კომისიისა და ყველა მისი ქვეკომისიის ლიკვიდაცია [491]. ძალიან ვშიშობ, რომ ჩვენ ლაუბობით საქმის გაჭიანურება გამოგვიდის, მაშინ როცა საჭიროა მთელი ყურადღება მივაპყროთ პრაქტიკული ნაბიჯების დაუყოვნებლივ განხორციელებას და მათი შედეგების შემოწმებას.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 24 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

562

ბ. ი. საფაროვს [492]

ამხ. საფაროვ!

ნუ ნერვიულობთ, ეს შეუწყნარებელი და სამარცხვინოა, 14 წლის გოგონა ხომ არა ხართ.

თქვენი წერილები გადავეცი სოკოლნიკოვს, რომელზეც ცენტრალურ კომიტეტში წინადადებას შევიტან გაიგზავნოს თურქესტანში საქმის გასარჩევად.

ველაპარაკე სოკოლნიკოვს და გამოვარკვიე (*entre nous*!*), იგი ეთანხმება იმ აზრს, რომ თქვენ წინააღმდეგ დაწყებული საქმე სისულელეა.

არ ინერვიულოთ.

განაგრძეთ მუშაობა, არსაიდან არ წახვიდეთ. უნდა შეგეძლოთ საქმიანად და მშვიდად შეარჩიოთ მასალები იმათ წინააღმდეგ, ვინც დაიწყო შეუსაბამო საქმე.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 24 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ლ. ა. ფოტიევას ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით

563

ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის

ამხ. მოლოტოვს

აბსოლუტურად დაჟინებით მოვითხოვ, რომ პოლიტბიუროვ დაუყოვნებლივ ტელეფონით დაადგინოს რუძუტაკის

* — ჩვენ შორის დარჩეს! რ ე დ.

ს ა ს წ რ ა ფ ო დ (პროფკავშირების შესახებ პლენუმისთანავე) გაგზავნა გ ე რ მ ა ნ ი ა ში: მას l°-ც აქვს და სისხლსაც ახველებს. ცხადია, ტუბერკულოზი უძლიერდება.

ჩვენში ვერ განკურნავენ და, რაც მთავარია, მკაცრ რეჟიმს ვერ შეუქმნიან [493].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 24 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

564

ე. მ. იაროსლავსკის

ამხ. იაროსლავსკი!

გთხოვთ თქვენ თვითონ გამოთქვათ აზრი და აქ მყოფი ყველა პასუხისმგებელი და გავლენიანი ციმბირელი ამხანაგისაგან შეიტყოთ, რ ა ა ზ რ ი ს ა ა რ ი ა ნ გლეხ ი ა კ ო ვ ე ნ კ ო ზ ე (ვგონებ, ენისეის გუბერნიის კანსკის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეა). საჭიროა აზრი გამოითქვას რაც შეიძლება დაწვრილებით. ეს იმისათვის, რომ ცენტრალურ კომიტეტში განხილულ იქნეს საკითხი იაკოვენკოს მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ს ა ხ ა ლ ხ ო კ ო მ ი ს რ ა დ დანიშვნის შესახებ *.

ასაკი? — დაახლოებით 40 წლისაა **.

გამოცდილება? — უშუალოდ იცნობს საბჭოთა მუშაობას.

გლეხობის მხრივ პატივისცემა? — დიდი.

მეურნეობის ცოდნა? — საშუალო გლეხია, ძალიან დიდი მეურნეობა არ ჰქონია.

---

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 554. რ ე დ.

** პეტიტით მოცემულია ე. მ. იაროსლავსკის პასუხები, რომლებიც მან ჩაწერა ამ წერილის მანქანაზე გადაბეჭდილ პირში. რ ე დ.

სიმტკიცე? — მბრძანებლური ხასიათის, მტკიცე კაცია.

გონიერება? — ჭკვიანია, გამჭრიახი.

ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი? — ერთგულება დაამტკიცა პარტიზანობის პერიოდშიც და შემდეგაც.

ძალიან გთხოვთ გააკეთოთ ეს **სწრაფად** და ისე, როგორც საჭიროა.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 24 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

565

ლ. დ. ტროცკის

ამხ. ტროცკი!

მე ჯერ კიდევ არ მინახავს თქვენი წერილი, რომელშიც რეზოლუციის ჩემი პროექტის შესწორებებია. მხოლოდ მისი შინაარსი მიამბო მდივანმა. საკუთარი ვეთანხმები ძირითად აზრს. ოღონდ ვფიქრობ, რომ სპეციების ცნებაში სავალდებულოა შევიტანოთ არა მარტო ინჟინრები და აგრონომები, არამედ ვაჭრობის მუშაკებიც. თუ შეიძლება, დაავალეთ გამომიგზავნონ პირი თქვენი დასკვნისა, რომელსაც ცენტრალურ კომიტეტში გზავნით, ვინაიდან მე დღეს მოსკოვში ვიქნები [194].

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 26 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

566

ტელეფონოგრამა ა. მ. ლეჟავას

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი—ამხ. ლ ე ჟ ა ვ ა ს

ცნობა ამხ. ემელიანოვისა, რომელსაც შეიძლება და საჭიროა აბსოლუტურად დავენდოთ, რეველში გადმოტვირთვისას მომხდარი ჭურდობის შესახებ მეტად დიდ შეშფოთებას იწვევს და გიგანტური მნიშვნელობის საკითხს აყენებს *.

მივაპყრობ ამ გარემოებას საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ყურადღებას უაღრესად ენერგიული ზომების მისაღებად. შეამოწმეთ საიმედო ადამიანების მეშვეობით. მაცნობეთ შემოწმების შედეგები და მიღებული ზომები. პასუხი აცნობეთ ამხ. სმოლიანინოვს.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის 26 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXIII კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

567

ბარათების გაცვლა ე. ა. პრეობრაჟენსკისთან [495]

თუ ეს მართალია, ცუდი როდია [496].

ხომ არ შეიძლება გავაკეთოთ 2 რამ:

1) ყოველკვირეულად (ჯერჯერობით ყოველთვიურად) აღვრიცხოთ მთელი რსფს რესპუბლიკისათვის

ა) სახელმწიფოს ხელში არსებული საქონლის რაოდენობა

(გაცვლითი ფონდი)

* იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 201. რ ე დ.

ბ) ქაღალდის ფულის რაოდენობა

2) ცდის სახით 1—2 მაზრაში გამოვუშვათ (კოოპერაციულ დაწესებულებათა მეშვეობით?) საცვლელი ბონები, მთლიანად უზრუნველყოფილნი საქონლის ფონდით?

საქონლის ფონდის აღრიცხვა ფინსახკომის გამგებლობაში არ არის. აქ საჭიროა რაღაც მიშენება ან გადაკეთება მთელი მატერიალური ბიუჯეტის აღრიცხვისათვის. ჩვენ მაინც სირომოლოტოვს მივეცით ამის რწმუნება.

ბონები შეიძლება გამოვუშვათ, როცა საქონელი გვექნება, და ვფიქრობ, ბონების საქმე გამოგვივა, მაგრამ ჩვენი ჯიბე მათგან პირველ ხანებში მცირე სარგებლობას თუ ნახავს.

{ჩემი მიზანია არა «სარგებლობა ჯიბისათვის», არამედ ცდა, ექსპერიმენტი.}

დაწერილია 1921 წლის 26 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

568

გ. მ. კრჟიჟანოვსკის

ამხ. კრჟიჟანოვსკის, პირი ამხ. სმოლიანინოვს

გიგზავნით ცნობისათვის გ. ბ. კრასინისეულ შეფასებას. ეს შეფასება მიდასტურებს იმას, რაც საკუთრად მოგწერეთ გუშინ[497]. ვშიშობ, რომ თათბირის მოწვევა სტრატეგიულად არასწორი ღონისძიება იყო თქვენი მხრივ. უფრო სწორი იქნებოდა წერილობითი შეფასება მოგეთხოვათ სამი დაწესებულების (სახელმწიფო საგეგმო კომისია, გზათა სახალხო კომისარიატი და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილება) სულ ბევრი ორ-ორი ან სამ-სამი სოლიდური სპეციალისგან. ამოცანა, ჩემი აზრით, უფრო მეტად ის არის, რომ «დავიჭიროთ» უმოქმედობასა და

პედანტობაში ის მეცნიერები, რომლებსაც გამორჩათ ,,საზღვარგარეთის გამოცდილება. ვგონებ, არც კრასინისეული შეფასება, არც ეს ჩემი ბარათი არავის არ უნდა აჩვენოთ. თუ თქვენი თათბირი აბსოლუტურად უარყოფით დასკვნამდე არ მივა, მაშინ უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ ვის დავავალოთ დაუყოვნებლივ პრაქტიკულად განხორციელება. ამაზე ვთხოვთ დამირეკოთ [498].

27/XII—21 წ.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

569

ბელა კუნს

ამხანაგო ბელა კუნ!

მივიღე თქვენი წერილი, რომელშიც თქვენ, როგორც ჩემი მდივანი გადმომცემს, მთხოვთ დავაჩქარო ჩემი სტატია სერატის შესახებ. სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო დღემდე ვერ შევძელი ჩავჯდომოდი მას იმ მასალის საფუძველზე, რომელიც საუბედუროდ მეტისმეტად უხვად მომიტანეს.

ალბათ, აღნიშნული ვადისათვის ვერ დავწერ [499].

მოიწერეთ ბარათი ფოტიევას სახელზე, როგორ მიდის საქმეები, რას წერთ და როგორ მოაწყვეთ 400 ჩამოსული უნგრელი კომუნისტი.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1921 წლის 29 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

570

ცენტრალური საბჭოთა დაწესებულებების ხელმძღვანელებს

პატივცემულო ამხანაგო!

ერთხელ და სამუდამოდ საჭიროა ბოლო მოეღოს ისეთ უმსგავსობას, როგორიც არის საქმის გაჭიანურება და კანცელარიულობა თქვენს დაწესებულებაში. დიდმნიშვნელოვანი და სასწრაფო საქმეები, რომლებსაც თქვენ სახკომსაბჭოს მისაღები გიგზავნით სახკომსაბჭოში და მისი თავმჯდომარის სახელზე შემოსული მრავალი საჩივრისა და განცხადების გადასაჭრელად, ძალიან ხშირად პასუხგაუცემელი და შეუსრულებელი რჩება.

წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ გამოასწოროთ მდგომარეობა. საბჭოთა ადმინისტრაციის მანქანა აკურატულად, მკაფიოდ, სწრაფად უნდა მუშაობდეს. მისი მოშლილობისაგან არა მარტო კერძო პირების ინტერესებს მოსდის ზიანი, არამედ მართვის მთელი საქმეც ცრუ, მოჩვენებითს ხასიათს იღებს.

მიმაჩნია რა თითოეული მოცემული დაწესებულების შრომის ნაყოფიერების ჭეშმარიტ საზომად უწინარეს ყოვლისა ის, თუ რამდენად ნამდვილად და გადაუდებლად სრულდება ყველა ის საქმე, რომლებიც ამ დაწესებულებაში გაივლის, მოვითხოვ ამიერიდან უაღრესად სწრაფ და ამომწურავ პასუხს თქვენთვის გამოგზავნილ საქმეებსა და შეკითხვებზე. ფუჭი წერილობითი პასუხის გაცემა და სხვა დაწესებულებებში გადაგზავნა ავრეთვე იმას ნიშნავს, რომ ვამრავლოთ საქმის გაჭიანურება და ამაოდ ვხარჯოთ ქაღალდი.

გაფრთხილებთ, რომ, თუ მსგავსი მოქმედება გაგრძელდა, სახკომსაბჭოს მისაღებს მინიჭებული აქვს უფლება

პასუხისგებაში მისცეს დამნაშავენი, «რანგებისდა» მიუხედავად.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1921 წლის დეკემბერში

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

571

პ. ა. ზალუცკის

ამხ. ზალუცკი!

გიგზავნით წერილს. გაგზავნეთ, სადაც საჭიროა, თუ ეს თქვენ არ გეხებათ.

ბრალდებანი ისეთი ძველი პარტიელისა და რევოლუციონერის წინააღმდეგ, რომელსაც იცნობს ყველა ლატვიელი, ხოლო ომიდან ტროცკი და ბევრი სხვა, — აშკარად წარმოუდგენელია. დანიშევსკის ვიცნობ პ ა რ ტ ი ი ს ი ს ტ ო რ ი ი ს მიხედვით, წ ლ ე ბ ი ს ა დ ა წ ლ ე ბ ი ს განმავლობაში რევოლუციამდელი დროიდან, და ძალიან გთხოვთ ყურადღებით, ზუსტად და ყოველმხრივ შეამოწმოთ [500].

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წლის დეკემბერში

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

572

ლ. ბ. კამენევს

დააწექით იმას, რომ მთლიანად იმეორებენ ტროცკის შეცდომებს X ყრილობაზე.

დამავიწყდა კიდევ მეთქვა: იგი თავის «შესწორებებში» ადმინისტრატორულად უ დ გ ე ბ ა («მოქნევა»), «გადავ-ბერტყოთ» — ყველაფერი გადავაწყ-გადმოვაწყოთ «ე რ თ-პ ი რ ო ვ ნ უ ლ ი პასუხისმგებლობა») იმას, რასაც საჭიროა მიეუდგეთ

(ა) პროპაგანდისტულად,

(ბ) ხანგრძლივი ც დ ი ს მეშვეობით*.

დაწერილია 1921 წელს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* რაზეა ლაპარაკი, გამორკვეული არ არის. რ ე დ.

1922 წ.

573

ლ. ბ. კამენევს

კამენევს
პირები: ბუხარინს, პ. პ. გორბუნოვს
ამხ. კამენევ!

ეს არის ახლა შევიტყვე გოლდენბერგის სიკვდილი. ამ-ბობენ, გულის დამბლითო. ძალიან ვშიშობ, თითქმის დარწ-მუნებული ვარ, რომ აქ დამნაშავეა ჩვენი დაუდევრობა, იმი-ტომ რომ იგი ძალიან ავადმყოფი კაცი იყო, მზრუნველობა კი სრულებით ვერ გავუწიეთ. ძალიან გთხოვთ განკარგულე-ბა გასცეთ: 1) რომ დაკრძალვისათვის ყველაფერი ისე გა-კეთდეს, როგორც საჭიროა (მოსახერხებელია თუ არა მოს-კოვის საბჭოს ან საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით); 2) შემდეგ, უნდა ვიზრუნოთ მის ცოლზე, რო-მელიც ალბათ აბსოლუტურად უსახსროდ დარჩა და რომე-ლიც, როგორც მე ვიცი, სრულიად უმწეოა და შეგუებული არ არის რუსეთის ახლანდელ ცხოვრებას; 3) საჭიროა აგრე-თვე, რომ პრესაში მოვათავსოთ ნეკროლოგი.

ცხადია, ემიგრაციამ და ჩვენმა რუსულმა დაუდევრობამ ჩაიყვანა იგი სამარეში. ჩვენ სრულიად შეუწყნარებლად ვკარგავთ ძვირფას მუშაკებს [501].

ლენინი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 1 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
13 თებერვალს გაზეთ «პრავდაში»,
№ 35

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

574

ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრისათვის

ამხ. მოლოტოვს პოლიტბიუროს ყველა წევრისათვის (ურკარტისადმი ბოგდანოვის წერილის შესახებ ჩიჩერინის მომართვის გამო)

ჩემი აზრით, გამოძიების დანიშვნა სასარგებლოა, მაგრამ ბოგდანოვის მიმართვის დეზავუირება არ უნდა მოვახდინოთ, ვიფიქროთ; ჯერ ერთი, პოლიბტიუროს ყველა წევრს დაეგზავნოს ბოგდანოვის წერილის ტექსტი, მე-2, დაველოდოთ გამოძიების შედეგებს, მე-3, ჯერ კიდევ საკმაო დრო გვაქვს, რომ განვსაზღვროთ ჩვენი პირობები მოლაპარაკების განახლების შემდეგ. [ეს]* ჩვენ არაფრით არ გვბოჭავს და რამდენადმე სასარგებლო იქნება ჩვენთვის[502].

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 3 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

575

ვ. მ. მოლოტოვს

ამხ. მოლოტოვს (ლოიდ ჯორჯის წამოყენებული დეკლარაციის შესახებ ჩიჩერინის მომართვის გამო)

---

* ჩართულია ჩაწერისას გამოტოვებული სიტყვა, რომელიც აუცილებელია აზრის მიხედვით. რ ე დ.

მე ვფიქრობ, რომ არა მარტო აჩქარება არ არის საჭირო, არამედ საერთოდ პირობები აბსოლუტურად მიუღებელია. შეატყობინეთ ეს კრასინს სასტიკად საიდუმლოდ ან შეიძლება სულაც არ შეატყობინოთ, არამედ დაველოდოთ კონფერენციას, სადაც ჩვენ კონკრეტულად განვაცხადებთ[503].

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 3 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

576

ვ. მ. მოლოტოვს
რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის

ამ ხ ა ნ ა გ მ ო ლ ო ტ ო ვ ს პოლიტბიუროს წევრებისათვის

ამხ. პრეობრაჟენსკიმ მითხრა ტელეფონით, რომ იგი წავა, თუ კრასნოშჩოკოვი დაინიშნა მეორე მოადგილედ, ასეთივეა მთელი კოლეგიის აზრი, გარდა, ვგონებ, სოკოლნიკოვისა. სტალინი ფიქრობს, რომ გადაწყვეტილება უნდა დავადასტუროთ, მაგრამ დავაყოვნოთ მისი შესრულება სოკოლნიკოვის დაბრუნებამდე, ვინაიდან სხვანაირად კრასნოშჩოკოვი შეიძლება დაჩაგრონ. მე ვფიქრობ, რომ ეს საშიშროება დარჩება, თუ პოლიტბიურო მთელი ძალით ახლავე არ გამოვიდა კოლეგიის წინააღმდეგ და ბოლომდე არ მიიყვანა კრასნოშჩოკოვის დაცვისა და მისთვის მხარდაჭერის საქმე. საკითხი ფრიად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ვინაიდან არა მარტო მთელი კოლეგია, არამედ პრეობრაჟენსკიც აღმაშფოთებელ შეცდომას სჩადიან, უნარი არა აქვთ შეაფა-

სონ იმის აუცილებლობა, რომ ყოველმხრივ გამოვიყენოთ კაცი, რომელსაც ამერიკასა და შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკაში მუშაობის სოლიდური გამოცდილება აქვს და ფინანსურ საკითხებს პრაქტიკული მხრიდან უდგება. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. სწორედ ეს აკლიათ პრეობრაჟენსკის და კოლეგიის სხვა წევრებს. მთელი მათი ოპოზიცია კრასნოშჩოკოვის წინააღმდეგ თავიდან ბოლომდე მავნე ცრურწმენაა. ამიტომ მე იმის მომხრე ვიქნებოდი, რომ დაუყოვნებლივ გატარდეს გადაწყვეტილება კრასნოშჩოკოვზე საბჭოთა წესით[504].

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია 1922 წლის 4 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

577

ე. ა. პრეობრაჟენსკის

ამხ. პ რ ე ო ბ რ ა ჟ ე ნ ს კ ი ს

გთხოვთ მომწეროთ რამდენიმე სიტყვა ნაზარ ურალსკიზე. მოეწყო თუ არა, როგორ და სად და როგორია ახლა მისი პოლიტიკური განწყობილება და იცვლება ეს განწყობილება საერთოდ უკანასკნელ ხანს, თუ წინანდელი რჩება[505].

4 — 1 — 22 წ.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

578

მ. მ. ლიტვინოვს

9. I. 22 წ.

ამხ. ლიტვინოვ!

გიგზავნით მიხაილოვის წერილს. მიზანშეწონილად ხომ არ მიიჩნევთ მოაწყოთ თათბირი შეინმანთან და ლეჟავასთან ან იმასთან, ვისაც ლეჟავა რწმუნებას მისცემს, რომ დაუყოვნებლივ მოამზადოთ პროექტი გადაწყვეტილებისა ამ სასწრაფო საკითხზე [506].

ლენინი

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1961 წელს ჟურნალ «ისტორიჩესკი არხივში», № 5

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

579

ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის

ამხ. მოლოტოვს

კამენევისაგან შევიტყვე, რომ სახკომსაბჭომ ერთხმად მიიღო ლუნაჩარსკის სრულიად შეუსაბამო წინადადება დიდი ოპერისა და ბალეტის შენარჩუნების შესახებ, და წინადადებას ვაძლევ პოლიტბიუროს **დაადგინოს:**

1. დაევალოს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს გააუქმოს სახკომსაბჭოს დადგენილება.

2. დატოვებულ იქნეს ოპერიდან და ბალეტიდან მხოლოდ რამდენიმე ათეული მსახიობი მოსკოვისა და პიტერისათვის,

რათა მათი წარმოდგენები (როგორც საოპერო, ისე ცეკვები) ანაზღაურდეს *, ე. ი. მოწყობილობასა და სხვა მისთანებზე ყოველგვარი დიდი ხარჯების თავიდან აცილებით.

3. ამნაირად დაზოგილი მილიარდებიდან არანაკლებ ნახევრისა გადაცემულ იქნეს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ და სამკითხველოებისათვის.

4. გამოიძახეთ ლუნაჩარსკი ხუთი წუთით, რათა მოსმენილ იქნეს ბრალდებულის უკანასკნელი სიტყვა, და მიუთითეთ როგორც მას, ისე ყველა სახალხო კომისარს, კენჭისსაყრელად ისეთ დადგენილებათა შეტანა, როგორიც არის ის, რომელსაც ახლა ცენტრალური კომიტეტი აუქმებს, ამიერიდან გამოიწვევს ცენტრალური კომიტეტის მხრივ უფრო მკაცრ ზომებს [507].

ლ ე ნ ი ნ ი

12/I—22 წ.

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

580

ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროსა და პოლიტბიუროსათვის

ამხ. მ ო ლ ო ტ ო ვ!

გიგზავნით რა ამხ. კრესტინსკის წერილს, ჩემი მხრივ წინადადებას ვაყენებ, რომ ორგბიურომ, ხოლო ზოგიერთ პუნქტზე პოლიტბიურომ დაადგინონ:

* მაგალითად, ანაზღაურდეს ოპერის მომღერლებისა და ბალერინების მონაწილეობის საშუალებით ყოველნაირ კონცერტებში და სხვ.

1. დაინიშნოს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით ერთი ან ორი ექიმი, რათა პერიოდულად გასინჯონ სოკოლნიკოვი, ციურუპა და მკურნალობიდან დაბრუნებული სხვა ამხანაგები, ამასთან დაევალოთ მათ წერილობით გვაძლიონ დასკვნა საჭირო რეჟიმის შესახებ. პასუხისმგებლობა დაეკისროს ამ ექიმს პირადად. დაევალოს მას აძლიოს მოკლე პატაკი ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ან, თუ ამის თანახმაა ცენტრალური კომიტეტის სამდივნო, სახკომსაბჭოს სამდივნოს.

2. დაეკისროს რომელიმე გარკვეულ პირს პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ თვალყური ადევნოს სოკოლნიკოვის მიერ რეჟიმის შესრულებას.

3. დაევალოს ციურუპას კვირაში სამი დღე (შაბათი, კვირა და ორშაბათი) გაატაროს თავის ძმასთან გ. დ. ციურუპასთან კაშირაში, რათა მისი ზედამხედველობით სავსებით დაისვენოს და კარგად იკვებებოდეს.

4. დაევალოს ციურუპას შეამციროს თავისი მუშაობის ნორმები, კერძოდ, თითქმის სრულებით განთავისუფლდეს კომისიებში მუშაობისაგან, თავისი საქმიანობის მიზნად აქციოს სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი დადგენილების პრაქტიკულად შესრულებისადმი ზედამხედველობა.

5. დაევალოს ციურუპას დააწესოს საერთო ნორმა სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომებისათვის არა უმეტეს სამი საათისა[508].

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 12 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

581

დეპეშა ლ. ბ. კრასინს

ლონდონი
საბჭოთა მთავრობის დელეგაციას
კრასინს

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დეკემბერში განაცხადა, რომ შესყიდულია, მაგრამ გამოზიდული არ არის, რვა მილიონი ფუთი პური. ახალი კრედიტები რომ მიიღო, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ვალდებულება იკისრა შემოზიდოს პირველ აპრილამდე თხუთმეტი მილიონი ფუთი სასურსათო პური, ხუთ-ხუთი მილიონი ყოველთვიურად. იანვარში ჯერჯერობით მიღებული არ არის არც ერთი ფუთი, არ არის არავითარი ცნობები გამოგზავნილი გემების, ნავარაუდევი გამოგზავნის შესახებ. უაღრესად მძიმე სასურსათო მდგომარეობის გამო წინადადებას გაძლევთ ორი დღის ვადაში გვაცნობოთ: პირველი — რამდენი პურია ნაყიდი; მეორე — რამდენი გამოიგზავნა, რომელი გემებით და რომელ ნავსადგურებში; მესამე — რამდენი და როდის იგზავნება უახლოეს ხანში; მეოთხე — თხუთმეტი მილიონი ფუთის შესყიდვის ვალდებულების შესრულების გეგმა*.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 12 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

---

* იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 593. რ ე დ.

582

ა. ს. ენუქიძეს

13. 1. 1922 წ.

ამხ. ენუქიძე!

ამხ. ლალაიანცი მეუბნება, რომ საჭიროა დავეხმაროთ მის ოჯახს და შემწეობა გავუგზავნოთ, რომ მარტამდე თავი გაიტანონ. მოელაპარაკეთ სტალინს: როგორ გავაკეთოთ ეს? ცენტრალური კომიტეტი გაუგზავნის? თუ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი? მომწერეთ, გეთაყვა, ფოტიევას სახელზე — შეიძლება თუ არა მოხერხდეს ეს (თანხის ოდენობა უნდა შევიტყოთ ლალაიანცისაგან)? თუ არის სიძნელენი, როგორი? რით გამოიხატება?

მაშინ მე დავიწყებ გზებისა და სახსრების ძებნას. გადაუგზავნეთ ეს, გეთაყვა, სტალინს: თანაც ვთხოვ მას, ლალაიანცს შეუთანხმდეს ამ უკანასკნელისათვის სამუშაოს მიცემის შესახებ. მე ვხედავ ლალაიანცთან საუბრის შემდეგ, რომ მე ვერ გადავწყვეტ ამას. უნდა გადაწყვიტოს სტალინმა ორგბიუროში ან ორგბიუროს დახმარებით [509].

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

583

ვ. ს. ოსადჩის

ამხ. ოსადჩი!

საზღვარგარეთ ოქროთი შესყიდვათა გეგმის განხილვისას უნდა დაიცვათ ციფრი **180** მილიონი ოქრო **წელიწადში.**

მას არ გადაამეტოთ. თუ იქნა ოდნავი საშიშროება, რომ ამ ნორმას გადავაჭარბებთ, მაშინვე მაცნობეთ ხოლმე.

13/I. ლენინი

დაწერილია 1922 წლის 13 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

584

ი. ს. უნშლიხტს და ვ. ვ. ფომინს

16. I. 1922 წ.

პირადად

საიდუმლოდ

ამხ. უნშლიხტს, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია
და ამხ. ფომინს, გზათა სახალხო კომისარიატი
პირი **ნ. პ. გორბუნოვს**

ამ დღეებში მე მომიხდა პირადად გავცნობოდი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ის ავტოდრეზინების მდგომარეობას, რომლებიც, ალბათ, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიისა და გზათა სახალხო კომისარიატის ერთობლივ გამგებლობაშია. ვფიქრობ, რომ საგანგებო კომისიისთვისაც და სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატისთვისაც აბსოლუტურად აუცილებელია ავტოდრეზინები (მე გავიგე, რომ საგანგებო კომისიას ისინი 2 ჰყავს) მოსკოვის კვანძში ძალიან საჩქარო დავალებებისათვის, უაღრესად სასწრაფოდ და

ულრესად კონსპირაციულად პატარა (5 — 10 კაცი) რაზმებისა და სხვ. გაგზავნისათვის.

ავტოდრეზინები ყოვლად უვარგის მდგომარეობაში ვნახე. უმეთვალყურეოდაა, ნახევრადდანგრეულია (ძალიან ბევრი რამ მოუპარავთ!), სრული უწესრიგობაა, საწვავი, ეტყობა, მოუპარავთ, ნავთში წყალი ურევია, ძრავა აუტანლად ცუდად მუშაობს, გზაში ყოველ წუთს ჩერდება. მოძრაობა ყოვლად უვარგისია, სადგურებზე მოცდენაა, სადგურების უფროსებმა არაფერი იციან (ეტყობა, წარმოდგენაც არა აქვთ იმაზე, რომ საგანგებო კომისიის ავტოდრეზინები განსაკუთრებული ლიტერების მდგომარეობაში უნდა იყვნენ, უნდა მოძრაობდნენ მაქსიმალური სისწრაფით არა სვლის სისწრაფის თვალსაზრისით — ეს მანქანები, ეტყობა, «საბჭოურია», ე. ი. ძალიან ცუდი, — არამედ მოცდენის და გაჭიანურების მინიმუმის თვალსაზრისით, მოძრაობდნენ ს ა მ ხ ე დ რ ო ა კ უ რ ა ტ უ ლ ო ბ ი თ), ქაოსი, დაუდევრობა, მთლად სამარცხვინო მდგომარეობაა. საბედნიეროდ, მე, ინკოგნიტოდ რომ ვიყავი დრეზინაში, შემეძლო მომესმინა და მოვისმინე მოსამსახურეთა გულახდილი, მართალი (და არა კაზიონურად ტკბილ-ტკბილი და ცრუ) ნაამბობი, და ამ ნაამბობიდან ვხედავდი, რომ ეს შემთხვევა კი არ არის, არამედ მთელი ორგანიზაცია ასეთივე უმაგალითოდ სამარცხვინოა, სრული ჭოშლილობა და უუნარობაა.

პირველად ვმგზავრობდი რკინიგზებზე არა როგორც «დიდკაცი», რომელიც ყველას და ყველაფერს ფეხზე აყენებს ათობით სპეციალური დეპეშით, არამედ როგორც საგანგებო კომისიასთან მოგზაური უცნობი, და ჩემი შთაბეჭდილება უნუგეშოდ მძიმეა. თუ ასეთი წესებია მექანიზმის პატარა განსაკუთრებულ ბორბალში, რომელიც თ ვ ი თ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის განსაკუთრებულ ზედამხედველობაში იმყოფება, შემიძლია წარმოვიდგინო, რაღა კეთდება საერთოდ გზათა სახალხო კომისარიატში! იქ ალბათ წარმოუდგენელი ჭოშლილობაა.

წინადადებას გაძლევთ: დაუყოვნებლივ დანიშნოთ, სრუ-

ლიად რუსეთის საგანგებო კომისიისა და გზათა სახალხო კომისარიატის შეთანხმებით (იქნებ შეუერთოთ სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატიც, თუ მას ავტოდრეზინები ჰყავს?), პასუხისმგებელი პირი, თვით საქმესთან ახლო მდგომი, და არა დიდკაცი. ეს პირი სასტიკად აგებს პასუხს დაუდევრობისათვის.

გამოსცეთ მოკლე, მხედრულად შედგენილი ინსტრუქცია სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის დრეზინების შესახებ, მათი კონსპირაციული და სწრაფი მოძრაობის, წესრიგში შენახვის, საწვავის დაცვის, წრიულ გზაზე, კვანძებზე და ყ ვ ე ლ გ ა ნ გაუჭიანურებლად მიმოსვლის შესახებ და სხვ. და ა. შ. ინსტრუქციას, სხვათა შორის, დაემატოს, რომ ნ. პ. გორბუნოვის მოთხოვნით (რომელიც ამას ისე არ გააკეთებს, რომ ჩემი თანხმობა არ ექნეს) აკურატულად მიაწოდონ ხოლმე ავტოდრეზინა და გაგზავნონ იქ, სადაც ის იტყვის.

შესრულების შესახებ წარმოადგინეთ დაწვრილებითი მოხსენება სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის ნ. პ. გორბუნოვის სახელზე.

გორბუნოვსვე ვაკისრებ დროდადრო შეამოწმოს შესრულება, ე. ი. მოულოდნელად გაემგზავროს ხოლმე ავტოდრეზინით, ამასთან ჩაიწეროს წუთების რიცხვი ყველა ოპერაციასა (გამოძახება, მოძრაობა, გაჩერებანი და სხვ.) და გასინჯვაზე.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.
ვ. ულ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა არასრულად
1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

585

ვ. მ. მოლოტოვს
რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის [510]

საიდუმლოდ

პოლიტბიუროში ამხ. მოლოტოვს:

1) ხომ არ მოვითხოვოთ განსაკუთრებული გარანტიები ფაშისტების წინააღმდეგ (მაგ., ან იტალიის სამხედრო გემი რადიოთი ჩვენს განკარგულებაში? იტალიელი სამხედრო და პოლიციის პასუხისმგებელი პირების სახელები და სხვ.)?
2) ხომ არ ვაცნობოთ ახლავე, რომ ჩვენგან **დელეგატები** იქნება ...-დან ...-მდე* ((+პერსონალი))? სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესია როდის შევკრიბოთ?
3) საერთოდ (და დანარჩენში) ჩიჩერინი მართალია.
4) ხომ არ დავნიშნოთ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან (თავაზიანობისათვის):
   ლენინი — თავმჯდ.
   ჩიჩერინი — მოადგ. თავმჯდომარის **ყველა**
   უფლებით, თუ იგი ვერ შეძლებს.

იოფე ??	2 მოადგილის თანაშემწე?
და	ან 3 — 4
?? კრასინი??	მოადგილის თანაშეწე? [511]

5) ხომ არ დავიწყოთ ახლავე მხოლოდ პირადი (არავითარ-ქაღალდით) მოლაპარაკება ბერლინსა და მოსკოვში გერმანელებთან ჩვენი და მათი კონტაქტის შესახებ გენუაში?

---

* ხელნაწერში ვ. ი. ლენინმა დატოვა ადგილი დელეგატთა რიცხვის საჩვენებლად. რედ.

6) ხომ არ მივცეთ ახლავე საიდუმლოდ წინადადება **ყველა** სრულუფლებიან წარმომადგენელს მოსინჯონ ნიადაგი შესაბამის მთავრობებთან, თანახმა ხომ არ არიან დაიწყონ ჩვენთან **არაოფიციალური** საიდუმლო მოლაპარაკება ინის შესახებ, რომ წინასწარ დავსახოთ ხ ა ზ ი გენუაში?

16/I. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 16 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

586

ვ. მ. მოლოტოვს
რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრისათვის

16/I. 1922 წ.

მოლოტოვს
პ ო ლ ი ტ ბ ი უ რ ო ს ყველა **წ ე ვ რ ი ს ა თ ვ ი ს**

1) ჩიჩერინის ქალალდები ამტკიცებს, რომ იგი ავად არის[512]. საჭიროა საჩქაროდ შევეკითხოთ **სუკეთესო** ექიმებს, რა ჯობს

ა) გადავუდოთ მთელი შვებულება (ნახევარი წლისა) გენუის შემდეგ დრომდე?
ან ეტანს კი?

ბ) თუ ახლავე დავასვენოთ ერთი თვით, ხუთი კვირიო. 18. I-დან 22. II-მდე. და რჩება ორი კვირა 8. III-მდე. გენუის შემდეგ კი ცალკე? (ვგონებ, რომ ბ ერთადერთია სწორი)[513].

2) საქმეები საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში,

ეტყობა, სახიფათოდ არის მოშლილი. საშიში ხომ არ არის, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მთელი საუკეთესო ძალები გენუაში რომ გავგზავნოთ, აქ კი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში ცარიელი ადგილი დაკტოვოთ?

ამ საკითხზე პოლიტბიუროს უახლოესი, **უშუალო** მეთვალყურეობა უნდა დავაწესოთ.

3) უნდა დავაკისროთ ვინმეს (იქნებ, ლიტვინოვი+ვოროვსკი+იოფე+პ. პ. გორბუნოვი?) სპეციალური პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ჩიჩერინისა და მთელი დელეგაციის გენუაში გამგზავრებისას საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის **მთელი** საქმეები **სრულ** წესრიგში ჩაბარდება **ამ-და ამ** პირებს.

რომელიმე ყველაზე გამოცდილ დიპლომატთაგან უნდა დავტოვოთ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სათავეში გენუის მთელი პერიოდისათვის[514].

4) ახლავე მოვნახოთ საუკეთესო და სავსებით სანდო მშიფრავები, მივანდოთ მათ მოამზადონ გენუისათვის ყველაზე საიმედო შიფრები, **(ყოველდღე საცვლელი გასაღებებით)** გენუის მთელი პერიოდისათვის.

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

587

ვ. მ. მოლოტოვს

17. I. 1922 წ.

ამხ. მოლოტოვ!

გიგზავნით ვოროვსკის შეკითხვას და აქსელროდის შუამდგომლობას. უნდა გადავწყვიტოთ.

აქსელროდი მუშაობდა აქ კომინტერნსა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში. მე მას ვიცნობ როგორც ბოლშევიკს ჯერ კიდევ 1916 წლის ციურიხიდან და მხარს ვუჭერ მის შუამდგომლობას მისთვის და მისი ცოლისათვის ამა თუ იმ ფორმით დახმარების აღმოჩენის შესახებ[515].

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში. ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

588

ვ. ა. სმოლიანინოვს

17. 1. 1922 წ.

ამხ. სმოლიანინოვ!

გიგზავნით გ. დ. ციურუპას ცნობებს*.

აღმაშფოთებელი გაჭიანურებაა.

გზათა სახალხო კომისარიატის მუშაობა ყოვლად უვარგისია.

და ეს კაშირკისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობის დაწესებულებისათვის! იმ დაწესებულებისათვის, რომლის შესახებაც არის პოლიტბიუროს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი დირექტივა, რომ საეალდებულოა ყოველგვარი ზემოქმედება და დაჩქარება! და ეს მაშინ, როცა არის ჩემგან ათობით დეპეშა და სხვ. კაშირკის შესახებ!

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 595 და თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 218. რ ე დ.

ჩვეულებრივ ტვირთებზე რაღა ხდება? ალბათ რაიმე გასაგიჟებელი!

წინადადებას გაძლევთ:

1) სასამართლოში დააყენოთ საქმე გაჭიანურებისათვის და მიიყვანოთ უსასტიკეს დასჯამდე;

2) დააწვეთ გზათა სახალხო კომისარიატს და, გარდა გასამართლებისა, მიაღწიოთ ზომების მიღებას პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1931 წლის 21 იანვარს გაზეთებში «პრავდაში» (№ 21) და «ეკონომიკური ინდუსტრიალიზაციუ» (№ 21)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

589

წერილები ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის შტეინბერგის კონცესიის შესახებ

I

17. I. 1922 წ.

ამხ. მოლოტოვს პოლიტბიუროსათვის

ამასთან გიგზავნით ლეონავის ცნობას შტეინბერგის კონცესიის შესახებ.

გთხოვთ დააყენოთ ეს საკითხი პოლიტბიუროში

ხუთშაბათს იმისათვის, რომ პარასკევს სახკომსაბჭომ საბჭოთა წესით გაატაროს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება[516].

დანიშნოთ პოლიტბიუროსათვის 2 მომხსენებელი ამ საკითხზე: ა. დ. ციურუპა და სახკომსაბჭოს უმრავლესობის წარმომადგენელი.

საქმე დიდმნიშვნელოვანია, და ძალიან ვშიშობ, რომ სახკომსაბჭოს უმრავლესობა (ციურუპას წინააღმდეგ) შეცდომას სჩადის კვლავ «კომუნისტური ყოყოჩობის» ყაიდაზე: ეშინიათ შემოსავალი მისცენ ვაჭარს, რომელმაც ვაჭრობა იცის, და გულმოდგინედ ზრუნავენ ერთ რამეზე, იმაზეც, რომ უმრავლესობა იყვნენ კომუნისტები, რომლებსაც ოსტატობა აკლიათ, მაგიერად ღვინოს არ სვამენ და ზნეობაც კარგი აქვთ.

ყურადღებას ვაპყრობ § 5-ს: სამი კომუნისტი (ვაჭრობაში უვიცები? მე ვიცნობ მხოლოდ ორ კომუნისტს, რომლებმაც ვაჭრობაში უნარი გამოიჩინეს: ბელოვს (სახელმწიფო უნივერსალური მაღაზია) და სერგ. მალეშევს) ვაჭრობას ასწავლის ორ ვაჭარს.

ვშიშობ, რომ ეს «უმრავლესობა» შჩედრინის მეანების მსგავსი იქნება.

იქნებ ასე შევცვალოთ § 5: შტეინბერგს, როგორც თავმჯდომარეს, უფლება მიეცეს ყველაფერს წყვეტდეს ერთპიროვნულად, გამგეობის უმრავლესობას კი მხოლოდ იმის უფლება, რომ ყველაფერი იცოდეს და გაასაჩივროს ჩვენთან შტეინბერგის მოქმედება, ისე რომ არ შეაჩეროს ის (ე. ი. ფორმალურად 3-ის უმრავლესობა 2-ის წინააღმდეგ შეინარჩუნებს უფლებას გააუქმოს შტეინბერგის გადაწყვეტილებანი, მაგრამ ჩვენ **ვეტყვით** მას, რომ, შრომისა და თავდაცვის საბჭოს განსაკუთრებული გადაწყვეტილება თუ არ იქნა, ისე არ გავაუქმებთ).

კომუნისტების სამეულს კი ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული გადაწყვეტილებით დავავალებთ ისწავლონ

და სამიოდე წელიწადში შეისწავლონ, თორემ შევარცხვენთ და გავაგდებთ.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

2

ამხ. მოლოტოვს (პოლიტბიუროს წევრებისათვის)

ამხ. ციურუპას და ამხ. ლეჟავას ვთხოვ მომცენ დასკვნა

დღეს გაიმართება შრომისა და თავდაცვის საბჭოს პლენარული სხდომა. იქნებ შესაძლებელი იყოს, რომ საქმე არ გადავდოთ და ტელეფონით მივიღოთ შემდეგი წინადადება შტეინბერგის კონცესიის შესახებ (პოლიტბიუროს დადგენილება, შრომისა და თავდაცვის საბჭოსათვის სავალდებულო): «მიღებულ იქნეს ლეჟავას კომისიის წინადადება ამგვარი დამატებით: შტეინბერგმა, როგორც გამგეობის თავმჯდომარემ, იმოქმედოს ერთპიროვნულად, და გამგეობის უმრავლესობის გადაწყვეტილებანი (გამგეობის 3 წარმომადგენელი, 1 — შტეინბერგი, 1 — კაპიტალისტი), ვერ შეაჩერებენ რა შტეინბერგის გადაწყვეტილებას, შეიძლება მხოლოდ გადატანილ იქნეს შრომისა და თავდაცვის საბჭოში[517].

ეს დამატება უნდა მივიღოთ შრომისა და თავდაცვის საბჭოში, მაგრამ არ შევიტანოთ გამგეობის წესდებაში. მაშინ ჩვენ, ამ გადაწყვეტილებას შტეინბერგს რომ შევატყობინებთ, ერთი მხრივ, საქმის ნამდვილად კომერციულად გაძღოლის შესაძლებლობას მივცემთ კაცს, რომელიც კომერციას კომუნისტური ბროშურებიდან კი არ იცნობს, ხოლო, მეორე მხრივ, თუ შტეინბერგმა რაიმე დანაშაული ჩაიდინა, უზრუნველყოფთ ჩვენთვის იმის შესაძლებლობას, რომ გავაუქმოთ ჩვენი გადაწყვეტილება შრომისა და თავდაცვის საბ-

ჭოს მეშვეობით საზოგადოების წესდებაში რაიმე ცვლილების შეუტანლად. ვფიქრობ, რომ ასეთი გარანტია სავსებით საკმარისია.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 23 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მდივნის ჩანაწერის
მიხედვით

590

ვ. ა. სმოლიანინოვს [518]

ამხ. სმოლიანინოვს

გრაფიკების ნაწილი რომ გადავათვალიერე, წინადადებას გაძლევთ

1) ყოველთვის დაემატოს ხოლმე თვეების ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი ც ი ფ რ ე ბ ი (ათასები ან მილიონები) კალმით, წვრილი ხელით, **ნ ა თ ლ ა დ** (როგორც V, 4 ცხრილშია).

2) იგივე **ყოველთვის** ცხრილის გვერდზე
ომამდელი სიდიდე (1913 ან 1916 და სხვ.)
ასეთი და ასეთი (აბსოლუტური ციფრი).

3) ამ გრაფიკების მთელი მნიშვნელობა თვალსაჩინოობა და შესადარისობაა. ამიტომ **იმავე ზომაში** უნდა ჩავტიოთ ცხრილები **36** თვისათვის: 1920 — 1921 — 1922
(რომ **ერთ** ცხრილზე იყოს **3 6** თვე
(1920 — 1922).

17/I. ლ ე ნ ი ნ ი

+4) ძეხვების (∧) ნაცვლად საკმარისია ხაზები (∧): უფრო მარტივიც არის და უფრო ცხადიც. დახატვაც უფრო ადვილია, ჩინოვნიკებიც ნაკლებია.

5) რა იქნებოდა გვეოცნება: მოსაჭერებით შეგვეერთებინა ყველა გრაფიკი ერთ (2, 3, თუ ძალიან სქელია) რ ვ ე ულ ა დ, რომ გადაფურცვლა მოსახერხებელი იყოს.

17/I. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 17 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

591

ვ. მ. მოლოტოვს რაკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსათვის

ამხ. მოლოტოვ!

მივმართავ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს (ხოლო თუ ეს მისი კი არა, ორგბიუროს კომპეტენციაა, მაშინ ორგბიუროს) თხოვნით ორი ამხანაგისათვის:

1) მარგარიტა ვასილის ასულ ფ ო ფ ა ნ ო ვ ა ს ქალიშვილი, 15 წლისა, ავად არის მძიმე ფორმის ძვლის ტუბერკულოზით. გთხოვთ გაგზავნოთ იგი (თუ საჭირო აღმოჩნდება, დედასთან ერთად) რიგაში, ჩვენს სანატორიუმში. სახსრები, რა თქმა უნდა, არა აქვთ.

მ. ვ. ფოფანოვას მე ვიცნობ როგორც ენერგიულ და ერთგულ ბოლშევიკს 1917 წლის ზაფხულიდან. იმავე წლის შემოდგომაზე, ოქტომბრის წინ, როცა, ყველაზე საშიში დრო იდგა, იგი თავის ბინაზე მმალავდა.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციიდან სულ მუდამ დაუცხრომლად მუშაობს. ქალიშვილის მძიმე ავადმყოფობა მთელ ძალ-ღონეს ართმევს მას და არ ანებებს მუშაობას [519].

(ფოფანოვას მისამართი: საბჭოების მე-4 სახლი, ვოზდვიჟენკა, 5, ბინა 31*).

2) გთხოვთ მოაწყოთ განსახკომის საჩვენებელ სკოლაში მცხოვრებად

ნინო კოტოვიჩ-სამერი, 14 წლისა.

იგი უნდა მოაწყოთ მე-2 საფეხურის 1-ლ კლასში.

მისამართი: მაროსეიკა, სახლი 2/15, «ცენტროსოიუზის» საერთო საცხოვრებელი.

მე კარგად ვიცნობდი მის მამას, განსვენებულ ივანე ადამის ძე სამერს. ძველი რევოლუციონერი ბოლშევიკი იყო. ცეკისტი ჯერ კიდევ პირველ (1905) რევოლუციამდე. გარდაიცვალა უკრაინაში 1920 წელს, სამუშაოზე ქანცი.რომ გამოელია [520].

ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1922 წლის 17 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

592

ნ. პ. ბრიუხანოვს

1922 წლის 18 იანვარი

ამხ. ბრიუხანოვს

(პირები ამხ. კამენევსა და ამხ. ციურუპას, ამხ. სტალინს)

მე გადაჭრით არ გეთანხმებით. ვფიქრობ, რომ უკრაინაში სურსათის კომისარიატის საშინელი მოშლილობის პირობებში ფრუმკინი იქ აუცილებლად საჭიროა. სურსათის კომისარიატმა საერთოდ მკვეთრად უნდა გამოასწოროს მდგომარეობა, ეს ჩემი მტკიცე რწმენაა. საზღვარგარეთ შესყიდვი-

* მისამართი დაწერილია მდივნის ხელით. რედ.

სათვის შეიძლება გამოდგეს კლიშკო, ან ვინმე სხვა. ძალიან მკაცრი დეპეშა უნდა გავუგზავნოთ კრასინს*.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

593

ი. ბ. სტალინს

19/I.

ამხ. სტალინ!

თუ გადაწყვეტთ ფრუმკინი გაგზავნოთ უკრაინაში, უნდა გაუგზავნოთ კრასინს უაღრესად ენერგიული დეპეშა:

> თუ არ იყიდით იანვარსა და თებერვალში 15 მილიონ ფუთ პურს, თანამდებობიდან დაგითხოვთ და პარტიიდან გაგრიცხავთ. პური უკიდურესად გვჭირდება. საქმის გაჭიანურება შეუწყნარებელია. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის აპარატი ცუდია. ვალუტის მხრივ საქმე ჭიანურდება. დააწექით მთელი ძალებით. გვიდეპეშეთ ზუსტად შესრულების შესახებ კვირაში ორჯერ.

დაამტკიცეთ ეს ხვალ, 20/I-ს, და გაუგზავნეთ პოლიტბიუროს სახელით [521], გარდა ამისა, მთელი ძალ-ღონით მოახდინეთ ზემოქმედება ლიტვინოვზე (ვალუტის გულისათვის) და შეამოწმეთ ხოლმე **პ ი რ ა დ ა დ** კვირაში 2—3-ჯერ [522].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 19 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* **იხ. შემდეგი დოკუმენტი. რ ე დ.**

594

ლ. ბ. კრასინს

19. I. 1922.

ამხ. კრასინ!

ლარინის შესახებ პოლიტბიუროს 17. I-ის გადაწყვეტილებას[523] დავძენ:

1. გააჩერეთ იგი ლონდონში **რაც შეიძლება მეტხანს**.

2. თუ დაიჯერებთ მის თუნდაც ერთ ციფრს, გაგაგდებთ სამსახურიდან.

3. გაუფრთხილდით მის ჯანმრთელობას, უმკურნალეთ უკეთ, დაუნიშნეთ პასუხისმგებელი ექიმი.

4. დაჯსაქმეთ **ხანგრძლივი ლიტერატურული** სამუშაოთი გერმანულ და **ინგლისურ** მასალებზე (თუ არ იცის, ასწავლეთ ინგლისური ენა).

პუნქტები 1, 3 და 4 შეასრულეთ განსაკუთრებული სიმკაცრით და **განსაკუთრებული ტაქტით**. პუნქტი 2 — სამშაგი სიმკაცრით.

კომ. სალმით ლენინი

P. S. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის აპარატი ყოვლად უვარგისია. ლეჟავა **სუსტია**. საჭიროა უკეთესი. პური გვჭირდება უკიდურესად და სწრაფად. დააწექით **მთელი** ძალებით. **თქვენ აგებთ პასუხს***.

ლენინი

გაიგზავნა ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტები 581 და 593. რედ.

595

ვ. ა. ავანესოვს

ამხ. ავანესოვს

კაშირის მშენებლობის მთავარი ინჟინერი გ. დ. ციურუპა იტყობინება, რომ აღმაშფოთებლად აყოვნებენ ვაგონებს მოსკოვიდან კაშირაში მათი გაგზავნისას. საქმის გაჭიანურებას ადგილი აქვს გზათა სახალხო კომისარიატში.

კაშირის მშენებლობის შესახებ, სახელმწიფოსათვის მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, არის მთელი რიგი უმკაცრესი დირექტივები, იმ აზრით, რომ ყოველნაირად შეუწყონ ხელი და რომ ყველა უწყებისათვის სავალდებულოა შეასრულონ დავალებანი კაშირაშენისათვის განსაკუთრებული სიჩქარეთა და განსაკუთრებული ყურადღებით.

გთხოვთ დანიშნოთ საქმის გაჭიანურების უსასტიკესი გამოძიება, ზუსტად გამოარკვიოთ, სახელდობრ ვის მიუძღვის ბრალი საქმის გაჭიანურებაში, და დამნაშავენი აუცილებლად მისცეთ პასუხისგებაში სასამართლოს წინაშე.

გამოძიება მოახდინეთ უაღრესად სასწრაფო წესით. შედეგები აცნობეთ ამხ. სმოლიანინოვს ჩემთვის მოსახსენებლად[524].

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

დაწერილია 1922 წლის 20 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54	იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

596

ა. დ. ციურუპას

ამხ. ციურუპა! ჩავუკვირდი რა მთელ ვითარებას და ექიმის წერილობით განცხადებას, რომელიც თქვენ მაჩვენეთ[525]

და სხვ., უაღრესად დაჟინებით გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში შემდეგი.

მე ვერ შევძლებ დავბრუნდე სამ კვირაზე, ხოლო შესაძლოა ოთხ კვირაზე ადრე. მომენტი ახლა უაღრესად მძიმეა და ცეკისტებს არ შეუძლიათ მოსწყდნენ სხვა საქმეებს, რომ უახლოესი მონაწილეობა მიიღონ სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მუშაობაში. ექიმმა თქვენ ნება დაგრთოთ იმუშაოთ 8 საათს. მე აბსოლუტურად დაჟინებით მოვითხოვ, რომ თქვენ უახლოესი ოთხი კვირისათვის დასჯერდეთ დღეში 4 საათ მუშაობას და, გარდა ამისა, სავსებით დაისვენოთ შაბათს, კვირასა და ორშაბათს. მთელი დანარჩენი დრო უნდა გაატაროთ სანატორიული რეჟიმით, რისთვისაც, იმედი მაქვს, თქვენ და თქვენს ცოლს გიშოვით ოთახს სოკოლნიკში ან ვარაუდით, რომ თქვენთან იყოს გამოცდილი მომვლელი ქალი, გქონდეთ კარგი კვება და სხვ. სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ ოთხ კვირას მუშაობას ვერ აიტანთ, ჩვენ კი ეს პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით მეტისმეტად გვჭირდება. 4 საათიდან 2 საათს ყოველდღე თქვენ უნდა მონაწილეობდეთ სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომებში, რომლებსაც მოვაწყობთ კვირაში 2-ჯერ, დანარჩენი 2 საათი მოახმარეთ მხოლოდ და მხოლოდ ოქმების ხელმოწერას და ტელეფონით და პირადად საუბრის აუცილებელ მინიმუმს. საქმეს ასე თუ დავაყენებთ, მაშინ ჩვენი აპარატი ამ ოთხ კვირაში სულაც არ დასუსტდება. ტექნიკურ ნაწილში ძლიერ დაგეხმარებიან გორბუნოვი და სპოლიანინოვი, ხოლო პოლიტიკურ ნაწილში კამენევი და სტალინი, ერთსაც და მეორესაც მე უკვე შევუთანხმდი. ერთხელ კიდევ გთხოვთ მიიღოთ ეს გეგმა და შეასრულოთ იგი პუნქტუალური სიზუსტით, ვინაიდან თქვენი ბინის დაცვა სურ-

სათის სახალხო კომისარიატელი და სხვა მეგობრების შემოსევისაგან ერთობ უტოპიური საქმეა.

გთხოვთ მიპასუხოთ ფოტიევას მეშვეობით რაც შეიძლება მალე [526].

ლ ე ნ ი ნ ი

21/I. 22.

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ლ. ა. ფოტიევას ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით

597

ლ. დ. ტროცკის [527]

ამხ. ტროცკი! მე არ მეეჭვება, რომ მენშევიკები ახლა აძლიერებენ და კვლავ გააძლიერებენ თავიანთ ყოვლად ღვარძლიან აგიტაციას. ამიტომ ვფიქრობ, რომ საჭიროა გავაძლიეროთ ზედამხედველობაც და რეპრესიებიც მათ წინააღმდეგ. ველაპარაკე ამის შესახებ უნშლიხტს და გთხოვთ გამონახოთ ათი წუთი მასთან ტელეფონით საუბრისათვის. რაც შეეხება საკითხს არსებითად — მე ვფიქრობ, რომ გეთანხმებით. ახლა მე მებადება სურვილი დავწერო სტატია თქვენ მიერ აღძრულ თემებთან ახლომდგომ თემებზე, მაგრამ მაინც საეჭვოა გავაკეთო ეს ორ კვირაზე უფრო ადრე. ამიტომ შესაძლოა, უაღრესად საჭიროებელი იქნებოდა, რომ თქვენ დაუყოვნებლივ გამართავდეთ აშკარა ბრძოლას პრესაში, დაასახელებდეთ ამ მენშევიკს, ცხადყოფდეთ მისი გამოსვლის ბოროტ თეთრგვარდიულ ხასიათს და მიმართავდეთ პარტიას შთამბეჭდავი მოწოდებით — ძალა მოიკრიბოს. ტერმინი «სახელმწიფო კაპიტალიზმი», ჩემი აზრით (რაზეც არაერთხელ ვდავობდი ბუხარინთან), თეორიულად ერთადერთი სწორი ტერმინია და აუცილებელია, რომ ვაიძულოთ უმოქმედო კომუნისტები შეიგნონ, რომ ახალი პოლიტიკა სერიო-

ზულად წარმოებს. მაგრამ, რა თქმა უნდა, თეთრგვარდიელთა ისეთ ბოროტ თანაშემწეებს, როგორიც ყველა მენშევიკია, შეუძლიათ ამასთან თავი მოგვაჩვენონ, თითქოს არ ესმით, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი იმ სახელმწიფოში, სადაც პროლეტარული ხელისუფლებაა, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ როგორც შეზღუდული დროითაც, გავრცელების სფეროთიც, თავისი გამოყენების პირობებითაც, მასზე ზედამხედველობის წესითაც და ა. შ. [528].

ლ ე ნ ი ნ ი

21/I — 22 წ.

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ლ. ა. ფოტიევას ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით

598

გ. ი. სოკოლნიკოვს

კვირა 22/I.

ამხ. სოკოლნიკოვ!

თქვენი 18/I-ის წერილის გამო [529].

ბაშას და ფასეულობათა სახელმწიფო საცავის შესახებ. ძალიან ვშიშობ, რომ თქვენ აქ გატაცებული ხართ რეორგანიზაციის გეგმების ფორმალური «სიმწყობრით». ბაშას, რომელიც საიმედო ადამიანებმა მირჩიეს და რომელმაც დ ა ა მ ტ კ ი ც ა, რომ უნარი აქვს იცავდეს, შეუძლია (მე მგონია) მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ იცავდეს, უფრთხილდებოდეს. ეს საკმარისია. ეს ბევრია. დაე ტროცკის საერთო ზედამხედველობითა და ზემოქმედებით იცავდნენ, უფრთხილდებოდნენ, ქურდობას ეომებოდნენ და რეალიზაციას ახდენდნენ. ეს საკმარისია. ეს ძალიან ბევრია.

რა საჭიროა აქ «ფასეულობათა სახელმწიფო საცავის რეორგანიზაცია», რა საჭიროა მისი ხელახალი ორგანიზაცია «ოქროს — ვალუტის — სამმართველოდ»?

ძალიან ვშიშობ, რომ ჩვენ სული ამოგვხვდება რეორგანიზაციებისაგან, იმე რომ ვერც ერთ პრაქტიკულ სამუშაოს ბოლომდე ვერ მივიყვანთ.

დაე ტროცკიმ და ბაშამ ბოლომდე მიიყვანონ ფასეულობათა სახელმწიფო საცავის საქმე: შეკრიბონ, შეინახონ, რეალიზაცია მოახდინონ.

სავალუტო სამმართველო კი ცალკე უნდა იყოს. მას ლიტვინოვი განაგებდა. რაღაც გაწამაწიაა მას და კრასინს შორის და ეს ყველაზე მტკივნეული საკითხია, რომელმაც ამ დღეებში პოლიტბიუროს გადაწყვეტილება გამოიწვია[530].

რადაც უნდა დაგვიჯდეს, საჭიროა მოვსპოთ ეს გაწამაწია და სწრაფად, დაუყოვნებლივ მივაღწიოთ იმას, რომ მათ (ლიტვინოვმა და კრასინმა) შეხმატკბილებულად იმუშაონ.

თუ ლიტვინოვი ვერ შესძლებს მთლიანად იმუშაოს ამაზე (დიპლომატიის გამო) და თუ კრასნოშჩოკოვს ვარაუდობთ (პირადად თქვენ) სავალუტო სამმართველოს ხელმძღვანელად, რატომ თვითონ არ უნდა შეიტანოთ ეს საკითხი პოლიტბიუროში: ფასეულობათა სახელმწიფო საცავი — იცავს, აგროვებს, რეალიზაციისათვის წარმართავს; კრასნოშჩოკოვი — სავალუტო სამმართველო (ლიტვინოვის ნაცვლად თუ ლიტვინოვთან ერთად?)?

მე ძალიან მეშინია რეორგანიზაციებისა. ჩვენ სულ მუდამ რეორგანიზებას ვეწევით, პრაქტიკულ საქმეს კი არ ვაკეთებთ. დაიხსომეთ ჩემი სიტყვა: თუ არსებობს ფინკომის ბოროტი მტერი, ეს არის რეორგანიზაციებით გატაცება და პრაქტიკული საქმის სისუსტე.

ვერ დაგეთანხმებით, რომ მუშაობის ცენტრშია ბიუჯეტის გარდაქმნა. ცენტრშია ვაჭრობა და მანეთის აღდგენა.

ბიუჯეტის საშინელი არევ-დარევის «მამა» რომ «უდა-

ვოდ» (როგორც თქვენ იწერებით) ლარინია, ეს სწორია. პრეობრაჟენსკი მეორე დამნაშავეა, ესეც სწორია. ხოლო ო. ი. შმიდტი? მას არ ეპატიება, როგორც პრეობრაჟენსკის! უნდა გავაგდოთ ეს ო. ი. შმიდტი. ყოვლად მავნე თავგზააბნეული ვინმეა, მით უფრო საშიში, რომ ურევს «დიდმნიშვნელოვნად», «superklug»*...

ჩემი აზრით, ბიუჯეტის საკითხში ნუ გამოუდგებით «გარდაქმნას»: ჩააბარეთ იგი 9/10-ით სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ყოველივე ეს განსაზღვრეთ პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი, ფ რ თ ხ ი ლ ი შესწორებებით. თორემ გაგიტაცებთ «გარდაქმნა», რიგიანი ბიუჯეტი, სულ ერთია, ახლავე დაუყოვნებლივ **არ შ ე ი ძ ლ ე ბ ა** შეიქმნას, და ჩვენ დავიღუპებით ფულის სისტემის კრახის გამო, ჩვენს ყურადღებას დავქსაქსავთ ისეთ ამოცანებზე, რომელთა განხორციელება ახლა შეუძლებელია.

ახლა ყველაფრის ცენტრშია ვაჭრობა, პირველ რიგში შინაგანი, შემდეგ საგარეო: ვაჭრობასთან დაკავშირებით, ვაჭრობის ბაზაზე მანეთის აღდგენა.

ამას მივაქციოთ მთელი ყურადღება. ამას პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ მივუდგეთ — ეს არის მთავარი, უმთავრესი, ძირეული.

ვაჭრობის განვითარება. სახელმწიფო ბანკის საკაჭრო განყოფილების დაყენება ისე, რომ მას კი არ ეძინოს, არამედ **მთელ** ვაჭრობას **ა მ ო ძ რ ა ვ ე ბ დ ე ს**, — აი ესაა მთავარი.

მე ძალიან ვშიშობ, რომ თქვენ, ვისაც ახლა ფ ა ქ ტ ო ბ რ ი ვ ა დ მიჩენილი გაქვთ **გასაძღოლად** უ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ე ს ი სახალხო კომისარიატი, გაგიტაცებთ გარდაქმნები, რეორგანიზაციები, თეორიული ხაზი (გაქვთ თქვენ ამ მხრივ სისუსტე) — ნაცვლად პრაქტიკისა, პრაქტიკისა და პრაქტიკისა: ფეხზე დააყენოთ ვაჭრობა, გ ა ა დ ი დ ო თ და

* — «ბრძენთა ბრძენი». რ ე დ.

შეკრიბოთ გადასახადები, აღადგინოთ მანეთი. ღმერთმანი, ძალიან ვშიშობ: არ გადავარდეთ ამ სისუსტეში, თორემ თავს კარახი დაგვატყდება. აამოძრავეთ კრასნოშჩოკოვი: იგი, ვგონებ, პრაქტიკოსია.

კომ. სალმით ლენინი

დაწერილია 1922 წლის 22 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

599

ვ. მ. მოლოტოვს
რაკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრისათვის

ამხ. მოლოტოვს, რათა **საიდუმლოდ** (და პირის გადაუღებლად) გაუგზავნოს პოლიტბიუროს ყველა წევრს ჩამოტარებით,

რადეკის წერილთან **ერთად***

წინადადება შემომაქვს:

1) მივიღოთ რადეკის წინადადება და ახლავე წინადადება მივცეთ კრასინსა და კრესტინსკის ცირკულარული დეპეშით სცადონ მოსინჯონ ნიადაგი ცალკეულ სახელმწიფოებთან ცალ-ცალკე (მე ეს წინადადება ერთხელ წამოვაყენე: რატომ დაიკარგა ჩემი წერილობითი წინადადება, არ მესმის, იგი გაეგზავნა მოლოტოვს**).

---

* კ. ბ. რადეკის წერილი ნაპოვნი არ არის. რედ.

** იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 585. რედ.

2) დავაჩქაროთ რაკოვსკის ჩამოსვლა მოსკოვში და გამგზავრება პრაღაში (აქ დაბრუნდეს გენუამდე ორი კვირით ადრე).

3) იმავე ვადისათვის **გამოვუძახოთ** მოსკოვში კრასინს.

4) ვიყოთ უაღრესად ფრთხილად და შიფრითაც კი არ მივწეროთ საზღვარგარეთ ჩვენს გეგმებზე გენუის შესახებ, არამედ ყველაფერი გადავდოთ დელეგაციის თათბირამდე მოსკოვში 23. II-ს (გენუამდე 2 კვირით ადრე). ამ თათბირზე უნდა იყვნენ ჩიჩერინიც, კრასინიც, რაკოვსკიც (ლიტვინოვიც, ვოროვსკიც, იოფეც, ე. ი. **მთელი** დელეგაცია).

5) პოლიტბიუროსაგან წინასწარი დირექტივა მივცეთ:

(ა) ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვცნობთ არავითარ ვალებს, გარდა ჩიჩერინის მიერ დაპირებულისა[531];

(ბ) ამ ვალებს კი ვცნობთ მხოლოდ იმ პირობით, რომ ჩვენი კონტრპრეტენზიები ფ ა რ ა ვ ე ნ მათ;

(გ) გარანტიებს ვაძლევთ (თუ სესხს მოგვცემენ), ოღონდ ხე-ტყეს ჩრდილოეთში და სხვა მისთ.;

(დ) ბონომის პირობების § 1-ს განვმარტავთ უაღრესად გაფართოებით[532].

(ე) ვიცავთ გერმანიასა და თურქეთს და ა. შ.;

(ვ) ვცდილობთ გამოვყოთ ამერიკა და საერთოდ გავთიშოთ სახელმწიფოები[533].

6) დელეგაციის თითოეულ წევრს ვავალებთ დაწვრილებით შეიმუშაონ ამ ბ ა ზ ა ზ ე მოლაპარაკების გეგმა 23. II-ისათვის.

7) წინადადება შემომაქვს **გავაუქმოთ** გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ჩიჩერინს ნება დართვოდა **მიეწვია ს უ ს ა ნ ო ვ ი** და იორდანსკი[534].

რადეკი სრულებით არ არის მართალი.

მოლაყბე სუხანოვი არაფერს მოგვცემს ზ ი ა ნ ი ს მეტს. იორდანსკიც. **უ ა ღ რ ე ს ა დ ს ა ზ ი ა ნ ო ა.**

8) ვინაიდან ჩვენ აქ მოსკოვში გარშემორტყმული ვართ ჯ ა შ უ შ ი მენშევიკებითა და ნახევრად მენშევიკებით, არ შეი-

ტანოთ ეს (და მსგავსი) წინადადებანი პოლიტბიუროს ოქმში, არამედ ჩაწერეთ ისინი ცალკე, ისე რომ დელეგაციის ყველა წევრმა ხელი მოაწეროს იმავე ფურცელზე და დაუბრუნოს მოლოტოვს ეს ფურცელი, ამასთან ვალდებულება იკისრონ **არსად**, არც ქალალდებში, არც დაშიფრულ მასალებში, არ მოიხსენიონ პოლიტბიუროს დირექტივები.

22/I. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 22 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

600

ა. მ. ლეჟავას [535]

1922 წლის 23 იანვარი

ამხ. ლეჟავას

ჰარიმანის შესვლის პროექტის თაობაზე გაუწყებთ შემდეგს: თუ არ ვცდები, დერუტრის ხელშეკრულებაში მთავარი პუნქტი ის იყო, რომ ჩვენ და გერმანელებს გამგეობაში ხმების თანასწორობა გექონოდა. თუ ჰარიმანი შევიდოდა გერმანელებთან, ე. ი. გერმანელთა ნახევრის რიცხვში, ეს, რა თქმა უნდა, ჩვენთვის მისაღებია, მაგრამ თუ გერმანელებს პლუს ჰარიმანი ხმების $^2/_3$ ექნებათ, ჩვენ კი $^1/_3$, მაშინ, ცხადია, მიუღებელია. მაშინ დერუტრის გვერდით უნდა შევქმნათ მე-2 საზოგადოება, რომელშიც ჩვენ და ჰარიმანს თანასწორად გვექნებოდა ხმები. ორივე საზოგადოების კომ-

ბინირებული მოქმედება ამ პირობებში სავსებით უზრუნველყოფს ჩვენს ინტერესებსაც და ჰარიმანისასაც.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

601

ა. მ. ლეჟავას, პ. ა. ბოგდანოვს და ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის

ამხანაგებს ლეჟავას, ბოგდანოვს
და მოლოტოვს (პოლიტბიუროს წევრებისათვის)

1922 წლის 23 იანვარი.

ჩემი აზრით, კრუპის წინადადების მიღება აბსოლუტურად აუცილებელია ჩვენთვის სწორედ ახლა, გენუის კონფერენციის წინ[536]. ჩვენთვის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი იქნებოდა დაგვედო კონცესიების თუნდაც ერთი, ხოლო კიდევ უკეთესია რამდენიმე ხელშეკრულება სწორედ გერმანიის ფირმებთან. ამიტომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობაში არსებული ცრურწმენის წინააღმდეგ, როგორც ნავთობის, ისე სამიწათმოქმედო და სხვა კონცესიების წინააღმდეგ სრულიად ულმობელი ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

602

ვ. მ. მოლოტოვს
რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის

1

ამხ. მოლოტოვს
(პოლიტბიუროს წევრებისათვის)

მე ახლა მივიღე 2 წერილი ჩიჩერინისაგან (20-ისა და 22-ისა). ის აყენებს საკითხს, ეგებ დავთანხმდეთ რიგიანი კომპენსაციისათვის ჩვენი კონსტიტუციის პატარა ცვლილებებზე, სახელდობრ საბჭოებში პარაზიტული ელემენტების წარმომადგენლობაზე. გავაკეთოთ ეს ამერიკელების საამებლადო.

ჩიჩერინის ეს წინადადება, ჩემი აზრით, ცხადყოფს, რომ იგი 1) დაუყოვნებლივ უნდა გავგზავნოთ სანატორიუმში, ყოველი წაყრუება ამ მხრივ, გადადების დაშვება და სხვ., ჩემი აზრით, უდიდესი საფრთხე იქნება მთელი მოლაპარაკებისათვის*. 2) ეს ცხადყოფს, თუ რამდენად დროულია ჩემი წინადადება (ამ წერილს თან ერთვის) იმის შესახებ, რომ ახლავე ჩამოვაყალიბოთ გენუის დელეგაციის ყველა წევრისათვის ჩვენი წინასწარი და დაახლოებითი, მაგრამ ზუსტი პირობები**.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 23 იანვარს

დაიბეჭდა 1961 წელს წიგნში
«ლენინის იდეები ცოცხლობენ
და იმარჯვებენ». მოსკოვი

იბეჭდება
ქანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 586. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 444—447. რ ე დ.

2

ამხ. მოლოტოვს პოლიტბიუროს **ყველა** წევრისათვის

ჩიჩერინის ეს და მომდევნო წერილი აშკარად ამტკიცებენ, რომ იგი ავად არის და ძალიანაც[537]. ჩვენ სულელები ვიქნებით, თუ ახლავე და ძალით არ გავაგდებთ მას სანატორიუმში.

24/I. 1922. ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

603

ლ. ბ. კამენევს და ი. ბ. სტალინს

ამხ. კამენევ და ამხ. სტალინ!

ახლა შევიტყვე — და თავზარი დამეცა — სოკოლნიკოვისაგან, რომ იგი უარყოფს (!) პოლიტბიუროს დირექტივას სამეულზე (ის+პრეობრაჟენსკი + კრასნოშჩოკოვი).

ეს ქაოსია!

ეს სკანდალია.

ეს იმას ნიშნავს, რომ ცეკას აპარატი არ მოქმედებს! საჭიროა ხვალვე დავადასტუროთ[538].

და—ისევ და ისევ — არ გავუშვათ საკითხები უმაღლეს ეკონომიურ კომისიაში, თუ არ იქნა დაინტერესებული სახალხო კომისრებისა და მათი მო-

ადგილეების ან თანაშემწეების წინადადებათა და კონტრწინადადებათა წერილობითი ტექსტები. სხვანაირად იქნება ქაოსი,

საქმის გაჭიანურება,

ლაყბობა,

უპასუხისმგებლობა.

25/I. საღამოს $9^1/_2$ საათი.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 25 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

604

ა. მ. ლეშავას

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი

ამხ. ლ ე ქ ა ვ ა!

ამხანაგი ლომონოსოვი იტყობინება, რომ კვლავ ფერხდება ვოლხოვის მშენებლობისათვის ტურბინების შეკვეთა.

წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ გამოარკვიოთ და საბოლოოდ გადაჭრათ ეს საკითხი ამხ. ლომონოსოვთან იმისათვის, რომ ამიერიდან არ ხდებოდეს თუნდაც ოდნავი შეფერხებანი ამ აღმაშფოთებლად დიდხანს გაჭიანურებულ საქმეში.

გადაწყვეტილება გამომიგზავნეთ ამხ. გორბუნოვის მეშვეობით არაუგვიანეს ა/წ. 26/I-ისა.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1922 წლის 26 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

605
წერილი გ. ვ. ჩიჩერინს

ამხ. ჩიჩერინ!

1. გთხოვთ გამომიგზავნოთ, თუ შეიძლება, ბონომის წინადადებათა ოფიციალური ტექსტი იმ ენაზე, რომელზეც თქვენ მიიღეთ (ჩემთვის დიდმნიშვნელოვანია მათ მიერ ფორმულირებულ პირობათა პუნქტების ტექსტი) [539].

2. ხომ არ დაბეჭდილა ანტანტის რომელიმე გავლენიან გაზეთში ის ტექსტი ამ პირობების 1-ლი პუნქტისა, რომელიც თავდაპირველად ჩვენს გაზეთებში დაიბეჭდა, სახელდობრ: სიტყვებით «საკუთრების სისტემა», და არა უბრალოდ «სისტემა», როგორც არის, ვგონებ, ბონომის მიერ გამოგზავნილ ოფიციალურ ტექსტში [540].

თუ შეიძლება, ჩემი თხოვნა იქნებოდა, «ინოროსტასათვის» დაგევალებინათ შეამოწმოს, ხომ არ ყოფილა უცხოეთის რომელიმე გაზეთში სიტყვები «საკუთრების სისტემა», და თუ იყო, ხომ არ შეიძლება გამომიგზავნოთ ეს ნომერი.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 26 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაბეჭდილი პირი)

606
ი. ტ. სმილგას *

სმილგას
პირები ამხანაგებს ნ. პ. გორბუნოვს,
სმოლიანინოვს

არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური მოსაზრებითაც ჩვენთვის აბსოლუტურად აუცილებელია კონცესია

* წერილის ტექსტზე ზემოდან დაბეჭდილია: «გაიგზავნოს შიფრით კრესტინსკის მეშვეობით, აკურატულად გადაცემაზე განსაკუთრებით იზრუნოს პ. პ. გორბუნოვმა». რ ე დ.

გერმანელებთან გროზნოში, ხოლო თუ შესაძლებელია, სათ-ბობის სხვა ცენტრებშიც. თუ თქვენ ს ა ბ ო ტ აჟ ს გას-წევთ, ამას პირდაპირ დანაშაულად ჩავთვლი. საჭიროა ვიმო-ქმედოთ სწრაფად, რომ გენუამდე პოზიტიური შედეგები გვქონდეს. გთხოვთ მიპასუხოთ. დეპეშით მოკლედ, უფრო ვრცლად წერილით [541].

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 26 იანვარს
გაგზავნილია ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

607

გ. ვ. ჩიჩერინს

26/I. 1922.

ამხ. ჩიჩერინ!

გახსოვთ, სუნ იატ-სენის წერილი რომ გამომიგზავნეთ?

ჯერ კიდევ იმ წერილში იგი რაღაცას ამბობდა ჩემთან მ ე გ ო ბ რ ო ბ ა ზ ე, და თქვენ მეკითხებოდით, ვიცნობდი თუ არა მას?

თქვენი თუ ჩემი მისამართით იყო ეს წერილი [542]?

შემონახულია თუ არა იგი თქვენს არქივში? და ჩემი პა-სუხი თქვენი შეკითხვით?

თუ შემონახულია, ხომ არ შეგიძლიათ გამომიგზავნოთ (ფოტიევას მისამართით)?

თუ არა, რა გ ა ხ ს ო ვ თ ამაზე?

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

608

მ. ი. გლიასერს

26/I. 1922.

ამხ. გლიასერ!

აბსოლუტურად აუცილებელია, რომ მე მომდიოდეს პოლიტბიუროს (და «ორიანის» [543]) ყველა ოქმი.

დ რ ო ზ ე

და ს რ უ ლ წ ე ს რ ი გ შ ი.

წესრიგი — ეს ნიშნავს ს ი ს რ უ ლ ე ს:

(ა) ყ ვ ე ლ ა ოქმი,

(ბ) თითოეულ ოქმში **ყველა** ქაღალდი და არა მითითებანი იმ წერილებზე, «წინადადებებზე», შენიშვნებზე და სხვ., რომლებიც **დ ა რ თ უ ლ ი ა რ ა რ ი ს.**

აუცილებლად შეუთანხმდით ბურაკოვას და კიდევ ვისაც ჯერ არს,

წ ე ს რ ი გ შ ი მ ო ი ყ ვ ა ნ ე თ (და შეავსეთ **ყველა** დოკუმენტით, რომლებიც აკლია)

ყველა ოქმი ჩემი არყოფნისას (მაშასადამე, 1921. 6. XII-დან? [544])

და ყველაფერი გამომიგზავნეთ.

ვურთავ ოქმებს.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა არასრულად
1944 წელს ჟურნალში
«პარტიინოე სტროიტელსტვო», № 1

მთლიანად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

609

ბარათი მდივანს
დავალებით ვ. ა. სმოლიანინოვისადმი

უთხარით სმოლიანინოვს, რომ ჩაიწეროს შემდეგი შეთანხმება კრჟიჟანოვსკისთან:

ნაზვანოვს კრჟიჟანოვსკი დაუყენებს სამეურნეო სამუშაოზე იმ პირობით, რომ 2 თვის შემდეგ ჩაგვაბაროს სრული ანგარიში ამ სამუშაოს შედეგების შესახებ, სამუშაოსი, რომელიც ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ სრული შესაძლებლობა გვქონდეს შევაფასოთ ნაზვანოვის მუშაობის უნარი და თვისებები. ამხ. სმოლიანინოვმა მომაგონოს ეს, როცა სამუშაოზე დავბრუნდები *.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 26 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

610

წერილიდან ი. ს. უნშლიხტისადმი

რევტრიბუნალების საჯაროობა ყოველთვის არ გვინდა; მათი შემადგენლობა გავაძლიეროთ «თქვენი» ადამიანებით, გავაძლიეროთ მათი კავშირი (ყოველნაირი) სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიასთან; გავაძლიეროთ მათი რეპრესიების სისწრაფე და ძ ა ლ ა, გავაძლიეროთ ცენტრალური კომიტეტის ყურადღება ამისადმი. ბანდიტიზმისა და სხვა მისთა-

* იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც. ტომი 54, დოკუმენტი 143. რ ე დ.

ნათა ოდნავი გაძლიერება უნდა იწვევდეს სამხედრო წესებს და ხვრეტას ადგილებზე. სახკომსაბჭო შეძლებს სწრაფად გაატაროს ეს, თუ თქვენ არ გამოგრჩებათ, ტელეფონითაც შეიძლება.

მოელაპარაკეთ კიდევ სტალინს და, თუ საჭიროდ მიგაჩნიათ, აჩვენეთ მას ეს წერილი[545].

დაწერილია 1922 წლის 26 და 31 იანვარს შუა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ი. ს. უნშლიხტის მოგონებათა მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტის მიხედვით

611

ტელეფონოგრამა ი. ვ. ლომონოსოვს

ამხანაგ ლომონოსოვს

პირები: სახელმწიფო საგეგმო კომისია, ტრანსპორტის სექცია, პროფესორ რამზინს
გზათა სახალხო კომისარიატი, ამხანაგ ფომინს

გთხოვთ შეუთანხმდეთ სახელმწიფო საგეგმო კომისიას. გზათა სახალხო კომისარიატს და თბოტექნიკურ ინსტიტუტს თბომავლების კონკურსის პირობებზე, შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1922 წლის 4/I-ის დადგენილების გათვალისწინებით. მეტად სასურველია ხელიდან არ გავუშვათ დრო იმ თანხების გამოყენებისათვის, რომლებიც შეიძლება თავისუფალი აღმოჩნდეს ორთქლმავლებზე შეკვეთების შესრულების მსვლელობაში, ჩვენთვის გაცილებით უფრო მიზანშე-

წონილი თბომავლების მისაღებად. გთხოვთ გადაუდებლად მაცნობოთ პირადად მე თქვენ შორის მომხდარი შეთანხმების შედეგები [546].

ლ ე ნ ი ნ ი

27/I—22 წ.

პირველად დაიბეჭდა 1925 წლის 31 იანვარს «კრასნაია გაზეტაში», № 25

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

612

ნ. პ. გორბუნოვს

ამხ. გორბუნოვ!

უნდა დავეხმაროთ. მოელაპარაკეთ შეინმანს. თუ თანახმა არ არის, გვითხარით ციურუპას და მე.

შეაგროვეთ მოსაზრება ბელოვზე (კისელიოვისა; ნესტეროვი აგროვებდა?), აჩვენეთ ციურუპას და მერე შეინახეთ.

საჭიროა თქვენ ან სმოლიანინოვი **სისტემატურად** ეხმარებოდეთ ბელოვს [517].

28/I. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 28 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

613

* ნ. პ. გორბუნოვს [548]

ამხ. გორბუნოვ! თქვენ ან სმოლიანინოვი სპეციალურად უნდა ადევნებდეთ თვალს ამ საქმეს. მ ე ტ ა დ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ა. შეარჩიეთ ყველაფერი, რაც ამას ეხება (შ რ ო მ ი ს ა და თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო ს დადგენი-

ლება პრემიის შესახებ და ა. შ.). ელაპარაკეთ ლომონოსოვს. ოთხშაბათს* მას თათბირი ექნება კრეიჟანოვსკისთან და სხვებთან სახელმწიფო საგეგმო კომისიაში. ოქმი თქვენთან უნდა იყოს. შედეგი მე მითხარით. კრეიჟანოვსკის მე ეს წავუკითხე. იგი ამბობს, რომ კონკურსი და ლომონოსოვის ვეგმა ერთმანეთს **არ** გამორიცხავენ.

29/I. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ვგონებ, სტიუნკელს აქვს მასალები ამაზე. საჭიროა ვინმე აგროვებდეს მთელ მეცნიერულ ლიტერატურას ამის შესახებ.

დაწერილია 1922 წლის 29 იანვარს

პირველად დაიბეჭდა არასრულად
1933 წელს წიგნში: ვ. ვ. ფომინი.
«ლენინი და ტრანსპორტი». მოსკოვი

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

614

ვ. მ. მოლოტოვს
რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის

ამხ. მოლოტოვს

პოლიტბიუროს წევრებისათვის

საესებით ეთანხმები ტროცკის [549].
წინადადება შემომაქვს:

1) რადეკს გამოეცხადოს **გაკიცხვა** მენშევიკებისადმი დამყოლობისათვის.

* იგულისხმება 1 თებერვალი. რ ე დ.

2) რეპრესიები მენშევიკების წინააღმდეგ გაძლიერებულ იქნეს და დაევალოს ჩვენს სასამართლოებს გააძლიერონ ისინი.
3) ტროცკის ეს წინადადება მიღებულ იქნეს.
4) დაევალოს ტროცკის მთელი ძალებით დააჩქაროს გააფთრებული შეტევა მენშევიკების წინააღმდეგ საქართველოს გამო [550].

30/I. 1922. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

615

ბ. ე. ზინოვიევს [551]

1922 წლის 31 იანვარი

სრულიად საიდუმლოდ

ამხ. ზინოვიევს

მხოლოდ დღეს მივიღე თქვენი წერილი პასუხად მრავალი დღის წინათ ჩემ მიერ გამოგზავნილი განცხადებისა ჩემი მოხსენების მოხსნის შესახებ*. ასეთ შეუწყნარებელ გაჭიანურებაში მთლიანად თქვენ მიგიძღვით ბრალი. ძალიან სასაცილოა იმის წაკითხვა, რომ თქვენ ვერა და ვერ ეთანხმებით ეკონომიურ მდგომარეობაზე ჩემი მოხსენების მოხსნას. სამწუხაროდ, ჩემი ავადმყოფობა ამას ვერ შეეფარდება. თუ დროზე არ მოამზადებთ სხვა მომხსენებელს, ბრალი მთლი-

* იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც. ტომი 54, დოკუმენტი 232 (1, 2). რ ე დ.

ამდ თქვენ დაგედებათ. ჩემს წინადადებაზე, რომ ეს მოხსენება პიატაკოვს მიეცეს, პასუხი არ მიმიღია, თუმცა ჩემი ეს წინადადება კამენევს და თქვენ მრავალი დღის წინათ გადოგეცით*. მე დავიწყე სტატიის წერა ამ თემაზე, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოგცემთ მისი დროზე დამთავრების გარანტიას[552]. მენშევიკების შესახებ თქვენ სავსებით მართალი ხართ, რომ უთუოდ უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. ვფიქრობ, თქვენც მიგიძღვით ბრალი, ამ პუნქტში რომ უსაფუძვლო შეღავათები მიეცათ. მაგალითად, გადაწყვეტილი იყო როჟკოვი საპყრობილიდან არ გამოეშვათ, ის კი გამოუშვეს, თუმცა პოლიტბიუროს არავითარი გადაწყვეტილება არა ყოფილა[553]. ვფიქრობ, ასეთი პოლიტიკა ზიანის მეტს არაფერს მოიტანს.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით,
რომელიც შეჯერებულია
ლ. ა. ფოტიევას ხელით
დაწერილ ტექსტთან

616

ი. ს. უნშლიხტს

31/I.

ამხ. უნშლიხტს

არაფრით არ შემიძლია დავესწრო პოლიტბიუროს სხდომას[554]. უარესად ვარ.

ვფიქრობ, ჩემი ყოფნა არც არის საჭირო.

* იხ. იქვე, დოკუმენტი 232 (3). რ ე დ.

ახლა საქმე მხოლოდ წმინდა ტექნიკურ ზომებშია, რომლებიც გამოიწვევს იმას, რომ ჩვენმა სასამართლოებმა გააძლიერონ (და უფრო სწრაფი გახადონ) რეპრესიებ ენშევიკების წინააღმდეგ.

სასამართლოებმაც და საბჭომსაბჭომაც ან სრულიად რუ სეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა.

კომ. სალმით ლენინი

დაწერილია 1922 წლის 31 იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ი. ს. უნშლიხტის მოგონებათა ტექსტის მიხედვით, რომელიც მანქანაზეა გადაბეჭდილი

617

ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის

ამხ. მოლოტოვს პოლიტბიუროსათვის

ვინაიდან ზინოვიევი დაჟინებით მოითხოვს, რომ მე შეასრულო კომინტერნის აღმასკომის დავალება და გამოვიდე მოხსენებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ სხდომაზე 12—II-ს, და ვინაიდან მე, თანახმად ჩემი მრავალგზისი განცხადებისა ზინოვიევისადმი, დანაჰდვილებით არ ძალმიძს შევასრულო ეს ავადმყოფობის გამო*, ვთხოვ პოლიტბიუროს დაადგინოს:

1) მიღებულ იქნეს ცნობად ლენინის განცხადება, რომ მას ავადმყოფობის გამო არაფრით არ შეუძლია შეასრულოს აღმასკომის დავალება.

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 615 და თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 232. რ ე დ.

2) დაევალოს აღმასკომის რუს წევრებს გააუქმონ გადაწყვეტილება ლენინის მოხსენების დანიშვნის შესახებ.

3) დაევალოს აღმასკომის იმავე წევრებს გაატარონ ამ თემაზე მომხსენებლად ამხ. პიატაკოვის დანიშვნა.

4) დაევალოს პიატაკოვს არა უგვიანეს უახლოესი კვირა დღისა მოამზადოს, ჯერ ერთი, თავისი მოხსენების დაწვრილებითი თეზისები, ხოლო მეორე მხრივ, მოხსენების კონსპექტი და იმ ციფრობრივი მასალების ნაკრები, რომლებიც მოყვანილი იქნება ამ მოხსენებაში, ამასთან პიატაკოვმა უნდა გაითვალისწინოს ის თეზისები, რომლებიც ლენინმა წარუდგინა კომინტერნის III კონგრესს და რომლებიც თავის დროზე მოიწონა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა*.

5) დაევალოს ამხ. ამხ. ზინოვიევს, ბუხარინსა და ლენინს გაასწორონ და საბოლოოდ გაუკეთონ რედაქცია პიატაკოვის მოხსენების როგორც თეზისებს, ისე კონსპექტს.

6) დაევალოს პიატაკოვს მოხსენების ზომა გაიანგარიშოს დაახლოებით ერთი საათის, მაქსიმუმ $1^1/_2$ საათისათვის.

7) ამხ. პიატაკოვს დაევალოს მოიყვანოს სულ მოკლედ ძირითადი ციფრები, რომლებიც გვიჩვენებს მრეწველობისა და ვაჭრობის წარმატებით განვითარებას ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს და ამის მნიშვნელობას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის.

8) მიღებულ იქნეს ცნობად ლენინის განცხადება, რომ, თუ ჯანმრთელობა საშუალებას მისცემს, იგი დაესწრება პიატაკოვის მოხსენებას და მის შემდეგ აიღებს სიტყვას მოკლე დამატებისა თუ ცნობისათვის, რომელსაც მოხსენების ხასიათი არ ექნება [555].

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 2 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 577—585. რ ე დ.

618

ნ. ი. ბუხარინს

1

ამხ. ბუხარინს

1. გაკვირვებული და აღშფოთებული ვარ, რომ თქვენ კრინტსაც არა სძრავთ პასუხად ჩემი ტელეფონოგრამისა II და II$^1/_2$ ინტერნაციონალებთან ერთობლივი კონფერენციის შესახებ [556]. საჭიროა ასეთ რამეებზე გაუჭიანურებლად პასუხის გაცემა თუნდაც ორიოდე სიტყვით.

2. ხომ არ შეგიძლიათ მომიხერხოთ, რომ ისეთმა ვინმემ, რომელიც რეგულარულად კითხულობს ევროპისა და II და II$^1/_2$ ინტერნაციონალების გაზეთებს, შეადგინოს ჩემთვის სულ მოკლე ნუსხა (არა უმეტეს ორი გვერდისა გაზეთებისათვის ყოველ ცალკეულ ენაზე) მოსაზრებებისა, რომლებსაც ისინი გამოთქვამენ ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამო. ჩემთვის საკმარისი იქნებოდა ასეთი ნუსხა ცალ-ცალკე გერმანული, ფრანგული და ინგლისური გაზეთებიდან, მაგრამ ვიმეორებ, მხოლოდ სულ მოკლე, ტელეგრაფის სტილით, არა უმეტეს ორი გვერდისა თითოეულ ამ ენაზე.

გთხოვთ მიპასუხოთ [557].

ლენინი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 2 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

2

ამხანაგ ბუხარინს

ვინაიდან თქვენი წერილი ახლა პასუხს შეიცავს, იმის ტკიცება, რომ პასუხი საჭირო იყო, ზედმეტია.

ლენინი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 3 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

619

ი. ბ. სტალინს და ლ. ბ. კამენევს

მხოლოდ
ამხ. სტალინს და ამხ. კამენევს

გთხოვთ გადაათვალიეროთ სოკოლნიკოვის ეს მოკლე ცნობა, რომელსაც იგი მაძლევს ჩვენს გუშინდელ შეკითხვაზე. ჯერ ერთი, ცნობა არასრულია, მოვთხოვე დამატებით*, მეორეც, თუ ის სწორია, იქიდან გამომდინარეობს, რომ ნოვიცკი პირდაპირ არასწორ ციფრებს გვაძლევდა. საჭიროა მივაღწიოთ სრულ ჭეშმარიტებას ამ მხრივ და, თუ დადასტურდება, რომ ნოვიცკიმ არასწორი ციფრები მოგვცა, დაისვას პოლიტბიუროში საკითხი მისი სამართალში მიცემის შესახებ.

4/II. 22 წ. ლენინი

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ლ. ა. ფოტიევას
ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

* იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 253. რედ.

620

* ნ. პ. გორბუნოვს

გავალებთ შეამოწმოთ, რა კანონებისა და წესების საფუძველზეა რეგისტრირებული მოსკოვში, როგორც იუწყება 5/II-ის «იზვესტია», 143-ზე მეტი კერძო გამომცემლობა, როგორია თითოეული გამომცემლობისათვის პასუხისმგებელი ადმინისტრაციისა და რედაქციის პირადი შემადგენლობა, როგორია მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, აგრეთვე პასუხისმგებლობა საერთოდ სასამართლოების წინაშე, ვინ განაგებს ამ საქმეს სახელგამში, ვინ არის ამისათვის პასუხისმგებელი.

მოილაპარაკეთ აგრეთვე საიდუმლოდ იქის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს და როგორ არის მოწყობილი ამ საქმისადმი ზედამხედველობა იუსტიციის სახ. კომისარიატის, მუშა-გლეხინისა და სრულიად რუსეთის საუსგებო კომისიის მხრივ. ყოველივე ეს სრულიად კონფიდენციალურად. მომიმზადეთ პასუხი, თუნდაც წინასწარი, ოთხშაბათისათვის[558].

ლენინი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 6 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

621

ვ. მ. მოლოტოვს

ამხ. მოლოტოვს

ამხ. მოლოტოვ, გაზეთებში დაბეჭდილია, რომ 20/III-ისათვის ინიშნება სახალხო განათლების საგუბერნიო და საოლქო განყოფილებების გამგეთა სასწრაფო კონფერენცია.

ვფიქრობ, რომ საჭიროა ჩემი და თქვენი ხელმოწერით გაიგზავნოს ასეთი ცირკულარული დეპეშა:

«სახალხო განათლების თითოეული საგუბერნიო და საოლქო განყოფილება მოვალეა გამოგზავნოს ამ კონფერენციაზე დელეგატის ხელით ან ფოსტით ზუსტი და დაწვრილებითი ცნობები სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებათა თვალსაჩინო ადგილობრივი მუშაკების შესახებ, მათ შორის კონფერენციის დელეგატების შესახებაც. ცნობები უნდა შეიცავდეს თითოეულის დაწვრილებით სტაჟს როგორც რევოლუციამდე, ისე რევოლუციის შემდეგ და მის შეფასებას ადგილობრივი საგუბერნიო აღმასკომებისა და პარტიის ადგილობრივი საგუბერნიო კომიტეტების მიერ. მუშაკების რიცხვი, რომელთა შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნეს ასეთი ცნობები, — სულ მცირე 2 პარტიული და 2 უპარტიო თითოეულ გუბერნიაზე.

ამ წინადადების შეუსრულებლობა ან არააკურატულად შესრულება გამოიწვევს პასუხისგებას როგორც პარტიული, ისე საბჭოთა წესით» [559].

მე წინადადებას ვიძლევი ამ დეპეშას დაემატოს მოთხოვნა ამხ. ლიტკენსისადმი, რომ მან მოგვცეს აგრეთვე ცნობები განსახკომის სულ მცირე 10 მუშაკზე, როგორც ისეთებზე, რომლებიც ყველაზე მეტად დაწინაურდნენ ცენტრში უკანასკნელ წლებსა და თვეებში.

მთელი ეს ცნობები მე აბსოლუტურად აუცილებლად მიმაჩნია, ვინაიდან განსახკომმა სრულებით ვერ შეძლო მოეწყო ადგილებიდან მუშაკების მოზიდვა, ჩვენთვის კი საჭიროა მოვუძებნოთ მას კანდიდატები კოლეგიის გადასახალისებლად.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 6 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

622

უკრაინის დარაიონების შესახებ

უკრაინელ ამხანაგებს აწუხებთ უკრაინის დარაიონების გეგმის საკითხი. მათი აზრით, უკრ. სოც. საბჭ. რესპ. უნდა შევინარჩუნოთ, როგორც ერთიანი რაიონი [560].

როგორ დგას საქმე? სად და როდის გადაწყვეტება საბოლოოდ?

ლ ე ნ ი ნ ი

შევიტყოთ **საჩქაროდ**, დღესვე, ტელეფონით
კრჟიჟანოვსკისთან
ენუქიძესთან
კამენევთან?
ციურუპასთან?

დაწერილია 1922 წლის 6 თებერვლის
შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

623

წერილი გ. ვ. ჩიჩერინს
გენუის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციისათვის რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების შესახებ

7/II.

ამხ. ჩიჩერინ!

მთელი თქვენი მრავალრიცხოვანი ვარაუდები, ჩემი აზრით, ძირშივე არასწორია და გამოწვეულია, ასე ვთქვათ, პოლემიკური გულმოდგინებით [561].

დირექტივებში ნათქვამი არ არის, რომ ჩვენ არ დავთანხმდებით ჩვენი კონტრპრეტენზიებით მოწინააღმდეგის როგორიც უნდა იყოს პრეტენზიების დ ა ფ ა რ ვ ი ს არავითარ ფორმაზე.

დელეგაციის თავმჯდომარეს (ამ შემთხვევაში კი თავმჯდომარის მოადგილესაც) აქვს, ვგონებ, უამრავი უფლება, რომლებიც მას თითქმის თვითმპყრობელის ძალას აძლევს.

თქვენი (და კიდევ უფრო კრასინის) წერილი გვიჩვენებს — უფრო სწორად რომ ვთქვათ, გვიჩვენებდა — პანიკას. ეს ყველაზე საშიშია. ჩვენ ოდნავაც არ გვაშინებს ჩაშლა: ხვალ კიდევ უკეთეს კონფერენციას მივიღებთ. იზოლაციითა და ბლოკადით ახლა ვერ შეგვაშინებენ, ვერც ინტერვენციით.

ჩვენ ვთავაზობთ ფართო დღის წესრიგს, გადაკვრით მივუთითებთ ზოგადი ზომების ჩვენს «პალიატიურ» პროგრამაზე.

უარყოფენ?

როგორც ნებავთ! ჩვენ ვბეჭდავთ ჩვენს ფართო პროგრამას eventuell*. დელეგაციის რომელიმე წევრის სახელით, რომელიც შესაძლოა კიდევაც გადადგეს (ცენტრალური კომიტეტის თანხმობით, რა თქმა უნდა).

ფართო არ გინდათ, იყოს უფრო ვიწრო: Wir nehmen auch Abschlagszahlung!**

დავთანხმდებით მთლად ვიწრო დღის წესრიგზეც კი, ოღონდ ისეთზე არაფერზე დავთანხმდებით, რაც ჩვენთვის არახელსაყრელი იქნება. ულტიმატუმებს არ დავემორჩილებით. თუ გსურთ მხოლოდ «ივაჭროთ». — ინებეთ, მაგრამ წყალში თევზს არ ვიყიდით და, თუ «პრეტენზიები» უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ კ ა პ ი კ ა მ დ ე არ ვიანგარიშეთ, გარიგებაზე არ დავთანხმდებით.

ეს არის და ეს.

უნდა მოვამზადოთ და დავდგათ მთელი ჩვენი ზარბაზნე-

* — შემთხვევისას; შესაძლოა. რ ე დ.

** — ჩვენ ვიღებთ აგრეთვე გადასახდელებს განვადებით! რ ე დ.

ბი, — ხოლო იმის გადაწყვეტას, თუ რომლები გამოვიყენოთ სადემონსტრაციოდ, რომლები ვისროლოთ და როდის ვისროლოთ, ყოველთვის მოვასწრებთ.

კომუნისტური სალმით

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 7 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა არასრულად
წიგნში: ვ. ი. ლენინი. ბიოგრაფია,
1960

მთლიანად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 44

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

624

ნ. პ. გორბუნოვს

ამხ. გორბუნოვ! მიაქციეთ უ ა ღ რ ე ს ა დ ს ე რ ი ო ზ უ ლ ი ყურადღება[562]. ჩემი აზრით, უნდა **მივცეთ** ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი, რასაც გვთხოვენ, ე. ი. 4 მ. მან. × 0,2(?) = 800 მ ი ლ ი ა რ დ ი. ეს პირველი.

მეორე. ცუტორფისაგან არ გამოვყოთ (უნდა ვკითხოთ მოროზოვსა და მენშიკოვს, რაკი რადჩენკო არ არის). რად უნდა გამოვყოთ? უნდა მივცეთ ა ვ ტ ო ნ ო მ ი ა ცუ ტ ო რ ფ ი ს **შიგნით.** განვსაზღვროთ იგი ზუსტად, წერილობით, დავამკვიდროთ შ რ ო მ ი ს ა და თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო ს მეშვეობით.

მესამე. ხომ არის შრომისა და თავდაცვის საბჭოს ა რ ა ე რ თ ი დადგენილება ჰიდროტორფის დამკვრელურობის შესახებ და სხვ. და სხვ. ცხადია, ისინი «დავიწყებულია». ეს უმსგავსობაა! უნდა ვ ი პ ო ვ ო თ, ვისაც კი ბრალი მიუძღ-

ვის ამ «დავიწყებაში», და სამართალში მ ი ვ ც ე თ. აუცილებლად! (მითხარით შედეგი: რა **გააკეთეთ**).

10/II. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 10 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში «ლენინი სამეურნეო ფრონტზე. მოგონებათა კრებული». მოსკოვი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

625
გ. ი. სოკოლნიკოვს

11. II. 1922 წ.

პირი ამხ. ა. დ. ციურუპას

ამხ. სოკოლნიკოვ!

1) ბელოვის შესახებ თქვენ გორბუნოვი გელაპარაკათ. ბელოვის შესახებ საუკეთესო შეფასებები მაქვს მიღებული პარტიული მხრივაც და კ ო მ ე რ ც ი უ ლ ი მხრივაც. ვფიქრობ, თუ ჩვენ ა ს ე თ «ჩვენს» კომერსანტებს **მხარს** არ დავუჭერთ, მაშინ ყველაფერი მხოლოდ სიტყვები იქნება და მეტი არაფერი. უნდა **დავსაჯოთ** დამნაშავენი (სახელმწიფო ბანკში) საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმისათვის. სხვანაირად არაფერი გამოვა. (შეფასებები გორბუნოვთანაა).

2) თეზისები საგარეო ვაჭრობის შესახებ დამწინილდა. მე ძალიან დიდი ხნის წინათ ვნიშნავდი 2 — 3 დღეს.

მსგავსი გაჭიანურება არ უნდა ვაპატიოთ.

3) მოფიქრებულია თუ არა არასწორი ანგარიშგებისათვის და საქმის **ზარალიანად** წარმოებისათვის ტრესტების გამგეობების პასუხისმგებლობის ფორმები და წესები*? ხომ

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, დოკუმენტი 316. რ ე დ.

არ სძინავს ჩვენში იუსტიციის სახალხო კომისარიატს? აქ საჭიროა რამდენიმე ს ა ნ ი მ უ შ ო პროცესი უ ს ა ს ტ ი კ ე ს სასჯელთა გამოყენებით. იუსტიციის სახალხო კომისარიატს, ვგონებ, არ ესმის, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკისათვის საჭიროა სასჯელის **ახალი სისასტიკის** ახალი წესები.

4) ამბობენ, სმოლენსკის გუბერნიაში კერძო კაპიტალმა დ ა ჯ ა ბ ნ ა, დახურვამდე მიიყვანა კოოპერაციაო.

ახლა გასამართლება უკანონო ვაჭრობისათვის?

ახლა ბაჟები კერძო ვაჭრობისათვის? და ა. შ. და სხვ.

აქაც ყველაფერი გამოეპარათ საბჭოთა ბიუროკრატებს?

ვინ აგებს თქვენთან პასუხს ამისათვის? ხომ არ შეექმნათ კომისიები

1) ფინსახკომისაგან
2) იუსტიციის სახალხო კომისარიატისაგან
3) ვინმე

} ზედამხედველობის ზომებისათვის

და რეპრესიებისათვის არასწორი ვაჭრობის გამო და სხვ.?[563]

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

626

ა. ს. ენუქიძეს

ამხ. ენუქიძე!

აქ, მოსკოვში, საუბრებიდან და ცნობებიდან მე დავასკვენი, რომ არის რაღაც მოშლილობა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმსა და

მის მუშაობაში. ეს გასაკვირველი არ არის, ვინაიდან ყველა მის წევრს 20 საქმე აყრია, როგორც ჩვენს «ობლომოვურ» რესპუბლიკაში გვჩვევია.

ამის გამო ძლიერდება ისეთი ადამიანების გავლენა, როგორიც არის ლარინი. კარგი ბიჭია, — როგორც პოეტი, როგორც ჟურნალისტი, როგორც ლექტორი. მაგრამ ჩვენ, სულელები, მას კანონმდებლობითს სამუშაოზე ვიყენებთ და ამით ვაფუჭებთ, ვღუპავთ მასაც და სამუშაოსაც.

თვალყური ადევნეთ, ღვთის გულისათვის, რაც შეიძლება მკაცრად, არსად არ გაუშვათ ლარინი. თუ უკვე მოხვდა სადმე, არ ერწმუნოთ მის არც ერთ გეგმას, პროექტს, — და სამგზის თუ არ შეამოწმეთ, მსვლელობა არ მისცეთ.

თვალყური ადევნეთ, რომ არ იყოს ჩვეულებრივი ქაოსი, როცა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მეშვეობით ცდილობენ (ნახევრად მოტყუებით) გააპარონ რამე სახკომსაბჭოსა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის გვერდის ავლით.

ფხიზლად ადევნეთ თვალყური და **დროზე** შემატყობინეთ ხოლმე მე (ან სტალინსა და კამენევს).

კიდევ ორი პუნქტი:

1) სტალინის ბინა. როდისღა? აი გაჭიანურება!

2) ლალაიანცი. როგორ არის? თუ ციმბირში წავა, წერილი უნდა მივცე და მოვაწყო ვაგონში სკლიანსკისა და ფომინის მეშვეობით.

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ახლა გამოგიგზავნეთ ბარათი ბინების შესახებ სტრუმილინისა და რამზინისათვის. ძალიან გთხოვთ ეცადოთ, იშოვოთ და მომწეროთ [564].

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 13 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

627

წერილი ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სტატისტიკური და სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილებების მუშაობის შესახებ

14. II. 1922 წ.

ამხ. მოლოტოვ!

რკპ (ბ) წევრთა უკანასკნელი აღწერის[565] ანკეტა თუ ფურცელი რომ დავწერე, მტკიცედ დავრწმუნდი, რომ სტატისტიკის საქმე ცენტრალურ კომიტეტში (და ალბათ მთელი აღრიცხვა-განაწილების საქმე) ყოვლად უხეიროდ არის დაყენებული.

ან სტატისტიკას თქვენთან სულელი განაგებს, ან სადღაც ამ «განყოფილებებში» (თუ ასე ეწოდება ამ დაწესებულებებს ცენტრალურ კომიტეტთან) დიდმნიშვნელოვან პოსტებზე სხედან სულელები და პედანტები, თქვენ კი, აშკარაა, არა გცალიათ თვალყური ადევნოთ.

1. უნდა გააგდოთ სტატისტიკური განყოფილების გამგე.

2. უნდა გაბერტყოთ ეს და სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილებები **საფუძვლიანად**.

თორემ თვითონ ჩვენ («ბიუროკრატიზმს რომ ვებრძვით»...) ჩვენ ცხვირწინ ვზრდით ყოვლად სამარცხვინო და ყოვლად სულელურ ბიუროკრატიზმს.

ცეკას უდიდესი ძალაუფლება აქვს. შესაძლებლობანი — გიგანტური. ვანაწილებთ 200 — 400 ათას პარტმუშაკს, ხოლო მათი მეშვეობით ათასობით და ათასობით უპარტიოს.

და ეს **გიგანტური** კომუნისტური საქმე მთლად გაბინძურებულია **ჩლუნგი** ბიუროკრატიზმით!

ყველა აღწერა დამთავრდეს 1 თვეში.

მათი დამუშავება დაყვანილ იქნეს მინიმუმამდე ისე, რომ აგრეთვე 1 თვეში დამთავრდეს.

შემდეგ გარეკეთ ცეკას სტატისტიკური განყოფილების

9/10, სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილებისაც — ამდენივე და დაიწყეთ მათი ხელახლა აგება.

თქვენ უნდა მოიცილოთ წევრილმანები (გადააკისროთ ისინი თანაშემწეებსა და თანაშემწის თანაშემწეებს) და მთლიანად მოჰკიდოთ ხელი პოლიტმდივნის და ორგანიზაციის, აღრიცხვისა და ა. შ. დარგში მუშაობის **მიმართულების** გამგის საქმეს.

იყო «პასუხისმგებელ მუშაკთა აღწერა»? შედეგი, ალბათ, აგრეთვე ნულია; კიდევ უარესი, ალბათ, შედეგი მინუსია.

მომწერეთ ან დამირეკეთ, და ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ;

საჭიროა ბარათები პარტიის რამდენიმე **ასეულ** (დასაწყისისათვის) უთვალსაჩინოეს მუშაკზე პროპაგანდისტებად, ადმინისტრატორებად, აგიტატორებად, მასწავლებლებად და სხვ. დაყოფით და მათი მუშაობის შეფასებით (სტაჟი — ვთქვათ, ხუთი უკანასკნელი თანამდებობა) ამა და ამ (4 — 6) პირის მხრივ. ჩვენ კი გამოვდეენებივართ ათასებსა და ასეულ ათასებს, ბიუროკრატიულ ჩხირკედელაობას ვეწევით და **არ ვსწავლობთ** ადამიანთა განაწილებას.

კომ. სალმით ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

628

ვ. მ. მოლოტოვს

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის

ამხ. მოლოტოვს პოლიტბიუროსათვის
წინადადება შემომაქვს დავადგინოთ:

1) კონტრპრეტენზიების ოდენობასა და კატეგორიებზე კრინტიც არ დავძრათ.
კონტრპრეტენზიებზე საერთოდ აწეროთ;

2) საერთოდ კონფერენციის შესახებ ვწეროთ და ჩვენი პაციფისტური პროგრამის შესახებაც.
(ვწეროთ = ვბეჭდოთ.) [566]

14/II. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 14 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ჩელნაწერის მიხედვით

629

დ. ი. კურსკისადმი[567]

1922 წლის 14 თებერვალი

ამხ. კ უ რ ს კ ი!

გთხოვთ სულ მოკლე ვადაში გამომიგზავნოთ ოფიციალური ცნობა იმაზე, თუ როგორია მოქმედ კანონმდებლობათა მიხედვით მუშგლეხინის უფლებანი კერძო (არასახელმწიფო) საწარმოთა ინსპექტირების მხრივ.

მახსოვს, არაერთგზის იყო ლაპარაკი იმაზე, რომ არაფრით არ შევზღუდოთ მუშგლეხინის უფლებანი რაგინდარა საწარმოს მიმართ, რომელიც სახელმწიფო საწარმოთა კატეგორიაში არ შედის.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაბეჭდილია 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

630

წერილი გ. ვ. ჩიჩერინს

15. II. 1922 წ.

ამხ. ჩიჩერინ!

კრასინის 13. II-ის დეპეშაში (შემოს. № 1466/ს) ნათქვამია (ლოიდ ჯორჯი): «თუ საბჭოთა მთავრობა უარს იტყვის იმაზე, რომ ცნოს კანის რეზოლუციები, ეს ქმნის მთელი კონფერენციის ჩაშლის მუქარას და **ყოველ შემთხვევაში** გაუადვილებს პუანკარეს წასვლას»...

ამ ფორმულირებაში «მუქარის» შექმნა ვეტია, ვიდრე სიზუსტე!

მაგრამ ინგლისის მთელი პრესა ხომ, ჩვენი გაზეთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მრავალგზის აცხადებდა, რომ გენუის კონფერენციაზე მოსაწვევად არ მოითხოვება და არც მოითხოვებოდა კანის პირობების **წინასწარი** ცნობა და რომ საწინააღმდეგო აზრი ფრანგებისა არასწორიაო.

უნდა შევკრიბოთ მთელი მასალა, რომ ზუსტად და ფორმალურად უდავოდ დავადგინოთ ფაქტები.

მე უდავოდ მეჩვენებოდა სამი ფაქტი:

(1) ჩვენი მიწვევისას ჩვენგან არ მოითხოვდნენ ზუსტ, ნათელ, ფორმალურ განცხადებას, რომ ჩვენ ვცნობთ კანის პირობებს.

(2) ჩვენ ეს განცხადება არ გაკეთებია პასუხში. და ჩვენთვის არ უცნობებიათ, რომ ჩვენი პასუხი სრული არ არის.

(3) მთელმა ინგლისის ბურჟუაზიულმა პრესამ ფრანგებთან დავაში ცნო, რომ კანის პირობების წინასწარ ცნობა საჭალდებულო არ არის.

კომ. სალმით ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

631

წერილი დ. ი. კურსკის და დავალება ნ. პ. გორბუნოვს

ამხ. კურსკი!

ამასთან გიგზავნით კობლენცის პასუხს ჩემდამი *. წაკითხვის შემდეგ გთხოვთ დაუბრუნოთ ნ. პ. გორბუნოვს.

1) მე ძალიან ვეჭვობ, რომ კობლენცი უვარგისია და მთელი ეს განყოფილება უვარგისია.

კობლენცს აშკარად «დავიწყებია», რომ საბჭოთა ხელისუფლებისაგან იჯარით აღებული საწარმოც საბჭოთა საწარმოა;

2) —— აურევია მომდევნო თუ წინასწარი რევიზიის საკითხი იმ საკითხთან, საერთოდ ექვემდებარება თუ არა რევიზიას;

3) «დავიწყებია», ალბათ, რომ მუშგლეხინის უფლებები სახკონის წინანდელ უფლებებზე **უფრო შეზღუდული არ არის** (კანონთა კრებული, 1920, № 16); დავიწყებია ბევრი რამ სხვაც.

დასკვნა: უნდა შევამოწმოთ კობლენცის აზრი, და თუ ყურადღებით შესწავლა დაგვანახვებს, რომ კობლენცს ტყუილი უთქვამს, შევცვალოთ იგი რაც შეიძლება უფრო სოლიდური იურისტით.

მაცნობეთ, ვის დანიშნავთ პასუხისმგებლად ასეთი შემოწმებისათვის.

— — — თუ ჩვენი კანონები «წინააღმდეგობრივია» (რაც საეჭვო არ არის), მაშინ რიღასთვის არის იუსტიციის სახალხო კომისარიატი და საკანონმდებლო განზრახულობათა განყოფილება?

---

* იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 51, დამატებანი, დოკუმენტი 16. რ ე დ.

რა კეთდება კოდიფიკაციისათვის? — წინააღმდეგობათა აღმოფხვრისათვის?

კერძოდ, სწორედ ახლა საჩქაროდ უნდა შევიმუშაოთ ნათელი და ზუსტი კანონი იმის შესახებ, რომ ყველა და ყოველგვარ (როგორც კერძო, ისე კოოპერაციულ, საკონცესიო და სხვ.) დაწესებულებებსა და საწარმოებზე გავრცელდეს მუშგლეხინის უფლებები — რევიზიას აკეთებდეს და ვითარებას ეცნობოდეს.

მაცნობეთ, ვის ანდობთ ამას.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

ამხ. ნ. პ. გორბუნოვ! წაიკითხეთ, გეთაყვა, ეს და ჩაინიშნეთ, რომ თვალყური ადევნოთ შესრულებას.

გადააწერინეთ და გააგზავნინეთ ამხ. კურსკისათვის[568].

დაწერილია 1922 წლის 15 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

632

სახკომსაბჭოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოსა და მცირე სახკომსაბჭოს მუშაობის გარდაქმნის შესახებ [569]

წერილი ა. დ. ციურუპას

1922 წლის 15 თებერვალი

ამხ. ციურუპა!

მე ვფიქრობ, თქვენ მართალი ხართ.

უნდა მივიღოთ პოლიტბიუროს თანხმობა და დავიწყოთ «შემცირება» [570].

1) შემადგენლობა: თქვენ მიერ ნაჩვენები **ხუთი** კაცი, პლუს 2 არასაუწყებო (ბელოვი + ?) = 7
2) სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ასიგნებანი თავდაპირველად ფინსახკომსა და მუშგლეხინში;
მცირე სახკომსაბჭოში მხოლოდ გასაჩივრების წესით; დანარჩენი, როგორც თქვენთანაა.

წერილობით ჩამოყალიბდეს, ერთხელ კიდევ მოფიქრების შემდეგ, მცირე სახკომსაბჭოს შემცირების ეს საფუძვლები, აზრი ვკითხოთ მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, გავატაროთ ეს საფუძვლები პოლიტბიუროში და მაშინ სწრაფად შევიმუშაოთ ისინი ახალ დებულებად.

იქნებ კიდევ შევზღუდოთ კომისიები? გავაძლიეროთ როლი ფაქტობრივ შემოწმებაში? დავუქვემდებაროთ მთელი მუშაობა უშუალოდ შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს?

კომუნისტური სალამით ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

633

ვ. ბ. იაკოვენკოს

მიწსახკომი

ამხ. იაკოვენკოს

26 იანვარს «იზვესტია ვციკ»-ში დაბეჭდილი იყო ამხ. ა. ბელიაკოვის სტატია «ნაღვლიანი ძრავები და პროლეტარული მიწათმოქმედება».

გირჩევთ სერიოზული ყურადღება მიაქციოთ ამ შენიშვნას. თურმე სამხედრო უწყებაში ხუთი წელია ყრია 770 ახალთახალი ძრავა სათადარიგო ნაწილებით, სრულ წესრიგში მყოფი, საზღვარგარეთულ შეფუთვიანად, რომელთა საერთო სიმძლავრე 117 000-მდე ცხენის ძალაა და ღირებულება 14 000 000 ომამდელი ოქროს მანეთი. ეს ძრავები გამოუსადეგარია სამხედრო უწყების საჭიროებისათვის და იგი უთმობს მათ მიწსახკომს, რომელსაც შეუძლია წარმატებით გამოიყენოს ისინი სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის. ოთხი თვეა, რაც ეს ცნობილი გახდა მიწსახკომისათვის, მაგრამ დღემდე, გარდა ფორმალური მიმოწერისა, სრულებით არაფერი გაკეთებულა.

ეს გაუგონარი უყაირათობა და უმწეობაა.

წინადადებას ვიძლევი:

1. წარმომიდგინოთ მიწსახკომის წერილობითი განმარტება;

2. იპოვოთ, ვის მიუძღვის ბრალი საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმში, შექმნათ ამ საქმის გარშემო დიდი სასამართლო პროცესი;

3. დაუყოვნებლივ პრაქტიკულად უაღრესად გადამწყვეტი სახით დასძრათ ეს საქმე და ერთი თვის შემდეგ შემატყობინოთ, თუ რა გაკეთდა სინამდვილეში (როდის არის მიღებული მოტორები, როგორ გამოიყენეს, ვის გადაეცა, როდის და სად დაიწყებენ მოქმედებას და ა. შ.) [571].

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1922 წლის 15 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

634

დ. ი. კურსკის

15—II—1922 წ.

ამხანაგ კ უ რ ს კ ი ს
პირი ამხ. ციურუპას
» ამხ. გორბუნოვს
ამხანაგო კ უ რ ს კ ი!

მე არ შემიძლია გავეცნო თამასუქებისა და სამოქალაქო ვალდებულებათა შესახებ დეკრეტის პროექტს. აბსოლუტურად აუცილებლად მიმაჩნია, რომ ჩვენ ამ კანონში გვქონდეს სრული გარანტია იმისა, რომ ჩვენს სახელმწიფოს ჰქონდეს არა მარტო სრული რევიზიისა და კონტროლის, არამედ სერიოზული სახელმწიფოებრივი საფუძვლების მიხედვით დარღვევის უფლებაც. გთხოვთ მომცეთ ამ საკითხზე თქვენი დასკვნა (რამდენიმე სტრიქონი, არა უმეტეს ერთი გვერდისა) და გამომიგზავნოთ 2 — 3 ამონაწერი მუხლებისა, რომლებიც ამ გარანტიებს გვაძლევს. ამხ. გორბუნოვის სიტყვებიდან დავასკვენი, რომ ასეთი მუხლები პროექტში უნდა იყოს [572].

კომუნისტური სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

635

ნ. პ. გორბუნოვს

ამხ. გ ო რ ბ უ ნ ო ვ ს

ექიმის განკარგულების თანახმად გავალებთ:
1. გააუმჯობესოთ ამხ. მიროშნიკოვის კვება.

2. იზრუნოთ იმისათვის, რომ 1-ლი აპრილიდან იგი ყირიმში გაიგზავნოს სამკურნალოდ 3 თვით.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1922 წლის 15 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

636

ი. ი. მიროშნიკოვს

ამხ. მიროშნიკოვს

კრემლის საავადმყოფოს ორდინატორის, ექიმ ლევინის მითითებათა საფუძველზე წინადადებას გაძლევთ:

1. განსაზღვროთ თქვენი სამუშაო დღე 8 საათით.

2. 1-ლი აპრილისათვის გამონახოთ თქვენთვის მოადგილე და გააცნოთ მას საქმე, რათა 1-ლი აპრილიდან წახვიდეთ ხანგრძლივ შვებულებაში.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1922 წლის 15 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

637

წერილი გ. ვ. ჩიჩერინს და დავალება მდივნებს

გთხოვთ აჩვენოთ სტალინსა და მოლოტოვს და გადაუგზავნოთ ჩიჩერინს ჩემი შემდეგი პასუხი:

ამხ. ჩიჩერინ! თქვენ მეტისმეტად ნერვიულობთ. კიდევ მოვასწრებთ 22 ან 23/II-ს განვიხილოთ იმის გეგმა, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ გენუაში.

პაციფიზმს თქვენცა და მეც ვეპრძოდით როგორც რევოლუციური პროლეტარული პარტიის პროგრამას. ეს ცხადია. მაგრამ სად, ვინ, როდის უარყოფდა ამ პარტიის მიერ პაციფისტების გამოყენებას მტრის, ბურჟუაზიის, გასახრწნელად [573]?

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 16 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

638

ე. ა. ლიტკენსს

ამხ. ლ ი ტ კ ე ნ ს ს

პირი მცირე სახკომსაბჭოს

გასული წლის დეკემბრის ბოლოს მე ვწერდი განსახკომს პროფ. კრუგის იმ თხოვნის შესახებ, რომ მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელს მიეცეს ადგილი ელექტროტექნიკური ფაკულტეტისა და ელექტროტექნიკური ინსტიტუტის მოსათავსებლად და ვთხოვდი განსაკუთრებული ყუ-

რადღება მიექციათ და ყოველნაირად ცდილიყვნენ შეესრულებინათ ეს თხოვნა*.

9 თებერვალს კვლავ მივიღე პროფ. კრუგისაგან წერილი, რომელშიც იგი იწერება, რომ განსახკომი დღემდე არ მიშველებია სასწავლებელს. პროფ. კრუგი აღნიშნავს, რომ შესაძლებელია სრულიად უმტკივნეულოდ, შემჭიდროების წესით, მიეცეს ელექტროტექნიკურ ფაკულტეტსა და საექსპერიმენტო ელექტროტექნიკურ ინსტიტუტს ყოფ. ელისაბედის ინსტიტუტის შენობის ნაწილი იმ ანგარიშით, რომ გაზაფხულისათვის, როცა თბილი ამინდი დადგება, რადიშჩევის სკოლა, რომელიც მოთავსებული იყო ამ ინსტიტუტში, გადაყვანილ იქნეს სხვა შენობაში.

თუ თქვენ არ ეთანხმებით პროფ. კრუგის ამ წინადადებას — გავალებთ თქვენი პირადი პასუხისმგებლობით 2 კვირის ვადაში მონახოთ და მისცეთ ინსტიტუტს შენობა.

შესრულების შესახებ მაცნობეთ 3 მარტისათვის.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

დაწერილია 1922 წლის 16 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

639

წერილი ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის იმის შესახებ, რომ შატილოვის შვრიის ტრესტს მიეცეს კრედიტები [574]

ამხანაგ მოლოტოვს პოლიტბიუროს წევრებისათვის
პირი ამხ. ოსინსკის

ამხანაგი ოსინსკი მწერს, რომ პოლიტბიურო აუქმებს თავდაპირველი ბიუჯეტის დამატებით გაცემულ ყოველნაირ

* წერილი ნაპოვნი არ არის. რ ე დ.

კრედიტებს, მათ შორის გაუქმებულია კრედიტიც შატილოვის შვრიის ტრესტისათვის. მე რამდენადმე მაინტერესებდა ეს საქმე და უნდა ვთქვა, რომ ჩემი ცნობებით ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეა, რომელსაც მხარი უნდა დავუჭიროთ გამონაკლისის სახით რადაც უნდა დაგვიჯდეს. სამწუხაროდ, ოსინსკის არ მოჰყავს ციფრები, რომლებზეც ლაპარაკია. გთხოვთ მოსთხოვოთ ოსინსკის, სოკოლნიკოვსა და ციურუპას მოკლე, რამდენიმე სტრიქონი, ცნობა ამ საქმეზე ხვალ დილისათვის და ხელმეორედ განიხილოთ საკითხი ხვალ პოლიტბიუროში ოსინსკის გამოძახებით, თუ ციურუპასა და სოკოლნიკოვის მიერ წარმოდგენილი მონაცემები მთლიანად ვერ ამოწურავენ საკითხს.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 17 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაბეჭდილი
ეგზემპლარი)

640

* ამხანაგ ნ. პ. გორბუნოვს

ჩემთვის დღემდე არ მოუტანიათ, მიუხედავად ჩემი წერილისა*, ანგარიში რიდერის კონცესიის გამოსარკვევ ექსპედიციაზე. იშოვეთ იმ კომისიის წარმომადგენლისაგან, რომელიც იქ იყო, ასეთი ანგარიში ხვალინდელი დღისათვის.

* წერილი ნაპოვნი არ არის. რ ე დ.

ანგარიშის სიდიდე არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს ორ გვერდს.

ვშიშობ, რომ ჩვენთან, ჩვეულებისამებრ, ანგარიში წარმოადგენს მთელ ტომს, რომელსაც არავინ წაიკითხავს.

ფორმალურად დაუკავშირდით კომისიის თავმჯდომარეს და კრეიჟანოვსკის, რომელმაც ბევრი შეუსრულებელი დაპირება მომცა[575].

17. II. 22. ლ ე ნ ი ნ ი

წაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერიდან გადაბეჭდილი პირის მიხედვით

641

ა. დ. ციურუპას

18/II.

1

ამხ. ციურუპა!

როცა მე ვწერდი ჩემს წიგნს იმპერიალიზმზე*, წავიკითხე კაპიტალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო ბანკის (და სა-

* «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 229—384) რ ე დ.

ერთოდ ბანკების) ორი სისტემის შესახებ. ერთ-ერთი სისტემაა სახელმწიფო ბანკის დიდი სიახლოვე ვაჭრობასთან.

უნდა დავსხათ ამ საკითხზე ორიოდე ჩვენი «ფინმეცნიერი» (ხომ არ ვიოხუნჯოთ — ფუ-მეცნიერი?).

ჩვენ გვჭირდება სახელმწიფო ბანკი ასჯერ უფრო ახლო მდგომი ვაჭრობასთან, ვიდრე კაპიტალიზმის სახელმწიფო ბანკების ყველაზე უფრო სავაჭრო ბანკი. ჩვენს სახელმწიფო ბანკს უნდა ჰქონდეს ქსელი სავაჭრო აგენტებისა, დაწყებული ზემოდან (ვაჭრობის დარგში ბანკის მოსიარულე იმ ინსპექტორის მსგავსი რაღაც, რომელიც მიღიარდიან ბრუნვებს განაგებს) და დამთავრებული წვრილი და უწვრილესი სავაჭრო აგენტებით ქვემოთ. თუ მთელი ეს ქსელი ტანტიემებზე იქნება და ისწავლის (და ჩვენც გვასწავლის) კარგად ვაჭრობას, მაშინ ჩვენ ხელში ჩავიგდებთ სავაჭრო ბრუნვის მთელი თანხის 9/10-ს. ეს ერთადერთი გზაა ოქროს მიმოქცევის აღდგენისა და **ნეპის** გადაქცევისა იმ რეგვენ კომუნისტთა გაბრიყვების სისტემიდან, რომლებსაც ძალაუფლება აქვთ, მაგრამ მისი გამოყენება არ იციან, სოციალიზმის **ბაზად**, — ბაზად, რომელსაც ვერ სძლევს, გლეხურ ქვეყანაში, მსოფლიოს ვერავითარი ძალა.

აჩვენეთ ეს სოკოლნიკოვს. უნდა **ვსდიოთ** სახელმწიფო ბანკს და ფინსახკომს, სანამ არ მივაღწევთ ამას.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1922 წლის 18 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1937 წელს ჟურნალ «ბოლშევიკში», № 2

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

2

ამხ. ციურუპა!

განსაკუთრებით მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ჩემს წერილს სოკოლნიკოვისადმი ვაჭრობის, სახელმწიფო ბანკისა და სახბანკის სავაჭრო განყოფილების შესახებ*.

მთელი საქმე ეს არის — ვაჭრობა და მისი ხელში ჩაგდება სახელმწიფო ბანკის მიერ.

ჩვენში კი, ეტყობა, სახელმწიფო ბანკის სავაჭრო განყოფილება სრულებითაც არ არის **«სავაჭრო»**, არამედ ისეთივე მძ... ბიუროკრატიულია, როგორიც ყოველივე დანარჩენი რსფსრ-ში. ჩემი აზრით, ამას უნდა დავაწვეთ **მთელი ძალღონით**

და **მივაღწიოთ** ტანტიემების შემოღებას, საქმით შემოწმებას და იმას, რომ **სახელმწიფო** ბანკის სავაჭრო განყოფილებიდან **განიდევნოს** ყოველივე უსიცოცხლო, ყოველივე არასავაჭრო, ყოველივე ის, რასაც უნარი არ შესწევს ვაჭრობაში წარმატებებს მიაღწიოს.

ჩვენ «შინა ვაჭრობის უწყება» კი არა გვჭირდება (ჩვენ ასეთი მძ..., როგორც უწყებებია, ბევრი გვაქვს), არამედ 1 — 2 დუჟინი **კაცი** სახელმწიფო ბანკში, რომლებმაც უნდა **იცოდნენ** ვაჭრობა (და სხვასაც ასწავლიდნენ). ეს არის მთავარი, უამისოდ ფულის სისტემას ვერ მოაგვარებ.

კომ. სალმით ლენინი

დაწერილია 1922 წლის 20 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, დოკუმენტი 317. რედ.

642

იუსტიციის სახალხო კომისარიატის ამოცანების შესახებ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში [576]

წერილი დ. ი. კურსკის

პირები: 1) მოლოტოვს პოლიტბიუროს წევრებისათვის
2) ა. დ. ციურუპას
3) რიკოვს (როცა ჩამოვა)
4) ამხ. ენუქიძეს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებისათვის.

გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი თ ხ ო ვ ნ ი თ: არ გააძრავლოთ, მხოლოდ აჩვენოთ ხელწერილქვეშ. არ წამოაცდენინოთ, არ წამოგცდეთ მტრებთან

20/II. 1922.

ამხ. კურსკი!

იუსტიციის სახალხო კომისარიატის საქმიანობა, ეტყობა, ჯერ კიდევ სრულებით არ არის შეგუებული ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან.

წინათ საბჭოთა ხელისუფლების საბრძოლო ორგანოები იყვნენ უმთავრესად სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატი და სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია. ახლა გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ საბრძოლო როლი წილად ხვდება იუსტიციის სახალხო კომისარიატს; ამის გაგება იუსტიციის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელთა და მთავარ მოდვაწეთა მხრივ, სამწუხაროდ, არ ჩანს.

საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური მტრებისა და ბურჟუაზიის აგენტების (**განსაკუთრებით** მენშევიკებისა და ესერების) წინააღმდეგ რეპრესიის გაძლიერება; ამ რეპრესი-

ის გატარება რევტრიბუნალებისა და სახალხო სასამართლოების მიერ რაც შეიძლება სწრაფი და რევოლუციურად მიზანშეწონილი წესით; აუცილებლად მოწყობა არაერთი სანიმუშო (რეპრესიის სისწრაფითა და ძალით; სასამართლოს მეშვეობით და პრესის მეშვეობით ხალხის მასებისათვის მათი მნიშვნელობის ახსნა-განმარტებით) პროცესისა მოსკოვში, პიტერში, ხარკოვში და რამდენიმე სხვა უმნიშვნელოვანეს ცენტრში; სახალხო მოსამართლეებზე და რევტრიბუნალების წევრებზე პარტიის მეშვეობით ზემოქმედება სასამართლოების საქმიანობის გაუმჯობესებისა და რეპრესიის გაძლიერების აზრით;—ყოველივე ეს უნდა წარმოებდეს სისტემატურად, მტკიცედ, დაჟინებით, აუცილებელი ანგარიშგებით (რომელიც სულ მოკლე უნდა იყოს, ტელეგრაფის სტილის, მაგრამ საქმიანი და აკურატული, ამასთან აუცილებლად უნდა შეიცავდეს იმ სტატისტიკას, თუ როგორ სჯის და როგორ სწავლობს იუსტიციის სახალხო კომისარიატი ჩვენში მოქარბებულ იმ «კომუნისტ» არამზადათა დასჯას, რომლებმაც ლაყბობა და ყოყოჩობა იციან, მუშაობა კი არა).

არანაკლებ მნიშვნელოვანია იუსტიციის სახალხო კომისარიატის საბრძოლო როლი ახალი ეკონომიური პოლიტიკის დარგში, და კიდევ უფრო აღმაშფოთებელია იუსტიციის სახალხო კომისარიატის სისუსტე და ძილის გუდაობა ამ დარგში. არ ჩანს იმის გაგება, რომ ჩვენ ვცანით და ვცნობთ მხოლოდ სახელმწიფო კაპიტალიზმს, სახელმწიფო კი — ეს ჩვენ ვართ, ჩვენ, შეგნებული მუშები, ჩვენ, კომუნისტები. ამიტომ ყოვლად უვარგის კომუნისტებად უნდა ვცნოთ ის კომუნისტები, რომლებსაც ვერ გაუგიათ თავიანთი ამოცანა შეზლუდონ, ალაგმონ, კონტროლი გაუწიონ, დანაშაულის ადგილზე დაიჭირონ, სასტიკად დასაჯონ ყოველი კაპიტალიზმი, რომელიც ცილდება სახელმწიფო კაპიტალიზმის ჩარჩოებს, როგორც ჩვენ გვესმის სახელმწიფოს ცნება და ამოცანები.

სწორედ იუსტიციის სახალხო კომისარიატს, სწორედ სახალხო სასამართლოებს წილად ხვდებათ აქ განსაკუთრებით საბრძოლო და განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანა. არ ჩანს ამ ამოცანის გაგება. გაზეთებში ხმაურია ახალი ეკონომიური პოლიტიკის ბოროტად გამოყენებათა გამო. ეს ბოროტად გამოყენება უამრავია.

ხოლო სად არის ხმაური სანიმუშო პროცესების გამო იმ არამზადების წინააღმდეგ, რომლებიც ბოროტად იყენებენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას? ეს ხმაური არ არის, ვინაიდან ეს პროცესები არ არის. იუსტიციის სახალხო კომისარიატს «დაავიწყდა», რომ ეს მისი საქმეა, — ის, რომ შეეძლოს დატუქსოს, შეფერთხოს. კაბერტყოს სახალხო სასამართლოები და ასწავლოს მათ სჯიდნენ ულმობლად, დახვრეტითაც კი, და სწრაფად—ახალი ეკონომიური პოლიტიკის ბოროტად გამოყენებისათვის, ეს იუსტიციის სახალხო კომისარიატის მოვალეობაა. ამისათვის ის აგებს პასუხს. ამ დარგში იუსტიციის სახალხო კომისარიატის მხრივ ერთი ბეწო ცოცხალი მუშაობა არა ჩანს, ვინაიდან იგი არ წარმოებს.

სასამართლოების აღმზრდელობითი მნიშვნელობა უდიდესია. სად არის ჩვენში ამისათვის ზრუნვა? სად არის რეალური შედეგების აღრიცხვა? ეს არ არის, ეს კი მთელი იურიდიული მუშაობის ანბანია.

ასეთივე ანბანია კომუნისტების სამშაგად დასჯა უპარტიოთა დასჯასთან შედარებით. და იუსტიციის სახალხო კომისარიატის ასეთივე უდარდელობა.

მეფის დროს პროკურორებს ერეკებოდნენ და აწინაურებდნენ მათ მიერ მოგებულ საქმეთა პროკენტის მიხედვით. ჩვენ მეფის რუსეთისაგან გადმოვიღეთ ყველაზე უარესი რამ, ბიუროკრატიზმი და ობლომოვობა, რისგანაც პირდაპირ სული გვეხუთება, ჭკვიანური რამ კი ვერ გადმოვიღეთ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის თითოეულ წევრს, ამ უწყების თითოეულ მოღვაწეს უნდა ვაფასებდეთ ნამსახურობის სიის მიხედვით, მას შემდეგ, რაც მი-

ვიღებთ ცნობას: რამდენი კომუნისტი ჩასვი საპყრობილეში სამჯერ უფრო სასტიკად, ვიდრე უპარტიოები იმავე დანაშაულისათვის? რამდენი ბიუროკრატი ჩასვი საპყრობილეში ბიუროკრატიზმისათვის და საქმის გაჭიანურებისათვის? ახალი ეკონომიური პოლიტიკის ბოროტად გამოყენებისათვის რამდენ ვაჭარს მიუყენე დახვრეტა ან სხვა, არასახუმარო (როგორც მოსკოვში, იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცხვირწინ ჩვეულებრივად ხდება) სასჯელი? ამ კითხვაზე პასუხს ვერ იძლევი? — მაშ შენ უქნარა ხარ, რომელიც პარტიიდან უნდა გაგაგდოთ «კომლაყბობისათვის» და «კომყოყოჩობისათვის».

მზადდება ახალი სამოქალაქო კანონმდებლობა. იუსტიციის სახალხო კომისარიატი «დინებას მიჰყვება»; მე ვხედავ ამას. ის კი ვალდებულია დინების წინააღმდეგ იბრძოდეს. კი არ გადმოჰქონდეს (უფრო სწორად რომ ვთქვათ, თავს კი არ აბრიყვებინებდეს გონებაჩლუნგ და ბურჟუაზიულ ძველ იურისტებს, რომლებსაც გადმოაქვთ) ძველი, ბურჟუაზიული გაგება სამოქალაქო სამართლის შესახებ, არამედ ქმნიდეს ახალს. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს კი არ აჰყვეს, რომელიც «თანამდებობით» ეწევა «ევროპასთან შეგუების» ხაზს, არამედ **ებრძოდეს** ამ ხაზს, ივუშავებდეს ახალ სამოქალაქო სამართალს, ახალ დამოკიდებულებას «კერძო» ხელშეკრულებებისადმი და სხვ. ჩვენ არაფერს კერძოს არ ვცნობთ, ჩვენთვის **ყველაფერი** მეურნეობის დარგში საჯარო-სამართლებრივია და არა კერძო. ჩვენ დავუშვით მხოლოდ სახელმწიფო კაპიტალიზმი, სახელმწიფო კი — ეს ჩვენ ვართ, როგორც ზემოთ ვთქვით. აქედან — გავაფართოოთ «კერძოსამართლებრივ» ურთიერთობაში სახელმწიფო ჩარევის გამოყენება; გავაფართოოთ სახელმწიფოს ის უფლება, რომ აუქმებდეს «კერძო» ხელშეკრულებებს; corpus juris romani*-ს კი არ ვიყენებდეთ «სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობისადმი», არამედ

* — რომის სამართლის კანონთა კრებული. რ ე დ.

ჩ ვ ე ნ ს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ მ ა რ თ ლ შ ე გ ნ ე ბ ა ს; ვაჩვენებდეთ სისტემატურად, მტკიცედ, დაჟინებით არაერთი სანიმუშო პროცესით, რ ო გ ო რ უნდა ვაკეთებდეთ ამას ჭკვიანურად და ენერგიულად; პარტიის მეშვეობით ვარცხვენდეთ და ვერეკებოდეთ რევტრიბუნალების იმ წევრებს, სახალხო მოსამართლეებს, რომლებიც არ სწავლობენ ამას და არ სურთ გაიგონ ეს.

გენუის წინაშე (და მთელი მსოფლიოს წინაშე) იუსტიციის სახალხო კომისარიატი ბოლომდე შეირცხვენს თავს, თუ ახლავე არ გამოცოცხლდა და მთელი ენერგიით არ შეუდგა საბრძოლო მუშაობაზე, ახალ რელსებზე გადასვლას.

წინადადებას გაძლევთ.

1) წაუკითხოთ ჩემი წერილი იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის ყველა წევრს;

2) აგრეთვე — 100 — 200-კაციან კრებას, სადაც იქნებიან მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტები, რომლებიც პრაქტიკულად მუშაობენ სამოქალაქო, **სისხლის** სამართლის **და** სახელმწიფო სამართლის **დარგში;**

3) აკრძალოთ პარტიული პასუხისმგებლობის შიშით მის (ამ წერილის) შესახებ ლაყბობა, ვინაიდან სისულელეა ვუჩვენოთ მტრებს ჩვენი სტრატეგია;

4) მიალწიოთ იმას, რომ ამ წერილის სულისკვეთების სავსებით თანახმა რამდენიმე კომუნისტი, სასამართლოსა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის მუშაკები, გამოვიდეს ამ თემაზე არაერთი სტატიით პრესაში და არაერთი საჯარო რეფერატით;

5) გაანაწილოთ კოლეგიის ყველა წევრს შორის (ხოლო შესაძლებლობის მიხედვით იუსტიციის სახალხო კომისარიატის უწყებაში მომუშავე სხვა უთვალსაჩინოეს კომუნისტებს შორის) პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა:

(ა) ახალი **სამოქალაქო** კანონმდებლობის განყოფილებებისათვის **(განსაკუთრებით და ყველაზე** მნიშვნელოვანი)

(ბ) აგრეთვე სისხლის სამართლის
(გ) აგრეთვე სახელმწიფო და პოლიტიკური } ნაკლებად საჭირბოროტოა
კანონმდებლობის განყოფილებებისათვის
(დ) ზემოთ აღნიშნულ ცენტრებში სანიმუშო, დიდი აღ-მზრდელობითი პროცესების მოწყობისა და ჩატარებისათვის.
(ე) სახალხო სასამართლოებისა და რევტრიბუნალებისადმი საქმიანი და არა ფორმალური კონტროლისათვის, რომ მათ შეძლონ ნამდვილად გააძლიერონ რეპრესია საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური მტრების წინააღმდეგაც (იუსტიციის სახალხო კომისარიატი პირველი დამნაშავე იქნება, თუ ეს რეპრესია არ გაძლიერდა) და **ახალი ეკონომიური პოლიტიკის** ბოროტად გამოყენების წინააღმდეგაც.

ივაჭრე, მოგება მიიღე, ამის ნებას მოგცემთ, მაგრამ **სამაგად** გავაძლიერებთ შენს მოვალეობას პატიოსანი იყო, იძლეოდე მართალ და აკურატულ ანგარიშებს, ანგარიშს უწევდე ჩვენი, კომუნისტური კანონმდებლობის არა მარტო ფორმალურ მხარეს, არამედ სულისკვეთებასაც, არ უშვებდე ჩვენი კანონებისაგან **იოტისოდენა** გადახვევას,—აი როგორი უნდა იყოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის ძირითადი მცნება ახალი ეკონომიური პოლიტიკის მიმართ. თუ იუსტიციის სახალხო კომისარიატმა ვერ მიაღწია იმას, რომ ჩვენში კაპიტალიზმი «გაწვრთნილი» იყოს, «მართებული» იყოს, თუ იუსტიციის სახალხო კომისარიატმა არაერთი სანიმუშო პროცესით არ დაამტკიცა, რომ მას უნარი შესწევს იჭერდეს ამ წესის დარღვევისათვის და სჯიდეს არა სამარცხვინო სულელური, «კომუ-

ნისტურად გონებაჩლუნგი» დაჯარიმებით 100 — 200 მილიონით, არამედ დ ა ხ ვ რ ე ტ ი თ, — მაშინ იუსტიციის სახალხო კომისარიატი არაფრად ვარგა, და მე ჩემს მოვალეობად ჩავთვლი მივაღწიოთ ცეკასაგან იუსტიციის სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელ მუშაკთა სრულ შეცვლას.

აღნიშნული სამუშაოს განაწილება იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის ყველა წევრს შორის გთხოვთ მაცნობოთ უმოკლეს ვადაში, რომ სრული სიზუსტით შეშეძლოს ვხედავდე. სახელდობრ ვინ (გარდა სახალხო კომისრისა, რომელიც პასუხისმგებელია ყ ვ ე ლ ა ფ რ ი ს ა თ ვ ი ს) არის პასუხისმგებელი **სამოქალაქო** სამართლის (შემდეგ კი სისხლის სამართლისაც და ა. შ.) ამა და ამ განყოფილებებისათვის და სანიმუშო პროცესების ჩატარებისათვის (კოლეგიის თითოეულმა წევრმა უნდა გამოიჩინოს თ ა ვ ი რ ა მ დ ე ნ ი მ ე სანიმუშო პროცესის დაყენებასა და ჩატარებაში), და ამა და ამ გუბერნიის თუ მოსკოვის ამა და ამ უბნის რევტრიბუნალებისა და სახალხო სასამართლოებისადმი და სასამართლოს გამომძიებლებისადმი და სხვ. საქმიანი კონტროლისათვის.

არა «განყოფილებათა» განაწილება და არა ბიუროკრატიული დაძინება ამაზე, არამედ კოლეგიაში მყოფი თითოეული კ ო მ უ ნ ი ს ტ ი ს პირადი პასუხისმგებლობა ამა და ამ ცოცხალი რევოლუციური მუშაობისათვის, — აი რას უნდა მიაღწიოს სახალხო კომისარმა და დაამტკიცოს, რომ უნარი შესწევს აღწევდეს ამას.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

P. S. პრესაში ჩემი წერილის ოდნავი მოხსენიებაც არ უნდა იყოს. ვისაც სურს, გამოვიდეს თავისი ხელმოწერით,

ჩემ მოუხსენიებლად, და რაც შეიძლება მეტი კონკრეტული ვონაცემებით!

პირველად დაიბეჭდა ნაწილობრივ 1924 წელს წიგნში «საბჭოთა იუსტიციის მოღვაწეების V სრულიად რუსეთის ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში». მოსკოვი, რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის იურიდიული გამომცემლობა

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მთლიანად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 44

643

ვ. მ. მოლოტოვს
რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრისათვის

პირის გადაუღებლად

ამხ. მოლოტოვს

გთხოვთ აჩვენოთ ეს წერილი პოლიტბიუროს ყველა წევრს და მათი შენიშვნებით დამიბრუნოთ. მე ვფიქრობ, ჩიჩერინი სავსებით მართალია — რადეკმა ამ შემთხვევით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მთელი თავისი მრავალი ღირსების მიუხედავად იგი სრულებით არ ვარგა დიპლომატად [577].

ლენინი

20/II. 22.

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ლ. ა. ფოტიევას ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით

644

ლ. ბ. კამენევს და ი. ბ. სტალინს

21/II.

ამხანაგებს კამენევსა და სტალინს.

თქვენს დანაშაულზე ან სხვა რაიმე მსგავსზე, გრძელ საუბართან დაკავშირებით, ლაპარაკიც სასაცილოა. ჩემს ავადმყოფობაში არავითარი ობიექტური ნიშანი არ არის (დღეს მშვენიერი ღამის შემდეგ მთლად ავადა ვარ), და ჩემი ძალების სავარაუდოდ შეფასება მხოლოდ მე შემეძლო. მიზეზი თვითონ მე ვიყავი, ვინაიდან თქვენ არაერთხელ მეკითხებოდით, ხომ არ დავიქანცე.

ძალიან გირჩევთ არ დაივიწყოთ

1) რადეკი უთუოდ ჩამოაშოროთ დიპლომატიას*;

2) ლაპინსკიც.

3) სმილგას თანდართული წერილის გამო რაც შეიძლება მკაცრად დაავალოთ ვინმეს (ნ. პ. გორბუნოვს?) მიაღწიოს სინამდვილეში შესრულებას [578].

4) მიასნიკოვის შესახებ საჭირო იქნება დაემატოს: ან დაბეჭდეთ მთელი ჩემი წერილი, ან მისი შინაარსიანი და სრული ამონაწერები (თორემ ბუნდოვანება გამოდის, და ვერავინ ვერაფერს გაიგებს: ლენინი მიასნიკოვის მხარდასაჭერად ხომ არ წერდაო?) [579].

5) ა. დ. ციურუპას გავუგზავნე ჩემი აზრი მის პროექტზე მცირე სახკომსაბჭოს შესახებ. ეს გულდასმით უნდა მოვიფიქროთ, შევამოწმოთ და ორგზის ავწონ-დავწონოთ**.

6) პოლიტბიუროს 20/II-ის დადგენილების § 8 სადავოდ მიმაჩნია. **არ შეიძლება** ავიყვანოთ სოკოლნიკოვი. **არ შეიძლება** [580].

---

* იხ. წინა დოკუმენტი. რედ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, დოკუმენტი 312. რედ.

7) პროექტი დეკრეტისა მუშგლეხინის შესახებ უნდა გადავაკეთოთ, მოვიფიქროთ, დავაზუსტოთ, გავაფართოოთ, ხოლო გამოვხატოთ, როგორც **მოქმედი** კანონების განმარტება და შეჯამება*.

ლენინი

P. S. უნდა გამოვიწვიოთ «პრავდაში» და «იზვესტიაში» დუჟინი სტატია თემაზე «მილიუკოვი მხოლოდ ვარაუდობს». 21/II-ის «პრავდა».

თუ დადასტურდება, აუცილებლად დავითხოვოთ 20—40 პროფესორი.

ისინი გვაბრიყვებენ.

მოვიფიქროთ, მოვამზადოთ და **მაგრად დავარტყათ**[581].

ლენინი

დაწერილია 1922 წლის 21 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

645

ნ. პ. გორბუნოვს

21/II.

ამხ. გორბუნოვ!

ორივე ჯამი შედგენილია უვარგისად[582]. უნარი არა აქვთ გამოყონ ტექნიკა ეკონომიკისაგან, დასკვნები — პიროობებისაგან.

---

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტები 629, 658 და თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 306. რედ.

წინადადებას გაძლევთ:

1) მიიღწიოთ იმას, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომაც და სახელმწიფო საგეგმო კომისიამაც მოკლე ვადაში ცალ-ცალკე მოგვცენ თავიანთი დასკვნა, პასუხისმგებელი პირების მიერ ხელმოწერილი;

2) ახლავე მიიღოთ დაზვერვის ზომები, რათა შეგვეძლოს მიხაილოვის კომისიის **ყველა** წევრისგან **სათითაოდ** და ისე, რომ მათ რაც შეიძლება ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდეთ შეუთანხმდნენ ერთმანეთს (თქვენი საქმეა მოაწყოთ ეს ჭკვიანურად: დაურეკოთ ყველას, ვინ რომელ საათებშია თავისუფალი, «დაიჭიროთ» შიკრიკების მეშვეობით **და სხვ.**), მივიღოთ წერილობითი და ხელმოწერილი შეფასება;

3) შეფასება—შედგენილი უნდა იყოს შემდეგი პროგრამით (განმარტებანი და შენიშვნები ცალკე).

1. შესაძლო მოპოვება... მლნ. მანეთისა ოქრ.

α) ახლა

β)... მლნ. მან. ოქრ. დამატებითი ხარჯისას

... წლის ვადაში

(ცალკე კიშტიმის, რიდერის, ეკიბასტუზის, ტანალიკისათვის).

2. გავართმევთ თავს უკონცესიონეროდ (ალბათ) თუ ვერა?

თუ ვერა, რატომ?

α) კაპიტალის უქონლობის გამო?

β) იმის გამო, რომ შეუძლებელია პირველხარისხოვანი მოწყობილობა ვიყიდოთ და ჩამოვიტანოთ?

ν) იმის გამო, რომ შეუძლებელია პირველი კლასის ინჟინრები დავიჭიროთ?

δ) იმის გამო, რომ შეუძლებელია ვიყიდოთ და ჩამოვიტანოთ სურსათი? ტანისამოსი? მუშები?

თუ სხვა (რა?) მიზეზებით?

3. დასკვნა: α) დავთანხმდეთ ურკარტის პირობებზე?
β) შევცვალოთ ისინი? როგორ?
ν) სრულებით უარვყოთ ისინი?

ჯერ მოახერხეთ (სწრაფად) **დაიჭიროთ** კომისიის ყველა წევრი **ცალ-ცალკე** და მიიღოთ მათგან წერილობითი პასუხი ამ კითხვებზე.

მერე მითხარით შედეგი და **შემდეგ** დავაწვეთ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და სახელმწიფო საგეგმო კომისიას [583].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 21 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

646

გ. მ. კრჟიჟანოვსკის

საიდუმლოდ

22/II.

ამხ. კრჟიჟანოვსკი!

ამხ. ტროცკი ერთ-ერთ წერილში ცენტრალური კომიტეტისადმი წერს ჩვენი საგეგმო ორგანოების გაკოტრებაზე.

ეს სწორია იმდენად, რამდენადაც, მაგალითად, სახელმწიფო საგეგმო კომისიაში მუშაობის ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი ი ს ე ლ ი მხარე, უეჭველია, სათანადოდ დ ა ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ვ ე რ ა რ ი ს.

დადგენილი არ არის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თითოეული წევრის პ ი რ ა დ ი პასუხისმგებლობა **ამა და ამ** (უმნიშვნელოვანესი) ფუნქციებისათვის. სახელმწიფო საგეგ-

მო კომისიის წევრებს შორის განაწილებული არ არის ის მუშაობა გეგმის შესრულებისადმი «საერთო მეთვალყურეობისა», ურომლისოდაც ყველაფერი=0.

და ა. შ.

დასკვნა: უნდა დავაჩქაროთ პროექტები დადგენილებისა (მოგვეცით ისინი რაც შეიძლება მალე) სახელმწიფო საგეგმო კომისიის პირად შემადგენლობაზეც, მის პრეზიდიუმზეც (15 კაცის შემადგენლობით?? ეს საქმის გაუარესებად მიმაჩნია, ვინაიდან მაშინ კ ი დ ე ვ უ ფ რ ო ნ ა კ ლ ე ბ ი იქნება პირადი პასუხისმგებლობა) და პ რ ე ზ ი დ ი უ მ ი ს ბ ი უ რ ო ზ ე ც 3 კაცის შემადგენლობით (ვნახოთ თქვენი მოსაზრებანი: ჩემი აზრით, სწორედ ეს ბიურო უნდა იყოს პრეზიდიუმი). დროებით (15. V-მდე) ვის შევაცვლევინოთ პიატაკოვი?

ბიუროს სამმა წევრმა (თუ ცენტრალური კომიტეტი დაამტკიცებს სამს: თქვენ + პიატაკოვს + ოსადჩის) ახლად უნდა დააყენოს ადმინისტრაციული ნაწილი. თუ ადმინისტრატორები იქნებიან პიატაკოვი + ოსადჩი, **ისინი** საკუთარი თავით **აგებენ** პასუხს ყოველი შეცდომისათვის (სახელმწიფო საგეგმო კომისიის ესა და ეს წევრი დანიშნული არ არის ამა და ამ საქმეზე, შემოწმებული არ არის მისი მუშაობა, დროზე არ არის მითითებული ნაკლებობა აქა და აქ და ა. შ.) *

დააჩქარეთ საბოლოო პროექტები საგეგმო ორგანოებთან სახალხო კომისარიატების დამოკიდებულებისა, ბიუროს შემადგენლობისა და ა. შ.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 22 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტ. 54, დოკუმენტი 333. რ ე დ.

647

* რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს[584]

23/II. 1922.

ძვირფასო ამხანაგებო!

ძალიან ვწუხვარ და ბოდიშს ვიხდი, რომ ავადმყოფობის გამო არ შემიძლია მოგცეთ თქვენი კრებულისათვის სტატია ან წერილი, თუმცა, ეს აუცილებლად საჭირო იყო გამეკეთებინა. ყოველივე შესაძლებელს და ზოგ რამეს შეუძლებელსაც საბჭოთა ხელისუფლება აკეთებდა, აკეთებს და გააკეთებს დამშეულთათვის დასახმარებლად. ხელს გართმევთ და სრულ წარმატებას ვუსურვებ თქვენს გამოცემას.

კომ. სალმით. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

648

ვ. მ. მოლოტოვს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის

ამხ. მოლოტოვ! ვფიქრობ, რომ ჩიჩერინი **აბსოლუტურად** მართალია, და წინადადება შემომაქვს **პოლიტბიურომ** გადაწყვიტოს: დასტურდება ჩიჩერინის თვალსაზრისი. დაპირებული აუცილებლად გადავუხადოთ ვადაზე[585].

24/II. ლენინი

დაწერილია 1922 წლის 24 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

649

ლ. ბ. კამენევს

ამხ. კამენევ! განაწესის ამბავი მომწერეთ[586]. არ შეიძლება ჩამწნილება. ხომ არ გადავწყვიტოთ ასე: ტექსტი ძველი დარჩეს. დაემატოს 5 სტრიქონი: ვაჭრობა საქონელგაცვლის ნაცვლად. ვადები (წელიწადში 2-ჯერ ან კ ი დ ე ვ უ ფ რ ო ი შ ვ ი ა თ ა დ) მივიღოთ, როგორც ადგილობრივმა პირებმა გადაწყვიტეს.

ლ ე ნ ი ნ ი

P. S. მიპასუხეთ გერმანელი ექიმის შესახებ.

პეშეხონოვის შესახებ წინადადება შემომაქვს პოლიტბიურომ მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება: 1) დაევალოს პოპოვს სამუშაო მისცეს მას სავაჭრო და სანიტარულ და არა სხვა სტატისტიკაში; 2) პოპოვს პირადად დაეკისროს პასუხისმგებლობა, რომ პეშეხონოვი არ ეხებოდეს პოლიტიკას; 3) გამოეცხადოს პოპოვს §§ 1 და 2 ზეპირად ხელწერილქვეშ, ქაღალდის მიუცემლად, სერიოზული გაფრთხილებით, რომ გამჟღავნებისათვის გავაგდებთ და სამართალში მივცემთ; 4) უნშლიხტს დაევალოს სერიოზულად ადევნოს თვალყური პეშეხონოვს; 5) ხარკოვის საგუბერნიო კომიტეტს და უკრაინის ცეკას გამოეცხადოს საყვედური (გამჟღავნებისათვის) პარტბილეთში ჩაწერით[587].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის თებერვალში,
25 რიცხვამდე

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

650

ბარათები ი. ბ. სტალინს და ლ. ბ. კამენევს წინადადებებით რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი

1

ამხ. სტალინსა და კამენევს

გთხოვთ წააწეროთ ამავე ბარათზე:

1. ეთანხმებით თუ არა ჩიჩერინს იმაში, რომ დაუყოვნებლივ გადავუხადოთ თურქებს დაპირებული? [588].

2. წავიკითხე ჩიჩერინის წინადადება ჯენუის დელეგაციის პრეზიდიუმის შესახებ. გადაჭრით უარვყოფ მას და დაჟინებით ვიცავ ჩემს წინანდელ წინადადებას [589].

გთხოვთ ამავე ბარათზე წამიწეროთ მდივნის მეშვეობით გადმოსაცემად თქვენი აზრი ორივე პუნქტზე.

ლ ე ნ ი ნ ი

2

ამხ. სტალინსა და კამენევს

დღეს გაზეთებში წავიკითხე იტალიის განცხადება ჯენუის კონფერენციის გადადების შესახებ.

განსაკუთრებული ენერგიით ვუჭერ მხარს გუშინ გამოგზავნილ ჩემს წინადადებას: დაევალოს ჩიჩერინს გაგზავნოს რაც შეიძლება მალე უაღრესად გესლიანი ნოტა წინადადებით — დაინიშნოს ზუსტი ვადა 15 მარტისათვის*. ნოტის პროექტი გაგზავნამდე აჩვენეთ პოლიტბიუროს წევრებს.

ველი პასუხს მდივანი ქალის მეშვეობით.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 25 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაბეჭდილი პირი)

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 461–462.

651

ბ. ვ. ჩიჩერინს [590]

ამხ. ჩიჩერინს ან ლიტვინოვს
პირი ამხ. მ ო ლ ო ტ ო ვ ს
(პოლიტბიუროს წევრებისათვის)

1922 წლის 25 თებერვალი.

დეპეშის გარდა დღევანდელი გაზეთების მოწინავეები რომ წავიკითხე, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ნოტა გენუის კონფერენციის ვადის უჩვენებლად გადადების გამო უნდა შევადგინოთ უაღრესად თავხედური და აბუჩად ამგდები ტონით, ისე, რომ გენუაში სილის გარტყმა იგრძნონ. ცხადია, რომ ნამდვილი შთაბეჭდილების მოხდენა შეიძლება მხოლოდ უაღრესი თავხედობით. კერძოდ, შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენი კონტრპრეტენზიების რიცხვში შეგვაქვს ხარჯები, რომლებიც მოგვივიდა იმით, რომ ამ სახელმწიფოებმა არ შეასრულეს თავიანთი თავდაპირველი ვალდებულება — შეეკრიბათ კონფერენცია დანიშნულ ვადაზე. არ შეიძლება ხელიდან გავუშვათ შემთხვევა, როცა ჩვენ შეგვიძლია თავხედური და აბუჩად ამგდები ნოტის საშუალებით მოვიგოთ ის, რომ ბურჟუაზიის მთელი პაციფისტური ელემენტები მთელ მსოფლიოში გაძლიერდებიან [591].

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

652

* სოციალისტურ აკადემიას [592]

პასუხად [1922 წლის 23 თებერვლის] № [577-ისა]*.

დიდად გმადლობთ. სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო

* ხელნაწერში ვ. ი. ლენინმა დატოვა ადგილი ნომრისა და თარიღისათვის. *რ ე დ.*

ვერასგზით ვერ შევასრულებ სოციალისტური აკადემიის წევრის მოვალეობას თუნდაც ოდნავად. არ მინდა ფიქციური ვიყო. ამიტომ გთხოვთ ამომშალოთ სიიდან ან არ შემიტანოთ წევრთა სიებში.

27/II. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 27 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

653
ბარათი ნ. პ. ბრიუხანოვს
და დავალება ნ. პ. გორბუნოვს [593]

ამხ. ბრიუხანოვ!

ახლა დაგვრჩენია შევიმუშაოთ **პრაქტიკული** წინადადებანი:

სურსათის სახალხო კომისარიატს მიეყიდოს ამდენი და ამდენი?

პურზე საქონელგაცვლისათვის მივცეთ (კრედიტად?) ამ.. დენი და ამდენი ამა და ამ პირობებით?

საწყობები გამოვიყენოთ ასე და ასე?

ხელშეკრულება ესა და ეს?

27/II. ლ ე ნ ი ნ ი

ამხ. გორბუნოვ! გაგზავნეთ და თვალყური ადევნეთ.

27/II. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 27 თებერვალს

ბარათი ნ. პ. ბრიუხანოვისადმი
პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

დავალება
ნ. პ. გორბუნოვისადმი
პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

654
ა. დ. ციურუპას

1

27/II. 1922.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს
ა. დ. ციურუპას. სახალხო მეურნეობის უმაღლესი
საბჭოს თავმჯდომარეს

პირები: პიატაკოვს (გუტი*)
მოროზოვს (გლავტორფი**)
ფინანსთა სახალხო კომისარიატს
მუშგლეხინის სახალხო კომისარიატს

ვუცხადებ ს ა ყ ვ ე დ ურ ს იმისათვის, რომ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობა არ შეასრულეს და ჰიდროტორფის საქმეზე ბიუროკრატიზმი გამოიჩინეს.

ამხ. პიატაკოვს

ამხ. მოროზოვს

ამხ. ზაქსსა და ამხ. გორბუნოვს.

ამხ. პიატაკოვს, გუტის უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელს, კი არ უნდა «ეთხოვა ჩემთვის ვერწმუნო» (მისი 22/II-ის ქაღალდი) და არ უნდა «ეთხოვა ჩემთვის ან დავაკმაყოფილო ჰიდროტორფი ხარჯთაღრიცხვის გადამეტებით, ან ნება დავრთო შევკვეცოთ მისი საქმიანობა», — ასეთი «თხოვნა» ჩემდამი სახელმწიფოებრივი ურთიერთობის ანბანის გაუგებლობაა,—არამედ უნდა ე ფ ი ქ რ ა, როგორ შ ე ა ს რ უ ლ ო ს ს ა ხ კ ო მ ს ა ბ ჭ ო ს (და არა ჩემი) 1920 წლის 30/X-ის დ ა დ გ ე ნ ი ლ ებ ა ჰიდროტორფზე [594].

თუ პიატაკოვი არ იცნობდა მას, ციხეში უნდა ჩავსვათ გუტის ის მრავალრიცხოვანი სპეცები და ჩინოსნები, რო-

---

* სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სათბობის მთავარი სამმართველო. რ ე დ.

** სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ტორფის მთავარი კომიტეტი. რ ე დ.

მელნიც მოვალენი არიან იცოდნენ, გაერკვნენ და მოაგონონ პიატაკოვს. ასეთი არამზადები ციხეში რომ არ ჩავსვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ წავახალისოთ ბიუროკრატიზმი, რომელიც სულს გვიხუთავს.

სახკომსაბჭოს 1920 წლის 30. X-ის დადგენილება ცხადყოფს, რომ, როცა ძნელ მდგომარეობაში იყო, პიატაკოვს № 00770 ქაღალდით (22. II-ისა) ფორმალური პასუხი კი არ უნდა გაეცა, არამედ დაუყოვნებლივ მოეწვია (ან სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისათვის, ან ა. დ. ციურუპასათვის ეთხოვა მოეწვია) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს +ფინანსთა + მუშგლეხინის სახალხო კომისრების თათბირი, რათა მყისვე შეემუშავებინათ შრომისა და თავდაცვის საბჭოს და სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი (ამდენი და ამდენი აიღონ ცუტორფისაგან* ან გლავტორფისაგან, ამდენი და ამდენი გუტისაგან ჰიდროტორფისათვის, ამდენი და ამდენი ასიგნებულ იქნეს ხარჯთაღრიცხვის გადამეტებით, ამდენითა და ამდენით შემცირდეს ჰიდროტორფის პროგრამა).

ეს პიატაკოვს უნდა გაეკეთებინა სახკომსაბჭოს 1920 წლის 30. X-ის დადგენილების შესასრულებლად, იმ დადგენილებისა, რომელიც ყველა სახალხო კომისარიატს ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ს ხ დ ი ს სინამდვილეში ცნონ ჰიდროტორფი **«უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონედ»** და გამოიყენონ მის მიმართ **«ყველა შეღავათი»**...

ამხ. მოროზოვი მოვალე იყო 22. II-ის წმინდა საკინკლაო ხასიათის ქაღალდი კი არ დაეწერა (№ 184/ლ, შემოს. წიგ.: 22/II. 1922), რომელშიც ავტორი უმართებულოდ წუწუნებს ნაცვლად საქმიანი წინადადებებისა, არამედ სასწრაფოდ ეშუამდგომლა ასეთი თათბირის მოწვევის შესახებ (და ეჩივლა მისი ოდნავი დაგვიანების გამო).

ამხ. ზაქსი და ამხ. გორბუნოვი, მათ რომ ესმოდეთ თავი-

* სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სათბობის მთავარი სამმართველოს ტორფის მრეწველობის ცენტრალური სამმართველოსაგან. **რ ე დ.**

ანთი მოვალეობა, როგორც საქმეთა მმართველობის წევრებისა, და მათ რომ არ ამოქმედებდეთ ყოვლად ფუჭი ქაღალდების ურთიერთგაცვლის სულისკვეთება, მოვალენი იყვნენ მოენახათ სახკომსაბჭოს 1920 წლის 30. X-ის დადგენილება და თვითონ ამოეკითხათ იქიდან ერთადერთი სწორი, ერთადერთი კანონიერი გზა: სახალხო კომისრების თათბირის დაუყოვნებლივ მოწვევა. ზაქსისა და გორბუნოვის ქაღალდები გარეგნულადაც დაუდევრადაა შედგენილი, ვინაიდან არც კანონთან არის შეჯერებული, არც 2 სტრიქონით ჰიდროტორფის განაცხადია გადმოცემული, არც ამ გადმოცემისა და ჩემი მონიშვნის თარიღი. თუ ერთხელ კიდევ გამოიჩინეს ასეთი დაუდევრობა, ზაქსსაც და გორბუნოვსაც სამსახურიდან დავითხოვ.

გთხოვთ, ამხ. ციურუპა, დაუყოვნებლივ ჩამოართვათ ხელწერილი ზემოხსენებულ ამხანაგებს, რომ საყვედური მათ გამოცხადებული აქვთ, და წინადადება მისცეთ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, ფინანსთა და მუშგლეხინის სახალხო კომისრებს ახლავე, თუ შესაძლებელია სამშაბათს, 28/II-ს, და არამც და არამც ოთხშაბათზე, 1/III-ზე გვიან, დილით ადრე შეკრიბონ თათბირი პირადად სახალხო კომისრების მონაწილეობით (თუ სრულიად შეუძლებელია და საამისო საპატიო მიზეზია, თავიანთ ნაცვლად გაგზავნონ საკვესებით კომპეტენტური ამხანაგები, რომლებსაც შეუძლიათ გადაწყვიტონ სახალხო კომისრების მაგიერ) ჰიდროტორფის, აგრეთვე, რა თქმა უნდა, გუტისა და გლავტორფის წარმომადგენლების მონაწილეობით.

თათბირის ამოცანა: არა მარტო გარეგნულად, არამედ არსებითად შევასრულოთ სახკომსაბჭოს 1920 წლის 30/X-ის დადგენილება და ვეცადოთ დავაკმაყოფილოთ ჰიდროტორფი მაქსიმალურად (თუ არ შეიძლება 100%-ით, მაშინ აუცილებლად ისე მაინც, რომ მის 1922 წლის სამუშაოთა მთავარი ნაწილი შესრულებულ იქნეს ბოლომდე). ჰიდროტორფი უნდა დავაკმაყოფილოთ ნაწილობრივ ცუტორფისა და გუტის ხარჯზე, ნაწილობრივ ხარჯთაღრიცხვის გადამეტებით.

თათბირმა აუცილებლად დაამთავროს მუშაობა 1. III-ის საღამოსათვის და შეიტანოს საკითხი შრომისა და თავდაცვის საბჭოს განმკარგულებელ სხდომაზე 1. III-ის საღამოს, რათა შემდგომ დაამტკიცოს შრომისა და თავდაცვის საბჭომ და სახკომსაბჭომ [595].

გთხოვთ დაავალოთ სამდივნოს განსაკუთრებით მკაცრად და პირადად შეამოწმოს ამ განკარგულების შესრულების სისწრაფე და სისწორე.

შეგნებულ რევოლუციონერებს, გარდა თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისა, უნდა ეფიქრათ ეკონომიურ მიზეზებზე, რომლებმაც აიძულა სახკომსაბჭო ეცნო ჰიდროტორფი «უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონედ».

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

2

ამხ. ციურუპა!

გიგზავნით ჩვენი საზიზღარი გამჭიანურებლობისა და გონებაჩლუნგობის ნიმუშს!

ეს კი **ჩვენს საუკეთესო** ადამიანებს დაემართათ, პიატაკოვს, მოროზოვს და სხვ.!

ჩაკლავდნენ საქმეს, შოლტი რომ არა.

ძალიან გთხოვთ სასწრაფოდ შეუტიოთ მთელი ძალღონით, დაარტყათ დამნაშავეებს ერთხელ კიდევ რაც შეიძლება მაგრად და **მიაღწიოთ** (გორბუნოვისა და ლეპეშინსკაიას მეშვეობით, რომელსაც ვუბრძანე მოამზადოს 1920 წლის 30/X-ის დეკრეტი და სხვა მასალები თქვენთვის), მიაღწიოთ შესრულებას **ახლავე**. მივცეთ ჰიდროტორფს თუ 100% არა, 90% მაინც.

თქვენი ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

655
* ნ. პ. გორბუნოვს

აჩვენეთ სოკოლნიკოვსა და შეინმანს და ჩააბარეთ არქივში. (რუტინიორობა და ცრუმეცნიერობაა. ლენინის სუნი ასდის.) [596]

28/II. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 28 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

656
ბარათი გ. ი. სოკოლნიკოვს
და დავალება ნ. პ. გორბუნოვს

ამხ. სოკოლნიკოვ!

აქ მთავარია 1) ეს «გარანტიები». საჭიროა ჯერ შევიმუშაოთ ისინი და **შევამოწმოთ** ორგზის და სამგზის;

2) ჩვენს «აპარატში». შევამჩნევთ? თვალყურს ვადევნებთ? ვერა. სუყველაფერს გ ა ი ტ ა ნ ე ნ [597].

28/II. ლ ე ნ ი ნ ი

ნ. პ. გორბუნოვს:

გაუგზავნეთ ჩემი მინაწერის პირი კამენევს
+ მოლოტოვს,
სტალინს,
ციურუპას.

მე კი ერთხელ კიდევ მომაგონეთ.

დაწერილია 1922 წლის 28 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

657
ნ. პ. გორბუნოვს

ამხ. გორბუნოვ! მე არ შემიძლია დეტალურად ჩავწვდე[598]. კიდევ დამატებით დაამუშავეთ (თვითონ ან ზაქსის, სმოლიანინოვის, ან ნესტეროვის მეშვეობით) და აჩვენეთ ა. დ. ციურუპას, ხოლო მისი დასკვნით — ერთხელ კიდევ მე.

NB: **აი, ჩემი აზრით,** მთავარი **პუნქტები,** რომლებიც უნდა შევამოწმოთ და ამოვწეროთ და თვალყური ვადევნოთ.

დანარჩენი, **ვგონებ,** ვერმიშელია.

28/II. ლენინი

1) ფართობის ოდენობა? დესეტინა?
2) პროდუქტის ღირებულება წელიწადში? დაახლოებით.
3) ჩვენი უპირატესობა? (კრასინის § XIII) შევამოწმოთ!
4) უცხოელთა წილი? (კრასინის § XIV).
   შევამოწმოთ!
5) კრასინის § XV დიდმნიშვნელოვანია[599].

P. S. გაიგეთ და მითხარით, **საბოლოო** ხელშეკრულებებია თუ არა ეს? ძალაში შევიდა თუ არა?

ლენინი

დაწერილია 1922 წლის 28 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

658
ბარათი დ. ი. კურსკის და დავალება ნ. პ. გორბუნოვს

ამხ. კურსკი!

დაამზადეთ ამის პროექტი სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსთან ერთად[600].

28/II. ლენინი

კანონმდებლობას კი უნდა ვეწეოდეთ სამმაგი სიფრთხილით. **შვიდჯერ გაზომე!** იახონტოვის თაობაზე **ძ ა ლ ი ა ნ** მეეჭვება. შეამოწმეთ პირადად ორგზის და სამგზის და მრავალგზის.

ლ ე ნ ი ნ ი

ამხ. გორბუნოვ! გადააწერინეთ ჩემი მინაწერი და გაუგზავნეთ კურსკის.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 28 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

659

ვ. მ. მოლოტოვს
რაკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის

1922 წლის 28 თებერვალი

ამ ხ. მ ო ლ ო ტ ო ვ ს

(პოლიტბიუროს წევრებისათვის)

გთხოვთ ტელეფონით შეეკითხოთ პოლიტბიუროს წევრებს შემდეგ საკითხზე: იმისათვის, რომ დავაჩქაროთ საკითხი გენუის კონფერენციაზე წარსაგზავნი [დელეგაციისადმი]* ცენტრალური კომიტეტის დირექტივის შესახებ, წინადადება შემომაქვს თავდაპირველი პროექტი ამ დირექტივისა,

* ჩასმულია ჩაწერისას გამოტოვებული სიტყვა, რომელიც აუცილებელია აზრის მიხედვით. რ ე დ.

რომელიც, ეტყობა, დიდ კამათს არ იწვევს პოლიტბიუროს წევრებს შორის, დღესვე გავუგზავნოთ ჩიჩერინს, ოღონდ მან პირი არ გადაიღოს და დოკუმენტი სრულიად საიდუმლოდ შეინახოს, მაგრამ ამასთანავე მიიღოს ზომები, რომ დელეგაციის ყველა წევრი, საერთო კრების გზით თუ როგორმე სხვანაირად, დღესვე გაეცნოს ამ პროექტს. მაშინ საკითხის განხილვამ შეიძლება ბევრი მოიგოს სისწრაფის მხრივაც და გარკვეულობის მხრივაც. შეიტანონ წერილობითი შესწორებანი ამ პროექტში [601].

ლ ე ნ ი ნ ი

წაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

660

მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის შესახებ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების პროექტზე გაკეთებული მონიშვნები და წერილი ი. ბ. სტალინს [602]

პ რ ო ე ქ ტ ი

დადგენილება სრულიად რუსეთის
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სრ ულ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ მ ა
ა ღ მ ა ს რ უ ლ ე ბ ე ლ მ ა კ ო მ ი ტ ე ტ მ ა დ ა ა დ გ ი ნ ა:

1)

დაეკისროს მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატს კონტროლსა და მეთვალყურეობას უწევდეს უკლებლივ ყველა საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციის, დაწესებულებისა და საწარმოს საქ-

მიანობას მათ მიერ სახელმწიფო ორგანოების წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების თვალსაზრისით.

2)

ამის შესასრულებლად მუშგლეხინის სახალხო კომისარიატს უფლება ენიჭება:

1. გაუწიოს შემდგომი კონტროლი მთელ იმ ფულად და მატერიალურ სახსრებს, რომლებსაც

3)

სახელმწიფო აძლევს ზემოხსენებულ ორგანიზაციებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს მათი დაფინანსების, სუბსიდირებისა და დაკრედიტების წესით ან რომლებიც ეძლევათ მათ მიერ სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულებით, და შეამოწმოს ამ ვალდებულებებიდან გამომდინარე მთელი მოქმედება...

ამხ. სტალინს

არ ვარგა.

1) კი არ «დაეკისროს», არამედ განემარტოს მოქმედი კანონები და მათი უსრულობა ამა და ამ აზრით.

2) არა მარტო ამ თვალსაზრისით. კანონიერების თვალსაზრისითაც. ახალი კანონებისათვის მასალების შეკრების თვალსაზრისითაც. და ბევრი სხვა თვალსაზრისითაც.

3) არა მარტო იმ სახსრებისა, რომლებსაც «სახელმწიფო აძლევს».

ძალიან საჭიროა!! საჭიროა ერთხელ კიდევ გადააკეთოთ. მოიფიქრეთ სამგზის უფრო გულდასმით. მოახდინეთ დეტალიზაცია ბევრად უფრო დაწვრილებით. გადმოეცით ისე, რომ ყველაფერს ჰქონდეს არა ახალი დეკრეტის, არამედ **ძველების** განმარტებისა და შეკრების სახე. გატარდეს ს ა ხ კ ო მ ს ა ბ ჭ ო შ ი და, ვინმეს საჩივრის გამო, დაადასტუროს **სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა.**

საჭიროა! **ს ა ჭ ი რ ო ა!!**

გთხოვთ გადაკეთების შემდეგ გამომიგზავნოთ ესეც და ახალი პროექტებიც.

ლენინი

დაწერილია 1922 წლის 28 თებერვალსა
და 16 მარტს შუა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

661

* ჰიდროტორფში მომუშავე ამხანაგებს

ჩემი დახმარების მეოხებით თქვენ ახლა მიიღეთ ის, რაც აუცილებელია თქვენი სამუშაოებისათვის*. მთელი ჩვენი სიღარიბისა და უბადრუკობის მიუხედავად, ადრე მოცემული თანხების დამატებით თქვენთვის ასიგნებულია კიდევ დიდი თანხები.

უსასტიკესად იზრუნეთ:

1. რომ რაიმე არ გააკეთოთ ფუჭად,

2. რომ არ გამოედევნოთ იმაზე მეტს, რის საშუალებასაც მოცემული სახსრები იძლევა,

3. რომ თქვენ მიერ წარმოებული ცდები მაქსიმალურად დამაჯერებელი იყოს და საბოლოოდ მოგვცეს პასუხი ტორფის მოპოვების ახალი წესის პრაქტიკულ და სამეურნეო ვარგისობაზე,

4. უაღრესი ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ წარმოებდეს ანგარიშგება თქვენთვის მოცემული თანხების ხარჯვაზე.

---

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 624. რედ.

ანგარიშგება ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ შეიძლებოდეს მსჯელობა მოპოვებული ტორფის ღირებულებაზე.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1922 წლის 2 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში «ლენინი სამეურნეო ფრონტზე. მოგონებათა კრებული». მოსკოვი

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

662

წერილი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შენიშვნებით ფინსახკომის თეზისებზე

ამხ. მოლოტოვს პოლიტბიუროს წევრებისათვის

1922 წლის 3 მარტი

სოკოლნიკოვის თეზისები («საფინანსო პროგრამის ძირითადი დებულებანი»), ჩემი აზრით, ცუდი როდია, მაგრამ თეორიულია.

ერთ პუნქტს (§ 12-ის დასაწყისი) ცალკე ვარკვევ და მის შესახებ ცალკე მოგწერთ.

დანარჩენზე წინადადება შემომაქვს: მივცეთ აზრის გამოსათქმელად სახელმწიფო საგეგმო კომისიას, პრეობრაჟენსკისა და კრასნოშჩოკოვს. შემდეგ დავბეჭდოთ კუპიურებით (ამოვაგდოთ ჯერჯერობით ნატურალური გადასახადის შეცვლა ფულადი გადასახადით და სხვ.).

ახლა კი საქმის არსზე. მთავარი, ჩემი აზრით, ორი რამეა:

1) როგორ მოვნახოთ ჭკვიანი და მრისხანე ადამიანები ყველა სახალხო კომისარიატის (პლუს მოსკოვის, პლუს პეტროგრადის საბჭოები) **სადევნელად**: შეამცირეთ შტატები ნამდვილად და მკაცრად;

2) როგორ ვასწავლოთ ჩვენს ბიუროკრატ-«ტორგებს» (მათ შორის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, მოსტორგს, პეტროტორგს და სხვ. და ა. შ.), რომ საქმე კი არ აჭიანურონ, არამედ ივაჭრონ.

ხომ არ დავავალოთ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს მიიღოს დადგენილება:

ყველა სახალხო კომისარიატს პლუს მოსკოვისა და პეტროგრადის საბჭოებს ევალებათ ერთი კვირის ვადაში წარმოადგინონ პროექტი დადგენილებისა იმის შესახებ, რომ მოსამსახურენი (ყველა, ვინც დაკავშირებულია ეკონომიკასთან) გადაყვანილ იქნენ ტანტიემებზე ბრუნვიდან და მოგებიდან, ამასთან სასტიკად ისჯებოდნენ ზარალიანობისათვის, მოდუნებულობისათვის, შეცდომებისათვის, და რომ მათვე ეკისრებათ სავაჭრო შეკითხვებზე პასუხს იძლეოდნენ 3—6 საათში სულ მცირე 5 წლის ციხის შიშით.

დადგენილების საუკეთესო პროექტისათვის დაწესდეს პრემია 100 000 მანეთი ოქროთი, რაც გაიცემა ამ დადგენილების **წარმატებების** ერთი წლის გამოცდის შემდეგ, ამასთან წ ა რ მ ა ტ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ნ ტ ო ბ ი თ (100% წარმატება=100% პრემია, 1% წარმატება=1% პრემია).

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

663

წერილი ლ. ბ. კამენევს [60]

3. III. 1922 წ.

ამხ. კამენევ!

მე საკმაოდ დიდხანს ვფიქრობდი ჩვენს საუბარზე (თქვენთან, სტალინთან და ზინოვიევთან), რომელიც შეეხებოდა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და კრასინისა და სოკოლნიკოვის ხაზს.

ჩემი დასკვნაა — უთუოდ მართალია კრასინი. არ შეიძლება ახლა იმაზე უფრო შორს დავიხიოთ უკან საგარეო ვაჭრობის მონოპოლიიდან, ვიდრე წინადადებას იძლეოდა და იძლევა ლეონავა თავის თეზისებში. ეორეულ უცხოელები შეისყიდიან და გაიტანენ ყოველივე ფასეულს.

სოკოლნიკოვი აქაც და მთელ თავის მუშაობაშიც სჩადის გიგანტურ შეცდომას, რომელიც ჩვენ დანამდვილებით დაგვღუპავს, თუ ცოტამ დროზე არ გამოასწორა მისი ხაზი და არ მიალწია გამოსწორებული ხაზის ნამდვილად შესრულებას. ეს შეცდომაა განყენებულობა, სქემით გატაცება (რითაც ყოველთვის ცოდავდა სოკოლნიკოვი, როგორც ნიჭიერი ჟურნალისტი და გატაცებული პოლიტიკოსი). მაგალითი: სოკოლნიკოვი გვთავაზობს საზღვარგარეთიდან რუსეთში სურსათის შემოტანის შესახებ დეკრეტის პროექტს. და გაკვრით ამბობს დეკრეტში: «გარანტიები» კი ცალკეო (ე. ი. იმის გარანტიები, რომ რუსეთიდან თითქოს სურსათზე გადასაცვლელად გატანილი ფასეულობანი მართლაც და მთლიანად სურსათს მოხმარდება).

ეს ხომ პირდაპირ ბავშვობაა!

საკითხის მთელი არსი გარანტიებია, სოკოლნიკოვს კი უნდა სწორედ არსი «გადადოს» და სჯერდება ფრაზას ან კეთილ სურვილს.

რა რეალური გარანტიები შეიძლება?

საწინდარი?

იფიქრეთ, რას ნიშნავს ეს:

1) მე მინდა საზღვარგარეთ ვიყიდო 100 000 ოქროს მანეთის სურსათი. მე ეს თანხა სახელმწიფო ბანკში შემაქვს როგორც საწინდარი?

მაშინ მთელი წინანდელი გამჭიანურებლობა (თუ არ «ვასწავლეთ» საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს და კომპანიას ხელი აიღონ საქმის გაჭიანურებაზე) დარჩება.

შემდეგ. სად არის იმის «გარანტიები», რომ, როცა საზღვარგარეთ 100 000 მანეთს ვგზავნი ოქროთი, იქიდან 20 000 მანეთს ოქროთი ფიქციურად არ ვგზავნი? ფასების შემოწმება? ვინ ამოწმებს? როგორ? ბიუროკრატიული უტოპიაა!

სოკოლნიკოვის პროექტმა დაამტკიცა, რომ ჩვენს საყვარელ, ნიჭიერ და უაღრესად დასაფასებელ ამხ. სოკოლნიკოვს ვაჭრობის პრაქტიკაში არაფერი გაეგება. და დაგვღუპავს, თუ გასაქანი მივეცით.

უდიდესი შეცდომაა ფიქრი, რომ ნეპმა ბოლო მოუღო ტერორს. ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ტერორს და ეკონომიურ ტერორსაც.

უცხოელები უკვე ახლა ქრთამებით ეწევიან ჩვენი ჩინოვნიკების მოსყიდვას და «გააქვთ რუსეთის ნაშთები». გაიტანენ კიდევაც.

მონოპოლია თავაზიანი გაფრთხილებაა: ჩემო კარგებო, დადგება მომენტი და მე თქვენ ამისათვის ჩამოგახრჩობთ.

უცხოელები, რაკი იციან, რომ ბოლშევიკები არ ხუმრობენ, ამას სერიოზულად უწევენ ანგარიშს.

ამიტომ.

1) არავითარ შემთხვევაში არ გამოვუთხაროთ ძირი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას;

2) ხვალვე მივიღოთ ლეჟავას თეზისები;

3) ახლავე გამოვაქვეყნოთ (უამრავი დრო დავკარგეთ) სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სახელით მტკიცე, ცივი, მრისხანე განცხადება, რომ უკან აღარ ვიხევთ ეკონომიკაში და რომ იმათ, ვინც ცდილობს მოგვატყუოს (ან გვერდი აუაროს მონოპო-

ლიას და სხვ.), ტერორით შევხვდებით; ეს სიტყვა არ ვიხმაროთ, მაგრამ «ფაქიზად და თავაზიანად გადაკვრით მივუთითოთ» ამაზე.

თუ ამას სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მეშვეობით არ გავაკეთებთ, შეიძლება სხვანაირად (ჩემი წერილი? ეს უარესია!), მაგრამ **საჭიროა** გავაკეთოთ და მალეც. შემდეგ, სათქვენო მაგალითი.

მოსკოვის საგუბერნიო ეკონომთათბირის წინადადებაა საბჭოთა მანეთებზე ვიყიდოთ კონსერვები (ან საერთოდ საჭმელი). ორი კვირაა ელაპარაკებიან საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს. ის წინააღმდეგია.

გარიგება ჩაშლილია.

დასკვნა?

უფლებები მივცეთ საგუბერნიო ეკონომთათბირებს? ეს ნიშნავს მოვახდინოთ საგარეო ვაჭრობის ცუდი სახალხო კომისარიატის «დუბლირება» საგარეო ვაჭრობის ცუდი პატარ-პატარა ორგანოებით, რომელთაგან 90%-ს მოისყიდიან კაპიტალისტები

მეორე დასკვნა: ხელი ავიღოთ დეკრეტობანაზე (იყო საჭირო ხანა დეკრეტებით პროპაგანდისა; ეს საჭირო იყო რევოლუციის წარმატებისათვის. ამან განვლო).

არავითარი ნდობა არც დეკრეტებს, არც დაწესებულებებს. მხოლოდ შევამოწმოთ პრაქტიკა და ვხედნოთ საქმის გაჭიანურების გამო.

ოღონდ ამას ხელი უნდა მოჰკიდონ ჭკვიანმა ადამიანებმა. დანარჩენზე კი დავსხათ... დანარჩენები.

ჩემი წინადადება იქნებოდა: დაევალოს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ახლავე მიიღოს შემდეგი დადგენილება:

უმსგავსობისათვის, რაც დაშვებულ იქნა გარიგებაში (ამასა და ამაში) საბჭოთა მანეთებზე საჭმლის ყიდვის შესახებ, სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ებრძანოს **(უნდა შევა-**

შინოთ!) მოძებნოს ის პირები, რომლებსაც ბრალი მიუძღვით საქმის გაჭიანურებაში, და 6 საათით ციხეში ჩასვას მოსკოვის საგუბერნიო ეკონომთათბირში მომუშავენი და 36 საათით — საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში მომუშავენი (რა თქმა უნდა, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს გარდა: ჩვენ ხომ თითქმის პარლამენტური ხელშეუხებლობა გვაქვს).

შემდეგ პრესას დავავალოთ სასაცილოდ აიგდოს ერთნიცა და მეორენიც და გათათხოს ისინი. ვინაიდან აქ სამარცხვინო სწორედ ის არის, რომ მოსკოველებს (მოსკოვში!) უნარი არ ჰქონდათ ებრძოლათ საქმის გაჭიანურებასთან. ამისთვის ჯოხით უნდა ვცემოთ.

«უნარი არ შესწევდათ» გაეგზავნათ ტელეფონოგრამა:

> «ხელსაყრელი საჩქარო გარიგებაა. მოვითხოვთ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისაგან პასუხს 3 საათში. პირი მოლოტოვს ცეკასათვის, ციურუპას და ენუქიძეს სახკომსაბჭოსათვის და სრულიად რუსეთის ცაკისათვის».

პასუხი არ არის 3 საათში? ასეთივე 4 სტრიქონი საჩივარი ტელეფონით.

იდიოტები კი ორი კვირაა დადიან და ლაპარაკობენ! ამისათვის გამონაკლისებს კი არ უნდა ვქმნიდეთ, **არამედ ციხეში უნდა ვალპობდეთ**. მოსკოველები სისულელისათვის 6 საათით ვირის აბანოში. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მუშაკები სისულელისათვის პლუს «ცენტრალური პასუხისმგებლობისათვის» 36 საათით ვირის აბანოში.

ასე და მხოლოდ ასე უნდა ვასწავლიდეთ. თორემ ადგილობრივი და ცენტრალური საბჭოთა მუშაკები ვერაფერს ისწავლიან. თავისუფლად ვერ ვივაჭრებთ: ეს რუსეთის დაღუპვაა.

ჩვენი ჩინოსნების ტანტიემებზე გადაყვანა შეგვიძლია და ვისწავლით: ამა და ამ გარიგებიდან ესა და ეს პროცენტი (პროცენტის წილი) შენია, უქნარობისათვის კი — ციხე.

და შევცვალოთ ადამიანები საგარეო ვაჭრობის სახალხო

კომისარიატში. ასევე მოვექცეთ ჩვენს სახელმწიფო ტრესტებს, სადაც «სათავეში დგანან» სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უბადრუკი წმინდანი წევრები და «განთქმული» კომუნისტები, რომლებსაც საქმოსნები ატყუებენ.

ბრძანება ფინსახკომისადმი: ან შენ სახელმწიფო ბანკის მეშვეობით შეძლებ ამ უბადრუკი წმინდანი კომუნისტების გარეკვას ტრესტებიდან (კრედიტს არ გაძლევ; სამართალში გაძლევ ვადის გადაცილებისათვის, უგერგილობისათვის და სხვ.), ან მთელი შენი ფინსახკომი და სახელმწიფო ბანკი არაფრად არ ვარგა, მარტო ლაყბობა და ქაღალდობანაა.

ასე უნდა გადაკეთდეს აგრეთვე სახკომსაბჭოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს (მე უკვე მივწერე ციურუპას და შევიმუშავე სათანადო დირექტივის პროექტი*) და პ ო ლ ი ტ ბ ი უ რ ო ს მუშაობა, თორემ დაღუპვა გარდაუვალია.

ძალიან გთხოვთ მისცეთ ეს ს ა ი დ უ მ ლ ო დ წასაკითხავად პოლიტბიუროს წევრებსა და მოლოტოვს და დამიბრუნოთ თითოეულის მიერ თუნდაც ორი სიტყვის მონიშვნით.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

664

წერილი ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის

1922 წლის 3 მარტი

ამხ. მოლოტოვს პოლიტბიუროს წევრებისათვის
პირები: ამხ. პიატაკოვსა და ამხ. სოკოლნიკოვს

გიგზავნით მრეწველობის დაფინანსების საკითხზე იმ თათბირის ოქმს, რომელიც მოწვეულ იქნა სახკომსაბჭოს

* იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, დოკუმენტი 313. რ ე დ.

თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ციურუპას დავალებით ამა წლის 3 მარტს.

გთხოვთ დაუგზავნოთ იგი პოლიტბიუროს ყველა წევრს და სასწრაფოდ დააყენოთ პოლიტბიუროში საკითხი მრეწველობის დაფინანსების შესახებ.

მომხსენებლებად გამოწვეულ იქნენ ამხანაგები პიატაკოვი და სოკოლნიკოვი [604].

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

665

ბარათი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს [605]

პოლიტბიუროს წევრებს

სოკოლნიკოვი მიზანში ვერ ახვედრებს. არის იმის გარანტიები, რომ ყოველივე ფასეულს არ **გაიტანენ?**

ეს გარანტიები არ არის.

ახლა იპარავენ; მართალია; მოდით **ვისწავლოთ როგორ დავიჭიროთ** ქურდობისათვის, ნუკი ვუადვილებთ მოპარვას მდიდარ უცხოელებს.

ლენინი

5/III.

დაწერილია 1922 წლის 5 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

666

ნ. პ. გორბუნოვს

5. III. 1922 წ.

საიდუმლოდ

ამხ. გორბუნოვ!

თანდართულ წიგნზე მინდოდა მოვლაპარაკებოდი უნშლიხტს [606].

ჩემი აზრით, ეს ჰგავს «თეთრგვარდიული ორგანიზაციის ლიტერატურულ საფარველს».

ელაპარაკეთ უნშლიხტს არა ტელეფონით, და მან საიდუმლოდ მომწეროს, წიგნი კი დამიბრუნოს.

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

667

გ. ლ. პიატაკოვს

გუტის უფროსს ამხ. პიატაკოვს
პირი — სახელმწიფო საგეგმო კომისიის
პრეზიდიუმს

ჰიდროტორფისათვის დიდი სახსრების ასიგნებასთან დაკავშირებით თქვენ გლავტორფის ხარჯთაღრიცხვით უნდა გაგითავისუფლდეთ ზოგიერთი კრედიტი, რომელიც ნავარაუდევი გქონდათ ამ ასიგნებამდე ჰიდროტორფისათვის გამოგეყოთ.

გთხოვთ, ამ განთავისუფლებული კრედიტების ნაწილის ხარჯზე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ ტორფის

სამუშაოთა გაძლიერებას ასაგებად ნავარაუდევი ივანოვო-კოზნესენსკის რაიონული ელექტროსადგურის რაიონში, რის შესახებ არის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის სათანადო დადგენილებანი 1921 წლის დეკემბრისა და 1922 წლის თებერვლისა*.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

დაწერილია 1922 წლის 5 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

668

ვ. მ. მოლოტოვს
რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის

ამხ. მოლოტოვს

წინადადებას ვიძლევი შევკრიბოთ პოლიტბიუროს წევრთა ხმები, რომ დაუყოვნებლივ უყარონ კენჭი შემდეგ წინადადებას (რომელზეც მე უკვე წინასწარ გამოველაპარაკე სტალინს და კამენევსა და ზინოვიევს):

1) დაევალოს ამხანაგ რუძუტაკს დაუყოვნებლივ წავიდეს სანატორიუმში და ყრილობამდე** არ წამოვიდეს იქიდან, ამასთან უსასტიკესად დაიცვას რეჟიმი.

2) დაევალოს ექიმ... (რა ჰქვია იმას, რომელიც ცენტრალურ კომიტეტთან არის? ხოლო თუ ის არ არის, მაშინ სემაშკოს) დაუყოვნებლივ მოაწყოს გაძლიერებული კვება და მკურნალობა რუძუტაკისათვის, როგორც ტუბერკულოზით ავადმყოფისათვის, ერთ-ერთ

* იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 516. რ ე დ.
** იგულისხმება რკპ (ბ) XI ყრილობა. რ ე დ.

საუკეთესო სანატორიუმში, რომ მან პარტიის ყრილობამდე და პლენუმამდე (24/III) მოასწროს რაც შეიძლება მეტი იმკურნალოს და დაისვენოს [607].

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 6 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

669

ს. ე. ჩუცკაევს

ციმბირის რევკომი, ამხ. ჩ უ ც კ ა ე ვ ს

გიგზავნით მ. ბაგაევის წერილს. გაკალებთ შეამოწმოთ მის წერილში გადმოცემული ფაქტები, გამოიძიოთ მოსავალთან შეუფარდებელი განაკვეთების დანიშვნის მიზეზი და დასაჯოთ სასურსათო გადასახადის აკრეფისას ძალაუფლების გადამეტებასა და გლეხების წამებაში დამნაშავე პირები, აგრეთვე გამოარკვიოთ ნოვო-ნიკოლაევსკის გუბერნიის სხვა თემებშიც გადასახადის აკრეფის სურათი.

საჭიროა მიღებულ იქნეს განსაკუთრებით ენერგიული ზომები თესლით იმ ადგილების სრული უზრუნველყოფისათვის, რომლებიც სასურსათო გადასახადის არასწორად აკრეფისაგან დაზარალდნენ.

შესრულების შესახებ მოგწერეთ [608].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1922 წლის 6 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

670

ლ. მ. ხინჩუკს [609]

პირები გორბუნოვსა და სმოლიანინოვს

ამხანაგო ხინჩუკ!

კოოპერატორების მიღება არ შემიძლია ავადმყოფობის გამო. ხვალ დაიბეჭდება ჩემი სიტყვა, სადაც ამ ავადმყოფობაზე ვლაპარაკობ*. კოოპერატორებზე ვშიშობ, ხომ არ გაბერეს ფიქციურად თავიანთი პასივი, როცა თქვენ გადმოგცემდნენ. გადავცემ თქვენს ბარათს გორბუნოვსა და სმოლიანინოვს და გთხოვთ აქტივისა და პასივის საბოლოო ზუსტი გაანგარიშება გამოგზავნოთ მათსავე სახელზე, რომ მათ შედეგი მაცნობონ.

როგორია საქმის ვითარება იმ სესხის მხრივ, რომელსაც თქვენ გამგზავრებისას მოელოდით საზღვარგარეთის კოოპერაციისაგან?

დაველოდები თქვენს მოკლე ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდება კოოპერაციის აპარატი რუსეთში (მხედველობაში მაქვს მხოლოდ ძველი ციფრები: სექტემბერი — 1 მილიონი, ოქტომბერი — 3, ნოემბერი — 6 მილიონი მანეთი ოქროთი). გაქვთ თუ არა ახლა 10-დღიური ცნობები? გაქვთ თუ არა ზუსტი ცნობები იმაზე, თუ რამდენი საგუბერნიო კავშირი გიგზავნით სწორ ანგარიშებს და რამდენი არ გიგზავნით? იყენებთ თუ არა კოოპერაციის მუშაკთა ხელფასის ანაზღაურებას მათი ბრუნვის ოდენობის და იმის მიხედვით, თუ რა წარმატება მოიპოვეს, რაც გამოიხატება ჩვენს აპარატზე გაწეული ხარჯების პროცენტის შემცირებით?

გთხოვთ სულ მოკლე ფორმით მომცეთ პასუხი ამ კითხ-

---

* იგულისხმება სიტყვა «საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 241—261). რ ე დ.

ვებზე და დამატებით მაცნობოთ, შემოწმების რა სერიოზულ ზომებს იღებს «ცენტროსოიუზის» გამგეობა იმისათვის, რომ ჩვენი კოოპერაცია მართლაც კომერციული ორგანო იყოს და არა ბიუროკრატიული. ტიხომიროვის წერილმა, რომელიც მე ამას წინათ მივიღე და რომელზეც ვუპასუხე*, საკმაოდ ბევრი ეჭვი აღძიძრა ამის თაობაზე, სწორედ ისევე, როგორც ყოველკვირეული გაზეთის «კოოპერატივნოე დელოს»** გამოცემის ცდამ. ალბათ თქვენთან შეუფერებლად მაღალ ადგილებზე სხედან ბიუროკრატები და ინტელიგენტები, რომლებსაც შეუძლიათ ქაღალდობანა და გაზეთობანა ითამაშონ, ვაჭრობის უნარი კი არა აქვთ.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 7 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

671

ე. ს. ვარგას [610]

8/III.

ძვირფასო ამხანაგო ვარგა!

მე ავადა ვარ. სრულებით **არ ძალმიძს** ვიკისრო რაიმე სამუშაო.

თუ თქვენ შეადგენთ კრებულს (ჩემი ნაშრომებიდან ან მათი ნაწილებიდან ციტატების კრებულს), მე, რა თქმა უნდა, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ თქვენ

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 649. რ ე დ.
** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 454. რ ე დ.

თავი უნდა დაასახელოთ არჩევისათვის პასუხისმგებლად.

ჩემი თხოვნაა:

1) უფრო სრულად მოიყვანოთ ციტატები ჩემი 1918 წლის გაზაფხულის ნაშრომებიდან «მემარცხენეების» წინააღმდეგ, «სახელმწიფო კაპიტალიზმზე» და **მართვის** სიძნელეებზე, როგორც **სპეციფიკურ** ამოცანაზე;

2) ბროშურიდან «საყმაწვილო სენის» წინააღმდეგ (ტაქტიკისა და სტრატეგიის ზოგადი წესები) (ციტატები მოიყვანეთ უფრო სრულად)*;

NB 3) **ა რ ა ს ო დ ე ს** არ მოიყვანოთ ციტატები ჩემი სიტყვებიდან (მათი ტექსტი ყოველთვის ცუდია, ყოველთვის არაზუსტად არის გადმოცემული); ციტატები მოიყვანეთ მხოლოდ ჩემი **ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ე ბ ი დ ა ნ.**

საუკეთესო სალმით თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ბოლოსიტყვაობასაც **ვერ** გპირდებით. თ ქ ვ ე ნ დაასახელებთ თქვენს თავს პასუხისმგებლად ციტატების არჩევისათვის [611].

დაწერილია 1922 წლის 8 მარტს

პირველად დაიბეჭდა არასრულად
გერმანულ ენაზე 1923 წელს
«Jahrbuch für Wirtschaft, Politik
und Arbeiterbewegung 1922/23 »-ში
Hamburg

მთლიანად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

* იგულისხმება წიგნი ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 1—131). რ ე დ.

672

ლ. ბ. კრასინს

სრულიად საიდუმლოდ

ამხ. კრასინს

ამხ. კრასინ!

თქვენ მითხარით ჩვენი ერთ-ერთი უკანასკნელი შეხვედრისას, რომ ერთ ინგლისელ ვაჭართან მოლაპარაკება გქონდათ ძვირფასი ქვების რეალიზაციისათვის ერთობლივი საზოგადოების შექმნის შესახებ და სხვ.

გთხოვთ მომწეროთ რამდენიმე სტრიქონით: გამოვიდა რამე თუ არა ამ გეგმიდან? იგივე გერმანიის შესახებ.

შემდეგ გთხოვთ მიპასუხოთ: ხომ არ შეგიძლიათ შეუკვეთოთ ვინმეს მოკლე (არა უმეტეს 2 — 3 გვერდისა) ნაკრები ცნობა ფაქტობრივი მონაცემებისა, რომლებიც ახასიათებენ ჩვენი საგარეო ვაჭრობის განვითარებას უკანასკნელ თვეებში, მაგალითად — უკანასკნელ 6 თვეში. ძალიან დამჭირდებოდა ასეთი რამ მოხსენებისათვის პარტიულ ყრილობაზე*. საკითხების დაახლოებითი ნუსხა:

სხვა სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელშეკრულებათა რიცხვი მათი დადების წლისა და თვის ჩვენებით.

ვაჭრობისათვის სხვადასხვა ერის კაპიტალისტებთან შექმნილ შერეულ საზოგადოებათა რიცხვი.

შემოტანისა და გატანის ბრუნვა ომამდელი მანეთობით თვეების მიხედვით, უკანასკნელი თვეებისა.

შეკვეთები და შემოტანა მათი დაყოფით სურსათად და სამრეწველო მოწყობილობის საგნებად.

იმ ვაჭრების რიცხვი, რომლებიც საგარეო ვაჭრობის სა-

* იგულისხმება რკპ (ბ) მომავალი XI ყრილობა. რ ე დ.

ხალხო კომისარიატმა საკომისიო საწყისებზე მოიზიდა, ცალ-ცალკე რუსებისა და საზღვარგარეთელებისა და სხვ. *

კომუნისტური სალმით ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 10 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ნ. ს. ლეპეშინსკაიას
ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

673

სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული საკონცესიო კომიტეტის თავმჯდომარეს [612]

11/III. 1922 წ.

ამხ. კრჟიჟანოვსკის

პირი — ამხ. სმოლიანინოვს

სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონცესიო კომიტეტს ეკისრება მოვალეობა შეარჩიოს და შეკრიბოს დაწვრილებითი მასალები უცხოელ კაპიტალისტებთან რსფს რესპუბლიკის ყ ვ ე ლ ა იმ საკონცესიო მოლაპარაკებასა და საკონცესიო საქმეებზე, რომლებიც წარმოებს როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. მასალების შერჩევა საჭიროა გაკეთდეს წარსული დროისთვისაც.

საკონცესიო კომიტეტი უნდა აწარმოებდეს ამ მასალების ზუსტ სარეგისტრაციო სიას შემდეგი ქვედანაყოფებით:

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 33, გვ. 331—332. რ ე დ.

ა) დადებული ხელშეკრულებანი;

ბ) სერიოზული მოლაპარაკება, რომლის მიხედვით შეიძლება ხელშეკრულებები დაიდოს უახლოეს ხანში;

გ) შეწყვეტილი მოლაპარაკება (აღინიშნოს მიზეზი);

დ) ყველა დანარჩენი მოლაპარაკება.

სიაში უნდა იყოს მოკლე მითითებანი საქმის შინაარსზე (მაგალითად: მოლაპარაკების მდგომარეობა, კონცესიის ობიექტი, კონცესიის მაძიებელთა დასახელება, კაპიტალის დაახლოებითი ან ზუსტი ოდენობა, ნომერი, რომლითაც ინახება საქმე).

ამ სიის პირი უნდა გაეგზავნოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველობას და ყოველთვიურად შეივსოს იგი ახალი ცნობებით.

საკონცესიო კომიტეტმა უნდა დანიშნოს მასალის შერჩევისა და სიის შედგენისათვის პასუხისმგებელი პირი (საქმეთა მმართველი, მდივანი), რომლის გვარი სასწრაფოდ უნდა ეცნობოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველობას.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ეგზემპლარის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

674

წერილი ბ. ვ. ჩიჩერინს

14. III. 1922.

ამხ. ჩიჩერინ! წავიკითხე თქვენი 10/III-ის წერილი. მე მგონია, პაციფისტური პროგრამა თქვენ თვითონ ამ წერილში მშვენივრად გადმოეცით [613].

მთელი ოსტატობა ის არის, რომ ისიც და ჩვენი ვაჭრული წინადადებებიც ვთქვათ ნათლად და ხმამაღლა **გარეკვამდე** (თუ «ისინი» საქმეს მალე გარეკვისაკენ წაიყვანენ).

ეს ოსტატობა თქვენ და ჩვენს დელეგაციას მოგეპოვებათ.

ჩემი აზრით, თქვენ უკვე ჩინებულად გამოგივიდათ 13-მდე პუნქტი (გიგზავნით აღნიშვნებს თქვენს წერილზე).

ყველას დავაინტერესებთ, როცა ვიტყვით: «ჩვენ უფართოესი და სრული პროგრამა გვაქვს!» თუ არ გამოგვაქვეყნებინებენ, დ ა ვ ბ ე ჭ დ ა ვ თ პროტესტით.

ყველგან «პატარა» შენიშვნა: ჩვენ, კომუნისტებს, **ჩვენი** კომუნისტური პროგრამა (III ინტერნაციონალი) გვაქვს, მაგრამ მაინც ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია **როგორც ვაჭრებმა მხარი დავუჭიროთ** (თუნდაც შანსის 1/10 000) **პაციფისტებს ს ხ ვ ა,** ე. ი. ბურჟუაზიულ ბანაკში (**მ ა ს შ ი** ვთვლით II და II ½ ინტერნაციონალებს [614]).

გესლიანადაც იქნება და «კეთილადაც» და ხელს შეუწყობს მტრის გახრწნას.

ასეთი ტაქტიკით ჩვენ გენუის წარუმატებლობის შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი იც მოვიგებთ, ჩვენთვის არახელსაყრელ გარიგებაზე ა რ დ ა ვ თ ა ნ ხ მ დ ე ბ ი თ.

კომუნისტური სალმით თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

14/III.

P. S. ამხ. ჩიჩერინ! რატომ არ წავიგესლიანოთ (და «კეთილად») კიდევ დამატებით:

ჩვენ წინადადება შემოგვაქვს (§ 14) გაუქმდეს **ყველა** სამხედრო სესხი და (§ 15) **გადაისინჯოს** (ჩვენი 13 §§-ის საფუძველზე) ვერსალის და **ყველა** სხვა სამხედრო ხელშეკრულება [615],

მაგრამ არა უმრავლესობის მიერ უმცირესობის მაიორიზაციის საფუძველზე, არამედ შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს საფუძველზე. ვინაიდან ჩვენ, **ა ქ** რომ გამოვდიგართ როგორც ვაჭრები, ვერავითარ სხვა პრინციპს **აქ,** გარდა ვაჭრულისა, **ვერ** წამოვაყენებთ? ჩვენ არ გვინდა მოვახდინოთ შეერთე-

ბული შტატების მაიორიზაცია; ჩვენ ვაჭრები ვართ; ჩვენ გვინდა დავაჭეროთ ისინი!! **უ ვ ე ლ ა** სახელმწიფოს გამოკითხვა და მათგან იმათი **დაჭერების ცდა**, რომლებიც თანახმა არ არიან. კეთილიც არის და ბურჟუებისათვის მიუღებელიც. შევარცხვენთ და გავთათხავთ მათ «კეთილად».

ვარიანტი: შეიძლება წინადადება მივცეთ, რომ ქვეყნების უმცირესობა (მოსახლეობის რაოდენობით) უმრავლესობას ემორჩილებოდეს ცალკე თითოეული ბანაკის შიგნით შემდეგი ორიდან: ბურჟუაზიულიდან და საბჭოთა ბანაკიდან (იმის მიხედვით, თუ რომელი ცნობს კერძო საკუთრებას და რომელი არა).

დავძრათ პროექტიც და ვარიანტიც.

Les rieurs seront avec nous!*

×) ** დამატება: გამონაკლისი წვრილ მფლობელთათვის; **რამდენადაც** მოხერხდება ზუსტად დამტკიცდეს, რომ ეს ნამდვილად და არა ფიქციურად წვრილი, მშრომელი მფლობელნი არიან.

მოსაზრებანი ბ. ვ. ჩიჩერინის წერილზე

ამხ. ლენინს

1922 წლის 10 მარტი

დიდად პატივცემულო ვლადიმერ ილიას ძეო,

დაბეჯითებით გთხოვთ წაიკითხოთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებანი და მომცეთ თქვენი მითითებანი. ჩვენ უნდა გამოვიდეთ «პაციფისტური უფართოესი პროგრამით», ეს მომავალი გამოსვლის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია, მაგრამ ის ჩვენ არა გვაქვს. გვაქვს მხოლოდ ცალკეული ნაწყვეტ-ნაწყვეტი მომენტები ცენტრალური კომიტეტის პირველ დირექტივებში. მე აქ პირველად ვცდილობ მივუახლოვდე ამ ამოცანას.

---

* დამცინავნი ჩვენს მხარეს იქნებიან! რ ე დ.

** შესაბამისი ნიშანი წერილის ტექსტში არ არის. რ ე დ.

მთავარი სიძნელე ის არის, რომ საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიურ ფორმებს ახლა მუდამ იყენებენ ლეღვის ფოთლებად იმპერიალისტების მტაცებლობისათვის და, კერძოდ, იარაღად ჩვენ წინააღმდეგ. ერთა ლიგა უბრალოდ იარაღია ანტანტისათვის, რომელმაც უკვე გამოიყენა იგი ჩვენ წინააღმდეგ. თქვენ თვითონ აღნიშნავდით, რომ არბიტრაჟი შეუძლებელია ბურჟუაზიულ და საბჭოთა სახელმწიფოებს შორის, მაგრამ არბიტრაჟი პაციფისტური არსენალის აუცილებელი ნაწილია. აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის ინტერნაციონალიზაცია არის ევფემიზმი იმისათვის, რომ იგი ჩვენ და ჩინეთს წაგვართვან და ხელში ჩაიგდოს ანტანტამ. უცხოეთის საემისიო ბანკი ჩვენში და დოლარის შემოღება ჩვენში, ისევე როგორც ყველგან ერთიანი ოქროს ერთეულის შემოღება, — ეს ამერიკის მიერ სრული ეკონომიური დაკაბალების ყველაზე ქმედითი იარაღი იქნებოდა.

ჩვეულ თანამედროვე საერთაშორისო ფორმებში ჩვენ რაღაც ახალი უნდა შევიტანოთ, რომ ხელი შევუშალოთ ამ ფორმების გადაქცევას იმპერიალიზმის იარაღად. ამ ახალს გვაძლევს როგორც ჩვენი გამოცდილება და შემოქმედება, ისე თვით ცხოვრების შემოქმედება იმპერიალისტური სამყაროს მზარდი ნგრევისა და მსხვრევის პროცესში. მსოფლიო ომის შედეგად გაძლიერდა ყველა ჩაგრული და კოლონიური ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა. მსოფლიო სახელმწიფოები რღვევას იწყებენ. ჩვენს საერთაშორისო პროგრამას საერთაშორისო სქემაში უნდა შეჰყავდეს ყველა ჩაგრული კოლონიური ხალხი. ყველა ხალხისათვის აღიარებული უნდა იყოს გამოყოფის ან ჰომრულების უფლება. აფრიკის 1885 წლის კონფერენციას შედეგად მოჰყვა ბელგიის კონგოს საშინელებანი, იმიტომ რომ ამ კონფერენციაზე ევროპის სახელმწიფოები ფილანთროპიას ეწეოდნენ ზანგების მიმართ, და ეს ფილანთროპია ლეღვის ფოთოლი აღმოჩნდა უაღრესად ბარბაროსული ექსპლუატაციისათვის. ჩვენი საერთაშორისო სქემის სიახლე იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ზანგები, ისევე როგორც სხვა კოლონიური ხალხები ევროპელი ხალხების თანასწორად მონაწილეობდნენ კონფერენციებსა და კომისიებში და უფლება ჰქონდეთ არ დაუშვან ჩარევა თავიანთ საშინაო ცხოვრებაში. მეორე სიახლე უნდა იყოს მუშათა ორგანიზაციების სავალდებულო მონაწილეობა. მსოფლიო ომის დროს ინგლისის მუშურ 1) 2)

სწორია!

ლიტერატურაში ფრიად პოპულარული იყო მოთხოვნა, რომ ტრედუნიონებისათვის მონაწილეობა მიეღებინებინათ მომავალ ევროპის კონგრესში. ჩვენ ეს ფაქტობრივად განვახორციელეთ იმით, რომ პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს სამი წევრი შევიყვანეთ ჩვენს დელეგაციაში. უნდა დაწესდეს, რომ იმ საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომლის შესახებ ჩვენ წინადადებას წამოვაყენებთ, თითოეულ დელეგაციაში ხმების მესამედი მუშათა ორგანიზაციებს ეკუთვნოდეს. მაგრამ ეს ორი სიახლე საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დავიცვათ ჩაგრული ხალხები და დევნილი ქვეყნები იმპერიალიზმის ძალადობისაგან, ვინაიდან კოლონიური ხალხების ზედაფენები ადვილად შეიძლება აღმოჩნდნენ მარიონეტები, სწორედ ისევე როგორც მუშათა მოღალატე ლიდერები. როგორც ერთის, ისე მეორის მოზიდვა ქმნის ასპარეზს მომავალი ბრძოლისათვის. მუშათა ორგანიზაციების წინაშე დაისმება ამოცანა იბრძოლონ კოლონიური ხალხების გასათავისუფლებლად, საბჭოთა ხელისუფლებისათვის დახმარების გასაწევად და იმპერიალისტური მტაცებლობის წინააღმდეგ. მაგრამ ლიდერები შეეცდებიან გამცემლობა გასწიონ. ამრიგად, უნდა დავადგინოთ კიდევ პრინციპი საერთაშორისო კონფერენციების თუ კონგრესების ჩაურევლობისა ცალკეული ხალხების. 3)

საშინაო საქმეებში. გამოყენებულ უნდა იქნეს ნებაყოფლობითი თანამშრომლობა და სუსტებისათვის ხელშეწყობა ძლიერთა მხრივ, ისე რომ პირველნი არ დაემორჩილონ მეორეთა ნებას

ამის შედეგად გამოგვივა ძალიან გაბედული და მთლად ახალი წინადადება: მსოფლიო კონგრესი დედამიწის ყველა ხალხის მონაწილეობით სრული თანასწორობის ნიადაგზე, იმ საფუძველზე. რომ გამოცხადებულ იქნეს ყველა ჩაგრული ხალხის თვითგამორკვევის უფლება, სრული გამოყოფის ან ჰომრულების უფლება, ამასთან მუშათა ორგანიზაციები მონაწილეობას მიიღებენ მთელი კონგრესის ერთი მესამედის ოდენობით. კონგრესის მიზანი იქნება უმცირესობის არა იძულება, არამედ სრული შეთანხმება. იგი იმოქმედებს მორალური ავ- 4)
ტორიტეტით. პრაქტიკულად იგი გამოყოფს ტექნიკურ კომისიებს მსოფლიოს აღდგენის ჩვენი უფართოესი ეკონომიური სწორია!
პროგრამის განხორციელებისათვის.

ერთა ლიგის თუ ერთა საზოგადოების ყველა პროექტში იყო მხოლოდ ორი ტიპის წინადადებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აიძულონ ერთა საზოგადოების გადაწყვეტილებათა შესრულება: ან ნაკრები არმიების შედგენა ყველა სახელმწიფოს კონტინგენტებისაგან, ან დამსჯელი მანდატის დაკისრება გარკვეულ სახელმწიფოზე ან რამდენიმე გარკვეულ სახელმწიფოზე. პირველ შემთხვევაში რაღაც ქმედუუნარო გამოდის, ვინაიდან მრავალი სახელმწიფოს კონტინგენტებისაგან შემდგარი ნაკრები არმია არაფრად ვარგა. მეორე შემთხვევაში ერთა ლიგა თუ ერთა საზოგადოება მხოლოდ საბაბია ყველაზე გავლენიანი სახელმწიფოების მიერ ახალ დაპყრობათა გამართლებისათვის. ამრიგად, საჭიროა სრულებით აღმოიფხვრას იძულების ან დამსჯელი ექსპედიციების ელემენტი და მსოფლიო კონგრესს დაეტოვოს მხოლოდ მორალური ავტორიტეტი, ექნეს ის დანიშნულება, რომ შეთანხმების მიზნით გამოსვლების ასპარეზი იყოს. ომის თავიდან აცილება არბიტრაჟის ამოცანაა. არის ორი ტიპის არბიტრაჟი: ან ორივე მხარის ნებაყოფლობითი მიმართვა არბიტრისადმი, მაგალითად ჰაგის ტრიბუნალისადმი, ამასთან ასეთ შემთხვევებში არბიტრის გადაწყვეტილება სავალდებულოა, ან მეორე მეთოდი, რომლის მაგალითს წარმოადგენს არბიტრაჟის შესახებ ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის დადებული ხელშეკრულების ის მუხლი, რომლის ძალითაც ომის საშიშროების შემთხვევაში იქმნება განსაკუთრებული შეთანხმებული კომისიები, რომლებისადმი მიმართვა ორივე მხარისათვის სავალდებულოა, მაგრამ რომელთა გადაწყვეტილება მხოლოდ ფაკულტატიურია, თუმცა გარკვეული ვადის, მაგალითად ერთი წლის განმავლობაში არბიტრაჟის პროცედურა გრძელდება; ამ მეორე მეთოდის მიზანია საომარი მოქმედების დაწყების გადავადება იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს დაკანონებულ შუალედში ორივე მხარის ვნებათაღელვის დაცხრობა და კონფლიქტების შენელება. პირველი მეთოდის დროს არბიტრაჟისადმი მიმართვა სავალდებულო არ არის, მაგრამ მისი გადაწყვეტილება სავალდებულოა. მეორე მეთოდის დროს არბიტრაჟისადმი მიმართვა სავალდებულოა, მაგრამ მისი გადაწყვეტილება სავალდებულო არ არის, და მხარეები შებოჭილი რჩებიან მხოლოდ დაკანონებული ვადის განმავლობაში.

სწორია!

ამ ალტერნატივიდან გამოსვლა ამჟამად არ შეიძლება. დასახული მსოფლიო კონგრესი შეძლებდა მხოლოდ იმას, რომ გადმოეღო ჰაგის ტრიბუნალი მისი ფაკულტატიური არბიტრაჟითა და მისი სხვა სამსახურებით. ჩვენ კი კაპიტალისტურ

სახელმწიფოსა და საბჭოთა სახელმწიფოს შორის დასაშვებად ჩავთვლით მხოლოდ ისეთ სამედიატორო სასამართლოს, 5)

(5)

რომელშიც იქნება ორივე მხრიდან დანიშნულ წევრთა თანასწორი რაოდენობა, ასე რომ ნახევარი წევრები იმპერიალისტები იქნებიან და ნახევარი კომუნისტები. ამავე დროს ჩვენ

(6) 6)

წამოვაყენებთ წინადადებას შეიარაღების საყოველთაო შემცირების შესახებ იმ თეზისებზე დაყრდნობით, რომლებიც რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციურ საბჭოსთან ერთად დავადგინეთ: შემდგომ განვავითარებთ რა ჰაგისა და ჟენევის კონვენციების ტრადიციას, ჩვენ წინადადებას წამოვაყენებთ დაემატოს ომის წესებს სხვადასხვა აკრძალვები: წყალქვეშა ნავების, 7)

ქიმიური გაზების, ნაღმსატყორცნების, ალბალურქვეშეებისა და საჰაერო შეიარაღებული ბრძოლის გაუქმება.

მსოფლიო კონგრესის მიერ გამოყოფილი ტექნიკური კომისიები უხელმძღვანელებენ მსოფლიო აღდგენის უფართოესი 8)

პროგრამის განხორციელებას. ეს პროგრამა ძალით არ იქნება თავსმოხვეული. ეს იქნება ნებაყოფლობითი წინადადება, რომელიც მიმართავს თითოეული მონაწილის ხელსაყრელობას. სუსტებს დახმარება გაეწევა. ამგვარად საჭირო იქნება დაისა- 9)

ხოს მსოფლიო სარკინიგზო, სამდინარო და საზღვაო გზები. ამ გზების ინტერნაციონალიზაცია თანდათანობითი განვითარების საქმე იქნება, ვინაიდან წინააღმდეგობის გამწვევთა იძულების მეთოდი დაშვებული არ იქნება. საერთაშორისო ტექნიკური კომისიები მოვალენი იქნებიან შესთავაზონ ცალკეულ ქვეყნებს ეკონომიური და ტექნიკური ხელშეწყობა ზემაგისტრალების შესაქმნელად, საერთაშორისო მდინარეებზე მიმოსვლის მოსაწესრიგებლად, საერთაშორისო ნავსადგურების გამოსაყენებლად და მსოფლიო საზღვაო გზების ტექნიკურად გასაუმჯობესებლად. მოწინავე ქვეყნების კაპიტალს წინადადებას მივცემთ აიგოს ზემაგისტრალი ლონდონი—მოსკოვი—ვლადივოსტოკი (პეკინი), და ავუხსნით, რომ ამით საყოველთაო სარგებლობისათ- 10)

ვის გადაიშლება ციმბირის აურაცხელი სიმდიდრენი. საერთოდ ძლიერთა მხრივ სუსტებისადმი დახმარება ძირითადი პრინციპი იქნება მსოფლიო აღდგენისა, რომელიც დაემყარება ეკონომიურ გეოგრაფიას და რესურსების გეგმაზომიერ განაწილებას. ოქროს მსოფლიო ერთეული შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ იმის შედეგად, რომ ეკონომიურად სუსტი ქვეყნები წამოიწევენ ძლიერთა დახმარებით, ამასთან ეს წამოწევა საყოველთაო ინტერესს წარმოადგენს, ვინაიდან მსოფლიო ნგრევა ძლიერ ქვეყნებსაც აზარალებს, ამერიკაშიც კი იწვევს გაუგონარ უმუშევრობას. ძლიერნი, სუსტებს რომ ეხმარებიან, ბაზრებსა და ნედლეულის წყაროებს იქმნიან. გამოვდივართ რა ამ მოსაზრებებიდან, ჩვენ წინადადებას წამოვაყენებთ გეგმაზომიერად
11) განაწილდეს ოქრო, რომელიც ამჟამად ფუჭად დევს ამერიკის ბანკების საწყობებში. ოქროს ეს გეგმაზომიერი განაწილება ყველა ქვეყანაზე შეხამებული უნდა იყოს შეკვეთების, ვაჭრობის დანაკლისი მასალებით მომარაგების გეგმაზომიერ განაწილებასთან, საერთოდ გაჩანაგებული ქვეყნებისადმი ყოველ-
12) მხრივ ეკონომიურ დახმარებასთან. ამ დახმარებას შეიძლება ჰქონდეს სესხის ხასიათი, ვინაიდან გეგმაზომიერი მეურნეობის პირობებში რამდენიმე წლის შემდეგ უკვე დაიწყება მისი გასტუმრება. აქვე შედის ბარტერ-ინსტიტუტის (კეინსი), თუ ცენტრალშტელეს, თუ საქონელგაცვლის ეროვნული ცენტრების გეგმაც. თუ გერმანია ცალკეული ვაჭრების ნაცვლად ერთიან ცენტრალშტელეს დაგვიპირდაპირებს, ჩვენ გაგვიჭირდება, ვინაიდან ეს იმის საშუალება იქნება, რომ თავს მოგვახვიონ ცუდი საქონელი ძვირ ფასად. მაგრამ თუ ეს ცენტრალშტელე საპირო საქონლის გეგმაზომიერი მსოფლიო განაწილების იარაღი და იმის საშუალება იქნება, რომ ძლიერი ქვეყნები
13) ხელს უწყობდნენ სუსტებს, იგი მეურნეობის აღდგენის უფართოესი პროგრამის აუცილებელი რგოლი გახდება. პური, რომელსაც ამერიკა გვიგზავნის, უკვე პირველი დასაწყისია სურსათის საერთაშორისო განაწილებისა. ომის დროს ანტანტის ფარგლებში უკვე ხდებოდა სათბობის ნაწილობრივ გეგმაზომიერი განაწილება; უფართოესი პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი უნდა იყოს ნავთობისა და ნახშირის სისტემატური განაწილება, მაგრამ ამ შემთხვევაშიც თავიდან აცილებულ უნ-

677

გ. ი. სოკოლნიკოვს

20. III. 1922 წ.

ამხ. სოკოლნიკოვ!

მომწერეთ, გეთაყვა,

1) მიიღეთ და წაიკითხეთ თუ არა ამხ. ბელოვის ბარათი: «საფინანსო კამპანიის გეგმა 1922 წლის ახალ მოსავლამდე» და თქვენი აზრი.

2) როგორ არის დაყენებული ზედამხედველობა ფულადი გადასახადების აკრეფაზე?

1-ლ გვერდზე ფაქტები. ყოველ ათ დღეში ანგარიშები? ტელეგრაფით თუ ფოსტით?

რამდენი გუბერნია აბარებს ანგარიშს აკურატულად?

ნარჩენების % % საშუალოდ და ამ დ ე ნ ი დ ა ნ ამ-დ ე ნ ა მ დ ე?

3) როგორ არის დაყენებული სახელმწიფო ბანკის ზედამხედველობა ჩვენი ყოვლად უვარგისი სახელმწიფო ტრესტებისადმი, რომლებშიც მარჯვე თაღლითები ატყუებენ კეთილსინდისიერ და მთლად უბადრუკ წმინდან კომუნისტებს, გამგეობათა თავმჯდომარეებს და სხვ.? [619]

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

678

ლ. ბ. კრასინს [620]

20/III.

ამხ. კრასინ!

არ გეთანხმებით. ლეჟავა ძალიან საყვარელი ამხანაგია, მაგრამ თავისი სისუსტე სავსებით დაამტკიცა.

საჭიროა სხვა კოლეგია (პოლიტბიურო), მასში კი სამეულ: თქვენ+ფრუმკინი+რადჩენკო, ვინაიდან თქვენ ხშირად წასული ხართ, ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა კი რუსეთში უნდა იყოს. და თანაც თქვენ კ ი დ ე ვ დიპლომატი ხართ. ხოლო შავ საქმეშაოს, თაღლითების წმენდას, წესრიგისათვის თვალყურის დევნებას, შეუსრულებლობისათვის ცემა-ტყეპას, თქვენ ხელს არ ჰკიდებთ. თქვენ ხელმძღვანელობა გევალებათ, შავი მუშაობისათვის კი საჭიროა **მ ა გ ა რ ი** ადამიანები და არა ლეჟავა. ისწავლიან.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 20 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

679

მ. ი. ფრუმკინსა და ი. ი. რადჩენკოს [621]

21/III. 1922.

ამხ. ფრუმკინ და ამხ. რადჩენკო!

გუშინ ჩემთან საუბარში ამხ. კრასინი გამოთქვამდა შიშს, რომ თქვენ ორივენი ფრიტრედერები ხართ და რომ ამიტომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ბედი წინასწარ წყდება უარყოფითი მიმართულებით. მე უაღრესად მტკიცე პროტესტს ვაცხადებდი; ვიმოწმებდი იმას, რომ თქვენ ორივენი ძველი, ყოველნაირად ნაცადი პარტიელები ხართ და რომ ოდნავი საფუძველიც არ არსებობს დავუშვათ, თითქოს თქვენ არ შეასრულეთ საესებით ზუსტი დირექტივა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსი (რომელმაც დაამტკიცა თეზისები, რომლებითაც აღიარებულია საგარეო ვაჭრობის მონოპოლია). მე, გარდა ამისა, გამოვთქვი უდიდესი ეჭვი იმის

ვფიქრობ:

ა) კიდევ შემოვიტანო ნაკლებად არსებითი შესწორებანი;

ბ) დავუმატო რაიმე ადამიანთა შემოწმებისა და შესრულების შემოწმების თემაზე.

დეტალებზე ტელეფონით შევთანხმდებით.

როგორ შევიტანოთ?

მე გავამზადებ წერილს ცენტრალური კომიტეტის პლენუმისადმი (24. IV-სათვის?).

ამ წერილში

1) მოხსენების გეგმა მოკლედ,

2) დავიმოწმებ ტროცკის წერილს[624]: ძირითადად მომხრე ვარ-მეთქი,

3) ვიტყვი ჩემს შეთანხმებაზე ციურუპასთან და რიკოვთან *,

4) დავუმატებ თქვენს პროექტს ჩემი სახელით,

5) ვთხოვ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს კენჭი უყაროს: იწონებს თუ არა ამას? ნებას მაძლევს თუ არა მოხსენებაში ვთქვა ყოველივე ეს ცენტრალური კომიტეტის სახელით?

P. S. ასეთი ფორმა ყველაზე უკეთესია.

დაემატოს: სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გაბერვის წინააღმდეგ: არა უმეტეს 3-ისა გუბერნიისაგან.

ლ ე ნ ი ნ ი

21/III — 1922 წ.

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 288 — 289. რ ე დ.

682

ვ. მ. მოლოტოვს
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის

ამხანაგ მოლოტოვს პოლიტბიუროს
წევრებისათვის

მე მაქვს წერილი სოლცისაგან, რომელიც არსებული გამოცდილების საფუძველზე გამოთქვამს აზრს გაზეთ «რაბოჩის» წინააღმდეგ. იგი მხოლოდ ზედმეტ ლიტერატორთა კვებას ემსახურება და სრულებით არ ქმნის არც ახალი ტიპის გაზეთს, არც მკითხველთა ახალ წრესო. ვფიქრობ, რომ უფრო სწორი იქნება ეს გაზეთი დავხუროთ, მივცეთ მას მცირეოდენი ვადა სალიკვიდაციოდ, ხოლო განთავისუფლებული ძალები და სახსრები გამოვიყენოთ არსებული გაზეთების გასაუმჯობესებლად [625].

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 23 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

683

დეპეშა ი. ვ. ლომონოსოვს

შიფრით

ბ ე რ ლ ი ნ ი
სრულუფლებიანი წარმომადგენლობა, ლ ო მ ო ნ ო ს ო ვ ს

წინადადებას გაძლევთ და განუხრელად შეასრულეთ: არ გამართოთ არავითარი მოლაპარაკება სესხების შესახებ, არ

აიღოთ სესხები და არ დადოთ სხვა საკრედიტო გარიგებანი, თუ არ გექნეთ თითოეული შემთხვევისათვის სახკომსაბჭოს სპეციალური ნებართვა.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ლ ე ნ ი ნ ი

მოსკოვი, კრემლი,
27/III — 22 წ.

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

684

დეპეშა ნ. ნ. კრესტინსკის

ყველა ღონისძიება იხმარეთ, რომ დაუყოვნებლივ მიიღოთ ვიზა მუშგლეხინის სახალხო კომისრის მოადგილის ავანესოვისათვის. ჩამოსულმა გერმანელმა ექიმებმა ცნეს, რომ მისი ავადმყოფობა საშიშია. გაზაფხული მისთვის განსაკუთრებით სახიფათოა. საჭიროა დაუყოვნებლივ წამოვიდეს. შეუტიეთ მთელი ძალით. ვიძლევით ყველა გარანტიას. მიპასუხეთ ახლავე [626].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 29 მარტს
გაგზავნილია ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

685

ვ. მ. მოლოტოვს
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის

30. III. 1922 წ.

ამხ. მოლოტოვს პ ო ლ ი ტ ბ ი უ რ ო ს წევრებისათვის

ვესაუბრე კრასნოშჩოკოვს. ვხედავ, რომ ჩვენ, პოლიტბიუროს, დიდი შეცდომა ჩავიდინეთ.

კაცი, უეჭველად ჭკვიანი, ენერგიული, მცოდნე, გამოცდილი, გავაწამეთ და ისეთ მდგომარეობამდე მივიყვანეთ, როცა ადამიანებს შეუძლიათ ყველაფერი მიატოვონ და უგზოუკვლოდ გაიქცნენ.

იცის ყველა ენა, ინგლისური ჩინებულად. მოძრაობაშია 1896 წლიდან. 15 წელიწადს ამერიკაში იყო. დაიწყო მღებავობიდან. იყო სკოლის დირექტორი. იცნობს კომერციას. თავი გამოიჩინა როგორც მთავრობის ჭკვიანმა თავმჯდომარემ შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკაში, სადაც. ვგონებ, თვითონვე მოაწყო თითქმის ყველაფერი [627].

ჩვენ იგი მოვხსენით იქიდან. აქ, ფინსახკომში სრული უხელისუფლებობის დროს, დავსვით ფინსახკომში. ახლა, სწორედ მაშინ, როცა ტიფით ავადმყოფი იწვა, დავითხოვეთ!!!

ყოველივე შესაძლებელი და შეუძლებელი გავაკეთეთ იმისათვის, რომ მოვიშოროთ ძალიან ენერგიული, ჭკვიანი და დასაფასებელი მუშაკი.

მას უთანხმოება ჰქონდა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთანაც და ფინსახკომთანაც, ვინაიდან «ვაჭრობის» მ ე ტ ი «თავისუფლების» მომხრე იყო.

იგი ამბობს: მომეცით საშუალება გაჩვენოთ თავი მუშაობაში, ბოლომდე მიმაყვანინეთ მე სამუშაო, ნუ მაწვალებთო, და, რა თქმა უნდა, ეს სურვილი კანონიერია.

უნდა ვცადოთ მოვაწყოთ იგი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში. ყოველ შემთხვევაში აუცილებლად უნდა

მივაღწიოთ იმას, რომ არ დ ა ვ კ ა რ გ ო თ მუშაკი, არამედ შევასრულოთ მისი ყ ო ვ ლ ა დ კ ა ნ ო ნ ი ე რ ი სურვილი: დავაყენოთ გ ა რ კ ვ ე უ ლ სამუშაოზე და ე რ თ ი წ ე ლ ი მაინც მივცეთ გამოსაცდელად, გამოვცადოთ, არ გავაწვალოთ. (ყველგან ვიმუშავებ, ოღონდ ნუ მაწვალებთო).

(საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში უნდოდა მუშაობა. ჩიჩერინთან უთანხმოება ჰქონდა შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შესახებ.)

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

686

ნ. პ. გორბუნოვს

1922 წლის 31 მარტი

ამ ხ ა ნ ა გ გ ო რ ბ უ ნ ო ვ ს

გერმანელი ექიმები, რომლებმაც თქვენ გაგსინჯეს, აღნიშნავენ, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ ჩამოშორდეთ მუშაობას, რის გამოც წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ ჩააბაროთ თანამდებობა შვებულების დროისათვის და შეასრულოთ ექიმების ყველა მითითება.

ამხ. ციურუპას ევალება თვალყური ადევნოს მითითების შესრულებას.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

687
ა. ი. რიკოვს

4/IV. 1922 წ.

ამხანაგ რიკოვს

გთხოვთ ხელი მოჰკიდოთ საქმეს, რომელზეც ამხ. მარტენსი[628] მიგვითითებს. თუ დადასტურდება, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი აფერხებდა, ისინი ამისათვის სამაგალითოდ უნდა დავსაჯოთ. ცხადია, რუსეთში მუშების იმიგრაციის საქმეში ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, ვინაიდან, მეორე მხრივ, ჩვენი გამოცდილება უაღრესად არასაკმაოა. თუ შეზღუდვის მხრივ ყველა ფორმალობა დაცულია, მაშინ საქმის რაიმე გაჭიანურების ნების მიცემა პირდაპირ დანაშაულია, სამეურნეო სამუშაოთა დაწყებისათვის კი საჭიროა, რომ იმიგრანტები ჩამოვიდნენ სწორედ ახლა, საგაზაფხულო სამუშაოების დაწყების წინ.

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

688
ა. ი. რიკოვს

4/IV. 1922 წ.

ამხანაგო რიკოვ!

გიგზავნით ეკოვის წერილს[629], ეკოვისა, რომელიც მირჩიეს როგორც უაღრესად საიმედო და საქმიანი მუშაკი. სამწუხაროდ, ვერ განვახორციელე ჩემი ის განზრახვა, რომ უფრო დაწვრილებით გამეცნო იგი. სასაწყობო საქმე საზიზღარ მდგომარეობაშია, მთელი საქმის სათავეში დაყენებულია, ვგონებ, ტროიანოვსკი, რომელიც მე საზღვარგარეთიდან მახსოვს როგორც ბოლშევიკი. შემდგომ იგი მენშევიკებთან

წავიდა, ახლა კი, ვგონებ, ჩამოშორდა მენშევიკებს. მე ძალიან ვეჭვობ, რომ იგი საწყობების საქმეზე არ მუშაობს, არამედ პოლიტიკას ეწევა, და რომ საწყობებზე მისი მუშაობიდან სახეირო არაფერი გამოვა. ვფიქრობ, რომ ტროიანოვსკის საქმიანობა უფრო სერიოზულად უნდა შევამოწმოთ.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

689
ბ. ი. სოკოლნიკოვს [630]

4/IV.

ამხ. სოკოლნიკოვ! გიგზავნით ამას ს ა ი დ უ მ ლ ო დ: გთხოვთ დამიბრუნოთ თქვენს პასუხთან ერთად.

ჩემი აზრით, ალსკი უნდა გავაგდოთ (არაფრად ვარგა); კრასნოშჩოკოვი დავაბრუნოთ. ის მართალია. ახლა პოლიტიკა გარკვეულია; თქვენ წინააღმდეგ ის ვერაფერს გააკეთებს.

ა პ ა რ ა ტ ს ის დააყენებს. აპარატი ა რ ა რ ი ს. ალსკი ვერასოდეს დააყენებს. მე მაქვს ა. დ. ციურუპას მიერ გამოთქმული ასეთივე აზრი მის შესახებ. თქვენ ხელმძღვანელობა გეკისრებათ; აპარატზე მუშაობას თქვენ ვერ მოჰკიდებთ ხელს. მცირე სახკომსაბჭოში შეგიძლიათ კრასნოშჩოკოვი **არ** დანიშნოთ.

მიპასუხეთ, გეთაყვა, დღესვე, ვინაიდან საღამოს მინდა წავიდე [631].

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 4 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

690

ა. ი. რიკოვს

ამხ. რ ი კ ო ვ ს
პირი ამხ. ც ი უ რ უ პ ა ს
პირი სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობას

რ უ ტ გ ე რ ს ი ს კონცესიისა და ამერიკელი მუშების ჯგუფის საქმე, როგორც მ ა რ ტ ე ნ ს მ ა მაცნობა, ძალიან ცუდად მიდის. უნდა შევამოწმოთ და სერიოზული ყურადღება მივაქციოთ. ეს განსაკუთრებული კონცესიაა, რომელიც ჩვენ ამერიკელ მუშებს მივეცით პოლიტბიუროს სპეციალური ნებართვით.

სპეციალური დახმარების გაუწევლად და შეუმოწმებლად საქმე შეიძლება საბოლოოდ ჩაიშალოს.

გთხოვთ მოსთხოვოთ ცნობები მ ა რ ტ ე ნ ს ს და რაც შეიძლება სასტიკად შეამოწმოთ მთელი ამ საქმის მსვლელობა.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 5 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

691

ა. ი. რიკოვს

ამხ. რ ი კ ო ვ ს
პირი ამხ. ც ი უ რ უ პ ა ს
პირი სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობას

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ამერიკელი ჰ ა მ ე რ ი ს კონცესიას. როგორც რ ე ი ნ შ ტ ე ი ნ მ ა მაცნობა, რომელიც მას პირადად იცნობს, ჰამერი ახლა რუსეთში იმყოფება.

მ ა რ ტ ე ნ ს ი ს სიტყვით, ჩვენ უკვე გამოგვივიდა ერთი დიდი უხერხულობა, თუ უარესი არა, სახელდობრ: საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ჰ ა მ ე რ თ ა ნ ხელშეკრულების მიხედვით ამერიკაში გაგზავნილი **საქონელი** ცუდი ხარისხისა აღმოჩნდა. უნდა მოვთხოვოთ ცნობები ამ საქმეზე როგორც საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ისე ამხ. რ ე ი ნ შ ტ ე ი ნ ს ა ც, რომელიც ჰ ა მ ე რ ს პირადად იცნობს. საჭიროა თვალყური ვადევნოთ იმას, რომ ჩვენი ვალდებულებანი ამ კონცესიის მიხედვით განუხრელი სიზუსტითა და აკურატულობით სრულდებოდეს, და საერთოდ საქმეს თვალი ვადევნოთ რაც შეიძლება მეტი ყურადღებით *.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 5 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

692

ა. ი. რიკოვს [632]

ამხ. რ ი კ ო ვ ს
პირი ამხ. ც ი ტ რ უ პ ა ს
პირი სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობას

მივაქცევ თქვენს ყურადღებას კურსკის მაგნიტური ანომალიის გამოკვლევის სამუშაოთა განსაკუთრებულ მნიშვნე-

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 503. რ ე დ.

ლობას. ამხ. კრჟიჟანოვსკიმ შემატყობინა რომ, იმ ინჟინრების ცნობებით, რომლებთანაც იგი საუბრობდა, თითქმის დამტკიცებულია, რომ ჩვენ იქ ხალასი რკინის უმაგალითოდ მდიდარი მარაგი გვაქვს. ამხ. მარტენსი ამას უკვე დამტკიცებულად თვლის. სამი კვირის შემდეგ იგი აპირებს ადგილზე ჩასვლას. უნდა განვიხილოთ, საჭიროა თუ არა მასთან ერთად გავგზავნოთ სახელმწიფო საგეგმო კომისიიდან კიდევ რომელიმე ინჟინერი, რომელიც უკეთ იცნობს რუსეთის პირობებს და შეუძლია შეამოწმოს, ხომ არ არის აქ რაიმე გატაცება.

ჩემი აზრით, პრესაში არ უნდა მივცეთ არავითარი ცნობა ამის შესახებ და უნდა მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ პრესაში ამაზე არ ილაპარაკონ, ვინაიდან საშიშია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ინტერვენციონისტული გეგმები შეიძლება გაძლიერდეს. ამავე მიზეზით, ვგონებ, უკეთესი იქნება მარტენსის მოხსენება არ დავნიშნოთ არც სახკომსაბჭოში, არც შრომისა და თავდაცვის საბჭოში, არამედ ეს მოხსენება მოისმინოს მხოლოდ ორივე მოადგილემ, ბოგდანოვმა და ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთმა წევრმა.

თუ მარტენსისა და იმ ინჟინრის მოხსენება, რომელიც მასთან ერთად გაემგზავრება სახელმწიფო საგეგმო კომისიიდან, დაადასტურებს ამ საქმის სერიოზულობას, საჭირო იქნება მივაღწიოთ სამუშაოების უსწრაფესად წარმოებას, არავითარ შემთხვევაში არ გამოვიჩინოთ სიძუნწე საჭირო ოქროს ასიგნებებზე და სპეციალური ზედამხედველობა დავაწესოთ იმაზე, რომ საჭირო მოწყობილობის (ალმასის, საბურღავისა და სხვ.) მიღება საზღვარგარეთიდან მაქსიმალური სიჩქარით მოეწყოს. მე ძალიან ვშიშობ, რომ ეს საქმე საკმაო ენერგიით არ შესრულდება. ამავე დროს კი, როგორც კრჟიჟანოვსკის, ისე მარტენსის სიტყვით, ჩვენ აქ თითქმის დანამდვილებით გვაქვს მსოფლიოში უმაგა-

ლითო სიმდიდრე, რომელსაც შეუძლია გადაატრიალოს მეტალურგიის მთელი საქმე *.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 5 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

693

გ. ი. კრუმინს, გ. მ. კრჟიჟანოვსკის, ვ. ი. პოპოვს, ვ. ა. სმოლიანინოვს

«ეკონომიჩესკაია ჟიზნ», ამხ. კ რ უ მ ი ნ ს
ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა გ ე გ მ ო კ ო მ ი ს ი ა, ამხ.
კ რ ჟ ი ჟ ა ნ ო ვ ს კ ი ს
ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ უ რ ი
ს ა მ მ ა რ თ ვ ე ლ ო, ამხ. პ ო პ ო ვ ს
ამხ. ს მ ო ლ ი ა ნ ი ნ ო ვ ს

ეკონომთათბირების ანგარიშების მიხედვით ადგილობრივი გამოცდილების შესწავლის საკითხი პრაქტიკულად ვერ გადაიჭრა. 1-ლი ოქტომბრისათვის მიღებული ანაგრიშები საკმარისად ვერ იქნა გამოყენებული პრაქტიკული მუშაობისა და პრესისათვის და დამუშავებული არ არის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ. ეს მაშინ, როცა ანგარიშების მხოლოდ სწორად და სისტემატურად შესწავლისას (ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, სახელმწიფო საგეგმო კომისიის, «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» მიერ) და შესწავლის შედეგების პრესაში გაშუქებისას შეიძლება მივაღწიოთ იმას, რომ ანგარიშები ნამდვილად იქნება პოლიტიკური და

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 727; თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, დოკუმენტი 319 და მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 365. რ ე დ.

ეკონომიური დასკვნებისათვის გამოსადეგი უაღრესად ძვირფასი მასალა. ეს ამოცანა უნდა დავუსახოთ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, «ეკონომიჩესკაია ჟიზნს», ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს; საქმეთა მმართველობას და მივაღწიოთ მის გადაჭრას.

გავალებთ მოიწვიოთ სპეციალური თათბირი და დასახოთ ანგარიშების შესწავლისათვის მუშაობის პროგრამა[633].

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1922 წლის 10 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

694

ე. ს. ვარგას

10/IV. 1922 წ.

ძვირფასო ამხანაგო ვარგა!

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ავად ვარ და მუშაობის უნარი არა მაქვს. გთხოვთ გადაბეჭდოთ მხოლოდ ჩემი სტატიები (ძველი); მნიშვნელოვანი იქნებოდა ამონაწერები ჩემი 1918 წლის გაზაფხულის სტატიიდან * (რომლებიც უკვე დაბეჭდილია ბროშურაში სასურსათო გადასახადის შესახებ **). იქნებ

---

* იგულისხმება სტატია ««მემარცხენე» ბავშვობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 27, გვ. 385—425). რ ე დ

** იხ. თხზულებანი, მე-4 გმოც., ტომი 32, გვ. 413—429. რ ე დ.

აგრეთვე (გამონაკლისის სახით) ზოგიერთი ადგილი ჩემი სიტყვიდან 1922 წლის პარტიულ ყრილობაზე: მაგრამ თვითონ ვე შესაძლებლობა **არ** მქონდა წამეკითხა **ეს** სიტყვა პრესაში: სავსებით შესაძლებელია, რომ პრესაში ყველაფერი საშინლად დამახინჯებული იყოს. ოღონდ გთხოვთ ჯერ მაჩვენოთ, რა ადგილები (რომელიმე კომპეტენტური ამხანაგის მიერ კარგად რედაქტირებული!) გინდათ გადაბეჭდოთ *.

დიდი მოკითხვით თქვენი ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით თარგმანი გერმანულიდან

695

ვ. ვ. კუიბიშევს

ცენტრალური კომიტეტის მდივანს

(აგიტპროპგანყოფილებისათვის)

რეკომენდაციას ვაძლევ ამხ. ადორატსკის — ლიტერატორია; მცოდნე მარქსისტია. საჭიროა ყოველნაირად დავეხმაროთ.

წარმოადგინა ხელნაწერი «პროგრამა წრისათვის მარქსიზმის ძირითად საკითხებზე».

გთხოვთ მალე გამოსცეთ; ავტორის სახელით; არ დაამწნილოთ[634].

კომ. სალმით ლენინი

დაწერილია 1922 წლის 10 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

* იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 671. რედ.

696
* ცენტრალურ საკონტროლო კომისიას [635]

ვადასტურებ ჩემ მიერ გადმოცემულს. მე ვიცნობდი ამხ. ადორატსკის (და ვიცნობ კარგად) 1905 წლის შემდეგ რეაქციის პერიოდიდან. მიუხედავად იმისა, რომ მდინარება მარჯვნივ მიდიოდა, იგი მაშინ უკვე ბოლშევიკი იყო და ბოლშევიკი დარჩა. ჩამოვიდა გერმანიიდან 1919 წელს მთლად ავადმყოფი. თეორეტიკოსი და პროპაგანდისტია. უთუოდ სამართლიანად მიმაჩნია გავუგრძელოთ სტაჟი, ვცნოთ იგი რკპ წევრად 1904 წლიდან.

10. IV. 1922. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

697
* სოციალისტური აკადემიის პრეზიდიუმს

ვადასტურებ, რომ ამის წარმომდგენი ამხ. ვლადიმერ ვიქტორის ძე ადორატსკი ბოლშევიკია, რომელსაც პირადად ვიცნობ 1911 წლიდან; სრული ნდობის ღირსია; რკპ წევრია; ლიტერატორია.

მუშაობს მარქსის რჩეული წერილების კრებულზე. ეს სამუშაო მე და მან ერთად განვიხილეთ.

ძალიან გთხოვთ ყოველნაირად დაეხმაროთ, გამოიწეროთ მისთვის საჭირო წიგნები და, კერძოდ, მისცეთ შესაძლებლობა ყოველდღე დილდილაობით ოთხ-ოთხ საათს იმუშაოს ხოლმე სოციალისტურ აკადემიაში და ისარგებლოს მისი ბიბლიოთეკით.

10. IV. 1922.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

698
ვ. ვ. ადორატსკის

10. IV. 1922

ამხ. ადორატსკი! ამასთან ერთად გიგზავნით, რაც მთხოვეთ *. კამენევს ვწერ **. მე ავადა ვარ და ალბათ ვერ შევძლებ ვერც შეგხვდეთ, ვერც დაგეხმაროთ მარქსის წერილების თაობაზე. კამენევი დაგეხმარებათ; საშუალებაც გექნებათ მოეთათბიროთ. რაც შეიძლება მეტი იმუშავეთ წერილებზე: ეს დიდმნიშვნელოვანი **საერთაშორისო** საქმეა. ამოარჩიეთ **უმნიშვნელოვანესი**. შენიშვნები მოკლე, ნათელი, ზუსტი უნდა იყოს (+ შეაჯეროთ მარქსის აზრები **ამა და ამ** «ავტორიტეტულ» ბურჟუაზიულ მეცნიერ-რ ე ა ქ ც ი ო ნ ე რ ე ბ თ ა ნ).

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა არასრულად
1924 წელს ჟურნალ
«პროლეტარსკაია რევოლუციაში», № 3

მთლიანად დაიბეჭდა 1933 წელს
წიგნში: ვ. ვ. ადორატსკი.
«ლენინის მეცნიერული ბიოგრაფიის
საკითხისათვის». მოსკოვი

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

699
ბარათი ლ. ბ. კამენევს
და შენიშვნები ვ. ვ. ადორატსკის წერილზე

ამხ. კამენევ! ეს ამხ. **ადორატსკისგან** არის. ნახეთ იგი და დაეხმარეთ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

---

* იხ. წინა დოკუმენტი. რ ე დ.
** იხ. შემდეგი დოკუმენტი. რ ე დ.

ძვირფასო ვლადიმერ ილიას ძევ,

... ძალიან მინდა წინ დავძრა და ბოლომდე მივიყვანო თავდაპირველი გეგმა — სახელდობრ შევადგინო კრებული «მარქსისა და ენგელსის რჩეული წერილები თეორიისა და პოლიტიკის საკითხებზე». ახლა მეტი რწმენა მაქვს, ვინაიდან უფრო დავეუფლე საგანს...

×

მინდა შეგხვდეთ და მოგელაპარაკოთ ზოგიერთი ეჭვის გამო. თუ ეს შესაძლებელია, გამომიძახეთ. მე ყოველთვის ვარ ცენტრარქივში, ვაგანკოვის 8, ტელეფონები ან 1-78-38 ან 1-75-86.

ვლადიმერ ვიქტორის ძე ადორატსკი

კარგი იქნება, თქვენ რომ მომწერდეთ რაიმე ქაღალდს, რომ მევალება შევასრულო ეს სამუშაო, და რომ სოციალისტურ აკადემიაში ხელს შემიწყობდნენ, რათა იქ ვიმუშაო. რომ შევძლებდე ყოველდღე დილ-დილაობით სოციალისტურ აკადემიაში მუშაობას დავუთმო ოთხ-ოთხი საათი, ორიოდე თვეში მოვამზადებდი დასაბეჭდად. მე კარგად არ მესმის, რას ნიშნავს გადავცე წერილებზე «ზრუნვა» ამხ. კამენევს. თუ იმ აზრით, რომ მუჯლუგუნი წამკრას, რათა არ დამავიწყდეს, ეს საჭირო არ არის — კარგად მახსოვს. ხოლო თუ ხელშეწყობის, კონსულტაციის გაწევის, დახმარების აზრით — ეს ძალიან კარგი იქნება. ძალიან მოხარული ვიქნები შესაძლებლობა მექნებოდეს მოვეთათბირო ვინმეს. მაგრამ საბოლოო გასინჯვა და სანქცია მინდოდა

#

#ზოგჯერ ესეც სასარგებლოა!

×

თქვენი მქონოდა...

× ვშიშობ, რომ ვერ შევძლებ.

ზოგადად წიგნის გეგმა დამესახა, მინდა საბოლოოდ შეგითანხმდეთ. ბეჭდვის რიგი ქრონოლოგიურია. ზოგიერთი წერილი, როგორც, მაგალითად, წერილი ანენკოვისადმი

××

— მთლიანად, ზოგიერთი — მხოლოდ ამონაწერები.

×× სწორია!

შევარჩიოთ მასალა, რომელიც განეკუთვნება თეორიას: ფილოსოფია, ეკონომიური თეორია, ისტორიული თეორია, რევოლუციის შესახებ, კლასობრივი ბრძოლის შესახებ, ისტორიული ხასიათის შენიშვნები;

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 697.

პოლიტიკას: პროლეტარიატი და სხვა კლასები, მუშათა მოძრაობა სხვადასხვა ქვეყანაში, პოლიტიკურ მოღვაწეთა შეფასება, წვრილბურჟუაზიული დემოკრატია.

მეც აგრეთვე (ლ ე ნ ი ნ ი) წერილებს — შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი, რათა ისინი **გასაგები** გავხადოთ

დავჯერდეთ მხოლოდ თეორიასა და პოლიტიკას, თუ ერთგვარი ადგილი დავუთმოთ წერილებს, რომლებიც აშუქებენ მარქსის ცხოვრებას, საინტერესონი არიან ბიოგრაფიისათვის. მე ეფიქრობ, **რომ ეს საჭირო** არ არის.

შესავალ სტატიაში მოკლედ გავაშუქოთ ყველა საკითხი და მივუთითოთ წერილების უმნიშვნელოვანესი ადგილები, **რომლებიც** მათ შეეხება.

დაწერილია 1922 წლის 10 აპრილს

მონიშვნები ვ. ვ. ადორატსკის წერილზე
პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

ბარათი ლ. ბ. კამენევისადმი პირველად
დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის
თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

700

ა. ი. რიკოვს და ა. დ. ციურუპას

1922 წლის 12 აპრილი

ამხ. რიკოვსა და ამხ. ციურუპას

გთხოვთ დღესვე მოაწყოთ მოადგილეების თათბირი, რათა შეიმუშაოთ პრაქტიკული და რაც შეიძლება უფრო ენერგიული ზომები იმის მისაღწევად, რომ კაშირის სადგურმა დაიწყოს დენის მიწოდება მოსკოვისათვის. ეს ყოვლად შეუწყნარებელი უმსგავსობაა, რომ მზა სადენებიან მზა სადგურს არ

შეუძლია მოგვაწოდოს დენი ჩვენი სამეურნეო უწესრიგობის გამო [636].

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

701

პ. მ. კერჟენცევს

13. IV. 1922 წ.

ამხ. კერჟენცევ!

ძალიან გთხოვთ სრული ნდობა აღმოუჩინოთ და ყოველნაირად შეუწყოთ ხელი ამხ. ბელა კუნსა და მის ოჯახს იმ მხრივ, რომ მოეწყოს სტოკჰოლმში, დაისვენოს და იმკურნალოს (რაც ძალიან სჭირდება), და ყოველივე დანარჩენში.

დიდი მოკითხვა! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

702

ბელა კუნს

ძვირფასო ამხანაგო ბელა კუნ!

ამასთან გიგზავნით წერილებს კერჟენცევისა და სმირნოვისადმი. კარახანს მივწერე. გეთაყვა, თუ კიდევ რამე იქნება საჭირო, მაშინვე მომწერეთ (ფ ო ტ ი ე ვ ა ს მისამართით).

დიდი მოკითხვა! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 13 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

703
გარათი ი. ბ. სტალინს, ლ. ბ. კამენევს და ლ. დ. ტროცკის

ამხ. სტალინს, კამენევსა და ტროცკის

ლიტვინოვის დეპეშა გერმანიასთან შეთანხმების ხელმოწერის შესახებ[637] აყენებს საკითხს, მიზანშეწონილია დაიბეჭდოს ეს დაუყოვნებლივ, თუ გადაიდოს იმ გარემოების რამდენადმე გარკვევამდე, გარდაუვალია თუ არა განხეთქილება გენუაში[638]. ვფიქრობ, რომ ეს საკითხი დღესვე უნდა გადავწყვიტოთ.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 18 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით

704
ბ. ე. ზინოვიევს

ამხ. ზინოვიევს

ს რ უ ლ ი ა დ ს ა ი დ უ მ ლ ო დ
გ ა დ ა ბ ე ჭ დ ვ ა ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი ა

ამხ. ზინოვიევ!

გთხოვთ დააყენოთ კომინტერნის აღმასკომის სხდომაზე (არ ვიცი, საჭიროა თუ არა დავაყენოთ გაფართოებულ კრებაზე ან ვიწრო ბიუროს კრებაზე) საკითხი კომინტერნის სპეციალური კორესპონდენტის ან რამდენიმე კორესპონდენტის სამხრეთ აფრიკაში გაგზავნის შესახებ იმისათვის, რომ შეკრიბონ უაღრესად დაწვრილებითი ცნობები და ყველაზე სრული კომპლექტი როგორც ლეგალური, ისე არალეგალური ადგილობრივი ლიტერატურისა მუშათა აჯანყების შესახებ, რომე-

ლიც ამას წინათ ჩააქრეს. ეს უნდა გაკეთდეს რაც შეიძლება მალე, მაგრამ ისე, რომ მაქსიმალურად დაცულ იქნეს სიფრთხილე, ვინაიდან უეჭველია, რომ ინგლისელები [ყველაფერს გააკეთებენ] * იმისათვის, რომ აღკვეთონ ოდნავი შესაძლებლობა ურთიერთობისა ჩვენსა და იმ აჯანყებულებს შორის, რომლებიც ჯერ კიდევ არ დაუხვრეტიათ და საპყრობილეში არ ჩაუსვამთ [639].

ჩვენ კი აუცილებლად უნდა დავაწესოთ ისეთი ჩვეულება, რომ კომინტერნის რწმუნებულებს უნარი ჰქონდეთ კონსპირაციულად გაჩნდნენ ასეთ აჯანყებათა ყოველ ადგილას და დროულად შეკრიბონ უაღრესად სრული მასალა აჯანყების ისტორიაზე.

გთხოვთ მოიწეროთ პასუხად 2 სიტყვა.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 18 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ნ. ს. ლეპეშინსკაიას
ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

705

ბარათი ი. ბ. სტალინს, ლ. ბ. კამენევს და ლ. დ. ტროცკის გენუაში გასაგზავნი დეპეშის პროექტით

ამხანაგებს სტალინს, კამენევსა და ტროცკის

წინადადებას ვიძლევი გავგზავნოთ შემდეგი დეპეშა (და ვაცნობოთ «პრავდისა» და «იზვესტიის» რედაქციებს როგორც დირექტივა ჩვენი პრესისადმი):

«ჩიჩერინსა და სოსნოვსკის

---

* ჩასმულია ჩაწერისას გამოტოვებული სიტყვები, რომლებიც აუცილებლად საჭიროა აზრის მიხედვით. რ ე დ.

გენუიდან მიღებული მთელი ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ ჩვენ თავს ვატყუებინებთ. ლოიდ ჯორჯი, რომელიც საფრანგეთის წინააღმდეგ აურზაურს ტეხს, ამით ფარავს თავის მთავარ მისწრაფებას — გვაიძულოს გადავიხადოთ ძველი ვალები საერთოდ და ყოფილი მესაკუთრეებისა განსაკუთრებით. დროა დავიწყოთ ინგლისელი დიპლომატების ამ ჩვეულებრივი მანევრის სისტემატური მხილება, მხილება როგორც ჩვენს, ისე საზღვარგარეთის კომუნისტურ პრესაში» [640].

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 19 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაბეჭდილი
ეგზემპლარი)

706

ბარათი ი. ბ. სტალინს ბ. ვ. ჩიჩერინისათვის გასაგზავნი დეპეშის პროექტით [641]

ამხ. სტალინს

გთხოვთ გაუგზავნოთ ჩემი შემდეგი დეპეშა ჩიჩერინს, თუ პოლიტბიუროს წევრებს ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ.

«ამხ. ჩიჩერინს

მე არასოდეს მეეჭვებოდა, რომ ლოიდ ჯორჯი მოქმედებს ინგლისელი სვავების ზეგავლენით და რომ ინგლისი უსაფრანგეთოდ არ დარჩება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამან იოტისოდენადაც არ უნდა შეცვალოს ჩვენი პოლიტიკა და რომ ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს კონფერენციის ჩაშლისა. კერძო ვალების

ცნობაზე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავთანხმდეთ. ვფიქრობ, რომ ახლანდელ სიტუაციას ვიცნობ.

ლ ე ნ ი ნ ი »

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 21 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაბეჭდილი
ეგზემპლარი)

707

წერილი ი. ბ. სტალინს
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს
წევრებისათვის
ბ. ვ. ჩიჩერინისათვის გასაგზავნი დეპეშის პროექტით

1922 წლის 24 აპრილი

ამხ. სტალინს პოლიტბიუროსათვის

რუძუტაკის დეპეშა პროტესტით ლოიდ ჯორჯისათვის გაგზავნილი წერილის წინააღმდეგ, ჩემი აზრით, ცხადყოფს, რომ ჩიჩერინმა ან უკვე დაუშვა, ან სავსებით შეუძლია დაუშვას უეჭველი შეცდომა და დაარღვიოს ცენტრალური კომიტეტის დირექტივა. სახელდობრ ის შეცდომა, რომ ჩიჩერინი პრაქტიკულს ვერაფერს აღწევს, ხოლო შეუძლია დაგვაკარგვინოს ვანხეთქილების ერთადერთი, სავსებით ხელსაყრელი, პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი ახსნა, რომელიც შემდგომ ნაღვ მოგებას მოგვცემდა: სახელდობრ განხეთქილებისა იმის გამო, რომ თანახმა არა ვართ აღვადგინოთ უცხოელ კაპიტალისტთა კერძო საკუთრება.

ამიტომ წინადადება შემომაქვს დღესვე გამოვკითხოთ ტელეფონით პოლიტბიუროს წევრებს და გავგზავნოთ ჩემი სახელით შემდეგი დეპეშა:

«ჩიჩერინს დელეგაციის ყველა წევრისათვის

რუძუტაკის აზრი, გამოთქმული მის 22 აპრილის დეპეშაში, სავსებით სწორად მიმაჩნია. ძალიან საშიშ შეცდომად მიმაჩნია ყოველი ნაბიჯი და ყოველი ფრაზა, რომლებსაც შეუძლია დაგვაკარგვინოს განხეთქილების ერთადერთი ხელსაყრელი საბაბი, თანაც ისეთი, ჩვენს სრულ დიპლომატიურ და კომერციულ გამარჯვებას რომ უზრუნველყოფს სულ ახლო მომავალში, სახელდობრ ის საბაბი, რომ ჩვენ არამც და არამც თანახმა არა ვართ აღვადგინოთ საზღვარგარეთელ კაპიტალისტთა კერძო საკუთრება.

ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ ჩვენ გაცნობეთ სავსებით ზუსტი ტექსტი ჩვენი საბოლოო დათმობებისა, რომლებისგანაც იოტისოდენად არ დავიხევთ უკან. როგორც კი სავსებით გამოირკვევა, რომ ამ დათმობებზე შეთანხმება შეუძლებელია, რწმუნებას გაძლევთ ჩაშალოთ საქმე, ხოლო აგიტაციისა და შემდგომი დიპლომატიური შეტევისათვის დაიტოვოთ ორი კოზირი:

1) რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების პრინციპული მნიშვნელობა.

2) ჩვენი უთანხმოება კაპიტალისტთა საკუთრების აღდგენის საკითხში».

გთხოვთ მაცნობოთ პოლიტბიუროს ყველა წევრის ან თუნდაც წევრთა უმრავლესობის აზრი [642].

საღამოს მოვაწყოთ შეხვედრა თქვენთან, ხოლო თუ შეიძლება კამენევთანაც, 1/4 საათით 7 საათზე.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ეგზემპლარის მიხედვით

708
ა. ი. რიკოვს და ა. დ. ციურუპას

26. IV. 1922 წ.

სრულიად საიდუმლოდ

ამხ. რიკოვსა და ციურუპას

გიგზავნით ვარგას გერმანულ წერილს.

დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი უმსგავსობანი უამრავი გვაქვს.

ვარგა, ალბათ, მართალია (მე მას ვწერ, რომ ამიერიდან მან უნდა მაცნობოს ხოლმე ინფორმატორის სახელი). გთხოვთ დანიშნოთ (კრესტინსკის მეშვეობით? თუ სხვა გზით) უსასტიკესი გამოძიება ბერლინში, რომ **დაიჭიროთ** დამნაშავენი ამ «ბინტში» და შემდეგ მოახდინოთ მისი **ძირეული** რეორგანიზაცია.

გამოძიებისა და გადაკეთებისათვის განკუთვნილ კომისიაში აუცილებლად დაინიშნოს ევგენი ვარგა[643].

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

709
* ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს

ამხ. სტალინ, გიგზავნით ამხ. შკლოვსკის (გ. ლ. შკლოვსკი) წერილს. მე მას კარგად ვიცნობ საზღვარგარეთიდან (1908 — 1914), სადაც იგი ემიგრაციაში იმყოფებოდა უკვე ბოლშევიკი და პარტიის წევრი. მას სურს იმუშაოს რუსეთში და პარტიაში. იგი მუშაობდა მოსკოვში — ქალაქის სამმართველოშიც (ვლადიმირსკის უნახავს ამ სამუშაოზე), საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატშიც, მიწსახკომშიც; ვგონებ, იგი სავსებით «შეეხმატკბილა» საგარეო საქმეთა სახალხო კომისა-

რიატს, სადაც მას აფასებდნენ. დანარჩენ ადგილებში ჰქონდა არ ვიცი უთანხმოება, არ ვიცი არასრული თანხმობა ან რაღაც ამგვარი, ვინაიდან ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ მისთვის შეუძლებელი გახდა მორიგება რუსეთში მუშაობის შესახებ. შკლოვსკი ძველი პარტიელია, და მას (როგორც მისი წერილიდან ჩანს) მეტად აწუხებს, რომ რუსეთში მუშაობას «არ ანებებენ». იგი ნერვიულობს; ებადება შიში, რომ მას «თავიდან იშორებენ» და სხვ. (ოჯახი, შვილები ჰყავს; ადვილი როდია მშიერ და ცივ რუსეთში მოწყობა. შკლოვსკის საზღვარგარეთიდან იცნობს ზინოვიევიც, საფაროვიც და ყველა, ვინც შვეიცარიაში იყო 1908 — 1917 წლებში).

მისწერეთ ან თქვენს მდივანს დაავალეთ მისწეროს წერილი შკლოვსკის (ბერლინში კრესტინსკის მეშვეობით) შეკითხვით, რას მოინდომებდა, და დააყენეთ შემდეგ საკითხი სამდივნოში. არ შეიძლება «ვყრიდეთ» ადამიანებს, მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ [644].

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 27 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

710

წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს [645].

დაუყოვნებლივ უნდა გაკეთდეს მხოლოდ ერთი რამ: გაეგზავნოს დაშიფრული დეპეშა ჩიჩერინს და ეთხოვოს, რომ გამოგზავნოს კონსპექტი ან თეზისები მანიფესტისათვის.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 28 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 45

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ეგზემპლარის მიხედვით

711

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს *

წინადადება შემომაქვს გავგზავნოთ დეპეშა:

ს ტ ო მ ო ნ ი ა კ ო ვ ს

«განიხილეთ კრესტინსკისთან და ლომოხოსოვთან ერთად კრუპზე ზემოქმედების ზომები. გადაწყვეტილება გვაცნობეთ. იმოქმედეთ მხოლოდ და მხოლოდ სამივეს ერთხმივი გადაწყვეტილებით» [646].

დაწერილია 1922 წლის 29 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

712

დეპეშა გ. ვ. ჩიჩერინს [647]

ახალი კონფერენცია სამიოდე თვის შემდეგ ყველაზე ხელსაყრელია ჩვენთვის. გენუის კონფერენციის დახურვისას არამც და არამც არ იკისროთ თუნდაც ოდნავი ფინანსური ვალდებულებანი, ვალების რაიმე თუნდაც ნახევრად ცნობა და ნუ გეშინიათ საერთოდ განხეთქილებისა. ამხ. კრასინის განსაკუთრებული აზრი ცხადყოფს, რომ მისი ხაზი აბსოლუტურად არასწორი და დაუშვებელია. საფინანსო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგის მიუხედავად ერთხელ კიდევ მკვეთრად წამოაყენეთ საკითხი ურთიერთვალდებულების შესახებ

* არის ამ დოკუმენტის მანქანაზე გადაბეჭდილი პირი, რომელზეც დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის ხელმოწერა. რ ე დ.

მშვიდობის შესანარჩუნებლად და დაიცავით იგი თუნდაც ამ არადამაკმაყოფილებელი ფორმით, რომელსაც ლოიდ ჯორჯი იძლევა.

დაწერილია 1922 წლის 30 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 45

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ეგზემპლარის მიხედვით

713

გარათეოი რაპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ბ. ვ. ჩიჩერინისათვის გასაგზავნი დეპეშის პროექტით [648]

ჩიჩერინისა და **ლიტვინოვის** (კრასინზე რომ არ ვილაპარაკოთ) გაუგონრად სამარცხვინო და ს ა შ ი შ ი მერყეობის გამო წინადადება შემომაქვს **დავცხოთ**.

ჩემი პროექტი:

«მეტად ვწუხვართ, რომ ჩიჩერინიც და ნაწილობრივ ლიტვინოვიც დაეშვნენ კრასინის ა ბ დ ა უ ბ დ ა მ დ ე. ასეთი მერყეობის გამო დელეგაციას წინადადებას ვაძლევთ უთუოდ ჩამოაგდოს განხეთქილება, და რაც შეიძლება მალე, ამასთან ნათლად და ზუსტად დაასაბუთეთ იმით, რომ თანახმა არა ვართ აღვადგინოთ კერძო საკუთრება, და განაცხადეთ, რომ ჩვენ მხოლოდ ძალიან ხელსაყრელი და დაუყოვნებელი სესხის პირობით ვთანხმდებოდით ნაწილობრივ დათმობებზე და უთუოდ მოვითხოვთ ხელშეკრულებას, როგორც თანასწორი თანასწორთან, საკუთრების ორ სისტემას შორის. (კიდევ ოდნავი მერყეობის შემთხვევაში საჯაროდ მოვახდენთ დეზავუი-

რებას ცაკ-ში და დაგითხოვთ თანამდებობიდან). ლიტვინოვის ღია დეპეშა ცხადად გვიჩვენებს, რომ უნდათ მოგვატყუონ».

ლ ე ნ ი ნ ი. 2/V

სტალინის იმ შესწორებას, რომ ამოვიღოთ დეზავუირებით დამუქრება, **არ** ვეთანხმები. ლ ე ნ ი ნ ი

ამხ. სტალინ!

შემომაქვს კიდევ ასეთი დამატება გენუაში გასაგზავნი დეპეშისათვის:

12 მაისისათვის დანიშნულია სრულიად რუსეთის ცაკ-ის სესია. დელეგაციის სულ ცოტა სამი წევრი ამ დროისათვის მოსკოვში უნდა იყოს მთელი მასალებით. ჩიჩერინი გერმანიაში უნდა დარჩეს და მკურნალობა დაამთავროს [649].

ლ ე ნ ი ნ ი. 2/V

დაწერილია 1922 წლის 2 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის ნაწერთა
მე-5 გამოცემაში, ტომი 45

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

714
ფ. ე. ძერჟინსკის

2. V. 1922 წ.

პირები ამხ. რიკოვსა და ამხ. ციურუპას
ამხ. ძერჟინსკის

გთხოვთ მაცნობოთ — ს უ ლ მოკლე ფორმით, — კეთდება რამე თუ არა და რამდენად სწრაფად იმისათვის, რომ შესრულდეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება რკინიგზების 3 კატეგორიად დაყოფის და მე-3 კატეგორიის რკინიგზების დახურვის შესახებ.

საჭიროა მაქსიმალურად დავაჩქაროთ დახურვა და მივაღ-

წიოთ ამას რადაც უნდა დაგვიჯდეს და სასწრაფოდ. სხვანაირად როგორ ვებრძოლოთ კრიზისს [650]?

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ.
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ჟურნალში
«ვესტნიკ პუტეი სოობშჩენია», № 6

იბეჭდება
ფაქსიმილეს მიხედვით

715
ა. დ. ციურუპას და ა. ი. რიკოვს

ამხ. ციურუპასა და რიკოვს ვთხოვ მხარი დაუჭირონ სახკომსაბჭოში ხუთშაბათს * და, თუ საჭირო გახდეს, გადაიტანონ პოლიტბიუროში [651].

2/V. 1922. ლენინ.

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

716
წერილი გ. ი. სოკოლნიკოვს
საფინანსო პოლიტიკის საკითხებზე

პირები ამხანაგებს ციურუპას,
რიკოვსა და სტალინს (პოლიტბიუროსათვის)

ამხ. სოკოლნიკოვ!

ამხ. ციურუპამ მიამბო თქვენს პროექტზე პურის შინაგანი სესხის შესახებ, თვითონ გადავათვალიერე პროექტის ტექსტი. მე მგონია, რომ ეს თავის მოტყუებაა. როგორ დაამტკიცებთ, რომ ამას შეუძლია პრაქტიკულად თუნდაც რაიმე მოგვცეს? მე მგონია, პირიქით, საჭიროა დავასკვნათ, რომ ეს გააუარესებს ჩვენს მდგომარეობას, ბოლოს მოუღებს ემისიას, ე. ი. წაუბიძგებს სპეკულაციურ ბაზარს ჩვენ წინააღმდეგ

* იგულისხმება 4 მაისი. რ ე დ.

ბრძოლის სწორედ იმ ზომისაკენ, რომელსაც იგი ასე წარმატებით იყენებს. სახელდობრ, ბაზარმა, ეტყობა, თითქმის ისწავლა ფასების ისე სწრაფად გაბერვა ემისიის ზრდის კვალდაკვალ, რომ ემისიას ვეღარ ამოაქვს მოსახლეობიდან რაიმე რეალური ფასეულობანი, იქცევა ფუჭ თამაშად და ფუჭ თავდამშვიდებად ჩვენთვის. (ჰო, იმის შესახებ, თუ რა რეალური ფასეულობანი ამოგვაქვს ემისიის საშუალებით, ზუსტი მონაცემები უნდა იყოს. საჭიროა ვაჯამებდეთ მათ სულ მოკლე ფორმით ყოველკვირეულად მაინც. კეთდება თუ არა ეს?)

მე ვფიქრობ, რომ დროა თავი დავანებოთ მავნე თვითდამშვიდებას, დღის წესრიგში დავაყენოთ ნამდვილად რევოლუციური ღონისძიებანი, ერთი მხრივ — ყოველნაირი გადასახადების აკრეფის გასადიდებლად; მეორე მხრივ — შტატების უსწრაფესი და უძლიერესი შემცირებისათვის. ამასთან არ უნდა მოვერიდოთ იმას, რომ დავხუროთ, ნაწილობრივ ვადის უჩვენებლად, ნაწილობრივ შემოდგომამდე, ბევრი ძალიან დიდი განყოფილება ზოგიერთ სახალხო კომისარიატში და ესა თუ ის სახალხო კომისარიატიც კი.

მე დღეს მივწერე ძერჟინსკის იმის შემოწმების შესახებ, ვმუშაობთ თუ არა ჩვენ სერიოზულად მე-3 კატეგორიის რკინიგზების დასახურავად. ძალიან ვშიშობ, რომ, თუ ამგვარი რევოლუციური ზომები არ განხორციელდა, ისე ყრილობის რეზოლუციაც საფინანსო პოლიტიკის შესახებ [652] ქაღალდზე რჩება და საერთოდ ჩვენ ცხოვრებას ჩამოვრჩებით, ვეწევით რა იმის რისკს, რომ უმწეონი აღმოვჩნდეთ მოახლოებული კატასტროფის წინაშე.

გთხოვთ თქვენ დასკვნას [653].

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 2 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაბეჭდილი
ეგზემპლარი)

717
ე. ა. პრეობრაჟენსკის

ეს **ახლა** წმინდა ბიუროკრატიული და მავნე ბიუროკრატიული იქნება, **სანამ მომზადებული არ არის** საკითხი.

მომზადება უნდა დავიწყოთ ახლავე ყოველნაირად, **არაერთ** კომისიაში [654].

დაწერილია 1922 წლის 3 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

718
ბ. ვ. ჩიჩერინისათვის გასაგზავნი დეპეშის პროექტი

აუცილებლად ჩამოაგდეთ განხეთქილება და რაც შეიძლება მალე მოკავშირეთა ახალ მემორანდუმზე [655], ვინაიდან მესაკუთრეებისადმი დათმობაზე ჩვენ არ დავთანხმდებით, უკეთეს მომენტს კი ვერ ვიპოვით. გაჭიანურება გვასუსტებს. გერმანიის ხელშეკრულება ხელთ რომ გვაქვს, ახლა არავითარ შემთხვევაში არ ვიტყვით უარს იმის ხანგრძლივ ცდაზე, რომ ვიდგეთ მხოლოდ მის საფუძველზე. დაიწყეთ უაღრესად ფრთხილად ფლირტი იტალიასთან ცალკე.

დაწერილია 1922 წლის 5 ან 6 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 45

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

719
ი. ბ. სტალინს

ეს დეპეშა სავსებით არასწორად არის გაგზავნილი პოლიტბიუროში. მსგავსი საკითხი საბჭოთა წესით უნდა გადაწყდეს.

ასეთი დეპეშა უნდა გაიგზავნოს ორივე მოადგილის, საკონცესიო კომიტეტის თავმჯდომარის ან მოადგილის და, ბოლოს, სათბობის მთავარი სამმართველოს უფროსის ხელმოწერით მარტო ეს პირები აგებენ და ნორმალურად უნდა აგებდნენ პასუხს აღნიშნული ციფრების სიზუსტისათვის და იმისათვის, რომ აქ მოცემული განკარგულებები შეესაბამებოდეს საბჭოთა კანონებს და შესაბამისი საბჭოთა დაწესებულებების დადგენილებებს. ამიტომ არსებითად ამ დეპეშისათვის ხმის მიცემაზე უარს ვამბობ [656].

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 6 მაისს 9 საათზე

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

720

დეპეშა მ. მ. ლიტვინოვს [657]

ჩვენ გვგონია, რომ სახელმწიფოთა უკანასკნელი მემორანდუმის საერთო მიუღებლობა შესაფერი საბაბია განხეთქილებისათვის, მაგრამ, თუ თქვენ ამას არ ეთანხმებით, ჩვენ, მიგვაჩნია რა განხეთქილება წინასწარ გადაწყვეტილად, თანახმა ვართ თქვენ მოგანდოთ განხეთქილებისათვის ყველაზე მიზანშეწონილი მომენტის შერჩევა.

დაწერილია 1922 წლის 8 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 45

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ეგზემპლარის მიხედვით

721

დეპეშა გ. ვ. ჩიჩერინს [658]

ვითვალისწინებთ რა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების მნიშვნელობას, მის მიღებას გერმანიის მიერ, მის გავლენას იტალიაზე და სახელმწიფოთა ჩხუბს ნავთობის კონცესიების გამო, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ჩვენთვის ყველაზე სწორია ახლა იმაზე ავაგოთ მთელი საერთაშორისო პოლიტიკა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში რამდენიმე თვე მაინც ყოველივე და ყველაფერი ავაგოთ მხოლოდ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების ბაზაზე, გამოვაცხადოთ იგი ერთადერთ ნიმუშად, რომელსაც გადავუხვევთ მხოლოდ და მხოლოდ დიდ ხელსაყრელობათა გულისათვის. ეცადეთ მოამზადოთ ეს განხეთქილების ფორმით. გვინდა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების რატიფიკაციასთან ერთად შევიტანოთ მსგავსი განცხადება სრულიად რუსეთის ცაკ-ის დეკლარაციაში. სასწრაფოდ გვიდეპეშეთ თქვენი აზრი.

დაწერილია 1922 წლის 9 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 45

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ეგზემპლარის მიხედვით

722

მცირე სახკომსაბჭოს შემადგენლობის პროექტისათვის [659]

გოიხბარგის შესახებ მქონდა არაერთი საჩივარი, რომ იგი უზომოდ ლანძღავს და აშინებს ხალხს როგორც თავმჯდომარე. პირადად მე სხვა მხრივ დიდად ვაფასებ გოიხბარგს. ხომ

არ შეიძლება შეამოწმოთ ან მისცეთ მას **განსაკუთრებული გაფრთხილება.**

10/V. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 10 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

723
არმანდ ჰამერს

11. V. 1922 წ.

ძვირფასო ამხ. ჰამერ!

მაპატიეთ, გეთაყვა, ძალიან ავად ვიყავი, ახლა გაცილებით უკეთ ვარ.

დიდი მადლობა თქვენი საჩუქრისათვის — ასეთი თავაზიანი წერილისათვის საპყრობილეში მყოფი ამერიკელი ამხანაგებისა და მეგობრებისაგან. ამ წერილს მე დავურთე თქვენთვის წერილი ამხ. ზინოვიევისადმი ან სხვა პეტროგრადელი ამხანაგებისადმი, თუ ზინოვიევი პეტროგრადიდან წასულია.

სულით და გულით ვუსურვებ სრულ წარმატებას თქვენს პირველ კონცესიას. ამ წარმატებას დიდი მნიშვნელობა ექნება სავაჭრო ურთიერთობისთვისაც ჩვენს რესპუბლიკასა და შეერთებულ შტატებს შორის.

კიდევ ერთხელ გმადლობთ და გთხოვთ მომიტევოთ ჩემი ცუდი ინგლისური ენა. გეთაყვა, ყველა წერილი და დეპეშა გამოგზავნეთ ჩემი მდივნის (ფ ო ტ ი ე ვ ა ს ან ს მ ო ლ ი ა ნ ი ნ ო ვ ი ს) მისამართით. მე შევატყობინებ მათ*.

გულწრფელად თქვენი
ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1926 წლის
21 იანვარს «კრასნაია გაზეტაში», № 17

იბეჭდება ხელნაწერის
ფოტოპირის მიხედვით
თარგმანი ინგლისურიდან

---

* იხ. შემდეგი დოკუმენტი. რ ე დ.

724

ლ. ა. ფოტიევას და ვ. ა. სმოლიანინოვს [660]

ფოტიევასა და სმოლიანინოვს

ათარგმნინეთ ეს ორივე თქვენგანისათვის და წაიკითხეთ; ჩაიწერეთ **არმანდ ჰამერის** სახელი და ყოველნაირად დაეხმარეთ მას ჩემი სახელით, თუ მოგმართოთ.

11/V. ლენინი

დაწერილია 1922 წლის 11 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

725

გ. ე. ზინოვიევს

1

11. V. 1922 წ.

ამხ. ზინოვიევს ან მის მოადგილეს

Petrograd

To Comrade Zinoviev

(ამხანაგ ზინოვიევს ან მის მოადგილეს)

I beg You to help the comrade Armand Hammer; it is extremely important for us that his first concession would be a full success.

Yours Lenin

ძალიან გთხოვთ ყოველნაირად დაეხმაროთ ამის მომტანს, ამხანაგ არმანდ ჰამერს, ამერიკელ ამხანაგს, რომელმაც აიღო პირველი კონცესია. მეტად, მეტად მნიშვნელოვანია, რომ მთელ მის საქმეს სრული წარმატება ექნეს.

კომ. სალმით ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის ფოტოპირის მიხედვით

2

11. V. 1922 წ.

ტელეფონოგრამა პეტროგრადში ზინოვიევს და მის მოადგილეს (რომ არამც და არამც არ დაიკარგოს ზინოვიევის წასვლის ან არყოფნის შემთხვევაში) [661]

დღეს დავწერე სარეკომენდაციო წერილი თქვენდამი და თქვენი მოადგილისადმი ამერიკელი ამხანაგის არმანდ **ჰამერისათვის**. მამამისი მილიონერია, კომუნისტი (საბჭოთა ზის ამერიკაში). მან ჩვენში აიღო პირველი კონცესია, ჩვენთვის მეტად ხელსაყრელი. მოდის პიტერში, რომ დაესწროს ხორბლით დატვირთული პირველი გემის გადმოტვირთვას * და მოაგვაროს მანქანების მიღება მისი კონცესიისათვის ((აზბესტის მაღაროები)).

ძალიან გთხოვთ დაუყოვნებლივ გასცეთ განკარგულება, რომ დაშვებულ არ იქნეს არავითარი გაჭიანურება და რომ საიმედო ამხანაგებმა პირადად ადევნონ თვალყური ამ კონცესიისათვის განკუთვნილი ყველა სამუშაოს წარმატებასა და სისწრაფეს. ეს მეტად, მეტად მნიშვნელოვანია. არმანდ ჰამერი მოდის თავისი კომპანიის დირექტორთან, მიშელთან (Mr. Mishell) ერთად.

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის ნახზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 503. რედ.

726

ვ. ს. დოვგალევსკის

ამხ. დოვგალევსკის
პირი სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობას

ამხანაგო დოვგალევსკი!

დღეს «იზვესტიაში» წავიკითხე ცნობა, რომ ნიჟნი-ნოვგოროდის საქალაქო საბჭომ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე აღძრა შუამდგომლობა.

მიენიჭოს ნიჟნი-ნოვგოროდის რადიოლაბორატორიას შრომის წითელი დროშის ორდენი და შეტანილ იქნენ პროფესორები ბონჩ-ბრუევიჩი და ვოლოგდინი წითელ დაფაზე.

გთხოვთ თქვენს მოსაზრებას. მე, ჩემი მხრივ, საჭიროდ მიმაჩნია მხარი დავუჭირო ამ შუამდგომლობას.

ჰო, ჩემდამი თქვენს წერილთან დაკავშირებით, გთხოვთ მაცნობოთ, სავსებით კმაყოფილი ხართ თუ არა ნიჟნი-ნოვგოროდის რადიოლაბორატორიის მუშაობით; აგრეთვე გამომიგზავნოთ რაც შეიძლება მოკლედ ბონჩ-ბრუევიჩის აზრი იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მისი მუშაობა რუპორების დასამზადებლად, რომლებითაც შესაძლებელი იქნება ფართო მასებს გადავცეთ ხოლმე ის, რასაც უმავთულო ტელეგრაფით გვაცნობებენ. ამ მუშაობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის იმის გამო, რომ მისი წარმატება, რომელსაც დიდი ხანია დაგვპირდა ბონჩ-ბრუევიჩი, უდიდეს სარგებლობას მოუტანდა აგიტაციასა და პროპაგანდას.

ამიტომ საჭიროა გავიღოთ ერთგვარი მსხვერპლი, რომ მხარი დავუჭიროთ ამ მუშაობას. კერძოდ, გამიგონია, რომ ამერიკაში ასეთ მუშაობას უკვე მოჰყვა წარმატებითი პრაქტიკული შედეგები.

უნდა შევამოწმოთ, გვაქვს თუ არა ნიჟნი-ნოვგოროდის რადიოლაბორატორიის განკარგულებაში მთელი უახლესი ამერიკული ლიტერატურა ამ საკითხზე.

გთხოვთ თქვენს მოსაზრებას რაც შეიძლება მალე, რომ მე მოვასწრო, საჭიროების შემთხვევაში, ხელი მოვაწერო ამა თუ იმ ცნობას ან შუამდგომლობას სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიაზე, რომელიც ხვალ იხსნება [662].

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

გთხოვთ აგრეთვე განსაკუთრებულ კონფიდენციალურ წერილში მომაწოდოთ ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობა ნიკოლაევის გადაყვანის შესახებ რადიოგანყოფილების გამგის თანამდებობიდან სხვა თანამდებობაზე; აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორი მომზადება აქვს იმისათვის, რომ ამ განყოფილების გამგე იყოს, ამხ. ტროფიმოვს, რომელიც, ვგონებ, განაგებს მას ახლა; აგრეთვე იმ სპეცს, რომელიც უშუალოდ უძღვება ცენტრალურ უწყებაში ამ სამუშაოს [663].

დაწერილია 1922 წლის 11 მაისს

პირველად დაიბეჭდა არასრულად
1934 წელს წიგნში: ა. მ. ნიკოლაევი.
«ლენინი და რადიო». მოსკოვი

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

727

ვ. ა. სმოლიანინოვს

1922 წლის 13 მაისი

ამხ. სმოლიანინოვ!

გთხოვთ შეამოწმოთ, მართალია თუ არა რაც არაოფიციალურად მიამბეს, ვითომ აკადემიკოსი ლაზარევი, რომელიც

დიდი ხანია მუშაობს კურსკის ანომალიაზე, თავგზადაბნეულია იმით, რომ მას თითქოს უარი უთხრეს ყოველგვარ ფულად დახმარებაზე.

შეიტყვეთ, რა თანხის ვარაუდი ჰქონდა და რა მიეცა[664].

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

728

დეპეშა ლ. ბ. კრასინს, ბ. ვ. ჩიჩერინს, ვ. ვ. ვოროვსკის[665]

გენუა
კრასინს, ჩიჩერინს, ვოროვსკის

უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ ასეთ ხელშეკრულებას. ვფიქრობ, რომ იტალიელებს ნახშირი უნდა შევთავაზოთ იმაზე იაფ ფასად, რასაც ისინი ჩვეულებრივ მიმწოდებლებს უხდიან. გთხოვთ დააჩქაროთ პასუხი *.

ლენინი

დაწერილია 1922 წლის 13 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

729

დეპეშა ბ. ვ. ჩიჩერინს[666]

თუ სწორად გავიგეთ პრესის კომენტარები ჩვენი პასუხიან შექმნილი სიტუაციის გამო, ლოიდ ჯორჯი მზად არის გამოყოს დაუყოვნებლივი პოლიტიკური შეთანხმება ზავის შესახებ ფინანსურ-ეკონომიური შეთანხმებებისაგან, რომლებიც გა-

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 734. რედ.

დაეცემა ხანგრძლივ კომისიას[667]. ეს ყველაზე ხელსაყრელი შედეგი და უეჭველი გამარჯვება იქნებოდა, ამიტომ გირჩევთ: 1) განაგრძოთ ხაზი აბსოლუტური დაუთმობლობისა ეკონომიურ დარგში, ამასთან დათანხმდეთ ხანგრძლივ კომისიაზე, 2) ყოველი ღონისძიებით დაუჭიროთ მხარი ლოიდ ჯორჯის მისწრაფებას პოლიტიკური შეთანხმებისადმი (საგარანტიო ხელშეკრულება), 3) ყოველნაირად ესწრაფოდეთ სეპარატულ შეთანხმებებს ცალკეულ ქვეყნებთან, 4) ყოველი ღონისძიებით გამოიყენოთ ლოიდ ჯორჯის მიერ პოლონეთისა და რუმინეთის აღმოსავლეთი საზღვრების საკითხის დაყენება, ამასთან აღნიშნოთ, რომ ეს საზღვრები დაბრკოლებაა მშვიდობის დამყარებისათვის, მაგრამ ეს გააკეთეთ ფრთხილად, რომ არ გამოიწვიოთ საყვედურები რიგის ხელშეკრულებებიდან[668] გადახვევის შესახებ. ერთხელ კიდევ გთხოვთ საჩქაროდ გვაცნობოთ ძირითადი დებულებანი სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლუციისათვის იოფეს მოხსენების გამო, განსაკუთრებით რაპალოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით — იხ. ჩვენი დეპეშა № 3535/ს*.

დაწერილია 1922 წლის 14 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 45	იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი ეგზემპლარის მიხედვით

730

ვ. ა. სმოლიანინოვს **

15/V.

ამხ. სმოლიანინოვ!

მითითება უნდა მოგცეთ თქვენ და ამხ. ზაქსს, — თანაც გაგაფრთხილოთ, რომ შემდგომ გამოვიყენებთ სასჯელის უფრო

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 721. რ ე დ.

** დოკუმენტის ტექსტს ვ. ი. ლენინმა დააწერა: «გადაწერეთ ბლანკზე 4 ეგზემპლარად და მომიტანეთ ხელის მოსაწერად. 15/V. ლენინი». რ ე დ.

სასტიკ ზომას, — რომ, შევამოწმე რა მუშაობა ამხ. ულრიხისა, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა თვალყურს ადევნებს სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებას, აღმოვაჩინე უდიდესი უწესრიგობა.

თანდართული ბარათი განსაზღვრავს ამხ. ულრიხის მუშაობის ფორმასა და წესს. ამავე დროს კი ბარათი არ სრულდება. არც თქვენ, არც ზაქსი ამას თვალყურს არ ადევნებდით, თუმცა ეს თქვენი პირველხარისხოვანი მოვალეობაა. მე დავავალე ამხ. ულრიხს შეევსო სოლმე ბარათი უ ზ უ ს ტ ე ს ი აკურატულობით, პედანტიზმამდე ზუსტად.

გავალებთ ამხ. ზაქსთან ერთად მიაღწიოთ ამის უაღრესად აკურატულად შესრულებას; თუ ამხ. ულრიხი ვერ ისწავლის. შეცვალეთ იგი და მონახეთ უთუოდ აკურატული შემსრულებელი.

თანდართული ბარათებიდან ჩანს, რომ ამხ. ფოტიევამაც დაიწყო, ამხ. ულრიხის მსგავსად, ბარათის «თავისი ნებით» გადაკეთება. მე ეს აბსოლუტურად დაუშვებლად მიმაჩნია. ბარათის ცვლილებების შესახებ დავალებისა და ნებართვის მიცემის უფლება აქვთ მ ხ ო ლ ო დ მ ო ა დ გ ი ლ ე ე ბ ს, მათი ერთობლივი ხელმოწერით. ყოველი სხვა ცვლილებისათვის თანამდებობიდან დაითხოვეთ.

ჯობს შევამოწმოთ ხოლმე მ ხ ო ლ ო დ ნაწილი სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებებისა (მოადგილეების ან საქმეთა მმართველის მიერ გაკეთებული აღნიშვნით), მაგრამ შევამოწმოთ უაღრესად პედანტური აკურატულობით.

თითოეული სახალხო კომისარი მოვალეა ახლავე დანიშნოს რამდენიმე ამხანაგი, რომლებსაც დაკისრებული აქვთ პასუხისმგებლობა შესრულების შემოწმებისათვის (საქმეთა

მმართველი, მისი თანაშემწე; მდივანი, მისი თანაშემწე და სხვ.) და აცნობოს მათი გვარები სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველს. ეს პირები არააკურატულობისათვის ულმობლად უნდა დაისაჯონ ხოლმე დაპატიმრებით ან დათხოვნილ იქნენ მოაღგილეთა ბრძანებით. სახალხო კომისარი არააკურატულობისათვის უნდა დაისაჯოს საყვედურით, როგორც უბრალოთი, ისე პარტბილეთში შეტანით. ამას თვალყური უნდა ადევნოს — უსასტიკესად — სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველმა, და აუცილებლად გადავაყენებ თანამდებობიდან, თუ ეს უაღრესად პედანტური აკურატულობით არ იქნა შესრულებული.

ამოცანაა მივაჩვიოთ სახალხო კომისარიატები აკურატულობას, ციხეში ჩავსვათ და განვდევნოთ არააკურატული შემსრულებლები.

სახ. კომისარიატებზე ნათქვამი ეხება ყველა ცალკეულ დაწესებულებას (სახელმწიფო საგეგმო კომისია, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, კონცესიების კომიტეტი, საშინაო ვაჭრობის კომიტეტი და სხვ.) და საგუბერნიო აღმასკომებს, საოლქო ეკონომიურ თათბირებს და სხვ.

თვეში ორჯერ თქვენ და ზაქსი ვალდებული ხართ მომწეროთ (მოკლედ, ტელეგრაფის სტილით), როგორ მიდის შესრულების აკურატულად შემოწმების ორგანიზაციის საქმე. წარუმატებლობისათვის — დათხოვნა.

ამასთან გიგზავნით ამხ. ფოტიევას შიერ შევსებულ (არააკურატულად და დაუშვებლად) ბარათებს და ჩემ მიერ გასწორებულ სუფთა ბარათებს: არ გაბედონ დასვრა, არ გაბედონ რაიმე ზედმეტის წერა, არ გაბედონ იოტისოდენად გადახვევა. თორემ გავრეკავ მდივნებსაც და ყველა საქმეთა მმართველსაც.

დაუყოვნებლივ აჩვენეთ ეს ქაღალდი ორივე მოადგილეს მიუტანეთ მათ ხელის მოსაწერად (ჩემს წასვლამდე, ე. ი. 3—4 დღის შემდეგ, არა უგვიანეს) უზუსტესი დადგენილება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ამოწმებდნენ შესრულებას, თა-

ნახმად ჩემი მითითებებისა, ავსებდნენ ბარათებს, სჯიდხენ არააკურატულობისათვის.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1922 წლის 15 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

731
წერილი ი. ბ. სტალინს და მ. ი. ფრუმკინს და დავალება მდივანს

ამხ. სტალინ და ამხ. ფრუმკინ! ჩემი აზრით, საჭიროა ფ ო რ მ ა ლ უ რ ა დ ა ი კ რ ძ ა ლ ო ს მთელი ლაპარაკი და მოლაპარაკება და კომისიები და სხვ. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესუსტების შესახებ.

არ ვეთანხმები ფრუმკინს, რომ სახელმწიფო ვაჭრობა ყოველთვის დამარცხებული იქნება. მთელ მსოფლიოში ყველას სჯობნიან უნივერსალური მაღაზიები. ხოლო რით არიან ისინი სახელმწიფო ვაჭრობაზე უკეთესნი?

სისტემატურად უნდა გადავდიოდეთ მოსამსახურეთა **პრემირებაზე** ბრუნვისა და მოგებისათვის. უამისოდ საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატი ჩაფლავდება (და ჩვენ ყველანი). ფრუმკინი ამაზე არ ფიქრობს. ეს მისი დანაშაულია.

15/V. ლ ე ნ ი ნ ი

საიდუმლოდ გაეგზავნოს სტალინსა და ფრუმკინს და ეთხოვოთ დამიბრუნონ 2 სიტყვად გამოთქმული აზრით. თვალყური ადევნეთ, რომ დამიბრუნდეს რაც შეიძლება მალე (2 — 3 დღეში) [669].

15/V. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 15 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

732
ა. ი. რიკოვსა და ა. დ. ციურუპას [670]

აზრის გამოსათქმელად რიკოვსა და ციურუპას.

მე სახალხო კომისარიატების გაერთიანების წინააღმდეგი ვარ. დავჯერდეთ აპარატებისა და განყოფილებების უნიასი და გამარტივებას. დავნიშნოთ პ რ ე მ ი ე ბ ი აპარატების გამარტივებისათვის და ბრუნვის გაფართოების სისწრაფისათვის.

15/V. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 15 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

733
ვ. ა. სმოლიანინოვს [671]

ამხ. სმოლიანინოვ! ვ. ი. სმირნოვს სულ სხვა ციფრები აქვს. წინადადება შემომაქვს გავატაროთ შრომისა და თავდაცვის საბჭოში:

1) ფინსახკომი
2) ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო
3) სახელმწიფო საგეგმო კომისია
4) «ეკონომიჩესკაია ჟიზნ»

მოვალენი არიან მიაწოდონ შ რ ო მ ი ს ა და თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო ს **საიდუმლოდ** ყოველთვიურად მონაცემები ემისიის შემოსავლიანობის შესახებ (სულ მოკლედ).

აჩვენეთ რიკოვსა და ციურუპას.

15/V. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 15 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

734

ა. ი. რიკოვს [672]

ამხ. რიკოვ! ტელეფონით უნდა გავატაროთ შ რ ო მ ი ს ა და თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო ს გადაწყვეტილება გაიგზავნოს ორი გემი დონეცის **ს ა უ კ ე თ ე ს ო** ქვანახშირი და **მ ი ვ ე ძ ა ლ ო თ** შესრულებას (**პ ი რ ა დ ა დ** პასუხს აგებს ფრუმკინი). დაინიშნონ პასუხისმგებელნი **სახელდებით** ბახმუტსა და ტაგანროგში.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 16 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

735

ნ. ოსინსკის [673]

16—V — 22 წ.

ს ა ი დ უ მ ლ ო ღ

ამხ. ოსინსკი!

ჩემი აზრით, უნდა გადავაყენოთ «სელსკოხოზიაისტვენნაია ჟიზნის» რედაქტორი, ხოლო ვაინშტეინსა და ოგანოვსკიზე განსაკუთრებული ზედამხედველობა დავაწესოთ. ასეთია ჩემი დასკვნა № 34 (75) «სელსკოხოზიაისტვენნაია ჟიზნის» წაკითხვის შემდეგ. აჩვენეთ ეს წერილი სრულიად საიდუმლოდ ამხ. იაკოვენკოსა და ამხ. ტეოდოროვიჩს (ეს უკანასკნელი ორმაგად დამნაშავეა) და დამიბრუნეთ, თანაც დაუმატეთ უფრო დაწვრილებითი ცნობები რედაქტორ ა. ნ. მოროსანოვ-

სა (?) და ორ სხვაზე. მათი სტაჟი და სხვ. უფრო დაწვრილებით. ალბათ ესენი მემარჯვენე ესერები არიან, რომელთა მსხვერპლადაც თქვენ სამნი «დაეცით».

რა ზომებს იღებთ თქვენ სამნი, რომ ეს ველარ გამეორდეს?

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

736

წერილი ა. ვ. ლუნაჩარსკის და დავალება ვ. ა. სმოლიანინოვს *

17. V. 1922 წ.

განათლების სახალხო კომისარს

მე მომდის არაერთი ცნობა, რომ წიგნების სიძვირე ჩვენი «გატაცებებისა» და ნ ე პ ი ს გაზვიადებათა პირობებში ხალხს სასარგებლო წიგნებს უკარგავს.

მე მგონია საჭიროა დავადგინოთ რაიმე წესი ან გავატაროთ დაახლოებით ამგვარი კანონი: ადგილობრივი გადასახადების ხარჯზე განვსაზღვროთ გარკვეული თანხები, რომლებიც შეტანილ უნდა იქნეს ცენტრში ფონდის შესადგენად; ამ ფონდის ანგარიშზე ვიყიდით რამდენიმე ათასს (ვთქვათ, სკვორცოვი: «ელექტრიფიკაცია» და სხვ.) ყველა ს ა მ ა ზ რ ო ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ი ს ა თ ვ ი ს დ ა ს ა გ ზ ა ვ ნ ა დ.

---

* წერილის ტექსტზე ვ. ი. ლენინმა დააწერა: «თ ვ ა ლ ყ უ რ ი ა დ ე ვ ნ ე თ პ ა ს უ ხ ს». რ ე დ.

გთხოვთ იმსჯელოთ ამაზე და მაცნობოთ თქვენი დასკვნა[674].

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

ამხ. სმოლიანინოვს ამხანაგების ლუნაჩარსკის, პოკროვსკის, რიკოვისა და ციურუპასათვის *.

წერილი ა. ვ. ლუნაჩარსკისადმი
პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

დავალება ვ. ა. სმოლიანინოვისადმი
პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

737

წერილი ა. ი. რიკოვს
და მონიშვნები მის ტელეფონოგრამაზე

ამხ. რიკოვ! თუ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი და მისი მუშაკები სულ «გვაბნევენ» (×××), ჩვენ მაინც არ უნდა ვიბნეოდეთ. ხოლო თუ ჩვენ ვწერთ «თითქოს» (×) და გადავდებთ «საკითხის გამორკვევამდე» (××), ეს ხომ სინამდვილეში აბნეულობის წაქეზება გამოდის. საჭირო ხომ არ არის ბოლო მოვუღოთ აბნეულობას იმით, რომ სმოლიანინოვი (ან სხვა პირი, ოღონდ განვაწესოთ ეს პირი და გავაკეთოთ ისე, რომ შემოწმება შეიძლებოდეს) ერთბაშად და თვითონ თქვენ მიერ) დავსვათ პირდაპირ მავთულზე, რათა გამოარკვიოს დაუყოვნებლივ და არა «თითო-

* წერილის პირი გაეგზავნა აგრეთვე ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილეს გ. ი. სოკოლნიკოვს. რ ე დ.

ქოს». ვინ არის პასუხისმგებელი უკრაინის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში? რას აკეთებს და აკეთებდა? გაგზავნა, გზავნის, გაგზავნის 1—2 გემს? როდის? ვისთან? რამდენს?

ეტყობა, წარმოუდგენელი ქაოსი გვაქვს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში, ჩვენ კი ხელს ვუწყობთ ქაოსს ნაცვლად იმისა, რომ რეალურად ვებრძოდეთ მას. განა ასე მუშაობდით, როცა «ჩუსოს» იყავით? და განა შეიძლება სძლიო ქაოსს, თუ ისევე არ მუშაობ, როგორც მუშაობდი მაშინდელი «ჩუსოს»[675] ხერხებით?

18/V. ლენინი

ტელეფონოგრამა ვ. ი. ლენინს

ვლადიმერ ილიას ძევ,

შრომისა და თავდაცვის საბჭოში განვიხილავდით საკითხს იტალიაში ორი გემის გაგზავნის შესახებ. გამოვარკვიეთ, რომ იტალიაში ნახშირის გასატანად და გასაყიდად უკრაინის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არის სპეციალური ორგანიზაცია, რომელსაც თითქოს×) ერთი გემი უკვე გაუგზავნია. ამიტომ ჩვენ დავჯერდით დადგენილებას ნახშირის საუკეთესო სორტების გადარჩევის შესახებ იტალიაში ექსპორტის საჭიროებისათვის — იტალიის ბაზრის დასაპყრობად. ხოლო თვით საკითხი ორი გემის შესახებ გადავდეთ იმ საკითხის გამორკვევამდე××), თუ უკვე რამდენი ნახშირი გაიგზავნა იტალიაში.

ყურადღება მიაქციეთ, რომ გენუას წარგზავნილი ჩვენი წარმომადგენლები სულ მუდამ გვაბნევენ×××) და მოითხოვენ იმას, რაზეც რამდენიმე დღის შემდეგ უარს ამბობენ. მე ხვალ გავგზავნი დეპეშას იმ წინადადებით, რომ მოსკოვს წარმოუდგინონ მხოლოდ მოტივირებული და მოფიქრებული საკითხები და წინადადებები, ვინაიდან სრულიად შეუძლებელია ვაკეთებდეთ ერთ სამუშაოს ლიტვინოვისა და ჩიჩერინის შეკითხვის მიხედვით და უარს ვამბობდეთ მასზე კრასინის წინადადებით. როგორც კრასინის დეპეშიდან ჩანს, იგი თვითონ არ არის საქმის კურსში და არ იცის, რომ ნახშირი იქ უკვე მიდის და ნაწილობრივ გაყიდულია. დეპეშაში, რომელზეც თქვენ წარწერა გაგიკეთებიათ, მითითებაც კი არ არის, იტალიის რომელ

ნავსადგურში გავგზავნოთ ნახშირი, სად ვეძებოთ მყიდველი და ვინ იქნება პასუხისმგებელი იტალიაში ნახშირის გაყიდვისათვის.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ა. ი. რ ი კ ო ვ ი

1922 წლის 17 მაისი, 19 სთ. 25 წთ.
დაწერილია 1922 წლის 18 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

738
ვ. ა. პ ა ვ ლ ო ვ ს

18. V. 1922 წ.

ამხ. პავლოვ!

მე მივიღე მ. ა. ბონჩ-ბრუევიჩისაგან ცნობა. შეიტყვეთ მისგან, გეთაყვა, ტელეფონით, რა თანხა (ომამდელი მანეთებით) იქნება საჭირო შ ე ჯ ა მ ე ბ უ ლ ა დ საქმის კარგად დაყენებისათვის. თუ არ შეიძლება ერთი ციფრით, სასურველია არა უმეტეს ორისა (აქედან — აქამდე; ან minimum და maximum). პასუხი გთხოვთ გადმომცეთ ტელეფონოგრამით ან სასწრაფო ბარათით მდივნის, ამხ. ლეპეშინსკაიას, სახელზე [676].

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

739
ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ს [677]

ამხ. სტალინ! გიგზავნით ამხ. სკვორცოვ-სტეპანოვის ამ წერილს, ძალიან ვუჭერ მხარს მის თხოვნას. იგი სნეული კაცია, ხოლო მუშაკი — უაღრესად დასაფასებელი. უნდა მივ-

ცეთ დასვენება მისი თხოვნის თანახმად; ძალიან ვუჭერ ამას მხარს. რომ განიკურნება და დაისვენებს, იგი უაღრესად სასარგებლო იქნება როგორც **პროფესორიც**, nota bene, და როგორც ლიტერატორიც.

18/V. 1922. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

740

ფ. ე. ძერჟინსკის [678]

ამხ. ძერჟინსკი! იმ საკითხის გამო, რომ გაძევებულ იქნენ საზღვარგარეთის მწერლები და პროფესორები, რომლებიც კონტრრევოლუციას ეხმარებიან.

ეს უფრო გულდასმით უნდა მოვამზადოთ. მოუმზადებლად სისულელეს ჩავიდენთ. გთხოვთ განიხილოთ მომზადების ასეთი ღონისძიებანი.

შევკრიბოთ მესინგის, მანცევისა და კიდევ ზოგი ვინმეს თათბირი მოსკოვში.

დავავალოთ პოლიტბიუროს წევრებს კვირაში 2 — 3 საათი დაუთმონ ზოგიერთი გამოცემისა და წიგნის გადათვალიერებას, ამასთან შ ე ა მ ო წ მ ო ნ შესრულება, მ ო ი თ ხ ო ვ ო ნ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი შ ე ფ ა ს ე ბ ა ნ ი და მიაღწიონ იმას, რომ მოსკოვში გაუჭიანურებლად იგზავნებოდეს ყველა არაკომუნისტური გამოცემა.

დავამატოთ რამდენიმე ლიტერატორი კომუნისტის (სტეკლოვის, ოლმინსკის, სკვორცოვის, ბუხარინისა და ა შ.) მოსაზრებანი.

შევკრიბოთ **სისტემატური** ცნობები პროფესორთა და მწერალთა პოლიტიკურ სტაჟზე, მუშაობასა და ლიტერატურულ მოღვაწეობაზე.

დავავალოთ ყოველივე ეს საზრიან, განათლებულ და აკურატულ კაცს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ს ა მ მ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი.

ჩემი აზრი პიტერის ორ გამოცემაზე:

«ნოვაია როსია» № 2 [679]. დახურეს პიტერელმა ამხანაგებმა.

ადრე ხომ არ დახურეს? უნდა დავუგზავნოთ იგი პ ო ლ ი ტ ბ ი უ რ ო ს წ ევ რ ებ ს და განვიხილოთ მ ე ტ ი ყ უ რ ა დ ღ ე ბ ი თ. ვინ არის მისი რედაქტორი ლ ე ჟ ნ ე ვ ი? «დენიდან»? ხომ არ შეიძლება შევკრიბოთ მის შესახებ ცნობები? რა თქმა უნდა, ამ ჟურნალის ყ ვ ე ლ ა თანამშრომელი რ ო დ ი ა საზღვარგარეთ გაძევების კანდიდატი [680].

აი, სხვა საქმეა პიტერის ჟურნალი «ეკონომისტი», რუსეთის ტექნიკური საზოგადოების XI განყოფილების გამოცემა [681]. ეს, ჩემი აზრით, თეთრგვარდიელთა აშკარა ცენტრია. № 3-ში (**მხოლოდ** მესამეში!!! ეს *nota bene*!) გარეკანზე დაბეჭდილია თანამშრომელთა სია. ესენი, მე ვფიქრობ, **თითქმის ყველანი**, საზღვარგარეთ გაძევების უაღრესად კანონიერი კანდიდატები არიან.

ყველა ესენი აშკარა კონტრრევოლუციონერები არიან, ანტანტის ხელშემწყობნი, მის მსახურთა და ჯაშუშთა და მოსწავლე ახალგაზრდობის გამხრწნელთა ორგანიზაცია. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ ეს «სამხედრო ჯაშუშები» დავიჭიროთ და განუწყვეტლივ და სისტემატურად ვიჭერდეთ და საზღვარგარეთ ვაძევებდეთ.

გთხოვთ აჩვენოთ ეს საიდუმლოდ, გაუმრავლებლად, პ ო ლ ი ტ ბ ი უ რ ო ს წ ევ რ ებ ს, **ამასთან დაგვიბრუნონ თქვენ და მე**, და მაცნობოთ მათი მოსაზრებანი და თქვენი დასკვნა.

19/V. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 19 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

741
ფ. ე. ძერჟინსკის

ამხ. ძერჟინსკი! მე მებადება სერიოზული შიში: ხომ არ არის «გაზვიადებული» ხარჯები ჩემი გარაჟისა, რომელსაც სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, ვგონებ, განსაკუთრებულ ზედამხედველობას უწევს. ხომ არ არის დრო «შევამჭიდროოთ» დაწესებულება ესე და შევამციროთ მისი ხარჯები? ყველა და ყოველგვარ ხარჯებს ამცირებენ.

გთხოვთ აჩვენოთ ეს მოადგილეებს, რიკოვსა და ციურუპას, და საიმედო, საზრიან, მცოდნე კაცს დაავალოთ შეამოწმოს, ხომ არ შეიძლება შევამციროთ და შევკვეცოთ ხარჯები ამ მუხლით და რაც შეიძლება უფრო მეტად შევამციროთ[682].

19/V. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 19 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

742
ი. ბ. სტალინს

ამხ. სტალინ! გიგზავნით ამხ. ანიკსტის წერილს. მან გუშინ (18/V) იერიში მოიტანა ჩემზე. განაწყენებულია, გულნატკენია, შეშფოთებულია. ნერვიულია. ავად არის. მე ვურჩიე მკურნალობა დაამთავროს და ნერვებს ნუ იწეწავს. ვგონებ, კარგი მუშაკია. უნდა დავამთავრებინოთ მკურნალობა — გერმანიაში ან რიგაში. (რუსეთში არ გამოვა.)[683]

19/V. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 19 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

743
ი. ბ. სტალინს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსათვის

ამხ. სტალინ!

გთხოვთ გადასცეთ გადასაჭრელად ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს (ან ორგბიუროს; მე არ ვიცი, ვისი კომპეტენციაა ეს) ჩემი შემდეგი შუამდგომლობა:

გავგზავნოთ ქირურგი ვ. ნ. როზანოვი, სოლდატენკოვის საავადმყოფოს ექიმი, ივლისში შვებულებით რიგაში, მის ვაჟიშვილთან ერთად.

ეს მთხოვა ვ. ნ. როზანოვმა, რომელიც არ იღებს ჩემგან ჰონორარს ახლა, როგორც არ აიღო 1918 წელსაც, თუმცა ბევრჯერ მოსულა ჩემთან. ამხ. სემაშკოს სიტყვით, ეს საუკეთესო ქირურგია; დასვენებით კი ცოტას ისვენებს.

ამიტომ მე ვშუამდგომლობ, რომ მას მიეცეს ასეთი დასვენება და გთხოვთ დაავალოთ მდივანს მაცნობოს ცეკას ორგბიუროს თუ სამდივნოს გადაწყვეტილება[684].

21/V. 1922. ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

744
ცენტრალური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს

საიდუმლოდ. პირადად

ყველა სახალხო კომისარს (ვინც არ არის, მოადგილეს)

აგრეთვე ყველა ცალკეულ დაწესებულებას: ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, სახელმწიფო საგეგმო

კომისიას, საკონცესიო კომიტეტს, შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ შინავაჭრობის კომიტეტს, «ცენტროსოიუზს» და სხვ., პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალურ საბჭოს, კომინტერნს, პროფინტერნს და სხვ.

რამდენიმე თვით შვებულებაში მივდივარ და ძალიან გთხოვთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეების შესახებ და ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების, გეგმების, კამპანიებისა და ა. შ. შესრულების მიმდინარეობაზე ჩემთვის ცნობების მოწოდება მოაწყოთ შემდეგნაირად:

— მიგზავნოთ თვეში 1 — 2-ჯერ სულ მოკლე (ბევრი-ბევრი 2 — 3 გვერდი) ცნობები ამ თემაზე და განკარგულება გასცეთ მიგზავნონ სახალხო კომისარიატის უმნიშვნელოვანესი მიმდინარე ბეჭდვითი გამოცემები, აგრეთვე ტექსტები დაბეჭდილი უმნიშვნელოვანესი დადგენილებებისა და პროექტებისა. თუ თვითონ სახალხო კომისრისათვის ეს სამუშაო მოუხერხებელია, გთხოვთ მაცნობოთ, სახელდობრ ვის (მოადგილეს, კოლეგიის წევრს, საქმეთა მმართველს თუ მდივანს და სხვ.) აკისრებს იგი ამ სამუშაოს და დაავალოთ ამ პირს აკურატულად იქონიოს კავშირი ჩემს მდივანთან (ფოტიევა. ლეპეშინსკაია). ამავე მდივნების მეშვეობით შეიძლება გამოიგზავნოს შეკითხვები ტელეგრაფით თუ ფოსტით, ამასთან მიმდინარე და სასწრაფო შეკითხვები ეგზავნება აუცილებლად მოადგილეს (რიკოვს ან ციურუპას), მე კი მხოლოდ პირი.

21/V. ლ ე ნ ი ნ ი

მდივნებს ევალებათ აკურატულად აღევნონ თვალყური ამის შესრულებას, შემატყობინონ ხოლმე, რომ მიღებულია გამოცემები, მიგზავნონ მათგან არა ყველა, არამედ მხოლოდ უმნიშვნელოვანესნი (დანარჩენისა — მხოლოდ სია).

რუსული გაზეთებიდან აკურატულად მიგზავნეთ «პ რ ა ვ დ ა», «ი ზ ვ ე ს ტ ი ა» და «ე კ ო ნ ო მ ი ჩ ე ს კ ა ი ა ჟ ი ზ ნ».

რეგულარულად იქონიეთ კავშირი **კომუნისტურ ინტერნა-**

ციონალთან და **საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატთან** და სთხოვეთ მიგზავნონ უცხოეთის უ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ე ს ი გამოცემები, განსაკუთრებით ბროშურები მიმდინარე საკითხებზე.

საზღვარგარეთის რუსული გამოცემებიდან მიგზავნეთ «ნაკანუნე»[685], «სოციალ-დემოკრატი» (მენშევიკებისა), «ზარია» (მენშევიკებისა), «სოვრემენიე ზაპისკი» (ესერებისა), «რუსკაია მისლი»[686] და დანარჩენი გამოცემების, ბროშურებისა და წიგნების ს ი ა.

დაწერილია 1922 წლის 21 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ლენინის X X X IV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

745

ი. ბ. სტალინს

ამხ. ს ტ ა ლ ი ნ ს

მე ვფიქრობ, საჭიროა ს რ უ ლ ი ა დ ს ა ი დ უ მ ლ ო ღ (გაუმრავლებლად) ვაჩვენოთ ეს ძერჟინსკისაც და პ ო ლ ი ტ ბ ი უ რ ო ს ყ ვ ე ლ ა წ ე ვ რ ს ა ც და გამოვიტანოთ დირექტივა: «ევალება ძერჟინსკის» (ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ს ა მ მ ა რ თ ვ ე ლ ო) სემაშკოს დახმარებით შეიმუშაოს ზ ო მ ე ბ ი ს გეგმა და მოახსენოს პოლიტბიუროს — — — (2 **კვირა?**) ვადაში»[687].

22/V. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 22 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

746

ი. ბ. სტალინს
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის

საჩქაროდ
საიდუმლოდ

ამხ. **სტალინს** თხოვნით გაუგზავნოს ჩამოტარებით
პოლიტბიუროს წევრებს (და მათ შორის აუცილებლად

ამხ. ზინოვიევს).

ამხ. რეინშტეინისაგან მიღებული ამ ცნობების საფუძველზე მე არმანდ ჰამერსაც და ბ. მიშელსაც ვაძლევ განსაკუთრებულ რეკომენდაციას ჩემგან და ვთხოვ ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრს **განსაკუთრებით** დაუჭირონ მხარი ამ პირებს და მათს საწარმოს [688]. ეს პატარა ბილიკია ამერიკის «საქმიანი» სამყაროსაკენ, და საჭიროა **ყოველნაირად** გამოვიყენოთ იგი. თუ არის საწინააღმდეგო მოსაზრებანი, გთხოვთ **ტელეფონით** აცნობოთ ისინი ჩემს მდივანს (ფოტიევას ან ლეპეშინსკაიას), რომ მე მოვასწრო საქმის გამორკვევა (და პოლიტბიუროს მეშვეობით საბოლოოდ გადაწყვეტა) ჩემს წასვლამდე, ე. ი. ამ დღეებში [689].

24/V. ლენინი

P. S. 27/V. დავაყოვნე ამხ. ზინოვიევისაგან პასუხის მიღებამდე. პასუხი მოვიდა 26/V-ს.

ლენინი

დაწერილია 1922 წლის 24 და 27 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

747

ლ. ა. ფოტიევას

ლიდია ალექსანდრეს ასულო! შეგიძლიათ მომილოცოთ მორჩენა. ამის დამადასტურებელია: ხელწერა, რომელიც ადამიანური ხ დ ე ბ ა. დაიწყეთ ჩემთვის წიგნების დამზადება (და სიების გამოგზავნა) 1) მეცნიერული, 2) ბელეტრისტიკა, 3) პოლიტიკა (ეს უკანასკნელი ყველაზე გვიან, ვინაიდან ჯერ კიდევ ნებადართული არა მაქვს).

უჩივლეთ რიკოვთან (ციურუპა წავიდა?) ყველა მდივან ქალს: ცუდად იქცევიან, ავად არიან მალარიით და სხვ. დაგზავნოს ისინი დასასვენებლად რიგაში, ფინეთში, მოსკოვს ახლო და სხვ. ვფიქრობ, რომ რიკოვმა საყვედური უნდა გამოგიცხადოთ სმოლიანინოვსა და თქვენ მდივან ქალებზე უხალისოდ ზრუნვისათვის.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 13 ივლისს

პირველად დაიბეჭდა არასრულად 1942 წელს წიგნში «ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე ნარკვევი». მოსკოვი

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

748

ი. ბ. სტალინს

ამხ. სტალინ! დიდი ყურადღებით ავწონ-დავწონე თქვენი პასუხი და ვერ დაგეთანხმეთ [690].

მომილოცეთ: მივიღე ნებართვა გ ა ზ ე თ ე ბ ზ ე! დღეიდან ძველებზე, კვირიდან * **ახლებზე**!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 18 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

749

მ. კ. ვლადიმიროვს

21/VIII.

ამხ. ვ ლ ა დ ი მ ი რ ო ვ! აპარატის თაობაზე თქვენ უსამართლოდ გაწყენინებენ. მე სავსებით ვეთანხმებით და ვატყობინებ ამას სტალინსაც და რიკოვსაც. — — «ნეპმანების» დაქერის თაობაზე გირჩევთ კარგად აწონ-დაწონოთ (იქნებ, უაღრესად კონსპირაციულად დასვათ ამაზე როზენგოლცი და კიდევ 1 — 2 ამხანაგი), თუ რა უნდა გავაკეთოთ მალე: საშემოსავლო გადასახადი შემოვიღოთ თუ იძულებითი სესხი? ან რა უფრო ადრე?

ცნობები ადგილობრივმა ფინანსებმა უკვე ცოტა როდი მოგვცა. საჭიროა ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ა დ შევკრიბოთ, დავამუშაოთ, შ ე ვ ი ტ ყ ო თ ს ა ხ ე ლ ე ბ ი და მაშინ გადავწყვიტოთ დასმული საკითხი.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 21 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* იგულისხმება 23 ივლისი. რ ე დ.

750

ა. ი. რიკოვს

ამხ. რიკოვ!

გიგზავნით ამონაჭერს «იზვესტიიდან» (ვგონებ, 25. VIII-ისაა) [691]. გირჩევთ განკარგულება გასცეთ, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ. შეამოწმეთ (საქმეთა მმართველის ან მდივნის მეშვეობით).

თუ მართალია, მ ხ ა რ ი დ ა უ ჭ ი რ ე თ **ყ ო ვ ე ლ ნ ა ი რ ა დ.**

გამოუვიდა თუ არა რაიმე რუტგერსს? არა მგონია.

ხოლო აქ თუ გამოვიდა, შრომის დროშის ორდენიც უნდა მივცეთ; — წერილიც გავგზავნოთ ამერიკაში (თქვენგან ან ჩემგან); — და ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ბ ა ნ კ ს შევამუშავებინოთ შემსუბუქებული ს ე ს ხ ე ბ ი ასეთი საწარმოებისათვის; — და ფინსახკომს ან მიწსახკომს **ს ა ჩ ქ ა რ ო დ** შევამუშავებინოთ კიდევ ტრაქტორების მოზიდვის შემსუბუქებული პირობები (შემოდგომაზე; ახლა, რათა მოვასწროთ).

ეს ალბათ საქმიანი მაგალითია; საქმიანი დახმარებაა; ჩვენ კი უ ა მ რ ა ვ ი ბიუროკრატიზმი გვაქვს!

მდივანს ან საქმეთა მმართველს დაავალეთ მომწეროს პასუხი [692].

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

NB ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი დ ა უ ჭ ე რ ე თ გ ე ტ ი ე ს!

დაწერილია 1922 წლის 25 აგვისტოსა
და 1 სექტემბერს შუა

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს
ლენინის XXXIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

751
წერილი ი. ბ. სტალინს
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის ლ. ურკარტის კონცესიის თაობაზე * [693]

ურკარტს კონცესია მიეცეს მხოლოდ იმ პირობით, რომ დიდი სესხი მოგვცეს.

პოლიტბიუროს ყველა წევრი გაეცნოს მიხაილოვის იმ კომისიის ბარათს, რომელმაც ურკარტისათვის კონცესიით გადასაცემი ქარხნები გამოიკვლია და უარყოფითი აზრი გამოთქვა.

მტრები იმედს ამყარებენ ჩვენი ტრანსპორტისა და მრეწველობის ძირითადი კაპიტალის სრულ მოშლილობაზე. საჭიროა გამოვძებნოთ სახსრები ამ კაპიტალის აღსადგენად იმ გზით, რომ გადასახადებით დავბეგროთ მოხმარების ყველა საგანი, ამასთან მაქსიმუმამდე ავიყვანოთ გადასახადები ისეთ საგნებზე, როგორიც არის შაქარი, **ლუდი**.

მხედველობაში ვიქონიოთ შინაგანი იძულებითი სესხი და საშემოსავლო გადასახადი.

ნაკარნახევია 1922 წლის 4 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში	იბეჭდება ფ. ე. ძერჟინსკის ჩანაწერის მიხედვით

752
ვ. ა. სმოლიანინოვს

ამხ. სმოლიანინოვ!

გმადლობთ გამოგზავნილი ცნობებისათვის [694]. თუ შეიძლება შეიტყვეთ ამხ. ყიდელევის ზუსტი მისამართი ყირიმში.

---

* დოკუმენტს ფ. ე. ძერჟინსკიმ ზემოთ წააწერა: «ვ. ი. დირექტივები 4. IX.» და «ამხ. სტალინს», ხოლო ტექსტის შემდეგ: «სწორია. ძერჟინსკი». დოკუმენტზე არის აგრეთვე ი. ბ. სტალინის წარწერა: «ამხ. ლენინის აზრი». რ ე დ.

მინდა წერილი გავუგზავნო (ჯობს ოკაზიით, უფრო საიმედოა; შეიტყვეთ, გეთაყვა, როდის მიდის ჩქარი მატარებელი ყირიმში).

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დამავიწყდა კიდევ ერთი დავალება (1) გამომიგზავნოთ ი. ბესპროზვანის ბროშურები: (ა) «დაგეგმარების ბიურო პატარა, ტეილორის სისტემით ორგანიზებულ საქარხნო საწარმოში». ნიჟნი-ნოვგოროდი, 1915

და (ბ) მ ი ს ი ვ ე: «ამერიკის ქარხნების თანამედროვე ორგანიზაცია». მოსკოვი, 1919.

და კიდევ **შემიტყოთ** სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს არქივში, **ვინ** დართო ნება ან გამოსაცემად გაგზავნა ეს მ ე ო რ ე ბროშურა, 1919 წლისა. იგი გამოცემულია ს წ ო რ ე დ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შიერ [695].

დაწერილია 1922 წლის სექტემბერში,
არა უგვიანეს 7 რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის **თხზულებათა**
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

753
ნ. ი. ბუხარინს

7/IX. 1922.

ამხ. ბუხარინ!

წავიკითხე («სოციალისტიჩესკი ვესტნიკში») გორკის საზიზღარი წერილი [696]. ვფიქრობდი გამელანძღა პრესაში (ესერებზე), მაგრამ გადავწყვიტე, რომ ეს ალბათ მეტისმეტია. უნდა მოვითათბიროთ. იქნებ, თქვენ ხვდებით და ესაუბრებით მას? მომწერეთ, გეთაყვა, თქვენი აზრი. გაზეთები მე ცოტა ვნახე (საზღვარგარეთისა თითქმის არ მინახავს). მაშასა-

დამე, «ვითარებასაც» ნაკლებად ვიცნობ. მომწერეთ რაც შეიძლება დაწვრილებით თქვენი აზრი.

ჩვენ ყველანი დიდ მოკითხვას გიძღვნით თქვენ ცოლსა და თქვენ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. მე უკვე თითქმის ჯანსაღად ვარ.

P. S. ვწერ **კრესტინსკის**, რომ მიშოვოს **ორიგინალი** გორკის წერილისა, რომელიც დაბეჭდილია «სოციალისტიჩესკი ვესტნიკის» 1922 20/VII-ის ნომერში *.

თუ მას დაავიწყდეს, თქვენ გამომიგზავნეთ.

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

754
მ. ჰ. ტომსკის

9/IX.

დიდად პატივცემულო ამხ. ტომსკი! დიდი სიამოვნებით შევასრულებ თქვენს თხოვნას[697]. მომწერეთ, გეთაყვა, გაქვთ თუ არა განსაკუთრებული თემები, რომლებსაც უნდა შევეხო ჩემს წერილში. ძლიერ ჩამოვრჩი, და არ ვიცი, ივარგებს დავჯერდე ზოგად და უბრალო მისალმებას, თუ საჭიროა მეტად თუ ნაკლებად დაწვრილებით ვისაუბრო რაიმე სპეციალურ თემაზე **.

მთელი პრეზიდიუმისადმი მხურვალე
კომუნისტური სალმით

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 9 სექტემბერს

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 444. რ ე დ
** იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 756. რ ე დ.

755
წერილი ი. ბ. სტალინს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის ლ. ურკარტთან ხელშეკრულების უარყოფის შესახებ

12/IX.

ამხ. სტალინ!

წავიკითხე ხელშეკრულება, რომელიც კრასინმა დადო ურკარტთან, და გამოვთქვამ აზრს მისი დამტკიცების წინააღმდეგ. ურკარტი შემოსავალს გვპირდება ორი ან სამი წლის შემდეგ, ფულს კი ახლა გვართმევს. ეს სრულიად დაუშვებელია. კომისიის თავმჯდომარემ მიხაილოვმა, რომელიც სპეციალურად წავიდა, რათა ადგილზე შეესწავლა ურკარტის კონცესია, დაამტკიცა, რომ ნგრევაში ჩვენ კი არ მიგვიძღვის ბრალი, არამედ უცხოელებს. და ჩვენვე უნდა გადავიხადოთ!! შემსუბუქებას ჩვენ თითქოს მივიღებთ x (იქს) წლის შემდეგ, თვითონ კი გადახდას ვიწყებთ ახლავე!

წინადადება შემომაქვს უარვყოთ ეს კონცესია.

ეს კაბალა და ძარცვაა.

მოგაგონებთ მიხაილოვის კომისიის დასკვნას. ეს დასკვნა კონცესიის წინააღმდეგი იყო.

არც ერთი სერიოზული საბუთი არ დამატებია. უნდა უარვყოთ.

გთხოვთ შეატყობინოთ ეს პოლიტბიუროს წევრებს.

კომ. სალმით ვ. ულიანოვი (ლენინი)

P. S. ეს მზაკვრობაა, თითქოს ეს კონცესია პრეცედენტი არ იქნება.

დანამდვილებით და აუცილებლად იქნება პრეცედენტი. სინამდვილეში აუცილებლად ასე მოხდება, მიუხედავად ყოველგვარი სიტყვებისა და რწმუნებებისა.

და საერთოდ ყველაფერი, რაც მიხაილოვის კომისიამ გამოარკვია, აბსოლუტურად არ არის მხედველობაში მიღებული. არაერთი მოსაზრებაა ასეთი კონცესიის წინააღმდეგ.

ლენინი

დაწერილია 1922 წლის 12 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

756

ი. ბ. სტალინს

ამხ. სტალინ! აჩვენეთ, გეთაყვა, ამხ. ტომსკის წერილის ეს პროექტი (აგრეთვე, თუ საჭირო იქნება, კამენევს, ზინოვიევს, რიკოვსა და ა. შ.) და **დამიბრუნეთ,** გეთაყვა, **მანქანაზე გადაწერილი ხვალვე.**

გამოვგზავნი ყრილობისათვის 16-ში ან როცა საჭირო იქნება[698].

ლენინი

დაწერილია 1922 წლის 13 სექტემბერს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

757

ა. ი. რიკოვს

17/IX.

ამხ. რიკოვს

ამხ. რიკოვ! გაზეთებიდან ვხედავ, რომ მეტად ცუდი მდგომარეობაა დონბასსა და ბაქოში. როგორ ფიქრობთ? ხომ

არ გავწიოთ რისკი და რ ა მ დ ე ნ ი მ ე მ ი ლ ი ო ნ ი ამოვიღოთ ოქროს მარაგიდან? უარესი ხომ არ იქნება, რომ ხელიდან გავუშვათ საქმე, დაუხმარებლად დავტოვოთ? იქნებ შევუკვეთოთ სმილგას ან მის მოადგილეს **მ ო კ ლ ე** (არა უმეტეს 5 — 10 სტრიქონისა) ცნობა, რომ მ ე ნ ა თ ლ ა დ შევიტყო მდგომარეობა? [699].

თ ქ ვ ე ნ ი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 17 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

758

მ. კ. ვ ლ ა დ ი მ ი რ ო ვ ს

17/IX.

ამხ. ვლადიმიროვს

პატივცემულო ამხანაგო! ძალიან გთხოვთ მაცნობოთ

1) რამდენი ოქრო დაგვრჩა? (ა) სულ, (ბ) მათ შორის ყოველგვარ ვალდებულებათაგან თავისუფალი?

2) რამდენია სხვა ფასეულობანი (**სულ მ ო კ ლ ე დ**, რაც შეიძლება ზოგადი აღნიშვნებით).

3) დეფიციტის ოდენობა ახლა (უკანასკნელი კვარტალი ან თვე).

4) იფიქრეთ თუ არა საშემოსავლო გადასახადზე და იძულებითს სესხზე? **მ ო კ ლ ე დ**: რა დასკვნებია (მხოლოდ შეჯამებითი) [700].

კ ო მ. ს ა ლ მ ი თ ლ ე ნ ი ნ ი
იბეჭდება

დაწერილია 1922 წლის 17 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

ხელნაწერის მიხედვით

759

გ. ე. ზინოვიევს

ამხ. ზინოვიევ!

მომხსენებლის თაობაზე თანახმა ვარ პირობითად: 1) ტროცკი უნდა იყოს აგრეთვე შესაცვლელად (და დამოუკიდებელი მოხსენებისთვისაც); 2) მე უფლება მაქვს მოგატყუოთ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ჯანმრთელობა ან საქმეები არ დამანებებს[701].

ურკარტის შესახებ მე ხელს ვიღებ ჩემს ყოყმანზე. უკვე არის ამერიკის წინადადებანი. ბაქო გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და უკეთესია. არის ცენტრალური კომიტეტის კომისიის (სმილგა + ანდრეევი + კრასინი) გადაწყვეტილება, რომელიც **პირდაპირ** დაარღვია კრასინმა. არის ყველა სხვა მინუსი (99 წელი; უზომო მასშტაბები და სხვ.)[702].

P. S. წააკითხეთ პოლიტბიუროს წევრებს.

თქვენი ლენინი

18/IX.

დაწერილია 1922 წლის 18 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

760

ვ. ა. სმოლიანინოვს

ამხ. სმოლიანინოვ! გთხოვთ შეარჩიოთ 1) გადაწყვეტილებანი, როგორც დაბეჭდილია ისინი გაზეთებში (სახკომსაბჭოსი და შრომისა და თავდაცვის საბჭოსი), ამონაჭრები გაზეთებიდან

2) ნაწილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ო ქ მ ე ბ ი ს ა
3) ცენტრალური კომიტეტის (პოლიტბიუროსა და პლენუმის) ძველი ოქმები, **ყველა.**

შემდეგ ამერიკელების ნავთობის კონცესიის საქმეს[703] **თ ვ ა ლ ყ უ რ ი ა დ ე ვ ნ ე თ** მთელი ძალით და მაცნობეთ ხოლმე ბარათებითაც და ტელეფონითაც ჩემი დის მეშვეობით*.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 19 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის X X X V კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

761

ვ. ა. სმოლიანინოვს

ამხ. სმოლიანინოვ!

მე ჩამოვდივარ 1 ან 2. X-ს. სამშაბათს, 3. X-ს, ვითავმჯდომარებ[704]. სხდომაა **ნ** — 9 საათზე. 1/4 საათი შესვენებით.

გააფრთხილეთ თამბაქოს მწეველები. **არ მოსწონ. სასტიკად.** შესვენებისას (მეზობელ ოთახში) — ჩაი და თამბაქოს წევა.

ციურუპა არ არის? როცა ჩამოვა, ს ხ დ ო მ ა ა ქ გაიმართოს სამივე მოადგილისა.

თუ არ ჩამოვა, სხდომა 2 — 3 საათით გაიმართოს **ორშაბათს:** ან 11 — 2, ან 5 — 7 საათზე.

ყოველივე ეს **კარგად** უნდა მოაწყოთ.

სამშაბათს **დილით** მომიმზადეთ **მასალები** მთელ დღის წესრიგზე.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

შეკრიბეთ ცნობები ნ ო რ მ ა ლ ი ზ ა ც ი ი ს საკითხებზე. როდის? ეცადეთ მონაწილეობა მიიღოთ. **მეტად** მაინტერე-

---

* იგულისხმება მ. ი. ულიანოვა. რ ე დ.

სებს. სახელმწიფო საგეგმო კომისიისაგან უნდა წაიყვანოთ კაცი, რომელსაც **ძალიან** აინტერესებს [705].

დაწერილია 1922 წლის 23 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

762

მ. ი. გლიასერს

1

ამხანაგო გლიასერ!

ვწერ სმოლიანინოვს.

გიჩვენოთ თქვენ და ყ ვ ე ლ ა მდივანსაც.

მე ჩამოვალ 2/X-ს (ან 1. X-ს). სამშაბათისათვის * გთხოვთ ყველაფერი მოამზადოთ.

ცენტრალური კომიტეტის ოქმები მივიღე. ისინი თ ი თ ქ მ ი ს წესრიგშია (ზოგიერთი დანართი არ არის). მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც იკმარებს. კარგი იქნებოდა სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს ოქმებს მივიღებდე არჩევანით (ა მ ო ნ ა ჭ რ ე ბ ი გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ) და ისე, რომ მ ო ს ა ხ ე რ ხ ე ბ ე ლ ი იყოს გადათვალიერება.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 23 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს
ჟურნალში
«ისტორიჩესკი არხივ», № 4

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* იგულისხმება 3 ოქტომბერი. რ ე დ.

2

ამხ. გლიასერ!

აქამდე არ მიმიღია შრომისა და თავდაცვის საბჭოს და **სახკომსაბჭოს** ოქმები **ამონაწერებად**? მივწერე ბოლიანინო

მწიფოებრივი, პირველ რიგში, სამეურნეო გეგმის შემოწმება, უპირატესად მთელი აპარატის თვალსაზრისით, ბ) აპარატის შემცირება, ჩვენი ტრესტების ჩათვლით, გ) სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა ნაწილის პროპორციულობის შემოწმება, დ) მუშაობა სახელმწიფო აპარატის გასაიაფებლად ამერიკული ტრესტის ტიპის მიხედვით: უნაყოფო ხარჯები აღმოიფხვრას.

3) სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიმდინარე სამუშაოსაგან ამხ. პიატაკოვი განთავისუფლებულ იქნეს მაქსიმალურად (დღეში დაახლოებით ერთი საათი).

მოიფიქრეთ, აჩვენეთ კრჟიჟანოვსკის და მიპასუხეთ [707].

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 25 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54	იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

764

ნ. ვ. კრილენკოს

25/IX.

კ უ რ ს კ ი ს მ ო ა დ გ ი ლ ე ს (თუ კურსკი არ არის)

ამხ. კრილენკო! რა ეღონება თქვენთან საბჭოთა ხელისუფლების კანონთა კრებულის გაერთიანებაზე? სჭირდება კოდიფიკაციის განყოფილებას თუ ამზადებს რამეს 5 წლის იუბილესათვის?

უნდა გააღვიძოთ იგი და მომწეროთ 2 სიტყვა [708].

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 25 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

765

ა. ი. რიკოვს

25/IX.

ამხ. რიკოვ! ჩემი აზრით, აბსოლუტურად აუცილებელია მოვახდინოთ ქალაქ მოსკოვის ყველა მოხელისა და მოსამსახურის ერთი დღის აღწერა. ერთი გვქონდა, მაგრამ ძალიან დიდი ხნის წინათ.

ეს მინიმალური ხარჯებით რომ გავაკეთოთ (მარტო ქალაქზე, და ისიც შეიძლება ნაწილი წავართვათ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მისი საერთო მარაგიდან), დავავალოთ ყველას, ვინც ჯამაგირს იღებს საბჭოთა ხელისუფლებისა და **ტრესტებისაგან, თვითონ** მოგვცენ ცნობები (მ ო კ ლ ე პროგრამით, რომელიც ცენტრალურმა სტატისტიკურმ. სამმართველომ უნდა შეიმუშაოს **ერთ კვირაში მუშგლეხინთან, სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად** და ა. შ.) პირად ბარათებზე. **სანამ საზრიანად არ მოგვცემენ, არავის არ მიეცეს** ჯ ა მ ა გ ი რ ი.

მაშინ სწრაფად მივიღებთ (დავაჯარიმოთ დაგვიანებისა და არადამაკმაყოფილებლად შესრულებისათვის).

ჩვენი აპარატი ისეთი საძაგლობაა, რომ საჭიროა მისი რადიკალურად შეკეთება. უაღწეროდ შეუძლებელია. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო კი გაჯორვის ღირსია აკადემიზმისათვის: სხედან და «ტომებს» წერენ, არსებითზე კი არ ფიქრობენ.

მიპასუხეთ ან გადაეცით პასუხი ამხ. სმოლიანინოვს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გამოვიყენოთ მობილიზაცია, თუ საჭიროა, განსაკუთრებული კანონით. მობილიზაცია ვუყოთ ცენტრალური სტატის-

ტიკური სამმართველოს ყველა მოსამსახურეს და სხვების გარკვეულ პროცენტს [709].

დაწერილია 1922 წლის 25 სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

766

დეპეშა ვ. ი. ჩუბარს

ბახმუტი, ჩუბარს

გთხოვთ სასწრაფოდ მაცნობოთ, როგორია დონბასის მოთხოვნილება ფულის ნიშნებზე. რამდენს დაჰპირდნენ და რა თანხა მიიღეს რეალურად. გამოგზავნეთ უკანასკნელი პერიოდის მონაცემები [710].

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ლენინი

მოსკოვი, კრემლი,
28/IX — 22 წ.

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

767

ლ. ბ. კრასინს

ამხ. კრასინ! თქვენთან მუშაობს ერმაკოვი (სატრანსპორტო-მატერიალური განყოფილების გამგე?) კოლეგიის წევრის უფლებებით. მე იგი მინახავს 2 — 3-ჯერ სამოქალაქო ომის წლებში ყველაზე ძნელ, პასუხსაგებ და საშიშ დავალე-

ბათა შემსრულებლად. ეს გამორჩეული ადამიანია. აღმოჩნდა, რომ იგი ავად არის **მეტად სერიოზულად** (სისხლს აღებინებს). უცდია ემკურნალა, მაგრამ ვ ე რ ა ს ო დ ე ს ვერ ასრულებდა კურსს, ვინაიდან ადგილობრივი «ბიჭები» ყოველთვის აბამდნენ ადგილობრივ სამუშაოზე. ოჯახი დიდი ჰყავს; ჯამაგირი 200 მილიონი აქვს — გროშები.

ასე არ შეიძლება. ჩვენ მოვალენი ვართ ასეთ ადამიანებს ვუმკურნალოთ და განვკურნოთ. რამდენიმე თვით გერმანიაში უნდა გავგზავნოთ, ოჯახს კი დავეხმაროთ. (მომწერეთ საიდუმლოდ 2 სიტყვა) [711].

თ ქ ვ ე ნ ი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 4 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

768

ლ. ბ. კამენევს

1

კამენევს

ამხ. კამენევ! ამ წუთში ვნახე მიხაილოვი. **ერთხელ კიდევ** შეებრუნდი *. **წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი** ვარ ურკარტის კონცესიისა. მოდით შევიკრიბოთ დღეს ჩემთან $9^1/_2$ საათზე (მე დანტისტთან ვარ $8^1/_2$-ზე) [712].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 4 ოქტომბერს

---

* შებრუნება — რაიმეს ერთხელ კიდევ მოფიქრება, სხვა მხრიდან განხილვა. რ ე დ.

2

ამხ. კამენევ! დღეს ფლუსი და ტემპერატურა მაქვს. ვფიქრობ არ გამოვიდე არც დილით ცენტრალურ კომიტეტში, არც სალამოს **შრომისა და თავდაცვის საბჭოში.**

მოდით ერთმანეთს დავუკავშირდეთ წერილებით.

მერე, ხომ არ შეიძლება ვნახო ამხ. ჩ უ ბ ა რ ი?

ჰკითხეთ, იქნებ შეუძლია შემოიაროს ჩემთან დილით, ახლავე, 2-მდე [713] ?

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 6 ოქტომბერს

3

ამხ. კამენევ! ხომ არ დაგავიწყდათ გამოგერთმიათ კრასინისათვის ურკარტის კონცესიის წინააღმდეგ **მე-2** მოსაზრების ფორმულირებანი (ჩვენი უკმაყოფილება სავაჭრო ხელშეკრულებით, მისი ნაკლოვანებანი)? უნდა გამოართვათ.

ლ ე ნ ი ნ ი

P. S. რა არის ახალი პლენუმზე [714] ?

დაწერილია 1922 წლის 6 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

769

წერილი გ. ლ. პიატაკოვს ლ. ურკარტის კონცესიის შესახებ

ამხ. პიატაკოვ! გუშინ თქვენ აზრს გამოთქვამდით, ისევე როგორც მე, ურკარტის კონცესიის წინააღმდეგ. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ თქვენ შეგიძლიათ და დათანხმდებით ერთხელ

კიდევ შეამოწმოთ ამ კონცესიის საკითხი (მით უმეტეს, რომ ჩვენი გუშინდელი გადაწყვეტილება, არსებითად, ერთხელ კიდევ აჭიანურებს საკითხს).

შემოწმება, ჩემი აზრით, უნდა შეეხოს უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ მონოპოლიის საკითხს; აქ არის საკითხის სიმძიმის ცენტრი. მეორე პლანზეა საკითხი კონცესიის ფინანსური ხელსაყრელობის შესახებ.

1) უნდა აიღოთ სამთო საბჭოში — ი. კ. მიხაილოვი (კომისიის თავმჯდომარე, ადგილებზე რომ იმოგზაურა) ამბობს, რომ იქ ჩაბარა რუკა, — აიღოთ იქ კონცესიის რუკა.

2) უნდა შეადგინოთ ცხრილი: მთავარი პროდუქტების ნუსხა; პროცენტი მათი გამომუშავებისა ჩვენს სხვა ქარხნებში (სპილენძის, თუთიისა და სხვ.); სად არის კიდევ გამომუშავება, ძ ა ლ ი ა ნ შ ო რ ს ა რ ი ს ცენტრიდან, თუ უფრო ახლოს და ა. შ.

3) დასკვნა: რომელ დარგში, რა პროდუქტზე გამოუდის ურკარტს მონოპოლია, მისი მნიშვნელობა.

4) ყველა საკითხიდან მთავარია ეკიბასტუზი და მისი მნიშვნელობა ურალისათვის.

ძალიან გამაკვირვა იმან, რომ ბოგდანოვს წამოსცდა: «კუზბასი უფრო ახლოა» (იგი ბევრად უფრო შორს არის), ხოლო ამხ. კრჟიჟანოვსკიმ თქვა, რომ მე ვიცავ მენდელეევის მოძველებულ და უარყოფილ შეხედულებებს. რა დავა შეიძლება აქ, როცა ეკიბასტუზს აქვს შტო ირტიშისაკენ და უზრუნველყოფს შეუდარებლად უფრო ახლო და იაფ წყლის ტრანსპორტს ურალისაკენ? რაშია აქ არსი?

თუ კუზბასი გაცილებით უფრო ძვირი და შორია (ტრანსპორტი წყალზე არ არის), ჩვენ უ ფ ლ ე ბ ა ა რ ა გ ვ ა ქ ვ ს მივცეთ ურკარტს **მთელი** ეკიბასტუზი; აიღე $1/2$—კი, ბატონო.

გთხოვთ აჩვენოთ ეს წერილი მხოლოდ კრჟიჟანოვსკის; არ გადასცეთ ეს შემოწმება ვინმე გარეშეს; მოახდინეთ თვითონ (რა თქმა უნდა, მთელ სტატისტიკურ ციფრებს თუთიის, სპილენძისა და სხვ. მოპოვების ოდენობისა და ადგილების შესახებ თქვენ მოგაწვდით ყოველი მოხელე, ისე რომ არ ეცო-

დინება, რისთვის იქნება ეს გამოყენებული); მომწერეთ, კისრულობთ თუ არა და მალე ვარაუდობთ თუ არა დამთავრებას.

6/X. 1922. კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

770

გაზეთ «პუტ მოლოდიოჟის» რედაქციას [715]

6/X. 1922.

ძვირფასო მეგობრებო! მხურვალე მადლობას გიძღვნით მოსალმებისათვის. ჩემი მხრივ დიდ მოკითხვასა და კეთილ სურვილებს გითვლით.

თქვენი ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალში «სმენა», № 2

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

771

ბ. გ. ზაქსს

ამხ. ზ ა ქ ს ს

გავალებთ სავსებით ზუსტად შეამოწმოთ და 10/X-ს წარმომიდგინოთ ჩვენი ოქროს მარაგის ნაკრები ცნობა თქვენი

ხელმოწერით და ფინსახკომის იმ პასუხისმგებელი მუშაკის ხელმოწერითაც, რომელიც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის მიხედვით პასუხისმგებელია ცნობებისათვის ოქროს მარაგის შესახებ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

ყველა სახისა და ყველა წარმოშობის მარაგი ფინსახკომის მხრივ, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მხრივ და ა. შ. *

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის ოქტომბერში,
10 რიცხვამდე

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შევსებული და
ხელმოწერილია
ვ. ი. ლენინის მიერ

772

ბ. ბ. ზაქსს

ამხ. ზ ა ქ ს ს

გავალებთ ფინსახკომთან ერთად სასწრაფოდ შეიმუშაოთ პროექტი საიდუმლო დადგენილებისა ჩვენი ს ა ე რ თ ო სა-

* ეს ფრაზა ჩაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

ვალუტო ფონდის აღრიცხვის შესახებ ყოველი თვის 1-ლი რიცხვისათვის.

ეს პროექტი ან შრომისა და თავდაცვის საბჭოში შეიტანეთ, ან ხელმოსაწერად მიეცით შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდ. მოადგილეს ამხ. კ ა მ ე ნ ე ვ ს.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1922 წლის 16 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის X X X VI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

773

* საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს

წინადადებას გაძლევთ ყოველთვიურად მომაწოდოთ სახ. კომსაბჭოს საქმეთა მმართველის ამხ. გორბუნოვის მეშვეობით საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბრუნვათა და შემოსავლის მოკლე ცხრილი. ჩვენი საშემოსავლო ბიუჯეტის ეს მუხლი უმნიშვნელოვანესია.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1922 წლის 16 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის X X X V კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

774

გ. კ. ორჯონიკიძეს

16/X. 1922 წ.

ამხ. სერგო!

სტალინიც და სოკოლნიკოვიც თბილისის მახლობლად მდებარე ელექტროსადგურისათვის თანხების ასიგნების წინააღმდეგი აღმოჩნდნენ.

კომპრომისი: თუმანოვის გამგზავრება.

მოეკიდეთ **უაღრესი** ყურადღებით (აქ არის ჩაის საკითხიც და სხვ.).

მთელი მასალა შეკრიბეთ (საქმეთა მმართველისათვის).

მე გამომიგზავნეთ მთელი მასალაც და **მოკლე** ნაკრები ცნობაც (პირადად ჩემთვის). ბრძოლა ძნელი იქნება[716].

თქვენი ლენინი

პირველად დაიბეჭდა არასრულად

1925 წელს წიგნში:
მ. დ. ორახელაშვილი.
«ლენინი და ა/კ სფსრ». თბილისი

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

775

ლ. ბ. კამენევს და ნ. პ. გორბუნოვს

17. X. 1922 წ.

ამხ. კამენევსა და ამხ. გორბუნოვს

მხარს ვუჭერ ამხ. შოტმანის შუამდგომლობას კარელიაში საწერი ქაღალდის ფაბრიკის აშენებისა და ქარსის დამუშავე-

ბის შესახებ. თუ განსაკუთრებული ხასიათის დაბრკოლებები არ არის, გთხოვთ დააჩქაროთ საქმე [717].

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

776

წერილი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გერმანიის ფირმების კონსორციუმთან დასადები ხელშეკრულების შესახებ [718]

ამხანაგ სტალინს პოლიტბიუროსათვის,
პირი ამხ. კამენევს

ყურადღებით წავიკითხე ხელშეკრულება, რომელსაც ოტ... ვოლფთან ვდებთ. ამხ. კამენევის საწინააღმდეგო მოსაზრებანი მთლიანად გაუგებრობაზე დამყარებულად მიმაჩნია და ვფიქრობ, რომ საკითხი ხვალვე უნდა დაისვას პოლიტბიუროს გადასაწყვეტად, ვინაიდან უთანხმოება ჩემსა და კამენევს შორის ავტორიტეტულ და საბოლოო გადაწყვეტას მოითხოვს.

კამენევი თავის ბარათში წერს, რომ ჩვენ «მოვალე ვართ ვოლფისაგან ვიყიდოთ მისი საქონელი». ეს მთლად გაუგებრობაა. ხელშეკრულებას რომ ვკითხულობდი, მრავალ მუხლში დავინახე, რომ ჩვენ უფლება გვაქვს შევამოწმოთ იმ საქონლის სია, რომელსაც ვოლფი გვაძლევს. ოდნავაც არ ვკისრულობთ ვალდებულებას ვიყიდოთ ვოლფის საქონელი. თუ ვოლფი ვერ შეძლებს შეადგინოს იმ საქონლის სია, რომლის ყიდვაზეც ჩვენ თანახმა ვართ, მაშინ ხელშეკრულება ვოლფის

საქონლის მხოლოდ იმ ნაწილზე ვრცელდება, რომლის ყიდვაზეც დავთანხმდით. ეს საქმე მე დაწვრილებით გამოვარკვიე როგორც ლეჟავასთან, ისე ფრუმკინთან დღეს, და ორივე ადასტურებს, რომ ჩვენ არასგზით არ გვეკისრება რაიმე ვალდებულება ვიყიდოთ ვოლფის საქონელი.

ამხ. კამენევის მხრივ ასეთივე გაუგებრობით აიხსნება ის, რომ ლეჟავამ, როგორც ის ამბობს, თითქოს «გააორკეცა» მისი ეჭვი. სინამდვილეში სტომონიაკოვის ის წინადადება, რომელიც ფორმულირებულია № 62 ოქმის მე-2 გვერდზე და რომელიც ერთხმად მიიღო ყველა ჩვენმა სამეურნეო მუშაკმა, სულ სხვანაირად აიხსნება. ეს წინადადება იმაში მდგომარეობს, რომ აღორძინების გზაზე მდგომი ჩვენი მრეწველობის ინტერესებისათვის ვოლფმა რაც შეიძლება განავითაროს ჩვენთვის ჩარხებისა და სხვა აუცილებლად საჭირო, მაგალითად ელექტროტრესტისათვის, იარაღების მოწოდება. ვოლფს შეუძლია დათანხმდეს ამაზე, იმიტომ რომ ასეთი შეკვეთაც მისცემს მას შემოსავალს, ხოლო საერთოდ შეკვეთები გერმანიის ლითონის მრეწველობას ესაჭიროება. ჩვენთვის ჩარხები და მანქანები, მაგალითად ელექტროტრესტისათვის, იმიტომ წარმოადგენენ აბსოლუტურ აუცილებლობას, რომ ეს მრეწველობა ჩვენში გამოცოცხლებას იწყებს, და უკიდურესად გვჭირდება, რომ ჩვენში განავითაროთ ეს მრეწველობა, საბოლოოდ განვამტკიცოთ იგი წარმოების გერმანული საშუალებებით.

მაშასადამე, ლეჟავას მიერ შეტანილი შესწორება გამომდინარეობს რუსეთის სწორად გაგებული სამეურნეო ინტერესებიდან, რუსეთისა, რომელსაც ახლა პროტექციონიზმი ესაჭიროება, განსაკუთრებით მთელი მსუბუქი ინდუსტრიისათვის, ვინაიდან ჩვენ მაშინ შევძლებთ უფრო ადვილად აღვადგინოთ ეს ინდუსტრია და ამით უზრუნველვყოთ ჩვენი პროლეტარიატის ინტერესები. ლეჟავას შესწორებას საერთო არაფერი აქვს რაიმე ფრიტრედერობასთან ან თვით საზღვრების გახსნასთანაც კი, თუნდაც საბაჟო გამოსაღების დატოვებით. ამხ. კამენევი თავისი ბარათის ბოლოს წერს:

«შედეგი: ჩვენთვის უცნობ საქონელში ვოლფისათვის ჩვენი გადასახდელების ერთი წლით გადავადებაში ახლავე ვაძლევთ მას ნედლეულის შესყიდვისა და გატანის მონოპოლიურ უფლებას. იაფია».

ეს სრულზე სრული გაუგებრობაა. შეუძლებელია წარმოიდგინოთ იმაზე უფრო ხელსაყრელი ხელშეკრულება, ვიდრე ის, რომელსაც ჩვენ ვოლფთან ვდებთ. ჩვენ მას ვუხდით წლიურ 10%-ს, მაშინ როცა ინგლისიც კი იხდის ახლა 7%-ს, ხოლო გერმანიის მთავრობა იხდის 12%-ს. ეს ერთი. მისგან რომ ვყიდულობთ სრულებითაც არა უცნობ, არამედ მხოლოდ ჩვენ მიერ სიით გასინჯულ და შემოტანისათვის ნებადართულ საქონელს — ეს ორი. მესამე გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ შესყიდვისა და გატანის მონოპოლიურ უფლებას ჩვენ მას ვაძლევთ მოგების ისეთი გაყოფისათვის, რომელსაც არავითარ საბაჟო გამოსაღებთან საერთო არაფერი შეიძლება ჰქონდეს. სახელდობრ: ჯერ ერთი, ჩვენ ვიღებთ 10% დივიდენდს, მეორე, ჩვენ ვიღებთ 10% მოგებას ისევე, როგორც ვოლფი, და, მესამე, თუ მოგება 40%-ს აღემატება, ჩვენ ვიღებთ დანარჩენი ნაწილის 75%-ს, მაშინ როცა კონსორციუმი იღებს მხოლოდ 25%-ს.

მე ვფიქრობ, რომ ვოლფთან დასადები ხელშეკრულება წარმოადგენს ტიპურ ხელშეკრულებას გერმანიის კაპიტალისტურ საწარმოებთან.

ასეთი ხელშეკრულება უაღრესად ხელსაყრელია ჩვენთვის უკვე იმით, რომ ჩვენ შუაზე ვიყოფთ მოგებას, რომელმაც, ალბათ, შეიძლება მიაღწიოს არაერთ ასეულ % %-ს. ამასთან აღორძინების გზაზე მდგომი ჩვენი მრეწველობისა და, მაშასადამე, ჩვენი სამრეწველო საწარმოების ინტერესები მთლიანად არის დაცული. ნატამალიც არ არის ჩვენთვის საზარალო იმ შედეგებისა, რომლებიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა საზღვრის თუნდაც პირობითს, თუნდაც დროებით გახსნას. ამიტომ მე მოვითხოვ ვოლფთან დასადები ხელშეკრულების უთუოდ დამტკიცებას და, ვინაიდან ეს საქმე მეტად საშურია, გთხოვთ

დააყენოთ საკითხი ხვალ პოლიტბიუროში. აქვე თან ვურთაკ ამ ხელშეკრულებას და ამხ. კამენევის ბარათს [719].

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1922 წლის 18 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 45

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ეგზემპლარის მიხედვით,
რომელიც გასწორებული
და ხელმოწერილია
ვ. ი. ლენინის მიერ

777

პერმის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეს

20 ოქტომბერი 1922.

ამერიკის სატრაქტორო რაზმმა, რომელიც პერმის გუბერნიის ტერიტორიაზე, ოხანსკის მაზრაში მუშაობს ამხ. ჰაროლდ ვერის ხელმძღვანელობით, მიუხედავად მუშაობის მოკლე პერიოდისა, მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. სულ მოხნულია 1 500-მდე დესეტინა, აქედან დათესილია 1000-მდე დესეტინა შემოდგომის ჰურეული.

უეჭველია, რომ ხსენებული ჯგუფი შეძლებდა კიდევ უფრო დიდი შედეგებისათვის მიეღწია, ჩვენს პრაქტიკაში ჩვეულებრივი ნაკლოვანებები რომ არა.

თქვენს მოხსენებაში კი აღნიშნულია ბენზინის, საცხები ზეთების უქონლობა, დაბრკოლება მუშების მხრივ სახლების მშენებლობისას, მაგრამ მითითებული არ არის, რა ზომები

მიიღო საგუბერნიო აღმასკომმა აღნიშნულ სიძნელეთა ლიკვიდაციისათვის.

სრულიად შეუწყნარებელია, რომ ასეთ სასარგებლო წამოწყებას ყოველნაირად არ უწყობდნენ ხელს, მეტადრე ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებსაც შეუძლიათ უფრო მალე ჩასწვდნენ წარმოშობილ დაბრკოლებებს და ხელი შეუწყონ მათს აღმოფხვრას.

გთხოვთ მაქსიმალურად დაუჭიროთ მხარი აღნიშნულ ჯგუფს და, კერძოდ, დაეხმაროთ მათი ვარაუდების განხორციელებას ტრაქტორების რაციონალურად გამოყენებაში, ბენზინის შეძენაში, სარემონტო სახელოსნოს შექმნაში, საცხოვრებელი ბინების აშენებაში და სხვ.

დახმარება, რასაც ამერიკელთა სასოფლო-სამეურნეო ჯგუფები გვიწევენ, ყველაზე სასურველი და დროულია. ჩვენი ამოცანა აქ უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება მეტად შევუწყოთ ხელი მათი წამოწყებების განხორციელებას მინიმალური შეფერხებებით.

მაცნობეთ თქვენი ღონისძიებების შედეგები ამხ. სმოლიანინოვის მეშვეობით, აგრეთვე მიმდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საჭიროებანი, რომელთა გადაჭრა თვითონ არ ძალგიძთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ეგზემპლარის მიხედვით,
რომელიც გასწორებული და
ხელმოწერილია
ვ. ი. ლენინის მიერ

778

დეპეშა

კ. მ. ცინცაძეს და ს. ი. ჯაფარიძეს [720]

21/X — 22 წ. შიფრით

თბილისი, საქართველოს კომპარტიის ცეკა, ცინცაძესა და ქავთარაძეს პირი ცეკას წევრს ორჯონიკიძეს და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანს ორახელაშვილს

გაოცებული ვარ პირდაპირი მავთულით მიღებული იმ ბარათის უხამსი ტონით, რომელიც ხელმოწერილია ცინ**ცაძისა** და სხვების მიერ და რატომღაც გადმომცა ბუსარინმა და არა **ცეკას** ერთ-ერთმა მდივანმა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველა უთანხმოება ამოწურული იყო ცეკას პლენუმის იმ რეზოლუციებით, რომელშიც არაპირდაპირ ვმონაწილეობდი მე და პირდაპირ მონაწილეობდა **მდივანი** [721]. ამიტომ გადაჭრით ვგმობ **ორჯონიკიძის** მიმართ გამოთქმულ ლანძღვა-გინებას და დაჟინებით მოვითხოვ, რომ თქვენი კონფლიქტი წესიერი და ლოიალური ტონით გადაეცეს გადასაჭრელად რკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, რომელსაც გადაეგზავნა კიდეც პირდაპირი მავთულით მიღებული თქვენი ცნობა.

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს
წიგნში: მ. კახიანი. «პარტია და
ტროცკისტულ-უკლონისტური
ოპოზიცია საქართველოში». თბილისი

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

779

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს

24/X. 1922 წ.

მრავალ საგაზეთო სტატიაში აღნიშნულია სავსებით განსაკუთრებული წარმატებანი, რასაც მიაღწიეს ამერიკელთა ზოგიერთმა სასოფლო-სამეურნეო კომუნებმა და რაზმებმა, რომლებმაც თან ჩამოიტანეს ტრაქტორები. სპეციალური შემოწმებით გამორკვეულია, რომ ჩინებულად მუშაობს სატრაქტორო რაზმი ჰაროლდ ვერის მეთაურობით პერმის გუბერნიაში საბჭოთა მეურნეობა «ტოიკინოში». გარდა ამისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამრეწველო იმიგრაციის განყოფილებაში ასეთივე ცნობებია სასოფლო-სამეურნეო კომუნების მუშაობაზე ტამბოვის გუბერნიის კირსანოვის მაზრაში და ოდესის გუბერნიის ტირასპოლის მაზრის სოფელ მიგაევოში.

რუსეთისადმი ტექნიკური დახმარების ამერიკული საზოგადოება რუსეთში გამოსაგზავნად ამჟამად ქმნის 200-მდე არტელს 800 — 1000 ტრაქტორით. თუ ეს საქმე მოხერხდა, მაშინ ჩვენ შევძლებთ ყოველ მაზრაში გვექნეს ამერიკული ტექნიკით აღჭურვილი თუნდაც ერთი საჩვენებელი სასოფლო მეურნეობა, რასაც მე უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ.

ამ საქმის წახალისების მიზნით საბჭოთა რუსეთის მეგობართა ამერიკულ საზოგადოებას და საბჭოთა რუსეთისადმი ტექნიკური დახმარების ამერიკულ საზოგადოებას მივწერე მადლობის წერილები, რომლებშიც აღვნიშნე, რომ არც ერთი სახის დახმარება არ არის ჩვენთვის იმდენად დროული და დიდმნიშვნელოვანი, როგორც ის, რასაც ისინი ჩვენს სოფლის მეურნეობას უწევენ *. ამ წერილებით მე ვაცნობე მათ, რომ

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 447 — 448, 449 — 450. რ ე დ.

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში შევდივარ შუამდგომლობით, რომ პერმისა და სხვა ყველაზე შესანიშნავი მეურნეობანი ცნობილ იქნენ სანიმუშოდ და რომ მათ აღმოეჩინოს სპეციალური და ექსტრაორდინარული დახმარება როგორც სამშენებლო სამუშაოთა მხრივ, ისე ბენზინით, ლითონითა და სამუშაოთა განვითარებისა და სარემონტო სახელოსნოების ორგანიზაციისათვის საჭირო სხვა მასალებით მომარაგებაშიც.

გთხოვთ ეს საკითხი განიხილოთ და დააკმაყოფილოთ ჩემი ეს შუამდგომლობა [722].

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ეგზემპლარის მიხედვით,
რომელსაც სელს აწერს
ვ. ი. ლენინი

780

ლ. ს. სოსნოვსკის

ამხ. სოსნოვსკის

გიგზავნით ამხ. ოსინსკის მიერ ბერლინიდან 14/X-ს გამოგზავნილი იმ წერილის პირს, სადაც იგი იწერება შატილოვის ტრესტის თაობაზე [723]. გთხოვთ გაეცნოთ შვრიის სრულყოფილი კულტურების მისაღებად წარმოებულ მუშაობას და მოათავსოთ «პრავდაში» ფელეტონი საერთოდ ამ მუშაობის მნიშვნელობაზე და კერძოდ შატილოვის ტრესტისა და რუს სელექციონერ ლისიცინის მუშაობაზე. მთელი საჭირო ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ, ალბათ, ამხ. ტეოდოროვიჩთან. მისი

მეშვეობით შეგიძლიათ აგრეთვე უშუალოდ დაუკავშირდეთ შატილოველებსა და ლისიცინს. გირჩევთ წინასწარ გაეცნოთ ტიმირიაზევის თარგმნილ წიგნს «განახლებული მიწა», რომელიც ჩვენში გამოვიდა.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

P. S. პირადად მე წინათ ოსინსკისაგან მომისმენია შატილოვთან მომუშავე ახალი (თუ ძველი?) სელექციონერის ძალიან კარგი შეფასება. თუ მოსახერხებელია, შეამოწმეთ!

თქვენი ლენინი*

დაწერილია 1922 წლის 25 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ჟურნალში
«ხოჩუ ვსიო ზნატ», № 8

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელიც ხელმოწერილი და
შევსებულია
ვ. ი. ლენინის მიერ

781
გ. მ. კრჟიჟანოვსკის და გ. ლ. პიატაკოვს

26. X. 1922 წ.

ამხ. კრჟიჟანოვსკის
და ამხ. პიატაკოვს

გიგზავნით ამასთან დართულს [724]. პირი არა მაქვს.

საჭიროა საკმაოდ მალე (ვფიქრობ, 2—3 დღეში) მომცეთ შეფასება.

ეს ერთი.

---

* პოსტსკრიპტუმი დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რედ.

გადავჭრათ მთელი საკითხი ოფიციალურად.

ეს ორი.

ძალიან გთხოვთ იჩქაროთ.

ივანე ივანეს ძე რადჩენკო ძველი ბოლშევიკია: მას უნდა **დავეხმაროთ.**

თქვენი ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

782

ვ. ნ. მაქსიმოვსკის

27. X. 1922 წ.

ამხ. მაქსიმოვსკი!

ცენტრალური კომიტეტის გუშინდელ გადაწყვეტილებას, ალბათ, იცნობთ[725]. მასთან დაკავშირებით საჭიროა, ალბათ, გადავსინჯოთ განსახკომის ხარჯთაღრიცხვის სხვა ნაწილებიც, რომ შევათანხმოთ ყველაფერი მთლიანად, შევავსოთ ის, რაც ამოვარდება, და ა. შ.

ვინაიდან თქვენ სათავეში უდგახართ სახალხო კომისარიატის ადმინისტრაციულ და საფინანსო მუშაობას, გთხოვთ ახლავე შეუდგეთ განსახკომის ხარჯთაღრიცხვის გადასინჯვას და ეცადოთ საერთოდ შეამციროთ, რაც კი ზედმეტია (ცეკუბუს* ნაწილი, უმაღლესი სასწავლებლების ნაწილი, ბევრი ზემდგომი ორგანო და სხვ.), იმისათვის, რომ გადიდდეს ასიგნებანი სკოლებზე და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაზე. დამირეკეთ ამაზე ან მომწერეთ 2 სიტყვა.

თქვენი ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება **ხელნაწერის მიხედვით**

---

* სახკომსაბჭოსთან არსებული მეცნიერთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ცენტრალური კომისია. რ ე დ.

783

ლ. ბ. კამენევს

ამხ. კამენევ! კრეიციანოვსკიმ მიამბო, რომ პიატაკოვს გამოჰპარვია და დაუშვია ხარჯთაღრიცხვის გადიდება (სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატი) ნაცვლად შემცირებისა. საჭიროა, მართლაცდა, გადავდოთ ერთი-ორი დღით, რათა შევეცადოთ გამოვასწოროთ პიატაკოვის შეცდომა [726]?

თქვენი ლენინი

დაწერილია 1922 წლის 27 და 30 ოქტომბერს შუა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

784

ვ. მ. მოლოტოვს

ამხ. მოლოტოვ!

გთხოვთ წაიკითხოთ, **ყურადღება** მიაქციოთ და დამიბრუნოთ. მომწერეთ, გაიგზავნა თუ არა ოქრო სომხეთში ($1^1/_2$ მლნ. მან., ვგონებ, გადაწყვეტილია)?

სომხებისადმი დახმარების სხვა ზომები?

უნდა **დავაჩქაროთ და შევამოწმოთ** [727].

ველი პასუხს.

ლენინი

დაწერილია 1922 წლის 28 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

785

ბ. ლ. პიატაკოვს და მ. ი. ფრუმკინს

ამხ. პ ი ა ტ ა კ ო ვ ს ა და ამხ. ფ რ უ მ კ ი ნ ს

პირები ამხ. სტალინსა და ამხ. კამენევს

მიღებული დეპეშა ურკარტის რწმუნებულებთან ამხ. კრასინის შეხვედრის შესახებ გვაჩქარებინებს ამ საკითხზე სადისკუსიო სტატიების მოთავსებას. ამიტომ გთხოვთ ხვალვე მოათავსოთ «პრავდაში» პიატაკოვის სტატია, ამასთან დაურთოთ შენიშვნა, რომ იგი სადისკუსიო ხასიათისაა. ზეგ მოათავსეთ ფრუმკინის ან მისი არჩევანით ვისიმე სტატია.

ვფიქრობ, რომ ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია ხელი მოვაწეროთ ორივე სტატიას, მაგრამ ეს მოითხოვს იმის ხელახლა გადაწყვეტას, რაც პოლიტბიურომ გადაწყვიტა, ამიტომ საღამომდე სტატიის ხელმოწერის საკითხი ღიად უნდა დავტოვოთ [728].

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 30 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

786

ლ. ბ. კამენევს

30. X. 1922 წ.

ამხ. კამენევ!

პარასკევ * საღამოს ამხ. კრჟიჟანოვსკიმ შემატყობინა, რომ ამხ. პიატაკოვმა შეცდომით გაატარა სამხედრო ხარჯთაღრიცხვა

* იგულისხმება 27 ოქტომბერი. რ ე დ.

დათქმულზე რამდენიმე ათეული ტრილიონი მანეთით მეტი.

გუშინ შევიტყვე, რომ თქვენ ვერ მოახერხეთ სახკომსაბჭოში გამოგესწორებინათ ეს შეცდომა. თქვენ ვარაუდობთ, როგორც ამბობთ, ჯერჯერობით დატოვოთ იგი. საქმე რომ ავწონ-დავწონე, ვასკვნი: ეს გზა უაღრესად საშიში, არასაიმედო, პრინციპულად არასწორი და ყოველმხრივ უხერხულია.

წინადადება შემომაქვს შევიკრიბოთ ჩემთან დღესვე, ორშაბათს, ან 1 საათიდან 2-მდე, ან 6-დან 7-მდე, სტალინთან (ზინოვიევთან და მოლოტოვთან) ერთად და შევთანხმდეთ იმაზე, რომ მოვიწვიოთ პოლიტბიურო, ვფიქრობ, დღესვე.

ახლავე უნდა გავაუქმოთ სახკომსაბჭოს დადგენილება პიატაკოვის მიმართ საყვედური გამოვთქვათ. თორემ დიდ ხნით გავიხლართებით; ძალიან ბოდიშს ვიხდი ჩემი წინადადების გამო (რომელიც იგვიანებს), მაგრამ არ შემიძლია სხვანაირად მოვიქცე.

პირს ვუგზავნი ამხ. სტალინს *.

კომ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის ნაწერებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

787

ი. ბ. სტალინს
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის [729]

კრჟიჟანოვსკიმ მითხრა, რომ ეს პიატაკოვის (სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) შეცდომა იყო. არ შეიძლება ასეთი შეცდომების დაშვება. ჩემი აზრით, პი-

* იხ. შემდეგი დოკუმენტი. რ ე დ.

ატაკოვს ზრდილობიანად უნდა ვთხოვოთ ამიერიდან ასეთი შეცდომები აღარ დაუშვას.

30. X. 1922. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

788

წერილი გ. ვ. ჩიჩერინს და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს ლოზანის კონფერენციის თაობაზე ანტანტის სახელმწიფოებისადმი ნოტის შესახებ [730]

31/X. 1922 წ.

ამხ. ჩიჩერინს და პოლიტბიუროს ყველა წევრს

მე ახლა დრო არა მაქვს, რომ საკმაოდ სერიოზულად ავწონ-დავწონო ყველა გამოთქმა ანტანტისადმი იმ ნოტის პროექტში, რომელიც მეტად დიდმნიშვნელოვნად მიმაჩნია. ვფიქრობ, 2-ჯერ და 3-ჯერ უნდა შევამოწმოთ თითოეული სიტყვა იმ თვალსაზრისით, რომ იგი არ ნიშნავდეს იმას, თითქოს ჩვენ უარს ვამბობდეთ წავიდეთ კონფერენციაზე.

ამ მხრივ ნოტა განსაკუთრებით «დიპლომატიური» უნდა იყოს. მე მომეჩვენა, რომ ნოტის ბოლოში, რომელიც სულ ერთი თვალის გადავლებით გადავიკითხე, ამ მხრივ არასაკმაოდ დიპლომატიური გამოთქმებია.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 45

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

789

კ. ბ. რადეკს

კარგი იქნება გამოიცეს წიგნად სახელმძღვანელო: მსოფლიოს **ყველა** ქვეყნის მიმოხილვა; ვის ვისი რამდენი მართებს: შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს ხელსაყრელი და არსებითი წყაროები თითოეულ ქვეყანაში.

საბოლოოდ მკაფიო. მოკლე სურათი **4** იმპერიალისტური სახელმწიფოს უსირცხვილო ბატონობისა (გადავთარგმნით ყველა ენაზე; გავხდით სახელმძღვანელოდ; ყოველ 2 წელიწადში შევავსებთ).

ნათელი რუკა.

რუკაზე მთავარი ფასეულობანი;

— მთავარი **ვალები;**

ყველაფერი ეს თვალსაჩინოდ, დიაგრამებით და სხვ.

დაწერილია 1922 წელს, არაუგვიანეს
ოქტომბრისა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

790

* ფინკომიტეტს

პირი ამხ. ტეოდოროვიჩს

მიწსახკომის ხარჯთაღრიცხვის განხილვისას საუწყებათაშორისო თათბირმა უარი თქვა სახთესლკულტურის ხარჯთაღრიცხვის შეტანაზე მიწსახკომის ბიუჯეტში და წინადადება წამოაყენა ეთხოვოს სესხი სახელმწიფო ბანკს, რომელიც პირველი კვარტალისათვის მოთხოვნილი 3,5 ტრილიონი მანეთის ნაცვლად მხოლოდ ერთ ტრილიონს იძლევა.

უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ვანიჭებ რა შატილოვის ტრესტის მუშაობას და დარწმუნებული ვარ რა იმაში, რომ მცენარეთა კულტურების გაუმჯობესება ამერიკული ტიპის მიხედვით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბაზაა ჩვენი სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების გადიდებისათვის, გთხოვთ გადასინჯოთ საუწყებათაშორისო თათბირის გადაწყვეტილება, რათა შეძლებისდაგვარად დავეკმაყოფილოთ სახთესლკულტურის საჭიროებანი.

თან ვურთავ როგორც მასალას ამხ. ტეოდოროვიჩის განცხადების პირს და ამხ. ოსინსკის წერილის პირს, რომელსაც სავსებით ვეთანხმები [731].

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1922 წლის 4 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა არასრულად
1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

791

ნ. პ. გრიუზანოვს

სურსათის სახალხო კომისარიატი
ამხ. გრიუზანოვს

მე მატყობინებენ, რომ ჩასაბარებელ პუნქტებში დიდძალ მარცვლეულს დანესტიანებულს აბარებენ წვიმიანი ზაფხულის

გამო. იბადება შიში, რომ იგი ადვილად შეიძლება ჩახურდეს და თავისი სამეურნეო ვარგისობა დაკარგოს.

გთხოვთ მაცნობოთ, შეესაბამება თუ არა ეს სინამდვილეს და მიღებულია თუ არა ჯეროვანი ზომები აღებული პურის შესანახავად, აგრეთვე ვინ ადევნებს ამას თვალყურს პერსონალურად სრულიად რუსეთის მასშტაბით.

როგორც გლებ მაქსიმილიანეს ძე მატყობინებს, სასურსათო გადასახადისათვის დიდი საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ სურსათის მნიშვნელოვანი რაოდენობა — 10 000-მდე ვაგონი გაჩერებულია მიღების ადგილებში — მოსკოვში, პეტროგრადში, სამარაში, რიბინსკში, იაროსლავლში, კოსტრომაში და სხვა პუნქტებში, რაც აიხსნება დანიშნულების პუნქტებში სასაწყობო სათავსების ნაკლებობითა და გადმოტვირთვის საერთო შეფერხებით.

ტვირთების მისამართის შეცვლით ერთი პუნქტიდან მეორეში გაგზავნას თითქოს ხელსაყრელი შედეგები ჯერ კიდევ არ მოუცია, ვინაიდან ვაგონები მისამართის შეცვლის შემდეგ სხვა პუნქტებშიც კვლავ კვირაობით დგას განსატვირთავად ტარისა და სასაწყობო სათავსების მოლოდინში.

საწყობების გამოტენასთან დაკავშირებით ახლა ალბათ განსაკუთრებით საშიში მომენტი დგება.

გთხოვთ მაცნობოთ, რა მდგომარეობაშია ახლა პურის გადმოტვირთვის საქმე და რა ზომებს იღებს სურსათის სახალხო კომისარიატი მისი დაჩქარებისათვის.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1922 წლის 6 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის XXXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

792

ვ. მ. კრჟიჟანოვსკის

სახელმწიფო საგეგმო კომისია
ამხ. კრჟიჟანოვსკის

პირი: ფინსახკომი, ამხ. სოკოლნიკოვს

გიგზავნით ამხ. ჩუბარის იმ ორი წერილის პირებს, რომლებშიც იგი ამტკიცებს, რომ ცხოვრებამ თავდაყირა დააყენა შრომისა და თავდაცვის საბჭოს 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება დონბასის შესახებ [732].

საჭიროა სასწრაფო წესით გადავსინჯოთ საკითხი სრული მასშტაბით, განხილვაში ჩავაბათ ფინსახკომი და პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭო. საჭიროა აუცილებლად გამოვნახოთ ყველა საკითხის ისეთი გადაწყვეტა, რომელიც უზრუნველყოფს დონბასის ნორმალურ მუშაობას და ისე დააყენებს მას, რომ დამოკიდებული აღარ იყოს მანეთის კურსის განუწყვეტელ დაცემაზე.

ეს უაღრესად სასწრაფო საქმედ მიმაჩნია და ვთხოვ სახელმწიფო საგეგმო კომისიას სპეციალურად მიაპყროს ყურადღება ამ სამუშაოს [733].

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1922 წლის 6 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

793

* სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს

პირი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს

» ამხ. ეიდუკს

მე ცნობები მაქვს, რომ ამჟამად მიმდინარეობს ძლიერი არალეგალური იმიგრაცია (რუსებისა და ამერიკელებისა) სხვადასხვა საზღვრისპირა პუნქტებიდან, განსაკუთრებით შავი ზღვის ნავსადგურებიდან.

როგორც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამრეწველო იმიგრაციის განყოფილება იტყობინება, შემოდის 200 — 300-მდე კაცი ყოველთვიურად. (ამასთან შემოდიან სპეკულანტები, კონტრრევოლუციონერები და სხვა მისთანანი).

გთხოვთ მიიღოთ უაღრესად გადამწყვეტი ზომები ასეთი იმიგრაციის შესაჩერებლად.

მიღებული ზომების შესახებ აცნობეთ ამხ. გორბუნოვს.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1922 წლის 6 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს
წიგნში: ვ. ი. ლენინი.
«სოციალისტური კანონიერების
შესახებ (1917 — 1922 წწ.)». მოსკოვი

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

794

გ. ვ. ჩიჩერინს [734]

ამხ. ჩიჩერინ! ისე ხომ არ გავაკეთოთ, რომ შარი მოვდოთ მუსოლინის და **ყველანი** (ვოროვსკი და დელეგაციის მთელი

შემადგენლობა) **წამოვიდნენ იტალიიდან,** რომელსაც დავუწყოთ **ლანძღვა** ფაშისტების გამო?

მოვახდინოთ საერთაშორისო დემონსტრაცია.

შარის საბაბი მოხერხებულია: თქვენ ჩვენებს სცემდით, თქვენ ველურები, შავრაზმელები ხართ, **1905 წლის რუსეთზე უარესი-თქო** და ა. შ. და ა. შ.

ჩემი აზრით, საჭიროა.

დავეხმარებით იტალიელ **ხალხს** სერიოზულად [735].

თქვენი ლენინი

დაწერილია 1922 წლის ნოემბერში,
არა უადრეს 8 ოქტომბერისა

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

795

ლ. დ. ტროცკის

ამხ. ტროცკის, პირები ზინოვიევს, ბუხარინს, რადეკს, სტალინსა და კამენევს

1. ბორდიგას თაობაზე დაბეჯითებით გირჩევთ მიღებულ იქნეს თქვენი ის წინადადება, რომ გავუგზავნოთ იტალიელ დელეგატებს წერილი ჩვენი ცენტრალური კომიტეტის სახელით და დაჟინებით ვურჩიოთ მათ თქვენ მიერ მითითებული ტაქტიკა, თორემ უკანასკნელთა მოქმედება უაღრესად მავნე იქნება იტალიელი კომუნისტებისათვის მთელს შემდგომ მუშაობაში [736].

2. წავიკითხე თქვენი თეზისები ნეპის შესახებ და ვფიქრობ, რომ საერთოდ ძალიან კარგია, ცალკეული ფორმულირებანი კი — უაღრესად მოხდენილი, მაგრამ პუნქტების მცირე ნაწილი სადავო მეჩვენება. ჩემი რჩევა იქნებოდა ჯერ დაგვებეჭდა ისინი გაზეთებში, შემდეგ კი აუცილებლად ხელახლა გამოგვეცა ბროშურად. ერთგვარი კომენტარებით ეს თეზისები ძალიან მოხერხებული იქნება იმისათვის, რომ უცხოეთის საზოგადოებას გავაცნოთ ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 25 ნოემბერს
დილის 11 საათზე

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

796

ლ. დ. ტროცკის, გ. ე. ზინოვიევს, ნ. ი. ბუხარინსა და კ. ბ. რადეკს [737]

ამხანაგებს ტ რ ო ც კ ი ს, ზ ი ნ ო ვ ი ე ვ ს,
ბ უ ხ ა რ ი ნ ს ა და რ ა დ ე კ ს

დოკუმენტი, რომელიც თქვენ გამომიგზავნეთ, სახელდობრ, გერმანულ ენაზე უმთავრესად ვარგას მიერ შედგენილი და კომისიის მიერ დამტკიცებული პროექტი, რომლის სახელწოდებაა «მონასახი მოქმედების აგრარული პროგრამისა», წავიკითხე და ძალიან ვყოყმანობ გამოვთქვა აზრი მის სასარ-

გებლოდ. მე მგონია, რომ პროექტი ახალს თითქმის არაფერს იძლევა აგრარულ საკითხში კომინტერნის II კონგრესის რეზოლუციასთან შედარებით. ძალიან ვშიშობ, რომ ზოგიერთი ფორმულირებანი, რომლებიც, შესაძლოა, შემთხვევითაც კი, განსხვავდებიან II კონგრესის რეზოლუციისაგან, გაუგებრობას გამოიწვევენ და წარმოშობენ ხელოვნურ განმარტებას იმის შესახებ, რომ ეს პროექტი განსხვავდება II კონგრესის რეზოლუციისაგან. თითქოს განსხვავებაც არის, რომელიც ასუსტებს იმას, რაც ნათქვამი იყო იქ გლეხთა მოძრაობისათვის მხარის დაჭერაზე, და რომელსაც შეუძლია წარმოშვას ერთგვარი უთანხმოება ხელმოკლე გლეხობასა და სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატს შორის.

მე არ შემიძლია უფრო დეტალურად ჩავწვდე ამ საკითხს და ფრაზა-ფრაზად შევაჯერო თქვენ მიერ გამოგზავნილი ვარგას რეზოლუციის პროექტი II კონგრესის რეზოლუციას. საჭიროდ მიმაჩნია დიდად გაგაფრთხილოთ, რომ არ გამოგვივიდეს ერთსა და იმავე საკითხზე დაგროვება მრავალი რეზოლუციისა, რომლებმაც შეიძლება გაუგებრობა და აბნეულობა წარმოშვას.

როგორც მინიმუმს, წამოვაყენებდი წინადადებას:

1. ახალი რეზოლუცია ფრაზა-ფრაზად შევაჯეროთ II კონგრესის რეზოლუციას.

2. მივცეთ ამ ახალ რეზოლუციას რაღაც ნაწილობრივი კომენტარის ხასიათი.

მე, არსებითად, მგონია, რომ ამ ახალი რეზოლუციისაგან სარგებლობა ძალიან საეჭვოა [738].

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 25 ნოემბერს 12 საათზე

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

797

* სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს

პირი — ამხ. ბ ო გ დ ა ნ ო ვ ს
« — ამხ. ფ ო მ ი ნ ს

14 ნოემბერს სახალხო კომისართა საბჭოში განხილულ იქნა საკითხი შპალსაჟღენთი ქარხნების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოდან გზათა სახალხო კომისარიატისათვის გადაცემის შესახებ და გადაწყდა გადაეცეს ქარხნები გზათა სახალხო კომისარიატს.

ვინაიდან ამ გადაწყვეტილების სისწორეში ზოგიერთი ეჭვი დამებადა, თხოვნით მოვმართავ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დაწვრილებით გადასინჯოს ეს საკითხი არსებითად და მისცეს ორივე მხარეს აზრის გამოსათქმელად სულ მცირე ოც-ოცი წუთი.

ერთი მხარის მომხსენებელი იქნება სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი, მეორისა კი — გზათა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

მთელ მასალებს ამ საკითხზე თქვენ წარმოგიდგენთ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ამხ. გ ო რ ბ უ ნ ო ვ ი, რომელსაც მე სათანადო დავალება მივეცი [739].

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1922 წლის 29 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს წიგნში: ვ. ვ. ფომინი. «ლენინი და ტრანსპორტი». მოსკოვი

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

798

ნ. მ. კნიპოვიჩის ბარათისათვის [740]

მხარი უნდა დავუჭიროთ მის შუამდგომლობას «აზოვმორისათვის» გემის მიცემის შესახებ (ბარათს ექვე ოან ვურთავ).

3/XII — 22 წ.

ლენინი

ნ. მ. კნიპოვიჩს პირადად ვიცნობ როგორც აბსოლუტურად პატიოსან კაცს. პოლიტიკურად ერთხანს პლეხანოველი იყო, უფრო ადრე და შემდეგ—არაფრაქციული სოციალდემოკრატი. მის მოსაზრებას შეიძლება და საჭიროა საკვლევით დავენდოთ. თევზის საქმეს კნიპოვიჩი ზედმიწევნით და მეცნიერულად იცნობს: 37 წელიწადს სწავლობდა.

ლენინი

დაწერილია 1922 წლის 3 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

799

ი. ი. ხოდოროვსკის

ამხანაგო ხოდოროვსკი!

როგორც ამხ. მოლოტოვმა მაცნობა, თქვენ ნოვო-ნიკოლაევსკში გამოცდილება გქონიათ სასოფლო უჯრედებისადმი საქალაქო უჯრედების შეფობის მხრივ და პირუკუ. ხომ ვერ შეაგროვებთ მასალებს ამის შესახებ — წერილობითსა და ბეჭ-

დურს — ან, თუ საბჭოების ყრილობამდე ვერ მოასწრებთ, ხომ ვერ მომწერთ რამდენიმე სიტყვას, და იქნებ გამოვნახოთ დრო საუბრისათვის [741].

ლენინი.

4/XII — 22 წ.

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა 1930 წლის 22 აპრილს გაზეთ «იზვესტიაში», № 111

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

800

ა. ი. სვიდერსკის

მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატი, ამხ. სვიდერსკის

1. მე მაქვს ცნობები, რომ ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის კუნძულთა მეურნეობის სამმართველო ახალი მიწის კოლონისტებთან სპირტით ვაჭრობს და უცხო ტომელებს ლოთობას აჩვევს.

როგორც გვიამბობენ, სამმართველო თითქოს ისეთ მძარცველურ ფასებს ნიშნავს, რომ კოლონისტები ცდილობენ რეწვის პროდუქტები მიჰყიდონ იქ ჩასულ ნორვეგიელ ნადირთმრეწავებს, რომლებიც საქონელს მათ ნაკლებად მძარცველურ ფასებში აძლევენ.

2. მე მაცნობეს, რომ ომის დროს თევზის რეწვის ერთობ შესუსტების შედეგად აზოვის ზღვაში კვლავ გამოჩნდა სარეწი რაოდენობით ტარანი, რომელმაც მტაცებლური ჭერის გამო ერთხანს დაკარგა სარეწავი თევზის მნიშვნელობა. გაჩნდა აგრეთვე თართის ჯიშების ბევრი ახალგაზრდა თევზი, მათ შორის თითქმის გადაშენებული სვია. მაგრამ, ერთი მხრივ,

მაშინვე დაიწყო თართის ჯიშების ახალგაზრდა თევზის სრულიად შეუკავებელი, სავსებით შეუზღუდავი, მტაცებლური ჭერა, რამაც შეიძლება სწრაფად გააქარწყლოს ომის ხელსაყრელი გავლენა. მეორე მხრივ, დონის ქვემო წელზე თითქოს ხდებოდა, და შესაძლოა ახლაც ხდებოდეს, რაღაც წარმოუდგენელი რამ. მაგალითისათვის, მაცნობეს, რომ «დონპროდკომის» წყალთა დაცვაც კი აწარმოებდა თევზის მტაცებლურ ჭერას აკრძალულ ზონაში, ამასთან აკრძალულ წყლებში ჭერის ნებართვისათვის არსებობდა თავისებური ნიხრი — 400-დან 500 მილიონ მანეთამდე ერთ საბადურში.

«დონპროდკომის» წყალთა დაცვის უფროსი გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან დონის ქვემო წელზე თევზის მტაცებლური ჭერისათვის. ეს ვაჟბატონი მხოლოდ გადაუყენებიათ თანამდებობიდან. უნდა შევიტყოთ, სად არის იგი, და რაც შეიძლება ს ე რ ი ო ზ უ ლ ა დ შევამოწმოთ, საკმაოდ დასჯილია თუ არა.

გთხოვთ დანიშნოთ ორივე საქმის გამოძიება და გამოძიების შედეგები მოკლე ბარათით მაცნობოთ ამხ. გ ო რ ბ უ ნ ო ვ ი ს მეშვეობით.

საჭიროა არა მარტო შევაშინოთ, არამედ ჯეროვნადაც მოვთხოვოთ პასუხი და გავცოცხოთ ამ უმსგავსობისათვის.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

დაწერილია 1922 წლის 5 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა არასრულად
1934 წელს ჟურნალში
«რიბნოე ხოზიაისტვო სსსრ», № 1

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელსაც ხელს აწერს
ვ. ი. ლენინი

801

ჩარლზ პ. შტეინმეცს

დიდად პატივცემულ ჩარლზ პროტეუს შტეინმეცს, ერთ-ერთს მცირერიცხოვან გამონაკლისთაგან მეცნიერებისა და კულტურის იმ წარმომადგენელთა გაერთიანებულ ფრონტში. რომლებიც თავს უპირისპირებენ პროლეტარიატს.

იმედი მაქვს, რომ აღარ მოგვიხდება დიდხანს ველოდოო იმ ნაპრალის გაღრმავებასა და გაფართოებას, რომელიც ამ ფრონტში გაკეთდა. დაე, მაგალითი რუსეთის მუშებისა და გლეხებისა, რომლებსაც თავიანთი ბედი თავიანთ ხელში უპყრიათ, დაეხმაროს ამერიკის პროლეტარიატსა და ფერმერებს. ომით გამოწვეული ნგრევის საშინელი შედეგის მიუხედავად, ჩვენ განვაგრძობთ წინსვლას, თუმცა ახალი ცხოვრების ეკონომიური მშენებლობისათვის არ მოგვეპოვება იმ უდიდესი რესურსების ერთი მეათედიც კი, რომლებიც უკვე მრავალი წელია ამერიკელი ხალხის განკარგულებაშია [742].

ვ ლ ა დ ი მ ე რ უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

მოსკოვი, 7. XII. 1922.

პირველად დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე 1923 წლის ივლისში ჟურნალში «Soviet Russia Pictorial»

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1961 წლის 21 აპრილს გაზეთ «იზვესტიაში», № 96

იბეჭდება იმ ტექსტის ფოტოპირის მიხედვით, რომელიც დაწერილია უცნობის ხელით და რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი

თარგმანი ინგლისურიდან

802
გ. ე. ზინოვიევს

ამხ. ზინოვიევ!

ი ო ტ ი ს ო დ ე ნ ა დ ა ც არ მომაქვს თქვენზე ეჭვი როჟკოვისადმი მიკერძოებაში.

ი ო ტ ი ს ო დ ე ნ ა დ ა ც!

მაგრამ საქმის არსის გამო ძალიან ვშიშობ: იგი, რამდენიც გნებავთ, იმდენს იცრუებს, **თუნდაც პრესაშიც**. იცრუებს, და ჩვენ მოტყუებულნი აღმოვჩნდებით.

აი რისა მეშინია.

მათ აქვთ ლოზუნგი: იცრუე, პარტიიდან გადი, რუსეთში დარჩი.

აი, რაზე უნდა ვიფიქროთ და მ ო ვ ი ლ ა პ ა რ ა კ ო თ[743].

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1922 წლის 7 ან
8 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა არასრულად
1957 წელს ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს», № 4

მთლიანად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

803
ი. ბ. სტალინს

ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ს

ამხანაგო ს ტ ა ლ ი ნ!

მე სადავოდ მიმაჩნია როჟკოვზე გუშინ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება, ვინაიდან:

ჯერ ერთი, ეს გადაწყვეტილება, წინააღმდეგ ჩვეულებისა და წესდებისა, შეტანილი არ ყოფილა დღის წესრიგში დღის 12 საათამდე;

მეორე, დოკუმენტები წინასწარ არ გაუცნიათ ცენტრალური კომიტეტის წევრებისათვის;

მესამე, ამ საკითხის ორგზის განხილვის შემდეგ აჩქარებისათვის არავითარი საფუძველი არ იყო, მით უმეტეს, რომ მე დავესწარი სხდომის პირველ ნაწილს, და საკითხი განხილულ იქნა სწორედ მას შემდეგ, რაც მე მომიხდა წამოსვლა. ამიტომ დაჟინებით მოვითხოვ, რომ საკითხი გადაეცეს პლენუმს, მით უმეტეს, რომ პლენუმამდე ერთი კვირაღა დარჩა [744].

ლოზოვსკის საკითხზე წინადადება შემომაქვს გამოვიყენოთ განთავისუფლებული დრო იმისათვის, რომ უფრო გულმოდგინედ მოვძებნოთ საჭირო კანდიდატები [745].

ჩვენ, როგორც პარტიამ, უკვე უზომო რაოდენობით მოვახმარეთ ძალები კომინტერნს და, მაშასადამე, პროფინტერნს. თუ ლოზოვსკი დამოუკიდებლად სავსებით დამაკმაყოფილებელი ვერ აღმოჩნდა, საჭიროა მოვიზიდოთ ახალი ძალები ან უცხოელთაგან, ან ისეთ მუშაკთაგან, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ იქნებიან ჩვენში გამოყენებული სხვანაირად, ე. ი. არც ორგანიზაციული, არც პრაქტიკული თუ ადმინისტრაციული მუშაობისათვის. ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ავიყვანოთ კალნინი, რომელმაც, როგორც უკვე მითხრეს, დაიწყო საკმაოდ დიდმნიშვნელოვანი და, თუ არ ვცდები, საკმაოდ წარმატებითი მუშაობა დონბასში. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აგრეთვე უბრალოდ დავნიშნოთ ტომსკი, ვინაიდან პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალურ საბჭოში მას უამრავი სამუშაო აქვს, რომელიც უაღრესად გაძნელებულია ადამიანთა ნაკლებობის გამო. თუ აუცილებელია, წინადადება შემომაქვს დავნიშნოთ ტომსკი და რუძუტაკი იმ ანგარიშით, რომ ისინი ამ ახალ თანამდებობაზე დასაქმებული იყონ არა უმეტეს ნახევარი საათისა დღეში და რომ აუცილებლად მოვიზიდოთ უცხო ენების მცოდნე ორი ან მეტი მდივანი, რომლებსაც შეეძლებათ სავსებით დაწვრილებით მიაწოდონ ინფორმაცია ტომსკისა და რუძუტაკს. წინადადება შემომაქვს ასეთი მდივნების გამონახვა მიენდოს ორგბიუროს ან სამდივნოს იმ ანგარიშით, რომ ისინი არასგზით არ იქნან მოხსნილი არც ერთი ისეთი თანამდებობიდან, რომელიც საჭიროა ჩვენი პარტიისათვის.

თქვენს ყურადღებას მივაქცევ იმას, რომ თუ ვერ ვიყენებთ ისეთ ადამიანებს, როგორიც არის ტროტშტეინი, ეს ცხადად მიუთითებს აღმაშფოთებელ ანარქიაზე პროფინტერნისა და კომინტერნის საქმის დაყენებაში, ვინაიდან ყოველ შემთხვევაში ამ ადამიანებმა ხანგრძლივი მუშაობით ცხადყვეს, რომ სავსებით გამოსადეგი არიან ლიტერატურული საქმიანობისათვის, მაგალითად, ძველ «ნოიე ცაიტში»[746]; უეჭველია, რომ მდივანთა ჯეროვანი დახმარებით ეს ადამიანები განსაკუთრებით დიდ სარგებლობას მოიტანენ, შესაფერისი მდივნები კი შეიძლება ავიყვანოთ და უნდა ავიყვანოთ არა რუსთაგან, არამედ უცხოელთაგან. ძალების ამოქაჩვას ჩვენი პარტიიდან კომინტერნისა და პროფინტერნის სასარგებლოდ უთუოდ უნდა დაედოს ზღვარი.

წინადადება შემომაქვს შესაბამისი წინადადება გაეგზავნოს ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ან ორგბიუროს[747].

ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია ტელეფონით
1922 წლის 8 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

804

წერილი კ. ლაცარის და დავალება მდივანს

მოსკოვი, კრემლი, 1922 წლის 11 დეკემბერი

ძვირფასო ამხანაგო ლაცარი!

გმადლობ მოკითხვისათვის, რომელიც შენგან გადმომცა ამხანაგმა მაფიმ, და სულით და გულით გიპასუხებ ამითვე.

მე, სამწუხაროდ, ვერ შევძელი ავადმყოფობის გამო* თვალყური მედევნებინა შენი მუშაობისათვის კომუნისტური

* სიტყვები: «სამწუხაროდ, ვერ შევძელი ავადმყოფობის გამო» დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

ინტერნაციონალის III კონგრესის შემდეგ. ახლა მოგველის ყველაზე დელიკატური ამოცანა. გაერთიანების საკითხი კონგრესმა უკვე გადაწყვიტა; საჭიროა ამ გაერთიანებას უაღრესად გულმოდგინედ შევუწყოთ ხელი[748]. მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელი შენი ავტორიტეტი და ენთუზიაზმი ძველი და ერთგული რევოლუციონერისა მოხმარდება იმ დიადი მიზნის სამსახურს, რომელსაც ჩვენ ვისახავთ, — ყველა ჭეშმარიტ რევოლუციონერთა მტკიცე და გულწრფელ გაერთიანებას.

განსაკუთრებით ვამყარებ შენზე იმედს იმ შემთხვევაში, თუ სერატი დაიწყებს, შესაძლოა უნებურადაც კი, დაბრკოლებათა შექმნას: წარსულით განპირობებული უნდობლობა იმდენად დიდია, რომ სერატი არა მარტო უნდა იყოს (ეს თავისთავად იგულისხმება) რაც შეიძლება უფრო ლოიალური, არამედ ყოველნაირადაც იჩენდეს ამას და თანაც სპეციალურად ეძებდეს (ამისათვის იგი საკმაოდ მარჯვე და საკმაოდ მოქნილია) ყოველნაირ ხერხებს, რომ თავიდან აიცილოს ყოველი საბაბი უნდობლობისათვის კომუნისტების მხრივ. სამწუხაროდ, ავადმყოფობამ ხელი შემიშალა პირადად მეთქვა ეს სერატისათვის *.

გისურვებ ჯანმრთელობას და გიძღვნი უგულითადეს სალამს[749].

ლ ე ნ ი ნ ი

ფ ო ტ ი ე ვ ა ს ან მორიგ მდივანს

გადაბეჭდეთ მანქანაზე, **გაასწორეთ ჩემი** ფრანგული, და დამიბრუნეთ.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
ტექსტის მიხედვით,
რომელიც გასწორებული
და შევსებულია
ვ. ი. ლენინის მიერ
თარგმანი ფრანგულიდან

* ეს აბზაცი დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. რ ე დ.

805

ლ. დ. ტროცკის

ამხ. ტროცკი! გიგზავნით კრესტინსკის წერილს. ამომწერეთ რაც შეიძლება მალე, თანახმა ხართ თუ არა; მე პლენუმზე ვიომებ მონოპოლიის სასარგებლოდ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

თქვენ?

P. S. კარგი იქნება **მალე** დამიბრუნებდეთ [750].

დაწერილია 1922 წლის 12 დეკემბერს

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

806

ლ. დ. ტროცკის

ამხ. ტროცკის,
პირი ფრუმკინსა და სტომონიაკოვს

ამხ. ტროცკი!

მივიღე თქვენი წერილი კრესტინსკის წერილსა და ავანესოვის გეგმებზე [751]. მგონია, რომ მე და თქვენ მაქსიმალური თანხმობა გამოგვიდის, და ვფიქრობ, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ საკითხის ასეთი დაყენება გამორიცხავს (ან გადადებს) იმაზე დავას, ესაჭიროება თუ არა განკარგულებითი უფლებები სახელმწიფო საგეგმო კომისიას [752].

ყოველ შემთხვევაში, ძალიან გთხოვთ მომავალ პლენუმზე იკისროთ დაცვა ჩვენი იმ საერთო თვალსაზრისისა, რომ აუცილებლად საჭიროა შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. ვინაიდან წინა პლენუმმა ამ მი-

მართულებით მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მთლიანად ეწინააღმდეგება საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას, და ვინაიდან ამ საკითხში დათმობა არ შეიძლება, ვფიქრობ *, როგორც ამას ფრუმკინისა და სტომონიაკოვისათვის გაგზავნილ წერილშიც ვამბობ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამ საკითხში დავმარცხდით, საკითხი უნდა გადავიტანოთ პარტიულ ყრილობაზე. ამისათვის საჭირო იქნება მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ჩვენი უთანხმოება საბჭოების მომავალი ყრილობის პარტიულ ფრაქციასთან [753]. თუ მე მოვასწარი, დავწერ ამას და ძალიან მოხარული ვიქნები, თქვენც რომ ასევე მოიქცეოდეთ. ამ საკითხში მერყეობა გაუგონარ ზიანს გვაყენებს, ხოლო საწინააღმდეგო მოსაზრებანი მთლიანად განისაზღვრება ბრალდებებით აპარატის არასრულყოფილობის შესახებ. მაგრამ ჩვენი აპარატი არასრულყოფილობით განირჩევა ყოველ ადგილას და ყველგან, და აპარატის არასრულყოფილობის გამო მონოპოლიაზე ხელის აღება იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ნაბანი წყლის გადაღვრისას ბავშვიც გადაგვეყოლებინა.

ლენინი

13/XII — 22 წ.

ნაკარნახევია ტელეფონით

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

807

ვ. ა. ავანესოვს

ამხ. ავანესოვ! გიგზავნით ჩემს წერილს **. დამიბრუნეთ 7 საათისათვის.

---

* წერილი ნაპოვნი არ არის. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 537—542. რ ე დ.

რაც შეიძლება უკეთ მოიფიქრეთ, რა დავუმატოთ, რა გამოვაკლოთ, როგორ წარვმართოთ ბრძოლა[754]?

თქვენი ლენინი

დაწერილია 1922 წლის 14 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1957 წელს
ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს», № 4

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

808

წერილი ი. ბ. სტალინს
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის

ჩემი საქმეების ლიკვიდაცია ახლა დამთავრებული მაქვს და შემიძლია გულდამშვიდებით წავიდე[755]. დამთავრებული მაქვს აგრეთვე ტროცკისთან შეთანხმება საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაზე ჩემი შეხედულებების დაცვის შესახებ. დარჩა მხოლოდ ერთი გარემოება, რომელიც განსაკუთრებით ძლიერ მაღელვებს, — ეს არის ის, რომ შეუძლებელია გამოვიდე საბჭოების ყრილობაზე[756]. სამშაბათს ჩემთან ექიმები იქნებიან, და ვიმსჯელებთ, არის თუ არა ამ გამოსვლის თუნდაც მცირეოდენი შანსი. მასზე უარის თქმა მე მიმაჩნია, მეტი რომ არა ვთქვა, დიდ უხერხულობად. სიტყვის კონსპექტი უკვე დაწერილი მქონდა რამდენიმე დღის წინათ[757]. ამიტომ წინადადება შემომაქვს, არ შევაჩერებთ რა ჩემ ნაცვლად სხვა ვინმეს გამოსვლისათვის მზადებას, ოთხშაბათამდე შევინარჩუნოთ იმის შესაძლებლობა, რომ მე თვითონ გამოვდივარ, შესაძლოა, ჩვეულებრივთან შედარებით ძლიერ შემოკლებული, მაგალითად, სამი მეოთხედი საათისათვის ნავარაუდევი სიტყვით. ასეთი სიტყვა ოდნავადაც არ შეუშლის ხელს ჩემი შემცვლელის, (ვისაც უნდა მისცეთ რწმუნება ამ მიზნით) სიტყვას,

მაგრამ, ვფიქრობ, სასარგებლო იქნება პოლიტიკურადაც და პირადი აზრითაც, ვინაიდან აღმოფხვრის საბაბს დიდი ღელვისათვის. გთხოვთ იქონიოთ ეს მხედველობაში და, თუ ყრილობის გახსნა კიდევ გაჭიანურდა, დროულად მაცნობოთ ჩემი მდივნის მეშვეობით [758].

ლ ე ნ ი ნ ი

15. XII. 1922 წ.

მე გადაჭრით წინააღმდეგი ვარ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხის გაჭიანურებისა. თუ რაიმე ვარაუდის გამო (მათ შორის იმ ვარაუდის გამოც, რომ სასურველია ჩემი მონაწილეობა ამ საკითხის განხილვისას) წარმოიშობა ის აზრი, რომ გადაიდოს შემდეგ პლენუმამდე, მე უაღრესად გადაჭრით ვიქნებოდი ამის წინააღმდეგი, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, რომ ტროცკი ჩემს შეხედულებებს დაიცავს ოდნავადაც არა უარესად, ვიდრე მე, ეს — ერთი; მეორე, თქვენი განცხადება და ზინოვიევისა და, როგორც ხმებია, აგრეთვე კამენევისა, ადასტურებს, რომ ცენტრალური კომიტეტის წევრების ნაწილმა უკვე შეიცვალა თავისი წინანდელი აზრი; მესამე და უმთავრესი: შემდგომი მერყეობა ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში აბსოლუტურად დაუშვებელია და ჩაშლის ყოველგვარ მუშაობას.

ლ ე ნ ი ნ ი

15. XII. 22 წ.

ნაკარნახევია ტელეფონით

პირველად დაიბეჭდა არასრულად
1930 წელს ვ. ი. ლენინის
თხზულებათა მე-2 — 3 გამოცემაში,
ტომი XXVII

მთლიანად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 45

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაბეჭდილი
ეგზემპლარი)

809

ლ. დ. ტროცკის

ამხ. ტროცკი! მე მიმაჩნია, რომ ჩვენ სავსებით შევთანხმდით. გთხოვთ პლენუმზე განაცხადოთ ჩვენი სოლიდარობის შესახებ. იმედი მაქვს, ჩვენი გადაწყვეტილება გავა, ვინაიდან იმათი ნაწილი, ვინც ოქტომბერში წინააღმდეგ მისცა ხმა, ახლა ნაწილობრივ ან სავსებით გადმოდის ჩვენს მხარეზე *.

თუ მიუხედავად მოლოდინისა ჩვენი გადაწყვეტილება ვერ გავა, მივმართავთ საბჭოების ყრილობის ფრაქციას და განვაცხადებთ, რომ საკითხი გადაგვაქვს პარტყრილობაზე.

მაშინ მაცნობეთ და გამოვგზავნი ჩემს განცხადებას.

თქვენი ლენინი

P. S. ეს საკითხი ახლანდელი პლენუმიდან მოხსნილი რომ აღმოჩნდეს (რასაც მე არ მოველი და რის წინააღმდეგაც თქვენ, რასაკვირველია, ჩვენი საერთო სახელით მთელი ძალღონით პროტესტი უნდა განაცხადოთ), მე ვფიქრობ, სულ ერთია, უნდა მივმართოთ საბჭოების ყრილობის ფრაქციას და მოვითხოვოთ საკითხის გადატანა პარტყრილობაზე, ვინაიდან შემდგომი მერყეობა აბსოლუტურად დაუშვებელია.

მთელი მასალები, რომლებიც თქვენ გამოგიგზავნეთ, შეიძლება დაიტოვოთ პლენუმის დამთავრებამდე **.

დაწერილია 1922 წლის 15 დეკემბერს

იბეჭდება
ხელნაწერის და ლ. ა. ფოტიევას
ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

---

* სიტყვები: «ჩვენს მხარეზე» დაწერილია ლ. ა. ფოტიევას ხელით. რედ.

** პოსტსკრიპტუმის ტექსტი დაწერილია ლ. ა. ფოტიევას ხელით. რედ.

810

ლ. დ. ტროცკის

ამხ. ტროცკის

ამხ. ტროცკი!

გიგზავნით ფრუმკინის წერილს, რომელიც დღეს მივიღე[759]. მეც ვფიქრობ, რომ აბსოლუტურად საჭიროა ერთხელ და საბუდამოდ მოეღოს ბოლო ამ საკითხს. თუ არსებობს იმის შიში, რომ მე ეს საკითხი მაღელვებს და შეიძლება გავლენაც კი მოახდინოს ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ვფიქრობ, რომ ეს სრულებით არ არის მართალი, ვინაიდან მე ათიათასჯერ უფრო მაღელვებს გაჭიანურება, რომელიც სრულიად მერყევს ხდის ჩვენს პოლიტიკას ერთ-ერთ ძირეულ საკითხში. ამიტომ თქვენს ყურადღებას მივაქცევ აქვე თანდართულ წერილს და ძალიან გთხოვთ მხარი დაუჭიროთ ამ საკითხის დაუყოვნებლივ განხილვას. დარწმუნებული ვარ, რომ, თუ ჩაფუშვის საფრთხე გველის, გაცილებით უფრო ხელსაყრელია ეს ჩაფუშვა მოხდეს პარტყრილობის წინ და მაშინვე მივმართოთ ყრილობის ფრაქციას, ვიდრე ჩაგვეფუშოს ყრილობის შემდეგ. იქნებ მისაღები იყოს ისეთი კომპრომისი, რომ ჩვენ ახლა გამოგვაქვს გადაწყვეტილება მონოპოლიის დადასტურების შესახებ, პარტყრილობაზე კი საკითხს მაინც ვაყენებთ და ახლავე ვდებთ პირობას ამის შესახებ. არავითარი სხვა კომპრომისი, ჩემი აზრით, ჩვენი ინტერესებისათვის და საქმის ინტერესებისათვის არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია მივიღოთ.

ლენინი

15. XII. 22 წ.

ნაკარნახევია ტელეფონით

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

811

სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს [760]

წერილი მოადგილეებს *

1. სახელმწიფო საგეგმო კომისია უნდა მივცეთ რიკოვს **.

2. ჩემი აზრით, საჭიროა დავიქირავოთ 6 სტენოგრაფისტი და მოკლედ, 3 — 4 სტრიქონით, ჩავიწეროთ ხოლმე თითოეული მიღება, ამასთან, რა თქმა უნდა, დავჯერდეთ დათქმულის მხოლოდ არსს და ორ-სამ უმთავრეს ციფრს.

ეს საჭიროა, მე ვფიქრობ, იმისათვის, რომ სამივე მოადგილის მუშაობა წარმოებდეს შეთანხმებულად, ხოლო მეორე, იმისათვის, რომ შეიძლებოდეს ხელმეორედ ავწონ-დავწონოთ ხოლმე გზადაგზა მიღებული გადაწყვეტილებანი და რამდენიმე კვირის შემდეგ შევაჯეროთ ხოლმე მიღებული ზომების შედეგები.

გორბუნოვს უნდა დაევალოს სტენოგრაფიულ ჩანაწერთა მთელი ამ აპარატის ორგანიზაცია და სასტიკი მეთვალყურეობა იმაზე, რომ ეს აპარატი სავსებით აკურატულად მუშაობდეს.

3. გთხოვთ მოკლედ — დაახლოებით ერთ გვერდზე — ჩაწეროთ ის გადაწყვეტილება, რომელზეც შეჩერდით სტატისტიკოს პოპოვის მიმართ. მე არ ვაპირებ ახლა სადავო გავხა-

---

* მანქანაზე გადაბეჭდილ პირში დაბეჭდილია: «ამხანაგებს კამენევს, რიკოვს, ციურუპას». რ ე დ.

** შემდეგ მოდის გადახაზული ტექსტი, რომელიც არ არის მანქანაზე გადაბეჭდილ პირში: «2. რაც შეეხება განაწილების დანარჩენ პუნქტებს, მე ჯერ ვერ მოვასწარი საკმაოდ ამეწონ-დამეწონა ისინი. **გიპასუხებთ** დღესვე, თუ მოვასწარი ერთხელ კიდევ გადავიკითხო და **ავწონ-დავწონო**». რ ე დ.

დო ეს გადაწყვეტილება, მაგრამ ვფიქრობ, რომ როგორც ბრალდებათა, ისე დაცვის ზუსტი ჩანაწერი აუცილებლად დაგვჭირდება რამდენიმე კვირის შემდეგ *.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

ნაკარნახევია 1922 წლის 16 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის ნაწერთა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ნ. კ. კრუპსკაიას ხელით დაწერილი ტექსტის მიხედვით

812

ლ. დ. ტროცკის [761]

თითქოს მოხერხდა პოზიციის აღება ისე, რომ ერთი გასროლაც არ გამხდარა საჭირო, უბრალო მანევრული მოძრაობით. ჩემი წინადადებაა არ შევჩერდეთ და განვაგრძოთ შეტევა და ამისათვის გავიყვანოთ წინადადება, რომ პარტყრილობაზე დაისვას საკითხი საგარეო ვაჭრობის განმტკიცების შესახებ და მისი განხორციელების გაუმჯობესების ზომების შესახებ. გამოვაქვეყნოთ ეს საბჭოების ყრილობის ფრაქციაზე. იმედი მაქვს, წინააღმდეგი არ იქნებით და უარს არ იტყვით გაიკეთოთ მოხსენება ფრაქციაზე.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

1922 წლის 21 დეკემბერი

იბეჭდება მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით

---

* რაზეა ლაპარაკი, გამორკვეული არ არის. რ ე დ.

მას მფარველობენ სტალინი და ძერჟინსკი. ვამზადებ თქვენ-თვის ბარათებსა და სიტყვას [765].

პატივისცემით ლ ე ნ ი ნ ი

23 წლის 6 მარტი

იბეჭდება
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით.

შენიშვნები

1923 წ.

813

ლ. დ. ტროცკის[762]

სრულიად საიდუმლოდ
პირადად

პატივცემულო ამხ. ტროცკი!

ძალიან გთხოვთ იკისროთ საქართველოს საქმის დაცვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე. ამ საქმეს ახლა სტალინი და ძერჟინსკი «დევნიან», და მე არ შემიძლია დავუნდო მათს მიუკერძოებლობას. მთლად პირიქითაც კია, თქვენ რომ დათანხმდებოდეთ იკისროთ მისი დაცვა, მე შემეძლება გულდამშვიდებული ვიყო. თუ თქვენ რაიმე მიზეზით ვერ დათანხმდებით, დამიბრუნეთ მთელი საქმე. ამას ჩავთვლი იმის ნიშნად, რომ თქვენ თანახმა არა ხართ[763].

უღიდესი ამხანაგური მოკითხვით ლ ე ნ ი ნ ი *

ნაკარნახევი ტელეფონით
1923 წლის 5 მარტს

იმეგზავრება,
მანქანაზე გადაბეჭდილი
პირის მიხედვით

---

* ამ წერილისთვის ფურცელზე მდივანს წაუწერია, «ამხანაგო ტროცკი! ვლადიმერ ილიას ძემ ითხოვა, წერილს, რომელიც თქვენ ტელეფონით გადმოგეცათ, თქვენ საყურადღებოდ დავუმატოთ, რომ ამბ. კამენევი საქართველოში მიდის ოთხშაბათს, და გვთხოვს შევიტყოთ, ხომ არა გსურთ რაიმე გაგზავნოთ იქ თქვენი სახელით. 23 წლის 5 მარტი. რ ე ნ.

814

* ამხანაგ სტალინს

სრულიად საიდუმლოდ

პირადად

პირი ამხ. კამენევსა და ამხ. ზინოვიევს

პატივცემულო ამხ. სტალინ!

თქვენ გამოიჩინეთ უხეშობა, ტელეფონთან გამოუძახეთ ჩემს ცოლს და გამოლანძღეთ იგი. თუმცა მან თანხმობა გამოგიცხადათ დაივიწყოს ნათქვამი, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს ფაქტი მისი მეშვეობით ცნობილი გახდა ზინოვიევისა და კამენევისათვის. მე არ ვპირობ ასე იოლად დავივიწყო ის, რაც ჩადენილია ჩემ წინააღმდეგ, ხოლო მე რომ ჩემ წინააღმდეგ ჩადენილად მიმაჩნია ისიც, რაც ჩემი ცოლის წინააღმდეგ ჩაიდინეს, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ამიტომ გთხოვთ აწონ-დაწონოთ, თანახმა ხართ უკან წაიღოთ ნათქვამი და ბოდიში მოიხადოთ, თუ ამჯობინებთ გაწყვიტოთ ჩვენ შორის ურთიერთობა[764].

პატივისცემით ლენინი

23 წლის 5 მარტი

იბეჭდება მდივნის
ჩანაწერის მიხედვით
(მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი)

815

ბ. ბ. მდივანს, შ. ე. მახარაძეს და სხვებს

სრულიად საიდუმლოდ

ამხ. მდივანს, ამხ. მახარაძეს და სხვ.
პირი — ამხ. ტროცკისა და ამხ. კამენევს

პატივცემულო ამხანაგებო!

სულითა და გულით თვალყურს ვადევნებ თქვენს საქმეს აღშფოთებული ვარ ორჯონიკიძის უხეშობით და იმით, რომ

1 პეტროვსკო-რაზუმოვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის (ამჟამად მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის ლენინის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო აკადემია) პროფესორი ვ. ა. მიხელსონი ს. პ. სერედას სახელზე გაგზავნილ სტატიებში, მეცნიერების მონაცემებზე დაყრდნობით, წერდა, რომ პერიოდულად მეორდება და ერთმანეთს ცვლის წვიმიანი და გვალვიანი წლები. პროფესორი მიხელსონი წინასწარმეტყველებდა, რომ მალე დადგებოდა გვალვა, და აყენებდა იმ ამოცანას, რომ ებრძოლათ მის წინააღმდეგ შრომის ნაყოფიერების გადიდებით როგორც მრეწველობაში, ისე მიწათმოქმედებაში. ვ. ი. ლენინის მითითების შემდეგ მიხელსონის სტატია გამოქვეყნებულ იქნა 1920 წლის 17 ნოემბერს «იზვესტია ვციკ»-ის № 258-ში სათაურით «დიდმნიშვნელოვანი გაფრთხილება», ხოლო მეორე დღეს «იზვესტია ვციკ»-მა დაბეჭდა ს. პ. სერედას სტატია «სტატიის «დიდმნიშვნელოვანი გაფრთხილების» გამო», რომელშიც განხილული იყო მოუსავლიანობასთან ბრძოლისათვის აუცილებელი კონკრეტული ღონისძიებანი.

1920 წლის 25 ნოემბერს ს. პ. სერედა ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილ წერილში წერდა: «ვლადიმერ ილიას ძევ! შევასრულე თქვენი მითითებანი მომავალი გვალვის შესახებ პროფ. მიხელსონის სტატიის დაბეჭდვის თაობაზე («იზვესტია» № 258) და მიხელსონის სტატიის გამო ჩემი შენიშვნის შესახებ (№ 259 «იზვესტიას» აქვე ვურთავ).

«პრავდაშიც» გავგზავნე, მაგრამ არ დაბეჭდეს, რადგან «იზვესტიაში» უფრო ადრე დაიბეჭდა. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს გაეგზავნა მოკლე შენიშვნა» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).—1

2 დაწერილია მცირე სახკომსაბჭოს 1920 წლის 4 ნოემბრის დადგენილებაზე, რომელიც მანქანითაა დაბეჭდილი სახკომსაბჭოს ბლანკზე და ხელმოსაწერად გაეგზავნა ვ. ი. ლენინს. დადგენილებაში ლაპარაკი იყო

იმის შესახებ, რომ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობას ზესახარჯთ-აღრიცხვო კრედიტის სახით მისცემოდა 5 მლნ მანეთი სახკომსაბჭოს საავადმყოფოსათვის ბოსტნეულის საყიდლად. — 2.

3 1920 წლის 11 ნოემბერს სამხრეთის ფრონტის ჯარების სარდალმა მ. ვ. ფრუნზემ, რომელიც ცდილობდა თავიდან აეცილებინა შემდგომი სისხლისღვრა, რადიოთი მიმართა ვრანგელს წინადადებით შეეწყვიტა წინააღმდეგობა და ამნისტიას დაპირდა იმათ, ვინც იარაღს დაყრიდა. ვრანგელმა არ უპასუხა ფრუნზეს წინადადებაზე და დაუმალა იგი თავის ჯარებს. — 2.

4 ციმბირში კონცესიების გაცემის საკითხების შემმუშავებელმა კომისიამ, რომელიც შეიქმნა სახკომსაბჭოს 1920 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებით, 16 ნოემბერს სახკომსაბჭოს წარუდგინა დეკრეტის პროექტი. სახკომსაბჭომ სპეციალურ კომისიას (ვ. ი. ლენინი, დ. ი. კურსკი, ა. მ. ლეჟავა, ვ. პ. მილიუტინი და ს. პ. სერედა) დაავალა ერთი კვირის ვადაში გადაემუშავებინა და რედაქცია გაეკეთებინა დეკრეტის პროექტისათვის. 1920 წლის 23 ნოემბერს სახკომსაბჭომ მიიღო დეკრეტი კონცესიების შესახებ და დამტკიცა კომისიის წინადადება, რომ გამოცემულიყო ბროშურა კონცესიებზე. 1920 წლის დამლეგს დაიბეჭდა ბროშურა «კონცესიების შესახებ. სახალხო კომისართა საბჭოს 1920 წლის 23 ნოემბრის დეკრეტი. დეკრეტის ტექსტი. კონცესიების ობიექტები. რუკები». — 4.

5 დაწერილია ტამბოვის საგუბერნიო აღმასკომის სურსათის საქმეთა კომისრის საგანგებო რწმუნებულის ე. გ. პარფენოვის იმ წერილთან დაკავშირებით, რომელიც მან ვ. ი. ლენინს 1920 წლის 7 ნოემბერს მისწერა. პარფენოვი წერდა, რომ ინჟინერ ა. ა. ბარიშნიკოვის გამოგონების გამოცდა ნელა მიმდინარეობს, და სთხოვდა ლენინს გაეცა განკარგულება, რომ გამოგონება უფრო მალე ყოფილიყო დანერგილი წარმოებაში.

1920 წლის 19 ნოემბერს ლენინმა თავის შეკითხვაზე (იხ. შემდეგი დოკუმენტი) მიიღო პასუხი, რომელშიც ატყობინებდნენ, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების გამოგონებათა საქმეების კომიტეტმა განიხილა ბარიშნიკოვის განცხადება, რომელიც მან კომიტეტში 15 სექტემბერს შეიტანა, და 30 სექტემბერს მისცა გამოგონების ავტორს განაცხადის მოწმობა. კომიტეტი იტყობინებოდა, რომ ბარიშნიკოვის გამოგონება ნაკლებად განსხვავდება უკვე ცნობილებისაგან, ხოლო ტყავის ხარისხი განსაზღვრული იქნება გამოცდის შედეგად: თავდაპირველ გამოცდებს, რომლებიც ტყავის მრეწველობის მთავარმა სამმართველომ აწარმოვა

არადამაკმაყოფილებელი შედეგი ჰქონდა, და ბარიშნიკოვი მუშაობს თავისი გამოგონების გაუმჯობესებაზე. საბოლოო დასკვნა გაკეთებული იქნება მომდევნო გამოცდების შედეგადო. — **5.**

6 დაწვრილებითი პასუხი ყველა დასმულ კითხვაზე ვ. ი. ლენინმა მიიღო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების გამოგონებათა საქმეების კომიტეტისაგან 1920 წლის 20 ნოემბერს. პასუხს დართული ჰქონდა: 1) კომიტეტის მიერ სექციების მიხედვით განხილულ საქმეთა უწყისი, 2) უმთავრესი გამოგონებანი, რომლებიც აღიარებულია როგორც სასარგებლო და ნაწილობრივ განხორციელებულია, 3) იმ გამოგონებათა სია, რომლებიც სახელმწიფოს მხრივ ყურადღების ღირსია, 4) ექსპერტ ფ. ბლისტანოვის წინასწარი აზრი ინჟინერ ა. ა. ბარიშნიკოვის მიერ გამოგონებული ტყავის სუროგატის შესახებ, 5) კომიტეტის ანგარიში 1920 წლის 1 ნოემბრისათვის, 6) ცნობები ტექნიკური განყოფილების თავმჯდომარის, სამხედრო ინჟინერ-ტექნოლოგის ვ. ა. პეტროვის შესახებ.

ამავე დროს ლენინმა მიიღო კომიტეტის ოფიციალური პასუხის დამატება კომიტეტის კოლეგიის წევრის ა. კ. კაუფმანისაგან, რომელიც წერდა კომიტეტის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და მათს მიზეზებზე. — **6.**

7 ღაპარაკია ნ. კ. კრუპსკაიას შენიშვნებსა და დამატებებზე «პროლეტკულტების შესახებ» რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილის პროექტისათვის, რომლის თავდაპირველი ვარიანტი მოამზადა გ. ე. ზინოვიევმა და შემდეგ წარმოებდა მისი საბოლოო დამუშავება ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და განსახკომის შენიშვნების საფუძველზე. კრუპსკაიამ წინადადება შეიტანა წერილში ჩაერთოთ შემდეგი პრინციპული დამატება: «პროლეტკულტი აღმოცენდა ოქტომბრის რევოლუციამდე. იგი გამოცხადებულ იქნა მუშათა «დამოუკიდებელ» ორგანიზაციად, კერენსკის დროინდელი სახალხო განათლების სამინისტროსაგან დამოუკიდებელ ორგანიზაციად. ოქტომბრის რევოლუციამ შეცვალა პერსპექტივა. პროლეტკულტები კვლავ «დამოუკიდებელნი» რჩებოდნენ, მაგრამ ახლა ეს იყო უკვე «დამოუკიდებლობა» საბჭოთა ხელისუფლებისაგან». კრუპსკაიას რედაქციით მიღებულ იქნა შემდეგი ფრაზებიც: «იმის ნაცვლად, რომ დაეხმარონ პროლეტარულ ახალგაზრდობას სერიოზულად ისწავლოს, გააღრმავონ მისი კომუნისტური მიდგომა ცხოვრებისა და ხელოვნების ყველა საკითხისადმი, კომუნიზმისაგან არსებითად შორს მდგომი და მისდამი მტრულად განწყობილი მხატვრები და ფილოსოფოსები, რომლებმაც თავიანთი თავი ჰეშმარიტად პროლეტარულებად გამოაცხადეს, ხელს უშლიდნენ მუშებს...». და შემდეგ: «ცენტრალურ კომიტეტს არა მარტო არ სურს

შებოჭოს მუშათა ინტელიგენციის ინიციატივა მხატვრული შემოქმედების დარგში, არამედ, პირიქით, ცენტრალურ კომიტეტს სურს შექმნას მისთვის უფრო ჯანსაღი, ნორმალური ვითარება და შესაძლებლობა მისცეს მას ნაყოფიერი გავლენა მოახდინოს მხატვრული შემოქმედების მთელ საქმეზე» «ვოპროსი ისტორიი კპსს», 1958, № 1, გვ 36). კრუპსკაიამ წერილის პროექტში აგრეთვე მთელი რიგი უფრო წვრილი შესწორებანი შეიტანა.

«პროლეტკულტების შესახებ» რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილის შემუშავება წარმოებდა ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით და მისი პირადი მონაწილეობით. ამ დიდმნიშვნელოვან პარტიულ დოკუმენტს საფუძვლად დაედო ლენინის მითითებანი, რომლებიც მის მიერ მოცემული იყო «პროლეტარული კულტურის შესახებ» რეზოლუციის პროექტში და «პროლეტკულტის შესახებ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების პროექტში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 380 — 382; ტომი 42, გვ. 237). 1920 წლის 1 დეკემბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილი «პროლეტკულტების შესახებ» გამოქვეყნდა «პრავდაში». — 6.

8 ლაპარაკია დადგენილებაზე «სათბობითა და სურსათით ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიის იმ ქარხნების მომარაგების შესახებ, რომელთა აღდგენა მიმდინარეობს და რომლებიც მიკუთვნებული არიან საფეიქრო საწარმოთა დამკვრელი ჯგუფისადმი». ეს დადგენილება ვ. ი. ლენინის მოხსენების მიხედვით მიიღო შრომისა და თავდაცვის საბჭომ 1920 წლის 1 ოქტომბერს. გ. კ. კოროლიოვის მოხსენებითს ბარათში შეცდომით მითითებულია თარიღი 5 ოქტომბერი. — 7.

9 წერილი ვ. ი. ლენინმა გაგზავნა მას შემდეგ, რაც ესაუბრა ივანოვო-ვოზნესენსკის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეს გ. კ. კოროლიოვს, რომელიც მოსკოვში მივლინებული იყო გუბერნიაში სასურსათო კრიზისთან, დამკვრელი საფეიქრო ფაბრიკებისათვის სათბობის მიზიდვის შეწყვეტასთან და ფულით მუშების ცუდ მომარაგებასთან დაკავშირებით. 1920 წლის 15 ნოემბერს კოროლიოვმა მოახსენა ლენინს გუბერნიაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ და გადასცა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ჩამოთვლილი იყო საჭირო ზომები მძიმე მდგომარეობის სალიკვიდაციოდ.

1920 წლის 16 ნოემბერს ლენინის მიერ დანიშნული კომისიის მოხსენების მიხედვით სახკომსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ფულითა და სურსათით ივანოვო-ვოზნესენსკის მუშათა მომარაგების შესახებ. ხოლო მეორე დღეს, 17 ნოემბერს, იმავე კომისიის მოხსენების მიხედვით მიღებულ იქნა შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება სურსათითა და სათბობით ივანოვო-ვოზნესენსკის მომარაგების შესახებ. ივა-

ნოვო-ვოზნესენსკის ფაბრიკებისათვის დახმარების გაწევის საკითხზე იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 52, დოკუმენტი 240. — 7.

10 დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ სასურსათო გაწერის შესახებ კალუგის გუბერნიის მოსალსკის მაზრის გლეხთა დელეგატთან ნ. ს. ბოდიაკოვთან საუბრის შემდეგ, რომელიც გაიმართა 1920 წლის 16 ნოემბერს. — 8.

11 ს. პ. სერედამ და ნ. პ. ბრიუხანოვმა საჭირო ცნობები გაუგზავნეს ვ. ი. ლენინს 1920 წლის 18 ნოემბერს. — 9.

12 საბჭოთა მთავრობამ ინგლისთან სავაჭრო შეთანხმება დადო 1921 წლის 16 მარტს. — 10.

13 ლაპარაკია ინგლისის შეიარაღებული ძალების მიერ ბათუმის ოკუპაციაზე, რაც საქართველოს მენშევიკური მთავრობის თანხმობით უნდა მომხდარიყო. ამასთან დაკავშირებით 1920 წლის 16 ნოემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ვ. ჩიჩერინმა საქართველოს მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელს მახარაძეს გაუგზავნა ნოტა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს კერზონს — რადიოდეპეშა. ჩიჩერინი წერდა, რომ საბჭოთა მთავრობას ბათუმის ოკუპაცია მიაჩნია კავკასიაში ახალი ომის გაჩაღების ცდად, საბჭოთა რესპუბლიკის უშიშროებისათვის პირდაპირი მუქარის შექმნის ცდად. იგი სერიოზულ ყურადღებას მიაპყრობდა ამასთან დაკავშირებულ მძიმე შედეგებს, რომელთა გამო პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრებოდათ ოკუპანტებს და მათს ხელშემწყობებს. — 10.

14 1920 წლის 14 ნოემბერს ვ. ი. ლენინი გამოვიდა გლეხთა კრებაზე სოფელ იაროპოლეცში. თავის გამოსვლაში ლენინი შეეხო რაიონის ელექტრიფიკაციის, სახალხო განათლების საქმის გაუმჯობესების და მრეწველობის განვითარების საკითხებს. 18 ნოემბერს გაიმართა ელექტროტექნიკური ამხანაგობის საერთო კრება, რომელსაც დაესწრნენ ვოლოკოლამსკის მაზრის იაროპოლეცის თემის 14 სოფლის რწმუნებულები. კრებამ ლენინს გაუგზავნა წერილი, რომლითაც სთხოვდა გაეწია დახმარება: 1) იაროპოლეცის თემის ელექტრიფიკაციისათვის საჭირო სახსრებისა და მასალების მიღებაში, 2) სახალხო განათლების აღმავლობისათვის მასწავლებლების გამოგზავნაში და 3) მესელეობის განვითარების საქმეში.

პირველი დოკუმენტი ვ. ი. ლენინმა დაწერა მას შემდეგ, რაც წაიკითხა 19 ნოემბერს მიღებული წერილი. იმავე დღეს ლენინმა გაგზავნა შეკითხვა მიზა-რაიოვოს (მთავარი საარტილერიო სამმართველოს)

საწყობში დაცული ფერადი ლითონების რაოდენობის შესახებ. მეორე დოკუმენტი დაწერილია ცნობაზე, რომელიც ლენინს გაეგზავნა 20 ნოემბერს მისი შეკითხვის გამო. — 11.

15 მოხსენება მოსკოვის გუბერნიის ვოლოკოლამსკის ბაზრის იაროპოლეცის თემის ელექტრიფიკაციის შესახებ ვ. ი. ლენინს გაეგზავნა 1920 წლის 29 ნოემბერს. — 11.

16 იგულისხმება შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1920 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება დონბასის მეშახტეების ტანსაცმლით მომარაგების შესახებ. — 12.

17 შრომისა და თავდაცვის საბჭომ 1920 წლის 24 ნოემბრის სხდომაზე შექმნა დროებითი თათბირი სურსათის სახალხო კომისარიატის, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, სამხედრო სახალხო კომისარიატის, წითელი არმიისა და ფლოტის მომარაგების დარგში თავდაცვის საბჭოს საგანგებო რწმუნებულის, გზათა სახალხო კომისარიატის, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს, სამთო მეშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებისაგან და ამ თათბირს დაავალა თვალი ედევნებინა დონბასის სწორი და სასწრაფო მომარაგებისათვის ყველაფრით, რაც კი საჭირო იყო ქვანახშირის მრეწველობის აღმავლობისათვის. — 12.

18 ეს დოკუმენტი ვ. ი. ლენინმა დაწერა «მოსკოვის უმაღლესი სახელმწიფო სამხატვრო-ტექნიკური სახელოსნოების შესახებ» სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტის § 4-ის გამო. ლენინის წინადადების მიღების შემდეგ § 4 დამტკიცებულ იქნა შემდეგი რედაქციით: «მიღებული სტუდენტები ითვლებიან სასწავლო ვალდებულების შემსრულებლებად მეცადინეობისადმი კონტროლით იმ განსაკუთრებული წესების საფუძველზე, რომლებიც უნდა დაადგინოს შრომის მთავარმა კომიტეტმა განსახკომთან ერთად ორი კვირის ვადაში და შეიტანოს სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად».

პროექტის § 3-ის შენიშვნა ლენინმა შეასწორა შემდეგნაირად ნაცვლად სიტყვებისა «მოსამზადებელ კურსზე» შეიტანა «ყველა კურსზე». ლენინის მიერ გასწორების შემდეგ შენიშვნა ასე გამოიყურებოდა: «ყველა კურსზე სავალდებულოა პოლიტიკური ცოდნის და კომუნისტური მსოფლმხედველობის საფუძვლების სწავლება».

ამ სახით სახკომსაბჭოს დადგენილება დამტკიცებულ იქნა 1920 წლის 18 დეკემბერს. — 18.

19 ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრის მოადგილესთან ა. ზ. კამენსკისთან საუბრის დროს ვ. ი. ლენინმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა ლიტერატურის გამოცემა ეროვნულ საკითხზე.

1920 წლის 26 ნოემბერს კამენსკიმ ლენინს გაუგზავნა წერილი, რომლითაც აცნობებდა, რომ სახელმწიფო გამომცემლობა აფერხებს ეროვნულ საკითხზე საბჭოთა ხელისუფლების მიერ სამი წლის განმავლობაში გამოტანილ დადგენილებათა კრებულის გამოშვებას, და ითხოვდა ლენინის პირადად ჩარევას. ეს ბარათი ლენინმა დაწერა კამენსკის წერილზე.

მალე ამის შემდეგ, 1920 წლის დეკემბერში, ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატის კრებული «საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ეროვნულ საქმეებში სამი წლის მანძილზე. 1917 — XI — 1920» გამოსცა სახელმწიფო გამომცემლობამ. — **13.**

20 ლაპარაკია ლ. ბ. კრასინისადმი გ. ვ. ჩიჩერინის 1920 წლის 27 ნოემბრის დეპეშის უკანასკნელ აბზაცზე: «საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და ჩვენ მიერ გრომანის კომისიის აღდგენას აფერხებს სტატისტიკოსი პოპოვი, რომელსაც უნდა მონაწილეობა მიიღოს. სახკომსაბჭომ მას რატომღაც მხარი დაუჭირა. უთანხმოება გრძელდება. იმედი გვაქვს კომისიას მალე აეამოქმედებთ». ამ აბზაცისათვის ვ. ი. ლენინს ხაზი გაუსვამს, გვერდით სამი ხაზი გაუვლია და დაუსვამს ორი გაკვირვებისა და ორი კითხვის ნიშანი (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). ამ ტომში გამოქვეყნებული წერილი ლენინს დაუწერია დეპეშაზე. — **14.**

21 იგულისხმება განათლების სახალხო კომისარიატის დებულების პროექტი, დაწერილი ვ. ი. სოლოვიოვის მიერ, და განსახკომის რეორგანიზაციის შესახებ თეზისების პროექტი, შედგენილი ე. ა. ლიტკენსის მიერ. ორივე პროექტი ავტორებმა ვ. ი. ლენინს გაუგზავნეს. განსახკომის რეორგანიზაციის შესახებ იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 138 — 140, 141 — 154; ტომი 42, გვ. 250., მე-5 გამოც., ტომი 42, გვ. 376. — **14.**

22 საკითხი ფულადი გადასახადების გაუქმების შესახებ განხილულ იქნა სახალხო კომისართა საბჭოს სხდომებზე 1920 წლის 3 და 30 ნოემბერს და 18 დეკემბერს. 3 ნოემბერს სახკომსაბჭომ შექმნა კომისია, რომელშიც შევიდნენ ს. ე. ჩუცკაევი (თავმჯდომარე), ნ. ი. ბუხარინი, ნ. ნ. კრესტინსკი, დ. ი. კურსკი, ს. პ. სერედა, ფ. ფ. სირომოლოტოვი, ო. ი. შმიდტი; უფრო გვიან კომისია შევსებულ იქნა მ. თ. ვლადიმირსკით და ა. დ. ციურუპათი. 30 ნოემბერს სახკომსაბჭომ მიიღო

ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი დადგენილება პირდაპირი გადასახადების შესახებ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 241). 18 დეკემბერს სახკომსაბჭომ პრინციპში მიიღო ფულადი გადასახადების გაუქმების დეკრეტის ჩუცკაევისეული პროექტი და გადასცა იგი კომისიას, რომელშიც შევიდნენ ჩუცკაევი, კურსკი და ტ. ვ. საპრონოვი. სახკომსაბჭომ ამ კომისიას დაავალა გადაემუშავებინა პროექტი მიცემულ მითითებათა გათვალისწინებით და იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება ერთხმად იქნებოდა მიღებული, ხელმოსაწერად წარედგინა დეკრეტი ვ. ი. ლენინისათვის და შეეტანა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში. 1921 წლის 3 თებერვალს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო პრინციპული დადგენილება ყველა ბოქმედი, როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი, ისე ადგილობრივი, გადასახადების გადახდევინების შეჩერების შესახებ. ახალი ეკონომიური პოლიტიკის მიღებასთან დაკავშირებით ახალ საფინანსო პოლიტიკაზე გადასვლამ კვლავ დღის წესრიგში დააყენა გადასახადის პრობლემა. — 16.

23 იგულისხმება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ 1920 წლის 27 ნოემბერს მიღებული დადგენილება (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 238 — 239). — 17.

24 ლაპარაკია სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1920 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე ტრანსპორტის მუშათა სრულიად რუსეთის I ყრილობის მოწვევის საორგანიზაციო კომისიის მუშაობის გამო (გადაწყვეტილება ყრილობის მოწვევის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო 7 დეკემბერს), ყრილობის დღის წესრიგზე და მომხსენებლებზე. ყრილობა გაიმართა მოსკოვში 1921 წლის 22-დან 31 მარტამდე. ვ. ი. ლენინი ყრილობაზე გამოვიდა სიტყვით (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 336 — 353). — 18.

25 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1920 წლის 8 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრობისაგან გაეთავისუფლებინა ა. ი. სვიდერსკი, ხოლო მის ნაცვლად შეეყვანა ა. ბ. ხალატოვი. გარდა ამისა, ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სურსათის სახალხო კომისარიატს დაავალა მიეღო უფრო ენერგიული ზომები ყველა განყოფილების მართვაში მუშების მოსაზიდად და სურსათის სახალხო კომისარიატის უფრო ფართო მასშტაბითა და უფრო დაჩქარებული ტემპით შემდგომი გამუშურებისათვის.

სვიდერსკის განთავისუფლების წინააღმდეგ გამოვიდა ა. დ. ციურუპა, რომელიც იმუქრებოდა, რომ გადადგებოდა სურსათის სახალხო კომისრის პოსტიდან. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1920 წლის 9 დეკემბრის სხდომაზე კვლავ დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება და არ მიიღო ციურუპას გადადგომა. — 19.

26 იგულისხმება რეზოლუცია სურსათის საკითხზე, რომელიც სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიამ მიიღო ნ. პ. ბრიუხანოვის მოხსენების გამო 1920 წლის 26 სექტემბერს. ამ რეზოლუციის მე-12 პუნქტში ნათქვამი იყო: «სურსათის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელი ცენტრის მუშაობისათვის მეტი მოქნილობის მიცემის მიზნით დაევალოს სახკომსაბჭოს შეზღუდოს სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობა შვიდი წევრით (სახალხო კომისრისა და მისი მოადგილის ჩათვლით), ამასთან დაევალოს სურსათის სახალხო კომისარიატს ზუსტად განსაზღვროს თითოეულის ფუნქციები და პასუხისმგებლობა» («სრულიად რუსეთის მე-7 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიის დადგენილებები და რეზოლუციები», მოსკოვი, 1920, გვ. 77).

1920 წლის 9 დეკემბერს გაიმართა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრთა რიცხვი სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიის დადგენილების თანახმად დაყვანილი ყოფილიყო შვიდ კაცამდე, სახალხო კომისრის ჩათვლით. 1920 წლის 14 დეკემბერს სახკომსაბჭომ დაამტკიცა სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიის ახალი შემადგენლობა: სახალხო კომისარი ა. დ. ციურუპა, სახალხო კომისრის მოადგილე ნ. პ. ბრიუხანოვი და წევრები ი. ს. ლობაჩევი, ნ. ოსინსკი, ა. პ. სმირნოვი, ა. ბ. ხალატოვი, ლ. მ. ხინჩუკი. — 20.

27 1920 წლის 13 დეკემბერს ვ. ი. ლენინმა მიიღო ს. ნ. ტერ-გაბრიელიანი, რომელიც სომხეთის რევკომმა მიავლინა მისკოვში, რათა ლენინისათვის მოეხსენებინა სომხეთის პოლიტიკური და სამეურნეო მდგომარეობა.

დაშნაკების ავანტიურისტული პოლიტიკის შედეგად, რომლებმაც ანტანტის თანხმობით 1920 წლის სექტემბრის დამლევს წამოიწყეს ომი თურქეთის წინააღმდეგ, თურქეთის არმიამ დაიპყრო ქალაქები სარიყამიში, ყარსი, ალექსანდროპოლი და სხვ. დაპყრობილ ტერიტორიაზე თურქეთის ჯარები აწყობდნენ სომეხი მოსახლეობის სისხლისმღვრელ რბევას, რომლის დროსაც დაიღუპა მრავალი ადამიანი, ბევრი იხოცებოდა შიმშილისა და ეპიდემიებისაგან. სომეხთა ათასობით ოჯახი აიყარა შეჩვეული ადგილებიდან, გადაიქცა ლტოლვილებად და

ეძებდა ხსნას სომხეთის იმ რაიონებში, სადაც თურქეთის ჯარები არ იყო.

სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ უარი თქვა რსფს რესპუბლიკას შუამდგომლობაზე და ირჩია 1920 წლის 2 დეკემბერს დაედო ალექსანდროპოლის კაბალური ხელშეკრულება, რომლის მიხედვით სომხეთი გამოცხადებული უნდა ყოფილიყო თურქეთის პროტექტორატად. მაგრამ ხელშეკრულება ძალაში არ შესულა, რადგან მის ხელმოწერამდე სომხეთში 1920 წლის 29 ნოემბერს გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო დაშნაკური მთავრობა დამხობილ იქნა. 1921 წლის 16 მარტს რსფს რესპუბლიკასა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელმაც არსებითად გააუქმა ალექსანდროპოლის ხელშეკრულება. კავკასიაში საბჭოთა და თურქეთის საზღვრის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილ იქნა ყარსის 1921 წლის 13 ოქტომბრის ხელშეკრულების ხელმოწერით. — **21.**

28 სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ბლანკზე, რომელზეც დაწერილია ეს განკარგულება, არის წარწერები: «ამხ. პეტერსონს. გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რომ აღნიშნულ სამუშაოებს ხელი არ შეუშალონ. 18/XII. ა. ენუქიძე» და «გადაეცა პირადად სნიგიროვს. პ ეტ ე რ ს ო ნ ი. 18. XII» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **23.**

29 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობა, რომელიც გაიმართა მოსკოვში 1920 წლის 22 — 29 დეკემბერს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 565—656).—**23.**

30 ლაპარაკია «რსფსრ სქემატური ადმინისტრაციული რუკის» შესახებ ვ. ი. ლენინის დავალება შესრულებულ იქნა 1921 წლის 7 თებერვალს. რუკა 1921 წელს გამოიცა ორი ტირაჟით. პირველი — ერთფერიანი, მეორე, ახალი მონაცემებით შევსებული, — მრავალფერიანი. რუკების ეგზემპლარები ინახება სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში. — **23.**

31 ლაპარაკია ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩისადმი ნ. ა. სემაშკოს დავალებაზე ჩამოეყალიბებინა კომიტეტი, რომელიც მოსკოვის ვაგზლებზე ააგებდა სანიტარულ-გამშვებ პუნქტებს წითელი არმიის დემობილიზებული ნაწილების ეშელონების შესახვედრად. — **25.**

32 დაწერილია ე. მ. სკლიანსკის წერილზე, რომლითაც იგი იტყობინებოდა, რომ რკინიგზების და სამხედრო მიმოსვლის სამმართველოების ზოგიერთი მუშაკი ამჟღავნებს საიდუმლო ცნობებს. — **26.**

33 დაწერილია ბელა კუნის (კოლოზვარის) 1920 წელს ვენაში გამოცემული ბროშურის «Von Revolution zu Revolution» («რევოლუციიდან რევოლუციისაკენ») ბოლო გვერდის უკანა მხარეს და გარეკანის მესამე გვერდზე. ბროშურის გარეკანზე ვ. ი. ლენინს დაუწერია: «ლენინი იხ. უკანასკნელი გვერდი», ხოლო 7, 8, 10, 11, 13, 14, 18, 19, 21 — 27, 29, 35, 41 — 43, 48 — 55 გვერდებზე გაუკეთებია შენიშვნები, აღნიშვნები, გაუსვამს და გაუვლია ხაზები (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — 26.

34 ლაპარაკია ვ. ი. ლენინისათვის შვეიცის წითელი ჯვრის გამგეობის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1920 წლის 9 ნოემბერს გამოგზავნილ № 2371 წერილზე ლენინის პასუხის პროექტის შესახებ. წერილი შეიცავდა თხოვნას ნება დართოდა ი. პ. პავლოვს «წასულიყო შვეიცარიაში, სადაც მას შესაძლებლობა მიეცემოდა ხელსაყრელ და მშვიდ ვითარებაში ეწარმოებინა თავისი დიადი გამოკვლევები», და ნათქვამი იყო, რომ «ეს იდეა წარმოიშვა ნობელის პრემიების ინსტიტუტის სამეცნიერო წრეებში და მას მხარი დაუჭირა შვეიცის წითელმა ჯვარმა; პროფესორ პავლოვს ამაზე არავითარი ცნობები არა აქვს» («სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები», ტ. III, მოსკოვი, 1959, გვ. 682).

ლენინი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდა პავლოვის სამეცნიერო დამსახურებას და დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით ეკიდებოდა მას. 1921 წლის 24 იანვარს სახკომსაბჭომ მიიღო ლენინის მიერ დაწერილი დადგენილება «იმ პიროპების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ აკადემიკოს ი. პ. პავლოვისა და მისი თანამშრომლების მეცნიერულ მუშაობას» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 67 — 69). ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 40. — 28.

35 დაწერილია ვ. ი. ლენინისადმი გ. ვ. ჩიჩერინის 1921 წლის 3 იანვრის წერილზე, რომელშიც ჩიჩერინი იუწყებოდა რუსეთ-უკრაინის დელეგაციის თავმჯდომარის ა. ა. იოფეს მოლაპარაკებაზე პოლონეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკის დელეგაციის თავმჯდომარესთან იან დომბსკისთან ერთი მხრივ რუსეთსა და უკრაინას და მეორე მხრივ პოლონეთს შორის საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ. დომბსკი მოითხოვდა, რომ საბჭოთა რესპუბლიკას აენაზღაურებინა პოლონეთისათვის სამხედრო ხარჯები 73 მილიონი ოქროს მანეთის რაოდენობით, იოფე თანხმდებოდა 30 მილიონზე.

საზავო ხელშეკრულებაში, რომელიც 1921 წლის 18 მარტს დაიდო, აღნიშნული იყო, რომ ორივე მხარე უარს ამბობს ომით მიყენებული თავიანთი სამხედრო ხარჯებისა და ზარალის ანაზღაურებაზე. — 28.

36 დოკუმენტი დაწერილია გ. ვ. ჩიჩერინის წერილზე, რომელიც ეხებოდა უნგრეთის ჰორტის მთავრობასთან მოსალოდნელ მოლაპარაკებას იმის შესახებ, რომ ჰორტის მთავრობის მიერ დაპატიმრებული უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისრები გაეცვალათ საბჭოთა რუსეთში მყოფ მძევლებზე. აღნიშნავდა რა, რომ ამ მოლაპარაკებაა შეიძლება უფრო ზოგადი ხასიათი მიიღოს და რომ თავის დროზე უნგრელმა კომუნისტებმა უკმაყოფილება გამოთქვეს სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის შესახებ ჰორტის რეაქციულ მთავრობასთან საბჭოთა მთავრობის შეთანხმების გამო, ჩიჩერინი ვ. ი. ლენინს სწერდა: «...სასურველია ვიცოდე თქვენი პრინციპული დამოკიდებულება იმისადმი, თუ რამდენად დასაშვებია ჩვენთვის პოლიტიკური მოლაპარაკება შავრაზმულ მთავრობებთან, როცა საქმე ეხება ჩვენს საგარეო უშიშროებას» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — 29.

37 1920 წლის 15 დეკემბერს მოსკოვის გუბერნიის ვერეის მაზრის ბოგოროდსკის თემის სოფელ მოდენოვოში ვ. ი. ლენინმა გლეხთა მიწევით გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ. სოფლების მოდენოვოს, შალიკოვოს და სხვ. მცხოვრებთა კრებაზე. გლეხების თხოვნით ლენინმა ხელი მოაწერა კრების ოქმს. გლეხების საჩივარზე იმის შესახებ, რომ მათ დაეკისრათ პურისა და თივის ჩაბარების ისეთი გაწერა, რაც მათს ძალ-ღონეს აღემატება, ლენინმა უპასუხა, რომ აქ ადგილზე ვერ გადაჭრის საკითხს და სთხოვა რწმუნებული გაეგზავნათ მოსკოვში.

ნ. ჰ. გორბუნოვმა ლენინის დავალების შესასრულებლად მოაწყო სოფელ მოდენოვოს გლეხთა ნამდვილი მდგომარეობის ყოველმხრივი შემოწმება. 1921 წლის 5 მარტს სოფელ მოდენოვოს გლეხებისათვის გაწერის გადახდევინება შეწყვეტილ იქნა. ჯერ კიდევ ამ გადაწყვეტილებამდე სოფელ მოდენოვოს გლეხთა საერთო კრებამ 1921 წლის 29 იანვარს, გაწერის საკითხს რომ განიხილავდა, დაადგინა, გაწერის მთლიანად შესრულება შეუძლებელიაო. «მაგრამ შეგნებული გვაქვს რა ქვეყნის კრიზისული მდგომარეობა, გადავწყვიტეთ უკიდურეს მინიმუმამდე მოვიკლოთ ჩვენ და დავეხმაროთ სურსათითა და ფურაჟით. გარდა ადრე შესრულებული გაწერისა, ვამატებთ ჰვავს — 3 ფუთს, შერიას — 10 ფუთს, კარტოფილს — 31 ფუთს, თივას — 24 ფუთს» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი): — 29.

38 ლაპარაკია მოსკოვის გუბერნიის პოდოლსკის მაზრის სუხანოვოს თემის სოფელ გორკის გლეხთა მიერ მოსკოვის სახალხო მეურნეობის საბჭოში 1921 წლის 9 იანვარს შეტანილ განცხადებაზე, რომლითაც

ისინი თხოულობდნენ დახმარებას ელექტროგანათების გაყვანაში და ამისათვის ახლოს მდებარე საბჭოთა მეურნეობა «გორკის» ელექტროსადგურის გამოყენებას. განცხადებას დართული ჰქონდა ხარჯთაღრიცხვა და განმარტებითი ბარათი, რომელშიც დაწვრილებით იყო ჩამოთვლილი სოფელ გორკაში ელექტროგანათების გასაყვანად საჭირო მასალები. — **82.**

39 ლაპარაკია 1920 წლის 31 დეკემბრიდან 1921 წლის 4 იანვრამდე მოსკოვში მიმდინარე პარტიული თათბირის მიერ სახალხო განათლების საკითხებზე მიღებული რეზოლუციების შესახებ. იმასთან დაკავშირებით, რომ თათბირზე განსახკომის რეორგანიზაციის საკითხის განხილვამ ზოგადი მსჯელობის ხასიათი მიიღო, ვ. ი. ლენინმა მითითება მისცა შეეჩერებინათ თათბირის მიერ მიღებული რეზოლუციების განხორციელება. 26 იანვარს ეს საკითხი განხილულ იქნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე; პლენუმმა შექმნა სპეციალური კომისია ლენინის მეთაურობით. განსახკომის რეორგანიზაციის საკითხზე იხ. ეს ტომი, დოკუმენტები 19, 68; თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 138 — 140, 141 — 154; ტომი 35, დოკუმენტი 270; ტომი 42, გვ. 250 და მე-5 გამოც., ტომი 42, გვ. 376, ტომი 52, დოკუმენტები 418, 440. — **82.**

40 ვ. ი. ლენინისადმი 1921 წლის 14 იანვრის წერილში დ. ზ. შკლოვსკაია (გ. ლ. შკლოვსკის ცოლი) წერდა, რომ ემიგრაციიდან რუსეთში 1920 წლის ოქტომბერში დაბრუნების შემდეგ თვითონაც და განსაკუთრებით მისი შვილები განუწყვეტლივ ავადმყოფობენ, ვერ შეეგუენ აქაური პირობებს, და სთხოვდა ლენინს ხელი შეეწყო შკლოვსკის გაგზავნისათვის სამუშაოდ საზღვარგარეთ, ამასთან ისე, რომ მასთან ერთად წასვლა შესძლებოდა მის ოჯახსაც.

შკლოვსკაიას წერილზე ლენინმა დააწერა: «ამხ. გორბუნოვს. ჭალიან გთხოვთ შეუსრულოთ თხოვნა; სამართლიანი თხოვნაა. ეს ოჯახი რუსეთში **ვერ გაძლებს.** ლ ე ნ ი ნ ი. მისამართი შეინახეთ. გადაუგზავნეთ კრესტინსკის» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). საზღვარგარეთ შკლოვსკის წასვლის საკითხზე იხ. ეს ტომი, დოკუმენტები 44, 72, 196 და თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 52, დოკუმენტები 138, 139, 250, 284, 314, 407, 408, 409, 424, 466. — **88.**

41 1921 წლის 1-დან 22 იანვრამდე ვ. ი. ლენინი **შვებულებაში** იყო, ცხოვრობდა გორკაში, ჩადიოდა მოსკოვში **რკპ(ბ) ცენტრალური** კომიტეტისა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომებზე. — **84.**

42 ლაპარაკია სათბობის მთავარი სამმართველოების დარგში შრომისა და თავდაცვის საბჭოს განსაკუთრებული რწმუნებულის ა. ვ. ეიდუკის მოხსენებითს ბარათსა და ცნობაზე სათბობით საბჭოთა რესპუბლიკის მომარაგების მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ. 1921 წლის 20 იანვარს ნ. პ. გორბუნოვმა და ეიდუკმა ჩამოაყალიბეს პრაქტიკული წინადადებანი ამ საკითხზე. 28 იანვარს შრომისა და თავდაცვის საბჭომ შექმნა სრულუფლებიანი კომისია სათბობის დარგში ვ. ა. ავანესოვის თავმჯდომარეობით, ხოლო 31 იანვარს, რკინიგზების კატასტროფული მდგომარეობის შესახებ ეიდუკის განცხადების განხილვის შემდეგ, შრომისა და თავდაცვის საბჭომ ამ კომისიაში ეიდუკიც შეიყვანა, 2 თებერვალს შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო დადგენილება სათბობის საკითხზე. — **84.**

43 1920 წლის 30 დეკემბერს რკპ(ბ) წევრთა — საბჭოების VIII ყრილობის დელეგატთა, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს და პროფკავშირთა მოსკოვის საქალაქო საბჭოს წევრთა გაერთიანებულ სხდომაზე ატყდა კამათი, არის თუ არა ი. ე. რუძუტაკი ავტორი თეზისებისა «პროფკავშირთა საწარმოო ამოცანები». ამასთან დაკავშირებით ვ. ი, ლენინმა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს მოსთხოვა დოკუმენტური მონაცემები თეზისების წარმოშობის შესახებ. მას წარუდგინეს ამონაწერი სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1 ნოემბრის სხდომის № 44 ოქმიდან და ს. ა. ლოზოვსკის თანდართული ბარათი. შეგროვებული მასალები რუძუტაკის თეზისებთან ერთად ლენინმა გაუგზავნა «პრავდის» რედაქციას, რომელმაც მთელი მასალა გამოაქვეყნა 1921 წლის 21 იანვარს და წაუმძღვარა მათ ლენინის თანდართული წერილი. — **85.**

44 სახკომსაბჭომ დაადგინა: «დაევალოს ამხ. გორბუნოვს დააწესოს გულდასმით თვალყურის დევნება სახკომსაბჭოს დადგენილებათა შესრულებისადმი, განსაკუთრებით იმ დადგენილებებისა, რომლებშიც აღნიშნული არ არის შესრულების ვადები» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **87.**

45 დაწერილია ი. ლარინის 1921 წლის 26 იანვრის განცხადებაზე ვ. ი. ლენინისა და ა. ი. რიკოვისადმი, ლარინი აცნობებდა, რომ გადაზიდვათა დარგში უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ვ. ვ. ფომინის დანიშვნასთან დაკავშირებით (სახკომსაბჭოს 25 იანვრის გადაწყვეტილება) იგი (ლარინი) წყვეტს გადაზიდვათა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობათა შესრულებას.

1921 წლის 5 თებერვალს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, გადაზიდვათა უმაღლესი საბჭოს საკითხს რომ განიხილავდა, დაადგინა მიეღო ლენინის გადადგომა, დაავალა რიკოვს გაეტარებინა ეს გადწყვეტილება ყველაზე შესაფერი ფორმით და გადაზიდვათა უმაღლესი საბჭოს სრული ხელმძღვანელობა მიანიჭა ფომინს. — 23.

46 დაწერილია ვ. ი. ლენინისადმი პ. ნ. ლებედინსკის 1921 წლის 26 იანვრის წერილზე, რომელშიც გამოთქმული იყო თხოვნა საცხოვრებელი ფართობის მიღებაში დახმარების გაწევის შესახებ. — 38.

47 ვ. ი. ლენინი ყოველ ორ კვირაში იღებდა დაწერილებითს ცნობებს სორმოვოს ქარხანაში ტორფის მუხლუხა ამწის დამზადების სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ. 1921 წლის 24 ივნისს ლენინს აცნობეს, ამწის აწყობა მთავრდება და გამოცდა ივლისის მეორე ნახევარში მოეწყობაო. — 39.

48 დეკრეტი კონცესიების შესახებ სახკომსაბჭომ დაამტკიცა 1920 წლის 23 ნოემბერს. — 39.

49 1921 წლის 27 იანვარს ვ. ი. ლენინმა მიიღო ა. მ. გორკი და პეტროგრადის სამეცნიერო დაწესებულებების და უმაღლესი სასწავლებლების გაერთიანებული საბჭოს დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მუდმივი მდივანი აკადემიკოსი ს. თ. ოლდენბურგი, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ვ. ა. სტეკლოვი და სამხედრო-სამედიცინო აკადემიის პრეზიდენტი პროფესორი ვ. ნ. ტონკოვი. საუბრის დროს მათ ლენინს გადასცეს პროექტი დეკრეტისა რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უზრუნველყოფის შესახებ. ეს პროექტი მასზე დაწერილი ბარათით ლენინმა გაუგზავნა ნ. პ. გორბუნოვს. 1921 წლის 1 თებერვალს სახკომსაბჭომ განიხილა მცირე სახკომსაბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტი დეკრეტისა რსფს რესპუბლიკის სამეცნიერო-სასწავლო და სამეცნიერო-ტექნიკურ დაწესებულებათა ნორმალური მუშაობისათვის საჭირო სახსრების შესახებ. — 40.

50 დაწერილია სახკომსაბჭოსადმი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის 1921 წლის 21 იანვრის წერილზე, რომელიც შეიცავდა შუამდგომლობას, რომ აკადემიკოს ა. ა. შახმატოვის ყოფილი მამული — გუბანოვკა-შახმატოვკა (სარატოვის გუბერნიაში) ნაციონალიზებული ყოფილიყო და გადასცემოდა აკადემიას მეცნიერთა დასასვენებელი სახლის მოსაწყობად. 1921 წლის 31 იანვარს მცირე სახკომსაბჭომ გამოიტანა გადა-

წყვეტილება ამ საკითხზე გაეგზავნა შეკითხვა სარატოვის საგუბერნიო აღმასკომისათვის. — 41.

51 ვ. ი. ლენინმა მიიღო მისთვის საჭირო ცნობები განსახკომის დაწესებულებების შესახებ, სხვადასხვა დაწესებულებათა მიერ დაკავებული სასკოლო შენობების შესახებ, ტექსტები მოქმედი კანონებისა, რეზოლუციები და ინსტრუქციები მე-2 საფეხურის სკოლების შესახებ, პროფესიულ-ტექნიკური განათლების შესახებ და პარტიული კონფერენციის მასალები სახალხო განათლების საკითხებზე — 42.

52 დაწერილია უკრაინის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრის მ. ა. კრუჩინსკის მიერ ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილი იმ ცნობის პასუხად, რომელშიც გამოთქმული იყო უკმაყოფილება მიწსახკომისა და, კერძოდ, ნ. ოსინსკის მუშაობის გამო. — 42.

53 დაწერილია მაღაროს მუშების წარმომადგენლის გ. კოტლიაროვის მიერ 1921 წლის 24 იანვარს ლენინისადმი გაგზავნილ წერილზე, რომელშიც წამოყენებული იყო წინადადება, მოსკოვის საცხოვრებელ სახლებში ამწე მანქანებიდან მოვხსნათ ფოლადის ბაგირები და გადავცეთ შახტებში გამოსაყენებლად, რომელთა მექანიზმები ცდება ბაგირების უქონლობის გამოო. ამის შესახებ იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 169. — 43.

54 ა. ვ. პეშეხონოვი, სურსათის ყოფილი მინისტრი ბურჟუაზიულ დროებითს მთავრობაში, 1921 წელს მუშაობდა უკრაინის ცენტრალურ სტატისტიკურ ბიუროში. 1922 წლის 20 იანვარს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება დავთხოვა პეშეხონოვი ამ სამუშაოდან. 1922 წლის ივლისში პეშეხონოვი დაამატიმრეს კონტრრევოლუციურ ორგანიზაცია «აღორძინების კავშირში» მონაწილეობისათვის და გასახლეს საბჭოთა სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ. — 44.

55 გასული დოკუმენტების წიგნში, რომელსაც ვ. ი. ლენინის მდივნები აწარმოებდნენ, ჩაწერილია: «2. II. № 159. რიაზანოვს ენგელსის 2 წიგნი და წერილი» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — 45

56 1921 წლის 1 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილებით სახკომსაბჭომ დაავალა მცირე სახკომსაბჭოს შეემოწმებინა, თუ როგორ ასრულებდნენ სახალხო კომისარიატები შრომისა და თავდაცვის საბჭოს

და სახკომსაბჭოს დადგენილებებსა და დავალებებს, ხოლო პრინციპულად დიდმნიშვნელოვან დადგენილებათა შესრულების საკითხი შეეტანა ხოლმე სახკომსაბჭოში. — **46.**

57 ვ. ი. ლენინის მიერ შეტანილი ტექსტი დეპეშისა დამტკიცებულ იქნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე 1921 წლის 14 თებერვალს. — **50.**

58 მშრომელთა შეიარაღებული აჯანყება საქართველოს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ დაიწყო ქართველი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით 1921 წლის 11 თებერვლის ღამეს. საქართველოს მშრომელთა თხოვნით საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მე-11 არმიის ნაწილებს მითითება მისცა მხარი დაეჭირათ აჯანყებულთათვის. მე-11 არმიის ნაწილების მხარდაჭერაზე დაყრდნობით საქართველოს მუშებმა და გლეხებმა გმირული ბრძოლის შედეგად გაანადგურეს მენშევიკთა ჯარები, 25 თებერვალს გაათავისუფლეს საქართველოს დედაქალაქი თბილისი და გამოაცხადეს საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. ამ საკითხზე იხ. ეს ტომი, დოკუმენტები 66 და 86. — **50.**

59 ვ. ი. ლენინის მიერ შეტანილი ტექსტი დეპეშისა დამტკიცებულ იქნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე 1921 წლის 15 თებერვალს. — **50.**

60 ურთიერთ ტერიტორიულ პრეტენზიებს იმის გამო, თუ ვის ეკუთვნოდა თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრა და ახალქალაქის მაზრის ნაწილი, შედეგად მოჰყვა ის, რომ 1918 წლის დეკემბერში დაიწყო ომი მენშევიკურ საქართველოსა და დაშნაკურ სომხეთს შორის. ინგლისის სარდლობის ეგრეთ წოდებული «მშვიდობიანი შუამავლობის» შემდეგ, რომელიც თავის კოლონიალისტურ მიზნებს ისახავდა, საომარი მოქმედება შეწყვეტილ იქნა, ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთი ნაწილი დაეტოვა საქართველოს, სამხრეთი — სომხეთს, ხოლო ცენტრალური — ლორეს რაიონი — გამოცხადებულ იქნა ნეიტრალურ ზონად შერეული ქართულ-სომხური ძირეული ადმინისტრაციით, რომელიც ანტანტის სამხედრო სარდლობას ექვემდებარებოდა. 1920 წლის ნოემბერში თურქეთის წინააღმდეგ დაშნაკური სომხეთის ომთან დაკავშირებით ნეიტრალური ზონა ანტანტის ნებართვით ოკუპირებულ იქნა მენშევიკური საქართველოს ჯარების მიერ. ნეიტრალური ზონის მშრომელმა მოსახლეობამ, რომელიც სასტიკ ძარცვასა და ძალადობას განიცდიდა, კომუნისტების ხელმძღვანელობით 1921 წლის 11 თებერვლის ღამეს დაიწყო შეიარაღებული აჯანყება მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ეს აჯანყება გახდა დასაწყისი საქართველოს მშრომელთა საყო-

ველთაო ძლევამოსილი აჯანყებისა მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. — **51.**

61 1921 წლის 18 აპრილს სახკომსაბჭომ მცირე სახკომსაბჭოს წინადადებით დაამტკიცა დადგენილება «მუშათა ფაკულტეტების საერთო საცხოვრებლებით უზრუნველყოფის შესახებ». ეს დადგენილება გამოქვეყნდა 1921 წლის 29 აპრილს გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის № 93-ში.—**52.**

62 ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ც ე ნ ტ რ ი, ანუ საერთო თეორიული და საპროგრამო ხელმძღვანელობის ცენტრი, განსახკომის ერთ-ერთი ორგანო იყო. «განათლების სახალხო კომისარიატის დებულების» საფუძველზე, რომელიც სახკომსაბჭომ 1921 წლის 11 თებერვალს დაამტკიცა, აკადემიური ცენტრი შედგებოდა სამეცნიერო სექციისაგან (სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო) სამი ქვესექციით — სამეცნიერო-პოლიტიკურით, სამეცნიერო-ტექნიკურით, სამეცნიერო-პედაგოგიურით — და სამხატვრო სექციისაგან (მთავარი სამხატვრო კომიტეტი) ხუთი ქვესექციით — ლიტერატურული, თეატრალური, მუსიკალური, სახვითი ხელოვნების, კინემატოგრაფიული ქვესექციებით. გარდა ამისა, აკადემიურ ცენტრში შედიოდა არქივების მთავარი სამმართველო და მუზეუმების მთავარი სამმართველო. — **52.**

63 გამოქვეყნებული ორი ბარათი ნ. ნ. კრესტინსკისადმი ვ. ი. ლენინმა დაწერა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე. პირველი დაწერილია კრესტინსკის ბარათის საპასუხოდ, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ «პრავდის» რედაქციაში შევიდა სტატია სასურსათო გაწერასთან შედარებით სასურსათო გადასახადის უპირატესობათა შესახებ. ლ. ბ. კამენევმა სტატია გადაუგზავნა კრესტინსკის და სთხოვა აუცილებლად დაებეჭდათ იგი 17 თებერვალს. «პრავდის» კოლეგიის წევრს ნ. ლ. მეშჩერიაკოვს ეეჭვებოდა, რომ საჭირო იყო სტატიის სასწრაფოდ გამოქვეყნება. კრესტინსკი იუწყებოდა, რომ ძირითადად ეთანხმება მეშჩერიაკოვს.

მეორე ბარათი პასუხია კრესტინსკის იმ ცნობაზე, რომ მას ეუხერხულება სტატიის ოფიციალური ხასიათი, თითქმის მოსკოვის საბჭოს სახელით, რადგან მისმა ავტორებმა ხელი მოაწერეს: «მოსკოვის საგუბერნიო სურსათის კომისარი სოროკინი და მოსკოვის საგუბერნიო სამეწარმოქმედო განყოფილების გამგე როგოვი». 16 თებერვალს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გამოიტანა გადწყვეტილება, სტატია შეიძლება დაიბეჭდოსო.

სტატია «გაწერა თუ გადასახადი», რომელსაც ხელს აწერდნენ პ. სოროკინი და მ. როგოვი, დაიბეჭდა როგორც სადისკუსიო წერილი 1921 წლის 17 და 26 თებერვალს გაზეთ «პრავდის» №№ 35 და 43-ში.

ამ სტატიის შესახებ ლენინმა ილაპარაკა თავის სიტყვაში მოსკოვის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის სხდომაზე 1921 წლის 28 თებერვალს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 184 — 185). — **58.**

64 1921 წლის 18 თებერვალს ნ. ი. მურალოვი ვ. ზ. ესინის შესახებ დადებითს დახასიათებაში წერდა: «ფრიად სასარგებლოდ მიმაჩნია დაინიშნოს იგი შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ კომისიაში» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

ვ. ი. ლენინის წინადადებით ესინი დამტკიცებულ იქნა შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული საერთო საგეგმო კომისიის წევრად (იხ. ლენინის X X კრებული, გვ. 24). — **54.**

65 ე. მ. სკლიანსკი ატყობინებდა ი. ნ. სმირნოვს იმ ჯარების წინსვლის შესახებ, რომლებიც გაგზავნილი იყო კულაკურ ბანდებთან საბრძოლველად ციმბირში. — **56.**

66 დაწერილია იმასთან დაკავშირებით, რომ ლ. ბ. კრასინმა 1921 წლის 19 თებერვალს ვ. ი. ლენინს წარუდგინა მოხსენება «ბაქოსა და გროზნოში ნავთობის დამუშავების კონცესიები და ნავთობის მთავარი კომიტეტის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი». ამ საკითხზე იხ. ეს ტომი, დოკუმენტები 95, 104, 105, 112, აკრეთვე თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 156 — 158. — **56.**

67 დეპეშა გაიგზავნა 1921 წლის 25 თებერვალს. იგი პასუხია ქ. გ. რაკოვსკის 1921 წლის 22 თებერვლის № 672 დეპეშაზე ვ. ი. ლენინისადმი. რაკოვსკი იტყობინებოდა, რომ უკრაინაში არის გამოუყენებელი სასურსათო ფონდი, რომელიც მისი აზრით შეიძლებოდა მოხმარებული ყოფილიყო ძირითადად ადგილობრივი საჭიროებისათვის, ხოლო ნაწილი — სხვა ქვეყნებთან საქონლის გასაცვლელად სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე და იარაღებზე უკრაინისათვის, და ეკითხებოდა ლენინს, რა აზრისა იყო ამ საკითხზე. — **57.**

68 ი. ა. ჩეკუნოვთან საუბრის შემდეგ მომსვლელთა სარეგისტრაციო წიგნის კიდეზე ჩეკუნოვის გვარის პირდაპირ ვ. ი. ლენინს წაუწერია: «ნათელი გონების მოხუცია, პარტიაში არ არის რელიგიური რწმენის გამო» («ოგონიოკი» № 29, 1962 წ. 15 ივლისი). — **58.**

69 დაწერილია ა. დ. ციურუპასაგან მიღებული იმ ცნობის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა პურის ნაშთებს 1921 წლის 1 თებერვლისათვის ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ევროპის რუსეთში, ციმბირსა და კავკა-

სიაში სასურსათო პური იყო 40,3 მლნ ფუთი, საბურღულე პური — 5,4 მლნ ფუთი. — 58.

70 ლაპარაკია სურსათის სახალხო კომისარიატში 1921 წლის 2 მარტს გაგზავნილ დეპეშაზე, რომელშიც ნათქვამი იყო, თუ რა დიდი სიძნელეები ექმნებოდა სასურსათო ორგანოების საქმიანობას უკრაინაში მახნოს ბანდების თავდასხმებთან დაკავშირებით. დეპეშაში იტყობინებოდნენ, ამ პირობებში დონბასისა და წითელი არმიის უზრუნველყოფა «თითქმის გადაუჭრელი ამოცანა ხდებაო» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — 61.

71 ლაპარაკია «საზღვარგარეთიდან დაბრუნებული რუსი მუშებისა და ემიგრანტების გამოშვების და მათი კუთვნილი ნივთების შემოტანინების შესახებ» სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტზე, რომელიც მომზადებულ იქნა მცირე სახკომსაბჭოში 1921 წლის 2 მარტს. პროექტში მკაცრად იყო რეგლამენტირებული რაოდენობა ნივთებისა (კოსტიუმების, ფეხსაცმლის, თეთრეულის კომპლექტებისა და სხვ.), რომლებიც რუსეთში ჩამომსვლელ მუშებს შეეძლოთ თან ჩამოეტანათ. ლენინის შენიშვნების შემდეგ, რაც მან ამ ბარათში გააკეთა, მცირე სახკომსაბჭომ 3 მარტს მიიღო დადგენილება, რომლითაც მოხსნა პუნქტი ჩამოტანილი ნივთების რეგლამენტაციის შესახებ. — 61.

72 სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ფრაქციის ბიუროს 1921 წლის 3 მარტის სხდომის № 55 ოქმში ვ. ი. ლენინს კიდეებზე გაუკეთებია ნიშნები და ხაზი გაუსვამს «ზ» და «ნ» პუნქტების ტექსტისათვის. «ზ» პუნქტში ჩაწერილი იყო: «სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს 4 მარტისათვის დანიშნული ფრაქციის დღის წესრიგში შეტანილ იქნეს სურსათის სახალხო კომისარიატის მოხსენება რესპუბლიკის სასურსათო მდგომარეობის შესახებ და წინადადება მიეცეს სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიას დანიშნოს თავისი მომხსენებელი ამ საკითხზე». «ნ» პუნქტში ნათქვამი იყო, რომ საჭიროა ეცნობოს რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს ფრაქციის ბიუროს მიერ მიღებული დადგენილებები (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1921 წლის 3 მარტს მიიღო ლენინის წინადადება. — 62.

73 დაწერილია მ. ნ. პოკროვსკის შემდეგი წინადადების საპასუხოდ: «ვლადიმერ ილიას ძევ, ახლა ჩვენთან, მოსკოვის 1-ლ უნივერსიტეტ-

თან, იქმნება საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ჩვენ დავნიშნეთ ყველა კომუნისტი, რომლებიც კი შეიძლება დაისვას კათედრაზე. მაგრამ მათი ფ ა ქ ტ ო ბ რ ი ვ ი მონაწილეობის იმედი მცირეა. მეტად მაცდუნებელია მენშევიკების (გრომანის, ერმანსკის, სუხანოვის, ჩერევანინისა და მარტოვის) გამოყენება. როგორია თქვენი შეხედულება ამაზე?» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — 62.

74 როგორც ჩანს, იგულისხმება «მუშათა ოპოზიციის» ზოგიერთი წევრის გამოსვლები. — 63.

75 ეს დოკუმენტი დაწერილია მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. გ. გოიხბარგის იმ მოხსენებითს ბარათზე, რომელშიც ნათქვამია, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა დაარღვია სახკომსაბჭოს 1920 წლის 30 ნოემბრის დადგენილება საბჭოთა რუსეთისათვის იმპერიალისტური ომით, ანტანტის შეიარაღებული ინტერვენციითა და ბლოკადით მიყენებული ზარალის საკითხზე შექმნილი კომისიის მუშაობის შესახებ. სახკომსაბჭოს დადგენილება საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატსა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ავალებდა კომისიის განკარგულებაში გადაეცათ მთელი მასალა, რომელიც მათ ამ საკითხზე ჰქონდათ. მაგრამ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ლ. მ. კარახანმა ვ. ი. ლენინისათვის 1921 წლის 5 მარტს გაგზავნილ წერილში (ეს წერილი ლენინმა იმავე დღეს გადასცა გოიხბარგს) განაცხადა, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატიც ამუშავებს საკითხს ომითა და ბლოკადით მიყენებული ზარალის შესახებ, და ითხოვა საქმეები გადასცემოდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კომისიას.

1921 წლის 14 აპრილს მცირე სახკომსაბჭომ განიხილა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ სახკომსაბჭოს დადგენილების დარღვევის საკითხი და მიიღო ცნობად კარახანის შეტყობინება იმის შესახებ, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა შეწყვიტა ზარალის საკითხის დამუშავება. — 63.

76 იგულისხმება ა. გ. გოიხბარგის 1921 წლის 7 მარტის მოხსენებითი ბარათი და ლ. მ. კარახანის 5 მარტის წერილი. — 63.

77 ლაპარაკია კომისიაზე, რომელიც 1921 წლის 7 მარტს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე შეიქმნა იმ კანონის პროექტის რედაქტირებისათვის, რომ სასურსათო გაწერა შეცვლილიყო ნატურალური გადასახადით, რაც შემდეგ მიიღო რკპ(ბ) X ყრილობამ. კომისიაში შედი-

ოდნენ ვ. ი. ლენინი (თავმჯდომარე), ა. დ. ციურუპა, ლ. ბ. კამენეკი და გ. ი. პეტროვსკი. — **64**.

78 ლაპარაკია რკპ(ბ) X ყრილობის გახსნაზე. — **64**.

79 ლაპარაკია საბჭოთა ქვეყანასა და თურქეთს შორის ხელშეკრულების დასადებად მოწყობილ მოსკოვის კონფერენციაზე (1921 წლის 26 თებერვალი — 16 მარტი), რომელიც დამთავრდა რსფს რესპუბლიკასა და თურქეთს შორის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულების ხელმოწერით.

ბათუმის საკითხი წამოიჭრა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მეწმენიკურმა მთავრობამ, რომელიც სულს დაფავდა, ანტანტის რჩევით მარტის პირველ დეკადაში თურქეთის მთავრობასთან დადო საიდუმლო შეთანხმება, რომლის მიხედვით ქალაქი ბათუმი ოლქიანად და ორი სხვა ოლქი თურქეთის ხელში გადადიოდა. ამ შეთანხმების საფუძველზე თურქეთის ჯარებმა, რომლებიც ბათუმისაკენ მიიწევდნენ, 1921 წლის 11 მარტს მოახდინეს მისი ოკუპაცია. 19 მარტს თურქეთის ჯარები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ბათუმი. — **65**

80 წერილი ვ. ი. ლენინმა ტელეფონით უკარნახა ლ. ა. ფოტიევას. მასზე არის ი. ბ. სტალინის მინაწერი, რომ იგი არ ეთანხმება ვ. ი. ლენინის წინადადებას, აგრეთვე ფ. ე. ძერჟინსკის, ლ. ბ. კამენევის, ვ. მ. მოლოტოვის და ლ. დ. ტროცკის ხელმოწერა, რომ მათ წაიკითხეს დოკუმენტი. — **66**.

81 დაწერილია ფ. ი. მახარაძის წერილზე, რომლითაც იკა იტყობინებოდა საქართველოში შექმნილ სამხედრო და პოლიტიკურ მდგომარეობას. წერილზეა ლენინის წარწერა: «დამიბრუნეთ». წერილის მე-3 გვერდზე ლენინს ხაზი გაუსვამს იმ ადგილისათვის, სადაც მახარაძე გამოთქვამდა აზრს იმის წინააღმდეგ, რომ საქართველოში ცენტრიდან გაიგზავნოს ბევრი რწმუნებული.

1921 წლის 14 მარტს მცირე სახკომსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რითაც ყველა სახალხო კომისარიატს აეკრძალა საქართველოში გაეგზავნა თავისი რწმუნებულები, თუ ყოველი ცალკე შემთხვევისათვის სახკომსაბჭოს განსაკუთრებული ნებართვა არ იქნებოდა. — **67**.

82 იგულისხმება საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მოლაპარაკება შვეციაში სესხის მიღების შესახებ 100 მლნ შვედური კრონის რაოდენობით, რომელიც 40 წლის მანძილზე უნდა დაფარულიყო. შვეციის მხარე სესხს იძლეოდა იმ პირობით, რომ პირველ ორ წელიწადში მიიღებდა წლიურ 7%-ს, ხოლო შემდგომ პერიოდში — ნასესხები

თანხის გადახდის დამთავრებამდე — წლიურ 6%-ს. შვეიცარიაში დიდი კრედიტების მიღების შესახებ მოლაპარაკება მერმეც წარმოებდა, 1921 წლის შემოდგომაზე. მაგრამ იგი უშედეგოდ დამთავრდა. — **67.**

83 1920 წლის შემოდგომაზე ვაშინგტონ ვანდერლიპი, რომელიც მსხვილი ამერიკული «ვანდერლიპის სინდიკატის» წარმომადგენელი იყო, მოსკოვში ჩამოვიდა, რათა მოლაპარაკება ეწარმოებინა თევზის სარეწების ექსპლუატაციის, კამჩატკაზე და აღმოსავლეთ ციმბირის დანარჩენ, 160-ე მერიდიანის აღმოსავლეთით მდებარე, ნაწილში ნავთობისა და ქვანახშირის დაზვერვისა და ამოღების თაობაზე კონცესიის შესახებ. ოქტომბრის დამლევს გამომუშავებულ იქნა ხელშეკრულების პროექტი, რომლის მიხედვითაც სინდიკატი კონცესიას მიიღებდა 60 წლის ვადით. 35 წლის გასვლის შემდეგ საბჭოთა მთავრობას უფლება ენიჭებოდა ვადაზე ადრე გამოესყიდა ყველა საკონცესიო საწარმო, სოლო მთელი ვადის გასვლის შემდეგ სრული სიმძლავრით მომუშავე საწარმოები მათი მოწყობილობიანად უსასყიდლოდ გადადიოდა რსფს რესპუბლიკის საკუთრებაში. მაგრამ «ვანდერლიპის სინდიკატს» მხარი არ დაუჭირეს არც თავისმა მთავრობამ, არც ამერიკის შეერთებული შტატების გავლენიანმა ფინანსურმა ჯგუფებმა, და ხელშეკრულების პროექტისათვის ხელი არ მოუწერიათ. — **69.**

84 1921 წლის 15 მარტს ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილ წერილში ა. ა. იოფე, რომელიც იმ დროს რიგაში იმყოფებოდა როგორც პოლონეთთან მოსალაპარაკებლად წარგზავნილი საბჭოთა სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე, უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ივი, პოლიტიკური და განსაკუთრებით დიპლომატიური მუშაობის დიდი გამოცდილების მიუხედავად, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ხშირად გადაჰყავდა ერთი სამუშაოდან მეორეზე. — **70.**

85 როგორც ჩანს, იგულისხმება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 7 დეკემბრის პლენუმი, რომელზეც განხილულ იქნა საკითხი რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის მუშაკთა გაერთიანებული პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან («ცეკტრან») წყლის ტრანსპორტის პროფკავშირის კონფლიქტის შესახებ. ვ. ი. ლენინი და მისი მომხრეები ამ საკითხის განხილვისას უმცირესობაში აღმოჩნდნენ და ლ. დ. ტროცკის მხარდაჭერით გავიდა ნ. ი. ბუხარინის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია. ამ ეპიზოდს ლენინი არჩევს თავის სტატიაში «პარტიის კრიზისი» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 35 — 36). — **70.**

86 იგულისხმება პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც არჩეულ იქნა 1921 წლის 14 მარტს რკპ(ბ) X ყრილობის მე-13 სხდომაზე. 16

მარტს, ყრილობის დახურვის შემდეგ. შეიკრიბა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც აირჩია ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი ორგანოები. — 71.

87 დაწერილია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი გ. ვ. ჩიჩერინის 1921 წლის 18 მარტის წერილზე, რომელშიც იგი იტყობინებოდა, რომ ვ. ვანდერლიპის მეშვეობით მიღებული ცნობების მიხედვით ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა პრეზიდენტმა უ. ჰარდინგმა (რომელმაც, შეცვალა რა ვ. ვილსონი, 1921 წლის მარტში დაიკავა პრეზიდენტის პოსტი რესპუბლიკური პარტიისაგან) თითქოს აზრი გამოთქვა საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარების სასარგებლოდ. ამასთან დაკავშირებით ჩიჩერინის წინადადება იყო, რომ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიას, რომელიც უნდა გახსნილიყო, მიეღო მიმართვა, რომ სასურველია დამყარდეს სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. 20 მარტს სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისა და პრეზიდენტ ჰარდინგისადმი. მაგრამ საბჭოთა მთავრობის ამ და სხვა გულითადმა აქტებმა გაძიხმაურება ვერ პოვა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაში, რომელსაც კვლავ არ სურდა ეცნო საბჭოთა სახელმწიფო. საბჭოთა რუსეთის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების ასეთმა მტრულმა პოზიციამ მრავალი წლით გააჭიანურა ამ ქვეყნებს შორის დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის ნორმალიზაცია. — 72.

88 იგულისხმება რკპ(ბ) X ყრილობის რეზოლუცია «საბჭოთა რესპუბლიკა და კაპიტალისტური გარემოცვა» (იხ. «რკპ(ბ) მეათე ყრილობა. 1921 წლის მარტი. სტენოგრაფიული ანგარიში», მოსკოვი, 1963, გვ. 610—612). — 72.

89 სასურსათო გაწერიდან სასურსათო გადასახადზე გადასვლის მომზადებასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი აგროვებდა და სწავლობდა გლეხების აზრს სოფლის მეურნეობის აღმავლობის გზების საკითხზე. 1921 წლის მარტის პირველ რიცხვებში მისი მოწვევით მოსკოვში ჩამოვიდნენ გლეხები ა. რ. შაპოშნიკოვი, ტ. გ. კონდროვი და ი. გ. კონდროვი. მათ საუბარი ჰქონდათ ვ. ი. ლენინთან, მ. ი. კალინინთან, ა. დ. ციურუპასთან, მონაწილეობა მიიღეს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაში, რომელზეც დამტკიცებულ იქნა კანონი სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლის შესახებ. მოსკოვიდან დაბრუნებულმა გლეხებმა უპარტიო გლეხების საგუბერნიო კონფერენციაზე უფაში ილაპარაკეს თავიანთი გამგზავ-

რებისა და ლენინთან შეხვედრის შესახებ. თათბირის მონაწილეებმა ციურუპას სახელზე გაგზავნეს დეპეშა, რომელშიც განაცხადეს, რომ «ისინი კმაყოფილებით აღნიშნავენ მიწათსარგებლობის შესახებ ახალი კანონების გამოცემას» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **73.**

90 ლაპარაკია ა. დ. ციურუპას წინადადებაზე, რომ შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული რსფს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების გამოყენების კომისიის შემადგენლობის დამტკიცება, რაც 1921 წლის 25 მარტისათვის იყო დანიშნული, გადაედოთ შრომისა და თავდაცვის საბჭოს შემდეგ სხდომამდე. ეს საკითხი დატოვებულ იქნა შრომისა და თავდაცვის საბჭოს 25 მარტის სხდომის დღის წესრიგში, კომისია დამტკიცებულ იქნა ლ. ნ. კრიცმანის, ა. ზ. გოლცმანის და ე. მ. სმირნოვის შემადგენლობით. — **75.**

91 ლაპარაკია შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1920 წლის 15 დეკემბრის დადგენილებაზე, რომლითაც დამტკიცებულ იქნა გადაზიდვათა უმაღლესი საბჭოს მიერ 14 დეკემბერს წარდგენილი გეგმა ნავთობის ტრანსპორტირებისა. დადგენილება სახავდა ბევრ პრაქტიკულ ღონისძიებას, რომლებიც დაკავშირებული იყო ნავთობის გადაზიდვასთან, დაწყებული ცისტერნების რემონტითა და მათი მიზანშეწონილად გამოყენებით და დამთავრებული გადარბენის ნორმების დაწესებით. დასახულ იქნა საგანგებო ღონისძიებანი ნავთობის სარეწებისა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშების მოსამარაგებლად სურსათითა და ტანსაცმლით. — **76.**

92 ამ ბარათის საპასუხოდ ფ. ე. ძერჟინსკიმ იმავე დღეს გაუგზავნა ვ. ი. ლენინს ცნობა, რომელშიც აწერილი იყო საზღვარგარეთ ტექსის (საჩექმე ლურსმნის) უხეირო შესყიდვის ამბავი. ძერჟინსკის ცნობას ვ. ი. ლენინმა წააწერა: **«(ტექსის შესახებ).** შეინახეთ და მომაგონეთ» (ლენინის XXXVI კრებული, გვ. 211). — **78.**

93 ლაპარაკია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს საფინანსო კომისიაზე, რომელიც ვ. ი. ლენინის წინადადებით შეიქმნა პარტიის X ყრილობიდან ცოტა ხნის შემდეგ საფინანსო პოლიტიკის საკითხების შესამუშავებლად ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით. საფინანსო კომისიის თავმჯდომარე იყო ე. ა. პრეობრაჟენსკი. — **79.**

94 1921 წლის 28 მარტს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და 29 მარტს სახკომსაბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება ფინსახკომის

კოლეგიის შემადგენლობაში ე. ა. პრეობრაჟენსკის შეყვანის შესახებ. — 79.

95 ლაპარაკია საკონცესიო ხელშეკრულებათა ძირითადი პრინციპების პროექტზე, რომლის შემუშავება დაევალა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ა. ი. რიკოვს. — 80.

96 იგულისხმება სახკომსაბჭოს 1921 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება ნავთობის კონცესიების შესახებ (იხ. ლენინის XX კრებული, გვ. 146). — 80.

97 საკონცესიო ხელშეკრულებათა ძირითადი პრინციპების პროექტის თავის მონახაზში (იხ. ლენინის XX კრებული, გვ. 148) ვ. ი. ლენინმა არაერთი დამატება და შესწორება შეიტანა. ლენინის პროექტი საფუძვლად დაედო სახკომსაბჭოს დადგენილებას, რომელიც მიღებულ იქნა 29 მარტს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 378—394). — 80.

98 ლაპარაკია გ. ლ. პიატაკოვის 1921 წლის 22 მარტის წერილზე, რომლითაც იგი ვ. ი. ლენინს სთხოვდა დახმარებოდა დონბასში პარტიულ სამუშაოზე ს. ი. სირცოვის გაგზავნაში, რასაც, როგორც იგი აღნიშნავდა, ხელს უშლიდა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მხოლოდ იმის გამო, რომ პროფკავშირული დისკუსიის დროს სირცოვი ტროცკისტებს ეხმარებოდა. პიატაკოვის თხოვნასთან დაკავშირებით ლენინმა 30 მარტს ხარკოვში გ. ი. პეტროვსკისა და მ. ვ. ფრუნზეს გაუგზავნა ტელეფონოგრამა, რომელშიც სთხოვდა მათ გამოერკვიათ ამ საქმის მთელი ვითარება და მოეცათ პასუხი (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 109).

თავის წერილში პიატაკოვი ეხებოდა აგრეთვე კონცესიების საკითხს და წინააღმდეგი იყო მათი გაცემისა დონბასში. — 81.

99 იხ. შენიშვნა 91. — 82.

100 იგულისხმება გ. ვ. ჩიჩერინის მიერ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის გაგზავნილი წერილი, რომელიც ვ. ი. ლენინმა მიიღო. მასში წამოყენებული იყო წინადადება, რომ იმ რესპუბლიკებისა და ოლქების პარტიული ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც მუსლიმანი მოსახლეობა ჰყავდათ, მიემართათ განსაკუთრებული ცირკულარით, რომ ანტირელიგიური პროპაგანდის ჩატარების დროს საჭირო იყო დაეცვათ ტაქტიანობა და შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ მუსლიმანთა რელიგიური გრძნობებისათვის. თავის წერილში ჩიჩერინი იხსენიებდა ნ. ნ. ნარიმანოვის ერთ-ერთ გამოსვლას, რომელიც მუსლიმანებისადმი

ტაქტიანი მიდგომის ნიმუშად მიაჩნდა. ჩიჩერინის წერილში ვ. ი. ლენინს ხაზი გაუსვამს იმ ადგილებისათვის, სადაც წამოყენებული იყო წინადადება გამოეცათ ცირკულარი და დახასიათებული იყო ნარიმანოვის სიტყვა (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **85.**

101 1921 წლის 16 აპრილს ნავთობის კომიტეტის თავმჯდომარის ა. რ. სერებროვსკისაგან მიღებულ იქნა დეპეშა, რომელშიც იგი ვ. ი. ლენინს სთხოვდა: «გამომიგზავნეთ ფორმალური აღიარება ნავთობის კომიტეტის გარკვეული დამოუკიდებლობისა აწარმოოს სპარსეთში, თურქესტანსა და ევროპაში ნავთობპროდუქტების გაცვლა მოწყობილობის და ტანსაცმლითა და სურსათით მუშათა მომარაგების საგნებზე» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

18 აპრილს ვ. ი. ლენინმა ა. ი. რიკოვს, ვ. პ. მილიუტინსა და ა. მ. ლეჟავას მიმართა თხოვნით მოეცათ დასკვნა და სახკომსაბჭოს დადგენილების შეთანხმებული პროექტი ნავთობპროდუქტების გადაცვლაში ნავთობის კომიტეტისათვის გარკვეული დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხზე. 19 აპრილს სახკომსაბჭომ დანიშნა სპეციალური კომისია მუშათა მომარაგების საგნებზე სპარსეთში, თურქესტანსა და ევროპაში ნავთობპროდუქტების გადაცვლის საქმეში აზერბაიჯანის ნავთობის კომიტეტის კომპენტენციის გაფართოების შესახებ დადგენილების პროექტის შესამუშავებლად. — **88.**

102 უკვე 1921 წლის 2 აპრილს შრომის სახალხო კომისარმა ვ. ე. შმიდტმა მოიწვია საუწყებთაშორისო თათბირი, რომელმაც განიხილა ვ. ი. ლენინის მიერ შეტანილი საკითხები. თათბირის გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო: «იმ შემთხვევაში, თუ მოხდება იმ მუშათა საერთო რაოდენობის გეგმაზომიერი შემცირება, რომლებიც ამა თუ იმ საწარმოში უნაყოფოდ ირიცხებიან, დაეტოვოს ამ საწარმოს სურსათის ის რაოდენობა, რომელიც მისთვის სურსათის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული იქნება მასში უნაყოფოდ დაკავებულ მუშათა შემცირებამდე» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **90.**

103 იგულისხმება გ. კ. ორჯონიკიძის პასუხი ვ. ი. ლენინის 1921 წლის 30 მარტის დეპეშაზე (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 108). — **90.**

104 ჰიდროტორფის საკითხი განხილულ იქნა სახკომსაბჭოს სხდომაზე. 1921 წლის 5 აპრილს სახკომსაბჭომ მოისმინა ვ. დ. კირპიჩნიკოვისა და ი. ი. რადჩენკოს მოხსენებები ჰიდროტორფის მუშაობის მიმდინა-

რეობის შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება, რომ საჭიროა დაკმაყოფილებულ იქნეს ჰიდროტორფის მოთხოვნილებანი ამ საწარმოთა განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო. სპეციალურად შექმნილ კომისიას, რომელშიც შედიოდნენ ა. ზ. გოლცმანი, ა. ბ. ხალატოვი და ი. ი. რადჩენკო, წინადადება მიეცა ორი დღის ვადაში დეტალურად განესაზღვრა ჰიდროტორფის მოთხოვნილებათა ოდენობა და მათი დაკმაყოფილების წესი. კომისიის მოხსენება მოსმენილ იქნა საბჭოს 7 აპრილის სხდომაზე. გადაწყდა ჰიდროტორფს ხუთი თვით მისცემოდა 25 მილიონი მანეთი კვალიფიციური ტექნიკური პერსონალის ინდივიდუალური პრემირებისათვის.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს 6 აპრილის სხდომაზე განხილულ იქნა იმ ღონისძიებათა საერთო საკითხი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ტორფის კამპანიის მომარაგებას სურსათით. — **92.**

105 ლაპარაკია წერილზე, რომელიც ვ. ი. ლენინს გამოუგზავნა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამშენებლო განყოფილების გამგემ ე. ვ. ლუგანოვსკიმ, და მის მიერ შედგენილ ტრანსპორტზე, მრეწველობაში და უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ საწარმოებში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების დეკრეტის პროექტზე. — **95.**

106 7 აპრილს სახკომსაბჭომ მიიღო დეკრეტი მუშათა ნატურალური პრემირების შესახებ, რომელშიც ნათქვამი იყო: «შემოღებულ იქნეს ცდის სახით მრეწველობის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი დარგის მუშებისათვის ნატურით პრემირება მათ მიერ წარმოებული პროდუქტების ნაწილის მიცემით სასოფლო-სამეურნეო წარმოების საგნებზე გადასაცვლელად» («იზვესტია ვციკ» № 76, 1921 წლის 9 აპრილი).—**95.**

107 დეპეშა გაგზავნილია იაკუტიის ღარიბთა კონფერენციის (ჩურაპჩის II უპარტიო კონფერენციის) იმ მისალმების პასუხად, რომელიც სახკომსაბჭომ 1921 წლის 9 აპრილს მიიღო. — **96.**

108 1921 წლის 21 აპრილს «პრავდაში», წინათ გამოქვეყნებული ცირკულარის დამატებით, რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც წამოყენებული იყო წინადადება, რომ 1 მაისის დღესასწაულის დროს «არავითარ შემთხვევაში არ იქნეს დაშვებული რაიმე გამოსვლები, რომლებიც შეურაცხყოფენ მოსახლეობის მასის რელიგიურ გრძნობას». — **98.**

109 საბჭოების VIII ყრილობამ, რომელიც 1920 წლის 22—29 დეკემბერს გაიმართა, დაამტკიცა დონბასში ქვანახშირის ამოღების გეგმა 1921 წლისათვის 600 მილიონი ფუთის ოდენობით. — **99.**

110 შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მითითებით, რომელიც მიცემული იყო ვ. ი. ლენინის წერილთან დაკავშირებით, კალუგის საგუბერნიო საბჭოს აღმასკომმა გამოიძია გლეხების საჩივარი და მიიღო ზომები ბოროტმოქმედებათა აღმოსაფხვრელად. — **100.**

111 დაწერილია შრომისა და თავდაცვის საბჭოს რწმუნებულის და ომსკის ოლქის სურსათის კომისრის პ. კ. კაგანოვიჩის დეპეშაზე, რომელშიც იგი აცხადებდა, რომ ციმბირში შეუძლებელია შესრულდეს პროდუქტების დამზადების დავალება მას შემდეგ, რაც პრესაში გამოქვეყნდა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება და სხვა მასალები გაწერის გაუქმების შესახებ. — **102.**

112 ლაპარაკია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1921 წლის 14 აპრილის დადგენილებაზე მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ. პოლიტბიურომ გააუქმა პროფესიული განათლების მთავარი სამმართველოს მიერ მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გამგეობის დანიშვნა, წინადადება მისცა განსახკომს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის განსახილველად შეეტანა უმაღლესი სასწავლებლების წესდების პროექტი და გამგეობის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე პროექტი დირექტივისა კომუჯრედების, უპარტიო სტუდენტობის, პროფესურისა და განსახკომის როლისა და ურთიერთობის შესახებ. ამასთან ერთად პოლიტბიურომ დაავალა განსახკომს გაეკიცხა მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის ის მასწავლებლები, რომლებმაც მეცადინეობა შეწყვიტეს. — **102.**

113 იგულისხმება განსახკომის ცნობა მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში არსებული მდგომარეობის შესახებ. ეს ცნობა გამოქვეყნდა «პრავდაში» 1921 წლის 19 აპრილს განათლების სახალხო კომისრის ა. ვ. ლუნაჩარსკისა და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. მ. მოლოტოვის ხელმოწერით. მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელთა პერსონალს, რომელმაც მეცადინეობა შეწყვიტა, გამოეცხადა საყვედური და მიეთითა, რომ დაუშვებელია პროტესტის ასეთი მეთოდები. ამასთან ერთად მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის და ყველა უმაღლესი სასწავლებლის კომუჯრედებს წინადადება მიეცათ დაეშყარებინათ პროფესურასთან და უპარტიო სტუდენტობასთან ისეთი ურთიერთობა, რომელიც ხელს შეუწყობდა სასწავლებლებში ნორმალური სასწავლო ცხოვრების მოწესრიგებას და მეცნიერების განვითარებას საბჭოთა რუსეთში.—**102.**

114 გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური ცენტრალური კომიტეტის «ღ ი ა წ ე რ ი ლ ი» («Offener Brief») გერმანიის სოციალისტური

პარტიისადმი, გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი, გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტიისადმი და ყველა პროფესიული ორგანიზაციისადმი გამოქვეყნდა 1921 წლის 8 იანვარს გაზეთ «Die Rote Fahne»-ს № 11-ში. ამ წერილში გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა გერმანიის ყველა მუშათა, პროფესიულ და სოციალისტურ ორგანიზაციას დაეწყოთ ერთობლივი ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ, რომელიც ძლიერდებოდა, და მშრომელთა სასიცოცხლო უფლებებზე კაპიტალის შეტევის წინააღმდეგ.

იმ ორგანიზაციების მემარჯვენე ხელმძღვანელობამ, რომლებისადმიც მიმართული იყო «ღია წერილი», უარყო წინადადება კომუნისტებთან ერთობლივი მოქმედების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მუშებმა მხარი დაუჭირეს პროლეტარიატის ერთიან ფრონტს. — **108.**

115 ლაპარაკია გერმანიის პროლეტარიატის შეიარაღებულ გამოსვლაზე 1921 წლის მარტში.

გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მემარცხენე უმრავლესობა, ემყარებოდა რა ეგრეთ წოდებულ «შეტევის თეორიას», რომლის მომხრეებსაც შეტევის ტაქტიკა მიაჩნდათ ერთადერთ სწორ ტაქტიკად ყოველგვარ სიტუაციაში, კონკრეტული პოლიტიკური პირობებისაგან დამოუკიდებლად, მუშებს ნაადრევი აჯანყების გზაზე უბიძგებდა. ისარგებლა რა ამით, გერმანიის ბურჟუაზიამ პროვოკაციულად გამოიწვია მუშების შეიარაღებული გამოსვლა მათთვის არახელსაყრელ მომენტში. 1921 წლის მარტში შუა გერმანიის რამდენიმე რაიონში აჯანყება დაიწყო. მუშების გმირული ბრძოლის მიუხედავად, აჯანყება ჩახშობილ იქნა, რადგან მუშათა კლასის უმრავლესობა მომზადებული არ იყო გამოსვლისათვის და მონაწილეობა არ მიუღია ბრძოლაში. — **104.**

116 იგულისხმება ბელა კუნი — იმ დროს კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი. — **104.**

117 პ. ლევი როგორც გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი ესწრებოდა იტალიის სოციალისტური პარტიის XVII ყრილობას, რომელიც გაიმართა 1921 წლის 12 — 21 იანვარს ლივორნოში და რომელზეც მოხდა პარტიის გათიშვა. ყრილობიდან გერმანიაში რომ დაბრუნდა, ლევიმ დაცვა დაუწყო იტალიელ ცენტრისტებს, რომლებსაც სათავეში ედგა დ. სერატი. 1921 წლის 24 თებერვალს, მას შემდეგ, რაც გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მიმართული იყო სერატისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ და მი-

ესალმებოდა იტალიის კომუნისტური პარტიის შექმნას, გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხუთი წევრი (ო. ბრასი, ე. დაიმიგი, ა. ჰოფმანი, პ. ლევი, კ. ცეტკინი) გავიდა ცენტრალური კომიტეტიდან და თავის გასვლას ასაბუთებდა იმით, რომ არ ეთანხმებოდა გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. — **104**.

118 1921 წლის 29 მარტს პ. ლევიმ მისწერა ვ. ი. ლენინს წერილი, რომლის პასუხია ეს დოკუმენტი. ლევი თავის წერილში გმობდა მარტის გამოსვლას და აცხადებდა, რომ თავს ანებებს პარტიის ხელმძღვანელობას და დაწერს ბროშურას, რომელშიც ჩამოაყალიბებს თავის შეხედულებებს.

1921 წლის აპრილის პირველ რიცხვებში ლევიმ გამოუშვა ბროშურა «Unser Weg. Wider den Putschismus» («ჩვენი გზა. პუტჩიზმის წინააღმდეგ»), რომელშიც ასიათასობით გერმანელი პროლეტარის ბრძოლას «ბაკუნისტურ პუტჩს» უწოდებდა. ლევი მოუწოდებდა მუშებს დაეგმოთ კომუნისტები, რომლებსაც თითქოს აკისრიათ მთელი პასუხისმგებლობა აჯანყების დამარცხებისათვის. გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1921 წლას 15 აპრილს ლევი გარიცხა პარტიიდან პარტიული დისციპლინის უხეში დარღვევისა და იმ ზიანისათვის, რაც პარტიას მიაყენა ბროშურის გამოქვეყნებით, და მოსთხოვა დაეტოვებინა პარლამენტის მანდატი. 1921 წლის 29 აპრილს კომინტერნის აღმასკომმა შოიწონა გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება პარტიიდან ლევის გარიცხვის შესახებ. იმ ტაქტიკურ უთანხმოებათა საკითხი, რომლებიც მარტის გამოსვლასთან დაკავშირებით წარმოიშვა, გადატანილ იქნა კომინტერნის III კონგრესის განსახილველად. III კონგრესმა დაადასტურა ლევის გარიცხვა პარტიიდან. შემდგომ ლევი საბოლოოდ გადავიდა სოციალ-დემოკრატიულ პოზიციებზე და ბრძოლას ეწეოდა კომუნისტური ინტერნაციონალის წინააღმდეგ. — **104**.

119 ლაპარაკია კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესზე, რომელიც გაიხსნა მოსკოვში 1921 წლის 22 ივნისს. — **104**.

120 დავალება ვ. ი. მოლოტოვისადმი დაწერილია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დროებითი პრეზიდიუმისა და სამეცნიერო-მეთოდური კომისიის წევრთა ჯგუფის მიერ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში შეტანილ მოხსენებითს ბარათზე, რომელიც შეეხებოდა საბჭოთა სპეციალისტების მომზადების საკითხს. ბარათის ავტორები აკრიტიკებდნენ ძველი პროფესურის მოქმედებას, პროფესური-

სა, რომელიც გამოდიოდა უმაღლესი სკოლის ეანახლების წინააღმ-
დეგ, და შეჰქონდათ თავიანთი წინადადებანი უმაღლეს სასწავლებელ-
თა წესდების იმ პროექტის შესასწორებლად, რომელიც განსახკომის
კოლეგიის მიერ იყო მიღებული.

1921 წლის 20 აპრილს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბი-
ურომ წინადადება მისცა განსახკომს ჯერ არ გამოექვეყნებინა უმაღლე-
სი სკოლის წესდება, რათა მოეთავებინა ამ საკითხის ღრმაშავება და
დამატებით განეხილა იგი. — **105.**

121 დაწერილია გზათა სახალხო კომისრის მოადგილის ვ. ვ. ფომინის იმ
დეპეშის მიღებასთან დაკავშირებით, რომელშიც იგი წინადადებას
აყენებდა საქართველოსა და აფხაზეთის ნავსადგურების (ბათუმი,
ფოთი, სოხუმი) მმართველობა დაქვემდებარებოდა რსფსრ საზღვაო
ტრანსპორტის სამმართველოს როსტოვში ან ნოვოროსიისკში. ამ წი-
ნადადების საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდა საქართველოს რევ-
კომი.

1921 წლის 19 აპრილს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტ-
ბიურომ მხარი დაუჭირა საქართველოს რევკომს და მიიღო გადაწყ-
ვეტილება საქართველოსა და აფხაზეთის ნავსადგურების ორგანიზაცია
გადაცემულიყო საქართველოს გამგებლობაში. ეს გადაწყვეტილება სა-
ზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს ავალებდა ყოველგვარი მატე-
რიალური დახმარება გაეწია ამ ნავსადგურებისათვის. — **107.**

122 იხ. შენიშვნა 112. — **108.**

123 ეს ბარათი პასუხია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ე. მ. ია-
როსლავსკის წერილზე, რომელშიც იგი ვ. ი. ლენინს ეკითხებოდა:
«შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა ფილოსოფიაში (ფილოსოფიის ის-
ტორია და ისტორიული მატერიალიზმი) ლექციების კითხვა დავაკის-
როთ დებორინსა და ლ. აქსელროდს? ამის შესახებ შეგვეკითხა სვერ-
დლოვის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო. ორგბიუროზე ლ. აქსელ-
როდის საკითხი უარყოფითად გადავწყვიტეთ, ახლა მას კვლავ აყენ-
ებს ლექტორთა ჯგუფი» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არ-
ქივი). — **110.**

124 ლაპარაკია «კარელიის შრომითს კომუნაში ეკონომიური ცხოვრების
ორგანიზაციის საწყისების შესახებ» სრულიად რუსეთის ცენტრალუ-
რი აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტის პროექტზე და «კარელიის
შრომითი კომუნის უახლოესი ეკონომიური ამოცანების შესახებ» შრო-
მისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების პროექტზე. 1921 წლის 26

აპრილს სახკომსაბჭომ დაამტკიცა ამ პროექტიდან პირველი და მიიღო წინადადებანი, რომლებსაც მეორე პროექტი შეიცავდა. — **118.**

125 1921 წლის 27 აპრილს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის ი. ა. ტეოდოროვიჩის მიერ წარდგენილი პროექტი დადგენილებისა გვალვასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ. მიღებულ იქნა დადგენილების პროექტის სამი საერთო პუნქტი, ხოლო დანარჩენი პუნქტები, რომლებიც კონკრეტულ პრაქტიკულ ღონისძიებებს ეხებოდა, გადაწყდა დაუყოვნებლივ ყოფილიყო განხილული დაინტერესებულ უწყებებთან ერთად და დამტკიცებულიყო შრომისა და თავდაცვის საბჭოს შემდეგ სხდომაზე. 29 აპრილს შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო დადგენილება მთლიანად. ამ დადგენილების პირველ პუნქტში ხაზგასმული იყო შემდეგი დებულება: «გვალვასთან ბრძოლა მიჩნეულ იქნეს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საქმედ და ამ მიმართულებით დასახული ღონისძიებანი — საბრძოლო მნიშვნელობის მქონე ღონისძიებებად» («იზვესტია ვციკ» № 95. 1921 წლის 5 მაისი). — **116.**

126 სახკომსაბჭოს 1921 წლის 26 აპრილის სხდომაზე მომხსენებლად თევზეერის კამპანიისათვის დახმარების საკითხზე გამოდიოდა სურსათის სახალხო კომისრის მოადგილე ნ. პ. ბრიუხანოვი. სახკომსაბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი უზრუნველყოფდნენ საქონლის სასწრაფო გადაცემას თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველოსათვის და უფლებას აძლევდნენ მას (სურსათის სახალხო კომისარიატის დასტურით) უშუალოდ შეეტანა საკითხები სახკომსაბჭოში და შრომისა და თავდაცვის საბჭოში. თევზის მრეწველობის განვითარებისა და თევზის დამზადების კამპანიის გეგმის შედგენისათვის იქმნებოდა კომისია სურსათის სახალხო კომისარიატის, სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს, ცენტროსოიუზის, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს წარმომადგენელთაგან. — **118.**

127 ი. მ. შატუნოვსკის ბროშურა «თეთრი ნახშირი და რევოლუციური პიტერი» ვ. ი. ლენინმა 1921 წლის 24 აპრილს გაუგზავნა გ. მ. კრჟიჟანოვსკის. ბროშურის ყდაზე ლენინს დაუწერია: «ამხ. კრჟიჟანოვსკი! თქვენი აზრი? დამიბრუნეთ თქვენი შეფასებითურთ. ზინოვიევს გავუგზავნი». ბროშურის მე-14 გვერდზე ლენინს ხაზი გაუსვამს სიტყვებისათვის: «უკვე რამდენიმე თვის შემდეგ გვქონდეს დენი, რომ ავამუშაოთ დარჩენილი ქარხნები», და ამ ადგილისათვის მიუწერია: «ვგონებ

აქ არის მთავარი. რამდენი თვე? რამდენი დღენი? პრაქტიკულად შესაძლებელია?» ბროშურის მე-15 გვერდზე, აღნიშნავს რა ავტორის სიტყვები სპეციალისტი ჰიდრავლიკოსების აზრის შესახებ, ლენინს დაუწერია: «რომლების? სად და როდის დაიბეჭდა?» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

პეტროგრადის ეკონომიკის აღდგენის შესაძლო ღონისძიებათა საკითხზე ლენინმა 3 მაისს შეკითხვა გაუგზავნა პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარეს გ. ე. ზინოვიევს (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 147). — **120.**

128 დაწერილია ლ. დ. ტროცკის წერილზე, რომელშიც იგი, უპასუხებდა რა ვ. ი. ლენინის 1921 წლის 30 აპრილის წერილზე (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 146), ცდილობდა დაეცვა ი. მ. შატუნოვსკის ბროშურა «თეთრი ნახშირი და რევოლუციური პიტერი». ტროცკის წერილზე ლენინს გაუკეთებია რამდენიმე შენიშვნა (იხ. ლენინის XX კრებული, გვ. 208 — 209). — **121.**

129 ვ. ი. ლენინის ამ შეკითხვის პასუხად გ. ე. ზინოვიევმა 5 მაისს აცნობა მას, რომ მიღებულია გადაწყვეტილება დროებით შეჩერდეს მშენებლობა სვირზე, მთელი ძალ-ღონე მიმართულ იქნეს იქიოკენ, რომ უტკის ყურეს უბანზე მუშაობა დამთავრდეს უკვე 1921 წელს, მშენებლობა ვოლხოვზე არავითარ შემთხვევაში არ შეჩერდეს. — **121.**

130 ამ ბარათის პასუხად ვ. ი. ლენინს გაეგზავნა ცნობები იმის შესახებ, რომ გ. ვ. პლეხანოვისა და ვ. ი. ზასულიჩის საფლავები მოყვანილია წესრიგში, სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტს პირობა აქვს დადებული, რომ მოქანდაკე ი. ი. გინცბურგს მისცემს თაბაშირს, რომელიც საჭიროა, პლეხანოვის ძეგლზე მუშაობისათვის.

უფრო გვიან, 1921 წლის 16 ივლისს, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაადგინა დახმარება გასწეოდა პლეხანოვისათვის ძეგლის დადგმას და დაავალა ნ. ა. სემაშკოს შეთანხმებოდა ამის თაობაზე პეტროგრადის საბჭოს. — **122.**

131 ვ. ი. ლენინის მიერ 1921 წლის 6 მაისს მიღებულ საპასუხო დეპეშაში კ. ე. ვოროშილოვი იტყობინებოდა: «მივიღე თქვენი № 108/III. ყველა საჭირო განკარგულება გაცემულია. თქვენ მიერ დაკისრებული დავალების ზუსტად შესრულებას თვალს მიადევნებენ» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **122.**

132 პოემაში «150 000 000» თავი იჩინა ვ. ვ. მაიაკოვსკის ადრინდელმა ფუტურისტულმა გატაცებამ: პოემას ახასიათებდა ღვლარჭნილობა,

ფორმის გართულებულობა, მასში უარყოფილი იყო კლასიკური მემკვიდრეობა და ხოტბა ჰქონდა შესხმული ფუტურიზმს როგორც თანამედროვეობის შესაფერ ერთადერთ ლიტერატურულ მიმდინარეობას. — **123.**

133 იგულისხმება გ. მ. კრჟიჟანოვსკის 1921 წლის 12 აპრილის წერილი იმის შესახებ, რომ იმ პერიოდისათვის მიზანშეწონილი არ იყო ემბისნავთობის სარეწების გაფართოება. — **124.**

134 დაწერილია პრესის ბიუროს 1921 წლის 6 მაისის ბიულეტენზე 1 მაისის ფრანგულ გაზეთ «L'Echo de Paris»-ის («პარიზის ექო») კორესპონდენციის ქვეშ. კორესპონდენციის ავტორი, დოქტორი ლეჟანდრი, რომელმაც ჩინეთისა და იაპონიის მსხვილი სამრეწველო ცენტრები ინახულა, იუწყებოდა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში არსებულ მდგომარეობას და აღმოსავლეთ აზიაზე ბოლშევიზმის გავლენის გავრცელების საშიშროებას.

გ. ვ. ჩიჩერინს ბიულეტენს რომ უგზავნიდა, ვ. ი. ლენინმა გააკეთა შენიშვნა: «იხ. გვ. 2» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

ლენინის მითითებებთან დაკავშირებით 1921 წლის 10 მაისს გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის № 99-ში გამოქვეყნდა სტატია «ფრანგი ბურჟუას შიში შორეულ აღმოსავლეთში». — **125.**

135 იგულისხმება ა. ა. ბელიაკოვის სტატია «ურემი კი ახლაც იქვეა!», რომელიც დაიბეჭდა 1921 წლის 5 მაისს გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის № 95-ში. სტატიის ავტორი წერდა, რომ ფორმალიზმისა და საქმის გაჭიანურების გამო ნაროფომინსკის საფეიქრო ფაბრიკა, რომელიც 1921 წლის თებერვალში ამუშავდა, უზრუნველყოფილი არ არის სათბობით და მხოლოდ ერთ თვეს მუშაობდა. სტატიაში დაყენებული იყო ფაბრიკის რაც შეიძლება მალე ამუშავების საჭიროების საკითხი.

როგორც შემდეგ ვ. ა. სმოლიანინოვი იგონებდა, სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ მიღებული ზომების შედეგად მან მეორე დღეს მოახსენა ვ. ი. ლენინს, რომ სათბობი მიტანილია და ფაბრიკა მუშაობს. — **126.**

136 ამ ბარათთან ერთად ვ. ი ლენინმა ლ. ბ. კრასინს გაუგზავნა გ. ვ. ჩიჩერინის 1921 წლის 8 მაისის წერილი, რომელშიც ჩიჩერინი ატყობინებდა ლენინს, რომ მან წინადადება მისცა ნ. კ. კლიშკოს არ გამოხმაურებოდა ინგლისის მთავრობისა და პრესის არავითარ გამოსვლებსა და განცხადებებს კრასინის დაბრუნებამდე ლონდონში. — **126.**

137 ამ ბარათის საპასუხოდ ლ. ბ. კრასინმა ვ. ი. ლენინს გაუგზავნა პ. ლ. ვოიკოვის მიერ შედგენილი ცნობა იმ პროდუქტების შესახებ, რომელთა სწრაფად ყიდვა შეიძლებოდა საზღვარგარეთ ოქროთი და ნისიად. ცნობას კრასინმა მიაწერა: «შვეიცარიაში, დანიაში, ჰოლანდიაში **არაფერი** არ არის. ციურუპამ მითხრა, რომ პური ივნისში იქნება საჭირო. მოთხოვნილების «კატასტროფულობა» ჩვეულებრივ ირკვევა სულ უკანასკნელ მომენტში» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

ვ. ი. ლენინმა კრასინის ეს მინაწერი წაშალა და დოკუმენტი 1921 წლის 10 მაისს გაუგზავნა ნ. პ. ბრიუხანოვს (ლენინის ხელმოწერილი ცნობაზე იხ. ლენინის XXXVI კრებულში, გვ. 234).

10 მაისს ვოიკოვმაც შეადგინა ცნობა შრომისა და თავდაცვის სახ-ჭოს დადგენილების მიხედვით საზღვარგარეთ ნაყიდი სურსათისა და ფართო მოხმარების საგნების განაწილების შესახებ. ამ ცნობის მეორე გვერდზე ლენინის შემდეგი შენიშვნაა:

«ყდაში საზღვარგარეთ **სურსათის** შესყიდვის შესახებ. (მიმავონეთ ყ ო ვ ე ლ დ ღ ე)» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქ-სიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **126**.

138 დიდ ბრიტანეთში რსფს რესპუბლიკის ოფიციალური წარმომადგენ-ლის მოადგილის ნ. კ. კლიშკოს 1921 წლის 12 მაისის საპასუხო დეპე-შაში ნათქვამი იყო, რომ სასწრაფო განწესი, რომელზეც ლაპარაკია ამ დოკუმენტში, მიღებულია დაუყოვნებლივი შესრულებისათვის. — **127**.

139 დოკუმენტი დაწერილია განსახკომის პროფესიული განათლების მთა-ვარი სამმართველოს გამგის ე. ა. პრეობრაჟენსკის მიერ სახკომსაბჭოში გაგზავნილ მოხსენებითს ბარათზე, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ პროფგანათლების მთავარი სამმართველოსათვის სახკომსაბჭოს კომი-სიის გადაწყვეტილებით ულუფების რაოდენობის 110 ათასამდე შემ-ცირება 1921 წლის გაზაფხულისა და ზაფხულის თვეებში ბევრ სას-წავლებელში გამოიწვევს მეცადინეობის შეწყვეტას, და სთხოვდა სახ-კომსაბჭოს გაედიდებინა ულუფების რაოდენობა.

სახკომსაბჭოს 1921 წლის 10 მაისის დადგენილებით პროფგანათ-ლების მთავარი სამმართველოს შუამდგომლობა უარყოფილ იქნა. 19 მაისს, საკითხის მეორედ განხილვის შემდეგ, სახკომსაბჭომ სურსათის სახალხო კომისარიატს დირექტივა მისცა განათლების მუშაკებისათვის გამოეყო 165 ათასი ულუფა. — **127**.

140 იმავე დღეს, 1921 წლის 10 მაისს, ვ. მ. მოლოტოვმა ვ. ი. ლენინ-აცნობა, რომ პარტიის იმ წევრთა გაპოყოფა რაიმე განსაკუთრებულ

ჯგუფებად ან კატეგორიებად, რომლებიც მმართველობაში არ მონაწილეობენ, პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკაში არ არის. — **128.**

141 როგორც ჩანს, ლაპარაკია ნ. კ. კლიშკოს 1921 წლის 9 მაისის დეპეშაზე. თავის პასუხში ვ. ი. ლენინისა და ლ. ბ. კრასინის 7 მაისის დეპეშაზე (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 52, დანართები, დოკუმენტი 33), კლიშკო იუწყებოდა, რომ ამერიკაში შესყიდულია 20 ათასი ფუთი ხორბლის ფქვილი, რომელიც მიტანილ უნდა იქნეს რეველში 15 მაისს, 200 ათასი, რომელიც მიტანილ უნდა იქნეს პეტროგრადში ივნისის შუა რიცხვებისათვის და რეველში აპრილის დამლევს მიტანილი იქნება კიდევ 125 ათასი ფუთი. («სად არის ეს 125 ათასი? როგორ არის განაწილებული?» — წაუწერია ლენინს ამ ცნობისათვის). კლიშკო დაჰპირდა აგრეთვე, რომ დამატებით შეატყობინებდა, რამდენად შესაძლებელია მარცვლის შემდგომი შესყიდვები. სთხოვდა გაეგზავნათ განწესი და ვალუტა და ეკითხებოდა, «ხომ არ შეიძლება დაჩქარებისა და გაიაფებისათვის ხორბლის ფქვილში გასარევად ვგზავნო სიმინდის და ლობიოს ფქვილი 25%-მდე». «რასაკვირველია, შეიძლება!» — უპასუხა ლენინმა ამ კითხვაზე და ხაზი გაუსვა სიტყვას «გასარევად» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).—**129.**

142 1921 წლის 19 მაისს იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა პ. ა. კრასიკოვმა, რომელიც დ. ი. კურსკის განკარგულებით აწარმოებდა ძიებას ამ საქმის გამო, წინადადება შეიტანა საყვედურის გამოეცხადებინათ «ჩუსოსნაბარმის» თავმჯდომარის მოადგილის ნ. ბ. ეისმონტისათვის (პრესაში გამოქვეყნებით), თანამდებობიდან მოეხსნათ «ჩუსოსნაბარმის» განსაკუთრებულ განკარგულებაში მყოფი ამხ. ანგერტი, რომელსაც უშუალოდ მიუძღოდა ბრალი იმაში, რომ სიფრთხილის საჭირო ზომების დაუცველად შრომისა და თავდაცვის საბჭოში გაიგზავნა მიმართვა, რომელიც შეიცავდა საიდუმლო ცნობებს, და დისციპლინარული სასჯელი დასდებოდა თანამშრომელ ქალს, რომელმაც მიმართვა შრომისა და თავდაცვის საბჭოში გაგზავნა. — **130.**

143 ლაპარაკია სასოფლო საბჭოსთან შექმნილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაუმჯობესების გლეხთა კომიტეტების (სოფლკომების) უფლებათა გაფართოების თაობაზე სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების პროექტის შესახებ, რომელიც ნ. ოსინსკიმ მოამზადა.

1921 წლის 14 მაისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ წინადადება მისცა სახალხო კომისრებს წარედგინათ თავიანთი მოსაზრებანი პროექტის შესახებ სახკომსაბჭოში მისი განხილვისა-

თვის. 19 მაისს პროექტი ზოგიერთი ცვლილებით მიიღო სახკომსაბჭომ. 27 მაისს სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა დადგენილება და 1921 წლის 28 მაისს იგი გამოქვეყნდა გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის № 115-ში. — 130.

144 ლაპარაკია ლ. ა. ლიბერმანზე, რომელიც დაინშნა პრესის გავრცელების ცენტრალური სააგენტოს გამგედ. — **131.**

145 იმასთან დაკავშირებით, რომ მ. ვ. ფრუნზემ ითხოვა ამ დირექტივის პირი ყირიმის საოლქო კომიტეტისთვისაც გაეგზავნათ, ვ. ი. ლენინს დაუწერია შემდეგი განკარგულება: «ფრუნზესადმი ჩემი წერილის პირი გაუგზავნეთ **ყირიმის საოლქო კომიტეტს,** ზუსტი მისამართი გამოართვით ბ უ ხ ა რ ი ნ ს და ს ა გ ა ნ გ ე ბ ო დ შ ე ა მ ო წ მ ე თ მ ი ღ ე ბ ა» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **132.**

146 იმავე დღეს, 1921 წლის 18 მაისს, ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა მცირე სახკომსაბჭოს დადგენილებას: «დაევალოს ფინსახკომს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ფონდიდან შრომისა და თავდაცვის საბჭოს რწმუნებულის ამხ. ფრუნზეს განკარგულებაში მაისისათვის გადასცეს 100 000 000 მან. უკრაინიდან და ყირიმიდან მარილის გამოსაზიდად საჭირო სასწრაფო ხარჯებისათვის» (სკკპ ცენტრლურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

როგორც ჩანს, ამ პერიოდს ეკუთვნის ლენინის კიდევ ერთი ბარათი ფრუნზესადმი ამ საკითხზე: «რის გაკეთება მოხერხდა მარილის საქმეში? ვინ არის პასუხისმგებელი მ ა რ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს? ლ ე ნ ი ნ ი» (ლენინის XXXIV კრებული, გვ. 414). სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში დაცულია აგრეთვე ყირიმიდან და უკრაინიდან მარილის გამოზიდვის მდგომარეობის შესახებ შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის სახელზე 1921 წლის ივლისში ფრუნზეს მიერ გაგზავნილი ცნობა, რომელიც იუწყებოდა, რამდენი მარილია გაზიდული მაისსა და ივნისში და როგორია პერსპექტივები 1921 წლის ივლისისათვის. ცნობაზეა ლენინის ხელით გაკეთებული აღნიშვნები «არქივში, მარილის გამოზიდვის შესახებ, ფრუნზესაგან». — **132.**

147 დოკუმენტი დაწერილია იმ მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით, რომელიც ნ. პ. ბრიუხანოვმა და ა. ბ. ხალატოვმა 1921 წლის 18 მაისს გაუგზავნეს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ვ. ი. ლენინს. იუწყებოდნენ რა, რომ ციმბირის, ჩრდილოეთ კავკასი-

ისა და უკრაინის პარტიული და სახელმწიფო ორგანოები, მიუხედავად ზომებისა, რომლებსაც სურსათის სახალხო კომისარიატი იღებს, არღვევენ პოლიტბიუროს 1921 წლის 7 მაისის დადგენილებას ცენტრისათვის პურის ყოველდღიური გაგზავნის ნორმებისა და იმის შესახებ, რომ ოლქების მოთხოვნილებანი მხოლოდ ამ ნორმების შესრულების შემდეგ უნდა კმაყოფილდებოდეს, ბრიუხანოვსა და ხალატოვს წინადადება შეჰქონდათ აღნიშნული ოლქების ხელმძღვანელ მუშაკებზე ზეგავლენა მოეხდინათ პარტიული დისციპლინის წესით. — **133.**

148 ლაპარაკია ა. ჰ. სერებროვსკის მიერ გ. კ. ორჯონიკიძისათვის გაგზავნილ დეპეშაზე სავაჭრო მოლაპარაკების შესახებ, რასაც სერებროვსკი კონსტანტინოპოლში აწარმოებდა თურქეთის, საფრანგეთისა და იტალიის ფირმების წარმომადგენლებთან. სერებროვსკი ზუსტი მონაცემების მოუყეანლად იტყობინებოდა, რომ მან მთელ რიგ ფირმებთან თითქოს ხელსაყრელი პირობებით დადო ხელშეკრულებები ბაქოსათვის ბათუმში საქონლის გაგზავნის შესახებ და რომ შესაძლებელია ბაქოში ნავთობის სარეწებზე სამუშაოდ იმ ვრანგელელი ჯარისკაცების გაგზავნა, რომლებსაც რუსეთში დაბრუნება სურთ. — **133.**

149 იმავე დღეს 1921 წლის 19 მაისს, ნ. ჰ. ბრიუხანოვმა ვ. ი. ლენინს გაუგზავნა პირი ცნობისა უკრაინაში მანუფაქტურის გაგზავნის შესახებ. ვ. პ. ნოგინმა და ბ. ჰ. პოზერნმა შეატყობინეს, რომ ჯერ კიდევ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებამდე ტრიოხგორნაია-მანუფაქტურას მიცემული ჰქონდა განკარგულება გაეგზავნა უკრაინაში ორი მილიონი არშინი მანუფაქტურა, მაგრამ სურსათის სახალხო კომისარიატს საამისოდ არ მიუწოდებია შესაფუთავი მასალა.

23 მაისს, მიიღო რა საფეიქრო მრეწველობის მთავარი სამმართველოს ხაზით პასუხისმგებელი პირის ვ. ი. ველმანისაგან დაწვრილებითი ცნობები საქმის გაჭიანურების მიზეზების შესახებ, ლენინმა მისწერა ვ. ა. სმოლიანინოვს: «ჩაუკვირდით და შეამოწმეთ. 23/V. ლ ე ნ ი ნ» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). უფრო გვიან, 31 მაისს, ლენინმა მოითხოვა დაეწესებინათ უმკაცრესი ზედამხედველობა იმაზე, რომ რკინიგზით რაც შეიძლება სწრაფად ემოძრავა უკრაინაში გაგზავნილ მანუფაქტურას (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 184). — **134.**

150 1921 წლის 25 მაისს შრომისა და თავდაცვის საბჭომ მცირე ცვლილებებით მიიღო დადგენილების პროექტი, შედგენილი ვ. ი. ლენინის მიერ, და წინადადება მისცა იუსტიციის სახალხო კომისარიატს «აწარძოოს გამოძიება და დასაჯოს დამნაშავენი საქმის გაჭიანურებაში, რის

გამოც სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის დავალება № 785/უპ, რომელიც 1921 წლის 2 თებერვალს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის საშუალებით მიეცა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, აქამდე პრაქტიკულად შესრულებული არ არის» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **139.**

151 1921 წლის 24 მაისს ვ. ა. სმოლიანინოვმა ვ. ი. ლენინის დავალებით ი. ს. უნშლიხტს გაუგზავნა ტელეფონოგრამა და რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში ვ. მ. მოლოტოვს — მიმართვა, რომლებითაც სთხოვდა მაც. დაეჩქარებინათ შატურის მშენებლობის «პოლიტბიუროს» საკითხის განხილვა. — **141.**

152 ვ. ი. ლენინისადმი რ. ე. კლასონის 1921 წლის 20 მაისის წერილს დართული ჰქონდა მოკლე ანგარიში ჰიდროტორფის საქმეებზე მისი საზღვარგარეთ გამგზავრების შესახებ და პროექტი შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა ფირმა «მაღრუკისათვის» შეკვეთის მიცემის თაობაზე.

ანგარიშში კლასონი აღნიშნავდა საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმს რუსეთის რკინიგზის ბერლინის მისიაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა გაეფართოებინა შეკვეთები «ჰიდროტორფისათვის» — **142.**

153 1921 წლის 16 მაისს რსფს რესპუბლიკის ფასეულობათა სახელმწიფო საცავის მუშაკმა ი. მ. იუროვსკიმ ვ. ი. ლენინს უამბო სახელმწიფო საცავში ფასეულობათა დატაცების ფაქტები. ლენინმა ჩაიწერა იუროვსკის ნათქვამი და იმავე დღეს დაავალა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის კოლეგიის წევრს. გ. ი. ბოკის უსასტიკესად გამოეძიებინა საქმე.

23 მაისის ტელეფონოგრამაში (რომლის პასუხად დაწერილია ეს წერილი) ბოკი აღნიშნავდა, რომ იუროვსკის ცნობები თითქოს ძლიერ გაზვიადებული იყო და რომ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიასთან ერთად იღებენ ზომებს, რათა მინიმუმამდე დაიყვანონ დატაცებანი სახელმწიფო საცავში. ტელეფონოგრამაზეა ლენინის შენიშვნა: «გამახსენეთ».

შემდგომ ლენინი არაერთხელ დაბრუნებია ამ საკითხს (იხ. ეს ტომი. დოკუმენტები 180, 205, 216, 221 და ლენინის XXXVI კრებული, გვ. 288, 298, 370, 403 — 405). — **148.**

154 1921 წლის 28 მაისს გ. ი. ბოკიმ ვ. ი. ლენინს წარუდგინა მოხსენება ფასეულობათა სახელმწიფო საცავში არსებული მდგომარეობის შესა-

ხებ — პირადი შემადგენლობის, სტრუქტურის, დატაცებათა შემთხვევების შესახებ დაწვრილებითი ცნობებით და ფასეულობათა სახელმწიფო საცავის გამო სასამართლო საქმეთა ნუსხით. მოხსენებაში დასახელებული იყო ღონისძიებანი მუშაობის გაუმჯობესებისა და დატაცებათა შეწყვეტისათვის. ეს მოხსენება ლენინმა თანხლებულ წერილთან ერთად 29 მაისს გაუგზავნა ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილეს ა. ო. ალსკის (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 180). — **143**.

155 ლაპარაკია ახალი სატარიფო პოლიტიკის საკითხზე რეზოლუციის შესახებ, რომელიც 1921 წლის 11 მაისს მიიღო სკოპინის (რიაზანის გუბერნიის ქ. სკოპინი) VII სამაზრო პროფკავშირულმა კონფერენციამ.

რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ მუშახელის არარაციონალური განაწილება და შრომის დაბალი ნაყოფიერება ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია, რომელიც აფერხებს მეურნეობის აღდგენას სკოპინის მაზრაში. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ერთ-ერთ ღონისძიებად დასახელებული იყო მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიურ მომარაგებაზე გადასვლა. კონფერენციის დელეგატებს წინადადება ეძლეოდათ რეზოლუციაში განვითარებული დებულებანი დაეცვათ პროფკავშირთა IV სრულიად რუსეთის ყრილობაზე. — **144**.

156 1921 წლის 10 მაისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ უარყო ი. ლარინისა (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო) და ა. ზ. გოლცმანის (სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო) მიერ წარმოდგენილი პროექტი დადგენილებისა ზოგიერთი სახელმწიფო საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მომარაგების შესახებ, წინადადება მისცა გადაემუშავებინათ იგი და შეეტანათ სახკომსაბჭოში. პოლიტბიუროს ამ დადგენილების პროექტი ვ. ი. ლენინის დაწერილი იყო (იხ. ლენინის XXIII კრებული, გვ. 142). როგორც ჩანს, სახკომსაბჭოში ამ საკითხის განხილვასთან დაკავშირებით ვ. ა. სმოლიანინოვმა 1921 წლის 14 ივნისს სკოპინის სამაზრო კონფერენციის რეზოლუცია გაუგზავნა სახკომსაბჭოს კომისიაში წარგზავნილ სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელს, რომელსაც ეხებოდა მუშათა მომარაგება. სახკომსაბჭომ გადამუშავებული პროექტი 1921 წლის 14 ივნისს განსახილველად გადასცა შრომისა და თავდაცვის საბჭოს. 17 ივნისს დადგენილება მიიღო შრომისა და თავდაცვის საბჭომ, 18 ივნისს მას ხელი მოაწერა ლენინმა, ხოლო 19 ივნისს იგი გამოქვეყნდა გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის № 132-ში.

22 ივნისს შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა იმ საწარმოთა პირველი სია, რომლებზეც დადგენილება ვრცელდებოდა. სკო-

პინის მაზრის ფაბრიკები და საწარმოები მასში შეტანილი არ ყოფილა.

ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 208, 209. — **144.**

157 იხ. შენიშვნა 147. — **146.**

158 სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში დაცულია ბარათი, რომელიც შეიცავს ცნობებს მოსკოვის სამომხმარებლო კოოპერაციაში 1921 წლის 18-დან 25 მაისამდე პურის ფაქტობრივი შესვლის შესახებ. ამ ბარათზე არის ციფრობრივი გაანგარიშებანი, რომლებიც ვ. ი. ლენინს გაუკეთებია, როგორც ჩანს, სურსათის სახალხო კომისარიატის განაწილების სამმართველოს უფროსის ა. ი. ეიშინსკის მიერ ცნობის წარდგენის დროს და რომლებიც შეტანილია ამ წერილში.—**147.**

159 1921 წლის 11 მაისს შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა ემბის რაიონში რკინიგზის მშენებლობის შემმოწმებელი კომისიისათვის დავალებათა პროექტი, შეტანილი ვ. ი. ლენინის მიერ. — **148.**

160 იმავე დღეს, 1921 წლის 28 მაისს, საპასუხო წერილში კ. ბ. რადეკმა და გ. ე. ზინოვიევმა ვ. ი. ლენინს ურჩიეს კ. ცეტკინის დეპეშა გადაეცა კომინტერნის აღმასკომისათვის. აღმასკომმა უარყო ცეტკინის მოთხოვნა. უფრო გვიან, კომინტერნის III კონგრესზე გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის დელეგატებთან თათბირის შემდეგ (კონგრესის დაწყებამდე), აღმასკომმა გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც წინადადებას აძლევდა ხელი არ შეეშალათ ა. გაიერისა და ო. ბრასის ჩასვლისათვის კონგრესზე.

მაგრამ ა. გაიერი და ო. ბრასი კონგრესს არ დასწრებიან. გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აზრი გამოთქვა მოსკოვში მათი ჩასვლის წინააღმდეგ, როგორც ჩანს, იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი იწონებდნენ პ. ლევის პოზიციას, ლევისა, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა 1921 წლის 15 აპრილს გარიცხა პარტიიდან (იხ. შენიშვნა 118), და არაერთხელ დაურღვევიათ პარტიული დისციპლინა. — **149.**

161 იხ. შენიშვნები 153 და 154. — **150.**

162 იგულისხმება ა. გ. შლიაპნიკოვი.

მ ე ლ ი თ ო ნ ე თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს სრულიად რუსეთის IV ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1921 წლის 26-დან 30 მაისამდე. მელითონეთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის

შემადგენლობის საკითხის განხილვა წარმოებდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1921 წლის 28 და 31 მაისის სხდომებზე. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში დაცულია კავშირის ცენტრალური კომიტეტის კანდიდატთა სია, რომელზეც არის ვ. ი. ლენინის შენიშვნები და წარწერა: «19 ყოფ'ლი მუშათა ოპოზიციისა». — **153**

163 როგორც ჩანს, იგულისხმება ი. ხ. ლუტოვინოვის პასუხი ვ. ი. ლენინის 1921 წლის 7 მაისის დეპეშაზე. ლუტოვინოვი აღნიშნავდა, რომ არასწორად მიიჩნია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ბერლინში საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში სამუშაოდ გ. ლ. შკლოვსკის გაგზავნის შესახებ და პროტესტს განაცხადებს მის წინააღმდეგ. — **154.**

164 რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 25 მაისის განცხადებაში ბ. ს. სტომონიაკოვმა და ი. ხ. ლუტოვინოვმა პროტესტი გამოთქვეს პოლიტბიუროს იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომ სასურველი იქნებოდა ზ. ი. გრეებინს გერმანიაში ებეჭდა გამომცემლობა «ვსემირნაია ლიტერატურას» წიგნები. ისინი აღნიშნავდნენ, რომ საგამომცემლო აპარატი, რომელსაც რსფს რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენლობა გერმანიაში შექმნის, ლიტერატურას უფრო იაფად გამოსცემს, ვიდრე გრეებინი, რომელიც ხელოვნურად ზრდის საბჭოთა შეკვეთების ფასებს.

ამ განცხადებაზე ვ. ი. ლენინმა მისწერა ბარათი გ. ე. ზინოვიევს: «მომწერეთ ორიოდე სიტყვით: როგორია თქვენი კომისიის გადაწყვეტილება? დაამტკიცა იგი თუ არა ცენტრალურმა კომიტეტმა?» (ლაპარაკი იყო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიის დადგენილებაზე გრეებინის საქმის გამო. დადგენილება პოლიტბიურომ დაამტკიცა 1921 წლის 27 აპრილს). ამის საპასუხოდ ზინოვიევმა აცნობა: «კომისიას გადაწყვეტილებები გამოჰქონდა უმთავრესად წარსულის შესახებ (წინანდელი შეკვეთები). ახალი დავალებები არ მიუციათ. დათანხმდნენ მარტო იმას, რომ ბოლომდე მიეყვანათ გასულ წელს მიცემული შეკვეთა» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

31 მაისს პოლიტბიურომ განიხილა სტომონიაკოვისა და ლუტოვინოვის განცხადება და დაავალა ზინოვიევს გაეგზავნა მათთვის ზუსტი ტექსტი გრეებინის საქმეზე შექმნილი კომისიის დადგენილებისა, რომელიც პოლიტბიურომ დაამტკიცა, თავისი განმარტებებიანად. — **154.**

165 ე. მ. სკლიანსკის განკარგულებით ამ წერილის პირები დაეგზავნათ რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრებს. 1921 წლის

16 ივნისს რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ საკითხზე «ამხ. ლენინის წერილი არმიის შრომითი გამოყენების შესახებ» დაადგინა: «წინადადება მიეცეს რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყველა წევრს 7 დღის ვადაში წარმოუდგინოს რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს თავისი კონკრეტული მოსაზრებანი და წინადადებანი წერილობითი სახით». ხაზი გაუსვა რა ამ გადაწყვეტილებას რევოლუციური სამხედრო საბჭოს სხდომის ოქმში, ვ. ი. ლენინმა დაწერა: «მომაგონეთ კ. ი. კონგრესის დამთავრების შემდეგ» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

უფრო გვიან, 1921 წლის 4 ივლისს, ლენინმა მიუთითა, რომ არმიის სამეურნეო მუშაობა გათვალისწინებულ უნდა იქნეს სახალხო მეურნეობის სახელმწიფო გეგმის შედგენის დროს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 634 — 636). — **159.**

166 დოკუმენტი დაწერილია უკრაინის სურსათის სახალხო კომისრის მ. კ. ელადიმიროვის იმ საჩივართან დაკავშირებით, რომ უკრაინა არადამაკმაყოფილებლად მარაგდება საქონლით და არ არის ტომრები, რაც აფერხებს პურის დამზადებას უკრაინაში.

1 ივნისს ვიაზნიკში (ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიის შუის მაზრა) გაიგზავნა დეპეშა ვ. ი. ლენინის ხელმოწერით იმის შესახებ, რომ მაზრის ფაბრიკებიდან ერთი კვირის განმავლობაში გაიგზავნოს უკრაინაში 500 ათასი ტომარა სურსათისათვის. — **160.**

167 დაწერილია გ. კ. კოროლიოვის იმ შეკითხვის პასუხად, თუ რამდენად მიზანშეწონილია 1921 წლის მაისში ივანოვო-ვოზნესენსკიდან მისი გამოძახება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ ინსტრუქტორად მუშაობისათვის ივანოვო-ვოზნესენსკის, ნიჟნი-ნოვგოროდის, ვლადიმირისა და კოსტრომის გუბერნიებში. — **161.**

168 ლაპარაკია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1921 წლის 10 მაისის დადგენილებაზე კაშირის ელექტროსადგურის მშენებლობის 1921 წლის შემოდგომისათვის დამთავრების შესახებ.

კაშირის ელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო 1919 წლის თებერვალში. 1919 წლის 14 აპრილს შრომისა და თავდაცვის საბჭომ ეს მშენებლობა ცნო როგორც «ქვეყნის თავდაცვის სამუშაო, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზურგის დაცვისათვის».

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კაშირის ელექტროსადგურს. იგი მუდამ ადევნებდა თვალს მშენებლობის მსვლელობას, უშუალოდ მონაწილეობდა ყველა საკითხის გადაწყვეტაში, ამოწმებდა, თუ

როგორ მიმდინარეობს მშენებლობის მომარაგება საჭირო მასალებით. მუშახელით, მოწყობილობით (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 220). — **162.**

169 ლაპარაკია მომავალი კაშირა-მოსკოვის ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენი ბოძების შესახებ. როგორც ვ. ა. სმოლიანინოვი თავის მოგონებებში აღნიშნავდა, ვ. ი. ლენინის ამ ბარათის შემდეგ მიღებულ იქნა სიფრთხილის საჭირო ზომები. — **163.**

170 1921 წლის 3 ივნისს შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატისათვის მიეცათ 5 მლნ. მანეთი ხმამაღლა მოლაპარაკე ტელეფონების დახმარებით ზეპირი გაზეთის ტექნიკური ორგანიზაციისათვის მოსკოვში 6 მოედანზე.

1921 წლის 24 ივნისისა და 6 ივლისის დადგენილებებით შრომისა და თავდაცვის საბჭომ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს დაავალა 1922 წლის 1 მარტისათვის აეგო რადიოტელეფონით გადამცემი 4 სადგური (მოსკოვი — ტაშკენტი — ხარკოვი — ნოვონიკოლსკი) და 280 მიმღები საგუბერნიო და სამაზრო სადგური მოსკოვის გარშემო 2000 კმ რადიუსით. — **164.**

171 სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება ა. მ. ლეჟავას ბარათი ვ. ი. ლენინისადმი. ლეჟავა სწერდა, რომ საზღვარგარეთ ექსკავატორების ყიდვა ლ. ბ. კრასინს დაევალა, ხოლო რა გაკეთა მან. ცნობილი არ არის. ბარათში აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ სამთო საბჭოს მიერ საზღვარგარეთ მივლინებული ინჟინერი ტ. ე. რეინე აღჭურვილია რწმუნებით აწარმოოს დამოუკიდებელი შესყიდვები თავისი უწყებისათვის. — **166.**

172 ბ. ნ. ტუხაჩევსკი დაინიშნა ტამბოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად, და მას დაეკისრა ანტონოვის ბანდების ლიკვიდაციის ამოცანა. — **167.**

173 დოკუმენტი დაწერილია ვ. ი. ლენინისადმი, ვორონეჟის გუბერნიის ბოგუჩარის მაზრის სამხედრო კომისრის, პეტროგრადელი მუშა-კომუნისტის ვ. ა. ვასილიევის 1921 წლის 12 მაისის წერილთან დაკავშირებით. იტყობინებოდა რა, რომ ბოგუჩარის მაზრაში 1920 წლის ნოემბერში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მომხდარი ამბოხების მონაწილეთა ნაწილი გადარჩა და შეადგინა ბანდიტთა ხროვა, რომელიც აწყობს პარტიული და საბჭოთა მუშაკების მკვლელობას, წერილის ავტორი აღნიშნავდა, რომ ბანდიტებთან საბრძოლველად საჭიროა შეიქმნას მოხალისეთა ცხენოსანი რაზმი, და ითხოვდა მის განკარგულებაში გადაეცათ სამი-ხუთი მოტოციკლი კავშირისათვის. — **167.**

174 1921 წლის 27 აპრილს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტ-ბიუროს მ. ნ. ტუხაჩევსკის მისცა დირექტივა ერთი თვის ვადაში მოეხდინა ანტონოვის ბანდების ლიკვიდაცია ტამბოვის გუბერ-ნიაში.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი 1921 წლის 16 ივლისის მოხსენებითს ბარათში, რომელიც ტუხაჩევსკიმ ვ. ი. ლენინის დავა-ლებით შეადგინა, აღნიშნული იყო, რომ ტამბოვის გუბერნიაში მაის-ივლისში ჩატარებული ოპერაციების შედეგად კულაკთა ამ-ბოხება ლიკვიდირებულია. საბჭოთა ხელისუფლება ყველგან აღდ-გენილია, ანტონოვის ბანდებში დარჩა სულ 1200-მდე კაცი, მაშინ როცა მაისის დამდეგს იქ 21 ათასამდე კაცი იყო. — **167.**

175 1921 წლის 2 და 3 ივნისს სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზი-დიუმმა მოისმინა გ. მ. კრჟიჟანოვსკის მოხსენება ვ. ი. ლენინის წე-რილის შინაარსის მიხედვით და მოიწონა სახელმწიფო საგეგმო კომისიის ყველა სექციისა და ქვეკომისიის თავმჯდომარეებისათვის გასაგზავნი ცირკულარის პროექტი, რომელიც პ. ს. ოსადჩიმ ვ. ი. ლენინის წინადადებათა საფუძველზე შეადგინა. პრეზიდიუმის სხდომის ოქმის ამონაწერი გაეგზავნა ვ. ი. ლენინს. — **169.**

176 ეს დოკუმენტი, როგორც ჩანს, დაწერილია პ. ს. ოსადჩის ცნობას-თან დაკავშირებით. 1921 წლის 26 მაისს ღამით დაპატიმრებულთა სიაში, რომელშიც ხაზგასმულია პ. ა. შჩურკევიჩისა და ბ. ე. ვო-რობიოვის გვარები, ვ. ი. ლენინს გაუკეთებია რამდენიმე შენიშვნა: «ორ ხაზგასმულს პირადად იცნობს ოსადჩი», «ისეთივენი, როგორიც მე»; «შინაპატიმრობა მაინც არ შეიძლებაო? არ შეიძლება თავის არიდების საშუალებათა აღკვეთის სხვა ზომები? ხომ არ გარბიან» და სხვ.

იმ დროსვე ლენინს დაუწერია შემდეგი ბარათი: «1) უკანასკნელ ხანს იძლევიან მანდატს «დაპატიმრებულ იქნეს შეხედულებისამებრ» 2) სასურველია პ ე რ ს ო ნ ა ლ უ რ ი მანდატები».

3 ივნისს პეტროგრადის გუბერნიის საგანგებო კომისიის თავმ-ჯდომარემ მ. ს. უნშლიხტს აცნობა, რომ ლენინის დეპეშაში აღნიშ-ნული ყველა პირი განთავისუფლებულია; დაპატიმრებანი პეტრო-გრადში მოხდა კადეტების პარტიის ყოფილ წევრთა შორის, რადგან მათი ნაწილი მონაწილეობას იღებდა პეტროგრადში აღმოჩენილ შეთქმულებაში; იმ პირებს, რომლებზეც ჩირქის მომცხები მასალები არ იყო, ათავისუფლებდნენ. დაკავებულნი პატიმრობაში იყვნენ 12 საათიდან $1^1/_2$ დღე-ღამემდე (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსე-ბული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **169.**

177 საპასუხო წერილში ა. ო. ალსკიმ აცნობა, თუ ვ. ი. ლენინის თანხმობა იქნა, შემიძლია საბჭოთა წესით გავატარო დადგენილება შრომის ინსტიტუტის საჭიროებათათვის ჩინეთის სესხის 50 000 გირვანქა სტერლინგის კუპონების რეალიზაციის შესახებო. ამ წერილს ლენინმა წააწერა: «გთხოვთ გაგზავნოთ საბჭოთა წესით. 14/VI. ل ە ن ى ن» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

1921 წლის 8 ივნისს შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა დამტკიცებული ყოფილიყო შრომის ინსტიტუტის განაცხადი 100 000 ოქროს მანეთზე და წარდგენოდა იგი საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს რეალიზაციისათვის. — **171.**

178 1921 წლის 2 თებერვალს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ნება დართო გ. ლ. შკლოვსკის ეშოვნა თავისთვის სამუშაო საზღვარგარეთ ლ. ბ. კრასინთან და გ. ვ. ჩიჩერინთან შეთანხმებით, და ამით გააუქმა ორგბიუროს 21 იანვრის დადგენილება, რომლის მიხედვითაც შკლოვსკის წინადადება ეძლეოდა გამოენახა თავისთვის სამუშაო მოსკოვში ან ყირიმში. — **171.**

179 1921 წლის 23 მარტს შრომისა და თავდაცვის საბჭომ «ნედლეულითა და ვალუტით ჩრდილოეთ კავკასიის მომარაგების შესახებ» მ. ი. ფრუმკინის მოხსენების მიხედვით საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაავალა წარედგინათ თავიანთი დასკვნა ამ საკითხზე მცირე სახკომსაბჭოში. 24 მარტს მცირე სახკომსაბჭომ დაავალა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს 15 აპრილისა სამხრეთ-აღმოსავლეთში საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის განკარგულებაში გადაეცა 10 მილიონი ოქროს მანეთის ვალუტა, ფასეულობანი და ნედლეული უცხოეთის სამხრეთ ბაზრებზე იმ საქონლის შესასყიდად, რომელიც საჭირო იყო საქონელგაცვლისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში. აპრილის ბოლოს გამოირკვა, რომ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს არ შეესრულებინა შრომისა და თავდაცვის საბჭოს დავალება.

3 ივნისს, შრომისა და თავდაცვის საბჭოსა და სახკომსაბჭოში ამ საკითხის არაერთგზის განხილვის შემდეგ, შრომისა და თავდაცვის საბჭომ დააავალა კომისიას, რომელშიც შედიოდნენ ლ. მ. ხინჩუკი, დ. ი. კურსკი და ვ. ა. სმოლიანინოვი, გამოეძიებინა შრომისა და თავდაცვის საბჭოს 24 მარტის დადგენილების შეუსრულებლობის საკითხი და დაუყოვნებლივ მიეღო საჭირო ზომები სამხრეთ-აღმოსავლეთში საქონელგაცვლის ოპერაციის უზრუნველსაყოფად. 8 ივნისს კომისიის მოხსენების მიხედვით შრომისა და თავდაცვის საბჭომ

საჭიროდ ცნო გაედიდებინა საქონლის ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთისათვის და დაავალა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს გაეკეთებინა მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებდა დადგენილებას ყველა უწყება. — **173.**

180 იგულისხმება იტალიის გემ «ანკონაზე» ტვირთის ნაფლობელთან ხელშეკრულების დადების შესახებ საქმის გამოძიება. — **173.**

181 1921 წლის 7 იენისის საპასუხო წერილში მ. ი. ფრუმკინმა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთისათვის საქონელგაცვლის ფონდის შესახებ სახკომსაბჭოს 1921 წლის 24 მარტის დადგენილების შეუსრულებლობა ახსნა იმით, რომ ლ. ბ. კრასინსა და ა. მ. ლეჟავას არ სურდათ სამხრეთ-აღმოსავლეთის სამხარეო ეკონომიური საბჭოსათვის მიეცათ საზღვარგარეთის ბაზრებთან დამოუკიდებლად ვაჭრობის შესაძლებლობა. ფრუმკინი იტყობინებოდა, რომ ეკონომიურმა საბჭომ მოსკოვის განკარგულების მიუხედავად თავი მოუყარა $2^1/_2$ მლნ ოქროს მანეთის საექსპორტო ფონდს და საფრანგეთის საზოგადოება «ოპტორგთან» დადო ხელშეკრულება სამხრეთ-აღმოსავლეთისათვის საქონლის კონსტანტინოპოლის ბაზარზე შესყიდვის თაობაზე (ამის შესახებ იხ. შენიშვნა 185). ფრუმკინის წერილს ლენინმა წააწერა: «ა რ ქ ი ვ შ ი. N B. დიდი მნიშვნელობა აქვს» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **174.**

182 ლაპარაკია აზერბაიჯანის ნავთობის კომიტეტსა და რუსეთისათვის საავაჭრო-სამრეწველო და საფინანსო საზოგადოება «სოსიფროსს» (Société Commerciale Industrielle financière pour la Russie) შორის ხელშეკრულებაზე, რომელიც 1921 წლის 9 მაისს დაიდო კონსტანტინოპოლში.

ა. პ. სერებროვსკისაგან დოკუმენტების მიღების შემდეგ ლენინმა სპეციალურ კომისიას დაავალა შეესწავლა ხელშეკრულება და შეეტანა საჭირო შესწორებანი. — **176.**

183 1921 წლის 11 იენისს ა. პ. სერებროვსკიმ ვ. ი. ლენინს კურიერის ხელით გაუგზავნა დოკუმენტები შესყიდვებისა და რუსეთთან ვაჭრობისათვის შექმნილ საფრანგეთის კომპანიასთან და «სოსიფროსთან» ხელშეკრულებათა შესახებ.

სერებროვსკის დეპეშაზე ლენინმა წააწერა: «ს მ ო ლ ი ა ნ ი ნ ო ვ ს. **საიდუმლოდ.** წაიკითხეთ. დაიხსომეთ. კურიერი დაუყოვნებლივ დაიჭირეთ. 11/VI. ლ ე ნ ი ნ ი». (სკკპ ცენტრალურ კომიტეტ-

ლან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

საპასუხო დეპეშები მიღებული იყო აგრეთვე გ. კ. ორჯონიკიძისაგან და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში შრომისა და თავდაცვის საბჭოს და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ფ. ი. რაბინოვიჩისაგან. — **177.**

184 1920 წლის 30 ოქტომბერს სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება «ტორფის ამოღების ჰიდრავლიკური წესის შესახებ». «ჰიდროტორფზე მუშაობა, სადაც არ უნდა წარმოებულიყო იგი, ითვლებოდა განსაკუთრებით სასწრაფო, მეტად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაევალა ტორფის მრეწველობის მთავარ სამმართველოსთან ჩამოეყალიბებინა ჰიდროტორფის საქმეთა სამმართველო (ჰიდროტორფი), რომლის პასუხისმგებელ ხელმძღვანელად ინიშნებოდა რ. ე. კლასონი. — **177.**

185 დაწერილია ა. მ. ლეჟავას 1921 წლის 6 ივნისის წერილთან დაკავშირებით.

ლეჟავა ვ. ი. ლენინს ურჩევდა ა. პ. სერებროვსკისადმი დეპეშის პროექტიდან ამოეღო ფრაზა: «მე სულაც არა ვარ წინააღმდეგი აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობის კომიტეტის და აზერბაიჯანის ნავთობის კომიტეტის პირდაპირი ვაჭრობისა კონსტანტინოპოლთან, მზადა ვარ მხარი დავუჭირო ბაქოს ავტონომიას მნიშვნელოვან ფარგლებში, მაგრამ საჭიროა გარანტიები» (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 198). ამასთან იგი იმოწმებდა იმას, რომ აზერბაიჯანის ნავთობის კომიტეტს არა აქვს კარგად აწყობილი სავაჭრო აპარატი და რომ მომზადებულია ხელშეკრულება ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის გაერთიანების შესახებ.

ლეჟავა აგრეთვე იხსენიებდა ხელშეკრულებას, დადებულს 22 აპრილს დონის როსტოვში შრომისა და თავდაცვის საბჭოს 24 მარტის დადგენილების საფუძველზე სამხრეთ-აღმოსავლეთის სამხარეო ეკონომიური საბჭოს მიერ საფრანგეთის საზოგადოება «ოპტორგთან» კონსტანტინოპოლში ამ საზოგადოების საშუალებით 35 მლნ ფრანკად ღირებული საქონლის შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულება ეკონომიურად ხელსაყრელი არ იყო და იგი არ მოიწონა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა. — **178.**

186 დაწერილია წერილზე, რომელიც ვ. ი. ლენინს გაუგზავნა პ. ი. სტუჩკამ 1921 წლის 6 ივნისს და რომლითაც იგი სთხოვდა ხელი შეეწყო, რომ რიგაში სამხედრო-საველე სასამართლოსათვის გადაცემუ-

ლი ორი მუშა, ლატვიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, გადაეცვალათ რსფს რესპუბლიკაში ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის დაპატიმრებულ პირებზე, რომელთა განთავისუფლება უნდოდა ლატვიის ბურჟუაზიულ მთავრობას. წერილის დასკვნითს ნაწილში სტუჩკა იტყობინებოდა, რომ ლატვიაში გაძლიერდა კომპარტიის გავლენა. — **181.**

187 1921 წლის 7 მაისს ლ. ბ. კრასინმა ვ. ი. ლენინს გაუგზავნა წერილი, რომლითაც ატყობინებდა, რომ ინგლისის ერთ-ერთი ბანკი წინადადებას იძლევა დაიდოს საკონცესიო ხელშეკრულება პეტროგრადში თავისუფალი ნავსადგურის მოწყობის შესახებ. კრასინის წერილზე ლენინს გაუკეთებია შენიშვნა: «შეტანილ იქნეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დღის წესრიგში ოთხშაბათს 11/V (არჩეულ იქნეს კომისია). 8/V. ლ ე ნ ი ნ ი» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი) 11 მაისს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შექმნილიყო კომისია სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის და გზათა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთაგან. ამ კომისიას უნდა განეხილა კრასინის მიერ დაყენებული საკითხი. შემდგომ ეს საკითხი არაერთხელ დასმულა განსახილველად შრომისა და თავდაცვის საბჭოში და მცირე სახკომსაბჭოში. საბოლოო ანგარიშით წინადადება პეტროგრადში თავისუფალი ნავსადგურის მოსაწყობად საკონცესიო ხელშეკრულების დადების შესახებ მიღებული არ ყოფილა. — **182.**

188 1921 წლის 2 ივნისის წერილში ი. მ. იუროვსკიმ, რომელიც სამუშაოდ მივლინებული იყო ფასეულობათა სახელმწიფო საცავში, ვ. ი. ლენინს სთხოვა ეპასუხა, უნდა ცდილიყო განეხორციელებინა ფასეულობათა სახელმწიფო საცავის რეორგანიზაციის შესახებ თავისი წინადადებანი სახკომსაბჭოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საშუალებით, აგრეთვე პრესის საშუალებით, თუ უნდა დალოდებოდა, რა შედეგი მოჰყვება სახელმწიფო ფასეულობათა დატაცების საკითხის გამოძიებას. ამ საკითხზე იხ. ეს ტომი, დოკუმენტები 173, 180, 216, 221. — **188.**

189 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს თაეისი 1921 წლის 16 მაისის საუბარი ი. მ. იუროვსკისთან. ამის შესახებ იხ. აგრეთვე შენიშვნა 153. — **184.**

190 ლაპარაკია სპანდარ სპანდარიანის, სურენ სპანდარიანის მამის, წერილზე, რომელიც სომხურად იყო დაწერილი. სპანდარიანი

ვ. ი. ლენინსა და ლ. ბ. კამენევს სთხოვდა გაეწიათ მისთვის მატერიალური დახმარება და ხელი შეეწყოთ, რომ პარიზიდან სამშობლოში დაბრუნებულიყო. სპანდარიანის თხოვნა მოყვანილი იყო აგრეთვე ბ. მირიმანიანის თანდართულ წერილში, რომელზეც ლენინმა დაწერა აქ გამოქვეყნებული დოკუმენტი. — **184.**

191 სპანდარიანის წერილის თარგმანზე შენიშვნაა 1921 წლის 25 ივლისის თარიღით: «200 ოქროს მანეთი გაეგზავნა...» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **185.**

192 1921 წლის 6 ივნისს ო. ვ. კუუსინენმა ვ. ი. ლენინს გაუგზავნა ორგანიზაციულ საკითხზე დაწერილი თავისი სტატიის (რეფერატის) ნაწილი და მთელი სტატიის ძირითადი დებულებანი თეზისების ფორმით. ლენინმა კუუსინენს წინადადება მისცა, ამ საკითხზე მოხსენება გაუკეთეთ კომინტერნის III კონგრესსო და რამდენიმე შენიშვნა გაუკეთა თეზისებს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 349 — 351).

ამ მითითებათა საფუძველზე ავტორმა თეზისები გადაამუშავა და (25—29 პარაგრაფებს გარდა, რომლებიც პარტიულ პრესას ეხებოდა) 17 ივნისს კვლავ გაუგზავნა ლენინს; 21 ივნისს გაუგზავნა დანარჩენი პარაგრაფებიც. როგორც ჩანს, ლენინმა წაიკითხა თეზისების ეს ვარიანტი. 27 ივნისს კუუსინენმა ლენინს გაუგზავნა თეზისების მესამე ვარიანტი. თეზისების საბოლოო დამუშავებაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე გერმანელმა კომუნისტმა ვ. კიონენმა. 9 ივლისს ლენინმა მოიწონა თეზისები და გაუკეთა თავისი უკანასკნელი შენიშვნები და დამატებები (იხ. იქვე, გვ. 351—352). პროექტი «თეზისებისა კომუნისტური პარტიების ორგანიზაციული მშენებლობის შესახებ, მათი მუშაობის მეთოდებისა და შინაარსის შესახებ» შეტანილ იქნა კონგრესზე და განიხილა კომისიამ. 12 ივლისს პროექტი ზოგიერთი ცვლილებით მიღებულ იქნა კომინტერნის III კონგრესის მიერ (იხ. «კომუნისტური ინტერნაციონალი დოკუმენტებში. კომინტერნის კონგრესებისა და კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებები, თეზისები და მოწოდებები. 1919—1932». მოსკოვი, 1933, გვ. 201 — 225). — **186.**

193 მოხსენება ორგანიზაციული საკითხის შესახებ კომინტერნის III კონგრესზე 1921 წლის 10 ივლისს წაიკითხა გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის წევრმა ვ. კიონენმა. — **186.**

194 იგულისხმება ვ. ი. ლენინის 1921 წლის 16 აპრილის წერილი კ. ცეტკინისა და პ. ლევისადმი (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 129). — **186.**

195 იხ. შენიშვნა 156. — **187.**

196 იგულისხმება პროფკავშირთა სრულიად რუსეთის IV ყრილობის რეზოლუცია «სატარიფო პოლიტიკა» (იხ. პროფკავშირთა სრულიად რუსეთის IV ყრილობის რეზოლუციები (1921 წლის 18—25 მაისი)», მოსკოვი, 1921, გვ. 20 — 21). — **187.**

197 ეს წინადადება ვ. ი. ლენინმა დაწერა «ზოგიერთი სახელმწიფო საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მომარაგების შესახებ» სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტზე. დადგენილების პროექტის ტექსტში ლენინმა გააკეთა რამდენიმე შენიშვნა (იხ. ლენინის XX კრებული, გვ. 305 — 306). ლენინის დამატება შეტანილ იქნა «ზოგიერთი სახელმწიფო საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მომარაგების შესახებ დეკრეტის გამოყენების ძირითად ინსტრუქციაში», რომელსაც ამ საკითხზე შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებასთან ერთად ლენინმა ხელი მოაწერა 1921 წლის 18 ივნისს. — **187.**

198 რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ 1921 წლის 16 ივნისის წერილში ვ. კიონენი, ა. ტალჰაიმერი და პ. ფრელიხი აცხადებდნენ, რომ კომინტერნის III კონგრესზე წარგზავნილი გერმანიის დელეგაცია, იწონებს რა რუსეთის დელეგაციის მიერ შემუშავებულ თეზისებს ტაქტიკის შესახებ, მოითხოვს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მარტის გამოსვლის გამო კონგრესი განსაკუთრებულ რეზოლუციას მიიღებს, მასში შეტანილ იქნეს შემდეგი დებულებები: 1) მარტის გამოსვლა იყო არა პუტჩი, არამედ წინგადადგმული ნაბიჯი გერმანიის რევოლუციისა და პარტიის განვითარებაში, მისი დახასიათება როგორც არასაკმაოდ ღრმად მომზადებული შეტევისა მცდარია; 2) პ. ლევის გარიცხვა პარტიიდან სწორია; 3) ყოველგვარი ფრაქციული საქმიანობა გერმანიის გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიაში იკრძალება და სხვ.

ვ. ი. ლენინი, აღნიშნავდა რა, რომ ამ წერილზე სიტყვიერად გასცა პასუხი, ჩანს, გულისხმობდა თავის იმ გამოსვლას გერმანიის დელეგაციის და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების 1921 წლის 15 ივნისის გაერთიანებულ სხდომაზე, რომელშიც მკვეთრად იყვნენ გაკრიტიკებული გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის «მემარცხენე» ფრთის წარმომადგენლები. ამ გამოსვლის ტექსტი არ შემონახულა. მაგრამ კ. რადეკის, ვ. კიონენის, ა. ტალჰაიმერის, ბ. კუნისა და სხვების გამოსვლათა ჩანაწერში, რომელიც ლენინმა გააკეთა ამ სხდომაზე, არის შემდეგი შენიშვნა: «ლანძღვა VKPD გერმანელი მემარცხენეებისა. (15/VI. 1921)» (სკკპ

ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

ტაქტიკის შესახებ თეზისების განყოფილება «მარტის გამოსვლის გაკვეთილები» და რეზოლუცია «მარტის ამბები და გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტია», რომლებიც კომინტერნის III კონგრესმა მიიღო, იხ. წიგნში «კომუნისტური ინტერნაციონალი დოკუმენტებში. 1919 — 1932.» მოსკოვი, 1933, გვ. 194; 225 — **188.**

199 დაწერილია იმ დეპეშის უკანა გვერდზე, რომელიც გ. კ. ორჯონიკიძემ ვ. ი. ლენინს გაუგზავნა 1921 წლის 11 ივნისს. ორჯონიკიძე იტყობინებოდა, ლენინის 6 ივნისის დეპეშა (იხ. ეს ტომი, დოკუმენტები 198, 201) ა. პ. სერებროვსკის მისდამი უნდობლობის გამოვლინებად მიაჩნია და აყენებს თავისი წასვლის საკითხსო და ურჩევდა ლენინს გაეგზავნა სერებროვსკისათვის დამამშვიდებელი დეპეშა.—**189.**

200 ეს დოკუმენტი დაწერილია გ. ვ. ჩიჩერინის 1921 წლის 15 ივნისის წერილზე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი. ლაპარაკობდა რა საბჭოთა რუსეთში საქმეთა მდგომარეობის შესახებ ლორდ ემოტის კომისიის მოხსენებაზე ინგლისის პარლამენტისადმი, ჩიჩერინი გამოთქვამდა აზრს გამოვსულიყავით «ინგლისის საშინაო მდგომარეობის» ასეთივე «გამოკვლევით». მისი წინადადება იყო: «ოფიციალურად დაევალოს ამხ. რადეკს ხელი მოჰკიდოს ამ გეგმის განხორციელებას» (ხაზგასმულია ვ. ი. ლენინის მიერ).

19 ივნისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაადგინა: «პროექტი მიღებულ იქნეს, დაევალოს ამხ. რადეკს ხელი მოჰკიდოს შემოტანილი გეგმის განხორციელებას, ამასთან უფლება მიეცეს თავისი შეხედულებისამებრ ჩააბას ამ მუშაობაში სხვა ამხანაგები» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **190.**

201 ლონდონს წარგზავნილი საბჭოთა სავაჭრო დელეგაციის დეპეშის პროექტი დაწერილია იმ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, რომელიც ლონდონში ივლისის შუა რიცხვებში დაიწყო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარ ლ. ბ. კრასინსა და ინგლისელ მრეწველსა და ფინანსისტ ლ. ურკარტს შორის, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამდე იყო «რუსეთ-აზიის გაერთიანებული საზოგადოების» თავმჯდომარე და რუსეთში მსხვილ სამთო საწარმოთა მფლობელი (�itmi, რიდერი, ტანალიკი, ეკიბასტუზი), ამ უკანასკნელისათვის სასარგებლო წიაღისეულთა დამუშავებისა და ამოღების კონცესიების მიცე-

მის შესახებ. დეპეშის პროექტი ზოგიერთი დამატებით რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ დამტკიცა 1921 წლის 2 ივლისს.

აგვისტოდან სექტემბრამდე მოლაპარაკება წარმოებდა მოსკოვში. ლენინმა დასახა კონცესიის ძირითადი პირობები და ყურადღებით ადევნებდა თვალს მოლაპარაკების მსვლელობას და საკონცესიოდ გადასაცემ საწარმოთა გამომკვლევი კომისიის საქმიანობას (იხ. ლენინის კრებულები: XX, გვ. 188; XXIII, გვ. 63—69; XXXV, გვ. 219—223; XXXVI, გვ. 311—312).

მოლაპარაკების მსვლელობაში შემუშავებულ იქნა საკონცესიო ხელშეკრულების პროექტი. მაგრამ 1921 წლის ოქტომბერში ურკარტმა შეწყვიტა მოლაპარაკება და ჩავბა ანტისაბჭოთა კამპანიაში, ვარაუდობდა ზეგავლენისა და შანტაჟის დახმარებით საბჭოთა მთავრობისაგან სერიოზული დათმობანი მიეღო.

ურკარტთან მოლაპარაკება განახლდა 1922 წელს. იხ. ეს ტომი, დოკუმენტები 751, 755, 769, აგრეთვე თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 457—459, 478—479. — **191.**

202 ლ. ბ. კრასინი მისაღებად თვლიდა 25% წილობრივ ანარიცხს და იმოწმებდა წილობრივი ანარიცხების ოდენობას ნავთობის კონცესიებში (29%). — **191.**

203 ლაპარაკია ფასეულობათა სახელმწიფო საცავში ცვლებად მუშაობისათვის 2 000-მდე კომუნისტის მობილიზაციის შესახებ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1921 წლის 4 ივნისის დადგენილების შესრულებაზე.

1921 წლის 29 ივნისს შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ფასეულობათა სახელმწიფო საცავის მუშაობის დამკვრელურად ცნობის შესახებ, დაავალა ყველა დაწესებულებასა და სახალხო კომისარიატს ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობით 24 საათში რიგგარეშე შეესრულებინათ ფასეულობათა სახელმწიფო საცავის ყველა მოთხოვნა და განაცხადი და დასახა მთელი რიგი ზომები მისი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. — **191.**

204 დეკრეტი ხორცის ნატურალური გადასახადის შესახებ სახკომსაბჭომ მიიღო 1921 წლის 14 ივნისს და იგი გამოქვეყნებული იყო გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის № 133-ში 1921 წლის 22 ივნისს. — **192.**

205 1921 წლის 10 ივნისს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ლ. კ. მარტენსმა ვ. ი. ლენინს წარუდგინა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისათვის განკუთ-

ეწერილი თავისი მოხსენების პირი. მოხსენებაში დასმული იყო საკითხი, რომ საჭიროა საბჭოთა მრეწველობაში მოზიდულ იქნეს უცხოელი მუშები და უმთავრესად ის რუსი ემიგრანტები, რომლებიც ამერიკაში ცხოვრობენ და რომელთა სწრაფვა საბჭოთა რუსეთში წამოსვლისადმი გაძლიერდა 1920 წლის დამლევს — 1921 წლის დამდეგს ამერიკაში სამრეწველო კრიზისის დაწყებასთან დაკავშირებით. მარტენსის მოხსენება შეიცავდა არაერთ პრაქტიკულ წინადადებასაც უცხოელ მუშათა იმიგრაციის ორგანიზაციის შესახებ

მოხსენების 1-ლ გვერდზე ვ. ი. ლენინმა გააკეთა შენიშვნა: «NB: გვ. 9, თან ჩამოუტანიათ სურსათი», ხოლო მე-9 გვერდზე, ხაზი გაუსვა რა მარტენსის სიტყვებს «მათ თან ჩამოიტანეს ნახევარი წლის სურსათი», კიდეებზე მიაწერა: «NB» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

მარტენსის მოხსენება დართული ჰქონდა შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1921 წლის 22 ივნისის სხდომის № 224 ოქმს. ამ საკითხზე დაწერილებითი სტატია 1921 წლის 20 ივლისს მოთავსებული იყო გაზეთ «ეკონომიჩესკაია ჟიზნ»-ის № 157-ში, ხოლო შემდეგ გადაბეჭდილ იქნა ყოველთვიურ საინფორმაციო ჟურნალში «Soviet Russia» (ტომი, V, № 4, 1921, გვ. 156 — 158). — **198.**

206 ეს წერილი რომ მიიღო, ლ. კ. მარტენსმა ვ. ი. ლენინს უპასუხა, დაუყოვნებლივ შეუდგები მუშაობას შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების პროექტზე ამერიკიდან იმ პირთა სამრეწველო იმიგრაციის შესახებ, რომლებიც რუსეთიდან არიან გადასახლებული, და მას 6 საათისათვის მოვამზადებო.

იმავე დღეს, 1921 წლის 22 ივნისს, შრომისა და თავდაცვის საბჭომ სასურველად მიიჩნია «ცალკეული სამრეწველო საწარმოების ან საწარმოთა ჯგუფების განვითარება ამერიკელი მუშების ჯგუფებისათვის და ინდუსტრიულად განვითარებული გლეხებისათვის გადაცემის გზით სახელშეკრულებო პირობებით, რომლებიც მათთვის უზრუნველყოფს სამეურნეო ავტონომიის გარკვეულ დონეს» (ლენინის XX კრებული, გვ. 202). შრომისა და თავდაცვის საბჭომ საჭიროდ მიიჩნია აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მუშების სამრეწველო იმიგრაციის რეგულირება და დაავალა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შეემუშავებინა ამ მუშებისათვის საწარმოთა გადაცემის პირობები. — **194.**

207 1921 წლის 21 ივნისის წერილით საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრს მ. ვ. რიკუნოვს წინადადება შემოჰქონ-

და სახალხო კომისარიატის მუშაობის გაუმჯობესებისათვის აპარატი გაძლიერებულიყო კომუნისტებით, კოლეგია შევსებულიყო ორი-სამი პრაქტიკოსით, საზღვარგარეთ საქონლის გასაღების ორგანიზაციისათვის გამოეყენებინათ ყოფილი ექსპორტიორი ვაჭრები, ნებადართული ყოფილიყო თანამშრომელთათვის პრემიების მიცემა საეაჭრო მანეთიდან პროცენტული ანარიცხის საშუალებით და სხვ.

წერილს აქვს ვ. ი. ლენინის ხაზგასმები, წარწერები «სწორია!» რიკუნოვის ზოგიერთი წინადადების ქვეშ და შენიშვნა: რ ი კ უ ნ ო ვ ი ს ა გ ა ნ. 22/VI. ა მ ხ. მ ო ლ ო ტ ო ვ ს ». (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). წერილი გადაეგზავნა რკკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროსა და პოლიტბიუროს ყველა წევრს. წერილთან ერთად რიკუნოვმა წარადგინა მოხსენებითი ბარათიც საექსპორტო ფონდის შექმნის შესახებ. ამ მოხსენებითს ბარათზე ლენინის შენიშვნები და ხაზგასმები იხ. ლენინის XX კრებულში, გვ. 249—250. — **104.**

208 ეს დოკუმენტი დაწერილია კაშირის ელექტროსადგურის მშენებლობის მთავარი ინჟინრის გ. დ. ციურუპას 1921 წლის 22 ივნისის ტელეფონოგრამაზე ვ. ი. ლენინისადმი. ციურუპა იტყობინებოდა, რომ მშენებლობას არა აქვს ფული და ამიტომ მომარაგება საშენი და სხვა მასალებით, აგრეთვე მუშებისათვის ხელფასის მიცემა ფერხდებაო.

1921 წლის 23 ივნისს მცირე სახკომსაბჭომ განიხილა ლენინის წინადადება და დაავალა ფინსახკომს ვალდებული გაეხადა მოსკოვის საბჭოს საფინანსო განყოფილება უზრუნველეყო კაშირის მშენებლობა ფულის საჭირო რაოდენობით ყოველგვარ რიგს გარეშე. — **195.**

209 1921 წლის 23 ივნისის მოხსენებაში გ. ი. ბოკი ატყობინებდა ვ. ი. ლენინს, თუ რა ზომები მიიღო ფასეულობათა სახელმწიფო საცავში დატაცებათა თავიდან ასაცილებლად. ამავე დროს ბოკიმ ლენინს გაუგზავნა ფასეულობათა სახელმწიფო საცავის გამომკვლევი კომისიის წინასწარი მოხსენების პირი, მოხსენება შეიცავდა წინადადებებს საცავის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. 6 ივლისს ლენინს გაეგზავნა ფასეულობათა სახელმწიფო საცავის რეორგანიზაციის სამუშაოთა კალენდარული გეგმა. — **195.**

210 ლაპარაკია «ფასეულობათა სახელმწიფო საცავის სამუშაოთა დამკვრელურად აღიარების შესახებ» დადგენილების პროექტზე, რომელიც ფინსახკომმა შეიტანა შრომისა და თავდაცვის საბჭოში 1921

წლის 24 ივნისს. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დადგენილება მიიღო 29 ივნისს. — **105.**

211 ლაპარაკია იმ კომისიის 1921 წლის 24 ივნისის დადგენილების პროექტზე, რომელშიც შედიოდნენ ა. მ. ლეჟავა, ლ. მ. ხინჩუკი, პ. ლ. ვოიკოვი და მ. ი. ფრუმკინი. დადგენილების პროექტში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საჭიროა პურის შესყიდვა საზღვარგარეთის ბაზრებზე და ამისათვის 100 მლნ მანეთის კრედიტის გაცემა.

ამ პროექტზე ვ. ი. ლენინს გაუკეთებია შენიშვნები: «საიდუმლო», «არქივში» და გვერდზე მიუწერია: «ორი დამატება: 1) ყოველკვირეულად ანგარიში ამ ოპერაციის შესრულებისა და მიმდინარეობის შესახებ ევალებათ ლეჟავას+ფრუმკინს+ხინჩუკს. 2) გაეგზავნა ფრუმკინს» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

ლენინის ეს დამატებანი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ გაითვალისწინა «პურის შესყიდვათა შესახებ» 25 ივნისს მიღებულ დადგენილებაში. კრასინისათვის ლონდონს გაგზავნილ დეპეშაში ლეჟავამ ხაზი გაუსვა იმას, რომ ლენინი «განსაკუთრებით გვთხოვს დავაჩქაროთ პურის დიდი პარტიის შესყიდვა და ჩამოტანა» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **106.**

212 1921 წლის 5 ივლისის საპასუხო წერილში ვ. დ. კაისაროვი იტყობინებოდა, რომ გეოგრაფიული ატლასის შემდგენი განსაკუთრებული სამეცნიერო კომისია კისრულობს შეიმუშაოს მ. პ. პავლოვიჩისათვის ვ. ი. ლენინის მიერ გაგზავნილ წერილში დასახული საკითხები (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, დოკუმენტი 283), ითხოვდა მისი ორი წევრის მიელინებას ბერლინში დასავლეთ ევროპის ეკონომიკის ახალი მასალების შესაძენად და აღნიშნავდა, რომ სასურველია მოსკოველი სპეციალისტების ჩაბმა ატლასის შედგენაზე მუშაობაში. წერილში აღნიშნული იყო, კომისიის სამუშაოთა პროგრამა და კალენდარული გეგმა ლენინს მოკლე ხანში გაეგზავნებაო.

ლენინმა ამ წერილზე გააკეთა შენიშვნები და ხაზგასმები და დაუწერა მთელი რიგი განკარგულებები ლ. ა ფოტიევას (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 140, აგრეთვე ლენინის XX კრებული, გვ. 321—322).—**107.**

213 დოკუმენტი დაწერილია იმასთან დაკავშირებით, რომ ვ. ი. ლენინს გაუგზავნეს მოსკოვის III ინტერნაციონალის სახელობის № 36 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა (ამერიკიდან ჩამოსულ ემიგრანტთა) საერთო კრების რეზოლუცია.

აღნიშნავდნენ რა, რომ თვის განმავლობაში ვერ აუმუშავებიათ

ფაბრიკა მათ მიერ ამერიკიდან ჩამოტანილი უახლესი მანქანებითა და მოწყობილობით, მუშები ლენინს სთხოვდნენ დახმარება გაეწია იმ მასალების მიღებაში, რომლებიც საჭირო იყო ფაბრიკის მოწყობის დასამთავრებლად და შენობის რემონტისათვის, აგრეთვე საცხოვრებელი ბინების მიღებაში.

1921 წლის 27 ივნისს ლენინმა ხელი მოაწერა წერილებს ლ. კ. მარტენსისა და მოსკოვის სახალხო მეურნეობის საგანგებო საბჭოს თავმჯდომარის ვ. ტ. ლიხაჩოვისადმი, რომლებითაც წინადადებას აძლევდა მათ აღმოეფხვრათ ყოველგვარი გაჭიანურება ამ საქმეში და დახმარებოდნენ ემიგრანტ მუშებს ფაბრიკის რაც შეიძლება მალე ამუშავებაში (იხ. ლენინის XX კრებული, გვ. 201). — [illegible]

214 ეს დეპეშა დაიწერა პასუხად სამარყანდის ორგანიზაციის კომუნისტთა ჯგუფის 1921 წლის 15 ივნისის წერილისა «მსოფლიო კომუნისტური რევოლუციის არმიის პირველ ჯარისკაცს», რომელშიც კომუნისტები მხურვალედ მიესალმებოდნენ ვ. ი. ლენინს და იწონებდნენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. წერილის კონვერტზე ლენინმა დააწერა მდივნისადმი დავალება, დათარიღებული 1921 წლის 27 ივნისით: «**ახსწრაფოდ.** გაუგზავნეთ მადლობისა და მოწონების დეპეშა. მომეცით პროექტი» (ლენინის XX კრებული, გვ. 117). საპასუხო დეპეშის პროექტი შეადგინა სახკომსაბჭოს სამდივნომ ლენინის მითითებათა საფუძველზე. — **199.**

215 1921 წლის გაზაფხულზე ამერიკელ მკერავ მუშათა ჯგუფმა შეაგროვა სახსრები, შეისყიდა სამრეწველო მოწყობილობა და გამოემგზავრა საბჭოთა ქვეყანაში. ამ ჯგუფს შესაძლებლობა მიეცა მოეწყო № 36 სამკერვალო ფაბრიკის მუშაობა მოსკოვში. ფაბრიკის მოსაწყობად ლენინის პირადი მითითებით გამოყოფილ იქნა ოთხსართულიანი შენობა.

1921 წლის 16 ივნისს ამერიკელმა მუშებმა მიმართეს ლენინს კოლექტიური წერილით, რომელშიც სთხოვდნენ დახმარებას ფაბრიკის აშენების დამთავრებაში. ლენინმა უაღრესად ცხოველი მონაწილეობა მიიღო ფაბრიკის ასამუშავებლად მომზადებაში (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 53, დამატებანი, დოკუმენტები 2 და 3). — **200.**

216 1921 წლის 20 ივლისს შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა ზომების მიღებას თევზის მრეწველობისა და თევზის გადაზიდვის შესახებ გაგზავნილ დეპეშათა შეფერხების აღმოსაფხვრელად. — **201.**

217 წერილის პირველ ნაწილში ვ. ი. ლენინმა შენიშვნები გაუკეთა პირველ ვარიანტს გ. მ. კრჟიჟანოვსკის სტატიისას «ჩვენს კრიტიკოსებს». გ. მ. კრჟიჟანოვსკის სტატია პასუხი იყო გაზეთ «პრავდაში» 1921 წლის 9 ივნისს გამოქვეყნებული ი. ლარინის სტატიისა «საბჭოთა მრეწველობის საიდუმლოებანი», სადაც გაკრიტიკებული იყო სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობა. გ. მ. კრჟიჟანოვსკი ვ. ი. ლენინს სწერდა: «მაშინ ცხელ გულზე დავწერე სტატია «ჩვენს კრიტიკოსებს», მაგრამ შემდეგ მეტად ფელეტონისებური მეჩვენა და გადავწყვიტე მოვსპო; თუ წუთი თავისუფალი დრო გექნათ თავშესაქცევი კითხვისათვის, ცალი თვალი გადაავლეთ...» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). შემდგომ გ. მ. კრჟიჟანოვსკიმ გადააკეთა თავისი სტატია (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 53, დოკუმენტი 298).

წერილის მეორე ნაწილი (სიტყვებიდან: «ხოლო შრომისა და თავდაცვის საბჭოში მოხსენებისათვის») შეიცავს ლენინის წინადადებებს გ. მ. კრჟიჟანოვსკის მიერ შრომისა და თავდაცვის საბჭოში გასაკეთებელი მოხსენებისათვის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობის შესახებ. მოხსენება გაკეთებულ იქნა 1921 წლის 8 ივლისს.—202.

218 ეს წერილი ვ. ი. ლენინმა დაწერა, როგორც ჩანს, ლ. ბ. კრასინის 1921 წლის 4 ივლისის დეპეშასთან დაკავშირებით. ამ დეპეშით კრასინი იტყობინებოდა, რომ რუსმა კონტრრევოლუციონერებმა (მონარქისტებმა, კადეტებმა და მემარჯვენე ესერებმა) პარიზში 1921 წლის ივნისის მიწურულს მოიწვიეს ყრილობა. რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ივლისის დამლევს ან აგვისტოს დამდეგს კრონშტადტსა და პეტროგრადში მოეწყოთ აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით. — 206.

219 1921 წლის 7 ივლისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას დაავალა მიეღო სიფრთხილის საჭირო ზომები და აგრეთვე დაადგინა გაგზავნილი ყოფილიყვნენ «პეტერში უახლოესი კვირეების მანძილზე კომუნისტი მელითონე მუშები — პარტიის ძველი წევრები» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — 207.

220 დოკუმენტი დაწერილია სურსათის სახალხო კომისრის მოადგილის ნ. პ. ბრიუხანოვის და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილის ა. მ. ლეჟავას მიერ რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში შეტანილ მოხსენებითს ბარათზე, რომლითაც ისინი იტყობინებოდნენ,

რომ შესაძლებელია ჩრდილო-აღმოსავლეთ სპარსეთში 5 მილიონი ფუთი ხორბლის შესყიდვა და ამ მიზნით თხოულობდნენ 4 მილიონი მანეთის გამოყოფას ვერცხლით. 1921 წლის 6 ივლისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ეს წინადადება მოიწონეს.

18 ივლისს მცირე სახკომსაბჭომ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს გამოუყო 4 მლნ მანეთი — **207.**

221 ლაპარაკია თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს (თავმჯდომარე ა. ი. პოტიაევი) და სურსათის სახალხო კომისარიატის კონფლიქტზე. მათ შორის უთანხმოების არსი ის იყო, რომ თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველო დაჟინებით მოითხოვდა შეეყვანათ იგი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მთავარი სამმართველოების სისტემაში, ხოლო სურსათის სახალხო კომისარიატს უნდოდა შეენარჩუნებინა ხელმძღვანელობა თევზის მრეწველობის მთავარ სამმართველოსადმი.

1921 წლის 7 ივლისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიამ, რომელიც კონფლიქტის გასარჩევად შეიქმნა, დაადგინა თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველო დაეტოვებინათ სურსათის სახალხო კომისარიატში და დაავალა ორივე დაწესებულების ხელმძღვანელებს მჭიდრო კონტაქტით ემუშავათ და ნორმალური ურთიერთობა დაემყარებინათ.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა კონფლიქტის უსწრაფეს ლიკვიდაციას, ვინაიდან ცენტრში მომხდარი უთანხმოება უარყოფითს გავლენას ახდენდა ძირეული აპარატის მუშაობაზე. ამ საკითხზე იხ. ეს ტომი, დოკუმენტები 272, 273, 274, 275, 276, 290; თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 53, დოკუმენტები 50, 119. — **208.**

222 იგულისხმება ლენინის 1921 წლის 6 ივლისის სიტყვა კომინტერნის III კონგრესის ტაქტიკის კომისიაში ჩეხოსლოვაკიის საკითხზე. — **209.**

223 რაზეა ლაპარაკი, დადგენა ვერ მოხერხდა. — **209.**

224 რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1921 წლის 9 ივლისს მიიღო შემდეგი დადგენილება: «მიეცეს ამხ. ლენინს ერთი თვის შვებულება და ამასთანავე ნება დაერთოს შვებულების დროს ესწრებოდეს მხოლოდ პოლიტბიუროს სხდომებს (მაგრამ არა სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომებს, გარდა სპეციალური შემთხვევებისა — ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს გადაწყვეტილებით)». — **210.**

225 ეს სარათი დაწერილია გ. ვ. ჩიჩერინის 1921 წლის 9 ივლისის წერილზე, რომელშიც იგი იტყობინება საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლის ფრიტიოფ ნანსენის წინადადებას, პეტროგრადის მოსახლეობას სურსათს გაუგზავნით იმ პირობით, თუ მის განაწილებაზე დაწესდება ზედამხედველობა უცხოელი წარმომადგენლის მონაწილეობით (იხ. ეს ტომი, შენიშვნა 227). — 210

226 ლაპარაკია შესწორებებზე, რომლებიც ვ. ი. ლენინმა შეიტანა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საწყისების განხორციელების შესახებ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თეზისების პროექტში. ეს პროექტი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო 1921 წლის 6 ივლისს (იხ. ლენინის XX კრებული, გვ. 102—106). პროექტის ტექსტი ვ. ი. ლენინის შესწორებებით გაეგზავნათ გ. მ. კრჟიჟანოვსკის, ი. ტ. სმილგას, ნ. პ. ბრიუხანოვს, ა. მ. ლეკარეს, ვ. ა. ავანესოვს და ვ. ვ. შმიდტს. 11 ივლისს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კვლავ განიხილა თეზისების პროექტი, დაამტკიცა იგი და განსახილველად გადასცა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. 1921 წლის 12 ივლისს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თეზისები განხილულ იქნა სახკომსაბჭოში, ხოლო 16 ივლისს — რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში. პოლიტბიურომ მიიღო თეზისები როგორც საფუძველი და გამოყო კომისია მათი რედაქტირებისათვის. კომისიამ წარადგინა თეზისების ახალი ვარიანტი, რომელშიც ვ. ი. ლენინმა აგრეთვე შეიტანა შესწორებები (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 44, გვ. 73). ეს პროექტი განხილულ იქნა 23 ივლისს პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების კომუნისტური ფრაქციის, პროფკავშირთა მოსკოვის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმისა და პეტროგრადის პროფკავშირთა წარმომადგენლების კრებაზე. კრებამ თეზისები მიიღო როგორც საფუძველი და გამოყო კომისია, რომელმაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის კომისიასთან ერთად საბოლოო რედაქცია გაუკეთა თეზისებს. 9 აგვისტოს თეზისები მიიღო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და იმავე დღეს საკანონმდებლო წესით გაფორმებულ იქნა სახკომსაბჭოს მიერ როგორც «სახკომსაბჭოს განაწესი ახალი ეკონომიური პოლიტიკის საწყისების განხორციელების შესახებ» (იხ. «სკკპ და საბჭოთა მთავრობის დირექტივები სამეურნეო საკითხებზე», ტომი 1, მოსკოვი, 1957, გვ. 254 — 259).

ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 240, 241, 242.—211.

227 წარწერა გაკეთებულია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. მ. მოლოტოვის წერილზე, რომელშიც პოლიტბიუროს წევრთა

კენჭისსაყრელად დაყენებული იყო ორი წინადადება: 1) დავალება პ. ა. ბოგდანოვისა და გ. ვ. ციპეროვიჩის კომისიას შეიმუშაოს პროექტი გერმანულ კონსორციუმთან ხელშეკრულებისა პეტროგრადის ლითონის მრეწველობის აღდგენაში მონაწილეობის შესახებ; 2) ფრიტიოფ ნანსენის წინადადება პეტროგრადის მოსახლეობისათვის სურსათის გაგზავნის შესახებ. 1921 წლის 11 ივლისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ეს წინადადებები მიიღო.—214

228 ვ. ა. სმოლიანინოვისადმი ბარათები დაწერილია კარსკის იმ ექსპედიციის გამზადების თაობაზე, რომელსაც ციმბირში, ობისა და ენისეის შესართავებთან, უნდა წაეღო საქონელი შვეიცის კონცერნთან საქონელგაცვლის მოწყობის მიზნით. ციმბირის რევკომის თავმჯდომარის მოადგილე ს. ე. ჩუცკაევი ვ. ი. ლენინისათვის 1921 წლის 8 ივლისს გამოგზავნილ დეპეშაში წერდა: მეეჭვება, რომ კარსკის ექსპედიცია წარმატებით დამთავრდეს, რადგან ლ. ბ. კრასინმა გააუქმა შვედებთან დადებული ხელშეკრულება და საქონელს ინგლისელებისაგან ყიდულობს.

1921 წლის 14 ივლისს ვ. ი. ლენინის დავალებით ვ. ა. სმოლიანინოვმა ლ. ბ. კრასინთან ერთად შეადგინა ს. ე. ჩუცკაევისადმი სპასუხო ბარათი, რომელშიც ატყობინებდა ექსპედიციის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომების შესახებ. — 214.

229 დაწერილია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1921 წლის 12 ივლისის სხდომაზე დამშეულთათვის დახმარების სრულიად რუსეთის კომიტეტის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. ნ. ა. სემაშკო კომიტეტის ჩამოყალიბების წინააღმდეგი იყო და ამას იმით ასაბუთებდა, რომ მენშევიკებმა და ესერებმა შეიძლება კომიტეტი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მტრული საქმიანობისათვის გამოიყენონო. ამისათვის ხელი რომ შეეშალა, პოლიტბიურომ მოიწონა კომიტეტში კომუნისტური ჯგუფის შექმნის გეგმა და დაადგინა კომიტეტის პრეზიდიუმში შეეყვანათ ბურჟუაზიულ «საზოგადოებრივ მოღვაწეთა» მხოლოდ გარკვეული რაოდენობა. — 215.

230 მუშგლეხინის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრთან ა. ა. კოროსტელევთან საუბარში 1921 წლის ივლისის დამდეგს ლენინმა წინადადება წამოაყენა მუშგლეხინის სახალხო კომისარიატთან შეექმნათ სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელობის კომისია. ამ საკითხზე კოროსტელევს მოხსენება უნდა გაეკეთებინა მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე. მაგრამ მისი მოხსენება თავდაპირველად დასახულ ვადაზე არ შემდგარა, რადგან საბჭოების III საგუბერნიო კონფერენციის დაწყების მომენტს დაემთხვა. კოროსტელევის მოხსენება

მოისმინა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის ახალმა შემადგენლობამ 1921 წლის 15 ივლისს.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რა სამეურნეო ორგანოების ხელშემწყობი კომისიის საქმიანობას, ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ რეგულარულად ეცნობებინათ მისთვის ამ კომისიის მუშაობის მიმდინარეობის ამბავი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, დოკუმენტი 292; მე-5 გამოც., ტომი 53, დოკუმენტი 133). — **216**.

231 დოკუმენტი დაწერილია კომუნისტი წითელარმიელის ი. ა. სემიანიკოვის წერილთან დაკავშირებით, რომლითაც იგი ვ. ი. ლენინს ატყობინებდა შემთხვევებს, როცა დონის ოლქის სურსათის დარგის მუშაკები და პასუხისმგებელი კომუნისტები იჩენდნენ უყაირათობას, იტაცებდნენ სახელმწიფო ქონებას და ამეტებდნენ ძალაუფლებას. იგი თხოულობდა დაუყოვნებლივ მიეღოთ ზომები ამ უმსგავსობათა შესაწყვეტად, რომლებიც მუშებისა და გლეხების აღშფოთებას იწვევდა. — **216**.

232 ამერიკის მესამე პარტიის — მუშურ-გლეხური თუ მუშურ-ფერმერული კავშირის ლენინისეული დახასიათება იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 157—160.

1921 წლის 14 ივლისის საპასუხო წერილში მ. მ. ბოროდინი იტყობინებოდა, რომ არსებული მასალის საფუძველზე იგი 5 დღის განმავლობაში შეადგენს მოხსენებითს ბარათს. ბოროდინის წერილს ვ. ი. ლენინმა დააწერა დავალება მდივნისადმი: «გთხოვთ გამახსენოთ ერთი კვირის შემდეგ. 14. VII. ლ ე ნ ი ნ ი», რასაც შემდეგ ხაზი გადაუსვა და აღნიშნა: «არქივში»,

ბოროდინის მოხსენებითი ბარათი რომ მიიღო, ლენინმა დაწერა პასუხი (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 284). — **217**.

233 დაწერილია ა. ა. კოროსტელევის იმ წერილის პასუხად, რომელშიც იგი განმარტავს თუ რატომ არ შეუდგა მუშაობას სამეურნეო ორგანოების ხელშემწყობი კომისია, კერძოდ იმოწმებს იმას, რომ მუშათა კოლექტიური მომარაგება ჯერ კიდევ არ არის შემოღებული მოსკოვისა და პეტროგრადის საწარმოებშიო. — **219**.

234 იაროსლავლის გუბერნიის აღმასკომის თავმჯდომარე 1921 წლის 14 ივლისის დეპეშაში იტყობინებოდა, რომ ვოლგაზე დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს სასურსათო ტვირთების დატაცება ხდებაო. — **219**.

235 იგულისხმება პროექტი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა, რომ დაუშვებელია ბაქოს მუშაკების მიერ სპარსეთის (ირა-

ნის) მიმართ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის დარღვევა. დადგენილება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო 1921 წლის 3 ოქტომბერს. — **220.**

236 «Rudé Pravo» («წითელი სამართალი») — ყოველდღიური გაზეთი, ჯერ ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული (მემარცხენე) პარტიის ორგანო, შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის (მენტი 324; თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 53, დოკუმენტი 65).—**221**

237 იგულისხმება ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული (მემარცხენე) პარტიის ყრილობა, რომელიც 1921 წლის 14—16 მაისს პრაღაში გაიმართა და რომელმაც დასაბამი მისცა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას.

ლენინი გულმოდგინედ სწავლობდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის დამფუძნებელი ყრილობის მასალებს (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 324; თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 53, დოკუმენტი 65)—**221.**

238 იგულისხმება ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვის ბროშურა «რსფს რესპუბლიკის ელექტრიფიკაცია მსოფლიო მეურნეობის გარდამავალ ფაზასთან დაკავშირებით», რომელიც 1922 წელს გამოვიდა ვ. ი. ლენინის წინასიტყვაობით (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 285—287). — **222.**

239 ლაპარაკია კ. უხანოვის და ნ. ბორისოვის ბროშურაზე «ქ. მოსკოვის როგოჟსკ-სიმონოვოს რაიონის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს ცხოვრებიდან და საქმიანობიდან (1917 წ. მარტი — 1921 წ. იანვარი)». ერთი ცალი ეს ბროშურა, რომელსაც ვ. ი. ლენინის შენიშვნები აქვს, ინახება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში. დოკუმენტზე არის ლენინის ხელით გაკეთებული შემდეგი ჩანაწერი: «მოსკოვი, ლენინსკაია სლობოდა (სიმონოვო), ყოფ. «დინამოს» ქარხანა». — **222.**

240 1921 წლის 1 აგვისტოს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულმა დამშეულთა დახმარების ცენტრალურმა კომისიამ მიმართა რსფსრ გლეხებსა და ყველა მშრომელ მოქალაქეს და მოუწოდა ყოველი ფუთი გალეწილი მარცვლეულიდან თითო გირვანქა გადაერიცხათ დამშეული რაიონების სასარგებლოდ. 4 აგვისტოს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება დამშეულთა სასარგებლოდ იმ სასურსათო პროდუქტების ყოველი ფუთიდან ერთი

პროცენტის გადარიცხვის შესახებ, რომელთა დამზადება წარმოებდა საქონელგაცვლის გზით (გამოქვეყნებულია 1921 წლის 6 აგვისტოს გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის № 172-ში). — **224.**

241 ლიტარაკია წერილზე, რომელიც ვ. ი. ლენინს გამოუგზავნეს რევოლუციურ პროფესიულ კავშირთა I საერთაშორისო კონგრესზე წარმოგზავნილმა გერმანიის პროფესიულ კავშირთა დელეგაციის წევრებმა (1921 წლის ივლისი) რ. მიულერმა და გ. მალცანმა იმ ორგანიზაციული საკითხის გამო კონგრესის რეზოლუციის შესახებ, რომელიც გერმანიის პროფკავშირებს ეხებოდა.

დაარსების შემდეგ გერმანიის გაერთიანებულმა კომუნისტურმა პარტიამ ყველა პროფკავშირში შექმნა კომუნისტური ფრაქციების ქსელი. ამის საპასუხოდ პროფკავშირულმა ბიუროკრატიამ, რომელსაც სურდა კომუნისტების იზოლაცია პროფკავშირული მასებისაგან, გარიცხა პროფკავშირებიდან წამყვანი კომუნისტები და ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაცია მთლიანად. — **228.**

242 იგულისხმება გ. ვ. ჩიჩერინის პროტესტი იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ დადებულიყო საკონცესიო ხელშეკრულება ინგლისის ფირმა «ბოლტონთან» პეტროგრადში თავისუფალი ნავსადგურის მოწყობის შესახებ. ჩიჩერინი აღნიშნავდა, ეს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის რესპუბლიკის საგარეო უშიშროებასო.

ეს საკითხი არაერთხელ იქნა განხილული შრომისა და თავდაცვის საბჭოში და მცირე სახკომსაბჭოში. საბოლოო ანგარიშით წინადადება პეტროგრადში თავისუფალი ნავსადგურის მოწყობაზე საკონცესიო ხელშეკრულების დადების შესახებ არ ყოფილა მიღებული. — **230.**

243 1921 წლის 22 ივლისს შრომისა და თავდაცვის საბჭომ განიხილა ეს საკითხი და მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად უცხოეთის სახელმწიფოების ყველა მისია, აგრეთვე ცალკეული უცხოელები, რომლებიც რუსეთში ჩამოდიოდნენ, სურსათს იღებდნენ სურსათის სახალხო კომისარიატის დახურული განმანაწილებელი პუნქტიდან საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში რეგისტრირებული სასურსათო წიგნაკებით. — **232.**

244 ლაპარაკია მიწსახკომის ცხენსაშენებისა და მეცხენეობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის მ. კრუჩინსკის წერილზე, რომელიც იტყობინებოდა მეცხენეობის მძიმე მდგომარეობის შესახებ და ამას მიწსახკომის ცუდი მუშაობით ხსნიდა. — **233.**

245 იგულისხმება ასტრახანში თევზჭერის დარგში შრომისა და თავდაცვის საბჭოს რწმუნებულის ი. პ. ბაბკინის 1921 წლის 16 ივნისის

მოხსენება «ასტრახანის სახელმწიფო თევზის მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობა და უახლესი პერსპექტივები».

ვ. ი. ლენინის შენიშვნები და აღნიშვნები ბაკინის მოხსენებაზე იხ. ლენინის XX კრებული, გვ. 293 — 298.

1921 წლის 27 ივლისს შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო დადგენილება «თევზის მრეწველობისა და თევზის გატანის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ», რომელიც ავრეოეე განსაზღვრავდა თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს და სურსათის სახალხო კომისარიატის ურთიერთდამოკიდებულების ფორმებს. — 234.

246 ეს და მომდევნო დოკუმენტები დაწერილია იმ წერილთან დაკავშირებით, რომელიც გ. ვ. ჩიჩერინმა მ. მ. შეინმანს გაუგზავნა. წერილში ნათქვამი იყო, საჭიროა დაჩქარდეს ქართველი მენშევიკების მამხილებელი ნარკვევის მომზადებაო, ამასთან გ. ვ. ჩიჩერინი სთხოვდა მ. მ. შეინმანს, გამოგვიგზავნეთ საქართველოს კონფლიქტის დიპლომატიური მხარის ნაწილობრივი ნარკვევებიო. — 239.

247 ლაპარაკია ნ. ლ. მეშჩერიაკოვის ბროშურაზე «მენშევიკურ სამოთხეში. საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებიდან», რომელიც გამოცემული იყო 1921 წელს. — 239.

248 ლაპარაკია მოსკოვის გუბერნიის სურსათის კომისრის პ. ს. სოროკინის მოხსენებითს ბარათზე იმის შესახებ, თუ მძიმე სასურსათო მდგომარეობასთან დაკავშირებით როგორ ასრულებდა მოსკოვის სამომხმარებლო კომუნა მომარაგებიდან მუშაოლთა 30%-ის მოხსნის თაობაზე სახკომსაბჭოს 1921 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებას. სახკომსაბჭოს 1921 წლის 26 ივლისის სხდომაზე შეიქმნა კომისია მოსკოვის სამომხმარებლო კომუნის მიერ გაწეული მუშაობის შესამოწმებლად. კომისიას, კერძოდ, ეევალებოდა გამოერკვია, შეესაბამება თუ არა საქმის ინტერესებს ულუფებიდან იმ კატეგორიების მოხსნა, რომლებიც მოსკოვის კომუნამ დააწესა, და შესაძლებელი ხომ არ არის ულუფებიდან მოიხსნას მოსკოვის მთელი არამშრომელი მოსახლეობაო. — 241.

249 იგულისხმება სომხეთის ნაციონალისტურ პარტია დაშნაკცუტიუნთან 1921 წლის 14 ივლისის შეთანხმების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა სომხეთთან თურქეთის იმ ტერიტორიის შეერთებას, რომელიც სომხებით იყო დასახლებული, და «დამოუკიდებელი» სომხეთის შექმნას. 1921 წლის 26 ივლისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ უარყო შეთანხმების ეს პროექტი. — 242.

250 დიდ ბრიტანეთში წარგზავნილი საბჭოთა წარმომადგენლის მოადგილე ნ. კ. კლიშკო ხსენებული დეპეშით იტყობინებოდა, რომ მიიღო წინადადება რუსეთის დამშეულთათვის სახსრების შეგროვების ინგლის-რუსეთის კომიტეტის დაარსების შესახებ და დათქვა ამ კომიტეტის მოწყობის გარკვეული პირობები, მათ შორის ინგლისის მთავრობის წრეების კარგი დამოკიდებულება საბჭოთა მთავრობისადმი. — **248.**

251 დოკუმენტი დაწერილია გ. ვ. ჩიჩერინის 1921 წლის 24 ივლისის წერილთან დაკავშირებით, რომლითაც იგი იტყობინებოდა, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს მოუხდა ეზრუნა მსახიობ აისედორა დუნკანის მოწყობისათვის, რომელიც რუსეთში ჩამოვიდა ა. ვ. ლუნაჩარსკის და ლ. ბ. კრასინის მოწვევით. გ. ვ. ჩიჩერინი აცნობებდა საკითხს იმის შესახებ, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი არ უნდა ზრუნავდეს იმ უცხოელების მოწყობისათვის, რომლებიც რუსეთში ჩამოდიან და დაკავშირებული არ არიან ოფიციალურ მისიებთან. — **248.**

252 «ს ა ბ ჭ ო» («Sowiet») — ყოველთვიური ჟურნალი, გამოდიოდა ბერლინში პაულ ლევის რედაქტორობით 1919 წლიდან 1921 წლის 1 ივლისამდე. გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიიდან პაულ ლევის გარიცხვის შემდეგ, 1 ივლისიდან ჟურნალმა მიმართულება შეიცვალა და გამოდიოდა სახელწოდებით «Unser Weg» («ჩვენი გზა»). გამოცემა შეწყდა 1922 წლის დამლევს. — **245.**

253 როზა ლუქსემბურგის ხელნაწერი პაულ ლევიმ 1922 წელს თავისი წინასიტყვაობით გამოსცა სახელწოდებით «Die russische Revolution. Eine kritische Würdigung. Aus dem Nachlaß von Rosa Luxemburg» («რუსეთის რევოლუცია. კრიტიკული ნარკვევი. როზა ლუქსემბურგის მემკვიდრეობიდან»). ამის პასუხად კლარა ცეტკინმა 1922 წელს გამოსცა წიგნი «Um Rosa Luxemburg Stellung zur russischen Revolution" («როზა ლუქსემბურგი და რუსეთის რევოლუცია». მოსკოვი — ლენინგრადი, 1922), რომელშიც ცხადყო ლევის რენეგატობა და გადმოსცა როზა ლუქსემბურგის ნამდვილი შეხედულებანი რუსეთის რევოლუციაზე.

პაულ ლევის ლენინისეული შეფასება იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 234 — 240. — **246.**

254 ეს ბარათი დაწერილია ლ. ბ. კრასინის 1921 წლის 27 ივლისის წერილზე. ამ წერილით იგი იტყობინებოდა ინგლისის იმ გემთსამშენებლო ფირმებთან შეთანხმების პირობებს, რომლებიც საბჭოთა

რუსეთს სთავაზობდნენ გრძელვადიან კრედიტს ხომალდების ასაშენებლად შავი ზღვის, კასპიის ზღვისა და ვოლგის სავაჭრო ფლოტისა და მარიას წყალთა სისტემისათვის. ამასთან დაკავშირებით კრასინმა წინადადება წამოაყენა, რომ ამ ფირმებს ან ინგლისის მთავრობას მოეცათ დამატებითი კრედიტი წარმოების საშუალებათა შესასყიდად, და რჩევას იძლეოდა შემუშავებული ყოფილიყო გეგმა კრედიტის გამოყენებისა სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის.—**247.**

255 დოკუმენტი დაწერილია სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ი. ს. უნშლიხტის მოხსენებითის ბარათზე. ი. ს. უნშლიხტი წინადადებას აყენებდა, რომ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიაში ინტერნირებული იმ თეთრი ჯარების კერძოს მიზნით, რომლებზეც ს. ვ. პეტლიურა და ბ. ვ. სავინკოვი ადგენენ სამხედრო იმედებს ამყარებდნენ, გამოგვეცხადებინა ყველა ინტერნირებული ჯარისკაცის ამნისტია გარკვეულ პირობათა და შეზღუდვათა დაცვით. ეს წინადადება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო. — **248.**

256 დოკუმენტზეა ლენინის მინაწერი: «რატომ არ არის შესრულებული?» ლაპარაკია იმ განკარგულებებზე, რომლებიც ა. ი. პოტიაევს მიეცა 1921 წლის 24 ივლისის წერილში (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 272).—**249.**

257 ხსენებულ სტატიაში ნ. ნ. ვაშკოვი იძლევა იმის მოკლე მიმოხილვას, რაც გაკეთდა ელექტრიფიკაციის დარგში, მოყვანილი აქვს 1917 — 1921 წლებში ახალი საქალაქო და სასოფლო ელექტროსადგურების ზრდის ცხრილი. სტატიაში ლაპარაკი იყო აგრეთვე ენერგეტიკული რესურსებისა და ელექტრიფიკაციაში მოთხოვნილებათა გამოკვლევისათვის ადგილებზე დაწყებული მუშაობის შესახებ. — **250.**

258 ლაპარაკია სრულიად რუსეთის VIII ელექტროტექნიკურ ყრილობაზე, რომელიც მოწვეული იყო ვ. ი. ლენინის ინიციატივით საბჭოების VIII ყრილობის რეზოლუციის შესასრულებლად «გოელროს» გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებული ტექნიკურ-ეკონომიური საკითხების ყოველმხრივი განხილვის მიზნით. ყრილობის წინ ყველა საგუბერნიო აღმასკომის ელექტროგანყოფილებებს დაეგზავნა დეპეშები, რომ დელეგატებისათვის გამოეტანებინათ ცნობები ყველა არსებული ელექტროსადგურის შესახებ (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 327). — **251.**

259 ლაპარაკია გ. ი. მიასნიკოვის სტატიაზე «მტკივნეული საკითხები», რომელიც 1921 წლის 27 ივლისს დაწერა. გ. ი. მიასნიკოვისათვის

1921 წლის 5 აგვისტოს გაგზავნილ წერილში ვ. ი. ლენინმა მკვეთრად გააკრიტიკა მისი შეხედულებანი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 648 — 649). — **252.**

260 იგულისხმება «რ უ ს კ ი გ ო ლ ო ს» — ყოველდღიური პროგრესული გაზეთი რუსულ ენაზე; უშვებს რუსეთ-ამერიკის საგამომცემლო კამპანია ნიუ-იორკში 1917 წლიდან. — **252.**

261 ს ა ბ ჭ ო თ ა რ უ ს ე თ ი ს ა დ მ ი ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა 1919 წლის მაისში შექმნეს რუსმა ემიგრანტებმა ნიუ-იორკში. ასეთივე საზოგადოებები იქმნებოდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის სხვა ადგილებშიც. საზოგადოების მიზანი იყო საბჭოთა რუსეთის სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ხელშეწყობა კვალიფიციური მუშებისა და ტექნიკოსების გამოგზავნის გზით.

1921 წლის 2—4 ივლისს ნიუ-იორკში გაიმართა საბჭოთა რუსეთისადმი ტექნიკური დახმარების საზოგადოებათა პირველი ყრილობა, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის რამდენიმე ქალაქის ადგილობრივი საზოგადოებები გააერთიანა საბჭოთა რუსეთისადმი ტექნიკური დახმარების ერთიან საზოგადოებად. 1921 წლის დამლევიდან 1922 წლის ოქტომბრამდე საზოგადოებამ საბჭოთა რუსეთში გამოგზავნა შვიდი სასოფლო-სამეურნეო, ორი სამშენებლო, ერთი მეშახტეთა კომუნა და არაერთი ჯგუფი, რომლებმაც ჩამოიტანეს მოწყობილობა, თესლი და სურსათი 500 ათასამდე დოლარი თანხისა. საზოგადოების საქმიანობა ფართოვდებოდა. 1923 წლისათვის მას ჰქონდა 75-ზე მეტი განყოფილება და ჰყავდა 20 ათასზე მეტი წევრი. საზოგადოების მეორე ყრილობამ, რომელიც 1923 წლის ივნისში გაიმართა, მიიღო გადაწყვეტილება გაეძლიერებინა მუშაობა კვალიფიციურ მუშათა კომუნებისა და მოსამზადებელი ჯგუფების შესაქმნელად და რუსეთში გამოსაგზავნად. სამეურნეო დახმარების გასაწევად საზოგადოების აქტიური მუშაობა 1925 წლამდე გრძელდებოდა.

საზოგადოების საქმიანობას ლენინი აფასებდა როგორც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მშრომელთა ძმური სოლიდარობის მკაფიო გამოვლინებას. — **252.**

262 ლენინს მხედველობაში აქვს იონოვის (ფ. მ. კოიგენის) წინადადება სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ დამშეულთადმი დახმარების ცენტრალური კომისიის საზღვარგარეთის ფილიალებში მენშევიკებისა და ესერების შეყვანის შესახებ. დეპეშაზე, რომლითაც იონოვმა გ. ვ. ჩიჩერინს აცნობა ეს წინადადება, ვ. ი. ლენინმა წააწერა: «არავითარ შემთხვევაში». — **254.**

263 ლაპარაკია საბჭოთა რუსეთისადმი ტექნიკური დახმარების ამერიკის საზოგადოებისათვის გასაგზავნ დეპეშაზე, რომლის პროექტი ვ. ი. ლენინმა დაწერა (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 293). ამ დეპეშის გაგზავნის საკითხი განხილულ იქნა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის და შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთა თათბირზე 1921 წლის 6 აგვისტოს. იმის გამო, რომ ამ თათბირზე ხმები გაიყო, ვ. ი. ლენინის დავალებით მოეწყო კენჭისყრა სახკომსაბჭოს წევრებს შორის, რომელთა უმრავლესობამ ხმა მისცა დეპეშის გაგზავნას.

დეპეშას ვ. ი. ლენინის წინადადებით დაემატა შემდეგი ტექსტი: «საჭიროა ანგარიში გაეწიოს იმ სიძნელეებს, რომლებიც რუსეთში არის და რომლებიც დაძლეულ უნდა იქნეს, სასურსათო და სხვა სიძნელეებს. ადამიანები, რომლებიც რუსეთში წამოვლენ მზად უნდა იყვნენ ამისათვის. საჭიროა იხელმძღვანელოთ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სამრეწველო ემიგრაციის განყოფილების მითითებებით, რომლის ინსტრუქციები გეგზავნებათ». დეპეშის საბოლოო ტექსტი იხ. «სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები», ტ. IV, მოსკოვი, 1960, გვ. 261. — **256.**

264 თეზისების პროექტში გათვალისწინებული იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების მთელი პოლიტიკა მუხარასა და ხივაში უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელთა საშუალებით; თურქკომისიის ღონისძიებები შეთანხმებულ უნდა იქნეს სრულუფლებიან წარმომადგენლებთან და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებში — საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატთან.

1921 წლის 5 აგვისტოს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაამტკიცა თეზისების პროექტი. — **258.**

265 სამეცნიერო-სარეწაო გამოკვლევათა დარგის სპეციალისტი ნ. მ. კნიპოვიჩი ფიქრობდა, რომ თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველო უფროსი ვ. ი. მეისნერი ახშობდა სხვა დაწესებულებათა ინიციატივას სამეცნიერო-სარეწაო გამოკვლევათა დარგში, რომ თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველო ახორციელებდა არასწორ პოლიტიკას თევზჭერის სარეწის მიმართ. ყველა ეს დებულება ნ. მ. კნიპოვიჩმა ჩამოაყალიბა ვ. ი. ლენინისათვის 1921 წლის 6 აგვისტოს გაგზავნილ წერილში, რომელზეც ლენინმა გააკეთა თავისი აღნიშვნები (იხ. ლენინის XXIII კრებული, გვ. 164 — 167).—**260.**

266 ლაპარაკია ელექტროგუთნების გამოშვების შეკვეთების შესრულებაზე. ჯერ კიდევ 1920 წლის დეკემბერში ვ. ი. ლენინის დავალებით მცირე სახკომსაბჭომ დაამტკიცა ელექტროსახნავი მანქანების დამზა-

დების გეგმა; მის განხორციელებაზე მუშაობდა ელექტროსახნავი იარაღების დამზადების საგანგებო კომისია «ელექტროპლუგი», რომელიც შედგებოდა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და მიწსახკომის წარმომადგენლებისაგან; უფრო გვიან მისი ფუნქციები გადაეცა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მთავარ სამმართველოს. ვ. ი. ლენინი ყურადღებით ადევნებდა თვალს ელექტროგუთნების დამზადებას და კომისიის მუშაკებისაგან მოითხოვდა მუდმივ და ზუსტ ინფორმაციის შეკვეთების შესრულების შესახებ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 612; მე-5 გამოც., ტომი 52, დოკუმენტი 34). — **261.**

267 ეს დოკუმენტები დაწერილია ს. ელმწიფო საგეგმო კომისიის ს. კალაცესიო კომიტეტის ექსპერტის ს. ი. ლიბერმანის 1921 წლის 20 ივლისის მოხსენებიის ზარათთან დაკავშირებით. ლიბერმანი აყენებდა წინადადებას არხანგელსკის სატყეო რაიონის მართვა გადასცემოდა სატყეო მრეწველობის სპეციალისტთა ჯგუფს, რომელსაც უნიშნავდა სახელმწიფო დაწესებულების უფლებებით. ამასთან შეენარჩუნებინა ერთგვარი თავისუფლება კომერციული თვალსაზრისით.

1921 წლის 17 აგვისტოს შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო დადგენილება სევერო-ბელომორსკის რაიონის სატყეო მრეწველობის მართვის ორგანოების შესახებ, რომლის თანახმად სატყეო მრეწველობის მთავარი კომიტეტის სისტემაში იქმნებოდა სპეციალური ორგანო — «სევეროლესს». — **262.**

268 ეს დოკუმენტი დაწერილია სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და რსფსრ სახკომსაბჭოს თურქესტანის საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მ. პ. ტომსკის 1921 წლის 23 ივლისის წერილთან დაკავშირებით, რომელშიც მას გადმოცემული ჰქონდა თავისი უთანხმოებანი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის თურქესტანის ბიუროს წევრთან გ. ი. საფაროვთან თურქესტანში ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარების საკითხზე. ტომსკი დაჟინებით მოითხოვდა, რომ შემოღებული ყოფილიყო ახალი სასურსათო გადასახადი და შეუძლებლად მიაჩნდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შეხამება თურქესტანში ღარიბთა კომიტეტების შექმნასთან და კულაკებისათვის წართმეული ქონების, პირუტყვისა და ინვენტარის ღარიბთა შორის გაყოფასთან. საფაროვი კი ამტკიცებდა, სასურსათო გადასახადი და გაცვლის თავისუფლება გამოსადეგი ვერ არის თურქესტანის პირობებშიო და მოითხოვდა ღარიბთა კავშირების ჩამოყალიბებას და ადგილობრივი მოსახლეობის კლასობრივ დაყოფას.

ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 383; თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 53, დოკუმენტები 175, 259. — **265.**

269 ლაპარაკია მესაქონლე ვაჭრებისაგან ცხვრის შესყიდვაზე თურქესტანსა და ჩინეთში, რათა ხორცით მოემარაგებინათ მოსკოვის მოსახლეობა. მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, გარიგება ხელსაყრელი ვერ აღმოჩნდა. მ. პ. ტომსკისათვის 1921 წლის 19 სექტემბერს გაგზავნილი დეპეშა, რომელსაც ხელს აწერდა ვ. ი. ლენინი, შეიცავდა წინადადებას შეეწყვიტათ პირუტყვის შესყიდვის შემდგომი ოპერაციები (იხ. ლენინის XXIII კრებული, გვ. 136). — 265.

270 ეს ბარათები ვ. ი. ლენინმა დაწერა «სახლების მართვის შესახებ» მცირე სახკომსაბჭოს მიერ 1921 წლის 8 აგვისტოს მიღებული დებულების გამო, რომელშიც საცხოვრებელი ფონდის დაცულობისათვის პასუხისმგებლობა ყველაზე მეტად ეკისრებოდა სახლთა გამგეს. სახლების წესიერ მდგომარეობაში დაცვისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების იმ დამატებით ღონისძიებათა შემუშავების საკითხი, რომლებიც ვ. ი. ლენინმა წამოაყენა, განხილულ იქნა მცირე სახკომსაბჭოს 1921 წლის 12 და 22 აგვისტოს სხდომებზე. — 266.

271 წერილის ტექსტში მოხსენიებული საქმე ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო საცავის შესახებ აღმოცენდა იმასთან დაკავშირებით, რომ იქ აღმოჩნდა ბრილიანტების დიდი დანაკლისი. სახელმწიფო საცავის შემფასებელს ი. ს. შელეხესს ბრალად ედებოდა ძვირფასეულობის დატაცება და იგი სრულიად რუსეთის სახელმწიფო საგანგებო კომისიამ დააპატიმრა. 1921 წლის 8 აგვისტოს ლენინმა საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ს. უნშლიხტს შელეხესის დაპატიმრების გამო გაუგზავნა შეკითხვა, რომელზეც 9 აგვისტოს მიიღო საგანგებო კომისიის კოლეგიის წევრის გ. ი. ბოკის პასუხი. ეს წერილი ვ. ი. ლენინმა დაწერა ბოკის არადამაკმაყოფილებელ პასუხთან დაკავშირებით.

იხ. ეს ტომი, დოკუმენტები 173, 180, 216, 221, აგრეთვე თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 53, დოკუმენტი 215. — 268.

272 როგორც ჩანს, ლაპარაკია ა. მ. გორკის წერილზე, რომელიც დაკავშირებული იყო დახმარების ამერიკული ადმინისტრაციის («არა») წინადადებებთან დაედოთ შეთანხმება საბჭოთა რუსეთთან. ამ საკითხზე წერილი ვ. ი. ლენინმა გადაუგზავნა ლ. ბ. კამენევს 1921 წლის 31 ივლისს. — 269.

273 დოკუმენტი დაწერილია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი მუშგლეხინის სახალხო კომისარიატის მოხსენებითს ბარათზე, რომელიც შეიცავდა თხოვნას მიეცათ სანქცია საზღვარგარეთ სარევიზიო ჯგუ-

ფების გაგზავნისათვის ოსფსრ სავაჭრო წარმომადგენლობათა გამოსაკვლევად. — 274.

274 ლაპარაკია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი გ. ი. მიასნიკოვის მოხსენებითს ბარათზე და მის სტატიაზე «მტკივნეული საკითხები». ლენინის საპასუხო წერილი იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 292 და თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 643 — 649. — 274.

275 ვ. ი. ლენინის დაწერილი დეპეშა ზოგიერთი რედაქციული ცვლილებით იმავე დღეს, 13 აგვისტოს, გაეგზავნა რიგაში მ. მ. ლიტვინოვს, რომელიც საბჭოთა მთავრობის სახელით მონაწილეობდა დახმარების ამერიკულ ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებაში. ამ საკითხზე იხ. ავრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 310. — 275.

276 ბარათი დაწერილია 1921 წლის 12 აგვისტოს მცირე სახკომსაბჭოში მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ დეკრეტის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით. დეკრეტი 16 აგვისტოს დამტკიცებულ იქნა სახკომსაბჭოში და გამოქვეყნდა გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის 1921 წლის 21 აგვისტოს № 184-ში. — 277.

277 უფრო გვიან ვ. ი. ლენინი შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილის ვ. ა. სმოლიანინოვის საშუალებით საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს არაერთხელ შეჰკითხებია ნორვეგიაში თევზის შესყიდვის საქმის მდგომარეობის შესახებ. საიმპორტო ოპერაციები დაიწყო 1921 წლის დეკემბერში. — 277.

278 ლაპარაკია სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ელექტროგაჯეოფილების გამგის ნ. ნ. ვაშკოვის პასუხის შესახებ ვ. ი. ლენინის 1921 წლის 1 აგვისტოს ტელეფონოგრამაზე. — 278.

279 ლაპარაკია გოლდებაევის სტატიაზე «ჩვენი სიმდიდრეები» (1921 წლის 13 აგვისტოს «პრავდა» № 178). ვ. ი. ლენინისათვის 1921 წლის 20 აგვისტოს გაგზავნილ საპასუხო წერილში სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ქიმიური მრეწველობის განყოფილების უფროსი ვ. ნ. იპატიევი იტყობინებოდა, რომ, ყარა-ბუღაზის ყურის ნედლეულის უდიდესი მარაგის მიუხედავად, მისი პრაქტიკული გამოყენება ძნელდება ამ რაიონში წყლის უქონლობის, სათბობისა და ტრანსპორტის ნაკლებობის გამო.

ნატრიუმის სულფატის სამრეწველო მოპოვება დაწყებულ იქნა 1924 წელს. ყარა-ბუღაზის ყურეს ამჟამად დიდი ეროვნულობა მიენიჭა როგორც ქიმიური მრეწველობის და ჩვენი ქვეყნის სახალხო

მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისათვის საჭირო. მინერალური ნედლეულის უდიდეს წყაროს. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 410. — **279.**

280 მარილზე სახელმწიფო მონოპოლიის შესახებ 1921 წლის 31 მაისის დეკრეტის დამატებად და შესაცვლელად სახკომსაბჭომ 1921 წლის 23 აგვისტოს მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახული იყო პრაქტიკული ღონისძიებანი მარილზე მონოპოლიის უზრუნველყოფისა და სახალხო მეურნეობაში მარილის გეგმაზომიერი განაწილების შესახებ. დადგენილება გამოქვეყნდა 1921 წლის 2 სექტემბერს გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის № 194-ში.

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება მარილის პრემიად გაცემის აკრძალვისა და მარილის მონოპოლიის დარღვევისათვის სასჯელის შესახებ დამტკიცებულ იქნა 1921 წლის 29 აგვისტოს და გამოქვეყნდა 1921 წლის 2 სექტემბერს გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის № 194-ში. — **280.**

281 ლაპარაკია ბოგუმირ შმერალის მოხსენების შესახებ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე, რომელიც გაიმართა 1921 წლის 14—16 მაისს.

მდივან მ. ი. გლიასერის ბარათი რომ მიიღო, ბოგუმირ შმერალის სიტყვა მოიძებნა და გადასათარგმნად არის მიცემული, ვ. ი. ლენინმა ზედ აღნიშნა: «ჩემს ბიბლიოთეკაში». — **281.**

282 იგულისხმება ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველის პ. ი. პოპოვის 1921 წლის 19 აგვისტოს წერილი, რომლითაც იგი ითხოვდა გათავისუფლებინათ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში მუშაობისაგან. ლენინის საპასუხო წერილი იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 328. — **286.**

283 რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1921 წლის 23 აგვისტოს მიიღო დადგენილება რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრთა გამგზავრების შესახებ დასავლეთ საზღვარზე მისი დაცვისა და თავდაცვის მდგომარეობის გასაცნობად. — **292.**

284 ლაპარაკია ი. მ. სტეკლოვის სტატიაზე «მემარცხენეობა, ოღონდ გონების დაკარგვა არა», რომელიც დაიბეჭდა 1921 წლის 18 აგვისტოს გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის № 182-ში. ა. ა. სოლცის სტატია «უადგილო განგაში» გამოქვეყნდა 1921 წლის 21 აგვისტოს № 184 «პრავდაში». — **293.**

285 ეს დოკუმენტი ვ. ი. ლენინს დაწერილი აქვს გეოლოგიური ინსტიტუტის პროფესორის ნ. ნ. იაკოვლევის წერილთან დაკავშირებით იმ მეცნიერ-გეოლოგთა დაპატიმრების შესახებ, რომლებიც საპროპელის (წყალსატევებში წარმოქმნილი ორგანული და არაორგანული ნალექები) გამოკვლევაზე მუშაობდნენ. ნ. ნ. იაკოვლევს მათი დაპატიმრება უსაფუძვლოდ მიაჩნდა და ითხოვდა დაეჩქარებინათ მათი განთავისუფლება.

ი. ს. უნშლიხტის 25 აგვისტოს საპასუხო წერილში ნათქვამი იყო, დაპატიმრებულთაგან ერთი გეოლოგი განთავისუფლებულია, ხოლო დანარჩენები არ შეიძლება გაშვებულ იქნენ, რადგან დადგენილია, რომ მათ კავშირი ჰქონდათ პეტროგრადის კონტრრევოლუციურ ორგანიზაციასთანო. — **293.**

286 ვ. ი. ლენინის ხელნაწერზეა მდივნის აღნიშვნა: «ველაპარაკე ამხ. რაკოშის: პირობა დადო, ცნობებს შევკრებ და წერილობით პასუხს გამოვგზავნიო». სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ს. უნშლიხტმა 1921 წლის 9 სექტემბერს ვ. ი. ლენინს აცნობა, რომ ადოლფ კარმის განთავისუფლებასთან დაკავშირებით მოცემულია თანხმობა მის წასვლაზე რსფს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და მისი საქმე ლიკვიდირებულიაო. — **294.**

287 ფრიტიოფ ნანსენის წინადადების შესახებ იხ. შენიშვნა 225 და 227.

«კ უ კ ი შ ი» — დამშეულთათვის დახმარების სრულიად რუსეთის კომიტეტის წევრები. ირონიული სახელწოდება «კუკიშ» კომიტეტმა მიიღო მის მონაწილეთა — ე. დ. კუსკოვას და ნ. მ. კიშკინის გვარების მიხედვით. — **295.**

288 მთავრობის ცნობა დამშეულთათვის დახმარების სრულიად რუსეთის კომიტეტის დათხოვნის შესახებ დაიბეჭდა 1921 წლის 30 აგვისტოს № 191 «პრავდაში». — **296.**

289 ეს წერილი ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი იყო ინდოეთის პროგრესული პოლიტიკური მოღვაწის ბხუპენდრანათ დატასაგან მიღებული თეზისების პასუხად, რომლებიც ეხებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ინდოეთში. უფრო გვიან ბხუპენდრანათ დატა წერდა, რომ ლენინის წერილი «აღმოჩენა იყო ავტორისათვის. ნაციონალ-რევოლუციონერს აზრად არასოდეს მოსვლია, რომ «გლეხთა მოძრაობას» მნიშვნელობა აქვს ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად წარმოებული ბრძოლისათვის. ნაციონალიზმს საფუძვლად უდევს სანტიმენტალიზმი. საშუალო ბურჟუაზიას თავი მიაჩნია ერის წარმომადგენლად და ამ თვალსაზრისით განიხილავს ყოველ

მოძრაობას. ამიტომ ლენინის მითითებამ, რომ საჭიროა არა მსჯელობა საზოგადოებრივი კლასების საკითხზე, არამედ ინტერესის გამოჩენა გლეხთა მოძრაობისადმი, ჩააფიქრა მწერალი. ამ მითითებამ შეუცვალა მას შეხედულება თავისუფლებისათვის ბრძოლის საშუალებებსა და მეთოდებზე ინდოეთში» (წიგნი Bhupendranath Datta. «Dialectics of Land-economics of India», Calcutta, p. 111. — ბხუპენდრანათ დატა. «ინდოეთის სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის განვითარება», კალკუტა, გვ. 111).

ბხუპენდრანათ დატასადმი წერილში ვ. ი. ლენინი იხსენიებს თავის თეზისებს ეროვნულ და კოლონიურ საკითხებზე კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესისათვის (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 163 — 172). — **206.**

290 უფასო სამეურნეო მომსახურების (ტრანსპორტი, მათ შორის საქალაქო, ბინა, საფოსტო გზავნილებანი, გაზეთები და სხვ.) სამხედრო კომუნიზმის წლებში დამკვიდრებული პრაქტიკის საწინააღმდეგოდ 1921 წლის 9 ივლისს შემოღებულ იქნა ანაზღაურება რკინიგზებითა და წყალსავალი გზებით გადაყვანა-გადაზიდვისათვის, 18 ივლისს — საფოსტო გზავნილებათა ანაზღაურება, 5 აგვისტოს — საქონლის ფასიანობა, სასურსათო საქონლისაც, 25 აგვისტოს დაწესებულ იქნა ფასი კომუნალური მომსახურებისათვის.

1921 წლის მეორე ნახევარში სახკომსაბჭომ მრავალი ღონისძიება მიიღო მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის: შემოღებულ იქნა ანაზღაურების ახალი პრინციპები შრომის ოდენობისა და ხარისხის შესაბამისად, განხორციელდა შრომის ფულად ანაზღაურებაზე გადასვლა ნაცვლად ნატურალურისა, შემოღებულ იქნა შრომის გარანტირებული ანაზღაურება (სასაქონლო მანეთებით) და სხვ. ამის შედეგად უკვე 1921 წლის დამლევს რამდენადმე გაიზარდა მუშათა რეალური ხელფასი. — **297.**

291 1921 წლის 30 აგვისტოს ვ. ი. ლენინს გადაეგზავნა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს 1921 წლის 29 აგვისტოს სხდომის ოქმის ამონაწერი გ. მ. კრჟიჟანოვსკისათვის შვებულების მიცემის შესახებ. — **298.**

292 ეს დოკუმენტი შეიცავს ვ. ი. ლენინის პასუხს ვ. ნ. კაიუროვის დეპეშაზე, რომელიც დაინიშნა ციმბირში პარტიის წმენდის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარედ. დეპეშების გაცვლა პირდაპირი მავთულით წარმოებდა 1921 წლის 30 აგვისტოს. ვ. ი. ლენინთან ლაპარაკში ვ. ნ. კაიუროვმა ეჭვი გამოთქვა პარტიის წმენდის მიზანშეწონილობაზე და წინადადება წამოაყენა ყოველდღიურ პრაქტიკულ მუ-

შაობაში გაძლიერებულიყო ყურადღება კომუნისტებისადმი. ლენინის თხოვნით ციმბირის კომისიამ ამ საკითხზე თავისი მოსაზრებანი წარუდგინა რკპ (ბ) წმენდის ცენტრალურ კომისიას. — **299.**

293 ლაპარაკია რსფსრ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და უსსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლებისაგან შემდგარ კომისიაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ რსფსრ სურსათის სახალხო კომისარიატისა და უსსრ სურსათის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები და რომელსაც უნდა გამოეკვლია სასურსათო მუშაობის მდგომარეობა უკრაინაში. გამოდიოდა რა ამ კომისიის შექმნის წინააღმდეგ, ნ. პ. ბრიუხანოვი ვ. ი. ლენინს სწერდა: «საეჭვოა, რომ კომისიამ წამოაყენოს ახალი ღონისძიებანი. ამასთანავე იგი, უეჭველია, სასურსათო დარგის მუშაკების ენერგიისა და ყურადღების ნაწილს ჩამოაშორებს მათ მიერ საბრძოლო მუშაობის შესრულებას, რომლის გადადება ერთი წუთითაც არ შეიძლება» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **300.**

294 1921 წლის 7 სექტემბერს გაიმართა სახელმწიფო საგეგმო კომისიის, ტორფის მრეწველობის მთავარი სამმართველოს და ჰიდროტორფის წარმომადგენელთაგან შემდგარი კომისიის თათბირი ლ. ბ. კრასინის თავმჯდომარეობით. თათბირმა განიხილა ცნობა ტორფის მოპოვების ახალი წესის შესახებ და მიიღო ზოგიერთი ზომა ამ მუშაობის უზრუნველსაყოფად. გაეცნო რა 1921 წლის 11 სექტემბერს კომისიის მასალებს, ლენინმა დაავალა ნ. პ. გორბუნოვს დაეწესებინა სისტემატური ზედამხედველობა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 378). — **301.**

295 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის სახელზე გაგზავნილ განცხადებაზე, რომელიც შეიცავდა თხოვნას დახმარება გაეწია ჩამორთმეული ნივთების დაბრუნებაში. — **302.**

296 დოკუმენტი დაწერილია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობიდან ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილ ბარათზე, რომელშიც კენჭისსაყრელად დასმული იყო საკითხი მოსკოვის მუშათა კოოპერატივს უფლება მინიჭებოდა ეწარმოებინა კარტოფილის დამზადება უშუალოდ მწარმოებლებთან.

ა. ა. კისინი და ნ. პ. ბრიუხანოვი ამას უარყოფითად მოეკიდნენ, მაგრამ მაინც შესაძლებლად მიიჩნევდნენ, რომ მოსკოვის კოოპერატივს უფლება მისცემოდა ჰყოლოდა თავისი რწმუნებულები და

ჰქონოდა მიმღები აპარატი საგუბერნიო კავშირებთან. მათ მიაჩნდათ, რომ საგუბერნიო კავშირების გვერდის ავლით დამოუკიდებელი დამზადება ხელს შეუწყობდა სპეკულაციურ საქონელგაცვლას. — 302.

297 ეს დავალება გაიოწყია საფეიქრო საწარმოთა მთავარი სამმართველოს თავმჯდომარის ბ. პ. პოზერნის წერილმა საფეიქრო ფაბრიკების მუშაობის მოწყობის შესახებ. პოზერნის 17 სექტემბრის საპასუხო წერილში, რომელიც მან გაგზავნა სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველობის შეკითხვაზე, ნათქვამი იყო, მომარაგება გათვალისწინებულია მხოლოდ ყველაზე უკეთ მოწყობილი საფეიქრო ფაბრიკებისათვისო. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1921 წლის სექტემბერში საფეიქრო საწარმოთა მთავარ სამმართველოს გამოუყო სახსრები სურსათის და სათბობის შესასყიდად და საწარმოთა კაპიტალური რემონტის ჩასატარებლად. — 303.

298 დოკუმენტი დაწერილია იმ საკონცესიო ხელშეკრულების ტექსტის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს მთავრობამ დადო რესპუბლიკის ორ რაიონში ტყის სიმდიდრეთა დამუშავებაზე. 30 სექტემბერს შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა მიღებული ყოფილიყო ხელშეკრულება. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დაევალა შეეგროვებინა ცნობები კონცესიონერთა კრედიტუნარიანობის შესახებ. — 304.

299 ბარათი დაწერილია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წევრის ი. პ. ფიგატნერის იმ წერილის ბოლოში, რომლითაც იგი იტყობინებოდა, რომ ვ. ი. ლენინს საჩუქრად გადაეცა სპარსელი კუსტარი კომუნისტის მიერ მოქარგული პორტრეტი. წერილის ავტორი თხოულობდა იმის წერილობით დადასტურებას, რომ პორტრეტი მიღებულია. — 305.

300 ბარათის ტექსტი ვ. ი. ლენინს დაწერილი აქვს ი. ა. ბერზინის მიერ გ. ვ. ჩიჩერინის სახელზე გაგზავნილ დეპეშაზე, სადაც ნათქვამი იყო, რომ მ. ი. სკობელევი, რომელმაც მოლაპარაკება დაიწყო საფრანგეთის მთავრობასთან როგორც დამშეულთათვის დახმარების სრულიად რუსეთის კომიტეტის წარმომადგენელმა, რწმუნებას თხოულობს საბჭოთა მთავრობისაგანაც.

ქვემოთ ლაპარაკია იმაზე, რომ ჟ. ნულანსი, საფრანგეთის ყოფილი ელჩი რუსეთში (1917 — 1918), საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ კონტრრევოლუციურ შეთქმულებათა ერთ-ერთი ორგანიზა-

ტორი და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის სულისჩამდგმელი, დაინიშნა შიმშილობასთან საბრძოლველად რუსეთისადმი დახმარების საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარედ. კომისია შეიქმნა ანტანტის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ანტანტის სახელმწიფოთა (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და ბელგია) წარმომადგენლებისაგან და სინამდვილეში საფარი იყო ანტისაბჭოთა გეგმების განხორციელებისათვის. — **305.**

301 შრომისა და თავდაცვის საბჭომ 1921 წლის 16 სექტემბრის დადგენილებით ვოლხოვის მშენებლობა მიაკუთვნა «რიგგარეშე სამშენებლო სამუშაოთა» თანრიგს. ყველა უწყებას დაეკალა დაეკმაყოფილებინა ვოლხოვმშენის განაცხადები ყოველგვარ რიგს გარეშე. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მიმდინარეობის საკითხი არაერთხელ იქნა განხილული სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებზე. ამ საკითხზე იხ. ავგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 374; თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, დოკუმენტი 299; მე-5 გამოც., ტომი 53, დოკუმენტები 288, 293. — **307.**

302 დაწერილია სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის, გომელის გუბერნიაში წარგზავნილი სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულის ა. ი. სვიდერსკის დეპეშაზე სურსათის სახალხო კომისრის მოადგილის ნ. პ. ბრიუხანოვისადმი. დეპეშა იტყობინებოდა, რომ გომელის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეს ხ. გ. პესტუნს არ შეუსრულებია სურსათის სახალხო კომისარიატის განწესები. — **310.**

303 იგულისხმება ნ. მ. კნიპოვიჩის 1921 წლის 6 აგვისტოს წერილი ვ. ი. ლენინისადმი (იხ. ლენინის XXIII კრებული, გვ. 164—167).—**311.**

304 იგულისხმება რკინიგზის ტარიფის შესახებ დეკრეტების სისტემატიზებული კრებული, რომლის გამოცემა მცირე სახკომსაბჭოს დასახული ჰქონდა 1921 წლის 1 სექტემბრისათვის. განიხილა რა ეს საკითხი 1921 წლის 20 სექტემბერს, სახკომსაბჭომ არ დამტკიცა კრებულის გამოცემა. — **312.**

305 ბარათი დაწერილია ლ. ბ. კრასინის წერილზე, სადაც ჩამოთვლილი იყო ზომები, რომლებსაც ბელორუსიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატი იღებდა უცხოეთთან ვაჭრობის განვითარებისათვის. — **313.**

306 ეს ბარათი ვ. ი. ლენინმა დაწერა რუსეთის ფიზიკისა და ქიმიის საზოგადოების იმ შუამდგომლობასთან დაკავშირებით, რომ გაეთავი-

სუფლებინათ ქიმიის პროფესორი მ. მ. ტიხვინსკი და სხვა მეცნიერები, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ პეტროგრადის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის საქმის გამო. — 314.

307 ლაპარაკია სასამართლო საქმეზე, რომელიც ვ. ვ. მაიაკოვსკიმ აღძრა სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორის ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვის წინააღმდეგ ჰონორარის მიუცემლობისათვის. 1921 წლის 25 აგვისტოს პროფესიულ კავშირთა მოსკოვის საგუბერნიო საბჭოსთან არსებულმა მოსკოვის დისციპლინარულმა სასამართლომ დაადგინა ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვისათვის ჩამოერთმიათ კავშირის წევრობის უფლება 6 თვით. 8 სექტემბერს საქმე გადაისინჯა და ეს განაჩენი გაუქმებულ იქნა.

განათლების სახალხო კომისრის მოადგილეს ე. ა. ლიტკენსს და შრომითი აღზრდის აკადემიის კოლეგიის წევრს ფ. ვ. ლენგნიკს ბრალად დაედო მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფის დათხოვნა. პროფესიულ კავშირთა მოსკოვის საგუბერნიო საბჭოსთან არსებულმა მოსკოვის საგუბერნიო ამხანაგურმა დისციპლინარულმა სასამართლომ განაჩენად გამოუტანა მათ გაკიცხვა და ჩამოართვა უფლება არჩევითი თანამდებობების დაკავებისა ნახევარი წლის განმავლობაში. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიამ განიხილა ეს საქმე 26 სექტემბერს და დაადგინა: «1) წინადადება მიეცეს პროფესიულ კავშირთა მოსკოვის საგუბერნიო საბჭოსთან არსებულ საგუბერნიო დისციპლინარულ სასამართლოს გადასინჯოს საქმე. 2) წარდგენილი ბრალდების არსის მიხედვით... საკმარისად იქნეს მიჩნეული საყვედური პროფესიული და პარტიული წესით» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

ვ. ი. ლენინის წინადადების გამო, რომელიც გადმოცემულია დოკუმენტის მე-2 პუნქტში, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1921 წლის 6 სექტემბერს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს მიუთითა, რომ აუცილებელია საკითხი თეატრების საჭიროებისათვის 1 მილიარდი მანეთის ასიგნების შესახებ განსახილველად გადაეცეს სახკომსაბჭოს. — 315.

308 დოკუმენტი დაწერილია ცენტროსოიუზის თავმჯდომარის ლ. მ. ხინჩუკის ბარათის გამო, რომელიც ეხებოდა ორიოლის, ბრიანსკისა და გომელის გუბერნიებში საქონელგაცვლის მოწესრიგებას.

1921 წლის 17 ივნისის № 97 «პროდოვოლსტვენნაია გაზეტაში» დაბეჭდილი იყო სტატია «სახელმწიფო საქონელგაცვლის გამოცდილება». — 316.

309 ბარათი დაწერილია ა. ს. კისელიოვის წერილზე, სადაც ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ ვ. ი. ლენინს გაეგზავნა «სატარიფო საკითხის ძირითად დებულებათა» პროექტი, რომელიც მოამზადეს მცირე სახკომსაბჭოს წევრებმა (ა. ს. კისელიოვმა, ა. ა. ბელოვმა და ი. ი. გინდინმა) და მოიწონა უდიდეს საწარმოო გაერთიანებათა ხელმძღვანელების თათბირმა, რომელსაც 30-მდე კაცი დაესწრო. ეს პროექტი ემყარებოდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს. ლენინი გაეცნო თეზისების პროექტს და შეიტანა მასში შესწორებები, რომლებიც ხაზს უსვამდნენ შრომის ანაზღაურების პირდაპირ კავშირს წარმოების შედეგებთან (იხ. ლენინის XXIII კრებული, გვ. 258—260). რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში, შრომისა და თავდაცვის საბჭოში, პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს, პროფესიულ კავშირთა მოსკოვის საგუბერნიო საბჭოს ფრაქციების ბიუროს და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ფრაქციის ერთობლივ სხდომაზე ყოველმხრივი განხილვის შემდეგ სახკომსაბჭომ 16 სექტემბერს დაამტკიცა «სატარიფო საკითხის ძირითადი დებულებანი» და 1921 წლის 17 სექტემბერს ისინი გამოქვეყნდა გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის № 207-ში. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 53, დოკუმენტები 277, 278, 279. — **317.**

310 ლაპარაკია პოლარულ ექსპედიციაზე, რომელიც ნახევარკუნძულ იამალზე იკვლევდა წყალსავალ გზებს ოკეანეში გასასვლელის ძიების მიზნით, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ციმბირის ეკონომიკის განვითარებისათვის. — **318.**

311 წერილი დაწერილია რკპ (ბ) წევრების შესახებ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოდან მიღებულ სტატისტიკურ მასალებთან დაკავშირებით. სტატისტიკური განყოფილების გამგის ნ. ი. სოლოვიოვის 1921 წლის 8 სექტემბრის საპასუხო წერილში ნათქვამი იყო, მასალები საბჭოთა თანამდებობებზე მოსკოვისა და პიტერის კომუნისტების განაწილების შესახებ ვ. ი. ლენინს უახლოეს ხანში გაეგზავნებაო. — **318.**

312 ცნობა არსებული ოქროს ფონდისა და მისი ხარჯვის შესახებ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ვ. ი. ლენინს წარუდგინა. ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1921 წლის 14 სექტემბერს ა. ო. ალსკის დაავალა ეწარმოებინა ოქროს ფონდის ყველა დანახარჯის ზუსტი აღრიცხვა. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 371; თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 381—382. — **319.**

313 ი. ი. ვიშნიაკის წერილზე არის ვ. ი. ლენინის აღნიშვნა: «ვიშნიაკი ლალაიანცის შესახებ 5. IX. 1921, იხ. უკანა გვერდზე». ფურცლის უკანა გვერდზე ლენინის ხელით დაწერილია ამ დოკუმენტის დასაწყისი და აღნიშვნა «ტელეფონით» (იხ. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — 320.

314 ეს აზრი გამოთქვა ი. ა. ბერზინმა ბარათში, რომელიც ინგლისიდან იყო გამოგზავნილი. როგორც ჩანს, გ. ვ. ჩიჩერინის მისამართით.—321.

315 ლაპარაკია დახმარების ამერიკული ადმინისტრაციის («არა») თანამშრომლებზე, რომელსაც ჰ. ჰუვერი ედგა სათავეში. ვ. ი. ლენინის წინადადება მათ მიმართ შეზღუდვის ზოგიერთი ზომის გამოყენების შესახებ გამოწვეული იყო იმით, რომ ამ ორგანიზაციის აპარატი, შედგენილი უმთავრესად ამერიკის არმიის ოფიცრებისაგან, ეწეოდა ჯაშუშობას და მხარს უჭერდა კონტრრევოლუციურ ელემენტებს რუსეთში (იხ. ეს ტომი, დოკუმენტები, 310, 331, 370). — 322.

316 ფრიტიოფ ნანსენის მოღვაწეობამ რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად საზოგადოებრივი ორგანიზაციების და კერძო პირების შემოწირულებათა შეგროვების საქმეში ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნის რეაქციული წრეების უკმაყოფილება გამოიწვია. საბჭოთა ხალხმა ღირსეულად შეაფასა ნანსენის მეცადინეობა დამშეულთათვის დახმარების გაწევის საქმეში; საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობამ 1921 წლის 25 დეკემბერს უღრმესი მადლობა გამოუცხადა მას.

«Ihe Daily Cronicle» («ყოველდღიური ქრონიკა») ინგლისის იმპერიალისტური ბურჟუაზიის გაზეთია. გამოდიოდა ლონდონში 1855-დან 1930 წლამდე. — 322.

317 ლაპარაკია შორიდან დენთის აფეთქების დარგში სამეცნიერო-ტექნიკურ სამუშაოებზე, რასაც ს. ი. ბოტინი 1920—1921 წლებში აწარმოებდა. 1921 წლის ოქტომბერში სპეციალისტების კომისიამ უარყოფითად შეაფასა წარმოებული ცდები და წინადადება მისცა შეეწყვიტა შემდგომი ცდები მათი მოუმზადებლობის გამო. ამ საკითხზე იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 605; ტომი 44, დოკუმენტები 624, 631, 722, 741; მე-5 გამოც., ტომი 51, დოკუმენტები 477 და 532. — 324.

318 ლენინს მხედველობაში აქვს განსახკომის მიერ მომზადებული პროექტები, რომელთა საფუძველზე მუშავდებოდა დადგენილება «სკო-

ლებისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ». დადგენილება, რომელიც სახკომსაბჭომ 15 სექტემბერს მიიღო, გამოქვეყნდა 1921 წლის 23 სექტემბერს გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის № 212-ში. ამ საკითხზე იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 53, დოკუმენტი 304. — **324.**

319 ბარათი დაწერილია სასწაველო ატლასის შემდგენელი საგანგებო სამეცნიერო კომისიის თავმჯდომარის ვ. დ. კაისაროვის შეკითხვასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა რსფსრ ტერიტორიის საზღვრების ზუსტად გარკვევას და ყოფილი რუსეთის იმპერიის ფარგლებში შექმნილ რესპუბლიკებთან მის ურთიერთობას. — **327.**

320 ეს მითითება გამოიწვია ნ. პ. გორბუნოვის წერილმა, რომელშიც იგი, იტყობინებოდა რა მ. პ. საკინის საზღვარგარეთ მივლინების შეფერხების გამოძიების შედეგებს, წერდა, რომ «განსახკომს განზრახ არ გაუპიანურებია». სიტყვას «განზრახ» ლენინმა ხაზი გაუსვა. — **327.**

321 დავალება ვ. ი. ლენინმა წააწერა კაშირის ელექტროსადგურის მთავარი ინჟინრის გ. დ. ციურუპას წერილზე, რომლითაც იგი ითხოვდა დახმარებას, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ელექტროგანყოფილებისაგან მიეღო მშენებლობისათვის საჭირო მთელი ელექტროტექნიკური მასალები. 1921 წლის 12 სექტემბერს ლენინმა დეპეშა გაუგზავნა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ელექტროგანყოფილებას (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 380). — **328.**

322 დავალება დაწერილია ჰიდროტორფის საკითხთა კომისიის 1921 წლის 7 სექტემბრის სხდომის ოქმზე. ოქმის კიდეებზე და ტექსტში არის ვ. ი. ლენინის შენიშვნები და ხაზგასმები (იხ. ლენინის კრებული XXIII, გვ. 90 — 91). — **328.**

323 დეპეშის პროექტის ლენინისეული ხელნაწერის თავში ლ. ა. ფოტიეეას ხელით აღნიშნულია: «ბოგდანოვს, ბრიუხანოვსა და ავანესოვს აზრის სასწრაფოდ გამოსათქმელად». — **329.**

324 ბარათი დაწერილია სამხედრო კომისრის ს. ს. დანილოვის 1921 წლის 8 სექტემბრის წერილის პასუხად, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საჭიროა განვითარდეს «სიყვარულის, თანაგრძნობის, ურთიერთდახმარების გრძნობა კ ლ ა ს ს შ ი გ ნ ი თ, მშრომელთა ბანაკის შიგნით». — **330.**

325 დადგენილების § 6-ში ნათქვამი იყო, რომ სკოლებს უფლება უნდა მიეცეთ სახელმწიფო მომარაგების ის საგნები, რომლებიც მათ არ ესაჭიროებათ, გადაცვალონ საჭირო პროდუქტებზე. § 8-ში შეტანილი იყო პუნქტი ბიბლიოთეკებითა და კლუბებით მოსარგებლეთა ნებაყოფლობითი «თვითდაბეგვრის» შესახებ. — **381.**

326 1921 წლის 9 სექტემბრის დეპეშით ა. ა. იოფე იტყობინებოდა, რომ უთანხმოება სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თურქკომისიის თავმჯდომარეს მ. პ. ტომსკისა და თურქბიუროს წევრ გ. ი. საფაროვს შორის იწვევს მტრობის გაღვივებას რუს და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, ცალკეულ ეროვნებათა შორის. 13 სექტემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება თურქესტანში გასატარებელი პოლიტიკის საკითხი განეხილა მას შემდეგ, რაც მიღებული იქნებოდა იოფეს წერილობითი მოხსენება და პოლიტბიუროს წევრები გაეცნობოდნენ მთელ მასალას. 1921 წლის 14 ოქტომბერს პოლიტბიურომ განიხილა რა თურქესტანში მუშაობის საკითხი, განსაზღვრა თურქბიუროს და თურქკომისიის ახალი შემადგენლობა და დასახა თურქესტანში პარტიული და საბჭოთა მუშაობის ძირითადი ამოცანები. პოლიტბიურომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭირო იყო თურქესტანში ახალი ეკონომიური პოლიტიკის ფრთხილად გატარება, რასაც უნდა უზრუნველეყო სოციალისტურ მშენებლობაში მშრომელი მასების ჩაბმის ამოცანა. — **381.**

327 1921 წლის 30 მაისის წერილში ვ. ი. ლენინმა წინადადება მისცა რევოლუციურ სამხედრო საბჭოს შეემუშავებინა სამეურნეო ფრონტზე არმიის გამოყენების გეგმა და კონკრეტულად აღნიშნა, თუ სახალხო მეურნეობის უწინარეს ყოვლისა რა დარგებშია საჭირო მისი დახმარება (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 182). — **383.**

328 ნ. ა. სემაშკოს ვ. ი. ლენინმა წერილი მისწერა იმასთან დაკავშირებით, რომ ყირიმის კურორტების მძიმე მდგომარეობის ამბავი შეიტყო მ. ვ. ფოფანოვასაგან (გაგზავნილი იყო მიწსახკომიდან ყირიმში სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კომისიის შემადგენლობაში). ლენინისათვის 15 სექტემბერს გაგზავნილ საპასუხო წერილში ნ. ა. სემაშკოს ჩამოთვლილი ჰქონდა ღონისძიებანი, რომლებსაც ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი იღებდა ყირიმისა და კავკასიის კურორტების მუშაობის გასაუმჯობესებლად. — **384.**

329 ვ. ი. ლენინის ეს წერილი რომ მიიღო, სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველმა ნ. პ. გორბუნოვმა 1921 წლის 13 სექტემბერს გააკეთა შემ-

დეგი ჩანაწერი დავალებათა წიგნში: «დიდი სახკომსაბჭოს სამდივნომ შეადგინოს ინსტრუქცია ვლადიმერ ილიას ძის დავალებებისა და პაკეტების შესახებ. შესრულებულია. იხ. 20 სექტემბრის ბრძანება» («ისტორიჩესკი არხივ» № 5, 1961, გვ. 41). ამ საკითხზე იხ. ავრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 387. — 331.

330 ბარათი დაწერილია გ. ვ. ჩიჩერინის წერილზე დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კერზონის 1921 წლის 7 სექტემბრის ნოტის შესახებ, რომელიც შეიცავდა მონაჭორს საბჭოთა მთავრობის მიერ რუსეთ-ინგლისის 1921 წლის 16 მარტის შეთანხმების დარღვევის შესახებ. ნოტას არ ჰქონდა არც სათაური, არც მიმართვა, არც ხელმოწერა. 1921 წლის 27 სექტემბრის საპასუხო ნოტაში საბჭოთა მთავრობამ უარყო დაუსაბუთებელი ბრალდება. — 337.

331 ეს მინაწერი ლენინს გაკეთებული აქვს კირსანოვის სამაზრო ეკონომიური თათბირისადმი სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის ნ. ბ. გორბუნოვის იმ წერილის ბოლოში, რომელშიც ლენინის დავალებით მადლობა იყო გამოთქმული ანგარიშის დროზე წარმოდგენისათვის. — 339.

332 ამ წერილის საპასუხოდ სურსათის სახალხო კომისრის მოადგილე მ. ი. ფრუმკინმა 1921 წლის 27 სექტემბერს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობას აცნობა, რომ «ვლადიმერ ილიას ძის წერილი მიღებულია ცნობად და შესასრულებლად». სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველმა ნ. ბ. გორბუნოვმა დავალებათა წიგნში გააკეთა შემდეგი ჩანაწერი: «შესრულებულია 14 დეკემბერს. ნ. ბ. ბრიუხანოვმა გვაცნობა, რომ საგუბერნიო აღმასკომები «გვიჯერებენ»» («ისტორიჩესკი არხივ» № 5, 1961, გვ. 42). — 340.

333 ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილ წერილში სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული დამშეულთათვის დახმარების კომისიის საინფორმაციო ქვეგანყოფილების გამგე ე. ზ. ვოლკოვი ეპვს გამოთქვამდა დამშეულთათვის დახმარების სრულიად რუსეთის კომიტეტის ლიკვიდაციის მიმართ და ფიქრობდა, რომ კომიტეტის დათხოვნას და მისი წევრების დაპატიმრებას შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს საფრანგეთთან ურთიერთობაზეო. — 341.

334 1921 წლის მეორე ნახევარში ამერიკელ მუშათა ჯგუფი ჰოლანდიელი ინჟინრის კომუნისტ ს. რუტგერსის მეთაურობით აწარმოებდა მოლაპარაკებას საბჭოთა მთავრობასთან იმის შესახებ, რომ ციმბირში

ამ ჯგუფს გადასცემოდა კუზნეცკის ქვანახშირის აუზის ნაწილი საექსპლოატაციოდ და იქ ინდუსტრიული კოლონიის მოსაწყობად. ს. რუტგერსის წინადადება განხილულ იქნა სახკომსაბჭოს 1921 წლის 13 სექტემბრის სხდომაზე, გადაწყდა ეს წინადადება გადასცემოდა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

19 სექტემბერს ლენინმა მიიღო ამერიკელ მუშათა კოლონიის წარმომადგენლები და ესაუბრა მათ. შემონახულია ლენინისეული ჩანაწერი ამ საუბრისა (იხ. ლენინის XXIII კრებული, გვ. 39).

1921 წლის 23 სექტემბერს შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა სასურველად ეცნო ხელშეკრულებათა დადება ს. რუტგერსის ჯგუფთან და სპეციალურ კომისიას დაავალა მოემზადებინა მისი ტექსტი. ხელშეკრულება შრომისა და თავდაცვის საბჭომ საბოლოოდ დაამტკიცა 1921 წლის 21 ოქტომბერს, ხოლო სახკომსაბჭომ — 25 ოქტომბერს. ამერიკელ მუშათა კოლონია კუზბასში არსებობდა შრომისა და თავდაცვის საბჭოსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოს უფლებებით. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 416, 436; თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 384—386, 389—390, 391; მე-5 გამოც., ტომი 53, დოკუმენტები 353, 374.—341.

335 ვ. ი. ლენინის მიერ დოკუმენტში აღნიშნული ლიტერატურა სჭირდებოდა ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვს, რომელიც მუშაობდა წიგნზე «რსფსრ ელექტრიფიკაცია მსოფლიო მეურნეობის გარდამავალ ფაზასთან დაკავშირებით» (სახელმწიფო გამომცემლობა, 1922).

სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს ხაზით ვ. ი. ლენინის დავალებათა წიგნში 1921 წლის 20 სექტემბრის თარიღით არის ასეთი ჩანაწერი: «ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვისათვის შეგროვდეს ლიტერატურა ელექტრიფიკაციის შესახებ. შესრულებულია 21 ოქტომბერს» («ისტორიჩესკი არხივი» № 5, 1961, გვ. 42).—345.

336 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს შემდეგი ადგილი ფ. ენგელსის სტატიიდან «ისტორიული მატერიალიზმის შესახებ» (ინგლისური წინასიტყვაობა ნაშრომისათვის «სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ»): «იმისათვის, რომ ბურჟუაზიას შესძლებოდა მიეღო გამარჯვების ის ნაყოფი მაინც, რომელიც მაშინ უკვე საკუთრივ მომწიფებული იყო მოსაკრეფად, საჭირო იყო რევოლუცია საგრძნობლად გასცილებოდა ამ მიზანს — სწორედ ისე, როგორც 1793 წელს საფრანგეთში და 1848 წელს გერმანიაში. ჩანს, ასეთია ნამდვილად ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი კანონი». ციტირებულია ვ. ი. ლენინის სტატიიდან «რუსეთის რევოლუციის შეფასებისათვის», რომელიც დაბეჭდილია «პროლეტარი»-ში 1908 წლის 10 (23) მაისს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15,

გვ. 55 — 56, აგრეთვე. კ. მარქსი და ფ. ენგელსი; თხზულებანი, მე-2 გამოც., ტომი 22, გვ. 308—309).

ფ. ენ გ ე ლ ს ი ს წ ე რ ი ლ ი ვ ა ი დ ე მ ა ი ე რ ი ს ა დ მ ი — იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 გამოც., ტომი 28, გვ. 485 — 493. — **345.**

337 1921 წლის 26 ოქტომბერს შრომისა და თავდაცვის საბჭომ მოისმინა კაშირმშენის სურსათით მომარაგების საკითხი და დაამტკიცა ვ. ა. ავანესოვის მიერ შეტანილი დადგენილების პროექტი. — **347.**

338 ვ. ვ. ადორატსკი, რომელიც ვ. ი. ლენინის დავალებით მუშაობდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რჩეული წერილების კრებულზე, სთხოვდა დ. ბ. რიაზანოვს, რომელიც იმ დროს გერმანიაში იმყოფებოდა, შეეგროვებინა იქ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ყველა გამოქვეყნებული წერილი და გადმოეგზავნა ისინი რუსეთში. კრებული გამოიცა 1922 წელს სახელწოდებით «წერილები. თეორია და პოლიტიკა მარქსისა და ენგელსის მიწერ-მოწერაში». თარგმანი, სტატია და შენიშვნები ვ. ვ. ადორატსკისა. — **347.**

339 ვ. ი. ლენინის წერილი დაწერილია «ჰიდროტორფისათვის საზღვარგარეთული შეკვეთების გაცემის ბერლინის დროებითი კომისიის ინსტრუქციის» ბოლოში, რომლის ტექსტში ვ. ი. ლენინს გაკეთებული აქვს არაერთი შენიშვნა (იხ. ლენინის XXIII კრებული, გვ. 92).

როგორც ვ. ი. ლენინის სახელზე გაგზავნილი რ. ე. კლასონის 1922 წლის 11 თებერვლის მოხსენებიდან ჩანს, ჰიდროტორფის საზღვარგარეთული შეკვეთები ვადაზე იყო შესრულებული. — **348.**

340 უცხოელ მუშათა შორის სახსრების შეგროვება რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად გაჩაღდა «საერთაშორისო პროლეტარიატისადმი მიმართვასთან» დაკავშირებით, რომელიც დაწერილი იყო ვ. ი. ლენინის მიერ 1921 წლის 2 აგვისტოს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 32, 640—641). ამ წერილის პასუხად კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის მდივანი მ. რაკოში 1921 წლის 27 სექტემბერს სწერდა ვ. ი. ლენინს, რომ მისი წინადადება «მიღებულია ცნობად და განხორციელდება» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **348.**

341 დეპეშის პროექტი მნიშვნელოვნად შეასწორა ვ. ი. ლენინმა: მან შეცვალა სათბობის სამკვირეულის დაწყების თარიღი — 25 სექტემ-

ბრის ნაცვლად დანიშნა 1 ოქტომბერი; სიტყვები «მივაღწიოთ გამოზიდვის 100%-ით გადიდებას» გაასწორა ასე: «მივაღწიოთ გამოზიდვის ერთიორად გადიდებას»; დაწერა დეპეშის უკანასკნელი აბზაცი პერსონალური პასუხისმგებლობის შესახებ.

დეპეშას დართული აქვს 1921 წლის 27 სექტემბერს ტელეფონით გამოკითხვის ფურცელი, რომელშიც მდივანს გაუკეთებია აღნიშვნები ი. ტ. სმილგას, ე. მ. სკლიანსკის, ნ. ბ. ეისმონტის, მ. ი. ფრუმკინის, ა. ა. ანდრეევის, ლ. ბ. კამენევის, ა. მ. ანიქსტის, ვ. მ. მოლოტოვის, ი. ბ. სტალინის, ლ. დ. ტროცკის, ა. ს. ენუქიძის (სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სახელით), ვ. ა. ავანესოვის მიერ ხმის მიცემის შესახებ.

დეპეშა გამოქვეყნდა 1921 წლის 1 ოქტომბერს გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის № 219-ში. იხ. აგრეთვე ლენინის XXIII კრებული, გვ. 101. — **351**.

342 სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს ხაზით ვ. ი. ლენინის დავალებათა წიგნში არის შემდეგი ჩანაწერი, დათარიღებული 1921 წლის 29 სექტემბრით: «სასწრაფოდ გატარდეს შრომისა და თავდაცვის საბჭოში პროექტი დადგენილებისა მოსკოვის გუბერნიის საბჭოთა მეურნეობებში სამელიორაციო სამუშაოთა შესახებ (ლ. ს. სოსნოვსკის წერილი ვლადიმერ ილიას ძისადმი). შესრულებულია 30 სექტემბერს (იხ. შრომისა და თავდაცვის საბჭოს ოქმი № 254, პ. 9)» («ისტორიჩესკი არხივ» № 5, 1961, გვ. 43).

შრომისა და თავდაცვის საბჭომ სამიწათმოქმედო მეურნეობების მთავარი სამმართველოს უფროსის ტ. ა. რუნოვის მოხსენების მიხედვით 1921 წლის 30 სექტემბერს დაადგინა გამოყოფილიყო ფულადი სახსრები და სურსათი, რაც საჭირო იყო სამელიორაციო სამუშაოთა ჩასატარებლად მოსკოვსახლო საბჭოთა მეურნეობებში; მიწსახკომს აგრეთვე მიეცა მითითება გამოეყო ტრაქტორები ამოძირკეული ფართობების მოსახნავად. — **355**.

343 მარილის მრეწველობის მთავარი სამმართველოს თავმჯდომარის მ. ი. ლაცისის სტატიაში «ოქროს ფსკერი» ლაპარაკი იყო ყარა-ბუღაზის მნიშვნელობაზე, რომელსაც შეეძლო მოეცა გლაუბერის მარილი როგორც ჩვენი ექსპორტის უმნიშვნელოვანესი წყარო. ამისათვის, მისი ანგარიშით, საჭირო იყო 1,5 მილიარდი მანეთი კაპიტალდაბანდებანი, რაც მალე ანაზღაურდებოდა. — **356**.

344 სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს ხაზით დავალებათა ჩანაწერების წიგნში ამ დოკუმენტის შესახებ არის 30 სექტემ-

ბრით დათარიღებული შემდეგი აღნიშვნა: «თვალი მიედევნოს იმ დავალების შესრულებას, რომელიც ვლადიმერ ილიას ძემ მისცა სათბობის (შეშის) სამკვირეულისათვის მობილიზებულ 15 პასუხისმგებელ მუშაკს: ა) შეამოწმონ, როგორ არის დაყენებული ადგილებზე ანგარიშგება, ბ) შეისწავლონ ქურდობის ხერხები. შესრულებულია 29. XII. 21 წ. 8. X-ს შეგროვდეს ცნობები მათს სტაჟზე. შესრულებულია 11. X» («ისტორიჩესკი არხივ» № 5, 1961, გვ. 43).

ვ. ი. ლენინის სახელზე გამოგზავნილ მოხსენებებში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მობილიზებული მუშაკები იუწყებოდნენ სათბობის სამკვირეულის შედეგებს, აგრეთვე ამხილებდნენ სერიოზულ ნაკლოვანებებს ხე-ტყის დამამზადებელი ორგანოების მუშაობაში, ქურდობის ხერხებს და სახავდნენ ზომებს მათთან საბრძოლველად (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). იხ. აგრეთვე ლენინის XXXVI კრებული, გვ. 327. — **359.**

345 უ ც ხ ო უ რ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი — განსახკომთან არსებული საუწყებათაშორისო კომისია უცხოური ლიტერატურის შეძენისა და განაწილების დარგში. უცხოური ლიტერატურის კომიტეტის თავმჯდომარის ო. ი. შმიდტის 1921 წლის 10 ოქტომბრის საპასუხო წერილში აღნიშნულია, რომ საზღვარგარეთ ნაყიდი ახალი წიგნების განაწილება ვ. ი. ლენინის მითითებათა შესაბამისად ხდება (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **360.**

346 წერილის მანქანაზე გადაბეჭდილ ტექსტს ვ. ი. ლენინმა ხელით დაუმატა პოსტსკრიპტუმი. — **362.**

347 დოკუმენტი ვ. ი. ლენინის მიერ დათარიღებულია 1921 წლის 30 სექტემბრით. შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომა, რომელზეც ლაპარაკია როგორც გუშინდელზე, აგრეთვე 30 სექტემბერს გაიმართა. როგორც ჩანს, ვ. ი. ლენინს დოკუმენტი დაუწერია 30 სექტემბერს გვიან ღამით იმ ანგარიშით, რომ წერილი ვ. ვ. კუიბიშევს გაეგზავნებოდა მხოლოდ 1 ოქტომბერს; სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება ვ. ვ. კუიბიშევისათვის გაგზავნილი ამ წერილის მანქანაზე გადაბეჭდილი პირი, რომელიც დათარიღებულია 1921 წლის 1 ოქტომბერი. — **363.**

348 პრეობრაჟენსკის კომისია — რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს საფინანსო კომისია. შეიქმნა ე. ი. ლენინის წინადადე-

ბით სულ მალე პარტიის X ყრილობიდან საფინანსო პოლიტიკის საკითხების შესამუშავებლად ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით. — 865.

349 რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა ეს საკითხი 3 ოქტომბერს და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: «დაევალოს ამხ. ფრუმკინს შეადგინოს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიის კომუნისტური ფრაქციის რეზოლუციის პროექტი... რეზოლუციაში აღინიშნოს, რომ საჭიროა გამოსწორდეს გლეხებისათვის დაკისრებული ზედმეტი ტვირთი, რაც გამოწვეული იყო დამშეულთათვის დახმარების აუცილებლობით, აგრეთვე აღნიშნოს მისი გამოსწორების ღონისძიებებიც» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის IV სესიამ განიხილა ეითარება, რომელმაც აიძულა სახკომსაბჭო გაედიდებინა კარტოფილით ჭვავის შეცვლის ნორმა და დაადგინა, რომ ასეთი გადიდება შეიძლებოდა დაშვებული ყოფილიყო მხოლოდ როგორც განსაკუთრებული ღონისძიება და მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებათა (შიმშილი) გამო, და გამოთქვა რწმენა, რომ შეცვლის ახალ ნორმებს სოფლის მოსახლეობა მიიღებს როგორც დამშეულთა წინაშე ვალის მოხდას (იხ. «იზვესტია ვციკ» № 224, 1921 წ. 7 ოქტომბერი). — 865.

350 ი. ი. რადჩენკომ სთხოვა ვ. ი. ლენინს ხელი მოეწერა ჰიდროტორფის საბჭოს ოქმისათვის; ამ საბჭომ 1921 წლის 29 სექტემბერს დაადგინა, რომ მუხლუხიან ამწეებზე ჰიდროტორფის შეკვეთების ვადები 1922 წლის 1 მარტიდან 1 მაისისათვის გადატანილიყო.

სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს ხაზით დავალებათა წიგნში არის 3 ოქტომბრით დათარიღებული ჩანაწერი, რომელშიც ნათქვამია: «გამოირკვეს: 1) აქვს თუ არა ვლადიმერ ილიას ძეს იურიდიული უფლება ხელი მოაწეროს ისე, რომ გვერდი აუაროს შრომისა და თავდაცვის საბჭოს და სახკომსაბჭოს ერთპიროვნულად; 2) უნდა დაამტკიცოს თუ არა ელადიმერ ილიას ძემ ჰიდროტორფის საბჭოს 29 სექტემბრის ოქმი, როგორც ამას ითხოვს ი. ი. რადჩენკო. შესრულებულია 3 ოქტომბერს» («ისტორიჩესკი არხივ» № 5, 1961, გვ. 43). — 866.

351 დეპეშის ტექსტის უკანასკნელი წინადადება დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ. — 867.

352 ლაპარაკია ტანსაცმლით იმ სპეციალური ექსპედიციის მომარაგებაზე, რომელსაც უნდა განესაზღვრა ადგილი ასტრონომიული ობსერვატორიისათვის ჩრდილოეთ კავკასიის რაიონში. როგორც აკადემიკოსი ვ. გ. ფესენკოვი იგონებს, მან 4 ოქტომბერს ვ. ი. ლენინს ტელეფონით აცნობა, რომ სამი თვის განმავლობაში ვერ მოახერხა მიეღო აღჭურვილობა ექსპედიციისათვის. მეორე დღეს, 5 ოქტომბერს, ეს საკითხი დადებითად გადაწყდა. რამდენიმე დღის შემდეგ ექსპედიცია მთლიანად იქნა ეკიპირებული და გაემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში. — 369.

353 დოკუმენტი დაწერილია კაშირმშენის იმ საჩივრებთან დაკავშირებით, რომ ნელა წარმოებს რკინიგზის ტელეგრაფის ხაზის გადატანა კაშირასთან მდინარე ოკის ხიდის ერთი მხრიდან მეორეზე, რათა ადგილი განთავისუფლდეს მოსკოვ-კაშირის ელექტროგადამცემის კრონშტეინებისათვისო.

იმავე დღეს გზათა სახალხო კომისრის მოადგილემ ვ. ვ. ფომინმა ტელეგრაფით განკარგულება მისცა რიაზან-ურალის რკინიგზის სამმართველოს დაუყოვნებლივ გადაეტანათ რკინიგზის ტელეგრაფის ხაზი. — 369.

354 დოკუმენტი 1927 წელს ერთმა მუშამ გადასცა პარტიის არალის რაიკომს, რომელმაც მაშინვე გადაუგზავნა იგი სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივს. — 370.

355 გარათი დაწერილია ვ. ი. ლენინის მისალმებაზე VIII ელექტროტექნიკური ყრილობისადმი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 35 — 36). — 373.

356 1921 წლის 21 სექტემბრის წერილში ა. ი. პოტიაევი იტყობინებოდა თევზჭერის მკვეთრი გადიდების შესახებ, რაც მიღწეულ იქნა მებადურთა შრომის ანაზღაურების ახალი ფორმების მეოხებით. «თითოეული მებადური, — წერდა ა. ი. პოტიაევი, — თევზს გვაბარებს 1913 წლის ფასებით (ოქროს ვალუტით) ერთგვარი შესწორებებით (ბაზრის მიხედვით) და იღებს განსაკუთრებულ ორდერს, რომელსაც ინაღდებს ჩვენს მაღაზიაში ან დუქანში... სარეწის მუშებისათვის შრომის სანარდო ანაზღაურება დავაწესეთ... შემოღებულია ზუსტი კომერციული აღრიცხვა როგორც საქონლისა მაღაზიებსა და დუქნებში, ისე თევზის პროდუქტებისა... ჩემი ღრმა რწმენაა, რომ მდგომარეობიდან გამოვალთ და მივაღწევთ ნაყოფიერების მაქსიმუმს მხოლოდ იმ გზით, თუ მებადურს, მუშას, მოსამსახურეს უშუალოდ

მატერიალურად დავაინტერესებთ თავისი შრომის შედეგით» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი. — **374**.

357 იგულისხმება ბელორუსიის სახკომსაბჭოში წარგზავნილი საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ი. ვ. ტეუმინის მოხსენება ბელორუსიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სასაქონლო ოპერაციების შესახებ (იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 360). — **375**.

358 მ. კ. ნაზვანოვი—ინჟინერ-ტექნოლოგი. შაქრის მრეწველობის სპეციალისტი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის კონსულტანტი, დაპატიმრებულ იქნა პეტროგრადის გუბერნიის საგანგებო კომისიის მიერ პროფესორებისა და ინჟინრების ჯგუფთან ერთად, რომელთაც ბრალად ედებოდათ კავშირი ვ. ნ. ტაგანცევთან, პეტროგრადის კონტრრევოლუციური საბრძოლო ორგანიზაციის ხელმძღვანელთან. ნაზვანოვს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

ვ. ი. ლენინმა ამ საქმის შესახებ შეიტყო, ალბათ, ნაზვანოვის მამის 1921 წლის 26 ივნისის წერილიდან, რომლითაც იგი ითხოვდა შეემსუბუქებინათ მისი შვილის ხვედრი (იხ. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). ნაზვანოვის განთავისუფლებას ვ. ი. ლენინს სთხოვდა აგრეთვე გ. მ. კრჟიჟანოვსკი 18 სექტემბრის წერილში.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა, რომლებმაც კენჭი უყარეს 10 ოქტომბერს, მხარი დაუჭირეს ვ. ი. ლენინის წინადადებას. 14 ოქტომბერს პოლიტბიურომ ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი 10 ოქტომბრის დადგენილება პეტროგრადის გუბერნიის საგანგებო კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. ტაგანცევის საქმის გამოძიების დამთავრების შემდეგ ნაზვანოვი 17 დეკემბერს განთავისუფლებულ იქნა.

1922 წლის 26 იანვარს ვ. ი. ლენინმა მდივანს ტელეფონით გადასცა დავალება, რომელშიც ვ. ა. სმოლიანინოვს დააკისრა შეემოწმებინა დანიშნეს თუ არა მ. კ. ნაზვანოვი სახელმწიფო საგეგმო კომისიაში, ორი თვის შემდეგ მოეთხოვა სახელმწიფო საგეგმო კომისიისაგან ანგარიში ნაზვანოვის მუშაობის შესახებ და გაეხსენებინა ლენინისათვის ეს. — **377**.

359 დოკუმენტი დაწერილია მ. მ. ლიტვინოვის 1921 წლის 10 ოქტომბრის წერილთან დაკავშირებით, რომელშიც ნათქვამი იყო: «ამხ. ვოროვსკიმ რამდენჯერმე გვიდეპეშა და მოგვწერა, რომ იტალიის

ბანკები იტალიის მთავრობის თანხმობით მზად არიან მოგვცეს სესხი». წერილზე არის ვ. ი. ლენინის აღნიშვნები (სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — 378.

360 დოკუმენტი დაწერილია წერილზე, რომელიც გ. ვ. ჩიჩერინმა 1921 წლის 10 ოქტომბერს გაუგზავნა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და რომელიც შეიცავდა თხოვნას დაეჩქარებინათ დელეგატის დანიშვნა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის საკითხზე ჩინეთთან მოლაპარაკებისათვის და გამოთქმული იყო შიში, რომ ჩინეთთან მოლაპარაკებისათვის დელეგატის დანიშვნის გაჭიანურებამ შეიძლება საბაბი მისცეს მომავალ ვაშინგტონის კონფერენციას მოახდინოს გზის ინტერნაციონალიზაციაო. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი ამ მოლაპარაკებაზე დელეგატად გაგზავნისათვის რეკომენდაციას აძლევდა ი. ი. მარხლევსკის. ჩიჩერინი აგრეთვე იტყობინებოდა, რომ მიღებულია იაპონიის თანხმობა რსფს რესპუბლიკის წარმომადგენლის მონაწილეობაზე დაირნში შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკისა და იაპონიის წარმომადგენელთა კონფერენციის ცალკეული საკითხების განხილვის დროს (კონფერენცია მიმდინარეობდა 1921 წლის 26 აგვისტოდან 1922 წლის 16 აპრილამდე), და წინადადება შეიტანა ამ კონფერენციაზე გაეგზავნათ ა. კ. პაიკესი. შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებად ვაშინგტონის კონფერენციაზე ჩიჩერინი წინადადებას იძლეოდა გაეგზავნათ ე. მ. იაროსლავსკი და ნ. ლ. მეშჩერიაკოვი.

ვ. ი. ლენინის წინადადება იმავე დღეს მიიღო პოლიტბიურომ.

ვაშინგტონის კონფერენციაზე შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის წარმომადგენლად რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1921 წლის 13 ოქტომბერს დაამტკიცა ა. ა. იაზიკოვი. — 378.

361 ვ. ი. ლენინი ბევრ ძალასა და ყურადღებას უთმობდა ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობის აღდგენას დონბასში, რომელსაც იგი უწოდებდა მსხვილი მრეწველობის ძირითად ბაზას და ჩვენს ციხე-სიმაგრეს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 173 — 174 და ლენინის XXIII კრებული, გვ. 81 — 87). — 379.

362 ვ. ი. ლენინის სახელზე დაწერილ 1921 წლის 13 ოქტომბრის მოხსენებითს ბარათში მ. ლ. რუხიმოვიჩს გადმოცემული აქვს შრომისა და თავდაცვის საბჭოს იმ კომისიის მუშაობის შედეგები, რომელიც შეიქმნა დონბასის ქვანახშირის მრეწველობის აღმავლობასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად. — 382.

363 ვ. ი. ლენინის შენიშვნები ეხება «რუტგერსის ჯგუფთან შრომისა და თავდაცვის საბჭოს შეთანხმების ძირითად დებულებათა» პროექტს, რომელიც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1921 წლის 10 ოქტომბერს მოიწონა.

«ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი»—საბჭოთა რუსეთში ამერიკელ მუშათა ჩამოსვლისა და მუშაობის პირობების შესახებ ვალდებულების პროექტი, რომელიც ვ. ი. ლენინმა შეადგინა 1921 წლის 22 სექტემბერს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 298—299).—**382.**

364 უკანასკნელი ფრაზა დეპეშის ტექსტში დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ. — **384.**

365 ლაპარაკია ვ. დ. ბატიუშკოვისა და ნ. ს. ვეტჩინკინის ბროშურაზე «მყარი გრუნტის გზები». სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს ხაზით ვ. ი. ლენინის დავალებათა წიგნში არის 1921 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული შემდეგი ჩანაწერი: «შეგროვებულ იქნეს ცნობები გზატკეცილების სწრაფად გასაყვან ამერიკულ მანქანებზე. ამ მანქანებზე ვლადიმერ ილიას ძეს ელაპარაკა ამხ. ბოგდანოვი. გარკვეულ იქნეს: 1) რამდენი მანქანა გვაქვს, სად და როგორ მუშაობენ ისინი? 2) რა ღირს ასეთი მანქანები საზღვარგარეთ? 3) რამდენად გაუმჯობესებულია ისინი ამჟამად? დაჩქარდეს ეს საქმე. შესრულებულია 3 ოქტომბერს» («ისტორიჩესკი არხივ» № 5, 1961, გვ. 42). — **385.**

366 დოკუმენტი დაწერილია საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ვ. ჩიჩერინის იმ წერილზე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ პარტიის მოსკოვის კომიტეტმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის შეუტყობინებლად მივლინებაში გაგზავნა ბალტიისპირეთისა და სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგე. — **386.**

367 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ლ. კ. მარტენსის უარყოფითი დამოკიდებულება ს. რუტგერსის ჯგუფის გეგმებისადმი. შრომისა და თავდაცვის საბჭოსადმი 10 ოქტომბრის წერილში იგი აღნიშნავდა, რომ ეს გეგმები განირჩევა მოუმწიფებლობით, მოუფიქრებლობით და ადგილებზე საქმის მდგომარეობის არცოდნით; იგი წინააღმდეგი იყო ამ გეგმების დაფინანსებისა, რადგან მათი წარმატება ფრიად საეჭვოდ მიაჩნდა. — **388.**

368 დოკუმენტი დაწერილია პეტროგრადის გუბერნიის საგანგებო კომისიის შესახებ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1921

წლის 14 ოქტომბრის ოქმის ამონაწერზე. მოისმინა რა ი. ს. უნშლიხტის მოხსენება პეტროგრადის გუბერნიის საგანგებო კომისიის არსებული შემადგენლობის არადამაკმაყოფილებლობის შესახებ, პოლიტბიურომ დაადგინა: «დაევალოს ამხ. უნშლიხტს ორგბიუროსთან ერთად სამი დღის ვადაში შემოიტანოს პოლიტბიუროში დასამტკიცებლად პეტროგრადის საგანგებო კომისიის ხელმძღვანელობის კანდიდატები» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

კამენევის, ორჯონიკიძისა და ზალუცკის კომისიის შესახებ იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 408; თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 53, დოკუმენტი 361.—**388.**

369 1921 წლის 15 ოქტომბერს გ. ვ. ჩიჩერინი ვ. ი. ლენინს სწერდა, რომ დამშეულთათვის დახმარების სრულიად რუსეთის კომიტეტის დაშლამ კონტრრევოლუციური მოქმედების გამო და კონცესიის შესახებ ლ. ურკარტთან მოლაპარაკების შეწყვეტამ რსფს რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით მას წინადადება შეჰქონდა გადადგმულიყო ზოგიერთი ნაბიჯი, რომლებსაც, მისი აზრით, მოჰყვებოდა კაპიტალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესება: ლენინისა და ტროცკის გასვლა კომინტერნის აღმასკომიდან, საბჭოთა მთავრობის განცხადება მეფის რუსეთის ვალების ცნობის შესახებ და სხვ.

უკანასკნელ ფრაზაში იგულისხმება ვოლგისპირეთის დამშეულთათვის დახმარების გაწევის შესახებ 1921 წელს დადებული შეთანხმება დახმარების ამერიკულ ადმინისტრაციასთან («არა»), რომელსაც სათავეში ედგა ჰ. ჰუვერი (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 370).—**389.**

370 სიმინდის კულტურის შესახებ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოხსენება შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე იდგა 1921 წლის 21 ოქტომბერს, მაგრამ გადაიდო, რათა ამ საქმეში მიეზიდათ მიწსახკომიც მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის ნ. ოსინსკის 17 ოქტომბრის წერილთან დაკავშირებით, რომელშიც იგი იმის საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდა, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო სექციას დამოუკიდებლად შეეტანა შრომისა და თავდაცვის საბჭოში სოფლის მეურნეობის დიდმნიშვნელოვანი საკითხები (იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 447). — **391.**

371 ა ვ ტ ო რ ი — მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე ნ. ოსინსკი, რომელიც ვ. ი. ლენინის წერილის (იხ. ეს ტომში, დოკუმენტი 444) პასუხად თავის 17 ოქტომბრის წერილში მოითხოვდა,

რომ მიწასახკომისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის ურთიერთ-დამოკიდებულების საკითხი იურიდიული წესით გადაეჭრათ. მისი წინადადება იყო სახელმწიფო საგეგმო კომისიის როლი შეეზღუდათ «მხოლოდ უწყებათა მიერ შეტანილი გეგმების საერთო შეთანხმებით; სახელმწიფო საგეგმო კომისია გეგმებს დამოუკიდებლად არ ამუშავებს, ყველაფერი კეთდება კომისარიატების საგეგმო კომისიებში» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

გ. მ. კრჟიჟანოვსკი პასუხად წერდა, რომ ნ. ოსინსკი მართალია «იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობა მომდევნო ხასიათს უნდა ატარებდეს. მაგრამ სწორი არ იქნება ეს ისე გავიგოთ, თითქოს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში როგორღაც უნდა მუშაობდნენ «შეჯამებაზე» და არა ჰქონდეს სპეციალური სექციები, რომლებიც ნაწილობრივ უწყებათა სპეცებს გამოიყენებენ. მე უკვე ყველა სექციის წინაშე დავაყენე პირველადი საგეგმო ორგანოების სამუშაოთა და ჩვენი მუშაობის გარდაქმნისა და განსაზღვრის საკითხი» (იქვე). შემდეგ გ. მ. კრჟიჟანოვსკის ჩამოთვლილი ჰქონდა ზოგიერთი ღონისძიება სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობის გასაუმჯობესებლად. — **394.**

372 ვ. ი. ლენინის წინადადება დაწერილია საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ვ. ჩიჩერინის წერილზე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი, რომელიც ეხებოდა თურქეთს წარგზავნილი საბჭოთა ელჩის ს. ჰ. ნაცარენუსის თხოვნას გეზი მიეცათ მისთვის, თუ როგორ მოქცეულიყო იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთმა წინადადებებით მიმართა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ქემალს დაედოთ შეთანხმება, რომელიც შეიცავდა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ მუხლებსაც. ნაცარენუსი იტყობინებოდა, რომ საუბრები ჰქონდა ქემალთან, რომელმაც თითქოს კატეგორიულად უარყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი მუხლები. როგორც ნაცარენუსი იწერებოდა, მან ქემალს აგრძნობინა, რომ თურქეთის მიერ ისეთი შეთანხმების დადება, რომელშიც აღნიშნული მუხლები იქნება, საბჭოთა მთავრობას იძულებულს გახდის მიიღოს ზომები, რათა ინგლისმა არ ცნოს ეს შეთანხმებანი, და, გარდა ამისა, გააძლიეროს სამხედრო ძალები საბჭოთა რუსეთ-თურქეთის საზღვარზე. გ. ვ. ჩიჩერინის წინადადება იყო პოლიტბიუროს მიეღო დადგენილება, რომელიც დაადასტურებდა ნაცარენუსის მოქმედების სისწორეს და მათ საკმარისად ცნობდა.— **395.**

373 დაწერილია გ ვ. ჩიჩერინის 1921 წლის 17 ოქტომბრის წერილზე, რომელშიც იგი კვლავ იძლეოდა წინადადებას საბჭოთა მთავრობა

გამოსულიყო განცხადებით, რომ ცნობს მეფის რუსეთის ვალებს (იხ. ეს ტომი, დოკუმენტები 464 და 466). — **395.**

374 დოკუმენტი დაწერილია ივანოვო-ვოზნესენსკის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარის ნ. ნ. კოლოტილოვის მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით, რომელშიც ლაპარაკი იყო უყაირათობის შესახებ, იმის შესახებ, რომ მშენებლობაზე რამდენიმე კანტორაა, ბევრი მოსამსახურეა და ცოტა მუშა.

იმავე დღეს ვ. ი. ლენინის დავალებით ნ. პ. გორბუნოვი ესაუბრა ნ. ნ. კოლოტილოვს.

1921 წლის 20 ოქტომბერს ელექტროტექნიკურ ნაგებობათა სამმართველომ გაგზავნა წერილი, რომელშიც მიცემული იყო დაწვრილებითი პასუხები ვ. ი. ლენინის კითხვებზე. — **396.**

375 იელისის დამლევს ი. ს. არტიუხოვს, სურსათის სახალხო კომისარიატის დამზადებათა სამმართველოს საგეგმო ქვეგანყოფილების გამგეს, გაეგზავნა შუამდგომლობა, რომ სასურსათო გადასახადი შეემცირებინათ მოსკოვის გუბერნიის ნოვოკამენსკის მაზრის ორი თემისათვის, რომლებიც სეტყვისაგან დაზარალდნენ. შუამდგომლობა არტიუხოვთან იყო 1921 წლის ოქტომბრამდე. — **399.**

376 საბჭოების VIII ყრილობამ (1920 წლის 22—29 დეკემბერი, განიხილა რა საკითხი ცენტრში და ადგილებზე საბჭოთა ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ, მიიღო ვრცელი დადგენილება საბჭოთა მშენებლობის შესახებ.—**400.**

377 დოკუმენტი დაწერილია ვ. ი. ლენინისადმი ი. ი. ვიშნიაკის 1921 წლის 10 სექტემბრის წერილზე ი. ქ. ლალაიანცის შესახებ.

პოლიტიკურ უთანხმოებებზე რომ ლაპარაკობდა, ვ. ი. ლენინს მხედველობაში ჰქონდა შემდეგი ადგილი ი. ი. ვიშნიაკის წერილიდან: «ირკუტსკის განთავისუფლების შემდეგ ამხ. ლალაიანცი ცდილობდა ანგარიში მიეცა თავისი თავისათვის, თუ რა ხდებოდა საბჭოთა რუსეთში ამ წლებში, და გარკვეულიყო რკპ-ის ტაქტიკაში. მას ხშირად მოჰყავდა ჩემთან ციტატები აგრარული საკითხის შესახებ სტოკჰოლმის ყრილობაზე თქვენ მიერ წაკითხული მოხსენებიდან, რომელშიც აღნიშნავდით, რომ ერთადერთი გარანტია რესტავრაციის წინააღმდეგ რუსეთში რევოლუციის გამარჯვების შემდეგ — ეს არის სოციალური რევოლუცია დასავლეთში. ჩვენი იზოლირებულობა, ჩვენი პოლიტიკური ძლიერების შეუსაბამობა ეკონომიურ საძირკველთან და ზოგიერთი სხვა საკითხი, რომლებზეც ჯერ ვერ პოვა პასუხი, ხელს უშლიან მას შევიდეს რკპ-ში» (სკკპ ცენტრა-

ლურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი.)

ი. ი. ვიშნიაკის წერილზე არის აგრეთვე ი. ბ. სტალინის პასუხი: «მეც იმის მომხრე ვარ, რომ გამოვიძახოთ ლალაიანცი სამუშაოდ მოსკოვში» (ლენინის XXXV კრებული, გვ. 278).

ი. ჟ. ლალაიანცი გამოძახებულ იქნა მოსკოვში და მუშაობდა განსახკომში.—400.

378 შრომისა და თავდაცვის საბჭომ 21 ოქტომბერს, დაადგინა: დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ გასცეს სათანადო სახსრები მუღანის ველის მოსარწყავად. — 401.

379 როგორც ჩანს დოკუმენტებიდან, რომლებიც სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება, ვ. ი. ლენინს 1921 წლის 1 ნოემბრიდან დაწყებული თვეში ორჯერ ეგზავნებოდა ცნობები სათადარიგო ხელშეუხებელი ფონდის შესახებ (იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 459, 460). — 408.

380 დოკუმენტი დაწერილია იმასთან დაკავშირებით, რომ 1921 წლის 18 ოქტომბერს მიღებულ იქნა წერილი ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვისა, რომელიც მუშაობდა წიგნზე «რსფს რესპუბლიკის ელექტრიფიკაცია მსოფლიო მეურნეობის გარდამავალ ფაზასთან დაკავშირებით». წერილი შეიცავდა თხოვნას გაეთავისუფლებინათ იგი ყოველგვარი სამუშაოსაგან წიგნის დამთავრებამდე. — 408.

381 დოკუმენტი პასუხია ლ. ს. სოსნოვსკის წერილზე, რომელშიც გადმოცემული ჰქონდა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სახელმწიფო საწყობების მუშაობის გაუმჯობესების თავისი გეგმა. კერძოდ, მისი წინადადება იყო უზრუნველეყოთ 1000—1500 კაცი, საწყობების მუშები და მოსამსახურეები, ჯამაგირით 30-დან 50 ოქროს მანეთამდე, უმაღლესი მოსამსახურეები—75 მანეთამდე; დაეწესებინათ საწყობებში საქონლის შენახვის უკიდურესი ვადები და სხვ. — 406.

382 დეპეშის უკანასკნელი ფრაზა და სიტყვები «ან შეტანილ იქნეს შრომისა და თავდაცვის საბჭოში» დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ.—407.

383 Amruss — როგორც ჩანს, ლაპარაკია რუსეთ-ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო ასოციაციაზე, რომელსაც შემდგომ ეწოდა რუსეთ-ამერიკის ინდუსტრიული კორპორაცია (რუსამინკო, ან რაიკ). იგი და-

აარსა ამერიკის მკერავ მუშათა გაერთიანებულმა კავშირმა. 1921 წლის 12 ოქტომბერს დაიდო სანიმუშო ხელშეკრულება რსფს რესპუბლიკასა და რუსეთ-ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო ასოციაციას შორის. — 409.

384 ბარათი დაწერილია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიურო. სადმი ი. ბ. სტალინის 1921 წლის 22 ოქტომბრის წერილის (პირი ვ. ი. ლენინს) პასუხად, რომელშიც მან დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ კომუნისტი საბჭოთა მუშაკები გადანაწილებული ყოფილიყვნენ სახალხო კომისარიატებში და მათი საუკეთესო ნაწილისათვის თავი მოეყარათ მუშგლეხინში. სტალინის ვარაუდით მუშგლეხინს ესაჭიროებოდა 1000 — 1200 ახალი მუშაკი, როგორც უკიდურესი მინიმუმი — 250 კაცი.— 410.

385 რუსეთის ძველი ვალების გადახდის საკითხი დააყენა 1921 წლის 6—8 ოქტომბერს შემდგარმა ბრიუსელის კონფერენციამ, რომელშიც მონაწილეობდნენ 19 სახელმწიფოს, მათ შორის ბელგიის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ესპანეთის, შვეიცის, დანიის, ჰოლანდიის, რუმინეთის, ჩინეთის და სხვ. წარმომადგენლები, აგრეთვე საერთაშორისო წითელი ჯვრის და «არა»-ს (დახმარების ამერიკული ადმინისტრაცია) წარმომადგენლები.

კონფერენციამ ურჩია მთავრობებს მიეცათ საბჭოთა რუსეთისათვის კრედიტები შიმშილობასთან საბრძოლველად მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი ცნობდა ძველი მთავრობების ვალებს და დაუშვებდა კომისიას პროდუქტების განაწილებისათვის კონტროლის გასაწევად.

27 ოქტომბერს ძველი მთავრობების ვალების ცნობის საკითხი განიხილა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ. პოლიტბიურომ დაადგინა: «საფუძვლად მიღებულ იქნეს ამხ. ჩიჩერინის მიერ შემოტანილი ტექსტი ამხ. ლენინის შესწორებებით და დაევალოს ამხ. ჩიჩერინს გამოაქვეყნოს იგი თავისი ხელმოწერით» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). საბჭოთა მთავრობის განცხადება ვალების ცნობის შესახებ ლენინის შესწორებებით 28 ოქტომბერს გაეგზავნა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს (იხ. 1921 წლის 29 ოქტომბრის «პრავდა» № 243). ოფიციალური განცხადების ტექსტს აქვს რედაქციული ხასიათის ერთგვარი განსხვავებანი ამ ტომში გამოქვეყნებული პროექტისაგან. — 410.

386 დოკუმენტი დაწერილია გ. ვ. ჩიჩერინის წერილზე, რომელშიც გადმოცემული იყო შინაარსი ამერიკელი კორესპონდენტის დეპეშისა

იმის შესახებ, რომ უცხოელი კაპიტალისტები ხალისით არ ეკიდებიან საბჭოთა რუსეთში კონცესიების მიღებას, ვინაიდან დადის დაჟინებული ხმები, რომ ახლო მომავალში საბჭოთა მთავრობა სრულ საკუთრებად დაუბრუნებს უცხოელ მეწარმეებს წინათ მათს კუთვნილ ქარხნებსო. გ. ვ. ჩიჩერინმა წინადადება წამოაყენა გამოგვექვეყნებინა ამ ხმების უარყოფა.

დოკუმენტზე არის აგრეთვე ვ. ი. ლენინის შემდეგი ჩანაწერი: «რისთვის გამომიგზავნეთ 12. IX-ის «Times»?.—**415.**

387 რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიურომ 1921 წლის 28 ოქტომბერს დაადგინა გამოეწვია ნ. ა. ალექსეევი ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში. — **416.**

388 «Clarté» («სინათლე») — პროგრესულ დასავლეთევროპელ მწერალთა საერთაშორისო ჯგუფი; შექმნა 1919 წელს ა. ბარბიუსმა საფრანგეთის «ომის ყოფილ მონაწილეთა რესპუბლიკური გაერთიანების» («Association Républicaine des Anciens Combattants») საფუძველზე. შემდგომ მას შეუერთდნენ ასეთი ჯგუფები სხვა ქვეყნებში, რომლებმაც შექმნეს «ომის ყოფილ მონაწილეთა ინტერნაციონალი». ჯგუფი სცემდა იმავე სახელწოდების ჟურნალს (გამოდიოდა დროგამოშვებით 1919 წლის ოქტომბრიდან 1928 წლის იანვრამდე პარიზში). «Clarté»-ს რედაქტორის პოსტიდან ანრი ბარბიუსის წასვლის შემდეგ (1924 წლის აპრილში) ჟურნალმა პროგრესული მნიშვნელობა დაკარგა და 1928 წელს არსებობა შეწყვიტა, ხოლო ჯგუფი დაიშალა. — **416.**

389 დაწერილია ნ. მ. კნიპოვიჩის წერილზე, რომელშიც გადმოცემული იყო საზღვაო კვლევის საერთაშორისო საბჭოს თხოვნა, დაგვიბრუნეთ რუსეთის შენატანი 1914—1915 საბიუჯეტო წლისათვის 14 000 მანეთი, რაც შეტანილი იყო აზოვ-დონის ბანკში. აღნიშნავდა რა საბჭოს მუშაობის დიდ მეცნიერულ მნიშვნელობას, კნიპოვიჩი წერდა, რომ რუსეთი «ამ საქმისაგან განზე არ უნდა დარჩეს, როცა საერთაშორისო ურთიერთობა მოგვარდებაო» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). **იხ.** აგრეთვე ლენინის XXXV კრებული, გვ. 288. — **417.**

390 დოკუმენტი დაწერილია შვეიცის ფირმა სკფ-სთან კონცესიის საკითხზე დ. ი. კურსკის დასკვნასთან დაკავშირებით, რომელშიც წამოყენებული იყო ორი ვარიანტი დამატებითი ხელშეკრულებისა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ნაციონალიზებული ბურთულსაკისართა

ორი საწყობის შესახებ სადავო საკითხზე. 1921 წლის 27 ოქტომბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ სასურველად ცნო ფირმასთან მოლაპარაკების განგრძობა და ხელშეკრულების დადება დ. ი. კურსკის მიერ წამოყენებული ერთ-ერთი ვარიანტის ბაზაზე. — **418.**

391 ბარათი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სათბობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. ა. ტრიფონოვისადმი პასუხია მის წინადადებაზე შეგვექმნა გაზეთი კომერციული ინფორმაციისათვის. — **418.**

392 ლაპარაკია ხელშეკრულებაზე აზბესტის კონცესიისა და ა. ჰამერისაგან მილიონი ფუთი პურის შესყიდვის შესახებ.

დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი პ უ ნ ქ ტ ე ბ ი — შესწორებანი საკონცესიო ხელშეკრულებისა, რომლებიც ა. ჰამერმა წამოაყენა. დამატებითი დადგენილების პროექტი, რომელიც შრომისა და თავდაცვის საბჭომ 1921 წლის 28 ოქტომბერს მიიღო, ითვალისწინებდა იმას, რომ კონცესიონერებს მისცემოდათ მათი ქონების დაცვის გარანტიები, კონცესიის საქმეებზე სამსახურებრივი პერსონალის თავისუფალი მიმოსვლის, რუსეთში შემოსვლისა და გასვლის უფლება და სხვ.—**419.**

393 ლონდონიდან 1921 წლის 19 ოქტომბერს გამოგზავნილი დეპეშით ლ. ბ. კრასინი იუწყებოდა, რომ მან დაიწყო მოლაპარაკება ამერიკის სამშენებლო კომპანია «ფაუნდეიშნ კომპანისთან», რომელიც მომსახურებას უწევდა ნავთობის უმსხვილეს ფირმებს. ამ კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კომპანია მზად იყო ეკისრა პარაფინგამომყოფი ქარხნისა და გროზნო—შავი ზღვის ნავთსადენის აგება იმ პირობით, თუ ძიებას კომპანიის ინჟინრები აწარმოებდნენ. კრასინი წინადადებას იძლეოდა გამოყოფილიყო საამისოდ საჭირო სახსრები. ლ. ბ. კრასინისათვის გასაგზავნი დეპეშის ეს პროექტი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაამტკიცა 28 ოქტომბერს. იხ. აგრეთვე ლენინის XXXVI კრებული, გვ. 357.—358. — **421.**

394 იგულისხმება ი. ს. უნშლიხტის წერილი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თანამშრომელთათვის ხელფასის ახალი განაკვეთებით მიცემის შესახებ. — **422.**

395 ლაპარაკია ექსპორტის საკითხთა საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მ. ე. რიკუნოვის თეზისებსა და წერილზე. — **422.**

396 გ. დ. ციურუპამ მოახსენა ვ. ი. ლენინს, მასალების მიღებაში შეფერხება დაკავშირებული იყო იმასთან, რომ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა არ აცნობა კაშირმშენს ტვირთების მოსვლა მოსკოვშიო.

14 ნოემბერს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ა. ბოგდანოვმა ვ. ი. ლენინის ეს წერილი და გ. დ. ციურუპას პასუხი გადაუგზავნა მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატს საქმის გაჭიანურებაში კონკრეტულ დამნაშავეთა გამოსაძიებლად. — 425.

397 ბარათები დაწერილია იმასთან დაკავშირებით, რომ მზადდებოდა დენომინაცია როგორც ფულის მიმოქცევის მოწესრიგებისა და მანეთის სტაბილიზაციის ერთ-ერთი საშუალება. სახკომსაბჭოს 1921 წლის 3 ნოემბრის დეკრეტით ახალგამოშვებული ფულის ერთი მანეთი უთანაბრდებოდა წინანდელ გამოშვებათა 10 ათას მანეთს (იხ. «იზვესტია ვციკ» № 266, 1921 წლის 26 ნოემბერი. — 425.

398 პროექტი შეთანხმებისა რსფსრ მთავრობასა და მონღოლეთის მთავრობას შორის განიხილა და მოიწონა მცირე სახკომსაბჭომ იმავე დღეს, 1921 წლის 3 ნოემბერს.

5 ნოემბერს ვ. ი. ლენინმა მიიღო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია და ესაუბრა მას (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 404—405).

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობა საბჭოთა რუსეთ-მონღოლეთის ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ გამოქვეყნდა «პრავდაში» 1921 წლის 11 ნოემბერს.—127.

399 ამ წერილის პასუხად იუსტიციის სახალხო კომისარმა დ. ი. კურსკიმ 1921 წლის 14 ნოემბერს ვ. ი. ლენინს გაუგზავნა იუსტიციის სახალხო კომისარიატის საგამომძიებლო ნაწილის 1921 წლის ნახევარი წლის ცნობა საქმის გაჭიანურებასთან დაკავშირებულ 18 საქმეზე. მეტი წილი საქმეები, წერდა კურსკი, მთავრდებოდა დისციპლინარული სასჯელის დადებით, ნაწილი შეწყვეტილია და «მხოლოდ გამონაკლისის სახით საქმეები შეიძლებოდა გაგზავნილიყო სასამართლოებში (რევტრიბუნალსა და სახალხო სასამართლოებში)». აუწყებდა რა აგრეთვე საჩვენებელი პროცესების მომზადების შესახებ, იგი წერდა, დასმულია საკითხი მოსკოვის სახალხო მოსამართლეთა შემადგენლობის გადახალისების შესახებო (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

კურსკის პასუხმა ვერ დააკმაყოფილა ლენინი, და მან ხელახლა

მისწერა მას (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, დოკუმენტი 309). — **429.**

400 დაწერილია ქაღალდის მრეწველობისა და პოლიგრაფიული წარმოების საქმეებში სახკომსაბჭოს რწმუნებულის კ. მ. შვედჩიკოვის ბარათზე. შვედჩიკოვი ითხოვდა: «დაინიშნოს დაჯავშნული ფულადი ფონდი საგამომცემლო საქმისათვის (სახელგამი, ქაღალდის მრეწველობის მთავარი სამმართველო, პოლიგრაფგანყოფილება და «ცენტროპეჩატი») 319 მილიარდი მანეთის ოდენობით»; «ავანსად გაცემა 60 მილიარდი მანეთის ოდენობით მოხდეს ამა წლის 15 ნოემბრამდე ცალკეულ დაწესებულებათა განაცხადების პროპორციულად».

შვედჩიკოვის მიერ დაყენებული საკითხი 9 ნოემბერს განიხილა ფინსახკომის სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო სამმართველოსთან არსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ. აღნიშნა რა განაცხადის არასაკმაო დასაბუთებულობა, კომისიამ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსა და ფინსახკომის წარმომადგენლებს დაავალა შეემოწმებინათ იგი და მიეცათ დასკვნა.

9 ნოემბერს კ. მ. შვედჩიკოვმა კვლავ მიმართა წერილით ვ. ი. ლენინს (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 33). — **429.**

401 მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი რ ე ს უ რ ს ე ბ ი ს გ ა მ ო ყ უ ე ნ ე ბ ი ს კ ო მ ი ს ი ა სახკომსაბჭოს 1918 წლის 21 ნოემბრის დეკრეტით შეიქმნა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან. სახკომსაბჭოს 1921 წლის 17 მარტის დადგენილებით გამოყენების კომისია გადაეცა შრომისა და თავდაცვის საბჭოს გამგებლობაში. იგი უმაღლესი ინსტანცია იყო მატერიალური რესურსების განაწილებაში, მისი გადაწყვეტილებანი ძალაში შედიოდა, თუ მათ კომისიის გადაწყვეტილების დღიდან სამი დღის ვადაში შრომისა და თავდაცვის საბჭოში არ გააპროტესტებდნენ და შრომისა და თავდაცვის საბჭო არ გააუქმებდა. ყველა უწყება მოვალე იყო გამოყენების კომისიის განსახილველად წარედგინა ზუსტად დასაბუთებული მატერიალური ხარჯთაღრიცხვები. იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 526. — **430.**

402 «ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ებ ა პ. ბ. შ ტ ე ი ნ ბ ე რ გ თ ა ნ ტ ყ ა ვ ი ს ნ ე დ ლ ე უ ლ ი ს შ ე გ რ ო ვ ებ ი ს ა და ვ ა ჭ რ ო ბ ი ს კ ო ნ ც ე ს ი ა ზ ე» სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ 1921 წლის 21 ნოემბერს წარუდგინა დასამტკიცებლად სახკომსაბჭოს. 29 ნოემბერს სახკომსაბჭომ დაავალა კომისიას ვ. ვ. გომბარგის, ა. მ. ლეჟავას და ა. ლ. შეინმანის შემადგენლობით გადაესინჯა ხელშეკრულება და განეგრძო მოლაპარაკება კონტრაგენტებთან. ამ საკითხზე

დადგენილებისათვის ვ. ი. ლენინმა შეიტანა შემდეგი წინადადებანი როგორც დირექტივები კომისიისათვის: «α) ბაკების სიდიდე (პუნქტი წაშლილია და დადგენილებაში არ შესულა.—რედ.; β) აქამდე ტყავის დამზადების რეალური სიდიდის შემოწმება საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ... γ) შემოწმება საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და «ცენტროსოიუზის» საკუთარი ოპერაციების შესაძლო და სავარაუდო განვითარებისა ფულის ნიშნების გარკვეული რაოდენობის ხარჯვისას» (ლენინის XXIII კრებული, გვ. 187). არაერთგზის განხილვის შემდეგ სახკომსაბჭომ 1922 წლის 10 იანვარს უარყო კონცესია და სპეციალურად დანიშნულ კომისიას დაავალა შეემუშავებინა დებულება ტყავის ნედლეულის ქვეყნის შიგნით სააქციო საწყისებზე დამზადების ორგანიზაციის შესახებ. 24 იანვარს სახკომსაბჭომ ძირითადად დაამტკიცა «ტყავის ნედლეულით შინაგანი და გატანითი ვაჭრობის სააქციო საზოგადოების» («კოჟსირიო») წესდების პროექტი. 1922 წლის 1 თებერვალს საზოგადოების წესდება და მის დამაარსებლებს შორის შეთანხმება დაამტკიცა შრომისა და თავდაცვის საბჭომ. იხ. ეს ტომი, დოკუმენტები 515 და 589. — **480.**

403 ბარათი დაწერილია იმასთან დაკავშირებით, რომ 1921 წლის 10 ნოემბერს სახკომსაბჭოს სხდომაზე უნდა განხილულიყო სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ა. ბ. ხალატოვის მოხსენება მეცნიერთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ. სახკომსაბჭომ, მიიღო რა ცნობად და დაამტკიცა რა ხალატოვის მოხსენება როგორც წინასწარი, დანიშნა მუდმივი კომისია მეცნიერთა ყოფა-ცხოვრების ყოველმხრივი გამოკვლევისა და გაუმჯობესებისათვის. — **481.**

404 დაწერილია გ. ვ. ჩიჩერინის წერილზე, რომელშიც იგი იუწყებოდა, რომ დამშეულებისადმი დამხმარე ინგლისის კომიტეტს განზრახული აქვს უკრაინასა და სხვა ადგილებში გაგზავნოს საქონელი პურზე გასაცვლელად იმისათვის, რომ მიღებული პური დამშეულ რაიონებში გაიგზავნოსო. ჩიჩერინი წინადადებას იძლეოდა უარგვეყო ეს გეგმა, რადგან ფიქრობდა, რომ ინგლისელები ძველ საქონელს გამოგზავნიდნენ და იყო საშიშროება, რომ ინგლისელ ნოქრებს ბანდიტები დაესხმოდნენ თავს. — **482.**

405 ციფრები წარმოადგენს იმ თესლის გამოანგარიშებას, რომელიც საჭირო იყო დამშეულ გუბერნიებში საგაზაფხულო ფართობის დასათესად 1922 წლის გაზაფხულზე. აუცილებლად საჭირო იყო 33 მილიონი ფუთი თესლი. აქედან 15 მილიონი ფუთი მიწსახკომს

უნდა მიეღო სურსათის სახალხო კომისარიატისაგან; დანაკლისი 18 მილიონი ფუთის ნახევრის, ე. ი. 9 მილიონი ფუთის, შესაძენად სახკომსაბჭომ ოქრო გამოყო, დანარჩენი 9 მილიონი ფუთი სურსათის სახალხო კომისარიატს უნდა მიეცა ზეგეგმითი დამზადების ხარჯზე. — 432.

406 ბარათი დაწერილია იმასთან დაკავშირებით, რომ შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველის თანაშემწემ ეკონომიურ საკითხებში ვ. ა. სმოლიანინოვმა ვ. ი. ლენინს აცნობა, რომ ბევრი საგუბერნიო ეკონომიური თათბირი და სხვა ადგილობრივი ორგანოები ჩიოდნენ, ცენტრის გამოცემებს ვერ ვიღებთო.—433.

407 ივულისხმება შენიშვნა «დონბასის აღორძინება», რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთ «ვსეროსიისკაია კოჩევარკაში» 1921 წლის 1 ნოემბერს. შენიშვნაში იუწყებოდნენ, რომ დაიწყო ქარხნების აღდგენა კოსტანტინოვკაში. — 433.

408 საკითხი, რომ ბრიანსკის ქარხნის მუშები დაეჯილდოებინათ ელექტროგუთნების წარმატებით დამზადებისათვის, განხილულ იქნა შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე 1921 წლის 25 ნოემბერს. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა საქმე დასკვნისათვის გაგზავნილიყო მელითონეთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტში. იმასთან დაკავშირებით, რომ ბრიანსკის ქარხანამ დაგეგმილი 20 ელექტროგუთნის ნაცვლად 1 ნოემბრისათვის მხოლოდ 8 დაამზადა, მელითონეთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური ჯილდოს მიცემა მიზანშეუწონლად ჩათვალა, ამასთან აღინიშნა, რომ ის მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, შეიძლება პრემირებულ იქნენ იმ სახსრების ხარჯზე, რაც ასიგნებული იყო ელექტროგუთნების დასამზადებლადო. 1921 წლის 14 დეკემბერს შრომისა და თავდაცვის საბჭო გაეცნო მელითონეთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის დასკვნას და დაადგინა დათანხმებოდა მას. — 435.

409 ლაპარაკია ლ. ს. რიკლინზე, რომელსაც ვ. ი. ლენინმა რეკომენდაცია მისცა გამოყენებული ყოფილიყო საზღვარგარეთ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დაწესებულებებში სამუშაოდ. — 436.

410 კონტრაბანდასთან ბრძოლის საკითხი განხილულ იქნა 1921 წლის ნოემბერში მცირე სახკომსაბჭოს რამდენიმე სხდომაზე.

21 ნოემბერს სახკომსაბჭომ დაამტკიცა პროექტი დეკრეტისა

«კონტრაბანდის დამკავებელთა პრემირების შესახებ» (დეკრეტი დაიბეჭდა 1921 წლის 3 დეკემბერს გაზეთში «იზვესტია ვციკ»). 1921 წლის 23 ნოემბერს მცირე სახკომსაბჭომ განიხილა კონტრაბანდასთან ბრძოლისათვის შემუშავებული ღონისძიებანი, ხოლო 28 ნოემბერს, მიიღო რა საფუძვლად სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის მიერ შეტანილი პროექტი სახკომსაბჭოს დადგენილებისა კონტრაბანდასთან ბრძოლის შესახებ, დაავალა კომისიას ხუთი დღის ვადაში «დამატებით გადაამუშაოს პროექტი, აგრეთვე შეიმუშაოს დებულება კონტრაბანდასთან ბრძოლის ორგანოების შესახებ» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). კომისიის მიერ წარდგენილი პროექტი დადგენილებისა 8 დეკემბერს შესწორებებით მიიღო მცირე სახკომსაბჭომ (დადგენილება დაბეჭდილია გაზეთში «იზვესტია ვციკ» 1921 წლის 29 დეკემბერს). — **486**.

411 იგულისხმება სტატია «ოქროს მნიშვნელობის შესახებ ამჟამად და სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 111 — 121; მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 27). — **487**.

412 ლაპარაკია ი. ნ. ჩებოტარიოვის 1921 წლის 7 ნოემბრის მოხსენებითს ბარათზე სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისადმი. ჩებოტარიოვი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამდე სახელმწიფო შემნახველი სალაროების სამმართველოს კომიტეტის წევრი იყო, ასაბუთებდა იმის საჭიროებას, რომ აღდგენილიყო სახელმწიფო შემნახველი სალაროების საქმიანობა მოსახლეობის ხელში მყოფი ფულის მოზიდვის მიზნით.

შემნახველი სალაროები დაარსებულ იქნა სახკომსაბჭოს 1922 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით (გამოქვეყნებულია გაზეთში «იზვესტია ვციკ» 1922 წლის 29 დეკემბერს). — **487**.

413 «ს მ ე ნ ა ვ ე ხ» — ყოველკვირეული ჟურნალი, რომელსაც პარიზში უშვებდა თეთრგვარდიელი ემიგრაციის ინტელიგენტთა ჯგუფი 1921 წლის ოქტომბრიდან 1922 წლის მარტამდე. ამავე ჯგუფმა 1921 წლის ივლისში პრაღაში გამოსცა კრებული «სმენა ვეხ». კრებულისა და ჟურნალის გარშემო შეიქმნა მიმდინარეობა, რომელმაც სმენავეხელობის სახელწოდება მიიღო. რაკი დარწმუნდნენ, რომ უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობა სრულიად უიმედო იყო, სმენავეხელები მხარს უჭერდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას იმ ვარაუდით, რომ მოხდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს ბურჟუაზიული გადაგვარება. სმენავე-

ხელთა ნაწილს უნდოდა პატიოსნად შეეწყო ხელი რუსეთის ეკონომიური აღორძინებისათვის. — 488.

414 ს ა ო ლ ქ ო ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი თ ა თ ბ ი რ ე ბ ი, ანუ საბჭოები— შრომისა და თავდაცვის საბჭოს ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც 1921 წლის დამდეგს შეიქმნა საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობის (1920 წლის დეკემბერი) დადგენილების შესაბამისად. — 488.

415 ანგარიშების წარდგენის ვადები განისაზღვრა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1921 წლის 30 ივნისის დადგენილებით «ადგილობრივი ეკონომიური თათბირების, მათი ანგარიშგებისა და სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესით ხელმძღვანელობის შესახებ», რომლის პროექტი დაწერილი იყო ვ. ი. ლენინის მიერ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 332 — 334).—488.

416 ბარათი დაწერილია ინდოელი კომუნისტის აბანი მუკერჯის წერილზე, რომელმაც ვ. ი. ლენინს გამოუგზავნა თავისი სტატია ინდოეთში მომხდარ მალაბარის 1921 წლის აჯანყებაზე. — 489.

417 პირველი ბარათი დაწერილია იმ პროტესტთან დაკავშირებით, რაც განაცხადა იუსტიციის სახალხო კომისარიატმა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 16 ივნისის ცირკულარის წინააღმდეგ პარტიულ და სასამართლო-საგამომძიებლო დაწესებულებათა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, რომელიც აწესებდა კომუნისტების სასამართლო ხელშეუხებლობას ადგილობრივი პარტკომების სანქციის უქონლად.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი თხოულობდა ცენტრალური კომიტეტის ცირკულარიდან მე-4 და მე-5 პარაგრაფის ამოღებას.

§ 4 ითვალისწინებდა, რომ სასამართლო ხელისუფალთათვის საკალდებულო იყო სამართალში მიცემული კომუნისტების განთავისუფლება თავდებქვეშ იმ პირთა პერსონალური თავდებობით, რომლებსაც საამისოდ რწმუნებას მისცემდნენ პარტიული კომიტეტები. § 5 ითვალისწინებდა, რომ პარტიული კომიტეტი მოვალე იყო, საქმეს რომ გაეცნობოდა, სამი დღის განმავლობაში ემსჯელა საქმის არსზე, რათა კომიტეტის გადაწყვეტილება პარტიული დირექტივა ყოფილიყო სასამართლოსათვის და წინასწარ განესაზღვრა სასამართლოს გადაწყვეტილება.

თავისი პირველი ბარათის პასუხად ვ. ი. ლენინმა მიიღო ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს 1921 წლის 11 ნოემბრის დადგე-

ნილება ცირკულარის დამტკიცების შესახებ და ვ. მ. მოლოტოვის წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ცირკულარი შეცვლილია და საკითხი შეიძლება ამოწურულად ჩაითვალოსო.

რამდენადაც ეს ცვლილებანი ცირკულარის მთავარ ნაკლს არ შეხებია, ვ. ი. ლენინმა დაწერა მეორე ბარათი.

1922 წლის იანვრის დამდეგს რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა ცირკულარი «სასამართლო-საგამომძიებლო კომისიებთან პარტკომების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ», რომელმაც გააუქმა 16 ივნისის ცირკულარი. ახალ ცირკულარში ხაზგასმული იყო იმის უეჭველი აუცილებლობა, რომ გაძლიერებულიყო პარტიის წევრთა პასუხისმგებლობა მათ მიერ ისეთ ქმედობათა ჩადენისას, რომლებიც ექვემდებარებოდა სამოქალაქო სასამართლოს ან რევტრიბუნალის გამგებლობას (იხ. «პარტმუშაკის ცნობარი», ნაკვეთი 11, 1922, გვ. 177). — **439.**

418 გ. ე. ზინოვიევი ვ. ი. ლენინს სთხოვდა გამოსულიყო სტატიით ან წერილით იტალიელი რეფორმისტებისა და სერატის ორპირული ქცევის წინააღმდეგ, რადგან ფიქრობდა, რომ ამას: უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 569. — **440.**

419 იგულისხმება ა. ვ. ლუნაჩარსკის ბროშურა, რომელსაც იგი იმ დროს წერდა ვ. ი. ლენინის წინადადებით (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 53, დოკუმენტი 518). ბროშურა გამოიცა პეტროგრადში 1922 წელს სახელწოდებით «მოქ. გიაცინტ სერატი, ანუ რევოლუციურ-ოპორტუნისტული ამფიბია». — **441.**

420 შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1921 წლის 4 ნოემბრის დადგენილებით ვ. ი. სამარინი დამტკიცებულ იქნა განსაკუთრებულ რწმუნებულად, რომელიც ყირიმში იგზავნებოდა ღვინოების დატაცების შეწყვეტისა და მათი სწორი აღრიცხვის მოგვარების მიზნით. — **441.**

421 დოკუმენტი დაწერილია განათლების სახალხო კომისრის ა. ვ. ლუნაჩარსკის წერილზე, რომელშიც იგი იუწყებოდა, რომ აკადემიკოსმა ი. პ. პავლოვმა უარი განაცხადა ამერიკაში გამგზავრებაზე და თხოულობს შესაძლებლობა მისცენ ერთი თვით გაემგზავროს ფინეთში; მაგრამ, წერდა ლუნაჩარსკი, თუმცა არსებობს დადგენილება, რომ პავლოვს ნება დაერთოს გაემგზავროს ამერიკაში და მიეცეს საამისო სახსრები, მას ვერ მიუღია ვიზა ფინეთში გასამგზავრებლადო.

ი. ს. უნშლიხტმა ვ ი. ლენინს აცნობა, 15 ნოემბერს გავეცი მითითება, რომ ი. პ. პავლოვისათვის ყოველგვარი ფორმალობის

გვერდის აელით მიეცათ ფინეთში გამგზავრების ვიზაო. ენშლიხ-ტის ბარათზე არის ლენინის შემდეგი განკარგულება მდივნისადმი: დაურეკეთ ს ე მ ა შ კ ო ს. გთხოვთ შეამოწმოთ შესრულება. ლ ე ნ ი ნ ი (ლენინის XXIII კრებული, გვ. 329). — **442.**

422 ბარათი დაწერილია ლ. კ. მარტენსის ცნობაზე იმის შესახებ, რომ პირველი გემი, რომელზეც დატვირთულია რუსეთისათვის განკუთვნილი ხორბალი «მედიკამენტებისა და ქიმიური პრეპარატების ამერიკის გაერთიანებულ კომპანიასთან» («Allied Drug and Chemical Corporation») დადებული ხელშეკრულების მიხედვით, ნიუ-იორკიდან გამოდის 1921 წლის 17 ნოემბერს.

ხელშეკრულება საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და ამ კომპანიას შორის საბჭოთა რუსეთში 1 მილიონი ფუთი ხორბლის შემოტანის შესახებ დაიდო მოსკოვში 27 ოქტომბერს და დამტკიცებულ იქნა შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ 1921 წლის 4 ნოემბერს (იხ. ეს ტომი, დოკუმენტები 439, 441, 451, 473, 474, 482, აგრეთვე თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 53, დოკუმენტები 428, 511).

1921 წლის 25 ნოემბერს შრომისა და თავდაცვის საბჭომ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და გზათა სახალხო კომისარიატს დაავალა წარედგინათ მოხსენება აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ იმისათვის, რომ «პური მიღებულ იქნეს სრულიად გაუჭიანურებლად» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ცენტრალური პარტიული არქივი). — **448.**

423 დ. ი. კურსკიმ 1921 წლის 21 ნოემბერს აცნობა ვ. ი. ლენინს, რომ ზარალის გამომრკვევი კომისიის მასალები დაცულია, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში ინახება და მათს დამუშავებას ამთავრებს სახკომსაბჭოს 1921 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით შექმნილი კომისია. კურსკიმ წინადადება შეიტანა მასალების დაცვისათვის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით პასუხისმგებლად დაენიშნათ ს. ს. პილიავსკი და განესაზღვრათ კომისიის მუშაობის დამთავრების ვადა — 1921 წლის 1 დეკემბერი.

კურსკის წერილზე ლენინის შემდეგი წარწერაა: **«ბორბუნოვს.** დააყენეთ ხვალ, 22/XI-ს, სახკომსაბჭოში. 21/XI. ლ ე ნ ი ნ ი».

22 ნოემბერს სახკომსაბჭომ მოისმინა დ. ი. კურსკის მოხსენება და მიიღო მისი წინადადება. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 512. — **445.**

424 წერილი დაკავშირებულია ვ. ვ. ობოლენსკისა (ნ. ოსინსკისა) და ი. ა. ტეოდოროვიჩს შორის მომხდარ კონფლიქტთან. რკპ (ბ) ცენ-

ტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ ეს საკითხი განიხილა 1921 წლის 18 ნოემბერს და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

«ა) აღიარებულ იქნეს, რომ მიწსახკომისადმი სწორი ხელმძღვანელობისათვის საჭიროა შემდეგი კომბინაციის განხორციელება პირველ პოსტებზე: პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა უნდა ეკუთვნოდეს ამხ. ოსინსკის, სახალხო კომისრად უნდა იყოს მიწათმოქმედებაში პრაქტიკულად მომუშავე გლეხი, ამხ. ოსინსკის მოადგილედ — ამხ. ტეოდოროვიჩი. ბ) დატოვებულ იქნეს ამხ. ტეოდოროვიჩი მეცხოველეობის განყოფილების გამგედ» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

21 ნოემბერს პოლიტბიუროომ დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება ი. ა. ტეოდოროვიჩის შესახებ.

22 ნოემბერს ოსინსკიმ პოლიტბიუროს მიმართა თხოვნით ან გაეუქმებინა გადაწყვეტილება ტეოდოროვიჩის შესახებ ან გაეთავისუფლებინა იგი, ოსინსკი, სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობიდან. ამ წერილზე ვ. ი. ლენინმა დააწერა: «წინადადება შემომაქვს უარყოფილ იქნეს ორივე ნაწილში. ლ ე ნ ი ნ ი». ლენინის წინადადება პოლიტბიუროომ მიიღო 1921 წლის 29 ნოემბერს. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 546, 547. — 445.

425 ლაპარაკია გ. დ. კრასინსკის — ციმბირსა და ურალში წარგზავნილი მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული რწმუნებულის 1921 წლის 16 დეკემბრის წერილზე ვ. ი. ლენინისადმი. იგი ამტკიცებდა, რომ მიზანშეუწონელი იყო შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ 11 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილება კოლჩუგინო — პროკოპიევსკის მაღაროების რკინიგზის შტოს გადაცემის შესახებ სახელმწიფო ნაგებობათა ციმბირის კომიტეტის გამგებლობიდან გზათა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში.

იმავე დღეს, 21 ნოემბერს, შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადასტურა თავისი დადგენილება და ნ. პ. გორბუნოვს დაავალა «დღესვე გაუგზავნოს პირდაპირი მავთულით ცნობა ციმბირის რევკომს და გზათა ციმბირის ოლქს შრომისა და თავდაცვის საბჭოს 11/XI-ის დადგენილების დაუყოვნებლივ განხორციელების შესახებ» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 60. — 446.

426 დაწერილია ი. ბ. სტალინის სახელზე გ. ვ. ჩიჩერინის 1921 წლის 19 ნოემბრის წერილის ტექსტის ქვეშ. ჩიჩერინი წერდა, რომ საბ-

ჭოთა მთავრობა არ უნდა სჯერდებოდეს აღმოსავლეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი პოლიტიკურ მხარდაჭერას, რომ საჭიროა დახმარება ეწეოდეს ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოებს ეკონომიკის განვითარებაში, კადრების მომზადებაში. აღნიშნავდა რა ამ ხაზის დადებით შედეგებს ავღანეთის, მონღოლეთის, სპარსეთის მიმართ, ჩიჩერინი წერდა, ასეთსავე პოლიტიკას თურქეთის მიმართაც უნდა ვახორციელებდეთო. — **446**.

427 ლაპარაკია მაღაროელთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის ი. რემეიკოს ბროშურაზე «რკპ X ყრილობის გადაწყვეტილებანი, პროფკავშირი და დონბასის მუშები (მოხსენებითი ბარათი). ხელნაწერის უფლებით», რომელიც გამოიცა მოსკოვში. 1921 წლის ნოემბერში. — **447**.

428 საკითხი დონბასში მომუშავეთა შორის უთანხმოების შესახებ განხილულ იქნა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს რამდენიმე სხდომაზე.

1921 წლის 26 და 27 ნოემბერს პოლიტბიურომ დასახა ზოგიერთი ღონისძიება დონბასის ხელმძღვანელი მუშაკების ნორმალური ურთიერთდამოკიდებულებისა და საქმიანი მუშაობის უზრუნველყოფისათვის.

1921 წლის 22 დეკემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაამტკიცა უკრაინის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ქვანახშირის მრეწველობის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის პოსტიდან პიატაკოვის მოხსნისა და ამ თანამდებობაზე ვ. ი. ჩუბარის დანიშვნის შესახებ. პოლიტბიუროს დადგენილება დაადასტურა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 28 დეკემბრის პლენუმმა.

დონბასში წარმოშობილ უთანხმოებათა შესახებ ლენინმა ილაპარაკა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში პარტიის XI ყრილობაზე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 348—351). — **447**.

429 ეს რეკომენდაცია დაწერილია რკპ (ბ) წმენდასთან დაკავშირებით, რომელიც 1921 წელს ეწყობოდა.

რეკომენდაცია დაწერილია ი. ს. განეცკის ავტობიოგრაფიაზე. მასზე დაწერილია აგრეთვე ფ. ე. ძერჟინსკის რეკომენდაცია. — **448**.

430 თავის წერილში მოსკოვის საწარმოო სამმართველო წინადადებას აძლევდა «მოსტექსტილს» შეეწყვიტა განწესებათა გაცემა საფეიქრო ფაბრიკებიდან ნედლეულის, მასალებისა და საქონლის გატანაზე, ავ-

რეთვე შეეჩერებინა ადრე გაცემულ განწესებათა შესრულება იმის გამორკვევამდე, თუ რა გარემოებებში მიეცა ეს ფაბრიკები იჯარით მოიჯარეთა საინიციატივო ჯგუფს. ეს ღონისძიება გამოწვეული იყო იმით, რომ აღნიშნული საწარმოების იჯარით გაცემა სინამდვილეში უკონტროლოდ ხდებოდა და იწვევდა სახელმწიფო ქონების დაუსჯელად დატაცებას. იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 514. — **448.**

431 საკითხი ა. ს. კისელიოვისათვის შვებულების მიცემის შესახებ განხილულ იქნა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე 1921 წლის 24 ნოემბერს. პოლიტბიუროომ დაადგინა: «მიეცეს ამხ. კისელიოვს ხანგრძლივი შვებულება, ამასთან შვებულების ადგილი და დრო ზუსტად იქნეს შეთანხმებული ამხ. სემაშკოს და მის მიერ მოწვეული ექიმთა კონსილიუმის მითითებასთან» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **450.**

432 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს შემდეგი მასალები: პირი მოსკოვის საწარმოო სამმართველოს 1921 წლის 15 ოქტომბრის მიმართვისა «მოსტექსტილისადმი», «მოსტექსტილის» ზნამენსკაიას № 115 საქსოვ-საფეიქრო ფაბრიკის შენობათა და მოწყობილობის აღწერილობა 1921 წლის 15 ნოემბრისათვის» და «საქონლის, ნედლეულის, დამხმარე მასალებისა და ნახევარფაბრიკატების აღწერილობა 1921 წლის 15 ნოემბრისათვის «მოსტექსტილის» ზნამენსკაიას № 115 საქსოვ-საფეიქრო ფაბრიკაში». — **450.**

433 ი. ბ. სტალინის პასუხი ამ წერილზე იხ. ლენინის XXXIV კრებულში, გვ. 427. — **450.**

434 1921 წლის 21 ნოემბერს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად წარადგინა «ტყავის ნედლეულის შეგროვებასა და ვაჭრობაზე კონცესიის ხელშეკრულება პ. ბ. შტეინბერგთან». იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 485 და 589.—**451.**

435 სახელმწიფო საგეგმო კომისიის 1921 წლის 15 დეკემბრის საპასუხო წერილში იუწყებოდნენ, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა მოუსმინა ივანოვო-ვოზნესენსკის საგუბერნიო აღმასკომის წარმომადგენელს ივანოვო-ვოზნესენსკის რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობაზე საქმის ვითარების შესახებ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ იმის განსჯისათვის, თუ რამდენად სასწრაფოა სადგურის აგება, საკმაო მონაცემები არ არის და რომ მისი მუშაობა უზრუნველყოფილი არ არის

ტორფის მოპოვებით ტეიკოვოს ჭაობში, სადაც დაგეგმილია სადგურის მშენებლობა. ამის გამო სახელმწიფო საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა ტორფის მრეწველობის ცენტრალურ სამმართველოს («ცუტორფს») მიეღო სასწრაფო ზომები ტორფის მოპოვების გაძლიერებისათვის, ხოლო ივანოვო-ვოზნესენსკის ეკონომთათბირს — ელექტროსადგურის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადის დასაზუსტებლად შეემუშავებინა მრეწველობის, აგრეთვე სხვა დარგების განვითარებისა და რეკონსტრუქციის სქემა ელექტროენერგიასა და საოჯახოზე მოთხოვნილების თვალსაზრისით. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 667.

ივანოვო-ვოზნესენსკის ელექტროსადგურის მშენებლობას 1926 წელს შეუდგნენ. — **458.**

436 იგულისხმება საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობა.—**458.**

437 ბარათი ვ. მ. მოლოტოვისადმი და პასუხი ა. ი. ოკულოვისადმი ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილია ოკულოვის წერილზე. ა. ი. ოკულოვი სწერდა ვ. ი. ლენინს იმის შესახებ, რომ სახელგამს მიმართა, რათა ნებართვა მიეღო გამოეცა თავისი პირადი პასუხისმგებლობით ყოველკვირეული სამეცნიერო-სამხატვრო და სალიტერატურო გაზეთი, და რეკომენდაციას სთხოვდა ლენინს.

1922 წლის 17 იანვარს პოლიტბიურომ დაადგინა: «ნება დაერთოს ოკულოვს გამოსცეს ყოველკვირეული ჟურნალი მის მიერ თავდაპირველად წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **454.**

438 ამ წერილთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის დავალებათა ჩაწერის წიგნში ნ. პ. გორბუნოვის 1921 წლის 28 ნოემბრის შემდეგი ჩანაწერია: «შემუშავებულ იქნეს საჯარო ინსტრუქცია კრემლში შესვლის შესახებ. შესრულებულია 14. XII».—**455.**

439 ლაპარაკია სტატიაზე «შესანიშნავი აღმოჩენა». მასში იუწყებოდნენ, რომ ხარკოველმა ელექტრიკოსმა ინჟინერმა ი. ა. ჩეიკომ აღმოაჩინა «ახალი სხივები», რომლებსაც მაგნიტური ველი გამოსცემს და რომელთა თბური ეფექტი შესაძლებელს გახდის სადენების გამოუყენებლად შორიდან ნაღმების, საარტილერიო საწყობებისა და სხვ. აფეთქებას. ეს სხივები, სტატიის ავტორის სიტყვებით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სამთო და ქიმიურ მრეწველობაში, გეოდეზიაში, მედიცინაში და სხვ. იხ. ეს ტომი, დოკუმენტები 520 და 543.—**455.**

440 ვ. ი. ლენინი გულისხმობს ნიჟნი-ნოვგოროდის რადიოლაბორატორიას, რომელსაც ხელმძღვანელობდა მ. ა. ბონჩ-ბრუევიჩი. — **456.**

441 მცირე სახკომსაბჭომ იმავე დღეს დაადგინა მიეცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის 70 მილიონი მანეთი ბერლინში საბჭოთა გამოფენის მოსაწყობად და ფინსახკომს დაავალა მთლიანად უზრუნველეყო ეს კრედიტი ფულის ნიშნებით. — **457.**

442 ეს დოკუმენტი დაწერილია იმასთან დაკავშირებით, რომ მუშავდებოდა ახალი დებულება სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შესახებ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესაბამისად.

გამოუგზავნა რა ვ. ი. ლენინს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის კოლეგიის მიერ შედგენილი ძირითადი დებულებანი, რომლებსაც დაეთანხმა იუსტიციის სახალხო კომისარი დ. ი. კურსკი, და სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შესახებ დებულების პროექტი (სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიისა და მისი ადგილობრივი ორგანოების შესახებ მოქმედ დადგენილებათა გასაუქმებლად) სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დასამტკიცებლად წარდგენისათვის და სხვა მასალები, კამენევი წერდა: «დახედეთ. ეს მაქსიმუმია, რაზეც დათანხმდა ძერჟინსკი და რასაც, რ ა თ ქ მ ა უ ნ დ ა, დ ა ს ჯ ე რ დ ა კურსკი. მე ვიცავ მაქსიმუმს: 1. განვტვირთოთ საგანგებო კომისია, დავუტოვოთ მას პოლიტიკური დანაშაულობანი, შპიონაჟი, ბანდიტიზმი, გზებისა და საწყობების დაცვა. მეტი არაფერი. დანარჩენი — იუსტიციის სახალხო კომისარიატს. 2. საგანგებო კომისიის საგამომძიებლო აპარატი შევუერთოთ იუსტიციის სახალხო კომისარიატს და გადავცეთ იგი რევტრიბუნალებს».

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის კოლეგია წინააღმდეგი იყო «ძებნისა და გამოძიების გადაცემისა სხვადასხვა ორგანოებისათვის» და ნაადრევად მიაჩნდა ერთმანეთისაგან გამოყოფა (სხვადასხვა ორგანოებისათვის გადაცემა) პოლიტიკური საქმეებისა და სახალხო ქონების დიდი დატაცებების და თანამდებობრივი საქმეებისა» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

1921 წლის 1 დეკემბერს ე. ი. ლენინმა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში შეიტანა წინადადება გარდაგვექმნა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია, შეგვეზღუდა მისი საქმიანობის წრე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 415) პოლიტბიურომ მიიღო ვ. ი. ლენინის წინადადება და შექმნა კომისია ლ. ბ. კამენევის, დ. ი. კურსკისა და ფ. ე. ძერჟინსკის

შემადგენლობით. კომისიას დაევალა ხუთი დღის ვადაში განეხილა ეს საკითხი, ამასთან ეხელმძღვანელა მიღებული დადგენილებით. — **457.**

443 ლაპარაკია გ. ვ. ჩიჩერინის წერილზე. მხედველობაში ჰქონდა რა ეკონომიური მოლაპარაკება გერმანიასთან, ჩიჩერინი წერდა: «ჩემი რჩევაა ძალიან დიდი სიფრთხილე გამოვიჩინოთ ნავარაუდევი გრანდიოზული გერმანული პერსპექტივების მიმართ» (ხაზგასმები და მონიშვნები კიდეებზე აქ და ქვემოთ გაკეთებულია ვ. ი. ლენინის მიერ). მერმე ჩიჩერინი წერდა პოლონეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე (ვ. ი. ლენინს. აქ აოეებზე დაუსვამს «2», მაგრამ თავის წერილში არ ეხება ამ საკითხს). შემდეგ ჩიჩერინი, უბრუნდებოდა რა გერმანიასთან მოლაპარაკებას, წერდა: «გარტვიგის სიტყვებიდან გამოირკვა, რომ კრასინი ბერლინში მხარს უჭერდა ინგლისთან ტრესტირების სტინესისეულ ხაზს რუსეთში მუშაობისათვის, ძალიან ახლოს იდგა სტინესთან და კიდევაც შეუთანხმდა მას ინგლისში მისი გამგზავრების შესახებ. აქ ჩვენთან საუბრებში კრასინი კვერს გვიკრავდა და თანხმდებოდა საწინააღმდეგო ხაზზე — გერმანიაში ყოველნაირად დაგვეჭირა მხარი იმ ტენდენციისათვის, რომ ცალკე (უინგლისოდ) იმუშაოს რუსეთში. საზღვარგარეთ კი იგი ამის საწინააღმდეგოს აკეთებს!» — **458.**

№ 1 ?? || ?? ||| ?? № 3

444 1921 წლის 1 დეკემბერს ა. დ. მეტელეემა შეატყობინა ვ. ი. ლენინს, რომ ც. ს. ბობროვსკაიას მიეცა ოთახი საბჭოების 1-ლ სახლში.—**459.**

445 დოკუმენტი, ეტყობა, დაწერილია იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო უნივერსალურ მაღაზიას («გუმ») ნება მისცემოდა უცხოელ კაპიტალისტებთან ერთად ემუშავა საექსპორტო-საიმპორტო ვაჭრობის დარგში და რომ ამ მიზნით დაარსებულიყო საპაიო ამხანაგობა.

«გუმი» შეიქმნა საუწყებათაშორისო უნივერსალური მაღაზიის ორგანიზაციის შესახებ მცირე სახკომსაბჭოს 1921 წლის 3 ოქტომბრის დადგენილებით. — **460.**

446 ლაპარაკია შროშისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული მატერიალური რესურსების გამოყენების კომისიის გარდაქმნის გეგმაზე, რომელიც შეადგინა ამ კომისიის თავმჯდომარემ ლ. ნ. კრიცმანმა. ვ. ი. ლენინის შენიშვნები ამ გეგმის შესახებ იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 44, გვ. 482. — 461.

447 პლატფორმა «ჩვენ—კოლექტივისტები» ანონიმური დოკუმენტია, რომელიც გამოხატავდა ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლების შეხედულებებს; გამოშვებულ იქნა პროლეტკულტის სრულიად რუსეთის II ყრილობისათვის, რომელიც გაიმართა მოსკოვში 1921 წლის ნოემბერში. პლატფორმაში ეპიქვეშ იყო დაყენებული ოქტომბრის რევოლუციის სოციალისტური ხასიათი, პლატფორმის ავტორები გამოდიოდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, ფილოსოფიის სფეროში იცავდნენ მახისტურ, ბოგდანოვურ «თეორიებს». პოლიტიკის საკითხებში «კოლექტივისტები» სოლიდარობას უცხადებდნენ ოპორტუნისტული «მუშათა ოპოზიციის» შეხედულებებს. პროლეტკულტის II ყრილობის კომუნისტურმა ფრაქციამ დაგმო «კოლექტივისტების» პლატფორმა და გავიჯნა მათ.

პროლეტკულტი (კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია) წარმოიშვა 1917 წლის სექტემბერში როგორც დამოუკიდებელი თვითმყოფი მუშური ორგანიზაცია. პროლეტკულტი, რომლის ხელმძღვანელობა ა. ბოგდანოვისა და მისი მომხრეების ხელში მოექცა, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც განაგრძობდა თავისი «დამოუკიდებლობის» დაცვას, რითაც უპირისპირდებოდა კომუნისტურ პარტიასა და პროლეტარულ სახელმწიფოს. პროლეტკულტი ერთგვაროვანი ორგანიზაცია არ იყო. ბურჟუაზიულ ინტელიგენტებთან ერთად, რომლებიც მოთავეობდნენ პროლეტკულტის ბევრ ორგანიზაციაში, იქ შედიოდა მუშა ახალგაზრდობაც, რომელიც გულწრფელად ისწრაფოდა მონაწილეობა მიეღო კულტურულ მშენებლობაში. ვ. ი. ლენინმა თავის არაერთ ნაშრომში გადაჭრით გააკრიტიკა პროლეტკულტის მცდარი მიზანდასახულობანი. პროლეტკულტის ორგანიზაციები ყველაზე მეტად განვითარდნენ 1919 წელს. 20-იანი წლების დასაწყისში ისინი დაქვეითდნენ; 1932 წელს პროლეტკულტმა არსებობა შეწყვიტა.

ლენინის წინადადება «კოლექტივისტთა» პლატფორმის მამხილებელი ბროშურის გამოცემის შესახებ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო 1921 წლის 3 დეკემბერს.

ტექსტში მოხსენიებული «ცეკას ცირკულარები»—ეს არის რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილი «პროლეტკულტების შესახებ» (იხ. «პრავდა» № 270, 1920 წლის 1 დეკემბერი) და რკპ (ბ) ცენტრა-

ლური კომიტეტის პოლიტბიუროს 1921 წლის 22 ნოემბრის დადგენილება, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ «იზვესტია ცკ რკპ (ბ)»-ს 1921 წლის № 36-ში. — **461.**

448 იხ. შენიშვნა 345. — **463.**

449 «The Economist» («ეკონომისტი») — ინგლისური ყოველკვირეული ჟურნალი ეკონომიკისა და პოლიტიკის საკითხებზე; მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიის ორგანო; გამოდის ლონდონში 1843 წლიდან. — **464.**

450 ვ. ი. ლენინის ეს წერილი დაწერილია იმ ცნობის მანქანაზე გადაბეჭდილი პირის ქვეშ, რომლის სათაურია: ««ცენტროსოიუზის» ბრუნვა საგუბერნიო კავშირებთან და რაიგანყოფილებებთან ურთიერთობაში. ცნობები განყოფილებათა 1921 წლის სექტემბერ-ნოემბრის საქონლის ბრუნვებზე თანამედროვე ვალუტის მილიონ მანეთობით».—**464.**

451 ვ. ი. ლენინის მიერ მოხსენიებული «ერთიანი ეკონომიური კომისია»— კომისია «ყველა ეკონომიური და ფინანსური საკითხის გაერთიანებისათვის», რომლის შექმნის შესახებ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დადგენილება მიიღო 1921 წლის 1 დეკემბერს. კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებული იყო ლ. ბ. კამენევი. პოლიტბიუროს დადგენილების შესაბამისად სახკომსაბჭომ 6 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება «ეკონომიური კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და შევსების სამუშაოთა გასაერთიანებლად და დასაჩქარებლად დაარსდეს სახკომსაბჭოს ეკონომიური კომისია» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).—**464.**

452 დოკუმენტი დაწერილია მანქანაზე გადაბეჭდილ პირზე შემდეგი ცნობისა: ««ცენტროსოიუზის» ბრუნვა საგუბერნიო კავშირებთან და რაიგანყოფილებებთან ურთიერთობაში. ცნობები განყოფილებათა 1921 წლის სექტემბერ—ნოემბრის საქონლის ბრუნვაზე თანამედროვე ვალუტის მილიონ მანეთობით». სიტყვა «ცენტროსოიუზის» ვ. ი. ლენინს ფანქრით ოთხჯერ გაუხაზავს. — **465.**

453 კალენდარში «მდივნების ცნობათა ჩანაწერი ვ. ი. ლენინის დავალებათა შესახებ» 1921 წლის 5 დეკემბრის თარიღით არის შემდეგი ჩანაწერი: «ენუქიძეს, კარპინსკის, ძერჟინსკის, ზალუცკის, მიხაილოვს, მოლოტოვს (დივილკოვსკის მეშვეობით).

«გთხოვთ შეარჩიოთ ადამიანები, რომლებიც გამოდგებიან «ცოც-

ხალი კავშირის» გამოსაყენებლად საჭიროების შემთხვევაში უფრო სერიოზულ, ყურადღებიან გამოკვლევაში».

იმავე დოკუმენტში 1922 წლის 4 იანვრის თარიღით ნათქვამია: «საქმე ნ. ჰ. გორბუნოვს აქვს. კარგად მიდის, ადამიანების გამოყოფა ხდება» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).—**465.**

154 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ 1921 წლის 27 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილება ა. ი. რიკოვის გერმანიაში მკურნალობის შესახებ. — **467.**

155 იგულისხმება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1921 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება ა. დ. ციურუპას სურსათის სახალხო კომისრის თანამდებობიდან განთავისუფლებისა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მეორე მოადგილედ დამტკიცების შესახებ.

სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა მუშაობის დაყენების გეგმის მონასახი ვ. ი. ლენინმა გადმოსცა 1921 წლის 28 ნოემბრის წერილში ა. დ. ციურუპასადმი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 409 — 411). — **467.**

156 საკითხი ლ. გ. შაპიროს შესახებ განხილულ იქნა რკპ (ბ) პირადი შემადგენლობის შემოწმების, გადასინჯვისა და გაწმენდის მოსკოვის საგუბერნიო კომისიის 1921 წლის 5 დეკემბრის სხდომაზე. კომისიის გადაწყვეტილებით შაპირო აღდგენილ იქნა პარტიის წევრად, ამასთან მიეცა მითითება მუშათა მასებისაგან მოწყვეტის გამო. კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერი გაეგზავნა ვ. ი. ლენინს. — **472.**

157 დოკუმენტი დაწერილია იმასთან დაკავშირებით, რომ მიწსახკომის მუშაკმა ტ. ი. სედელნიკოვმა ვ. ი. ლენინს წერილი მისწერა ახალი საშენი მასალის «ტორფიტის» გამოგონების შესახებ (ვ. ი. ლენინის მონიშვნები სედელნიკოვის წერილზე იხ. ლენინის XXIII კრებულში, გვ. 95—96).

1921 წლის 6 დეკემბრიდან ვ. ი. ლენინმა ავადმყოფობის გამო შვებულება აიღო და ცხოვრობდა გორკაში მოსკოვის ახლო. — **472.**

158 დ. ბალისტერი (რ. მაინორი) და ჯ. კარი (ლ. კატერფელდი)—აშშ კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები კომინტერნის აღმასკომში — 1921 წლის 3 დეკემბერს მიიღო ვ. ი. ლენინმა.

იმავე დღეს ვ. ი. ლენინის დავალებათა კარტოთეკაში სახკომსაბჭოს მდივანმა ჩაწერა შემდეგი მისი ზეპირი შეკითხვა: «როდის შეძ-

ლებს ამხ. მანუჩარიანცი უშოვოს ვლადიმერ ილიას ძეს 2 ეგზ ვლადიმერ ილიას ძის წიგნისა «ახალი მონაცემები კაპიტალიზმის შესახებ მიწათმოქმედებაში (ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებისა)»». 5 დეკემბერს იმავე ბარათზე დამატებულია: «წიგნები გაეგზავნა და გადაეცა ვლადიმერ ილიას ძეს» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **474.**

459 დაწერილია იმ წერილის პირზე, რომელიც გ. ი. მიასნიკოვს გაუგზავნია პეტროგრადში პარტიის წევრის ინჟინერ ბ. ა. კურჟნერისათვის და რომელშიც მიასნიკოვი რკპ (ბ) მომავალ XI ყრილობასთან დაკავშირებით წინადადებას იძლეოდა გაეძლიერებინათ არალეგალური ძირეულმომხრელი მუშაობა პარტიის ხაზის წინააღმდეგ.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს რამდენიმე სხდომაზე განიხილავდა საკითხს გ. ი. მიასნიკოვის შესახებ და 1922 წლის 20 თებერვალს დაამტკიცა პოლიტბიუროს კომისიის წინადადება პარტიიდან მისი გარიცხვის შესახებ პარტიული დისციპლინის უხეში დარღვევისა და ანტიპარტიული საქმიანობისათვის. — **475.**

460 ნ. ა. ორლოვი, ავტორი 1918 წელს გამოსული წიგნისა «საბჭოთა ხელისუფლების სასურსათო მუშაობა», განაგებდა ჟურნალ «ნოვი მირის» ეკონომიურ განყოფილებას. ამ ჟურნალს უშვებდა საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ბერლინში. ორლოვის თხოვნა იმაში მდგომარეობდა, რომ მისთვის ნება დაერთოთ დაეწერა წიგნი «საბჭოთა რუსეთის ეკონომიური ისტორია (გამოკვლევის ცდა)» და ფსევდონიმით გამოეცა იგი საზღვარგარეთ რამდენიმე უცხო ენაზე. ამასთან ნ. ა. ორლოვს მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ წიგნი დაწერილი ყოფილიყო არა აშკარა კომუნისტური თვალსაზრისით, არამედ უპარტიო, მაგრამ ობიექტური და საბჭოთა ხელისუფლებისადმი კეთილგანწყობილი მკვლევარის ტონით. ვინაიდან, წერდა ორლოვი, ლიტერატურა, რომელიც ატარებს «აშკარა აპოლოგეტურ ხასიათს... ჯეროვან შთაბეჭდილებას ვერ ახდენს» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

ვ. ი. ლენინის წინადადება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიიღო 1921 წლის 7 დეკემბერს. — **476.**

461 როგორც ჩანს, ლაპარაკია გაზეთ «პრავდაში» 1921 წლის 6 დეკემბერს დაბეჭდილ შენიშვნაზე ««ვნეშტორგის» საქმიანობა სევასტოპოლში». — **476.**

462 ვ. ი. ლენინის დეპეშის პასუხად ყირიმის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პოლიაკოვი იუწყებოდა, რომ ა. ა. პრეობრაჟენსკი გაძლიერებული ულუფით მარაგდება, შემდგომ მას ხელს შეეუწყობთ და დავეხმარებით, ამჟამად კი ცოლთან ერთად სანატორიუმშია მოთავსებულიო. — 477.

463 ვ. ი. ლენინის წერილის პასუხად ა. მ. გორკი იუწყებოდა, რომ მან წერილი მისწერა ამერიკაში მყოფ ჰ. უელსს და სთხოვა მოლაპარაკებოდა შესაბამის ორგანიზაციებსა და პირებს დამშეულთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. «უელსისაგან პასუხი არა მაქვს,—წერდა გორკი,— მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩემმა წერილმა ჩაუსწრო მას ამერიკაში, ვინაიდან თავის ერთ-ერთ წერილში მან მოიყვანა ფრაზები ჩემი წერილიდან...» (ვ. ი. ლენინი და მ. გორკი. წერილები, მოგონებები, დოკუმენტები. მე-2 რუსული გამოცემა. 1961, გვ. 184—186). — 478.

464 ვ. ი. ლენინის მითითებით ი. ა. ჩეიკოს მასალები გაეგზავნა არაერთ მეცნიერსა და სამეცნიერო დაწესებულებას. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 519 და 520.—479.

465 ეს დოკუმენტი პასუხია «იუგოსტალის» გამგეობის თავმჯდომარის ი. ი. მეეკლაუკის 1921 წლის 27 ნოემბრის წერილზე ტრესტისათვის ასიგნებული საბრუნავი სახსრების გაცემის შეჩერების შესახებ. მეეკლაუკი იუწყებოდა, რომ ტრესტმა შეძლო თავი მოეყარა კვალიფიციური მაღაროელი მუშებისათვის, და წერდა მათ ხელფასზე, «იუგოსტალის» საწარმოთა გაძლიერებულ მუშაობასა და იმაზე, რომ ეს უკანასკნელნი 1922 წელს ქვეყანას მისცემდნენ 10 მილიონ ფუთ შავ ლითონს («6 მილიონ ფუთ თუჯსა და 4 მილიონ ნაგლინ ლითონს») იმ პირობით, თუ «იუგოსტალი» მიიღებდა საბრუნავ სახსრებს, რომლებიც 1921 წლის 27 ოქტომბერს განუსაზღვრა მას სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა.

«ი უ გ ო ს ტ ა ლ ი» — გაერთიანებული გამგეობა პეტროვკის, მაკეევკისა და იუზოვკის სახელმწიფო ქარხნებისა და მაღაროებისა უკრაინის, ჩრდილო კავკასიისა და ყირიმის ყველა იმ დამხმარე საწარმოსთან და სავარგულთან ერთად, რომლებიც ამ ქარხნებსა და მაღაროებს ეკუთვნოდა; შეიქმნა უკრაინის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან მეტალურგიული მრეწველობის კომბინირებული საწარმოების საწარმოო-ტექნიკური და სამეურნეო გაერთიანების მიზნით; არსებობდა 1929 წლამდე. — 479.

466 რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, განიხილა რა 1921 წლის 21 დეკემბერს ვ. ი. ლენინის წინადადება, დაადგინა: «შეყვა-

ნილ იქნეს ამხ. გორკი იმ ამხანაგების რიცხვში, რომლებიც საზღვარგარეთ მკურნალობენ, და დაეკალოს ამხ. კრესტინსკის შეამოწმოს, რომ იგი სავსებით უზრუნველყოფილი იყოს მკურნალობისათვის საჭირო თანხით» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 290.—**480.**

467 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ნ. ოსინსკის 1921 წლის 14 დეკემბრის წერილი, რომელიც დაკავშირებულია მიწსახკომში მომხდარ კონფლიქტთან (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 506).—**480.**

468 პროტესტი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1921 წლის 18 ნოემბრის დადგენილებაზე მიწსახკომში მომხდარი კონფლიქტის შესახებ ნ. ოსინსკიმ შეიტანა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმში. 28 დეკემბერს პლენუმმა, განიხილა რა ეს საკითხი, ერთხმად (ერთმა თავი შეიკავა) დაადასტურა პოლიტბიუროს გადაწყვეტილება.

პლენუმისათვის მზადების მსვლელობაში ვ. ი. ლენინმა გამოითხოვა მიწსახკომში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი მასალა (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტები 147 და 148). — **482.**

469 1921 წლის 21 დეკემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაადგინა: «ამხ. ლენინის განცხადება მიღებული იქნეს ცნობად. შვებულება გაუგრძელდეს 2 კვირით» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).—**482.**

470 იგულისხმება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 18 დეკემბრის პლენუმი. პლენუმმა დაამტკიცა საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობის დღის წესრიგი და პირველ საკითხზე — რესპუბლიკის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს ანგარიშზე — მომხსენებლად გამოყო ვ. ი. ლენინი.—**483.**

471 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ 1921 წლის 8 დეკემბერს მიღებული შემდეგი დადგენილება: «საჭიროდ იქნეს ცნობილი ამხ. ლენინისათვის აბსოლუტური მყუდროების დაცვა და აეკრძალოს მის სამდივნოს მისთვის როგორიც უნდა იყოს ქაღალდების გაგზავნა, რათა ამხ. ლენინმა შეძლოს მოკლე (თუნდაც ნახევარსაათიანი) სიტყვით გამოსვლა საბ-

ჭოების ყრილობაზე» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

სრულიად რუსეთის საბჭოების IX ყრილობა გაიმართა 1921 წლის 23—28 დეკემბერს. ვ. ი. ლენინი ყრილობაზე 23 დეკემბერს გამოვიდა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს საანგარიშო მოხსენებით. (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 153—202).—483.

472 ვ. ი. ლენინის მითითებით შექმნილმა კომისიამ შეიმუშავა წინადადებანი, რომლებიც შევიდა შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1922 წლის 4 იანვრის დადგენილებაში. ამ დადგენილებით განსახკომის გამგებლობიდან სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გადაეცემოდა ფოტოკინოწარმოება.

უფრო გვიან, 1922 წლის 8 მარტს, შრომისა და თავდაცვის საბჭომ გააუქმა 4 იანვრის დადგენილება და დაამტკიცა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 24 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გადაეცა ფოტოკინომრეწველობის ფაბრიკატებისა და ნახევარფაბრიკატების წარმოება; განსახკომის გამგებლობაში დარჩა ფილმების გადაღება და მათი გაქირავება, კინოთეატრების ექსპლუატაცია და დიაპოზიტივების საქმე. — 483.

473 ლაპარაკია პროფესორ კ. ა. კრუგის წერილზე, რომელშიც იგი ვ. ი. ლენინს სთხოვდა ხელი შეეწყო იმაში, რომ მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის (ახლა მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი), ელექტროტექნიკურ ფაკულტეტს და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებასთან შექმნილ სახელმწიფო ექსპერიმენტულ ელექტროტექნიკურ ინსტიტუტს გადასცემოდა სათავსები და სახსრები საჭირო მოწყობილობის საზღვარგარეთ შესასყიდად.—484.

474 ლ. ბ. კრასინი ლონდონიდან გამოგზავნილ დეპეშაში იუწყებოდა, რომ, სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ანგორის ხელშეკრულებაში (საფრანგეთ-თურქეთის შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილ იქნა 1921 წლის ოქტომბერში) შეტანილი იყო საიდუმლო მუხლები, რომლებიც ითვალისწინებდა თურქეთის მიერ მთელი ამიერკავკასიის მიტაცებას. ამ გეგმას, წერდა კრასინი, «მხარს უჭერს ამიერკავკასიის ყოფილ ბურჟუაზიულ მთავრობათა ბლოკი, რომლის უკანაც დგას ბრიანი, რომელიც ურჩევს საფრანგეთის ფინანსისტებს თავი შეიკავონ ბოლშევიკებთან გარიგებებისაგან კავკასიაში იქ მო-

სალოდნელ ცვლილებათა გამო» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — 484.

475 ამ შეკითხვებზე სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებებისაგან მიღებული მასალები ვ. ი. ლენინმა გამოიყენა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს ანგარიშში, რომლითაც იგი გამოვიდა სრულიად რუსეთის საბჭოების IX ყრილობაზე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 153—200).

ლენინის შეკითხვების დასაგზავნად გადაბეჭდვისას თითოეულ მათგანში რამდენადმე შეცვლილი ფორმულირებით შეჰქონდათ ტექსტი, რომელსაც გავლებული აქვს ორი ხაზი. იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დანართი, დოკუმენტები 6—9.—485.

476 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს საერთაშორისო ეკონომიური და საფინანსო კონფერენცია, რომლის მოწვევაც ნაკარაუდევი იყო გენუაში (იტალია). — 485.

477 «ს ო ვ ტ რ უ დ ა რ მ ე ბ ი» — შრომის არმიების საბჭოები; შეიქმნენ არმიების სამხედრო საბჭოების საფუძველზე იმასთან დაკავშირებით, რომ წითელი არმიის საბრძოლო შენაერთთა ნაწილი გადაყვანილ იქნა შრომის არმიების მდგომარეობაზე მშვიდობიანი შესვენების პერიოდში 1920 წელს. შრომის არმიების საბჭოებში შედიოდნენ სურსათის სახალხო კომისარიატის, გზათა სახალხო კომისარიატის, მიწსახკომის, შრომის სახალხო კომისარიატისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები. — 487.

478 ლაპარაკია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 9 აგვისტოს პლენუმის გადაწყვეტილებაზე. ამ გადაწყვეტილებაში, რომელიც მიღებულ იქნა ვ. ი. ლენინის წინადადებით, «საჭიროდ არის ცნობილი დაყენებულ იქნეს დღის წესრიგში საკითხი არმიის უფრო გაძლიერებულად გადაყვანისა სამეურნეო სამუშაოზე და ევალება რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს არაერთ სხდომაზე სპეციალურად განიხილოს და მოამზადოს ეს» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

პლენუმის დავალებით საკითხი არმიის შრომითი ამოცანების შესახებ დაისვა შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1921 წლის 12 აგვისტოს სხდომაზე. შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით ამ საკითხების გადაწყვეტა გადატანილ იქნა სახკომსაბჭოში. მოისმინა

რა 1921 წლის 16 აგვისტოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ შექმნილი კომისიების მოხსენებები, სახკომსაბჭომ შესწორებებით დაამტკიცა დადგენილებათა წარდგენილი პროექტები.—487.

479 იგულისხმება ინჟინერ ვ. ლ. ლევის სტატია «რუსეთის ელექტრომომარაგება (საერთო მიმოხილვა)», რომელიც დაიბეჭდა 1921 წლის 8 დეკემბერს გაზეთ «ეკონომიჩესკაია ჟიზნში». სტატიაში მოცემული იყო დახასიათება რუსეთის ელექტრომომარაგებისა 1917 წლიდან 1921 წლის შუახანებამდე.

1921 წლის 20 დეკემბერს დაიბეჭდა ცხრილი «სადგურების ზრდა 1917 წლიდან 1921 წლის 1 ივლისამდე გაბნეულ პერიოდში» სათაურით «რუსეთის ელექტრომომარაგება» და შემდეგი შესავალი ფრაზით: «რუსეთის ელექტრომომარაგების საერთო მიმოხილვის დამატებით (იხ. «ეკონომიჩესკაია ჟიზნ» № 276, 1921 წლის 8 დეკემბრისა) რედაქცია ათავსებს ქვემოთ მოყვანილ ცხრილს, რომელიც ახასიათებს სადგურების ზრდას 1917 წლიდან 1921 წლის 1 ივლისამდე».—488.

480 ლაპარაკია ელექტროსადგურებზე, რომლებიც იმ დროს შენდებოდა.

«კ ა შ ი რ კ ა»—კაშირის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური.

«უ ტ კ ი ნ ა ზ ა ვ ო დ» — ელექტროსადგური «კრასნი ოქტიაბრი» პეტროგრადთან; მისი პირველი რიგი 10 000 კილოვატი სიმძლავრისა საექსპლოატაციოდ გადაეცა 1922 წლის 8 ოქტომბერს.

ვ ო ლ ხ ო ვ ს ტ რ ო ი — ვოლხოვის ჰიდროელექტროსადგური. დადგენილება ამ ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ სახკომსაბჭომ მიიღო 1918 წლის ივლისში; მუშაობა გაჩაღდა სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, 1921 წელს. სადგური გაიხსნა 1926 წლის დამლევს. — 488.

481 ლაპარაკია მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის ი. ა. ტეოდოროვიჩის წერილზე, რომელშიც მან დაწვრილებით დაახასიათა ენისეის გუბერნიის კანსკის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ვ. გ. იაკოვენკო და რეკომენდაცია მისცა მას მიწათმოქმედების სახალხო კომისრის პოსტზე. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 559, 564 და თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 164 —490.

482 ნ. ს. ალილუევა აღდგენილ იქნა პარტიაში —491.

483 ე. მ. პოპოვა (კასპაროვა) აღდგენილ იქნა პარტიაში

დოკუმენტზე არის სახკომსაბჭოს მდივნის ნ. ს. ლებედინსკაიას შემდეგი მინაწერი: «ამხანაგებს სტალინს, საფაროვს, ზინოვიევსა და კორნბლიუმს ვლადიმერ ილიას ძე ძალიან სთხოვს სასწრაფოდ მის-

. ცენ ცნობები ამხ. კასპაროვაზე, აგრეთვე აღნიშნონ, ამხანაგთაგან კიდევ ვინ შეიძლება იცნობდეს მას კარგად, რომ ილაპარაკონ მის შესახებ».—**492.**

484 სტატიაში ნაამბობი იყო საზღვარგარეთ თბომავლების გამოყენების გამოცდილება და გამოთქმული იყო აზრი, რომ შესაძლებელი და მიზანშეწონილია მათი ფართოდ გამოყენება საბჭოთა რუსეთის რკინიგზებზე. — **493.**

485 ვ. ი. ლენინის წერილის ტექსტს ზემოთ სახკომსაბჭოს მდივნის ნ. ს. ლეპეშინსკაიას მიერ დაწერილია: «სახელმწიფო საგეგმო კომისიას (პრეზიდიუმს), სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებას, გზათა სახალხო კომისარიატს. P. S. ამხ. ლენინი გთხოვთ აღნიშნოთ, იყო თუ არა ამის შესახებ რაიმე მეცნიერულ და ტექნიკურ ლიტერატურაში და როგორ უყურებენ ამ საქმეს სპეციალისტები?» იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 568, 611 და 613.—**493.**

486 1921 წლის 19 დეკემბრის დეპეშაში ლ. ბ. კრასინმა შეატყობინა, რომ «არა»-ს (დახმარების ამერიკული ადმინისტრაცია) წარმომადგენელმა უ. ბრაუნმა გადასცა მას «არა»-ს წარმომადგენლის ჰერბერტ ჰუვერის შემდეგი წინადადება: «ამერიკის მთავრობა თანახმაა დახარჯოს 20 მილიონი დოლარი პურისა და თესლის შესასყიდად რუსეთის დამშეული გუბერნიებისათვის, თუ საბჭოთა მთავრობა ვალდებულებას იკისრებს სამი თვის განმავლობაში, დაწყებული 1922 წლის 1 იანვრიდან, შეისყიდოს ამერიკის შეერთებულ შტატებში 10 მილიონი დოლარის სურსათი და თესლი დამშეული რაიონებისათვის. საგალდებულო პირობად წამოყენებული იყო ის, რომ შესყიდვა ეწარმოებინა ჰუვერის კომისიას («არა»).

ეს წინადადება განხილულ იქნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე 1921 წლის 22 დეკემბერს. პოლიტბიურომ გადაწყვიტა მიეღო იგი და მ. მ. ლიტვინოვს დაავალა ეპასუხა კრასინისათვის. იმავე დღეს ლიტვინოვმა სასწრაფო დეპეშით აცნობა კრასინს, წინადადებას ვიღებთო, და სთხოვა: «დადგენილ იქნეს პურის ჩამოტანის უახლოესი ვადები იმის გამო, რომ შიმშილის მხრივ მდგომარეობა სულ უფრო მწვავდება» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **494.**

487 ლაპარაკია «არა»-ში საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლის ა. ვ. ეიდუკის 1921 წლის 21 დეკემბრის წერილზე. მიაჩნდა რა ჰუვერის

წინადადება არახელსაყრელად ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც, ვინაიდან იგი გააფართოებდა «არა»-ს აპარატს, რომელიც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობას ეწეოდა, ეიდუკი რჩევას იძლეოდა უარგვეყო იგი.

1921 წლის 31 დეკემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, განიხილა რა საკითხი «არა»-სთან დაკავშირებით პოლიტიკური ზომების შესახებ», დაავალა კომისიას ი. ს. უნშლიხტის, ა. ვ. ეიდუკისა და ვ. მ. მიხაილოვის შემადგენლობით «შეემუშავებინა სპეციალური სიფრთხილის ზომები «არა»-ს აპარატის მეტისმეტი გაფართოებისა და მის მიერ არასაიმედო ელემენტების გამოყენების შემთხვევისათვის» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 558.—**495**.

488 გ. ი. სოკოლნიკოვი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1921 წლის 14 ოქტომბრის დადგენილებით დაინიშნა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და რსფსრ სახკომსაბჭოს თურქესტანის კომისიის თავმჯდომარედ. — **495**.

489 ლაპარაკია ვ. ი. ლენინისათვის გ. ი. საფაროვის მიერ გაგზავნილ წერილზე, რომელშიც იგი იწერებოდა თურქესტანში პარტიის ეროვნული პოლიტიკის დამახინჯებათა შესახებ. 1921 წლის 22 დეკემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ შექმნა კომისია თურქესტანის საქმეთა საკითხის განსახილველად. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 306, 383, 562.—**495**.

490 1921 წლის 24 დეკემბერს გ. ი. სოკოლნიკოვმა აცნობა ვ. ი. ლენინს გ. ი. საფაროვის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათა ხასიათის შესახებ და თავისი აზრი ამ საქმეზე. სოკოლნიკოვის წერილის პირი ლენინის მონიშვნებით დაეგზავნათ პოლიტბიუროს წევრებს. — **496**.

491 უმაღლესი ეკონომიური კომისიის შესახებ იხ. შენიშვნა 451.—**496**.

492 ეს წერილი ვ. ი. ლენინის პასუხია გ. ი. საფაროვის წერილზე. კერძოდ, 1921 წლის 20 დეკემბერს საფაროვმა ლენინს აცნობა: იმასთან დაკავშირებით, რომ ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში განიხილავენ მასალებს თურქესტანში ჩემი საქმიანობის შესახებ, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შევიტანე განცხადება, რომ თავს ვანებებ ყოველგვარ პასუხსაგებ სამუშაოსო (საფაროვი ამ დროს მუშაობდა

კომინტერნში კონსულტანტად აღმოსავლეთის საკითხებზე). იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 560. — **497**.

493 1921 წლის 26 დეკემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიურომ ვ. ი. ლენინის წინადადების თანახმად საჭიროდ ცნო გაეგზავნა ი. ე. რუძუტაკი სამკურნალოდ გერმანიაში და ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარს ნ. ა. სემაშკოს წინადადება მისცა წარმოედგინა დასკვნა შვებულების ადგილისა და დროის შესახებ, ხოლო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს — დაეჩქარებინა მისი გამგზავრება. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 668.—**498**.

494 ლაპარაკია «სამეურნეო მუშაობის საკითხების განაწესის» პროექტზე, რომელიც შეჰქონდათ სრულიად რუსეთის საბჭოების IX ყრილობის განსახილველად. 1921 წლის 26 დეკემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ძირითადად დაამტკიცა პროექტი. 28 დეკემბერს ყრილობამ «განაწესი» მიიღო (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 33, გვ. 201—204).—**499**.

495 ბარათები დაწერილია, როგორც ჩანს, სრულიად რუსეთის საბჭოების IX ყრილობაზე «ფინანსებისა და ბიუჯეტის შესახებ» საკითხის განხილვის დროს.—**500**.

496 ლაპარაკია შემოსავალზე ოქროს მანეთობით, რაც მიღებული იყო ემისიისა და გაწერისაგან 1918—1919 და 1920 წლებში.—**500**.

497 ლაპარაკია ა. ბელიაკოვის სტატიის «რკინიგზის ტრანსპორტის გამოცოცხლების ახალი გზების» გამო ინჟინერ გ. ბ. კრასინის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე. ა. ბელიაკოვმა სტატია დაწერა ვ. ი. ლენინის დავალებით (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 557). გ. ბ. კრასინი წერდა, თბომავლების გამოყენება, ალბათ, ფრიად ნაყოფიერი გამოდგებოდაო (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

1921 წლის 26 დეკემბრის წერილი გ. მ. კრჟიჟანოვსკის სახელზე ნაპოვნი არ არის.—**501**.

498 1922 წლის 4 იანვარს შრომისა და თავდაცვის საბჭომ ცნო, რომ თბომავლების შემოღებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, და დაავალა თბოტექნიკურ ინსტიტუტს მოეწყო გზათა სახალხო კომისარიატის ტექნიკური კომიტეტისა და სხვა დაწესებულებების მონაწილეობით პროექტებისა და ტექნიკური პირობების ესკიზური დამუშავება თბომავლებისათვის და «გამოეცხადებინა კონკურსი

თბომაელების საუკეთესო კონსტრუქციის შემუშავებისათვის პრემიის გაცემით...» ამავე დადგენილებით სახელმწიფო საგეგმო კომისიას თბოტექნიკურ ინსტიტუტთან და გზათა სახალხო კომისარიატთან ერთად დაეკალა ათი დღის ვადაში შეემუშავებინა «პრემირებისა და კონკურსის დაწვრილებითი პირობები მათი შემდგომი ფართო გამოქვეყნებისათვის რუსეთში და საზღვარგარეთ» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი.)—**502**.

499 სპეციალური სტატია სერატის შესახებ ვ. ი. ლენინს არ დაუწერია; მისი პოზიციის დახასიათება ლენინმა მოგვცა სტატიაში «პუბლიცისტის შენიშვნები» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 239—240).—**502**.

500 კ. ხ. დანიშევსკი შეუმოწმებელ ბრალდებათა საფუძველზე რკპ (ბ)-დან გარიცხა 1921 წლის დამლევს პარტიის წმენდის ხამოვნიკის (მოსკოვი) რაიონულმა კომისიამ.

რკპ (ბ) პირადი შემადგენლობის შემმოწმებელმა ცენტრალურმა კომისიამ უარყო დანიშევსკის წინააღმდეგ წამოყენებული დაუსაბუთებელი ბრალდებანი და, აღადგინა იგი პარტიაში. — **504**.

501 დოკუმენტის ზედა ნაწილში სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მდივნის ლ. ა. ფოტიევას ხელით დაწერილია: «ნ. პ. გორბუნოვს. ნიკოლოზ პეტრეს ძეს, ვლადიმერ ილიას ძე გავალებთ თვალყური ადევნოთ იმას, რომ ის, რასაც კამენევი წამოიწყებს, რაც შეიძლება მალე შესრულდეს, ე. ი. შეუტიოთ, სადაც საჭიროა. 1/I-22 წ. ლ. ფ ო ტ ი ე ვ ა».

ნეკროლოგი «იოსებ პეტრეს ძე გოლდენბერგი (მეშკოვსკი)» დაიბეჭდა გაზეთ «პრავდაში» 1922 წლის 3 იანვარს.—**506**.

502 ლაპარაკია გ. ვ. ჩიჩერინის 1921 წლის 2 დეკემბრის იმ წერილზე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი, რომელშიც იგი წერდა იმის შესახებ, რომ, ლ. ბ. კრასინისაგან ლონდონიდან მიღებული ცნობებით, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ პ. ა. ბოგდანოვმა თითქოს ლ. ურკარტს მიმართა წერილით კონცესიის გამო მის მიერ შეწყვეტილი მოლაპარაკების განახლების შესახებ. ჩიჩერინი ფიქრობდა, ბოგდანოვის წერილი შეიძლება კერძო კაპიტალის წინაშე საბჭოთა მთავრობის კაპიტულაციად მიიჩნიონო, და თხოულობდა მოეხდინათ ამ მიმართვის დეზავუირება.

ეს საკითხი განხილულ იქნა პოლიტბიუროს 1922 წლის 12 იანვ-

რის სხდომაზე. ვ. ი. ლენინის წინადადების შესაბამისად პოლიტბიუროს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ს. უნშლიხტს დაავალა გამოეძიებინა როგორ მოხდა, რომ ბოგდანოვის წერილი ტაუბესადმი, რომელიც ლ. ბ. კრასინს გადაეგზავნა ლონდონში, უშუალოდ ჩაუვარდა ურკარტს. პოლიტბიუროს, რომელიც დაეთანხმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომ ბოგდანოვმა შეცდომა დაუშვა, როცა ტაუბეს მიმართა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გვერდის ავლით, ცნო «დაუშვებლად პოლიტბიუროში ისეთი საკითხების შეტანა, რომლებიც მკვეთრად ეხება პასუხისმგებელ მუშაკებს (ამხ. ბოგდანოვს) სათანადო ცნობების წინასწარ მიუღებლად» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **507.**

503 ვ. ი. ლენინი გულისხმობს გ. ვ. ჩიჩერინის 1921 წლის 30 დეკემბრის წერილს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი და ლ. ბ. კრასინის 28 დეკემბრის დეპეშას ლონდონიდან.

კრასინი იუწყებოდა საბჭოთა მთავრობის დეკლარაციის შემდეგ სავარაუდო ტექსტს, რომელსაც ლოიდ ჯორჯი აყენებდა როგორც კაპიტალისტური ქვეყნების მიერ რსფს რესპუბლიკის ცნობისა და მისთვის ეკონომიური დახმარების გაწევის პირობას: «საბჭოთა მთავრობა იმ პირობით, თუ იგი ცნობილი იქნება დე-იურე და თუ რუსეთს დახმარება გაეწევა მისი აღდგენის საქმეში, თანახმაა თავისთვის სავალდებულოდ ცნოს მეფის მთავრობისა და დროებითი მთავრობის ყველა ფინანსური ვალდებულებანი. შემდეგ, საბჭოთა მთავრობას წინადადება ეძლევა აანაზღაუროს უცხოეთის მთავრობათა და კერძო პირთა ზარალი, რამდენადაც ეს ზარალი შედეგი იყო საბჭოთა მთავრობის მოქმედებისა ან მისი მხრივ შეცდომებისა, იმ პირობით, რომ უცხოეთის მთავრობები აანაზღაურებენ მათ მიერ რუსეთისათვის მიყენებულ ზარალს, ამასთან ზარალის შესახებ ყველა საკითხს წყვეტს საარბიტრაჟო ტრიბუნალი საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ცივილიზებულ ქვეყნებში გაბატონებული სავაჭრო ურთიერთობის პრინციპების საფუძველზე».

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აზრით, სწერდა ჩიჩერინი პოლიტბიუროს, «ეს წინადადება იმის ცდაა, რომ ერთხელ კიდევ გასწიონ შანტაჟი უმაღლესი საბჭოს სხდომამდე», და იგი უნდა უარვყოთ, ამასთან განვაცხადოთ, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის კერძო ვალების საკითხი განიხილოს კონფერენციაზე. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიას არბიტრაჟის ტრიბუნალი სრულიად მიუღებლად მიაჩნდა, «ვინაიდან შეუძლებელია მიუკერძოე-

ბელი საარბიტრაჟო ტრიბუნალი საბჭოთა რუსეთსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის».

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, განიხილა რა 1921 წლის 31 დეკემბერს კრასინის დეპეშა ინგლისის წინადადებათა შესახებ, დაადგინა «დათანხმებოდა ამხ. ჩიჩერინს» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **503**.

504 1921 წლის 31 დეკემბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაადგინა დანიშნა ა. მ. კრასნოშჩიოკოვი ფინანსთა სახალხო კომისრის მეორე მოადგილედ. 1922 წლის 10 იანვარს სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა იგი ამ თანამდებობაზე.—**500**.

505 ნაზარ ურალსკი — ნ. ნ. ნაკორიაკოვი. 1921 წლის 30 ნოემბერს ვ. ი. ლენინმა მდივანს დაავალა: «მოიწყეთ შეხვედრა ნაზარ ურალსკისთან («გლავპროფობრის» მეშვეობით)» (ლენინის XXIII კრებული, გვ. 310). იმავე დღეს ლენინმა მიიღო ნაკორიაკოვი.—**509**.

506 რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენელი ნორვეგიაში ლ. მ. მიხაილოვი იუწყებოდა, რომ ნორვეგიის მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა სტორტინგში გაეტარებინა საბჭოთა რუსეთისათვის სესხის მიცემა ქაშაყის შესასყიდად იმ ანგარიშით, რომ გარიგების დადებისას ნაღდად შეტანილი ყოფილიყო ქაშაყის ღირებულების 50 პროცენტი, მეორე ნახევრის შეტანა კი მომხდარიყო თანაბარ ნაწილებად 1922 წლის 15 ოქტომბრისა და 1923 წლის 1 იანვრისათვის. მიხაილოვი თხოულობდა ტელეგრაფით ეცნობებინათ, რა თანხაზე დაედოთ ხელშეკრულება.

დამატებითი მოლაპარაკებისა და პირობების დაზუსტების შემდეგ ქაშაყის შესყიდვის ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა.—**510**.

507 ვ. ი. ლენინის წინადადება გამოწვეული იყო ქვეყნის მძიმე ფინანსური მდგომარეობით, აგრეთვე სკოლებისათვის და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ასიგნებათა გადიდების აუცილებლობით.

იმავე დღეს, 1922 წლის 12 იანვარს, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება: «დაევალოს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს გააუქმოს სახკომსაბჭოს დადგენილება დიდი ოპერისა და ბალეტის შენარჩუნების შესახებ», ხოლო 17 იანვარს მიღებული მომდევნო დადგენილებით პოლიტბიურომ დაავალა სრულიად რუსეთის

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს «განიხილოს ამხ. ლუნაჩარსკის განცხადება არსებითად». 1922 წლის 6 თებერვალს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დიდი თეატრის საკითხზე მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: «ეცნობოს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, რომ, განიხილა რა ლუნაჩარსკის წერილი და მოისმინა რა მალინოვსკაიას (დიდი თეატრის დირექტორის. — რ ე დ). ახსნა-განმარტება, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ფრაქცია დიდი თეატრის დახურვას სამეურნეო თვალსაზრისით მიზანშეუწონლად თვლის». სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ამ წინადადებასთან დაკავშირებით პოლიტბიურომ მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატს დაავალა «წარმოადგინოს ზუსტი გაანგარიშება დიდი თეატრის ახლანდელი სახით შენახვისა და ხარჯების იმ შემცირებისა, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს მისი დახურვისას». 13 მარტს პოლიტბიურომ, მოისმინა რა მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილის ვ. ა. ავანესოვის მოხსენება, დაადგინა «დაკმაყოფილდეს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 6/II-ის შუამდგომლობა». — **511**.

508 ამ დოკუმენტის პირველ და მეორე პუნქტებზე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიურო დაეთანხმა ვ. ი. ლენინის წინადადებას და 1922 წლის 13 იანვარს მიიღო შემდეგი დადგენილება: «წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს გამოყოს ერთი ან ორი ექიმი საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ყველა ამხანაგის პერიოდული გასინჯვისათვის. დაეკისროს პასუხისმგებლობა ექიმს, დაევალოს მას იძლეოდეს მოკლე პატაკს სახკომსაბჭოს სამდივნოში».

პუნქტები 3, 4 და 5 შეთანხმებულ იქნა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების მიერ ტელეფონით და მთლიანად შევიდა პოლიტბიუროს 1922 წლის 18 იანვრის დადგენილებაში (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 596.—**512**.

509 ი. ქ. ლალაიანცი სამუშაოდ გაიგზავნა განსახკომში. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 369, 454, 626.—**514**.

510 ეს წერილი ვ. ი. ლენინმა დაწერა გ. ვ. ჩიჩერინის იმ წინადადებათა ტექსტის ქვეშ, რაც ეხებოდა პასუხს ანტანტის უმაღლესი საბჭოსადმი, რომელმაც 1922 წლის 6 იანვარს მიიღო რეზოლუცია სრული-

ად ევროპის ეკონომიური და საფინანსო კონფერენციის მოწვევისა და იმ ძირითადი პირობების შესახებ, რომლებიც, უმაღლესი საბჭოს აზრით, საჭირო იყო მისი წარმატებისათვის.—**518**.

511 საკითხი გენუის საერთაშორისო კონფერენციის თაობაზე ანტანტის უმაღლესი საბჭოსადმი პასუხის შესახებ განხილულ იქნა 1922 წლის 17 იანვარს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე. პოლიტბიუროომ დაადგინა: «საერთოდ დავეთანხმოთ ამხ. ჩიჩერინის წინადადებებს ამხ. ლენინის დამატებებით და ამხ. ჩიჩერინის მიერ ჩაწერილი შესწორებებით» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესიამ 1922 წლის 27 იანვარს დაამტკიცა გენუის კონფერენციაზე წარსაგზავნი საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობა. დელეგაციის შემადგენლობაში შეიდნენ ლ. ბ. კრასინი, მ. მ. ლიტვინოვი, ნ. ნ. ნარიმანოვი, ვ. ვ. ვოროვსკი, ი. ე. რუძუტაკი, ა. ა. იოფე, ქ. გ. რაკოვსკი და სხვ. დელეგაციის თავმჯდომარედ დაინიშნა ვ. ი. ლენინი, მოადგილედ—საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გ. ვ. ჩიჩერინი. («სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები», ტ. V, მოსკოვი, 1961, გვ. 66—67). — **518**.

512 გ. ვ. ჩიჩერინმა 1922 წლის 15 იანვარს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის გაგზავნილ ორ წერილში, რომლებიც დაწერა მისთვის შეთავაზებულ შვებულებასთან დაკავშირებით, დაახასიათა საქმის ვითარება საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში.

აღნიშნავდა რა, რომ მუშაობა მოგვარებული არ იყო საკმაოდ მომზადებული კადრების უყოლობის გამო და რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში არ არის კაცი, რომელიც საკითხების მთელ წრეს იცნობდესო, ჩიჩერინი წერდა, შვებულება ჩემთვის ახლა შეუძლებელიაო; საქმეების გადაცემა და სახალხო კომისარიატის მთელი მუშაობის კურსში ვისიმე შეყვანა ჩემგან მოითხოვს რამდენიმე თვეს, რის შესრულებაც დანამდვილებით შეუძლებელია გენუის კონფერენციისათვის მზადების დაძაბული მუშაობის პერიოდშიო. «ამჟამად შვებულება, — ამტკიცებდა ჩიჩერინი,—ჩემთვის მთლად წასვლას უდრის...» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **519**.

513 გ. ვ. ჩიჩერინის შვებულებისა და მკურნალობის საკითხი განხილულ იქნა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს რამდენიმე

სხდომაზე. შეებულება გ. ვ. ჩიჩერინს გენუის კონფერენციის შემდეგ მიეცა. — **519.**

514 რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1922 წლის 26 იანვარს დაავალა ა. ა. იოფეს, ი. ა. განეცკისა და პ. პ. გორბუნოვს «მოამზადონ საგარეო საქმეთა კომისარიატი იმისათვის, რომ ამხ. ჩიჩერინისა და ამხ. ლიტვინოვის გამგზავრების დროისათვის იგი მუშაობის სრული სიცხადისა და სიზუსტის მდგომარეობაში იყოს... მხედველობაში გვქონდეს, — ნათქვამი იყო შემდეგ პოლიტბიუროს დადგენილებაში, — იმის შესაძლებლობა, რომ ამხ. კარახანი გამოწვეულ იქნეს ჩიჩერინისა და ლიტვინოვის არყოფნის დროს, აგრეთვე იმის შესაძლებლობა, რომ ერთი ან ორი ამხანაგი დელეგაციის დიპლომატიური ნაწილიდან მოვალე იქნება რიგრიგობით რჩებოდეს მოსკოვში საქმეების გასაძღოლად» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **520.**

515 ტ. ლ. აქსელროდისათვის მატერიალური დახმარების გაწევის საკითხი განხილულ იქნა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს სხდომაზე 1922 წლის 21 იანვარს; მისი თხოვნა დააკმაყოფილეს.—**521.**

516 რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის ვ. ი. ლენინის მიერ 1922 წლის 17 იანვარს გაგზავნილი წერილი განხილულ იქნა 20 იანვრის სხდომაზე. პოლიტბიუროს დაადგინა საკითხი შტეინბერგისათვის კონცესიის მიცემის შესახებ საბოლოოდ გადაეწყვიტათ სახკომსაბჭოში (იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 515).—**522.**

517 ვ. ი. ლენინის წინადადება იმავე დღეს მიიღო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. 24 იანვარს სახკომსაბჭომ ძირითადად დაამტკიცა «ტყავნედლეულის შინა და გატანითი ვაჭრობის სააქციო საზოგადოების» («კოჟსირიო») წესდების პროექტი. 1 თებერვალს საზოგადოების წესდება და მის დამფუძნებლებს შორის დადებული შეთანხმება დაამტკიცა შრომისა და თავდაცვის საბჭომ. — **524.**

518 ვ. ი. ლენინის ინიციატივითა და მითითებებით შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველობაში შემოღებულ იქნა გრაფიკები, რომლებიც ახასიათებდნენ საბჭოთა რუსეთის სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებას 1920 — 1921 და 1922 წლებში. ვ. ა. სმოლიანინოვის მიწერ-მოწერა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველთან პ. ი. პოპოვთან ვ. ი. ლენინის ამ წინადადებასთან დაკავშირებით იხ «ისტორიჩესკი არხივ», 1962, № 1, გვ. 51—52 და 54—55, აგრეთვე 1961, № 3, გვ. 71.—**525.**

519 1922 წლის 1 თებერვალს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ დაადგინა მ. ვ. ფოფანოვას ქალიშვილი სამკურნალოდ გაგზავნილიყო საზღვარგარეთ, თუ საჭირო იქნებოდა, დედასთან ერთად.—**526.**

520 1922 წლის 23 იანვარს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ბიუროდან ვ. ი. ლენინს აცნობეს, რომ ნ. სამერ-კოტოვიჩი განსახკომის საცდელ-საჩვენებელ სკოლაში მოაწყეს «მცხოვრებ-აღსაზრდელად» — **527.**

521 1922 წლის 20 იანვარს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ საჭიროდ ცნო გაძლიერებულიყო უკრაინიდან პურის ჩამოტანა და მიიღო გადაწყვეტილება მიეკლინებინა სურსათის სახალხო კომისრის მოადგილე მ. ი. ფრუმკინი უკრაინაში განსაკუთრებული რწმუნებებით.

ამავე დადგენილებით დამტკიცებულ იქნა ზოგიერთი ცვლილებით (ნაცვლად სიტყვებისა «თანამდებობიდან დაგითხოვთ და პარტიიდან გაგრიცხავთ» — «პარტია იძულებული იქნება მიიღოს სასჯელის უაღრესად გადამწყვეტი ზომები») ვ. ი. ლენინის მიერ წამოყენებული პროექტი დეპეშისა ლ. ბ. კრასინისადმი (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **528.**

522 საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე მ. მ. ლიტვინოვი ამავე დროს იყო სახკომსაბჭოს რწმუნებული საგალუტო ოპერაციებში.—**528.**

523 1922 წლის 17 იანვარს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაადგინა დაეკმაყოფილებინა ლ. ბ. კრასინის თხოვნა «მის განკარგულებაში ამხ. ლარინის გამოძახების შესახებ».

ეს წერილი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში გაიგზავნა კონვერტზე ვ. ი. ლენინის შემდეგი წარწერით: «საგარეო საქმეთა სახკომისარიატი. პ. პ. გორბუნოვს: რაც შეიძლება მალე და კონსპირაციულად გასაგზავნად. კონვერტი დამიბრუნეთ კრასინის ხელწერილით. 19. I. 1922. ლენინი. ამხ. **კრასინს** ლონდონში (19. I. 1922 ლენინისაგან)» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **529.**

524 საქმე კაშირის ელექტროსადგურის მშენებლობისათვის განკუთვნილი ტვირთების გაგზავნის გაჭიანურების შესახებ გამოიძია მუშურ-გლე-

ხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის ინსპექციამ. დამნაშავენი გადასცეს რევტრიბუნალის სასამართლოს. — **530.**

525 იგულისხმება დღის რეჟიმი, რომელიც ა. დ. ციურუპასათვის დააწესა მისმა მკურნალმა ექიმმა. — **530.**

526 იმავე დღეს ა. დ. ციურუპამ უპასუხა ვ. ი. ლენინს. მადლობას უხდიდა რა ვ. ი. ლენინს ზრუნვისათვის, ციურუპა წერდა, რომ მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა და რომ იგი კისრულობდა შეესრულებინა ექიმის ყველა დავალება. ციურუპა აგრეთვე წერდა, რომ მისთვის უმჯობესია დარჩეს ჩვეულებრივ ოჯახურ ვითარებაში, სადაც მისთვის უზრუნველყოფილია საჭირო მოვლა, და დაპირებას იძლეოდა, «ყოველ კვირაში 2—3 დღით წავალ კაშირაში ან აგარაკ «ჩაიკა»-შიო»...»—**532.**

527 ეს წერილი პასუხია ლ. დ. ტროცკის ცნობაზე იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობის კონფერენციაზე, სადაც მან მოხსენება გააკეთა, გამოვიდა მენშევიკი გურვიჩი, რომელიც, იმოწმებდა რა ვ. ი. ლენინის მიერ გამოთქმულ აზრებს სახელმწიფო კაპიტალიზმის შესახებ, ამტკიცებდა, ახალი ეკონომიური პოლიტიკა კაპიტალიზმის დაბრუნებაა. — **532.**

528 სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხი ვ. ი. ლენინმა გააშუქა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში და საბოლოო სიტყვაში ანგარიშის გამო პარტიის XI ყრილობაზე, აგრეთვე გაზეთ «მანჩესტერ გარდიანის» კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში, მოხსენებაში კომინტერნის IV კონგრესზე და სტატიაში «კოოპერაციის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 324—326, 363 — 367, 476 — 478, 493 — 499, 557 — 559). — **533.**

529 ხსენებულ წერილში გ. ი. სოკოლნიკოვი ამტკიცებდა, რომ საჭირო იყო რსფსრ ფასეულობათა სახელმწიფო საცავის («გოხრანის») რეორგანიზება სავალუტო სამმართველოდ. გულისხმობდა რა რეორგანიზაციას, სოკოლნიკოვი წინადადებას იძლეოდა სავალუტო სამმართველოს სათავეში დაეყენებინათ «გოხრანის» გამგე ნ. ა. ბაშაზე უფრო გამოჩენილი მუშაკი. სოკოლნიკოვი ეხებოდა აგრეთვე ბიუჯეტის გადაკეთების საკითხებს.—**533.**

530 იგულისხმება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1922 წლის 20 იანვრის დადგენილება საზღვარგარეთ სურსათის შესყიდვის შეფერხების შესახებ.—**534.**

531 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს რსფსრ მთავრობის 1921 წლის 28 ოქტომბრის ნოტა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიისა და აშშ მთავრობებისადმი საგარეო საქმეთა სახ. კომისრის გ. ვ. ჩიჩერინის ხელმოწერით (იხ. «სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები», ტ. IV, მოსკოვი, 1960, გვ. 445—448; ვ. ი. ლენინის შენიშვნები ნოტის პროექტზე იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 466). — 537.

532 პირველი პარაგრაფი ანტანტის უმაღლესი საბჭოს კანის კონფერენციაზე 1922 წლის 6 იანვარს მიღებული რეზოლუციისა გენუაში საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციის მოწვევის შესახებ ასეთი იყო: «ერებს არ შეუძლიათ მიითვისონ ის უფლება, რომ სხვებს უკარნახონ პრინციპები, რომელთა საფუძველზეც მათ უნდა მოაწყონ თავიანთი სისტემა საკუთრებისა, შინაგანი ეკონომიური ცხოვრებისა და მმართველობის წესისა. თითოეულ ერს ამ მხრივ უფლება აქვს აირჩიოს ის სისტემა, რომელსაც იგი ამჯობინებს» («სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები», ტ. V, მოსკოვი, 1961, გვ. 58). იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 605.—537.

533 1922 წლის თებერვალში ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა დაწვრილებითი დირექტივები გენუის კონფერენციაზე წარგზავნილი საბჭოთა დელეგაციისათვის. დირექტივები მიიღო რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა (იხ. ეს ტომი, დოკუმენტები 623 და 630; თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 444 — 447, 449 — 450, 451 — 454, 458—461).—537.

534 ლაპარაკია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1922 წ. 20 იანვრის გადაწყვეტილებაზე: «არ გამოითქვას წინააღმდეგობა ამხ. ჩიჩერინის წინადადებაზე იმის შესახებ, რომ წინასწარი მუშაობისათვის როგორც «სპეცები» გამოყენებულ იქნან სუხანოვი და იორდანსკი» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).—537.

535 ეს წერილი დაწერილია იმასთან დაკავშირებით, რომ რსფსრ სავაჭრო წარმომადგენელმა გერმანიაში ბ. ს. სტომონიაკოვმა ტელეგრაფით შეკითხვა გამოუგზავნა საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატს. იუწყებოდა რა, რომ სავაჭრო ნაოსნობის ჰამბურგ-ამერიკის სააქციო საზოგადოება («გაპაგ») შეუთანხმდა ჰარიმანის ამერიკულ კონცერნს მისთვის რუსეთ-გერმანიის სატრანსპორტო საზოგადოებაში («დერუტრა») თავისი ნაწილის ნახევრის გადაცემის შესახებ, სტომონიაკოვი კითხულობდა, მიეცა თუ არა თანხმობა ამაზე. საგარეო ვაჭრობის

სახ. კომისრის მოადგილემ ა. მ. ლეჟავამ 1922 წლის 14 იანვრის წერილში ვ. ი. ლენინისადმი აზრი გამოთქვა, რომ ეს ხელსაყრელი იყო არა მარტო «გაპაგისათვის», არამედ საბჭოთა რუსეთისთვისაც, ვინაიდან ეს ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია, ჩვენი პირველი საქმიანი შეთანხმებაა ამერიკის კაპიტალთანო» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

«დ ე რ უ ტ რ ა» — რუსეთ-გერმანიის სატრანსპორტო საზოგადოება; შეიქმნა იმ ოქმის საფუძველზე, რომელსაც 1921 წლის 13 მაისს ბერლინში ხელი მოაწერეს რსფსრ სავაჭრო წარმომადგენელმა ბ. ს. სტომონიაკოვმა და სავაჭრო ნაოსნობის ჰამბურგ-ამერიკის სააქციო საზოგადოების («გაპაგ») გამგეობის წევრმა დირექტორმა ტეოდორ რიტერმა (იხ. «სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები», ტ. IV, მოსკოვი, 1960, გვ. 114 — 119). — **538.**

536 ლაპარაკია «ფრიდრიხ კრუპი ესენში» კომპანიის წინადადებაზე მისცემოდა მას კონცესიით 50 ათასი დესეტინა მიწა. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 676 და 711. — **539.**

537 ეს წარათი დაწერილია გ. ვ. ჩიჩერინის 1922 წლის 20 იანვრის წერილის ბოლოში. ჩიჩერინი სწერდა ვ. ი. ლენინს: «...თუ ამერიკელები ძალიან გადაგვეკიდებიან representative institutions (წარმომადგენლობითი დაწესებულებების.—რ ე დ). მოთხოვნით, ხომ არ ფიქრობთ, რომ შეიძლებოდა ჯეროვანი კომპენსაციისათვის ჩვენს კონსტიტუციაში შეგვეტანა პატარა ცვლილება...?». ლენინმა სიტყვას «შეიძლებოდა» ოთხი ხაზი გაუსვა, კიდეზე სამი კითხვითი ნიშანი დასვა და დაწერა: «სიგიჟეა!!» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).—**541.**

538 1922 წლის 2 თებერვალს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება, რომ საკითხები, რომლებიც ძირეულად ეხება რსფსრ საფინანსო პოლიტიკას ან იგზავნება პოლიტბიუროს გადასაწყვეტად, წინასწარ უნდა განიხილოს სამეულმა გ. ი. სოკოლნიკოვის, ა. მ. კრასნოშჩოკოვისა და ე. ა. პრეობრაჟენსკის შემადგენლობით. — **541.**

539 ლაპარაკია იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბონომის 1922 წლის 13 იანვრის რადიოტელეგრამაზე, რომელშიც იგი, ანტანტის უმაღლესი საბჭოს 6—13 იანვარს ჟ. კანში შემდგარი კონფერენციის გადაწყვეტილებით, უმაღლესი საბჭოს სახელით იწვევდა საბჭოთა

მთავრობის დელეგაციას მონაწილეობა მიეღო საერთაშორისო ეკონომიურ და საფინანსო კონფერენციაში, რომელსაც 1922 წლის მარტის დამდეგს გენუაში იწვევდნენ.—**548**.

540 საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებული კანის რეზოლუციის პირველი პუნქტის ტექსტში ნათქვამი იყო: «არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია მითვისოს ის უფლება, რომ უკარნახოს სხვა სახელმწიფოს პრინციპები, რომლებზეც ეს უკანასკნელი უნდა არეგულირებდეს საკუთრების, შინაგანი ეკონომიური ცხოვრებისა და მართვის თავის სისტემას» («იზვესტია ეციკ» № 6, 1922 წლის 10 იანვარი). ეს ტექსტი შეესაბამებოდა იმ რეზოლუციის ტექსტს, რომელიც გამოქვეყნებული იყო 8 იანვარს გაზეთ «Petit Parisien»-ის № 16385-ში. 26 იანვარს გ. ვ. ჩიჩერინი, უგზავნიდა რა ლენინს «Petit Parisien»-ს, სწერდა: «გიგზავნით «Petit Parisien»-ს, კანის რეზოლუციით და ბონომის პირს. ამ უკანასკნელს გამოუტოვებია «Systéme de propriété»» («საკუთრების სისტემა»).

ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კანის პირობების § 1-ის ფორმულირებას, აფასებდა ამ პარაგრაფს როგორც საკუთრების კაპიტალისტური სისტემის გაკოტრებისა და მის გვერდით საკუთრების კომუნისტური სისტემის არსებობის გარდუვალობის არაპირდაპირ აღიარებას. ლენინი აღნიშნავდა, რომ სხვა პარაგრაფები კანის პირობებისა, რომელთა მიზანი იყო საბჭოთა რუსეთის დაკაბალება უცხოეთის კაპიტალისადმი, აშკარად ეწინააღმდეგება პირველ პარაგრაფს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 419—420).—**548**.

541 1922 წლის 31 იანვარს ი. ტ. სმილგა, იუწყებოდა რა მის და ბ. ს. სტომონიაკოვის საუბარს «Deutsche Bank»-ის წარმომადგენლებთან ნავთობის კონცესიების შესახებ, წერდა: «... ჩვენ მივეცით პრინციპული თანხმობა, რომ ვაწარმოოთ მოლაპარაკება მთელ გროზნოზე და ბაქოს ბიბი-ეიბათის რაიონზე». სმილგა ითხოვდა მითითებებს მოლაპარაკების პირობების შესახებ. ამ საქმის დაჩქარების მიზნით სმილგა წინადადებას იძლეოდა ხელშეკრულების ხელმოწერის უფლება მისცემოდა მას, ნ. ნ. კრესტინსკის, ა. ი. რიკოვსა და ბ. ს. სტომონიაკოვს, ხოლო შემდეგ იგი დაემტკიცებინათ სახკომსაბჭოში. წერილს ხელს აწერდა აგრეთვე კრესტინსკი (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).—**544**.

542 იგულისხმება სუნ იატ-სენის 1921 წლის 28 აგვისტოს წერილი გ. ვ. ჩიჩერინის სახელზე, რომელშიც იგი იუწყებოდა, თუ რა მდგომარეობა იყო ჩინეთში, რომ იგი არჩეულ იქნა ეროვნული მთავრო-

ბის პრეზიდენტად. წერილის ბოლოს სუნ-იატ-სენი წერდა: «უაღრესად დაინტერესებული ვარ თქვენი საქმით, განსაკუთრებით თქვენი საბჭოების, თქვენი არმიისა და განათლების ორგანიზაციით. მინდა ვიცოდე ყველაფერი, რაც თქვენ და სხვებს შეგიძლიათ მაცნობოთ ამაზე, განსაკუთრებით განათლებაზე. მოსკოვის მსგავსად მე მინდა ჩინეთის რესპუბლიკის საფუძვლები ღრმად ჩავუყარო გონებაში ახალგაზრდა თაობას — ხვალინდელი დღის მშრომელებს.

საუკეთესო სურვილებით თქვენდამი და ჩემ მეგობარ ლენინისა და ყველასადმი, ვინც ესოდენ ბევრი რამ გააკეთა ადამიანთა თავისუფლების საქმისათვის (იხ. «ბოლშევიკ» № 19, 1950, გვ. 46—48). ეს წერილი ვ. ი. ლენინს 1921 წლის 6 ნოემბერს რომ გაუგზავნა, გ. ვ. ჩიჩერინი ეკითხებოდა, პირადად თუ იცნობთ სუნ იატ-სენსო. ლენინმა მეორე დღეს უპასუხა ჩიჩერინს, რომ სუნ იატ-სენს არ შეხვედრია და მათ შორის აქამდე მიწერ-მოწერა არ ყოფილა.—**544**.

543 «ო რ ი ა ნ ი»—რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ორი წევრი, რომლებიც სახავდნენ პოლიტბიუროს სხდომების დღის წესრიგს, წინასწარ ათვალიერებდნენ მასალებს სხდომებისათვის და ცალკეულ შემთხვევებში იძლეოდნენ თავიანთ დასკვნას. — **545**.

544 რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1921 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. ი. ლენინს მიეცა შეებულება; შვებულებაში ლენინი 6 დეკემბრიდან იყო.—**545**.

545 დოკუმენტი პასუხია სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ი. ს. უნშლიხტის 1922 წლის 26 იანვრის წერილზე, რომელშიც იგი, იცავდა რა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შესახებ ახალი დებულების მისი კოლეგიის მიერ შემუშავებულ პროექტს, მოითხოვდა, რომ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას დარჩენოდა დასჯის ფუნქციები. წერილი ციტირებულია უნშლიხტის მოგონებებში ვ. ი. ლენინზე. წერილის დასაწყისს უნშლიხტი ასე გადმოსცემს: «ლენინი არ ეთანხმება ჩემს დასკვნებს და მიგზავნის პასუხს, რომელშიც ამბობს, რომ ჩემი წინადადებანი შეიძლება განხორციელდეს და უნდა განხორციელდეს არა ჩემი გზით, არამედ ცენტრალური კომიტეტის კომისიის პროექტის მეშვეობით». ლენინი ამ წერილს ამთავრებს — წერს შემდეგ უნშლიხტი,—მითითებით. რომ პოლიტბიუროს კომისიის გადაწყვეტილებათა ნიადაგზე «შეიძლება მიღწეულ იქნეს და მიღწეულ უნდა იქნეს რეპრესიის სისწრაფისა და ძალის გაძლერება» («ვოპროსი ისტორიი კპსს», 1965, № 4, გვ. 97). იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 522.—**547**.

546 1922 წლის 28 იანვარს ი. ვ. ლომონოსოვმა ტელეფონოგრამით აცნობა ვ. ი. ლენინს, რომ მოიწვია თათბირი გ. მ. კრჟიჟანოვსკისთან, პროფესორ ლ. კ. რამზინთან და გზათა სახალხო კომისარიატის ტექნიკური კომიტეტის გამგის თანაშემწე პ. ს. იანუშევსკისთან თბომავლების აგების შესახებ. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 613.—**548.**

547 ეს ბარათი ვ. ი. ლენინმა დაწერა სახელმწიფო უნივერსალური მაღაზიის («გუმ») ორი თვის მუშაობის ანგარიშის და «გუმ»-ის გამგის ა. ა. ბელოვის მოხსენებითი ბარათის გამო «გუმ»-ის უახლოესი გეგმებისა და მაღაზიის კაპიტალის გადიდების აუცილებლობის შესახებ.

ფინსახკომის კოლეგიამ, განიხილა რა «გუმ»-ის გამგეობის შუამდგომლობა, გადაწყვიტა გაედიდებინა მაღაზიის კაპიტალი 3 მილიონი რეალური ფასეულობებით და მიეღო ზომები მისი სავაჭრო საქმიანობისათვის ხელის შესაწყობად. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 525 და 625.—**548.**

548 დოკუმენტი დაწერილია ი. ვ. ლომონოსოვის 1922 წლის 28 იანვრის ტელეფონოგრამაზე ვ. ი. ლენინისადმი (იხ. შენიშვნა 546).

1922 წლის 3 თებერვალს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ გ. მ. კრჟიჟანოვსკიმ დაწერილებით მოხსენებით ბარათში აცნობა ვ. ი. ლენინს, თუ როგორ მიმდინარეობდა თბომავლების შესახებ შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1922 წლის 4 იანვრის დადგენილების რეალიზაცია (იხ. შენიშვნა 498).

მიაჩნდა რა საჭიროდ თბომავლების რუსული პროექტებით აგებასთან ერთად გამოცხადებულიყო საერთაშორისო კონკურსი, იგი წერდა, რომ მუშაობა გაჩაღდა ორი მიმართულებით: საერთაშორისო კონკურსის პირობების შემუშავება და «თბომავლების საესკიზო პროექტების შემუშავება, მათ შემდგომ ასაგებად შეკვეთების ქარხნებისათვის გადაცემის გზით» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

1922 წლის 10 მარტს შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა რსფსრ-სათვის თბომავლების აგების კონკურსის პირობები, რომლებიც შემუშავებული იყო სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ თბოტექნიკურ ინსტიტუტთან და გზათა სახ. კომისარიატთან ერთად, და დაადგინა კონკურსის ვადა — 1924 წლის 1 მარტი. (იხ. ეს ტომი, დოკუმენტები 568 და 611).—**548.**

549 1922 წლის 29 იანვარს გაზეთებში დაბეჭდილი იყო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ტორეტას ორი რადიოგრამა გ. ვ. ჩიჩერინის

სახელზე—22 იანვრისა—პასუხით გ. ვ. ჩიჩერინის შეკითხვაზე გენუის კონფერენციის დღის წესრიგის შესახებ და 27 იანვრისა — კონფერენციის შემადგენლობის შესახებ. მეორე რადიოგრამაში იუწყებოდნენ რომ, კანში მიღებულ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა თანახმად კონფერენციაზე მიწვეულია «გარდა უმაღლესი საბჭოს წევრი სახელმწიფოებისა და რუსეთისა, ევროპის ყველა ის სახელმწიფო, რომლებიც ცნობილია დე-იურე» («სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები», ტ. V, მოსკოვი, 1961, გვ. 59). ტორეტას ეს «განმარტება» ზოგიერთ წრეებში გაიგეს როგორც კონფერენციაზე მიწვევა კოლჩაკისა და დენიკინის განდევნილი თეთრგვარდიული მთავრობებისა, საქართველოს მენშევიკური მთავრობისა, სომხეთის �შნაკური მთავრობისა და აზერბაიჯანის მუსავატისტური მთავრობისა და სხვ. (რომლებიც თავის დროზე აღიარა ანტანტამ, და ეს აღიარება გაუქმებული არ იყო). ამასთან დაკავშირებით ლ. დ. ტროცკი წინადადებას იძლეოდა გამოვსულიყავით კატეგორიული განცხადებით, რომ ემიგრანტული კონტრრევოლუციური ორგანიზაციების მიწვევა შეუძლებელს გახდიდა რსფს რესპუბლიკის მონაწილეობას ამგვარ კონფერენციაში. — **549.**

550 მენშევიკთა ლიდერები სიცრუისა და ცილისწამების ღვარძლიან კამპანიას ეწეოდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ბრალს სდებდნენ მას «დემოკრატიის», «ხალხთა თვითგამორკვევის» დარღვევაში, საქართველოს «კანონიერი» (მენშევიკური) მთავრობის განდევნაში და მის «ოკუპაციაში» და სხვ.. გენუის მომავალ კონფერენციასთან დაკავშირებით მენშევიკებმა გააძლიერეს თავდასხმები რსფს რესპუბლიკაზე, მოითხოვდნენ წითელი არმიის გაყვანას საქართველოდან, იქ რეფერენდუმის მოწყობას და სხვ.. რუს მენშევიკებს მხარს უჭერდნენ მენშევიკი-ემიგრანტები.

ვ. ი. ლენინის წინადადებანი რკპ (ბ) ცკ პოლიტბიურომ მიიღო.—**550.**

551 1922 წლის 31 იანვარს ვ. ი. ლენინმა მიიღო გ. ე. ზინოვიევის პასუხი თაეის 26 იანვრის წერილზე (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც.. ტომი 54, დოკუმენტი 232). ზინოვიევი სწერდა, რომ კომინტერნის აღმასკომს, მხედველობაში არა აქვს რა ლენინის გამოსვლა ერთიანი ფრონტის საკითხზე, სურს მიიღოს მისი სტატია ამ თემაზე. ხოლო ლენინის გამოსვლა ნეპისა და მისი პირველი შედეგების საკითხზე კომინტერნის აღმასკომს მეტად დიდმნიშვნელოვნად მიაჩნია იმასთან დაკავშირებით, რომ II და II $^1/_2$ ინტერნაციონალები ამახინჯებენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის აზრს და აგიტაციას ეწევიან კომუნისტების წინააღმდეგო. იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 617.—**550.**

552 სპეციალური სტატია ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე და ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობაზე ვ. ი. ლენინს არ დაუწერია. ამ საკითხებისადმი მიძღვნილია პირველი ნაწილი სტატიისა «პუბლიცისტის შენიშვნები», რომელიც დაუმთავრებელი დარჩა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 230—234). — **551**.

553 პროფესორი ნ. ა. როქკოვი დაპატიმრებულ იქნა 1921 წლის თებერვალში როგორც რსდმპ მენშევიკების პეტროგრადის კომიტეტის წევრი. დაკითხვისას როქკოვმა განაცხადა, რომ, თუმცა იზიარებს მენშევიკების რწმენას საბჭოთა ხელისუფლების გარდუვალი დაღუპვის შესახებ, არა სურს მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ ბრძოლაში და განზრახული აქვს გავიდეს მენშევიკური პარტიიდან. ამასთან დაკავშირებით პეტროგრადის გუბერნიის საგანგებო კომისიამ დააყენა საკითხი მისი განთავისუფლების შესახებ. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1921 წლის 31 მაისს დაადგინა არ გაეთავისუფლებინა როქკოვი.

უფრო გვიან როქკოვი განთავისუფლებულ იქნა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 802, 803.—**551**.

554 ი. ს. უნშლიხტი სთხოვდა ვ. ი. ლენინს მონაწილეობა მიეღო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1922 წლის 2 თებერვლის სხდომაში სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის საკითხის განხილვისას, ამასთან მხედველობაში ჰქონდა უთანხმოება სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის კოლეგიასა და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ შექმნილ კომისიას შორის.

2 თებერვალს პოლიტბიურომ დაამტკიცა პროექტი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის გაუქმების დებულებისა და დაავალა უნშლიხტს წარედგინა პოლიტბიუროს მიერ წინასწარ დასამტკიცებლად სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს («გპუ») დებულება. 1922 წლის 6 თებერვალს სრულიად რუსეთის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ამ საკითხზე (იხ. «იზვესტია» ვციკ» № 30, 1922 წ. 8 თებერვლისა). იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 522 და 610). — **551**.

555 ვ. ი. ლენინის წინადადება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო იმავე დღეს — 1922 წლის 2 თებერვალს.

გ. ლ. პიატაკოვის იმ თხოვნასთან დაკავშირებით, რომ გაეთავისუფლებინათ იგი მოხსენებისაგან კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე, პოლიტბიურომ 1922 წლის 9 თებერვალს დაავალა რკპ(ბ)

წარმომადგენლებს კომინტერნის აღმასკომში მომხსენებლად ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ წამოეყენებინათ ლ. ბ. კამენევი.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა გ. ი. სოკოლნიკოვი.—**558**.

556 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს 1922 წლის 1 თებერვლის თავისი წერილი ნ. ი. ბუხარინისა და გ. ე. ზინოვიევისადმი, რომელშიც იგი წერდა იმაზე, თუ რა პოზიცია ეკავა კომინტერნს სამი ინტერნაციონალის—11, 11 $^1/_2$-ისა და კომინტერნის წარმომადგენელთა მომავალი კონფერენციის მიმართ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 447—449).

ამ წერილის ტექსტის თავზე მდივნის ხელით დაწერილია: «თვალი ვადევნოთ და დავაჩქარებინოთ პასუხი».—**554**.

557 1922 წლის 3 თებერვალს ნ. ი. ბუხარინმა უპასუხა ვ. ი. ლენინს, რომ იგი და გ. ე. ზინოვიევი ეთანხმებიან ვ. ი. ლენინის წინადადებებს სამი ინტერნაციონალის კონფერენციასთან დაკავშირებით. ბუხარინი აგრეთვე წერდა, რომ უახლოეს ხანში ვ. ი. ლენინს გაეგზავნებოდა მასალები დასავლეთის სხვადასხვა დაჯგუფებათა დამოკიდებულებაზე ახალი ეკონომიური პოლიტიკისადმი.—**554**.

558 1922 წლის 7 თებერვალს სახელგამის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარემ და პოლიტიკური განყოფილების გამგემ ნ. ლ. მეშჩერიაკოვმა ვ. ი. ლენინს აცნობა, რომ «კერძო გამომცემლობანი მუშაობენ 1921 წლის 12 დეკემბრის დეკრეტის საფუძველზე»; მათი მუშაობისადმი ზედამხედველობისათვის სახელგამთან შექმნილია პოლიტგანყოფილება. პოლიტგანყოფილებები არსებობენ მოსკოვსა და პეტროგრადში. მეშჩერიაკოვმა გამოგზავნა აგრეთვე პირები ცირკულარებისა ადგილებზე პოლიტგანყოფილებათა შექმნის შესახებ. ცირკულარების თანახმად გამომცემლობანი მოვალე იყვნენ განსახილველად წარედგინათ ხელნაწერები პოლიტგანყოფილებაში; სტამბებს უფლება არ ჰქონდათ გამოეშვათ წიგნი, «თუ ხელნაწერი ნებადართული არ იყო პოლიტგანყოფილების მიერ» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).—**556**.

559 ცირკულარული დეპეშა ვ. ი. ლენინის მიერ წამოყენებული ტექსტით იმავე დღეს, 1922 წლის 6 თებერვალს, დაეგზავნა რკპ (ბ) ყველა საოლქო კომიტეტს, საოლქო ბიუროებს, საგუბერნიო კომიტეტებს, სახალხო განათლების საოლქო და საგუბერნიო განყოფილებებს. 9 თებერვალს რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დამატებითი დეპეშით

აცნობა აღნიშნული კონფერენცია მოწვეულია არა 20 მარტს, არამედ 20 თებერვალსო.

სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებათა მეორე სრულიად რუსეთის ყრილობა გაიმართა მოსკოვში 1922 წლის 22—28. თებერვალს. იხ. აგრეთვე თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 284.—**557.**

560 ქვეყნის ეკონომიური დარაიონების პროექტით, რომელიც სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შეიმუშავა, უკრაინა იყოფოდა ორ რაიონად: სამხრეთ-დასავლეთი ოლქი ცენტრით კიევში და სამხრეთი სამთო-სამრეწველო ოლქი ცენტრით ხარკოვში. ასეთ დაყოფას უკრაინის წარმომადგენლები მიზანშეუწონლად თვლიდნენ. შემდეგში დარაიონების გატარებისას უკრაინა ერთიან ეკონომიურ რაიონად დარჩა.—**558.**

561 წერილში ვ. ი. ლენინისადმი გ. ვ. ჩიჩერინი შიშს გამოთქვამდა გენუის კონფერენციის წარმატებისა და კაპიტალისტურ წრეებთან შეთანხმების შესაძლებლობის თაობაზე.—**559.**

562 ვ. ი. ლენინი გულისხმობს ტორფის მთავარ კომიტეტთან ჰიდროტორფის საქმეებზე არსებული სამმართველოს პასუხისმგებელი ხელმძღვანელის რ. ე. კლასონის 1922 წლის 9 თებერვლის მოხსენებითს ბარათს, დაასურათა რა საქმის ვითარება, კლასონი წერდა, რომ ჰიდროტორფს არ მოეპოვება სახსრები 1922 წლის სეზონისათვის საჭირო მასალების შესაძენადო, და სთხოვდა დაემტკიცებინათ ხარჯთაღრიცხვა 4 მილიონი ოქროს მანეთის ოდენობით. იგი თხოულობდა აგრეთვე გამოეყოთ «ჰიდროტორფი» «ცუტორფისაგან» (ტორფის მრეწველობის მთავარი სამმართველო) და გადაეცათ იგი სათბობის მთავარი სამმართველოსათვის ან სხვა დაწესებულებისათვის, სახკომსაბჭოს შეხედულებებისამებრ, სადაც ჰიდროტორფს შეეძლებოდა მიეღო მისთვის საჭირო სახსრები.

1922 წლის 28 თებერვალს სახკომსაბჭომ დაადგინა მიეცა ჰიდროტორფისათვის ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში სახკომსაბჭოს სარეზერვო ფონდიდან 1 მლნ. 200 ათასი ოქმდელი მანეთი, იმ სახსრების ჩათვლით, რომლებიც ჰიდროტორფმა უკვე მიიღო 1922 წელს. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 654.—**560.**

563 1922 წლის 12 თებერვალს გ. ი. სოკოლნიკოვმა აცნობა ვ. ი. ლენინს, რომ ფინსახკომი მხარს დაუჭერდა ა. ა. ბელოვს, და უპასუხა აგრეთვე ყველა კითხვაზე, რომლებიც ლენინმა ამ წერილში დააყენა.—**562.**

564 მეორე დღეს 1922 წლის 14 თებერვალს, ა. ს. ენუქიძემ აცნობა ვ. ი. ლენინს, ი. ბ. სტალინისათვის ბინა მზად არის, ხოლო ს. გ. სტრუმილინისა და ლ. კ. რამზინისათვის ბინების შესახებ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახლების უმართველს ა. დ. მეტელევს ხელმეორედ მივეცი წერილობითი განკარგულებაო. ი. ქ. ლალაიანცის ბინისა და კვების საქმე, წერდა ენუქიძე, მოგვარებულია, იგი აპირებს ოჯახის ჩამოსაყვანად გავმგზავროს მარტის დამლევს (პარტიული ყრილობის შემდეგ). ენუქიძე აგრეთვე სთხოვდა ლენინს მიეღო იგი სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მუშაობის საკითხზე. ლალაიანცისათვის ვაგონის თაობაზე ენუქიძემ შემდეგში აცნობა რომ მან მისწერა მიმართვა გზათა სახალხო კომისარიატში ვ. ვ. ფომინს.

ენუქიძის წერილის პირველ გვერდზე ლენინმა დაწერა «ფოტიევას გვ. 3», ხოლო მესამე გვერდზე — შეამოწმეთ § 3-ის შესრულება». § 3-ში ორი ხაზი გაუსვა სიტყვებს «სტრუმილინისა და რამზინისათვის ბინების შესახებ» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).—**563.**

565 ლაპარაკია რკპ (ბ) წევრების სრულიად რუსეთის აღწერაზე, რაც 1922 წლის დამდეგს მოეწყო. აღწერის მიზანი იყო რკპ (ბ) შემადგენლობის ყოველმხრივ გამორკვევა და პარტიის წევრთა ზუსტი აღრიცხვა. მოსკოვში აღრიცხვა მიმდინარეობდა 1922 წლის 6 თებერვალს. რკპ (ბ) წევრების სრულიად რუსეთის აღრიცხვასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის მიერ შევსებული ანკეტა იხ. თხზულებებში, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 523 — 527.

წერილში მოხსენებული აღწერა პასუხისმგებელი მუშაკებისა მოეწყო 1921 წლის ივლისში იმ მიზნით, რომ განესაზღვრათ პარტიის ხელმძღვანელი ნაწილის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შემადგენლობა საგუბერნიო და სამაზრო ცენტრებში, მათი ტერიტორიული განაწილება და გამოყენების მიზანშეწონილობა.—**564.**

566 ეს წინადადება დაწერილია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი გ. ვ. ჩიჩერინის 1922 წლის 11 თებერვლის წერილის ტექსტის ქვეშ. ჩიჩერინი წინააღმდეგი იყო ლ. დ. ტროცკის განკარგულებისა იმის შესახებ, რომ საერთაშორისო ეკონომიური და საფინანსო კონფერენციისათვის (გენუის კონფერენციისათვის) მზადებასთან დაკავშირებით სამხედრო უწყების ექსპერტებს პრესაში განეხილათ კონკრეტული მასალები და ოდენობა კაპიტალისტური ქვეყნების მიმართ კონტრპრეტენზიებისა იმ ზარალის ანაზღაურება-

ზე, რაც საბჭოთა რუსეთმა უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და ბლოკადისაგან განიცადა.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1922 წლის 15 თებერვალს მიიღო ვ. ი. ლენინის წინადადება —**566.**

567 ეს წერილი დ. ი. კურსკისადმი და ქვემოთ მოთავსებული დოკუმენტები (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 658), აგრეთვე ვ. ი. ლენინის მონიშვნები მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის შესახებ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების პროექტზე და მისი წერილი ი. ბ. სტალინისადმი ამ საკითხზე (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 660) დაწერილია იმის აუცილებლობასთან დაკავშირებით, რომ კანონმდებლობითი წესით დაზუსტებულიყო კერძო საწარმოთა საქმიანობისადმი მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის კონტროლის უფლებები. ეს გამოწვეული იყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში კერძო მეწარმეობის გამოცოცხლებით, სახელმწიფო ორგანიზაციებსა და კერძო მოიჯარეებს შორის გარიგებათა რიცხვის ზრდით და ამ ნიადაგზე წარმოქმნილი სხვადასხვა ბოროტმოქმედებებით.—**566.**

568 მეორე დღეს, 1922 წლის 16 თებერვალს, დ. ი. კურსკიმ უპასუხა ვ. ი. ლენინის წერილზე. აცნობა რა, რომ ი. გ. კობლენცის დასკვნის შემოწმება დაავალა იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრს, კოდიფიკაციის განყოფილების გამგეს ვ. ი. იახონტოვს, კურსკი სწერდა ვ. ი. ლენინს, რომ სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად შეტანილ იქნა პროექტები ვალდებულებათა დებულებისა, სისხლის სამართლის კოდექსისა და სხვ. და რომ შემუშავებულ იქნა მთელი რიგი კანონები მიწათმოქმედების, შრომისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებში. მან აღიარა, რომ მოქმედ კანონებში იყო წინააღმდეგობანი. იზიარებდა რა ლენინის შეხედულებას, რომ «საჭიროა სახელმწიფოს გარანტია სრულ რევიზიასა და კონტროლზე», კურსკი სწერდა, რომ «ძალიან სასარგებლოდ ჩათვლიდა ცენტრალური კომიტეტის დირექტივას ამ მხრივ მცირე სახკომსაბჭოსათვის...» (ხაზგასმულია ლენინის მიერ) (იხ. ლენინის XXXV კრებული, გვ. 326).—**569.**

569 1921 წლის 1 დეკემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, მოისმინა რა ვ. ი. ლენინის ინფორმაცია ა. დ. ციურუპას მუშაობის შესახებ, დაადგინა დამტკიცებინა იგი შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მეორე მოადგილის თანამდებობაზე, ხოლო 5 დეკემბერს პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით იგი დაინიშნა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

ქვეყნის გადასულამ მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობაზე საჭირო გახადა მთელი საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფა და გარდაქმნა. ასეთი გარდაქმნის პროგრამაა წერილები ა. დ. ციურუპასადმი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, დოკუმენტები 310, 311, 312, 313).—**569.**

570 ეს დოკუმენტი დაწერილია ა. დ. ციურუპას წერილთან დაკავშირებით, რომელიც იუწყებოდა მცირე სახკომსაბჭოს მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ.

ა. დ. ციურუპამ წინადადება წამოაყენა შეემცირებინათ მცირე სახკომსაბჭო 22-დან 5 კაცამდე: თავმჯდომარე და ოთხი წარმომადგენელი უწყებათაგან (იუსტიციის სახალხო კომისარიატი; ფინსახკომი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატი). ყველა საკითხი, რომლებიც სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ ასიგნებებს ეხება, გადაეცემა ფინსახკომს, მცირე სახკომსაბჭოში ისინი შედის მხოლოდ ფინსახკომის მოქმედების გასაჩივრების წესით. მცირე სახკომსაბჭო განიხილავს განაწესით გათვალისწინებულ საკითხებს.—**569.**

571 ამ წერილის პასუხად მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ვ. გ. იაკოვენკომ ვ. ი. ლენინს 1922 წლის 21 თებერვალს აცნობა, რომ გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ში გამოქვეყნებული ა. ა. ბელიაკოვის სტატიის გამო მან დაავალა მოეხდინათ გამოძიება. იაკოვენკო სწერდა, რომ ამ საქმეზე არსებული მასალები გადასცა იუსტიციის სახალხო კომისარიატში დ. ი. კურსკის, რათა საქმის გაჭიანურებისათვის დამნაშავენი პასუხისგებაში მიეცა, თუ საჭიროდ მიიჩნევდა.

1922 წლის 15 მაისს ვ. გ. იაკოვენკომ ვ. ი. ლენინს წარუდგინა მოხსენება საავიაციო მოტორების გამოყენების შესახებ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მიზნებისათვის (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).—**571.**

572 1922 წლის 16 თებერვლის წერილში დ. ი. კურსკი ვ. ი. ლენინს სწერდა, რომ სახელმწიფოს უფლებათა გარანტია გათვალისწინებულია ვალდებულებათა დებულების ზოგადი ნაწილის მუხლებში, რომლებიც მიუთითებენ ხელშეკრულების არანამდვილობის შემთხვევებს, და დებულების პროექტის სახელმწიფო საწარმოთა მართვის შესახებ მუხლში, რომელიც განსაზღვრავს, რომ გადახდევინება არ შეიძლება მიმართულ იქნეს სახელმწიფო საწარმოს ძირითად კაპიტალზე; გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში არის მუხლი, რომელიც «სჯის სახელმწიფო საწარმოს მმართველს მინდობილი საქმის დაუდევრად მართვისათვის». «როგორც გამაფრთხილებელი ზო-

მა, — წერდა კურსკი, — საჭიროა მუშგლეხინის კონტროლი და დაზუსტება დებულებისა მუშგლეხინის იმ უფლების შესახებ, რომ რევიზიას უკეთებდეს იჯარით აღებულ საწარმოებს, რაზეც უკვე არის ცენტრალური კომიტეტის დავალება» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 629, 658.—572.

573 ეს დოკუმენტი დაწერილია გ. ვ. ჩიჩერინის 1922 წლის 15 თებერვლის წერილის ტექსტის ქვეშ. გულისხმობდა რა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს და ვ. ი. ლენინის მითითებებს იმ პროგრამის ხასიათის შესახებ, რომლითაც საპატიო დელეგაცია უნდა გამოსულიყო გენუის კონფერენციაზე (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 623, აგრეთვე თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 451—454), ჩიჩერინი წერდა: «როგორ გავართმევთ თავს «უფართოეს პროგრამას», არ ვიცი. მთელი სიცოცხლე ვლანძღავდი წვრილბურჟუაზიულ ილუზიებს, ახლა კი ჩემს სიბერეში პოლიტბიურო მიბძანებს წვრილბურჟუაზიულ ილუზიებს ვთხზავდე. ჩვენთან არავის არ ეხერხება ასეთი რამეების თხზვა, ისიც კი არ ვიცით, რა წყაროებს დავეყრდნოთ. ხომ ვერ მომცემთ უფრო დაწვრილებითს მითითებებს?» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

იხ. აგრეთვე თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 458—461.—574

574 ვ. ი. ლენინი უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა შატილოვის შვრიის ტრესტის მუშაობას მცენარეთა კულტურის გაუმჯობესებაზე, მიაჩნდა, რომ ეს მუშაობა ერთ-ერთი ღონისძიებაა სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების გასადიდებლად. ლენინის წინადადების საფუძველზე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1922 წლის 18 თებერვალს გადასინჯა საკითხი «გოსსემკულტურისათვის» (შატილოვის შვრიის ტრესტისათვის) გრძელვადიანი სესხის მიცემის შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება ტრესტისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ. 4 მარტის დადგენილებით პოლიტბიუროს ფინსახკომს დაავალა, მიეცით მიწსახკომს სახსრები «გოსსემკულტურის» საჭიროებისათვისო.

ტრესტი შეიქმნა შატილოვის სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურის ბაზაზე, რომელიც 1896 წელს დაარსდა. ამჟამად — ორიოლის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგური — რსფსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. — 575.

575 ლაპარაკია შრომისა და თავდაცვის საბჭოს კომისიაზე, რომელსაც უნდა გამოეკვლია ლ. ურკარტისათვის კონცესიით გადასაცემი საწარმოები. იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 645.—577.

576 ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-2—3 და მე-4 გამოცემებში ეს წერილი ნაწილობრივად იყო გამოქვეყნებული სათაურით «ბარათი დ. ი. კურსკის».—**580.**

577 ეს დოკუმენტი დაწერილია გ. ვ. ჩიჩერინის 1922 წლის 18 თებერვლის წერილზე. ჩიჩერინი წერდა იმის შესახებ, რომ კ. ბ. რადეკმა ფრანგულ ბურჟუაზიულ გაზეთ «La matin»-ში («დილა») გამოქვეყნებულ ინტერვიუში ილაპარაკა საფრანგეთის მთავრობასთან მოლაპარაკების შესახებ და ამასთან დაუშვა გამოხდომები ინგლისის წინააღმდეგ. მიაჩნდა, რა, რომ ასეთი გამოსვლა დროული არ იყო, ჩიჩერინი წერდა, რომ რადეკმა თავისი ინტერვიუთი დიპლომატიური ზიანი მიაყენა საბჭოთა რუსეთს.

წერილზე არის რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა შენიშვნები, რომლებშიც ისინი ეთანხმებიან ვ. ი. ლენინის აზრს. — **587.**

578 ბერლინიდან გამოგზავნილ 1922 წლის 12 თებერვლის წერილში სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სათბობის მთავარი სამმართველოს («გლავტოპის» უფროსი ი. ტ. სმილგა იტყობინებოდა უშედეგო მოთხოვნებზე «გლავტოპისათვის» გერმანიაში ფულის გადაგზავნის შესახებ, რის გამოც ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობა შესყიდული იყო მხოლოდ «სრულიად უმნიშვნელო თანხისა». იგი ითხოვდა დაეჩქარებინათ ფულის გადაგზავნა (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **588.**

579 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს თავისი 1921 წლის 5 აგვისტოს წერილი გ. ი. მიასნიკოვისადმი (იხ. თხზულებანი მე-4 გამოც., ტომი 32, გვ. 643—649). წინადადება ეხება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1922 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებას მიასნიკოვის შესახებ. მოისმინა რა მიასნიკოვის ანტიპარტიული საქმიანობის გამოსაძიებლად რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს მიერ 1921 წლის 29 ივლისს შექმნილი კომისიის მოხსენება, პოლიტბიუროომ დაამტკიცა კომისიის წინადადება პარტიიდან მისი გარიცხვის შესახებ.—**588.**

580 რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1922 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. ი. სოკოლნიკოვი შეყვანილ იქნა «საერთაშორისო კომუნისტურ კონფერენციაზე»—კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის პირველ გაფართოებულ პლენუმზე წარსაგზავნი რკპ (ბ) დელეგაციის შემადგენლობაში. პლენუმი გაიმართა მოსკოვში 1922 წლის 21 თებერვალს—4 მარტს.—**588.**

581 მოხსენიებულ სტატიაში იუწყებოდნენ, რომ გაიფიცნენ მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის პროფესორები. ისინი, როგორც აღნიშნული იყო სტატიაში, მოქმედებდნენ კადეტური «პოსლედნიე ნოვოსტის» მითითებით, რომელსაც უშვებდა თეთრგვარდიული ემიგრაცია პარიზში.

1922 წლის 24 თებერვალს გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ში დაბეჭდილი იყო სტატია «კადეტები მუშაობენ (მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში პროფესორთა გაფიცვის გამო)».—589.

582 ლაპარაკია ი. კ. მიხაილოვის კომისიის დასკვნებზე. მისცემოდა თუ არა კონცესია ლ. ურკარტს. — 589.

583 ლ. ურკარტისათვის საკონცესიოდ გადასაცემად დასახულ საწარმოთა გამომკვლევი კომისია ი. კ. მიხაილოვის თავმჯდომარეობით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აღნიშნულ საწარმოთა დანგრევაში ბრალი მიუძღოდათ უცხოელ კაპიტალისტებს, და აზრი გამოთქვა ურკარტისათვის კონცესიის მიცემის წინააღმდეგ. უპასუხებდა რა ვ. ი. ლენინის მიერ დასმულ კითხვებზე, კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, ეს საწარმოები შეიძლება აღდგენილ იქნეს საბჭოთა სახელმწიფოს ძალებითო. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 759.—591.

584 ეს ბარათი პასუხია რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების («როკკ»-ის) ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ა. პ. გოლუბკოვის 1922 წლის 21 თებერვლის წერილზე. წერილში იუწყებოდნენ, რომ რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოება დამშეულთა სასარგებლოდ უშვებს ილუსტრირებულ კრებულს რუსულ ენასა და სამ უცხო ენაზე რუსეთში და საზღვარგარეთ გასავრცელებლად. რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების გამგეობა გთხოვთ თქვენ, ნათქვამი იყო გოლუბკოვის წერილში ვ. ი. ლენინისადმი, მოგვცეთ კრებულისათვის «რამდენიმე სტრიქონი თქვენი ფაქსიმილე» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — 598.

585 დოკუმენტი დაწერილია გ. ვ. ჩიჩერინის წერილზე, რომელშიც იგი გადაჭრით გამოთქვამდა წინააღმდეგობას. გ. ი. სოკოლნიკოვის წინადადებაზე შეეჩერებინათ თურქეთისათვის ფულის გადახდა.

1922 წლის 27 თებერვალს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო ვ. ი. ლენინის წინადადება თურქეთისათვის შესაბამისი თანხის გადახდის შესახებ, ამასთან აღნიშნა, რომ «არავითარი სხვა ფინანსური ვალდებულება რსფს რესპუბლიკას არ ეკის-

რება» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **598.**

586 რა განაწესი აქვს მხედველობაში ვ. ი. ლენინს, გამორკვეული არ არის.—**594.**

587 «გამქღავნებაზე» რომ ლაპარაკობს, ლენინს მხედველობაში აქვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს აღნიშნული დადგენილების გახმაურება უკპ (ბ) ხარკოვის საგუბერნიო კომიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის მიერ. ე. ი. ლენინის წინადადება პოლიტბიურომ მიიღო 1922 წლის 25 თებერვალს. იხ. ავრეთვე შენიშვნა 54.—**594.**

588 იხ. შენიშვნა 585.—**595.**

589 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი წინადადება, მიღებული პოლიტბიუროს მიერ, იმის შესახებ, რომ გენუის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილეს გ. ვ. ჩიჩერინს დელეგაციის თავმჯდომარის ყველა უფლება აქვს და რომ ჩიჩერინის ავადმყოფობისა თუ წამოსვლის შემთხვევაში მისი უფლებები რიგით გადაეცემა ერთ-ერთს ორი სამეულიდან: ა) ლიტვინოვი, კრასინი, რაკოვსკ; ბ) ლიტვინოვი, იოფე, ვოროვსკი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 458).—**595.**

590 ეს წერილი, ისევე როგორც 1922 წლის 24 თებერვლის ბარათი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის და 25 თებერვლის ბარათები ი. ბ. სტალინისა და ლ. ბ. კამენევისადმი (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 650, აგრეთვე თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 461—462), ვ. ი. ლენინმა დაწერა იმ რადიოგრამასთან დაკავშირებით, რომელიც იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტორეტამ 1922 წლის 24 თებერვალს გაუგზავნა გ. ვ. ჩიჩერინს. მასში იტყობინებოდნენ, რომ იტალიის მთავრობა სამინისტრო კრიზისის გამო იძულებული იყო გადაედო გენუის კონფერენციის გახსნა. რადიოგრამა გამოქვეყნდა 1922 წლის 25 თებერვალს გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის № 45-ში.—**596.**

591 იმავე დღეს, 1922 წლის 25 თებერვალს, გ. ვ. ჩიჩერინმა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს ტორეტას და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჯერზონს გაუგზავნა დეპეშა გენუის კონფერენციის მოწვევის ვადის შესახებ. 1922 წლის 28 თებერვალს დეპეშა დაიბეჭდა გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის № 47-ში. (იხ. «სსრ კავ-

შირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები», ტ. V, მოსკოვი, 1961, გვ. 113—115).—**596**.

592 ეს წერილი პასუხია საზოგადოებრივ მეცნიერებათა სოციალისტური აკადემიის პრეზიდიუმის 23 თებერვლის ცნობაზე იმის შესახებ, რომ ვ. ი. ლენინი 1922 წლის 5 თებერვალს არჩეულ იქნა აკადემიის წევრად.

დოკუმენტი დაწერილია ლენინის მიერ ცნობის ტექსტის ქვეშ, აქვეა მისი შენიშვნა: «პასუხი დაწერეთ ბლანკზე და მომეცით ხელის მოსაწერად».—**596**.

593 ეს დოკუმენტი დაწერილია 1922 წლის 20 თებერვლის იმ წერილთან დაკავშირებით, რომელიც სურსათის სახალხო კომისარმა ფ. ი. ფრუმკინმა გაუგზავნა ვ. ი.ლენინს. ფრუმკინი წინააღმდეგი იყო იმის, რომ დაისახა მარილით ვაჭრობის გეგმა, რომელიც მას მცდარად მიაჩნდა. ფრუმკინი სთხოვდა, რომ მისი წერილის პასუხი ბრიუხანოვისათვის გაეგზავნათ.

ნ. პ. ბრიუხანოვი, უპასუხებდა რა 6 მარტს ვ. ი. ლენინის ბარათზე, წერდა, რომ მარილით ვაჭრობის ორგანიზაციაში სურსათის სახალხო კომისარიატი «სწორედ იმ მიმართულებით» წავიდა, რომელიც ნაკარნახევია ლენინის მიერო; ბრიუხანოვი იუწყებოდა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებაზე, რომლის შემუშავებაც წარმოებდა, და სხვა ღონისძიებებზე (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).—**597**.

594 იგულისხმება სახალხო კომისართა საბჭოს 1920 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება «ტორფის მოპოვების ჰიდრავლური წესის გამოყენების შესახებ».—**598**.

595 თათბირმა, რომელიც გაიმართა 1922 წლის 28 თებერვალს ა. დ. ციურუპას თავმჯდომარეობით, გადაწყვიტა მისცემოდა „ჰიდროტორფს“ სახალხო კომისართა საბჭოს სარეზერვო ფონდიდან 1 მილიონ 200 ათასი ოქროს მანეთი. თათბირის გადაწყვეტილება შეევიდა სახკომსაბჭოს დადგენილებაში, რომელიც მიღებულ იქნა იმავე დღეს. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 624.—**601**.

596 დაწერილია «საავაჭრო საწარმოებში სახელმწიფო ბანკის აქტიური მონაწილეობის საკითხზე კრებსითი ანგარიშის» გამო, რომელშიც მოყვანილი იყო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცალკეულ მუშაკთა, გაზეთ «ეკონომიჩესკაია ჟიზ-

ნის» თანამშრომელთა და სხვათა აზრები. იმოწშებდნენ რა საბანკო საქმის პრინციპებს და მოჰყავდათ რა ყოველგვარი ფორმალური მოსაზრებანი, ისინი ვაჭრობაში სახელმწიფო ბანკის მონაწილეობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.—**602.**

597 ბარათი დაწერილია «რუსეთის საბჭოთა ფედერაციის ფარგლებში სასურსათო პროდუქტების თავისუფალი შემოტანის შესახებ სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტის» ტექსტის ქვეშ, რომელიც გ. ი. სოკოლნიკოვმა შეიტანა და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს დაეგზავნა. პროექტის უკანასკნელ პუნქტში ნათქვამი იყო: «ნება დაერთოს ფინსახკომს, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით გათვალისწინებულ საფუძვლებზე, აძლიოს სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოებს და სახელმწიფო ტრესტირებული მრეწველობის საწარმოებს, აგრეთვე კოოპერატივებსა და კერძო პირებსაც იმის ნებართვები, რომ გადაგზავნონ და გაიტანონ საზღვარგარეთ ნაღდი ფული, ვალუტა და ყოველნაირი ფასეულობანი საზღვარგარეთ სურსათის საგნების შეძენის მიზნით, ამასთან, მისცეს მათი შემდგომი შემოტანის საკმაო გარანტიები». სიტყვას «გარანტიები» ვ. ი. ლენინმა ოთხჯერ გაუსვა ხაზი (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 663.—**602.**

598 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ლ. ბ. კრასინის მიერ ხელმოწერილი «ინგლისის კომპანია «რუსანგლოლეს — ლიმიტედთან» დასადები ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი» და «ჰოლანდიის ფირმა «ალციუს და კომპანიასთან» დასადები ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი» იმის შესახებ, რომ «სევეროლესთან» ერთად დაეარსებინათ საერთო საზოგადოებანი «რუსანგლოლესი» და «რუსგოლანდლესი», რათა განევითარებინათ სატყეო მრეწველობა და გაეძლიერებინათ ხე-ტყის ექსპორტის სამუშაოები არხანგელსკის ოლქსა და მის მომიჯნავე რაიონებში.—**603.**

599 ვ. ი. ლენინისათვის წარდგენილ მასალებში აღნიშნული იყო, რომ ქონების წილი, რომელიც ყოფილ მფლობელებს უბრუნდება, შეადგენს «რუსანგლოლესისათვის» 35—40%-ს და «რუსგოლანდლესისათვის» 20—30%-ს, ამასთან ქონების ეს წილიც მათ საკუთრებად კი არ გადაეცემათ, არამედ გადადის შერეულ საზოგადოებათა განკარგულებაში, რომელთა გამგეობის შემადგენლობაში საბჭოთა მხარისათვის უზრუნველყოფილია გაბატონებული გავლენა (§§ XIII და XIV). § XV-ში აღნიშნული იყო, რომ როგორც ინგლისელმა,

ისე პოლახდიელმა ყოფილმა მესაკუთრეებმა, ფორმალურად ხელი მოაწერეს უარს რაიმე პრეტენზიაზე რსფსრ-ის მიმართ.

მასალებს რომ გაეცნო, ლენინმა შესაძლებლად ჩათვალა ხელშეკრულების დადება ამ პირობებით.

კომპანია «რუსანგლოლეს-ლიმიტედთან» და ფირმა «ალციუს და კომპანიასთან» დასადებ ხელშეკრულებათა ძირითადი დებულებანი სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა 1922 წლის აპრილში, ხოლო ხელშეკრულებანი—1923 წლის მარტში.—**608.**

600 იგულისხმება პროექტი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივისა იმის თაობაზე, რომ მომზადებულიყო პროექტი სრულიად რუსეთის ცაკ-ის დადგენილებისა მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის შესახებ. იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 629.—**608.**

601 ლაპარაკია გენუას წარგზავნილი საბჭოთა დელეგაციის ამოცანების შესახებ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროექტზე, რომელიც რკპ (ბ) ცკ პოლიტბიურომ დაამტკიცა 1922 წლის 28 თებერვალს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 458—461). ლენინის ეს წინადადება პოლიტბიურომ მიიღო აგრეთვე 28 თებერვალს. — **605.**

602 ვ. ი. ლენინის შენიშვნები ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის ამოცანების შესახებ სრულიად რუსეთის ცაკ-ის დადგენილების პროექტზე მხედველობაში იქნა მიღებული ამ დადგენილების საბოლოო რედაქციის დროს (იხ. «იზვესტია ვციკ» №67 1922 წ. 24 მარტისა). ვ. ი. ლენინის მიწერ-მოწერა კერძო საწარმოთა საქმიანობისადმი მუშგლეხინის კონტროლის საკითხზე იხ. ლენინის XXXV კრებულში, გვ. 324—329.—**605.**

603 ეს წერილი ვ. ი. ლენინს დაწერილი აქვს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. ამ საკითხს პარტიის ხელმძღვანელ წრეებში განიხილავდნენ 1921 წლის დამლევს და მთელი 1922 წლის განმავლობაში.

ს ა გ ა რ ე ო ვ ა ჭ რ ო ბ ი ს მ ო ნ ო პ ო ლ ი ა, რაც სახკომსაბჭოს 1918 წლის 22 აპრილის დეკრეტით დაწესდა, არაერთგზის დადასტურდა საბჭოთა მთავრობის დადგენილებებით. ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლამ და საზღვარგარეთთან საავაჭრო ურთიერთობის გაფართოებამ გამოიწვია საგარეო ვაჭრობის კანონმდებლობის ერთგვარ შვესებათა საჭიროება. «საგარეო ვაჭრობის შესახებ თეზისებში», რომლებიც ვ. ი. ლენინის დავალებით საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილემ ა. მ. ლეჟავამ მოამზადა, ხაზგასმული იყო

საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის განმტკიცების აუცილებლობა და განსაზღვრული იყო ახალ ვითარებაში საქონლის ექსპორტისა და იმპორტის პირობები. თეზისები მოიწონა ვ. ი. ლენინმა და 1922 წლის 4 იანვარს მიიღო სახკომსაბჭოს უმაღლესმა ეკონომიურმა კომისიამ. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შენარჩუნების წინააღმდეგ გამოვიდნენ გ. ი. სოკოლნიკოვი, ნ. ი. ბუხარინი, გ. ლ. პიატაკოვი. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესუსტების სასარგებლოდ გამოვიდნენ ი. ბ. სტალინი, გ. ე. ზინოვიევი და ლ. ბ. კამენევი.

რკპ (ბ) ცკ პოლიტბიურომ 1922 წლის 4 მარტს ზოგიერთი შესწორებით მიიღო ლენინის მიერ მოწონებული «თეზისები საგარეო ვაჭრობის შესახებ». საბოლოო სახით თეზისები დამტკიცებულ იქნა 10 მარტს. ამ თეზისების საფუძველზე სრულიად რუსეთის ცაკ-ის პრეზიდიუმმა 13 მარტს მიიღო დადგენილება «საგარეო ვაჭრობის შესახებ», რომელიც 1922 წლის 15 მარტს გამოქვეყნდა გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის № 60-ში.

მიუხედავად პოლიტბიუროს 4 და 10 მარტის გადაწყვეტილებისა, სოკოლნიკოვმა კვლავ წამოაყენა გეგმა: ნება დართოდა ტრესტებს, კოოპერატივებს და სხვ. შეესყიდათ სურსათი საზღვარგარეთ; საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე მ. ი. ფრუმკინმაც მხარი დაუჭირა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესუსტებას, წინადადებას იძლეოდა სახელმწიფოს ხელში დარჩენილიყო მტკიცე მონოპოლიის საფუძველზე მხოლოდ საბითუმო ვაჭრობა 4—5 სახეობის საქონლით. შინაპარტიული ბრძოლა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხზე უარყოფით გავლენას ახდენდა საქმიან მოლაპარაკებაზე უცხოელ კაპიტალისტებთან. ამასთან დაკავშირებით ლენინმა 1922 წლის 15 მაისს წამოაყენა პოლიტბიუროს შემდეგი დირექტივა, რომელიც მიღებულ იქნა 22 მაისს: «ცენტრალური კომიტეტი ადასტურებს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას და ადგენს ყველგან შეწყდეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან გაერთიანების საკითხის დამუშავება და მომზადება» (ლენინის XXXVI კრებული, გვ. 484).

მაგრამ ბრძოლა არ შეწყვეტილა. 1922 წლის 6 ოქტომბერს რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, როცა ავადმყოფობის გამო არ ესწრებოდა ლენინი, გ. ე. ზინოვიევის წინადადებით სოკოლნიკოვის თეზისების საფუძველზე მიიღო დადგენილება ნებადართული ყოფილიყო ცალკეულ კატეგორიათა საქონლის შემოტანისა და გატანის თავისუფლება ან ცალკეული საზღვრების მიმართ გამოყენებით. 11 ოქტომბერს ლ. ბ. კრასინმა რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა თხოვნა იმის შესახებ, რომ გაეუქმებინა 6 ოქტომბრის დადგენილება, და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის «თეზისები საგარეო ვაჭრობის რეჟიმის შესახებ». ლენინმა მხარი და-

უჭირა კრასინს და გააპროტესტა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება, ამასთან აღნიშნა, ეს გადაწყვეტილება სინამდვილეში საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ჩაშლაა, და წინადადება წამოაყენა გადადებულიყო ამ საკითხის გადაწყვეტა ცენტრალური კომიტეტის შემდეგ პლენუმამდე, რომელიც 1922 წლის დეკემბერში გაიმართებოდა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 441—445). ვ. ი. ლენინის თეზისებისა და ლ. ბ. კრასინის წერილის წინააღმდეგ გაილაშქრა ნ. ი. ბუხარინმა.

უდიდეს მნიშვნელობას რომ ანიჭებდა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ურყევობის საკითხს და ავადმყოფობის გამო რომ შესაძლებლობა არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ცენტრალური კომიტეტის იმ პლენუმის მუშაობაში, რომელიც 1922 წლის 18 დეკემბერს გაიმართა, ლენინმა 13 დეკემბერს მიმართა მას წერილით და მკვეთრად დაგმო ბუხარინის პოზიცია. ი. ბ. სტალინი, რომელმაც გაითვალისწინა ვ. ი. ლენინის მტკიცე მოთხოვნები და პოლიტბიუროს გადაწყვეტილებანი, იძულებული გახდა ხელი აეღო თავის მცდარ პოზიციაზე. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაგმო ბუხარინისა და სოკოლნიკოვის პოზიცია, გააუქმა ცენტრალური კომიტეტის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება და დაადასტურა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შენარჩუნების აუცილებელი საჭიროება, მისგან რაიმე გადახვევის დაუშვებლად. პარტიის XII ყრილობამ, რომელიც 1923 წლის 17—25 აპრილს მიმდინარეობდა და რომლის მუშაობაში ვ. ი. ლენინმა აგრეთვე მონაწილეობა ვერ მიიღო ავადმყოფობის გამო, დაადგინა: «ყრილობა კატეგორიულად ადასტურებს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ურყევობას და მისთვის რამენაირად გვერდის ავლის ან მისი განხორციელებისას მერყეობის დაუშვებლობას და ავალებს ახალ ცენტრალურ კომიტეტს მიიღოს სისტემატური ზომები საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის რეჟიმის განმტკიცებისა და განვითარებისათვის» («სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 879).—**610**.

604 მრეწველობის დაფინანსების საკითხი განხილულ იქნა რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს 1922 წლის 9 და 13 მარტის სხდომებზე. პოლიტბიურომ წინადადება მისცა ფინსახკომს უზრუნველეყო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო მრეწველობის საჭიროებისათვის აუცილებელი სახსრებით.—**615**.

605 დოკუმენტი დაწერილია გ. ი. სოკოლნიკოვის წერილზე, რომელიც წარმოადგენს ვ. ი. ლენინის 28 თებერვლის ბარათის პასუხს (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 663).

თავის წერილში გ. ი. სოკოლნიკოვი წინადადებას იძლეოდა ნება დართოდათ ტრესტებს, კოოპერატივებს და სხვ. შეესყიდათ სურსათი საზღვარგარეთ. იმის გარანტია, რომ გატანილი არ იქნება ზედმეტი ფასეულობანი და მათ ნაცვლად შემოტანილი იქნება სურსათი და არა სხვა საქონელი, სოკოლნიკოვის აზრით იყო ის, რომ ამ ორგანიზაციებს სურსათი უკიდურესად ესაჭიროებოდათ, და კონტროლი საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო ბანკის მხრივ, რომლის მეშვეობითაც მთელი ოპერაციები უნდა მიმდინარეობდესო.—**615.**

606 ლაპარაკია ნ. ა. ბერდიაევის, ი. მ. ბუკშპანის, ფ. ა. სტეპუნის, ს. ლ. ფრანკის სტატიების კრებულზე «ოსვალდ შპენგლერი და ევროპის მზის ჩასვენება», რომელიც 1922 წელს გამოიცა მოსკოვში.—**616.**

607 ვ. ი. ლენინის წინადადება იმავე დღეს მიიღო რკპ (ბ) ცკ პოლიტბიურომ. ი. ე. რუძუტაკის მკურნალობისა და მისი გაძლიერებული კვების მოწყობა პოლიტბიურომ ამხ. ვოიციკს დაავალა.—**618.**

608 ამ წერილის პასუხად, რომელიც გაიგზავნა ნოვონიკოლაევსკში (ახლა ნოვოსიბირსკი) 1922 წლის 6 მარტს, ციმბირის რევკომის თავმჯდომარემ ს. ე. ჩუცკაევმა 13 მარტს პირდაპირი მავთულით გადასცა ვ. ი. ლენინს, რომ დანიშნულია ნოვონიკოლაევსკის გუბერნიაში სასურსათო გადასახადის აკრეფისას ჩადენილ ბოროტმოქმედებათა გამოძიება და გამოძიების შედეგებს დამატებით გაცნობებთო.

შემდეგში ჩუცკაევმა სახკომსაბჭოს აცნობა, გ. ა. ბაგაევის წერილში აღნიშნულ ფაქტებს ადგილი ჰქონდა და მთელი რიგი სასურსათო აგენტები სამართალში არიან მიცემულიო.—**618.**

609 ეს დოკუმენტი პასუხია «ცენტროსოიუზის» გამგეობის თავმჯდომარის ლ. მ. ხინჩუკის 1922 წლის 7 მარტის წერილზე. ხინჩუკი წერდა, რომ «ცენტროსოიუზის» მოწვევით საბჭოთა რუსეთში ჩამოსული კოოპერაციული დელეგაცია, რომელიც შედგებოდა საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის წარმომადგენლებისაგან, საბითუმო შესყიდვათა ინგლისური საზოგადოების წევრებისა და საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის კოოპერაციათა წარმომადგენლებისაგან, ვ. ი. ლენინს მიღებას სთხოვდა. ხინჩუკმა აგრეთვე აცნობა, რომ მიღწეულია შეთანხმება საზღვარგარეთ მყოფ ძველ რუს კოოპერატორებთან, რომლებმაც „ცენტროსოიუზს» გადმოსცეს დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში მყოფი თავიანთი ფასეულობანი და აპარატი და განაცხადეს, რომ ისინი აღარ არიან რუსეთის კოოპერაციის

წარმომადგენლები საზღვარგარეთ. «და ეს ფაქტიურად,—წერდა ხინჩუკი, — გახდა დასაწყისი ჩვენი აღიარებისა საზღვარგარეთ». წერილში მოყვანილი იყო გადმოცემულ ფასეულობათა სია (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).—**610.**

610 ეს წერილი პასუხია ე. ს. ვარგას თხოვნაზე დაეწერა სტატია «Jahrbuch für Wirtschaft, Politik und Arbeiterbewegung»-ისათვის («მეურნეობის, პოლიტიკისა და მუშათა მოძრაობის წელიწდეული»), რომელსაც კომინტერნი უშვებდა.

ე. ს. ვარგას წერილის თავზე ვ. ი. ლენინის შენიშვნაა: «არქივში. პასუხი გაეცა 9/III 1922».—**620.**

611 იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 694.

ვ. ი. ლენინის წინადადებით ე. ს. ვარგამ შეადგინა მისი ნაშრომებიდან ამოკრეფილ ამონაწერთა კრებული, რომელიც დაიბეჭდა გერმანულ ენაზე სათაურით: «Die neue ökonomische Politik» ხელმოწერით «N. Lenin» «Jahrbuch für Wirtschaft, Politik und Arbeiterbewegung 1922/23»-ში, Hamburg, S. 328 — 344. კრებულის შესავალში ვარგა წერდა, ვხელმძღვანელობდი ლენინის მითითებებით, რომლებიც გადმოცემული იყო მის წერილებში ჩემდამიო.—**621.**

612 ანალოგიური წერილი ვ. ი. ლენინის ხელმოწერით გაეგზავნა აგრეთვე შერეული საკრედიტო და სააქციო საზოგადოების საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს გ. ი. სოკოლნიკოვს (იხ. ლენინის XXXVI კრებული, გვ. 449—450).—**623.**

613 1922 წლის 28 თებერვალს რკპ (ბ) ცკ პოლიტბიურომ მცირეოდენი დამატებებით დაამტკიცა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი პროექტი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა გენუას წარგზავნილი საბჭოთა დელეგაციის ამოცანების შესახებ, ამასთან დელეგაციას დაავალა დეტალურად შეემუშავებინა პროგრამა, რომლითაც იგი უნდა გამოსულიყო კონფერენციაზე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 458—461). რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების შესაბამისად გ. ვ. ჩიჩერინმა შეიმუშავა ეს პროგრამა და ჩამოაყალიბა იგი წერილში ლენინისადმი.

ლენინის დამატებანი საბჭოთა დელეგაციის გამოსვლის პროგრამისათვის გათვალისწინებულ იქნა განცხადების პროექტში, რომელიც ჩიჩერინმა მოამზადა 21 მარტს. ამ პროექტის შესწორებანი და შენიშვნები იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 468—469.—**624.**

614 ორნახევარი ინტერნაციონალი (ოფიციალური სახელწოდება — სოციალისტური პარტიების საერთაშორისო გაერთიანება) — საერთაშორისო ორგანიზაცია ცენტრალური სოციალისტური პარტიებისა და ჯგუფებისა, რომლებიც რევოლუციური მასების ზეგავლენით II ინტერნაციონალიდან გავიდნენ, გაფორმდა კონფერენციაზე ვენაში 1921 წლის თებერვალში.

1923 წლის მაისში II და II $^1/_2$ ინტერნაციონალები გაერთიანდნენ ეგრეთწოდებულ სოციალისტურ მუშათა ინტერნაციონალად.—**625.**

615 ვერსალის საზავო ხელშეკრულებას, რომელმაც დაამთავრა 1914—1918 წლების მსოფლიო იმპერიალისტური ომი, ხელი მოაწერეს 1919 წლის 28 ივნისს ერთი მხრივ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ბრიტანეთის იმპერიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ და მათთან გაერთიანებულმა სახელმწიფოებმა და მეორე მხრივ გერმანიამ.

შეფასებას აძლევდა რა ვერსალის საზავო ხელშეკრულებას, ლენინი ამბობდა: «ეს გაუგონარი, მტაცებლური ზავია, რომელიც ათეულ მილიონობით ადამიანებს, მათ შორის უაღრესად ცივილიზებულთ, მონების მდგომარეობაში აყენებს» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 393). ვერსალის საზავო ხელშეკრულების მიზანი იყო კაპიტალისტური სამყაროს განაწილების განმტკიცება გამარჯვებულ სახელმწიფოთა სასარგებლოდ, აგრეთვე ქვეყნებს შორის ურთიერთობის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც მიმართული იქნება საბჭოთა რუსეთის ჩასახრჩობად და მთელ მსოფლიოში რევოლუციური მოძრაობის გასანადგურებლად.—**625.**

616 «გლავზემხოზის» უფროსი ტ. ა. რუნოვი ვ. ი. ლენინის სახელზე გაგზავნილ ტელეფონოგრამაში თხოულობდა სასწრაფოდ გადაეგზავნათ 115 ათასი ომამდელი მანეთი მელიორაციის სამუშაოთა მექანიზაციისათვის იმ შვიდი მანქანის შესაკეთებლად, რომლებიც ლენინის ხელშეწყობით მიღებულ იქნა შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკიდან.

«გ ლ ა ვ ზ ე მ ხ ო ზ ი» — რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების სამეწარმეო-ფინანსური ორგანიზაციათა მთავარი სამმართველო; შეიქმნა 1919 წლის გაზაფხულზე.

«გლავზემხოზის» გამოფენაში, რომელსაც ვ. ი. ლენინი იხსენიებს, მონაწილეობა მიიღო მოსკოვთან ყველაზე ახლო მდებარე 73 საბჭოთა მეურნეობამ მოსკოვის, რიაზანის, ტულის, სმოლენსკისა და კალუგის გუბერნიებიდან 15 ათას დესეტინაზე მეტი დამუშავებული მიწის ფართობით. გამოფენას დიდი წარმატება ჰქონდა, ერთ კვი-

რაში იგი ინახულა 100 ათასზე მეტმა კაცმა (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 409).—**632.**

617 20 მარტს ნ. პ. გორბუნოვის სახელზე მიღებულ იქნა «გლავზემხოზის» საფინანსო-საანგარიშო განყოფილების გამგის მაისკის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც იუწყებოდა, რომ «გლავზემხოზისათვის», სახსრების მიცემის საკითხს სახელმწიფო ბანკის გამგეობა 1922 წლის 21 მარტს განიხილავდა.

სოკოლნიკოვის პასუხი ნაპოვნი არ არის.—**633.**

618 1922 წლის 23 მარტს რსფსრ მთავრობასა და «ფრიდრიხ კრუპი ესენში» კომპანიას შორის დაიდო საკონცესიო ხელშეკრულება, რომ კომპანიას საექსპლოატაციოდ გადასცემოდა 50 ათასი დესეტინა მიწა დონის გუბერნიის სალსკის ოკრუგში 24 წლის ვადით «რაციონალური სოფლის მეურნეობის საწარმოებლად». ამ ხელშეკრულებით კონცესიონერი მოვალე იყო უზრუნველეყო მეურნეობა ინვენტარით მასალებით, საჭირო ნაგებობებით და კონცესიის ქირად ყოველწლიურად გადაეცა საბჭოთა მთავრობისათვის საერთო მოსავლის 20 პროცენტი. ხელშეკრულებას ხელი მოაწერა კომპანიის წარმომადგენელმა, მაგრამ დირექტორებმა უარი თქვეს დაემტკიცებინათ იგი (იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 601 და 711).—**633.**

619 1922 წლის 21 მარტს გ. ი. სოკოლნიკოვმა ვ. ი. ლენინს პასუხი გაუგზავნა; მის წერილზე ლენინმა ხაზის გასმით აღნიშნა ზოგიერთი ადგილი და გააკეთა მონიშვნები:

«დიდად პატივცემულო ვლადიმერ ილიას ძევ!

1. ბელოვის ბარათი წავიკითხე. ჩემი აზრით მასში არაფერია დადებითი, აბნეული კი ბევრია. სოფლად შესყიდვა საჭიროა გავაჩაღოთ არა ახალ მოსავლამდე, არამედ მის შემდეგ.

საჭიროა ერთხელ კიდევ წავიკითხო ბელოვი.

2. ფულადი გადასახადების აკრეფაზე მეთვალყურეობა მეტი რომ არ შეიძლება, ისე ცუდად გვაქვს დაყენებული...

ამაშია არსი.

მეტი წილი გადასახადები ეს-ეს არის გამოქვეყნდა — ნავთისა და მარი-

ლის გადასახადის გამოქვეყნებას აჭიანურებდნენ ორ თვეზე მეტ ხანს, ახლა ასევე აჭიანურებენ შაქრისას...

ეი ეს საშიშია! საჭიროა მთელი ქალ-ღონით დავაჩქაროთ!

მთავარი სიძნელე ის არის, რომ საგადასახადო მოსავალს «ადგილები» იგდებენ ხელში. რომ დანაკლისი შეივსონ...

NB

3. სახელმწიფო ბანკი სწავლობს (დაყენებულია კარგად) იმ ტრესტების საქმეებს, რომლებიც მასთან მიდიან კრედიტის მისაღებად... ორი ტრესტი გამოვიკვლიეთ...;

ვუბრძანე საქმეში ჩააბან თვალსაჩინო ბუღალტრები «ბალანსების კონტროლიორთა» როლში.

საჭიროა შევიტყოთ მათი სახელები და «ავირჩიოთ» მათგან უკეთესები, რომ სათადარიგოდ გვყავდეს.

ამხ. სალმით გ. სოკოლნიკოვი».

სოკოლნიკოვის წერილის თავზე ლენინმა მდივნებს მისწერა: «აჩვენეთ ამხ. ციურუპასა და ამხ. რიკოვს და დამიბრუნეთ 28/III. ლ ე ნ ი ნ ი».—**634**.

620 ეს დოკუმენტი ვ. ი. ლენინმა დაწერა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის ლ. ბ. კრასინის 1922 წლის 18 მარტის წერილის პასუხად, სადაც უკანასკნელი გამოთქვამდა მოსაზრებას საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის ახალი შემადგენლობის წინააღმდეგ, რომელსაც რკპ (ბ) ცკ პოლიტბიურო სახავდა. კრასინი დაჟინებით მოითხოვდა ლენინას დატოვებას სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობაზე.

1922 წლის 20 მარტს პოლიტბიურომ განიხილა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის საკითხი და ცნო «აუცილებლად საჭიროდ როგორც თვით საგარეო ვაჭრობის საქმის ინტერესებისათვის, ისე საერთაშორისო პოლიტიკის მოსაზრებებით ამხ. კრასინის დატოვება საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის პოსტზე», სახ. კომისრის მოადგილედ დანიშნა მ. ი. ფრუმკინი. 27 მარტს სახკომსაბჭომ დაამტკიცა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: სახალხო კომისარი ლ. ბ. კრასინი, სახალხო კომისრის მოადგილეები ა. მ.

ლეჟავა და მ. ი. ფრუმკინი, კოლეგიის წევრები — ი. ტ. რადჩენკო, პ. ს. სოროკინი, ა. ვ. ბარსკი და კ. მ. ბეგე (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).—**684.**

621 იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 731.—**685.**

622 მ. ი. ფრუმკინმა ხსენებულ 1922 წლის 21 მარტის წერილში გამოთქვა აზრი საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შექმნილ მდგომარეობაზე. მიაჩნდა, რა, რომ რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს გადაწყვეტილება საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში მისი შეყვანისა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ მიზანშეუწონელია მთელი რიგი მიზეზების გამო და პირველ რიგში იმიტომ, რომ მას «აქვს მთელი რიგი პრინციპული უთანხმოებანი კრასინთან ძირითად საკითხზე — საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ხასიათის შესახებ». ფრუმკინი თხოულობდა დაეტოვებინათ იგი სურსათის საქმეთა სახალხო კომისარიატში (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **686.**

623 როგორც ჩანს, იგულისხმება დამატება პარტიული და საბჭოთა ორგანოების ფუნქციების გამიჯვნის საკითხზე პარტიის XI ყრილობისადმი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის გამო რეზოლუციის პროექტისა (დამატების ტექსტი ნაპოვნი არ არის). ეს საკითხი ვ. ი. ლენინმა შეიტანა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის გეგმაში, რომელიც მან წარუდგინა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 25 მარტს შემდგარ პლენუმს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 292—295).—**687.**

624 როგორც ჩანს, იგულისხმება ტროცკის 1922 წლის 10 მარტის წერილი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ურთიერთდამოკიდებულებისა და მათი ფუნქციების გამიჯვნის აუცილებლობის საკითხზე, რომელიც რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრებს გაეგზავნა «პარტიის განმტკიცების შესახებ» ზინოვიევის თეზისების პროექტის განხილვასთან დაკავშირებით.—**688.**

625 ვ. ი. ლენინის ეს წერილი გამოწვეული იყო იმით, რომ გაზეთ «რაბოჩის» რედაქტორმა კ. ს. ერემეევმა რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს მიმართა პროტესტით რკპ(ბ) ცკ ორგბიუროს 1922 წლის 6 მარტის

იმ დირექტივების წინააღმდეგ, რომ შემცირებულიყო გაზეთის ზომა, შეცვლილიყო მისი ხასიათი, შინაარსი და სხვ.

პოლიტბიუროს 1922 წლის 23 მარტს დაადასტურა ორგბიუროს დადგენილება გაზეთ «რაბოჩის» შესახებ და წინადადება მისცა ცენტრალური კომიტეტის აგიტპროპგანყოფილებას მოეწვია თათბირი, პარტიის XI ყრილობაზე ჩამოსული ამხანაგების მონაწილეობით, მუშებისათვის განკუთვნილი პოპულარული გაზეთის დაყენების საკითხის განსახილველად.

გაზეთი «რაბოჩი», რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გამოცემა, გამოდიოდა 1922 წლის 1 მარტიდან; 1 ივლისიდან, № 98-დან მას ეწოდა «რაბოჩაია გაზეტა»; გამოდიოდა 1932 წლის იანვრამდე.—**639.**

626 1922 წლის 31 მარტს გერმანიას წარგზავნილმა რსფსრ სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ აცნობა, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო თანახმაა დაუყოვნებლივ მისცეს ვიზა ვ. ა. ავანესოვს იმ პირობით, თუ იგი მხოლოდ და მხოლოდ სამკურნალოდ მიემგზავრება. — **640.**

627 შ ო რ ე უ ლ ი ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა იყო დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში უცხოეთიდ სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ მშრომელი მასების ბრძოლის ეითარებაში შეიქმნა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით. იგი არსებობდა 1920 წლის 6 აპრილიდან 1922 წლის 14 ნოემბრამდე. შექმნა შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკისა, «ბუფერული» სახელმწიფოსი, რომელსაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფორმა ჰქონდა, მაგრამ არსებითად საბჭოთა პოლიტიკას ატარებდა, შევსებამებოდა საბჭოთა რუსეთის ინტერესებს, რომელიც ცდილობდა თავიდან აეცილებინა აშკარა სამხედრო შეჯახება იაპონიის იმპერიალიზმთან და უზრუნველეყო თავისთვის ხანგრძლივი შესვენება აღმოსავლეთის ფრონტზე.

იაპონელი ინტერვენტების განდევნის შემდეგ შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის სახალხო კრებამ 1922 წლის 14 ნოემბერს სრულიად რუსეთის ცაკ-ს მიმართა თხოვნით, რომ რესპუბლიკა შეყვანილი ყოფილიყო რსფსრ-ის შემადგენლობაში და რომ მის ტერიტორიაზე საბჭოთა კონსტიტუცია გავრცელებულიყო. 1922 წლის 15 ნოემბერს სრულიად რუსეთის ცაკ-მა შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა რსფსრ-ის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა. — **641.**

628 როგორც ჩანს, ლაპარაკია იმაზე, რომ რსფსრ-ში შემოსვლის ნებართვა მისცემოდა ამერიკულ სატრაქტორო რაზმს, რომელიც შე-

ქმნა «საბჭოთა რუსეთის მეგობართა საზოგადოებამ (ამერიკაში)». — **648.**

629 ლაპარაკია სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სახელმწიფო საწყობების სამმართველოს უფროსის ი. კ. ეჟოვის 1922 წლის 3 აპრილის წერილზე ლ. ა. ფოტიევასადმი. ეჟოვი სთხოვდა მოლაპარაკებოდა ვ. ი. ლენინს და გაეტარებინა სახკომსაბჭოს სხდომაზე მის მიერ ლენინის წინადადებით გამოგზავნილი პროექტი დადგენილებისა იმის შესახებ. რომ გარკვეული სიით ჩამორთმეოდა სასაწყობო სათავსები ადგილობრივ ხელისუფალთ და გადასცემოდა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სახელმწიფო საწყობების სამმართველოს. იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 461, აგრეთვე თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35 დოკუმენტი 300; ტომი 36, გვ. 631.—**648.**

630 ეს დოკუმენტი დაწერილია 1922 წლის 3 აპრილს წერილის ტექსტის ქვეშ, რომლითაც ა. მ. კრასნოშჩოკოვმა მიმართა რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს და ვ. ი. ლენინს. დაახასიათა რა ფინსახკომში შექმნილი საქმის ვითარება, კრასნოშჩოკოვი წერდა ცალკეულ საკითხებში ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე გ. ი. სოკოლნიკოვთან თავის უთანხმოებაზე, რომელსაც, თუმცაღა, იმდენად სერიოზულად არ თვლიდა, რომ ამით საჭირო გამხდარიყო მისი განთავისუფლება ფინსახკომში მუშაობიდან. კრასნოშჩოკოვი თხოულობდა დაეჩქარებინათ მისი მუშაობის საკითხის გადაწყვეტა და იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი იქნებოდა მისი დატოვება ფინსახკომში, დაენიშნათ იგი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად. — **644.**

631 რკპ(ბ) ცკ პოლიტბიურომ 1922 წლის 6 აპრილს მიიღო შემდეგი დადგენილება «ა) დაევალოს ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს აცნობოს ამხ კრასნოშჩოკოვს, რომ გადაწყვეტილია მისი სამუშაოდ გაგზავნა ან ფინსახკომში, ან სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, ამასთან მიეცეს მას ორი კვირის შვებულება საბოლოოდ გამოსაჯანსაღებლად.

ბ) ფინსახკომის კოლეგიის გაძლიერებისა და ამხ. კრასნოშჩოკოვის გამოყენების საკითხი გადაეცეს ორგბიუროს» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

პოლიტბიუროს 1922 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით კრასნოშჩოკოვი შეყვანილ იქნა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში. ამავე სხდომაზე განისაზღვრა ფინსახკომის კოლეგია. — **644.**

632 ეს წერილი მიძღვნილია კურსკის მაგნიტური ანომალიის გამოკვლევის საკითხისადმი.

ვ. ი. ლენინი უდიდეს ინტერესს იჩენდა ამ სამუშაოებისადმი. მის ყურადღებას კურსკის მაგნიტური ანომალიის გამოკვლევისადმი და ამ საქმეში დახმარებას მოწმობს როგორც ეს დოკუმენტი, ისე თანამედროვეების—ი. მ. გუბკინის, ვ. ნ. როზანოვის და სხვ. მოგონებანი (იხ. «მოგონებანი ვ. ი. ლენინზე», ნაწ. 2, მოსკოვი, 1957, გვ. 357—379, 402—404).

სკკპ პროგრამაში, რომელიც პარტიის XXII ყრილობამ მიიღო, გათვალისწინებულია მეტალურგიული ბაზის შექმნა სსრ კავშირის ცენტრალურ-ევროპულ ნაწილში კურსკის მაგნიტური ანომალიის რკინის მადნების ათვისების საფუძველზე. — **646.**

633 როგორც ვ. ა. სმოლიანინოვის ჩანაწერებიდან ჩანს, ადგილობრივი ეკონომიური საბჭოების ანგარიშების შესწავლა დაევალა სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მუშაკებს. დაეთანხმა რა ამას იმ პირობით, რომ საქმე სერიოზულად და დაკვირვებულად იქნებოდა დაყენებული, ლენინმა ითხოვა დაუყოვნებლივ წარედგინათ მისთვის იმ პირთა სია, რომლებიც მოვალენი იყვნენ გასცნობოდნენ ხოლმე ანგარიშებს. — **649.**

634 ვ. ვ. ადორატსკის წიგნი «პროგრამა მარქსიზმის ძირითად საკითხებზე» გამოიცა 1922 წელს. — **650.**

635 დოკუმენტი დაწერილია ვ. ვ. ადორატსკის ავტოგრაფის ტექსტის ქვეშ. იგი ცენტრალური საკონტროლო კომისიის წინაშე შუამდგომლობდა დაედგინათ მისთვის პარტიული სტაჟი 1904 წლიდან. ადორატსკის შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა. — **651.**

636 1922 წლის 21 აპრილს შრომისა და თავდაცვის საბჭომ, ცნო რა «საჭიროდ ელექტროენერგიით მოსკოვის უზრუნველყოფისათვის კაშირის სადგურის უსწრაფესად ჩართვა ქალაქ მოსკოვის ელექტროენერგიით კვების საერთო ქსელში», გადაზიდვათა უმაღლეს საბჭოს და გზათა სახალხო კომისარიატს დაავალა სასწრაფოდ მოემარაგებინათ კაშირის ელექტროსადგური სათბობით მისი რეგულარული მუშაობის უზრუნველსაყოფად (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 92. — **655.**

637 ლაპარაკია ხელშეკრულებაზე, რომელიც საბჭოთა რუსეთმა და გერმანიამ დადეს 1922 წლის 16 აპრილს რაპალოში (გენუის ახლოს) გენუის კონფერენციის დროს.

რაპალოს ხელშეკრულების შეფასება ლენინმა მოგვცა «პროექტში სრულიად რუსეთის ცაკ-ის დადგენილებისა გენუის კონფერენციის დელეგაციის ანგარიშის გამო» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 419—420).

სრულიად რუსეთის ცაკ-მა დელეგაციის ანგარიშის გამო 1922 წლის 17 მაისს მიღებულ დადგენილებაში «კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან რსფსრ-ის ურთიერთობისათვის ნორმალურად» ცნო «მხოლოდ ამგვარი ხელშეკრულებანი» (სრულიად რუსეთის IX მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესია. ბიულეტენი № 5, 1922 წლის 19 მაისი, გვ. 17). ცნობა რაპალოს ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ გამოქვეყნდა 1922 წლის 19 აპრილს გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის № 85-ში. — 656.

638 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს გენუის კონფერენციაზე შექმნილი ვითარება.

1922 წლის 11 აპრილს საბჭოთა დელეგაციას გადაეცა ეგრეთ წოდებული «ექსპერტთა მოხსენება», რომელიც ლონდონში დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიისა და იაპონიის ექსპერტთა თათბირზე შეიმუშავეს მარტში («ლონდონის მემორანდუმი»). «ექსპერტთა მოხსენება» შეიცავდა მოთხოვნებს, რომ საბჭოთა მთავრობას გადაეხადა მეფის და დროებითი მთავრობის და რუსეთის ყველა ყოფილი ხელისუფლის ვალები, დაებრუნებინა უცხოელებისათვის წინათ მათი კუთვნილი და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ნაციონალიზებული საკუთრება, ან მიეცა საზღაური მათი ქონებისადმი მიყენებული ზიანისათვის, ან ამ ქონების დაკარგვისათვის, დაეწესებინა უცხოელთათვის ეკონომიური და სამართლებრივი პრივილეგიები, აგრეთვე მთელ რიგ მოთხოვნებს, რომლებიც ფაქტიურად ნიშნავდა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმებას.

საბჭოთა დელეგაციის ოფიციალური პასუხი «ექსპერტთა მოხსენებაზე» ჩამოყალიბებული იყო მის 20 აპრილის მემორანდუმში. საბჭოთა დელეგაციამ კატეგორიულად უარყო «ექსპერტთა მოხსენებაში» ჩამოყალიბებული მოთხოვნები, შეაფასა ისინი როგორც იმის ცდები, რომ «შემოიღონ რუსეთში კაპიტულაციების სისტემა, რომელიც ხელყოფს მის სუვერენიტეტს» («სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები», ტ. V, მოსკოვი, 1961, გვ. 235), და წამოაყენა კონტრმოთხოვნა იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რაც რუსეთს მიაყენა უცხოეთის ინტერვენციამ, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ რსფსრ მთავრობა მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება

უცხოელ მოქალაქეთათვის ზარალის ანაზღაურების შესახებ მხოლოდ ნაცვალგების პრინციპის აუცილებელი პირობით. — **656.**

639 ლაპარაკია ვიტვატერსრანდის (სამხრეთ აფრიკის კავშირი) ევროპელ მაღაროელთა 1922 წლის მარტის აჯანყებაზე, რაც გამოიწვია ექსპლოატაციის გაძლიერებამ სამთო მრეწველთა მხრივ, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე ოქროს ფასების დაცემასთან დაკავშირებით, თავიანთი მოგების შენარჩუნების მიზნით შეუდგნენ ხელფასის შემცირებას და მიმართეს მუშების მასობრივად დათხოვნას. მუშების ხელში გადავიდა ქალაქები ბენონი და ბრანპანი, იოჰანესბურგის გარეუბნები — ფორდსბურგი და იეპე. სამხრეთ აფრიკის ახალგაზრდა კომუნისტური პარტია აქტიურ მონაწილეობას იღებდა აჯანყებაში. ბევრი კომუნისტი, მათ შორის გაფიცვის ხელმძღვანელები ფიშერი და სპენდიფი, გმირულად დაიღუპა შეიარაღებული ბრძოლის დროს.—**657.**

640 ვ. ი. ლენინის წინადადება, რომელსაც ეს დოკუმენტი შეიცავდა, 1922 წლის 11 აპრილს მიიღო რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროომ. დეპეშა იმავე დღეს გაეგზავნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით გ. ვ. ჩიჩერინსა და ლ. ს. სოსნოვსკის, ავრეთვე გაზეთების «პრავდისა» და «იზვესტია ვციკ»-ის რედაქციებს. — **658.**

641 ვ. ი. ლენინის ეს დეპეშა, რომელიც 1922 წლის 21 აპრილს გაიგზავნა გენუაში, პასუხი იყო გ. ვ. ჩიჩერინის 20 აპრილის დეპეშაზე, რომელშიც იგი, გამოთქვამდა რა წინააღმდეგობას კონფერენციაზე შექმნილი ვითარების ლენინური შეფასებისადმი, წერდა, რომ უცხოელებისათვის მათი საკუთრების ნაციონალიზაციით მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხში «უპირატესად დაინტერესებულია სახელდობრ ლოიდ ჯორჯი, ვინაიდან მასზე ზემოქმედებას ახდენენ ყოვლისშემძლე ინგლისელი ზეიგენები» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **658.**

642 1922 წლის 24 აპრილს გ. ვ. ჩიჩერინისათვის გასაგზავნი დეპეშის ტექსტი, რომელიც ვ. ი. ლენინმა წამოაყენა, რკპ (ბ) ცკ პოლიტბიუროომ დაამტკიცა.

ლოიდ ჯორჯისა და ინგლისის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეების პოზიციის ლენინური შეფასება, რომელიც მოცემული იყო გენუაში გაგზავნილ დეპეშებში (იხ. ეს ტომი, დოკუმენტები 705, 706), კონფერენციის მსვლელობაში დადასტურდა. მომდევნო დღეებში დიდი ბრიტანეთის დელეგაციამ იმ შეთანხმებიდანაც კი დაიხია უკან, რომ ჩიჩერინის 20 აპრილის წერილი მიეღო საფუძვლად მოლაპარაკების

განგრძობისათვის. 28 აპრილის წერილში კონფერენციის თავმჯდომარის სახელზე ჩიჩერინმა აღნიშნა, რომ თუ დასავლეთი სახელმწიფოები უარს ამბობენ თავიანთ თანხმობაზე ჩათვალონ 20 აპრილის წერილის პუნქტები მოლაპარაკების საფუძვლად, საბჭოთა დელეგაცია ამ წერილით თავს შებოჭილად არ ჩათვლის და დაუბრუნდება თავის 20 აპრილის მემორანდუმში ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს (იხ. «სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები», ტ. V, მოსკოვი, 1961, გვ. 276—277). — **660.**

643 იმ კომისიის შემადგენლობაში, რომელსაც უნდა გამოეკვლია ბერლინში «ბინტ»-ის (მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ბიუროს) საქმიანობა, შევიდნენ: ე. ბ. პაშუკანისი, ე. ს. ვარგა (სრულუფლებიანი წარმომადგენლობისაგან), ვ. ნ. იგნატიევი, მ. ი. ლაპიროვი-სკობლო, ბ. ე. სტიუნკელი (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსაგან) და ვ. ვ. სტარკოვი (საეჭრო წარმომადგენლობისაგან).

თავის დასკვნაში კომისიამ, დაახასიათა რა «ბინტ»-ის მდგომარეობა და გააკეთა რა მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები მისი მისამართით, აზრი გამოთქვა, რომ ეს ორგანიზაცია შენარჩუნებული ყოფილიყო, მაგრამ მნიშვნელოვნად შემცირებული შემადგენლობით. — **661.**

644 მეორე დღეს, 1922 წლის 28 აპრილს, სახკომსაბჭოს მდივანმა ნ. ს. ლეპეშინსკაიამ ვ. ი. ლენინის წერილის ტექსტის ქვეშ დაწერა: «ამხ. შკლოვსკის გაეგზავნა სტალინის ხელმოწერით შეკითხვა, თუ რა საშუალო სურს შეასრულოს, და რომ ცეკა ყოველთვის დაკმაყოფილებს მის სურვილს ამ მხრივ».

ვ. ი. ლენინის გასული დოკუმენტების რეგისტრაციის დავთრის გრაფაში «შესრულება» მდივნის შემდეგი ჩანაწერია: «პასუხი გაეცა 17. V. 22 წ. შკლოვსკი დაკმაყოფილებულია სტალინის წინადადებით».—**662.**

645 დოკუმენტი დაწერილია ტროცკის შემდეგ წინადადებასთან დაკავშირებით, რომელიც შეტანილია რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროში 1922 წლის 28 აპრილს: «1) გაკეთდეს განცხადება სააგიტაციო მიზნით იმის შესახებ, რომ თუ ანტანტის მთავრობები მოახდენდნენ რუსეთის კაპიტალისტთ» ყველა კაპიტალის კონფისკაციას საზღვარგარეთ, საბჭოთა მთავრობა ვალდებულებას იკისრებდა არავითარი პროტესტი არ განეცხადებინა. 2) გამოშვებულ იქნეს მანიფესტი მოსახლეობისადმი იმ შემთხვევაში, თუ შეწყდებოდა მოლაპარაკება გენუის კონფერენციაზე. ლენინმა ხაზი გაუსვა შემდეგ ფრაზას ტროცკის ბარათიდან: «საჭირო იქნება წინადადება მიეცეს ჩვენს დელეგაციას

მოგვიხაზოს თაკისი ძირითადი აზრები ასეთი მანიფესტისათვის (თორემ ჩვენ შეიძლება დიდმნიშვნელოვანი მომენტები გამოგვრჩეს)» და კიდეებზე დააწერა: «ვეთანხმები მხოლოდ უკანასკნელ ფრაზას».

იმავე დღეს პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება: «გაუგზავნოს ამხანაგებს ჩიჩერინს და ლიტვინოვს შემდეგი შინაარსის დეპეშა: «შეწყვეტის შემთხვევაში საჭიროდ მიგვაჩნია გამოიცეს მანიფესტი მოსახლეობისადმი სახკომსაბჭოსა ან სრულიად რუსეთის ცაკ-ისაგან. გთხოვთ მოხაზოთ მანიფესტის პროექტი ან მანიფესტის ძირითადი აზრები და სასწრაფოდ გამოგზავნოთ მოსკოვში»» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

მოლაპარაკების შემდგომ მსვლელობაში მანიფესტის გამოცემა საჭირო აღარ გახდა. — **662.**

616 დეპეშის პროექტი დაწერა ვ. ი. ლენინმა. იმ წერილის ტექსტის ქვეშ, რომელიც გერმანიას წარგზავნილმა რსფსრ სავაჭრო წარმომადგენელმა ბ. ს. სტომონიაკოვმა გაუგზავნა რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს 1922 წლის 22 აპრილს. სტომონიაკოვი იუწყებოდა, რომ «ფრიდრიხ კრუპი ესენში» კომპანიის დირექტორებმა უარი თქვეს დაემტკიცებინათ ხელშეკრულება დონის ოლქის სალსკის ოკრუგში სასოფლო-სამეურნეო კონცესიის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერა მისმა წარმომადგენელმა მოსკოვში 1922 წლის 23 მარტს (იხ. შენიშვნა 618). იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიის ქარხნები ასრულებდნენ რკინიგზის მისიის შეკვეთებს საბჭოთა რუსეთისათვის საჭირო ორთქლმავლებზე, სტომონიაკოვი თხოულობდა მითითება მიეცათ მისიის ხელმძღვანელი ი. ვ. ლომონოსოვისათვის სავაჭრო წარმომადგენლობასთან ერთად გამოენახა «კრუპზე ზემოქმედების ხერხები და შესდგომოდა მათ გამოყენებას».

პოლიტბიუროს იმავე დღეს მიიღო გადაწყვეტილება გაგზავნოდა ბ. ს. სტომონიაკოვს დეპეშის ეს ტექსტი.

«ფრიდრიხ კრუპი ესენში» კომპანიასთან დამატებითი მოლაპარაკებისა და შეთანხმების პირობების დაზუსტების შემდეგ სახკომსაბჭომ 1923 წლის 16 იანვარს დაამტკიცა მთავარი საკონცესიო კომიტეტის მიერ წარდგენილი ხელშეკრულება კრუპთან, იმავე წლის 17 მარტს კი ხელშეკრულებას ხელი მოაწერა კრუპმა. კრუპის სასოფლო-სამეურნეო კონცესია 1934 წლის ოქტომბრამდე არსებობდა. — **668.**

617 ეს დეპეშა 1922 წლის 30 აპრილს მიიღო რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს და გაუგზავნა გ. ვ. ჩიჩერინს. იგი პასუხი იყო ჩიჩერინის

დეპეშაზე, რომლითაც იუწყებოდა, რომ «რუსეთის საკითხი» ნავარაუდევია გადაეცეს ახალ კონფერენციას, რომელიც სამი თვის შემდეგ შეიკრიბებაო, აგრეთვე დეპეშებზე, რომლებშიც ჩიჩერინი გადმოსცემდა ლ. ბ. კრასინის განსაკუთრებულ აზრს გენუის კონფერენციაზე მოლაპარაკების საკითხის შესახებ. კრასინი წინადადებას იძლეოდა წავსულიყავით სერიოზულ დათმობებზე.

უპასუხებდა რა ვ. ი. ლენინის დეპეშაზე, ჩიჩერინმა ცნო, რომ ახალი კონფერენცია სამი თვის შემდეგ სჯობს მოლაპარაკების სრულ შეწყვეტასო, მაგრამ აღნიშნა: «ლოიდ ჯორჯი ცდილობს მიაღწიოს ჩვენთან შეთანხმებას, რადგან სურს თავი გადაირჩინოს, სამი თვის შემდეგ კი მდგომარეობა ინგლისში შეიძლება გაცილებით უარესი იყოს ჩვენთვის». შემდეგ ჩიჩერინი აღნიშნავდა, რომ მოკავშირენი თანახმა არიან კონკრეტულად ილაპარაკონ საბჭოთა რუსეთისათვის კრედიტის მიცემაზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობა დათანხმდება კომპენსაციაზე ყველა უცხოელი ყოფილი მესაკუთრისადმი (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **668.**

648 ეს დოკუმენტი დაწერილია იმასთან დაკავშირებით, რომ გენუიდან მიღებულ იქნა რამდენიმე ცნობა, რომლებმაც გამოიწვიეს შიში, რომ ჩიჩერინი და ლიტვინოვი მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან მოლაპარაკებისას შეიძლებოდა წასულიყვნენ ისეთ დათმობებზე, რომლებიც გათვალისწინებული არ იყო ცენტრალური კომიტეტის დირექტივებით.—**664.**

649 1922 წლის 2 მაისს რკპ (ბ) ცკ პოლიტბიურომ განიხილა ეს წინადადება. ლენინის მიერ შეტანილ დეპეშის პროექტში პოლიტბიურომ მიიღო ი. ბ. სტალინის შემდეგი შესწორებანი: 1) მოიხსნას ფრაზა დეზავუირების შესახებ; 2) დეპეშა დამთავრდეს სიტყვებით: «ცეკა კატეგორიულად მოითხოვს ამ დირექტივის შესრულებას». სტალინის წინადადებით სიტყვა «აბდაუბდამდე» დეპეშის პირველ ფრაზაში, შეიცვალა სიტყვით «შეცდომებამდე». დეპეშის დამატება პოლიტბიურომ უცვლელად მიიღო.—**665.**

650 შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1921 წლის 21 ოქტომბრის დადგენილებით რკინიგზების მთელი ქსელი მომარაგების მხრივ დაყოფილ იყო სამ კატეგორიად.

ვ. ი. ლენინის შეკითხვის პასუხად გზათა სახალხო კომისარმა ფ. ე. ძერჟინსკიმ 1922 წლის 4 მაისს გაუგზავნა მას გზათა სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილი დაწვრილებითი ცნობა, აგრეთვე წერილი, რომლითაც აუწყებდა შრომისა და თავდაცვის საბჭოს

დადგენილების ცხოვრებაში გატარებას. ძერჟინსკის წერილი იხ. «ისტორიჩესკი არხივ», № 1, 1962, გვ. 58—59.—**666.**

651 დოკუმენტი დაწერილი ნ. კ. კრუპსკაიას წერილზე, რომელშიც იგი, როგორც განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, გამოთქვამდა აზრს რკპ (ბ) ცკ პოლიტბიუროსთან შემდგარი საბიუჯეტო თათბირის იმ დადგენილების წინააღმდეგ, რომ მნიშვნელოვნად შემცირებულიყო განსახკომის ბიუჯეტი და ხაზგასმით აღნიშნავდა სახალხო სკოლის უზრუნველყოფის აუცილებლობას.

1922 წლის 22 ივნისს სახკომსაბჭომ ძირითადად დაამტკიცა განსახკომის ხარჯთაღრიცხვა.—**666.**

652 იგულისხმება რკპ (ბ) XI ყრილობის რეზოლუცია «საფინანსო პოლიტიკის შესახებ» (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცკ პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 789—796).—**667.**

653 ვ. ი. ლენინისადმი 1922 წლის 4 მაისის საპასუხო წერილში გ. ი. სოკოლნიკოვი ამტკიცებდა, რომ პურის სესხის გამოშვება გააადვილებდა ლენინის მიერ წამოყენებული ქმედითი ზომების განხორციელებას უდეფიციტო ბიუჯეტის შესაქმნელად, შეამცირებდა ახლად გამოშვებული ფულის რაოდენობას (ქაღალდის ფულის ემისიას) და მიმოქცევიდან ამოიღებდა გამოშვებული ფულის ნაწილს.

1922 წლის 13 მაისს სახკომსაბჭომ დაამტკიცა პროექტი დადგენილებისა პურის სესხის შესახებ და შეიტანა იგი სრულიად რუსეთის ცაკ-ის III სესიის განსახილველად. პურის პირველი შინაგანი მოკლევადიანი სესხი გამოუშვა ფინსახკომმა სრულიად რუსეთის ცაკ-ის 1922 წლის 20 მაისის დადგენილებით 10 მილიონამდე ფუთი ჭვავის (მარცვლად) საერთო თანხით, რაც სახელმწიფოს უნდა დაეფარა 1922 წლის 1 დეკემბრიდან 1923 წლის 31 იანვრამდე. (იხ. «იზვესტია ვციკ» № 121, 1921 წლის 2 ივნისი).—**667.**

654 ეს ბარათი ვ. ი. ლენინმა დაწერა საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შექმნის პროექტთან დაკავშირებით.

განიხილა რა ეს საკითხი 1922 წლის 3 მაისს, შრომისა და თავდაცვის საბჭომ საჭიროდ ცნო საშინაო ვაჭრობის სპეციალური კომისიის შექმნა. 5 მაისს შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა: «საშინაო ვაჭრობის რეგულირების მიზნით დაარსდეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან კომისია შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დანიშნული სამი პირის შემადგენლობით». ეს დადგენილება სახკომ-

საბჭომ დაამტკიცა 1922 წლის 9 მაისს («მუშურ-გლეხური მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული», 1922, № 34, მუხ. 400).

1924 წლის 19 მაისს სსრ კავშირის ცაკ-ის პრეზიდიუმის დადგენილებით აღნიშნული კომისია გარდაიქმნა საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატად.—**668.**

655 ლაპარაკია მოკავშირე ქვეყნების 1922 წლის 2 მაისის მემორანდუმზე, რომელიც 3 მაისს წარედგინა საბჭოთა დელეგაციას კონფერენციაზე.—**668.**

656 ლაპარაკია იმ დეპეშის პროექტზე, რომელიც დაეგზავნათ რკპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრებს პასუხად გ. ვ. ჩიჩერინის და ლ. ბ. კრასინის შეკითხვისა გენუიდან სათბობის და ძველი ლითონის დატვირთვის და გადატვირთვის შესაძლო ოდენობის შესახებ სავაჭრო და საკონცესიო ხელშეკრულებათა დადებაზე მოლაპარაკებასთან დაკავშირებით.

პასუხი გაიგზავნა 1922 წლის 8 მაისს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. ი. რიკოვის ხელმოწერით.—**669.**

657 ეს დეპეშა, რომელიც რკპ(ბ) ცკ პოლიტბიურომ მიიღო 1922 წლის 8 მაისს, დაწერილია პასუხად მ. მ. ლიტვინოვის 1922 წლის 6 მაისის დეპეშისა. ლიტვინოვი აღნიშნავდა რა, რომ მოკავშირეთა 2 მაისის მემორანდუმი ულტიმატუმი კი არ არის, არამედ ტოვებს მოლაპარაკების განგრძობის შესაძლებლობასო, იუწყებოდა გენუას წარგზავნილი საბჭოთა დელეგაციის ცდებს თავიდან აეცილებინა მოლაპარაკების გაწყვეტა და აღნიშნავდა იმის საჭიროებას, რომ მიეღო პოლიტბიუროსაგან დირექტივები დელეგაციის შემდგომი ხაზის შესახებ.—**669.**

658 ვ. ი. ლენინის მიერ წამოყენებული დეპეშა 1922 წლის 9 მაისს მიიღო რკპ (ბ) ცკ პოლიტბიურომ და გაეგზავნა გ. ვ. ჩიჩერინს.—**670.**

659 ეს დოკუმენტი მიწერილია მცირე სახკომსაბჭოს პერსონალური სიის პროექტის ქვეშ, რომელიც რკპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრებს დაეგზავნათ ხმის მისაცემად.

1922 წლის 18 მაისს პოლიტბიურომ დაამტკიცა მცირე სახკომსაბჭოს შემადგენლობა. პოლიტბიურომ ა. გ. გოიხბარგი შეიყვანა მცირე სახკომსაბჭოს წევრად და დააკისრა მას თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ა. ს. კისელიოვისა და თავმჯდომარის მოადგილის გ. მ. ლეპლეევსკის მკურნალობის დროს.—**670.**

660 ეს დოკუმენტი ვ. ი. ლენინმა დაწერა «მედიკამენტებისა და ქიმიური პრეპარატების ამერიკის გაერთიანებული კომპანიის» წარმომადგენლის ა. ჰამერის წერილზე (იხ. აგრეთვე შენიშვნა 422). ჰამერი აუწყებდა თავის და კომპანიის დირექტორის ბ. მიშელის გამგზავრებას პეტროგრადში და სთხოვდა მიეცა სარეკომენდაციო წერილი. იხ. აგრეთვე მომდევნო დოკუმენტი. — **672**.

661 ტელეფონოგრამა დაწერილია ა. ჰამერის 1922 წლის 11 მაისის თხოვნით. ამ ტელეფონოგრამის ტექსტს ვ. ი. ლენინმა დააწერა შემდეგი განკარგულება: «ჩაიწერეთ, ვინ მიიღებს პიტერში». იქვეა მდივნის მინიშვნა: «ტელეფონით წავუკითხეთ პირადად ზინოვიევს».—**673**.

662 აცნობა რა ვ. ი. ლენინს იმავე დღეს, რომ «პროფესორ ბონჩ-ბრუევიჩის რადიოტელეფონი მიღებული იქნება საექსპლოატაციოდ მოსკოვში ივნისის დამდეგს», ვ. ს. დოვგალევსკი წერდა, რომ «სასურველად და სამართლიანად «მიაჩნია» აღინიშნოს ნიჟნი-ნოვგოროდის ლაბორატორიისა და პროფესორების ბონჩ-ბრუევიჩისა და ეოლოგდინის მუშაობა და მხარი დაეჭიროს ნიჟნი-ნოვგოროდის საბჭოს შუამდგომლობას...»

1922 წლის 19 სექტემბერს სრულიად რუსეთის ცაკ-ის სამდივნომ დაადგინა: «დაჯილდოებულ იქნეს შრომის წითელი დროშის ორდენით ნიჟნი-ნოვგოროდის რადიოლაბორატორია, განსაკუთრებით აღინიშნოს პროფ. ეოლოგდინის, ბონჩ-ბრუევიჩის და უფროს მექანიკოს შორინის დამსახურება და გამოეცხადოს მათ მადლობა სრულიად რუსეთის ცაკ-ის სახელით». — **675**.

663 მეორე დღეს, 1922 წლის 12 მაისს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარმა ვ. ს. დოვგალევსკიმ დაწვრილებით გადასცა ის გარემოებანი, რომლებშიც მოხდა ა. მ. ნიკოლაევის ადგილგადანაცვლება ტექნიკური საშმართველოს უფროსის თანამდებობიდან და დაახასიათა ამ თანამდებობაზე დანიშნული კ. ვ. ტროფიმოვის საქმიანი თვისებები. ნიკოლაევს, იუწყებოდა დოვგალევსკი, დაეკისრა საერთო მმართველობის ხელმძღვანელობა, რომლის ფუნქციებშიც შედის ფინანსები და ორგანიზაციული საკითხებიო.—**675**.

664 კურსკის მაგნიტური ანომალიის გამოკვლევისათვის საჭირო მოწყობილობის საზღვარგარეთ შესაძენად ასიგნებულ იქნა სათანადო სახსრები. უფრო გვიან აკადემიკოსმა პ. პ. ლაზარევმა აცნობა, ამ საქმის დაფინანსების მხრივ ყველაფერი რიგზეაო.

კურსკის მაგნიტური ანომალიის საკითხზე იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 692, აგრეთვე თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35,

დოკუმენტი 319 და თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 365.—**676.**

665 ეს დოკუმენტი წარმოადგენს ა. ი. რიკოვის მიერ ხელმოწერილი ლეპეშის დამატებას, რომელსაც სათაურად აქვს: «ლენინისაგან». აუწყებდა რა, რომ დონბასიდან ქვანახშირის გამოზიდვას სიძნელეებს უქმნის მოძრავი შემადგენლობის, ორთქლმავლების ნაკლებობა და რკინიგზის ლიანდაგების ცუდი მდგომარეობა, რიკოვი ითხოვდა მიეღოთ ზომები იტალიის ფირმებთან ხელშეკრულების დასადებად მათოვის ქვანახშირის შეღავათიან ფასში მიყიდვის შესახებ.—**676.**

666 ვ. ი. ლენინის მიერ წამოყენებული 1922 წლის 14 მაისის დეპეშა მიღებულ იქნა რკპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს მიერ და გაეგზავნა გ. ვ. ჩიჩერინს.—**676.**

667 იგულისხმება საბჭოთა დელეგაციის 1922 წლის 11 მაისის მემორანდუმი.

ასრულებდა რა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს, დელეგაციამ ამ მემორანდუმში უარყო ანტანტის სახელმწიფოთა მოთხოვნები, და განაცხადა, რომ თუ ისინი ნაცვალგების პრინციპს არ ცნობდნენ, საბჭოთა რუსეთი დათმობებზე არ წავიდოდა. სადავო საფინანსო საკითხების გადასაწყვეტად საბჭოთა დელეგაციამ წინადადება წამოაყენა შექმნილიყო ექსპერტთა შერეული კომიტეტი.

ამრიგად, გენუაში მოლაპარაკება ჩაიშალა ანტანტის სახელმწიფოთა მიზეზით, რომლებსაც არ სურდათ ხელი აეღოთ თავიანთ კოლონიალისტურ პოზიციაზე საბჭოთა რუსეთის მიმართ.

საბჭოთა დელეგაციის საქმიანობა მოიწონა სრულიად რუსეთის ცაკ-ის სესიამ, რომელმაც 17 მაისს მიიღო რეზოლუცია ა. ა. იოფეს მოხსენების გამო. ამ რეზოლუციის პროექტი ვ. ი. ლენინმა დაწერა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 419—420).—**677.**

668 რიგის საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 1921 წლის 18 მარტს ერთი მხრივ რუსეთმა და უკრაინამ, ხოლო მეორე მხრივ პოლონეთმა (იხ. «სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები», ტ. V, მოსკოვი, 1961, გვ. 401).—**677.**

669 ეს წერილი, აგრეთვე პროექტი რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს დადგენილებისა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის დადასტურების შესახებ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 478—479) ვ. ი.

ლენინმა დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ 1922 წლის 15 მაისს გერმანიას წარგზავნილი რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენლისაგან ნ. ნ. კრესტინსკისაგან მიიღო მასალები, რომლებიც მოწმობდნენ, რომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხში შინაპარტიული უთანხმოება უარყოფით გავლენას ახდენდა საქმიან მოლაპარაკებაზე უცხოელ კაპიტალისტებთან.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე მ. ი. ფრუმკინი 1922 წლის 10 მაისის წერილში წინადადებას იძლეოდა დატოვებული ყოფილიყო სახელმწიფოს (საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის) ხელში, მტკიცე მონოპოლიის საფუძველზე, მხოლოდ 4—5 სახის საქონლის საბითუმო ვაჭრობა იმ ანგარიშით, რომ მთელი დანარჩენი პროდუქტები თავისუფლად შემოეტანათ იმ შერეულ საზოგადოებებს, რომლებიც მოგების ნაწილს გაუზიარებდნენ სახელმწიფოს მის მიერ კაპიტალის დაუხარჯავად. ასაბუთებდა რა წინადადებას, ფრუმკინი აღნიშნავდა სახელმწიფო ვაჭრობის ზარალიანობას და იმას, რომ თავისუფალი კონკურენციის დროს მას კერძო ვაჭრობა დასჯაბნისო.

ვ. ი. ლენინის წერილის ტექსტის ქვეშ არის ი. ბ. სტალინის 1922 წლის 17 მაისის პასუხი. არ გამოთქვამდა რა აზრს «ა ხ ლ ა ნ დ ე ლ სტადიაში» საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესუსტების მიმართულებით ნაბიჯების ფორმალური აკრძალვის წინააღმდეგ, სტალინი წერდა, მაინც «შ ე ს უ ს ტ ე ბ ა გარდუვალი ხდებაო».

22 მაისს რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ წამოყენებული პროექტი დადგენილებისა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის დადასტურების შესახებ.—**680.**

670 ეს დოკუმენტი დაწერილია სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პ. ა. ბოგდანოვის იმ წინადადების გამო, რომ ვაჭრობისა და მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის ფუნქციები გაერთიანებულიყო ერთ კომისარიატში. ბოგდანოვი აყენებდა იმ საკითხს, რომ საშინაო ვაჭრობის კომისია, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო გაერთიანებულიყო ვაჭრობისა და მრეწველობის კომისარიატად.—**681.**

671 ბარათი დაწერილია ფინანსთა სახ. კომისრის მოადგილის გ. ი. სოკოლნიკოვის ცნობაზე 1922 წლის იანვარ-აპრილში ქაღალდის ფულის გამოშვების შესახებ. იხ. **თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 399.—681.**

672 დოკუმენტი დაწერილია ლ. ბ. კრასინის დეპეშაზე, რომელიც იტალიის ფირმებისათვის ქვანახშირის მიყიდვის შესახებ მოლაპარაკე-

ბასთან დაკავშირებით წინადადებას იძლეოდა გაგვეგზავნა იტალიაში 1—2 გემი დონეცკის ქვანახშირი, რათა დაგვეინტერესებინა იტალიელი მრეწველები.

1922 წლის 17 მაისის დადგენილებით შრომისა და თავდაცვის საბჭომ «გლავტოპს» (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სათბობის მთავარი სამმართველო) დაავალა გამოეყო საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი იტალიაში გასაგზავნად.

იტალიის ფირმებთან წინასწარი შეთანხმება ქვანახშირის მიყიდვის შესახებ, რომელსაც მაისში ხელი მოაწერა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარმა ლ. ბ. კრასინმა, განხილულ იქნა შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე 2 ივნისს და სასწრაფოდ განსახილველად გადაეცა საკონცესიო კომიტეტს. 1922 წლის 21 ივნისს ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 737.—682.

673 ეს წერილი ვ. ი. ლენინმა დაწერა შემდეგ გარემოებებთან დაკავშირებით.

1922 წლის 6 მაისს მიწსახკომის და მიწისა და ტყის მუშაკთა პროფკავშირის გაზეთ «სელსკოხოზიაისტვენნაია ჟიზნის» № 34 (75)-ში დაიბეჭდა რამდენიმე სტატია, რომლებშიც გაკრიტიკებული იყო სრულიად რუსეთის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს 1922 წლის 17 მარტის დეკრეტი «სოფლის მეურნეობის საგნებზე 1922—23 წწ. ერთიანი ნატურალური გადასახადის შესახებ». გაზეთ «სელსკოხოზიაისტვენნაია ჟიზნის» პოზიციამ პროტესტი გამოიწვია სურსათის საქმეთა სახალხო კომისარიატის მხრივ.

რკპ(ბ) ცკ პოლიტბიურომ, განიხილა რა 1922 წლის 11 მაისს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს განცხადება აგიტაციის შესახებ, რასაც მიწსახკომი ეწეოდა სასურსათო გადასახადის შემცირების სასარგებლოდ, გაკიცხვა გამოუცხადა მიწსახკომის კოლეგიას და დაავალა რკპ(ბ) ცკ ორგბიუროს განეხილა საკითხი გაზეთის რედაქციის შემადგენლობის შესახებ და «მიეღო ზომები იმისათვის, რომ «სელსკოხოზიაისტვენნაია ჟიზნის» ასეთ შეუწყნარებელ გაძღოლას ადგილი აღარ ექნეს მომავალში» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

«ს ე ლ ს კ ო ხ ო ზ ი ა ი ს ტ ვ ე ნ ნ ა ი ა ჟ ი ზ ნ» გამოდიოდა მოსკოვში 1921 წლის 18 ივლისიდან 1922 წლის 1 ივნისამდე. გამოვიდა 86 ნომერი. — 682.

674 ლიტერატურის გაიაფების საკითხს რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა ორგანოებში განიხილავდნენ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტპროპგანყოფილებამ შეიმუშავა შემდეგი წინადადებანი. გადაეცეს უდიდეს გამომცემლობებს (სახელგამს, მთავპოლიტგანს და სხვ.) სტამბების მინიმალურად აუცილებელი რაოდენობა, მოიხსნას ბაჟები პოლიტიკური გამოცემებისათვის საჭირო საზღვარგარეთულ ქაღალდზე, აგრეთვე მიეცეს სახელგამს, მთავპოლიტგანს და გაზეთებს სუბსიდია პოლიტიკურ გამოცემათა გასაიაფებლად, რომელსაც ისინი უნდა ხარჯავდნენ ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული კონტროლით. განიხილა რა ეს წინადადებანი 1922 წლის 12 მაისს, რკპ(ბ) ცკ სამდივნომ დაუმატა მათ პუნქტი პარტიული ორგანიზაციებისათვის ლიტერატურის საბითუმო ფასიდან ფასდაკლების შესახებ და გადასცა ისინი პოლიტბიუროს შესაბამისი საბჭოთა ორგანოებისათვის დირექტივების სახით დასამტკიცებლად.—**684.**

675 «ჩ უ ს ო» («ჩუსოსნაბარმი») — თავდაცვის საბჭოს საგანგებო რწმუნებული წითელი არმიისა და წითელი ფლოტის მომარაგების დარგში: დაინიშნა სრულიად რუსეთის ცაკ-ის 1919 წლის 8 ივლისის დეკრეტით წითელი არმიის მომარაგების მთელი საქმის გასაერთიანებლად, თავდაცვისათვის მომუშავე ქარხნების წარმადობის ასამაღლებლად, აგრეთვე მომარაგების საგნების განაწილების სისწრაფისა და სისწორის უზრუნველსაყოფად როგორც ზურგში, ისე ფრონტზე. სრულიად რუსეთის ცაკ-ის 1921 წლის 16 აგვისტოს დადგენილებით «ჩუსოსნაბარმის» თანამდებობა და მისი აპარატი ლიკვიდირებულ იქნა, მისი პირადი შემადგენლობა და ქონება კი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ორგანოებს გადაეცა.—**685.**

676 ლაპარაკია ასიგნებებზე ნიჟნი-ნოვგოროდის რადიოლაბორატორიისათვის, რომელსაც მ. ა. ბონჩ-ბრუევიჩი ხელმძღვანელობდა.

1922 წლის 22 მაისს რკპ(ბ) ცკ პოლიტბიურომ ვ. ი. ლენინის წინადადებით მიიღო დადგენილება რადიოლაბორატორიის დაფინანსების შესახებ (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). იხ. აგრეთვე თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 423—426.—**686.**

677 დოკუმენტი დაწერილია ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვის წერილზე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელშიც იგი თხოულობდა გაეთავისუფლებინათ სახელგამის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან, დაეტოვებინათ კოლეგიის წევრად და მიეცათ საფუძვლიანი დასვენება შერყეული ჯანმრთელობის გამო. რკპ(ბ) ცკ სამდივნოს დადგენილებით ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვს მიეცა შვებულება.—**686.**

678 ეს წერილი ვ. ი. ლენინმა დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ მზადდებოდა ანტისაბჭოთა განწყობილების ინტელიგენციის გაძევება საზღვარგარეთ.—687.

679 «ნოვაია როსსია» — სმენავეხური მიმართულების საზოგადოებრივ-ლიტერატურული და სამეცნიერო ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა 1922 — 1926 წლებში ი. გ. ლეონოვის რედაქციით; პირველი ორი ნომერი გამოვიდა პეტროგრადში 1922 წლის მარტსა და ივნისში. შემდეგ 1922 წლის აგვისტოდან, ჟურნალი გამოდიოდა მოსკოვში «როსსიის» სახელწოდებით. იხ. შემდეგი შენიშვნა.—688.

680 რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს, განიხილა რა 1922 წლის 26 მაისს ვ. ი. ლენინის წინადადებით საკითხი ჟურნალ «ნოვაია როსსიას» შესახებ, დაავალა პრესის საკითხთა მთავარ სამმართველოს «როგორც უმაღლესმა ინსტანციამ, ნება დართოს ჟურნალ «ნოვაია როსსიას» შემდგომი გამოსვლისა და გაუქმდეს პიტერის აღმასკომის დადგენილება მისი დახურვის შესახებ» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).

«დენ» — ყოველდღიური ლიტერატურულ-ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლიდან. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკი-ლიკვიდატორები, რომელთა ხელშიც გაზეთი მთლიანად გადავიდა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ. დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს).—688.

681 «ეკონომისტ» — რუსეთის ტექნიკური საზოგადოების სამრეწველო-ეკონომიური განყოფილების ჟურნალი. ამ საზოგადოების შემადგენლობაში შედიოდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ბურჟუაზიული ტექნიკური ინტელიგენცია და საწარმოთა ყოფილი მესაკუთრენი. გამოდიოდა პეტროგრადში 1921 წლის დეკემბრიდან. სტატიაში «მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ» ვ. ი. ლენინმა ამ ჟურნალს უწოდა «თანამედროვე მებატონეთა ორგანო» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 262—275). 1922 წლის ივნისში ჟურნალი «ეკონომისტი» დაიხურა.—688.

682 ბარათზეა ფ. ე. ძერჟინსკის მიერ დაწერილი შემდეგი დასკვნა: «მიმაჩნია, რომ აქ შემცირება დაუშვებელია. გარაჟში 6 მანქანა დგას და სულ 12 ადამიანი ჰყავს. განაკვეთები საერთოა. მანქანები კარგად არის მოვლილი. მანქანებს ფუჭად არ დაარბენინებენ». დასკვნას ხელი მოაწერეს აგრეთვე ა. დ. ციურუპამ და ა. ი. რიკოვმა.—689.

683 ეს დოკუმენტი ვ. ი. ლენინმა დაწერა შრომის სახალხო კომისრის ა. მ. ანიკსტის 1922 წლის 18 მაისის წერილის უკანა მხარეზე. ანიკსტი ვ. ი. ლენინს სთხოვდა «თანახმად მათი საუბრისა მიეღო ზომები იმისათვის, რომ საკითხი ადგილობრივ სამუშაოზე მობილიზაციის გამო შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიიდან მისი ფორმალური გათავისუფლების შესახებ ღიად ყოფილიყო დატოვებული მანამდე, სანამ იგი მკურნალობიდან დაბრუნდებოდა. ანიკსტი აგრეთვე თხოულობდა დაეჩქარებინათ მისი გაგზავნა სამკურნალოდ.

1922 წლის 27 მაისს რკპ(ბ) ცკ სამდივნომ დაადასტურა წინა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ანიკსტი ცოლთან ერთად გაეგზავნათ სამკურნალოდ კავკასიაში თვენახევრის ვადით.—**689.**

684 რკპ(ბ) ცკ სამდივნომ 1922 წლის 23 მაისს დაადგინა დაეკმაყოფილებინა ვ. ი. ლენინის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქირურგი ვ. ნ. როზანოვი მის ვაჟიშვილთან ერთად დასასვენებლად გაეგზავნათ რიგაში. ამ ფაქტის შესახებ ვ. ნ. როზანოვი შემდეგში წერდა თავის მოგონებებში ვ. ი. ლენინზე (იხ. «მოგონებანი ვ. ი. ლენინზე», ნაწ. 2, მოსკოვი, 1957, გვ. 406—407).—**690.**

685 «ნ ა კ ა ნ უ ნ ე» — გაზეთი, რომელიც გამოდიოდა ბერლინში სმენაკეხელების მონაწილეობით.—**692.**

686 «რ უ ს ს კ ა ი ა მ ი ს ლ» — ჟურნალი; 1922 წელს გამოდიოდა პრაღაში. პ. ბ. სტრუვეს რედაქციით.—**692.**

687 ეს დოკუმენტი დაწერილია იმ ბარათის ტექსტის ქვეშ, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის სახ. კომისარმა ნ. ა. სემაშკომ გაუგზავნა რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრებს «დიდმნიშვნელოვან და საშიშ (ხაზგასმულია ე. ი. ლენინის მიერ. რ ე დ.) მიმდინარეობებზე სამედიცინო წრეში, რომლებმაც თავი იჩინა «ვსემედიკოსანტრუდის» პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საექიმო სექციების II სრულიად რუსეთის ყრილობაზე (მიმდინარეობდა მოსკოვში 1922 წლის 10 — 14 მაისს). იუწყებოდა რა ყრილობაზე ექიმთა «ზედაფენის» — მენშევიკებისა და ესერების ანტისაბჭოთა გამოსვლების შესახებ, სემაშკო საჭიროდ თვლიდა მათ მიმართ გადამწყვეტი ზომების მიღებას.

რკპ(ბ) ცკ პოლიტბიურომ 1922 წლის 24 მაისს მიიღო ვ. ი. ლენინის წინადადება, ფ. ე. ძერჟინსკის დაავალა ნ. ა. სემაშკოს მონაწილეობით «შეეფუშავებინა ღონისძიებათა გეგმა და ერთი კვირის განმავლობაში მოეხსენებინა პოლიტბიუროსათვის» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **692.**

688 იგულისხმება ბ. ი. რეინშტეინის მოხსენებითი ბარათი, რომელიც შეიცავდა დაწვრილებით ცნობებს დოქტორ ი. ჰამერსა და მის შვილ ა. ჰამერზე, აგრეთვე «მედიკამენტებისა და ქიმიური პრეპარატების ამერიკულ გაერთიანებულ კომპანიაზე», რომელსაც ისინი ხელმძღვანელობდნენ. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 503 და 691.—**698**.

689 ვ. ი. ლენინის წინადადება ა. ჰამერისა და ბ. მიშელის საწარმოთათვის მხარის დაჭერის შესახებ რკპ (ბ) ცკ პოლიტბიურომ მიიღო 1922 წლის 2 ივნისს.—**698**.

690 რაზეა ლაპარაკი, ამის გამორკვევა არ მოხერხდა. — **694**.

691 გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ში 1922 წლის 25 აგვისტოს დაიბეჭდა სტატია ««საბჭოთა რუსეთის მეგობართა» რეალური დახმარება». მასში გაშუქებული იყო «საბჭოთა რუსეთის მეგობართა» ამერიკული «საზოგადოების» წევრების მიერ პერმის გუბერნიის ოხანკის მაზრის ტოიკინოს საბჭოთა მეურნეობაში შექმნილი სატრაქტორო რაზმის მუშაობა (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 470), ამ რაზმს ამერიკელი კომუნისტი ჰაროლდ ეერი ხელმძღვანელობდა. გაზეთის ამონაჭერზე ვ. ი. ლენინმა ხაზი გაუსვა სტატიის სათაურს და მარცხნიდან მიაწერა: «NB».—**696**.

692 ვ. ა. სმოლიანინოვმა ვ. ი. ლენინს აცნობა, რომ დეპეშა გაუგზავნა პერმის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეს და სთხოვა გასცნობოდა ამერიკელთა სატრაქტორო რაზმის მუშაობას, გამოეთქვა თავისი აზრი ამის შესახებ და დახმარებოდა რაზმს.

რუტგერსის შესახებ სმოლიანინოვი წერდა, მოლაპარაკება მის ჯგუფთან ხელშეკრულების შეცვლის შესახებ გაიმართება მას შემდეგ, რაც რუტგერსი კუზბასიდან დაბრუნდებაო.

პერმიდან რომ მიიღო მასალები ამერიკელთა სატრაქტორო რაზმის მუშაობის შესახებ, ვ. ი. ლენინმა წერილები გაუგზავნა «საბჭოთა რუსეთის მეგობართა საზოგადოებას (ამერიკაში)», «საბჭოთა რუსეთისადმი ტექნიკური დახმარების საზოგადოებას», «პერმის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეს» და «სრულიად რუსეთის ცაკ-ის პრეზიდიუმს (იხ. ეს ტომი, დოკუმენტები 777, 779, აგრეთვე თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 447—448, 449—450).—**696**.

693 იგულისხმება მოლაპარაკება სასარგებლო წიაღისეულის დამუშავებისა და მოპოვების კონცესიის მიცემაზე ინგლისელი მრეწველისა და ფინანსისტის ლ. ურკარტისათვის, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ-

დე რუსეთ-აზიის გაერთიანებული საზოგადოების თავმჯდომარე იყო და რუსეთში მსხვილ სამთო საწარმოებს ფლობდა (კიშტიმი, რიდერი, ტანალიკი, ეკიბასტუზი). იხ. აგრეთვე შენიშვნები 702 და 712.—**697.**

694 იგულისხმება ვ. ა. სმოლიანინოვის 1922 წლის 1 სექტემბრის პასუხი ვ. ი. ლენინის წერილთან დაკავშირებით, რომელიც გაეგზავნა ა. ი. რიკოვს (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 440).—**697.**

695 ვ. ა. სმოლიანინოვმა შეასრულა ვ. ი. ლენინის დავალებანი; აცნობა ნ. ა. ჟიდელევის მისამართი, გაუგზავნა წიგნი და ამონაწერი სახტექგამომცემლობის ოქმიდან ი. მ. ბესპროზვანის წიგნის გამოცემის შესახებ.—**698.**

696 ლაპარაკია წერილზე, რომელიც ა. მ. გორკიმ 1922 წლის 3 ივლისს გაუგზავნა ანატოლ ფრანსს კონტრრევოლუციური საქმიანობის გამო სამართალში მიცემული ესერების პროცესზე. გორკი საქმის არსში ვერ გაერკვა, პროცესს ახასიათებდა როგორც მზადებას «იმ ადამიანთა დახოცვისათვის, რომლებიც გულწრფელად ემსახურებოდნენ რუსი ხალხის განთავისუფლების საქმეს», და სთხოვდა ფრანსს მიემართა საბჭოთა მთავრობისათვის «მითითებით, რომ არ დაეშვა დანაშაული». «შესაძლოა, — სწერდა გორკი, — თქვენმა ყურადსაღებმა სიტყვამ იხსნას სოციალისტთა ძვირფასი სიცოცხლე». გორკიმ ფრანსს გაუგზავნა ავრეთვე პირი თავისი წერილისა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. ი. რიკოვისადმი, რომლითაც ამ საკითხის გამო აფრთხილებდა, რომ ბრალდებულთათვის სიკვდილის განაჩენის გამოტანა გამოიწვევდა «სოციალისტური ევროპის მხრივ რუსეთის მორალურ ბლოკადას».—**698.**

697 პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. პ. ტომსკიმ ვ. ი. ლენინს მიმართა თხოვნით დაეწერა წერილი პროფესიულ კავშირთა მომავალი სრულიად რუსეთის V ყრილობისათვის.—**699.**

698 ლაპარაკია პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის V ყრილობისადმი წერილის პროექტზე. წერილზეა რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრების მოწიშვნები, რომ ეთანხმებიან მას და მ. პ. ტომსკის შენიშვნა: «კარგი იქნება, რომ რამდენადმე უფრო რელიეფურად ითქვას მუშებზე, ორიოდე სიტყვა იმ თემაზე, რომ მსხვილი მრეწველობა სოციალიზმის ბაზაა». ალბათ ამ შენიშვნასთან დაკავშირებით ლენინმა წერილის მესამე წინადადება შეავსო ჩანართით: «ხოლო სოციალიზმის ძირითადი ბაზა ხომ სწორედ ეს მრეწველობა, ეგრეთ წოდებული

«მძიმე ინდუსტრიაა»» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 436—437).

ვ. ი. ლენინის წერილი გამოქვეყნებულ იქნა ყრილობის პირველ სხდომაზე 1922 წლის 17 სექტემბერს.—**701.**

699 1922 წლის 27 სექტემბერს ა. ი. რიკოვმა აცნობა ვ. ი. ლენინს, რომ შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა სათბობის უმთავრესი რაიონების (ბაქოს, გროზნოსა და დონბასის) საჭიროებისათვის გაეცა 14 ტრილიონი მანეთი, რომ ოქტომბრიდან სათბობის ფასები გეგმიანი მომარაგებით ნავარაუდევია გადიდებულ იქნეს თითქმის ერთიორად, აგრეთვე მიღებული იქნება სხვა ზომებიო.—**702.**

700 ამ შეკითხვის პასუხად ფინანსთა სახ. კომისრის მოადგილემ მ. კ. ვლადიმიროვმა ვ. ი. ლენინს გამოუგზავნა ცნობები ოქროს მარაგსა და გადასახადების შემოსვლაზე 1922 წლის დამდეგიდან 17 სექტემბრამდე. აცნობა რა ბიუჯეტის დეფიციტის ოდენობა ივლის-სექტემბრის კვარტალში, ვლადიმიროვი სწერდა, დეფიციტი სექტემბერში განსაკუთრებით დიდი იქნება გზათა სახალხო კომისარიატსა და მრეწველობაზე დანახარჯებთან დაკავშირებით და 250 ტრილიონ მანეთს მარტო ემისია მიაღწევსო; ოქტომბერ-დეკემბრის კვარტალის შესაძლო დეფიციტს ვავლინებთო. ვლადიმიროვი აგრეთვე აუწყებდა, თუ რა ზომებს იღებდნენ ხარჯების შესამცირებლად.—**702.**

701 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის გამოსვლის შესახებ კომუნისტური ინტერნაციონალის მომავალ IV კონგრესზე.

ვ. ი. ლენინი 1922 წლის 13 ნოემბერს კონგრესის დილის სხდომაზე გამოვიდა მოხსენებით «რუსეთის რევოლუციის ხუთი წელი და მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივები» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 33, გვ. 493—511).—**703.**

702 მოლაპარაკება ლ. ურკარტთან, რაც ამ უკანასკნელმა 1921 წლის ოქტომბერში შეწყვიტა, განახლდა 1922 წელს. წინასწარ ხელშეკრულებას ურკარტთან ხელი მოაწერა ლ. ბ. კრასინმა 1922 წლის 9 სექტემბერს (ხელშეკრულების პირობების შესახებ იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 751). ხელშეკრულებას რომ გაეცნო, ლენინმა იგი მიიჩნია საბჭოთა სახელმწიფოსათვის აშკარად არახელსაყრელად და 12 სექტემბრის წერილში რკ(ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრებისადმი აზრი გამოთქვა მისი დამტკიცების წინააღმდეგ (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 755). ამაზე სწერს ვ. ი. ლენინი ამ ბარათშიც გ. ე. ზინოვიევს.

კომისია, რომელსაც ვ. ი. ლენინი იხსენიებს, პოლიტბიურომ შექმნა

1922 წლის 24 აგვისტოს ურკარტთან ხელშეკრულების პროექტის დასაზუსტებლად და დასამთავრებლად.

«ამერიკის წინადადებებზე» რომ ლაპარაკობს, ლენინი ალბათ გულისხმობს მოლაპარაკებას, რომელიც წარმოებდა ლ. ბ. კრასინსა და ამერიკის ნავთობის კომპანია «ინტერნეიშნლ ბარნსდოლ კორპორეიშნის» წარმომადგენელს შორის. 1922 წლის 20 სექტემბერს ამ კომპანიასთან ხელმოწერილ იქნა ორი ხელშეკრულება — ბაქოში ბალახანის ნავთობის ჭაბურღილების ექსპლოატაციაზე 15½ წლის განმავლობაში და ახალი ჭაბურღილების გაბურღვაზე. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 768, 785; თხზულებანი მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტები 483, 485.—703.

703 იხ. წინა შენიშვნა.—704.

704 ვ. ი. ლენინი გორკიდან მოსკოვში დაბრუნდა 1922 წლის 2 ოქტომბერს; 3 ოქტომბერს იგი თავმჯდომარეობდა სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე. ამ სხდომაზე მიღებულ იქნა ლენინის მიერ წამოყენებული წინადადება სახკომსაბჭოს მუშაობის ორგანიზაციის შესახებ იხ. აგრეთვე შემდეგი ორი დოკუმენტი.—704.

705 ლაპარაკია მმართველობის ორგანოების ნორმალიზაციაზე რუსეთში მოწვეული პირველი კონფერენციის შესახებ, რომელიც გაიმართა მოსკოვში 1922 წლის 21 — 23 სექტემბერს. კონფერენციამ რეზოლუციაში აღნიშნა არსებული სამმართველო ტექნიკისა და ორგანიზაციის (საქმის წარმოების, ადმინისტრირების, აღრიცხვის, სასაწყობო მეურნეობის და სხვ). არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და მხარი დაუჭირა მმართველობის საკითხების ცდებით შესწავლის მეთოდს, აგრეთვე საჭიროდ ცნო «თანდათან განვითარდეს ქსელი ადგილობრივი მეცნიერულად დაყენებული საცდელი სადგურებისა და ნორმალიზაციის ბიუროებისა სახელმწიფო კომისარიატებთან და მსხვილ სამეურნეო ორგანიზაციებთან, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებული უნდა იყვნენ ცენტრალურ საკვლევ ორგანიზაციებთან მმართველობისა და შრომის საკითხებზე».—705.

706 ა. დ. ციურუპა ამ დროს საზღვარგარეთ მკურნალობდა.—706.

707 1922 წლის 2 ოქტომბერს გ. ლ. პიატაკოვმა სახკომსაბჭოს მდივანს მ. ი. გლიასერს აცნობა, ვ. ი. ლენინის წერილზე პასუხი ვერ გავეცი იმიტომ, რომ, გ. მ. კრჟიჟანოვსკი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა მოსკოვში.

ვ. ი. ლენინის გასული დოკუმენტების რეგისტრაციის დავთრის

გრაფაში «შესრულება» მდივნის შემდეგი ჩანაწერია: «ამოწურულია ვლადიმერ ილიას ძის პირადი საუბრით პიატაკოვთან».—**707.**

708 1922 წლის 26 სექტემბერს ნ. ვ. კრილენკომ დაწვრილებით უპასუხა ვ. ი. ლენინის წერილზე. მან აცნობა, სრულიად რუსეთის ცაკ-ის მორიგი სესიის განსახილველად უკვე მიღებული სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დამატებით შეტანილი იქნება კანონთა კრებული სასამართლო წყობილების შესახებ და სამოქალაქო მატერიალური სამართლის კოდექსიო.—**707.**

709 1922 წლის 29 სექტემბერს შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა საბჭოთა მოსამსახურეების, სინდიკატების, ტრესტების, სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისა და პროფკავშირების მოსამსახურეთა ერთი დღის აღწერის პროგრამა, რომელიც შემუშავებულ იქნა 27 სექტემბერს მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარმომადგენელთა თანბირზე. 3 ოქტომბერს სახკომსაბჭომ დაამტკიცა აღწერის პროგრამა და წესრიგი და რსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დააკისრა მისი ჩატარება. აღწერა მოეწყო 1922 წლის შუა ოქტომბერში. მისი შედეგები ვ. ი. ლენინმა გამოიყენა სრულიად რუსეთის IX მოწვევის ცაკ-ის IV სესიაზე 1922 წლის 31 ოქტომბერს წარმოთქმულ სიტყვაში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 466—467). აღწერას ლენინი იხსენიებს აგრეთვე «სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვის კონსპექტში» (იხ. იქვე, ტომი 36, გვ. 668—669).—**709.**

710 საპასუხო დეპეშა შეიცავდა ცნობას, რომ ოქტომბრისათვის დაწვრილებითი განაცხადი გაეგზავნა სათბობის მთავარ სამმართველოს. — **709.**

711 იმავე დღეს, 1922 წლის 4 ოქტომბერს, ლ. ბ. კრასინმა უპასუხა ვ. ი. ლენინს, რომ წინააღმდეგი არ არის ვ. ს. ერმაკოვის საზღვარგარეთ გაგზავნისა იმ პირობით, რომ იგი წავიდეს იტალიაში, სადაც შეეძლება იმკურნალოს და ამავე დროს გაეცნოს ნავსადგურების განსაკუთრებული მექანიზმების და სხვ. მუშაობასო. 16 ოქტომბერს ლენინმა მდივანს დაავალა შეემოწმებინა, მიეცა თუ არა ფული ერმაკოვს, და ამ უკანასკნელისაგან მიიღო ცნობა, ყოველივე ის, რაც ჩემთვის საჭირო იყო, გაკეთებულიაო.—**710.**

712 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1922 წლის 5 ოქტომბერს და სახკომსაბჭომ 6 ოქტომბერს მიიღეს დადგენილებანი ლ. ურკარ-

ტთან დადებული წინასწარი ხელშეკრულების უარყოფის შესახებ (იხ. «იზვესტია ვციკ» № 226, 1922 წლის 7 ოქტომბერი).

მაგრამ ვ. ი. ლენინი, პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა არ გამორიცხავდნენ იმის შესაძლებლობას, რომ დაბრუნებოდნენ საკითხს ლ. ურკარტისათვის კონცესიის მიცემის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ლენინს საჭიროდ მიაჩნია კონცესიის ყველა პირობის ერთხელ კიდევ გულდასმით შემოწმება. იგი, კერძოდ, წინადადებას იძლეოდა შემცირებულიყო კონცესიის ტერიტორია და ის თანხები, რომლებიც ლ. ურკარტს უნდა მიეღო (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 769, აგრეთვე თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 42, გვ. 485).—**710.**

713 ვ. ი. ჩუბარი, დონბასის ქვანახშირის სახელმწიფო მრეწველობის მმართველი, ვ. ი. ლენინთან იყო 1922 წლის 9 ოქტომბერს.

უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რა დონეცის ქვანახშირის აუზის აღდგენას, ლენინი მუდამ იჩენდა ინტერესს მისი მუშაობისადმი, ყოველნაირად უწყობდა ხელს მის აღმავლობასა და განვითარებას. 1922 წლის 6 ოქტომბერს ვ. ა. სმოლიანინოვმა ჩუბარს გაუგზავნა წერილი, რომელშიც გადასცა ვლადიმერ ილიას ძის თხოვნა მოკლედ ეპასუხნა კითხვებზე დონბასის მომარაგების შესახებ. «მაცნობეთ თქვენი მოლაპარაკების შედეგი. რამდენს სთხოვთ თქვენ და რამდენს გაძლევენ.?..»

წერილს დართული აქვს სმოლიანინოვის ბარათი ლენინის სახელზე: «ვლადიმერ ილიას ძეს, ჩუბარს წერილი გავუგზავნე. საჭირო ხომ არ არის გაეგზავნოს პირი კამენევსა და რიკოვს? 6/X». ქვემოთ ლენინმა მიაწერა: «საჭიროა» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).—**711.**

714 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მიმდინარეობდა 1922 წლის 5 — 7 ოქტომბერს. ვ. ი. ლენინი მონაწილეობდა 5 ოქტომბრის სხდომაში, სხვა სხდომებს არ დასწრებია, რადგან შეუძლოდ იყო.

ვ. ი. ლენინის გასული დოკუმენტების დავთრის გრაფაში «შესრულება» მდივნის ჩანაწერია იმის შესახებ, რომ 7 ოქტომბერს მიღებულია ლ. ბ. კამენევის პასუხი და «გადაეცა ვლადიმერ ილიას ძეს». (პასუხი ნაპოვნი არ არის).—**711.**

715 დაწერილია შემდეგი მისალმების პასუხად, რომელიც მოსკოვის ბაუმანის რაიონის კომკავშირული გაზეთის რედაქციამ გაუგზავნა ვ. ი. ლენინს და რომელიც დაბეჭდილი იყო სტამბური წესით: «ძვირფასო მასწავლებელო! გიძღვნით სალამს და ველით საპასუხო სიტყვას. რ ე დ ა ქ ც ი ა. 1922 წლის 3 ოქტომბერი».—**718.**

716 თბილისის ახლოს ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის სახსრების ასიგნების საკითხის განხილვისას რსფსრ ფინსახკომისა და ამიერკავკასიის ფედერაციის ფინსახკომის რწმუნებულმა ა. ს. სვანიძემ განაცხადა, თბილისის საბჭოს საკმაო რესურსები აქვს სადგურის ასაშენებლად მოსკოვის ფინანსური დახმარების გაუწეველადო. ამ თვალსაზრისს მხარი დაუჭირეს ი. ბ. სტალინმა და გ. ი. სოკოლნიკოვმა. ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის გამო რკპ(ბ) ცკ პოლიტბიურომ 1922 წლის 12 ოქტომბერს ფინსახკომის უფროს კონტროლიორს ნ. გ. თუმანოვს დაავალა საქართველოს სახკომსაბჭოში გამოერკვია, ხომ არ შეიძლებოდა დასჯერებოდნენ ადგილობრივ სახსრებს, რა თანხა იყო საჭირო და რამდენად შეიძლებოდა სესხის უზრუნველყოფა ქართული ჩაით.

საბოლოოდ ეს საკითხი გადაწყდა უფრო გვიან. 1923 წლის 1 მარტს მიიღო რა მხედველობაში საქართველოს სახკომსაბჭოს, თბილისის საბჭოსა და სადგურის მშენებლობის კომიტეტის პროტესტი სახსრების მიცემაზე უარის წინააღმდეგ, აგრეთვე გ. კ. ორჯონიკიძის წინადადება, პოლიტბიურომ დაადგინა გადასცემოდა თბილისის საქალაქო აღმასკომს ელექტროსადგურის მშენებლობის საჭიროებისათვის სესხი 750 ათასი მანეთი ოქროთი (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).—**716.**

717 ეს დოკუმენტი ვ. ი. ლენინმა დაწერა მას შემდეგ, რაც ესაუბრა კარელიის შრომის კომუნის წარმომადგენელს ა. ვ. შოტმანს სამეურნეო მშენებლობაზე კარელიაში.

კარელიის კომუნის შუამდგომლობა ხის მასის ქარხნის ასაშენებლად და ქარსის დასამუშავებლად სესხის მიცემის შესახებ მცირე სახკომსაბჭომ განიხილა 1922 წლის 15 ნოემბერს. მცირე სახკომსაბჭომ საჭიროდ ცნო საამისოდ მიეცა კარელიისათვის გრძელვადიანი სესხი და ფინსახკომს დაავალა სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად ა. ვ. შოტმანის მონაწილეობით განესაზღვრა სესხის ზუსტი ოდენობა და მისი დაფარვის პირობები.

ლენინმა შოტმანის პირით ამხანაგური მადლობა შეუთვალა კარელიის კომუნის საბჭოების ყრილობასა და პარტიულ კონფერენციას მისთვის გამოგზავნილი მისალმების გამო და სთხოვა საუკეთესო სურვილები გადაეცით კარელიის მშრომელებსო.—**717.**

718 ლაპარაკია 1922 წლის 9 ოქტომბერს ბერლინში დადებულ შეთანხმებაზე რსფსრ მთავრობასა და გერმანიის ფირმების კონსორციუმს შორის, რომელსაც სათავეში ოტო ვოლფი ედგა.

ოქმი საზოგადოების დაარსების შესახებ ხელმოწერილ იქნა ბერ-

ლინში 1922 წლის 16 ნოემბერს. 1923 წლის გაზაფხულისათვის საზოგადოებამ თავისი განყოფილებები გახსნა რამდენიმე საბჭოთა ქალაქში — მოსკოვში, პეტროგრადში, დონის როსტოვში და სხვ. ო. ვოლფის კონსორციუმთან ხელშეკრულების დადებამ და მისმა რატიფიკაციამ ეროვნული შთაბეჭდილება მოახდინა საზღვარგარეთ და შექმნა ხელსაყრელი ატმოსფერო სხვა მეწარმეებთან და კომპანიებთან მოლაპარაკებისათვის.

მაგრამ შემდეგში კონსორციუმმა დაიწყო შეთანხმებებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულებისათვის თავის არიდება, 1924 წელს კი გავიდა რუსგერტორგის შემადგენლობიდან.—**717**.

719 ხელშეკრულება გერმანიის იმ ფირმების კონსორციუმთან, რომლებსაც სათავეში ედგა ო. ვოლფი, დამტკიცებულ იქნა სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 19 ოქტომბრის დეკრეტით. იმავე დღეს გაიმართა რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს სხდომა, რომელზეც ვ. ი. ლენინი გამოვიდა ცნობით ვოლფის ფირმასთან საკონცესიო ხელშეკრულების დადების შესახებ. მოისმინა რა ცნობა, პოლიტბიურომ დაადგინა: «მიღწეული შეთანხმების გამო საკითხი მოიხსნას. ამ საქმის მასალები დაეგზავნოს პოლიტბიუროს წევრებს გასაცნობად».

სახკომსაბჭოს მიერ ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ ცნობაზე (გამოქვეყნებულია 1922 წლის 20 ოქტომბერს გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ის № 237-ში), რომელიც ინახება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში, არის რეზოლუციები: «დაიბეჭდოს ხვალ გაზეთებში. 19. X. 1922. სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი)» და «გაიგზავნოს ტელეგრაფით საზღვარგარეთ. ლ ე ნ ი ნ ი». — **720**.

720 ეს დეპეშა გაიგზავნა იმ კონფლიქტთან დაკავშირებით, რაც მოხდა რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა, რომელსაც სათავეში ედგა გ. კ. ორჯონიკიძე, და საქართველოს კომპარტიაში წარმოქმნილი პ. გ. მდივნის ჯგუფს შორის (ამ ჯგუფში შედიოდნენ ავრეთვე კ. მ. ცინცაძე და ს. ი. ქავთარაძე, რომლებისადმი მიმართულია ვ. ი. ლენინის დეპეშა).

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი პრინციპულად სწორ ხაზს ატარებდა, ცდილობდა მიეღწია ამიერკავკასიის რესპუბლიკების ამიერკავკასიის ფედერაციად შეკავშირებისათვის და მტკიცედ უჭერდა მხარს ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანების იდეას. მაგრამ გ. კ. ორჯონიკიძე ყოველთვის როდი იჩენდა ჯეროვან მოქნილობასა და სიფრთხილეს ეროვნული პოლიტიკის გატარებაში. იგი მიმართავდა ადმინისტრირებას და ჩქარობდა ზოგიერთი ღონისძიების გატარებას, ყოველთვის როდი უწევდა ანგარიშს საქართველოს

კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის აზრსა და უფლებებს; ეს კი გამოიყენა მდივნის ჯგუფმა, რომელსაც ძირეულად მცდარი პოზიცია ეკავა პარტიის ეროვნული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში.

მდივანი და მისი მომხრენი, რომლებიც უმრავლესობას შეადგენდნენ საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში, ფაქტობრივად ამუხრუჭებდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო და პოლიტიკურ გაერთიანებას, არსებითად ცდილობდნენ საქართველოს განკერძოებულობის შენარჩუნებას; მდივნის ჯგუფი ჯერ გამოდიოდა სსრ კავშირის შექმნის წინააღმდეგ, ხოლო როცა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის ოქტომბრის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის შექმნის შესახებ, ეს ჯგუფი შეუდგა იმის ცდას, რომ საქართველო უშუალოდ შესულიყო სსრ კავშირში და არა ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით. მდივნისა და მისი მომხრეების ეს პოზიცია ხელსაყრელი იყო ბურჟუაზიული ნაციონალისტებისათვის, ქართველი მენშევიკებისათვის, და საქართველოს კომუნისტებმა თავიანთ ყრილობებზე, კონფერენციებსა და პარტიული აქტივის კრებებზე სამართლიანად მიიჩნიეს ეგი ნაციონალიზმისაკენ გადახრად.

ცინცაძემ და მდივნის მთელმა რიგმა სხვა მომხრეებმა პირდაპირი მავთულით ბარათით მიმართეს რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს. სწორედ ამ ბარათზე პასუხს წარმოადგენს ვ. ი. ლენინის დეპეშა.—**722.**

721 ვ. ი. ლენინი გულისხმობს რეზოლუციას ურთიერთდამოკიდებულებაზე რსფს რესპუბლიკასა და დამოუკიდებელ რესპუბლიკებს შორის, რომელიც მიიღო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1922 წლის 6 ოქტომბერს.—**722.**

722 სრულიად რუსეთის ცაკ-ის პრეზიდიუმმა 1922 წლის 9 ნოემბერს მიიღო ვ. ი. ლენინის წინადადება და გამოიტანა დადგენილება: «პერმისა და სხვა ყველაზე გამოჩენილი მეურნეობანი, რომლებსაც საბჭოთა რუსეთისადმი ტექნიკური დახმარების ამერიკული საზოგადოების არტელები ხელმძღვანელობენ, ცნობილ იქნან სანიმუშოდ».—**724.**

723 1922 წლის 14 ოქტომბრის წერილში ვ. ი. ლენინისადმი ნ. ოსინსკი აზრს გამოთქვამდა იმის წინააღმდეგ, რომ საუწყებათაშორისო თათბირმა უარი თქვა მიწსახკომის ბიუჯეტში შატილოვის ტრესტის ხარჯთაღრიცხვის შეტანაზე იმ საფუძვლით, რომ იგი სამეურნეო ანგარიშზეაო. მოაგონებდა რა იმას, რომ ტრესტის შექმნისას საეჭვოდ იქნა ცნობილი მისი სუბსიდირება 3 — 5 წლის განმავლობაში, ოსინსკი აღნიშნავდა, ტრესტისათვის მატერიალურ დახმარებაზე უარის თქმა უკვე დაბანდებული სახსრების დაკარგვას გამოიწვევსო, და სთხოვდა ლენინს «პირადად მოეხდინა ზემოქმედება შატილოვის სრული უზრუნველყო-

ფის აზრით». ოსინსკი წერდა აგრეთვე მთელი საქმის ხელმძღვანელზე, სელექციონერ პ. ი. ლისიცინზე, რომელმაც ხელი აიღო წმინდა მეცნიერულ მუშაობაზე იმის გულისათვის, «რომ იხილოს თავისი შვრია მასობრივად გავრცელებული...» (იხ. «ისტორიჩესკი არხივ» № 1, 1962, გვ. 60—61). იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 639.—**724.**

724 ლაპარაკია «ცუტორფის» თავმჯდომარის ი. ი. რადჩენკოს 1922 წლის 26 ოქტომბრის წერილზე, რომელშიც იგი ვ. ი. ლენინს სთხოვდა დახმარება გაეწია საზღვარგარეთ შტრელისა და კომპ. ფირმის გაუმჯობესებული ტორფმომპოვებელი მანქანის შეძენაში ტორფის სამუშაოთა მექანიზაციისათვის და გაეცა ამ მიზნით აგრეთვე ადგილზე მანქანის გამოსაცდელად კომისიის გასაგზავნი სახსრები. 1922 წლის 27 ოქტომბერს შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა შრომისა და თავდაცვის საბჭოს სარეზერვო ფონდიდან გაეღო 7 ათასი მანეთი ოქროთ გაუმჯობესებული ტორფმომპოვებელი მანქანის საზღვარგარეთ შესაძენად.—**725.**

725 ვ. ი. ლენინი გულისხმობს რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს 1922 წლის 26 ოქტომბრის დადგენილებას პროლეტკულტისა და აკადემიური თეატრებისათვის სახელმწიფო სუბსიდიების შემცირების შესახებ.—**726.**

726 ლაპარაკია იმაზე, რომ გ. ლ. პიატაკოვმა როგორც სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ხელი მოაწერა სამხედრო ხარჯთაღრიცხვას, რომელიც 26 ტრილიონი მანეთით (1922 წლის ფულის ნიშნებით) აღემატებოდა ფინსახკომის მიერ წამოყენებულ თანხას. 1922 წლის 28 ოქტომბერს ეს ხარჯთაღრიცხვა დაამტკიცა სახკომსაბჭომ. იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტები 786 და 787. — **727.**

727 ვ. ი. ლენინი გულისხმობს შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1922 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებას, რომლის თანახმადაც სომხეთს უნდა მისცემოდა სახსრები იმ მიზნით, რომ განეკითარებინა ბამბის მეურნეობა. — **727.**

728 ლაპარაკია ალბათ რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს 1922 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე იმ წინადადებასთან დაკავშირებით, რომ გამოეშვათ პოპულარული ბროშურა ურკარტთან ხელშეკრულების შესახებ. პოლიტბიურომ დაადგინა შეექმნა კომისია «ურკარტის ხელშეკრულების საკითხზე სტატიების გასინჯვისა და მაქსიმალური სისწრაფით დაბეჭდვისათვის...» გ. ლ. პიატაკოვის და ბ. ს. სტომონიაკოვის შემადგენლობით და დაამტკიცა ამ კომისიის ინსტრუქციები, რომლებშიც განსაზღვრა სტატიების შინაარსი.

სადისკუსიო სტატიები საერთო სათაურით «ურკარტის კონცესიის საკითხისათვის, რომელიც სახკომსაბჭომ უარყო», დაიბეჭდა «პრავდის» რამდენიმე ნომერში (1922 წლის 31 ოქტომბერს, 1—3 ნოემბერს).—**728.**

729 ეს დოკუმენტი დაწერილია ლ. ბ. კამენევის 1922 წლის 30 ოქტომბრის წერილზე ვ. ი. ლენინისადმი. კამენევი წინადადებას იძლეოდა ლენინის თანხმობის შემთხვევაში: «1) ეთხოვოს პოლიტბიუროს გააუქმოს სახკომსაბჭოს გადაწყვეტილება, აღადგინოს ფინსახკომის მიერ წამოყენებული თანხა, ე. ი. 599 ტრილიონი მინუს 26 ტრილიონი უდრის 573 ტრილიონს; 2) წინადადება მიეცეს პოლიტბიუროს აირჩიოს განსაკუთრებული კომისია ხარჯთაღრიცხვით ასიგნებული თანხების ცალკეულ სახალხო კომისარიატებს შორის ფანაწილების გადასანაწილებად გემთმშენებლობაზე და სხვ. ხარჯების შემცირების მიზნით». ამ წინადადების ქვეშ ვ. ი. ლენინმა დაწერა: «საკვლევით ვუერთდები. 30. X. 1922. ლ ე ნ ი ნ ი». აქვეა გ. ე. ზინოვიევის, ი. ბ. სტალინის ვ. მ. მოლოტოვის მონიშვნები მაი თანხმობის შესახებ და ლ. დ. ტროცკის მონიშვნა, რომ იგი თავს იკავებს (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **729.**

730 ლაპარაკია რსფსრ მთავრობის 1922 წლის, 2 ნოემბრის ნოტაზე ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობებისადმი (იხ. «სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები», ტ. V, მოსკოვი, 1961, გვ. 650 — 653). — **730.**

731 იხ. შენიშვნა 723.

სახკომსაბჭოს საფინანსო კომიტეტმა, განიხილა რა 1922 წლის 18 ნოემბერს ვ. ი. ლენინის წინადადებით «გოსსემკულტურის» ხარჯთაღრიცხვა, განსაზღვრა იგი 1922 წლის ოქტომბერ-ნოემბრის კვარტალისათვის $2^1/_2$ ტრილიონი მანეთი თანხით.—**732.**

732 ლაპარაკია შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1922 წლის 13 ოქტომბრის დადგენილებაზე გეგმიანი მომხმარებლებისათვის სათბობის ფასების დაწესების შესახებ.

თავის წერილებში დონბასის ქვანახშირის სახელმწიფო მრეწველობის მმართველი ვ. ი. ჩუბარი, აღნიშნავდა რა, რომ ქვანახშირის დადგენილი მტკიცე ფასი არ შეესაბამებოდა მანეთის კურსს, რომელიც ეცემოდა, წერდა, სახელმწიფო საგეგმო კომისიის გაანგარიშებანი, რომლებიც ცხოვრებას ჩამორჩებიან, დონბასის ქვანახშირის მრეწველობას გამოუვალ მდგომარეობაში აყენებენო, და თხოულობდა გადაეწყვიტათ ეს საკითხი. — **734.**

733 ვ. ი. ლენინის დავალებით სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შრომისა და თავდაცვის საბჭოს წარუდგინა მოხსენება დონბასის დაფინანსების შესახებ. ეს საკითხი განხილულ იქნა შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1922 წლის 16 და 17 ნოემბრის სხდომებზე და სახკომსაბჭოს 24 ნოემბრის სხდომაზე. აღნიშნა რა ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობის რეგულარული მუშაობის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ქვეყნის საშეურნეო ცხოვრებისათვის, სახკომსაბჭომ საჭიროდ ცნო «მტკიცედ უზრუნველყოფილ იქნეს სათბობის მრეწველობის ეს დარგები სრული ოფენობით მათი საწარმოო პროგრამის შესრულებისათვის საჭირო რეალური სახსრებით, ამ მიზნით დაწესდეს, გამონაკლისის სახით, ქვანახშირისა და ნავთობის ფასგადახდის განსაკუთრებული პირობები» («მეშურ-გლეხური მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული», 1922, № 79, გვ. 993).—**784**.

734 ეს წერილი ლენინმა დაწერა შემდეგ გარემოებებთან დაკავშირებით. 1922 წლის 1 ნოემბერს რევოლვერებითა და ბომბებით შეიარაღებული ფაშისტთა ჯგუფი თავს დაესხა იტალიაში რსფსრ წარმომადგენლობის სავაჭრო განყოფილებას. ფაშისტები შეიჭრნენ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის კაბინეტში, რევოლვერებით დაემუქრნენ მას და განყოფილების თანამშრომლებს, შეიპყრეს ერთ-ერთი მოსამსახურე, კიბეზე გაიყვანეს და დახვრიტეს. — **785**.

735 1922 წლის 1 ნოემბერს იტალიას წარგზავნილმა რსფსრ წარმომადგენლობამ იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა საპროტესტო ნოტა იმის გამო, რომ ფაშისტების ჯგუფი თავს დაესხა იტალიას წარგზავნილი რსფსრ წარმომადგენლობის სავაჭრო განყოფილებას (იხ. «სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები», ტ. V, მოსკოვი, 1961, გვ. 648—649). — **786**.

736 კომუნისტური ინტერნაციონალის IV კონგრესზე განხილულ იქნა საკითხი იტალიის კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური პარტიის გაერთიანების შესახებ. იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა, რომელიც იმ დროს ბორდიგას სექტანტური დაჯგუფების ხელში იყო, გაერთიანების წინააღმდეგ გამოდიოდა.

რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა იტალიის კომპარტიას გაუგზავნა წერილი. ამ წერილში იგი ურჩეოდა არ მიეცათ ხმა გაერთიანების შესახებ რეზოლუციის წინააღმდეგ, რომელიც შემუშავებულ იქნა ამ საკითხზე შექმნილ კომისიაში. იტალიის კომპარტიის დელეგაცია დაეთანხმა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წინადადებას.

კონგრესმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება იტალიის კომპარტიისა და იტალიის სოციალისტური პარტიის გაერთიანების შესახებ და

შექმნა განსაკუთრებული საორგანიზაციო კომიტეტი მისი განხორციელებისათვის. იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 804.—**736.**

737 ეს დოკუმენტი ვ. ი. ლენინმა დაწერა, როცა გაეცნო კომუნისტური ინტერნაციონალის IV კონგრესის რეზოლუციის მისთვის გაგზავნილ პროექტს — «მოქმედების აგრარული პროგრამის მონასახს». თანმხლებ წერილში გ. ე. ზინოვიევი წერდა, რომ ვერ გადაეწყვიტა დაესვა ეს პროექტი კონგრესის განსახილველად ლენინის მოსაზრების უქონლად.—**737.**

738 ვ. ი. ლენინის მითითებათა შესაბამისად პროექტი კომინტერნის IV კონგრესის რეზოლუციისა აგრარულ საკითხზე გადამუშავებულ იქნა. ე. ს. ვარგამ 30 ნოემბერს კონგრესისადმი მოხსენებაში მოიყვანა აქ გამოქვეყნებული წერილის შინაარსი და აღნიშნა, რომ პროექტის დამუშავების დასამთავრებლად არჩეული კომისია «მუშაობაში ხელმძღვანელობდა უწინარეს ყოვლისა ამხანაგ ლენინის წერილით». «მოქმედების აგრარული პროგრამის მონასახში», შეტანილ იქნა ცვლილებანი, ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ცვლილებათაგან იყო დამატება ქვესათაურისა «ინსტრუქცია კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესის აგრარული თეზისების გამოყენებისათვის». (იხ. «კომუნისტური ინტერნაციონალის IV კონგრესის ბიულეტენი». № 27, 1922, გვ. 11—12).—**738.**

739 სრულიად რუსეთის ცაკ-მა, მოუსმინა რა ორივე მხარეს, საკითხი გადაწყვიტა გზათა სახალხო კომისარიატის სასარგებლოდ.—**739.**

740 ეს დოკუმენტები, როგორც ჩანს, წარმოადგენენ ამონაწერებს ვ. ი. ლენინის ორი წერილიდან, რომლებიც ნაპოვნი არ არის. წერილები ალბათ დაიწერა ლენინის 1922 წლის 2 დეკემბრის საუბრის გამო პროფესორ ნ. მ. კნიპოვიჩთან — აზოვის ზღვის სამეცნიერო-სარეწაო ექსპედიციის უფროსთან. კნიპოვიჩი თხოულობდა ხელშეწყობას იმაში, რომ სურსათის საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ თევზჭერისა და თევზის მრეწველობის მთავარ სამმართველოს («გლავრიბა») გადასცემოდა გემი «ბესსტრაშნი» აზოვის ზღვის სამეცნიერო-სარეწაო ექსპედიციისათვის.

1922 წლის 15 დეკემბერს მცირე სახკომსაბჭომ «პრინციპულად საჭიროდ» ცნო «უფასოდ გადასცემოდა» «გლავრიბას» გემი «ბესსტრაშნი» აზოვის ზღვის სამეცნიერო-სარეწაო ექსპედიციისათვის» და ფინსახკომის საბიუჯეტო კომისიას დაავალა ხელმეორედ განეხილა საკითხი ამ მიზნით «გლავრიბასთვის» სახსრების მიცემის შესახებ. — **740.**

741 მალე ი. ი. ხოდოროვსკიმ პასუხი გამოუგზავნა ვ. ი. ლენინს. თავის წერილში მან აღნიშნა, რომ საშეფო მუშაობა ცდის სახით წარმოებდა

მხოლოდ ნოვონიკოლაევსკის გუბერნიასა და მაზრაში (ახლა ნოვოსიბირსკის ოლქი) და რომ საკითხი საქალაქო უჯრედების მიმართ სასოფლო უჯრედების შეფობაზე არ აღძრულა. იხ. ი. ხოდოროვსკის სტატია «მოგონებებიდან ილიჩზე», რომელიც დაბეჭდილია 1930 წლის 22 აპრილს გაზეთ «იზვესტია ციკ ი ეციკ»-ში.

ი. ი. ხოდოროვსკისაგან მიღებული მასალები ვ. ი. ლენინმა გამოიყენა საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობაზე წარმოსათქმელი სიტყვის კონსპექტში (ავადმყოფობის გამო მისი გამოსვლა არ შემდგარა). აგრეთვე სტატიაში «ფურცლები დღიურიდან» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 548—550). — **741.**

742 ვ. ი. ლენინის ეს წერილი ჩარლზ პ. შტეინმეცისადმი ამერიკის შეერთებულ შტატებში წაიღო კომუნისტმა ჰაროლდ ვერმა, რომელიც 1922 წელს სათავეში ედგა სატრაქტორო რაზმს, პერმის გუბერნიის საბჭოთა მეურნეობა «ტოიკინოში» რომ მუშაობდა. იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 54, დოკუმენტი 354 — **748.**

743 ლაპარაკია წინანდელი აქტიური მენშევიკის ნ. ა. როჟკოვის გაძევებაზე. როჟკოვის საკითხი არაერთგზის განხილულა რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს სხდომებზე. 1922 წლის 26 ოქტომბერს პოლიტბიუროს მიიღო გადაწყვეტილება: «როჟკოვი გაძევებულ იქნეს». 7 დეკემბერს, შეცვალა რა თავისი 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება, პოლიტბიუროს დაადგინა როჟკოვის გაძევება გადაედო, გაზეთ «იზვესტია ვციკ»-ში დაბეჭდა მისი სტატია მენშევიკების საქმიანობის შესახებ და განცხადება მენშევიკური პარტიიდან გასვლის შესახებ გაზეთის რედაქტორის ი. მ. სტეკლოვის კომენტარებით (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). იხ. აგრეთვე შემდეგი დოკუმენტი. — **744.**

744 1922 წლის 14 დეკემბერს რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს გააუქმა თავისი 7 დეკემბრის გადაწყვეტილება და დაადგინა გადაესახლებინათ როჟკოვი ფსკოვში და პირველი ანტისაბჭოთა გამოსვლისთანავე გაეძევებინათ იგი საბჭოთა რუსეთიდან. — **745.**

745 1922 წლის 30 ნოემბერს რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს ცკ ორგბიუროს დაავალა ერთი კვირის ვადაში გამოეყო კომინტერნის განკარგულებაში 10-მდე მუშაკი.—**745.**

746 «Die Neue Zeit» («ახალი დროება») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თეორიული ჟურნალი; გამოდიოდა შტუტგარტში 1883-დან 1923 წლამდე.

უტინის მოხსენებას ვაჭრობის, ფინანსებისა და მრეწველობის მდგომარეობის შესახებ, წერილი მისწერა ი. ი. ხოდოროვსკის და სთხოვა გამოეგზავნა ცნობები როგორ უწევენ შეფობას რკპ(ბ) საქალაქო უჯრედები სასოფლო უჯრედებს და სასოფლო უჯრედები საქალაქოებს. ყრილობისათვის შედგენილი სიტყვის გეგმიდან ჩანს, რომ ლენინს განზრახული ჰქონდა შეჩერებულიყო ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც უფრო გვიან თავის უკანასკნელ სტატიებში გააშუქა. — **750.**

758 ჯანმრთელობის შემდგომმა გაუარესებამ ვ. ი. ლენინს საშუალება არ მისცა მონაწილეობა მიეღო საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობის მუშაობაში. 16 დეკემბერს საღამოს ნ. კ. კრუპსკაიამ მორიგე მდივანს სთხოვა «ვლადიმერ ილიას ძის სახელით აცნობეთ სტალინს, რომ საბჭოების ყრილობაზე არ გამოვაო». (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც. ტომი 45, გვ. 473).

ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს X ყ რ ი ლ ო ბ ა გაიხსნა 1922 წლის 23 დეკემბერს მოსკოვში. მას 2 215 დელეგატი დაესწრო. ლენინი არჩეულ იქნა ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ; მქუხარე ტაშით და «ინტერნაციონალის» მღერით ყრილობამ მიიღო ვ. ი. ლენინისადმი მისალმების დეპეშა.

26 დეკემბერს ყრილობამ მოისმინა მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ და მეორე დღეს, უკანასკნელ სხდომაზე, მიიღო დადგენილება ამ საკითხზე, რომელშიც საჭიროდ ცნო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა.—**751.**

759 მოხსენებული წერილი მ. ი. ფრუმკინისა ნაპოვნი არ არის. ლაპარაკია საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაზე. — **758.**

760 ეს დოკუმენტი უახლოვდება ვ. ი. ლენინის იმ წერილების ჯგუფს, რომლებიც ეხება სამუშაოს განაწილებას სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის და სახკომსაბჭოს აპარატის მუშაობის ყველაზე რაციონალურ ორგანიზაციას (იხ. თხზულებანი მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 288 — 289, 393 — 402, ტომი 42, გვ. 490 — 491, 493 — 495, 495 — 496).—**754.**

761 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1922 წლის 18 დეკემბერს გააუქმა ოქტომბრის პლენუმის დადგენილება და დაადასტურა «საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შენარჩუნებისა და ორგანიზაციული განმტკიცების აუცილებელი საჭიროება» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). პარტიის XII ყრილობამაც, რომელიც მოსკოვში მიმ-

დინარეობდა 1923 წლის 17 — 25 აპრილს, დაადასტურა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ურყევობა. — **755.**

762 ვ. ი. ლენინის ეს წერილი დაკავშირებულია ეგრეთ წოდებულ «საქართველოს საკითხთან».

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1922 წელი) პლენუმის შემდეგ კონფლიქტი რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და მდივნის ჯგუფს შორის გამწვავდა (იხ. შენიშვნა 720). საქართველოს კომუნისტების წინააღმდეგობას რომ წააწყდა, საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი, რომელშიც მდივნის ჯგუფი უმრავლესობას შეადგენდა, 22 ოქტომბერს გადადგა, რისთვისაც მოიმიზეზა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან უთანხმოება. მდივნის მომხრეებმა საჩივრით მიმართეს რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს. 1922 წლის 25 ნოემბერს პოლიტბიურომ გადაწყვეტილება მიიღო გაეგზავნა საქართველოში კომისია ფ. ე. ძერჟინსკის მეთაურობით, რათა სასწრაფოდ განეხილა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გადამდგარი წევრების განცხადებები და შეემუშავებინა საქართველოს კომპარტიაში მტკიცე მშვიდობის დასამყარებლად საჭირო ღონისძიებანი.

ვ. ი. ლენინს ძალიან აწუხებდა «საქართველოს საკითხი»; 12 დეკემბერს ფ. ე. ძერჟინსკიმ მოახსენა ვ. ი. ლენინს თავისი გამგზავრების შედეგები. ლენინი კომისიის მუშაობით უკმაყოფილო დარჩა, მას მიაჩნდა, რომ კომისია ცალმხრივად, მიკერძოებულად მიუდგა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის გამოძიებას და არ აღნიშნა გ. კ. ორჯონიკიძის მიერ დაშვებული სერიოზული შეცდომები. ლენინი «საქართველოს საკითხს» აკავშირებდა სსრ კავშირის შექმნის საერთო საკითხთან, იგი შიშს გამოთქვამდა, თუ რამდენად თანმიმდევრულად გატარდებოდა რესპუბლიკების გაერთიანებისას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები. წერილში «ეროვნებათა საკითხისათვის ანუ «ავტონომიზაციის» შესახებ» ლენინმა დაგმო ორჯონიკიძის ქცევა და ძერჟინსკის კომისიის, აგრეთვე ი. ბ. სტალინის მხრივ მისდამი წაყრუება. პოლიტიკური პასუხისმგებლობა მთელი ამ საქმისათვის ლენინმა დააკისრა პირველ რიგში სტალინს როგორც ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ამასთან მხედველობაში ჰქონდა მის მიერ დაშვებული სერიოზული შეცდომები რესპუბლიკების გაერთიანებისას (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 688 — 696).

ვ. ი. ლენინმა არა თუ მხარი არ დაუჭირა, არამედ კიდევაც აკრიტიკებდა მდივნისა და მისი მომხრეების პრინციპულად მცდარ პოზიციას ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრ კავშირის შექმნის საკითხებში (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 778); მაგრამ იმ დროს მთავარ საფრთხეს დიდმპყრობელურ შოვინიზმში ხედავდა და მიაჩნდა, რომ ამ უკა-

«ძველ» «ნოიე ცაიტზე» რომ ლაპარაკობს, ვ. ი. ლენინი გულისხმობს პერიოდს 90-იანი წლების შუახანებამდე, როცა ჟურნალს ფ. ენგელსი ეხმარებოდა.—**746.**

747 პროფინტერნის საკითხზე რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს 1922 წლის 19 დეკემბერს მიიღო ვ. ი. ლენინის წინადადებანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამ წერილში. — **746.**

748 ვ. ი. ლენინი გულისხმობს კომუნისტური ინტერნაციონალის IV კონგრესის (გაიმართა 1922 წლის 5 ნოემბერს — 5 დეკემბერს) დადგენილებებს იტალიის საკითხზე, რომელშიც გათვალისწინებული იყო იტალიის კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური პარტიის გაერთიანება (იხ. «კომუნისტური ინტერნაციონალი დოკუმენტებში. კომინტერნის კონგრესებისა და კომინტერნის აღმასკომის პლენუმების გადაწყვეტილებები, თეზისები და მოწოდებები. 1919 — 1932». მოსკოვი, 1933, გვ. 356 — 360).

გაერთიანება იმ დროს არ მოხდა. 1924 წელს სოციალისტთა ცალკეულმა ჯგუფებმა, რომლებმაც შექმნეს იტალიის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთა, კავშირი გაწყვიტეს მასთან და შევიდნენ კომუნისტურ პარტიაში (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 795).—**747.**

749 1923 წლის 2 იანვარს კ. ლაცარიმ ვ. ი. ლენინს გამოუგზავნა საპასუხო წერილი. ლაცარიმ მადლობა გადაუხადა ლენინს ნდობისათვის და დაჰპირდა, რომ გააკეთებდა ყველაფერს, რაც კი მასზე იყო დამოკიდებული, კომინტერნის IV კონგრესის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, მაგრამ იგი წინააღმდეგი იყო პარტიების გაერთიანების დასახული წესებისა და, აღნიშნავდა რა იტალიის სოციალისტური პარტიის დამსახურებას, წინადადებას იძლეოდა შეენარჩუნებინათ გაერთიანებული პარტიისათვის წინანდელი სახელწოდება — იტალიის სოციალისტური პარტია (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).—**747.**

750 იგულისხმება გერმანიას წარგზავნილი რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენლის ნ. ნ. კრესტინსკის 1922 წლის 3 დეკემბრის წერილი. კრესტინსკი დადებითად აფასებდა ბერლინს წარგზავნილი სავაჭრო წარმომადგენლობის საქმიანობას, იუწყებოდა, რომ გერმანიის რამდენიძე ფირმასთან დაიდო შეთანხმებები, რომ წარმოებს მოლაპარაკება და ამ მხრივ დიდი პერსპექტივები ისახება, და წერდა, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმებით ეს პერსპექტივები მოისპობაო. დამახასიათებელია ისიც, აღნიშნავდა კრესტინსკი, რომ «მთელი რიგი ამხანაგები, რომლებმაც საზღვარგარეთ დაპყვეს, მონოპოლიის მომხრენი ხდებიან

ნასკნელთან ბრძოლის ამოცანა ეკისრება უწინარეს ყოვლისა წინათ გაბატონებული ერის კომუნისტებს. ამიტომ იყო, რომ ლენინმა მთავარი ყურადღება მიაპყრო სტალინის, ძერჟინსკისა და ორჯონიკიძის შეცდომებს «საქართველოს საკითხში». იგი აღნიშნავდა, რომ ამ საკითხში, განსაკუთრებით მაშინ, რესპუბლიკების გაერთიანებასთან დაკავშირებით, საჭირო იყო «უაღრესი სიფრთხილე, თავაზიანობა და დამთმობლობა», რომ «ამ შემთხვევაში სჯობია ეროვნულ უმცირესობათადმი დამთმობლობისა და ლმობიერების მხრივ გადავამლაშოთ, ვიდრე დავაკლოთ მარილი». სწორედ ამ პლანში უნდა განვიხილავდეთ ვ. ი. ლენინის სიტყვებს, რომ იგი ««დაჩაგრულთა» მხარეზეა» «საქართველოს კონფლიქტში»» (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 815, აგრეთვე თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 45, გვ. 486).

ვ. ი. ლენინის წერილი ლ. დ. ტროცკისადმი დაწერილია იმასთან დაკავშირებით, რომ «საქართველოს საკითხი» უნდა განხილულიყო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. — 756.

763 ეს წერილი იმავე დღეს წაუკითხა ლ. დ. ტროცკის ტელეფონით შრომისა და თავდაცვის საბჭოს და სახკომსაბჭოს მდივნის თანაშემწემ მ. ა. ვოლოდიჩევამ. ტროცკიმ ავადმყოფობა მოიმიზეზა და უპასუხა, არ შემიძლია ასეთი ვალდებულება ვიკისროო.—756.

764 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს შემდეგი ფაქტი. მას შემდეგ, რაც ვ. ი. ლენინმა ექიმების ნებართვით 1922 წლის 21 დეკემბერს უკარნახა წერილი ლ. დ. ტროცკისადმი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხზე (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 812), ი. ბ. სტალინმა, რომელსაც ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკისრებული ჰქონდა პერსონალური პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ დაცული ყოფილიყო ლენინისათვის ექიმების მიერ დაწესებული რეჟიმი, გალანძღა კრუპსკაია და საკონტროლო კომისიით ემუქრებოდა, რადგან მან კარნახით დაწერა ზემოთ დასახელებული წერილი. ამასთან დაკავშირებით ნ. კ. კრუპსკაიამ 1922 წლის 23 დეკემბერს ლ. ბ. კამენევს გაუგზავნა წერილი, რომელშიც სთხოვდა დაეცვა იგი «პირად ცხოვრებაში უხეში ჩარევისაგან, არასაკადრისი ლანძღვისა და მუქარისაგან».

ნ. კ. კრუპსკაიამ ეს ფაქტი უამბო ვ. ი. ლენინს, როგორც ყველაფრიდან ჩანს, 1923 წლის მარტის დამდეგს. მომხდარი ამბავი რომ შეიტყო, ვ. ი. ლენინმა უკარნახა ეს დოკუმენტი.

როგორც უფრო გვიან მ. ი. ულიანოვა წერდა წერილში საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ივლისის (1926 წელი) გაერთიანებული პლენუმის პრეზიდიუმისადმი,

რომელზეც «ახალი ოპოზიციის» ერთ-ერთმა ლიდერმა გ. ე. ზინოვიევ-მა აღძრას საკითხი, ი. ბ. სტალინმა ბოდიში მოიხადა.—*ედ.*

765 იხ. შენიშვნა 762.

ვ. ი. ლენინმა ვერ შეძლო მოემზადებინა წერილი და სიტყვა «საქართველოს საკითხზე». 1923 წლის 10 მარტს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა.

ეს წერილი უკანასკნელი დოკუმენტია, რომელიც ვ. ი. ლენინმა უკარნახა. — **758.**

(ციურუპა, ვლადიმიროვი, რიკოვი, ავანესოვი)». ეყრდნობოდა რა საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილებას, კრესტინსკი გადაჭრით გამოთქვამდა აზრს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის სასარგებლოდ (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). იხ. აგრეთვე შემდეგი დოკუმენტი. — **748.**

751 ვ. ი. ლენინი გულისხმობს ლ. დ. ტროცკის 1922 წლის 12 დეკემბრის წერილს.

«ავანესოვის გეგმებს» ვ. ი. ლენინი უწოდებს «სახკომსაბჭოს იმ კომისიის წინადადებებს, რომელიც იკვლევდა რსფსრ საზღვარგარეთის წარმომადგენლობებს საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლიის საკითხში».

კომისიის ძირითადი დასკვნა ის იყო, რომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური მოსაზრებებით არ შეიძლება გაუქმებულ იქნეს «არც სავსებით და არც ნაწილობრივ» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი).—**748.**

752 თავის წერილში ლ. დ. ტროცკი წერდა, საჭიროა საგარეო ვაჭრობის მოქნილი, საერთო სამეურნეო საჭიროებებთან შეხამებული რეგულირება. ამისათვის, მისი აზრით, ხელი უნდა მოეკიდა სახელმწიფო საგეგმო კომისიას.—**748.**

753 იგულისხმება საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობა.—**749.**

754 ლაპარაკია ბრძოლაზე საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის დარღვევათა წინააღმდეგ. — **750.**

755 იგულისხმება გადასვლა გორკაში, რაც ექიმებმა ურჩიეს ვ. ი. ლენინს მისი ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებით.—**750.**

756 ვ. ი. ლენინი გულისხმობს საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობას. — **750.**

757 საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობაზე ვ. ი. ლენინის სიტყვის გეგმა იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 668 — 669. გამოსვლისათვის რომ ემზადებოდა, ლენინმა ყრილობის გახსნამდე ბევრად ადრე, ჯერ კიდევ 1922 წლის ნოემბერში, დაიწყო საჭირო მასალების შეკრება; ითხოვდა წიგნებს, გაზეთების ამონაჭრებს, გაეცნო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. პ. მილი-

სახელთა საძიებელი

ა

აგრანოვი, ი. ს.—377.
ადამოვიჩი, რ. ა.—633.
ადორატსკი, ვ. ვ.—302, 345, 347. 650, 651, 652, 653.
ავანესოვი, ვ. ა.—3, 9, 208, 212, 234, 235, 237, 238, 247, 249, 262, 279, 346, 383, 390, 434, 446, 530, 640, 748, 749.
ალექსანდროვი, ი. გ.—124.
ალექსეევი, ნ. ა.—415.
ალილუევი, ს. ი.—490—491.
ალილუევა, ნ. ს.—490—491.
ალსკი, ა. ო.—150, 170, 191—192, 195, 247, 319, 323, 402—403, 429, 437, 473, 644.
ამოსოვი, ა. მ.—17.
ამოსოვი, მ. კ.—97.
ანდრეევი, ა. ა.—118, 703.
ანიქსტი, ა. მ.—27, 167.
ანტონოვი, ა. ს.—27, 167.
ანუჩინი, დ. ნ.—197.
არმანდი, ა. ა.—276.
არმანდი, ბ. ა.—276.
არტიუხოვი, ი. ს.—399.
აქსელროდი, ტ. ლ.—221, 281, 520—521.

ბ

ბაბკინი, ი. პ.—208, 236, 237, 238.
ბაგაევი, მ. ა.—618.
ბაგოცკი, ს. ი.—189.
ბადაევი, ა. ე.—74—75, 199, 248—249.
ბალისტერი, დ.—ი ხ. მაინორი (Minor), რობერტ.
ბაჟანოვი, ვ. მ.—232, 381.
ბარიშნიკოვი, ა. ა.—5, 6.
ბაშა, ნ. ა.—150, 195, 533, 534.
ბელა კუნი—იხ. კუნი (Kun), ბელა.
ბელგოვი, ვ. პ.—276.
ბელიაკოვი, ა. ა.—125, 355, 493, 570.
ბელობოროდოვი, ა. გ.—101, 174.
ბელოვი, ა. ა.—460, 523, 548, 561, 570, 634.
ბერზინი (ბერზინ-ზიემელისი*), ი. ა. (პავლოვი, ი.)—321.
ბესპროზვანი, ი. მ.—698.
ბიზლი (Beesley), ედუარდ სპენსერი—44.
ბიკოვი,—35.
ბობროვსკაია (ზელიქსონი), ც. ს.—459.

---

* ფრჩხილებში ნახევრად მუქი შრიფტით ნაჩვენებია ნამდვილი გვარები.

ბოგდანოვი, პ. ა.— 162, 188, 211, 253, 262, 272, 285, 303, 378, 407, 419, 421, 430, 462, 473, 483, 488, 507, 539, 647, 712, 739.
ბოდიაკოვი, ნ. ს.—8.
ბოკი, გ. ი.—143, 150, 195, 268.
ბონომი (Banomi), ივანოე—537, 543.
ბონჩ-ბრუევიჩი, ვ. დ.—25.
ბონჩ-ბრუევიჩი, მ. ა.—107, 456, 479, 674, 686.
ბორდიგა (Bordiga), ამადეო—736.
ბორზოვი, ა. ა.—197.
ბორისოვი, ნ. ე.—222.
ბოროდინი (გრუზენბერგი), მ. მ. — 217, 244.
ბრასი (Braß), ოტო—149.
ბრაუნი, უ—271.
ბრიუხანოვი, ნ. პ.—2, 3, 8, 9, 17, 25, 116, 118, 127, 129, 133, 134, 145, 147, 160, 201, 208, 212, 234, 236, 256, 260, 282, 300, 302, 310, 340, 423, 489, 537, 597, 732.
ბუნიათ-ზადე, დ. ხ.—83.
ბურაკოვა, მ. ნ.—545.
ბუხარინი, ნ. ი.—68, 132, 193, 251, 252, 439, 462, 506, 532, 553, 554, 555. 687, 698, 722. 736, 737.

გ

გაიერი (geyer), ანა—149.
განეცკი (ფიურსტენბერგი), ი. ს.—117, 144, 182, 448.
გარტვიგი — 458.
გასტევი, ა. კ.—170.
გერბეკი, ვ. ვ.—343.
გეცოვი, ხ. ა.—232.
გინცბურგი, ი. ი.—121.
გიტისი, ვ. მ.—50.
გიულინგი (Gylling), ედვარდ ოტო ვილჰელმი—113.
გლებ მაქსიმილიანეს ძე — ი ხ. კრეიქანოვსკი, გ. მ.
გლიასერი, მ. ი.—310, 545, 705.
გოიხბარგი, ა. გ.—46, 51, 67, 298, 327, 409, 444, 683.
გოლდბერგი, ბ. ი.—165.
გოლდენბერგი, ი. პ.—506.
გოლცმანი, ა. ზ.—76, 111, 187.
გორბუნოვი, ნ. პ. — 23, 28, 29, 30, 31, 32, 34, 37, 38, 40, 43, 100, 107, 118, 137, 139, 141, 186, 189, 261, 302, 306, 307, 308, 309, 313, 327, 328, 334, 335, 338, 340, 343, 344, 355, 356, 357, 358, 362, 363, 366, 385, 417, 431, 435, 437, 446, 454, 456, 457, 463, 464, 472, 477, 478, 484, 488, 515, 517, 531, 542, 543, 548, 556, 560, 561, 568, 569, 572, 576, 588, 589, 597, 598, 599, 600, 601, 602, 603, 604, 616, 619, 633, 642, 715, 716. 735, 739, 742, 754.
გორბუნოვი, პ. პ.—243, 386, 478. 506, 520.
გორკი, მაქსიმ (პეშკოვი, ა. მ.)—68, 155, 269, 478, 480, 698, 699.
გორხკი, ბ.—451.
გრაფტიო, გ. ო.—306—307, 326.
გრიბანოვა, ლ. დ.—190.
გრიგორიევი, ვ. ი.—226.
გროშანი, ვ. გ.—14, 111—112, 409, 444.

გრუბინი, ზ. ი.—154—155.
გუბკინი, ი. მ.—56, 94.

დ

დანილოვი, ს. ს.—330.
დანიშევსკი, კ. ხ.—164, 358, 504.
დატა (Datta), ბჰუპენდრანათ — 296.
დოვგალევსკი, ვ. ს.—674—675.
დოსერი, ზ. ნ.—80.

ე

ედიუკი, ა. ვ.—34, 495, 735.
ემელიანოვი, ნ. ა.—398, 399, 443—444, 500.
ემშანოვი, ა. ი.—81.
ენგელსი (Engels), ფრიდრიხ—44—45, 46, 345, 347.
ენუქიძე, ა. ს.—184, 240, 305, 465, 469, 470, 472, 514, 558, 562—563, 580, 613.
ენუქიძე, ტ. ტ. (სიმონ)—426.
ეფოვი, ი. კ.—406, 643.
ერმაკოვი, ვ. ს.—709.
ეხინი, ვ. ზ.—53—54.

ვ

ვაიდემაიერი (Weydemeyer), იოსებ—345.
ვაინშტეინი, ა. ლ.—470, 682.
ვალენიუსი (Wallenius), ალან ავგუსტის ძე—294.
ვანდერლიპი (Vanderlip), ვაშინგტონ, ბ.—69.
ვარგა, ე. ს.—620—621, 649, 661, 737.
ვასილიევი, ვ. ა.—167.
ვაშკოვი, ნ. ნ.—250, 278.
ვერი, ჰაროლდ—720, 723.
ვეტჩინკინი, ნ. ს.—485.
ვინტერი, ა. ვ.—110, 188.
ვიშინსკი, ა. ი.—147.
ვიშნიაკი, ი. ი.—320—321, 424.
ვლადიმიროვი (შეინფინკელი), მ. კ.—160, 264—265, 282, 338, 695, 702.
ვლადიმირსკი, მ. თ.—3, 100, 112, 327, 661.
ვოეკოდინი, პ. ი.—473, 474, 493.
ვოიკოვი, პ. ლ.—110, 111, 175.
ვოლკოვი, ე. ზ.—341.
ვოლოგდინი, ვ. პ.—674.
ვოლფი (Wolff), ოტო—717—720.
ვორობიოვი, ბ. ე.—170.
ვოროვსკი, ვ. ვ.—96, 443, 520, 537, 676, 735.
ვოროშილოვი, კ. ე.—122.
ვრანგელი, პ. ნ.—2.

ზ

ზალუცკი, პ. ა.—388, 465, 490, 491—492, 504.
ზასულიჩი, ვ. ი.—122.
ზაქსი, ბ. გ.—598, 599, 600, 603, 677, 678, 679, 713—714.
ზინოვიევი (რადომისლსკი), გ. ე.—6, 113, 121, 149, 172, 182, 185—186, 209, 210, 225, 228, 245—246, 248, 271, 287, 292, 324—325, 348, 350, 354, 440, 482, 491, 550—551, 552, 553, 610, 617, 656, 662, 671, 672, 673, 693, 701, 703, 729, 736, 737, 744, 751, 757.

თ

თუმანოვი, ნ. გ.—716.

ი

იაკოვენკო, ვ. გ.—490, 495, 498—499, 570—571, 682.
იაკოვლევი, ნ. ნ.—293.
იარონსლავსკი, ე. მ.—110, 379, 498.
იახონტოვი, ვ. ი.—604.
იენატოვი, კ. მ.—108.
ილიუშინი—49.
ინვიხესი, ლეო — ი ხ. ტიშკა (Tyszka), იან.
ინნოვი, ი. ი.—196.
ინნოვი (ეოიგენი, ფ. მ.)—254.
ირდანსკი, ნ. ი.—537.
იოფე, ა. ა.—28, 70, 153, 242, 265, 331, 518, 520, 537, 677.
იპატიევი, ვ. ნ.—279, 356.
იუროვსკი, ი. მ.—133.

კ

კაგანოვიჩი, პ. კ.—174.
კაისაროვი, ვ. დ.—196, 312.
კაიუროვი, ვ. ნ.—74, 299—300.
კალვერტი, გ. ს.—341, 382.
კალინინი, მ. ი.—4, 130, 224, 275, 296.
კალინიკოვი, ი. ა.—108.
კალნინი, ა. ე.—147, 745.
კამენევი (როზენფელდი), ლ. ბ.—53, 63, 65, 74, 95, 98, 216, 219, 224, 248, 269, 270, 275, 292, 334, 388, 432, 437, 451, 457, 464, 482, 490, 494, 496, 505, 506, 510, 527, 531, 541, 555, 558, 563, 588, 594, 595, 602, 610, 617, 637, 652, 653, 656, 657, 660, 701, 710, 711, 715, 716, 717, 718, 720, 727, 728, 736, 751, 756, 757.
კამენევი, ს. ს.—27.
კამინსკი, გ. ნ.—87.
კარახანი, ლ. მ.—63, 655.
კარმი, ადოლფ ს.—294.
კაროტი, ა.—473—474.
კარპინსკი, ვ. ა.—230, 465.
კარი (Carr). ჯონ (კატერფელდი, ლ.) — 474.
კასპაროვი, ვ. მ.—492.
კასპაროვა-პოპოვა — ი ხ. პოპოვა, ე. მ.
კერენსკი, ა. თ.—491.
კერჟენცევი (ლებედევი), პ. მ. — 443, 655.
კიზასი, ა. პ.—117, 144.
კოონენი (Koenen), ვილჰელმ — 188.
კირილინი, პ. ნ.—12.
კირპიჩნიკოვი, ვ. დ. — 177 — 178, 180.
კისელიოვი, ა. ს.—277, 297, 358, 368, 449—450, 460, 548, 637.
კისელისი, პ. ი.—123—124.
კისინი, ა. ა.—302, 313.
კლასონი, რ. ე.—142, 178, 180, 181, 301.
კლეტე—633.
კლიშკო, ნ. კ.—24, 126, 185, 242—243, 528.
კნიპოვიჩი, ბ. ნ.—311.
კნიპოვიჩი, ნ. მ.—260, 261, 311, 312, 417, 740.
კობლენცი, ი. გ.—568.
კოზლოვი, პ. ა. — 29.
კოზმინი, პ. ა.—108.
კოლჩაკი, ა. ვ.—321.
კომაროვი, ნ. პ.—354, 388.
კოპი, ვ. ლ.—40, 154, 172.
კოროლენკო, ვ. გ.—68.

კოროლიოვი, გ. კ.—7, 161.
კოროხტელევი, ა. ა.—216, 219.
კოტლიაროვი, გ. ი.—137.
კოტოვიჩ-სამერი, ნ. ი.—527.
კრასიკოვი, პ. ა.—361, 372.
კრასინი, გ. ბ.—501.
კრასინი, ლ. ბ.—10, 24, 72, 80, 86, 87, 126, 153—154, 166. 172, 174, 175, 202, 215, 218. 221, 242, 243, 247, 259, 262. 285, 291, 299, 301, 377, 389, 396, 409, 421, 431, 443, 458, 484. 494, 508, 513, 518. 528, 529, 534, 536, 537, 559, 567, 603, 610, 622, 634—635, 636, 637, 663. 664, 676, 700, 703, 709, 711, 728.
კრაიბიხი (Kreibich), **კარელ**—221, 281.
კრასინსკი, გ. დ.—446.
კრასნოშჩოკოვი, ა. მ.—508—509, 534, 536, 541, 608, 641, 644.
კრესტინსკი, ნ. ნ.—14, 19, 50, 51, 53, 68. 307. 378, 391, 476, 480, 511, 536, 640, 661, 662, 663, 699, 748.
კრილენკო, ნ. ვ.—707.
კრიცმანი, ლ. ნ.—76. 111, 118, 460.
168, 180, 197, 202—206, 211.
კრეიჟანოვსკი, გ. მ.—53, 54, 120, 168, 180, 197, 202—206, 211, 212, 213, 250, 262, 278, 285, 286. 291, 299, 344, 364, 373, 377, 390, 394, 455, 456, 460, 472, 501, 546, 549, 558, 577, 591—592, 623, 647, 648, 707, 712, 725, 727, 728, 729, 734.
კრუგი, კ. ა.—574, 575.
კრუმინი, გ. ი.—230, 353, 648.
კრუპ ფონ ბოლენ უნდ ჰალბახი (Krupp von Bohlen und Halbach), **გუსტავ**—539, 633, 663.
კრუპსკაია, ნ. კ.—6, 261, 293, 469, 471, 757.
კრუჩინსკი, ვ. ა.—42, 233.
კუზნეცოვი, ნ. ვ.—493.
კუიბიშევი, ვ. ვ.—341, 363, 382, 650.
კუნი (Kun), **ბელა**—26, 29, 185, 225, 502, 655.
კურაევი, ვ. ვ.—68.
კურენერი, ბ. ა.—335.
კურსკი, დ. ი.—129. 273, 327, 338, 361, 407, 418, 428. 444, 566, 568—569, 572. 580—587, 603, 604, 707.
კუსკოვა, ე. დ.—78, 215.
კუუსინენი, ო. ვ.—185.
კუშნერი, ბ. ა.—344.

ლ

ლავრენტიევა—302.
ლავრიკი—35.
ლაზარევი, პ. ბ.—456, 479, 675.
ლალაიანცი, ი ქ.—320, 400, 514. 563.
ლაპინსკი, პ. ლ. (ლევინსონი, ი.)—280, 312, 588.
ლარინი, ი. (ლურიე, მ. ა.)—38, 187, 203, 529, 535, 563.
ლარკინი (Larkin), **ჯეიმს**—427.
ლაცარი (Lazzari), **კონსტანტინო**—441, 746—747.
ლაციისი, მ. ი. (სუდრაბსი, ი. ფ.)—356.
ლევი (Levi), **პაულ**—103—104, 186, 245, 246.
ლევინი, ლ. ვ.—225, 573.

ლენგნიკი, ფ. ვ.—398, 399.
ლენინი (ულიანოვი), ვ. ი.—2—3, 5, 14, 17, 21—22, 29—30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 39—40, 42, 54—55, 58, 59, 69—70, 71, 72, 73, 74, 76, 80, 81, 88, 103—104, 118—119, 120, 135—136, 139, 141, 143, 149, 152, 154, 155, 171—172, 181—182, 184, 185—186, 188, 193, 195, 196, 200, 208, 209, 210, 216, 217, 222, 228, 229, 233, 236, 237, 239—240, 245, 246, 248, 251, 252—253, 259, 276, 279—280, 286, 287, 295, 296, 301, 302, 305, 309, 317, 318, 339, 340, 341, 345, 346, 347, 350, 354, 356, 361—362, 366, 373, 374, 376—377, 379, 398—399, 404—405, 415, 418, 419, 422, 423, 427—428, 437, 443—444, 445, 448, 449, 459, 464, 465, 467—472, 474—475, 480, 482, 483, 490, 491, 499, 501—502, 504, 515—516, 521, 526—527, 540, 544, 545, 550, 552—553, 563, 564, 574, 575, 576, 588, 595, 596—597, 610, 619, 620—621, 624, 636—637, 641—642, 649—650, 651, 661, 665—666, 667, 670, 673, 685, 689, 690, 692, 695, 704, 705, 706, 709, 710, 711, 723—724, 746, 749, 750.
ლეპეშინსკაია, ნ. ს.—117, 144, 317, 601, 686, 691, 693.
ლეჟავა, ა. მ.—94, 112, 119, 165, 174, 179, 196, 212, 214, 277, 473, 476, 483, 486, 500, 510, 522, 524, 529, 538, 539, 542, 610, 611, 634, 635, 718.
ლეუნევი, ი. გ.—688.
ლიუბოვიჩი, ა. მ.—10.
ლისიცინი, ბ. ი.—725.
ლიტვინოვი, მ. მ.—378, 410, 427, 443, 485, 486, 510, 520, 528, 534, 537, 596, 656, 664, 669.
ლიტკენსი, ე. ა. —14, 32, 41, 49, 52, 131, 315, 331, 473, 483, 488, 557, 574—575.
ლობაჩევი, ი. ს.—229.
ლოზოვსკი (დრიძო), ს. ა. — 228, 246, 745.
ლოიდ ჯორჯი (Lloyd George), დევიდ — 507, 567, 658, 659, 664, 676, 677.
ლომოვი, ა. (ოპოკოვი, გ. ი.)—80, 94.
ლომონოსოვი, ი. ვ. — 155, 443, 542, 547, 549, 639, 663.
ლუნაჩარსკი, ა. ვ.—14, 32, 49, 102, 108, 123, 124, 243, 331, 440—441, 488, 510—511, 683, 684.
ლუტოვინოვი, ი. ს. — 152 — 158, 171, 172, 218, 274, 443.
ლუქსემბურგი (Luxemburg), როზა—246.

მ

მაიაკოვსკი, ვ. ვ. — 123, 372.
მაინორი (Minor), რობერტ (ბალისტერი, დ.) — 474.
მალიკოვი (მალიკი), გ. ი.—35.
მალიშევი, ს. ვ.—523.
მალცანი (Malzahn), ჰენრიხ—228.
მანუილსკი, მ. ზ. — 182.
მანცევი, ვ. ნ. — 47, 687.

მარქსი (Marx), **კარლ** — 44 — 15. 347, 651. 652. 653.
მარტენსი, ლ. კ.—193, 198. 200—201, 252—253, 256, 387, 398. 410, 419, 420, 442—443, 643. 645, 646. 647.
მარტინოვი, ბ. ს. — 169.
მარტინოვიჩი, ნ. ნ.—169.
მარტოვი, ლ. (ცედერბაუმი, ი. ო.) —106.
მარხლევსკი (Marchlewski), **იულიან**—379.
მაფი (Maffi). **ფაბრიციო** –746.
მაქსიმოვსკი, ვ. ნ.—726.
მახარაძე, ფ. ე. — 757—758.
მახნო, ნ. ი.—27, 61.
მდივანი, პ. გ. (ბუდუ)—722, 757-—758.
მეისნერი, ვ. ი.—260, 261, 374.
მელნიჩანსკი, გ. ნ.—315.
მენდელეევი, დ. ი.—712.
მენჟინსკი, ვ. რ.—54, 208.
მენშიკოვი, ე. ს.—560.
მეჟლაუკი, ი. ი.—479.
მესინგი, ს. ა.—687.
მესიაცევი, პ. ა. — 481.
მეტელეევი, ა. დ.—459.
მეშჩერიაკოვა, ა. ი.—471.
მეშჩერიაკოვი, ნ. ლ. — 239—240 379.
მეხონოშინი, კ. ა.—208.
მილიუკოვი, პ. ნ.—589.
მიასკოვი, კ. გ.—337.
მიასნიკოვი, გ. ი.—251—252, 274, 475, 588.
მილიუტინი, ვ. პ.—39—40, 112—113, 116—117.
მინორი, ლ. ს.—449.
მიულერი (Müller), **რიხარდ**—228
მიროშნიკოვი, ი. ი. — 343 — 344 572—573.
მიხაილოვი, ვ. მ.—395, 403, 405, 415, 421, 465—466.
მიხაილოვი, ი. კ.—590, 697, 700, 710, 712.
მიხაილოვი (ელინსონი), ლ. მ.—510.
მიხაილოვსკი, ი. ო.—111.
მიშელი (Mishell), **ბ. ო.** — 420, 673, 693.
მიხელსონი, ვ. ა.—1.
მოლოტოვი (სკრიაბინი), ვ. მ. — 97, 102—103, 105, 128, 133, 144, 167, 171—172, 182, 184, 190, 208, 210, 214, 217, 220, 234, 242, 248, 257, 270, 274, 292, 300, 302, 315, 317, 354, 358, 365, 376, 383, 404, 439, 440, 445, 447, 449, 453, 465, 475, 476, 480, 482, 490, 494, 495, 497, 507, 508, 510, 511, 518, 519, 523, 524, 526, 536, 538, 539, 540, 549, 552, 556, 564, 565, 574, 575, 580, 587, 593, 596, 602, 604, 608, 613, 614, 617, 639, 641, 727, 729, 740.
მორდვილკო, ა. კ.—169.
მოროზოვი, მ. ვ.—560, 598, 599, 601.
მოროხანოვი, ა. ნ.—682.
მურალოვი, ნ. ი. — 53—54, 355 481, 482.
მუსაბეკოვი, გ. მ.—101.
მუსოლინი (Mussolini), **ბენიტო**—735.
მუშკეტოვი, დ. ი.—95.

ნ

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული — ი ხ. **კრუპსკაია, ნ. კ.**

ნაზვანოვი, მ. კ.—376—377, 546.
ნაკორიაკოვი, ნ. ნ. (ნაზარ ურალსკი)—509.
ნანსენი (Nansen), ფრიტიოფ — 214, 295, 296, 322.
ნარიმანოვი, ნარიმან ქერბალაი ნაჯაფ-ოღლი—25, 83, 86, 349.
ნეოპიხანოვი, ა. ა.—204.
ნეპრიახინი, მ. გ.—235, 249.
ნესტეროვი, ბ. პ.—548, 603.
ნიკოლაევი, ა. მ.—107, 163, 324, 675.
ნოგინი, ვ. პ.—134.
ნოვიცკი, ა. ა.—404, 431, 555.
ნულანსი (Noulens), ჟოზეფ—305, 322.

ო

ობორინი, ვ. პ.—317.
ოგანოვსკი, ნ. პ.—682.
ოკულოვი, ა. ი.—453.
ოლმინსკი, მ. ს.—687.
ორახელაშვილი, მ. დ.—722.
ორლოვი, ნ. ა.—476.
ორჯონიკიძე, გ. კ. (სერგო) — 83, 84, 90, 101, 105, 133, 176, 189, 220, 353, 388, 484, 716, 722, 757.
ოსადჩი, პ. ს.—203, 514—515, 592.
ოსინსკი, ნ. (ობოლენსკი, ვ. ვ.)—42, 54, 59—60, 68, 238—239, 336, 390, 445, 480, 482, 437, 575, 576, 682—683, 724, 732.
ოსტრიაკოვი, პ. ა.—309.

პ

პავლოვი, ვ. ა.—686.
პავლოვი, ი. პ.—31.
პავლოვიჩი, მ. პ. (ვეულტმანი, მ. ლ.)—197.
პაიკესი, ა. კ.—176, 182, 379.
პესტუნი, ხ. გ.—310.
პეტერსი, ი. ხ.—332.
პეტროვი, გ. ს.—110.
პეტროვსკი, გ. ი.—85, 132.
პეშეხონოვი, ა. ვ.—44, 47, 594.
პიატაკოვი, გ. ლ. — 85, 99, 226, 288—289, 447, 462, 463, 489, 551, 553, 592, 598, 599, 601, 614—615, 616, 706—707, 711, 725, 727, 728.
პილიავსკი, ს. ხ.—449.
პლეხანოვი, გ. ვ. — 121 — 122.
პოკროვსკი, მ. ნ.—28, 30, 41, 49, 62, 108, 123, 431, 488, 684.
პოლიაკოვი, მ. ხ.—477.
პოპოვი, ი. კ.—492.
პოპოვი, პ. ი.—3, 205, 284, 236, 392, 594, 648, 754.
პოპოვა (კასპაროვა), ე. მ. — 491—492.
პოტიაევი, ა. ი. — 118, 208, 234, 235, 237, 238, 249, 260, 374.
პრავდინი, ა. გ.—332.
პრეობრაჟენსკი, ა. ა.—477.
პრეობრაჟენსკი, ე. ა. — 78, 108, 365, 391, 422, 423, 425, 500, 508, 535, 541, 608, 668.
პროკოპოვიჩი, ს. ნ.—78, 295.
პუანკარე (Poincaré), რაიმონ — 567.

ჟ

ჟელტოვი, ი. ი.—435.
ჟიდელევი, ნ. ა.—697.

რ

რაბინოვიჩი, ფ. ი.—176.
რადეკი, კ. ბ.—149, 271, 294, 312,

348, **350**, 485, 536, 537, 549, 587, 588, 731, 736, 737.
რადჩენკო, ი. ი. — 93, 139, 165, 177, 180, 301, 366, 378, 398, 399, 420, 423, 430, 435, 489 560, 635, 636, 637, 726.
რაკოვსკი, ქ. გ.—57, 64, 66, 132, 134, 338, 390, 401, 447, 537.
რაკოში (Rákosi), **მატიას** — 294, 348.
რამზინი, ლ. კ.—205, 206, 344, 381, 547, 563.
რახია, ე. ა.—54—55.
რეინე, ტ. ე.—166.
რეინშტეინი, ბ. ი.—294, 386, 387, 398, 419, 427, 645, 646, 693.
რემეიკო, ი. ა.—447.
რესკე, ნ. ა.—311.
რიაზანოვი (გოლდენდახი), დ. ბ.—44, 45, 347.
რიკოვი, ა. ი.—25, 38, 66, 76, 80, 89, 91, 92, 102, 165, 208, 229, 232, 238, 295, 401, 467, 580, 638, 643, 645, 646, 654, 661, 665, 681, 682, 684, 689, 691, 694, 695, 696, 701, 708, 754.
რიკუნოვი, მ. ვ.—194, 422.
რინგო, ი. ა—11.
როზანოვი, ყ. ნ.—690.
როზენგოლცი, ა. პ.—695.
როეკოვი, ნ. ა.—551, 744.
როტშტეინი, ფ. ა.—220, 276, 746.
რუძუტაკი, ი. ე. — 35, 152, 153, 266, 497—498, 617, 659, 660, 745.
რუნოვი, ტ. ა.—295, 355, 632.
რუტგერსი (Rutgers), **სებალდ იუსტიუს**—341, 363, 382, 387, 388, 488, 645, 696.
რუტენბერგი (Ruthenberg), **ჩარლზ ემილ**—427.
რუხიმოვიჩი, მ. ლ.—289, 290, 365, 379—382, 447.

ს

სამარინი, ვ. ი.—441.
სამერი, ი. ა.—177, 527.
საფაროვი, ვ. ი.—265, 332, 495, 497, 662.
საფრონოვი, ტ. ვ.—162, 188, 303.
სემაშკო, ნ. ა. — 25, 28, 30, 58, 68, 109, 215, 334, 386, 449, 450, 617, 690, 692.
სენინი, ვ. ი.—77.
სერატი (Serrati), **ჯაჩინტო მენოტი**—104, 350, 351, 440, 441, 502, 747.
სერგო—იხ. ორჯონიკიძე, გ. კ.
სერებროვსკი, ა. პ.—83, 87, 133, 176, 199.
სერედა, ხ. პ.—1, 8, 9, 390.
სვერდლოვი, ი. მ.—492.
სვიდერსკი, ა. ი.—19, 20, 21, 147, 310, 706, 741.
სირცოვი, ს. ი.—85.
სკვორცოვი — იხ. სკვორცოვ-სტეპანოვი, ი. ი.
სკვორცოვ-სტეპანოვი, ი. ი.—222, 315, 345, 372, 403, 683, 686, 687.
სკლიანსკი, ე. მ.—26, 27, 48, 56, 158, 167, 190, 333, 563.
სკობელევი, მ. ნ.—305.
სმილგა, ი. ტ.—50, 93, 164—165, 211, 213, 288, 290, 381, 487, 543, 588, 702, 703.
სმირნოვი, ა. პ.—368.
სმირნოვი, ვ. მ.—76, 681.
სმირნოვი, ი. ნ.—56, 66, 182, 214, 446, 655.
სმირნოვი, ნ. ნ.—56.

სმიტ-ფალკნერი, მ. ნ.—79.
სმოლიანინოვი, ვ. ა.—125, 135—137, 141, 144, 160, 178, 214, 215, 226, 230, 231, 232, 233, 249, 256, 262, 272, 301, 302, 303, 304, 306, 309, 311, 312, 313, 316, 330, 357, 401, 425, 433, 434, 446, 465, 500, 501, 521, 525, 530, 531, 543, 546, 548, 603, 619, 623, 648, 671, 672, 675, 677—680, 681, 633, 684, 694, 697, 703, 704, 706, 708, 721.
სოკოლნიკოვი (ბრილიანტი), გ. ი.—153, 454, 495, 496, 497, 508, 512, 533—536, 541, 555, 561, 576, 578, 579, 588, 602, 608, 610—611, 614—615, 632—633, 634, 644, 666, 716, 734.
სოლოვიოვი, ვ. ი.—14.
სოლოვიოვი, ნ. ი.—318.
სოლცი, ა. ა.—172, 217, 293, 490, 491, 639.
სოროკინი, პ. ს.—241.
სოსნოვსკი, ლ. ს.—355, 406, 429, 657, 724.
სპანდარიანი, ს. ა.—184—185.
სპანდარიანი, ს. ს.—184—185.
სტალინი (ჯუღაშვილი), ი. ბ.—25, 65, 71, 107, 119, 279, 290, 292, 295, 354, 365, 381, 400, 410, 415, 446, 450, 482, 484, 508, 514, 527, 528, 531, 541, 547, 555, 563, 574, 588, 595, 602, 606, 610, 617, 637, 656 657, 658—660, 661, 665, 666 668, 680, 686, 689, 690, 692, 693, 694—695, 697, 700, 701, 706, 716, 717, 728, 729, 736, 744, 750, 756, 757, 758.
სტარკოვი, ვ. ვ.—142.
სტასოვა, ე. დ.—184.
სტეკლოვი, ი. მ.—230, 292—293, 493, 687.
სტინესი (Stinnes), ჰუგო—458.
სტიუნკელი, ბ. ე.—549.
სტომონიაკოვი, ბ. ს.—153—154 171, 172, 202, 218, 221, 225, 233, 443, 480, 637, 663, 718, 748—749.
სტრიჟოვი, ი. ნ.—56.
სტრუმილინი (სტრუმილო-პეტრაშ-კევიჩი), ს. გ.—205, 433, 563.
სტუჩკა, პ. ი.—181.
სუნ იატ-სენი—544.
სუხანოვი, ნ. (გიმერი, ნ. ნ.)—537.

ტ

ტალჰაიმერი (Thalheimer), ავ-გუსტ—188.
ტარატუტა, ვ. კ.—176.
ტეოდოროვიჩი, ი. ა.—116, 192, 238, 445, 481, 482, 495, 682, 724, 731—732.
ტერ-გაბრიელიანი, ს. მ.—21.
ტეუმინი, ი. ვ.—375.
ტიმირიაზევი, კ. ა.—725.
ტიშკა (Tyszka), იან (იოგიხეს, ლეო)—246.
ტიხანოვი, ა. ს.—169.
ტიხვინსკი, მ. მ.—314.
ტიხომიროვი, ვ. ა.—620.
ტომსკი, მ. პ.—89, 118, 153, 265, 332, 699, 701, 745.
ტრიფონოვი, ვ. ა.—50, 418, 487.
ტროიანოვსკი, ა. ა.—643—644.
ტროფიმოვი, კ. ვ.—675.
ტროცკი (ბრონშტეინი), ლ. დ.—2, 12, 61, 71, 81, 89, 120, 121, 247, 248, 270, 292, 364, 389, 458, 487, 499, 504, 505, 532, 533,

534, 549, 550, 591, 638, 656, 657, 703, 736, 737, 748, 750, 751, 752, 753, 755, 756, 757.
ტუხაჩევსკი, მ. ნ.—167.

უ

უგლანოვი, ნ. ა.—354, 388.
უელსი (Wells), **ჰერბერტ ჯორჯ**—478.
ულიანოვა, მ. ი.—230, 704.
ულიანოვი, ა. ი.—437.
ულიანოვი, დ. ი.—94.
ულრიხი, ა. ი.—678.
უნშლიხტი, ი. ხ.—160, 169, 203, 208, 219, 271, 293, 294, 376, 436, 442, 448, 450, 515, 532, 546, 551, 594, 616.
ურალსკი, ნაზარ — იხ. ნაკორიაკოვი, ნ. ნ.
ურკარტი, ლესლი—285, 389, 409 431, 507, 591, 697, 700, 703, 710, 711, 712, 728.
უხანოვი, კ. ვ.—222.

ფ

ფალკნერი, ხ. ა. — 79.
ფერგიუსონი, ა. ე.—427.
ფომინი, ვ. ვ.—107, 160, 486, 515, 547, 563, 739.
ფოტიევა, ლ. ა. — 140, 141, 142, 216, 284, 294, 334, 502, 514, 532, 544, 655, 671, 672, 678, 679, 691, 693, 694, 747.
ფოფანოვა, მ. ვ.—238, 239, 526—527.
ფრანსი (France), **ჯოზეფ ირვინ**—220.
ფრიოლიხი (Fröhlich), **პაულ** — 188.
ფრუმკინი, მ. ი.—17, 20, 21, 43, 80, 101, 173, 175, 196, 227, 255, 279, 340, 365, 527, 528, 635, 636, 680, 682, 718, 728, 748, 749, 753.
ფრუნზე, მ. ვ.—27, 85, 132.
ფულტე—633.

ქ

ქავთარაძე, ს. ი.—722.

შ

შაპირო, ლ. გ. — (შანინი, მ.) — 468—472.
შაპოვალოვა, ა. ს.—346.
შაპოშნიკოვი, ა. რ.—73.
შატილოვი, ი. ნ.—724—725.
შატუნოვსკი, ი. მ.—120, 121.
შაფრანსკი, ი. ო.—199.
შეინმანი, ა. ლ. — 240, 378, 510, 548, 602.
შელეხესი, ი. ს.—268.
შვარცი, ი. ი. („სეგმიონ")—447.
შვედჩიკოვი, კ. მ.—429.
შკლოვსკაია, დ. ზ.—33, 55.
შკლოვსკი, გ. ლ. — 33, 55, 154, 171—172, 218, 661—662.
შლიაპნიკოვი, ა. გ.—89, 274.
შმერალი (Smeral), **ბოგუმირი** — 221, 281.
შმიდტი, ვ. ვ. — 89, 90.
შმიდტი, ო. ი.—41, 535.
შოტმანი, ა. ვ.—716.
შოუ (Shaw), **ჯორჯ ბერნარდ** — 478.
შპეკტოროვი, ნ. ლ.—111.
შტაინმეცი (Steinmetz), **ჩარლზ პროფეუს** (კარლ ავგუსტ რუდოლფ)—743.

შტეინბერგი, ა. ბ.—430, 451, 522, 523, 524.
შჩერბა, ლ. ვ.—169.
შჩურკევიჩი, ა. ა.—169.

ჩ

ჩებოტარიოვი, ი. ნ.—437, 438.
ჩეიკო, ი. ა. (ჩეიკა) — 455, 456, 478.
ჩეკუნოვი, ი. ა.—58, 59—60.
ჩერლიუნჩაკევიჩი, ნ. ა.—338.
ჩილბუმი (Kilbom), **კარლ**—294.
ჩირკინი, ვ. გ.—469.
ჩიჩერინი, გ. ვ.—10, 14, 21, 24, 28, 29, 55, 63, 65, 70, 72, 85, 125, 172, 181, 182, 183, 220, 229, 239, 240, 242, 243, 253, 254, 256, 257, 270, 275, 305, 321, 327, 337, 379, 386, 389, 395, 396, 408, 409, 410, 415, 421, 432, 446, 458, 484, 485, 486, 507, 518, 519, 520, 537, 540, 541, 543, 544, 558, 567, 574, 587, 593, 595, 596, 605, 624—632, 642, 657, 658, 659, 660, 662, 663, 664, 665, 668, 670, 676, 730, 735.
ჩუბარი, ვ. ი.—303, 401, 456, 709, 711, 734.
ჩუცკაევი, ხ. ე. — 9, 16, 65, 151, 214, 446, 618.

ც

ცეგპაუ — 633.
ცევჩინსკი, ა. ი.—56.
ცეტკინი (Zetkin), **კლარა**—103—105, 149, 245, 246.
ცინცაძე, კ. მ.—722.
ციურუპა, ა. დ.—18—19, 57, 58, 64, 66, 68, 75, 77, 89, 102, 162, 467, 476, 512, 523, 524, 527, 530—532, 548, 558, 561, 569, 572, 576, 577, 579, 580, 588, 598—601, 602, 603, 613, 614, 615, 637, 638, 642, 644, 645, 646, 654, 661, 665, 666, 681, 689, 691, 694, 704, 706.
ციურუპა, გ. დ.—202, 221, 424, 512, 521, 530.

ძ

ძერჟინსკი, ფ. ე.—65, 78, 150, 182—183, 219, 259, 457, 465, 687, 689, 692, 756, 758.

წ

წერეთელი, ი. გ.—106.

ხ

ხალატოვი, ა. ბ.—146—147, 431.
ხინჩუკი, ლ. მ. — 173, 175, 196, 316, 362, 430, 451, 464, 487, 619.
ხოდოროვსკი, ი. ი.—740.

ჯ

ჯენარი (Gennari), **ეჯიდიო** — 350

ჰ

ჰამერი (Hammer), **არმანდ**—386, 387—388, 398, 409, 419, 420,

427, 488, 645—646, 671, 672, 673, 693.

ჰამერი (Hammer), **იული** — 386, 427, 673.

ჰარიმანი (Harriman), **უილიამ ავერელ**— 538, 539.

ჰარდინგი (Harding), **უორენ**—69, 287.

ჰეივუდი (Haywood), **უილიამ (ბილ)**—294, 341, 382.

ჰეკერტი (Heckert), **ფრიც**—228.

ჰუვერი (Hoover), **ჰერბერტ კლარკ**—270, 271, 297, 409.

შინაარსი

პინასიტყვაობა IX

1920 წლის ნოემბერი — დეკემბერი

1. ს. პ. სერეიდას. 6 ნოემბერი 1
2. სახალხო კომისართა მცირე საბჭოს. 6 ნოემბერი . . 2
3. დეპეშა სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 12 ნოემბერი 2
4. ნ. პ. ბრიუხანოვს, პ. ი. პოპოვს, ვ. ა. ავანესოვს, მ. თ. ვლადიმირსკის. 12 ნოემბერი 3
5. მ. ი. კალინინს. 12 ნოემბერი 4
6. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ტყავის მრეწველობის მთავარ სამმართველოს. 12 ნოემბერი . . 5
7. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების გამოგონებათა განყოფილებას. 13 ნოემბერი 5
8. რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს. 14 ნოემბერი . . . 6
9. ა. მ. ანიკსტს. 15 ნოემბერი 7
10. ს. პ. სერეიდას და ნ. პ. ბრიუხანოვს. 16 ნოემბერი . . 8
11. ვ. ა. ავანესოვს. 17 ნოემბერი 9
12. ტელეფონოგრამა ა. მ. ლიუბოვიჩს. 17 ნოემბერი . . 10
13. გ. ვ. ჩიჩერინს. 19 ნოემბერი 10
14. დავალებები მდივანს . . . . . 11—12

1. 19 ნოემბერი 11
2. 20 ნოემბერი 12

15. ა. მ. ანიქსტს. 20 ნოემბერი 12

16. მცირე სახკომსაბჭოს. ნოემბერი, 20-ის შემდეგ . . . 13

17. სახელმწიფო გამომცემლობას. 26 ნოემბერი . . . 13

18. გ. ვ. ჩიჩერინს. 29 ნოემბერი 14

19. ა. ვ. ლუნაჩარსკის. 29 ნოემბერი 14

20. ს. ე. ჩუცკაევს. 30 ნოემბერი 16

21. ნ. პ. ბრიუხანოვს. 30 ნოემბერი 17

22. ა. მ. ამოსოვს. 12 დეკემბერი 17

23. ა. დ. ციურუპას. 14 დეკემბერი 18

24. ა. დ. ციურუპას. 14 დეკემბერი 19

25. მ. ი. ფრუმკინს. 14 დეკემბერი 20

26. გ. ვ. ჩიჩერინს. 14 დეკემბერი 21

27. დეპეშა 1-ლი შრომითი არმიის საბჭოს, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ურალის საოლქო ბიუროს, ეკატერინბურგის საგუბერნიო აღმასკომს, ურალის უნივერსიტეტს. 17 დეკემბერი 22

28. დიდი თეატრის კომენდანტს. 18 დეკემბერი . . . 23

29. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობას. 21 დეკემბერი . 23

30. დეპეშა ლ. ბ. კრასინსა და ნ. კ. კლიუკოს. 31 დეკემბერი 24

31. ნ. პ. ბრიუხანოვს. 31 დეკემბერი . . . . . , 25

32. ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს. დეკემბერი 25

33. ე. მ. სკლიანსკის. 1920 წელი 26

34. ბელა კუნის ბროშურის გამო. 1920 წელი 26

35. ე. მ. სკლიანსკის. 1920 წ. დამლევი—1921 წ. დამდეგი . 27

1921 წელი

36. ნ. პ. გორბუნოვს. 2 იანვარი 28

37. გ. ვ. ჩიჩერინს. იანვარი, არა უადრეს 3-ისა 28

38. გ. ვ. ჩიჩერინს. იანვარი არა უადრეს 4-ისა 29

39. ნ. პ. გორბუნოვს. 6 იანვარი 29

40. ნ. პ. გორბუნოვს. 6 იანვარი 30

41. ნ. პ. გორბუნოვს. 12 იანვარი 31

42. ტელეფონოგრამა ა. ვ. ლუნაჩარსკისა და ე. ა. ლიტ-კენსს. 14 იანვარი 32

43. ნ. პ. გორბუნოვს. 18 იანვარი 32

44. დ. ზ. შკლოვსკაიას. 18 იანვარი 33

45. ნ. პ. გორბუნოვს. 18 იანვარი 34

46. «პრავდის» რედაქციას. 19 იანვარი 35

47. ვლადიკავკაზის რკინიგზის სადგურ პროლეტარსკაიას მუშებს, ხელოსნებს, მოსამსახურეებსა და კომუჯრედს. 20 იანვარი 35

48. ნ. პ. გორბუნოვს. 25 იანვარი 37

49. ა. ი. რიკოვს. 26 იანვარი. 38

50. ნ. პ. გორბუნოვს. 26 იანვარი 38

51. სორმოვოს ქარხანას. 26 იანვარი 39

52. ვ. პ. მილიუტინს. 27 იანვარი 39

53. ნ. პ. გორბუნოვს. 27 იანვარი 40

54. ნ. პ. გორბუნოვს. 27 იანვარი 40

55. მ. ნ. პოკროვსკის, ე. ა. ლიტკენსს, ო. ი. შმიდტს. 28 იანვარი 41

56. მ. ა. კრუჩინსკის. 31 იანვარი 42

57. ნ. პ. გორბუნოვს. 31 იანვარი 43

58. მ. ი. ფრუმკინს. 1 თებერვალი 43

59. დ. ბ. რიაზანოვს. თებერვალი, უადრეს 2-ისა 44

60. დ. ბ. რიაზანოვს. 2 თებერვალი 45

61. ა. ბ. ბოიხბარბს. 2 თებერვალი 46

62. ვ. ნ. მანცევს. 3 თებერვალი 47

63. ე. მ. სალიანსკის. 6 თებერვალი 48

64. ა. ვ. ლუნაჩარსკის. 14 თებერვალი 49

65. დეპეშა მე-11 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 14 თებერვალი 50

66. დეპეშა მე-11 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 15 თებერვალი 50

67. ა. ბ. ბოიხბარბს. 15 თებერვალი 51

68. რაკ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. 15 თებერვალი . . . 52

69. ნ. ნ. კრესტინსკის. 16 თებერვალი 53

1 53

2 53

70. ნ. ი. მურალოვს. 18 თებერვალი 53

71. ვ. რ. მენჟინსკის. 18 თებერვალი 54

72. ბ. ვ. ჩიჩერინს. თებერვალი, არა უადრეს 21-ისა . . . 55

73. დეპეშა ი. ნ. სმირნოვს. თებერვალი, 21 ან 22 თებერვალი 56

74. ამხანაგებს ი. მ. ბუბკინს, ა. ი. ცევჩინსკის, ი. ნ. სტრიჟოვს, ნ. ნ. სმირნოვს. 23 თებერვალი 56

75. დეპეშა ქ. ბ. რაკოვსკის. 24 თებერვალი 57

76. ნ ა. სემაშკოს. 28 თებერვალი 58

77. ა. დ. ციურუპას. 1921 წლის თებერვალი 58

78. ნ. ოსინსკის. 1 მარტი 59

79. ლ. დ. ტროცკის. 3 მარტი 61
80. მცირე სახკომსაბჭოს. 3 მარტი 61
81. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. 3 მარტი 62
82. მ. ნ. პოკროვსკის. მარტი, არა უადრეს 4-ისა . . . 62
83. ლ. ბ. კამენევს. 5 მარტი 63
84. ბ. ვ. ჩიჩერინსა და ლ. მ. კარახანს. 7 მარტი . . . 63
85. ა. დ. ციურუპას. 8 მარტი 64
86. ბ. ვ. ჩიჩერინს. 9 მარტი 65
87. ლ. ბ. კამენევსა და ი. ბ. სტალინს. 9 მარტი . . . 65
88. ა. ი. რიკოვს. 10 მარტი 66
89. ა. ბ. ბოიხბარბს. 12 მარტი 67
90. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს. 13 მარტი 67
91. ნ. ა. სემაშკოს. მარტი, არა უადრეს 16-ისა 68
92. ვაშინგტონ ვანდერლიპს. 17 მარტი 69
93. ა. ა. იოფეს. 17 მარტი 70
94. რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. მარტი, 18 ან 19 . . . 72
95. დეკეშა ლ. ბ. კრასინს. 19 მარტი 72
96. მოწმობა ა. რ. შაპოშნიკოვს. 22 მარტი 73
97. ვ. ნ. კაიუროვს. 24 მარტი 74
98. ლ. ბ. კამენევს. 24 მარტი 74
99. ა. დ. ციურუპას. 25 მარტი 75
100. ა. ი. რიკოვს. 26 მარტი 76
101. ა. დ. ციურუპას. 27 მარტი 77
102. ფ. ე. ძერჟინსკის. 27 მარტი 78
103. ე. ა. პრეობრაჟენსკის. 27 მარტი 78

104. ა. ი. რიკოვს. 27 მარტი 80

105. ლ. დ. ტროცკის. 28—29 მარტი 81

106. ა. ი. ემშანოვს. 29 მარტი 81

107. გარათი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს ბ. კ. ორჯონიკიძისადმი დეპეშის პროექტით. 29 მარტი 83

108. დეპეშა ბ. კ. ორჯონიკიძეს. 30 მარტი 84

109. ტელეფონოგრამა ბ. ი. პეტროვსკისა და მ. ვ. ფრუნზეს. 30 მარტი 85

110. ბ. ვ. ჩიჩერინს. 31 მარტი 85

111. დეპეშა ლ. ბ. კრასინს. მარტი 86

112. ა. პ. სერებროვსკის. 2 აპრილი 87

113. ვ. ვ. შმიდტს, ლ. დ. ტროცკის, ა. დ. ციურუპას, ა. ი. რიკოვს, მ. პ. ტომსკის, ა. ბ. შლიაპნიკოვს. 2 აპრილი . 89

114. დეპეშა ბ. კ. ორჯონიკიძეს. 5 აპრილი 90

115. ა. ი. რიკოვს. 5 აპრილი 91

116. ა. ი. რიკოვს. 6 აპრილი 92

117. ა. მ. ლეშავას. 6 აპრილი 94

118. დ. ი. ულიანოვს. 6 აპრილი 94

119. ლ. ბ. კამენევს. აპრილი, 6-ის შემდეგ 95

120. დეპეშა ვ. ვ. ვოროვსკის. 8 აპრილი 96

121. დეპეშა იაკუტიის ღარიბთა კონფერენციას. 9 ან 10 აპრილი 96

122. ვ. მ. მოლოტოვს. 9 და 21 აპრილს შუა 97

123. ლ. ბ. კამენევს. 14 აპრილი 98

124. ბ. ლ. პიატაკოვს. 14 აპრილი 99

125. მ. თ. ვლადიმირსკის. 14 აპრილია 100

126. დეპეშა მ. ი. ფრუმკინსა და ა. გ. გელოგოროდოვს. 15 აპრილი 101
127. ა. დ. ციურუპას. 15 აპრილი 102
128. ვ. მ. მოლოტოვს. 15 აპრილი 102
129. კლარა ცეტკინსა და პაულ ლევის. 16 აპრილი . . . 103
130. ვ. მ. მოლოტოვს. 17 აპრილი 105
131. დეპეშა გ. კ. ორჯონიკიძეს. 18 აპრილი 105
132. გარათი ნ. პ. გორგუნოვს და შენიშვნები ა. მ. ნიკოლაევის წერილზე. 18 აპრილი 107
133. ი. გ. სტალინს. 18 ან 19 აპრილი 107
134. ე. ა. პრეობრაჟენსკის. 19 აპრილი 108
135. ნ. ა. სემაშკოს. 19 აპრილი 109
136. ე. იაროსლავსკის. აპრილი, არა უადრეს 20-ისა . . . 110
137. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს და სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას. 22 აპრილი 110
138. ნ. ლ. შაეფტოროვს, პ. ლ. ვოიკოვს, ა. ზ. გოლცმანს, ლ. ნ. კრიცმანს, ვ. გ. გრომანს. 23 აპრილი 111
139. მ. თ. ვლადიმირსკის, ა. მ. ლეშავას, ვ. პ. მილიუტინს. 23 აპრილი 112
140. გ. ე. ზინოვიევს. 24 აპრილი 113
141. ი. ა. ტეოდოროვიჩს. 25 აპრილი 116
142. ი. ს. განეცკის. 25 აპრილი 117
143. ნ. პ. გრიუხანოვს, ლ. ნ. კრიცმანს, მ. პ. ტომსკის, ა. ი. პოტიაევს. 26 აპრილი 118
144. ნ. პ. გორგუნოვს. 26 აპრილი 118
145. ა. მ. ლეშავას. აპრილი, 28-ზე ადრე 119
146. ლ. დ. ტროცკის. 30 აპრილი 120
147. გ. ე. ზინოვიევს. 3 მაისი 121

148. ბ. ე. ზინოვიევს. 5 მაისი 121
149. დეპეშა კ. ე. ვოროშილოვს. 5 მაისი 122
150. ა. ვ. ლუნაჩარსკის. 6 მაისი 123
151. მ. ნ. პოკროვსკის. 6 მაისი 123
152. ი. ბ. ალექსანდროვს. 6 მაისი 124
153. ბ. ვ. ჩიჩერინს. 6 და 10 მაისს შუა 125
154. ვ. ა. სმოლიანინოვს. მაისი, 6-ის შემდეგ 125
155. ლ. ბ. კრასინს. 9 მაისი 126
156. ლ. ბ. კრასინს. მაისი, არა უგვიანეს 10-ისა 126
157. დეპეშა საბჭოთა მთავრობის დელეგაციას. 10 მაისი . 127
158. დავალება სახკომსაბჭოს მდივანს. 10 მაისი 127
159. ვ. მ. მოლოტოვს. 10 მაისი 128
160. ნ. პ. ბრიუხანოვს. 11 მაისი 129
161. დ. ი. კურსკის. 12 მაისი 129
162. მ. ი. კალინინს. მაისი, 14-ზე ადრე 130
163. ე. ა. ლიტკენსს. 17 მაისი 131
164. მ. ვ. ფრუნზეს. 18 მაისი 132
165. ვ. მ. მოლოტოვს. 19 მაისი 133
166. დეპეშა ა. პ. სერებროვსკის. 19 მაისი 133
167. ვ. პ. ნოგინსა და ნ. პ. ბრიუხანოვს. 19 მაისი . . . 134
168. ვ. ა. სმოლიანინოვს. 19 მაისი 135
169. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. 20 მაისი 137
170. ი. ი. რადჩენკოს. 23 მაისი 139
171. ბარათი ლ. ა. ფოტიევას და დავალება ვ. ა. სმოლიანინოვს. 23 მაისი 141

172. რ. ე. კლასონს. 24 მაისი 142
173. ბ. ი. ბოკის. 24 მაისი 143
174. დავალება მდივანს. 24 მაისი 144
175. ვ. მ. მოლოტოვს. მაისი, არა უგვიანეს 25-ისა . . . 144
176. ნ. პ. ბრიუხანოვს. 25 მაისი 145
177. ა. ბ. ხალატოვს. 26 მაისი 146
178. დირექტივები «ალბემბის» კომისიას. 28 მაისი . . . 148
179. ტელეფონოგრამა კ. ბ. რადეკსა და ბ. ე. ზინოვიევს. 28 მაისი 149
180. ა. ო. ალსკის. 29 მაისი 150
181. ი. ხ. ლუტოვინოვს. 30 მაისი 152
182. ე. მ. სკლიანსკის. 30 მაისი 158
183. ტელეფონოგრამა ნ. პ. ბრიუხანოვს. 30 მაისი . . . 160
184. ტელეფონოგრამა ი. ს. უნშლიხტს, ვ. ვ. ფომინს, ნ. პ. ბრიუხანოვს. 31 მაისი 160
185. ბ. კ. კოროლიოვს. 31 მაისი 161
186. ბ. დ. ციურუპას. 31 მაისი 162
187. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს. 31 მაისი . 163
188. ი. ტ. სმილგას. 31 მაისი 164
189. ა. მ. ლეჟავასა და ა. ი. რიკოვს. არა უადრეს მაისისა . 165
190. ლ. ბ. კრასინს. ივნისზე ადრე 166
191. ე. მ. სკლიანსკის. მაისი—ივლისის პირველი ნახევარი . . 167
192. ვ. მ. მოლოტოვს. 1 ივნისი 167
193. ბ. მ. კრუჟიჟანოვსკის. 2 ივნისი 168
194. ტელეფონოგრამა ი. ს. უნშლიხტს. 2 ივნისი 169
195. ა. ო. ალსკის. 3 ივნისი 170

196. ვ. მ. მოლოტოვს. ივნისი, არა უადრეს 4-ისა 171

197. მ. ი. ფრუმკინს. 5 ივნისი 173

198. ა. მ. ლეჟავას. 5 ივნისი 174

199. ი. ი. რადჩეკოს. 5 ივნისი 177

200. რ. ე. კლასონს. 5 ივნისი 178

201. ა. მ. ლეჟავას. 6 ივნისი 179

202. ი. ი. რადჩენკოს. 7 ივნისი 180

203. პ. ი. სტუჩკას. 7 ივნისი 181

204. ვ. მ. მოლოტოვს. ივნისი, 7-ის შემდეგ 182

205. ი. მ. იუროვსკის. 10 ივნისი 183

206. ვ. მ. მოლოტოვს. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსათვის. 11 ივნისი 184

207. ბ. ე. ზინოვიევს. 11 ივნისი 185

208. ნ. პ. ბორბუნოვს. 12 ივნისი 186

209. ი. ლარინს. 14 და 18 ივნისს შუა 187

210. ვილჰელმ კიონენს, ავგუსტ ტალჰაიმერს, პაულ ფრიოლიხს. 16 ივნისი 188

211. პ. ა. ბოგდანოვს. 16 ივნისი 188

212. დეპეშა ბ. კ. ორჯონიკიძეს. 18 ივნისი 189

213. ვ. მ. მოლოტოვს. 18 ივნისი 190

214. ე. მ. სკლიანსკის. 19 ივნისი 190

215. პროექტი დეპეშისა საბჭოთა სავაჭრო დელეგაციისადმი ლონდონში. 20 ივნისსა და 2 ივლისს შუა . 191

216. ა. თ. ალსკის. ივნისი, 21-ზე ადრე 191

217. ი. ა. ტეოდოროვიჩს. 21 ივნისი 192

218. ლ. კ. მარტენსს. 22 ივნისი 193

219. მ. ვ. რიკუნოვს. 22 ივნისი 194

220. მცირე სახკომსაბჭოს. 22 ივნისი 195

221. ბ. ი. ბოკის. 25 ივნისი 195

222. მ. ი. ფრუმკინს. 25 ივნისი 196

223. ვ. დ. კაისაროვსა და ი. ი. იონოვს. 25 ივნისი . . . 196

224. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. 25 ივნისი 197

225. დავალება მდივანს. 25 ივნისი 198

226. დეპეშა სამარყანდელ კომუნისტებს. 27 ივნისი . . . 199

227. თურქესტანის რესპუბლიკის სახკომსაბჭოსა და სურსა-
თის სახალხო კომისარიატს. 27 ივნისი 199

228. ლ. კ. მარტენსს. 27 ივნისი 200

229. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს. 27 ივნისი . 201

230. ბ. ს. სტომონიაკოვს. 30 ივნისი 202

231. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. 2 ივლისი 202

232. ი. ს. უნშლიხტს. 4 და 7 ივლისს შუა 206

233. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. 5
ივლისი 207

234. ვ. მ. მოლოტოვს. 7 ივლისი 208

235. ა. ი. რიკოვსა და ვ. მ. მოლოტოვს. 7 ივლისი . . . 209

236. კომინტერნის III კონგრესის ტაქტიკის საკითხთა კო-
მისიის სხდომის მონაწილეებს. 7 ივლისი 209

237. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს. 8 ივ-
ლისი 210

238. ბ. ე. ზინოვიევს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პო-
ლიტბიუროს წევრებისათვის. ივლისი, არა უადრეს 9-ისა . 210

239. ი. ტ. სმილგას. 10 ივლისი 211

240. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. 10 ივლისი 212

241. ნ. პ. ბრიუხანოვს, ა. მ. ლეჟავას და ვ. ა. ავანესოვს.
11 ივლისი 212

242. ი. ტ. სმილგას. 11 ივლისი 213

243. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის. 11 ივლისი 214

244. ვ. ა. სმოლიანინოვს. 11 ივლისი . . . . . 214—215

1 214

2 215

245. ნ. ა. სემაშკოს. 12 ივლისი 215

246. ა. ა. კოროსტელევს. 13 ივლისი 216

247. ლ. ა. ფოტიევას. 13 ივლისი 216

248. მ. მ. გოროდინს. 13 ივლისი 217

249. ბ. ლ. შალოვსკის. 13 და 19 ივლისს შუა 218

250. ა. ა. კოროსტელევს. 15 ივლისი 219

251. ფ. ე. ძერჟინსკის, ი. ს. უნშლიხტს. 15 ივლისი 219

252. დამატება წერილისა ფრანსის შესახებ. ივლისი, არა უადრეს 15-ისა 220

253. ბ. ვ. ჩიჩერინს. 16 ივლისი 220

254. დავალება მდივანს. ივლისი, 17-ზე ადრე 221

255. ტელეფონოგრამა ბ. დ. ციურუპას. 17 ივლისი 221

256. ტელეფონოგრამა ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვს. 17 ივლისი 222

257. როგოუსკ-სიმონოვოს დეპუტატთა საბჭოს პრეზიდიუმს. 17 ივლისი 222

258. დეპეშა საბჭეების ხიმგირსკის საშაზრო ყრილობას. 18 ან 19 ივლისი 223

259. ტელეფონოგრამა მ. ი. კალინინსა და ლ. ბ. კამენევს. 19 ივლისი 224

260. დავალება მდივანს და ბარათი ლ. ბ. ლევის. 19 ივლისი 225

261. ტელეფონოგრამა გ. ს. სტომონიაკოვს. 20 ივლისი . . 225

262. ქვანახშირის მრეწველობის მთავარ სამმართველოს. 20 ივლისი 226

263. მ. ი. ფრუმკინს. 20 ივლისი 227

264. რიჰარდ მიულერსა და ჰაინრიხ მალცანს. 20 ივლისი . 228

265. ი. ს. ლოგაჩოვს, ა. ი. რიკოვს. 20 ივლისი 229

266. გ. ვ. ჩიჩერინს. 20 ივლისი 229

267. ი. მ. სტეკლოვს, მ. ი. ულიანოვას, ვ. ა. კარპინსკის, გ. ი. კრუმინს. 21 ივლისი 230

268. ტელეფონოგრამა ა. ი. რიკოვს. 22 ივლისი 232

269. ვ. მ. გაჟანოვს, ს. ა. გეცოვს. 22 ივლისი 232

270. მ. ა. კრუჩინსკის. 23 ივლისი 233

271. შენიშვნები ინზიდან მიღებულ დეპეშაზე და გარათი ნ. პ. გრიუხანოვს, ვ. ა. ავანესოვს, ვ. მ. მოლოტოვს. 24 ივლისი 234

272. ა. ი. პოტიაევს, ვ. ა. ავანესოვს. 24 ივლისი 234

273. ა. ი. პოტიაევს. 24 ივლისი 235

274. ნ. პ. გრიუხანოვს. 24 ივლისი 236

275. ი. პ. გაგკინს. 24 ივლისი 237

276. ა. ი. რიკოვს. 24 ივლისი 238

277. ნ. ოსინსკის. ივლისი, 24-ის შემდეგ 238

278. ტელეფონოგრამა ნ. ლ. მეშჩერიაკოვს. 25 ივლისი . . 239

279. გ. ვ. ჩიჩერინს. 25 ივლისი 240

280. ტელეფონოგრამა მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმს. 25 ივლისი 241

281. ტელეფონოგრამა ვ. მ. მოლოტოვს რაპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის. 25 ივლისი . 242

282. ტელეფონოგრამა ლ. ბ. კრასინს. 25 ივლისი . . . 242

283. ბ. ვ. ჩიჩერინს. 25 ივლისი 243

284. მ. მ. ბოროდინს. 26 ივლისი 244

285. ტელეფონოგრამა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს. 28 ივილსი 244

286. ბ. ე. ზინოვიევს. 28 ივლისი 245

287. ლ. ბ. კრასინს. 28 ივლისი 247

288. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის. 29 ივლისი 248

289. ვ. მ. მოლოტოვს. ივლისი, არა უადრეს 29-ისა 248

290. ვ. ა. სმოლიანინოვს. 30 ივლისი 249

291. ტელეფონოგრამა ნ. ნ. ვაშკოვს. 1 აგვისტო 250

292. ბ. ი. მიასნიკოვს. 1 გავისტო 251

293. ლ. კ. მარტენსს. 2 აგვისტო 252

294. ტელეფონოგრამა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველის მოადგილეს. 2 აგვისტო . . 253

295. ბ. ვ. ჩიჩერინს. 3 აგვისტო 254

296. მ. ი. ფრუმკინს. 4 აგვისტო 255

297. ტელეფონოგრამა ვ. ა. სმოლიანინოვს. 4 აგვისტო . 256

298. ტელეფონოგრამა ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის. 4 აგვისტო 257

299. რადიოგრამა ყველა საგუბერნიო და სამაზრო ეკონომიურ თათბირს. 4 აგვისტო 258

300. ტელეფონოგრამა ლ. ბ. კრასინს. 5 აგვისტო 259

301. ა. ი. პოტიაევს. 5 აგვისტო 260

302. დეკეშა ნ. მ. კნიპოვიჩს. 5 აგვისტო 261

303. ნ. პ. გორბუნოვს. 5 აგვისტო 261

304. ვ. ა. სმოლიანინოვს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს წევრებს. 5 აგვისტო 262

305. ლენინარაკი პირდაპირი მავთულით მ. კ. ვლადიმიროვ-თან 1921 წ. 6 აგვისტოს. 264

306. ე. ჰ. ტომსკის. 7 აგვისტო 265

307. ფაქრიე სახკომსაბჭოს. . . . . 266—268

1. 8 და 11 აგვისტოს შუა 266

2. 11 აგვისტო 267

3. 19 აგვისტო . . . . . 267—268

308. ვ. ი. ბოკის. 9 აგვისტო 268

309. ა. მ. გორკის. 9 აგვისტო 269

310. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის. 11 აგვისტო 270

311. გ. ე. ზინოვიევს. 11 აგვისტო 271

312. პ. ა. ბოგდანოვს. 11 აგვისტო 272

313. ტელეფონოგრამა პ. ა. ბოგდანოვს. 11 აგვისტო . . 273

314. ვ. მ. მოლოტოვს. 11 აგვისტო 274

315. დეპეშა რკპ (ბ) პერმის საგუბერნიო კომიტეტს. 12 აგვისტო 274

316. გ. ვ. ჩიჩერინს და ლ. ბ. კამენევს. 13 აგვისტო . . 275

317. ფ. ა. როტშტეინს. 13 აგვისტო 276

318. ა. ს. კისელიოვს. 13 აგვისტო 277

319. ა. მ. ლეჟავას. 14 აგვისტო 277

320. გ. მ. კრჟიჟანოვსკის. 16 აგვისტო 278

321. «იზვესტიის», «პრავდის» რედაქციებს და ვ. ნ. ლენინს. 17 აგვისტო 279

322. მ. ი. ფრუმკინს, ვ. ა. ავანესოვს და ი. ბ. სტალინს. 17 აგვისტო 279

323. დეპეშა პ. ლ. ლაპინსკის. 17 აგვისტო 280

324. ტელეფონოგრამა მდივანს. 17 აგვისტო 281

325. დეპეშა მ. კ. ვლადიმიროვს. 17 აგვისტო 282

326. ტელეფონოგრამა ნ. პ. ბრიუხანოვს. 17 აგვისტო . 282

327. დეპეშა საგუბერნიო აღმასკომებს ელექტროგანყოფილებებისათვის. 18 აგვისტო 283

328. პ. ი. პოპოვს. 20 აგვისტო 284

329. ტელეფონოგრამა გ. მ. კრჟიჟანოვსკის. 22 აგვისტო . 285

330. გ. მ. კრჟიჟანოვსკის. 22 აგვისტო 286

331. ტელეფონოგრამა გ. ე. ზინოვიევს. 22 აგვისტო . . 287

332. წერილი ი. ტ. სმილგას და დავალება მდივანს. 22 აგვისტო 289

333. ტელეფონოგრამა გ. მ. კრჟიჟანოვსკის და დავალება მდივანს. 23 აგვისტო 291

334. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის. 23 აგვისტო 292

335. ტელეფონოგრამა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს. 23 აგვისტო 292

336. შენიშვნა ნ. ნ. იაკოვლევის წერილზე და გარათი ი. ს. უნშლიხტს. 23 აგვისტო 293

337. გარათი ლ. ა. ფოტიევას და წერილი მატიას რაკოშის, კ. ბ. რადეკს, ი. ს. უნშლიხტს, ბ. ი. რეინშტეინს. 23 აგვისტო 294

338. ი. ბ. სტალინს და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრს 26 აგვისტო 295

339. ბჭუპენდრანათ დატას. 26 აგვისტო 296

340. მცირე სახკომსაბჭოს. 27 აგვისტო 297

341. მცირე სახკომსაბჭოს. 27 აგვისტო 298

342. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს. 29 აგვისტო 299

343. დეპეშა ვ. ნ. კაიუროვს. 30 აგვისტო 299
344. ვ. მ. მოლოტოვს რაკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის.. 30 აგვისტო 300
345. რ. ე. კლასონს. 31 აგვისტო 301
346. ვ. ვ. ადორატსკის. 31 აგვისტო 302
347. ვ. მ. მოლოტოვს რაკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის. 31 აგვისტო 302
348. გარათი ვ. ა. სმოლიანინოვს და ტელეფონოგრამა პ. ა. გოგდანოვს. 1 სექტემბერი 303
.349 ვ. ა. სმოლიანინოვს. 1 სექტემბერი 303
350. ვ. ა. სმოლიანინოვს. 1 სექტემბერი 304
351. გარათი ა. ს. ენუქიძეს და წერილი სპარსელ შინამრეწველებს. 1 სექტემბერი 305
352. ბ. ვ. ჩიჩერინს. 1 სექტემბერი 305
353. შენიშვნები ბ. ო. ბრაფტიოს წერილზე და დავალებები ნ. პ. ბორგუნოვს. 2 სექტემბერი 306
354. შენიშვნები ნ. ნ. კრესტინსკის მოხსენებით გარათზე და დავალებები ნ. პ. ბორგუნოვს. 2 სექტემბერი . . 307
355. ნ. პ. ბორგუნოვს. სექტემბერი, არა უგვიანეს 2-ისა . . 309
356. გარათი ნ. პ. ბრიუხანოვს და დეპეშა ხ. ბ. პესტუნს. 3 სექტემბერი 310
357. გარათი ვ. ა. სმოლიანინოვს და წერილი ნ. მ. კნიპოვიჩს. 3 სექტემბერი 311
358. ვ. ა. სმოლიანინოვს. 3 სექტემბერი 312
359. გარათი მდივანს. 3 სექტემბერი 313
360. ნ. პ. ბორგუნოვსა და ვ. ა. სმოლიანინოვს. 3 სექტემბერი 313
361. ნ. პ. ბორგუნოვს. 3 სექტემბერი 314
362. კომინტერნის აღმასკომის მდივანს. 3 სექტემბერი . . 314

363. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის. 4 სექტემბერი 315

364. ვ. ა. სმოლიანინოვს. 4 სექტემბერი 315

365. ბარათი ვ. მ. მოლოტოვს და დავალება ფდივანს. 4 სექტემბერი 317

366. დეპეშა ციმბირის რევკომს. 4 სექტემბერი 318

367. ცენტრალურ კომიტეტში, სტატისტიკური განყოფილების გამგეს ნ. ი. სოლოვიოვს. 5 სექტემბერი . . . 318

368. ა. ო. ალსკის. 5 სექტემბერი 319

369. ი. ი. ვიშნიაკს. 5 სექტემბერი 320

370. გ. ვ. ჩიჩერინს. 5 სექტემბერი 321

371. ა. ო. ალსკის. 7 სექტემბერი 323

372. ა. მ. ნიკოლაევს. 7 სექტემბერი 324

373. გ. ე. ზინოვიევს. 8 სექტემბერი 324

374. ტელეფონოგრამა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. 8 სექტემბერი 325

375. ნ. პ. გორბუნოვს. 9 სექტემბერი 327

376. ნ. პ. გორბუნოვს. 11 სექტემბერი 327

377. ნ. პ. გორბუნოვს. 11 სექტემბერი 328

378. ნ. პ. გორბუნოვს. 11 სექტემბერი 328

379. დეპეშა ყველა საოლქო და საგუბერნიო ეკონომიური თათბირს. 12 სექტემბერი 329

380. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ელექტროგანყოფილებას. 12 სექტემბერი 330

381. ს. ს. დანილოვს. 12 სექტემბერი 330

382. ა. ვ. ლუნაჩარსკის. 12 სექტემბერი 331

383. ა. ა. იოფეს. 13 სექტემბერი 331

384. ე. მ. სკლიანსკის. 13 სექტემბერი 333

385. ნ. ა. სემაშკოს. 13 სექტემბერი 334

386. სახკომსაბჭოს კანცელარიის მმართველობას. 13 სექ-
ტემბერი 334

387. ნ. პ. გორბუნოვს. 13 სექტემბერი 335

388. ნ. ოსინსკის. 14 სექტემბერი 336

389. გ. ვ. ჩიჩერინს. სექტემბერი, მეორე ნახევარი 337

390. ნ. პ. გორბუნოვს. 17 სექტემბერი 338

391. ძ. ბ. რაკოვსკის. 19 სექტემბერი 338

392. კირსანოვის სამაზრო ეკონომიური თათბირს. 19 სექ-
ტემბერი 339

393. ნ . ბრიუხანოვს. 19 სექტემბერი 340

394. ე. ზ. ვოლკოვს. 19 სექტემბერი 341

395. ვ. ვ. კუიბიშევს. 19 სექტემბერი 341

396. ი. ი. მირონოვიკოვს. 19 სექტემბერი 343

397. ნ. პ. გორბუნოვს. 20 სექტემბერი 344

398. ვ. ვ. ადორატსკის. 20 სექტემბერი 345

399. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო
ბიუროს. 22 სექტემბერი 346

400. ვ. ა. ავანესოვს. 23 სექტემბერი 346

401. დ. ბ. რიაზანოვს. 23 სექტემბერი 347

402. ჰიდროტორფისათვის საზღვარგარეთული შეკვეთების
გაცემის ბერლინის დროებითი კომისიის წევრებს. 24
სექტემბერი 348

403. გ. ე. ზინოვიევს. 24 სექტემბერი 348

404. დეპეშა ნ. ნ. ნარიმანოვს, 26 სექტემბერი 349

405. კ. ბ. რადეკს. 26 სექტემბერი 350

406. პროექტი დეპეშისა შეშის გამოზიდვის სამკვირეულის
მოწყობის შესახებ და დავალება მდივანს. 27 სექ-
ტემბერი 351

407. გ. კ. ორჯონიკიძეს. 28 სექტემბერი 353

408. გ. ე. ზინოვიევს. 29 სექტემბერი 354

409. ნ. პ. გორგუნოვს. 29 სექტემბერი 355

410. ნ. პ. გორგუნოვს. 29 სექტემბერი 356

411. ნ. პ. გორგუნოვს. 30 სექტემბერი 357

412. დავალება ნ. პ. გორგუნოვს და წერილი კ. ნ. დანიშევსკის, ვ. მ. მოლოტოვსა და ა. ს. კისელიოვს. 30 სექტემბერი 358

413. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. 30 სექტემბერი 359

414. უცხოური ლიტერატურის კომიტეტს. 30 სექტემბერი . 360

415. პ. ა. კრასიკოვს. 30 სექტემბერი 361

416. დავალება ნ. პ. გორგუნოვს და წერილი ვ. ვ. კუიბიშევს. 30 სექტემბერი 363

417. გ. მ. კრჟიჟანოვსკის. სექტემბრის დამლევი 364

418. ლ. დ. ტროცკის. სექტემბერი 364

419. ვ. მ. მოლოტოვს. 2 ოქტომბერი 365

420. ნ. პ. გორგუნოვს. 3 ოქტომბერი 366

421. შეკითხვა თესვის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ. 4 ოქტომბერი 366

422. ა. ს. კისელიოვს. 5 ოქტომბერი 368

423. განკარგულება აკადემიური ცენტრის სამეცნიერო დაწესებულებათა სამმართველოს წერილზე. 5 ოქტომბერი 369

424. ტელეფონოგრამა გზათა სახალხო კომისარიატს. 6 ან 7 ოქტომბერი 369

425. არალის ზღვა. ჩრდილოეთ სანაპირო მეგადურთა და მუშათა ბუგუნის საბჭო. 7 ოქტომბერი 370

426. პ. ა. კრასიკოვს. 8 ოქტომბერი 372

427. გ. მ. კრჟიჟანოვსკის. 8 ან 9 ოქტომბერი 373

428. დეპეშა ა. ი. პოტიაევს და ბარათი მდივანს. 9 ოქტომბერი 374

429. დეპეშა ყველა საგუბერნიო აღმასკომს, პარტიის საგუბერნიო კომიტეტებს, საგუბერნიო პროფსაბჭოებს, შრომის საგუბერნიო კომიტეტებს. 10 ოქტომბერი . . 374

430. დეპეშა გელორუსიის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს. 10 ოქტომბერი 375

431. ვ. ი. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის. 10 ოქტომბერი . . . 376

432. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. 11 ოქტომბერი 378

433. ბარათი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს. 11 ოქტომბერი 378

434. მ. ლ. რუხიმოვიჩს. 11 ოქტომბერი 379

435. მ. ლ. რუხიმოვიჩს. 12 ოქტომბერი 381

436. ვ. ვ. კუიბიშევს. 12 ოქტომბერი 382

437. დეპეშა ყველა სატყეო კომიტეტისა და საგუბერნიო საგანგებო კომისიისადმი. 13 ოქტომბერი 383

438. ნ. პ. გორბუნოვს. 13 ოქტომბერი 385

439. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებს. 14 ოქტომბერი 386

440. გ. ვ. ჩიჩერინს. ოქტომბერი, არა უადრეს 14-ისა 386

441. ლ. კ. მარტენსს. 15 ოქტომბერი 387

442. ნ. ა. უგლანოვს. 15 ოქტომბერი 388

443. გ. ვ. ჩიჩერინს. 16 ოქტომბერი 389

444. გ. მ. კრჟიჟანოვსკის. 17 ოქტომბერი 390

445. ნ. ნ. კრესტინსკის. 17 ოქტომბერი 391

446. ა. ი. პოპოვს. 17 ოქტომბერი 392

447. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. 17 ოქტომბერი 394

448. წინადადება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტ-ბიუროს და ბარათი ვ. მ. მიხაილოვს. 18 ოქტომბერი . 395

449. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევ-რებს. 18 ოქტომბერი 395

450. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზი-დიუმს. 19 ოქტომბერი 396

451. ლ. კ. მარტენსს. 19 ოქტომბერი 398

452. წერილი ი. ი. რადჩენკოს და ბარათი ფ. ვ. ლენგნიკს. 19 ოქტომბერი 398

453. მოსკოვის რევტრიბუნალს. 20 ოქტომბერი 399

454. ი. ბ. სტალინს. 20 ოქტომბერი 400

455. ვ. ა. სმოლიანინოვს. 21 ოქტომბერი 401

456. ვ. ი. ჩუბარს და ჟ. ბ. რაკოვსკის. 21 ოქტომბერი . . 401

457. ა. ო. ალსკის. 21 ოქტომბერი 402

458. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს. 21 ოქ-ტომბერი 403

459. ა. ა. ნოვიცკის. ოქტომბერი, 22-ზე ადრე 404

460. ა. ა. ნოვიცკის 22 ოქტომბერი 405

461. ლ. ს. სოსნოვსკის. 22 ოქტომბერი 406

462. დეპეშა ყველა საოლქო და საგუბერნიო ეკონომთათ-ბირს. 22 ოქტომბერი 406

463. დ. ი. კურსკის. 22 ოქტომბერი 407

464. მონიშვნები მოხსენებითს ბარათზე და წერილი ბ. ვ. ჩიჩერინს. 22 ოქტომბერი 408

465. ი. ბ. სტალინს. 22 და 31 ოქტომბერს შუა 410

466. ბარათი ბ. ვ. ჩიჩერინს და შენიშვნები ვალების ცნო-ბის შესახებ საბჭოთა მთავრობის განცხადების პრო-ექტზე. 24 ოქტომბერი 410

467. ბ. ვ. ბიჩერინს. 24 ოქტომბერი 415

468. ი. ბ. ბელინს. 25 ოქტომბერი 415

469. სასულიერო ლიტერატურა (გერმანიის გამოცემები). 25 ოქტომბერი 416

470. ნ. პ. გორბუნოვს. 26 ოქტომბერი 417

471. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს. 26 ოქტომბერი 418

472. ვ. ა. ტრიფონოვს. 26 ოქტომბერი 418

473. ლ. ა. მარტენსს. 27 ოქტომბერი 419

474. ი. ი. რადჩენკოს. 27 ოქტომბერი 420

475. ბარათი ვ. მ. მიხაილოვს, ლ. ბ. კრასინისადმი დეპეშის პროექტით. 28 ოქტომბერი 421

476. ე. ა. პრეობრაჟენსკის. 28 ოქტომბერი 422

477. მ. ვ. რიკუნოვს. 28 ოქტომბერი 422

478. დავალება მდივანს და ტელეფონოგრამა ნ. პ. გრიუხანოვს. 31 ოქტომბერი 423

479. ბ. დ. ციურუპას. 2 ნოემბერი 424

480. ე. ა. პრეობრაჟენსკის. ნოემბერი, 3-ზე ადრე . . . 425—426

1. 425

2. . . . . 425—426

3. 426

481. მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს. 3 ნოემბერი . . 427

482. არმანდ ჰამერს. 3 ნოემბერი 427

483. დ. ი. კურსკის. 4 ნოემბერი 428

484. ა. ო. ალსკის. 5 ნოემბერი 429

485. პ. ა. გოგდანოვს. 5 ნოემბერი 430

486. ნ. პ. გორბუნოვს. 5 ნოემბერი 431

487. ბარათი პ. ბ. გორბუნოვს და დეპეშა ლ. ბ. კრასინს. 7 ნოემბერი 431

488. ლ. ბ. კამენევს. 7 ნოემბერი 432

489. «ცენტროკოჭატ». სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, მიწსახკომის. გზათა სახალხო კომისარიატის. სურსათის სახალხო კომისარიატის საგამომცემლო განყოფილებებს. 8 ნოემბერი 433

490. ვ. ა. სმოლიანინოვს. 9 ნოემბერი 433

491. ვ. ა. სმოლიანინოვს. 9 ნოემბერი 434

492. ნ. პ. გორბუნოვს. 10 ნოემბერი 435

493. ი. ი. რადჩენკოს. 10 ნოემბერი 435

494. ი. ს. უნშლიხტს. 10 ნოემბერი 436

495. სახელგამს. 10 ნოემბერი 437

496. ნ. პ. გორბუნოვს. 12 ნოემბერი 437

497. დეპეშა ყველა ეკონომთათბირს. 12 ნოემბერი 438

498. ნ. ი. ბუხარინს. 14 ნოემბერი 439

499. პარტიული და სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ბარათები ვ. მ. მოლოტოვს . . . . . 439—440

1. 14 ნოემბერი 439

2. 19 ნოემბერი 440

500. ა. ვ. ლუნაჩარსკის. 15 ნოემბერი 440

501. ვ. ი. სამარინს. 15 ნოემბერი 441

502. ი. ს. უნშლიხტს. 15 ნოემბერი 442

503. ლ. კ. მარტენსს. 17 ნოემბერი 442

504. რეკომენდაცია ნ. ა. ემელიანოვს. 19 ნოემბერი . . 443

505. დ. ი. კურსკის. 19 ნოემბერი 444

506. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კო-

ლიტგიურგოს წევრებისათვის. 19 ნოემბერი 445

507. ნ. პ. გორგუნოვს. 19 ნოემბერი 446

508. ი. ბ. სტალინს. 20 ნოემბერი 446

509. ვ. მ. მოლოტოვს, ჟ. ბ. რაკოვსკის, ი. ი. შვარცს, ბ. ლ. პიატაკოვს, მ. ლ. რუხიმოვიჩს. 21 ნოემბერი . . 447

510. რეკომენდაცია ი. ს. ბანეცკის. 21 ნოემბერი . . . 448

511. რეზოლუცია მოსკოვის საწარმოო სამმართველოს მი-მართვაზე «მოსტექსტილისადმი». 21 ნოემბერი . . . 448

512. ს. ს. პილიავსკის. 22 ნოემბერი 449

513. ვ. მ. მოლოტოვს. 22 ნოემბერი 449

514. ი. ბ. სტალინს და ი. ს. უნშლიხტს. 22 ნოემბერი . . 450

515. სახკომსაბჭოს ეკონომიურ კომისიას. 23 ნოემბერი . . 451

516. საბელმწიფო საბეგმო კომისიას. 23 ნოემბერი . . 452

517. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პო-ლიტბიუროს წევრებისათვის. 23 ნოემბერი 453

518. კრემლის კომენდანტს. 26 ნოემბერი 454

519. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის . . . . . 455—456

1. 26 ნოემბერი 455

2. 26 ნოემბერი 456

520. ნ. პ. გორგუნოვს. 27 ნოემბერი 456

521. მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს. 28 ნოემბერი . 457

522. ლ. ბ. კამენევს. 29 ნოემბერი 457

523. ლ. დ. ტროცკის. 30 ნოემბერი 458

524. ა. დ. მეტელევს. 30 ნოემბერი 459

525. ა. ა. ბელოვს. 30 ნოემბერი 460

526. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. 30 ნოემბერი 460

527. წერილი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტ-ბიუროს წევრებს. 2 დეკემბერი 461

528. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს. 2 დეკემბერი 462
529. უცხოეთის ლიტერატურის კომიტეტს. 2 დეკემბერი . 463
530. ლ. ბ. კამენევს. 2 დეკემბერი 464
531. ვ. ა. სმოლიანინოვს. 2 დეკემბერი 465
532. წერილი «ცოცხალი კავშირის» გამოქვეყნების შესახებ. 3 დეკემბერი 465
533. ა. ი. რიკოვს. 3 დეკემბერი 467
534. პარტიის შემოწმებისა და წმენდის მოსკოვის საგუბერნიო კომისიას. 3 დეკემბერი 468
535. ნ. პ. გორბუნოვს. 5 დეკემბერი 472
536. წერილი საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, ფინსახკომს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, განსახკომს. 5 დეკემბერი 473
537. ამხანაგებს ბალისტერსა და კარს. 5 დეკემბერი . . 474
538. ვ. მ. მოლოტოვს და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრს. 5 დეკემბერი . . . 475
539. ვ. მ. მოლოტოვს და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრს. 5 დეკემბერი 476
540. ა. მ. ლეჟავას. 6 დეკემბერი 476
541. დეპეშა მ. ხ. პოლიაკოვს. 6 დეკემბერი 477
542. ა. მ. გორკის. 6 დეკემბერი 478
543. ნ. პ. გორბუნოვს. 7 დეკემბერი 478
544. ი. ი. მეჟლაუკს. 9 დეკემბერი 479
545. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის. 12 დეკემბერი . . . 480
546. ნ. ოსინსკის. 14 და 18 დეკემბერს შუა 480
547. ლ. ბ. კამენევს. 14 და 18 დეკემბერს შუა 482

548. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის. 16 დეკემბერი 482

549. ე. ა. ლიტკენსს. 16 დეკემბერი 483

550. ნ. ს. ბორგუნოვს. 17 დეკემბერი 484

551. ი. ვ. სტალინს. 17 დეკემბერი 484

552. შენიშვნები სახალხო კომისარიატებს საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობაზე სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახკომსაბჭოს ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებით. 17 დეკემბერი 485

553. ნ. პ. ბრიუხანოვს. 17 დეკემბერი 489

554. ლ. ბ. კამენევს. 17 დეკემბერი 490

555. პ. ა. ზალუცკის და ა. ა. სოლცს. 20 დეკემბერი . . 490

556. პ. ა. ზალუცკის და ა. ა. სოლცს. 20 დეკემბერი . . 491

557. «იზვესტია ვციკ»-ის რედაქციას. 21 დეკემბერი . . . 493

558. ვ. მ. მოლოტოვს. 21 დეკემბერი 494

559. ტელეფონოგრამა ვ. მ. მოლოტოვს და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრს. 22 დეკემბერი 495

560. გ. ი. სოკოლნიკოვს. 22 დეკემბერი 495

561. ლ. ბ. კამენევს. 24 დეკემბერი 496

562. გ. ი. საფაროვს. 24 დეკემბერი 497

563. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის. 24 დეკემბერი 497

564. ე. მ. იაროსლავსკის. 24 დეკემბერი 498

565. ლ. დ. ტროცკის. 26 დეკემბერი 499

566. ტელეფონოგრამა ა. მ. ლეუავას. 26 დეკემბერი . . 500

567. ბარათების გაცვლა ე. ა. პრეობრაჟენსკისთან. 26 დეკემბერი 500

568. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. 27 დეკემბერი 501

569. ბელა კუნს. 29 დეკემბერი 502

570. ცენტრალური საბჭოთა დაწესებულებების ხელმძღვანელებს. დეკემბერი 503

571. ბ. ა. ზალუცკის. დეკემბერი 504

572. ლ. ბ. კამენევს. 1921 წელი 505

1922 წელი

573. ლ. ბ. კამენევს. 1 იანვარი 506

574. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრისათვის. 3 იანვარი . . . 507

575. ვ. მ. მოლოტოვს. 3 იანვარი 507

576. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის. 4 იანვარი 508

577. ე. ა. პრეობრაჟენსკის. 4 იანვარი 509

578. მ. მ. ლიტვინოვს. 9 იანვარი 510

579. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის. 12 იანვარი 510

580. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროსა და პოლიტბიუროსათვის. 12 იანვარი . 511

581. დეპეშა ლ. ბ. კრასინს. 12 იანვარი 513

582. ა. ს. ენუქიძეს. 13 იანვარი 514

583. პ. ს. ოსადჩის. 13 იანვარი 514

584. ი. ს. უნშლიხტს და ვ. ვ. ფომინს. 16 იანვარი . . 515

585. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის. 1 იანვარი 518

586. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრისათვის. 16 იანვარი . . . 519

587. ვ. მ. მოლოტოვს. 17 იანვარი 520

588. ვ. ა. სმოლიანინოვს. 17 იანვარი 521

589. წერილები ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის შტეინგერგის კონცესიის შესახებ . . . . . 522—525

1. 17 იანვარი . . . . . 522—523

2. 23 იანვარი . . . . . 524—525

590. ვ. ა. სმოლიანინოვს. 17 იანვარი 525

591. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსათვის. 17 იანვარი 526

592. ნ. პ. ბრიუხანოვს. 18 იანვარი 527

593. ი. ბ. სტალინს. 19 იანვარი 528

594. ლ. ბ. კრასინს. 19 იანვარი 529

595. ვ. ა. ავანესოვს. 20 იანვარი 530

596. ა. დ. ციურუპას. 21 იანვარი 530

597. ლ. დ. ტროცკის. 21 იანვარი 532

598. ბ. ი. სოკოლნიკოვს. 22 იანვარი 533

599. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრისათვის. 22 იანვარი 536

600. ა. მ. ლეჟავას. 23 იანვარი 538

601. ა. მ. ლეჟავას, პ. ა. გოგდანოვს და ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის. 23 იანვარი 539

602. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის . . . . . 540—541

1. 23 იანვარი 540

2. 24 იანვარი 541

603. ლ. ბ. კამენევს და ი. ბ. სტალინს. 25 იანვარი 541

604. ა. მ. ლეჟავას. 26 იანვარი 542

605. წერილი ბ. ვ. ჩიჩერინს. 26 იანვარი 543

606. ი. ტ. სმილგას. 26 იანვარი 543

607. ბ. ვ. ჩიჩერინს. 26 იანვარი 544

608. მ. ი. გლიასერს. 26 იანვარი 545

609. ბარათი მდივანს დავალებით ვ. ა. სმოლიანინოვისადმი. 26 იანვარი 546

610. წერილიდან ი. ს. უნშლიხტისადმი. 26 და 31 იანვარს შუა 546

611. ტელეფონოგრამა ი. ვ. ლომონოსოვს. 27 იანვარი . 547

612. ნ. პ. გორბუნოვს. 28 იანვარი 548

613. ნ. პ. გორბუნოვს. 29 იანვარი 548

614. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის. 30 იანვარი 549

615. ბ. ე. ზინოვიევს. 31 იანვარი 550

616. ი. ს. უნშლიხტს. 31 იანვარი 551

617. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის. 2 თებერვალი 552

618. ნ. ი. ბუხარინს . . . . . 554—555

1. 2 თებერვალი 554

2. 3 თებერვალი 555

619. ი. ბ. სტალინს და ლ. ბ. კამენევს. 4 თებერვალი . . 555

620. ნ. პ. გორბუნოვს. 6 თებერვალი 556

621. ვ. მ. მოლოტოვს. 6 თებერვალი 556

622. უკრაინის დარაიონების შესახებ. თებერვალი, 6-ის შემდეგ 558

623. წერილი ბ. ვ. ჩიჩერინს ბენუის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციისათვის რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების შესახებ. 7 თებერვალი . . . 558

524. ნ. პ. გორგუნოვს. 10 თებერვალი 560

525. გ. ი. სოკოლნიკოვს. 11 თებერვალი 561

526. ა. ს. ენუქიძეს. 13 თებერვალი 562

527. წერილი ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სტატისტიკური და საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილებების მუშაობის შესახებ. 14 თებერვალი 564

528. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის. 14 თებერვალი . . . 565

529. დ. ი. კურსკის. 14 თებერვალი 566

530. წერილი გ. ვ. ჩიჩერინს. 15 თებერვალი 567

531. წერილი დ. ი. კურსკის და დავალება ნ. პ. გორგუნოვს. 15 თებერვალი 568

532. სახკომსაბჭოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოსა და მცირე სახკომსაბჭოს მუშაობის გარდაქმნის შესახებ. 15 თებერვალი 569

533. ვ. გ. იაკოვენკოს. 15 თებერვალი 570

534. დ. ი. კურსკის. 15 თებერვალი 572

535. ნ. პ. გორგუნოვს. 15 თებერვალი 572

536. ი. ი. მიროშნიკოვს. 15 თებერვალი 573

537. წერილი გ. ვ. ჩიჩერინს და დავალება მდივნებს. 16 თებერვალი 574

538. ე. ა. ლიტკენსს. 16 თებერვალი 574

539. წერილი ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის იმის შესახებ, რომ შატილოვის შვრიის ტრესტს მიეცეს კრედიტები. 17 თებერვალი 575

540. ამხანაგ ნ. პ. გორგუნოვს. 17 თებერვალი 576

541. ა. დ. ციურუპას. . . . . 577—579

1. 18 თებერვალი . . . . . 577—578

2. 20 თებერვალი 579

642. იუსტიციის სახალხო კომისარიატის ამოცანების შესახებ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში. 20 თებერვალი 580

643. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრისათვის. 20 თებერვალი . . 587

644. ლ. ბ. კამენევს და ი. ბ. სტალინს. 21 თებერვალი . . 588

645. ნ. პ. ბორბუნოვს. 21 თებერვალი 589

646. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. 22 თებერვალი 591

647. რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს. 23 თებერვალი . . . 593

648. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის. 24 თებერვალი 593

649. ლ. ბ. კამენევს. თებერვალი, 25-ზე ადრე 594

650. გარათეგი ი. ბ. სტალინს და ლ. ბ. კამენევს წინადადებებით რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი. 25 თებერვალი 595

1 595

2 595

651. ბ. ვ. ჩიჩერინს. 25 თებერვალი 596

652. სოციალისტურ აკადემიას. 27 თებერვალი 596

653. გარათი ნ. პ. ბრიუხანოვს და დავალება ნ. პ. ბორბუნოვს. 27 თებერვალი 597

554. ა. დ. ციურუპას. 27 თებერვალი . . . . . 598—601

1 . . . . . 598—601

2 601

655. ნ. პ. ბორბუნოვს. 28 თებერვალი 602

656. ბარათი ბ. ი. სოკოლნიკოვს და დავალება ნ. პ. ბორ-
ბუნოვს. 28 თებერვალი 602

657. ნ. პ. ბორბუნოვს. 28 თებერვალი 603

658. ბარათი დ. ი. კურსკის და დავალება ნ. პ. ბორბუნოვს.
28 თებერვალი 603

659. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პო-
ლიტბიუროს წევრებისათვის. 28 თებერვალი . . . 604

660. ცუშურ-ბლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის
შესახებ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრუ-
ლებელი კომიტეტის დადგენილების პროექტზე გაკე-
თებული მონიშვნები და წერილი ი. ბ. სტალინს. 28
თებერვალსა და 16 მარტს შუა 605

651. ჰიდროტორფში მომუშავე ამხანაგებს. 2 მარტი . . 607

662. წერილი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუ-
როს შენიშვნებით ფინსახკომის თეზისებზე. 3 მარტი . 608

663. წერილი ლ. ბ. კამენევს. 3 მარტი 610

664. წერილი ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კო-
მიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის. 3 მარტი . . 614

665. ბარათი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუ-
როს წევრებს. 5 მარტი 615

666. ნ. პ. ბორბუნოვს. 5 მარტი 616

667. ბ. ლ. პიატაკოვს. 5 მარტი 616

668. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პო-
ლიტბიუროს წევრებისათვის. 6 მარტი 617

669. ს. ე. ჩუცკაევს. 6 მარტი 618

670. ლ. მ. ხინჩუკს. 7 მარტი 619

671. ე. ს. ვარგას. 8 მარტი 620

672. ლ. ბ. კრასინს. 10 მარტი 622

673. სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სა-
კონცესიო კომიტეტის თავმჯდომარეს. 11 მარტი . . 623

674. წერილი ბ. ვ. ჩიჩერინს. 14 მარტი 624

675. ბ. ი. სოკოლნიკოვს. 15 მარტი 632

676. დეპეშა სამხრეთ-აღმოსავლეთის საეხარეო ეკონომიურ თათბირს. 19 მარტი 633

677. ბ. ი. სოკოლნიკოვს. 20 მარტი 634

678. ლ. ბ. კრასინს. 20 მარტი 634

679. მ. ი. ფრუმკინსა და ი. ი. რადჩენკოს. 21 მარტი . . 635

680. მ. ი. ფრუმკინს. 21 მარტი 636

681. წერილი ი. ბ. სტალინს და ლ. ბ. კამენევს. 21 მარტი . 637

682. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის. 23 მარტი 639

683. დეპეშა ი. ვ. ლომონოსოვს. 27 მარტი 639

684. დეპეშა ნ. ნ. კრესტინსკის. 29 მარტი 640

685. ვ. მ. მოლოტოვს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის. 30 მარტი 641

686. ვ. პ. ბორბუნოვს. 31 მარტი 642

687. ა. ი. რიკოვს. 4 აპრილი 643

688. ა. ი. რიკოვს. 4 აპრილი 643

689. ბ. ი. სოკოლნიკოვს. 4 აპრილი 644

690. ა. ი. რიკოვს. 5 აპრილი 645

691. ა. ი. რიკოვს. 5 აპრილი 645

692. ა. ი. რიკოვს. 5 აპრილი 646

693. ბ. ი. კრუმინს, ბ. მ. კრჟიჟანოვსკის, ბ. ი. პოპოვს, ვ. ა. სმოლიანინოვს. 10 აპრილი 648

694. ე. ს. ვარგას. 10 აპრილი 649

695. ვ. ვ. კუიბიშევს. 10 აპრილი 650

696. ცენტრალურ საკონტროლო კომისიას. 10 აპრილი . . 651

697. სოციალისტური აკადემიის პრეზიდიუმს. 10 აპრილი . 651

698. ვ. ვ. ადორატსკის. 10 აპრილი 652

699. ბარათი ლ. ბ. კამენევს და შენიშვნები ვ. ვ. ადორატსკის წერილზე. 10 აპრილი 652

700. ა. ი. რიკოვს და ა. დ. ციურუპას. 12 აპრილი . . . 654

701. პ. მ. კერჟენცევს. 13 აპრილი 655

702. ბელა კუნს. 13 აპრილი 655

703. ბარათი ი. ბ. სტალინს. ლ. ბ. კამენევს და ლ. დ. ტროცკის. 18 აპრილი 656

704. ბ. ე. ზინოვიევს. 18 აპრილი 656

705. ბარათი ი. ბ. სტალინს, ლ. ბ. კამენევს და ლ. დ. ტროცკის ბენუაში გასაგზავნი დეპეშის პროექტით. 19 აპრილი 657

706. ბარათი ი. ბ. სტალინს, ბ. ვ. ჩიჩერინისათვის გასაგზავნი დეპეშის პროექტით. 21 აპრილი 658

707. წერილი ი. ბ. სტალინს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის ბ. ვ. ჩიჩერინისათვის გასაგზავნი დეპეშის პროექტით. 24 აპრილი . . . 659

708. ა. ი. რიკოვს და ა. დ. ციურუპას. 26 აპრილი . . . 661

709. ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს. 27 აპრილი . . 661

710. წინადადება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. 28 აპრილი 662

711. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. 29 აპრილი 663

712. დეპეშა ბ. ვ. ჩიჩერინს. 30 აპრილი 663

713. ბარათები რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ბ. ვ. ჩიჩერინისათვის გასაგზავნი დეპეშის პროექტით. 2 მაისი 664

714. ფ. ე. ძერჟინსკის. 2 მაისი 665

715. ა. დ. ციურუპას და ა. ი. რიკოვს. 2 მაისი 666

716. წერილი ბ. ი. სოკოლნიკოვს საფინანსო პოლიტიკის საკითხებზე. 2 მაისი 666

717. ე. ა. პრეობრაჟენსკის. მაისი, 3-ზე ადრე 668

718. ბ. ვ. ჩიჩერინისათვის გასაგზავნი დეპეშის პროექტი.

5 ან 6 მაისი 668

719. ი. ბ. სტალინს. 6 მაისი 668

720. დეპეშა მ. მ. ლიტვინოვს. 8 მაისი 669

721. დეპეშა ბ. ვ. ჩიჩერინს. 9 მაისი 670

722. მცირე სახალხომსაგჰოს შემადგენლობის პროექტისა-
თვის. 10 მაისი 670

723. არმანდ ჰამერს. 11 მაისი 671

724. ლ. ა. ფოტიევას და ვ. ა. სმოლიანინოვს. 11 მაისი . 672

725. ბ. ე. ზინოვიევს . . . . . 672—673

1. 11 მაისი 672

2. 11 მაისი 673

726. ვ. ს. დოვგალევსკის. 11 მაისი 674

727. ვ. ა. სმოლიანინოვს. 13 მაისი 675

728. დეპეშა ლ. ბ. კრასინს, ბ. ვ. ჩიჩერინს, ვ. ვ. ვოროვ-
სკის. 13 მაისი 676

729. დეპეშა ბ. ვ. ჩიჩერინს. 14 მაისი 676

730. ვ. ა. სმოლიანინოვს. 15 მაისი 677

731. წერილი ი. ბ. სტალინს და მ. ი. ფრუმკინს და დავა-
ლება მდივანს. 15 მაისი 680

732. ა. ი. რიკოვსა და ა. დ. ციურუპას. 15 მაისი 681

733. ვ. ა. სმოლიანინოვს. 15 მაისი 681

734. ა. ი. რიკოვს. 16 მაისი 682

735. ნ. ოსინსკის. 16 მაისი 682

736. წერილი ა. ვ. ლუნაჩარსკის და დავალება ვ. ა. სმო-
ლიანინოვს. 17 მაისი 683

737. წერილი ა. ი. რიკოვს და მონიშვნები მის ტელეფონოგრამაზე. 18 მაისი 684

738. ვ. ა. პავლოვს. 18 მაისი 686

739. ი. ბ. სტალინს. 18 მაისი 686

740. ფ. ე. ძერჟინსკის. 19 მაისი 687

741. ფ. ე. ძერჟინსკის. 19 მაისი 689

742. ი. ბ. სტალინს. 19 მაისი 689

743. ი. ბ. სტალინს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსათვის. 21 მაისი 690

744. ცენტრალური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. 21 მაისი 690

745. ი. ბ. სტალინს. 22 მაისი 692

746. ი. ბ. სტალინს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის. 24 და 27 მაისი 693

747. ლ. ა. ფოტიევას. 13 ივლისი 694

748. ი. ბ. სტალინს. 18 ივლისი 694

749. მ. კ. ვლადიმიროვს. 21 აგვისტო 695

750. ა. ი. რიკოვს. 25 აგვისტოსა და 1 სექტემბერს შუა . . 696

751. წერილი ი. ბ. სტალინს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსათვის ლ. ურკარტის კონცესიის თაობაზე. 4 სექტემბერი 697

752. ვ. ა. სმოლიანინოვს. სექტემბერი. არა უგვიანეს 7-ისა . 697

753. ნ. ი. ბუხარინს. 7 სექტემბერი 698

754. მ. პ. ტომსკის. 9 სექტემბერი 699

755. წერილი ი. ბ. სტალინს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის ლ. ურკარტთან ხელშეკრულების უარყოფის შესახებ. 12 სექტემბერი . 700

756. ი. ბ. სტალინს. 13 სექტემბერი 701

757. ა. ი. რიკოვს. 17 სექტემბერი 701

758. მ. კ. ვლადიმიროვს. 17 სექტემბერი 702

759. გ. ე. ზინოვიევს. 18 სექტემბერი 703

760. ვ. ა. სმოლიანინოვს. 19 სექტემბერი 703

761. ვ. ა. სმოლიანინოვს. 23 სექტემბერი 704

762. მ. ი. გლიასერს . . . . . 705—706

1. 23 სექტემბერი 705

2. სექტემბერი, 23-ის შემდეგ 706

763. ბ. ლ. პიატაკოვს. 25 სექტემბერი 706

764. ნ. ვ. კრილენკოს. 25 სექტემბერი 707

765. ა. ი. რიკოვს. 25 სექტემბერი 708

766. დეკანოზ ვ. ი. ჩუბარს. 28 სექტემბერი 709

767. ლ. ბ. კრასინს. 4 ოქტომბერი 709

768. ლ. ბ. კამენევს. . . . . 710—711

1. 4 ოქტომბერი 710

2. 6 ოქტომბერი 711

3. 6 ოქტომბერი 711

769. წერილი ბ. ლ. პიატაკოვს, ლ. ურაკარტის კონცესიის შესახებ. 6 ოქტომბერი 711

770. გაზეთ «პუტ მოლოდიოჟის» რედაქციას. 6 ოქტომბერი . 713

771. ბ. ბ. ზაქსს. ოქტომბერი, 10 რიცხვამდე 713

772. ბ. ბ. ზაქსს. 16 ოქტომბერი 714

773. საბარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს. 16 ოქტომბერი 715

774. გ. კ. ორჯონიკიძეს. 16 ოქტომბერი 716

775. ლ. ბ. კამენევს და ნ. პ. გორბუნოვს. 17 ოქტომბერი . 716

776. წერილი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გერმანიის ფირმების კონსორციუმთან დასადები ხელშეკრულების შესახებ. 18 ოქტომბერი 717

777. პერმის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეს. 20 ოქტომბერი 720

778. დეპეშა კ. მ. ცინცაძეს და ს. ი. ქავთარაძეს. 21 ოქტომბერი 722

779. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს. 24 ოქტომბერი 723

780. ლ. ს. სოსნოვსკის. 25 ოქტომბერი 724

781. გ. მ. კრჟიჟანოვსკის და გ. ლ. პიატაკოვს. 26 ოქტომბერი 725

782. ვ. ნ. მაქსიმოვსკის. 27 ოქტომბერი 726

783. ლ. ბ. კამენევს. 27 და 30 ოქტომბერს შუა 727

784. ვ. მ. მოლოტოვს. 28 ოქტომბერი 727

785. გ. ლ. პიატაკოვს და მ. ი. ფრუმკინს. 30 ოქტომბერი . 728

786. ლ. ბ. კამენევს. 30 ოქტომბერი 728

787. ი. ბ. სტალინს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის. 30 ოქტომბერი . . . 729

788. წერილი გ. ვ. ჩიჩერინს და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს ლოზანის კონფერენციის თაობაზე ანტანტის სახელმწიფოებისადმი ნოტის შესახებ. 31 ოქტომბერი 730

789. კ. ბ. რადეკს. არა უგვიანეს ოქტომბრისა 731

790. ფინკომიტეტს. 4 ნოემბერი 731

791. ნ. პ. ბრიუხანოვს. 6 ნოემბერი 732

792. ბ. მ. კრუჟიჟანოვსკის. 6 ნოემბერი 734

793. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს. 6 ნოემბერი. 735

794. ბ. ვ. ჩიჩერინს. ნოემბერი, არა უადრეს 8-ისა . . . 735

795. ლ. დ. ტროცკის. 25 ნოემბერი 736

796. ლ. დ. ტროცკის, ბ. ე. ზინოვიევს, ნ. ი. ბუხარინსა და კ. ბ. რადეკს. 25 ნოემბერი 737

797. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს. 29 ნოემბერი 739

798. ნ. მ. კნიპოვიჩის ბარათისათვის. 3 დეკემბერი . . . 740

799. ი. ი. ხოდოროვსკის. 4 დეკემბერი 740

800. ა. ი. სვიდერსკის. 5 დეკემბერი 741

801. ჩარლზ პ. შტეინმეცს. 7 დეკემბერი 743

802. ბ. ე. ზინოვიევს. 7 ან 8 დეკემბერი 744

803. ი. ბ. სტალინს. 8 დეკემბერი 744

804. წერილი კ. ლაცარის და დავალება მდივანს. 11 დეკემბერი 746

805. ლ. დ. ტროცკის. 12 დეკემბერი 748

806. ლ. დ. ტროცკის. 13 დეკემბერი 748

807. ვ. ა. ავანესოვს. 14 დეკემბერი 749

808. წერილი ი. ბ. სტალინს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისათვის. 15 დეკემბერი . 750

809. ლ. დ. ტროცკის. 15 დეკემბერი 752

810. ლ. დ. ტროცკის. 15 დეკემბერი 753

811. სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს. 16 დეკემბერი . . . 754

812. ლ. დ. ტროცკის. 21 დეკემბერი 755

1923 წელი

313. ლ. დ. ტროცკის. 5 მარტი 756
314. ამხანაგ სტალინს. 5 მარტი 757
315. პ. ბ. მდივანს, ფ. ე. მახარაძეს და სხვებს. 6 მარტი . 757
ლენინშვნები 759
ახელთა საძიებელი 960

ქართული თარგმანის რედაქტორი
რევაზ გარაკლაია

გამომცემლობის რედაქტორი ნუნუ ლობჟანიძე
ტექრედაქტორი ივანე ხუციშვილი
კორექტორი ნორა თავაძე
გამომშვები ნოე მაჭარაშვილი

გადაეცა წარმოებას 22/VI-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/III-74 წ. ქაღალდი № 1. 84 × 108[1]/32.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 54,18. სააღრიცხვო-ხაგამომცემლო თაბახი 49,98.

ტირაჟი 5000. შეკვ. № 825. ფასი 80 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, კამოს ქ. № 18.

Комбинат печати, Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Тбилиси, ул. Камо № 18.